ოშო

სიცოცხლე და სიკვდილი

თბილისი
2020

რუსულიდან თარგმნა
© ოლიკო ცისკარიშვილი

რედაქტორი
რობერტ მესხი

ფოტო გარეკანზე © depositphotos.com

© საგა – საქართველოს აკადემიური გამომცემლობა, 2020
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-9685-3-2

საგა – საქართველოს
აკადემიური გამომცემლობა
აღმაშენებლის გამზ. 181/2
თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995 32) 234 04 32
E-mail: pressacademic@gmail.com
www.apgeorgia.com
FB: Academic Press of Georgia – საგა

ოშოს ბევრი მიმდევარი ჰყავს, ზოგი რას ლაპარაკობს მასზე და ზოგი რას... მე კი ხანდახან ვფიქრობ, რომ ეს ადამიანი ან მართლა არა ამქვეყნიური იყო, ან არადა წინასწარმეტყველი.

ის, რასაც ამ წიგნში ლაპარაკობს, თავადაც გადამხდენია და მიგრძვნია: სხეულიდან გამოსვლა, ის შეგრძენები რასაც სულის სხეულიდან გამოყოფას მოსდევს და ა.შ.

ის, რაზეც „სიცოცხლესა და სიკვდილში“ ლაპარაკობს, გასული საუკუნის 50-იანი წლებისთვის სრულიად წარმოუდგენელი რამაა, სინჯარის ბავშვები, „ტრიდე“ ფილმები და ა.შ. თუ წლების განმავლობაში ეს ყველაფერი რეალობა გახდა, სულ რაღაც ერთ საუკუნეზე მცირე დროში, მაშინ სავარაუდოდ, მასში მოყვანილი სხვა ვარაუდებიც ახდება.

ხანდახან კი ვფიქრობ, და არცაა გამორიცხული, რომ რაც კი ფილმები გადაუღიათ მსოფლიოში ცნობილ რეჟისორებს სულებზე, რეინკარნაციაზე, სამყაროზე, სიკვდილზე, სიცოცხლეზე და ა.შ., ყველაფერ მისტიურზე, სწორედ ოშოს წიგნებიდან აქვთ აღებული სიუჟეტები.

ვფიქრობ, რომ წიგნი მათთვისაა განკუთვნილი ვისაც სამყაროს რაობაზე უამრავი კითხვა აქვს. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, ყველაფერზე პასუხს თუ ვერ მიიღებთ დაფიქრდებით მაინც და აუცილებლად იპოვით გზას...

მთარგმნელისგან

სარჩევი

თავი I. სიცოცხლე და სიკვდილი 5
თავი II. სიცოცხლე – სიზმარია 35
თავი III. მთელი სამყარო – ტაძარია 79
თავი IV. პირველწყაროსთან დაბრუნება 116
თავი V. იპოვე შენი გზა 147
თავი VI. სიყვარული საშიშია 182
თავი VII. მე ვასწავლი სიკვდილს 213
თავი VIII. სიცოცხლის არცოდნა – ეს სიკვდილია 251
თავი IX. უმაღლესი თავისუფლება 280
თავი X. რელიგია – ეს მედიტაციის ძიებაა 305
თავი XI. არჩევანი თქვენზეა 350
თავი XII. დაშორებას დიდი მნიშვნელობა აქვს 397
თავი XIII. ეზოთერული მეცნიერება 438
თავი XIV. მე მზად ვარ, თუკი თქვენც მზად ხართ 485
თავი XV. სწავლება ჭეშმარიტ ბუნების შესახებ 527

თავი პირველი

სიცოცხლე და სიკვდილი

არ არსებობს სიკვდილზე უფრო დიდი ტყუილი.

ჩვენ ვთავისუფლდებით მიღებული ინფორმაციისგან. ამასთან, განვიცდით ტრიუმფს იმისგან, რაც ვიცით. ჩვენი უიღბლობისა და მარცხის მიზეზი მხოლოდ ჩვენი უვიცობაა. უმთავრესი მარცხი სიბნელეა. როცა სინათლეა, დამარცხება შეუძლებელია – სინათლე თავისთავად ნიშნავს ტრიუმფს.

პირველი, რაც მინდა გითხრათ სიკვდილზე, ის არის, რომ არ არსებობს უფრო დიდი ტყუილი, ვიდრე სიკვდილია. მიუხედავად ამისა, გვეჩვენება, რომ სიკვდილი ნამდვილია. არათუ გვეჩვენება, რომ ნამდვილია, არამედ ის ცხოვრების კარდინალური სიმართლეა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთელ ცხოვრება გარშემორტყმულია სიკვდილით. ვივიწყებთ თუ უარვყოფთ, სიკვდილი მუდამ ჩვენს გვერდით რჩება. სიკვდილი უფრო ახლოს არის ჩვენთან, ვიდრე საკუთარი ჩრდილი.

ცხოვრებას ვაწყობთ სიკვდილის შიშის საფუძველზე. სიკვდილის შიშმა შექმნა საზოგადოება, ნაცია, ოჯახი და მეგობრები. სიკვდილის შიშის გამო ვაგროვებთ ფულს, მის გამო გავხდით ამბიციურები და ძალაუფლების მოყვარულნი. როგორი საოცარიც არ უნდა იყოს, ჩვენი ღმერთები და ტაძრებიც შექმნილია სიკვდილის შიშის გამო. სიკვდილის შიშით შეპყრობილი ზოგიერთი ადამიანი მუხლმოდრეკით ლოცულობს. სიკვდილის შიშით შეპყრობილი ზოგი ადამიანი ცისკენ ხელგაწვდილი ევედრება ღმერთს. ამასთან, არაფერია უფრო ყალბი, ვიდრე სიკვდილი. ამიტომ ჩვენი ცხოვრების ნებისმიერი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სიკვდილის რწმენაზე, სიცრუეს წარმოადგენს.

საიდან უნდა გავიგოთ, რომ სიკვდილი ყალბია? საიდან უნდა გავიგოთ, რომ სიკვდილი საერთოდ არ არსებობს? ვიდრე არ გავიგებთ ამას, სიკვდილის შიში შეგვრჩება. ვიდრე არ შევიტყობთ სიკვდილის სიყალბის შესახებ, ჩვენი ცხოვრებაც

ყალბი იქნება. ვიდრე სიკვდილის შიში არსებობს, ჭეშმარიტ სიცოცხლეს ვერ შევიგრძნობთ. ვიდრე სიკვდილის შიშით ვკანკალებთ, ვერ შევძლებთ სიცოცხლის სათანადოდ გავლას. ცხოვრება შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვისთვისაც სიკვდილის აჩრდილი სამუდამოდ გაქრა. როგორ შეიძლება იცხოვროს შეშინებულმა და აკანკალებულმა გონებამ? შეიძლება სიცოცხლე, როცა სიკვდილი ყოველ წამს გიახლოვდება? როგორ შეიძლება ასე იცოცხლო?

სიკვდილის უგულებელყოფის გარეშე ვერ შევძლებთ მის ბოლომდე დავიწყებას. ამასთან, უმნიშვნელოა ის, რომ სასაფლაოებს ქალაქგარეთ ვაწყობთ – სიკვდილი მაინც თავისას იზამს. ყოველდღე კვდება ვიღაც, სიკვდილი ყოველდღე სტუმრობს ვიღაცას და ძირს უთხრის ჩვენი ცხოვრების საფუძველს.

როცა სხვის სიკვდილს ვაკვირდებით, ჩვენი საკუთარი სიკვდილი გვახსენდება. როცა გარდაცვლილს დავტირით, მხოლოდ მას კი არ დავტირით, ვტირით იმიტომ, რომ საკუთარ მოკვდავობას ვაცნობიერებით. ჩვენი ტანჯვის, ტკივილისა და მწუხარების მიზეზი მხოლოდ ვიღაცის სიკვდილი კი არ არის, არამედ ჩვენივე სიკვდილის შესაძლო ალბათობაა. სხვა ადამიანის სიკვდილი თავისთავად წარმოადგენს საკუთარ სიკვდილსაც. როცა ჩვენ გარშემო ყველგან სიკვდილია, როგორ შეგვიძლია ცხოვრება? ასე ცხოვრება შეუძლებელია. თუ ასე ვიცხოვრებთ, ვერასდროს გავიგებთ, რა არის ცხოვრება, ვერასოდეს შევიტყობთ მის სიხარულს, მის მშვენიერებას, მის დალოცვას. თუ ასე ვიცხოვრებთ, ვერასდროს მივალთ უფლის ტაძრამდე, ცხოვრების უმაღლეს სიმართლემდე.

ტაძრები, რომელიც სიკვდილის შიშის გამო აიგო, უფლის ტაძრები არ არის. ლოცვები, რომელიც სიკვდილის შიშის გამო შეიქმნა, ასევე არ არის უფლისთვის ლოცვები. ვინც გადავსებულია სიცოცხლის სიხარულით, მხოლოდ ის აღწევს უფლის ტაძრამდე. უფლის სამეფო ავსებულია სიხარულითა და მშვენიერებით, და ღვთის ტაძრის ზარები მათთვის რეკავენ, ვინც თავისუფალია ყოველგვარი შიშისგან, მათთვის, ვინც უშიშარია. ეს წარმოუდგენლად გვეჩვენება, რადგან ჩვენ მოგვწონს შიშში ცხოვრება. მაგრამ ეს შეუძლებელია – ორიდან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს სიმართლე. გახსოვდეთ: თუ ჭეშმარიტია

სიცოცხლე, მაშინ სიკვდილი ვერ იქნება ჭეშმარიტი. და თუ სიკვდილია ჭეშმარიტი, მაშინ სიცოცხლე სხვა არაფერია, თუ არა ძილი, ტყუილი. მაშინ სიცოცხლე არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი. ამ ორ კატეგორიას არ შეუძლია იარსებოს ერთდროულად. მაგრამ ჩვენ ორივეს ვეჭიდებით. ისეთი შეგრძნებაა, რომ ჩვენ ცოცხლები ვართ და, ამასთან, მკვდრებიც.

მსმენია ერთ ფაკირზე[1], რომელიც განმარტოებით ცხოვრობდა. ბევრი ადამიანი მიდიოდა მასთან კითხვებით. ერთხელ მასთან მივიდა ერთი ადამიანი და სთხოვა განემარტა სიცოცხლე და სიკვდილი. ფაკირმა უპასუხა: „შენ შეგიძლია გაიგო ჩემგან სიცოცხლეზე. ჩემი კარი ამისთვის ღიაა. მაგრამ თუ გინდა სიკვდილზე გაიგო, მაშინ სხვაგან წადი, რადგან მე არასდროს მოვმკვდარვარ და არც მოვკვდები. მე არ გამომიცდია სიკვდილი. თუ გინდა სიკვდილზე გაიგო, მაშინ ჰკითხე მათ, ვინც გარდაცვლილია, ჰკითხე მათ, ვინც უკვე მკვდარია“. მერე ფაკირმა გაიცინა და უთხრა: „როგორ უნდა ჰკითხო მათ, ვინც უკვე მკვდარია? და თუკი მკვდარი ადამიანის მისამართს მთხოვ, ვერც ამის მოცემას შევძლებ. რადგან მას შემდეგ, რაც გავაცნობიერე, რომ არ შემიძლია სიკვდილი, გავაცნობიერე ასევე ისიც, რომ არავის შეუძლია სიკვდილი, და არც არასდროს მომკვდარა ვინმე“.

როგორ უნდა დავუჯეროთ ამ ფაკირს? ვხედავთ, რომ ყოველდღე ვიღაც კვდება. ყოველდღე დგება სიკვდილი. სიკვდილი წარმოადგენს უმაღლეს ჭეშმარიტებას. ის ჩვენი არსების სიღრმეში ვლინდება. შეგიძლიათ დახუჭოთ თვალები, მაგრამ, მიუხედავად იმისა, შორსაა ის თქვენგან თუ არა, მაინც ხილვადია. მიუხედავად იმისა, გავურბივართ თუ არა მას, ის მაინც ჩვენ გარშემოა. როგორ შეგვიძლია ამ სიმართლეს გავექცეთ?

მართალია, ზოგიერთი ადამიანი ცდილობს გაექცეს. სიკვდილის შიშის გამო ადამიანები იწყებენ სულის უკვდავების დაჯერებას – უბრალოდ შიშის გამო. მათ არ იციან, რომ უბრალოდ სჯერათ. ეკლესიასა თუ მეჩეთში ყოველ დილას გაიგონებთ: „არავინ კვდება; სული უკვდავია“. ისინი ცდებიან,

[1] ფაკირი – მოხეტიალე მუსლიმანი ბერი; დავრიში. ან *ინდოეთში* მოხეტიალე ბერი, რომელიც ფოკუსებს აკეთებს, გაწვრთნილ ცხოველებს აჩვენებს და სხვ.

თუკი სწამთ, რომ მათი სულები მხოლოდ ამ ფრაზის გამეორებით გახდება უკდავი. მათ ჰგონიათ, რომ სიკვდილის აცილება „სული უკვდავიას“ დაჟინებული გამეორებით შეიძლება. სიკვდილს ვერ გაექცევი გამეორებით – როცა იცით, თუ რა არის სიკვდილი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აიცილოთ თავიდან.

ეს ძალიან უჩვეულოდ ჩანს. გახსოვდეთ: მუდამ იმის საპირისპიროს ვიღებთ, რასაც ვიმეორებთ. როცა ვიღაც ამბობს, რომ ის უკვდავია, რომ სული უკვდავია – როცა ის ამას იმეორებს – ეს იმის მაჩვენებელია, რომ სულის სიღრმეში მან იცის, რომ მოკვდება, რომ აუცილებლად უნდა მოკვდეს. როცა მან იცის, რომ არ მოკვდება, მაშინ არაა საჭიროება ილაპარაკოს უკვდავებაზე. მხოლოდ შეშინებული აგრძელებს ამის გამეორებას. თქვენ, ალბათ, იცით, რომ ადამიანებს სიკვდილის უფრო მეტად ეშინიათ იმ ქვეყნებში, იმ საზოგადოებაში, სადაც ხშირად ლაპარაკობენ სულის უკვდავებაზე. ჩვენი ქვეყანა დაუზარებლად ამტკიცებს სულის უკვდავებას, მაგრამ მოიძებნება განა დედამიწაზე სხვა ხალხი, რომელსაც ჩვენზე მეტად ეშინია სიკვდილის? თქვენ ვერ იპოვით ხალხს, რომელიც ჩვენზე უფრო იქნება შეშინებული! როგორ შეგვიძლია შევეგუოთ ამ ორ ურთიერთწინააღმდეგობრიობას?

მონად გახდომა შესაძლებელია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სჯერათ სულის უკვდავების? ისინი უფრო ადრე მოკვდებიან; ისინი მზად იქნებიან სიკვდილისთვის, რამდენადაც იციან, რომ სიკვდილი არ არსებობს. მათ, ვინც იციან, რომ სიცოცხლე მარადიულია, რომ სული უკვდავია, პირველები გაფრინდებიან მთვარეზე! ისინი პირველები დაიპყრობენ ევერესტს! ისინი პირველები გამოიკვლევენ წყნარი ოკეანის სიღრმეებს! მაგრამ არა, ჩვენ არ ვართ მათნაირი. ჩვენ არ ვიპყრობთ ევერესტს, არ მივფრინავთ მთვარეზე, არ ვიკვლევთ ინდოეთის ოკეანის სიღრმეებს – და ჩვენ ვართ ის ადამიანები, რომელთაც სჯერათ სულის უკვდავების! სინამდვილეში ისე გვეშინია, რომ განუწყვეტლივ ვიმეორებთ: „სული უკვდავია“. და იმ ილუზიით ვართ შეპყრობილნი, რომ რაც უფრო ხშირად ვიტყვით, მით უფრო გარეალურდება ნათქვამი. არაფერი მოხდება უბრალო გამეორებით.

ვერ გაექცევით სიკვდილს, თუკი უბრალოდ იმეორებთ, რომ სიკვდილი არ არსებობს. თუკი სიკვდილის რაობის გარკვევა გჭირდებათ, პირისპირ უნდა შეხვდეთ მას, უნდა განიცადოთ ის. თქვენ უნდა გაიცნოთ სიკვდილი, ამის ნაცვლად კი გაურბიხართ.

როგორ შეიძლება მისი დანახვა? ჩვენ ვხუჭავთ თვალებს, როცა სიკვდილს ვხედავთ. როცა გზაზე მიდის სამგლოვიარო პროცესია, დედა შვილს ოთახში კეტავს და ეუბნება: „არ გამოხვიდე; ვიღაც მოკვდა". სასაფლაოები, ჩვეულებრივ, განთავსებულია ქალაქ გარეთ, ისინი იშვიათად გვხვდება თვალში, რათა საკუთარი მოკვდავობა არ გაგვახსენდეს. და თუკი საუბრისას შემთხვევით ახსენებთ სიკვდილს, მის გამეორებას აგიკრძალავენ.

ერთხელ, ერთ სანიასინს[2] ვსტუმრობდი. ის ყოველდღე ლაპარაკობდა სულის უკვდავებაზე. „საერთოდ თუ გესმით, რომ ყოველი დღე გაახლოებთ სიკვდილათან?" – ვკითხე სანიასინს. მან მიპასუხა: „ამაზე ლაპარაკი არ არის კარგი, ეს ცუდის ნიშანია". პასუხად ასეთი რამ ვუთხარი: „თუ, ერთი მხრივ, ადამიანი სულის უკვდავებაზე ლაპარაკობს, მაგრამ, მეორე მხრივ, მიიჩნევს, რომ მსგავსი საუბარი ცუდის ნიშანია, მაშინ ეს, უბრალოდ, უაზრობაა. ის არ უნდა ხედავდეს სიკვდილის ხსენებაში რამენაირ ცუდ ნიშანს, ის არ უნდა გრძნობდეს არანაირ შიშს, რადგან მისთვის არ არსებობს სიკვდილი". მან მიპასუხა: „მიუხედავად იმისა, რომ სული უკვდავია, მაინც არ მსურს სიკვდილზე საუბარი. არ არის საჭირო ამგვარ უმნიშვნელო და საშიშ თემებზე ლაპარაკი". ჩვენ, ყველანი მხოლოდ ერთ რამეს ვაკეთებთ – ვტრიალდებით და სიკვდილისგან გავრბივართ.

გამიგია...

ერთ სოფელში ვიღაც კაცი ჭკუიდან შეიშალა. ცხელი დღე იყო და ეს ადამიანი ცარიელ ქუჩებს მიუყვებოდა. ის მიდიოდა საკმაოდ სწრაფად, რომ არ შეშინებოდა... შეიძლება შეგეშინდეთ, როცა გზაზე ვიღაც არის, მაგრამ როგორ შეიძლება გეშინოდეთ, როცა მარტო მიდიხართ? მაგრამ, სწორედ, მაშინ გვეშინია, როცა გარშემო არავინაა. სინამდვილეში, საკუთარი

[2] სანიასინი – როცა ადამიანი სანიასინი („ბერი") ხდება, სავსებით კარგავს საკუთარ ნებას.

თავის გვეშინია, და ეს შიში ძლიერდება, როცა მარტო ვრჩებით. არავინაა ისეთი, ვისიც საკუთარ თავზე მეტად შეგვეშინდებოდა. ნაკლებად გვეშინია, თუკი ვინმე გვახლავს და პირიქით, მეტად ვშიშობთ, თუკი მარტონი ვრჩებით.

ის ადამიანი მარტო იყო. მას შეეშინდა და გაიქცა. გარშემო სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა – ეს დღისით მოხდა; გარშემო არავინ ჩანდა. როცა კაცმა ნაბიჯს აუჩქარა, უკნიდან ფეხის ხმა შემოესმა. ხმა თანდათან ძლიერდებოდა. ის შიშმა მოიცვაიქნებ, ვინმე უთვალთვალებდა. შეუმჩნევლად მიიხედა უკან. შენიშნა, რომ დიდი ჩრდილი მოსდევდა. ეს მისი საკუთარი ჩრდილი გახლდათ, მაგრამ კაცმა მისი დანახვისთანავე მოუჩქარა ნაბიჯს. გაჩერებასაც ვერ შეძლებდა, რადგან, რაც უფრო სწრაფად მირბოდა, მით უფრო სწრაფად მისდევდა ჩრდილი. ბოლოს ეს კაცი ჭკუიდან შეიშალა, მაგრამ ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც თაყვანს სცემენ შეშლილებს.

როცა ადამიანებმა ნახეს, თუ როგორ დარბოდა სოფლად, იფიქრეს, რომ რომელიღაც ასკეტურ პრაქტიკას[3] მისდევდა. ის განაგრძობდა სირბილს, მხოლოდ ღამით ჩერდებოდა, როცა ადევნებული ჩრდილი სიბნელეში უჩინარდებოდა. გამთენიისას კაცი კვლავ გარბოდა. მერე ღამითაც არ ჩერდებოდა. წარმოიდგინა, რომ ის მნიშვნელოვანი მანძილი, რომელიც დღისით დაძლია, სიკვდილს შეეძლო ღამით, მისი დასვენებისას აენაზღაურებინა, დილით კი კვლავ ადევნებოდა.

ამიტომ კაცი ღამითაც აგრძელებდა სირბილს. მერე კი ჭკუიდან შეიშალა, ჭამა-სმა შეწვიტა. ათასობით ადამიანი იკრიბებოდა იმის სანახავად, თუ როგორ დარბოდა, ყვავილებით ავსებდნენ, ზოგიერთები პურის ნაჭერსა და წყალს აწვდიდნენ. ადამიანებმა უფრო მეტად დაიწყეს მისი თაყვანისცემა. ათასობით სცემდა პატივს. მაგრამ ის ადამიანი უფრო და უფრო შეშლილი ხდებოდა, ერთხელ კი მიწაზე დაეცა და მოკვდა. სოფლის მკვიდრებმა იგი ხეების ჩრდილში დამარხეს და ერთ მოხუც ფაკირს სთხოვეს, საფლავის ქვაზე წარწერა გაეკეთებინა. ფაკირმა ქვას ერთი სტრიქონი წააწერა.

[3] ასკეტი – ასკეტიზმის მიმდევარი; ადამიანი, რომელიც უარს ამბობს ყოველგვარ ამ ქვეყნიურ სიამოვნებაზე.

დღემდე სადღაც არსებობს ეს საფლავი. ოდესმე შეიძლება ჩაიაროთ კიდეც მის გვერდით. მაშინ აუცილებლად წაიკითხავთ იმას, რაც ფაკირმა საფლავის ქვაზე ამოკაწრა: „აქ განისვენებს ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გაურბოდა ჩრდილს, რომელმაც მთელი ცხოვრება გაფლანგა, რომ ჩრდილს გაქცეოდა. ამ ადამიანმა არ იცოდა ის, რაც ამ საფლავის ქვამ იცის. საფლავის ქვა ჩრდილშია და არსად გარბის, ამიტომ მისი ჩრდილიც არასოდეს წარმოიქმნება“. ჩვენც გავრბივართ. შეგვიძლია გაგვიკვირდეს და ვიკითხოთ: როგორ შეუძლია ადამიანს გაექცეს საკუთარ ჩრდილს, მაგრამ ჩვენც გავრბივართ ჩრდილისგან. და ის, რისგანაც გავრბივართ, უკან მოგვდევს. რაც უფრო სწრაფად გავრბივართ, მით უფრო სწრაფად მოგვდევს, რადგან ეს ჩვენი საკუთარი ჩრდილია.

სიკვდილი – ეს ჩვენი საკუთარი ჩრდილია. თუ მისგან გაქცევას არ მოვიშლით, ვერასდროს ჩავხედავთ თვალებში, ვერ ჩავწვდებით მის არსს. ის ადამიანი რომ შეჩერებულიყო და იმის გასარკვევად მოეხედა, თუ რა მოსდევდა უკან, შეიძლება გასცინებოდა კიდეც და ეთქვა: „რა ადამიანი ვარ, თუკი ჩემს ჩრდილს გავურბივარ?“ არავის შეუძლია გაექცეს საკუთარ ჩრდილს. არავის შეუძლია გაიმარჯვოს ჩრდილზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩრდილი ჩვენზე ძლიერია და ვერასდროს შევძლებთ ბრძოლის მოგებას – ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ ჩრდილები არ არსებობენ. და კითხვა იმაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს, მოხსნილია დღის წესრიგიდან. თქვენ არ შეგიძლიათ გაიმარჯოთ იმაზე, რაც არ არსებობს. ამიტომ ადამიანები ისევ და ისევ მარცხდებიან სიკვდილთან ბრძოლაში, იმიტომ რომ სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა სიცოცხლის ჩრდილი.

მთელი ცხოვრების განმავლობაში მისი ჩრდილი პარალელურად არსებობს. სიკვდილი ის ჩრდილია, რომელიც სიცოცხლის ზურგს უკან წარმოიშობა. ჩვენ არ გვინდა უკან მოხედვა იმის გასაგებად, თუ რას წარმოადგენს ის. ბევრჯერ დავცემულვართ მიწაზე ამ ფერხულის გამოფიტული მონაწილენი. თქვენ პირველად არ მოსულხართ ამ ნაპირზე. სავარაუდოდ, ადრეც ყოფილხართ აქ, მაგრამ, შესაძლოა, ეს ის კი არა, სულ სხვა ნაპირია. იქნებ, საერთოდ არ იყავით ამ სხეულში, იქნებ,

სულ სხვა სხეულში იყავით, მაგრამ რბოლა იყო იგივე. ფეხები იყო ზუსტად იგივე; რბოლა იყო ზუსტად ისეთივე.

ჩვენ ბევრი სიცოცხლით ვცხოვრობთ და ჩვენში სიკვდილის შიშს ვატარებთ, მაგრამ არ შეგვიძლია მისი არსებობის აღიარება და მისით აღფრთოვანება. ისე გვეშინია, ისე ვართ დაზაფრულები, რომ როცა სიკვდილი გვიახლოვდება, როცა მისი ჩრდილი სრულიად გვფარავს, აზრსა და გონებას ვკარგავთ. პრინციპში სიკვდილის მომენტში ყველაფერი უაზრო ხდება. ადამიანს ერთხელ მაინც რომ შეეძლოს ამ მომენტში აზრის მოკრება, სიკვდილის შიში სამუდამოდ გაქრებოდა. ადამიანმა ერთხელ მაინც რომ დაინახოს, რას წარმოადგენს სიკვდილის პროცესი, რა ხდება სიკვდილის დროს, სხვა დროს არ შეეშინდებოდა სიკვდილის, რადგან სიკვდილი მისთვის უკვე აღარ იარსებებდა. საუბარი არ არის იმაზე, რომ მან სიკვდილზე გაიმარჯვა – ჩვენ ხომ მხოლოდ იმაზე შეგვიძლია გავიმარჯვოთ, რაც არსებობს. როცა თქვენ გაიგებთ, რა არის სიკვდილი, ის ქრება. მაშინ ისეთი არაფერი რჩება, რაზეც უნდა გავიმარჯვოთ.

ჩვენ უკვე ბევრჯერ მოვმკვდარვართ, ყოველ ჯერზე, როცა სიკვდილი დამდგარა, უგონონი ვხდებით. ეს იმას ჰგავს, როცა ექიმი თერაპევტი ან ქირურგი ოპერაციამდე ტკივილგამაყუჩებელს გვაძლევს, რათა ტკივილი არ ვიგრძნოთ. იმდენად გვეშინია სიკვდილის, რომ სიკვდილის დროს საკუთარი ნებით ვკარგავთ გონს. უგონონი ვხდებით სიკვდილის დადგომის წამამდე. ჩვენ ვკვდებით ისე, რომ გონზე არ ვართ, მერე კი გონდაკარგულები თავიდან ვიბადებით. ჩვენ ვერ ვაკვირდებით ვერც სიკვდილის მომენტს და ვერ დაბადებას, ამიტომაც არ შეგვიძლია დავინახოთ, რომ სიცოცხლე მარადიულია. სიცოცხლე და სიკვდილი – ეს სხვა არაფერია, თუ არა გაჩერება, დრო, როდესაც ვიცვლით ტანსაცმელსა და ცხენებს.

იყო ის დროც, როდესაც არ არსებობდა რკინის გზები, ადამიანები მოგზაურობდნენ ცხენებში შებმული ეტლებით. ისინი გადადიოდნენ ერთი სოფლიდან მეორეში. მაგრამ ადამიანები, რომლებიც იცვლიდნენ ცხენებს, ვერასდროს გრძნობდნენ, რომ მათი საქციელი სიკვდილისა და აღორძინების ტოლფასი იყო, რადგან ცხენების გამოცვლისას ისინი სრულიად ცნობიერები იყვნენ.

ხანდახან ხდებოდა, ისე, რომ მხედარი მოგზაურობაში ნასვამი მიდიოდა. როცა ის ამ მდგომარეობაში მყოფი გარშემო იყურებოდა, უკვირდა, როგორი გადასხვაფერებული იყო ყველაფერი. მას ყველაფერი შეცვლილი ეჩვენებოდა. მსმენია, რომ ერთმა ნასვამმა მხედარმა თქვა: „შესაძლებელია, რომ მეც შევცვლილიყავი? ჩემი აზრით, ეს სხვა ცხენია, და არა ის, რომლითაც ადრე დავდიოდი. შეიძლებოდა სხვა ადამიანად გადავქცეულიყავი?“

დაბადება და სიკვდილი – ეს მხოლოდ გაჩერებებია, სადაც ვიცვლით ეტლს, სადაც ვტოვებთ ძველ ეტლებსა და დაღლილ ცხენებს და ახალს ვიძენთ. ეს ორი მოქმედება მაშინ ხდება, როცა უგონოდ ვართ. ადამიანს, რომლის დაბადება და სიკვდილი ასეთი უგონო მდგომარეობაში ხდება, არ შეუძლია გაცნობიერებულად იცხოვროს, ის ნახევრად ცნობიერად ცხოვრობს, სანახევროდაა გამოფხიზლებული.

ამიტომ მინდა გითხრათ, რომ სიკვდილის დანახვა, მისი გაგება, მისი არსებობის აღიარება სრულიად არ არის საჭირო. ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ვკვდებით. მაშინ რისი გაკეთება შეგვიძლია ახლა? და თუკი სიკვდილის დანახვა მხოლოდ სასიკვდილო სარეცელზე შეგვიძლია, მაშინ ვერაფრით გავუგებთ მას, რადგან სიკვდილის მომენტში ადამიანი უგონო მდგომარეობაშია.

დიახ, ასეთი შესაძლებლობა ახლა არის. შეგვიძლია სიკვდილზე ექსპერიმენტი საკუთარი ნებით ჩავატაროთ. შეიძლება ითქვას, რომ მედიტაცია[4] ან სამადხუ [5] სხვა არაფერია, თუ არა ამგვარი ექსპერიმენტი. გამოცდილება, რომლის დროსაც საკუთარი ნებით განვიცდით სიკვდილს, სამადხუა. ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ნებით განვიცადოთ ის, რაც ერთხელ თავისთავად მოხდება, როცა საკუთარ სხეულს დავტოვებთ.

[4] მედიტაცია – უფრო მაღალი ძალის ანუ ფრო მაღალი რეალობის მოხმობაა ჩვენი არსების უფრო დაბალ ნაწილში. როგორც მაღალი, ასევე დაბალი ნაწილი ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ მაღალი რეალობები, რომლების დაშვებასაც ვცდილობთ მედიტაციის დროს, აცნობიერებენ თავის ერთობას ღმერთთან, როდესაც დაბალი ნაწილები ჩვენში ამას ვერ აცნობიერებენ. როდესაც ვმედიტირებთ, ჩვენ ვუხმობთ მაღალ რეალობებს შემოვიდნენ დაბალ რეალობებში და აგრძნობინონ მათ, რომ ისინიც ღმერთს ეკუთვნიან.

[5] სამადხი – გონებრივი ან შინაგანი მობილიზება.

ამისთვის საჭიროა განვასხვავოთ ჩვენში „მე“ და საკუთარი სხეული. ამგვარად, საკუთარი თავიდან სხეულის დატოვებით, შეგვიძლია სიკვდილი განვიცადოთ. შეგვიძლია დაგავიტანოთ სიკვდილი, დღეს, ამ საღამოს, რამდენადაც სიკვდილი ნიშნავს გამოცდილებას, რომლის მიხედვითაც ჩვენი სული ამ მოგზაურობისას ტოვებს სხეულს. ეს გამოცდილება იმას ჰგავს, როცა მგზავრი ტოვებს ძველ ეტლს და თავის მოგზაურობას აგრძელებს.

მსმენია, რომ ერთხელ კაცი მუსულმან ფაკირთან შეიხ ფარიდასთან მივიდა და უთხრა: „შევიტყვეთ, რომ როცა მანსურუს ხელ-ფეხი მოაჭრეს, მას არ უგრძვნია ტკივილი... ეს ძნელი დასაჯერებელია. ტკივილი მაშინაც კი შეიგრძნობა, როცა ფეხს თავიდან დებ ლანჩში. ნუთუ არ არის მტკივნეული, როცა ადამიანს ხელ-ფეხს აჭრიან? ჩემი აზრით, ყოველივე ეს გამონაგონია“. იმ კაცმა ასეთი რამეც თქვა: „შევიტყვეთ, რომ როცა ქრისტე ჯვარზე გააკრეს, ის არ გრძნობდა არანაირ ტკივილს. მას ნება დართეს უკანასკნელად ელოცა. ის, რაც მან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში წარმოთქვა, როცა სისხლმდინარე და გაშიშვლებული ჯვარზე იყო გაკრული, როცა თავზე ეკლისგვირგვინი ედგა, ხოლო ხელები ლურსმნებით ჰქონდა დახვრეტილი, შეუძლებელია დავიჯეროთ.

იესომ თქვა: „მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან“. თქვენ, ალბათ, გაგიგიათ ეს გამოთქმა. ადამიანები მთელ მსოფლიოში, რომლებსაც სწამთ ქრისტესი, მუდმივად ამას იმეორებენ. ეს ფრაზა ძალიან მარტივია. იესომ თქვა: „ო, ღმერთო, აპატიე ამ ადამიანებს, რამეთუ არ უწყიან რას სჩადიან.“ ამ სიტყვების წაკითხვისას, ადამიანები, როგორც წესი, ფიქრობენ, რომ იესო ამ სიტყვებში გულისხმობდა იმას, რომ საწყლებს არ ესმით, რომ კლავენ ასეთ კარგ ადამიანს, როგორიც ისაა. არა, იესო ამას არ გულისხმობდა. ის გულისხმობდა, რომ „ამ უგრძნობმა ადამიანებმა არ იციან, რომ ადამიანს, რომელსაც ისინი კლავენ, არ შეუძლია სიკვდილი. აპატიე მათ, რადგან მათ არ უწყიან, რას სჩადიან. ისინი შეუძლებელს სჩადიოდნენ: ისინი ჩადიოდნენ სიკვდილის აქტს. ეს კი შეუძლებელი იყო.“

იმ კაცმა თქვა: „რთულია დაჯერება, რომ სიკვდილის პირას მყოფი ადამიანმა გამოავლინოს ასეთი თანაგრძნობა. სინამდვილეში, ის უნდა ყოფილიყო გადავსებული ბრაზით“. ფარიდმა გულიანად გაიცინა და თქვა: „შენ კარგი კითხვა დასვი, მაგრამ მასზე მოგვიანებით გიპასუხებ. ჯერ რაღაცას გთხოვ.“ მან აიღო ქოქოსის კაკალი, რომელიც იქვე იდო, იმ ადამიანს გაუწოდა და სთხოვა, გაეტეხა, ამასთან, არ დაეზიანებინა მისი ქერქი. მაგრამ ქოქოსის კაკალი არ იყო დამწიფებული, ამიტომ იმ კაცმა უთხრა: „მაპატიეთ, მაგრამ არ შემიძლია ამის გაკეთება. ქოქოსის კაკალი სრულიად ნედლია და თუ გავჭრი, მთლიანიც გატყდება.“ ფარიდმა სთხოვა, გადაედო ის კაკალი. მერე სხვა ქოქოსის კაკალი მისცა, ამჯერად გამომშრალი, და მისი გატეხვა სთხოვა. „შენ შეგიძლია მისი ქერქი შეინარჩუნო?“ – ჰკითხა მან. იმ ადამიანმა უპასუხა: „კი, შემიძლია ქერქი შევინარჩუნო.“

ფარიდმა თქვა: „მე მოგეცი პასუხი, გაიგე ის?“ იმ ადამიანმა უპასუხა: „ვერაფერი გავიგე, რა კავშირია ქოქოსის კაკალსა და შენს პასუხს შორის? რა კავშირია ქოქოსის კაკალსა და ჩემს კითხვას შორის?“

ფარიდმა უთხრა: „ეს ქოქოსის კაკალიც გვერდით გადადე. არ გინდა მისი გატეხვა. მინდოდა მეჩვენებინა, რომ არსებობს ნედლი ქოქოსის კაკალი, რომელსაც ქერქი და ბირთვი განუყოფელი აქვს და თუ გატეხავ ძირს, შიგთავსიც გატყდება. ასევე არის გამხმარი ქოქოსის კაკალი, რითი განსხვავდება ის ნედლისგან? არის უმნიშვნელო განსხვავება: გამხმარი ქოქოსის თავი გახმა შიგნიდან და გამოიყო მთლიანი ქერქისგან და ისინი დაშორდნენ ერთმენთს. და შენ ამბობ, რომ მას შემდეგაც კი, როცა გატეხ კაკალს, შიგთავსი შენარჩუნდება. ასე რომ, მე ვუპასუხე შენს კითხვას...“

იმ კაცმა თქვა: „მე მაინც ვერ გავიგე?“ ფაკირმა უთხრა: „წადი, მოკვდი და გაიგებ. ამის გარეშე შენ ვერ შეძლებ იმის გაგებას, რაც გითხარი. მაშინც კი ვერ შეძლებ ჩემს გაგებას, რადგან სიკვდილის დროს, შენ უგონოდ იქნები. ერთხელაც ბირთვი და ქერქი გაშორდებიან, მაგრამ იმ მომენტში შენ იქნები უგონოდ. თუ გინდა გაიგო, მაშინ დაიწყე სწავლა ახლავე,

როგორ უნდა განაცალკევო ქერქი ბირთვისგან – ახლავე, ვიდრე ცოცხალი ხარ.“

თუ ქერქი – სხეულია და ბირთვი – ცნობიერი, თუ ახლავე განცალკევდება, მაშინ სიკვდილიც დასრულებულია. მათ შორის ამ მანძილის წარმოქმნით მიხვდები, რა არის ქერქი და ბირთვი – ეს ორი სხვადასხვა რამეა, შენ აგრძელებ სიცოცხლეს იმის მიუხედავად, ქერქი გატეხილი იქნება თუ არა. არ არის ლაპარაკი იმაზე, თუ შენ გატყდები, შენ გაქრები. ამ მდგომარეობაში თუკი სიკვდილი გეწვევა, ის ვერ შეძლებდა შენში შემოღწევას: ის მოხდება გარეთ. ეს, უბრალოდ, ნიშნავს, რომ მოკვდება ის, რასაც შენ არ წარმოადგენ. რასაც წარმოადგენ, ის გაარძელებს სიცოცხლეს.“

ამაშია მედიტაციისა და სამადხუს აზრი: ვისწავლოთ, როგორ უნდა განვაცალკევოთ ქერქი ბირთვისგან. ისინი შეიძლება განაცალკევოთ, რადგან უკვე განცალკევებულნი არიან. ისინი შეიძლება აღქმულნი იყვნენ ცალ-ცალკე, რადგან ისინი გაყოფილები არიან. ამიტომ ვეძახი მედიტაციას ნაბაყოფლობით სიკვდილს. ის ადამიანი კი, რომელიც კვდება თავისი ნებით, სიკვდილთან შეხვედრისას, შეიმეცნებს, რომ „სიკვდილი დადგა, მაგრამ მე კიდევ აქ ვარ.“

სოკრატე[6] წავიდა და უთხრა კაცს, რომელიც საწამლავს ამზადებდა: „ძალიან ჭიმავ დროს. მგონი, ცუდად იცი ეს საქმე. შენ რა, ახალბედა ხარ? შენ რა, მანამდე არასდროს გაგიკეთებია? ნუთუ არასდროს მიგიცია საწამლავი სიკვდილმისჯილთათვის?“

კაცმა უპასუხა: „საწამლავს მთელი ცხოვრების განმავლობაში ვამზადებდი, მაგრამ არასდროს მინახავს ისეთი შეშლილი ადამიანი, როგორიც შენ ხარ. რატომ ჩქარობ ასე? ნელა ვამზადებ, რომ დიდხანს შეგეძლოს სუნთქვა, დიდხანს იცოცხლო. შენი ლაპარაკი შეშლილის ლაპარაკს ჰგავს, როცა ამაზე ლაპარაკობ. რატომ გეჩქარება სიკვდილი?“

სოკრატემ უპასუხა: „ვჩარობ, რადგან მინდა ვნახო სიკვდილი. მინდა შევხედო, რას ჰგავს სიკვდილი. ასევე მინდა გავიგო, გადავიტან მას თუ არა. თუ ვერ გადავიტან, მაშინ ყველაფერი დასრულდება, თუ გადავიტან, მაშინ სიკვდილი დასრულდება.

[6] სოკრატე – (ბერძნ. Σωκράτης) (დ. ძვ.წ.470-469 – გ.ძვ.წ. 399) – ბერძენი. ათენელი ფილოსოფოსი.

სინამდვილეში, მინდა გავიგო, ვინ კვდება სიკვდილის დროს – სიკვდილი მოკვდება თუ მე მოვკვდები? მინდა გავიგო, ვინ იცოცხლებს – სიკვდილი თუ მე. მაგრამ როგორ გავიგო ეს, თუ ისევ ცოცხალი ვარ?"

სოკრატეს მისცეს საწამლავი. მეგობრებმა დაიწყეს მისი გამოტირება. მათ არაფერი ესმოდათ. ამ დროს რას აკეთებდა სოკრატე? ის მათ ეუბნებოდა: „საწამლავმა მიაღწია ჩემს მუხლებამდე. მუხლებამდე ფეხები მკვდარი მაქვს – ვერც კი ვიგრძნობ, რომც მომაჭრათ. მაგრამ ჩემო მეგობრებო, მომეცით ნება, შევნიშნო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ფეხები მოკვდნენ, მე ისევ ცოცხალი ვარ. ეს კი ნიშნავს: მე – ეს არაა ჩემი ფეხები. მე ისევ აქ ვარ, მთლიანად აქ ვარ. ჩემში ჯერ კიდევ არაფერი მომკვდარა." სოკრატე აგრძელებდა: „ახლა ჩემი ორივე ფეხი მკვდარია თეძოებამდე. ვერაფერს ვიგრძნობ, თუკი თეძოებამდე მომაჭრით ფეხებს. მაგრამ მე ჯერ კიდევ აქ ვარ და აქ არიან ჩემი მეგობრები, რომლებიც ტირილს აგრძელებენ!"

სოკრატე ამბობს: „ნუ ტირით, დააკვირდით, თქვენ გეძლევათ შანსი: ადამიანი კვდება და თან თქვენ გელაპარაკებათ, რომ ისევ ცოცხალია. თქვენ შეგიძლიათ მთლიანად მომაჭრათ ფეხები და ამ შემთხვევაშიც არ მოვკვდები, ამ შემთხვევაშიც დავრჩები. ხელებიც მერთმევა, ჩემი ხელებიც მოკვდებიან. აჰ, რამდენჯერ მინახავს საკუთარი თავი ამ ხელებით – ამ ხელებით, რომლებიც ახლა მტოვებენ – მაგრამ მე ისევ აქ ვარ."

ასე აგრძელებდა ლაპარაკს სოკრატე სიკვდილის სარეცელზე. ის ლაპარაკობდა: „ნელ-ნელა ყველაფერი მშვიდდება, ყველაფერი გადის ჩემგან, მაგრამ მე უსაფრთხოდ და ჯანმრთელად ვარ. რამდენიმე ხნის შემდეგ, აღარ შემეძლება თქვენთან ლაპარაკი, მაგრამ ამან არ გაფიქრებინოთ, რომ მე აღარ ვარსებობ. რადგან მე თუ ისევ აქ ვარ იმის მიუხედავად, დავკარგავ თუ არა ჩემი სხეულის უდიდეს ნაწილს, როგორ შეიძლება ჩემთვის დადგეს დასასრული, თუკი დავკარგავ ჩემი სხეულის კიდევ ერთ პატარა ნაწილს? სავარაუდოდ, თქვენთან ველარ ვილაპარაკებ, რადგან ეს მხოლოდ სხეულითაა შესაძლებელი, მაგრამ მე მაინც დავრჩები." უკანასკნელ მომენტში

მან თქვა: „ახლა მე გეტყვით, უკანასკნელ რამეს: ჩემი ენა უკვე სუსტდება. მე ვერ შევძლებ რაიმეს თქმას, მაგრამ მე მაინც ვადასტურებ: „მე ვარსებობ.“ სიკვდილის უკანასკნელ მომენტამდე ის ლაპარაკს აგრძელებდა: „მე ისევ ცოცხალი ვარ.“

ამგვარად, მედიტაციის დროს ნელ-ნელა უნდა ჩაიძიროთ საკუთარ თავში და ნელ-ნელა, ერთი მეორეს მიყოლებით, საგნები დაიწყებენ გამოვარდნას. თქვენსა და ნებისმიერ საგანს შორის წარმოიშობა მანძილი და დგება ისეთი მომენტი, როცა თქვენ გრძნობთ, რომ ყველაფერი თქვენგან არის ძალიან შორ მანძილზე. თქვენ იგრძნობთ, რომ თითქოს ეს ვიღაც უცხოს სხეული წევს მიწაზე, მაგრამ თქვენ ისევ არსებობთ. სხეული წევს იქ, თქვენ კი არსებობთ – განცალკევებით, სრულიად ნათლად და გარკვევით.

როგორც კი განვიცდით სიკვდილთან შეხვედრას პირისპირ, ვიდრე ცოცხლები ვართ, არასდროს მოგვიწევს კვლავ მასთან შეხვედრა. სიკვდილი განაგრძობს მოსვლას, მაგრამ ამ შემთხვევაში ის იქნება გაჩერებისმაგვარი, ტანსაცმლის გამოცვლასავით. ემსგავსება იმას, როგორც ჩვენ ვიღებთ ახალ ცხენებს და მივდივართ ახალ სხეულებში და მივდივართ ახალ მოგზაურობაში ახალ გზებზე, შეუცნობელ სამყაროში, მაგრამ სიკვდილი ვერასოდეს გაგანადგურებთ. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება გაიგოთ, როცა სიკვდილს შეხვდებით. ჩვენ გვჭირდება გავიგოთ, რას წარმოადგენს ის, მაშინ ჩვენ უნდა გავიაროთ მასში.

იმიტომ, რომ გვეშინია სიკვდილის, მედიტირებაც არ შეგვიძლია. ბევრი მოდის და მეუბნება, რომ მათ არ შეუძლიათ მედიტირება. როგორ ვუთხრა მათ, რომ მათი ნამდვილი პრობლემა სხვა რამეშია? მათი ნამდვილი პრობლემა სიკვდილის შიშია, მედიტაცია კი – ეს სიკვდილის პროცესია. სრული მედიტაციის მდგომარეობაში იმ წერტილს ვაღწევთ, რომელსაც მკვდარი ადამიანი. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ გარდაცვლილი ადამიანი მას აღწევს უგონო მდგომარეობაში, ჩვენ კი ვაღწევთ სრულიად გაცნობიერებულად. ეს არის ერთადერთი განსხვავება. გარდაცვლილმა ადამიანმა არ იცის, რა მოუვიდა, როგორ გატყდა ქერქი და ბირთვი გადარჩა. მედიტაციაში მყოფმა იცის, რომ ქერქი და ბირთვი გაიყო.

სიკვდილის შიში – ეს იმის უმთავრესი მიზეზია, რის გამოც ადამიანებს არ შეუძლიათ მედიტაციის მდგომარეობაში შესვლა, სხვა მიზეზი არ არსებობს. მათ, ვისაც ეშინიათ სიკვდილის, ვერასდროს მიაღწევენ სამადხის. სამადხი ნიშნავს სიკვდილის ნებაყოფლობით მოწვევას. თქვენ ეპატიჟებით სიკვდილს: „მოდი, მზად ვარ, მოვკვდე. მინდა გავიგო, ვიცოცხლებ სიკვდილის შემდეგ თუ არა. და კარგი იქნება, თუ ეს მაშინ მოხდება, როცა აზრზე ვიქნები, რადგან არაფრის გაგება არ შემეძლება, თუ ეს მოხდება მაშინ, როცა უგონოდ ვიქნები."

ამიტომ, პირველი რასაც გეუბნებით, არის: ვიდრე სიკვდილს გაურბიხართ, მისგან დამარცხებული იქნებით. იმ დღეს, როცა სიკვდილს პირისპირ შეხვდებით, ზუსტად იმ დღეს თქვენ სიკვდილი დაგტოვებთ, მაგრამ თქვენ დარჩებით.

ამ სამი დღის განმავლობაში ჩემი საუბრები მიეძღვნება სიკვდილთან შეხვედრის ტექნიკას. ვიმედოვნებ, რომ ამ სამი დღის განმავლობაში ბევრი მოვა იმისთვის, რომ გაიგონ, როგორ უნდა მოკვდნენ და შეძლებენ სიკვდილს. და თუ თქვენ შეძლებთ სიკვდილს, აქ, ამ მიწაზე...

ეს ხომ არაჩვეულებრივი მიწაა. ამ მიწაზე ოდესღაც დააბიჯებდა კრიშნა[7], სწორედ, ის კრიშნა, რომელიც ეუბნებოდა არჯუნეს ერთ-ერთ ომში: „ნუ ნერვიულობ და ნურაფრის გეშინია. ნუ შეგეშინდება, მოკლა ან მოგკლან, რადგან მე გეუბნები, არავინ კვდება და არავის კლავენ". ამგვარად, არავინ არასდროს კვდება და არასდროს მოკვდებადა ის, ვინც კვდება, ის, ვისაც შეუძლია მოკვდეს, უკვე მკვდარია. ის, ვინც არ კვდება, მისი სიკვდილიც შეუძლებელია, არ შეუძლია სიკვდილი. ამაშია თავად ცხოვრება.

დღეს საღამოს, მოულოდნელად შევიკრიბეთ სწორედ იმ ზღვის ნაპირზე, სადაც ოდესღაც დააბიჯებდა კრიშნა. ეს ქვიშა ინახავს იმ მოგონებებს, როგორ დადიოდა მასზე კრიშნა. ადამიანები, ალბათ, თვლიდნენ, რომ კრიშნა, მართლა მოკვდა, რადგან ჩვენ ვთვლით, რომ სიკვდილი ეს ერთადერთი

[7] კრიშნა – (სანსკრ. कृष्ण kṛṣṇa „შავი") – ინდუისტური ღვთაება ვიშნუს მერვე ავატარა (განასახიერება). თავის მორწმუნეთათვის იგი ღმერთის უზენაეს ფორმას წარმოადგენს.

რეალობაა და თქვენთვის ყველაფერი კვდება. ამ ზღვას, ამ ქვიშას არასდროს ჰქონიათ ის შეგრძნება, რომ კრიშნა მოკვდა. ამ ცას, ამ ვარსკვლავებს და მთვარეს არასდროს სჯეროდათ, რომ კრიშნა მოკვდა.

სინამდვილეში, ცხოვრებაში საერთოდ არ არის სიკვდილის ადგილი, მაგრამ ჩვენ დავიჯერეთ, რომ კრიშნა მოკვდა. ჩვენ ასე ვთვლით, რადგან მუდამ გვდევს ჩვენი საკუთარი სიკვდილის ფიქრი. რატომ ვართ ასე შეპყრობილი საკუთარი სიკვდილის აზრით? ჩვენ ახლა ცოცხლები ვართ, მაშინ რატომ გვეშინია ასე სიკვდილის? რატომ გვეშინია, მოვკვდეთ? მართლაც, ამ შიშის მიღმაა საიდუმლო, რომელიც უნდა ამოვხსნათ.

ამ შიშის მიღმა კონკრეტული გათვლა დგას, რომელიც ძალიან საინტერესოა. ჩვენ არასდროს გვინახავს საკუთარი თავი სიკვდილის მომენტში. ჩვენ ნანახი გვაქვს, როგორ კვდებოდნენ სხვები და ეს აზრს გვიმძაფრებდა, რომ ჩვენც უნდა მოვკვდეთ. მაგალითად, წვიმის წვეთი ცხოვრობს ოკეანეში, სადაც ათასობის სხვა წვეთია, ერთხელაც მზის სხივი დაეცემა და ის ორთქლად გადაიქცევა და გაქრება. სხვა წვეთები იფიქრებენ, რომ ის მოკვდა და ისინი მართლები არიან, რადგან მათ დაინახეს ეს წვეთი წამის წინ, ახლა კი აღარ არის. მაგრამ წვეთი ღრუბლებში ისევ არსებობს. მაგრამ როგორ შეძლებენ სხვა წვეთები ამის შესახებ გაიგონ, ვიდრე თავად არ გახდებიან ღრუბლები? ახლა კი წვეთი, ალბათ, ზღვაში ჩავარდა და კვლავ წვეთად გადაიქცა. მაგრამ როგორ შეძლებენ სხვა წვეთები ამის გაგებას, ვიდრე თავად არ წავლენ ამ მოგზაურობაში?

როცა ჩვენ ვხედავთ, ჩვენ გარშემო ვინმე კვდება, ვფიქრობთ, რომ ეს ადამიანი აღარ არსებობს, რომ კიდევ ერთი ადამიანი მოკვდა, ჩვენ ვერ ვხვდებით, რომ ეს ადამიანი უბრალოდ აორთქლდა, რომ ის შევიდა დელიკატურ სამყაროში და ახალ მოგზაურობაში წავიდა, რომ ის წვეთია, რომელიც აორთქლდა მხოლოდ იმიტომ, რომ ისევ წვეთად გადაიქცეს. როგორ შეგვიძლია ეს დავინახოთ? ჩვენ მხოლოდ ვგრძნობთ, რომ მხოლოდ ერთი ადამიანით ნაკლები დარჩა, რომ კიდევ ერთი ადამიანი მოკვდა. ასე ყოველდღე ვიღაც კვდება, ყოველდღე ერთი წვეთით ნაკლებია და ჩვენ მუდმივად მივდივართ

იმ დასკვნამდე, რომ აქ ჩვენ მოგვიწევს სიკვდილი, რომ „მეც მოვკვდები“. მაშინ შიში გვიპყრობს: „მე მოვკვდები“. ამგვარი შიში გვიპყრობს, რადგან სხვებს ვუყურებთ. ჩვენ ვცოცხლობთ სხვების შემყურე – აი, ეს არის ჩვენი პრობლემა.

გუშინ საღამოს ჩემს მეგობრებს ისტორიას ვუყვებოდი. ერთხელ, ებრაელი ფაკირი თავისი პრობლემების გამო დამწუხრებული იყო... ვინ არ იქნებოდა შეწუხებული? ყველას გვაწუხებს საკუთარი მწუხარება, მაგრამ ყველაზე მეტად ის გვწყინს, თუ სხვის ბედნიერებას ვუყურებთ. როცა ჩვენ ვხედავთ, რომ სხვები ბედნიერები არიან, უფრო უბედურები ვხდებით. ამის მიღმა უფრო დელიკატური გათვლაა, ისეთივე გათვლაა, როგორზეც ვლაპარაკობდი სიკვდილთან დაკავშირებით. ჩვენ ვაკვირდებით საკუთარ უბედურებას და ვუყურებთ სხვა ადამიანების სახეებს. ჩვენ ვერ ვამჩნევთ, რომ სხვები უბედურები არიან, ჩვენ ვხედავთ მათ მომღიმარ თვალებს, ღიმილს მათ ბაგეებზე. თუ შევხედავთ საკუთარ თავებს, მიუხედავად იმისა, რომ შინაგანად დაუძლეველი შფოთვა გვაქვს, გარეთ ღიმილს ვაგრძელებთ. სინამდვილეში ღიმილი საშუალებაა, დავმალოთ, რომ უბედურები ვართ.

არავის უნდა აჩვენოს, რომ უბედურია. თუ ჩვენ მართლა არ შეგვიძლია ვიყოთ ბედნიერები, მაშინ ვისწრაფვით დავანახოთ, რომ ბედნიერები გავხდით, რადგან როცა შენს უბედურებას აჩვენებ, ამით თავს იმდაბლებ. დაიკარგო სხვების თვალში, წააგო. ამ მიზეზით გარეგნულად ვაგრძელებთ ღიმილს, შიგნით კი ისეთივე ვრჩებით, როგორიც სინამდვილეში ვართ. შიგნიდან მზად ვართ, ცრემლი წაგვსკდეს, გარედან კი ვიღიმით. მაშინ, როცა ვინმე შეგვხედავს, ის დაინახავს, რომ ჩვენ ვიღიმით. თუმცა, თუ ეს ადამიანი ჩაიხედავს შიგნით, აღმოაჩენს, რომ უბედურია და ეს მისთვის პრობლემა გახდება. ის იფიქრებს, რომ მთელი სამყარო ბედნიერია და მხოლოდ ის არის უბედური.

ამგვარი ისტორია გადახდა ამ ფაკირსაც. ერთხელ, ღამით როცა ლოცულობდა, მან წარმოთქვა: „არ გთხოვ, არ გამხადო უბედური, რადგან თუ ვიმსახურებ უბედურებას, მაშინ მე ეს ნამდვილად უნდა გადავიტანო, მაგრამ გევედრები, არ გამომიგზავნო ბევრი ტანჯვა. ვუყურებ ჩემ გარშემო როგორ იცი-

ნიან ადამიანები და მხოლოდ მე ვტირი. ყველა ისეთი ბედნიერია და მხოლოდ მე ერთი ვარ უბედური. ყველა მხიარულია და მხოლოდ მე ვარ მოწყენილი, სიბნელეში ვარ. ბოლოს და ბოლოს რა გაგიკეთე ისეთი? გთხოვ, დამეხმარე: მაჩუქე სხვა ადამიანის უბედურება ჩემი უბედურების სანაცვლოდ. გაცვალე ჩემი უბედურება ნებისმიერი სხვა ადამიანის უბედურებაზე და მე მივიღებ მას."

იმავე ღამეს, როცა მას ეძინა, უცნაური სიზმარი ესიზმრა. მან დაინახა უდიდესი სასახლე, რომელზე მილიონობით კაუჭი იყო მიჭედებული. იქ შედიოდა მილიონობით ადამიანი და ყოველ მათგანს ზურგზე წამოკიდებული ჰქონდა უბედურების ტომარა. ამდენი უბედურების შემხედვარეს ძალიან შეეშინდა. ამან ძალიან შეაწუხა. ის ტომარა, რომელსაც ატარებდნენ სხვა ადამიანები, ძალიან ჰგავდა მის საკუთარს. ყოველი ადამიანის ტომრის სიდიდე და ფორმაც ზუსტად ერთნაირი იყო. ამან დააბნია. მანამდე ის მუდამ ხედავდა, რომ მისი მეზობლები იღიმოდნენ და ყოველ დილას, როცა ფაკირი ეკითხებოდა, როგორ გაქვთ საქმეებიო, ისინი პასუხობდნენ: „ყველაფერი მშვენივრადაა". ზუსტად ამ ადამიანებს მიჰქონდათ იმდენივე უბედურება.

მან დაინახა პოლიტიკოსები და მათი მიმდევრები, გურუ[8] და მისი მოწაფეები – ყველანი მიდიოდნენ ერთი და იმავე სიდიდის ტვირთით. ბრძენნი და უმეცრები, მდიდრები და ღარიბები, ჯანმრთელები და ავადმყოფები – ყველას ტომარა ერთნაირი იყო. ფაკირი გაოგნებული იყო. მან პირველად დაინახა ეს ტომარა, მანამდე ის მხოლოდ ადამიანების სახეებს ხედავდა.

უცბათ ოთახში ხმამაღლა გაისმა: „ჩამოკიდეთ თქვენი ტომრები!" ყველამ, ფაკირის ჩათვლით, შეასრულა ბრძანება. ყველა ცდილობდა, ჩქარა მოეშორებინა თავისი პრობლემები. არავის სურდა, ერთი წამით მეტხანს ეტარებინა თავისი უბედურება, ჩვენც, თუკი მოგვეცემოდა ამგვარი შესაძლებლობა, ახლავე დავყრიდით ჩვენს ტომრებს.

[8] გურუ – (სანსკ. गुरु guru „მძიმე") – ტიტული ინდუიზმში, რელიგიური მასწავლებელი, სულიერი მოძღვარი. გურუს მოვალეობაა, მას მინდობილ ადამიანს ჭეშმარიტების შეცნობაში დაეხმაროს და ღმერთთან დასაბრუნებელი გზა დაანახოს.

მერე სხვა ხმა გაისმა, რომელმაც თქვა: „ახლა, ყველა თქვენგანი აიღებს ნებისმიერ ტომარას, რომელიც მას მოსწონს.“ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფაკირმა მეზობლის ტომარა უცებ აიღო. არა, მან არ დაუშვა ასეთი შეცდომა. პანიკას აყოლილმა, ისევ თავისი ტომარა აიღო, ვიდრე სხვა აიღებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის ძალიან რთული იქნებოდა, რადგან ყველა ტომარა ერთმანეთს ჰგავდა. მან იფიქრა, რომ უკეთესი იქნებოდა, საკუთარი ტომარა აეღო – სხვა თუ არაფერი, მასში დაგროვილი უბედურება მისთვის ნაცნობი იყო. ვინ იცის, რა უბედურებები იყო სხვა ადამიანების ტომრებში? ნაცნობი უბედურება უფრო ადვილი გადასატანია: ის უკვე გაიარა.

ამიტომ პანიკას აყოლილი გაიქცა, რომ აეღო თავისი ტომარა, ვიდრე სხვა აიღებდა. თუმცა, მოიხედა და დაინახა, რომ დანარჩენებიც საკუთარი ტომრებისკენ ისწრაფვოდნენ, არ ყოფილა არცერთი ადამიანი, რომელმაც სხვისი ტომარა აიღო. მან იკითხა: „ასე რატომ გეჩქარებათ საკუთარი ჯვრის ტარება?“

„შეგვეშინდა. აქამდე ვფიქრობდით, რომ ყველა დანარჩენი ბედნიერი იყო და მხოლოდ ჩვენ ვიყავით უბედურები,“ – უპასუხეს მათ.

ფაკირს იმ სასახლეში მყოფთაგან ვისთვისაც არ უნდა ეკითხა, ყველა პასუხობდა, რომ ისინი მუდამ ფიქრობდნენ, რომ სხვები ბედნიერები იყვნენ. „ჩვენ ვფიქრობდით, რომ შენც ბედნიერი იყავი. ქუჩებშიც შენც ღიმილით დადიოდი. ვერ წარმოგვედგინა, რომ შენც შიგნით უბედურების ტვირთს ატარებდი,“ – უთხრეს მათ. დაინტრიგებულმა ფაკირმა იკითხა: „და რატომ აიღეთ საკუთარი ტომარა? რატომ არ შეცვალეთ სხვების ტომრით?“ მათ უთხრეს: „დღეს თითოეულმა ჩვენგანმა ღმერთს შესთხოვა, საკუთარი უბედურება სხვისაში გაეცვალა, მაგრამ როცა ვნახეთ, რომ სხვისი უბედურება ზუსტად ისეთივე იყო, შეგვეშინდა: ჩვენ ასეთი რამ არასდროს წარმოგვედგინა. ამიტომ ვიფიქრეთ, რომ საკუთარი ტომრის აღება ჯობდა – ის უფრო ნაცნობია. რად გვინდა ახალი უბედურება? ნელ-ნელა შევეჩვევით ძველ უბედურებას.“ იმ ღამეს არავის აუღია სხვისი ტომარა. ფაკირმა გაიღვიძა და გულმოწყალე ღმერთს მადლობა გადაუხადა, იმისთვის, რომ ძველი უბედუ-

რება დაუბრუნა და გადაწვიტა, რომ ასე აღარასოდეს აღარ ილოცებდა.

სინამდვილეში ამის მიღმა გათვლა ერთი და იგივეა. როცა ვუყურებთ სხვა ადამიანს და საკუთარ ცხოვრებას, აქ ვუშვებთ უდიდეს შეცდომას და იმაში, როგორ ვექცევით საკუთარ ცხოვრებას და სიკვდილს, იგივე ცრუ გათვლა დევს. თქვენ ხედავდით, როგორ კვდებოდნენ სხვა ადამიანები, მაგრამ არასდროს აკვირდებით, როგორ კვდებით თქვენ თავად. ჩვენ ვუყურებთ სხვა ადამიანების სიკვდილს, მაგრამ თავში არასდროს მოგვდის, რომ ადამიანებისგან რაღაც აგრძელებს სიცოცხლეს, რადგან ამ დროს, ჩვენ უგონოდ ვართ, ჩვენთვის სიკვდილი უცნობი რჩება. ამიტომ ასე მნიშვნელოვანია, რომ სიკვდილი მივიღოთ გაცნობიერებულად. თუკი ადამიანი სიკვდილს დაინახავს, ის მაშინვე გათავისუფლდება მისგან და გაიმარჯვებს მასზე. სინამდვილეში, უაზრობაა ამას გამარჯება დავარქვათ, რადგან აქ არაფერია დასაპყრობი. სიკვდილი მაშინ ხდება ტყუილი, ის უბრალოდ არსებობას წყვეტს.

ორს რომ მივუმატოთ ორი, ადამიანი ღებულობს ხუთს, მეორე დღეს კი იგებს, რომ ორს მივუმატოთ ორი, ტოლია ოთხის, ნუთუ ის იკითხავს, რომ მან გაიმარჯვა ხუთზე და ხუთისგან გამოიყვანა ოთხი? ამის მაგივრად, ის იტყვის, რომ არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ მან გაიმარჯვა: ხუთი არ ყოფილა საერთოდ. ის, რომ გამოვიდა ხუთი, იყო მისი შეცდომა, გაურკვევლობა მისი მხრიდან – მისი გამოთვლები აღმოჩნდა არასწორი, თანხა ტოლი იყო ოთხის, მან კი იფიქრა, რომ ტოლი იყო ხუთის და ამაშია მისი შეცდომა. როცა თქვენ შეცდომას ხედავთ, პრობლემაც გვარდება. ნუთუ, ეს ადამიანი მერე დაიწყებს ლაპარაკს: „როგორ დავაღწიო თავი ხუთს? ახლა ვხვდები, რომ ორს მივუმატოთ ორი ტოლია ოთხის, მაგრამ ადრე, როცა ვითვლიდი, გამომდიოდა ხუთი. როგორ გავთავისუფლდე ხუთისგან?“ ეს კაცი არ ითხოვს ამგვარ გათავისუფლებას, რადგან, როგორც კი აღმოაჩენს, რომ ორს მივუმატოთ ორი არის ოთხი, ეს საკითხი დასრულდება. ხუთიანი უკვე აღარ იარსებებს. მაშინ რისგანაა საჭირო გათავისუფლება?

თქვენ არ გჭირდებათ გათავისუფლება სიკვდილისგან ანდა მასზე გამარჯვება. თქვენ უნდა გაიგოთ, თავისთავად სიკ-

ვდილი რას წარმოადგენს. თავად ამის ცოდნას მოაქვს თავისუფლება, თავად ცოდნა გახდება გამარჯვება. ამიტომაც ვამტკიცებდი ადრე, რომ ცოდნა – ეს ძალაა, რომ ცოდნა – ეს თავისუფლებაა, რომ ცოდნა – გამარჯვებაა. თუ თქვენ იცით, რა არის სიკვდილი, ის აორთქლდება, მაშინ ჩვენ უეცრად პირველად შევიგრძნობთ, რომ სიცოცხლესთან ვართ დაკავშირებულები.

ამიტომ გითხარით, პირველი, რაც მეტიდაციაზე უნდა ვიცოდეთ, ის არის, რომ მედიტაცია ნებაყოფილობითი შესვლაა სიკვდილში. მეორე, რაც მინდა ვთქვა: ის, ვინც საკუთარი ნებით კვდება, უეცრად სიცოცხლის კარს პოულობს. მიუხედავად იმისა, რომ ის მოძრაობს სიკვდილის ძიებაში, იმის მაგივრად, რომ შეხვდეს სიკვდილს, ის პოულობს უმაღლეს სიცოცხლეს. მიუხედავად იმისა, რომ მოძებნის სიკვდილი, ის შედის სიკვდილის სახლში, ბოლოს და ბოლოს, ის სიცოცხლის ტაძარში აღმოჩნდება. ის კი, ვინც სიკვდილის სახლიდან გარბის, ვერასდროს მიაღწევს სიცოცხლის ტაძარს.

მინდა გითხრათ, რომ სიცოცხლის ტაძრის კედლებს სიკვდილის აჩრდილი ამშვენებს. ასევე მინდა გითხრათ, რომ სიცოცხლის ტაძრის კედლებზე დახატულია სიკვდილის სურათები და თუ გავურბივართ სიკვდილს, მაშინ გამოდის, რომ სიცოცხლის ტაძრიდანაც გავრბივართ! მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მივიღებთ სიკვდილს, შეგვიძლია, ეს კედლები მივიღოთ. თუ ჩვენ როდესმე შეხვდებით სიკვდილს, მაშინ მივაღწევთ სიცოცხლის ტაძარს. სიცოცხლის ღვთაება ცხოვრობს სიკვდილის კედლებში; სიცოცხლის ტაძარი მთლიანად მორთულია სიკვდილის სახეებით. მანამდე მათ დანახვაზე, უბრალოდ. გავრბოდით.

თუ თქვენ როდესმე ყოფილხართ კადჯურახოში[9], შეამჩნევდით უჩვეულო რამეს: მისი ყველა კედელი მორთულია სექსის სკულპტურული სცენებით. მისი დანახვისას, ადამიანი, უბრალოდ გარბის მაშინ, როცა მას არ შეუძლია ღვთაებრიობამდე მიღწევა, რომელიც ტაძრის სიღრმეშია. სიღრმეში ღმერთის

[9] კადჯურახო – ცენტრალურ ინდოეთში, შუასაუკუნეებში ჩანდელას სახელწმიფოს დედაქალაქი (მე-9-12 სს.), სადაც შემორჩენილია უძველესი ტაძრები. 1986 წლიდან იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია.

გამოსახულებაა, გარეთ კი გრავიურები, ფიგურები, სადაც სექსი, ვნება და აქტია გამოსახული. ალბათ, ტაძარი კადჯურახო მშვენიერმა ადამიანებმა ააგეს. მათ გამოხატეს სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი: მათ უნდოდათ ეთქვათ, რომ სექსი გარეთა კედელზეა და თუ იქიდან გაიქცევით, მაშინ თქვენ ვერასდროს მიაღწევთ ბრახმაჩარის[10], ცელიბატს[11], რადგან ბრახმაჩარა შიგნითაა. თუ შეძლებთ, შეხვიდეთ ამ კედლებში, მაშინ მიაღწევთ ბრახმაჩარას. კედლებზე ასახულია მოკვდავი სამყარო, სანსარა[12] და თქვენ მისგან გაიქცევით, მაგრამ ვერასდროს მიხვალთ ღმერთამდე, რადგან ის, ვინც გადალახავს ამ სანსარის კედლებს, თავად არის ღმერთი.

მე გეუბნებით ისევ იმას – სადღაც, რომელიმე ადგილას, უნდა ავაშენოთ ტაძარი, სადაც გამოსახული იქნება სიკვდილი და მის შიგნით სიცოცხლის ღვთაება იქნება. ასეთია ჭეშმარიტება. თუმცა, ჩვენ ჯერ კიდევ, ვაგრძელებთ სიკვდილისგან გაქცევას, ჩვენ ასევე ხელიდან ვუშვებთ სიცოცხლის ღვთაებრიობას.

ამ ორ რამეზე ერთდროულად ვლაპარაკობ: მედიტაცია – ეს სიკვდილის ნებაყოფლობით მიღებაა და ის, ვინც ნებაყოფლობით მიიღებს სიკვდილს, სიცოცხლეს მიაღწევს. ეს ნიშნავს, ვინც სიკვდილს თავის სიმაღლეზე შეხვდება, აღმოაჩენს, რომ სიკვდილი გაქრა და ის სიცოცხლის მკლავებშია. ეს საკმაოდ წინააღმდეგობრივად გამოიყურება – თქვენ ეძებთ სიკვდილს, მაგრამ პოულობთ სიცოცხლეს – მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის.

მაგალითად, მე ვატარებ ტანსაცმელს. თუ თქვენ გინდათ მიპოვოთ, თავიდან დაინახავთ ჩემს ტანსაცმელს, მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვარ ტანსაცმელი, მაგრამ თუ თქვენ შეგეშინდებათ ჩემი ჩაცმულობის და გაიქცევით, მაშინ ვერასდროს გაიგებთ, ვინ ვარ. თუმცა, თუ თქვენ თანდათან, ნელ-ნელა

---

[10] ბრახმაჩარა – ინდუიზმში სულიერი განვითარების საფეხური.

[11] ცელიბატი – (ლათ. coelibatus ან caelibatus) – დაუქორწინებლობა კათოლიკურ სამღვდელოებაში. ეს წესი IV საუკუნეში ელვირის საეკლესიო კრებაზე დაკანონდა რომის ეკლესიის მიერ.

[12] სანსარა – (სანსკრ. संसार) – ინდურ რელიგიებში (ინდუიზმი, ბუდიზმი, ჯაინიზმი) ღმერთის, ადამიანის თუ ცხოველის ახლად შობა მარადიულ წრე ბრუნვაში.

მომიახლოვდებით, არ შეგეშინდებათ ჩემი ჩაცმულობის, მაშინ ტანსაცმლის შიგნით ჩემს სხეულს დაინახავთ. მაგრამ სხეულიც, ღრმა აზრით, ტანსაცმელია და თუ თქვენ ჩემი სხეულისგანაც გაიქცევით, მაშინ თქვენ ვერ მოძებნით იმას, ვინც ჩემს შიგნითაა. თუ გაითვალისწინებთ, რომ სხეულიც ტანსაცმელია, მაშინ თქვენ აუცილებლად შეხვდებით მას, ვინც შიგნითაა, მას ვისთან შეხვედრაც ყველას უნდა.

საინტერესოა: სხეული – კედელია და ღვთაებრივი გრაციოზულად ზის შიგნით. კედელი შექმნილია მატერიისგან, შიგნით კი ღვთაებრივია, ცნობიერი, თავისი დიდებულებით. ეს, რა თქმა უნდა, საგნების ურთიერთწინააღმდეგობრივია – კედელი მატერია და ღვთაებრივი ცხოვრება. თუ თქვენ ეს სწორად გაიგეთ, კედელი სიკვდილისგან შედგება, ღვთაებრიობა კი სიცოცხლისგან.

როცა მხატვარი სურათს ხატავს, ის მუქ ფონს აკეთებს, რათა ხაზი გაუსვას თეთრ ფერს. თეთრი ხაზები გამოკვეთილად ჩანს მუქ ფონზე. თუ ვინმეს შეეშინდება შავის, მას არ შეუძლია მიაღწიოს თეთრს. მან არ იცის, რომ ზუსტად შავი გამოკვეთავს თეთრს.

ამგვარად, აყვავებული ვარდიც გარშემორტყმულია ეკლებით. თუ ადამიანს ეკლების შეეშინდება, ვერ მისწვდება ვარდს; თუ ის ეკლებისგან გაიქცევა, არასდროს ერგება ყვავილი. ის, ვინც იღებს ეკლებს და უშიშრად უახლოვდება მათ, თავისდა გასაკვირად აღმოაჩენს, რომ ეკლები მხოლოდ იმისთვის არის საჭირო, რომ ყვავილი დაიცვას. ისინი აუცილებელია ყვავილისთვის, როგორც გარეგანი დამცველი კედელი. ყვავილი ხარობს ეკლების შიგნით, ეკლები არ არიან ყვავილის მტრები. ყვავილები – ეს ეკლების ნაწილია, ეკლები კი – ყვავილების ნაწილი. ერთმაც და მეორემაც დაბადეს მცენარის სასიცოცხლო ძალა.

ის, რასაც ჩვენ ვეძახით სიცოცხლეს და ის, რასაც ჩვენ ვეძახით სიკვდილს, ერთიც და მეორეც არის უდიადესი ცხოვრების ნაწილი. მე ვსუნთქავ, მე ვაკეთებ ამოსუნთქვას, მერე ჩასუნთქვას. ის ჰაერი, რომელსაც ამოვისუნთქავ, რამდენიმე ხნის შემდეგ ჩავისუნთქავ და იმას, რომელსაც ჩავისუნთქავ, რამდენიმე ხნის მერე ამოვისუნთქავ. ჩასუნთქვა არის

სიცოცხლე, ამოსუნთქვა – სიკვდილი. მაგრამ ერთიც და მეორეც არის საფეხურები, რომლებიც მიდის ერთ, უფრო დიდ ცხოვრებასთან – სიცოცხლე და სიკვდილი, ერთმანეთის გვერდით ხელჩაჭიდებული მიმავალი, დაბადება – ეს პირველი ნაბიჯია, სიკვდილი – სხვა ნაბიჯი. მაგრამ ჩვენ რომ შეგვეძლოს დავინახოთ, ჩვენ რომ გვქონდეს შესაძლებლობა შიგნით შეღწევის, მაშინ უფრო მეტად დავინახავდით სიცოცხლის მნიშვნელობას.

ამ სამი დღის განმავლობაში, შევასრულებთ მედიტაციებს, რომლებიც დაკავშირებულია სიკვდილთან შესვლასთან. მოგიყვებით მის სხვადასხვა მხარეზე. დღეს საღამოს პირველი დღის მედიტაციას შეასრულებთ. ნება მომეცით, აგისხნათ, რას მოიცავს ის.

თქვენ, ალბათ, მიხვდით, როგორია ჩემი თვალსაზრისი: ჩვენ უნდა მივაღწიოთ შინაგანს ძალიან ღრმად, იმ ადგილს, სადაც სიკვდილი შეუძლებელი იქნება. ყველაფერზე, რაც პერიფერიებშია, უარი უნდა ვთქვათ ისევე, როგორც სიკვდილის დროს ხდება. სიკვდილის მომენტში ვკარგავთ სხეულს, ვკარგავთ გრძნობებს, ვკარგავთ აზრებს, ვკარგავთ მეგობრობას, ვკარგავთ მტრობას – ყველაფერს ვკარგავთ. მთლიანი შინაგანი სამყარო გვშორდება, ვრჩებით მხოლოდ ჩვენ, მხოლოდ შეგრძნება „მე“, რჩება მხოლოდ ცნობიერი.

მედიტაციის დროს, თქვენც უნდა დაკარგოთ ყველაფერი და უნდა მოკვდეთ, უნდა დატოვოთ მხოლოდ დაკვირვება, შინაგანი მოწმის. ეს სიკვდილი მოვა. მედიტაცის ამ სამი დღის განმავლობაში, თუკი თქვენ თამამად შეხვალთ სიკვდილში და უარყოფთ საკუთარ თავს, შეიძლება მოხდეს ის, რასაც ეძახიან სამადხუს.

გახსოვდეთ, სამადხუ – ეს მშვენიერი სიტყვაა. სამადხუს ეძახიან მთლიანი მედიტაციის მდგომარეობას და სამადხუს ჰქვია სამარე, რომელსაც ვინმეს სიკვდლის შემდეგ აკეთებენ. ოდესმე გიფიქრიათ ამაზე? – ამ ორივე შემთხვევას „სამადხუს“ ეძახიან. სინამდვილეში, ამ ორ შემთხვევას საერთო საიდუმლო აქვს. ადგილი, სადაც ისინი ერთმანეთს ხვდებიან.

მართლაც, ის ადამიანი, რომელიც სამადხუს მდგომარეობას აღწევს, სხეულს გრძნობს, როგორც სამარეს და სხვა არა-

ფერს. მერე კი აცნობიერებს, რომ კიდევ რაღაც არის შიგნით, გარეთ ყველგან სიბნელეა.

როცა ვინმე კვდება, ვუკეთებთ საფლავს და მას ვეძახით სამადხუს. მაგრამ ეს სამადხუ შენდება სხვების მიერ. თუ ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ საკუთარი სამადხუ, ვიდრე ამას სხვები გააკეთებენ, მაშინ ჩვენ მოვიპოვებთ იმას, რისკენაც ასე ვისწრაფოდით. სხვებს კიდევ ექნებათ ჩვენი საფლავის გაკეთების შანსი, მაგრამ ჩვენ ვუშვებთ ჩვენი საკუთარი სამადხუს აშენების შესაძლებლობას. თუ ჩვენ შევძლებთ საკუთარი სამადხუს შექმნას, მაშინ ამ მდგომარეობაში მოკვდება მხოლოდ სხეული და ვერანაირად ვერ მოკვდება ჩვენი ცნობიერი. ჩვენ არასდროს მოვმკვდარვართ და არც შეგვიძლია სიკვდილი. არავინ არასდროს მომკვდარა და არავის შეუძლია სიკვდილი, თუმცა, ეს რომ გავიგოთ, სიკვდილისკენ მიმავალ საფეხურებზე უნდა დავეშვათ.

მინდოდა თქვენთვის მეჩვენებინა სამი საფეხური, რომლითაც ჩვენ ვივლით და ვინ იცის – ეს შეიძლება მოხდეს ამ ნაპირზე და თქვენ შეგიძლიათ აქ შეიძინოთ თქვენი სამადხუ – არა ის სამადხუ, რომელსაც სხვები აკეთებენ, არამედ ის, რომელსაც საკუთარი ნებით შექმნით.

არის სამი საფეხური. პირველ საფეხურზე თქვენი სხეული უნდა მოადუნოთ. სხეული იმდენად უნდა მოადუნოთ, რომ იგრძნოთ, რომ თითქოს სხეული თქვენგან შორსაა, თითქოს არაფერი გაქვთ მასთან საერთო. სხეულიდან უნდა აიღოთ მთელი ენერგია და შიგნითკენ მიმართოთ. მთელ ენერგიას ვხარჯავთ ჩვენს სხეულზე – რამდენ ენერგიასაც ვღვრით მასში, იმდენივე რჩება იქ; რამდენ ენერგიასაც ვიღებთ, იმდენს ვაგზავნით ჩვენს შიგნით.

როდესმე დაკვირვებიხართ, რა ხდება, როცა ვინმესთან იბრძვით? საიდან იღებს ჩვენი სხეული დამატებით ენერგიას? სიბრაზის დროს იმდენად დიდი ქვის აღება შეგიძლიათ, რომელსაც ვერც კი დაძრავდით, როცა მშვიდი ხართ. თუმცა ამაში მონაწილეობას იღებს თქვენი სხეული, როდისმე დაფიქრებულხართ, საიდან მოდის ენერგია? თქვენ ჩადეთ მასში ეს ენერგია, თქვენ გჭირდებოდათ ის, თქვენ გქონდათ უსიამოვნებები. თქვენ იმყოფებოდით საფრთხეში, თქვენ წინაშე მტერი

იყო. თქვენ იცოდით, რომ თქვენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, თუ არ ასწევთ ქვას და თქვენ მთელი ენერგია სხეულში ჩადეთ.

ერთხელ ასე მოხდა, ადამიანს, რომელსაც დამბლა ჰქონდა, საწოლს იყო მიჯაჭვული, მას არ შეეძლო ადგომა, არ შეეძლო განძრევა. ექიმები დანებდნენ, თქვეს, რომ დამბლა ცხოვრების ბოლომდე დარჩებოდა. ერთხელ, ღამით, მის სახლს ცეცხლი წაეკიდა და ყველა ქუჩაში გაიქცა. გარეთ გასულებს გაახსენდათ, რომ, მათი ოჯახის უფროსი ჩაკეტილი დარჩა ოთახში – მან გაქცევაც ვერ შეძლო. რა მოუვიდა მას? ვიღაცებმა მოიტანეს ფარნები და მათ აღმოაჩინეს, რომ მოხუცი უკვე გარეთ იყო. მას ჰკითხეს, გარეთ თავად გამოხვედი? მან უპასუხა: „როგორ შემეძლო გამოსვლა? ეს როგორ მოხდა?“ მაგრამ ის მართლა გამოვიდა, ამაში არავის ეპარებოდა ეჭვი.

სახლი იწვოდა, მას ყველა ტოვებდა და რაღაც მომენტში მან დაივიწყა თავისი დამბლა. მთელი თავისი ენერგია სხეულში ჩადო. მაგრამ ადამიანებმა, როცა ფარნების შუქზე დაინახეს და ჰკითხეს, როგორ შეძლო მან გამოღწევა, მან წამოიძახა: „ო, მე ხომ პარალიზებული ვარ!“ და დაეცა მიწაზე, მან ენერგია დაკარგა. მას არ შეეძლო იმის გაგება, თუ როგორ მოხდა ეს. ყველა უხსნიდა, რომ სინამდვილეში ის არ იყო პარალიზებული, რომ თუ მან შეძლო ამხელა მანძილის გავლა, შეუძლია სიცოცხლის ბოლომდე სიარული. ის ადამიანი აგრძელებდა ლაპარაკს: „მე ხელის განძრევაც არ შემეძლო, მე ფეხის განძრევაც კი არ შემეძლო, მაშინ ეს როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო?“ მას არ შეეძლო ეთქვა, მან არც კი იცოდა, რამ გამოიყვანა სახლიდან.

არავის გამოუყვანია, ის თავად გავიდა. მაგრამ მან არ იცოდა, რომ საფრთხის წინაშე მყოფმა მისმა სულმა მთელი ენერგია სხეულს გადასცა. მერე კი, როცა მან თავი ისევ პარალიზებულად იგრძნო, სულმა ისევ თავისთან წაიღო ენერგია და ადამიანი ისევ პარალიზებული გახდა. ამგვარი შემთხვევები, თავს გადახდენია არაერთ ადამიანს, მსოფლიოში ათასობით შემთხვევა ყოფილა, როცა დამბლადაცემული ადამიანი საწოლიდან დგება. მაშინ ავიწყდებოდა დაავადება, თუკი ხანძრის ანდა სხვა სახის საშიში სიტუაციების წინ დგებოდა.

მინდა ვთქვა შემდეგი: ჩვენ სხეული ავავსეთ ენერგიით, მაგრამ წარმოდგენა არ გვაქვს, როგორ გამოვიყენოთ ის. ღამით ჩვენ თავს დასვენებულად ვგრძნობთ, რადგან ენერგია შიგნით კონცენტრირდება და სხეული მოდუნებულ მდგომარეობაშია, დილას კი კვლავ ვდგებით მხნედ. მაგრამ ზოგიერთებს ღამითაც კი არ შეუძლიათ ენერგიის შიგნით კონცენტრაცია. ენერგია სხეულშია ჩაკეტილი, მაშინაც უჭირთ დაძინება. უძილობა იმაზე მიუთითებს, რომ ენერგიას, რომელიც დაგროვდა სხეულში, არ შეუძლია დაუბრუნდეს თავის საწყის წყაროს. ამ მედიტაციის პირველ ეტაპზე საჭიროა სხეულიდან ენერგიის მთლიანად გამოყვანა.

მაგრამ საინტერესოა ის, რომ როცა თქვენ ამ პროცესს გრძნობთ, ენერგია ბრუნდება. თუ ადამიანი უმნიშვნელო დროის მონაკვეთში გრძნობს, რომ მისი ენერგია შიგნით კონცენტრირდება, მაშინ მისი სხეული დუნდება, ის აღმოაჩენს, რომ მისი სხეული უფრო და უფრო დუნდება. სხეული აღწევს იმ წერტილს, როცა ადამიანს ხელის აწევაც არ შეუძლია მაშინაც კი, როცა ამის სურვილი ექნება – ყველაფერი მოდუნებული იქნება. ამგვარად, ამ პროცესის შეგრძნებისას, შეგვიძლია ენერგია გამოვუშვათ სხეულიდან.

ამგვარად, პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ეს არის სასიცოცხლო ენერგიის დაბრუნება, პრანასთან[13], მის საწყისთან. ეს შველის სხეულს, მშვიდად იწვეს, როგორც ნაჭუჭი და შეიძლება დაკვირვება – როგორც ქოქოსის ქერქსა და ბირთვს შორის ჩნდება დაშორება, ასევე ვშორდებით ჩვენს თავს. სხეული კი ჩვენს წინ წევს, როგორც ქერქი, როგორც გახდილი ტანსაცმელი.

მეორე ნაბიჯი სუნთქვის მოდუნებაა. სუნთქვის სიღრმეში არსებობს სასიცოცხლო ენერგია – პრანა. აი, ამიტომ კვდება ადამიანი, რომ სუნთქვას წყვეტს. სუნთქვის სიღრმეში ჩვენ

[1] პრანა – სამსკრიტული სიტყვაა, რომილიც „სუნთქვას". „სიცოცხლის სუნთქვას" ან „სიცოცხლის ენერგიას" ნიშნავს. ეს ენერგია არ არის რაიმე მატერიალური ან ფიზიკური, რისი დანახვაც მეცნიერებს ან ექიმებს მეუძლიათ, მაგრამ ის აბსოლუტურად აუცილებელია სიცოცხლისათვის პრანის წყარო უზენაესია. ჩვენს სიცოცხლეში პრანა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ატმანი, ანუ სული, ან „მე". სიცოცხლე სუნთქვის განსახიერებაა და გამოვლენილი სუნთქვაა.

დაკავშირებული ვართ სხეულთან. სუნთქვა – ეს ხიდია სხეულსა და სულს შორის: აი, ასე არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ამიტომ ვეძახით პრანას სუნთქვას. როგორც კი სუნთქვა წყდება, პრანა სხეულს ტოვებს. აქ შეგვიძლია რამდენიმე ტექნიკა გამოვიყენოთ.

რა ხდება, როცა ადამიანი მთლიანად ადუნებს სუნთქვას, იგი მშვიდია და წყნარი? ნაბიჯ-ნაბიჯ სუნთქვა მიდის იმ წერტილამდე, როცა ადამიანმა არ იცის, სუნთქავს თუ არა. ხშირად ხდება ისე, რომ მას აინტერესებს, ცოცხალია თუ არა ის, სუნთქავს თუ არა. სუნთქვა ხდება იმდენად სუსტი, რომ ადამიანს არ შეუძლია გაარჩიოს, ეს ხდება თუ არა საერთოდ.

თქვენ არ გჭირდებათ სუნთქვის კონტროლი. თუ თქვენ ამის გაკეთებას შეეცდებით, მაშინ ვერასდროს გააკონტროლებთ მას: ის შეეცდება გარეთ გამოღწევას, თუ თქვენ დაიწყებთ კონტროლს გარედან, ის ეცდება შიგნით შევიდეს. ამიტომ გეუბნებით: თქვენ არ გინდათ რაიმეს გაკეთება თავად, უბრალოდ, მიეცით სუნთქვას საშუალება, იყოს უფრო და უფრო მოდუნებული, უფრო და უფრო მშვიდი. რამდენიმე ხნის მერე, რაღაც წერტილში, სუნთქვა ბოლოს და ბოლოს გახდება მშვიდი. მაშინაც კი, თუკი ის დამშვიდდება ერთი წამით, ამ წამს შეიძლება დაინახოთ, რომ სხეული და სული დაშორებულები არიან. ზუსტად ამ წამს, შეგიძლიათ დაინახოთ ეს დაშორება. ეს გაელვებას ჰგავს და მე ამ მომენტში შემეძლება ყველაფერი დავინახო თქვენს სახეზე. ამის შემდეგ ელვას შეუძლია გაქრეს, მაგრამ მე მაინც შევძელი მათი დანახვა.

როცა სუნთქვა ერთი წუთით ჩერდება, ზუსტად ამ დროს, ელვა თქვენს არსებას შიდნიდან დაარტყამს და ნათელი გახდება, რომ სხეული არსებობს თქვენგან ცალკე და თქვენ მისგან ცალკე. მაშინ მოდის სიკვდილი. ამგვარად, მეორე ეტაპზე საჭიროა თქვენ სუნთქვა მოადუნოთ.

მესამე ეტაპზე საჭიროა გონების მოდუნება. მაშინაც კი, თუ სუნთქვას მოადუნებთ და გონება არ იქნება მოდუნებული, ელვა, რა თქმა უნდა, დაგარტყამთ, მაგრამ თქვენ ვერ შეძლებთ გაიგოთ, რა მოხდა, რადგან გონება თავისი აზრებით იქნება დაკავებული. ახლა რომ ელვას დაერტყა და მე

ვიქნებოდი ჩემს ფიქრებში ჩაძირული, მე ამის შესახებ გავიგებდი მას შემდეგ, როცა მოხდებოდა. იმ მომენტში ელვა გაიელვებდა, მაგრამ მე ჩემს ფიქრებში ვიქნებოდი ჩაძირული. ელვა მაინც დაარტყამს, თუკი სუნთქვას აჩერებ, მაგრამ ამას შეამჩნევთ, როცა აზრები გაჩერდება; სხვა შემთხვევაში მას ვერ შეამჩნევთ და ამ შესაძლებლობას ხელიდან გაუშვებთ. შესაბამისად, მესამე, რაც საჭიროა გაკეთდეს, ეს არის გონების მოდუნება.

ჩვენ გავივლით ამ სამ სტადიას, მერე კი მეოთხე სტადიაზე, უბრალოდ ჩუმად დავჯდებით. თქვენ შეგიძლიათ, დაწვეთ ან დაჯდეთ – როგორც უფრო მოგწონთ. უკეთესი იქნება, რომ დაწვეთ: ეს ხომ ასეთი მშვენიერი სანაპიროა, ეს შეიძლება კარგად გამოვიყენოთ. თქვენ უნდა დაწვეთ ერთმანეთისგან რაღაც დაშორებით. შეგიძლიათ მედიტაცია დამჯდარმაც ჩაატაროთ, მაგრამ არ ღირს საკუთარი თავის გაკონტროლება. თუ თქვენი სხეული იწყებს ვარდნას, რადგან სხეულს შეუძლია დაეცეს, მაშინ სხეული მთლიანად მოდუნებულია. თუ თქვენ მის კონტროლს დაიწყებთ, მაშინ სხეული ვერ შეძლებს მთლიანად მოდუნებას.

ჩვენ შევასრულებთ ამ სამ ეტაპს, მერე კი, მეოთხე ეტაპისას, ათი წუთის განმავლობაში დავდუმდებით. ამ სამი დღის განმავლობაში, დუმილის დროს, თქვენ ძალა უნდა მოიკრიბოთ, რომ სიკვდილი დაინახოთ, მისცეთ მას მოსვლის ნება. მე თქვენ რჩევებს მოგცემთ, როგორ მოადუნოთ სხეული, მოადუნოთ სუნთქვა, მოადუნოთ გონება, ამის შემდეგ გავჩუმდები, სინათლე გამორთული იქნება, თქვენ იწვებით სიჩუმეში ათი წუთის განმავლობაში. თქვენ მშვიდები დარჩებით, იქნებით დადუმებულები, დააკვირდებით ამ ყველაფერს, რა ხდება თქვენს შიგნით.

განთავსდით ერთმანეთისგან მოშორებით, იმ შემთხვევისთვის, რომ თუკი სხეული დაეცემა, არავის დაეცეს. მას, ვისაც სურს დაწოლა, ისინიც ერთმანეთის მოშორებით დაწვნენ. კარგი იქნება, თუ სილაში დაწვებით ჩუმად... არავინ უნდა ილაპარაკოს. არავინ უნდა წავიდეს მედიტაციის შუაში.

დიახ, დაბრძანდით... დაბრძანდით იმავე ადგილას, სადაც ამჯერად ხართ ანდა დაწექით... დახუჭეთ თვალები... დახუჭეთ

თვალები და სხეული მოადუნეთ. გაუშვით ის. როცა დაგმოძღვრავთ, იგრძენით ჩემთან ერთად. იმ დროს, როცა თქვენ ამას იგრძნობთ, თქვენი სხეული უფრო და უფრო მოდუნებული, ის დაწოლილი იქნება მთლიანად მოდუნებული, თითქოს მასში სიცოცხლე დამთავრდა.

დაიწყეთ შეგრძნებები. სხეული დუნდება... გააგრძელეთ მისი მოდუნება... გააგრძელეთ თქვენი სხეულის მოდუნება და იგრძენით, როგორ მოდუნდა ის. სხეული დუნდება... იგრძენით ეს... მოადუნეთ თქვენი სხეულის ყველა ნაწილი. შეიგრძენის ის შიგნით... სხეული დუნდება. თქვენი ენერგია ბრუნდება შიგნით... ენერგია თქვენს სხეულს ტოვებს, ის უკან ბრუნდება... ენერგია მიდის. სხეული დუნდება... სხეული დუნდება... სხეული დუნდება... სხეული დუნდება... მთლიანად გაუშვით, თითქოს ცოცხალი აღარ ხართ... დაე, სხეული ადგილზე დაეცეს. არ დააკავოთ ის... სხეულმა მოდუნება დაიწყო... გაუშვით ის... გაუშვით ის...

სხეული მოდუნდა. სხეული მთლიანად მოდუნდა, თითქოს მასში სიცოცხლე დასრულდა. სხეულის მთლიანმა ენერგიამ მიაღწია ცენტრს... სხეული მოდუნდა... სხეული მოდუნდა... სხეული მოდუნდა... სხეული მოდუნდა... სხეული მოდუნდა... გაუშვით ის, მთლიანად გაუშვით ისე, თითქოს, სხეული აღარ არსებობს.

ჩვენ შიგნით აღმოვჩნდით... სხეული მოდუნდა... სხეული მოდუნდა... სხეული მოდუნდა... სუნთქვა მშვიდდება. ასევე მოადუნეთ თქვენი სუნთქვა... მთლიანად მოადუნეთ. დაე, თავისთავად მოვიდეს და წავიდეს. გაუშვით ის. არ გინდათ მისი შეჩერება ან შენელება, უბრალოდ, მიეცით მას ნება, იყოს მოდუნებული. დაე, ჩასუნთქვა იყოს ბუნებრივი. დაე, ამოსუნთქვა იყოს ბუნებრივი... სუნთქვა დუნდება... სუნთქვა მშვიდდება.

შეიგრძენით ეს ამგვარად: სუნთქვა მშვიდდება... სუნთქვა მშვიდდება და დუნდება... სუნთქვა დუნდება... სუნთქვა მშვიდდება... სუნთქვა დამშვიდდა... სუნთქვა დამშვიდდა... სუნთქვა დამშვიდდა... ეხლა კი მოადუნეთ გონება და იგრძენით, როგორ მშვიდდებიან აზრები... აზრები მშვიდდებიან.. გონება დამშვიდდა... გონება დამშვიდდა.

თავი მეორე

სიცოცხლე – სიზმარია

გუშინდელი ლექციის შესახებ რამდენიმე კითხვა იყო.

შეიძლება სიკვდილი სრულიად ცნობიერ მდგომარეობაში, მაგრამ როგორ უნდა იყო დაბადებისას ცნობიერ მდგომარეობაში?

სინამდვილეში, სიკვდილი და სიცოცხლე – ეს არ არის ორი განხვავებული მოვლენა, ისინი ერთი და იმავე მოვლენის ორი საპირისპირო მხარეა მონეტის ორი მხარის მსგავსად. თუ ადამიანი მონეტას ერთი მხრიდან აიღებს, მეორე მხარე მის ხელში ავტომატურად აღმოჩნდება. შეუძლებელია მონეტის მხოლოდ ერთი მხარის დაჭერა, და ამასთან, გიკვირდეს, როგორ უნდა მოძებნო მეორე მხარე: მეორე მხარე ავტომატურად ხელმისაწვდომია.

სიკვდილი და დაბადება – ეს ერთი და იმავე მოვლენის, ორი მხარეა. თუ სიკვდილი ხდება ცნობიერ მდგომარეობაში, მაშინ დაბადებაც უეჭველი ცნობიერ მდგომარეობაში ხდება. თუ სიკვდილი არაცნობიერ მდგომარეობაში ხდება, მაშინ დაბადებაც არაცნობიერ მდგომარეობაში ხდება. თუ ადამიანი სიკვდილის მომენტში სრულიად ცნობიერ მდგომარეობაშია, მაშინ ის სრულიად ცნობიერებითაა აღსავსე შემდეგი დაბადებისას.

რამდენადაც ჩვენ ყველა არაცნობიერ მდგომარეობაში ვკვდებით და ვიბადებით, არაფერი გვახსოვს ჩვენი წინა ცხოვრებიდან. მიუხედავად ამისა, ჩვენი წინა ცხოვრებიდან მაინც არსებობს მოგონებები, რომლებიც დამალულია ჩვენს აზროვნებაში, და თუ ჩვენ ეს გვინდა, შესაძლებელია მათი გაცოცხლება.

დაბადებულებს არაფერი შეგვიძლია გავაკეთოთ; რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ყველაფერი სიკვდილთან არის დაკავშირებული სიკვდილის შემდეგად ვერაფერს გააკეთებ; რაც ჩვენ

უნდა გავაკეთოთ, ეს შეიძლება გავაკეთოთ მხოლოდ სიკვდილამდე. ადამიანს, რომელიც კვდება არაცნობიერ მდგომარეობაში, არაფრის გაკეთება არ შეუძლია, ვიდრე თავიდან არ დაიბადება, მას არ აქვს ასეთი შესაძლებლობა, ის ასევე დარჩება არაცნობიერ მდგომარეობაში. ამიტომ, თუ თქვენ წინა ცხოვრებაში გარდაიცვალეთ უგონო მდგომარეობაში, მაშინ დაიბადებით უგონი მდგომარეობაში. ყველაფერი, რაც კეთდება, უნდა გაკეთდეს სიკვდილის მოსვლამდე, რადგან უამრავი შესაძლებლობა გვაქვს სიკვდილამდე, შესაძლებლობა მთელი ცხოვრების გავლის. მაშინ თქვენ გეძლევათ ასეთი შესაძლებლობა, თქვენ შეგიძლიათ ეცადოთ გამოღვიძებას. ამიტომ დიდი შეცდომა იქნება, რომ ადამიანი სიკვდილს ელოდოს გამოღვიძებისთვის. თქვენ ვერ შეძლებთ გამოღვიძებას სიკვდილის მომენტში. სადხანა[1], ანდა გაღვიძებისკენ გზა, უნდა დაიწყოს სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე, ამისთვის საჭიროა მომზადება. თუმცა, გარკვეულწილად, ამგვარი არაცნობიერი მდგომარეობა თქვენთვის შეიძლება სასიკეთო აღმოჩნდეს, თუ თქვენ არ ხართ მზად იმისთვის, რომ თავიდან დაიბადოთ ცნობიერ მდგომარეობაში.

დაახლოებით 1915 წელს მმართველ კაშის მუცლის არეში ოპერაციას უკეთებდნენ. ამგვარი ოპერაცია პირველი იყო მთელ მსოფლიოში, რადგან ანესთეზია არ გამოიყენებოდა. სამმა ბრიტანელმა ექიმმა უარი თქვა ანესთეზიის გარეშე ოპერაციის ჩატარებაზე, ისინი ამტკიცებდნენ, რომ შეუძლებელი იყო ოპერაციის დროს, რამდენიმე საათის განმავლობაში, ადამიანის გაჩერება გადაჭრილი მუცლით, თუ ის არ იქნებოდა უგონო მდგომარეობაში. ეს სახიფათო იყო. საფრთხე იყო, რომ პაციენტს შეიძლებოდა ეყვირა, განძრეულიყო, გადმომხტარიყო, დაცემულიყო გაუსაძლისი ტკივილების გამო, ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. ექიმები ამისთვის მზად არ იყვნენ.

მაგრამ მმართველი ამტკიცებდა, რომ ნერვიულობის საბაბი არ იყო, ვიდრე ის მედიტაციაში იქნებოდა. მან თქვა.

[1] სადხანა – ინდუიზმში და ბუდიზმში უწოდებენ სულიერ პრაქტიკას და ხანდახან შეიძლება გადაითარგმნის ასეც: „რაიმეს მისაღწევი შესაძლებლონა“. სადხანა მისდევს სულიერი მიღწევებს და რიტუალურ ჯაჭვებს. სულიერი განწმენდისა და სულიერი ცხოვრების პროგრესისთვის

რომ იოლად შეეძლო გაჩერება მედიტაციურ მდგომარეობაში ორი საათი მაინც. მას არ სურდა ტკივილგამაყუჩებლის მიღება, მან თქვა, რომ ოპერაციის გაკეთება ცნობიერ მდგომარეობაში სურდა. მაგრამ ექიმები თავიდან უარს ამბობდნენ – ისინი ვარაუდობდნენ, რომ ეს სახიფათო იყო, ადამიანს გაეძლო ამ ტკივილისთვის ცნობიერ მდგომარეობაში. თუმცა, სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახეს, ექიმებმა მას სთხოვეს თავიდან, ექსპერიმენტის სახით, მედიტაციაში შესულიყო. ხელზე გაუკეთეს ჭრილობა – ის, არც კი განძრეულა. მხოლოდ ორი საათის შემდეგ დაიჩივლა ხელში ტკივილზე, ამ ორი საათის განმავლობაში ვერაფერს გრძნობდა. ამის შემდეგ, ოპერაცია ჩაატარეს.

ეს იყო მსოფლიოში პირველი ოპერაცია, რომლის დროსაც ექიმები პაციენტის ღია მუცლის ღრუში რამდენიმე საათის განმავლობაში ანესთეზიის გარეშე მუშაობდნენ. მმართველი კი ოპერაციის მსვლელობისას სრულიად ცნობიერ მდგომარეობაში რჩებოდა. ცნობიერ მდგომარეობაში დარჩენისთვის საჭიროა ღრმა მედიტაცია. მედიტაცია იმდენად ღრმა უნდა იყოს, რომ ადამიანმა მთლიანად გააცნობიეროს, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, რომ მე და სხეული გაყოფილი ვართო. საკუთარ თავში მცირედი ყოყმანიც კი სხეულისთვის შეიძლება საშიში იყოს.

სიკვდილი – ეს ყველაზე დიდი ქირურგიული ოპერაციაა, რომელიც შეიძლება საერთოდ არსებობდეს. ექიმებს არასდროს ჩაუტარებიათ ასეთი დიდი ოპერაცია, რადგან სიკვდილის წამი ისეთი მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მთელი სასიცოცხლო ენერგიის გადატანა პრანაში[1], ერთი ფიზიკური სხეულიდან მეორეში. არავის არასდროს და ვერც ვერასდროს შეძლებს ამგვარი გრანდიოზული ოპერაციის ჩატარებას. ჩვენ შეგვიძლია წავართვათ ანდა გადავუნერგოთ სხეულის ესა თუ ის ნაწილი, მაგრამ სიკვდილის შემდეგ სასი-

[1] პრანა – „სუნთქვას", „სიცოცხლის სუნთქვას" ან „სიცოცხლის ენერგიას" ნიშნავს. ეს ენერგია არ არის რაიმე მატერიალური ან ფიზიკური, რისი დანახვაც მეცნიერებს ან ექიმებს შეუძლიათ, მაგრამ ის აბსოლუტურად აუცილებელია სიცოცხლისათვის. პრანის წყარო უზენაესია ჩვენს სიცოცხლეში პრანა ასეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ატმანი, ანუ სული. ან "მე". სიცოცხლე სუნთქვის განსახიერებაა და გამოვლენილი სუნთქვაა

ცოცხლო ენერგიის წაღება ერთი სხეულიდან მეორე სხეულში სასურველი იქნება.

ბუნებამ სიამოვნებით იზრუნა იმაზე, რომ ჩვენ სრულიად არაცნობიერ მდგომარეობაში ვყოფილიყავით ამ მომენტში. ჩვენდა სასიკეთოდ, ჩვენ არ შეგვიძლია ამხელა ტკივილის გადატანა. შესაძლოა, ეს არის მიზეზი იმისა, რატომაც ვვარდებით უგონო მდგომარეობაში, ეს აუტანელი ტკივილია, რომელსაც ჩვენ განვიცდით. ამიტომ ჩვენივე ინტერესებშია, ვიყოთ არაცნობიერ მდგომარეობაში; ბუნება არ გვაძლებს ნებას დავიმახსოვროთ ის, თუ როგორ მოვდივართ სიკვდილის გავლით.

ყოველი შემდეგი სიცოცხლის გავლისას ისეთივე შეცდომებს ვუშვებთ, როგორსაც წინა ცხოვრების გავლისას. რომ შეგვეძლოს იმის გახსენება, რას ვაკეთებდით წინა ცხოვრებებში, ჩვენ არ აღმოვჩნდებიოთ ისევ იმ ხვრელში და თუ ჩვენ გავიხსენებდით, რას ვაკეთებდით წარსულ ცხოვრებაში ჩვენ არ ვიქნებოდით ასეთები, როგორებიც ამჟამად ვართ. შეუძლებელია, რომ ასეთები ვყოფილიყავით, რადგან დროთა განმავლობაში ვაგროვებდით სიმდიდრეს და ყოველ ჯერზე სიკვდილი ამ სიმდიდრეს ნაცარტუტად აქცევს. ჩვენ რომ შეგვეძლოს ამის გახსენება, ისე შეშლილებივით არ გვექნებოდა ფულისკენ ლტოლვა, როგორც ადრე. ჩვენ ათასჯერ ვყოფილვართ შეყვარებული, მაგრამ კიდევ და კიდევ ეს უაზრობა აღმოჩნდება. რომ შეგვეძლოს ამის გახსენება, ჩვენი დაუძლეველი სიყვარულის სურვილი და სხვების სიყვარული ამოიწურებოდა. ათასჯერ ვიყავით ამბიციური, ეგოისტი, ვაღწევდით წარმატებებს, მაღალ თანამდებობებს, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი უაზრობა გამოდის, ყველაფერი ფერფლად იქცევა. რომ შეგვეძლოს ამის გახსენება, შესაძლებელი იქნებოდა, რომ ჩვენს თავმოყვარეობას დაკარგვოდა თავისი მტკვერი და ჩვენ არ გავხდებოდით ისეთები, როგორიც დღეს ვართ.

რამდენადაც არ გვახსოვს ჩვენი წინა ცხოვრებები, ჩვენ ვაგრძელებთ მოძრაობას ერთ წრეზე ადამიანი ვერ აცნობიერებს, რომ მანამდე მას ეს წრე მრავალჯერ აქვს გავლილი და ისევ მოუწევს გავლა, ისეთივე იმედით, როგორც მანამდე. მერე კი სიკვდილი ყველა იმედს ანგრევს და კვლავ იწყება

ადრინდელი ციკლი – ადამიანი წრეზე მოძრაობს, როგორც ციყვი ბორბალში.

ამ უბედურებისგან შეიძლება თავის დაღწევა, მაგრამ ამისთვის საჭიროა მნიშვნელოვანი ცნობიერება და მუდმივი გამოცდილება. არ შეიძლება, უბრალოდ, სიკვდილს ელოდო, იმიტომ, რომ შეუძლებელია უცებ გახდე გონიერი ამ ხანგრძლივი ოპერაციისას, როცა თქვენ ასე ძალიან ხართ ტრავმირებული. ჩვენ ნელა უნდა ჩავატაროთ ექსპერიმენტი, პაწაწინა უსიამოვნებებით, რომ ვნახოთ, რამდენად გონიერნი დავრჩებით ამ ყოველივეს გავლისას.

მაგალითად, თქვენ თავი გტკივათ. თქვენ ერთდროულად აცნობიერებთ და გრძნობთ, რომ ეს თავის ტკივილია და არა თავი გტკივათ. ამიტომ საჭიროა წაექსპერიმენტება პატარა თავის ტკივილთან და ისწავლოთ შეგრძნება, რომ „ტკივილი თავიდან მოდის, და მე ამას ვაცნობიერებ."

როცა ამერიკაში თქვენთან იყო რამი[3], ძლივს ხვდებოდით ამას. როცა მას ამერიკის პრეზიდენტი ეწვია, ისიც საფიქრალში ჩავარდა. მან ჰკითხა: „ეს რა ენაა?", რადგან რამი ლაპარაკობდა მესამე პირში. ის არ ამბობდა: „მე მშია", „მე მტკივა თავი." ის ამბობდა: „რამს ძალიან სტკივა თავი."

თავიდან ადამიანებს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ, რომ მისთვის გაეგოთ. მაგალითად, მან ერთხელ თქვა: „წუხელ ღამით რამი გაიყინა." როცა მას ჰკითხეს, ვისზე ლაპარაკობდა, მან უპასუხა, რომ ლაპარაკობდა „რამზე", როცა ჰკითხეს, „რომელ რამზე?" თავის თავზე მიუთითა და უთხრა: „ეს რამი – საწყალი ბიჭი, წუხელ ღამე გაიყინა." ჩვენ ვიცინოდით და ვკითხეთ: „როგორაა გაყინული რამი?"

ის ამბობდა: „რამი ქუჩაში მოდიოდა, ვიღაც ადამიანებმა ჩხუბი დაუწყეს". ჩვენ გულიანად გავიცინეთ და ვუთხარით: „როგორ მოგწონს ეს ჩხუბი რამ? თუ გინდა, შენი ღირსება დაიბრუნო, აუცილებლად შეხვდები შეურაცხყოფებს." როცა ადამიანებმა ჰკითხეს: „ვისზე ლაპარაკობ, რომელ რამზე?", მან თავის თავზე მიუთითა.

[3] რამ მოჰან როი (1772-1883) – „ინდური რენესანსის მამად" წოდებული, პირველი ინდოელი განმანათლებელი და ინდური ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პირველი წინამორბედი.

თქვენ ექსპერიმენტი უნდა დაიწყოთ პატარა უსიამოვნებებით. თქვენ ყოველდღიურად ეჩეხებით მათ, ისინი ყოველდღე ხდება – არა მხოლოდ უბედურება, თქვენ ექსპერიმენტში ბედნიერებაც უნდა ჩართოთ, რადგან იყო ცნობიერი, როცა ხარ ბედნიერი, უფრო რთულია, ვიდრე, როცა უბედური ხარ. სრულიად არ არის ძნელი გამოსცადო, რომ თქვენი თავი და ტკივილი, რომლითაც ის არის შეპყრობილი – ეს ორი სხვადასხვა რამაა, მაგრამ უფრო რთულია, გამოსცადო, როცა „სხეული ცალკეა, და იმით სიხარული, რომ ჯანმრთელი ვარ, ჩემგან ისიც ცალკეა. მე ესეც კი არ ვარ.“ რთულია, შეინარჩუნო ეს მანძილი, როცა ჩვენ ბედნიერები ვართ, რადგან ბედნიერების მომენტებში მოგვწონს მასთან ახლოს ყოფნა. მაშინ მწუხარების დროს, ჩვენ, ბუნებრივია, გვინდა ვიყოთ მისგან განცალკევებული, როგორც კი ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ტკივილი არსებობს ჩვენდა დამოუკიდებლად, გვინდა, რომ ასეც გაგრძელდეს, რათა ჩვენ შევძლოთ მისი მოშორება.

თქვენ უნდა წაიექსპერიმენტოთ, როგორ უნდა დარჩეთ ცნობიერნი, როცა თქვენ უბედურები ხართ და ბედნიერები. ვინც ამგვარ ექსპერიმენტებს ატარებს, ხშირად ძალით აკეთებენ ისე, რომ უბედურები იყვნენ, საკუთარი ნებით, რათა ეს გამოცდილება შეიძინონ. პრინციპში, მთელი ექსპერიმენტის საიდუმლო ამაშია: ამ ექსპერიმენტის მიზანია, საკუთარი ნებით დაექვემდებარო ტკივილს. მაგალითად, ადამიანი მარხვაზეა. მშიერი, ის ცდილობს, გაიგოს, როგორ შეიძლება შიმშილმა იმოქმედოს მის ცნობიერზე. ხშირად მარხვაზე მყოფი ადამიანი ვერც კი ხვდება, რას აკეთებს: მან მხოლოდ ის იცის, რომ მშიერია და მეორე დღეს სადილს ელის.

მარხვის მთავარი მიზანი – ეს გამოცდაა, რომ „მე მშიერი ვარ, მაგრამ შიმშილი ჩემგან შორსაა. სხეული შიმშილობს, მაგრამ „მე“ არ ვარ მშიერი“. ამიტომ, როცა ადამიანი შეგნებულად იწყებს შიმშილს, ის ცდილობს გაიგოს, საკუთარ თავში ჩაიხედოს, არის თუ არა იქ შიმშილი. რამი მშიერია, „მე“ კი არ ვარ მშიერი. მე ვიცი, რომ შიმშილი აქ არის, მე მის შეგრძნებას განვაგრძობ მანამდე, ვიდრე არ მივაღწევ იმ წერტილს, ვიდრე ჩემსა და ჩემს შიმშილს შორის არ გაიზრდება მანძილი, სადაც „მე“ არ ვიქნები მშიერი, მაშინაც კი როცა ვშიმშილობ, „მე“

აღარ არის მშიერი. მაშინ სხეული რჩება მშიერი და „მე“ ვიცი ამის შესახებ. მე, უბრალოდ, ვიცი ეს. მარხვის მნიშვნელობა მაშინ არის ძალიან ღრმა, როცა ის არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მშიერი რჩები.

როგორც წესი, მარხვაზე მყოფი ადამიანი მთელი დღე ამბობს, რომ ის მშიერია, რომ მან ამ დღეს არაფერი შეჭამა. მისი ტვინი აგრძელებს ფანტაზიორობას საჭმელზე, რომელსაც ის მეორე დღეს შეჭამს და მის მიმართ თავის გეგმებს აწყობს. ამგვარ მარხვას აზრი არ აქვს. მაშინ ეს მხოლოდ საჭმლისგან თავშეკავებაა. განსხვავება თავშეკავებასა და მარხვას შორის უპვაშაა,[4] ასეთია: მარხვა ნიშნავს უფრო და უფრო ახლოს დასახლებას... დასახლებას რასთან? ეს ნიშნავს უფრო ახლოს დასახლებას შენს საკუთარ შინაგან „მე“-სთან, ამასთან დისტანცია დაიცვა შენსა და შენს სხეულს შორის.

ტერმინი უპვაშა, არ მოიაზრებს იმას, რომ ადამიანმა საჭმლის გარეშე უნდა იცხოვროს. უპვაშა ნიშნავს დასახლდე უფრო ახლოს და ახლოს. რასთან ახლოს? ის ნიშნავს ახლოს საკუთარ „მე“-სთან, დასახლდე სულ უფრო ახლოს შენს შინაგან „მე“-სთან, ამასთან დაშორდე საკუთარ სხეულს. მერე კი შესაძლებელი ხდება, როცა ადამიანი შეჭამს, ის მაინც მარხვის მდგომარეობაში დარჩეს. თუ ჭამის პროცესში მან იცის თავისი შინაგანი, რომ საჭმლის მიღების პროცესი ხდება სადღაც გარეთ და ცნობიერი საერთოდ გამოყოფილია მისი მოქმედებებისგან, მაშინ ეს უპშავაა. ასევე შესაძლებელია, რომ ადამიანი მაშინაც არ მარხულობს, როცა უარს ამბობს საჭმელზე, რადგან ის ძალიან კონცენტრირდება იმაზე, რომ მშიერია, რომ ის შიმშილით კვდება. უპშავა – ეს არის ფსიქოლოგიურ დონეზე იმის გაცნობიერება, რომ „მე“ და შიმშილის ფიზიკური მდგომარეობა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობენ.

საკუთარი ნებით, ამგვარად ტკივილიც შეიძლება გამოიწვიო, მაგრამ რომ გამოიწვიო ასეთი ტკივილი კეთილი ნებით, საჭიროა ძალიან სერიოზული ექსპერიმენტის ჩატარება. ადამიანი შეიძლება იწვეს ეკლებზე უბრალოდ იმიტომ, რომ შეიგრძნოს, ეკლები მის ტანს როგორ ჩხვლეტენ და არა მის „მე“-ს. შესაბამისად, უბედურება შეიძლება გადაიტანო იმი-

[4] უპვაშა – დასახლდე უფრო ახლოს შენ შინაგან „მეს“-თან

ტომ, რომ შეიგრძნო განსხვავება გონებისმიერსა და ფიზიკურ ყოფიერებას შორის.

მაგრამ სამყაროში უკვე არსებობს საკმარისი დაუგეგმავი უბედურებები და არ არის საჭირო უფრო მეტი გამოვიწვიოთ. შეგვიძლია ჩვენს თვალწინ დავინახოთ უბედურების საკმარისი მაგალითები და შეგვიძლია ექსპერიმენტები დავიწყოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, უბედურება უეცრად მოდის. თუ გამოცდის ამგვარ უეცარ უბედურებას, ადამიანს შეუძლია შეინახოს ცნობიერებაში, რომ „მე ჩემი უბედურებისგან ვარსებობ ცალკე", მაშინ უბედურება ხდება სადხანა[5], სულიერი დისციპლინა.

კარგი იქნება, სადხანა შევასრულოთ იმ ბედნიერების დროსაც, რომელიც თავისთავად მოვიდა. როცა ჩვენ ვიტანჯებით, შესაძლებელია, თავს ვიტყუებთ, რადგან ჩვენ გვინდა გვჯეროდეს, რომ „მე – არ ვარ ტკივილი". მაგრამ როცა სხეული ბედნიერებას აღწევს, ადამიანს სურს მასთან იდენტიფიცირება მოახდინოს, რადგან მას უკვე სჯერა, რომ „მე ბედნიერი ვარ". ამიტომ სადხანა, რომელიც სრულდება ბედნიერების დროს, უფრო რთულია.

სინამდვილეში არაფერია იმაზე მტანჯველი, ვიდრე იმის შეგრძნება, რომ ჩვენი ბედნიერებისგან გამოყოფილი ვართ. სინამდვილეში, ადამიანს უნდა მთლიანად ჩაიძიროს ბედნიერებაში და დაივიწყოს, რომ მისგან გამოყოფილია. ბედნიერება გვახრჩობს; უბედურება ხლეჩს ჩვენს კავშირს და გვყოფს ჩვენი შინაგანი „მე"-სგან. ასეა თუ ისე, ჩვენ ვიწყებთ დაჯერებას, რომ ჩვენ იდენტიფიცერებას ვახდენთ ტანჯვასთან მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვაქვს არჩევანი, მაგრამ მთელი გულით მივესალმებით ბედნიერებას.

დარჩით ცნობიერნი ტკივილის დროს, როცა ის თქვენთან მოდის. დარჩით ცნობიერნი ბედნიერების დროს, როცა ის თქვენთან მოდის და დროდადრო, ექსპერიმენტის სახით, დარჩით ცნობიერნი ტკივილის დროს, რომელიც საკუთარი ნებით გამოიწვიეთ, რამდენადაც, როცა ამგვარ ტკივილს განიცდით, ყველაფერი სხვაგვარად გეჩვენება. ვერასდროს გავაკეთებთ ჩვენს სრულ იდენტიფიცირებას იმით, რასაც ჩვენ საკუთა-

[5] სადხანა – ინდუიზმში და ბუდიზმში უწოდებენ სულიერ პრაქტიკას ასევე უწოდებენ „რაიმეს მიღწევის საშუალება"

რი ნებით ვიწვევთ. თავად იმის ცოდნა, რომ ეს ხელოვნურად გამოწვეული გრძნობაა, მანძილს ქმნის. სტუმარი, რომელიც თქვენს სახლს ეწვევა, არ ეკუთვნის მას – ის სტუმარია. ამგვარად, როცა ჩვენ ვეძახით ტანჯვას სტუმრის რანგში, ის უკვე თავისთავად რაღაც განსაკუთრებულს წარმოადგენს.

როცა თქვენ ფეხშიშველა მიდიხართ და ქუსლში ეკალი გერჭობათ, ეს უბედური შემთხვევაა და თქვენ ტკივილი გავსებთ. ეს წარუმატებლობა განსხვავებულია იმ სიტუაციისგან, როცა თქვენ სპეციალურად იღებთ ეკალს და ფეხში შეირჭობთ, დროის ყოველ მომენტში გააცნობიერებთ, რომ თქვენ ეკალს ფეხში ირჭობთ, დააკვირდებით ტკივილს. არ გთხოვთ ამის გაკეთებას და თქვენს ტანჯვას. ამის გარეშეც საკმარისია ტანჯვა. იმას ვგულისხმობ, რომ, პირველ რიგში, თქვენ ფხიზლად უნდა იყოთ, როცა გადიხართ ბედნიერებისა და უბედურების გამოცდილებას, როცა რაღაც დროის გასვლის შემდეგ, თავს წარმოიდგენთ ტანჯულად და დააკვირდებით, რამდენად შორს იქნება თქვენი ცნობიერი.

გახსოვდეთ, ექსპერიმენტს, რომლის დროსაც თქვენ თავს სპეციალურად უბედურებას ახვევთ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ყველას უნდა, ბედნიერებას უხმოს, მაგრამ არავის სურს უბედურების გამოწვევა. საინტერესოა, რომ უბედურება, რომელსაც გავურბივართ, თავისთავად მოდის, ბედნიერება კი, რომელსაც ვეძებთ, არასდროს მოდის. მაშინაც კი, როცა ის შემთხვევით მოდის, ის კარს გარეთ რჩება. ბედნიერება, რომელსაც ვუხმობთ, არასდროს მოდის, იმ დროს, როცა ბედნიერება, რომელსაც არასდროს ვეძახით, მოდის დაუკითხავად. როცა ადამიანი საკმარისად გულადი გახდება, რომ უბედურებას მოუხმოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის იმდენად ბედნიერია, რომ შეუძლია ტანჯვას მოუხმოს. ის იმდენად ავსებულია ღვთაებრიობით, რომ მისთვის არ არის რთული, ტანჯვას მოუხმოს. ახლა შეიძლება სტუმრად უბედურება მოვიპატიჟოთ.

მაგრამ ეს ძალიან სერიოზული ექსპერიმენტია. ჯერ ჩვენ არ ვართ მზად, ამგვარი ექსპერიმენტის ჩატარებისთვის, ჩვენ უნდა ვეცადოთ გავაცნობიეროთ ნებისმიერი ტანჯვა, რომელიც თავისთავად გვეწვევა-ხოლმე. ჩვენ თუ ყოველ ჯერზე

უფრო და უფრო გაცნობიერებულნი ვხდებით, მაშინ უბედურებას ვეჯახებით, ჩვენ შეგვიძლია ცნობიერად დავრჩეთ მაშინაც კი, როცა სიკვდილი მოვა. მაშინ ბუნება ნებას დაგვრთავს სიკვდილის მომენტში ნათელ გონებაზე ვიყოთ. ბუნება გამოიტანს დასკვნას, რომ თუ ადამიანს შეუძლია დარჩეს ცნობიერად ტკივილისას, მას შეუძლია დარჩეს ცნობიერად სიკვდილის დროსაც. არავის შეუძლია სიკვდილის დროს ცნობიერი დარჩეს შემთხვევით, თუ მას არ აქვს გამოცდილება.

გურჯიევის მოწაფე პ.დ. უსპენსკი რამდენიმე წლის წინ მოკვდა. ის დიადი მათემატიკოსი იყო რუსეთიდან. ის ერთადერთი ადამიანი იყო ამ ასწლეულში, რომელმაც სიკვდილთან მიმართებით ამგვარი ექსპერიმენტები ჩაატარა. სიკვდილამდე სამი თვის წინ სერიოზულად ავად გახდა. ექიმები საწოლში წოლას ურჩევდნენ, ამის მიუხედავად, მან წარმოუდგენელი ნაბიჯი გადადგა, რომლის წარმოდგენაც რთულია. მას არ ეძინა ღამით, მოგზაურობდა, დადიოდა ფეხით, დარბოდა, მუდმივად მოძრაობდა. ექიმები ამის წინააღმდეგი იყვნენ. მათ განაცხადეს, რომ მას სჭირდებოდა სრული სიმშვიდე. უსპენსკიმ შეიკრიბა მეგობრები, მაგრამ მათთვის არაფერი უთქვამს.

მეგობრებმა, რომლებიც მასთან რჩებოდნენ, მის სიკვდილამდე სამი თვის განმავლობაში, თქვეს, რომ მათ საკუთარი თვალით პირველად ნახეს ადამიანი, რომელიც ცნობიერ მდგომარეობაში კვდებოდა. მას ჰკითხეს, რატომ არ დაუჯერა ექიმის რჩევებს. უსპენსკიმ უპასუხა: „მინდა ყველა სახის ტკივილი გამოვცადო, რათა სიკვდილის ტკივილი არ იყოს იმდენად დიდი, რომ უგონოდ ვიყო. სიკვდილამდე მინდა ყველა სახის ტკივილი გადავიტანო. ეს შეიძლება ისე ასატანი გახდეს, რომ შევძლო სრულიად ცნობიერი დავრჩე, როცა სიკვდილი მოვა.“ ამიტომ სამი თვის განმავლობაში ატარებდა ცდებს, რომელიც სხვადასხვა ტკივილისგან მოდიოდა.

მისმა მეგობრებმა მოგვიანებით დაწერეს, ჯანმრთელი და ამტანი ადამიანები შეიძლებოდა დაღლილიყვნენ, მაგრამ არა უსპენსკი. ექიმები ირწმუნებოდნენ, რომ ის უნდა ყოფილიყო სრულ სიმშვიდეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ძლიერ ცუდად იმოქმედებდა მასზე, მაგრამ ყველაფერი უშედეგო იყო. თავისი სიკვდილის დღეს უსპენსკი თავის ოთახში წინ და უკან

სიარულს აგრძელებდა. ექიმები, რომლებმაც ის გამოიკვლიეს, განაცხადეს, რომ მის ფეხებს აღარ შეეძლოთ სიარული – მაგრამ ის მთელი ღამე მაინც აგრძელებდა სიარულს.

მან თქვა: „მინდა მოვკვდე სეირნობისას, რომ დამჯდარი არ მოვკვდე, მაშინ უგონოდ ვიქნები, ანდა ძილში, როცა უგონოდ ვიქნები“. სეირნობისას მეგობრებს ეუბნებოდა: „კიდევ ცოტა – ათი ნაბიჯი და ყველაფერი დასრულდება. ვსუსტდები, მაგრამ გავაგრძელებ სიარულს, ვიდრე უკანასკნელ ნაბიჯს არ გადავდგამ. მინდა რაღაც ვაკეთო ბოლომდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილი უგონო მდგომარეობაში მოვა. შემიძლია, მოვდუნდე და დასაძინებლად წავიდე, მაგრამ არ მინდა, ეს მომენტი სიკვდილს დაემთხვეს.“

უსპენსკი მოკვდა, როცა ის უკანასკნელ ნაბიჯს დგამდა. დედამიწაზე ძალიან ცოტა ადამიანი გარდაცვლილა სეირნობისას. ის დაეცა სეირნობისას; ის დაეცა მხოლოდ მაშინ, როცა სიკვდილი დადგა. უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმისას თქვა: „აი, მორჩა, ეს ჩემი უკანასკნელი ნაბიჯია. ახლა თითქმის ვეცემი, მაგრამ ვიდრე ამ ქვეყანას დავტოვებ, მინდა გითხრათ, რომ ჩემი სხეული დიდი ხანია დაეცა. თქვენ მალე დაინახავთ, როგორ დავტოვებ ჩემს სხეულს, უკვე დიდი ხანია ვაკვირდები, რომ სხეული წავიდა და არა მე. ყველა კავშირი სხეულთან გაწყვეტილია, მე კი ისევ ვარსებობ სადღაც შიგნით. ახლა დაეცემა მხოლოდ სხეული – მე წასვლას ვერ შევძლებ.“

მისი სიკვდილისას მეგობრებმა დაინახეს, როგორ აკიაფდა მისი თვალები რაღაც სინათლით. მათში აირეკლებოდა სამყარო, სიხარული და სითბო, რომელიც მუდმივად თან სდევს ადამიანს, რომელიც სხვა სამყაროს ზღურბლზე დგას. მაგრამ ამისთვის აუცილებელია მომზადება, მუდმივი მზადება. თუ ადამიანი სრულიად მზადაა, მაშინ სიკვდილი შესანიშნავი გამოცდილებაა. არ არსებობს ამაზე უფრო ღირებული მოვლენა, ვიდრე ის, რაც სიკვდილის მომენტში იხსნება, სხვანაირად არ შეიძლება მისი გაგება. მაშინ სიკვდილი მეგობარს ჰგავს, რამდენადაც სიკვდილის დადგომასთან ერთად შეგვიძლია გავიგოთ, რას წარმოვადგენთ, როგორც „ცოცხალი ორგანიზმი“, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უფრო ადრე.

გახსოვდეთ: რაც უფრო ბნელია ღამე, მით უფრო კაშკაშაა ვარსკვლავები. რაც უფრო ბნელია ღრუბლები, მით უფრო მე-

ტად ნათლად გამოიყოფა ელვა, როგორც ვერცხლის ხაზები. ანალოგიურად, როცა სიკვდილი თავისი მთლიანიობით გვარტყია გარს, ამ მომენტში თავად სიცოცხლის აზრი თავისი დიდებულებით წარმოჩინდება, მაგრამ არანაირად ამ მომენტამდე. სიკვდილი გარს გვახვევია, როგორც უკუნი და ცენტრი – ეს ცხოვრების აზრია – დაარქვით მას ატმანი[6], სული ანათებს მთელი თავისი დიდებულებით. გარსშემოხვეული უკუნი მას გასხივოსნებულს ხდის, მაგრამ ამ მომენტისთვის ჩვენ უგონონი ვხდებით. ზუსტად სიკვდილის მომენტში, რომელიც შეიძლება ყოფილიყო საკუთარი თავის შეცნობის მომენტი, ჩვენ უგონონი ვხდებით. ამიტომ საჭიროა მომზადება, რომ ცნობიერის ზრდა ვისწავლოთ. ამგვარ მომზადებას მედიტაცია წარმოადგენს.

მედიტაცია – ეს ექსპერიმენტია, თუ როგორ უნდა მიაღწიო ნელ, ნებაყოფილობით სიკვდილს. ეს ექსპერიმენტია, საკუთარ თავში მოძრაობის და სხეულის დატოვების. თუ ადამიანი მედიტირებს თავისი ცხოვრების განმავლობაში, მაშინ სიკვდილის მომენტში ის მედიტაციის მთლიანობას მიაღწევს.

როცა სიკვდილი სრულ ცნობიერ მდგომარეობაში დგება, ადამიანის სული სრულ ცნობიერ მდგომარეობაში თავიდან იბადება. მაშინ მისი ახალი ცხოვრების პირველივე დღე არ იქნება უმეცრებაში ნაცხოვრები დღე, არამედ ცოდნით სავსე. დედის საშოშიც კი რჩება ცნობიერი. ადამიანისთვის, რომელიც სრულ ცნობიერ მდგომარეობაში კვდება, შესაძლებელია მხოლოდ კიდევ ერთი დაბადება. ამის შემდეგ, მისთვის შეუძლებელია სხვა დაბადება, რამდენადაც ის, ვინც შეიმეცნა, რა არის დაბადება, რა არის სიკვდილი და რა არის სიცოცხლე, თავისუფლებას აღწევს.

მას, ვინც იბადება ცნობიერი, ვეძახით ავატარს[7], ტირტხან-

[6] ატმანა, ატმანი (სანსკ. आत्मन् ātman „სული“) – ცნება ინდუიზმში, სული. რომლითაც განსჭვალულია ყველა სულიერი ქმნილება. ატმანი უკვდავია. იგი არსებათა სიკვდილის შემდეგ თავისი კარმის მიხედვით შემდეგ სხეულს, „გარსს“ პოულობს და ხელახლა იბადება.

[7] ავატარა – (სანსკრ. अवतार avatāra „ჩამოსვლა“) – ღვთაების ჩამოსვლა დედამიწაზე, ღმერთის გამოცხადება მოკვდავი ადამიანის ან ცხოველის სახით ინდუისტურ მითოლოგიასა და რელიგიაში. ასეთი გარდასახვა მაშინ ხდება, როდესაც კეთილს ბოროტი ემუქრება. კაცობრიობა გადაგვარების

კარას[8], ბუდას[9], იესოს[10], კრიშნას[11] და ის, რაც მათ ჩვენგან განასხვავებს, ეს არის ცნობიერება. ისინი გამოღვიძებულნი არიან, ჩვენ კი გვძინავს. ეს ცნობიერად დაბადებულების ბოლო ხანგრძლივი მოგზაურობაა დედამიწაზე. მათ აქვთ რაღაც, რაც ჩვენ არ გვაქვს, ის, რის მოტანასაც ჩვენამდე გულმოდგინედ ცდილობენ. განსხვავება ჩვენს გაღვიძებას შორის, უბრალოდ არის ის, რომ მათი უკანაკსნელი სიკვდილი და მომავალი დაბადება ცნობიერად მოხდა, ამიტომ მთელი თავისი ცხოვრება ცნობიერად ცხოვრობენ.

ტიბეტელებმა პატარა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელსაც ბარდოს[12] ეძახიან. ეს ძალიან ძვირფასი ექსპერიმენტია, რომელიც მხოლოდ სიკვდილის დროს ტარდება. როცა ვინმე ემზადება გარდაცვალებისთვის, მის გარშემო მცოდნე ადამიანები იკრიბებიან და მასთან ერთად ბარდოს ატარებენ. ბარ-

---

გზაზე დგება, სათნოება საფრთხეშია ან მორწმუნეთა დაცვაა საჭირო. ესაა ინკარნაცია, ტრანსფორმაცია, სულიერი და ხორციელი განსპეტაკების, სათნოებისა და კანონის (დჰარმას) ხსნის პროცესი, როდესაც ღმერთი ინარჩუნებს ღმერთის ძალასა და თვისებებს, მაგრამ ხდება ადამიანი ან რაიმე ცხოველის სახეს იღებს.

[8] ტირტხანკარა – ჯაინების წმინდანები, სულ 24. ამბობენ, რომ ერთ-ერთი მათგანი ბუდას სულიერი გურუ იყო. ტირტხაკარა ჯაინის სინონიმია.

[9] ბუდა – (სანსკრ. ბუდჰა, სიტყვა სიტყვით „გასხივოსნებული") – ბუდისტურ რელიგიაში არსება, რომელმაც მიაღწია უმაღლეს სიწმინდეს, ნირვანას. ბუდისტურ პანთეონში მრავალი ბუდა არსებობს, მაგრამ ამ სახელით უმეტესად მოიხსენიებენ ჩრდილოეთ ინდოეთში, თანამედროვე ნეპალის სამხრეთ საზღვარზე მცხოვრები შაკიების ტომის ბელადის ძეს სიდჰართა გაუტამას.

[10] იესო ქრისტე, იესო ნაზარეველი (ბერძ. Ἰησους, ებრ. ישוע [იეჰოშუა] <იჰვჰ – „გადარჩენა", ბერძ. Χριστός [მირონცხებული] იგივე „მესია" ებრაულად; დ. 7 იანვარი/25 დეკემბერი, ძვ.წ.1,ბეთლემი – გ.33, იერუსალიმი) – ქრისტიანული ეკლესიის თავი და დამფუძნებელი. ქრისტიანობა მსოფლიო რელიგიაა, ისლამის და ბუდიზმის გვერდით, მის მიმდევრად 2 100 000 000-ზე მეტია დამიანია.

[11] კრიშნა (სანსკრ. कृष्ण kṛṣṇa „შავი") – ინდუისტური ღვთაება ვიშნუს მერვე ავატარა (განასახიერება). თავის მორწმუნეთათვის იგი ღმერთის უზენაეს ფორმას წარმოადგენს. კრიშნას ცხოვრება აღწერილია უძველეს ხანაში სანსკრიტზე შექმნილ ბჰაგავატაპურანაში, ხოლო მის მოძღვრებას შეიცავს ინდური ეპოსის მაჰაბჰარატას მეექვსე თავი, რომელიც ცნობილია, როგორც ბჰაგავადგიტა. ინდურ მითოლოგიაში კრიშნა გვევლინება ლამაზ ჭაბუკად.

[12] ბარდო, (ტიბ.ཨཱ་ཁྲ), ასევე ანტარაბხამა (अन्तराभाव antarabhāva) – შუალედური მდგომარეობა, სიტყვასიტყვით „ორს შორის"

დოს ჩატარება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც თავისი ცხოვრების განმავლობაში მედიტირებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ შეიძლება. ბარდოს ექსპერიმენტირების დროს, როგორც კი ადამიანი კვდება, მას აძლევენ ინსტრუქციას, როგორ დარჩეს ცნობიერი. მას ეუბნებიან, რომ უნდა დააკვირდეს ყველაფერს, რაც ხდება მის გარშემო, რადგან ხშირად ამ მდგომარეობაში ისეთი რაღაცეები ხდება, რომლის გაგებაც მომაკვდავ ადამიანს არ შეუძლია. არც ისე ადვილია, ახალ მოვლენებს მაშინვე გაჰყვე.

თუ ადამიანს შეუძლია დარჩეს ცნობიერად სიკვდილის შემდეგ, მაშინ რაღაც დროის განმავლობაში, მას არ შეუძლია იცოდეს, რომ ის მკვდარია. როცა ადამიანები წაიღებენ მის მკვდარ სხეულს და მოედანზე დაწვავენ კრემაციისთვის - შეიძლება მხოლოდ მაშინ შეძლოს იმის გაგება, რომ მკვდარია იმიტომ, რომ სინამდვილეში შიგნით არაფერი კვდება, უბრალოდ, მანძილი იქმნება. ადამიანი ცხოვრების განმავლობაში არ გრძნობდა ამგვარ მანძილს. ეს შეგრძნება რაღაც იმდენად ახალია, რომ შეუძლებელია მიაღწიო ტრადიციული გაგებით ადამიანი უბრალოდ გრძნობს, რომ რაღაც გამოეყო მას, მაგრამ რაღაც გარდაიცვალა და ამას მხოლოდ მაშინ ხვდება, როცა ადამიანები მის გარშემო ტირიან, მწუხარებით ეცემიან მის ფეხებთან, ემზადებიან, სხეული კრემაციაზე წაიღონ.

არის მიზეზი, რატომაც სხეული კრემაციაზე ასე სწრაფად მიაქვთ. მიზეზი იმისა, რისთვისაც ასე სწრაფად მიაქვთ სხეული კრემაციაზე, ისაა, რომ დაარწმუნონ სული, რომ სხეული მკვდარია, რომ ის დაიწვა და ფერფლად გადაიქცა. მაგრამ ამის შესახებ ადამიანი გაიგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის ცნობიერი გარდაიცვალა; ამას ვერ მიხვდება მომაკვდავი ადამიანი, რომელიც უგონო მდგომარეობაშია. ამისათვის, რომ ადამიანმა დაინახოს, როგორ იწვის მისი სხეული ბარდოში. მას კარნახობენ: „ყურადღებით დააკვირდი შენს ცეცხლმოკიდებულ სხეულს. არ გაიქცე და არ მოაშორო მზერა. როცა ადამიანები შენს სხეულს მიიტანენ კრემაციაზე, აუცილებლად გაყევი მათ და დაესწარი. ყურადღებით დააკვირდი, როგორ უკეთებენ კრემაციას შენს სხეულს, რომ მეორედ ფიზიკურ სხეულს აღარ შეეჩვიო.“

როგორც კი თქვენ დაინახავთ, რომ რაღაც იწვის და ფერფლად იქცევა, მასზე თქვენი მიჯაჭვულობაც ქრება. სხვები, რა თქმა უნდა, დაინახავენ როგორ დაიწვება თქვენი სხეული, მაგრამ თუ თქვენც დაინახავთ ამას, დაკარგავთ მასთან ყველანაირ მიჯაჭვულობას. ჩვეულებრივ, ათასიდან ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტ შემთხვევაში, სიკვდილის დროს ადამიანი უგონოდაა, ის სიკვდილზე ცოდნას არ ფლობს. აი, იმ ერთადერთ შემთხვევაში კი, როცა ის ცნობიერია, ის მიდის ისე, რომ არ სურს დაინახოს, მის სხეულს კრემაციას როგორ უკეთებენ, ის კრემაციის მოედნიდან ქრება. ამიტომ ბარდოს დროს, მას ეუბნებიან: „შეხედე, არ დაკარგო ასეთი შესაძლებლობა. თვალი ადევნე, როგორ უკეთებენ შენს სხეულს კრემაციას, უბრალოდ, დააკვირდი, ერთხელ და სამუდამოდ. შეხედე: ამ ხნის განმავლობაში, რასაც ავლენდი, მთლიანად ინგრევა. შეხედე, როგორ იქცევა ფერფლად, რათა შემდეგი დაბადებისას გახსოვდეს, ვინ ხარ."

როგორც კი ადამიანი კვდება, ახალ სამყაროში ხვდება, რომელზეც არაფერი იცის. ეს სამყარო შეიძლება თქვენთვის საშიში და საშინელი იყოს, რადგან ის არ ჰგავს რომელიმე ჩვენს გამოცდილებას. სინამდვილეში, ის არანაირად არ არის დაკავშირებული იმ ცხოვრებასთან, რომელიც დედამიწაზეა. ამ ახალ სამყაროში შესვლა უფრო საშიშია, ვიდრე ის, ადამიანი უცნობ ქვეყანაში რომ ხვდება და გარშემო ყველა ადამიანი უცნობია, ენა გაუგებარი და ამ ქვეყნის წესებიც გაუგებარი. გასაგებია, რომ ის ძალიან შეშფოთებული და დაბნეული იქნებოდა.

სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, ეს ფიზიკური სხეულების სამყაროა. როცა ჩვენ ვტოვებთ ამ სამყაროს, ჩვენ უსხეულო სამყაროში გადავდივართ. იმ სამყაროში არასდროს ვყოფილვართ, ის უფრო საშიშია, რადგან ჩვენ სამყაროში, იმისდა მიუხედავად, რამდენად ახალია ის ადგილი, რამდენად განსხვავებული ადამიანებიც არ უნდა ცხოვრობდნენ და რამდენადაც განსხვავებული წესები არ უნდა ჰქონდეთ, მაინც არსებობს კავშირი ჩვენს შორის: ესაა ადამიანური არსებების სამყარო. უსხეულო სულების სამყაროში გამოცდილება კი შეიძლება წარმოუდგენლად საშიში იყოს.

ჩვეულებრივ, ჩვენ მას არაცნობიერ მდგომარეობაში გავდივართ, ამიტომაც ვერ ვამჩნევთ, მაგრამ ის, ვინც მას ცნობიერ მდგომარეობაში გადის, მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდება. ამიტომ ბარდოს დროს, ცდილობენ ადამიანს აუხსნან, როგორი სახის სამყარო იქნება, რა მოხდება იქ, რა არსებებს შეეჩეხება. მხოლოდ მათ, ვინც ღრმა მედიტაციის გამოცდილებით გავიდა, ამ ექსპერიმენტში მონაწილეობა შეუძლია, სხვაგვარად არ შეიძლება.

უკანასკნელ ხანს, ხშირად ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ იმ ჩემს მეგობრებს, რომლებიც მედიტირებენ, ბარდოს ექსპერიმენტში შეუძლიათ მონაწილეობა ამა თუ იმ ფორმით. მაგრამ ეს შესაძლებელია, თუ მათ ღრმა მედიტაციის გამოცდილება გაიარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერც გაიგებენ, რას ეტყვიან მათ. ისინი ვერ გაიგებენ, რას ეტყვიან სიკვდილის მომენტში, ანდა რომ გაჰყვებიან იმას, რასაც ეტყვიან. რომ გაჰყვე, რასაც გეუბნებიან, საჭიროა ჩუმი და ცარიელი გონება. რადენადაც ცნობიერი იწყებს გაქრობას და გაშლას, რამდენადაც ყველა მიწიერი კავშირი წყდება, მხოლოდ ძალიან მშვიდ გონებას შეუძლია გაიგოს სიტყვები, რომელიც ამ ქვეყნიდან გაისმის, მხოლოდ ამ შემთხვევაში გაიგებენ.

დაიმახსოვრეთ: ეს შეიძლება მხოლოდ სიკვდილთან მიმართებით გაკეთდეს. დაბადებასთან დაკავშირებით არაფრის გაკეთება არ შეიძლება. მაგრამ რაც არ უნდა გავუკეთოთ სიკვდილს, ის ჩვენს დაბადებაზე გავლენას მოახდენს. ჩვენ ვიბადებით იმავე მდგომარეობაში, რომელშიც გარდავიცვალეთ.

გამოღვიძებულ ადამიანს აქვს უფლება, თავისი წიაღი აირჩიოს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ის არასდროს აკეთებს არჩევანს ბრმად, გაუცნობიერებლად. ის ირჩევს მშობელს იმგვარად, როგორც მდიდარი ადამიანი ირჩევს სახლს. ღარიბს არ შეუძლია სახლის არჩევა. თქვენ უნდა გქონდეთ გარკვეული შესაძლებლობები, რომ გქონდეთ არჩევანის საშუალება. ადამიანს უნდა შეეძლოს სახლის ყიდვა. ღარიბი არასდროს ირჩევს სახლს. შეიძლება ითქვას, რომ სახლი ირჩევს ღარიბს: ღარიბი სახლი ირჩევს ღარიბ ადამიანს. მილიონერს შეუძლია გადაწვიტოს, სად დასახლდეს, როგორი იქნება მისი ბაღი, სად დააყენოს კარი და ფანჯარა, სინათლე აღმოსავლეთიდან უნდა

შემოდიოდეს თუ დასავლეთიდან, როგორი უნდა იყოს ვენტილაციის სისტემა, რამხელა უნდა იყოს სახლი – ის არჩევს ყველაფერს.

გაღვიძებული ირჩევს წიაღს, ამაში გამოიხატება მისი არჩევანი. ცალკეული პიროვნებები, ისეთი, როგორიცაა მახავირა[13] ანდა ბუდა, არ იბადებიან კონკრეტულად სადმე. ისინი იღებენ ახალ დაბადებას მას შემდეგ, რაც განიხილავენ ყველა შესაძლებლობას: როგორი იქნება სხეული და რომელი მშობლისგან იქნება ჩასახული, როგორი იქნება მისი ენერგია, რამდენად ძლიერი გახდება, როგორი შესაძლებლობები ექნება. ისინი იღებენ დაბადებას მას შემდეგ, რაც ყველა ამ საკითხს გადაწყვეტენ. მათ ნათლად იციან, რისგან ირჩევენ, საით უნდა წავიდნენ. ამიტომ დაბადების პირველი დღიდან დაწყებული, ისინი ირჩევენ, როგორ იცხოვრონ.

სიხარული, რომელსაც განიცდი, როცა შენი არჩევანის მიხედვით ცხოვრობ, სრულიად სხვაა, რადგან თავისუფლება ჩნდება მაშინ, როცა ცხოვრებას შენი არჩევანით იწყებ. თქვენ არ შეგიძლიათ განიცადოთ ასეთი სიხარული, თუ თქვენ ცხოვრობთ იმ ცხოვრებით, რომელიც მოგეცათ, რადგან მერე ის მონობაში გადაიზრდება. ასეთ შემთხვევებში ადამიანს აიძულებენ თავიდან დაბადებას და მაშინ ხდება, რაც ხდება – ადამიანი ცხოვრებაში არ თამაშობს არანაირ საკუთარ როლს.

თუ ასეთი გამოღვიძება შესაძლებელია, მაშინ თქვენ აუცილებლად გააკეთებთ არჩევანს. თუკი თავად დაბადება იქნება არჩევანის შედეგი, მაშინ ჩვენ შეგვეძლება ვიცხოვროთ დანარჩენი ცხოვრება არჩევანის განხორციელებაში. მაშინ ჩვენ ვიცხოვრებთ, როგორც ჯივან-მუკტა[14]. ის, ვინც კვდება გაღვიძებულ მდგომარეობაში, გაღვიძებულ მდგომარეობაში იბადება და ცხოვრობს გათავისუფლებული.

ჩვენ ხშირად გვესმის ტერმინი ჯივან-მუკტა, თუმცა შეიძლება არ ვიცით, რას ნიშნავს ის. ჯივან-მუკტა

[13] მახავირა – (ბუდისტურ წყაროებში ცნობილია, როგორც ნუგანტხა ნამაპუმა) ჯაინიზმისა და ჯაინის ფილოსოფიის დამაარსებელი.

[14] ჯივან-მუკტა – (სანსკ. ჯივა და მუკტა.) ტერმინი ინდუიზმში, ფისოლოფიურ სკოლა ადვაიტში ნიშნავს წმინდა ადამიანს, რომელმაც მიაღწია თვითგაცნობიერების სტადიას და მთლიანად, ფიზიკურ სიკვდილამდე გათავისუფლებულია სურვილებისგან.

ნიშნავს: ის, ვინც გაღვიძებული დაიბადა, მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლია გახდეს დჟივან-მუკტა. სხვა შემთხვევაში, მთელი ცხოვრების განმავლობაში ეცდება გათავისუფლებას, თავისუფლებას კი შეიძლება შემდეგ ცხოვრებაში მიაღწიოს, ის ვერ გახდება თავისუფალი ამ ცხოვრებაში. ამ ცხოვრებაში დჟივან-მუკტა რომ გახდე, ადამიანს თავისუფალი არჩევანის საშუალება უნდა ჰქონდეს, დაბადებიდან, პირველივე დღესვე. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ადამიანმა წარსულ ცხოვრებაში ცნობიერ მდგომარეობაში გარდაცვალებას მიაღწია.

მაგრამ საკითხი ახლა ამაში არ არის. ეს ცხოვრებაა და სიკვდილმა ჯერ არაფერი განაცხადა თავის შესახებ. ის ალბათ მოვა, არაფერია უფრო კონკრეტული, ვიდრე სიკვდილი. შეიძლება ეჭვი გვეპარებოდეს სხვა რამეში, მაგრამ სიკვდილთან მიმართებით არავითარი ეჭვი არ არსებობს. არიან ადამიანები, რომლებსაც ეჭვი ეპარებათ ღმერთის არსებობაში, არიან ისეთებიც, რომელთაც ეჭვი ეპარებათ სულის არსებობაში, მაგრამ თქვენ ვერ შეხვდებით ადამიანს, რომელსაც ეჭვი ეპარება სიკვდილში. ის გარდაუვალია – ის აუცილებლად მოვა. ის გვიახლოვდება. ის ყოველ დღე, უფრო და უფრო ახლოს მოდის. ჩვენ გამოღვიძებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ის დრო, რომელიც ჩვენთვისაა ხელმისაწვდომი, ვიდრე სიკვდილი მოვა. მედიტაცია – ეს ამის მისაღწევი ტექნიკაა. ამ სამი დღის განმავლობაში, ვეცდები, დაგეხმაროთ, გაიგოთ, რომ მედიტაცია – ეს ტექნიკაა ამ გამოღვიძების.

ერთმა მეგობარმა მკითხა: როგორი კავშირია მედიტაციასა და დჟატი-სმარანს[15] შორის, წარსული ცხოვრების მოგონებებთან?

დჟატი-სმარანი ნიშნავს მეთოდს, რომლის დახმარებითაც შეიძლება წარსული ცხოვრების გახსენება. ეს არის საშუალება, გავიხსენოთ ჩვენი წარსული არსებობა. ესაა – მედიტაციის ფორმა. ესაა – მედიტაციის განსაკუთრებული მიღება. მაგალითად, ვიღაცას შეუძლია იკითხოს: „რა არის მდინარე და რა არის არხი?“ ჩვენი პასუხი იქნება, რომ არხი – არის მდინარის სპეციალური გამოყენება – კარგად შემუშავებული

[15] დჟატი-სმარანი – მეთოდი, რომლის დახმარებითაც შეიძლება წარსული ცხოვრების გახსენება.

მაგრამ კონტოლს დაქვემდებარებული და სისტემატიზებული. მდინარე ქაოსურია, მას არაფერი აკავებს; ისიც მიაღწევს რაღაც ადგილს, მაგრამ მისი საბოლოო დანიშნულება უცნობია. არხის საბოლოო დანიშნულება მკაცრად განსაზღვრულია.

მედიტაცია – ეს დიდი მდინარეა, ის ოკეანეს მიაღწევს, ის აუცილებლად მიაღწევს. მედიტაცია აუცილებლად მიგიყვანთ ღმერთთან. ამასთან, მედიტაციის გამოყენების სხვა მეთოდებიც არსებობს. პატარა შენაკადების მსგავსი, ისინი შეიძლება მივმართოთ მედიტაციის არხისკენ, რომელიც მიემართება ჩვენი წარსული ცხოვრებისკენ; მედიტაცია ნიშნავს ყურადღების კონცენტრაციას. შეიძლება არსებობდეს მისი გამოყენების ხერხები, როცა ყურადღების ფოკუსირება ხდება კონკრეტულ ობიექტზე და მისი გამოყენების ერთ-ერთი ასეთი ხერხი – დჟატი-სმარანია, კონცენტრაცია ღრმად დაფარულ მოგონებებში წარსული ცხოვრებიდან.

გახსოვდეთ: შეუძლებელია მოგონებების წაშლა; მოგონებები ან რჩებიან ფარულ მდგომარეობაში ანდა ზედაპირზე ტივტივდებიან. მაგრამ გვგონია, რომ დაფარული მოგონებები წაიშალა. თუ გკითხავთ, რას აკეთებდით 1950 წლის 1 იანვარს, თქვენ ვერ მიპასუხებთ, რაც იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ იმ დღეს არაფერს აკეთებდით. მაგრამ უეცრად თქვენ გრძნობთ, რომ 1950 წლის პირველ იანვარი თქვენთვის წარმოადგენს დიდ სიცარიელეს. ის არ შეიძლებოდა ყოფილიყო სიცარიელე; რადგან ის გავიდა, ის სავსე იყო მოქმედებებით. მაგრამ დღეს ის შეიგრძნობა, როგორც სიცარიელე. ამგვარად, დღევანდელი დღეც ხვალ სიცარიელე იქნება. ათი წლის მერე, ამ დღიდან კვალიც კი აღარ დარჩება.

ამიტომ ეს არ ნიშნავს, რომ 1950 წლის პირველი იანვარი არ არსებობდა, ანდა იმას, რომ ამ დღეს თქვენ არ არსებობდით; იგულისხმება, რომ რადგან თქვენ არ შეგიძლიათ გაიხსენოთ ის დღე, როგორ შეგიძლიათ გჯეროდეთ, რომ ის საერთოდ არსებობდა? მაგრამ ის სინამდვილეში არსებობდა და ამის გაგების საშუალება არის. შეიძლება მედიტაცია ამ რელსებზე გავუშვათ. როგორც კი მედიტაციის სხივი ამ დღეს მოეფინება, თქვენ აღმოაჩენთ, რომ, თქვენდა გასაკვირად, ის უფრო ცოცხლად გამოიყურება, ვიდრე უწინ.

მაგალითად, ადამიანი ბნელ ოთახში შედის და ფანრით მოძრაობს. როცა ფანარს მარცხნივ ატრიალებს, მარჯვენა მხარე ბნელდება, მაგრამ მარჯვენა მხარეს არაფერი ქრება როცა ის ფანარს მარჯვნივ გადაადგილდებს, მარჯვენა მხარე ისევ ცოცხლდება, მაგრამ მარცხენა მხარე სიბნელით დაფარული რჩება.

მედიტაცის სჭირდება ობიექტი და მაშინ, თუ თქვენ მას მიმართავთ გარკვეული მიმართულებით, ის უნდა გამოიყენთ, როგორც ფანარი. თუმცა, თუ თქვენ გინდათ მიმართოთ ღვთაებრივისკენ, მაშინ მედიტაციას უნდა მოეპყრათ, როგორც ნათურას. ამის გაგება მნიშვნელოვანია.

თავად ნათურა არაფერზეა ფოკუსირებული, მას გაფანტული სინათლე აქვს. ნათურა უბრალოდ ანათებს და მისი სინათლე გარშემო ვრცელდება. ნათურა არ შეიძლება ანათო ამა თუ იმ მიმართულებით: ის ანათებს იმას, რაც მისი სინათლის რადიუსში ხვდება. ფანარის ფორმა ნათურას მოგვაგონებს, რომლის სინათლეც ფოკუსირებულია რომელიღაც წერტილზე.

როცა ჩვენ ფანრით ვსარგებლობთ, ჩვენ ვაკონტროლებთ მთლიან სინათლეს და ვანათებთ მხოლოდ ერთ კონკრეტულ ადგილს. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ნათურისგან ანთებულ სინათლეში დავინახოთ საგნები, მაგრამ არა მკვეთრად და მათ უფრო ნათლად დასანახად ჩვენ სინათლის კონცენტრაციას ვახდენთ ერთ მონაკვეთზე – ის დაემსგავსება ფანრის სინათლეს. მაშინ მოცემული საგნის მკვეთრად დანახვაა შესაძლებელი, თუმცა სხვა მოცემული საგნები თვალისთვის უხილავი დარჩება. სინამდვილეში, თუკი ადამიანს სურს, მკვეთრად დაინახოს რომელიმე საგანი, ის მედიტაციის დროს უნდა კონცენტრირდეს მკაცრად გარკვეული მიმართულებით, ყველა დანარჩენი კი უკუნში ჩაეფლობა.

მას, ვისაც სურს პირდაპირ გაიგოს, რაში მდგომარეობს ცხოვრების სიმართლე, თავის მედიტაციაზე იმუშავებს, როგორც ნათურაზე – მასში იგულისხმება მისი ერთადერთი მიზანი და მართლაც, ნათურის ერთადერთი მიზანია – დაინახოს საკუთარი თავი; თუ ის ანათებს დიდხანს, მაშინ ეს საკმარისია – სულ ესაა. მაგრამ თუ დაჭირდება ამ ნათურის კონკრეტული გამოყენება, როგორც მაგალითად, წარსული ცხოვრების

მოგონებები, მაშინ მედიტაცია უმჯობესია ერთ კონკრეტულ ლიანდაგზე მივმართოთ.

მე მოგცემთ ერთ-ორ გასაღებს იმისთვის, რომ იცოდეთ, მედიტაცია როგორ უნდა მიმართოთ იქითკენ. მე არ მოგცემთ ყველა გასაღებს, რადგან, სავარაუდოდ, არავინ გააკეთებს ამას, ისინი კი, ვინც აპირებს, შეუძლიათ მარტოს შემხვდნენ. ამიტომ ვახსენებ ორ-სამ გზას, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ მოგცემთ ექსპერიმენტის საშუალებას წარსული ცხოვრების მოგონებებისთვის, მაგრამ მოგცემენ იდეას. არ ვაპირებ აქ სრულად განვიხილო ეს საკითხი, რადგან ეს არასასურველია თქვენთვის ჩაატაროთ ექსპერიმენტი ამ იდეით. ამასთან, ეს ექსპერიმენტი შეიძლება საშიში იყოს.

ნება მომეცით, მოგიყვეთ ერთი შემთხვევა, რათა ჩემი სიტყვები უფრო გასაგები იყოს. ორი თუ სამი წლის განმავლობაში, ერთი პროფესორი ქალი მედიტაციაზე ჩემთან კონსულტაციებს გადიოდა. ის დაჟინებით ითხოვდა, რომ დჟანა-სმაპანით დაკავებულიყო, რათა გაეგო თავისი წარსული ცხოვრების შესახებ. დავეხმარე ამ ექსპერიმენტში, თუმცა ვურჩიე, რომ პრაქტიკაში არ განეხორციელებინა, ვიდრე მედიტაციას კარგად არ შეძლებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საშიში იყო.

ერთი ცხოვრების მოგონებების ატანაც ძნელია და თუკი უკანასკნელი სამი ან ოთხი წლის სიცოცხლის მოგონებები ნიაღვრად შემოვარდება, ადამიანი შეიძლება უბრალოდ ჭკუიდან შეიშალოს. ამიტომაც, ბუნებამ ასე დაგეგმა, რომ ჩვენს წარსულს ვივიწყებთ. ბუნებამ უდიდესი უნარით დაგვასაჩუქრა, მეტი დავივიწყოთ, ვიდრე გვახსოვს, რომ თქვენი ტვინები არ გადაიტვირთოს. თქვენ შეგიძლიათ უფრო მეტი ტვირთის ტარება მას შემდეგ, რაც თქვენი გონების შესაძლებლობები გაფართოვდება, უსიამოვნებები შეიძლება დაიწყოს მაშინ, როცა ყველა ეს მოგონება გაწვებათ, ეს უნარები კი ჯერ არ გაქვთ განვითარებული. მაგრამ ის ჯიუტობას აგრძელებდა. მას არ მიუქცევია ყურადღება ჩემი რჩევისთვის და პრაქტიკით დაკავდა.

როცა მას წარსული ცხოვრებიდან მოგონებების ნაკადი თავს დაატყდა, ჩემთან ღამის ორ საათზე მოირბინა. დაბნეული იყო, ძალიან დამწუხრებული იყო. მან მითხრა: „ეს რაღაც-

ნაირად უნდა შეწყდეს. მე აღარ მინდა ამის ყურება." მაგრამ ასე ადვილი არ არის მოგონებების ნაკადის შეწყვეტა, მას შემდეგ, რაც გამოაღწევს, რთულია კარის მიჯახუნება, როცა ის, შენ თავზე გემხობა: კარები უბრალოდ კი არ იღება, ის ძალით იღება. დაახლოებით თხუთმეტი დღე წავიდა იმაში, რომ მოგონებების ტალღა შეგვეჩერებინა. რაში იყო პრობლემა?

ეს ქალი ოდესღაც აცხადებდა, რომ ღვთისმოსავი იყო, რომ მას სრულყოფილი ხასიათი ჰქონდა. როცა ის თავისი წარსული ცხოვრებიდან მოგონებებს შეეჯახა, დაინახა, რომ მეძავი იყო და გამოჩნდა სცენები, სადაც ის პროსტიტუციას ეწეოდა, მთელი მისი არსება შეირყა. შეირყა მისი მორალური ფესვები, რაზეც მისი ცხოვრება იყო დაფუძნებული.

ამგვარ გახსენებაში წარმოსახვები სხვა რამეს ჰყვებიან: იმ ქალმა, რომელიც თავის თავს ჭკვიანს უწოდებდა, თავისი თავი დაინახა მეძავად. ხშირად ხდება, რომ ქალი, რომელიც წინა ცხოვრებაში მეძავი იყო, მომავალში ძალიან სათნოა: ეს რეაქციაა, წინა ცხოვრებაში გადატანილ ტანჯვაზე. ეს წინა ცხოვრებაში განცდილი ტკივილისა და ტანჯვის მოგონება აიძულებს გადაიქცეს სათნო ქალბატონად.

ხშირად ხდება, რომ ადამიანები, რომლებიც წინა ცხოვრებაში არამზადები იყვნენ, ამ ცხოვრებაში წმინდანები ხდებიან. ამიტომ არამზადებსა და წმინდანებს შორის ღრმა კავშირია. ამგვარი რეაქცია საკმაოდ ხშირია, ამის მიზეზი კი იმაშია დამალული, რომ ის მოვლენები, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით, ტკივილს გვაყენებენ, ამიტომაც მეორე უკიდურესობაში ვვარდებით.

ჩვენი გონების ისარი მოძრაობას აგრძელებს ხან ერთ და ხან მეორე მხარეს. როგორც კი ისარი მარცხენა უმაღლეს წერტილს მიაღწევს, მაშინვე მოძრაობას იწყებს მარჯვნივ. ის ძლივს აღწევს მარჯვენა მხარეს და მაშინვე მარცნივ იწყებს მოძრაობას. როცა თქვენ აკვირდებით ისრიან საათს, რომელიც მოძრაობს მარცხნივ, გაიაზრეთ, რომ ის აგროვებს ენერგიას, იმისთვის, რომ იმოძრაოს მარჯვნივ – ის გადაადგილდება ზუსტად იმდენჯერ, რამდენჯერაც მარცხნივ. ამიტომ ცხოვრებაში ხშირად ხდება ასე, სათნო ადამიანი ცოდვილად დაგაიქცევა და ცოდვილი სათნოდ.

ეს ჩვეულებრივი ამბავია. ამგვარი მერყეობა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ხდება. ამიტომ არ იფიქროთ, რომ ეს საერთო წესია, რომ ის, ვინც ამ ცხოვრებაში წმინდანი გახდა, წარსულ ცხოვრებაშიც წმინდანი იყო. ეს არაა აუცილებელი. აუცილებელი პირიქითაა: მასზე ზეწოლას ახდენს ტკივილიანი მოვლენები, რომელიც განიცადა წარსულ ცხოვრებაში, ამიტომაც აირჩია საწინააღმდეგო გზა.

მე გამიგია...

ოდესღაც, წმინდანი და მეძავი ერთმანეთის პირისპირ ცხოვრობდნენ. ორივე ერთ დღეს გარდაიცვალა. მეძავის სული ზეცაში უნდა მოხვედრილიყო, წმინდანის კი ჯოჯოხეთში. მაცნეები, რომლებსაც ისინი უნდა წაეყვანა, საფიქრალში ჩაცვივდნენ. ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „რა მოხდა? ვიღაცას შეეშალა? რატომ უნდა წავიყვანოთ წმინდანი ჯოჯოხეთში? ნუთუ ის წმინდანი არ იყო?“

მათ შორის ყველაზე ბრძენმა თქვა: „ის მართლაც იყო წმინდა ადამიანი, მაგრამ მას მეძავის შურდა. მისი აზრები მუდმივად მიმართული იყო იმ საღამოებისკენ, რომელსაც ქალი მართავდა, იმ გასართობებისკენ, რომელიც მისთვის მიუწვდომელი იყო. ის მუსიკის ნოტები, რომელიც მის სახლამდე აღწევდა, აშფოთებდა და აბრაზებდა. მეძავის არც ერთ თაყვანისმცემელში, რომელიც მის წინ იჯდა, არ იწვევდა იმდენ ემოციას, როგორც მასში, როცა უსმენდა ამ ხმებს, რომელიც მის საცხოვრებლამდე აღწევდა, პაწაწინა ზარების ხმები, რომელიც ხელისგულებზე ჰქონდა მიმაგრებული და ცეკვის დროს რეკავდა. მისი ყურადღება კონცენტრირებული იყო მხოლოდ იმ სახლზე. მაშინაც კი, როცა საღვთო სამსახურს ასრულებდა, მისი სმენა მიმართული იყო იმ ხმებზე, რომელიც იმ სახლიდან გამოდიოდა.“

მეძავი ტანჯვასა და მწუხარებაში მუდმივად ეკითხებოდა საკუთარ თავს, როგორ შეუცნობელი იყო მისთვის ღვთაებრიობა, რომელსაც წმინდანი განიცდიდა. ყოველთვის, როცა ხედავდა, როგორ მიჰქონდა მას ყვავილები მსახურების მოსაწყობად, საკუთარ თავს ეკითხებოდა: „როდის ვიქნები იმის ღირსი, რომ ტაძარში ყვავილები შევიტანო? იმდენად ბინძური ვარ, რომ გამბედაობასაც ვერ მოვიკრებ, რომ ტაძარში შევიდე“

წმინდანი არასდროს იყო ასე შეპყრობილი საკმევლის სუნით, ჭაღების სინათლით, მესიის სიტყვებით, როგორც მეძავი იყო შეპყრობილი. მეძავი მუდამ წმინდანის ცხოვრებაზე ოცნებობდა, წმინდანს კი მუდამ სწყუროდა კმაყოფილება, რომელსაც მეძავი იღებდა."

მათი ინტერესები და სამყაროსთან ურთიერთობა ერთმანეთისგან იმდენად შორს იყო, იმდენად ერთმანეთისგან განსხვავებული, სრულიად შეიცვალნენ. იმდენად ხშირად ხდება ასე, არსებობს გარკვეული კანონები, რატომაც ხდება ასე.

ამიტომ, როცა პროფესორ-ქალს დაუბრუნდა წარსული ცხოვრების მოგონება, ის ძალიან შეურაცხყოფილი იყო. თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, რამდენადაც ეს მის ეგოს შეეხო. იმან, რაც მან გაიგო წარსული ცხოვრების შესახებ, შოკში ჩააგდო და ახლა ამის დავიწყება უნდოდა. მაშინვე გავაფრთხილე, რომ არ ეცადა თავისი წარსული ცხოვრების გახსენება, რადგან ამისთვის არ იყო შესაფერისად მზად.

რადგან თქვენ დასვით კითხვა, მოგიყვებით რამდენიმე არსებით საკითხზე, რათა თქვენ შეძლოთ დაიჭიროთ იმის აზრი, რა არის დჟატი-სმარანი. მაგრამ ისინი არ დაგეხმარებიან ექსპერიმენტებში. მათ, ვისაც უნდა ექსპერიმენტები, ეს საკითხები დაწვრილებით უნდა განიხილონ.

ჯერ ერთი, თუ მიზანი დჯატი-სმარანია, ეს მარტივია, გაიგოთ თქვენს წარსულ ცხოვრებაზე, მაშინ უბრალოდ, უნდა შეწყვიტოთ ფიქრი მომავალზე. ჩვენი გონება ორიენტირებულია მომავალზე და არა წარსულზე. ჩვეულებრივ, ჩვენი გონება მიმართულია მომავალზე, ის მოძრაობს მომავლისკენ. ჩვენი აზრების ნაკადი მიმართულია მომავლისკენ და ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანმა შეძლოს ცხოვრება, რომ გონება ორიენტირებულია მომავლისკენ და არა წარსულისკენ. რატომ უნდა ვინერვიულოთ წარსულზე? ის წავიდა, დამთავრდა, ამიტომ დაინტერესებული ვართ იმით, რაც უნდა მოვიდეს. ამიტომ ვაგრძელებთ ასტრონომებთან კითხვებს, რა გველის მომავალში. ჩვენ გვაინტერესებს გავარკვიოთ, რა მოხდება მომავალში. მას, ვისაც უნდა გაარკვიოს თავისი წარსული, საერთოდ უნდა გაუქრეს ინტერესი, რა მოხდება მომავალში. იმიტომ, რომ თუ გონების პროექტორი მიმართულია მომავლისკენ, თუ აზრე-

ბის ნაკადმა მოძრაობა დაიწყო მომავლისკენ, მაშინ მისი მომართვა უკან წარსულში შეუძლებელი იქნება.

ამიტომ, პირველ რიგში, თქვენ რისი გაკეთებაც მოგეთხოვებათ – ესაა მთლიანად მოწყდეთ მომავალს რამდენიმე თვის განმავლობაში, გარკვეული ხნის განმავლობაში. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ თქვენთვის, რომ არ იფიქრებთ მომავალზე უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში. თუკი მომავალზე აზრი მაინც გამოჩნდება, უბრალოდ, მიესალმეთ მას და გაუშვით; თქვენ არ გჭირდებათ მასთან იდენტიფიცირება, ანდა მისცეთ ნება ამ აზრს, მიიპყროს თქვენი ყურადღება. ამგვარად, პირველი, რაც უნდა გააკეთოთ – ექვსი თვის განმავლობაში, უნდა წარმოიდგინოთ, რომ მომავალი არ არსებობს და მიმართოთ წარსულს. როგორც კი მომავალს დატოვებთ, აზრების ნაკადი წარსულისკენ იქნება მიმართული.

თავიდან თქვენ უნდა გაიხსენოთ თქვენი წარსული ამ ცხოვრებაში: შეუძლებელია მაშინვე წარსულ ცხოვრებაში დაბრუნება. არსებობს რამდენიმე ტექნიკა, რომელიც დაგეხმარებათ გაიხსენოთ ამ ცხოვრების მოვლენები. მაგალითად, როგორც ადრე ვამბობდი, რას აკეთებდით 1950 წლის 1 იანვარს. ამის გასარკვევად არსებობს ტექნიკა. თუ თქვენ შეასრულებთ მედიტაციას, ათი წუთის შემდეგ, როცა მედიტაცია ღრმა გახდა, სხეული მოდუნდა, სუნთქვა მოდუნდა, გონება დამშვიდდა – მაშინ დაე, მხოლოდ ერთი აზრი დარჩეს თქვენს გონებაში: „რა ხდებოდა 1950 წლის 1 იანვარს?“ დაე, თქვენი გონება მთლიანად ამაზე კონცენტრირდეს. თუ ეს იქნება ერთადერთი ხაზი, რომელიც გაისმის თქვენს გონებაში, მაშინ რამდენიმე დღის შემდეგ, უცებ აღმოაჩენთ, რომ ფარდა აიხადა: პირველი იანვარი გამოჩნდა და თავიდან შეიგრძნობთ ამ დღის ყოველ მოვლენას, გათენებიდან დაწყებული დაღამებამდე დამთავრებული. პირველ იანვარს დაინახავთ გაცილებით მეტი დეტალებით, ვიდრე როცა აკვირდებოდით, მაშინ როცა ეს რეალური იყო, ზუსტად იმ დღეს, რადგან იმ დღეს, თქვენ, შეიძლება, არ იყავით ისე ცნობიერნი. მაშ, ასე, თავიდან თქვენ ექსპერიმენტი უნდა ჩაატაროთ ამ ცხოვრებაში წარსულში ჩაძირვით.

ხუთ წლამდე მოვლენების გახსენება ძალიან ადვილი იქნება, მაგრამ ძალიან რთული იქნება იმის გახსენება, რა იყო

ამ ასაკამდე. ჩვეულებრივ, ჩვენ არ შეგვიძლია გონებაში აღვადგინოთ ის, რაც ხდებოდა ხუთ წლამდე ასაკში: ეს არის ლიმიტი, იმის იქით ჩვენ არ შეგვიძლია შევაღწიოთ. ძალიან ცოტა ადამიანს შეუძლია გაიხსენოს მოვლენები სამ წლამდე და უფრო ადრეული ასაკი მიუწვდომელია, თითქოსდა იქ შესასვლელი გადაკეტილია და ყველაფერი დაბლოკილია. ადამიანს, რომელსაც აქვს უნარი, წარსული გაიხსენოს, შეუძლია მთლიანად გააღვიძოს ნებისმიერი დღის მოვლენა ხუთ წლამდე. მთელი მოგონება გაცოცხლებას იწყებს.

შემდეგ უნდა შევამოწმოთ. მაგალითად, ფურცელზე დაწერეთ დღის მოვლენები და მერე ყუთში შეინახეთ. გაიხსენეთ ეს დღე ორი წლის შემდეგ: იპოვეთ თქვენი ჩანაწერები და შეადარეთ იმას, რაც გახსოვთ. თქვენ გაოცდებით, როცა გაიგებთ, რომ თქვენ გაიხსენეთ უფრო მეტი, ვიდრე ქაღალდზე იყო ჩაწერილი. მოვლენები აუცილებლად ამოგიტივტივდებათ მოგონებებში.

ბუდამ ამას უწოდა ალაიია-ვიგიან[16]. ჩვენს ტვინში არის ასეთი რეგიონი, რომელიც ბუდამ მონიშნა, როგორც ალაიია-ვიგიანი. ალაიია-ვიგიანი ნიშნავს „ცნობიერის საწყობს". ისევე, როგორც ჩვენ ვინახავთ მთელ ნაგავს სახლის სარდაფში. ამგვარად, არსებობს ცნობიერის საწყობი, რომელშიც ინახება მოგონებები დაბადებიდან დაბადებამდე, იქ ინახება ყველაფერი. აქედან არასდროს არაფერი იშლება, რადგან ადამიანს არასდროს შეუძლია იცოდეს, როდის გამოადგება ისინი. ფიზიკური სხეული იცვლება, მაგრამ ჩვენს შეუცვლელ ყოფიერებაში ეს რეზერვები აგრძელებენ თავიანთ არსებობას, რჩებიან არასდროსაა შესაძლებელი იმის ცოდნა, როდის გახდებიან ისინი საჭირო და ყველაფერი ის, რაც გავაკეთეთ ჩვენი ცხოვრების განმავლობაში, ყველაფერი, რაც განვიცადეთ, გავიგეთ, ვიცხოვრეთ — ყველაფერი ინახება იქ.

ადამიანი, რომელსაც ახსოვს მოვლენები ხუთ წლამდე, შეუძლია უფრო შორს წავიდეს, ეს არც თუ ისე რთულია. თავისი არსით ექსპერიმენტი ზუსტად ასეთივე იქნება. თუ თქვენ უფრო შორს წახვალთ, თქვენ კიდევ ერთ კარს აღმოაჩენთ, რომელიც მიგიყვანთ თქვენი დაბადების მომენტთან, როცა თქვენ

[16] ალაიია-ვიგიან – ცნობიერის საწყობი

გაჩნდით ამქვეყნად. მაშინ შეიძლება, კიდევ ერთ პრობლემას შევეჯახოთ, იმიტომ, რომ იმ დროის მოგონებები, როცა თქვენ იყავით დედის საშოში, ასევე არ ქრება. ამ მოგონებების სფეროში შეღწევა შესაძლებელია იმავე მეთოდით და ჩასახვის მომენტამდე მიღწევა, როცა დედის და მამის გენები შეერთდა და მასში სული შევიდა. ადამიანს თავის წარსულ ცხოვრებაში შეღწევა მხოლოდ მას შემდეგ შეეძლება, როცა ამ წერტილს მიაღწევს; მას არ შეეძლება იქ პირდაპირ მოხვედრა. თქვენ უნდა გამოიყენოთ იმგვარივე პირიქით მოგზაურობა და მას შემდეგ, გახდება შესაძლებელი წარსულ ცხოვრებაში შეღწევა

მაშ შემდეგ, რაც თქვენ შეაღწიეთ წარსულ ცხოვრებაში. პირველი მოგონება რომელიც ამოტივტივდება – ეს უკანასკნელი მოვლენებია, რომელიც იმ ცხოვრებაში მოხდა. თუმცა გახსოვდეთ, ეს წარმოშობს გარკვეულ სირთულეებს და აქ. ნაკლები აზრი ექნება. ეს იმას ჰგავს, ფილმს როცა ვუშვებთ. როცა უკნიდან ვიწყებთ, ანდა ვკითხულობთ რომანს წიგნის ბოლოდან: ჩვენ თავს დაკარგულად ვთვლით. და ამიტომ თუ ჩვენ წარსულ ცხოვრებაში პირველად ვაბიჯებთ, მაშინ თავს დაბნეულად ვგრძნობთ, რადგან მოვლენების თანმიმდევრობა უკუღმაა.

როცა თქვენ ბრუნდებით თქვენს წარსულ ცხოვრებაში, თავიდან სიკვდილს შეეჯახებით, შემდეგ მოხუცებულობის ასაკს. ახალგაზრობის დროს, ბავშვობას და შემდეგ დაბადებას. ეს იქნება უკუღმა თანმიმდევრობით და ამგვარი მოვლენების თამდიმდევრობისას რთული იქნება იმის გარკვევა, რა რა არის. ამიტომ, როცა მოგონებებში, პირველი მოგონება ამოტივტივდება, თქვენ გრძნობთ წარმოუდგენელ შფოთვას და ნერვიულობას, რადგან ამ ყველაფერში გარკვევა რთულია. ეს იმას ჰგავს, როცა ფილმს უყურებთ ან რომანს კითხულობთ ბოლოდან. სავარაუდოდ, მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე მოგონებებს გადააადგილებთ, თქვენ ამა თუ იმ მოვლენის აზრს ვერ დაიჭერთ. ამიტომ არანაკლებ რთულია წარსულ ცხოვრებასთან დაკავშირებული მოვლენების დაბრუნება, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ თქვენ ხედავთ, რომ მოვლენები. რომელიც ჩვეულებრივ ხდება პირდაპირი თანმიმდევრობით. იღებენ უკუღმა თანმიმდევრობას. მაგრამ ბოლოს და ბოლოს.

რას ნიშნავს პირდაპირი ან უკუღმა თანმიმდევრობა? ეს უბრალოდ კითხვაა, როგორ მოვედით ამ სამყაროში და როგორ წავედით იქიდან.

თავიდან ჩვენ ჩავაგდეთ მარცვალი, ყვავილი კი ბოლოს ჩნდება. თუმცა, თუ ამ მოვლენას საპირისპირო მხრიდან შევხედავთ, მაშინ თავიდან გაჩნდა ყვავილი, შემდეგ კვირტი, მცენარე, ფოთლები, ყლორტი და ბოლოს მარცვალი. რამდენადაც ჩვენ არასდროს შევჩეხებივართ მოვლენების საპირისპირო თანმიმდევრობას, ბევრი დრო დაგვჭირდება იმისთვის, რომ მოვლენები გადავაწყოთ ჩვეულებრივ თანმიმდევრობით და ნათლად დავინახოთ მათი აზრი. ყველაზე უცნაური იქნება, რომ თავიდან მოვიდეს სიკვდილი, მერე მოხუცებულობის ასაკი, ავადმყოფობა და მერე ახალგაზრდობა; ყველაფერი მოხდება სხვა თანმიმდევრობით. ანდა, თუ თავიდან დაქორწინდებით და მერე განქორწინდეთ, მაშინ როგორ გაიხსენებთ, თავიდან განქორწინება იყო, მას მოჰყვება სიყვარული და მერე ქორწილი.

ძალიან რთული იქნება მოვლენებს გავყვეთ ამგვარი მიმდევრობით, რადგან ჩვეულებრივ, სამყაროს თქვენ აღიქვამთ მხოლოდ თვალსაწიერის ერთი კუთხიდან. ჩვენი გონება სამყაროს აღიქვამს ერთი კუთხიდან. შეხედო ცხოვრებას საწინააღმდეგო მიმდევრობით ძალიან რთულია – ჩვენ არ ვართ მიჩვეულები ამგვარ გამოცდილებას, ჩვენ მივეჩვიეთ პირდაპირ მოძრაობას. თუმცა, თუ ძალისხმევას დავატანთ, შეიძლება წინა ცხოვრების მოვლენების გაგება, თუ მივყვებით განვითარებულ მოვლენებს საპირისპიროდ. უეჭველად ეს თქვენთვის წარმოუდგენელი გამოცდილება იქნება.

ამგვარი საპირისპირო თანმიმდევრობით მოვლენების გაყოლა გასაოცარი გამოცდილება გახდება, რადგან თუ თქვენ, ჯერ დაინახეთ განქოწინება, მერე სიყვარული, მერე კი დაქორწინება, რა თქმა უნდა გაიგებთ, რომ განქორწინება გარდაუვალი იყო – ის გახდა პირდაპირი შედეგი იმ სიყვარულის, რომელიც იყო; განქორწინება იყო ერთადერთი შედეგი იმ ქორწინების, რომელსაც ადგილი ჰქონდა. მაგრამ ქორწინების დროს, წინა ცხოვრებაში არ გვქონდა პატარა წარმოდგენაც კი, რომ ის, ბოლოს და ბოლოს, განქორწინებით დამთავრდებოდა. ბუნებ-

რივია, განქორწინება იყო შედეგი იმ ქორწინების. თქვენ რომ შეგეძლოთ სამყაროს მთლიანობაში დანახვა, მაშინ სიყვარული, დღეს, სულ სხვაგვარი იქნებოდა, რადგან ჩვენ ახლა დავიწყეთ იმის დანახვა, რა არის განქორწინება. წინასწარ, ახლა, ჩვენ შეგვეძლებოდა დაგვენახა, რომ მტერი კუთხეშია ჩასაფრებული, ვიდრე მასთან მეგობრობას გავაბამდით.

თქვენი წარსული ცხოვრების მოგონებები მთლიანად ამოატრიალებს თქვენს ცხოვრებას, რადგან თქვენ ახლა ვეღარ შეძლებთ უწინდელივით ცხოვრებას, როგორც ადრე ცხოვრობდით თქვენს წინა ცხოვრებაში. წინა ცხოვრებაში, თქვენ გრძნობდით და იგივე გრძნობები გრჩებათ ამჯერადაც, რომ წარმატება და ბედნიერების სიდიადე დამოკიდებულია ფულადი მდგომარეობის სიდიდეზე. ის, რასაც თავიდან დაინახავთ თქვენს წინა ცხოვრებაში, იმის შეგრძნება იქნება, რომ თქვენ უბედურები ხართ და ის მოვა მანამდე, ვიდრე თქვენ გაიუმჯობესებთ ქონებრივ მდგომარეობას. ეს ნათლად აჩვენებს, რომ იმის მაგივრად, რომ ყოფილიყავით ბედნიერების წყარო, ფულის გაკეთებამ, საბოლოოდ, მიგიყვანათ უბედურებამდე, მეგობრობამ მიგიყვანათ მტრობამდე. ის, რაც გეჩვენებოდათ სიყვარულად, სიძულვილად იქცა და ის, რაც კავშირად გეჩვენებოდათ, შედეგად გაყოფა გამოიწვია. მერე, პირველად დაინახავთ სწორ პერსპექტივაში, დაინახავთ მის აზრს, მის მთლიანობაში და ეს ფაქტი თქვენს ცხოვრებას შეცვლის, მთლიანად შეცვლის თქვენი ნამდვილი ცხოვრების წესს – ეს იქნება სრულიად სხვა სიტუაცია.

გამიგია, რომ ერთხელ, ერთი კაცი ბერთან მივიდა და უთხრა: „ძალიან დამავალებთ, თუ მოსწავლედ ამიყვანთ.“ ბერმა უარი უთხრა. კაცმა ჰკითხა, რატომ არ შეეძლო მისი მოსწავლედ აყვანა. ბერმა უპასუხა: „ჩემს წარსულ ცხოვრებაში მყავდნენ მოსწავლეები, რომლებიც მერე ჩემს მტრებად გადაიქცნენ. ეს ყველაფერი გავიარე და ვიცი, რომ გყავდეს მოსწავლე, იმას ნიშნავს, რომ მტერი გყავდეს, მეგობრების გაჩენა იმას ნიშნავს, რომ მტრობის თესლი დათესო. ახლა აღარ მინდა მტრების ყოლა, ამიტომ არ ვიჩენ მეგობრებს. ჩემთვის გავარკვიე, რომ ვიყო მარტო, ეს ის არის, რაც საჭიროა. თუ თქვენ ვინმეს იახლოებთ. ის თითქმის იგივეა, თუ თქვენგან ადამიანს იშორებთ.“

ბუდამ თქვა, შეყვარებულთან შეხვედრას სიხარული მოაქვს და ვინც არ გიყვარს, იმასთან დაშორებასაც სიხარული მოაქვს, შეყვარებულთან დაშორებას მოაქვს სევდა და ვინც არ გიყვარს, იმასთან დაშორებასაც მოაქვს სევდა. აი, ასე იყო აღქმული, აი, ასე ესმოდათ მაშინ. თუმცა, მოგვიანებით ვხვდებით, რომ ის, ვისაც ვთვლით ჩვენს შეყვარებულად, შეიძლება გახდეს, ის ვინც არ გვიყვარს, ის კი, ვისაც ვთვლიდით, რომ არ გვიყვარდა, შეიძლება გახდეს შეყვარებული. ამიტომ წარსული ცხოვრების გახსენებისას, თქვენ შეიძლება რადიკალურად შეგეცვალოთ სიტუაცია რეალურ ცხოვრებაში, თქვენ მას დაუწყებთ ყურებას თვალსაწიერის სრულიად სხვა კუთხიდან.

ამგვარი მოგონებები შესაძლებელია, თუმცა არა აუცილებელი და არა გარდაუვალი, ხანდახან, მედიტაციისას, ეს მოგონებები შესაძლებელია თავს დაგატყდეთ. თუკი წარსული ცხოვრებიდან ნამდვილად მოვლენ თქვენთან, როცა არ გახართ სპეციალურ პრაქტიკას და უბრალოდ, მედიტირებთ, მათდამი განსაკუთრებული ინტერესი არ გამოხატოთ. უბრალოდ, უყურეთ მათ, იყავით მოწმენი მათთან დაკავშირებით, რადგან ჩვეულებრივ სიტუაციაში ტვინს არ შეუძლია გადაიტანოს ამხელა შფოთვა. თუ ეცდებით მათთან გამკლავებას, შესაძლოა, შეიშალოთ.

ერთხელ, ჩემთან გოგონა მოიყვანეს. 11 წლის იქნებოდა. უცბათ გაიხსენა თავისი სამი წარსული ცხოვრება. ის არასდროს ყოფილა ჩართული სპეციალურ პრაქტიკაში; მაგრამ გარკვეული ძალების გამოისობით, უეცრად შეცდომებიც ხდება. ეს იყო ბუნების შეცდომა და არა მისი წყალობა. რაღაც აზრით, მის შემთხვევაში ბუნებას შეეშალა. ეს იგივეა, რომ ვინმეს სამი თვალი ანდა ოთხი ხელი ჰქონდეს – ეს შეცდომაა. ოთხი ხელი გაცილებით სუსტი იქნება, ვიდრე ორი; ოთხ ხელს არ შეუძლია ისევე ეფექტურად შეასრულოს სამუშაო, როგორც ორს – ოთხი ხელი სხეულს უფრო სუსტს გახდის, ვიდრე ორი.

ასე რომ, გოგონას თავისი წარსული ოთხი ცხოვრებიდან გაახსენდა სამი, ამ შემთხვევით ბევრი დაინტერესდა. ის, თავის ყოფილ ცხოვრებაში, ჩემი ყოფილი სახლიდან ოთხმოცი მილის დაშორებით ცხოვრობდა და იმ ცხოვრებაში დაახლოებით სა-

მოცი წლის მოკვდა. ადამიანები, რომლებთანაც ის ცხოვრობდა, ახლა ჩემს მშობლიურ ქალაქში ცხოვრობენ და მან ყველა მათგანი იცნო. მრავალათასიანი ხალხის მასიდან თავისი ყოფილი ნათესავებიც იცნო: საკუთარი ძმა, თავისი შვილები, თავისი შვილიშვილები და შვილთაშვილები, რომლებიც დაებადათ მის ქალიშვილებსა და სიძეებს. მან იცნო თავისი შორეული ნათესავები და მოჰყვა ისეთ რაღაცეებს, რომლის შესახებაც მათ უკვე დავიწყებული ჰქონდათ. მისი უმცროსი ძმა კიდევ ცოცხალია. თავზე მცირე დაზიანების შემდეგ. ჭრილობა აქვს დარჩენილი. გოგონას ვკითხე, იცოდა თუ არა ამ ჭრილობაზე რაიმე. გოგონამ გაიცინა და თქვა: „ჩემმა ძმამაც კი არ იცის ამის შესახებ. დაე, თავად მოგიყვეთ, როგორ და სად მიიღო ეს ჭრილობა.“ ძმამ ვერ გაიხსენა, როდის მოხდა მისი დაზიანება და თქვა, რომ მცირედი წარმოდგენაც არ აქვს ამის შესახებ.

გოგონამ თქვა: „ჩემი ქორწილის დღეს, ჩემი ძმა დაეცა, როცა ცხენზე ამხედრება უნდოდა, რომელიც საქორწილო ცერემონიისთვის იყო განკუთვნილი. იგი მხოლოდ 9 წლის იყო.“ მისი ქალაქიდან მოხუცმა ადამიანებმა მისი მონათხრობი დაადასტურეს, რომ მისი ძმა, მართლაც ჩამოვარდა ცხენიდან. იმ ადამიანს კი, საერთოდ არ ახსოვდა მომხდარი. მერე გოგონამ ძვირფასი ნივთებიც გვაჩვენა, რომელსაც იმ სახლში მალავდა. სადაც წინა ცხოვრებაში ცხოვრობდა.

თავის უკანასკნელ ცხოვრებაში, სამოცი წლის გარდაიცვალა და მის წინა ცხოვრებაში კი ის დაიბადა, სადღაც, სოფელ ასამაში. შვიდი წლის ასაკში მოკვდა, მან ვერ შეძლო გაეხსენებინა სოფლის სახელი, თავისი მისამართი, მას შეეძლო ასამის ენაზე ლაპარაკი იმ დონეზე, როგორც ლაპარაკობენ შვიდი წლის ბავშვები. ამასთან, მას შეეძლო სიმღერა და ცეკვა, როგორც შვიდი წლის ბავშვს. ამ შემთხვევისთვისაც იყო ცნობები მოპოვებული, მაგრამ მისი ოჯახის პოვნა იმ ცხოვრებიდან ვერ მევძელით.

გოგონას სამოცწლიანი ცხოვრების და პლიუს ორთმეტწლიანი რეალური ცხოვრების გამოცდილება ჰქონდა. მის თვალებში შეგიძლიათ იპოვოთ მსგავსება სამოცდათხუთმეტი წლის ქალის – სამოცდათვრამეტის, თუმცა სინამდვილეში მხოლოდ თერთმეტი წლისაა. მას არ შეუძლია თავის ტოლა

ბავშვებთან თამაში, რადგან მათთვის ის ძალიან დიდია. ის შიგნით სამოცდათვრამეტი წლის მოგონებებს ატარებს, თავის თავში სამოცდათვრამეტი წლის ქალს ხედავს. არ შეუძლია სკოლაში წასვლა, რადგან ის თუმცა თერთმეტი წლისაა, თავისუფლად შეუძლია მასწავლებელში თავისი ვაჟის დანახვა. თუმცა, მისი სხეული თერთმეტი წლისაა, მისი გონება და პიროვნება განვითარებულია, როგორც სამოცდათვრამეტი წლის ქალის. მას არ შეუძლია ითამაშოს და განვითარდეს, როგორც ბავშვი, მას აინტერესებს ისეთი სერიოზული საკითხები, რომელზეც მოხუცი ქალები ლაპარაკობენ. ის იტანჯება, მუდამ დაძაბულია. მისი სხეული და გონება ჰარმონიული არ არის. ის ძალიან დამწუხრებულია და ავადმყოფურ მდგომარეობაშია.

მის მშობლებს შევთავაზე გოგონა ჩემთან მოეყვანათ, რომ წარსული ცხოვრების დავიწყებაში დავხმარებოდი. როგორც არსებობს მედიტაცია, იმისთვის რომ გავაღვიძოთ მოგონებები, ასევე არსებობს გზა, რომ ისინი დავივიწყოთ. მაგრამ მის მშობლებს საშინლად მოსწონდათ მოვლენების ასეთი განვითარება! უამრავი ადამიანი მიდიოდა, გოგონას სანახავად; ისინი მას თაყვანს სცემდნენ. მშობლები არ იყვნენ იმით დაინტერესებულნი, რომ მას წარსული დაევიწყებინა. მე ისინი გავაფრთხილე, რომ შეიძლება გოგონა ჭკუიდან შეიშალოს, მაგრამ მათ არაფრის მოსმენა არ სურდათ. ახლა ის შეშლილობის ზღვარზეა, რადგან არ შეუძლია ამდენი მოგონებების ტვირთად ტარება. მისთვის ძნელია დაქორწინება, როცა ის, თავს შეიგრძნობს სამოცდათვრამეტი წლის ქალად. მის შიგნით არანაირი ჰარმონია არ არის; მისი სხეული ახალგაზრდაა, მისი გონება კი მოხუცი. ეს ძალიან რთული სიტუაციაა.

მაგრამ, ეს შემთხვევითობა იყო. თქვენც შეგიძლიათ პრაქტიკის მეშვეობით შესასვლელი გახსნათ. მაგრამ ამ მიმართულებით სვლა სრულიად არაა აუცილებელი. თუმცა მათ, ვისაც ამის გაკეთების სურვილი აქვთ, შეუძლიათ ექსპერიმენტი ჩაატარონ. მაგრამ ვიდრე ექსპერიმენტს დაიწყებდეთ, აუცილებელია ღრმა მედიტაციის გაკეთება, რათა თქვენი გონება იმდენად მშვიდი და ძლიერი იყოს, რომ როცა მოგონებების ნაკადი მოგაწყდებათ, ისინი მოწმეებად დარჩნენ. როცა ადამიანი მოწმე ხდება, წარსული ცხოვრება სიზმრად ეჩვენება და

სხვა არაფრად. მაშინ მოგონებები მას არ გააწამებენ. ახლა ისინი სიზმარს ნიშნავს და სხვა არაფერს.

როცა ადამიანი იმ თვისებას იძენს, რომ წარსული ცხოვრება მოიგონოს და ეს მოგონებები მასთან მიდიან, როგორც სიზმრები, მაშინ რეალური ცხოვრებაც სიზმრად ეჩვენება. ისინი, ვინც ამ ცხოვრებას უწოდა მაია[17], იმიტომ კი არა, რომ ფილოსოფიის პროპაგანდა უნდოდათ. დჟატი-სმარანი – წინა ცხოვრებების ხსოვნა – მის ფუძეშია. ყველასთვის, მათთვის, ვინც გაიხსენა თავისი წარსული ცხოვრებები, ყველაფერი უეცრად სიზმრად, ილუზიად გადაიქცა. სად არიან მისი მეგობრები, მისი წარსული ცხოვრებიდან? სად არიან მისი ნათესავები, მისი ცოლი და ბავშვები, სახლი, სადაც ის ცხოვრობდა? სად არის ის სამყარო? სად არის ეს ყველაფერი, როცა მას ასე რეალური ეჩვენებოდა? სად არის ყველა ის მღელვარება, რომლის გამო ღამე არ ეძინა? სად არის ის ტკივილი და უბედურება, რომელიც ასე გადაულახავი ეჩვენებოდა, რომელიც მას მხრებზე ტვირთად მიჰქონდა? და რა მოუვიდა იმ ბედნიერებას, რომელიც მას ასე ვნებიანად სურდა? რა მოუვიდა ყველაფერ იმას, რისთვისაც შრომობდა და იტანჯებოდა? თუ თქვენ, ოდესმე, გაიხსენებთ თქვენს წარსულ ცხოვრებას და თუ თქვენ მაშინ სამოცდაათი წელი იცხოვრეთ – ყველაფერი, რაც თქვენ ნახეთ ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში, როგორი იქნება ის, როგორც სიზმარი თუ როგორც რეალობა? რა თქმა უნდა, ის სიზმარს ემსაგავსება, რომელიც მოვიდა და წავიდა.

მომისმენია ასეთი ისტორია. ერთხელ მეფის ერთადერთი ვაჟი სიკვდილას პირას იყო. რვა დღის განმავლობაში ის კომაში იყო – მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო, მაგრამ სიკვდილიც არ მოდიოდა. ერთი მხრივ, მეფე მის გადარჩენისთვის ლოცულობდა, მეორეს მხრივ, როცა ხედავდა ამდენ ტკივილსა და ტანჯვას მის გარშემო, სიცოცხლის სიცარიელეს გრძნობდა. მეფეს, რვა ღამის განმავლობაში, ძილი არ შეეძლო, მერე

[17] მაია (სანსკ. माया, māyā, „ილუზია“,) ინდურ რელიგიურ-ფილოსოფიურ ტრადიციაში განსაკუთრებული ძალა (შაკტი), ანდა ენერგია, რომელიც ერთდროულად სამყაროს ჭეშმარტი სახეს მალავს და უზრუნველყოფს მის მავალსახოვან გამოვლინებას.

კი ერთ ღამეს, დაახლოებით ოთხ საათზე, ძილმა აჯობა და მას დაესიზმრა.

ჩვეულებრივ, ისეთი რაღაცეები გვესიზმრება-ხოლმე, რომლის გაკეთებაც რეალურ ცხოვრებაში არ შეგვიძლია, ამიტომ მეფეს, რომელიც თავის ერთადერთ ვაჟთან იჯდა, მომაკვდავ ვაჟთან, ესიზმრა, რომ თორმეტი ძლიერი და ლამაზი ვაჟი ჰყავდა. მან დაინახა თავისი თავი დიდი სამეფოს იმპერატორად, მთელი დედამიწის მმართველად, მას ჰქონდა დიდი და ლამაზი სასახლეები. დაინახა, რომ არაჩვეულებრივად ბედნიერი იყო, როცა მას ეს ყველაფერი ესიზმრებოდა...

მაგრამ, სიზმარში, დრო სწრაფად მირბის. სიზმარში დრო სრულიად განსხვავდება იმისგან, როგორც ჩვენ შევეჩვიეთ მის აღქმას ყოველდღიურ ცხოვრებაში. სიზმარში ერთი გაელვებისას თქვენ შეგიძლიათ ბევრი წლის მოვლენები ნახოთ და გაღვიძების შემდეგ, ძალიან გაოცდებით, როგორ შეიძლებოდა ჩატეულიყო ამდენი წელი სიზმარში, რომელიც რამდენიმე წამი გრძელდებოდა! სინამდვილეში, სიზმარში დრო ძალიან სწრაფად გადის, ბევრი წელი შეიძლება გავიდეს ერთ გაელვებაში.

მაშ ასე, როცა მეფეს ესიზმებოდა თორმეტი ვაჟი და მათი მშვენიერი ცოლები, მათი სასახლეები და უზამრაზარი სამეფო, თორმეტი წლის ავადმყოფი პრინცი მოკვდა. დედოფალმა იყვირა და მეფის სიზმარი უცებ შეწყდა.

მან შოკში გაიღვიძა. დედოფალი შეშფოთებული ეკითხებოდა: „რატომ ხარ ასე შეშინებული? რატომ არ ტირი? რატომ არაფერს ამბობ?“ მეფემ უთხრა: „არა, მე არ ვარ შეშინებული, დაბნეული ვარ. არეული ვარ. მინდა, ვიცოდე, ვის დავტირი? თორმეტი ვაჟი უნდა ვიტირო, რომლებიც მყავდნენ ერთი წამის წინ, თუ ეს ვაჟი უნდა ვიტირო, რომელიც ამ წამს დავკარგე? მე მაწუხებს კითხვა: ვინ მოკვდა? უცნაურია ის, რომ როცა მათთან ვიყავი, თორმეტ ვაჟთან, არაფერი ვიცოდი ამ შვილის შესახებ. ის იქ არ ყოფილა. იქ, ის და შენ ვერ გნახეთ. ახლა, როცა სიზმარი დასრულდა, აქ არის ჩემი სასახლე, აქ ხარ შენ, აქ არის ჩემი ვაჟი, მაგრამ ის სასახლეები და ვაჟები გაქრნენ. სად არის სიმართლე, და სად ტყული? რომელია რეალური სამყარო – ეს თუ ის, ვერ გამიგია.“

როგორც კი გაიხსენებთ თქვენს წარსულ ცხოვრებებს, თქვენთვის ძნელი გასააზრებელი იქნება, რეალურია თუ არა ის სამყარო, რომელსაც თქვენ ხედავთ. თქვენ მიხვდებით, რომ ერთსა და იმავეს მრავალჯერ აკვირდებოდით და არაფერი არ არის სამუდამო – ყველაფერი იკარგება. მაშინ დაიბადება კითხვა: „მართალია თუ არა, რომ ის საგნები, რომელსაც ახლა ვხედავ, იმდენად რეალურია, როგორც ის საგნები, რომლებიც ადრე ვნახე? რამდენადაც ეს ყველაფერი მოძრაობს გარკვეული მიმართულებით და იზრდება, როგორც ყველა წინა სიზმრები.“

როცა ჩვენ ვუყურებთ ფილმს, ის ნამდვილი გვეჩვენება. მას შემდეგ, რაც ფილმი მთავრდება, ჩვენ გვჭირდება რამდენიმე წუთი, რომ რეალობას დავუბრუნდეთ, ვაღიაროთ, რომ ის სახეები, რომლებიც ვნახეთ კინოთეატრში, უბრალოდ ილუზია იყო. სინამდვილეში, ბევრი ადამიანი, რომლებიც არ აძლევენ თავიანთ გრძნობებს გზას, ტირიან, როცა ფილმს უყურებენ. ისინი უდიდეს შვებას გრძნობენ, რადგან მათ წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა მიზეზი უნდა ეპოვათ, რომ თავიანთი გრძნობებისთვის თავისუფლება მიეცათ. კინოში თავს ნებას აძლევენ, იტირონ ან იცინონ. როცა კინოთეატრიდან გამოვდივართ, პირველი, რაც თავში მოგვდის, ისაა, რამდენად ღრმად გავაიგივეთ თავი მასთან, რაც ეკრანზე ხდებოდა. თუ ჩვენ ყოველდღე ვუყურებთ ერთსა და იმავე ფილმს, მაშინ ილუზია ნელ-ნელა გაქრება, მერე გვავიწყდება, რა მოგვივიდა უკანასკნელი ფილმის ყურებისას და ისევ, როცა ახალი ფილმის საყურებლად მივდივართ, ისევ ვიჯერებთ, რაც იქ ხდება. ჩვენ რომ შეგვეძლოს მეხსიერებაში აღვადგინოთ წარსული ცხოვრების მოგონებები, მაშინ ჩვენი რეალური არსებობაც სიზმრად მოგვეჩვენებოდა. აქამდე რამდენჯერ დაუბერია ასეთ ქარს! აქამდე რამდენჯერ უმოძრავია ცაზე ღრუბლებს! ისინი ჩნდებოდნენ და მერე ქრებოდნენ და ასევე იქნება მათთვისაც, რომლებიც ახლა არიან – ისინი უკვე გაქრობის პროცესში არიან! თუ ჩვენ გავაცნობიერებთ ამას, მაშინ ჩვენ გამოცდილებას შევიძენთ, რომელიც ცნობილია სახელად – მაია. პარალელურად, ვიგრძნობთ, ყველა შემთხვევა, ყველა მოვლენა თითქმის არარეალურია: ისინი არასდროს ჰგავს ერთმანეთს.

მაგრამ ისინი გარდამავალია. მოდის ერთი სიზმარი, მას მოჰყვება სხვა, მას კი მესამე. პილიგრამი იწყებს მოძრაობას დროის გარკვეულ მომენტში და გადადის შემდეგ მომენტში. მომენტიდან მომენტამდე, მომენტი აგრძელებს გაქრობას, მაგრამ პილიგრამი აგრძელებს თავის მოგზაურობას.

ამიტომ ერთდროულად ორი შეგრძნების განცდა ხდება: ერთ-ერთი მათგანი – ობიექტური სამყარო – ეს ილუზიაა, მაია, მხოლოდ დამკვირვებელია რეალური; მეორე – ის, რაც თვალწინ ჩნდება, ტყუილია, მხოლოდ დამკვირვებელი, მოწმეა ჭეშმარიტი. საგნების გარეგანი სახე ყოველდღე იცვლება – ის მუდამ იცვლებოდა – მხოლოდ მოწმე, დამკვირვებელი, რჩება იმავედ, როგორც ადრე, შეუცვლელი. და გახსოვდეთ: ვიდრე თქვენი გარეგანი საგნები გეჩვენებათ რეალური, თქვენი ყურადღება არ იქნება ორიენტირებული შიგნიდან მაყურებელზე, მოწმეზე. მხოლოდ მაშინ, როცა გარეგანი საგნების სახე მოგეჩვენებათ არარეალური, თქვენ შეძლებთ გააცნობიეროთ მოწმე.

ამიტომ ვამბობ, რომ წარსული ცხოვრების გახსენება სასარგებლოა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მედიტაციას ჩაუღრმავდებით. მედიტაციაში იმდენად ღრმად შედით, რომ თქვენ შეძლოთ შეიძინოთ ის თვისება, რომ ცხოვრება სიზმრად დაინახოთ, გახდეთ მახატმა[18], წმინდანი, ეს თითქმის ისეთივე სიზმარია, როგორც ის, რომ თქვენ გახდეთ ქურდი. თქვენ შეგიძლიათ კარგი სიზმრები ნახოთ და თქვენ შეგიძლიათ ცუდი სიზმრები ნახოთ. საინტერესო ის არის, რომ სიზმარი, რომელშიც თქვენ ქურდი ხართ, შეიძლება, ძალიან მალე გაქრეს. როცა სიზმარი, რომელშიც თქვენ მახატმა ხართ, მოგვიანებით გაქრება, რამდენადაც ის სასიამოვნოდ გეჩვენებათ, ამიტომ სიზმარი, სადაც შენ მახატმა ხარ, უფრო საშიშია, ვიდრე ის, სადაც თქვენ ქურდი ხართ. ჩვენ გვინდა გაგრძელდეს სასიამოვნო სიზმრები, მაშინ როდესაც ის სიზმრები, რომლებიც გვაყენებენ ტკივილს, თავად ქრებიან. ამიტომ ძალიან ხშირად ხდება, ისე, რომ ცოდვილი უფრო მალე აღწევს ღმერთს, ვიდრე წმინდანი.

[18] მახატმა – უდიდესი სული, ინდურ მითოლოგიასა და თეოსოფიაში ერთ-ერთი სახელი მსოფლიო სულის. ინდუიზმში ეს ეპითეთი გამოიყენება მაღალსულიერების პიროვნებებისთვის

რამდენიმე მომენტზე მოგიყევით, რომელიც დაკავშირებული იყო თქვენს წარსულ ცხოვრებასთან, მაგრამ ამისთვის თქვენ მედიტირება უნდა დაიწყოთ. მოდით, დღეიდან დავიწყოთ მოძრაობა შიგნით; მხოლოდ მაშინ შევძლებთ მომზადებას იმისთვის, რაც შემდეგ მოხდება. ამგვარი მომზადების გარეშე, წარსულ ცხოვრებაში შესვლა რთული იქნება.

მაგალითად, აი, დიდი სახლი სარდაფებით, რომლებიც მიწის ქვეშ არის.

თუ ადამიანს, რომელიც სახლის გარეთ დგას, უნდა სარდაფში მოხვდეს, ის თავიდან სახლში უნდა შევიდეს, რადგან სარდაფში შესასვლელი სახლის შიგნით არის. ჩვენი წარსული ცხოვრებები სარდაფებს ჰგავს. როდესღაც ჩვენ იქ ვცხოვრობდით, მერე დავტოვეთ და ახლა, კიდევ, სადღაც ვცხოვრობთ. ამის მიუხედავად, ამ მომენტში, სახლის წინ ვდგავართ. იმისთვის, რომ განვაახლოთ ჩვენი მეხსიერება წარსულ ცხოვრებაზე, მოგვიწევს სახლში შესვლა. ამაში არაფერია რთული, არც საშიში.

ჩემი მეგობარი, რომელიც იოგითაა დაკავებული, აცხადებს, რომ წარსულ ცხოვრებაში ბელურა იყო. შესაძლებელია ეს?

შესაძლებელია, რომ ევოლუციის მიმდინარეობისას ადამიანი იყო ცხოველი, მაგრამ მას არ შეუძლია კვლავ ცხოველად დაბადება. ევოლუციის პროცესში ადამიანს არ შეუძლია დეგრადირდეს, რეგრესი შეუძლებელია. შესაძლებელია, რომ თქვენ უფრო სრულყოფილი გახდეთ იმასთან შედარებით, ვინც ამ ცხოვრებაში ხართ, მაგრამ ეს შეუძლებელია, თუ თქვენ დეგრადირდებით. ამ ცხოვრებაში თქვენ არ შეგიძლიათ იმოძრაოთ საპირისპირო მიმართულებით, ასეთი ვარიანტი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ორი გზა: ჩვენ ან წინ ვმოძრაობთ, ანდა ვრჩებით იქ, სადაც ვართ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია უკან დაბრუნება.

ეს იმას ჰგავს, ბავშვმა რომ პირველი კლასი დაამთავროს, გადავა მეორე კლასში და თუ გამოცდაზე ჩაიჭრა, მეორე წელს რჩება. მაგრამ მისი გადაყვანა უფრო წინ შეუძლებელია, რჩება პირველ კლასში. ამგვარად, თუ ის ჩაიჭრება მეორე კლასში, შეგვიძლია იქ დავტოვოთ, მაგრამ ვერაფრით გადავიყვანთ

პირველ კლასში. ჩვენ ან დავრჩებით როგორც ერთი ევოლუციური სახეობა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ანდა გარდავიქმნებით ახალ სახეობად, მაგრამ არ შეგვიძლია გავხდეთ სახეობა, რომელიც ერთი საფეხურით დაბლა დგას.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ვიღაც ადრე იყო ცხოველი ანდა ფრინველი, ეს, ალბათ, ასე იყო. მაგრამ რამდენად დიდხანს იყო ის, განვითარების ამ საფეხურზე, ეს უკვე სხვა საკითხია. თუ ჩვენ შევაღწევთ ჩვენს წარსულ ცხოვრებაში, მაშინ შეგვეძლება გავიხსენოთ ის ევოლუციური ტიპები, რომელიც რეალურ მომენტამდე გავიარეთ.

შეიძლება, ჩვენ ვიყავით ცხოველი, ფრინველი, პატარა ბეღურა... უფრო დაბლა და დაბლა. ოდესღაც ჩვენ, შესაძლოა, ვყოფილიყავით, ინერტულობის ისეთ წერტილში, სადაც რთული იქნებოდა ცნობიერების რაიმე ნიშნის გარჩევა.

მთებიც ცოცხალია. მიუხედავად ამისა, მათში თითქმის არ არის ცნობიერება. ისინი ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით ინერციისგან შედგება, ერთი პროცენტი მოდის ცნობიერებაზე. რამდენადაც, როგორც ცხოვრება ვითარდება, ცნობიერება იზრდება, ინერტულობა მცირდება. ღმერთი ცნობიერია ასი პროცენტით. განსხვავება ღმერთსა და მატერიას შორის პროცენტური მაჩვენებელია. განსხვავება ღმერთსა და მატერიას შორის არის რაოდენობაში და არა ხარისხში. ამიტომ მატერიას, ბოლოს და ბოლოს შეუძლია გახდეს ღვთაებრივი.

ეს საერთოდ არაა უცნაური, ანდა რთულად მისაღები, რომ ადამიანი შესაძლებელია წარსულ ცხოვრებაში იყო ცხოველი. ის, რაც მართლაც გაოცებას იწვევს, ის არის, რომ იმის მაგივრად, რომ ვიქცეოდეთ, როგორც ადამიანები, ვიქცევით, როგორც ცხოველები! ეს, საერთოდ, არ არის გასაკვირი, რომ ერთერთი წარსული ცხოვრებიდან შესაძლოა, ცხოველები ვყოფილიყავით. შესაძლოა, ადამიანად ყოფნის დროსაც ჩვენი ცნობიერი იმდენად იყოს განუვითარებული, რომ ჩვენ ადამიანებს მხოლოდ ფიზიკურად ვგავდეთ. თუ იმას შევხედავთ, რისკენაც მივისწრაფვით, ისე ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღარ ვართ ცხოველები, ადამიანებად მაინც ვერ ვიქეცით. ისე ჩანს, რომ სადღაც შუაში გავიჭედეთ. როგორც კი

შესაძლებლობა ჩნდება, დროის დაუკარგავად ისევ ცხოველურ დონეს ვუბრუნდებით.

მაგალითად, თქვენ ქუჩაში მიდიხართ, როგორც ჯენლტმენი, ვიღაც მოდის და გარტყამთ, გეჩხუბებათ. წამიერად თქვენს შიგნით ჯენლტმენი, სხვა ჯენლტმენს უთმობს ადგილს და თქვენ აღმოაჩენთ, რომ თქვენში აირეკლება ის ცხოველი, რომელიც რომელიღაც წარსულ ცხოვრებაში იყავით. ცოტა გაასუფთავეთ ზედაპირი – და შიგნიდან გამოჩნდება ცხოველი და ისეთი ნაკადით წარმოჩინდება, რომ მხოლოდ გაკვირვებას შეძლებთ, იყო კი ოდესმე ის ადამიანი.

ის მდგომარეობა, რომელშიც ახლა ჩვენ ვართ, შეიცავს ყველაფერს, რაც აქამდე ვიყავით. აქ ფენა-ფენა არის ყველა ის მდგომარეობა, რომელიც მანამდე გავიარეთ. თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ, მაშინ ჩვენი არსობის შინაგან ფენას მივაღწევთ, შეგვიძლია იმ მდგომარეობასაც მივაღწიოთ, როდესაც ქვა ვიყავით; ისიც წარმოადენს ჩვენს ერთ-ერთ შინაგან ფენას. სადღაც, ღრმად, ჩვენ ისევ ქვები ვართ; ამიტომ, თუ ვინმე გვიბიძგებს ამ სიღრმისკენ, დავინახავთ საკუთარ თავს, როგორც ქვას, ჩვენ ვმოქმედებთ, როგორც ქვები. ჩვენ შეგვიძლია ცხოველივით მოქცევაც; სინამდვილეში საკუთარ თავებს ასეთებად ვხედავთ. ის, რაც ჩვენ წინ არის – ეს მხოლოდ ჩვენი პოტენციური შესაძლებლობებია, ეს არ არის ფენა. ამიტომ დროდადრო, ნახტომის გაკეთება და ამ შესაძლებლობების მიღწევა არ შეგვიძლია, ჩვენ ისევ უკან, მიწაზე ვეცემით.

ოდესმე შევძლებთ ღმერთებად გადაქცევას, მაგრამ ახლანდელ დროში ჩვენ არ ვართ ღმერთები. ჩვენში ჩადებულია იმის პოტენციალი, რომ ღმერთები გავხდეთ, თუმცა, რასაც წარმოვადგენთ ახლა, იმისგან შედგება, ვინ ვიყავით წარსულში.

ამიტომ არის ორი გზა: თუ ჩვენს შიგნით ვიქექებით, შევეჯახებით ჩვენს სხვადასხვა სახეს; თუ ჩვენ წინ გადავახტებით დაბადების ჯაჭვს, იმ მდგომარეობებს განვიცდით, რომელიც წინ გვიდევს. ისევე როგორც, თუ ვინმე ნახტომს გააკეთებს, წამის განმავლობაში, ის მიწას სცილდება და ჰაერში ეკიდება და შემდეგ წამს, ის, ისევ მიწას უბრუნდება. დროდადრო, ჩვენ ვაკეთებთ ნახტომს, ჩვენი ამჟამინდელი ცხოველური მდგომარეობიდან და ადამიანები ვხდებით, მაგრამ მერე, ისევ ჩვეულ

მდგომარეობაში ვბრუნდებით. თუ თქვენ უფრო ყურადღებიანი დამკვირვებლები იქნებით, აღმოაჩენთ, რომ ოცდაოთხი საათის განმავლობაში, ძალიან იშვიათად, თითზე ჩამოსათვლელი გაელვებებით, ნამდვილი ადამიანები ვხდებით და ამის შესახებ ძალიან კარგად ვიცით.

უპოვრებს დავაკვირდეთ. ისინი მოწყალების სათხოვნელად დილიდანვე მოდიან. ისინი არასდროს მოდიან საღამოს, რადგან საღამოს იმის ალბათობა, რომ ვინმე ადამიანურ მდგომარეობაში დარჩება, პრაქტიკულად ნულის ტოლია. დილიდან, როცა ადამიანი დგება, ღამით დასვენებული, განახლებული და მხიარული, უპოვარი იმედოვნებს, რომ ის, ცოტათი მაინც, იქნება ადამიანი. ის არ ელის ქველმოქმედებას საღამოს, რადგან იცის, მთელი დღის განმავლობაში, ადამიანს რისი გავლა მოუწია - ოფისი, ბაზარი, არეულობა და პროტესტი, გაზეთები და პოლიტიკა – ყველაფერმა ამან შეიძლება არეულობა გამოიწვიოს ყველაფერი გროვდება ერთ მთლიანობაში იმგვარად, რომ მის შიგნით, ცხოველური ფენა გაააქტიურა. საღამოსკენ ადამიანი იღლება; ის ცხოველად გადაიქცევა. ამიტომ ღამის კლუბებში თქვენ ხედავთ ცხოველებს, რომლებიც საკუთარ თავს ცხოველურად გამოხატავენ. მთელი დღის განმავლობაში, ადამიანი ადამიანობით იღლება, სწყურია ალკოჰოლი, ხმაური, აზარტული თამაშები, ცეკვა, სტრიპტიზი: მას სურს თავისივე მსგავსი ცხოველების გარემოში იყოს. ღამის კლუბები ადამიანის ცხოველურ ბუნებას გარდაქმნის. ამის მიზეზია ის, რატომაც დილა ყველაზე ძალიან შეესაბამება ლოცვას და რატომაა ამისთვის საღამო შეუსაბამო; ყველა ტაძარში ზარები დილიდან რეკენ. ღამე იღება ღამის კლუბების, კაზინოების, ბარების კარი. მეძავებს არ შეუძლიათ ვინმეს დაპატიჟება დილით, ისინი კლიენტებს მხოლოდ საღამოს ეპატიჟებიან.

მძიმე სამუშაო დღისგან დაღლილი ადამიანი, ცხოველად გადაიქცევა, ამიტომ ღამის სამყარო განსხვავდება დღის სამყაროსგან. მეჩეთში ლოცვისთვის მოხმობა ისმის დილაობით. ტაძარშიც დილას რეკენ ზარები. არის იმის იმედი, რომ ძილის შემდეგ, ამდგარი ადამიანი, დილით განახლებული, ღმერთს მიმართავს. საღამოს, როცა ადამიანი სამუშაოსგან დაღლილია. ამის მცირე შანსია

ამ მიზეზითვე უდიდესი იმედია, რომ ბავშვები ღმერთს მიმართავენ, მაგრამ მცირეა იმედი იმისა, რომ ამას მოხუცები გააკეთებენ: ისინი თავიანთი ცხოვრების ბოლოში არიან და ცხოვრებამ ამ მომენტისთვის მათგან ყველაფერი აიღო, რაც მათ გააჩნდათ. ამიტომ თქვენ უნდა წახვიდეთ მოგზაურობაში, რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება დილით ადრე. საღამო აუცილებლად დადგება, მაგრამ მანამდე, ვიდრე ის დადგება, თუ დილიდანვე წავედით სამოგზაუროდ, მაშინ შეიძლება, საღამოს ღვთაებრივ ტაძარში აღმოვჩნდეთ.

ამიტომ ჩვენი მეგობარი მართალია, როცა იკითხა, შეიძლება ასეთი რამ, რომ ადამიანი წარსულ ცხოვრებაში იყო ცხოველი ან ფრინველი. თუმცა, რაც ჩვენ უნდა გავიაზროთ, ეს ის არის, რომ ამ ცხოვრებაში ფრინველად, ანდა ცხოველად დარჩენა არ ღირს.

ვიდრე მედიტაციას დავიწყებთ, ვისწავლოთ რამდენიმე რამ. პირველი – ჩვენ მთლიანად უნდა გავუშვათ საკუთარი თავი. თუ თქვენ, ოდნავ მაინც, შეაკავებთ თქვენს თავს, მაშინ მედიტაციის დროს, ეს დაბრკოლებად გადაიქცევა. გაუშვით თქვენი თავი ისე, თითქოს მკვდრები ვართ, ვითომ მართლა გარდავიცვალეთ. სიკვდილი ისე უნდა მიიღოთ, თითქოს ის უკვე დადგა, თითქოს გარშემო ყველაფერი მოკვდა და ჩვენ საკუთარ თავებში უფრო ღრმად და ღრმად ჩავიძირებით. ახლა მხოლოდ ის დარჩება ცოცხალი, რაც მუდამ ცოცხალია. ჩვენ უკუვაგდებთ ყველაფერს, რაც მოკვდავია. ამიტომაც ვთქვი მანამდე, რომ ეს იქნება სიკვდილით ექსპერიმენტი.

ეს ექსპერიმენტი სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ეს არის სხეულის მოდუნება; მეორე – სუნთქვის მოდუნება; მესამე – გონების მოდუნება. ეს ყველაფერი ნელ-ნელა უნდა გაუშვათ.

დასხედით, თუ შეიძლება, ერთმანეთისგან მოშორებით. შეიძლება ვილაც დაეცეს, ამიტომ შეინარჩუნეთ ერთმანეთისგან დისტანცია. ცოტა წინ წაიწიეთ, ანდა უკან გადმოსხედით, რომ ერთმანეთთან ძალიან ახლოს არ ისხდეთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელ დროს დაკარგავთ იმაზე, რომ თავი დაიცვათ იმისგან, რომ ვინმეს არ დაეცეთ.

როცა სხეული მოდუნდება, ის შეიძლება გადავარდეს წინ ან უკან, ზუსტად თქმა შეუძლებელია. თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ, ვიდრე მას აკონტროლებთ, მაგრამ როგორც კი სხეულის კონტროლს თავს ანებებთ, ის ავტომატურად ვარდება. როგორც კი კონტროლს შეასუსტებთ შიგნიდან, მაშინ ვინ შეაკავებს სხეულს? – ის აუცილებლად დაეცემა. თუ თქვენ გააგრძელებთ მის შეკავებას იმისგან, რომ არ დაეცეს, იმ ადგილზევე დარჩებით, სადაც ახლა ხარ, თქვენ ვერ შეძლებთ მედიტაციაში შესვლას. ამიტომ, როცა თქვენი სხეული მზადაა დაცემისთვის, ნება მიეცით, ეს გააკეთოს. მაშინვე გაუშვით. არ შეაკავოთ, რადგან თუ თქვენ ამას გააკეთებთ, ეს ხელს შეგიშლით ჩაუღრმავდეთ საკუთარ თავს. არ შეწუხდეთ, თუკი ვიღაც დაგეცემათ, მიეცით ნება, ასე იყოს. თუ ვინმეს თავი, რაღაც დროით თქვენს მუხლებზე იქნება, დაე, იყოს, არ შეშფოთდეთ ამის გამო.

ახლა, კი დახუჭეთ თვალები. დახუჭეთ რბილად. მოადუნეთ სხეული. გაუშვით მთლიანად, ვითომ ის უკვე ცოცხალი არ არის. სხეულიდან გამოუშვით მთლიანი ენერგია და შეაბრუნეთ თქვენში. მთლიანი ენერგია მოძრაობს შიგნით, სხეული კი მოდუნებულია.

ახლა კი დავიწყებ კომენტარებს: სხეული დუნდება, ჩვენ მშვიდნი ვხდებით... შეიგრძენით, როგორ მოდუნდა სხეული. გაუშვით ის, დაგაადგილდით შიგნით ისევე, როგორც ადამიანი საკუთარ სახლში შედის. გადაადგილდით შიგნით, შედით იქ. სხეული დუნდება... მთლიანად გაუშვით... დაე, უსიცოცხლო გახდეს, თითქოს მკვდარია. სხეული დუნდება, სხეული დუნდება, სხეული მთლიანად მოდუნდა...

ვხედავ, მთლიანად მოადუნეთ თქვენი სხეული, რომ სრულიად აღარ აკონტროლებთ მას... თუ სხეული ვარდება, დაე, დაეცეს; თუ ის წინ გადაიხრება, დაე, გადაიხაროს. მიეცით ნება არსებობის საშუალება იმ ყველაფერს, რაც ხდება, თქვენ კი მოდუნდით... მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ არ დაიჭიროთ თქვენი სხეული. მიაპყარით მზერა თქვენს შინაგანს, რომ დარწმუნდეთ, რომ თქვენ სხეულს არ იჭერთ... კარგი იქნება. თავს უთხრათ: „არაფერს ვიჭერ; მთლიანად გავუშვი საკუთარი თავი.“

სხეული მოდუნებულია, თქვენ ის გაუშვით. სუნთქვა წყნარდება, სუნთქვა ნელდება. შეიგრძენით ეს... სუნთქვა შენელდა... გაუშვით ის მთლიანად. თქვენ არ შეიკავოთ ასევე სუნთქვა, შეეშვით მის კონტროლს. სუნთქვა ნელდება, სუნთქვა წყნარდება... სუნთქვა დამშვიდდა, სუნთქვა ნელი გახდა...

სუნთქვა დამშვიდდა. აზრებიც მშვიდდებიან. შეიგრძენით ეს... გონება ჩუმი ხდება... გაუშვით ის... თქვენ გაუშვით სხეული, თქვენ გაუშვით სუნთქვა, ახლა გაუშვით აზრებიც. გათავისუფლდით მათგან... მთლიანად შედით თქვენში, აზრებისგან სრულიად გათავისუფლდით.

ყველაფერი დამშვიდდა, თითქოს ყველაფერი გარეთაა, მოკვდა. ყველაფერი მოკვდა... ყველაფერი დამშვიდდა... შიგნით დარჩა მხოლოდ ცნობიერი... ცნობიერების მწველი ცეცხლი, დანარჩენი ყველაფერი მოკვდა. გაუშვით ყველაფერი... გაუშვით სრულიად ყველაფერი, თითქოს თქვენ არ არსებობთ. გაუშვით სრულიად ყველაფერი... თითქოს თქვენი სხეული მოკვდა, თითქოს ის აღარ არსებობს. თქვენი სუნთქვა დამშვიდდა, თქვენი აზრები დამშვიდდა, თითქოს სიკვდილი მოვიდა. და იმოძრავეთ თქვენს შიგნით, მხოლოდ შიგნით. გაუშვით ყველაფერი... გაუშვით სრულიად ყველაფერი. გაუშვით მთლიანად ყველაფერი, არაფერი შეაკავოთ. თქვენ მკვდარი ხართ.

წარმოიდგინეთ, რომ ყველაფერი მოკვდა, მთლიანი სამყარო მოკვდა – შიგნით დარჩა მხოლოდ ანთებული ცეცხლი, ყველაფერი დანარჩენი მოკვდა. ყველაფერი დანარჩენი მოკვდა, აორთქლდა. ათი წუთის განმავლობაში სიცარიელეს შეიგრძნობთ. იყავით მოწმე. გააგრძელეთ დაკვირვება სიკვდილზე. ყველაერი დანარჩენი თქვენს გარშემო გაქრა. სხეულიც უთქვენოდ დარჩა, დარჩა შორს ქვევით, ძალიან შორს – ჩვენ კი, უბრალოდ, ვაკვიდებით მას. გააგრძელეთ დაკვირვება, დარჩით მოწმედ. ათი წუთის განმავლობაში გააგრძელეთ შიგნით ყურება.

გააგრძელეთ შიგნით ყურება... დანარჩენი ყველაფერი გარეთ მკვდარია. გაუშვით ყველაფერი... იყავით სრულიად მკვდარი. გააგრძელეთ დაკვირვება, დარჩით მოწმედ... გაუშვით ყველაფერი, თითქოს თქვენ მკვდარი ხართ და სხეული გარეთ მკვდარია. სხეული დამშვიდდა, გონება დამშვიდდა,

მხოლოდ ცნობიერის ცეცხლი აგრძელებს დაკვირვებას, დარჩა მხოლოდ ის, რასაც ხედავ, დარჩა მხოლოდ მოწმე. გაუშვით ყველაფერი... გაუშვით ყველაფერი... გაუშვით ყველაფერი მთლიანად...

რაც არ უნდა მოხდეს, მიეცით ამას ნება, რომ მოხდეს. გაუშვით მთლიანად ყველაფერი, უბრალოდ გააგრძელეთ ყურება თქვენს შიგნით და მიეცით ნება ყველაფერს, წავიდეს. მოეშვით თავშეკავებას...

გონება წყნარი და ცარიელია, გონება სრულიად ცარიელია... გონება ცარიელია, გონება სრულიად ცარიელია... თუ თქვენ ცოტა მაინც აკავებთ საკუთარ თავს, მაშინ გაუშვით საკუთარი კონტროლი, გაუშვით სრულიად ყველაფერი, გაქრით, თითქოს თქვენ აღარ ხართ. გონება დაცარიელდა... გონება წყბარი და ცარიელია... გონება სრულიად ცარიელია...

გააგრძელეთ საკუთარ თავში ყურება, გაარძელეთ საკუთარ თავში ყურება ცნობიერად – ყველაფერი დაწყნარდა. სხეული დარჩა გარეთ, ძალიან დაბლა; გონება თქვენგან ძალიან შორს დარჩა, იწვის მხოლოდ ცეცხლი, ცნობიერი ცეცხლი, მხოლოდ ცეცხლი იწვის...

ახლა კი ნელა რამდენჯერმე ამოისუნთქეთ. დააკვირდით თქვენს სუნთქვას... ყოველი ამოსუნთქვისას სიჩუმე უფრო და უფრო ღრმა გახდება. ჩაისუნთქეთ რამდენჯერმე ნელა და გააგრძელეთ თქვენში ყურება; გააგრძელეთ მოწმედ ყოფნა სუნთქვასთან დაკავშირებითაც. გონება უფრო მშვიდი ხდება... ჩაისუნთქეთ რამდენჯერმე ნელა, მერე კი ფრთხილად გაახილეთ თვალი. თუ ვინმე დაეცა, მაშინ ჯერ ღრმად ჩაისუნთქეთ, მერე კი ნელა წამოდექით. ნუ იჩქარებთ ადგომას, თუ გრძნობთ, რომ ამის გაკეთება ჯერ არ შეგიძლიათ... ნუ იჩქარებთ, ან გრძნობთ, რომ თვალის გახელა გიჭირთ... თავიდან ღრმად ჩაისუნთქეთ, მერე კი გაახილეთ თვალი... ძალიან მსუბუქად ადექით. მკვეთრად არაფერი გააკეთოთ – მკვეთრად არ ადგეთ და უცებ არ გაახილოთ თვალი...

ამით ჩვენი დილის სესია მედიტაციაზე დასრულებულია.

თავი მესამე

მთელი სამყარო – ტაძარია

თქვენ გვანახეთ უარყოფის მეთოდი ჭეშმარიტების, ანდა ღვთაებრივი ყოფის გასააზრებლად. ეს მეთოდი ყველაფრის გამორიცხვაა დანარჩენებისგან თვითშემეცნებისთვის. შესაძლებელია ამგვარი შედეგების მიღწევა, თუკი საწინააღმდეგოდ მოვიქცევით? შესაძლებელია, რომ ყველაფერში ღმერთი არ დავინახოთ? შესაძლებელია, რომ საერთოდ არ ვგრძნობდეთ ეგოს?

ამ მომენტის გაგება დაგეხმარებათ. მას, ვისაც არ შეუძლია გააცნობიეროს თავისთავში ღმერთი, ვერასდროს გააცნობიერებს ყველაფერში. მას, ვისაც არ გაუცნობიერებია ღმერთი საკუთარ თავში, ვერასდროს გააცნობიერებს სხვებში. თვით ნიშნავს იმას, რომ ყველაზე ახლოს თქვენთანაა, და მაშინ ნებისმიერი, ვინც თქვენგან ოდნავ მოშორებითაა, ითვლება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანად შორს. თუ თქვენ არ შეგიძლიათ ღმერთის დანახვა თქვენში, ვინც ყველაზე ახლოსაა თქვენთან, მაშინ ვერ შეძლებთ მის დანახვას მათში, ვინც თქვენგან შორსაა. თავიდან ღმერთი თქვენში უნდა შეიმეცნოთ, თავიდან შეცნობილმა უნდა გაიგოს ღვთაებრიობა, რომელიც უახლესი კარია.

მაგრამ გახსოვდეთ, საინტერესო მომენტი ისა, რომ ადამიანი, რომელიც საკუთარ თავში შედის, შესასვლელს პოულობს ყველგან. საკუთარ თავში კარი – ეს ყველაფრის კარია. როგორც კი ადამიანი საკუთარ თავში შედის, მაშინვე აღმოაჩენს, რომ ყველაფერში შევიდა, რადგან თუმცა გარეგნულად განვსხვავდებით, შიგნით ყველა ერთნი ვართ.

გარეგნულად ყველა ფოთოლი ერთმანეთისგან განსხვავდება. მაგრამ თუ ადამიანმა შეძლო ერთ ფოთოლში შეღწევა, ის ხის სათავეს მიაღწევს, სადაც ყველა ფოთოლი ერთია. თუ

თითოეულ ფოთოლს ცალ-ცალკე შევხედავთ, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ფოთლის შინაგან სამყაროს თუ გაიგებთ, მაშინ მიაღწევთ პირველწყაროს, საიდანაც ჩნდება ყველა ფოთოლი და სადაც ისინი ქრებიან. ის, ვინც შედის თავის თავში, ერთდროულად შედის ყველგან.

მანძილი „მე"-სა და „შენ"-ს შორის რჩება მანამდე, ვიდრე საკუთარ თავში არ შევალთ. იმ დღეს, როცა საკუთარ „მე"-ში შევაბიჯებთ, ეს „მე" ქრება ისევე, როგორც „შენ" და რჩება ყველაფერი.

სინამდვილეში „ყველაფერი" არ ნიშნავს შეჯამებას „მე" და „შენ". „ყველაფერი" ნიშნავს, რომ გაქრა მე და შენ, რომ დარჩა – ეს და ეს, არის ყველაფერი. თუ „მე" აქამდე არ დავიშალე, მაშინ ადამიანს თავდაჯერებულად შეუძლია შეაჯამოს „მე" და „შენ", მაგრამ ეს შეჯამება არ იქნება ჭეშმარიტების ტოლი. მაშინაც კი, თუ ადამიანი ყველა ფოთოლს აჯამებს, ხე არ გამოჩნდება არსებობაში იმის მიუხედავად, რომ მისი ფოთლები ერთად დაალაგეს. ხე – ეს უფრო მეტია, ვიდრე ყველა ფოთლის შეჯამება. სინამდვილეში, არანაირად არ არის კავშირში შეჯამებასთან და ფოთლების ერთად დალაგებაც შეცდომაა. ფოთლების ერთად დალაგებით, ჩვენ განვიხილავთ თითოეულ ფოთოლს, როგორც ცალკე არსებას. ხე საერთოდ არ შედგება ცალკეული ფოთლებისგან.

ასე რომ, როგორც კი შევდივართ „მე"-ში, ის მაშინვე წვეტს არსებობას. პირველი, რაც ქრება, როცა ჩვენში შევდივართ, ეს საკუთარი განცალკევებული არსებობის შეგრძნებაა და მაშინ, როცა ქრება „მე"-ს არსებობა, ქრება „შენ" და „სხვების" არსებობაც და მაშინ რაც რჩება, ეს არის ყველაფერი.

ამ მოვლენას რომ ყველაფერი ვუწოდოთ არაკორექტულიცაა, რადგან „ყველაფერსაც" ძველი „მეს" მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მათ, ვინც იცის ამის შესახებ, არც კი უწოდებენ ყველაფერს. ისინი იკითხავენ: „რისი დაჯამება? რას ვაგროვებთ?" ამიტომ ისინი განაცხადებენ იმაზე, რაც ერთი რჩება. იმის მიუხედავად, რომ შეიძლება ისინი ორჭოფობდნენ კიდეც ამ განცხადებისას, რადგან ერთის მტკიცებას მოჰყვება ორის არსებობის შთაბეჭდილება, ის ახდენს შთაბეჭდილებას, რომ ერთს თავისთავად არ აქვს მნიშვნელობა, თუ არ არის ორის

გაგება. ერთი არსებობს ორის კონტექსტში. შესაბამისად, მათ, ვისაც აქვთ უფრო ღრმა შეგნება, არც კი ლაპარაკობენ, რომ რჩებიან მარტო, ლაპარაკობენ იმაზე, რომ რჩებიან ადვაიტა-ში,[1] ორობის არყოფნაში.

ეს ძალიან საინტერესოა. ეს ადამიანები ამბობენ, რომ „ორი არ დარჩა." ისინი არ ამბობენ, რომ „ერთი დარჩა", არამედ, ამბობენ, რომ „ორი არ დარჩა". აბვაიტა ნიშნავს, რომ ორი არ არის.

ვიღაცამ შეიძლება იკითხოს: „რატომ ლაპარაკობთ ამდენს? თქვით უბრალოდ, რომ არის მხოლოდ ერთი!" წარმოთქმულ სიტყვა „ერთში" საშიშროება ის არის, რომ ამის გამო წარმოიშობა აზრი „ორი". და როცა ვამბობთ, რომ ორი არ არის, აქედან გამომდინარეობს, რომ არც სამია. ეს გულისხმობს, რომ არ არის არც ერთი, არც მრავლობითი, არაფერი. სინამდვილეში ეს გაყოფა გაგების მეშვეობით წარმოიშვა, რომელიც დაფუძნებულია „მეს" არსებობასთან. ამიტომ, როცა „მე" თავის არსებობას წყვეტს, მაშინ რჩება ის, რაც მთლიანია და განუყოფელი.

მაგრამ შეგვიძლია გავაკეთოთ ისე, როგორც გვირჩია ჩვენმა მეგობარმა, ამისთვის უნდა გავიაზროთ ეს: შეგვიძლია კი არ დავინახოთ ღმერთი ყველაში? ასეთი მოქმედება სხვა არაფერი იქნება, თუ არა უსასრულო ფანტაზია და ის არ მიგვიყვანს ჭეშმარიტების შეცნობამდე.

ამას წინათ, მომიყვანეს ერთი წმინდანი. მითხრეს, რომ ის ყველგან ღმერთს ხედავდა, რომ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, ის ყველაფერში ღმერთს ხედავდა – ანუ ყვავილებში, მცენარეებში, ქვებში. ამ ადამიანს ვკითხე, ხედავდა თუ არა ის ღმერთს ყველაფერში პრაქტიკულად, რადგან ამ შემთხვევაში მისი ხედვა ყალბი იქნებოდა. მან ვერ გამიგო. მე ისევ ვკითხე:

– თქვენ როდესმე თავი წარმოგიდგენიათ ყველაფერში ღმერთად თუ გინდოდათ ასეთად დაგენახათ ის?

– მართალია, – მიპასუხა მან, – ოცდაათი წლის წინ, დავიწყე ეს სადხანუ, რომელშიც ვეცადე ღმერთი დამენახა ქვებში.

[1] ადვაიტა – ინდური ფილოსოფიური სისტემა, ძირითადი თეზისია „ბრახმანი რეალურია, სამყარო არარეალური, მე და ბრახმანი ერთი და იგივეა."

მცენარეებში, მთებში, ყველაფერში. და მე ყველაფერში ღმერთის დანახვა დავიწყე.

ვთხოვე, ჩემთან დარჩენილიყო სამი დღე და ამ სამი დღის განმავლობაში, ყველაფერში ღმერთი არ დაენახა. ის დამთანხმდა, მაგრამ მეორე დღეს მითხრა:

– თქვენ ძალიან დამაზარალეთ. მხოლოდ თორმეტი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვეულ პრაქტიკაზე უარი ვთქვი და დავინახე ქვები და მთები თავიანთ ჭეშმარიტ ადგილზე. თქვენ ჩემი ღმერთი წამართვით! რა ადამიანი ხართ?

მე ვუპასუხე:

– თუ ღმერთის დაკარგვა შეიძლება თორმეტ საათში შეწვეტილი პრაქტიკის გამო, მაშინ რასაც თქვენ ხედავდით, არ იყო ღმერთი, არამედ თქვენი რეგულარული ვარჯიშების შედეგი.

ეს იგივეა, რომ ადამიანი განუწყვეტლივ იმეორებდეს რაღაცას და შექმნას ილუზია. არა, ღმერთი არ შეიძლება ქვებში დავინახოთ. ამის მაგივრად უნდა მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომლის მეშვეობითაც ქვაში არაფერი დარჩება, გარდა ღმერთისა. ეს სხვადასხვა რამეა.

მცდელობებით, ღმერთი დაინახოთ ქვაში, თქვენ მის დანახვას დაიწყებთ მასში, მაგრამ ღმერთი სხვა არაფერი იქნება, გარდა გონების პროეცირებისა. ამ ღმერთს თავს მოახვევთ ქვას, ის თქვენი წარმოდგენის ნაყოფი იქნება. ეს ღმერთი იქნება წმინდაწყლის თქვენივე შექმნილი, ის იქნება მხოლოდ თქვენი წარმოდგენის ნაყოფი. ასეთი ღმერთი სხვა არაფერია, თუ არა თქვენი სიზმარი, რომელიც თქვენვე გაამყარეთ თქვენი მუდმივი გამოძახებებით. ამგვარი ღმერთის ხედვაში არავითარი სირთულე არ არის, მაგრამ ასე ილუზიაში შედიხართ და არა ჭეშმარიტებაში.

რასაკვირველია, ერთხელაც ხდება ისე, რომ ადამიანი თავად ქრება და, შესაბამისად, ვერაფერს ხედავს, გარდა ღმერთისა. მაშინ ის ვერ შეიგრძნობს ღმერთს ქვაში, არამედ გრძნობს ასე: „სად არის ქვა? მხოლოდ ღმერთია!“ თქვენ ხვდებით განსხვავებას, რომელსაც გაჩვენებთ? ამ შემთხვევაში, ადამიანი ვერ გრძნობს, რომ ღმერთი არსებობს მცენარეში ან ქვაში, რომ არსებობს მცენარე და ამ მცენარეში ცხოვრობს ღმერთი – არა, არაფერი ამდაგვარი. ადამიანი ასე ფიქრობს: „სად არის

მცენარე? სად არის ქვა? სად არის მთა?" იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც გარშემო ჩანს, ყველაფერი არსებითი ღმერთია და მერე ღმერთის ხილვა არ არის დამოკიდებული თქვენს ვარჯიშზე, დამოკიდებულია თქვენს გამოცდილებაზე.

ყველაზე დიდი საშიშროება სადხანაში ანუ სულიერ პრაქტიკაში – ეს არის წარმოსახვის საშიშროება. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სიმართლე, რომელიც ჩაანაცვლებს ჩვენს გამოცდილებას. არსებობს განსხვავება გამოცდილებასა და ფანტაზიას შორის. ადამიანი, რომელიც მთელი დღე შიმშილობდა, ჭამს ღამით, სიზმრებში და ძლიერ დაკმაყოფილებას განიცდის. შესაძლებელია, ის ვერ პოულობს ისეთ სიხარულს საჭმლის მიღებისას ფხიზელ მდგომარეობაში, როგორც ძილში. სიზმარში, მას შეუძლია ჭამოს ნებისმიერი საჭმელი, რომელიც მოესურვება. მიუხედავად ამისა, დილით მისი მუცელი ისევ ცარიელია და მის მიერ ძილში ნაჭამი საჭმელი არ კვებავს მას. თუ ადამიანი გადაწვეტს, რომ ძილში შეჭმული საჭმლის იმედად იცხოვროს, ის ადრე თუ გვიან აუცილებლად მოკვდება. არ არის მნიშვნელოვანი, რამდენად დამაკმაყოფილებელია მისი საჭმელი, რომელიც ძილში ჭამა, ეს ხომ სინამდვილეში არ არის საჭმელი.

ასეთი საჭმელი არ არის არც სისხლის ნაწილი, არც ხორცის, არც ძვლის. სიზმარს შეუძლია მხოლოდ ტყუილის გამოწვევა.

მხოლოდ საჭმელი არ არის შექმნილი სიზმრისგან, თავად ღმერთიც. მაკშა, გათავისუფლებაც სიზმრისგან არის შექმნილი. ადამიანის გონების ყველაზე დიდი უნარი – ეს არის საკუთარი თავის მოტყუება, თუმცა ამგვარ ტყუილს დაყოლილებს, არავის შეუძლია მიაღწიოს სიხარულსა და გათავისუფლებას.

ამრიგად, არ გთხოვთ ყველაფერში ღმერთის დანახვას. უბრალოდ, გთხოვთ, დაიწყოთ ყურება საკუთარ თავში და დაინახოთ ის, რაც იქ არის. როცა თქვენს თავში დაიწყებთ ყურებას იმისთვის, რომ დაინახოთ, რა არის იქ, პირველი ადამიანი, ვინც გაქრება, იქნებით თქვენ, რადგან სწორედ თქვენ შეწყვეტთ არსებობას თქვენს შიგნით. პირველად აღმოაჩენთ, რომ „მე" ილუზია იყო, რომ ის გაქრა, დაიკარგა. როგორც კი შეიხედავთ თქვენს შიგნით, პირველ რიგში, გაქრება „მე", ეს სინამდვილეში თქვენს შიგნით, იმის შეგრძნება, რომ „მე ვარ".

მანამდე გრძელდება, ვიდრე ჩვენში არ ვიხედებით. შესაძლოა იმიტომ არ ვიხედებით საკუთარ თავებში, რომ ამის გაკეთებით გვეშინია, არ დავიკარგოთ.

შესაძლოა, დაგინახავთ, როგორ ატრიალებს ადამიანი თავს ზემოთ ალმოდებულ ლამპარს და აკეთებს ცეცხლის წრეს. სინამდვილეში ასეთი წრე არ არსებობს, უბრალოდ, ლამპარი ძალიან სწრაფად მოძრაობს და რაღაც მანძილზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ცეცხლოვანი წრეა. თუ თქვენ ახლოდან შეხედავთ, ეს უბრალოდ სწრაფად მოძრავი ლამპარია, რომ ცეცხლის რკალი ტყუილია. ზუსტად ასეა, თუ ჩვენ „მეს" მივუახლოვდებით და ყურადღებით შევხედავთ მას – აღმოვაჩენთ, რომ ის სრულიად ყალბია. ისევე, როგორც სწრაფად მოძრავი ლამპარი ცეცხლის რკალის ილუზიას ქმნის, ასევე სწრაფად მოძრავი ცნობიერება ქმნის „მეს" ილუზიას. ეს მეცნიერული ჭეშმარიტებაა და ის უნდა გავიგოთ.

შესაძლოა, არ შეგიმჩნევით, მაგრამ ყველა ილუზია შექმნილია საგნებისგან, რომლებიც სწრაფად მოძრაობენ. კედელი გვეჩვენება ძალიან მყარი, ქვა თქვენი ფეხსაცმლის ძირზე გეჩვენებათ ძალიან მყარი, მაგრამ მეცნიერების მიხედვით, არ არსებობს არანაირი მყარი ქვა. კარგად ცნობილია, რომ რაც უფრო ახლოს აკვირდებოდნენ მეცნიერები მატერიას, მით უფრო ქრებოდა. ვიდრე მეცნიერება დაშორებული იყო მატერიასთან, მას სჯეროდა მისი. ზუსტად მეცნიერები ხშირად აცხადებდნენ, რომ ჭეშმარიტება ეს მატერიაა, მაგრამ ახლა იგივე მეცნიერი ლაპარაკობს იმაზე, რომ არ არსებობს არანაირი მატერია. მეცნიერები ამბობენ, რომ ელექტრონული ნაწილაკების სწრაფი მოძრაობა ქმნის სიმკვრივის ილუზიას. მაგრამ სიმკვრივე, როგორც ასეთი, არსად არსებობს.

მაგალითად, როცა ვენტილატორის პირები დიდი სიჩქარით მოძრაობენ, ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ის სამია და შეუძლებელია იმის დათვლა, თუ რამდენია. თუ ისინი უფრო სწრაფად იტრიალებენ, მაშინ ის მოგვეჩვენება მეტალის მოძრავ წრედ. ისინი შეიძლება ისე სწრაფად ატრიალო, რომ ძალიან ახლოსაც რომ მიხვიდეთ, ვერ შეიგრძნობთ ვენტილატორის პირებს შორის დაშორებებს, თქვენ იგრძნობთ, რომ თქვენს წინაშეა მყარი მეტალი.

ნაწილაკები მატერიაში ამგვარი სიჩქარით მოძრაობენ, მაგრამ ნაწილაკები არ არის მატერია, არამედ სწრაფად მოძრავი ელეტრული ენერგია. მატერია გვეჩვენება მყარად სწრაფად მოძრავი ელეტრონული ნაწილაკების გამო. საქმე სწრაფად მოძრავ ენერგიაშია. მაშინაც კი, თუ ჩვენ გვეჩვენება, რომ ის არსებობს, სინამდვილეში, ის არ არის. ზუსტად ასე ცნობიერის ენერგია იმდენად სწრაფად მოძრაობს, რომ ამის გამო, იქნება „მეს“ ილუზია.

ამ სამყაროში არსებობს ორი ტიპის ილუზია. პირველი – ეს მატერიის ილუზიაა, მეორე „მეს“ ილუზია – ეგო. ერთიც და მეორეც თავიდანვე ყალბია, მაგრამ ადამიანი ხვდება, რომ ისინი არ არსებობენ, როგორც მათ მიუახლოვდები. გარდა ამისა, როგორც მეცნიერება უახლოვდება მატერიას, ის ქრება. გარდა ამისა, როგორც კი რელიგია უახლოვდება „მეს“, ის ქრება. რელიგიამ აღმოაჩინა, რომ „მე“ არ არსებობს, მეცნიერებამ აღმოაჩინა, რომ მატერია არ არსებობს. რაც უფრო ახლოს მივდივართ ამ მოვლენებთან, უფრო ნაკლებია ჩვენში ილუზია.

ამიტომ ვამბობ, რომ თქვენ უნდა გაემგზავროთ თქვენს შინაგან სამყაროში. არის იქ რაიმე „მე“? არ გთხოვთ, გჯეროდეთ იმის, რომ თქვენ „მე“ არ ხართ. თუ ასე მოიქცევით, მაშინ თავს მოიხვევთ ცრურწმენას. თუ თქვენ დამიჯერებთ და მერე იფიქრებთ: „მე არ ვარ, ეს ყალბია. მე ატმანი ვარ, მე ბრახმანი ვარ. ეს ყალბია,“ თქვენ გაოგნდებით. თუ თქვენ ამ სიტყვებს უბრალოდ იმეორებთ, მათ წარმოთქმისას ყალბი გახდებით. არ გთხოვთ ამ სიტყვების გამეორებას. მე გირჩევთ, საკუთარ თავში წახვიდეთ, დაინახოთ და გაიგოთ, ვინ ხართ. ის, ვინც საკუთარ თავში იყურება და თავს შეიცნობს, აღმოაჩენს, რომ ის არ არის. მაშინ ვინ არის შიგნით? თუ არ ვარ მე, მაშინ ვიღაც სხვა უნდა იყოს. მხოლოდ ჩემი არყოფნა არ ნიშნავს. რომ არავინაა იმიტომ, რომ ილუზიის გაცნობიერებისთვისაც საჭიროა ვიღაც.

მე თუ არა ვარ, მაშინ ვინ არის? იმის განცდა, რა რჩება „მეს“ გაქრობის შემდეგ – ეს ღმერთის განცდაა. გამოცდილება მაშინვე მნიშვნელოვანი ხდება, რადგან როცა „მე“ ქრება, ასევე ქრება „შენ“ „ის“-თან ერთად და მხოლოდ ცნობიერის ოკეანე რჩება. ამ მდგომარეობაში დაინახავთ, რომ არის

მხოლოდ ღმერთი. მერე უკვე შეცდომით ამბობენ, რომ ღმერთი არის, რადგან ეს ნიშნავს გაიმეორო ერთი და იგივე ცნება.

ზედმეტია იმის ლაპარაკი: „ღმერთი არსებობს," რადგან ღმერთი – ეს კიდევ ერთი დასახელებაა „იმის, რაც არის". თავად ვარ ღმერთი, ამიტომ სიტყვის წამოთქმა „ღმერთი – ტავტოლოგიაა და ასე ლაპარაკი შეცდომაა. რას ნიშნავს ფრაზა „ღმერთი არსებობს?" ჩვენ იდენტიფიცირებას ვახდენთ, რომ რაღაც „არის", რომელსაც ასევე შეუძლია „არ იარსებოს". ჩვენ ვამბობთ: „მაგიდა არის", რადგან ხვალ შეიძლება მაგიდა საერთოდ არ არსებობდეს, ან მაგიდა არ არსებობდა გუშინ. ის, რაც არ არსებობდა ადრე, შესაძლებელია ისევ არარსებითად იქცეს, მაშინ რა აზრი აქვს იმის ლაპარაკს: „ეს არსებობს"? ღმერთი – ეს, ის არ არის, რაც ადრე არ არსებობდა და შეუძლებელია, რომ მომავალშიც არ იყოს. ამიტომ იმის ლაპარაკი: „ღმერთი არსებობს", უაზრობაა. ღმერთი არსებობს. სინამდვილეში ღმერთის სხვა სახელი არის – „ის, რაც არსებობს." ღმერთი ნიშნავს არსებობას.

ჩემი აზრით, იმით, საკუთარ ღმერთს დააკისრო „ის, რაც არსებობს", თავს ვუბიძგებთ სიცრუისა და ტყუილისკენ. დაიმახსოვრეთ, ღმერთები, რომლებსაც ჩვენ ვქმნით, სხვადასხვაა და ყოველ მათგანს თავისი პროფესიული ნიშანი აქვს. ინდუისტმა შექმნა თავისი ღმერთი, მუსლიმანებმაც შექმნეს თავიანთი ღმერთი. ქრისტიანებმა, ჯაინებმა, ბუდისტებმა – ყველა მათგანს საკუთარი ღმერთი ჰყავს – ყველამ გამოიგონა თავისი სიტყვა, ყველამ საკუთარი ღმერთი შექმნა. გარშემო, უბრალოდ, უხვადაა ისეთი ოფისები, რომელშიც ღმერთს ქმნიან! ადამიანები ღმერთს საკუთარ სახლებში ქმნიან. მერე კი ეს ღმერთის შემქმნელები ერთმანეთს ებრძვიან სამყაროს საქმეებზე, ზუსტად ისე, როგორც იქცევიან ადამიანები, რომლებიც სახლში რამე საქონელს ქმნიან. ყოველი ადამიანის ღმერთი სხვების ღმერთისგან განსხვავდება.

სინამდვილეში, ვიდრე „მე ვარსებობ", ჩემი შექმნილი განსხვავდება თქვენი შექმნილისგან. ვიდრე „მე ვარსებობ", ჩემი რელიგია განსხვავებული იქნება სხვა ადამიანების ღმერთისგან და რელიგიისგან, რადგან ისინი შექმნილი იქნება „მესგან", ეგოსგან. ჩვენ თავს ვთვლით ინდივიდებად, ამიტომ რასაც ჩვენ

შევქმნით, ექნება ინდივიდუალური ხასიათი. ადამიანებისთვის ნება რომ მიეცათ რელიგიების შექმნის, მაშინ სამყაროში იმდენივე რელიგია გაჩნდებოდა, რამდენიც ადამიანია – და არა ნაკლები. სწორი თავისუფლების არ ქონის გამო, სამყაროში ძალიან ცოტა რელიგიაა.

ინდუისტი მამა ზრუნავს იმაზე, რომ შვილი ინდუისტი გახდეს მანამდე, ვიდრე ის დამოუკიდებელი გახდება. მუსლიმანი მამა შვილს მუსლიმანად აქცევს, ვიდრე ის გონიერი გახდება იმიტომ, რომ როცა ადამიანი გონიერი ხდება, მას არ მოუნდება გახდეს არც ინდუისტი, არც მუსლიმანი. ამიტომაც საჭიროა, აიძულო ბავშვს ამ ყველა სისულელის გაკეთება, ვიდრე ის გონიერი გახდება.

ყველა მშობელი ჩქარობს, თავის შვილებს ბავშვობიდან ასწავლოს რელიგია იმიტომ, რომ როცა ბავშვი იზრდება, ის იწყებს ფიქრს და უსიამოვნებებს ქმნის. ის დაიწყებს ყველაზე განსხვავებული კითხვების დასმას და თუ მშობლები ვერ იპოვიან დამაკმაყოფილებელ პასუხებს, ისინი უსიამოვნებებს შეეჯახებიან. ამიტომ მშობლები ჩქარობენ, თავიანთ შვილებს ასწავლონ რელიგია ძალიან ადრეულ ასაკში, როცა ბავშვი ვერ იაზრებს ძალიან ბევრ რამეს, როცა ის დაუცველია ყველა სისულელის სწავლებისაგან. სწორედ, ასე ხდებიან ადამიანები მუსლიმანები, ინდუსები, ჯაინები, ბუდისტები, ქრისტიანები ანუ ის, რასაც ასწავლით, რომ იყვნენ.

ხშირად ადამიანები, რომლებსაც ჩვენ რელიგიურებს ვეძახით, არაგონივრულები აღმოჩნდებიან-ხოლმე. მათ აკლიათ ინტელექტი, რამდენადაც ის, რასაც ჩვენ რელიგიას ვეძახით, ეს ის არის, რამაც ადრე მოგვწამლა, ვიდრე გონი გაჩნდებოდა. მერეც მორწმუნეობა აგრძელებს შიგნიდან ჩვენს მართვას. არაა გასაკვირი, რომ ინდუისტები და მუსლიმანები ებრძვიან ერთმანეთს თავიანთი ღმერთის სახელით, თავიანთი მეჩეთებისა და ტაძრების სახელით.

ბევრი გამოვლინება აქვს ღმერთს? ნუთუ ღმერთი, რომელსაც თაყვანს სცემენ ინდუსები, ერთია და ღმერთი, რომელსაც მუსლიმანები ეთაყვანებიან, სხვა? შეიძლება, ამიტომაც ინდუისტები გრძნობენ, რომ მათი ღმერთი წაბილწულია, როცა ანგრევენ მათ კერპებს. შეიძლება მუსლიმანები ამიტომ

გრძნობენ, რომ მათი ღმერთი შეურაცხყოფილია, როცა დანგრეულია ან დამწვარია მათი მეჩეთი.

სინამდვილეში, ღმერთი არის „ის, რაც არის“. ის არსებობს მეჩეთში ისევე, როგორც ტაძარში. ის არსებობს სიკვდილმისჯილთა საკანში ისევე, როგორც თაყვანისცემის (ლოცვის) ადგილას. ის არსებობს ტავერნაში ისევე, როგორც მეჩეთში. ის არის ქურდში ისევე, როგორც წმინდანში და არანაკლებ, ასეთი რამ შეუძლებელია. ვინ შევა ქურდში, თუ არა ღვთაებრივი? ის არსებობს რამაში ისევე, როგორც რაბანში – და არანაკლებ. ის არსებობს ინდუისტშიც და მუსლიმანშიც თანაბრად.

კითხვა რაშია: თუ ჩვენ დავიჯერებთ, რომ ყველა ადამიანში არსებობს ერთი და იგივე ღვთაებრიობა, მაშინ ჩვენი წარმოება, რომელიც ქმნის ღმერთს, ძალიან დაზარალდება და იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი სიტუაციის განვითარება. თავს ვიხვევთ საკუთარ ღმერთებს. თუ ინდუისტი დაიწყებს ყვავილის ყურებას, ის მასზე პროექცირებას მოახდენს თავის ღმერთის, მასში დაინახავს საკუთარ ღმერთს, მუსლიმანი კი ყვავილზე თავის ღმერთის პროექცირებას მოახდენს. მათ შეუძლიათ ამასთან დაკავშირებით ჩხუბიც დაიწყონ, თუმცა შესაძლებელია, ამგვარი ინდუსურ-მუსლიმანური კონფლიქტი ყურით მოათრიონ.

მუსლიმანებისა და ინდუსების რელიგიური ნაგებობები ერთმანეთისგან არც თუ ისე მოშორებითაა, მაგრამ ერთმანეთთან ჩხუბს ახერხებენ სულიერად ახლო „ღვთაებრივი ბაზრებიც“. მაგალითად ბანარესასა და მექას შორის მრავალი კილომეტრია, მაგრამ ბენარესში რამისა და კრიშნას ტაძრები ერთმანეთთან შორიახლოს დგას და ასეთივე კონფლიქტები იქაც ხდება-ხოლმე.

მსმენია ერთ დიად წმინდანზე... მე მას ვუწოდებ დიადს. რადგან ადამიანები მას მუდამ დიადს უწოდებდნენ, მას ვეძახი წმინდას, რადგან ადამიანები მუდმივად წმინდას უწოდებდნენ

ის თაყვანს სცემდა რამას. ერთხელ, ის კრიშნას ტაძარში მიიყვანეს. როცა მან დაინახა კრიშნას კერპი, რომელსაც ხელში ფლეიტა ეჭირა, მან უარი თქვა თაყვანი ეცა მისთვის. მის სახებასთან მდგომმა თქვა: „თაყვანს იმ შემთხვევაში გცემდი, ხელში რომ ისარი და მშვილდი გეჭიროს, მაშინ შენ ჩემი ღმერ-

თი გახდებოდი.“ უცნაურია! ჩვენ ღმერთსაც პირობებს ვუყენებთ ანუ როგორ პოზაში, როგორი მანერით უნდა წარდგეს ის ჩვენ წინაშე. ჩვენ ვაყენებთ მოთხოვნებს, მხოლოდ მაშინ ვართ მზად თაყვანისცემისთვის.

ძალიან უცნაურია, რომ ჩვენ ვწყვეტთ, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ჩვენი ღმერთი. მაგრამ ზუსტად ასე იქცევიან ადამიანები. ის, რასაც აქამდე ვაიდენტიფიცირებდით „ღმერთთან“, – წარმოქმნილია, დაფუძნებულია ჩვენივე წარმოდგენებზე. მანამდე, ვიდრე ჩვენს გზაზე ეს ხელშექმნილი ღმერთი იდგება, ჩვენ ვერ შევძლებთ იმის გაგებას, ვინც არ განისაზღვრება ჩვენით. ჩვენ ვერასდროს გავიგებთ, ვინ განგვსაზღვრავს ჩვენ. ამიტომ უნდა მოვიშოროთ ხელშექმნილი ღმერთები, თუ გვინდა ღმერთი შევიმეცნოთ, რომელიც არსებობს. მაგრამ ეს ძნელია, ძნელია ყველაზე კეთილსინდისიერი ადამიანისთვისაც კი. იმისთვისაც კი, რომელსაც ყველა შემთხვევაში, ვთვლით გამგებ ადამიანად, ძნელია ხელშექმნილი ღმერთისგან თავის დაღწევა. ისიც მაგრად ეჭიდება მთავარ სისულელეს, როგორც სულელი ადამიანი. სულელ ადამიანს შეიძლება აპატიო. მაგრამ ძნელია აპატიო გაგებულ ადამიანს.

ამასწინათ, ინდოეთში ჩამოვიდა ხან აბდულ გაფარ ხანი. ის მთელ ინდოეთში ქადაგებს ინდუისტურ-მუსლიმანურ ერთობას, მაგრამ თავად მართლმორწმუნე მუსლიმანია. ამაში ეჭვი არავის ეპარება. მას არ ანაღვლებს, რომ ის ლოცულობს მეჩეთში, როგორც მორწმუნე მუსლიმანი, ის მაინც ქადაგებს ინდუისტურ-მუსლიმანურ ერთობას. განდი იყო ინდუისტი, ისიც მუდამ ქადაგებდა ინდუისტურ-მუსლიმანურ ერთობას. როგორი გურუცაა, ისეთია მოწაფეც. გურუ იყო ჭეშმარიტი ინდუისტი, მოწაფე კი ჭეშმარიტი მუსლიმანი. როგორ შეიძლება შედგეს ასეთი ერთობა, ვიდრე ამ ქვეყნად არსებობენ ჭეშმარიტი ინდუისტები და მუსლიმანები? მათ სჭირდებათ ცოტა დამშვიდება, მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი ერთობა. გულწრფელი ინდუისტები და მუსულმანები დამნაშავენი არიან ორ რელიგიას შორის არსებულ ყველა კონფლიქტში, თუმცა ამ კონფლიქტების ფესვები, სინამდვილში არ ჩანს. იმ ადამიანებს, რომლებიც ქადაგებენ ინდუისტურ-მუსულმანურ ერ-

თობას, ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არ აქვთ, როგორ უნდა განახორციელონ ეს ერთობა.

მანამდე, ვიდრე ღმერთი სხვადასხვა ადამიანისთვის განსხვავებული იქნება, ვიდრე სხვადასხვა ადამიანისთვის თაყვანისცემის განსხვავებული ადგილი იარსებებს, ვიდრე ერთმანეთისგან განსხვავდება ლოცვები და წმინდა წიგნები (ერთი ერისთვის ყურანი იქნება მამა, სხვა ადამიანებისთვის გიტა იქნება დედა), დამანგრეველი უსიამოვნებები რელიგიებს შორის არასდროს დასრულდება. ჩვენ ვებლაუჭებით ყურანს და გიტას. ჩვენ ვამბობთ: „წაიკითხეთ ყურანი და ასწავლეთ ადამიანებს, როგორ უნდა უარყონ მტრობა და გახდენენ ერთნი." თუმცა, ჩვენ არ გვესმის, რომ თავად სიტყვა „ყურანი" და „გიტა" – ესაა ძირეული ყველა უბედურების მიზეზი.

თუ რომელიმე ძროხას კუდს მოაჭრიან, ინდუისტი და მუსლიმანი იჩხუბებენ და არეულობაში დავადანაშაულებთ ხულიგნებს. სასაცილოა ის, რომ არც ერთ „ბოევიკს" არასდროს უქადაგია, რომ ძროხა – ეს ჩვენი წმინდა დედაა. სინამდვილეში, ამას ჩვენი მახატმები ასწავლიან, ჩვენი წმინდანები, რომლებიც პასუხისმგებლობას ქაოსის დათესვაში „ხულიგნებს" აკისრებენ. როცა ძროხას კუდს აჭრიან, მახატმები ყვირიან, რომ კუდი ძროხას კი არა, არამედ წმინდა დედას მოაჭრეს! და როცა ისინი ადამიანების ყურადღებას ამ კუდისკენ მიაპყრობენ, იწყება ჩხუბი, რომელშიც ერთვებიან ხულიგნები, რომლებსაც, საბოლოოდ, მთელ პასუხისმგებლობას აკისრებენ არეულობის გამო.

ასე რომ, ადამიანები, რომლებსაც ჩვენ მახატმებს ვუწოდებთ, სინამდვილეში არიან ისინი, ვინც კონფლიქტებს წარმოქმნიან. ისინი რომ გვერდზე გადგნენ, მაშინ ხულიგნები უვნებლები იქნებოდნენ, მათ არ ექნებოდათ ბრძოლის ძალები ისინი ძალებს მახატმასგან იღებენ. მაგრამ მახატმები ისე კარგად იმალებიან ჩრდილში, რომ ჩვენ არასდროს გვესმის, რომ სწორედ ისინი არიან ჩხუბის გამომწვევნი.

რაშია პრობლემის არსი? მთელი კონფლიქტი – ეს თქვენი ღმერთია, ანუ ღმერთი, რომელიც შეიქმნა თქვენს სახლებში ეცადეთ, მოერიდოთ ღმერთებს, რომლებსაც საკუთარ სახ-

ლებში ქმნით. არ შეიძლება შექმნათ საკუთარ სახლში ღმერთი, ასეთი ღმერთის არსებობა სრული ტყუილია.

მე არ გთხოვთ პროეცირება გაუკეთოთ ღმერთს. როგორც არ უნდა იყოს, რისი პროეცირებას მოახდენთ ღმერთის სახელით? კრიშნას ერთგული თაყვანისმცემელი იტყვის, რომ ის ხედავს ღმერთს, რომელიც ბუჩქის უკან იმალება და ხელში ფლეიტა უჭირავს, მაშინ როცა რამის ერთგული მიმდევარი დაინახავს, რომ ღმერთს უჭირავს მშვილდ-ისარი ყოველი ადამიანი ღმერთს თავისებურად დაინახავს. ამგვარი ხილვები – სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი სურვილებისა და კონცეფციის პროეცირება. ღმერთი სულაც არ არის ასეთი. ჩვენ არ შეგვიძლია მისი მოძებნა, ჩვენი სურვილებისა და კონცეფციების პროეცირებით. იმისთვის, რომ ის მოვძებნოთ. ჩვენ უნდა გავქრეთ. ზუსტად ჩვენ მოგვიწევს გაქრობა, ჩვენი კონცეფციებითა და პროექციებით. ორივე მოვლენას ერთად არ შეუძლია არსებობა. მანამდე, ვიდრე თქვენ იარსებებთ. როგორც ეგო, ღმერთის განცდის მიღება სრულიად შეუძლებელია. თქვენ მოგიწევთ გაქრეთ როგორც ეგო, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი შეიგრძნოთ ის. მე არ შემიძლია ღვთაებრივის კარში შესვლა მანამდე, ვიდრე იარსებებს ჩემი „მე“, ჩემი ეგო.

მსმენია ისტორია იმაზე, რომ ერთმა კაცმა უარყო ყველაფერი და ღვთაებრიობის კარს მიაღწია. მან უარი თქვა ფულზე, ცოლზე, სახლზე, შვილებზე, საზოგადოებაზე – ყველაფერზე და რამდენადაც უარყო ყველაფერი, ის ღვთაებრიობის კარს მიუახლოვდა. მაგრამ მცველმა შეაჩერა და უთხრა:

– შენ ჯერ არ შეგიძლია იქ შესვლა. ჯერ ყველაფერი უკან დატოვე.

– მაგრამ მე უკვე დავტოვე ყველაფერი, – ამოილაპარაკა კაცმა.

– შენ თან მოიტანე შენი „მე“ – აუხსნა მცველმა, – დანარჩენი ჩვენ არ გვაინტერესებს, საქმე მხოლოდ შენს „მეშია“ მთავარი ის არ არის, რომ ლაპარაკობ რა და რა მოიტოვე უკან. მნიშვნელობა მხოლოდ შენს „მეს“ აქვს. წადი უკან, გადააგდე „მე“ და მერე დაბრუნდი.

– მე არაფერი მაქვს, – უპასუხა კაცმა, ჩემი ჩანთა ცარიელია, მასში არ არის არც ფული, არც ცოლი, არც შვილები. მე არაფერს ვფლობ.

– შენი „მე“ ისევ ჩანთაშია, – უთხრა მცველმა, – წადი, გადააგდე ის. ეს კარი მათთვის დაკეტილია, ვისაც თან თავისი „მე“ მოაქვს. მათთვის ეს კარი მუდამ დაკეტილია.

მაგრამ როგორ უნდა გადააგდო ეს „მე“? ის არასდროს არ ჩამოგვშორდება მხოლოდ ჩვენი მცდელობებით. როგორ უნდა ჩამოიშოროს „მემ“ თავისი თავი? მაშინაც კი, როცა ის ჩამოშორდება, „მე“ მაინც დარჩება. საუკეთესო შემთხვევაში, ადამიანს შეუძლია თქვას: „მე ჩამოვიშორე ის,“ და მაინც – ეს იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ ის მაინც ატარებს „მეს“. ადამიანი ეგოისტი ხდება მაშინაც კი, როცა ეგოს იშორებს. მაშინ რა უნდა ქნას ადამიანმა? ეს ძალიან რთული სიტუაციაა.

მე გეუბნებით თქვენ, რომ ამაში რთული არაფერია, რადგან მე არ გთხოვთ არაფრის ჩამოშორებას. სინამდვილეში, არაფრის კეთებას გთხოვთ. „მე“, ეგო, მხოლოდ ძლიერდება ყველა მოქმედებისგან. მე მხოლოდ გთხოვთ, იმოძრაოთ თქვენში და ეძებოთ „მე“. თუ თქვენ მოძებნით მას, მაშინ მისი ჩამოშორება შეუძლებელი იქნება. ის მუდამ იქ არის, რისი ჩამოშორება იქნება საჭირო? და თუ თქვენ ვერ იპოვით ეგოს, მაშინაც ვერ ჩამოიშორებთ მას. როგორ ჩამოიშორებთ მას, რაც არ არსებობს?

ასე რომ, იმოძრავეთ თქვენში და ნახეთ არის თქვენში „მე“ თუ არა. უბრალოდ, გეუბნებით, რომ ის, ვინც თავის თავში იყურება, ხმამაღლა სიცილს იწყებს, რადგან საკუთარ თავში ვერსად ვერ შეძლებს „მეს“ პოვნას. მაშინ რაღა რჩება? რაც რჩება და არის, ესაა ღმერთი. შეიძლება განცალკევებული იყოს თქვენგან ის, რაც რჩება „მეს“ გაქრობის შემდეგ? ვინ წარმოშობს განცალკევებას, როცა არსებობას შეწვეტს თავად „მე“? ზუსტად მხოლოდ ის ერთი „მე“ მაშორებს თქვეგან და თქვენ ჩემგან.

აი, ამ სახლის კედელი. კედლები დგას იმ ილუზიის წყალობით, თითქოს ისინი სივრცეს ქმნიან ორ ნაწილად, მაგრამ სივრცე განუყოფელია. და მთავარი ის არაა, როგორი სისქის კედლებს ააგებთ. სივრცე სახლის შიგნით და მის გარეთ,

მაინც არასდროს იყოფა. ადამიანი სახლის შიგნით ცხოვრობს, თუმცა ის გრძნობს, რომ სივრცე ორ ნაწილად გაყო და ერთი სივრცე სახლის შიგნით მოხვდა, მეორე სივრცე კი – მის გარეთ. მაგრამ თუ კედლები ჩამოიშლებოდა, მაშინ ადამიანი როგორ გაარჩევს სივრცეს სახლის შიგნით და მის გარეთ? როგორ ჩამოაყალიბებდა ამას? ამ შემთხვევაში, დარჩებოდა მხოლოდ სივრცე.

ზუსტად ასევე, ჩვენ გავყავით ჩვენი ცნობიერი ნაწილებად, როცა ავაშენეთ „მეს“ კედლები. როცა „მეს“ კედლები დაინგრევა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე თქვენში ღმერთს დავინახავ. არა, მაშინ მე თქვენ ვერ დაგინახავთ, მე მხოლოდ ღმერთს დავინახავ. ნათლად გაიგეთ, გთხოვთ, ეს სათუთი განსასაზღვრავია.

არაკორექტული იქნება, რომ მე თქვენში ღმერთს დავინახავ. მე უკვე ველარ დაგინახავთ თქვენ, მე დავინახავ მხოლოდ ღვთაებრივს. არათუ დავინახავ ღმერთს ხეში – მე უკვე ველარ დავინახავ ხეს, დავინახავ მხოლოდ ღვთაებრივს. როცა ვინმე ლაპარაკობს, რომ ყოველ ატომში არსებობს ღმერთი, ის ძალიან ცდება, რადგან ის ხედავს ატომსაც და ღმერთსაც. ღმერთისა და ატომის ერთდროულად დანახვა შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ ყოველი ატომი არის ღმერთი და არა ის, რომ ყოველ ატომში არსებობს ღმერთი. ეს არ ნიშნავს, რომ რომელიღაც ღმერთი ზის ატომის შიგნით ჩაკეტილი. ყოველი ყოფიერი არის ღმერთი.

ღმერთი – ეს სახელია, სიყვარულით მიცემული „მისთვის ვინც არის“ – ეს არის „ის, რაც არის“, უბრალოდ, მას სიყვარულით ვეძახით ღმერთს. მაგრამ მთავარი ის არ არის, როგორ სახელს დავუძახებთ მას. ამიტომ არ გთხოვთ ყველაფერში ღმერთის დანახვას, უბრალოდ, გთხოვთ, დაიწყოთ თქვენში ყურება. როგორც კი თქვენ დაიწყებთ ყურებას თქვენში, მაშინვე გაქრებით. გამქრალი, მხოლოდ ღმერთის დანახვას შეძლებთ.

თუ მედიტაციას სამადხუში მიყავხართ, სამადხუს კი ღმერთთან, მაშინ რა საჭიროა ტაძრებში სიარული? ხომ არ ღირს მათთან დაშორება?

ტაძარში სიარული უსარგებლოა, მასთან დაშორებაც არანაკლებ უაზროა. რატომ უნდა იწვალო იმასთან დაშორებაზე, რაშიც ღმერთი არ არსებობს? დაე, ტაძრები იყვნენ იქ, სადაც არის. რა აზრი აქვს მათ მოშორებას? ეს ნაჩქარევი გადაწვეტილება ხშირად წარმოიშვება.

მაგალითად, მუჰამედმა თქვა, ღმერთის მოძებნა არ შეიძლება კერპებში, ამიტომ მუსლიმანებმა იფიქრეს, რომ კერპები უნდა დაინგრეს და მაშინ, მსოფლიოში, სასაცილო ამბები მოხდა: თავიდან კერპების წინ მდგომი ადამიანები ჭკუიდან გადადიოდნენ, მერე შეშლილთა სხვა ჯგუფი გამოჩნდა, რომლებიც კერპებს ანგრევდნენ. კერპების შემქმნელები გულმოდგინედ ქმნიან კერპებს, კერპების გამანადგურებლები კი დღედაღამ ფიქრობენ კერპების განადგურების მეთოდებზე. შეიძლება ვიკითხოთ, როდის თქვა მუჰამედმა, რომ ადამიანები ღმერთს კერპების დანგრევისას იპოვიდნენ? შეიძლება, ღმერთი არ არის კერპებში, მაგრამ ვინ თქვა, რომ ღმერთი არის კერპების დანგრევაში? და თუ ღმერთი არის კერპების დანგრევაში, მაშინ რატომ უნდა გვეპარებოდეს ეჭვი, რომ ღმერთი კერპებშიც არის? ღმერთი შეიძლება კერპებშიც იყოს. და თუ ის არ არის კერპებში, მაშინ როგორ შეიძლება ის არსებობდეს დანგრევაში?

მე არ ვამბობ, რომ ჩვენ უნდა უარვყოთ ტაძრები. მე ვამბობ, რომ ჩვენ უნდა გავიგოთ ჭეშმარიტება იმაზე, რომ ღმერთი ყველგანაა. როცა ჩვენ გავიგეთ ეს ჭეშმარიტება, ყველაფერი მისი ტაძარი ხდება, მაშინ ძნელია განსაზღვრო ტაძარი და არა ტაძარი. მაშინ მისი ტაძარი იქნება იქ, სადაც ვიდგებით. მისი ტაძარი იქნება იქ, რასაც შევხედავთ. მისი ტაძარი იქნება იქ, სადაც დავსხდებით და აღარ იქნება წმინდა ადგილების სამლოცველოები, რადგან მთელი სამყარო იქნება წმინდა ადგილი. მაშინ უაზრო იქნება ცალკეული კერპების შექმნა, რადგან მისი სახება იქნება ყველაფერი ყოფიერი.

მე არ ვამბობ, რომ ჩაერთოთ ტაძრების მოშორების საქმეში, ანდა ის ადამიანები გადაარწმუნოთ, რომლებიც ტაძრებში დადიან. არასდროს მითქვამს, რომ ღმერთი ტაძარში არ არის. უბრალოდ ვამბობ, რომ ის, ვინც ღმერთს მხოლოდ ტაძარში ხედავს და სხვაგან არსად, არაფერი იცის ღმერთზე.

ის, ვინც შეიმეცნებს ღმერთს, ყველგან ღმერთის არსებობას შეიგრძნობს – ტაძარშიც, და იმ ადგილზეც, სადაც ტაძარი არ არის. მაშინ როგორ განსაზღვრავს, რა არის ტაძარი და რა არ არის ტაძარი? ჩვენ ტაძარს ვთვლით იმ ადგილად, სადაც ღმერთია, მაგრამ თუ ადამიანი მის არსებობას ყველგან შეიგრძნობს, მაშინ სამყაროს ყველა წერტილი ტაძარია. მაშინ საჭირო აღარ იქნება ტაძრების აღმართვა და, მით უმეტეს, მათი მიტოვება.

შევამჩნიე, რომ ადამიანები იმის მაგივრად, რომ ჩემი სიტყვებიდან აზრი გამოიტანონ, ძალიან ხშირად ცდებიან, რაც ვთქვი, იქიდან სრულიად საწინააღმდეგო რამეს იგებენ. ადამიანებს ის უფრო აინტერესებთ, რისგან უნდა გათავისუფლდნენ, რა უნდა დაინგრეს და განადგურდეს, მაგრამ ისინი არ ცდილობენ გაიგონ ჩემი სიტყვების არსი. ასეთი შეცდომები ხდება მუდმივად.

ადამიანის მიერ ჩადენილი ერთ-ერთი მთავარი შეცდომათაგანი ის არის, რომ მას ესმის სრულიად განსხვავებული რამ იმ ნათქვამიდან, რაც მას გადაეცემა. ზოგიერთ თქვენგანს შეუძლია ტაძრების მტრად ჩამთვალოს, მაგრამ იშვიათად ნახავთ ადამიანს იმაზე მეტად უყვარდეს ტაძარი, ვიდრე მე. რატომ ვუსვამ ხაზს ამ მომენტს? ამის მიზეზი უბრალოა: მინდა, ყველა მთელ დედამიწას ისე უყურებდეს, როგორც ტაძარს, და ჩემი საქმეა, რომ ყველაფერი ტაძრად ვაქციო. მაგრამ ჩემი მოსმენისას ვინმემ შეიძლება ისე გაიგოს, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ჩვენ მოვშორდებოდით ტაძრებს. მაგრამ ტაძრების რღვევით ვერანაირი მიზანი ვერ მიიღწევა. ყველაფერი მაშინ გამოვა, როცა მთელი ცხოვრება ტაძრად გადაიქცევა.

ის ადამიანები არ არიან მართლები, რომლებიც ღმერთს ტაძარში ხედავენ, არც ის ადამიანები, რომლებიც ტაძრებს ანგრევენ. ის, ვინც ღმერთს ტაძარში ხედავს, ცდება. მისი შეცდომა ასეთია: კიდევ ვის ხედავს ტაძრის გარეთ? აშკარაა, რომ მისი შეცდომა იმაშია, რომ ის, ვერსად ხედავს ღმერთს, ტაძრის გარდა. თქვენი ტაძარი პაწაწინაა, ღმერთი კი უზარმაზარი – თქვენ არ შეგიძლიათ დაატიოთ ღმერთი თქვენს პაწაწინა ტაძარში. სხვა ადამიანის შეცდომა ასეთია: მას სურს გამოეყოს ტაძარს, დაანგრიოს ის და როგორც თვითონ ჰგონია, მხოლოდ

მაშინ შეძლებს ღმერთის დანახვას. თქვენი ტაძრები ძალიან პატარებია, რომ ემსახუროს ღმერთს საცხოვრებლად, ანდა ხელი შეუშალოს ვინმეს ღმერთის დანახვაში. დაიმახსოვრეთ, რომ თქვენი ტაძრები იმდენად სასაცილოდ პატარებია, რომ არ შეუძლიათ ღმერთის დატევა, მათ არ შეუძლიათ მის ციხედ იქცნენ, რომლებიც მათი დანგრევისას, მას თავისუფალს გახდიდა. თქვენ ჩემი სიტყვების ზუსტი აზრი უნდა გაიგოთ.

მე ვამბობ, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ შევდივართ ტაძარში, როცა მედიტაციაში ვიძირებით. მედიტაცია – ეს ერთადერთი უკედლებო ტაძარია, მედიტაცია – ერთადერთი ტაძარია, სადაც თქვენ ნამდვილად ხვდებით. ისიც, ვინც იწყებს ცხოვრებას მედიტაციით, შედის ტაძარში მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

რა აზრი აქვს იმას, რომ ადამიანი ეწვიოს ტაძარს, თუ ის მედიტაციაში არ ცხოვრობს? რა აზრი აქვს იაროს რაიმე ადგილას, რომელსაც, როგორც წესი, ვუწოდებთ „ტაძარს"? თქვენთვის არ არის ადვილი, ისხდეთ თქვენს მაღაზიაში და უეცრად აღმოაჩინოთ გზა ტაძრისკენ. რა თქმა უნდა, ადვილია, თქვენი სხეული წაიღოთ ტაძარში, სხეული ხომ – ისეთი საცოდავი მოვლენაა, რომ ყველგან შეგიძლიათ წაიღოთ, სადაც მოგესურვებათ. გონება უბრალო არ არის. მაღაზიის გამყიდველი ითვლის თავის დახლთან ფულს, მერე კი, თუ მოუნდება, შეუძლია, უეცრად ადგეს და წაიღოს თავისი სხეული ტაძარში. მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სხეული ტაძარშია, ეს ადამიანი სულელურად მიიჩნევს, რომ ტაძარში სწორედ ისაა. თუმცა, ერთხელ მაინც რომ შეეღწია თავის გონებაში, თავისდა გასაკვირად აღმოაჩენდა, რომ ისევ თავის მაღაზიაში ზის და ფულს ითვლის.

გამიგია ასეთი ისტორია.

ერთ კაცს ცოლი მოსვენებას არ აძლევდა. ყველა კაცი უკმაყოფილოა ცოლით, ამ შემთხვევაში, ეს ქმარი განსაკუთრებით შეაწუხა ცოლმა. ის იყო რელიგიური ადამიანი, ცოლი კი არ იყო რელიგიური. როგორც წესი, პირიქითაა: ცოლია რელიგიური, ქმარი კი სრულიად არ არის რელიგიური. მაგრამ ყველაფერი ხდება! ისე მესმის, რომ წყვილიდან მხოლოდ ერთია ხოლმე რელიგიური. ცოლი და ქმარი ერთდროულად არასდროს არიან

რელიგიურნი. ერთი ყოველთვის ეწინააღმდეგება მეორეს. ამ შემთხვევაში, ქმარი რელიგიური გახდა, როცა ცოლს საერთოდ არ აინტერესებდა ეს, თუმცა ქმარი ყოველდღე ცდილობდა მის რელიგიურ ადამიანად ქცევას.

რელიგიურ ადამიანს ერთი სუსტი წერტილი აქვს – მას სურს სხვა ადამიანები თავისნაირი გახადოს. ეს ძალიან საშიშია, ასეთი ქმედება ხომ ძალადობრივია. გაიძვერობაა, ეცადო სხვა ადამიანები დაგემსგავსონ შენ. ისიც საკმარისია, შენი აზრი გამოხატო სხვა ადამიანების წინაშე, მაგრამ ძალადობრივად მიყვანა საკუთარ რწმენამდე იქამდე მიგვიყვანს, რომ მას შეიძლება „სულიერი ძალადობა" ვუწოდოთ.

ყველა გურუ ამგვარად იქცევა. იშვიათად შეძლებთ უფრო მოძალადე ადამიანის მოძებნას, როგორიც გურუა. გურუ მოსწავლეს კისერში წაავლებს ხელს და კარნახობს, როგორი ტანსაცმელი უნდა ატაროს, როგორ უნდა დაივარცხნოს, როგორ უნდა ჭამოს და სვას, როდის უნდა დაიძინოს, როდის ადგეს – ესა და ის, მოსწავლეს თავს ეხვევა ყველა ეს სისულელე. გურუ ამგვარი სისულელების ჩიჩინით, ფაქტობრივად, კლავს ადამიანებს.

ასე რომ, ამ ადამიანს ძალიან უნდოდა ცოლის რელიგიურად მოქცევა. სინამდვილეში ადამიანები დიდ სიამოვნებას იღებენ, თუ სხვა ადამიანებს რომელიმე რელიგიისკენ მოაქცევენ. გახდე რელიგიური – ეს თავისთავად ძალიან დიდი საქმეა, მაგრამ ადამიანები ძალიან დიდ სიამოვნებას იღებენ იმით, რომ სხვა ადამიანებს თავს აბეზრებენ თავიანთი რელიგიური მოწოდებებით, რადგან, როცა ასე იქცევიან, ისინი აღიარებენ, რომ თავად რელიგიური ადამიანები არიან. მაგრამ ცოლი არ უსმენდა ქმარს. სასოწარკვეთილი ქმარი თავის გურუსთან მივიდა და სთხოვა, მისულიყო სახლში და ცოლი დაერწმუნებინა.

ერთხელ, დილით ადრე, დაახლოებით ხუთ საათზე, მასთან გურუ მივიდა. ქმარი უკვე თაყვანისცემის ოთახში იყო. ცოლი სახლთან ეზოს გვიდა. გურუ გაჩერდა და უთხრა:

– შენი ქმრისგან გამიგია, რომ არარელიგიური ადამიანი ხარ. შენ არასდროს სცემ თაყვანს ღმერთს, არასდროს ლოცულობ, არასდროს შედიხარ ტაძარში, რომელიც შენმა ქმარმა

სახლში მოაწყო. შეხედე შენს ქმარს – ეხლა ხუთი საათია და ის უკვე ტაძარშია.

– მე არ მახსოვს, რომ ჩემი ქმარი როდესმე ტაძარში დადიოდეს, – უპასუხა ცოლმა.

ტაძარში მჯდარი ქმარი ცოლის სიტყვების გაგონებისას სიბრაზისგან გაწითლდა. რელიგიური ადამიანი ძალიან ადვილად ბრაზდება და ის, რომელიც ჭეშმარიტად, მართლა ზის ტაძარში, ერთგულია რელიგიის მოთხოვებისა. მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის, ადამიანები ტაძარში სხედან იმიტომ, რომ თავისი რისხვის ალი ჩააქროს თუ სხვა რამის გამო. თუ ერთი ადამიანი რელიგიური ხდება, მაშინ ის, სახლში ჯოჯოხეთს ქმნის ოჯახის სხვა წევრებისთვის.

ქმარი გაცოფდა. მან ლოცვების მხოლოდ ნახევარი წაიკითხა, როცა ცოლის სიტყვები გაიგო. ყურებს არ უჯერებდა, მისი სიტყვები სრული სისულელე იყო. ის ზის ტაძარში და ცოლი კი მის გურუს ეუბნება, რომ არ იცის, ქმარი დადის თუ არა ტაძარში! მან სასწრაფოდ დაასრულა ლოცვა, რომ გამოსულიყო და შეკამათებოდა.

გურუ ცოლზე გაბრაზდა:

– რას ლაპარაკობთ? თქვენი ქმარი რეგულარულად დადის ტაძარში.

გურუს პასუხის მოსმენის შემდეგ ქმარმა უფრო ხმამაღლა დაიწყო ლოცვების კითხვა.

– შეხედე, რა გულმოდგინედ ლოცულობს შენი ქმარი! - უთხრა გურუმ ცოლს.

ცოლმა გაიცინა და უთხრა:

– ძნელი დასაჯერებელია, რომ თქვენც კი შეიძლება მოგატყუოთ ასეთმა ხმამაღალმა კითხვამ! რა თქმა უნდა, ის ხმამაღლა წარმოთქვამს ღმერთის სახელს, მაგრამ, რამდენადაც მე ვხვდები, ის არ არის ტაძარში, არამედ ფეხსაცმლის მაღაზიაში, ის, იქ, ფასის გამო ვაჭრობს.

ქმარმა ვეღარ მოითმინა. მას აღარ შეეძლო მეტის მოთმენა შეწყვიტა ლოცვა და ტაძრიდან გამოვარდა.

– რატომ ტყუი? – იყვირა მან, – ნუთუ არ დაგინახავს, რომ ტაძარში ვლოცულობდი?

– შეხედე შენს თავს უკეთესად, – ურჩია ცოლმა, – მართლა ლოცულობ? ნუთუ შენ მეწაღესთან არ ვაჭრობდი? ნუთუ შენ მასთან არ კამათობდი?

და ქმარი დადუმდა, რადგან ის სიმართლეს ამბობდა.

– მაგრამ შენ როგორ გაიგე ამის შესახებ? – ჰკითხა.

ცოლმა აუხსნა:

– გუშინ საღამოს, ვიდრე დასაძინებლად წახვიდოდი, შენ მითხარი, რომ დილით, პირველ რიგში, წახვიდოდი მეწაღესთან ფეხსაცმლის საყიდლად, რომელიც ძალიან გჭირდება. შენ ასევე თქვი, რომ შენი აზრით, მეწაღემ ფეხსაცმელში ძალიან დიდი თანხა მოითხოვა. ჩემი გამოცდილება მკარნახობს, რომ შენი ბოლო ფიქრი, დაძინებამდე, იქნება შენი პირველი ფიქრი, მეორე დილას გაღვიძებისას. ამიტომ, უბრალოდ, მივხვდი. რომ შენ უნდა ყოფილიყავი ფეხსაცმლის მაღაზიაში.

– მე აღარაფერი მაქვს სათქმელი, რადგან მართალი ხარ. – უთხრა ქმარმა, – მე მართლა ფეხსაცმლის მაღაზიაში ვიყავი და ვკამათობდით ფეხსაცმლის ფასზე. რაც უფრო ცხარე ხდებოდა კამათი, მით უფრო ხმამაღლა ვიმეორებდი ღმერთის სახელს. შეიძლება, გარეგნულად ღმერთს ვუმღეროდი, მაგრამ შიგნით მეწაღეს ვეკამათებოდი. შენ მართალი ხარ – შეიძლება. არასდროს ვყოფილვარ ტაძარში.

ტაძარში შესვლა არც ისე ადვილია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეხვიდეთ ნებისმიერ შენობაში და განაცხადოთ, რომ თქვენ ტაძარში ხართ. შეიძლება, ტაძარში შევიდა თქვენი სხეული, მაგრამ როგორ შევა თქვენი გონება? როგორ ხართ დარწმუნებული იმაში, თუ სად იქნება თქვენი გონება შემდეგ მომენტში? თუ თქვენი გონება შევიდა ტაძარში, რატომ ნერვიულობთ იმაზე, ტაძარშია თუ არა თქვენი სხეული? გონება, რომელმაც ტაძარში შესასვლელი იპოვა, უეცრად აღმოაჩენს, რომ ის, ყველა მხრიდან, გარშემორტყმულია უზარმაზარი ტაძრით და ახლა შეუძლებელია იმ ტაძრიდან გამოსვლა. სადაც არ უნდა წახვიდეთ, თქვენ მაინც ტაძარში იქნებით. თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ მთვარეზე... ამასწინათ, მთვარეზე ამსტრონგი იყო. ეს ნიშნავს იმას, რომ მან ღვთის სახლი დატოვა? თქვენ ფიქრობთ, რომ არსებობს რაიმე ადგილი, სადაც ადამიანს შეუძლია იყოს თავისი ტაძრის გარეთ?

ასე რომ, ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი შექმნილი ტაძარი ღმერთის ერთადერთი ტაძარია და ტაძრის გარეშე, ღმერთი არ არის, ცდებიან. ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეს ტაძარი უნდა იყოს განადგურებული, იმიტომ რომ მასში არ არის ღმერთი, ისინიც ცდებიან.

რაში არიან დამნაშავენი საწყალი ტაძრები? თუ თქვენ შეძლებდით თქვენი ილუზიებისგან გათავისუფლებას, რომ ღმერთი მხოლოდ ტაძარში არსებობს, მაშინ ჩვენს ტაძრებს შეეძლებოდათ მთელი ძალით უმშვენიერესები, საყვარლები და ღვთაებრივები ყოფილიყვნენ. სინამდვილეში სოფელი ტაძრების გარეშე დაუსრულებელი გვეჩვენება. ტაძრის ფლობა, შესაძლოა, სიხარულით გვავსებდეს, მაგრამ ინდუსური ტაძარი არასდროს არის სიხარულის წყარო, ასეთივე წყარო ვერასდროს იქნება მუსლიმანური და ქრისტიანული ტაძრები და იმავე მიზეზის გამო – მხოლოდ ღმერთის ტაძარს შეუძლია იყოს სიხარულის წყარო.

მაგრამ ინდუისტური, მუსლიმანური და ქრისტიანული პოლიტიკა იმდენად ღრმაა, რომ ის ტაძარს ღვთაებრიობის ყოფიერების გამოვლინების ნებას არასდროს მისცემს. ამიტომაც აქვს ინდუისტურ სიწმინდეებსა და მუსლიმანურ მეჩეთებს უსახური შესახედაობა. პატიოსანი ადამიანი ვერც კი გადაწყვეტს მის შეხედვას. ისინი ჩავარდა უსირცხვილო ნაძირალების ხელში, იქ იგეგმება ყოველგვარი უმსგავსობა. იმ ადამიანებს, რომლებიც გეგმავენ ყოველგვარ ცუდ საქმეს, შესაძლოა, უჭირდეთ იმის გაგება, რას აკეთებენ. რამდენადაც მესმის, არც ერთი ადამიანი არ გეგმავს ცუდ ქმედებას გაცნობიერებულად. ამგვარ საქმეებს მუდამ გაუცნობიერებლად გეგმავენ. მთელი დედამიწა შეპყრობილია ამ გაუგებრობით.

თუკი დედამიწიდან ოდესმე ტაძრები გაქრება, ეს არ მოხდება ათეისტების გამო, არამედ, ე.წ. თეისტების გამო. ტაძრები უკვე ქრებიან, ისინი თითქმის გაქრნენ. თუ ჩვენ გვინდა დედამიწაზე ტაძრები შევინარჩუნოთ, მაშინ თავიდან, ჩვენ გარშემო უნდა დავინახოთ უზარმაზარი ტაძარი, ანუ თავად არსებობა. მაშინ უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი ტაძრები თავისთავად შენარჩუნდებიან, ისინი გადარჩებიან, როგორც ღვთაებრიობის სიმბოლოები. ეს იგივეა, თითქოს ცხვირსახოცი

გაჩუქოთ... ეს საჩუქარი შეიძლება რამდენიმე გროში ღირდეს, მაგრამ თქვენ მას სასოებით ინახავთ ზარდახშაში ძვირფასეულობასთან ერთად.

ერთხელ, რომელიღაც სოფელში ვიყავი. ადამიანები მოვიდნენ რკინიგზის სადგურზე გასაცილებლად და ვიღაცამ კისერზე ყვავილების გვირგვინი ჩამომკიდა. მოვიხსენი ეს გვირგვინი და გვერდით მდგომ გოგონას მივეცი. ექვსი წლის შემდეგ, ამ სოფელს ისევ ვესტუმრე. ჩემთან ის გოგონა მოვიდა და მითხრა: „მე შევინახე ის გვირგვინი, რომელიც მაშინ მომეცით. თუმცა ყვავილები დაჭკნა და ხალხი ამბობს, რომ მას აღარ შერჩა სურნელი, ჩემთვის ის ყვავილები მაინც ისეთივე ახალი და არომატულია, როგორიც პირველ დღეს. როგორც არ უნდა იყოს, სწორედ, თქვენ მომეცით ეს გვირგვინი."

მე მასთან სახლში მოვედი, და მან გამოიტანა შესანიშნავი ხის ყუთი, რომელშიც მზრუნველად მოვლილი გვირგვინი იდო. ყველა ყვავილი დამჭკნარი, გამომშრალი იყო, მათ დაკარგული ჰქონდა თავისი არომატი. ასეთი გვირგვინის ნახვისას ნებისმიერ ადამიანს შეეძლო ეთქვა: „რატომ ჩაალაგე ეს ნაგავი ასეთ შესანიშნავ ყუთში? რად გინდოდა ეს? ყუთი მშვენიერია და ნაგავი კი უსარგებლო." გოგონას შეეძლო ყუთი გადაეგდო, მაგრამ არა ნაგავი. ის, მასში, კიდევ სხვა რამეს ხედავდა – მისთვის, ეს იყო სიმბოლო, რომელიც შეიცავდა სიყვარულით სავსე მოგონებებს ვიღაც ადამიანზე. დანარჩენი სამყაროსთვის ის შეიძლება ნაგავი ყოფილიყო, მხოლოდ არა მისთვის.

ტაძრებში, მეჩეთებში, ეკლესიებში შეიძლება დარჩეს მხოლოდ საგნები, რომლებიც მოაგონებენ ადამიანს მის მიერ ღმერთისკენ სწრაფვას, ღმერთის ძიებას... და ეს მართლა ასეა. ყურადღება მიაქციეთ ეკლესიების თვალუწვდენელ შპილებს, მეჩეთების მაღალ მინარეთს, ტაძრების ცამდე აწვდილ გუმბათებს. ეს ყველაფერი სხვა არაფერია, თუ არა სიმბოლოები ადამიანის სურვილისა, ამაღლდეს, მის მიერ ღმერთის ძიების სიმბოლო. ეს სიმბოლოები იმისი დასტურია, რომ ადამიანი უბედურია, როცა მას მხოლოდ სახლი აქვს და მას, ასევე სურს ტაძრის აგება. ადამიანი უბედურია მაშინ, როცა ის მხოლოდ მიწაზეა და მას სურს სადღაც, ცაში აიჭრას, აფრინდეს.

ოდესმე მიგიქცევიათ ყურადღება სანათებისთვის, რომლებიც ტაძრებში ანათებენ? ოდესმე დაფიქრებულხართ იმაზე, რომ ეს სანათები, რომელიც შეიცავს კამეჩის რძისგან დამზადებულ თხევად ზეთს გაწმენდილი ზეთის შემადგენლობით, მუდამ ანთია ტაძარში? ოდესმე მოგსვლიათ თავში, რომ ეს სანათები – ერთადერთი რამაა დედამიწაზე, რისი ალიც არასდროს ეცემა ძირს? ის მუდამ ზევით მიიწევს. ალი, რომელიც მუდამ ზევით მიიწევს – ეს არის ადამიანების ზეცისკენ სწრაფვის სიმბოლო. ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ დედამიწაზე, მაგრამ ასევე გვინდა ზეცაში ავაგოთ საცხოვრისი. შესაძლოა, ჩვენ ყოველთვის მიჯაჭვული ვართ მიწას, მაგრამ ძალიან გვინდა თავისუფლად ვიმოძრაოთ გაშლილი ზეცისკენ.

ოდესმე შეგიმჩნევიათ, ალი როგორ სწრაფად ავარდება და ქრება ხოლმე? ოდესმე შეგიმჩნევიათ, როგორც კი ალი ავარდება და ქრება, თქვენ არ შეგიძლიათ მისი კვალის მოძებნა? ესეც სწორედ იმის სიმბოლოა, რომ ის, ვინც ზევით ადის, ქრება. დედამიწის სანათი – ეს მყარი მატერიაა, ალი კი სწრაფად გაქრობადი – როგორც კი ზევით ისწრაფვის, მაშინვე ქრება. სანათის ალში შეტყობინებაა. ეს იმის სიმბოლოა, რომ ყველაფერი რაც მიწიერზე, უხეშზე ამაღლდება, მიწიერი სამყაროდან ქრება.

ადამიანი თავისი სანათისთვის სიყვარულით ირჩევს კამეჩის რძისგან დამზადებულ თხევად ზეთს, თუმცა არაფერია ცუდი იმაში, რომ სანათში ნავთი გამოიყენოს (ღმერთი არ დაგიშლით ნავთის გამოყენებას), ჩვენ ვგრძნობთ, რომ ზევით მოძრაობა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც ისეთი წმინდაა, როგორიც კამეჩის რძისგან დამზადებული ზეთი. ნავთის ლამპის ალიც ავა ზევით, ნავთი ხომ არანაკლებ მხურვალეა კამეჩის რძისგან დამზადებულ ზეთზე, მაგრამ კამეჩის რძისგან დამზადებული ზეთი – ეს ჩვენი სულიერი მდგომარეობის სიმბოლოა, იმისა, რომ მაღლა ასვლა შეეძლება მას, ვინც წმინდა გახდება.

ტაძრები, მეჩეთები და ეკლესიები, სწორედ, ამ ტიპის სიმბოლოებია. ისინი ძალიან სასიამოვნო შეიძლება იყოს. ისინი მშვენიერი სიმბოლოებია, ადამიანის წარმოსახვისგან შექმნილი ზღაპრული სურათები, მაგრამ ისინი დამახინჯდნენ, რადგან მათ ძალიან ბევრი სისულელე გაერია. და ახლა, ტაძარი – უკვე

აღარაა რომელიღაც ტაძარი, არამედ ინდუისტური ტაძარია. და ეს არ არის მხოლოდ ინდუისტების ტაძარი, არამედ ვაიშნავების[2] ტაძარი და არა მარტო ვაიშნავების, არამედ ვიღაც ადამიანის ტაძარი. ამგვარად, მუდმივი დეზინტეგრაციისგან ყველა ტაძარი გადაიქცა პოლიტიკის გამტარებლებად. ისინი ასწავლიან ნეპოტიზმს და რაიმესადმი ბრმად მიმდევრობას, ამას მიჰყავს ყველა ადამიანი კატასტროფამდე. ნელ-ნელა ყველა გადაიქცა ორგანიზაციებად, რომლებიც მუდმივად ექსპლუატირებენ და მხარს უჭერენ თავიანთი ინტერესების გატარებას.

არ გთხოვთ, ზურგი შეაქციოთ ტაძრებს, არამედ, გთხოვთ გათავისუფლდეთ ყველაფრისგან, რაც უაზრობაა და რაც ტაძრების ნაწილი გახდა. ტაძრებში ჩადებული მათი ინტერესები აუცილებლად გასანადგურებელია. ტაძრები უნდა გადავარჩინოთ მათი ორგანიზაციებად გადაქცევისა და მიკერძოებულობისაგან, გადავარჩინოთ ნეპოტიზმისა და რაიმისადმი ბრმად ვალდებულებისაგან. ტაძარი – ეს ძალიან ლამაზი ადგილია, თუკი ის, მუდმივად შეგვახსენებს ღმერთს, თუკი ის, ასახავს მაღლა, ცისკენ ფრენის სწრაფვას.

ვამბობ, რომ ვიდრე ტაძრები იქნება პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ისინი გააგრძელებენ უბედურების წარმოშობას. სინამდვილეში ახლა ტაძრები სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. როცა ტაძრებს ინდუსებისთვის აშენებენ, ის მაშინვე ხდება პოლიტიკის მიმდევარი, რადგან პოლიტიკა ნეპოტიზმს ნიშნავს. რელიგია კი არანაირად არ უკავშირდება ნეპოტიზმს. რელიგია ნიშნავს სადხანუს, სულიერების ინდივიდუალურ ერთგულებას, პოლიტიკა კი ნეპოტიზმს ნიშნავს. მუდამ გააცნობიერეთ, რომ რელიგია შეიძლება უკავშირდებოდეს სადხანუს და არასდროს ნეპოტიზმს. პოლიტიკა გადარჩენას ნეპოტიზმით ახერხებს, ნეპოტიზმი – სიძულვილით, სიძულვილი კი გადარჩენას სისხლით ახერხებს და აი, ასე, არ სრულდება უბედურება...

ტაძარი, როგორც ღმერთის სიმბოლო, უწმინდური გახდა. ეს უწმინდურობა უნდა განიდევნოს, მერე კი ტაძარი ზღაპრული სილამაზის სიმბოლო გახდება. თუ სოფელს ექნება ტაძარი,

[2] ვაიშნავი – თავის თავზე იღებენ მისიას. რომ მუდმივად იმეორონ ლოცვები.

რომელიც არ ეკუთვნის არც ინდუსებს, არც მუსლიმანებს, არც ქრისტიანებს, მაშინ სოფელი მშვენიერი იქნება. ტაძარი გახდება სოფლის მშვენება. ტაძარი შეგვახსენებს მარადიულობას. როცა ის ადამიანები, რომლებიც შევლენ ტაძარში, ვერ იგრძნობენ, რომ ტაძარში ლოცვისას ისინი ღმერთს უახლოვდებიან, რომ ტაძრის გარეთ, ის მათგან შორს იყო. ადამიანები, უბრალოდ, იგრძნობენ, რომ ტაძარი – ეს ადგილია, სადაც სილამაზე, სიმშვიდე და მარტოობა შეიგრძნობა. მაშინ ტაძარი შესანიშნავი ადგილი იქნება მედიტაციისთვის. მედიტაცია – ეს ღმერთთან მისასვლელი გზაა.

ყველა ადამიანს არ შეუძლია საკუთარ სახლში ისეთი მშვიდი გარემო შექმნას, რომ იქ, მედიტაცია იყოს შესაძლებელი. მაგრამ მთელ მსოფლიოში უდავოდ მხოლოდ გლეხებს შეუძლიათ, ააგონ ასეთი მშვიდი სახლი. ყველა ადამიანს არ შეუძლია სახლში თავისი შვილებისთვის მასწავლებლები აიყვანოს და უზრუნველყონ ისინი ცალკე სასწავლო შენობით, ბაღით ან სათამაშო მოედნით. თუ ამას ყოველი ადამიანი გააკეთებს, მაშინ პრობლემები შეიქმნება, რადგან მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ბავშვები მიიღებენ განათლებას, ამიტომ ვაშენებთ სოფლებში სკოლებს და ყველა საჭიროებით უზრუნველვყოფთ მთელი სოფლის ბავშვებს. ზუსტად, ასევე, ყოველ სოფელს უნდა ჰქონდეს სადხანუს – მედიტაციის ადგილი. აი, ეს ნიშნავს ტაძარსაც და მეჩეთსაც და სხვას არაფერს. დღესდღეობით, ისინი არ არის სადხანუს ადგილი, ისინი გახდნენ უბედურების გავრცელების ცენტრები.

ასე რომ, საჭირო არ არის ტაძრების მიტოვება, თუმცა ჩვენ უნდა ვიზრუნით იმაზე, რომ ტაძარი აღარ იყოს უბედურების წარმოქმნის ცენტრი. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ტაძრები დაუბრუნდეს რელიგიას და არ დარჩეს ინდუსებისა და მუსლიმანების ხელში.

თუ ქალაქის ბავშვებს შეუძლიათ, ისევე თავისუფლად მივიდნენ მეჩეთში, როგორც მიდიან ტაძარში, ისევე თავისუფლად მიდიან ეკლესიაში, როგორც მივლენ ისინი შივას ტაძარში, მაშინ ასეთი ქალაქი ნამდვილად რელიგიურია. მაშინ ამ ქალაქის მცხოვრებნი ნამდვილად რელიგიურნი და სათნონი არიან. მაშინ მშობლები ამ ქალაქში არ არიან შვილების მტ-

რები. ჩანს, რომ ამ ქალაქში ვხედავთ მშობლებს, რომელთაც უყვართ შვილები და ისე აწყობენ ცხოვრებას, რომ მათმა შვილებმა ერთმანეთში არ იჩხუბონ. ამ ქალაქში მშობლები თავიანთ შვილებს ასე ეტყოდნენ: „მეჩეთი – შენი ისეთივე სახლია, როგორიც ტაძარი. წადი იქ, სადაც სიმშვიდეს მოიპოვებ. დაჯექი იქ, მოძებნე ღმერთი. ყველა სახლი ღმერთს ეკუთვნის, მაგრამ არსი იმაშია, რომ ღმერთის გაელვება უნდა დაინახო. ამისთვის საკუთარ თავში წადი. შენ თავისუფლად შეგიძლია წახვიდე იქ, სადაც გინდა.“ იმ დღეს, როცა ეს რეალური იქნება, სამყაროში წარმოიშობა ჭეშმარიტი ტაძარი. მაგრამ, ჩვენ, ჯერ არ შეგვიძლია ასეთი ტაძრის აგება.

მე არ ვარ მათ შორის, ვისაც უნდა ტაძრებისგან გათავისუფლება. პირიქით, ვამბობ, რომ ჩვენი ტაძრები უკვე დანგრეულია იმ ადამიანებისგან, რომლებიც მათ დამცველებად აცხადებენ თავს. მაგრამ რთული სათქმელია, როდის ვნახავთ ასეთ ტაძრებს. ამასთან ერთად, ადამიანები ჩემი ნათქვამის აზრს ამახინჯებენ. ისინი ფიქრობენ, რომ მე მათ შორის ვარ, ვინც ტაძრებს ანგრევს. რას მივაღწევ ტაძრების დანგრევით? ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება ტაძარს, მასზე ყველა თავდასხმა, რასაკვირველია, უნდა განადგურდეს და, რა თქმა უნდა, მთელი ძალები აქეთკენ უნდა მივმართოთ.

კიდევ ბოლო საკითხი და მერე დავიწყებთ ჩვენს მედიტაციას. დილის მედიტაციის შემდეგ ასეთი კითხვა დამისვეს:

სხეულის დატოვების შემდეგ სულები ხანდახან დადიან თუ არა აქეთ-იქით?

ზოგიერთ სულს სიკვდილის შემდეგ უჭირს ახალ სხეულში მაშინვე შესვლა და ამის მიზეზი არსებობს. თქვენ შეიძლება, არასდროს გიფიქრიათ, რომ მიზეზი შემდეგნაირი ყოფილიყო: თუ ჩვენ დავყოფთ სულებს, მაშინ სამ კატეგორიას მივილებთ. პირველი კატეგორია დაბალია, აქ არიან ადამიანები, რომლებსაც ყველაზე დაბალი ცნობიერება აქვთ, მეორე კატეგორია შეიცავს ყველაზე მაღალი, უმაღლესი, უსუფთავესი ცნობიერების ტიპს, მესამე კატეგორია შედგება საშუალო ადამიანებისგან, რომელშიც არის გაერთიანებული დაბალი და მაღალი ხარისხის ცნობიერება.

მოდით განვიხილოთ დამრუს, პატარა ბარაბნის (დოლის) მაგალითზე. ის ფართოა ბოლოებში და ვიწრო შუაში. ჩვენ რომ შეგვეცვალა ის იმგვარად, რომ ის შუაში გაფართოებულიყო და ბოლოებში დავიწროებულიყო, მაშინ გავიგებდით სულების სიტუაციას, რომლებმაც სხეული დატოვეს. ვიწრო ბოლოებში ძალიან ცოტა სულებია. მდაბიო სულებისთვის ისეთივე ძნელია ახალ სხეულში შესვლა, როგორც უმაღლესი სულებითვის. ის კი, ვინც არის შუაში, არანაირ დაბრკოლებას არ განიცდიან, ისინი აღწევენ ახალ სხეულამდე, როგორც კი წინა სხეულს ტოვებენ. ამის მიზეზი ის არის, რომ შუათათვის, საშუალო სულებისთვის მუდამ ხელმისაწვდომია შესაფერისი ჭურჭელი.

როგორც კი ადამიანი კვდება, მისი სული ხედავს ათასობით ადამიანს, ათასობით შეჯვარებულ წყვილს და თუკი სულს მოეწონა რომელიმე წყვილი, ის შედის იმ ქალის წიაღში. თუმცა უმაღლესი დონის სულებს არ შეუძლიათ ჩვეულებრივ წიაღში შესვლა – მას სჭირდება არაჩვეულებრივი წიაღი. უმაღლესი სულებისთვის აუცილებელია წყვილის უაღრესად მაღალი დონის ცნობიერი კავშირი, რათა მისი დაბადებისთვის გაჩნდეს უმაღლესი ხარისხის ალბათობა. ამიტომ უმაღლესი სული იძულებულია დაუცადოს საჭირო საშვილოსნოს. დაბალი დონის სულები ასევე იძულებულნი არიან მოიცადონ, რადგან მათაც არ შეუძლიათ შესაფერისი წყვილის მოძებნა და მათთვისაც არ არის ადვილი დაბალი ტიპის საშვილოსნოს მოძებნა. ამგვარად, უმაღლესი და უმდაბლესი ტიპის სულების დაბადება არ არის ადვილი, როცა საშუალო სულებს არანაირი პრობლემა არ აქვთ. ყოველთვისაა საშვილოსნო, რომელიც მიიღებს მათ სულებს და საშუალო სულსაც მაშინვე იზიდავს ერთ-ერთი მათგანი.

დილით ვლაპარაკობდი ბარდოზე[3]. ამ მეთოდში მომაკვდავ ადამიანს ეუბნებიან: „შენ დაინახავ ათასობით შეწყვილებულ სულს. არ იჩქარო. მოიფიქრე ყველაფერი, დაიცადე და დარჩი ისეთად, როგორიც ხარ, ვიდრე შეხვალ ახალ საშვილოსნოში, რომელიც მიგიზიდავს.“ ეს იგივეა, რომ ადამიანი ქუჩაში მიდიოდეს და იყიდოს ის, რამაც მისი ყურადღება ვიტრინაში

[3] ბარდო – ასევე ანტარაბხამა – სიტყვა სიტყვით „ორს შორის“

მიიქცია. რომელი მაღაზიაც მოხვდება მას თვალში პირველად, იქ შევა, იქ შედის მყისიერად.

ასე რომ, ბარდოს მეთოდში მომაკვდავ ადამიანს აფრთხილებენ: „იყავი ფხიზლად! არ იჩქარო, სულ ეძებე, კარგად დაფიქრდი, შეათვალიერე წიაღი.“ ასე იმიტომ ეუბნებიან, რომ მუდმივადაა შეჯვარებული ათასობით ადამიანი. ადამიანი ნათლად ხედავს ასობით წყვილს, რომლებიც სიყვარულით არიან დაკავებულნი, მათ შორის მას იზიდავს მხოლოდ ის წყვილი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მისთვის შესაფერისი წიაღი.

უმაღლეს და უდაბლეს სულებს უწევთ ლოდინი მანამდე, ვიდრე ისინი არ მოძებნიან შესაბამის საშოს. უდაბლესი სულებისთვის არ არის ადვილი ასეთივე დაბალი დონის საშოს პოვნა, რომ მათ შეეძლოთ თავისი შესაძლებლობების რეალიზება. ზუსტად ასევე, უმაღლესი სულები მაშინვე ვერ პოულობენ უმაღლესი ხარისხის საშოს. უსხეულო, უმდაბლესი სულებს, ბოროტ სულებს ვეძახით, ხოლო თავისი დაბადების მომლოდინე უმაღლეს სულებს ჩვენ ვეძახით დევატებს, ღმერთებს. უმაღლესი სულები, რომლებიც ელოდებიან სწორ საშოს, – ესენი ღმერთებია. მოჩვენებები და ბოროტი სულები – ისინი უდაბლესი ტიპის სულებია, ისინი სხეულებს დაშორებულნი არიან, თავიანთი დაბალი სულიერების გამო. ჩვეულებრივი სულისთვის, საშო მუდმივად ხელმისაწვდომია. როგორც კი სიკვდილი დგება, სული მაშინვე შედის ახალ საშოში.

იმავე ადამიანმა დამისვა სხვა კითხვაც:

შეუძლიათ იმ სულებს, რომლებიც დაბადებას ელოდებიან, შევიდნენ სხვა ადამიანის სხეულში და შეაწუხოს ის?

ასეთი სიტუაციაც შესაძლებელია, რადგან უმდაბლესი სულები, რომლებიც ჯერ კიდევ არ შესულან სხეულში, იტანჯებიან, ხოლო უსხეულო უმაღლესი სულები ბედნიერნი არიან. თქვენ უნდა გაიგოთ ეს განსხვავება. უმაღლესი სულები სხეულს ყოველთვის თვლიან, რომ სხეულზე ამა თუ იმ ხარისხით არიან დამოკიდებულნი. მათ ურჩევნიათ, რომ დარჩნენ მსუბუქები, ამჯობინებენ, რომ არ ატარინ სხეულის წონა. ბოლოს და ბოლოს, უნდათ გათავისუფლდნენ სხეულისგან იმიტომ, რომ მათ სჯერათ, რომ სხეული სხვა არაფერია, თუ არა საპყრობილე. არსებითად, ისინი გრძნობენ, რომ სხეული

უბიძგებს მათ ისეთი გარკვეული ქმედებებისკენ, რომლის ჩადენაც არ ღირს. ამიტომ ეს სულები არ ისწრაფვიან სხეულისკენ. უმდაბლეს სულებს ერთი წუთითაც არ შეუძლიათ სხეულის გარეშე ცხოვრება. მათი ინტერესები, მათი ბედნიერება სხეულთანაა დაკავშირებული.

ზოგიერთი სიამოვნება შეიძლება მიიღო სხეულში შეღწევის გარეშე. მაგალითად, ავიღოთ მოაზროვნის სული. მას შეუძლია ისიამოვნოს ფიქრით ისე, რომ არ იყოს სხეულში, რადგან ფიქრი არანაირად არ უკავშირდება სხეულს. ამგვარად, თუ მოაზროვნის სული იწყებს მოგზაურობას და ვერ აღწევს სხეულს, ის არასდროს ავლენს სწრაფვას, მოხვდეს სხეულში, რადგან მას შეიძლება ისიამოვნოს ფიქრით იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის არის. მაგრამ მოდით, ვივარაუდოთ, რომ რომელიმე ადამიანი ვნებიან სიამოვნებას განიცდის ჭამისგან. ამგვარი სიამოვნების მიღება სხეულის გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ასეთ ვითარებაში სული წარმოუდგენლად მშფოთვარე ხდება სხეულში შეღწევის გზების ძიებისას და თუ ის ვერ ახერხებს საჭირო საშოს მოძებნას, ის შეიძლება იმ სხეულში შევიდეს, რომელშიც სუსტი სულია. სუსტი სული – ეს ადამიანია, რომელიც არ არის თავისი სხეულის პატრონი. ეს ხდება მაშინ, როცა სუსტი სული შეშინებულია.

დაიმახსოვრეთ, შიშს ღრმა მნიშვნელობა აქვს. შიში ნიშნავს იმას, რაც გაიძულებთ, იყოთ შევიწროებული. როცა თქვენ გეშინიათ, თქვენ პატარავდებით, როცა თქვენ ბედნიერი ხართ, თქვენ ფართოვდებით. როცა ადამიანი შეშინებულია, მისი სული ვიწროვდება, ამის გამო, მის სხეულში დიდი სივრცე რჩება, რომელიც შეიძლება სხვა სულმა დაიკავოს. და არა მხოლოდ ერთ სულს, არამედ ბევრ სულს შეუძლია ამ სივრცის დაკავება. ამგვარად, როცა ადამიანი შეშინებულია, მის სხეულში შეიძლება შევიდეს რომელიმე სული და ერთადერთი მიზეზი, რომ სული ასე იქცევა, ის არის, რომ ყველა მისი სურვილი სხეულთანაა დაკავშირებული და ის ცდილობს, დაიკმაყოფილოს თავისი სურვილი იმით, რომ შევიდეს რომელიმე ადამიანის სხეულში. ეს სავსებით შესაძლებელია. არის ამგვარი ისტორიების დამამტკიცებელი ფაქტები და ჩემი სიტყვები დამყარებულია ნამდვილ ამბებზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ მშიშარა ადამიანი მუდმივად საფრთხის ქვეშაა, ის ხომ მუდმივად შეკუმშულია შიგნიდან. შეიძლება ითქვას, რომ ის თავისი სახლის ერთ ოთახში ცხოვრობს, დანარჩენი ოთახები კი თავისუფალი რჩება და მათი დაკავება სხვა სტუმრებს შეუძლიათ.

უმაღლესი სულებიც შეიძლება შემთხვევით მოხვდნენ ადამიანთა სხეულებში, მაგრამ ისინი ამას სულ სხვა მიზეზით აკეთებენ. ეს ქმედებები ჩადენილია თანაგრძნობის გამო, რომლის გაკეთებაც შეუძლებელია, სხეულში შეღწევის გარეშე. მაგალითისთვის, ვთქვათ, სახლს უკიდია ცეცხლი და არავინ მიდის ცეცხლის ალისგან მის გადასარჩენად. სახლი გარშემორტყმულია უძლური ბრბოთი და ვერავინ ბედავს ცეცხლმოკიდებულ სახლში შესვლას. უეცრად, წინ გამოდის ადამიანი, ის ცეცხლში შევარდება და ვიღაცას გადაარჩენს ხანძრის ტყვეობიდან. მოგვიანებით, როცა ყველაფერი ჩაივლის, ადამიანს თავად უკვირს, როგორ გააკეთა ეს. ის გრძნობს, რომ მოძრაობდა და მოქმედებდა რაღაც აუხსენელი ძალის ზემოქმედებით, რომ ქმედება მან კი არ ჩაიდინა, არამედ ვიღაც სხვამ. ამგვარ შემთხვევებში, როცა ადამიანს არ შეუძლია მოიკრიბოს სიმამაცე, რაღაც კარგი ქმედებისათვის, რომელიმე უმაღლეს სულს შეუძლია ადამიანის სხეულში შევიდეს და ჩაიდინოს სიკეთე, მაგრამ ეს იშვიათად ხდება.

იმდენად, რამდენადაც უმაღლესი სულებისთვის ძნელი მოსანახია შესაბამისი წიაღი, მათ შემდეგ, დაბადებამდე, ხანდახან ასობით წელი უწევთ ლოდინი. საკვირველია, რომ ეს სულები დედამიწაზე ერთდროულად ჩნდებიან. მაგალითად, ბუდა და მახავირა ინდოეთში 2 500 წლის წინ დაიბადნენ. ორივე ბიხარში დაიბადა და დაახლოებით, იმავე დროს, ბიხარის შტატში, კიდევ ექვსი გასხივოსნებული ადამიანი იყო. მათი სახელები ფართოდ არაა ცნობილი, რადგან ისინი მოწაფეებს არ აძლევდნენ სულიერ მოძღვრებას, მათ არ ჰყავდათ მიმდევრები, ეს ერთადერთი მიზეზია, მაგრამ მათი მნიშვნელობა ბუდასა და მახავირაზე არანაკლები იყო. მათ ჩაატარეს ძალიან თამამი ექსპერიმენტი. არც ერთმა მათგანმა არ გადასცა ცოდნა მოწაფეებს. ერთს ერქვა პრაბუდა კატაიაიანა, მეორეს ერქვა ადუიტ კეშკამბელი, მესამეს ერქვა სანიაი ვილეტხი პუტრა. იყო

კიდევ გასხივოსნებული სახელად მაკხალი გოსალ და სხვები. ისტორიის ამ მოკლე გაელვებაში ბიხარის შტატში ერთდროულად დაიბადა რვა ადამიანი ერთნაირი პოტენციალით და გენიით. მათთვის ხელმისწავდომი იყო მთელი სამყარო, მაგრამ ეს რვა სული დიდხანს ელოდა, რომ დაბადებულიყო პატარა შტატ ბიხარში. როცა მათ ასეთი შესაძლებლობა მიეცათ, ისინი ყველა ერთად დაიბადნენ.

ხშირად ხდება, რომ გამოჩნდება არა მხოლოდ ბოროტი სულების, არამედ კეთილი სულების დაბადებების ჯაჭვი. იმავე დროს, როცა ცხოვრობდნენ ბუდა და მახავირა, საბერძნეთში დაიბადა სოკრატე, პლატონისა და არისტოტელეს შემდეგ. დაახლოებით იმავე დროს, ჩინეთში დაიბადა კონფუცი, ლაო-ძი, ჩონგ-ძი, მენსკი და მენგ-ძი. დედამიწის სხვადასხვა ადგილას უცბათ, ერთდროულად, დაიბადნენ არაჩვეულებრივი ადამიანები. მთელი სამყარო შესანიშნავი ადამიანებით აივსო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ ადამიანების სულები რომელიღაც საათს ელოდნენ. შემდეგ, მათ გაუჩნდათ შესაძლებლობა, უფრო სწორედ, შანსი ჰქონდათ წვდომა შესაფერის საშვილოსნოზე.

როცა საშვილოსნო, შემთხვევის წყალობით, უმაღლესი სულებისთვის ხელმისაწვდომია, ასეთი სულების რაოდენობა მაშინვე იზრდება. ეს იგივეა, როგორც ყვავილის გაშლა. როცა მოდის სეზონი, თქვენ აღმოაჩენთ, რომ გაიშალა ერთი ყვავილი, მერე კი მეორე ყვავილს ხედავთ, მერე – მესამეს. ყვავილები, უბრალოდ, ელოდებოდნენ ყვავილობის ჟამს. მოდის განთიადი, ანუ მზე უბრალოდ ჰორიზონტზე ამოდის და ყვავილები იწყებენ გაშლას – კვირტები იხსნება და ყვავილები ყვავის. ყვავილები მთელი ღამე იცდიდნენ და გაიშალნენ, როცა მზე ამოვიდა.

იგივე ხდება უმდაბლეს სულებთან დაკავშირებითაც, როცა დედამიწაზე შესაბამისი ატმოსფერო ვითარდება, ისინი ჯაჭვურად იბადებიან. მაგალითად, ჩვენს დროში ისეთი ადამიანები, როგორებიცაა ჰიტლერი, სტალინი და მაო დაახლოებით ერთ დროს დაიბადნენ. შესაძლოა, ასეთი საშინელი ადამიანები თავიანთი დაბადების შესაძლებლობას ათასი წელი ელოდებოდნენ, მათთვის არ არის ადვილი საშოს მოძებნა. მხო-

ლოდ სტალინმა საბჭოთა კავშირში ექვსი მილიონი ადამიანი დახოცა, ჰიტლერმა ერთპიროვნულად დახოცა დაახლოებით ათი მილიონი ადამიანი.

სიკვდილის მეთოდები, რომელიც ჰიტლერმა მოიგონა, კაცობრიობის ისტორიაში უნიკალური იყო. ის აწყობდა მასობრივ მკვლელობებს ისე, როგორც არავის გაუკეთებია მანამდე. მის ფონზე თემურლენგი და ჩინგიზხანი დამწყებებად გამოჩნდნენ. ჰიტლერმა მასობრივი მკვლელობებისთვის შექმნა გაზის კამერები. მან გადაწვიტა, რომ თითო-თითოდ ადამიანის მოკვლა და მათი სხეულის გადატანა მძიმე საქმე და თან ძვირი იყო, ამიტომ მასობრივი მკვლელობებისთვის, ეშმაკური მეთოდები მოიფიქრა. არსებობს მასობრივი მკვლელობების სხვა მეთოდებიც, მაგალითად, როგორც ეს მოხდა, ამას წინათ, ახმადაბადში არეულობისას, ანდა სხვა ადგილებში, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან ძვირი მეთოდებია.

ადამიანების სათითაოდ დახოცვა ძალიან დამღლელია და ამას ძალიან დიდი დროც მიაქვს. ადამიანის თითო-თითოდ მოკვლა არაეფექტურია: აქ, თქვენ ერთ ადამაინს კლავთ, იქ, კი სხვა ადამიანი იბადება. ასე რომ, ჰიტლერმა გაზის კამერაში ერთდროულად ხუთი ათასი ადამიანი შეყარა და ღილაკზე ერთი თითის დაჭერით ეს ხუთი ათასი ადამიანი, ფაქტობრივად, ფერფლად აქცია, ისინი უბრალოდ ქრებოდნენ. კამერა ცარიელი იყო, ადამიანის კვალი არასად არ რჩებოდა. არ იღვრებოდა ერთი წვეთი სისხლი, ერთი საფლავიც არ გათხრილა. ყველაფერი ძალიან აკურატულად კეთდებოდა.

არავის შეუძლია ჰიტლერის დადანაშაულება სისხლის ღვრაში. თუ ღმერთი სამართალს ძველი სტანდარტებით ასრულებს, ის აღმოაჩენს, რომ ჰიტლერი სრულიად უდანაშაულოა. მას არც ერთი წვეთი სისხლი არ დაუღვრია, მას არც ერთი მკერდი არ გაუგმირავს მახვილით, მან მკვლელობისთვის, უბრალოდ, ეშმაკური მეთოდი გამოიგონა, რომლის აღწერაც შეუძლებელია. მან გაზის კამერაში მოათავსა ადამიანები, ჩართო ღილაკი, მოიყვანა მოქმედებაში მაღალი ელექტროობა და ადამიანები უბრალოდ ქრებოდნენ. არ რჩებოდა არანაირი კვალი, იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი არსებობდნენ. ჰიტლერი პირველი იშორებდა ადამიანებს ისე, თითქოს ვიღაც წყალს

ადუღებდა და აორთქლებდა მას. მან გაზად აქცია ათი მილიონი ადამიანი!

ჰიტლერის მსგავსი სულისთვის ძალიან რთულია ახალი სხეულის მოძებნა და კარგია, რომ ეს ასე რთულია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი დედამიწა დიდ უბედურებაში გაეხვეოდა. ჰიტლერს დიდხანს მოუწევს ლოდინი, რადგან განაყოფიერების ადგილი მისი ხელახალი ხორციელი მოვლინებისთვის, ასეთი დაბალი სულიერებისთვის წარმოუდგენლად ძნელია.

რას ნიშნავს დაიბადო დაბალი დონის განაყოფიერებისგან? ეს ნიშნავს, რომ თქვენი მშობლების წინაპრებმა ცუდი ქმედებების გრძელი ჯაჭვი შეადგინეს. ერთ ცხოვრებაში შეუძლებელია იმდენი ბოროტების დაგროვება, რომ სხეულის განაყოფიერება უზრუნველყო ისეთი სულისთვის, როგორიც ჰიტლერია. რამდენი მკვლელობა უნდა ჩაიდინო ერთ სიცოცხლეში, რომ ამ ქვეყნად მოავლინო ისეთივე ბოროტი შვილი, როგორიც ჰიტლერია? ჰიტლერის მსგავსმა შვილმა, რომ მშობელი აარჩიოს, აუცილებელია ცუდი ქმედებების გრძელი ჯაჭვი, რომელსაც მშობლები სჩადიოდნენ ასობით ათასობით, მილიონობით წლების განმავლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ადამიანი ჯალათად მუშაობდა, მუდმივად ათასი წლის განმავლობაში, მხოლოდ მაშინ შეეძლო მის გენებს, მის ჯიშს მოეზიდა ჰიტლერის მსგავსი სული.

ასევეა კეთილ სულთან დაკავშირებითაც. საშუალო, ჩვეულებრივი სულის დაბადება არ არის რთული. გარშემო ბევრი ნიაღია, რომელიც მზად არის მიიღოს ასეთი სულები. ამასთან, ამ სულების მოთხოვნები სრულიად ჩვეულებრივია. ეს ჩვეულებრივი ვნებიანი სურვილებია: ჭამა, სმა, ფულის გამომუშავება, სექსით ტკბობა, პატივის ძიება და საზოგადოებრივი მდგომარეობა. ეს, ყველაფერი, ჩვეულებრივი მისწრაფებებია. ყველა ადამიანი ისწრაფვის ასეთი რამეებისკენ და ამიტომ სულებს არ აქვთ არანაირი სირთულე საიმისოდ, რომ ნიაღი მოძებნონ. ყველა მშობელს შეუძლია ნებისმიერ სულს მისცეს შესაძლებლობა ამ ჩვეულებრივი მოთხოვნების მისაღწევად. თუმცა, თუ სულს სურს სხეულში შეიყვანოს იმდენად სუფთა სიცოცხლე, რომ უკითხავად დედამიწას ფეხით შეეხონ, ის იცხოვრებს ისეთი სავსე სიყვარულით, რომ არ მოუნდება თა-

ვისი სიყვარულით სხვების შეწუხება, რომ მისი სიყვარული ვინმესთვის ტვირთად არ გადაიქცეს, მაშინ ჩვენ მოგვიწევს ასეთი სულების დაბადებას დავეღლოდოთ.

ახლაკი მოვემზადოთ საღამოს მედიტაციისთვის.

ნება მომეცით, პირველ რიგში, რაღაც გავარკვიო. შევამჩნიე, რომ ერთმანეთთან ახლოს სხედხართ და ეს არ გაძლევთ საშუალებას, რომ ისხდეთ ისე, რომ არ დაეცეთ მეზობელს. ეს სიტუაცია ნებას არ მოგცემთ, რომ საკუთარ თავს ჩაუღრმავდეთ. ასე რომ, უპირველესად, თქვენ უნდა გაიწიოთ. მას, ვისაც დაწოლა უნდა, დაწვეს. მოგვიანებითაც, მედიტაციის დროს, არ შეიკავოთ თავი. მთლიანად გაუშვით თავი და მიეცით ნება სხეულს, რომ დაეცეს.

ახლა გამორთეთ სინათლე.

უპირველეს ყოვლისა, დახუჭეთ თვალები. მოადუნეთ სხეული... მთლიანად მოადუნეთ სხეული, თითქოს თქვენ არ დაგრჩათ სხეული, შეიგრძენით, რომ მთელი თქვენი სხეულის მთელი ენერგია მოძრაობს შიგნით... შეიგრძენით, რომ თქვენ მოძრაობდით სხეულის შიგნით... თქვენ უნდა მიმართოთ თქვენი ენერგია თქვენში.

სამი წუთის განმავლობაში თქვენ შთაგაგონებთ, რომ თქვენი სხეული დუნდება და თქვენ ეს უნდა იგრძნოთ. თქვენ მუდამ უნდა გრძნობდეთ თქვენს სხეულს და მოადუნოთ ის. ნელ-ნელა თქვენ იგრძნობთ, რომ თქვენს სხეულზე კონტროლი დაკარგეთ. მაშინ თუ თქვენი სხეული დაცემას დაიწყებს, მიეცით ნება, დაეცეს, არ შეაკავოთ ის. თუ სხეული წინ გადავარდება, დაე, იყოს ასე. თუ უკან გადავარდება, დაე იყოს ასე. თქვენ თავად არ დააკავოთ, არ დააკავოთ სხეული. დაე, სხეულზე თქვენი კონტროლი მოდუნდეს. ეს პირველი სტადიაა.

ამჯერად, სამი წუთი შთაგონებას გამოგიგზავნით. ზუსტად ასევე, გირჩევთ, როგორ ისუნთქოთ და როგორ იფიქროთ. ბოლოს, კი ათი წუთით დავიკარგებით სიჩუმეში.

თქვენი სხეული დუნდება. შეიგრძენით ეს: თქვენი სხეული დუნდება... თქვენი სხეული დუნდება... თქვენი სხეული დუნდება... გაუშვით ის, თითქოს თქვენ არ გაქვთ სხეული. სხეულის დაჭერას თავი დაანებეთ... თქვენი სხეული დუნდება...

უარი თქვით სხეულის კონტროლზე, თითქოს თქვენი სხეული მკვდარია.

თქვენ დაიწყეთ მოძრაობა თქვენში, ენერგია შიგნით იწოვება და ახლა სხეული უკან დარჩა როგორც „ნიჟარა". თქვენი სხეული დუნდება... სხეული მთლიანად დუნდება... გაუშვით ის... თქვენ შეიგრძნობთ, რომ ის ქრება, ქრება, ქრება. დაე, ის დაეცეს, თუ უნდა. სხეული დუნდება, თითქოს თქვენ მკვდარი ხართ, თითქოს სხეული უკვე აღარ არის, თითქოს სხეული გაქრა...

მოადუნეთ ასევე თქვენი სუნთქვა. თქვენი სუნთქვა დუნდება... შეიგრძენით, რომ თქვენი სუნთქვა დუნდება... თქვენი სუნთქვა მთლიანად მოდუნდა... გაუშვით ის... დაე, სხეული გაქრეს; დაე, სუნთქვაც გაქრეს... თქვენი სუნთქვა დუნდება...

თქვენი ფიქრებიც ჩუმი ხდება... ფიქრები ხდება ჩუმი... ფიქრები ხდება ჩუმი... შეიგრძენით, როგორ ხდება ჩუმი თქვენი ფიქრები... შეიგრძენით თქვენს შიგნით, როგორ წყნარდებიან ფიქრები... სხეული მოდუნდა, სუნთქვა მოდუნდა, ფიქრები მიწყნარდნენ...

ჩვენში სიჩუმე მეფობს... ჩვენ ვიძირებით სიჩუმეში; ჩვენ ვიძირებით, ჩვენ ვყვინთავთ უფრო და უფრო ღრმად... აი, ასე, ჩვენ ვეცემით უფრო ღრმად და ღრმად სიცარიელეში, შუნაში. გაუშვით საკუთარი თავი, მთლიანად მოეშვით საკუთარი თავის გაკონტროლებას... მუდამ ჩაიძირეთ სიცარიელეში, ჩაიძირეთ განუწყვეტლივ... თქვენს შიგნით დარჩება მხოლოდ ცნობიერი, ცეცხლივით მწველი, მოწმესავით დაფიქრებული.

უბრალოდ დარჩით მოწმედ... მუდამ იყურეთ თქვენში... თქვენ გარეშე ყველაფერი მკვდარია და სხეული სრულიად უსიცოცხლოა... სუნთქვა შენელდა, ფიქრებიც მიწყნარდნენ. ჩვენს შიგნით სიცარიელეში ვართ. გამუდმებით თვალი ადევნეთ, მუდმივად თვალი ადევნეთ, დაუზარლად თვალი ადევნეთ – გაჩნდება უფრო ღრმა სიჩუმე, უფრო ფართო სიჩუმე. ამ დაფიქრებულ მდგომარეობაში „მეც" გაქრება, და დარჩება მხოლოდ მოკიაფე სინათლე, ანთებული ალი.

ახლა კი ათი წუთით დავდუმდები, თქვენ კი თანდათან გაქრით თქვენში, ჩაიძირეთ უფრო და უფრო ღრმად... მოეშვით თქვენს კონტროლს, გაუშვით თქვენი თავი. უბრალოდ, გამუდ-

მებით უყურეთ. ათი წუთი, უბრალოდ, იყავით დამკვირვებლები, მოწმეები.

გარშემო სიჩუმეა... იყურეთ თქვენს შიგნით, მუდამ იყურეთ თქვენს შიგნით... დაე, თქვენში იყოს მხოლოდ მზერა. ტვინი უფრო და უფრო მშვიდი ხდება... თქვენ დაინახავთ, რომ თქვენი სხეული წევს თქვენგან მოშორებით, თითქოს ეს სხეული სხვა ადამიანისაა. თქვენ მოშორდებით მას, თითქოს დატოვეთ სხეული... ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ვიღაც სხვა სუნთქავს...

წადით თქვენს თავში უფრო ღრმად, წადით წინ... მუდამ დააკვირდით, მუდმივად იყურეთ თქვენს შიგნით და ტვინი მთლიანად ჩაიძირება არაფერში... წადით ღრმად, წადით ღრმად თქვენში... მუდმივად დააკვირდით... ტვინი სრულიად მშვიდია...

ჩაიხედეთ თქვენში. „მე“ მთლიანად გაქრა და დარჩა მხოლოდ ცნობიერი. დარჩა მხოლოდ ცოდნა. ყველაფერი დანარჩენი გაქრა...

ნელა გააკეთეთ სამი ღრმა ჩასუნთქვა. ახლა ტვინი საერთოდ მიჩუმდა. შეიგრძენით ყოველი ამოსუნთქვა და თქვენ შეიგრძნობთ, რომ ტვინი უფრო მშვიდი ხდება. თქვენ მოგეჩვენებათ, რომ თქვენი სუნთქვაც თქვენგან გამოყოფილია, რომ ის ძალიან შორსაა თქვენგან. ისუნთქეთ რბილად და ნელა... დააკვირდით, როგორ შორსაა თქვენგან სუნთქვა... დააკვირდით, როგორ დაშორებულია ის თქვენგან.

ნელა გააკეთეთ რამდენიმე ღრმა ჩასუნთქვა, მერე კი ნელა გაახილეთ თვალები. არ იჩქაროთ თვალის გახელა. თუ თქვენ არ შეგიძლიათ თვალების გახელა, სიჩქარე არ ღირს. გაახილეთ თვალები ძალიან ნელა და რბილად, მერე კი ერთი წუთით დააკვირდით შინაგან სამყაროს...

ახლა კი ჩვენი საღამოს მედიტაცია დასრულებულია.

მეოთხე თავი

პირველწყაროსთან დაბრუნება

თქვენი ნათქვამის მიხედვით, ადამიანს სიკვდილზე გამარჯვება შეუძლია მედიტაციის გზით ან სადხანით. მაგრამ ჩვენი ძილის დროსაც არსებობს ამგვარი მდგომარეობა? თუ ასეა, მაშინ რატომ არ შეგვიძლია გავიმარჯვოთ სიკვდილზე სიზმრის დახმარებით?

უპირველესად, თქვენ უნდა გაიგოთ, რომ სიკვდილზე გამარჯვება არ გულისხმობს სიკვდილის დაპყრობას. სიკვდილზე გამარჯვება ნიშნავს, რომ თქვენ დარწმუნდებით სიკვდილის არ არსებობაში. სიკვდილის არ არსებობის გაცნობიერება – სწორედ, ეს გულისმობს მის დამორჩილებას. არ არის საჭირო სიკვდილის დაპყრობა. როგორც კი ადამიანი გაიგებს, რომ სიკვდილი არ არსებობს, მაშინვე წყდება ჩვენი ბრძოლა სიკვდილთან, მისი უსასრულო დამარცხებებით. არსებობენ მტრები, მაგრამ არსებობენ ისეთი მტრები, რომლებიც სინამდვილეში, არ არსებობენ, და მხოლოდ გეჩვენებათ. სიკვდილი – ერთ-ერთი ასეთი მტერია, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს. სიკვდილი მხოლოდ გეჩვენებათ.

ასე რომ, ნუ გაიგებთ სიტყვა „გამარჯვებას“ იმ გაგებით, თითქოს სიკვდილი სადღაც არსებობდეს, თითქოს ჩვენ ის უნდა დავიპყროთ. ასეთი ქმედება მძინარე ადამიანის საკუთარ ჩრდილთან ბრძოლას ჰგავს, ვიდრე ვინმე არ შეახსენებს: „ყურადღებით შეხედე. ეს არ არის რეალური ჩრდილი. ის მხოლოდ მოჩვენებითია“. ადამიანს რომ მხოლოდ ჩრდილისთვის შეეხედა და გაეცნობიერებინა თავისი ქმედება, საკუთარ თავზე გაეცინებოდა, მხოლოდ მაშინ გაიგებდა იმას, რომ საკუთარ ჩრდილს ებრძოდა. ჩრდილის დაპყრობით თქვენ აცნობიერებთ, რომ უსუსტესი ჩრდილის დაპყრობაც კი არ ღირდა. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ჩრდილთან ბრძოლას ცდილობს, ჭკუიდან იშლება. ის, ვინც სიკვდილს ებრძვის, დამარცხდება, მან. კი, ვინც იცის სიკვდილი, მასზე გაიმარჯვებს.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ თუ სიკვდილი არ არის, მაშინ ჩვენ სინამდვილეში არასდროს მოვკვდებით, მიუხედავად იმისა, გავაცნობიერებთ სიმართლეს თუ არა. სამყარო არ შედგება იმ ადამიანებისგან, რომლებიც კვდებიან და იმ ადამიანებისგან, რომლებიც არ კვდებიან. არა, ეს ასე არ არის. ამქვეყნად არასოდეს არავინ კვდება. თუმცა, ორი ტიპის ადამიანები არსებობენ. პირველებმა იციან, რომ სიკვდილი არ არის, დანარჩენებმა კი ამის შესახებ არაფერი იციან. ეს ერთადერთი განსხვავებაა.

სიზმარში იმ ადგილს ვაღწევთ, სანამდეც მედიტაციისას მივედით. ერთადერთი განსხვავება იმაშია, რომ სიზმარში არაცნობიერნი ვართ, მაშინ როცა მედიტაციაში სრულიად ცნობიერნი შევდივართ. აბსოლუტური ცნობიერების არსებობის პირობებში ადამიანის სიზმრისეული შეგრძნებები მედიტაციურს გაუტოლდება.

მაგალითად, თუ ადამიანს საძილე აბებს მივცემთ და უგონო მდგომარეობაში მყოფს საკაცით გავიყვანთ აყვავებულ, სურნელოვან, მზით განათებულ, მოჭიკჭიკე ჩიტებით სავსე ბაღში, იგი ვერაფერს გააცნობიერებს. გაღვიძების შემდეგ, კითხვაზე, მოეწონა თუ არა მას ბაღი, კაცი პასუხს ვერ გაგცემთ. თუკი იმავე ბაღში უკვე სრულ ცნობაზე მყოფს გავიყვანთ, ის ყველაფერს შეიგრძნობს, სრულად აღიქვამს იმ ადგილს, სადაც ადრე მიიყვანეს. ორივე შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ ადამიანი ერთსა და იმავე ადგილას მიიყვანეს. პირველ შემთხვევაში მან ვერ გაისიგრძეგანა მშვენიერი გარემო, მეორე შემთხვევაში მან სრულად შეიცნო ყვავილების სურნელი, ჩიტების ჭიკჭიკი და ამომავალი მზე. ამგვარად, ცნობიერ მდგომარეობაში იქნება ეს თუ არაცნობიერში, უეჭველად მიხვალთ ერთსა და იმავე ადგილამდე, მაგრამ არაცნობიერ მდგომარეობაში ამ ადგილამდე მიღწევის ფასი იქნება არ განირჩეოდეს ამ ადგილამდე საერთოდ არ მისვლის ფასისგან.

სიზმარში იგივე სამოთხეს ვაღწევთ, რომელსაც მედიტაციის დროს, მაგრამ ამას ვერ ვაცნობიერებთ. ყოველ ღამე ამ სამოთხეში ვმოგზაურობთ, შემდეგ კი ვბრუნდებით, თუმცა, ამას ვერ ვაცნობიერებთ. მიუხედავად იმისა, რომ სასიამოვნო ნივთია და საამო სურნელი გვცემს, მიუხედავად იმისა, რომ ჩიტების ჭიკჭიკი ჩაგვესმის, მაინც ვერასდროს ვაცნობიერებთ

ამას. და მაინც, სამოთხიდან შეუცნობლად დაბრუნებულ ადამიანს თამამად შეუძლია თქვას: „ამ დილით კარგად ვიყავი. ისეთი სიმშვიდეა სულში. ამ ღამეს კარგად მეძინა“.

რატომ ხართ ასე კარგად? რატომაა ყველაფერი ასე მშვენივრად, თუნდაც კარგად იყოთ გამოძინებული? თქვენი განწყობა არ შეიძლება მხოლოდ იმიტომ იყოს ასეთი, რომ კარგად გეძინათ. შესაძლოა, სადღაც იყავით, რაღაც ხდებოდა თქვენს თავს. მაგრამ დილით უკვე არ იცით ამის შესახებ, მხოლოდ ბუნდოვნად გახსოვთ ის, რაც ხდებოდა. ადამიანი, რომელსაც ღამით ღრმად ეძინა, დილით მხნედ იღვიძებს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მან ძილში გამოსაფხიზლებელ წყაროს მიაღწია, მაგრამ ამ დროს არაცნობიერ მდგომარეობაში იყო.

ადამიანი, რომელიც ღამით კარგად ვერ იძინებს, დილით აღმოაჩენს, რომ უფრო დაღლილია, ვიდრე წინა საღამოს. ადამიანს, რომელსაც რამდენიმე დღის განმავლობაში არ სძინავს კარგად, გადარჩენა გაუჭირდება, რადგან ირღვევა მისი კავშირი სიცოცხლის წყაროსთან. მას არ შეუძლია იმ ადგილს მიაღწიოს, რომელიც მისთვის ძალიან საჭიროა.

მსოფლიოში ყველაზე დიდი სასჯელი სიკვდილი როდია. სასჯელისთვის სიკვდილი ყველაზე ადვილი ფორმაა, ის ხომ წამებში ხდება. ყველაზე საშინელი სასჯელი, რომელიც დედამიწაზე მოუგონიათ, ადამიანისთვის ძილის უფლების წართმევაა. ჩვენს დროშიც კი, ისეთ ქვეყნებში, როგორიც რუსეთი და ჩინეთია, ადამიანებს უძილოდ ყოფნას აიძულებენ. თუ დაკავებულს თხუთმეტი დღის განმავლობაში არ აძლევენ ძილის უფლებას, მათ მიერ განცდილი ტანჯვა ჩვენს წარმოდგენებს აღემატება. ის ხომ თითქმის ჭკუიდან იშლება. ადამიანი იწყებს ყველა ინფორმაციის გაცემას, რომელსაც ჩვეულებრივ მდგომარეობაში არავითარ შემთხვევაში არ გაუმხელდა მტერს. ის დაუსრულებლად ლაყბობს, ისე რომ ვერაფრით აცნობიერებს. თუ რას უშვებიან.

ჩინეთში გამოიგონეს სისტემური მეთოდი. მსჯავრდებულებს არ აძლევენ დაძინების უფლებას ექვსი თვის განმავლობაში. საბოლოოდ, ისინი ჭკუიდან იშლებიან. მათ სრულიად ავიწყდებათ, ვინ არიან, რა ჰქვიათ, რომელი რელიგიის მიმდევრები არიან. რომელი სოფლიდან. ქალაქიდან და ქვეყნიდან

არიან – ყველაფერი ავიწყდებათ. უძილობა ადამიანთა ცნობიერს სრულ ქაოსსა და არეულობაში აგდებს. ამ მდგომარეობაში შეგიძლიათ მათ ნებისმიერი რამ ასწავლოთ.

როცა კორეაში დაკავებული ამერიკელი ჯარისკაცები ჩინეთის საკონცენტრაციო ბანაკებიდან დაბრუნდნენ, ძილის აკრძალვამ მათში გამოიწვია ისეთი რეაქციები, რომ თავისუფლების მიღებისთანავე ღიად გამოხატეს თავიანთი მტრული დამოკიდებულება ამერიკის მიმართ და კომუნიზმის ქადაგებას შეუდგნენ. თავიდან ამ ჯარისკაცებს არ აძლევდნენ ძილის ნებას. როცა მათი ცნობიერი დაირღვა, კომუნისტურ იდეებზე გადართეს. მას შემდეგ, რაც ჯარისკაცების პიროვნება ქაოსმა შთანთქა, განმეორების მეთოდით, ფსიქოლოგიურად შთააგონეს, რომ ისინი კომუნისტები არიან. ამგვარად, გათავისუფლებამდე ამ ჯარისკაცებს საფუძვლიანად გამოურეცხეს ტვინი. ჯარისკაცების ნახვისას ამერიკელმა ფსიქოლოგებმა გაოგნებისგან მეტყველების უნარიც კი დაკარგეს.

თუ ადამიანს ძილის უფლებას არ აძლევენ, მას თავად სიცოცხლის წყაროს უწვეტენ. ათეიზმი ისევ გავრცელდება იმ ქვეყნებში, რომელშიც ადამიანებს ზედაპირულად სძინავთ. იმ ქვეყნებში, კი სადაც ადამიანებს ღრმად სძინავთ, აღზევებული იქნება თეიზმი. მაგრამ თეიზმიც და ათეიზმიც ადამიანთათვის უჩვეულო მოვლენას წარმოადგენს, რადგან ორივე ქვეშეცნეულიდან წარმოიშობა. ღრმად ჩაძინებული ადამიანი მომდევნო დღეს მშვიდად ატარებს, როცა ის, ვისაც ღრმად არ ეძინა, მომდევნო დღეს მშფოთვარე და დაღლილია. როგორ შეიძლება იყოს დაღლილი და მშფოთვარე ადამიანი ღვთისადმი მგრძნობიარე? დაბნეული, დაუკმაყოფილებელი, დაძაბული, გაბრაზებული ტვინი უარს ამბობს ღვთის მიღებაზე, უარყოფს მის არსებობას.

მეცნიერება არ არის დამნაშავე დედამიწაზე ათეიზმის გავრცელებაში. ამისი საფუძველი არეული, ქაოსური ძილია. ნიუ-იორკში ადამიანების დაახლოებით 30 პროცენტი ვერ იძინებს საძილე აბების გარეშე. ფსიქოლოგები ვარაუდობენ, რომ ასი წლის მერე ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებს მედიკამენტების გარეშე ძილს.

ადამიანებმა მთლიანად დაკარგეს ძილი. თუკი ძილდაკარგული ადამიანი თქვენი ძილით დაინტერესდება და პასუხად „უბრალოდ ბალიშზე ვდებ თავს და ვიძინებ“-ს მოისმენს, ის თქვენ არ დაგიჯერებთ. ამას შეუძლებლად ჩათვლის და იფიქრებს, რომ თქვენ მისთვის რაღაც უცხო ფანდს ატარებთ, რადგან ისიც დებს ბალიშზე თავს, მაგრამ ძილი მასთან არ მიდის.

ღმერთი უძილობის წინააღმდეგია, მაგრამ შეიძლება დადგეს დრო, ათასი ან ორი ათასი წლის მერე, როცა ყველა ადამიანი დაკარგავს ბუნებრივ ძილს, და ადამიანები არ დაიჯერებენ, რომ ათასი ან ორი ათასი წლით ადრე, წინაპრები, უბრალოდ, ბალიშზე დებდნენ თავს და იძინებდნენ. ადამიანები ამას გამოგონილ, ყურანიდან ამოკრებილ იგავებად ჩათვლიან. ისინი არ დაიჯერებენ იმას, რომ ეს მართალია. ისინი იტყვიან: „ეს შეუძლებელია, თუ ეს არასწორია ჩვენთან მიმართებაში, როგორ შეიძლება იყოს მართალი, ვიღაც, სხვასთან დაკავშირებით“.

ამ საკითხს თქვენს ყურადღებას იმიტომ მივაპყრობ, რომ სამი თუ ოთხი ათასი წლის წინ, ადამიანები თვალებს ხუჭავდნენ და ისევე ადვილად იძირებოდნენ მედიტაციაში, როგორც ახლა თქვენ იძინებთ. ორი ათასი წლის შემდეგ, ნიუ-იორკში ძნელი იქნება დაძინება, რადგან ეს უკვე დღესაც ჭირს. ბომბეიში ძილი უფრო და უფრო ძნელი ხდება. მალე დაძინება გართულდება დვარკეშიც, საქმე მხოლოდ დროშია. ამჟამად ძნელი წარმოსადგენია, რომ იყო დრო, როცა ადამიანი თვალს ხუჭავდა და მედიტირებდა, რადგან დღეს თვალდახუჭულად ჯდომით ვერაფერს მიაღწევთ. უამრავი აზრი შეგესევათ და სადაც იყავით, იქვე დარჩებით.

წარსულში, მედიტაცია იოლი იყო ყველასთვის, ვინც ბუნებაში ცხოვრობდა, როგორც ახლა ძილია მარტივი მათთვის, ვინც ბუნებაში ცხოვრობს. ჯერ მედიტაცია გაქრა, ეხლა კი მის გზას ძილიც შედგომია. უპირველეს ყოვლისა, ქრება ცნობიერი მოვლენები, მერე ქვეცნობიერი მოვლენებიც უჩინარდება. მედიტაციის გაქრობის გამო, სამყარო თითქმის არარელიგიური გახდა, ძილის გაქრობა კი სამყაროს სრულიად არარელიგიურს გახდის. უძილო სამყაროში რელიგიის არანაირი იმედი არაა.

არ დაიჯერებთ, როგორ მჭიდროდ, ღრმად ვართ დაკავშირებული ძილთან. ის, თუ როგორ იცხოვრებს ადამიანი, მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, როგორ სძინავს მას. თუ ადამიანს ცუდად სძინავს, მაშინ მთელი მისი ცხოვრება ქაოსშია, ყველა მისი ურთიერთობა არეულია, იგი უამრავი შხამითა და ჩირქით ივსება. და თუ პირიქით, ადამიანს ღრმად სძინავს, მაშინ მისი ცხოვრებაში გამუდმებით იდინებს მხნეობა, სიმშვიდე და სიხარული. მის ურთიერთობებში მუდამ სიმართლე იქნება, სიყვარულსა და სხვა დანარჩენშიც. მაგრამ თუ ადამიანმა ძილი დაკარგა, მაშინ მისი ურთიერთობები დაინგრევა. ადამიანი თანაცხოვრებას ცუდად შეძლებს ოჯახთან, ცოლთან, შვილებთან, დედასთან, მამასთან, მასწავლებელთან, მოსწავლეებთან – ყველასთან. ძილს მივყავართ არაცნობიერის იმ წერტილთან, სადაც ჩვენ ღმერთს ვერწყმით, თუმცა, მცირე დროით. ყველაზე ჯანმრთელი ადამიანიც კი მხოლოდ ათი წუთით აღწევს თავისი დონის მაქსიმალურ სიღრმეს ღამის რვაასაათიანი ძილის შემთხვევაში. ის იმდენად ღრმად იკარგება ამ ათი წუთის განმავლობაში, იმდენად ღრმად იძირება ძილში, რომ სიზმრებსაც კი ვერ ხედავს.

ვიდრე სიზმარს ხედავს, ძილი ადამიანს მთლიანად არ შთანთქავს. ადამიანი ხომ გამუდმებით ბორგავს ძილსა და სიფხიზლეს შორის. სიზმარი ისეთი მდგომარეობაა, რომელშიც ადამიანს სანახევროდ სძინავს, სანახევროდ კი ფხიზლადაა. თუ სიზმარს ხედავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ გძინავთ, მიუხედავად იმისა, რომ თვალები დახუჭული გაქვთ, თქვენზე ისევ მოქმედებს გარეგანი მოვლენები. ღამით სიზმარში ხედავთ ადამიანებს, რომელთაც დღე ხვდებოდით. სიზმარი იკავებს შუალედურ მდგომარეობას ძილსა და სიფხიზლეს შორის. ბევრმა ადამიანმა დაკარგა ძილი და ისინი უბრალოდ, ძილბურანის მდგომარეობაში არიან, ვერასდროს აღწევენ ძილის მდგომარეობას. რეალობაში უკვე აღარ არის აქტუალური, რომ დილით არაფერი გახსოვთ წუხანდელ ნაოცნებარზე. საქმე იმაშია, რომ აშშ-ში აქტიურად იკვლევენ ძილის პრობლემატიკას. ქვეყნის ათი მსხვილი ლაბორატორია უკვე რვა თუ ათი წელია ათასობით ადამიანზე ატარებს ექსპერიმენტებს.

ამერიკელები მედიტაციისადმი ინტერეს ავლენენ, რადგან მათ ძილი დაკარგეს. ისინი ფიქრობენ, რომ შესაძლოა სწორედ მედიტაციამ დააბრუნოს ძილი, რომ შესაძლოა მხოლოდ მან აღუდგინოს უამრავ ძილდაკარგულს სიმშვიდე. ამიტომ ამერიკელები მედიტაციას ერთგვარ საძილე წამლად მიიჩნევენ. როცა ვივეკანანდა აშშ-ში პირველად წარადგენდა მედიტაციას, მასთან ერთი ექიმი მივიდა და უთხრა: „უდიდესი სიამოვნება მივიღე თქვენი მედიტაციისგან. ეს სულაც არაა სამედიცინო საძილე საშუალება. მედიტაცია დამამშვიდებელი აბი არ გახლავთ, მაგრამ ის აძინებს ადამიანს. ეს მშვენიერია“. აშშ-ში იოგის გავლენის ზრდის მიზეზი არა მის სწავლებაში, არამედ ძილის უკმარისობაშია. ამერიკელების ძილი დარღვეულია. და, შესაბამისად, ამერიკაში ცხოვრება სავსეა სიმძიმით, დეპრესიით, დაძაბულობით. ამიტომაც ამ ქვეყანაში გაზრდილია საძილე აბების გამოყენების მაჩვენებელი. ეს აბები როგორღაც ეხმარება ადამიანებს დაძინებაში.

აშშ-ში, ყოველწლიურად, მილიონობით დოლარი იხარჯება საძილე აბებში. ათი უმსხვილესი ლაბორატორია ატარებს კვლევებს ათასობით ადამიანზე, რომლებიც ფულს იხდიან იმისთვის, რომ ღამე არასასიამოვნო, მტკივნეულ ძილში გაატარონ. ადამიანებს ტანზე სხვადასხვა ელექტროდებს, ნაირგვარ მავთულებს უერთებენ და ყოველმხრივ სწავლობენ, რათა გაიგონ, რა ხდება მათ არსებაში.

ამ ექსპერიმენტების ერთ-ერთი უნიკალური აღმოჩენა ის არის, რომ ადამიანი თითქმის ყოველ ღამე ხედავს სიზმრებს. გაღვიძებულთა ნაწილი ამბობდა, რომ მათ არაფერი ესიზმრათ, სხვები კი ამბობდნენ, რომ მათ სიზმარი ნახეს. მაგრამ სინამდვილეში, ყველამ ნახ. სიზმარი. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ უკეთესი მახსოვრობის მქონეთ ახსოვდათ თავიანთი სიზმრები, შედარებით სუსტი მახსოვრობის პატრონებმა კი ვერ შეძლეს საკუთარი სიზმრების გახსენება. თუმცა, გაირკვა, რომ სრულიად ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია, ათი წუთის განმავლობაში, ჩაეფლოს ღრმა ძილში ყოველგვარი სიზმრის გარეშე.

სიზმრების სკანირება შესაძლებელია კომპიუტერებით. ტვინის ნერვები მუდმივად აქტიურია სიზმრის ნახვისას, მაგრამ

როგორც კი სიზმარი წყდება, ნერვებიც მაშინვე წყნარდება. კომპიუტერი გარკვეულ შუალედს აფიქსირებს. ეს შუალედი იმის მაუწყებელია, რომ ამ დროს, ადამიანი სიზმრებს არ ნახულობს, არ აზროვნებს. ის, უბრალოდ, სადღაც ჩაიკარგა.

საინტერესოა, რომ კომპიუტერი მუდმივად აფიქსირებს ცვლილებებს ადამიანის ორგანიზმში, ვიდრე, ის, სიზმრებს ხედავს. საკმარისია მან დაიძინოს ღრმა ძილით, სიზმრების გარეშე, რომ კომპიუტერი მაშინვე ცარიელ სივრცეს დაგვანახებს. მკვლევარებმა არ იციან, სად გაქრა ეს ადამიანი ამ ცარიელი სივრცის დროს. ასე რომ, ძილი სიზმრის გარეშე იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანმა მიაღწია ადგილს, რომელიც კომპიუტერის უნარის მიღმაა. სწორედ, ამ გაელვებისას იმყოფება ადამიანი ღვთაებრივ მდგომარეობაში.

კომპიუტერს არ შეუძლია ამ სივრცის განსაზღვრა. კომპიუტერი იწერს შინაგან მდგომარეობას, ვიდრე ადამიანი სიზმრებს ხედავს, მერე კი სიცარიელე ჩნდება, და ადამიანი სადღაც ქრება. ათი წუთის შემდეგ, კომპიუტერი ისევ იწყებს ინფორმაციის ჩაწერას. რთულია თქმა, სად იყო ადამიანი ამ ათწუთიან ინტერვალში. ამერიკელი ფსიქოლოგები დაინტერესდნენ ამ სიცარიელით, ამიტომ ისინი ძილს ყველაზე დიდ საიდუმლოდ თვლიან. საქმე იმაშია, რომ ღვთის შემდეგ, ძილი ერთადერთი საიდუმლოა. სხვა საიდუმლო არც არსებობს.

თქვენ ყოველ დღე გძინავთ, და მაინც, წარმოდგენაც არ გაქვთ იმაზე, თუ რა არის ძილი. ადამიანს სძინავს მთელი ცხოვრება, და მაინც არაფერი იცვლება. მან არაფერი იცის ძილზე. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ძილის არსებობისას თქვენ არ არსებობთ. გახსოვდეთ, რომ თქვენ მხოლოდ ძილამდე ხართ. ამიტომ გებულობთ იმდენს, რამდენიც იცის კომპიუტერმა. როგორც იმ შუალედში ჩერდება კომპიუტერი, რომელსაც უკვე არ ძალუძს იქ შეღწევა, სადაც ადამიანი გადავიდა, ასევე თქვენც არ შეგიძლიათ იქ შეღწევა, რადგან სწორედ, ისევე არ არსებობთ, როგორც კომპიუტერი.

თქვენც ვერ გადიხართ ამ შუალედიდან, ამიტომ ძილი საიდუმლოდ რჩება, ის კვლავინდებურად მიუწვდომელია თქვენთვის. ასე იმიტომ ხდება, რომ ადამიანი ღრმა ძილით მხოლოდ მაშინ იძინებს, როცა წყვეტს თავის არსებობას, თავის თვით-

მყოფადობას. როგორც ჩანს, ეგოს ზრდასთან ერთად ძილი მცირდება. ეგოისტი ადამიანი ძილის უნარს კარგავს, იმიტომ რომ მისი ეგო, მისი „მე“ განუწყვეტლივ, მთელი დღის განმავლობაში, ცდილობს საკუთარი თავის წარმოჩენას. იღვიძებს „მე“, ისევ ის „მე“, რომელიც ქუჩაში დადის. ეს „მე“ იმდენად სტაბილურია მთელი დღის განმავლობაში, რომ ადამიანი ძილშიც ვერ აღწევს მას თავს. ცხადია, რომ დაძინება რთულდება. ვიდრე არსებობს „მე“, ძილი შეუძლებელია. და როგორც გუშინ გითხარით, ვიდრე არსებობს „მე“, შეუძლებელია ღმერთთან შერწყმა.

ძილში შესვლა ღმერთთან შესვლის ტოლფარდია. ერთადერთი განსხვავება იმაშია, რომ ძილის მეშვეობით ადამიანი ღმერთში შედის არაცნობიერ მდგომარეობაში, მედიტაციის მეშვეობით კი – ცნობიერ მდგომარეობაში. ეს ძალიან დიდი განსხვავებაა. შესაძლოა, ძილის მეშვეობით უკვე ათასი ცხოვრების განმავლობაში შედიოდეთ ღმერთში, მაგრამ ვერ ცნობდეთ მას. მაგრამ თუ წამიერად მაინც შეხვალთ მედიტაციაში, იმავე ადგილს მიაღწევთ, რომელსაც ღრმა ძილის დროს, ათასი ან მილიონი ცხოვრების განმავლობაში აღწევდით, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ არაცნობიერ მდგომარეობაში იყავით. მედიტაცია თქვენს ცხოვრებას სრულიად გარდაქმნის.

საინტერესო რამეა: როცა ადამიანი მედიტაციაშია, მაშინ ის სიცარიელეში შედის, სადაც ღრმა ძილს მიეცემა. ის არასდროს არის არაცნობიერ მდგომარეობაში, მაშინაც კი როცა სძინავს. როცა კრიშნა ამბობს გიტაში, რომ იოგის გამკეთებელი ფხიზლობს, როცა ყველა დანარჩენს სძინავს, იმას კი არ გულისხმობს, რომ იოგის გამკეთებელს საერთოდ არ სძინავს. სინამდვილეში, არც ერთ ადამიანს არ სძინავს ისე კარგად, როგორც იოგისტს. მაგრამ ყველაზე ღრმა ძილის დროსაც, იოგში ფხიზლობს ის ნაწილი, რომელიც მედიტაციაში შევიდა. ყოველ ღამე იოგა ფხიზელ მდგომარეობაში იძინებს. და მაშინ მედიტაცია და ძილი ერთი და იგივე მოვლენა ხდება, და ამ ორ ცნებას შორის ყოველგვარი განსხვავება ქრება. ამ შემთხვევაში, იოგის მკეთებელი მუდამ ცნობიერ მდგომარეობაში იძინებს. როცა ადამიანი საკუთარ თავში მედიტაციით ღრმავდება, ის ვერასოდეს იქნება არაცნობიერ მდგომარეობაში ძილის დროს.

ანანდამ, ბუდასთან ერთად, მრავალი წელი იცხოვრა. წლების განმავლობაში, მასთან ერთად გვერდიგვერდ ეძინა. ერთ დილას ანანდამ ბუდას ჰკითხა:

– მრავალი წელი ვაკვირდებოდი შენს ძილს. შენ არასოდეს იცვლი მდგომარეობას. მთელი ღამის განმავლობაში, ერთსა და იმავე პოზაში გძინავს. შენი ხელები და ფეხები იქვე რჩება, სადაც დასაძინებლად დაწოლისას დააწყვე. ერთი მისხალითაც კი არ განძრეულხარ. ხშირად ვდგებოდი ღამე, რომ შემემოწმებინა, მოძრაობდი თუ არა. ღამ-ღამობით ვდგებოდი, რომ დავკვირებოდი შენს ხელებსა და ფეხებს, რომლებიც გაუნძრევლად რჩებოდა ძველ მდგომარეობაში. შენ არასდროს ბრუნდები. რაიმე გახსოვს საკუთარ ძილზე?

– არ მჭირდება რაიმეს გახსენება ჩემს ძილზე, – უპასუხა ბუდამ, – ცნობიერ მდგომარეობაში მძინავს, ამიტომ არ მჭირდება გვერდიდან გვერდზე გადატრიალება. მე შემიძლია გადატრიალება, თუ მოვინდომებ, მაგრამ ძილისთვის არ არის საჭირო გვერდიდან გვერდზე ტრიალი, ასეთი მოძრაობები მხოლოდ თქვენს მშფოთვარე გონებას სჭირდება.

მშფოთვარე გონება ერთ ღამესაც ვერ გაატარებს წყნარად ერთ ადგილას, არაფერს ვამბობ ერთ დღეზე. ღამის ძილის დროსაც, კი სხეული საკუთარი შფოთვის დემონსტრირებას ახდენს.

თუ დააკვირდებით, როგორ სძინავს ადამიანს ღამით, დაინახავთ, რომ ის გამუდმებით შფოთავს; აღმოაჩენთ, რომ ადამიანი ღამით ზუსტად ისევე ამოძრავებს ხელებს, როგორც დღისით; აღმოაჩენთ, რომ ის დარბის და მოძრაობს ზუსტად ისე, როგორც დღისით მოიქცეოდა. ადამიანი მძიმედ სუნთქვას, ის იღლება. ღამეულ სიზმებში ისევე იბრძვის, როგორც დღისით. ის, ღამითაც ისევე ბრაზობს, როგორც დღისით. დღისით ივსება ვნებით, იმავეს თქმა შეიძლება ღამესთან მიმართებაშიც. ამგვარი ადამიანისათვის არ არსებობს განსაკუთრებული სხვაობა დღესა და ღამეს შორის, უბრალოდ, ღამით ის სიქაგაცლილი წევს, არაცნობიერ მდგომარეობაშია, მაგრამ ყოველივე დანარჩენი მასში ჩვეულ რეჟიმში მოქმედებს. სწორედ, ამიტომ თქვა ბუდამ: „მე შემიძლია გადავტრიალდე, თუ მომინდება, მაგრამ ეს არაფერში მჭირდება“.

მაგრამ ჩვენ არ გვესმის... სავარძელში მჯდომი ადამიანი მუდმივად აქანავებს ფეხებს. ჰკითხეთ მას: „რატომ შვრებით ამას? გასაგებია, რომ თქვენი ფეხები სიარულისას მოძრაობს, მაგრამ რატომ მოძრაობენ ისინი ახლა, როცა სავარძელში ზიხართ?" ამ სიტყვების დასრულებას ვერ მოასწრებთ, რომ ადამიანი მაშინვე შეწყვეტს ფეხების მოძრაობას. მას წამითაც კი არ შეუძლია უმოძრაოდ ყოფნა, მაგრამ მაინც ვერაფრით აგიხსნით იმას, თუ რატომ ამოძრავებდა ფეხებს. ამით ნათელი ხდება, რომ შფოთვა მთელ სხეულში ფორიაქს იწვევს. ამ ყველაფრის მიღმა მშფოთვარე გონება იმალება. მას არ შეუძლია იყოს მშვიდად თუნდაც წამის განმავლობაში. გონება მუდმივად აიძულებს სხეულს მშფოთვარე მდგომარეობაში ყოფნას: ფეხები იმოძრავებენ, თავი იქანავებს, რომც იჯდეთ, თქვენი სხეული მაინც შეიცვლის პოზას.

ამიტომ აღმოაჩენთ, რომ თქვენთვის ძნელია მედიტაციის დროს გაუნძრევლად იჯდეთ, თუნდაც ათიოდე წუთით. სხეული ათასობით თავისი უბნის წყალობით გაიძულებთ იმოძრაოთ და იწრიალოთ. ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ, ვიდრე გაცნობიერებულად არ დავჯდებით მედიტაციისთვის. მხოლოდ მაშინ ვხვდებით, თუ რას წარმოადგენს ჩვენი სხეული. მას ერთი წამითაც კი არ სურს დარჩეს უმოძრაოდ, ერთ რომელიმე მდგომარეობაში. გონების არეულობა, დაძაბულობა და აღგზნება მთელ სხეულს ედება.

ღრმა ძილის დროს, ყველაფერი ათ წუთში ქრება, თუმცა, ყველა ადამიანისთვის არა. ეს ათი წუთი მათთვისაა ხელმისაწვდომი, ვისაც კარგი ჯანმრთელობა აქვს და მშვიდია. დანარჩენები ამგვარ ძილს ახერხებენ ერთიდან ხუთ წუთამდე. ადამიანთა უმრავლესობა ამგვარ ღრმა ძილს ერთი წუთიდან ორ წუთამდე შუალედში ახერხებს. იმ ერთ პეშვ წყალს, რომელსაც დროის მცირე მონაკვეთში სიცოცხლის წყაროსთან ვეწაფებით, ჩვენ მთელი მომდევნო დღის განმავლობაში ვიყენებთ აქტიური მუშაობისთვის. რაც უნდა მცირე ზეთი ჩაასხან ლამპარში ამ რამდენიმე წუთში, ჩვენ მას საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებისთვის მთელი დღის განმავლობაში დავზოგავთ. ადამიანის ცხოვრების ლამპარი იმ რაოდენობის ზეთზე იწვის, რომელიც მან მიიღო. სწორედ, ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ

ლამპარი თითქმის ბჟუტავს. იმისთვის, რომ სიცოცხლის ლამპარი აკიაფდეს, მოკაშკაშე ჩირაღდნად იქცეს, ჩვენ საკმაოდ მცირე რაოდენობის ზეთი შევაგროვეთ.

მედიტაციას ნელ-ნელა მიჰყავხართ სიცოცხლის წყაროსთან. და მაშინ, თქვენ მხოლოდ პეშვით კი არ ეზიარებით ამ წყაროს სასარგებლო თვისებებს, არამედ ერთიანად ჩადგებით მასში. და მაშინ, ხელახლა კი არ აავსებთ ზეთით თქვენს ლამპარს, ზეთის მთელი ოკეანე იქნება თქვენთვის ხელმისაწვდომი. ამ შემთხვევაში, თქვენ, ამ ოკეანეში დამკვიდრდებით. როცა ასეთი ცხოვრებით ცხოვრობთ, ძილი ქრება, არა იმ გაგებით, რომ ადამიანს არ სძინავს, არამედ იმ გაგებით, რომ როცა ადამიანს სძინავს, მასში ვიღაც ისევ ფხიზლობს. ამ დროს, სიზმრები საერთოდ ქრება. იოგას მიმდევარი მუდამ ფხიზლობს. იოგას სძინავს, მაგრამ სიზმრებს არასდროს ხედავს. მისი სიზმრები ხომ მთლიანად გაქრა. სიზმრებთან ერთად აზრებიც ქრება. ის, რასაც ფხიზელ მდგომარეობაში ფიქრს ვეძახით, ძილში უკვე სიზმარია. ფიქრებსა და სიზმრებს შორის მხოლოდ მცირე განსხვავებაა: ფიქრები ოდნავ ცივილიზებული სიზმრებია, ხოლო სიზმრები – ბუნებრივი, პრიმიტიული მოვლენები. ამ ორი გაგებიდან ერთ-ერთი თავდაპირველ აზრს წარმოადგენს.

სინამდვილეში მხოლოდ ბავშვები ან ველურები ახერხებენ ფიქრს სურათების მეშვეობით და არა სიტყვებით. პირველი აზრი ადამიანს მუდამ სურათად წარმოუდგება. მაგალითად, როცა ბავშვი მშიერია, ის არ ფიქრობს სიტყვებით: „მე მშია“. ბავშვს შეუძლია წარმოიდგინოს დედის მკერდი, ან ის, თუ როგორ წოვს ძუძუს. ბავშვი შეიძლება აივსოს მკერდთან მიკვრის სურვილით, მაგრამ მას არ შეუძლია საკუთარი სურვულის სიტყვებით გამოხატვა. სიტყვების შედგენას იგი უფრო გვიან იწყებს, თავიდან სურათი ჩნდება.

როცა ჩვენ რომელიმე ენა არ ვიცით, სურათებს ვიყენებთ იმისთვის, რომ კარგად წარმოვაჩინოთ თავი. თუკი როგორღაც უცხო ქვეყანაში გაემგზავრებით, რომლის ენაც არ იცით, და დალევა მოგინდებათ, შეგიძლიათ პეშვი მიიტანოთ პირთან და უცხოელი მაშინვე გაიგებს, რომ წყურიათ. როცა სიტყვები მიუწვდომელია, სურათების მოთხოვნილება ჩნდება. საინტე-

რესოა: მსოფლიოს ენები ისე განსხვავდება, როგორც გეოგრაფიული ადგილები, მაგრამ სურათების ენა უნივერსალურია, რადგან ყოველი ადამიანი ერთსა და იმავე სურათების ენას ფლობს.

ჩვენ გამოვიგონეთ სხვადასხვა სიტყვა, მაგრამ არ შეგვიქმნია სურათები. სურათები – ადამიანის ტვინის უნივერსალური ენაა. სხვათაშორის, მხატვრობა მთელ მსოფლიოში ესმით. ხაჯურახოს[1] სკულპტურის, ანდა ლეონარდო და ვინჩის[2] სურათების გასაგებად სხვა ენაზე გადასვლა საჭირო არ არის. ხაჯურახოს სკულპტურებს, თქვენსავით გაიგებს ჩინელი, ფრანგი და გერმანელი. თუკი საფრანგეთში ლუვრს ეწვევით, თქვენც ადვილად გაიგებთ სურათებს. შეიძლება ვერ გაიგოთ დასათაურება, ისინი ხომ ფრანგულ ენაზე წერია, მაგრამ უპრობლემოდ გაიგებთ სურათებს. სურათების ენა საყოველთაო ენაა.

სიტყვების ენა გამოიყენება დღისით, მაგრამ ღამით მას არ ვხმარობთ. ღამით ისევ ვიღებთ თავდაპირველ სახეს. ძილში გვეკარგება ჩვენი მიმდინარე იერი, ჩვენი სამეცნიერო ხარისხი, საუნივერსიტეტო განათლება – ძილში ყველაფერი გვეკარგება. ჩვენ გადავდივართ იმ წერტილში, რომელშიც ოდესღაც იმყოფებოდა პირველყოფილი ადამიანი, ამიტომ ღამის ძილში სურათები ლღვება, დღისით კი ისევ ჩნდება. თუკი დღისით მოვისურვებთ პარტნიორთან ურთიერთობას, შეგვიძლია სიტყვებით ვიფიქროთ, მაგრამ ღამით იმავეს გაკეთება შეუძლებელია წარმოსახვის გარეშე.

აზრები სიზმრებივით ნათლად არ გამოიყურება. სიზმრებში მთლიანი სურათი ჩნდება. ამიტომაცაა, რომ რომელიმე რომანის მიხედვით გადაღებული ფილმის ყურებისას, უფრო ვდუნდებით, ვიდრე თვით ამ რომანის კითხვისას. ამის ერთადერთი

[1] ხაჯურახო – ხაჯურახოს კომპლექსი წარმოადგენს შუა საუკუნეების არქიტექტურის კულმინაციას ჩრდილოეთ ინდოეთში. ტაძრები ეძღვნება შივაიზმის, ვაიშნავიზმისა და ჯაინიზმის ღვთაებებს.

[2] ლეონარდო და ვინჩი – (იტალ. Leonardo da Vinci; დ. 15 აპრილი, 1452. ვინჩი, ფლორენციის რესპუბლიკა (დღევანდელი იტალია) – გ. 2 მაისი. 1519, ამბუაზი, საფრანგეთის სამეფო) –აღორძინების ხანის იტალიელი არქიტექტორი, მათემატიკოსი, მუსიკოსი, გამომგონებელი, ინჟინერი. ანატომი, ბოტანიკოსი, მოქანდაკე, ბუნებისმეტყველი. გეოლოგი. მწერალი. კარტოგრაფი და მხატვარი

მიზეზი ის არის, რომ რომანი სიტყვების ენაა, კინო კი – სურათების ენა. ზუსტად ამგვარადვე გრძნობთ დიდ სიხარულს, როცა აქ ხართ და უშუალოდ მისმენთ. ვერაფრით შეირძნობდით ამგვარ სიხარულს მაგნიტაფონის ლენტზე ჩაწერილის მოსმენისას, რადგან აქ არის ჩემი სურათი, ლენტზე კი მხოლოდ სიტყვებია. სურათების ენა ბუნებრივია. ღამით სიტყვები სურათებად გადაიქცევა, ამაშია განსხვავება.

იმ დღეს, როცა სიზმრები ქრება, ქრება აზრებიც. იმ დღეს, როცა აზრები ქრება, ქრება სიზმრები. თუ დილით არ არის აზრები, ღამითაც არ იქნება სიზმრები. გახსოვდეთ, სიზმრები დაძინების საშუალებას არ გაძლევენ, აზრები კი არ გაძლევენ საშუალებას იფხიზლოთ. დარწმუნდით იმაში, რომ ორივე შემთხვევა გესმით: სიზმრები არ გაძლევენ ძილის საშუალებას, აზრები არ გაძლევენ სიფხიზლის საშუალებას. თუ სიზმრები გაქრება, მაშინ ძილი სრულყოფილი იქნება, და თუ აზრები გაქრება, მაშინ სიფხიზლე იქნება სრულყოფილი. თუ სიფხიზლე სრულყოფილია, და ძილიც სრულყოფილია, მაშინ ამ ორ ცნებას შორის მცირედი განსხვავება არსებობს. ერთადერთი განსხვავება გახელილ და დახუჭულ თვალებშია, ასევე იმაში, მუშაობს სხეული თუ ისვენებს. მას, ვინც სრულად ფხიზლობს, ასევე სრულად სძინავს, მაგრამ ორივე მდგომარეობაში, მისი ცნობიერი არ იცვლება. ცნობიერი ერთიანია და შეუცვლელი, იცვლება მხოლოდ სხეული. როცა სხეული მუშაობს, ის ფხიზლობს. როცა სხეული ისვენებს, მას სძინავს.

მე ასე ვუპასუხებ იმ ჩვენს მეგობარს, რომელმაც მკითხა, რატომ ვერ ვაღწევთ ძილში ღმერთამდე: შეგიძლია მიაღწიო ღმერთამდე, თუ მოახერხებ და ძილშიც ფხიზლად იქნები. ამგვარად, მედიტაციის ჩემი მეთოდი – ეს ძილის მეთოდია. თქვენ გძინავთ შეგნებულად, თქვენ იძინებთ შეგნებულად. ამიტომ, გთხოვთ, მოადუნოთ სხეული, დაიმშვიდოთ სუნთქვა, განდევნოთ ფიქრები. ეს ყველაფერი ძილისთვის მზადებაა. სხვათაშორის, ხშირად ხდება ისეც, რომ რამდენიმე ჩვენს მეგობარს მედიტაციის დროს ეძინება. ალბათ, ძილისთვის ასე ემზადებიან. ძილისთვის განწყობილმა ამ ადამიანებმა არც იციან, როდის ჩაეძინათ. ამიტომ ვიმეორებ მესამე რჩევას: დარჩით შინაგანად ფხიზლები, დარჩით შინაგანად ცნობიერნი.

მიეცით სხეულს მოდუნების ნება, მიეცით სუნთქვას ნება, გახდეს მშვიდი, დაე, თქვენი სუნთქვა გახდეს უფრო ზომიერი, ვიდრე ძილის დროს. მაგრამ დაიმახსოვრეთ მთავარი: დარჩით შინაგანად ფხიზელი. დაე, თქვენი შეგნება თქვენში ლამპარივით ენთოს, რათა შინაგანად არ დაგეძინოთ.

თავიდან მედიტაციისა და ძილის პირობები ერთნაირია, მაგრამ საბოლოო შედეგი – განსხვავებული. თუ უძილობით იტანჯებით, მაშინ ექიმი, პირველ რიგში, გასწავლით მოდუნებას. ის გთხოვთ გააკეთოთ იგივე, რასაც მე გთხოვთ, ანუ მოადუნოთ სხეული და არ მისცეთ არანაირ დაძაბულობას შიგნით დარჩენის უფლება. დაე, თქვენი სხეული ბამბის ბურთივით სპონტანური იყოს. ოდესმე შეგიმჩნევიათ, როგორ სძინავთ ძაღლებს და კატებს? მათ ისე სძინავთ, თითქოს არც არიან. ოდესმე დაკვირვებიხართ, როგორ სძინავს პატარას? მასში არ არის დაძაბულობა, მისი ხელები და ფეხები ყოველთვის წარმოუდგენლად მოდუნებულია. დააკვირდით ყრმას და მოხუცს – თქვენ აღმოაჩენთ, რომ ისინი ძალიან დაძაბულები არიან. ამიტომ ექიმი გთხოვდათ, რომ მთლიანად მოდუნებულიყავით.

შემდეგი პირობა ეხება ძილს: აუცილებელია სუნთქვის დამშვიდება, რომ ის ღრმა და წყნარი გახდეს. ალბათ, დააკვირდით, რომ სირბილისას სუნთქვა ჩქარდება. ზუსტად ასევეა, როცა სხეული ნებისმიერი სხვა საქმით არის დაკავებული და ძალას ხარჯავს. სუნთქვა ხშირდება, ჩქარდება სისხლის ცირკულაცია. ძილის მდგომარეობისთვის სისხლის ცირკულაცია უნდა შენელდეს, ანუ სიტუაცია სირბილის საპირისპიროდ უნდა შეიცვალოს. მაშინ სუნთქვა მშვიდი გახდება. ამგვარად, მეორე პირობა ის არის, რომ სუნთქვა დაამშვიდოთ.

როცა ფიქრი ჩქარდება, სისხლი იძულებულია ტვინში სწრაფად ცირკულირებდეს. ამ დროს ძილი შეუძლებელია. დაძინება შესაძლებელია მაშინ, როცა სისხლი ტვინში ნელა იმოძრავებს. ამიტომ ვსარგებლობთ ბალიშებით. ეს ხომ ზუსტად იმისთვისაა, რომ ტვინში სისხლის ნაკადი შემცირდეს. ბალიშის გარეშე თავი და სხეული ერთ დონეზეა, შესაბამისად, სისხლი თავიდან სხეულამდე ერთი სიჩქარით მოძრაობს. საკმარისია თავის აწევა. რომ სისხლი გაჭირვებით

მოძრაობს ზევით, მისი ნაკადი ტვინისკენ მცირდება. სისხლი მთელი დანარჩენი სხეულისკენ მიედინება. ასე რომ, რაც უფრო უჭირს ადამიანს დაძინება, მით უფრო მეტი ბალიშის ამოდება მოუწევს თავქვეშ, რათა თავი კარგად ასწიოს. როცა სისხლის ტალღა მცირდება, ტვინი დუნდება და ადამიანი გრძნობს, რომ დაძინება უადვილდება.

როცა აზრები ჩქარა მოძრაობს, სისხლსაც სჭირდება სწრაფად მოძრაობა, რადგან აზრები სისხლს თავიანთი მოძრაობისთვის იყენებენ, როგორც სატრანსპორტო საშუალებას. სისხლძარღვები თავში უფრო აქტიურად მუშაობს. ალბათ, შენიშნეთ, რომ განრისხებულ ადამიანებს ვენები ებერებათ. ასე ხდება იმიტომ, რომ ვენები ფართოვდება მეტი სისხლის გასატარებლად. როცა თავი წყნარდება, მცირდება სისხლის წნევაც.

სიბრაზისას სახე და თვალები წითლდება. ეს ხდება დამატებითი სისხლის წყალობით, რომელიც ვენებში მოძრაობს. ამ მდგომარეობაში აზრები ისე სწრაფად გადაადგილდება, რომ სისხლსაც სჭირდება სწრაფად დინება. სუნთქვაც ხშირდება. როცა ტვინი სექსზე ფიქრით ივსება, სუნთქვა მძიმდება, სისხლი სწრაფად მოძრაობს, აზრები იმდენად სწრაფად იცვლება, ტვინი იმდენად ელვისებურად იწყებს ფუნქციონირებას, რომ მასში ყველა ვენა ერთბაშად იწყებს დიდი სიჩქარით მოძრავი სისხლის გატარებას.

ასე რომ, მედიტაციის პირობები ზუსტად ისეთია, როგორც ძილისთვის: მოადუნეთ სხეული, დაამშვიდეთ სუნთქვა, მოიცილეთ აზრები. მთავარი პირობა თანაბრად სამართლიანია, როგორც ძილისთვის, ასევე მედიტაციისთვის. განსხვავება მხოლოდ უკანასკნელ პირობაშია. ძილში უგონო მდგომარეობაში გადადიხართ, მედიტაციაში კი რჩებით სრულიად ფხიზელი – სულ ეს არის.

ასე რომ, ჩვენი მეგობარი მართალია, როცა ასეთ კითხვას სვამს. არსებობს ღრმა კავშირი მედიტაციასა და ძილს შორის, სამადხუსა და სუშუპტის, ღრმა ძილს შორის. თუმცა, არის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი განსხვავებაც, რაც ცნობიერ მდგომარეობასა და გაუცნობიერებელს განყოფს. ძილი – გაუცნობიერებელია, მედიტაცია კი – სიფხიზლეა.

აი, კიდევ ერთი კითხვა:

რითი განსხვავდება ის, რასაც თქვენ მედიტაციას ეძახით თვითჰიპნოზისგან?

განსხვავება ზუსტად ისეთია, როგორიც ძილსა და მედიტაციას შორის. ამის გაგებაც საჭიროა.

ძილი ის არის, რაც ბუნებრივად მოდის, მაშინ როცა ძალდატანებით გამოწვეული ძილი – თვითგიპნოზია. ეს არის ერთადერთი განსხვავება. სიტყვა „ჰიპნოზიც“ ძილს ნიშნავს. ჰიპნოზი ნიშნავს მანდრუს, ძილიანობას. ძილის პირველი ვარიანტი ჩნდება დამოუკიდებლად, ძილის მეორე ვარიანტი კი ხელოვნურადაა გამოწვეული. თუ ადამიანს უჭირს დაძინება, მაშინ ის თვითჰიპნოზსს მიმართავს. თუ ადამიანი დაწვება და გაუჩერებლად დაიწყებს ფიქრს, რომ ის იძინებს, თუკი ეს აზრი მის არსებაში შევა და მის გონებას დაიპყრობს, მაშინ სხეულიც შესაბამის რეაგირებას მოახდენს. იგი მოდუნდება, სუნთქვას დაამშვიდებს, ფიქრები თანდათან გაიფანტება.

ძილის პირობებს სხეული ქმნის, ის ძილის შესაბამისად მოქმედებს. სხეულს არ აინტერესებს რეალობა, ის ძალიან დამჯერია. თუ ადამიანი შიმშილს ყოველთვის თერთმეტ საათზე გრძნობს და მისი საათი წინა დღეს თერთმეტ საათზე გაჩერდა, ამ საათის შემყურე ადამიანის კუჭი მაინც ჯიუტად გაიმეორებს: „წახემსების დროა“, მაშინაც კი, თუ რეალურად დილის რვა საათი იქნება. ჯერ კიდევ არ არის თერთმეტი საათი, მანამდე კიდევ სამი საათია დარჩენილი, მაგრამ თუ საათი თერთმეტ საათს აჩვენებს, კუჭი აჯანყებას იწყებს, რადგან ის მექანიკურად მოქმედებს. თუკი შუაღამით ჩაძინებას ხართ მიჩვეული და თუკი, შემთხვევით, თქვენი საათი ორი საათით ჩქარობს, ათი საათის შესრულებისას უსათუოდ მოგერევათ ძილი. სხეული მაშინვე განაცხადებს: „უკვე თორმეტი საათია, ძილის დროა!“

სხეული ძალიან დამჯერია. რაც უფრო ჯანმრთელია სხეული, მით უფრო დამჯერია. ჯანმრთელი სხეული ნიშნავს მორჩილ სხეულს. ავადმყოფი სხეული – ეს ის სხეულია, რომელმაც შეწვიტა დაჯერება: თქვენ გინდათ დაძინება, სხეული კი უარს ამბობს დაძინებაზე, თქვენ გშიათ, სხეულს კი არ სურს ჭამა.

სხეული, რომელმაც შეწვიტა დაჯერება ავადმყოფი სხეულია, რადგან სხეული აჩრდილივით მოგვდევს. სირთულე მაშინ წარმოიშობა, მაშინ როცა სხეული დაჯერებას წყვეტს. ამგვარად, ჰიპნოზი მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ სხეული წესრიგში მოიყვანოს, რომ აიძულოს მას ბრძანებების შესრულება.

ჩვენი დაავადებების უმრავლესობა ცრუა. თითქმის ორმოცდაათი პროცენტი ჩვენი დაავადებებისა ყალბია. მსოფლიოში დაავადებების ზრდის მიზეზი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ თავად დაავადებები იზრდება, არამედ იმაში, რომ ადამიანის პრეტენზიები იზრდება. დარწმუნდით, რომ კარგად გამიგეთ. თუ ცოდნა იზრდება, თუ ეკონომიკური პირობები უმჯობესდება, მაშინ დაავადებების რაოდენობა უნდა მცირდებოდეს. მაგრამ ასე არ ხდება, რადგან ადამიანში მუდმივად იზრდება სიცრუისადმი მიდრეკილება. ადამიანი უბრალოდ კი არ ატყუებს სხვა ადამიანს, ის საკუთარ თავსაც ატყუებს. ის თავისთვის ახალ-ახალ დაავადებებს იგონებს.

მაგალითად, თუ ადამიანი ძალიან დაზარალდა ბიზნესში, თუ ის ბანკროტობის ზღვარზეა, მას, შესაძლოა, არ უნდოდეს თავისი სავალალო მდგომარეობის მიღება, იმისი შიშით, რომ ქუჩაში უკაპიკოდ აღმოჩნდება. მან იცის, რომ აუცილებლად წარსდგება კრედიტორების წინაშე. უეცრად აღმოაჩენს, რომ თავს რაღაც დაავადება დაატყდა, რომელმაც ის საწოლს მიაჯაჭვა. ეს ავადმყოფობა მისმა გონებამ შექმნა. და აი, უკვე ორმაგი სარგებელი აქვს. ახლა შეეძლება სხვა ადამიანებს აუხსნას, რომ დაავადება ხელს უშლის საქმეების წარმართვაში. მან ხომ უკვე დაარწმუნა საკუთარი თავი ამაში, ახლა შეუძლია სხვა ადამიანებიც დაარწმუნოს. ეს დაავადება განუკურნებელია. უპირველესად, ეს საერთოდ არ არის დაავადება. ასეთ პაციენტს რაც უფრო დიდხანს ვუმკურნალებთ, მით უფრო დიდხანს იავადმყოფებს.

თუ თქვენი განკურნება წამლებით ვერ მოხერხდა, იცოდეთ: თქვენი დაავადება ამ წესით არ იკურნება. ავადმყოფობის მიზეზი სხვა რამეშია, ის არანაირად არ არის დაკავშირებული მედიცინასთან. თქვენ შეიძლება დაწყევლოთ მედიცინა და ექიმებს შტერები უძახოთ, რადგან სათქვენო მკურნალობას

ვერ მიაგნეს; შეგიძლიათ გამოსცადოთ აიურვედული[3] მედიცინა ან ნატუროპათიული მკურნალობა; შეგიძლიათ მიმართოთ ალოპათიას[4] ან ჰომეოპათიას[5], მაგრამ არაფერი მოგიტანთ შვებას. ვერცერთი ექიმი ვერ იქნება თქვენი მშველელი იმ უბრალო მიზეზით, რომ მას მხოლოდ ნამდვილი დაავადებების განკურნება შეუძლია. ექიმი ცრუ დაავადებების წინაშე უძლურია. საინტერესო რამაა: თქვენ გამუდმებით იგონებთ რაღაც დაავადებებს და გსურთ, რომ ისინი არსებობდეს.

ქალურ დაავადებათა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი ყალბია. ქალებმა, ჯერ კიდევ, ბავშვობიდან აითვისეს ფორმულა: ისინი მხოლოდ მაშინ იღებენ სიყვარულს, როცა ავადმყოფობენ, სხვა შემთხვევაში, ქალები არ უყვართ. როცა ცოლი ავად ხდება, ქმარი სამუშაოს გადადებს, ქალის საწოლთან სკამს მიადგამს და ჩამოჯდება. შესაძლოა, მან თავბედი იწყევლოს ამ საქციელის გამო, მაგრამ მაინც ასე მოიქცევა. ამიტომ, როცა ქალებს თავიანთი მამაკაცების ყურადღების მიქცევა სურთ, განზრახ ხდებიან ავად. შედეგად, ქალები თითქმის მუდამ ავადმყოფობენ. მათ იციან, რომ ავადმყოფობის წყალობით, შესაძლებელია საოჯახო საქმე აირიდონ.

ავადმყოფი ადამიანი დიქტატორი, ტირანი ხდება. თუკი ასეთი ადამიანი იტყვის: „გამორთეთ რადიო", რადიოს იმ წამსვე გამორთავენ. თუკი ის იტყვის: „ყველა სახლში დარჩეს, ზღურბლს არავინ გადასცდეს", ოჯახის წევრები უსიტყვოდ შეასრულებენ მის მოთხოვნას. რაც უფრო მეტია ადამიანში დიქტატისადმი მიდრეკილება, მით უფრო ხშირად ავადდება ის. განა ვინმეს მოუნდება ავადმყოფი ადამიანის გრძნობებზე

---

[3] აიურვედა – ნიშნავს „სიცოცხლის ხელოვნებას", ანუ ეს არის მეცნიერება ჯანმრთელობის და არა ავადმყოფობების შესახებ, თუმცა, რა თქმა უნდა, ავადმყოფობებს შეისწავლის, როგორც ჯანმრთელობიდან გადახრას. მთავარი აქცენტი სულისა და სხეულის სწორ მდგომარეობაზეა.

[4] ალოპათია – „სხვა" და „ტანჯვა" მკურნალობის ჩვეულებრივი, არაჰომეოპათიური მეთოდების სახელწოდება; შემოიღო ჰომეოპათიის ფუძემდებელმა გერმანელმა ექიმმა ს. ჰანემანმა (1755-1843.)

[5] ჰომეოპათია (ბერძ. ὅμοιος – „მსგავსი" და ბერძ. πάθος – „ტანჯვა") – ალტერნატიული მედიცინის სისტემა, რომლის მიხედვითაც დაავადების სამკურნალოდ საჭიროა ხშირად და მცირე დოზით ისეთი წამლების მიღება, რომელთა დიდი დოზა ჯანმრთელ ადამიანში გამოიწვევდა ამ დაავადების მსგავს სიმპტომებს.

თამაში? მაგრამ ეს სახიფათოა. ჩვენი დაჯერებით სინამდვილეში მის ავადმყოფობას ვაღრმავებთ. კარგია, როცა ქმარი ცოლთან ზის, როცა ის ჯანმრთელია, ეს გასაგებია. მაგრამ ღვთის გულისათვის, რატომ უნდა მიატოვოს ქმარმა სამსახურში სიარული, როცა ცოლი ავადაა? ის ხომ ამით მხოლოდ აძლიერებს ცოლის დაავადებას. ეს საკმაოდ ძვირადღირებული გარიგებაა.

დედამ თავის შვილს არ უნდა მიაქციოს ძალიან დიდი ყურადღება, როცა ის ავად ხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ყოველ ჯერზე ავად გახდება, როცა ყურადღება მოუნდება. როცა ბავშვი ავადმყოფობს, ნაკლები ყურადღება მიაქციეთ, რათა მის გონებაში არ მოხდეს კავშირი ავადმყოფობასა და სიყვარულს შორის. ბავშვს არ უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ როცა ის ავად გახდება, დედა თავზე ხელს გადაუსვამს და ზღაპრებს მოუყვება. ნაცვლად ამისა, დედა მაშინ უნდა მოეფეროს, როცა ის ბედნიერია, რომ ბავშვში სიყვარული სიხარულთან და ბედნიერებასთან ასოცირდებოდეს.

ჩვენ უბედურებასთან ვახდენთ სიყვარულის ასოცირებას, რაც ძალიან სახიფათოა, რადგან ეს ნიშნავს, რომ როცა ადამიანს სიყვარული მოუნდება, ის თავისთან მოიწვევს უბედურებას, რათა მას სიყვარულიც ფეხდაფეხ მოჰყვეს. ამგვარად, ის ვისაც ძალიან მოუნდება სიყვარული, ავად გახდება, რადგან მან იცის, რომ ავადმყოფობას სიყვარული მოაქვს. მაგრამ სიყვარულს ვერასდროს იპოვით ავადმყოფობით. გახსოვდეთ, რომ ავადმყოფობას შეცოდება მოაქვს და არა სიყვარული, და შეცოდების ობიექტად ყოფნა დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია. სიყვარული სულ სხვა მოვლენაა, მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცით მასზე.

მე იმას ვგულისხმობ, რომ სხეული ჩვენს რჩევებს ემორჩილება: თუ კი ავადმყოფობას ავიჩემებთ, საწყალი სხეული უეჭველად დაავადდება. ჰიპნოზი სასარგებლოა ასეთი დაავადებების განკურნებაში. ის განკუთვნილია კონდიცირებული დაავადებებისთვის, რადგან ცრუ დაავადებებისთვის საჭიროა ფსევდომკურნალობა და არა ნამდვილი მკურნალობა. თუკი იმისი შთაგონება შეგვიძლია საკუთარი თავისთვის, რომ ავად ვართ, ჯანმრთელად ყოფნის შთაგონებაც შეგვიძლია. ჩვენს

დროში, განვითარებულ ქვეყნებში, ძნელად იპოვით საავადმყოფოს, სადაც შტატში ჰიპნოზიორი არ ჰყავთ. დასავლეთში ჰიპნოზიორი ექიმს ეხმარება. იქ ხომ უამრავი ისეთი დაავადება არსებობს, რომელთა მკურნალობაშიც ექიმი სრულიად უძლურია, რომელთა სამკურნალოდ მხოლოდ ჰიპნოზიორია საჭირო. ის პაციენტს ჰიპნოზით აძინებს, მერე კი შთააგონებს, რომ ავადმყოფი შესანიშნავად გრძნობს თავს.

იცით იმის შესახებ, რომ გველების მხოლოდ სამი პროცენტია შხამიანი? მაგრამ საქმე იმაშია, რომ ადამიანი გველის ნაკბენისგან კვდება, თუკიირწმუნებს, რომ გველს მისი მოკვდინება შეუძლია. ასეთი ადამიანის დარწმუნება იმაში, რომ ნამდვილად გველმა უკბინა, მის სიკვდილს უდრის. ის მოკვდება არა იმიტომ, რომ მას გველმა უკბინა, არამედ თავისი რწმენის გამო – მას სჯერა, რომ გველმა უკბინა.

ასეთი ისტორია გამიგია:

ერთხელ, ღამით, სასტუმროში ვიღაც კაცი გაჩერდა. საღამოს სტუმარმა ივახშმა და მეორე დილით ადრე წავიდა. ერთი წლის შემდეგ, ეს კაცი კვლავ ამ სასტუმროში დაბრუნდა. სასტუმროს მფლობელი გააოცა მისმა გამოჩენამ:

– ხომ კარგად ხართ? – დაინტერესდა ის.

– ყველაფერი მშვენივრადაა, – გაუკვირდა სტუმარს, – და რაშია საქმე?

– ძალიან შეგვეშინდა, – უთხრა მეპატრონემ, – იცით, იმ საღამოს, როცა თქვენ ჩვენთან გაჩერდით, სამზარეულოში, ვარცლში გველი ჩავარდა. ის საჭმელთან ერთად მოამზადეს და შემდეგ თქვენ მოგართვეს. დანარჩენი ოთხი, ვინც ეს საჭმელი მიირთვა, მალევე გარდაიცვალა. ვერაფერი შევიტყვეთ თქვენ შესახებ, რადგან ადრე დილით დატოვეთ სასტუმრო. ისე ვღელავდით თქვენ გამო.

მოგზაურმა ამ სიტყვების გაგონებისას წამოიძახა:

– რა ხდება? ჩემს თეფშზე გველი იდო? – აღმოხდა კაცს და უსულოდ დაეცა. ეს მოხდა ერთი წლის შემდეგ! ის შიშმა იმსხვერპლა.

ჰიპნოზი ძალიან სასარგებლოა, სწორედ, ასეთი დაავადებებისთვის. ჰიპნოზი იმისთვისაა, რომ ტყუილითვე გავანეიტრალოთ ის ტყუილი, რომელიც დავიჯერეთ. დაიმახსო-

ვრეთ, თუ ფეხში გამოგონილი ეკალი შეგერჭოთ, ნამდვილი ქინძისთავით ნუ ამოიღებთ, რადგან ეს ძალიან სახიფათოა. ჯერ ერთი, გამოგონილ ეკალს ვერც ვერასდროს ამოიღებთ. ნამდვილი ქინძისთავით კი მხოლოდ გაიღიზიანებთ საღ ფეხს. გამოგონილი ეკლის ამოძრობა მხოლოდ გამოგონილი ქინძისთავით შეიძლება.

მაშ ასე, როგორი კავშირი არსებობს მედიტაციასა და ჰიპნოზს შორის? აქ მხოლოდ ერთ კავშირზე შეიძლება საუბარი: ჰიპნოზი საჭიროა იმისთვის, რომ ჩვენს სხეულს გამოგონილი ეკლები მოვაშოროთ.

მაგალითად, მე იმ შემთხვევაში ვიყენებ ჰიპნოზს, როცა სხეულის მოდუნების შეგრძნების ბრძანებას გავცემ. ეს ჰიპნოზია. სინამდვილეში ჩემი პაციენტები დარწმუნებულები ხართ, რომ თქვენს სხეულს მოდუნება არ შეუძლია. იმისთვის, რომ ასეთი რწმენა გავფანტოთ, ჰიპნოზია საჭირო. ამას სხვა არაფერი უშველის. მე ამას თქვენი ცრუ რწმენისთვის კი არ ვაკეთებ, რათა შეიგრძნოთ, თუ როგორ დუნდება თქვენი სხეული და მერე თქვენც მოდუნდეთ. არა! ჩემი მეთოდები იმისთვის არ არის განკუთვნილი, რომ სხეული მოადუნოთ, არამედ იმისთვის, რომ სამუდამოდ დაემშვიდობოთ რწმენას იმის შესახებ, რომ ვერასოდეს მოდუნდებით, რომ თქვენს სხეულს ამის გაკეთება არ ძალუძს. ეს შეუძლებელია თქვენში თავდაპირველი რწმენის საპირწონე რწმენის შექმნის გარეშე, იმ რწმენის გარეშე, რომ თქვენი სხეული მოდუნებას ახერხებს. ყალბი წარმოდგენა ყალბი წარმოდგენითვე ნეირტალდება და როცა თქვენი სხეულები დუნდება, რწმუნდებით, რომ ეს ნამდვილად ასეა. მოდუნება სხეულის ბუნებრივი თვისებაა, მაგრამ თქვენ იმგვარი დაძაბულობით ააავსეთ საკუთარი თავი, რომ უკვე იძულებული ხართ, რაღაც იღონოთ ამ შეგრძნებისგან გასანთავისუფლებლად.

ჰიპნოზის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ამ წერტილამდე. ჰიპნოზი მუშაობს, როცა თქვენ იწყებთ შეგრძნებას, რომ თქვენი სხეული დუნდება, რომ თქვენი სუნთქვა მშვიდდება, რომ თქვენი გონება წყნარდება. მაგრამ ჰიპნოზი მხოლოდ ამ წერტილამდე მოქმედებს. მის კვალდაკვალ მუშაობას იწყებს მედიტაცია. ამ მომენტამდე მედიტაცია არ არსებობდა. მედი-

ტაცია ერთვება ამ მოქმედებების შემდეგ, როცა თქვენ იმყოფებით ცნობიერ მდგომარეობაში. როცა ცნობიერნი ხდებით, მაშინღა აკვირდებით, რომ თქვენი სხეული მოდუნდა, რომ თქვენი სუნთქვა დამშვიდდა, რომ თქვენი აზრები შეწყდა (ან ჯერ კიდევ მოძრაობს) – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი დაკვირვებას იწყებთ, თუკი უბრალოდ აკვირდებით, მაშინ სწორედ ეს დაკვირვებაა, სწორედ ეს მდგომარეობაა იმის დასტური, რომ საქმე მედიტაციასთან გვაქვს. რაც აქამდე იყო, იმას მხოლოდ ჰიპნოზი ერქვა.

მაშ ასე, ჰიპნოზი ნიშნავს მართულ ძილს. როცა არ გვეძინება, ჩვენ ვიწვევთ ძილს, ძალას ვატანთ, ვეპატიჯებით მას. ძილის მოპატიჟება შეიძლება ასევე, თუკი მოვემზადებით მისთვის და ჩვენში შემოვუშვებთ. მაგრამ მედიტაცია და ჰიპნოზი ერთი და იგივე არ არის. გთხოვთ, გაიგეთ ეს. ვიდრე თქვენი შეგრძნებები შეესაბამება ჩემს მოთხოვნებს, ეს ჰიპნოზია. მედიტაცია იწყება, როცა თქვენ გრძნობთ, რომ ჩემმა მოთხოვნებმა შეწვიტეს თქვენზე მოქმედება, როცა საქმეში ცნობიერი ჩაერთო. მედიტაცია იწყება მაშინ, როცა დამოწმების შესაძლებლობა ჩნდება.

ჰიპნოზი საჭიროა, რადგან თქვენ თავად დაიჰიპნოზეთ საკუთარი თავი. თუ სამეცნიერო ტერმინს გამოვიყენებთ, მე კი არ გაჰიპნოზებთ, არამედ თქვენივე თვითჰიპნოზიდან გამომყავხართ. ჩვენ უკვე დაჰიპნოზირებულები ვართ, თუმცა, ამას ვერ ვაცნობიერებთ, ვერ ვხვდებით, როგორ ჩავვარდით ჰიპნოზის მდგომარეობაში, როგორი ფანდები გამოვიყენეთ, რომ თვითჰიპნოზისთვის მიგვეღწია. ცხოვრების დიდი ნაწილი ამ ჰიპნოზის ქვეშ გავატარეთ. როცა ჰიპნოზის ქვეშ ყოფნა გვსურს, არ გვესმის, რას ვჩადივართ. ზუსტად ასე ვცხოვრობთ. თუკი თქვენთვის ეს ნათელი გახდა, თავსმოხვეული ჰიპნოზიც გაიფანტება. როცა ჰიპნოზი განადგურდება, თქვენს შინაგან სამყაროში შეღწევას შეძლებთ, რადგან ჰიპნოზი თავისი არსით არარეალური სამყაროა.

მაგალითად, ადამიანი ველოსიპედზე სიარულს სწავლობს. პრაქტიკისთვის ფართო გზაზე გადის. გზა ძალიან ფართოა და კიდეებზე ღობე ჩაუდის. მაშინაც კი, თუ ადამიანი გადაწყვეტს, რომ ამ გზაზე თვალებახვეულმა იაროს, მას ღობესთან

შეჯახების ძალიან მცირე შანსი ექნება. მაგრამ ადამიანმა ჯერ არ იცის, როგორ იაროს ველოსიპედით.

ის არასდროს უყურებს გზას. მისი თვალები უწინარესად ღობეს უყურებს და ადამიანს მასთან შეჯახების შიში იპყრობს. სწორედ, ასე ხდება. როგორც კი მას ქვის ღობესთან შეჯახების შიში ეუფლება, ის მაშინათვე ჰიპნოზის მდგომარეობაში ვარდება. რაც ნიშნავს, რომ ველოსიპედისტი არ უყურებს გზას, ახლა ის მხოლოდ ქვის ღობეს ხედავს. მას ეშინია და ველოსიპედის საჭეს ქვებისკენ ატრიალებს. რაც უფრო მაგრად ატრიალებს საჭეს ქვებისკენ, მით უფრო ეშინია ველოსიპედისტს. საჭე, რა თქმა უნდა, იქით შეტრიალდება, საითაც ადამიანის ყურადღებაა მიპყრობილი, მისი ყურადღება კი ქვებს მიემართება, იმიტომ, რომ ეშინია მათ არ შეასკდეს. ამიტომ გზა მისი თვალთახედვიდან უჩინარდება, რჩება მხოლოდ ქვების ღობე. ადამიანი დაჰიპნოზებულია ქვებით, მას ქვები იზიდავს. რაც უფრო ძლიერია მიზიდულობა, მით უფრო ეშინია. რაც უფრო ეშინია, მით უფრო მეტია მიზიდულობა. ბოლოს და ბოლოს, ველოსიპედისტი მაინც ეჯახება ქვის ღობეს.

ნებისმიერი გონიერი ადამიანი ამ ყველაფრის შემხედვარე გაიკვირვებდა, როგორ შეეჯახა ეს ველოსიპედისტი ამ ღობეს. როგორ უნდა მოხდეს ისე, რომ შეჯახება აირიდოს? როგორც ჩანს, ის დაჰიპნოზებული იყო. ის ორიენტირებულია ქვებზე, რათა თავი გადაირჩინოს და სიმაღლიდან არ ჩამოვარდეს, ასეთი გარემოება აიძულებს მას მხოლოდ ქვები დაინახოს. მაშინ, როცა ველოსიპედისტის გონება ორიენტირებულია ქვებზე, მისი ხელები თავისთავად აბრუნებენ ველოსიპედს მათი მიმართულებით, რადგან სხეული ადამიანის გულისყურს მისდევს. რაც უფრო ძლიერ ეშინოდა ველოსიპედისტს, მით უფრო იყო იძულებული ქვებისკენ ორიენირებული ყოფილიყო. ის ქვებმა დააჰიპნოზეს. ზუსტად შიშმა შემოატრიალა ის ქვებისკენ და ბოლოს და ბოლოს, მათ შეეჯახა.

ცხოვრებაში ხშირად, სწორედ, ასეთ შეცდომებს ვუშვებთ, შეცდომებს, რომელთა თავიდან აცილებაც გვწადია. ჩვენ ვჰიპნოზირდებით ამ შესაძლო შეცდომებისგან. მაგალითად, ადამიანს ეშინია სულიერი სიმშვიდის დაკარგვის და ბრაზობს. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ შემთხვევაში, ის განუწყვეტლივ, მთელი

დღეების განმავლობაში, ბრაზობს. რაც უფრო მეტად შეეშინდება სიბრაზის, მით უფრო დააჰიპნოზებს ბრაზი. მაშინ ის, მთელი დღის განმავლობაში, დაუწყებს საბაბს ძებნას, რათა კვლავ გაბრაზდეს.

სხვა ადამიანს ეშინია ლამაზ ქალს შეხედოს, რადგან მათ შეუძლიათ სექსუალურად აღაგზნონ. სულ მალე, ის ოცდაოთხი საათის განმავლობაში, მოჰყვება ლამაზი ქალების თვალთვალს. მას, დროთა განმავლობაში, ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ქალებიც ლამაზებად მოეჩვენება, კაცშიც კი ქალს დაინახავს. თუკი უცებ უკნიდან გრძელთმიან სადჰუს შენიშნავს, მხოლოდ შეხებით განსაზღვრავს, ქალია ეს თუ კაცი. მერე ფოტოებიდან და კალენდრებიდანაც დააჰიპნოზებენ ქალები. ის დაიწყებს შიშველი ფოტოების დამალვას გიტაში ან ყურანში, და ისე დაუწყებს მათ თვალიერებას, რომ არც დაფიქრდება, თუ როგორ შეუძლიათ უბრალო ხაზებსა და ფერებს მისი დაჰიპნოზება. მას მუდამ უნდოდა ქალებისგან თავის დაღწევა, ახლა კი ეშინია მათი. მაგრამ უკვე ყველგან ქალებს ხედავს. მეჩეთში მიდის, ტაძარში, თუ სადმე სხვაგან, ქალების გარდა ვერაფერს ამჩნევს. ესეც ჰიპნოზია.

საზოგადოება, რომელიც სექსის წინააღმდეგია, საბოლოო ჯამში სექსუალური ხდება. თუ საზოგადოება უარყოფს სექსს, უარს ამბობს სექსზე, მაშინ მთელი მისი აზროვნება სექსით იჟღინთება, რადგან თავად კრიტიკული მოვლენა დააჰიპნოზებს საზოგადოებას, და მთელი მისი ყურადღება მიჯაჭვული იქნება სექსზე. რაც უფრო ხმამაღლა ილაპარაკებს საზოგადოება სქესობრივ თავშეკავებაზე, მით უფრო ბინძურები და გარყვნილები იქნებიან ადამიანები, რომლებიც ამ საზოგადოებაში იბადებიან. ამის მიზეზი ის არის, რომ სექსუალურ თავშეკავებაზე მეტისმეტად აქტიური საუბრისას გონება სექსუალობაზე ფოკუსირდება. ყოველივე ეს ჩვენ მიერ შექმნილი ჰიპნოზია, რომელშიც ვცხოვრობთ. მთელი სამყარო ამ ჰიპნოზში გაიხლართა და მისი გამოხსნა რთულია, რადგან ჰიპნოზის ზრდა პირდაპირპროპორციულია ჩვენი გამოხსნის აქტივობასთან.

მხოლოდ ღმერთმა უწყის, რამდენი სახის ჰიპნოზი გამოვიგონეთ, ჩვენ ხომ აქამდე არ დაგვისრულებია ეს პროცესი რაც მთავარია. მერე აქტიურად ვაგრძელებთ ამ ჰიპნოზებში

ცხოვრებას. იმისთვის რომ გავიღვიძოთ, ეს უნდა აღიკვეთოს. მაგრამ ამ ყალბი ქსელის გასარღვევად ახალი ყალბი საშუალება უნდა მოვიგონოთ.

სხვათაშორის, მთელი სადხანა, მთელი სულიერი პრაქტიკა, განკუთვნილია იმისთვის, რომ ჩვენ გარშემო სიცრუე გააქრონ. ამიტომ მთელი სადხანა ყალბია. მთელ მსოფლიოში ღმერთამდე მისაღწევად შემუშავებული მეთოდები ყალბია, რადგან ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ შორს უფლისგან.

ეს იგივეა ადამიანს ეძინოს დვარკაში[6], და ესიზმრებოდეს, რომ კალკუტაშია[7]. სიზმარში ის იწყებს ნერვიულობას იმაზე, რომ მისი ცოლი ავადაა, თვითონ კი კალკუტაში ჩარჩა, საიდანაც სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს მშობლიურ ქალაქში. ის ქუჩებში დადის, ადამიანებს რჩევას ეკითხება, ამოწმებს განრიგებს, ნახულობს ცნობებს ავიარესიებზე, რათა დაუყოვნებლივ დაბრუნდეს დვარკაში. მაგრამ ნებისმიერი რჩევა, რომელიც მან შეიძლება მიიღოს, არასწორი იქნება. ადამიანი დაიბნევა, რადგან სინამდვილეში ის კალკუტაში არ არის. ის არასოდეს ჩასულა კალკუტაში. ეს ქალაქი უბრალოდ დაესიზმრა, ეს ჰიპნოზი იყო. ნებისმიერი გზა, რომელსაც დვარკაში დაბრუნების მიზნით ურჩევენ, მხოლოდ და მხოლოდ დააბნევს ადამიანს.

არც ერთ გზას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ყველა გზა არარეალურია. მაშინაც კი, როცა ადამიანი დაბრუნდება დვარკაში, მის მიერ გავლილი გზა არარეალური იქნება. ის ვერ იპოვის სწორ გზას უკან და საბრუნებლად, რადგან ასეთი რამ უბრალოდ შეუძლებელია. პირველ რიგში, ის არასოდეს წასულა კალკუტაში. რას ნიშნავს მისთვის უკან დასაბრუნებელი გზის პოვნა? მატარებელი, რომლითაც ის ჩამოვა დვარკაში, ისეთივე არარეალური იქნება, როგორც კალკუტა. თუ ის მივა ვაგზალზე, იყიდის ბილეთს და ჩაჯდება დვარკასკენ მიმავალ მატარებელში, ყველა მისი მოქმედება არარეალური იქნება. ყველა სადგური, რომელსაც ის ჩაუვლის, არარეალური იქნება. მერე კი დვარკუში მოვა და ბედნიერი გაიღვიძებს. მაგრამ

[6] დვარკა – ქალაქი ინდოეთის ერთ-ერთ შტატში.

[7] კალკუტა – ქალაქი ინდოეთში, დასავლეთ ბენგალიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი

ის გაოცდება, როცა აღმოაჩენს, რომ არასდროს არსად გამგზავრებულა, რომ ის, მთელი ამ დროის განმავლობაში, საკუთარ საწოლში იწვა. მაშინ როგორ დაბრუნდა? მისი მგზავრობა არარეალური იყო, ისევე როგორც დაბრუნება.

არავინ არასოდეს გამოსულა უფლის საზღვრებიდან. ადამიანს არ ძალუძს ამის გაკეთება, რადგან არსებითად მხოლოდ ერთი ღმერთია, საიდანაც ადამიანი ვერ გამოვა. ამიტომაც ყოველგვარი მოგზაურობა არარეალურია და ყოველი დაბრუნებაც არარეალურია. თუმცა, რადგან ჩვენს ცნობიერში უკვე შემოვუშვით მოგზაურობის წარმოსახვა, დაბრუნება მოგვიწევს, სხვა გამოსავალი არ არსებობს. მოგვიწევს დაბრუნების საშუალებათა ძიება. მაგრამ როცა თქვენ დაბრუნდებით, აღმოაჩენთ, რომ ყველა მეთოდი ყალბი იყო, რომ მთელი სადხანა ყალბია. სადხანა იმისთვის იყო აუცილებელი, რომ ძილიდან დავბრუნებულიყავით. როცა ყველაფერს გააცნობიერებთ, მაშინ, შესაძლოა, არც არაფერი იყოს საკეთებელი, და უეცრად მიხვდებით, რომ დაბრუნდით. მაგრამ ამის გაგება რთულია, რადგან თქვენ უკვე კალკუტაში ხართ. ახლა კი შეგიძლიათ თამამად თქვათ: „თქვენ სიმართლეს ღაღადებთ, მაგრამ მე უკვე კალკუტაში ვარ, მაჩვენეთ უკან დასაბრუნებელი გზა!“

კიდევ ერთი კითხვა:
თქვენ იპოვეთ ღმერთი?

სწორედ, ამგვარ კითხვას დასვავდა მოხუცი კალკუტისკენ მიმავალ გზაზე. მე მინდა ვკითხო ამ ადამიანს: „შენ ოდესმე დაგიკარგავს ღმერთი?“ მე თუ ვამბობ, რომ ვიპოვე ღმერთი, მაშინ იმასაც ვაღიარებ, რომ ოდესღაც დავკარგე. ის უკვე ნაპოვნია. მაშინაც კი როცა ჩვენ ვგრძნობთ, რომ ღმერთი დავკარგეთ, ის მაინც ჩვენთანაა. უბრალოდ, ჩვენ ჰიპნოზის ქვეშ ვიმყოფებით, ამიტომ ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს ღმერთი დავკარგეთ. ასე რომ, თუ ადამიანი ამბობს: „დიახ, მე ვიპოვე ღმერთი“, ის ცდება. მას ვერ გაუცნობიერებია, რომ არასდროს დაუკარგავს ღმერთი. ამ მიზეზით, ისინი, ვინც ღმერთი შეიცნო, არასდროს ამბობენ, რომ იგი იპოვეს. ისინი აღნიშნავენ: „ღმერთი არასდროს დაკარგულა“

იმ დღეს, როდესაც ბუდა გასხივოსნდა, მის გარშემო ადამიანები შეიკრიბნენ. მათ კითხეს მას:

– რას მიაღწიე?

– არაფრისთვის არ მიმიღწევია, – უპასუხა ბუდამ, – უბრალოდ, დავინახე ის, რაც არასდროს დამიკარგავს. ვიპოვე ის, რაც უკვე მქონდა.

ბუდას სოფლის მაცხოვრებლებმა თანაუგრძნობით უთხრეს:

– რა ცუდია. შენ ტყუილად წვალობდი.

– დიახ, – უპასუხა ბუდამ, – გარკვეულწილად სიმართლეა. მე ხომ ტყუილად ვწვალობდი, თუ მხედველობაში მივიღებთ შედეგს, რომელსაც მივაღწიე. ახლა თავს გავანებებ ძიებას, არ ვიხეტიალებ რაღაცის მისაღწევად, არ წავალ სამოგზაუროდ – აი, როგორ იდეას ჩავწვდი. ახლა ვიცი, რომ იქ ვარ, სადაც უკვე ვიყავი.

ჩვენ მხოლოდ სიზმრებში მივდივართ სადღაც. სინამდვილეში, ვერასდროს ვაღწევთ იმ ადგილებს, სადაც გვგონია, რომ ჩავედით. ამიტომ, რაღაც აზრით, ყველა რელიგია ყალბია, ყველა სადხანა, იოგას ყველა სწავლება ყალბია – ყალბია უკან დაბრუნების მეთოდების თვალსაზრისით. მაგრამ ისინი მაინც სასარგებლოა.

სოფლის შამანი, რომელიც გველის შხამს მანტრის საშუალებით ანეიტრალებს, ძალიან სასარგებლოა იმ ადამიანებისთვის, რომელსაც გველმა უკბინა, მაშინაც კი, თუ მათ წამოსახვითმა გველმა უკბინა. სხვაგვარად, შამანის გარეშე, ადამიანები არარსებული გველის ნაკბენისგან მოკვდებოდნენ.

ოდესღაც, ასეთი ადამიანი ჩემს მეზობლად ცხოვრობდა. ის უკვე გარდაიცვალა. მთელი ქვეყნიდან მოდიოდნენ მასთან ადამიანები, რომ გველის შხამი გაენეიტრალებინა. ეს შამანი ძალიან ჭკვიანი იყო. მან რამდენიმე გველი შეისწავლა. როცა მასთან გველის მიერ დაკბენილი მიდიოდა, შამანი საკუთარ ოსტატობას იყენებდა და წვრილად გამოიკითხავდა, თუ რომელმა გველმა უკბინა სტუმარს, სად იყო ნაკბენი, მკვდარია თუ არა გველი. ინფორმაციის მიღებისთანავე, საქმეში თავის ფანდებს ჩართავდა, ანუ გველს გამოიხმობდა. მან ყველაფერი შესანიშნავად შეისწავლა – იცოდა, რომელ გველს შეხმიანე-

ბოდა, რა ნიშნები გამოეყენებინა და სხვა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, სტუმარის მიერ აღწერილი გველი სისინით შემოსრიალდა კარებში. მთელი ეს ცირკი სენსაციას იწვევდა და გაოგნებული სტუმარი უბრალოდ მეტყველების უნარს კარგავდა. გველისგან დაკბენილს იშვიათად შეუძლია დაინახოს და გაარჩიოს თავდამსხმელი გველის ნიშნები. მას არ შეუძლია ზუსტად გიპასუხოთ კითხვაზე, რომელმა გველმა უკბინა, როგორ გამოიყურებოდა, სად იყო. ქვეწარმავლის კბენისას ადამიანი ისეა დაბნეული, რომ მას მხოლოდ გაქცევა შეუძლია. თუ გველს მოკლავდნენ, შამანი მის სულს მოუხმობდა გველის სხეულთან შესაერთებლად. ის ტუქსავდა და ლანძღავდა გველს იმისთვის, რომ მან ადამიანს უკბინა. მერე გველი იატაკს ახლიდა თავს და სტუმარს პატიებას სთხოვდა. ამ დროს, შხამი ნაკბენიდან გარეთ მოჟონავდა. შამანი გველს შხამის შესმას უბრძანებდა. გველი დემონსტრირებულად მისრიალდებოდა დაკბენილ ადამიანთან, პირს ჭრილობაზე ადებდა და ადამიანი განიკურნებოდა.

ერთხელ, სამწუხაროდ, გველმა შამანის ვაჟს უკბინა. ის ძალიან შეწუხდა, რადგან არცერთი მისი ფანდი შედეგს არ იძლეოდა. მან ჩემთან მოირბინა და მითხრა:

– გთხოვ, დამეხმარე. უბედურ დღეში ვარ. მირჩიე, რა გავაკეთო. ჩემს შვილს გველმა უკბინა. მან ყველაფერი იცის ჩემს გველებზე. ისეთი უბედური ვარ. უძლური ვარ, ჩემი შვილი ვერ გადარჩება!

მე გავცოცდი.

– ჰო, მაგრამ მკურნალობის თქვენეული მეთოდი? – ვკითხე მას, – ადამიანები ხომ შორიდან მოდიან თქვენთან, სწორედ ამ მეთოდისთვის.

– მკურნალობის ეს მეთოდი უნიკალურია, – მითხრა მან, – მაგრამ მეც კი გამიჭირდება, თუ გველი მიკბენს. საკუთარ თავსაც ვერ გადავარჩენ. ფანდების ოსტატი ვარ, მაგრამ მე ვერ ვენდობოდი მას, ვინც ამ მეთოდით მიმკურნალებდა.

ბიჭი გარდაიცვალა. ამ შამანმა ვერ შეძლო ვაჟის გადარჩენა.

ყალბი მეთოდები იმისთვის არის საჭირო, რომ სიყალბე მოიშორო. მათ თავიანთი მნიშვნელობა აქვთ. ისინი ღირებუ-

ლია იმდენად, რამდენადაც ჩვენ სიყალბეში ჩავიძირეთ. ამგვარად, არასდროს გაისარჯოთ კითხვების დასასმელად. ყოველივე ეს ხომ თავიდანვე ჰიპნოზია. პირველი სტადიები ჰიპნოზისა და ძილისგან შედგება. მხოლოდ უკანასკნელი სტადია წარმოადგენს მედიტაციას და სწორედ, ის გახლავთ ფასეული. ვიდრე ამ საფეხურს მიაღწევთ, სრულიად აუცილებელია ამ წინასიტყვაობის ათვისება. ეს იმ სიყალბიდან გამოგიხსნით, რომელშიც იმყოფებით.

არასდროს დასვათ შეკითხვა: „იპოვეთ ღმერთი თუ არა?“ ეს მცდარი ფორმულირებაა. ვინ უნდა იპოვოს? რა უნდა იპოვოს? არსებობს მხოლოდ ის, რაც არის. იმ დღეს, როცა თქვენ ამის შესახებ გაიგებთ, ნახავთ, რომ არასდროს არაფერი დაგიკარგავთ, რომ თქვენ არასდროს არსად წასულხართ, რომ არასდროს არაფერი განადგურებულა, არასდროს არავინ მომკვდარა არსებობს ის, რაც არის. ამ დღეს შეწყდება ყველა მოგზაურობა, ყოველგვარი ხეტიალი.

ახლა კი ეს კითხვა:

რაში მდგომარეობს დაბადებისა და გარდაცვალების წრებრუნვიდან თავდახსნის არსი?

დაბადებისა და გარდაცვალების წრებრუნვისგან გათავისუფლება არ ნიშნავს, რომ თქვენ აქ აღარ დაიბადებით. ეს ნიშნავს, რომ თქვენ არც საიდანმე მოდიხართ და არც არსად მიდიხართ, არცერთი თვალსაზრისით. მაშასადამე, სწორედ იქ რჩებით, სადაც აქამდე იყავით. ამ დღეს, გაზაფხულის სიხარული ყოველი მხრიდან შემოიჭრება თქვენში. ჩვენ არ შეგვიძლია სიხარულის განცდა, ვიდრე გამოგონილ ადგილას ვიმყოფებით. ჩვენ შეგვიძლია ბედნიერები ვიყოთ მხოლოდ იქ, სადაც რეალურად ვართ. ჩვენ შეიძლება ბედნიერები ვიყოთ იმით, რომ ის ვართ, რანიც ვართ და ვერასოდეს ვიქნებით ბედნიერები იმისგან, რომ არ ვართ ის, რაც ვართ. ამგვარად, დაბადებასა და სიკვდილის წრებრუნვაში მოძრაობა ნიშნავს, რომ ილოზორულ ადგილებში ვხეტიალობთ, რომ იქ დავიკარგეთ, სადაც არასოდეს ვყოფილვართ. ჩვენ უმისამართოდ დავბორიალობთ იქ, სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, მაშინ როცა თვალთახედვიდანაც კი გავაქრეთ ის ადგილი, სადაც სინამ-

დვილეში ვიმყოფებით. ამგვარად, თავისუფლება დაბადებისგან და სიკვდილისგან თავდახსნა ჩვენსავე არსებობის ადგილას, ანუ შინ დაბრუნებას ნიშნავს.

ღმერთში ჩვენი მოძრაობა ნიშნავს, რომ ზუსტად ისეთები ვხდებით, როგორებიც სინამდვილეში ვართ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთხელაც შეხვდებით ღმერთს, რომელიც სადღაც დგას, მიესალმებით და ეტყვით: „მადლობა ღმერთო. როგორც იქნა, შეგხვდი!“ ასეთი ღმერთი არ არსებობს, და თუკი ასეთ ღმერთს წააწყდით, ე.ი. ეს ჰიპნოზია. ასეთი ღმერთი თქვენი წარმოსახვის ნაყოფი უფროა და მასთან შეხვედრა ისეთივე არარეალური იქნება, როგორც მისი დაკარგვა. ასეთ ღმერთს თქვენ ვერასდროს შეხვდებით.

ჩვენი ენა ხშირად არაკორექტულია, რადგან გამოთქმა „ღმერთთან შეხვედრა“ ან „ღმერთამდე მიღწევა“ ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ადამიანს უეჭველად შეუძლია ღმერთის დანახვა. ასეთი გამოთქმები საფუძველშივე მცდარია. მათი მოსმენისას ადამიანი წარმოიდგენს, რომ ვიღაც გამოეცხადება, რომ უშუალოდ ნახავს მას და გადაეხვევა. მაგრამ ეს მცდარი მოსაზრებაა. თუკი, ოდესმე, გინახავთ ასეთი ღმერთი, მოერიდეთ! ასეთი ღმერთი მხოლოდ თქვენი ტვინის გამონაგონი, ანუ ჰიპნოზი იქნება.

ჩვენ თავი უნდა დავაღწიოთ ყოველგვარ ჰიპნოზის და ნაბიჯები იქითკენ გადავდგათ, სადაც არ არის ძილი, ჰიპნოზი, სადაც სრულ ცნობიერში ვიმყოფებით, საკუთარი არსების მესაკუთრენი. ადამიანი ცხოვრებასთან ერთიანობას შეიგრძნობს, არსებობის ერთიანობასა და განუყოფლობას განიცდის. ასეთ გამოცდილებას უფალი ჰქვია.

ახლა კი, მოდით დილის მედიტაციისთვის მოვემზადოთ

მეხუთე თავი
იპოვე შენი გზა

ერთხელ, თქვენ შეამჩნიეთ, რომ არაფერია იმაზე დიდი ჭეშმარიტება, ვიდრე სიკვდილი. ასევე, სადღაც თქვით, რომ სიკვდილი არ არსებობს. რომელია ამ განცხადებებიდან მართალი?

ორივე განცხადება მართალია. როცა ვამბობ, რომ არაფერია იმაზე დიდი ჭეშმარიტება, ვიდრე სიკვდილი, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ სიკვდილის ფენომენი – ეს ამ ცხოვრების ნათელი რეალობაა, უფრო სწორედ, იმაში, რასაც ჩვენ ცხოვრებას ვეძახით და გვესმის, როგორც ცხოვრება, ადამიანის პიროვნების ტერმინებში, რომელიც შედგება იმისგან, რომელსაც აღვწერ, როგორც „მე"-ს. პიროვნება მოკვდება და ის, რასაც ჩვენ ვეძახით ცხოვრებას, ისიც მოკვდება. სიკვდილი გარდაუვალია. რასაკვირველია, თქვენ მოკვდებით, მეც მოვკვდები და ეს ცხოვრებაც მოკვდება, ის ფერფლად გადაიქცევა და გაქრება.

როცა ვამბობ, რომ არ არსებობს უფრო დიდი ჭეშმარიტება, ვიდრე სიკვდილი, მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენ ყველა მოვკვდებით. როცა ვამბობ, სიკვდილი სრულიად ყალბია, მინდა შეგახსენოთ, რომ ამ „მე"-ში, შინაგან „შენ"-ში არის ის, ვინც არასდროს მოკვდება. არის ასევე ცხოვრება, რომელიც განსხვავდება იმ ცხოვრებისგან, რომელსაც თქვენ თვლით ასეთად – ეს ცხოვრებაა სიკვდილის გარეშე. ორივე განცხადება ჭეშმარიტია და ორივე ერთდროულად მართალია. თუ თქვენ მხოლოდ ერთ ერთ მათგანს ჩათვლით სიმართლედ, თქვენ ვერ შეიმეცნებთ სრულ ჭეშმარიტებას.

თუ ვინმე ლაპარაკობს, რომ ჩრდილი – ეს რეალობაა, რომ სიბნელე – ეს რეალობაა, ის მართალია. სიბნელე არსებობს ისევე, როგორ ჩრდილი და თუ სხვა ადამიანი ამტკიცებს, რომ სიბნელე არ არსებობს, ისიც მართალია. ის გულისხმობს, რომ

სიბნელეს არ აქვს დადებითი არსებობა. თუ გთხოვთ, მომიტანოთ ორი ტომარა სიბნელე, თქვენ ვერ შეძლებთ ამის გაკეთებას. ოთახი სავსეა სიბნელით, მაგრამ თუ გთხოვენ სიბნელის გაგდებას, თქვენ ვერ შეძლებთ ამის გაკეთებას. ისევ, თუ გეტყვით: „თუ სიბნელე აქ არის, მაშინ გააგდე ის, თუ შეიძლება“, თქვენ ვერ შეძლებთ ჩემი თხოვნის შესრულებას. რატომ? მიზეზი იმაშია, რომ სიბნელეს უარყოფითი არსებობა აქვს, სიბნელე – ეს უბრალოდ, სინათლის არარსებობაა.

მიუხედავად იმისა, რომ სიბნელე არსებობს, ის მაინც სინათლის არარსებობაა. ამიტომ, თუ ვინმე ამბობს, რომ სიბნელე არ არის, ის მართალია. არის სინათლის ყოფნა, არის სინათლის არყოფნა, მაგრამ სიბნელე, როგორც ასეთი, არ არის. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, რაც გვინდა, ის გავუკეთოთ სინათლეს, მაგრამ სიბნელეს, უძლური ვართ, რამე მოვუხერხოთ. თუ თქვენ მოინდომებთ სიბნელის განდევნას, თქვენ მოგიწევთ სინათლის შეშვება, თუ მოგინდებთ სიბნელის შემოშვება, მაშინ მოგიწევთ სინათლის განდევნა. თავად სიბნელეს ვერაფერს მოუხერხებთ.

თქვენ გარბიხართ გზაზე, თქვენი ჩრდილი მოგდევთ თქვენ, ისიც თქვენთან ერთად მორბის. ყველას შეუძლია საკუთარი ჩრდილის დანახვა, ამას არავინ უარყოფს და მაინც შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილი არ არსებობს, რადგან მას აქვს თავისი არსებობა. ჩრდილი არსებობს იმიტომ, რომ თქვენი სხეული ხელს უშლის სინათლის წინსვლას. სინათლე ფორმირდება, როცა თქვენს სხეულს ეცემა სინათლე. როცა მზე თქვენს თავზე დგას, ჩრდილი არ ფორმირდება, რადგან მზის სხივებს გზაზე არაფერი ელობებათ. ჩვენ რომ გავაკეთოთ ადამიანის ფიგურა შუშისგან, მაშინ არანაირი ჩრდილი არ გამოჩნდებოდა, რადგან სხივები მინაში გაივლიდნენ.

ჩრდილი მაშინ ფორმირდება, როცა სინათლის მოძრაობა გაძნელებულია. ჩრდილი – ეს მხოლოდ და მხოლოდ სინათლის არარსებობაა. ამიტომ თუ ადამიანი ამბობს, რომ ჩრდილი არსებობს, ის არ ცდება. მაგრამ ეს სიმართლის ნახევარია. მან უნდა დაამატოს, რომ ჩრდილი არ არსებობს. მაშინ სიმართლე დასრულებულია. ეს ნიშნავს, რომ ჩრდილი ეს ის არის, რომ არსებობს და, ამასთან, არ არსებობს. მაგრამ ჩვენი აზროვნე-

ბის გამო, არ შეგვიძლია რაიმეს დანახვა მანამდე, ვიდრე არ გავყოფთ რაიმეს ორ დამოუკიდებელ ნაწილად.

ერთხელ ერთი მკვლელის სასამართლო გაიმართა. მსჯავრდებულმა მოკლა ადამიანი, ისინი კი, ვინც დაინახა მკვლელობის ჩადენის მომენტი, გამოვიდნენ მოწმედ. ერთმა მოწმემ განაცხადა:

– დანაშაული მოხდა გაშლილ სივრცეში, ცაში ვარსკვლავები კიაფობდნენ. ვარსკვლავებს ისევე ვხედავდი, როგორც მკვლელობას.

მის შემდეგ გამოვიდა მეორე მოწმე, რომელმაც თქვა:

– დანაშაული მოხდა სახლში, კართან, კედელთან ახლოს. კედელზე დარჩა სისხლის კვალი, რამდენადაც კედელთან ვიდექი, ჩემი ტანსაცმელიც სისხლით შეიღება. ეს მკვლელობა სახლში მოხდა.

მოსამართლე საგონებელში ჩავარდა. როგორ შეიძლებოდა, ორივე მოწმეს სიმართლე ელაპარაკა? ნათელია, რომ ერთ-ერთი მათგანი მატყუარაა. მკვლელმა გაიცინა. მოსამართლემ მას ჰკითხა, რა ნახა მან სასაცილო.

მსჯავრდებულმა უპასუხა:

– ნება მომეცით, გიკარნახოთ, რომ ორივე მოწმე მართალია. სახლი არ იყო დასრულებული. სახურავი ჯერ არ ჰქონდა. მაღლა ვარსკვლავები ჩანდა. მკვლელობა მოხდა ღია ცის ქვეშ, მაგრამ კართან ახლოს, კედელთან, სადაც სისხლის წვეთები დარჩა. სახლი თითქმის დასრულებული იყო, კედლები ამოყვანილია და დარჩენილია მხოლოდ სახურავის გადახურვა. ასე რომ, ორივე მოწმე მართალია.

ცხოვრება ისე გართულებულია, რომ ხანდახან ისეც ხდება, რომ ჩვენ ვთვლით, არსებობს წინააღმდეგობა. ცხოვრება წარმოუდგენლად ძნელია. ცხოვრება ისე არ მიედინება, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, მასში ხომ იმდენი წინააღმდეგობრიობაა, ცხოვრება უდიდესია.

გარკვეულწილად, სიკვდილი არის უდიადესი ჭეშმარიტება, რადგან ჩვენი ყოფიერების საშუალება დასრულდება და ჩვენ მოვკვდებით ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობაში. საქმეც, რომელიც ჩვენ შევასრულეთ, განადგურდება. ის, რასაც ჩვენ ვუყურებთ, როგორც ჩვენი სამყაროს შემადგენელ ნაწილს, ანუ

ცოლს, ქმარს, შვილს, მამას, დედას, მეგობარს – ეს ყველაფერი მოკვდება. და მაინც, სიკვდილი – ეს ყალბია, რადგან არის ის, რაც გადადის შვილში, ვინც არ არის შვილი, ის არასროს მოკვდება. არის ის, ვინც შედის მამაში, ვინც არ არის მამა, ის არასდროს მოკვდება. მამა, რა თქმა უნდა, მოკვდება, მაგრამ მასში არის, კიდევ ვიღაც, რომელიც განსხვავდება მამისგან, რომელიც გამოყოფილია მამისგან უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი ნათესავი, რომელიც არასდროს მოკვდება. სხეული მოკვდება, მაგრამ სხეულში არის ის, ვინც არასდროს მოკვდება. ეს ორი მოვლენა ერთდროულად სწორია. ამიტომ ეს ორი მოვლენა უნდა შევინახოთ გონებაში, რომ გავიგოთ სიკვდილის ბუნება.

ის, რისი განადგურებაც გვინდა ანუ ბრმა რწმენის ჯაჭვი ანდა ცრურწმენა, თქვენს საუბრებში უფრო დიდ მხარდაჭერას ჰპოვებენ. თქვენი ლაპარაკის წყალობით, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე არსებობს, რომ არიან ღმერთები და სულები, რომ ადგილი აქვს სულების ჩასახლებას. ამ შემთხვევაში, ძნელია ცრურწმენებისგან თავის დახსნა. ხომ არ გაძლიერდება ცრურწმენა?

აქ საჭიროა ორი რამის გაგება. პირველ რიგში, თუ რაიმე ითვლება ცრუწმენად მისი გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე, ეს იგივეა, რომ შექმნა უფრო დიდი ცრურწმენა. ასეთი ქმედება ძალიან დიდი ცრუმორწმუნეობის დემონსტრირებაა. ერთ ადამიანს სწამს მოჩვენებებისა და ავი სულების არსებობის და მას ეძახით ცრუმორწმუნეს. თქვენ ხომ გჯერათ, რომ მსგავსი არაფერი არსებობს და თქვენი ასეთი აზრი გაძლევთ შეგრძნებას, რომ თქვენ მაღალი ცნობიერების მქონე ხართ. მაგრამ კითხვა რაშია, რა არის ცრურწმენა? თუ ვინმეს სჯერა მოჩვენებებისა და ავი სულების არსებობის ყოველგვარი კვლევის გარეშე, მაშინ ეს ცრურწმენაა და თუ ვინმეს სჯერა, რომ ასეთი რამეები არ არსებობს, ასევე, ყოველგვარი კვლევების გარეშე, ესეც ცრურწმენაა. ცრურწმენა ნიშნავს რწმენას რამისადმი, იმის ცოდნის გარეშე, ეს მართლა არსებობს თუ არა თუ ადამიანი მისდევს რწმენას, თქვენი რწმენის საწინააღმდეგოდ, ეს არ ნიშნავს, იმას, რომ ის ცრუმორწმუნეა.

ღმერთის მორწმუნე ისევე შეიძლება იყოს გაბრიყვებული. როგორც ღმერთის არმორწმუნე. ჩვენ უნდა გავიგოთ ცრურწ-

მენის განმარტება. ეს ნიშნავს რაღაცის ბრმად რწმენას, ყოველგვარი ვარიაციების გარეშე. რუსები – ისინი ცრუმორწმუნე ათეისტები არიან, ინდუსები კი – ცრუმორწმუნე თეისტები. ორივე ერი ყალბი რწმენისგან იტანჯება. რუსები არასდროს შეწუხებულან გაეგოთ, სინამდვილეში არის თუ არა ღმერთი და მერე დაეწყოთ თავიანთი დაწესებულის რწმენა, ინდუსებიც არ ეცადნენ, დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ ღმერთი ნამდვილად არის, რომ მერე ერწმუნათ მისი. ამგვარად, არ შეცდეთ იმის ვარაუდით, რომ ცრუმორწმუნეები მხოლოდ თეისტები არიან, ათეისტებს ხომ თავიანთი ცრურწმენები აქვთ. უცნაურია: არსებობს ასევე სამეცნიერი ცრურწმენა. ურთიერთგამომრიცხავად ჟღერს. როგორ შეიძლება ცრურწმენა მეცნიერული იყოს?

თუ თქვენ გეომეტრიას სწავლობდით, მაშინ შეხვდებოდით ევკლიდეს[1] განმარტებას, რომელშიც ის ამტკიცებს, რომ ხაზს აქვს სიგრძე, მაგრამ არ აქვს სისქე. რა შეიძლება იყოს მეტი ცრურწმენა, ვიდრე ეს აზრი? სისქის გარეშე ხაზები არასდროს ყოფილა. ბავშვებს ასწავლიან იმას, რომ წერტილს არც სიგრძე აქვს და არც სისქე და უდიდესი სწავლულები მუშაობენ იმის დასამტკიცებლად, რომ წერტილს არც სიგრძე აქვს და არც სიგანე. შეიძლება არსებობდეს წერტილი სიგრძისა და სიგანის გარეშე?

ჩვენ ყველა შევეჩვიეთ ციფრებს 1-დან 9-მდე. შეიძლება ვიკითხო, ნუთუ ეს არ არის საკმარისი ცრურწმენისთვის? რატომ ციფრი ცხრა? არცერთ სწავლულს არ შეუძლია ახსნა, რატომ ციფრი ცხრა და რატომ არა შვიდი? რა არის ცუდი ციფრში შვიდი? რატომ არა სამი? არიან მათემატიკოსები და ლაიბნიციც[2] მათ რიცხვშია, რომლებიც სამი ციფრით შემოიფარგლე-

---

[1] ევკლიდე ალექსანდრიელი (ბერძნ.: Εὐκλείδης) (დაახ. ძვ. წ. 325-265) ელინიზმის ეპოქის მათემატიკოსი ალექსანდრიიდან, ეგვიპტე; ცხოვრობდა პტოლემეოს I-ის მეფობის ხანაში (ძვ. წ. 323–283). ხშირად მოიაზრება, როგორც „გეომეტრიის მამა“.

[2] გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი (გერმ.Gottfried Wilhelm Leibniz; დ. 1 ივლისი, 1646, ლაიფციგი – გ. 14 ნოემბერი1716, ჰანოვერი) – გერმანელი მათემატიკოსი, ფილოსოფოსი, ლოგიკოსი, მექანიკოსი, ფიზიკოსი, იურისტი, ისტორიკოსი, დიპლომატი, გამომგონებელი და ლინგვისტი. პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი,საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი.

ბიან. ლაიბნიცმა განაცხადა, რომ მის სისტემაში ციფრებს 1, 2, 3 მოსდევთ 10, 11, 12, 13, მერე მათ მოსდევთ 20, 21, 22, 23. მისი გამოთვლის სისტემა იყო ზუსტად ასეთი და ეს მშვენივრად გამოსდიოდა. ის კამათში იწვევდა მათ, ვინც მას არ ეთანხმებოდა, იმის დასამტკიცებლად, რომ ის არასწორი იყო. ლაიბნიცი დაეჭვდა ცხრა ციფრის გამოყენების აუცილებლობაში.

მოგვიანებით აინშტაინმა[3] განაცხადა, რომ სამი ციფრის საჭიროებაც არ არსებობს, რომ ორი ციფრითაც შეიძლება ფონს გასვლა, ერთი ციფრით რთული იქნებოდა, მაგრამ ორი ციფრი საკმარისი იქნებოდა. მათემატიკაში ცხრა ციფრის არსებობა – ეს სამეცნიერო ცრურწმენაა. მაგრამ მათემატიკოსი არაა მზად დანებებისთვის. ის ამბობს: „როგორ შეიძლება უფრო მცირედი რაოდენობის ციფრებთ მუშაობა, ვიდრე ცხრაა?" ასე რომ, ესეც მხოლოდ რწმენაა, რომელსაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

სამეცნიერო თვალსაზრისით, ჩვენ გვჯერა, რომ ასეთი პოზიცია სწორია, მაგრამ სინამდვილეში, ეს ყველაფერი ცრურწმენაა. სწავლულებიც ცრუმორწმუნენი არიან და ჩვენს დროში რელიგიური ცრურწმენები ძალას კარგავენ, როცა მეცნიერული ცრურწმენები იზრდება. განსხვავება ამ ორ ცრურწმენას შორის იმაშია, რომ თუ თქვენ ჰკითხავთ რელიგიურ ადამიანს, როგორ შეიმეცნა ღმერთი, ის გეტყვით, რომ ღმერთზე ყველაფერი გიტაშია დაწერილი და თუ თქვენ ჰკითხავთ ადამიანს, როგორ გაიგო მან არითმეტიკაში ცხრა ციფრის შესახებ, ის გიპასუხებთ, რომ ამ ციფრებით ყველაფერია დაწერილი მათემატიკის წიგნებში.

რითი განსხვავდება ეს ორი ცრურწმენა? ერთმა პასუხები იპოვა გიტაში, ყურანში, მეორემ პასუხები იპოვა მათემატი-

[3] ალბერტ აინშტაინი (გერმ. Albert Einstein; დ. 14 მარტი, 1879, ულმი. გერმანია – გ. 18 აპრილი, 1955, პრინსტონი, აშშ) – ფიზიკოს-თეორეტიკოსი. საყოველთაოდ მიჩნეულია XX საუკუნის უდიდეს მეცნიერად. მან წამოაყენა ფარდობითობის თეორია და ასევე დიდი წვლილი აქვს შეტანილი კვანტური მექანიკის, სტატისტიკური მექანიკისა და კოსმოლოგიის განვითარებაში. 1921წელს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკაში 1905 წელს ფოტო ელექტრონული ეფექტის მისეული განსაზღვრებისთვის და ასევე თეორიულ ფიზიკაში მის მიერ შეტანილი წვლილისთვის

კის წიგნებში. რაშია განსხვავება? ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ უნდა გავიგოთ, სინამდვილეში რას ნიშნავს ცრურწმენა. ცრურწმენა ნიშნავს, რომ ჩვენ გვჯერა რამის ისე, რომ არ ვიცით ეს. ჩვენ ვიღებთ ბევრ მოვლენას და უარვყოფთ ბევრ მოვლენას, როცა მათზე არაფერი ვიცით – აი, რა არის ცრურწმენა.

დავუშვათ, რომ რომელიღაც სოფლის მაცხოვრებელში ჩასახლდა სული. განათლებული ადამიანები იტყვიან, რომ ეს ცრურწმენაა. მოდით, შევთანხმდეთ, რომ ცრუმორწმუნეები არიან გაუნათლებელი ადამიანები. ჩვენ უკვე ჩავთვალეთ ისინი ცრუმორწმუნეებად, რამდენადაც თავიანთი გაუნათლებლობით, ამ უბრალო ადამიანებს არ შეუძლიათ წამოაყენონ არცერთი არგუმენტი რწმენის სასარგებლოდ. ამიტომაც სოფლის ყველა განათლებული ადამიანი ამ ადამიანის ისტორიას გამონაგონად ჩათვლის, რომ მას სული დაეუფლა, მაგრამ მათ არ იციან, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტში, რომელიც აშშ-შია, არის განყოფილება, რომელიც დაკავებულია სულებისა და მოჩვენებების კვლევით. ამ განყოფილების თანამშრომლებმა მოჩვენებების ფოტოებიც კი გადაიღეს. სოფლის განათლებულმა ადამიანებმა არ იციან, რომ ამ დროს, სულებისა და მოჩვენებების შესახებ გამოკვლევებში ჩართულნი არიან ძალიან ცნობილი მეცნიერები და მათ ისეთ დიდ შედეგებს მიაღწიეს, რომ ადრე თუ გვიან ისინი მიხვდებიან, რომ ზუსტად ისინი, განათლებული ადამიანები, იყვნენ ცრუმორწმუნენი, რომ ზუსტად მათ არაფერი იცოდნენ თავიანთი რწმენის საგნებზე, თუმცა მათი საუბრები (სიტყვები) სწორი იყო.

თუკი რაიანს ან ლოჯას წაიკითხავთ, გაოცდებით. ლოჯა იყო მეცნიერი, ნობელის პრემიის მფლობელი. მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა სულებისა და მოჩვენებების კვლევას. სიკვდილის წინ, მან დატოვა დოკუმენტი, რომელშიც ეწერა: „მეცნიერებაში ჩემ მიერ გაკეთებული აღმოჩენები სანახევროდ მცდარია, სულებისა და მოჩვენებების აღმოჩენებთან შედარებით. მაგრამ ჩვენ მათზე არაფერი ვიცით, რადგან ცრუმორწმუნე, განათლებული ადამიანები არ იწუხებენ თავს კვლევითი აღმოჩენებით, რომლიც მსოფლიოში კეთდება“.

თუ რომელიმე ადამიანი ამბობს, რომ მას შეუძლია აზრების წაკითხვა დისტანციურად, ჩვენ მას ცრუმორწმუნეს ვეძახით. რუსეთში, ქვეყანაში, რომელიც, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „მაგარი" მეცნიერებით გამოირჩევა, ცხოვრობს ადამიანი, გვარად ფიოდევი. ის უდიდესი რუსი მეცნიერია. მოსკოვში მყოფი, ის, უპრობლემოდ გადასცემდა თავის აზრებს, ყოველგვარი თვალხილული გამტარის გარეშე, მისგან ათასობით კილომეტრში, თბილისში მყოფ ადამიანს. ეს მოვლენა მეცნიერულად შეამოწმეს, ყველაფერი დადასტურდა. მეცნიერებს იზიდავთ ასეთი კვლევები, რადგან ადრე თუ გვიან ასეთი შესაძლებლობები საჭირო იქნება კოსმოსური მოგზაურობისას. თუკი კოსმოსური ხომალდი მექანიკურად დაზიანდება, ამგვარი შესაძლებლობების სწავლული ნებისმიერ დროს შეძლებს კავშირის დამყარებას კოსმონავტებთან. სხვაგვარად შეიძლება ხომალდი სამუდამოდ დაიკარგოს. სწორედ, ამგვარი მოსაზრებების გამო, აწარმოებენ რუსი მეცნიერები ინტენსიურ კვლევებს ტელეპატიაში და უკვე განსაცვიფრებელ შედეგებსაც მიაღწიეს.

ფიოდევი თავის კვლევებს აწარმოებდა მეგობრის დახმარებით, რომელიც თბილისიდან ათასობით კილომეტრზე, ბაღში, ბუჩქებში იმალებოდა რადიოგადამცემით ხელში. ის ფიოდევთან რადიოს მეშვეობით კონტაქტობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მან ფიოდევს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ვიღაც ადამიანი ნომერ მეათე სკამთან მივიდა და ჩამოჯდა. ფიოდევმა სთხოვა, ამ ადამიანისთვის გადაეცა შეტყობინება, რომ სამი წუთში დაეძინა. ადამიანი სრულიად ფხიზელი იყო, სიგარეტს ეწეოდა და რაღაცას ღიღინებდა. ფიოდევმა დაიწყო მისთვის ჩემი შეტყობინების მსგავსი სიგნალების გაგზავნა: „თქვენ დუნდებით. თქვენ დუნდებით". ათასობით კილომეტრის მანძილზე დაშორებულმა ფიოდევმა ამ კაცს ინტენსიურად შთააგონა, რომ უნდა დაეძინა. ზუსტად სამი წუთის შემდეგ, სკამზე მჯდომ ადამიანს უკვე ეძინა, სიგარეტი ხელიდან გაუვარდა.

მაგრამ ეს შეიძლება დამთხვევაც ყოფილიყო. შესაძლოა, სკამზე მჯდომი ადამიანი დაღლილი იყო და ამიტომაც ჩაეძინა. მეგობარმა ფეოდოვს შეატყობინა, რომ საცდელმა პირმა დაიძინა. მაგრამ ეს შეიძლება დამთხვევა ყოფილიყო. ამიტომ

მან ფიოდორს სთხოვა, კვლავ გაეღვიძებინა ობიექტი, ზუსტად შვიდი წუთის შემდეგ. ფიოდორმა საცდელ პირს გაუგზავნა გაღვიძების შეტყობინება, რომელმაც ზუსტად შვიდი წუთის შემდეგ, თვალები გაახილა და წამოდგა. სკამზე მჯდომი ადამიანი შემთხვევითი გამვლელი იყო და ვერც კი წარმოედგინა, თუ რა ხდებოდა. კაცს ფიოდევის მეგობარი მიუახლოვდა და დაინტერესდა, უცნაურად ხომ არ გრძნობდა თავს.

„დიახ, ნამდვილად ვიგრძენი, – უპასუხა მან, – ძალიან გამიკვირდა. აქ იმიტომ მოვედი, რომ ვიღაცას ველოდებოდი, მაგრამ უცებ ვიგრძენი, რომ ჩემი სხეული საცაა დაიძინებს. მასზე კონტროლი დავკარგე და დავიძინე. მერე უცნაური შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს შვიდი წუთის შემდეგ, ვიღაცამ გაღვიძება დამავალა! ვერ ვხვდები, რა მომივიდა". ამ ადამიანს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა მის თავს.

აზრებით ურთიერთობა ყოველგვარი ტექნიკის გარეშე მეცნიერული სინამდვილე გახდა, მაგრამ განათლებული ადამიანი ამას ცრურწმენას უწოდებს. ავადმყოფი ადამიანი შეიძლება განკურნო სხვა, მოშორებით მყოფი ქალაქიდან. ეს ძალიან რთული როდია. ასევე შეიძლება გველის ნაკბენის ნეიტრალიზება ათასობით კილომეტრის მანძილიდან, ესეც არ არის ძალიან რთული. მაგრამ არსებობენ სხვადასხვაგვარი ცრურწმენები. გახსოვდეთ ამის შესახებ, რომ განათლებული ადამიანის ცრურწმენა გაცილებით საშიშია გაუნათლებელი ადამიანის ცრურწმენაზე, რადგან განათლებული ადამიანი თავის მიერ დაწესებულს არ თვლის ცრურწმენად. მისთვის ეს შედეგია. რომელსაც მან მიაღწია აქტიური განსჯის შემდეგ.

კითხვის დამსმელი ადამიანი ამბობს, რომ ჩვენ უნდა გავწყვიტოთ ცრურწმენის ჯაჭვი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს ჯაჭვები არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში. ამ პროცესში შეიძლება ვიღაცას ხელი ან ფეხი მოსტეხო. მხოლოდ ისეთი ჯაჭვის გაწყვეტა შეიძლება, რომელიც არსებობს. თუ ასეთი ჯაჭვი არ არსებობს, მაშინ რა ხდება? უნდა დარწმუნდე იმაშიც, რომ შენი რწმენის საგანი წარმოადგენს ჯაჭვს, რომელიც უნდა გაწყდეს, და არა სამკაულს, რომლის აღდგენაც მომავალში მოგიწევს. ყოველივე ამას დაკვირვებით უნდა შეხედოთ.

მთელი გულით ცრურწმენის წინააღმდეგი ვარ. საჭიროა ყველა სახის ცრურწმენის განადგურება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავად მაქვს ერთგვარი ცრურწმენა მათ განადგურებასთან დაკავშირებით. არავინ უნდა დაანგრიოს ცრურწმენები, მათი გაგების გარეშე. აუცილებელი განხილვის გარეშე, ადამიანმა, უბრალოდ, არ უნდა გაანადგუროს ცრურწმენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამგვარი ხელოვნური განადგურებაც ცრურწმენა გახდება.

ყოველ საუკუნეს თავისი ცრურწმენები აქვს. გახსოვდეთ, ცრურწმენების მოდაც კი არსებობს. ყოველ საუკუნეში ცრურწმენა ახალ ფორმას იღებს. ადამიანი ძველ ცრურწმენებს უარყოფს და ახალი ცრურწმენებით იარაღდება, მაგრამ მათგან არასდროს თავისუფლდება სამუდამოდ. ადამიანი ცრურწმენებს უბრალოდ ყოფს სახეობებად და თავისთვის რომელიმე მათგანს ირჩევს, რასაც თვითონ ვერასოდეს აცნობიერებს.

მაგალითად, დედამიწაზე ოდესღაც მეფობდა ასეთი ცრურწმენა: ადამიანი, რომელიც შუბლზე საღებავით წითელ წერტილს ანუ ტილაკს დაისვამდა, რელიგიურად ითვლებოდა. მაგრამ რა კავშირი აქვს ტილაკს რელიგიასთან? მაგრამ იყო დრო, როცა ასე ეგონათ. იმ ადამიანს კი, რომელიც შუბლზე ტილაკს არ იკეთებდა, არარელიგიურ ადამიანად მიიჩნევდნენ. დღეს, უკვე არ არსებობს ეს მოძველებული ცრურწმენა. ჩვენს დროში ახალი, ასეთივე სულელური ცრურწმენები გამოჩნდა. თუ ადამიანი ატარებს ჰალსტუხს, მას განსაკუთრებულ პიროვნებად მიიჩნევენ, სხვა შემთხვევაში რიგით ადამიანად თვლიან. დამოკიდებულება იგივეა, საერთოდ არაფერი შეცვლილა. ჰალსტუხმა შეცვალა ტილაკი, ადამიანი კი ისეთივე დარჩა. სად არის აქ განსხვავება?

ჰალსტუხი არაფრითაა უკეთესი ტილაკზე. შესაძლოა, უარესიც იყოს, რადგან ადრე, ყოველ შემთხვევაში, ტილაკის შემთხვევაში რაღაც აზრი მაინც არსებობდა. ინდოეთში ჰალსტუხს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა, სხვა ქვეყანაში შეიძლება რაიმე აზრი ქონდეს ჰალსტუხის ტარებას. ჰალსტუხი გამოსადეგია ცივ ქვეყნებში, სადაც ის სიცივისგან იცავს ყელს. ამ ქვეყნებში ადამიანი, რომელიც ვერ ახერხებს

ყელი სიცივისგან დაიცვას, სავარაუდოდ, ღარიბია. მდიდარ ადამიანს შეუძლია ჰალსტუხის მეშვეობით დაიფაროს თავისი ყელი. თუმცა, როცა ცხელ ქვეყნებში, მაგალითად, ინდოეთში, ჰალსტუხს იკეთებენ, ამის დანახვა შემაშფოთებელია, გამვლელები თავს იმტვრევენ იმაზე ფიქრით, მდიდარია ეს ადამიანი თუ უბრალოდ, შეშლილი!

თუ ადამიანი მდიდარია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის სიცხისგან უნდა დაიტანჯოს, ყელზე მარყუჟის ტარებით. ჰალსტუხი ნიშნავს მარყუჟს, ჰალსტუხი ნიშნავს კვანძს. ჰალსტუხის ტარებას ცივ ქვეყნებში თავისი დატვირთვა აქვს, მაგრამ ცხელ ქვეყნებში მის ტარებას არანაირი აზრი არ აქვს. და მაინც, ადამიანი რომელსაც წარმოდგენა აქვს ღირსებაზე, ანუ მოსამართლე, ადვოკატი, პოლიციელი, ქუჩებში მარყუჟით დადიან! სწორედ, ეს ადამიანები უარყოფენ ტილაკის მატარებლებს, როგორც ცრუმორწმუნეებს! მათ ასეთი რამ უნდა ვკითხოთ: „ნუთუ ჰალსტუხის ტარება ცრურწმენა არაა? რომელ სამეცნიერო სისტემას მიმართავთ, როცა კისერზე ჰალსტუხს იკეთებთ?“ მაგრამ ჰალსტუხი ჩვენს საუკუნეში მიღებული ცრურწმენაა, ტილაკი კი – წარსულის ცრურწმენა, ჰალსტუხის ტარება ნორმალურ მოვლენად ითვლება.

როგორც ადრე გითხარით, ჰალსტუხს მნიშვნელობა აქვს ცივ ქვეყნებში, ტილაკის ტარებასაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა, მაგრამ ცრურწმენების წინასწარი შესწავლის გარეშე ძალიან საშიშია რომელიმე მოვლენას ვუწუდოთ ცრურწმენა. თქვენ ხომ ჯერ წარმოდგენა არა გაქვთ, რატომ დაიწყეს ტილაკის მოხმარება. ადამიანებმა ამ ნიშნის მოხმარება ძირითადად ცრურწმენების გამო დაიწყეს, ამისათვის გარკვეული მეცნიერული მიზეზიც არსებობდა. სინამდვილეში, ტილაკს სვამდნენ თვალებს შორის, შუბლზე, სადაც განთავსებულია აჯნია, მესამე თვალის ჩაკრა. მოკლე მედიტაციის დროსაც კი ეს ადგილი ცხელდება. თუმცა, ის გრილდება, თუკი შუბლზე მცენარეულ ზეთს წაისვამთ. მცენარეული ზეთის მიღება უმაღლესი მეცნიერული ტექნიკაა, მაგრამ ჩვენს დროში ის დაიკარგა. ადამიანებს არ აინტერესებთ წარსულის მეცნიერებები. ახლა ნებისმიერი ადამიანი იღებს მცენარეულ ზეთს, იმის მიუხედა-

ვად, იცის თუ არა რაიმე აჯნა ჩაკრაზე, შეუსრულებია თუ არა ოდესმე მედიტაცია.

უცნაურია: ხომ არიან ადამიანები, რომლებიც ცხელ ქვეყნებში ჰალსტუხს ატარებენ. ჰალსუხის ტარებას, შესაძლოა, რაიმე მნიშვნელობა აქვს ცივ ქვეყნებში, ისევე როგორც ტილაკს აქვს მეცნიერული მნიშვნელობა იმისთვის, ვინც მედიტირებს აჯნა ჩაკრაზე, რადგან მცენარეული ზეთი აგრილებს შუბლს. როცა ადამიანი მედიტირებს აჯნა ჩაკრაზე, ის ამ ზეთზე სტიმულირებს და შუბლზე სითბო გამოიყოფა, ტემპერატურა, რომელმაც უნდა დაიკლოს, რათა ტვინი არ დაზიანდეს. თუ ჩვენ მყარად გადავწყვეტთ ტილაკის მოშორებას, მაშინ, რა თქმა უნდა, ამ ნიშანსაც წავშლით მათი შუბლებიდან, რომლებიც მას სრულიად უაზროდ ატარებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს წერტილი იმ ღარიბი ადამიანის შუბლებიდანაც გაქრება, რომელთაც ტილაკის დასმისთვის საკუთარი მიზეზები გააჩნიათ. თუ არ წაიშლიდა ტილაკს, ჩვენ მას ცრუმორწმუნეს დავუძახებდით.

გეუბნებით, თქვენ არ შეგიძლიათ განსაზღვროთ, რა არის ცრურწმენა და რა არაა ცრურწმენა. სინამდვილეში, ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება სხვადასხვა სიტუაციაში ცრურწმენადაც მოგვევლინოს და მეცნიერულ მოვლენადაც. ერთ შემთხვევაში ცრურწმენას შეიძლება მეცნიერული იერსახე ჰქონდეს, სხვა შემთხვევაში კი სრულიად არამეცნიერულად აღიქმებოდეს.

მაგალითად, ტიბეტში არსებობს წელიწადში ერთხელ დაბანის პრაქტიკა, რაც სრულიად მეცნიერულია, რადგან ტიბეტში არ არის მტვერი და ადამიანები ცივ კლიმატის პირობებში არ ოფლიანობენ. ამიტომ ტიბეტის მაცხოვრებლებს არ სჭირდებათ დაბანა. თუ ისინი ყოველ დღე დაიაბანენ, მაშინ უბრლოდ ზიანს მიაყენებენ თავიანთ სხეულს, ეს ხომ სხეულის ტემპერატურის დავარდნას გამოიწვევს. რითი ცვლიან ამ სითბოს? თუ ტიბეტში შიშველი ივლით, ეს ძვირად დაგიჯდებათ. თუ ადამიანს, მთელი დღის განმავლობაში, ტანსაცმლის გარეშე მოუწევს დგომა, ორმოცი პროცენტით მეტი საკვები დასჭირდება დაკარგული კალორიების აღსადგენად. თუ ადამიანი შიშველი დასეირნობს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი, მას

თაყვანს სცემენ, როგორც სამყაროს უარმყოფელს. მახავირა გონიერი ადამიანი იყო, ის მუდამ ფეხით დადიოდა ცხელ ქვეყნებში, მათ შორის, ინდოეთშიც. რაც უფრო მეტ სითბოს გამოსცემს სხეული, მით უფრო მეტ სიგრილეს გრძნობს შიგნით. მაგრამ მახავირას მიმდევარი რომ ტიბეტში მისულიყო და იქ ფეხშიშველს გაევლო, ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტად ჩათვლიდნენ. ტიბეტში ამგვარად გამოწყობილი ადამიანის გამოჩენა არამეცნიერულია, სისულელეა. მაგრამ ზუსტად ასეა საქმე.

ინდოეთში ჩამოსული ტიბეტელი ლამა არასოდეს ბანაობს. ერთხელ, ბოჯ გაიაში, ერთ ოთახში ვცხოვრობდი ტიბეტელ ლამებთან ერთად. მათ ისეთი ცუდი სუნი ასდიოდათ, რომ იქ ყოფნა ტანჯვა იყო. ჩემს კითხვაზე, ასე რატომ იქცევიან, მათ მიპასუხეს: „ჩვენ ვემორჩილებით წელიწადში მხოლოდ ერთხელ დაბანის წესს“. სწორედ, აქ ვავლებ საზღვარს ცრურწმენასა და მეცნიერებას შორის. ის, რაც ტიბეტში მეცნიერებაა, ინდოეთში ცრურწმენად იქცევა. ეს ლამები საშინელ სუნს აფრქვევენ, ვერ ხვდებიან, რომ მათი სხეული ბევრ სითბოს გამოყოფს, რომ ყველგან მტვერია.

ჩვენ არ ვიცით, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სულაც არაა მტვერი. როცა ხრუშჩოვი პირველად ეწვია ინდოეთს, ის აგრაში, ტაჯ-მახალში წაიყვანეს. გზად მიმავალმა შენიშნა, როგორ წამოიმართებოდა ხოლმე მტვრის სვეტი, მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და ამ სვეტს გაუპირდაპირდა. გაოცებულმა ხრუშჩოვმა სიხარულით შენიშნა: „ისე გამიმართლა, ადრე ხომ არასდროს მქონია ასეთი გამოცდილება“. ჩვენ ხომ არასოდეს დაგვეუფლება მსგავსი შეგრძნება, რომ მაგრად გაგვიმართლა მტვრის ღრუბელში მოხვედრით. მაგრამ იმ ქვეყანაში, საიდანაც ხრუშჩოვი ჩამოვიდა, თოვლის ზვინები დევს და არა მტვერი. მისთვის საოცრება იყო მტვერში მოხვედრა, ისევე როგორც ჩვენთვის თოვლში კოტრიალი. ჩვენ ვცოცხლდებით, როცა ჰიმალაიში, თოვლში დავდივართ. ამგვარად, არაფერი დაამსხვიოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ამას ჯაჭვად მიიჩნევთ. თავიდან დააკვირდით, როდის არსებობს ეს მოვლენა, რა პირობებში, გარკვიეთ მის საჭიროებაში.

მეცნიერული ტვინი მუდამ ორჭოფობს. ადამიანი, რომელსაც მეცნიერული გონება აქვს, არასდროს იღებს გადაწყვეტილებას სიჩქარეში, არ უწოდებს სწორს, ან არასწორს. ამის ნაცვლად ის ამბობს: „შესაძლოა, ეს მოვლენა სწორია, მაგრამ მომეცით ნება, რალაც დროის განმავლობაში, ის შევისწავლო". კვლევების დასრულების შემდეგად, სწავლული არასდროს მიდის გადაწყვეტილებამდე, არ ამტკიცებს, რომ რალაც არასწორია, არ მოუწოდებს მისი განადგურებისკენ. ცხოვრება ისეთი იდუმალია, რომ ამ განსაზღვრული ტერმინებით ვერაფერს იტყვი. შეგვიძლია მხოლოდ ის ვთქვათ, რომ: „ჩვენთვის ცნობილი მოვლენების, საკუთარი ცოდნის გათვალისწინებით, ესა თუ ის მოვლენა არასწორად მიგვაჩნია". სულ ეს არის. მეცნიერული მიდგომებით ადამიანი იტყვის: „თუ დავეყრდნობით ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, მაშინ ესა თუ ის მოვლენა, ამ მომენტისთვის არ გვეჩვენება სწორედ. თუმცა, ხვალ, დამატებითი ინფორმაციის წყალობით, შესაძლოა, ის სწორი აღმოჩნდეს. ის, რაც დღეს სწორია, შეიძლება ხვალ არასწორი იყოს". ასეთი ადამიანი ნაჩქარევ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, იმაზე, რაც სწორია ან არასწორია. ის მუდამ ძიებაშია კვლევების დახმარებითა და მარტივი აზროვნებით.

საინტერესოა ცრურწმენებზე ჩაჭიდება, მათი დამსხვრევაც საინტერესოა. ცრურწმენებზე ჩაჭიდების სიამოვნება იმაშია, რომ ეს თავიდან გვაშორებს აზროვნების ტვირთს, ჩვენ ხომ გვჯერა იმის, რისიც დანარჩენ ადამიანებს სჯერათ. ჩვენ ისიც კი არ გვინდა ვიკითხოთ, რა არის ამგვარი ცრურწმენის მიზეზი, რატომ სწამთ ხოლმე ამგვარი მდგომარეობის. ვის რაში აინტერესებს ეს? ადამიანი უბრალოდ მასას მიჰყვება. ცრურწმენის ქონა მოსახერხებელია.

არიან ადამიანები, რომლებიც ანადგურებენ ცრურწმენებს, ესეც მოსახერხებელია. ცრურწმენების გამანადგურებელი ადამიანი, ჭკვიანად გვეჩვენება, თუმცა, სინამდვილეში სულაც არ არის ჭკვიანი. იყო ჭკვიანი არ არის ადვილი. შეხედო მოვლენებს ჭკვიანურად იმას ნიშნავს, რომ დაძაბო ყველა ნერვი. ეს ადამიანი საგნებს უყურებს ისე ინტენსიურად, რომ უძნელდება კატეგორიული დასვნის გაკეთება. ამიტომ მისი დასკვნები მუდამ პირობითია. ის იტყვის: „ამ პირობებში ტიბეტში არ

არის სასურველი დაბანა, მაგრამ სხვა პირობებში ინდოეთში დაუბანლობა უმაღლესი კლასის ცრურწმენა იქნებოდა". გონიერი ადამიანი სწორედ ასე ისაუბრებს.

სხვა მხრივ, საზოგადოების რეფორმატორი არ გამოხატავს არანაირ დაინტერესებას იმაში, რასაც ამბობს. მას რაღაცის დამსხვრევა სურს. უნდა გითხრათ, რომ ამის საჭიროება თქვენთვისაც არსებობს, ამქვეყნად აუცილებელია ბევრი მოვლენის დამსხვრევა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია უაზრობის განადგურება. პირველ რიგში, უნდა განადგურდეს წინასწარი, ჭკვიანური გადაწყვეტილების გარეშე მოქმედების ტენდენცია. დასკვნა ასეთია: თუ ანადგურებთ რამეს, თუ თავიდან არ დაფიქრდებით, როგორც საჭიროა, მაშინ თქვენს დანგრევას არანაირი აზრი არ აქვს. უნდა შეიქმნას გონივრული აზროვნების ტენდენცია და კარგი იქნება განადგურდეს გაუაზრებელი რწმენის ტენდენცია. ამგვარი ქმედება ნებას მოგვცემს დავინახოთ სხვა კონტექსტები, უფრო ღრმა მნიშვნელობა. მაშინ აქტიურად დავიწყებთ ძებნას, დავიწყებთ აზროვნებასა და გონივრულად დამკვიდრებას. მაშინ შევძლებთ ყველა შესაძლებლობის განხილვას.

დასავლეთში ფსიქოანალიზი ძალიან პოპულარულია. საინტერესოა, რომ ფსიქოანალიზი ზუსტად ისეთ სამუშაოს ასრულებს, როგორსაც სოფლებში კარგი ჯადოქარი ასრულებდა. ჩვენს დროში საფრანგეთში კიუვიეს[4] მიერ შექმნილი აქტიური სექტა მოქმედებს. ეს ადამიანი იმავე პრინციპებით მუშაობს, როგორც ჯადოქარი, ოღონდ კიუვიე სწავლულია და სამეცნიერო ტერმინებს იყენებს, დანარჩენი კი იგივეა, არაფერით განსხვავდება.

გაგიკვირდებათ, როცა გაიგებთ, რომ ჩვენ ცრუმორწმუნას ვუწოდებთ სადხუს, ღარიბ ბერს, ჩვეულებრივ სოფლის მაცხოვრებელს, რომელიც მედიტაციის აზრზე არ არის და ავადმყოფ ადამიანს ღმერთის სახელით მწიკვ ფერფლს უწვდის. და მაინც, ეს მეთოდი ეფექტურად მუშაობს ალოპათიური მკურნალობისას. ეს ძალიან საინტერესოა, ადამიანები ხომ იკურნებიან. ამ სფეროში უამრავ ექსპერიმენტს ატარებენ.

[4] ჟორჟ ლეოპოლს კიუვე – ბარონი, ფრანგი ნატურალისტი (1769-1832).

ლონდონის საავადმყოფოში უნიკალური ექსპერიმენტი ჩაატარეს. ერთი და იმავე დაავადების მქონე ასი პაციენტი ორ ჯგუფად გაყვეს. პირველ ორმოცდაათ პაციენტს გაუკეთეს ჩვეულებრივი წამლის ინექცია, შემდეგ ორმოცდაათ პაციენტს წყლის ინექცია გაუკეთეს. საოცარი ის არის, რომ ორივე შემთხვევაში, ერთნაირი რაოდენობის ადამიანი გამოჯანმრთელდა. იბადება კითხვა: რაშია საქმე?

ამ ექსპერიმენტს ყურადღებას თუ მივაქცევთ, მოვლენის დაწვრილებითი შესწავლის აუცილებლობა წარმოიშობა. მკვლევარებისთვის ნათელი გახდა, რომ აზრი, შეგრძნება მიღებულ წამალზე უფრო ეფექტურია. ასევე, თვით წამალიც, ყველაზე სამკურნალო პრეპარატების მომზადებაც არ მოქმედებს ისე ეფექტურად, როგორც იმაზე ფიქრი, თუ რამდენად ძვირია წამალი, რამდენად ცნობილია მისი გამომწერი ექიმი. ნაკლებ ცნობილი ექიმი წარუმატებელია მკურნალობისას, არა იმიტომ, რომ ის თავის საქმეში ცუდად ერკვევა, არამედ იმიტომ, რომ ის არ არის ცნობილი. სახელოვანი ექიმი მაშინვე შთაბეჭდილებას ახდენს პაციენტზე. ამ ექიმს შთამბეჭდავი ჩაცმულობა, დომინირებული პოზა, დიდი ჰონორარი, დიდი ავტომობილი აქვს, დიდი რიგი უდგას, უფრო სწორედ, ხალხის მასა, რომელიც ერთ ხაზზეა გამწკრივებული – და, აი, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, რომ უკვე თითქმის სულერთია, იცის თუ არა ამ ექიმმა იმ პრეპარატის სიკეთე, რაც დაგინიშნათ.

სიმართლე ისაა, რომ იმისთვის რომ კარგი ექიმი იყო, თქვენ არ გჭირდებათ პირველი კლასის სამედიცინო განათლება, თქვენთვის აუცილებელია შესანიშნავი სარეკლამო საქმის ცოდნა. ცნობადობა უფრო კარგად იყიდება, ვიდრე მკურნალობა.

ცოტა ხნის წინ, სამედიცინო მომსახურების სფეროში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საფრანგეთში დაახლოებით ოთხმოცი ათასი ექიმი და დაახლოებით ას სამოცი ათასი ექიმბაშია. როცა პაციენტები იღლებიან პრაქტიკოსი ექიმებისგან, მათ ისინი მკურნალობენ, ვინც საერთოდ არაფერი იცის მედიცინის შესახებ. მაგრამ ამ ადამიანებმა იციან ფანდები, როგორ უმკურნალონ პაციენტს. „პათიებმა“ გადაავსეს ქვეყანა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ნაირგვარი „პათია“ ყველას და

ყველაფერს აღემატება ჩვენი მეცნიერების საუკუნეში? ნატურაპათიაც კი მუშაობს, ანუ დადებითი ეფექტი აქვს მუცელზე ტალახის წასმას, მუშაობს წყლის ოყნა, მუშაობს ჯადოქრის შელოცვები. არსებობს ჰომეოპათიაც, რომელიც მხოლოდ შაქრის პაწაწინა აბებს იყენებს და სხვას არაფერს. ყოველივე ეს მუშაობს, მათ შორის ალოპათიაც.

ამგვარად, დაისმის კითხვა: მაშინ როგორ ჯანსაღდება პაციენტი? თუ სოფლის მკურნალი თავის პაციენტს დაუნიშნავს ერთ მუჭა მტვერს და ამით მკურნალობს, კარგად უნდა დავფიქრდეთ იმაზე, გავანადგუროთ თუ არა ასეთი ცრურწმენა. ადამიანს სტეტოსკოპით კისერზე და დიდი ავტომობილით, ასევე შეუძლია ადამიანების მკურნალობა, თავისი მეცნიერული მეთოდებით. მაგრამ აქაც მაგია მუშაობს, ანუ სტეტოსკოპისა და ავტომობილის მაგია.

მე ვიცნობ ერთ მკურნალს. მას არა აქვს არანაირი სამეცნიერო ხარისხი, მაგრამ მაინც შეძლო უამრავი პაციენტის მკურნალობა, ამასთან ისეთების, რომლებიც ექიმებმა განუკურნებლად მიიჩნიეს. ჩემი ნაცნობი ჭკვიანია, ის დიდებულად იცნობს ადამიანის ბუნებას. სინამდვილეში, სწორედ ასე ყალიბდებიან პროფესიონალ ექიმებად! ამგვარად, თუ სამკურნალოდ მის კლინიკაში სიარულს დაიწყებთ, ისეთ დიაგნოზს დაგისვემენ, რომ თქვენი დაავადებების ნახევარი დიაგნოსტირებისთანავე გაქრება. ის განსაკუთრებულად ჭკვიანი ექიმია, დანარჩენი ექიმებს ეშინიათ კიდეც მისი.

მას დიდი, შთამბეჭდავი, კუშტი კაბინეტი აქვს, ფართო მაგიდით, რომელზეც პაციენტებს დაწოლას აიძულებს. პაციენტის მკერდთან რაღაც სტეტოსკოპის მაგვარი კიდია. ეს ეშმაკური გამოგონება მიერთებულია ორ გამჭვირვალე მილთან, რომელშიც შეღებილი წყალია ჩასხმული. როცა ის აახლოებს ამ რაღაცას, რომელიც სტატოსკოპს ჰგავს, პაციენტის მკერდთან, გულისძგერის რიტმი წყალს მილში მოძრაობას აიძულებს. პაციენტი უყურებს მოძრავ წყალს და იმაში რწმუნდება, რომ, მართლაც, მშვენიერ ექიმთან მივიდა, მას ხომ აქამდე ასეთი რამ არ უნახავს. საგანი, რომელსაც ეს ექიმი იყენებს, სტეტოსკოპს ჰგავს, მაგრამ არაფრით უკავშირდება ექიმის ყურებს. პაციენტი აკვირდება, როგორ ამოდის და ჩადის

წყალი მილში და ეს ქმედება იმაში არწმუნებს, რომ მის წინაშე არაჩვეულებრივი ექიმია.

თქვენ იცით, ალოპატიის ექიმი რატომ წერს რეცეპტს გაურკვეველი ხელწერით? მიზეზი იმაშია, რომ თუკი რეცეპტის წაკითხვას შეძლებთ, მიხვდებით, რომ ეს იმდენად ჩვეულებრივი რეცეპტია, რომ შეგიძლიათ უბრალოდ ბაზარში წახვიდეთ და ყველაფერი იქ იყიდოთ. ამიტომაც იწერება რეცეპტი ასეთი ოსტატობით, ისე, რომ მისი წაკითხვა ვერ შეძლოთ. სიმართლე ის გახლავთ, რომ ამ რეცეპტის კვლავ მის გამომწერთან მიტანის შემთხვევაში, ის თავად ვერ გაარკვევდა, თუ რა ჩაწერა მასში. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა წამლის დასახელება ლათინურ ან ბერძნულ ენაზე უნდა დაიწეროს. ამის მიზეზი უბრალოა: თუ ექიმი ინგლისურად, ინდურად ან გუჯარათულად წერდეს, თქვენ არასდროს გადაუხდიდით მას ათ ანდა თხუთმეტ რუპიას ინექციისთვის, რადგან გეცოდინებოდათ, რომ მთელი ეს ინექცია სხვა არაფერია, თუ არა კვლიავის თესლის ნაყენი.

ყოველივე ეს მაგიური ფანდებია. ეს იგივეა, რაც სოფლის მაცხოვრებელი პაციენტებისთვის მუჭა ნაცრის გამოწერა. მაგრამ ამას არანაირი ეფექტი არ ექნება, თუ ექიმს რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანის იერი ექნება, თუ არ ეცმევა მდოგვისფერი ტანსაცმელი, რომელშიც ის ბევრად უფრო შთამბეჭდავია. თუ ადამიანებს ეცოდინებათ, რომ ეს ექიმი პატიოსანი, სათნო, კეთილი და სამართლიანია, მაშინ მუჭა ნაცარს მეტი ეფექტი ექნება. და თუ ადამიანებს ეცოდინებათ, რომ ის არ ცვლის ფულს, რომ ის ფულს არც კი ეხება, მაშინ ფერფლი ზღაპრულ თვისებებს შეიძენს. ასე რომ, ფერფლი კი არა, სულ სხვა ფაქტორები მოქმედებს. კარგად უნდა დავფიქრდეთ იმაზე, საჭიროა ამგვარი ტიპის მკურნალობა თუ არა, რადგან, თუკი მას ავკრძალავთ, მას სხვა ტიპის, ასეთივე ყალბი მკურნალობა შეცვლის, და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად.

ადამიანების აზროვნება ისე უნდა წარმართო, რომ უცოდინარობის გამო არ დაავადდეს, რომ ყალბი დაავადებები არ მოახვიოს საკუთარ თავს. ყალბი ექიმები იქამდე იარსებებენ, ვიდრე იქნებიან ყალბი დაავადებები. თუ მოიშორებთ ძველ, ყალბ მეთოდებს, ახალი მეთოდები გამოჩნდება, თუ თქვენ მა-

თაც მოიშორებთ, მათ ნაცვლად სხვები მოვლენ. ამ ქვეყნად მკურნალობის უამრავი მეთოდი არსებობს, მაგრამ გადაჭრით არავის უთქვამს, რომელია მათ შორის სწორი. ყოველი მათგანი წარმატებულად ცხადდება ავადმყოფობის მორჩენის თვალსაზრისით. ასეთი განცხადებები კორექტულია, რადგან ისინი, მართლაც, ამარცხებენ ავადმყოფობებს.

რაც უფრო აქტიურად ვსწავლობთ ადამიანის ფსიქიკას, მით უფრო ნათლად ჩანს, რომ ავადმყოფობა ადამიანის გონებაში არსებობს. ყალბი მკურნალობა იარსებებს, ვიდრე ავადმყოფობა იარსებებს ადამიანის გონებაში. ამიტომ ძალიანაც არ მაწუხებს, როგორ უნდა მოვიშოროთ ეს ყალბი მეთოდები, ის უფრო მაინტერესებს, თუ როგორ უნდა დასრულდეს ავადმყოფობა ადამიანის გონებაში. თუ გაქრება ავადმყოფობა ადამიანის გონებაში, თუ ადამიანის ცნობიერება გაიღვიძებს, თუ ადამიანი საქმის ვითარებაში გაერკვევა, მაშინ ის გათავისუფლდება თავს მოხვეული შემაშფოთებელი პრობლემებისგან. ისე კი არა, რომ თქვენ შეაგროვოთ ფერფლი, იმის გამო, რომ ვიღაც მას სოფელში გაყიდის. არა! ამას იმიტომ აკეთებთ, რომ ძალიან გინდათ ფერფლის ყიდვა, სწორედ, ამ მიზეზით, ის ვიღაცამ უნდა მოგყიდოთ.

არავინ ხდება თქვენთვის ლიდერი უბრალოდ ისე, მაგრამ თქვენ წამითაც ვერ ძლებთ მის გარეშე. ამიტომ ვიღაც უნდა გახდეს ლიდერი. თუ ერთ ლიდერს ჩამოაგდებთ, სხვას მოძებნით, თუ ისიც არ გამოდგა ლიდერად, მესამეს იპოვით და ასე შემდეგ. პირველ რიგში, იმაში გაერკვიეთ, თუ ვინ გინდათ დასვათ ძველი ლიდერის ნაცვლად. მსოფლიოს ყველა ლიდერმა კარგად იცის იმის შესახებ, რომ მოსახლეობა მხარს წამყვან ოპოზიციურ პარტიებს უჭერს. მათ მყარად იციან იმის შესახებ, რომ როგორც კი ადამიანებს ერთი ლიდერი მოსწყინდებათ, მაშინვე ირჩევენ მეორეს, როცა მეორით იღლებიან, მას პირველით ანაცვლებენ. ამიტომ მთელ სამყაროში ორპარტიული სისტემაა ფესვგადგმული. ადამიანები ყველგან ერთნაირები არიან.

უკანასკნელი არჩევნების დროს რაიპურში ვიყავი. ერთ ჩემი მეგობარი, რაიპურის ძველი მკვიდრი, რამდენჯერმე წარმატებით აირჩიეს პარლამენტის წევრად, მაგრამ ამჟამად მან

მარცხი განიცადა. მის ნაცვლად მოქალაქეებმა აირჩიეს კიდევ ერთი ჩემი მეგობარი, რომელსაც საერთოდ არავინ იცნობდა. ის, სულ ცოტა ხნის წინ, გადმოვიდა ამ ქალაქში საცხოვრებლად. ჩემს დამარცხებულ მეგობარს ვკითხე, როგორ მოხდა ეს ყველაფერი, როგორ წააგო მან და როგორ მოიგო ამ ახალბედამ არჩევნები.

მან მიპასუხა: „ცხადია, რაშიც არის საქმე. ადამიანები ძალიან შემეჩვივნენ. ეს ადამიანი კი ახალი სახეა. მას ჯერ არ იცნობს ხალხი. ნუ ნერვიულობ. დაე, ისიც ნაცნობი ფუგურა გახდეს, მაშინ თავადაც ჩაფლავდება არჩევნებში. მე კი დაველოდები შესაფერის მომენტს. იმ დროისთვის კვლავ უცნობი გავხდები, მერე კი ხელახლა მოვიგებ არჩევნებს“.

არსებითად, საქმე ამაში როდია, ცვლით თუ არა ლიდერებს, თავიდან იშორებთ თუ არა ცრურწმენებს. საკითხი ასე არ დაისმის. უმთავრესი ის გახლავთ, თუ როგორ შევძლოთ ძირეული ცვლილებების გატარება ადამიანში. მეცნიერულად მომართული ტვინი აქტიურად არასოდეს დაინტერესდება ცრურწმენებით, მაგრამ ცრურწმენა კიდევ დიდხანს იარსებებს, ვიდრე ადამიანი უარს არ იტყვის საკუთარ სიბრმავეზე. თუკი ადამიანი არ იქნება მზად თვალების გასახელად, სიბრმავე აუცილებლად იარსებებს.

ნება მომეცით, ასეთი შეკითხვა დავსვა: ვის სურს ჩვენ შორის ნამდვილად გაახილოს თვალები? ჩვენს შორის არავის სურს რამის დანახვა ღია თვალებით, რადგან თვალების გახელისას, იმ სიმართლის დანახვას შევძლებთ, რომლის დანახვაც საერთოდ არ გვსურს. ამიტომ თვალებს ვხუჭავთ და იმას ვხედავთ, რასაც წარმოვიდგენთ. ოდესმე გაგიხელიათ თვალები? შეგისწავლიათ ყურადღებით, რას წარმოადგენს ცხოვრება? ოდესმე შეგიმჩნევიათ, რომ თვალები ღია გაქვთ? თქვენ, უბრალოდ, არ გსურთ თვალების გახელა, რადგან ამ შემთხვევაში საშინელებებს იხილავთ.

ყოველი ადამიანი წარმოუდგენლად ღვთისმოსავად, მაჰათმად მიიჩნევს თავს. მას რომ თვალები გაეხილა და ყურადღებით მიმოეხედა, მისდა ჭირად საკუთარ თავში დამალულ ცოდვილს აღმოაჩენდა. რასაკვირველია, მას არ სურს ამის დანახვა, რადგან ამ შემთხვევაში, მისთვის რთული იქნება მა-

ჰათმად ყოფნა. ამიტომ ის თვალებს ხუჭავს. და არა მხოლოდ ეს! ამგვარი ქცევით ის იმ ადამიანებს იყენებს, რომლებსაც შეუძლიათ დაეხმარონ თვალების დახუჭვაში; ანუ აგროვებს მის გარშემო მყოფ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ეპირფერებიან და ეუბნებიან, რომ უდიადესი მაჰათმაა. ამგვარად, ის გამუდმებით აგროვებს თავის მიმდევრებს, გარშემო იკრებს ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ერთგვარად ზრუნავენ მისი სიბრმავის შესანარჩუნებლად.

არსებობს უამრავი შესანიშნავი ფანდი ადამიანების მოსაგროვებლად. ამ მიზნის მისაღწევად იყენებენ არაჩვეულებრივ ტყუილებს. ერთ-ერთი ასეთი ფანდია, როცა ლიდერი გაჰყვირის: „არ მოხვიდეთ ჩემთან ახლოს! არ მინდა, რომ ჩემ გარშემო ხალხი გროვდებოდეს!“ ადამიანებს ძალიან ხიბლავთ ეს ფანდი. ამ ადამიანთან ისინი ცხვრის ფარასავით მირბიან. რაც უფრო მძლავრად უკუაგდებს მათ ლიდერი, მით უფრო დიდებულ მაჰათმად მიიჩნევენ მას. ჩვეულებრივი მაჰათმა სიხარულით ხვდება ადამიანებს, მაგრამ ეს მაჰათმა ყველას ჯანდაბაში აგზავნის. ის არანაირ ინტერესს არ იჩენს გარშემომყოფთა მიმართ.

ერთ ადამიანზე, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში, კალიფორნიის სანაპიროზე დახეტიალობდა, ასეთი რამ მსმენია. მან ადამიანების თავისკენ მიმხრობა დაიწყო. მასზე ამბობდნენ, რომ ისეთი უბრალო ადამიანი იყო, რომ შეთავაზებულ ათდოლარიანსა და ათცენტიანს შორის სიხარულით ყაბულდებოდა მონეტას. აი, ასეთი უცოდველი გახლდათ ის ადამიანი. ცნობისმოყვარეობის გამო, ერთმა კაცმა ხუთჯერ თუ ექვსჯერ შეძლო მისი ნახვა და შენიშნა, რომ ყოველ ჯერზე, ამ ადამიანს ხალხი ეხვეოდა გარს. ადამიანები ეკითხებიან მას: „ბაბა, შენ ბანკნოტი გინდა თუ მონეტა?“ ის მაშინვე მონეტას იღებდა, ამბობდა, რომ მონეტა მოსწონდა, მოსწონდა მისი ბრწყინვალებით. ხალხი მას უცოდველ ადამიანად მიიჩნევდა.

ამ ცნობისმოყვარე ადამიანს არ შეეძლო სცოდნოდა, რომ იმ ყმაწვილმა წლების მერეც ვერ ისწავლა ათდოლარიანი ბანკნოტის გარჩევა! ძალიან უცოდველი უცოდველობა იყო ეს სული! ერთხელ, საღამოს, როცა ირგვლივ ხალხი აღარ იყო, ეს ცნობისმოყვარე ადამიანი მასთან მივიდა და უთხრა:

– ბოლო ოცი წლის განმავლობაში გაკვირდები და გაოცებულმა აღმოვაჩინე, რომ შენმა თამაშმა დიდხანს გასტანა. ნუთუ დღემდე ვერ ცნობ ათდოლარიან ბანკნოტს?

ყმაწვილმა გაიცინა და უპასუხა:

– პირველივე დღიდან ვიცოდი, რომ ჩემ წინაშე ათდოლარიანი ბანკნოტია! მაგრამ რომ გამემხილა ამის შესახებ, მაშინ თამაში მაშინათვე შეწყდებოდა. ბანკნოტის არცნობით ათასობით მაყურებლისგან ვაგროვებ მონეტებს. საკმარისია ერთხელ მაინც ვიცნო ბანკნოტი, და ის იქნება ერთადერთი, რომელიც ჩემს ხელში მოხვდა, რადგან ამ შემთხვევის შემდეგ, ადამიანები არ გამომიწვდიან ბანკნოტებს. ამიტომ, თუ მართლა მინდა ფულის შოვნა, უარი უნდა ვთქვა სიმდიდრეზე, და ბანკნოტები თავისთავად დამიგროვდება. მე კარგად ავაწყვე ჩემი საქმე, და ამიტომაც ვარ წარმატებული. დღის განმავლობაში ხუთას დოლარამდე შემოსავალი მაქვს და თამაშიც აუცილებლად გაგრძელდება.

ე.წ. მაჰათმასათვისაც ცნობილია ფულის ფასი, თუმცა, თუ ამაზე დაელაპარაკებით, გიპასუხებთ, რომ არასდროს შეხებია ფულს. მაგრამ მისი მოწაფე, რომელიც შორიახლო ზის, მიიღებთ თქვენს ფინანსურ შემოწირულობას, და შეინახავს კიდეც მას, რადგან მაჰათმა არასოდეს ეხება ფულს!

რა შეიძლება გავაკეთოთ, თუ ადამიანს სურს ბრმად დარჩენა? ვინ იქნება იმდენად სულელი, რომ რაიმე შეცვალოს? ამ ყმაწვილს თვითონ კი არ მოუფიქრებია ეს გასართობი. ამ აფიორის ინსპირატორები სწორედ ისინი არიან, ვინც მას უახლოვდება. ამგვარი პროვოცირება იძლევა იმის საფუძველს, რომ ეს ყმაწვილი სცენიდან არ ჩამოვიდეს. ასე ვიტყოდი: თუ ის ამის გაკეთებას შეწყვეტს, მაშინ სხვა დაიწყებს ასეთივე ბიზნესს. ადამიანები ბრიყვები არიან, ისინი სხვა ყმაწვილთანაც ასე გაერთობიან. მათი სურვილია, ვიღაცას ფული წააცინცვლინონ. ამიტომ ასეთი ფოკუსები მომავალშიც იარსებებს. მათი აღმოფხვრა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ადამიანების სისულელეების მოისპობას შევძლებთ.

ამგვარად, ძალიანაც არ იდარდოთ იმაზე, თუ როგორ გავწყვიტოთ ცრურწმენის ჯაჭვი, რადგან ამ ჯაჭვის მატარებელი ადამიანი არაფრით შეიცვლება. ის ახალ ჯაჭვს შე-

ქმნის და ყველაფერი თავიდან განმეორდება. სამყარო უამრავ რელიგიას მოსწრებია. ყოველი მათგანი საზოგადოების რეფორმირებისთვის დაფუძნდა. მათ განაცხადეს, რომ უნდა აღმოფხვრან გამეფებული ცრურწმენები, მაგრამ ცრურწმენის რღვევის პროცესში, არსებითად, არასოდეს არაფერი შეცვლილა. რასაკვირველია, ის ადამიანები, რომლებიც გაჯერებულნი არიან ძველი ცრურწმენებით, ძველს ახლით ანაცვლებენ და, ამასთან, ძალიან ბედნიერებიც არიან, რადგან გრძნობენ, რომ რაღაც შეცვალეს.

სინამდვილეში, გონიერი ადამიანი არასდროს არაფერს ეჭიდება, რწმენასაც კი, არათუ ცრურწმენას. ის ცხოვრობს გონივრულად, არაფერზეა დამოკიდებული, არასდროს ქმნის ჯაჭვებს, რადგან იცის, რომ თავისუფალ ცხოვრებაში უდიდესი სიხარულია. ნუ წარმოქმნით თქვენს შესაბოჭ ჯაჭვებს.

ამგვარად, უმთავრესია ყოველ ადამიანში საკმარისი ცნობიერება გავაღვიძოთ, რაც მასში თავისუფლების, გონიერების სურვილს აღძრავს, რათა მან კარგად შეიმეცნოს საკუთარი თავი და გახდეს ყოვლის შემცნობი. თუკი შესაძლებელი იქნება ბრმა ცხოვრების ტენდენციის შემცირება, მიმდევარობის სურვილის აღძვრა, ვინმესთან ერთად სიარულის, რაღაცისადმი რწმენის ჩანერგვა, ყველა ცრურწმენა ნამცეცებად იქცევა. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ისე კი არ იქნება, ერთი ცრურწმენა გაქრეს და მეორე გადარჩეს, ყველა ცრურწმენა ერთდროულად შეწყვეტს არსებობას. სხვა შემთხვევაში ისინი სამუდამოდ დარჩებიან.

სინამდვილეში, თქვენ უნდა გაიგოთ, რომ არაფერი მოხდება, თუ უბრალოდ ტანსაცმელს იცვლით. დაე, ყველამ ის ატაროს, რაც მოსწონს. თუ ვინმეს მდოგვისფერი ტანსაცმელი ურჩევნია, რატომ უნდა შეუშალო ხელი? თუ ვინმეს შავი ტანსაცმლის ტარება უნდა, დაე, ატაროს. ადამიანმა უნდა გაიცნობიეროს, რომ ტანსაცმლის ცვლა ცხოვრების შეცვა არ არის. როცა ამას მიხვდებით, არ დაგჭირდებათ ტანსაცმლის გამოცვლა, იმიტომ რომ ადამიანი, რომელიც ტანსაცმლის გამოცვლას გაიძულებთ, მაშინვე ჩაანაცვლებს ამ ტანსაცმელს სხვა რამით.

რომელიღაც სანიასინი, რომელსაც მდოგვისფერი ტანსაცმელი ეცვა, განდისთან მივიდა და უთხრა, რომ მისი იდეები

მოეწონა, და მასაც უნდა, ქვეყანას ემსახუროს. „მშვენიერია, – უპასუხა განდიმ, – მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მოგიწევს, უარი თქვა შენს მგოდვისფერ ტანსაცმელზე, იმიტომ რომ ასეთი ტანსაცმელი შენდამი მსახურებას გამოიწვევს. ადამიანები ხშირად ემსახურებიან მათ, ვისაც მდოგვისფერი ტანსაცმელი აცვია, მდოგვისფერ ტანსაცმლიანი კი იშვიათად ემსახურება ადამიანებს". ეს სიმართლე იყო. მაგრამ შემდეგ განდიმ, რომელმაც სანიასინი აიძულა მდოგვისფერი ტანსაცმელი გადაეგდო, მას ბამბისგან დამზადებული კხადის ტანსაცმელის ტარება უბრძანა.

ისინი, ვინც ატარებს კხადის ტანსაცმელს, ისეთ რამეს აკეთებენ, რაც არასოდეს გაუკეთებიათ მდოგვისფერ ტანსაცმელში გამოწყობილებს. რა შეიცვალა? ახლა ყველანი კხადის ტანსაცმელში ჩაცმულებს ემსახურებიან. მდოგვისფერ ტანსაცმელში გამოწყობილ საცოდავებს არასოდეს ემსახურებოდნენ ისე, როგორც ჩვენს დროში კხადის ტანსაცმელში ჩაცმულთ ემსახურებიან. კხადის ფენომენი ძალიან ხელოვნური აღმოჩნდა ინდოეთისთვის. ეს სანიასინი ბედნიერი იყო იმით, რომ თავისი ცრურწმენა მოიშორა მდოგვისფერ ტანსაცმელთან დაკავშირებით. მაგრამ ახლა ის კხადის ტანსაცმელს ატარებს, ანუ კხადის ცრურწმენას მისდევს. რა შეიცვალა?

სანაქებო საქმე ის კი არ გახლავთ, რომ ადამიანებს ერთი დაათმობინო და მეორე მიაღებინო. პირველ რიგში, უნდა გაიგო ის აზრობრივი პროცესი, რომელიც საგნებს ახასიათებს. განდიმ არ ამოწურა ადამიანური ინტელექტი, ადამიანი ისეთივე სულელი დარჩა, როგორც ადრე. განდიმ, უბრალოდ აიძულა ადამიანი სხვა ტანსაცმელი ჩაეცვა, და ადამიანმაც ამისგან უდიდესი სიხარული განიცადა. მაგრამ რა შეიცვალა? ასე იყო ყოველთვის.

კაცობრიობის უკანასკნელი ხუთი ათასი წლის ისტორია უდიდესი უბედურებებისგან შედგება. ჩვენ ვერასდროს შევცვლით ადამიანის ცრურწმენას ნგრევით, ასე ხომ უბრალოდ ვათავისუფლებთ მას ერთ ცრურწმენას, რათა მაშინვე ახალ ცრურწმენაში გაეხვიოს. ის ეჭიდება ყველაფერს, რასაც ვთავაზობთ: „შესანიშნავია, – ამბობს ის, – დაე, მქონდეს ასეთი ცრურწმენა. უარს ვიტყვი ძველ ცრურწმენაზე და ამას გა-

ვყვები!" ჩვენ ბედნიერები ვართ იმით, რომ ადამიანმა ჩვენი ცრურწმენა მიიღო.

ოდესღაც, ახალგაზრდა კაცი მსტუმრობდა, დღედაღამ წმინდა წიგნებზე ლაპარაკობდა, ზეპირად იცოდა უპანიშადები, გიტა, ვედები. მე ვუთხარი მას:

– მოეშვი სისულელების კეთებას. ამ წიგნების დაზეპირებით ვერაფერს მიაღწევ!

ის ძალიან გამიბრაზდა, მაგრამ მაინც მსტუმრობდა ხოლმე. ის, ვინც თქვენზე ბრაზობს, არასდროს შეწვეტს თქვენთან სტუმრობას, იმიტომ რომ სიბრაზე თავისებური ურთიერთობაა. ეს ყმაწვილი უეჭველად ბრაზობდა ჩემზე და მაინც მოდიოდა ჩემთან. დღეები დღეებს მისდევდა, ბიჭი ყოველთვის ყურადღებით მიგდებდა ყურს და რაღაც შეიცვალა კიდეც მასში. ერთხელ, ის მოვიდა და მითხრა:

– ერთად შევკარი გიტა, უპანიშადები და ვედები და ჭაში ჩავაგდე.

– როდის გითხარი, წიგნები ჭაში ჩაყარე-მეთქი? – ვკითხე მე.

– თაროზე ადგილის გამოთავისუფლება მომიწია, რათა იქ თქვენი წიგნები დამედო. ახლა სრულიად ვეთანხმები თქვენს წიგნებს, – მითხრა მან.

– მაგრამ ამით შენ ყველაფერი გაართულე, – ვუთხარი მე, – არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, გირჩევდი, რომ არ დათანხმებოდი შენს წიგნებს. მე არასდროს მითხოვია გადაგეგდო ის წიგნები და ჩაჭიდებოდი ჩემს წიგნებს. ხარისხობრივად რა შეიცვალა შენს ქმედებაში?

ეგრეთ წოდებული გურუები ძალიან ბედნიერები არიან, თუ ადამიანები მათ ცრურწმენებს მისდევენ. თავად ადამიანიც ცრუმორწმუნედ რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ცრურწმენები და საქმეები იცვლება.

ამ ყმაწვილს ვურჩიე, ჩემი წიგნებიც ჭაში ჩაეყარა. მან მიპასუხა:

– ასე, როგორ შეიძლება?

ის ამტკიცებდა, რომ ამის გაკეთებას ვერასდროს შეძლებდა.

მაშინ ყველაფერი ისე რჩება, როგორც იყო. ახლა ჩემი წიგნები იქცა შენს გიტად. რა არის ცუდი საწყალი კრიშნას გი-

ტაში? თუ შენ გჭირდებოდა რაიმეს ტარება, მაშინ გიტა ამ მიზნისთვის შესაფერისი იყო. ის ხომ ჩემს წიგნზე სქელია და წონასაც გმატებდა. მაშინ რაღა შეიცვალა? როდის დავგმე კრიშნა? როდის ვთქვი, რომ კრიშნა რაიმეში დამნაშავეა?

მუდამ ასე ხდება და ახლაც არაფერი შეცვლილა. ადამიანი ისეთივე რჩება, როგორიც იყო, მხოლოდ მისი სათამაშოები იცვლება. ბედნიერი ვარ, როცა ვიღაც ჩემს სათამაშოებს იღებს; სიხარულს იმიტომ განვიცდი, რომ ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ მიიღო ჩემი მსოფლმხედველობა. ჩემი ეგო კმაყოფილებას განიცდის, როცა ხედავს, რომ ვიღაცას ჩემი უფრო სჯერა, ვიდრე კრიშნასი. მაგრამ ეს არაფრით შეცვლის კაცობრიობას. ის არასდროს მიიღებს სიკეთეს ამგვარი ქცევით. უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ დავამსხვრიოთ ადამიანის აზროვნება შიგნიდან, ის აზროვნება, რომელიც საგნებზეა დამოკიდებული. როგორ უნდა გადალახოს ადამიანმა თავისი სიბრმავე?

ამ მეგობარს ვურჩევდი, არ დაეწყო ცრურწმენების ნგრევა. უმჯობესია ცრურწმენებით სავსე შენი გონება შეცვალო. შეცვალე ის აზროვნება, რომელიც ცრურწმენას ბადებს. საფუძველი მიეცი ახალი ადამიანის დაბადებას. მაგრამ ეს მძიმე დავალებაა და ამისთვის დიდი ძალისხმევაა საჭირო. ეს არ არის ადვილი სამუშაო. ამ დავალების შესასრულებლად მეცნიერული აზროვნების ჩართვაა საჭირო.

არ იჩქაროთ სულებისა და მოჩვენებების არსებობის უარყოფა. ისინი თქვენზე რეალურები არიან. მათ ყოფაში არ არის სიყალბე, მაგრამ თქვენ ამ მოვლენის შესწავლა მოგიწევთ. ხშირად ხდება ისე, რომ ისინი, ვისაც მოჩვენებების ეშინია, ასევე იწყებენ მათი არსებობის უარყოფას. იმიტომ კი არ იქცევიან ასე, რომ დიდი ცოდნა შეიძინეს, უბრალოდ არ უნდათ რომ მოჩვენებები არსებობდნენ – მიზეზი მათი სურვილების ასრულებაშია. თუ მოჩვენება მართლაც არსებობს, გაჭირდება ბნელ ხეივანში სეირნობა. ამიტომ ეს ადამიანები მუდამ ხმამაღლა იმეორებენ: „მოჩვენებები არ არსებობს. ეს სრული ჭეშმარიტებაა! ყოველივე ეს ცრურწმენაა, რომელსაც უსათუოდ გავანადგურებთ“. ეს სიტყვები ამტკიცებს მათ შიშს მოჩვენებებისადმი. თუ მოჩვენებები სინამდვილეში არსებობს, მაშინ ისინი, უპირველეს ყოვლისა, არ უნდა არსებობდეს – აი,

რა სურს ამ ხალხს. ასეთი გონება ვერასდროს შეძლებს მოჩვენებებს არსებობის მოსპობას.

თუ მოჩვენება არსებობს, ესე იგი ის ნამდვილია. არა აქვს მნიშვნელობა, გჯერათ თუ არა მისი. რაც არის, ის არის. უმჯობესია შევისწავლოთ ეს მოვლენა, რადგან ყოველივე არსებული ასე თუ ისე გავლენას ახდენს ჩვენზე. სხვაგვარად არც შეიძლება. ამიტომ ბევრად უკეთესი იქნება, თუ გავუგებთ მოჩვენებებს, გავიცნობიერებთ მათ არსებობას და მოვძებნით მათთან ურთიერთობის მეთოდებს, გავერკვევით მათთან კონტაქტზე გასვლის შესაძლებლობებში. ეს კი იოლი საქმე როდია.

ცარიელი სივრცე, რომელსაც თქვენსა და სხვა ადამიანს შორის ხედავთ, არ გახლავთ აუცილებლად ცარიელი. ამ სივრცეში ვიღაც შეიძლება თქვენ შორის იმყოფებოდეს. შესაძლოა, ვერ ხედავდეთ მას, მაგრამ ეს უკვე სხვა საქმეა. მაგრამ შეიძლება შეგაშინოთ იმ აზრმა, რომ ვიღაც თქვენ გვერდით იმყოფება. ამიტომ არ ვტოვებთ ხოლმე ადამიანები ცარიელ სივრცეს, ერთმანეთს ვეკვრით. ყოველთვის გვეშინია ცარიელი სივრცის, ამიტომ ვავსებთ ოთახებს ავეჯით, ვაკრავთ მასზე კალენდრებს, რომლებზეც ღმერთები, ქალღმერთები და ათასი სხვა სისულელეა გამოსახული. ჩვენ გვეშინია ცარიელი სივრცეში, ცარიელ სახლში ყოფნის. ვავსებთ სახლს ადამიანებით, ავეჯით, და ამგვარად, არანაირ ადგილს არ ვტოვებთ. ამის შემდეგაც კი ბევრი სიცარიელე რჩება, რომელიც არსებითად, სულაც არაა სიცარიელე. ამ არსებების არსებობას თავისი მეცნიერული მიზეზები აქვს.

თუ ადამიანს ამ საკითხში გარკვევა სურს, ის ამას შეძლებს. ამაზე მუშაობა სისტემატიურადაა საჭირო, ეს ხომ დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომელსაც თავისი წესები და მეთოდები აქვს. თუმცა, ვიდრე ამ სფეროში მუშაობას არ დაიწყებთ, ნუ შეაფასებთ ამ მოვლენას. სჯობს მომავლისთვის გადადოთ თქვენი განსჯა, რაღაც დროით გამორთოთ გონება და უბრალოდ განაცხადოთ, რომ ჯერ არაფერი იცით.

თუკი კითხვაზე, არსებობს თუ არა მოჩვენება, შემდეგნაირად უპასუხებთ: „არ ვიცი, რადგან ჯერ არ შემისწავლია ეს საკითხი. ამასთან, ჯერ ჩემში ვერ გავრკვეულვარ. როგორ შეიძლება ჩამოვაყალიბო არსებობს თუ არა ის? მე ჯერ სა-

კუთარი თავის პოვნაც არ შემიძლია!"საკუთარი მეცნიერული აზროვნებისთვის დამახასიათებელი თვისებების დემონსტრირებას მოახდენთ. ამგვარად, არასდროს იჩქაროთ უარყოფა ან დადასტურება. ცრუმორწმუნეა ის, ვინც სწრაფ პასუხს იძლევა. მუდმივად იფიქრეთ და დაუღალავად ეძებეთ. რეალურად გონიერი ადამიანი ყოველთვის თავშეკავებულ პასუხს იძლევა.

ერთხელ, აინშტაინს ჰკითხეს, როგორ დაახასიათებდა ის სწავლულ და ცრუმორწმუნე ადამიანს. აინშტაინმა უპასუხა: „თუ ცრუმორწმუნე ადამიანს ას კითხვას დაუსვამთ, ის მზად იქნება ას ათი პასუხის გასაცემად. თუ სწავლულს დაუსვამთ ას კითხვას, ის თავის უცოდინრობას წარმოაჩენს ოთხმოცდათვრამეტ კითხვასთან დაკავშირებით, დანარჩენ ორ კითხვაზე კი იტყვის, რომ ძალიან ცოტა რამ იცის, რომ მისი ცოდნა სრულყოფილი არ არის და ხვალ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს".

გახსოვდეთ, რომ მეცნიერული გონება – ეს ერთადერთი არახელოვნური გონებაა. ცრუმორწმუნე გონება სხვა ბუნებისაა. გარეგნულად იგი მკვეთრად განსხვავდება საკუთარი თავისგან. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ცრუმორწმუნე გონება ძალიან მარტივია, მაგრამ ეს ასე არ არის – სინამდვილეში, ის ძალიან რთული და ცბიერია. ცრუმორწმუნე გონების ყველაზე დიდი ცბიერება იმაში მდგომარეობს, რომ იმის დამტკიცებას ცდილობს, რაზეც არაფერი იცის. ასეთი გონების ადამიანმა არაფერი იცის თავის კართან დაგდებულ ქვაზეც კი, მაგრამ ის დაჟინებით ამტკიცებს, რომ მისი ღმერთი მართალია, ხოლო შენი ღმერთი – ცდება. ასეთი ადამიანი სხვა ადამიანსაც მოუსწრაფებს სიცოცხლეს. მაგრამ თუ ის, მუსულმან ქვას, ინდუისტი ქვისგან ვერ ანსხვავებს, როგორ დაამტკიცებს მარტივად ინდუისტია ღმერთი თუ მუსულმანი? მაგრამ ის მაინც წავა ადამიანების დასახოცად! დაიმახსოვრეთ, თუ ადამიანები ძალადობას მიმართავენ, ეს იმას ნიშნავს. რომ აუცილებელია თანმიმდევრობით აღმოვფხვრათ ყველა ის ცრურწმენა, რომელიც ასეთ ქმედებებს განაპირობებს.

ადამიანები ვერასდროს წყვეტენ დავას ცოდნით, მათ არ ძალუძთ ეს. სადაც არ უნდა გაღვივდეს კონფლიქტი, აუცილებლად იქნება ცრურწმენა. რადგან ცრურწმენის მქონე ადა-

მიანს, თავისი სიმართლის ჩხუბით დამტკიცება სურს, მას ხომ სხვა მეთოდი არ გააჩნია. თუ ადამიანი მომვარდება, ყელზე მახვილს მომაბჯენს და იყვირებს: „აღიარე, რომ მართალი ვარ, თუ არადა თავს მოგაჭრი", მაშინ ის, რა თქმა უნდა, შეძლებს ამას, მაგრამ მისი ეს ქმედება მისსავე სიმართლეს არ ამტკიცებს. არასდროს არავის დაუმტკიცებია თავისი სიმართლე მოწინააღმდეგის თავის მოჭრით.

მაშინაც კი, თუ ყველა მუსულმანი ერთად შეიკრიბება და ამოხოცავს ყველა ინდუსს, ისინი ვერ დაამტკიცებენ თავიანთ სიმართლეს. ასევე ინდუსებიც ვერასდროს დაამტკიცებენ თავიანთ სიმართლეს, თუ ერთად შეიკრიბებიან, რათა ყველა მუსულმანი ამოჟღლიტონ. ისინი მხოლოდ თავიანთ სიბრიყვეს დაამტკიცებენ. ნუთუ მახვილს ოდესმე ვინმეს სიმართლე დაუმტკიცებია? მაგრამ ცრუმორწმუნე ადამიანისთვის ეს ერთადერთი გამოსავალია. რომელი სხვა მეთოდით შეძლებს ის თავისი სიმართლის წარმოჩენას? მას არა აქვს კონცეფცია, მას არასდროს შეუმოწმებია თავისი რწმენის საგანი, მას არა აქვს მტკიცებულებები, მას არა აქვს მიმართულება. მისთვის ერთადერთი რამაა ცნობილი: სადაც ძალაა, იქვეა სიმართლეც.

მთელ მსოფლიოში ასე იქცევიან ადამიანები. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ რელიგიური ლიდერები ჩართულნი არიან ძალადობრივ ქმედებებში, პოლიტიკოსებიც არაფრით განსხვავდებიან მათგან. ცხადია, რუსეთია მართალი თუ აშშ, ეს მხოლოდ წყალბადის ბომბებით გაირკვევა, სხვა გზა ხომ უბრალოდ არ არსებობს. ესეც მსგავსი სისულელეა. ნუთუ ასე შეიძლება გაირკვეს, რომელი ქვეყანაა ამ ორს შორის მართალი? როგორ უნდა განვსაზღვროთ, მართალია თუ არა მარქსი? ნუთუ მახვილის ხმარება მოგვიწევს? ნუთუ ერთმანეთს წყალბადის ბომბები უნდა დავუშინოთ? როგორ არჩევანს გააკეთებენ ეს ქვეყნები? ეს კამათი აუცილებლად უნდა გადაწყდეს აზროვნების გამოყენებით, მაგრამ ადამიანი ჯერ არ არის თავისუფალი საკუთარ აზროვნებაში, ის დღემდე ცრურწმენების ტყვეა.

ამგვარად, გახსოვდეთ, რომ აქცენტს ვაკეთებ არა ნგრევაზე, არამედ ცრუმორწმუნე გონების აღმოფხვრაზე, რომელიც ამ ჯაჭვებს წარმოშობს. თუ ადრინდელი აზროვნება დარჩება, მაშინ უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა, რამდენ ჯაჭვს გაწ-

ყვეტთ, ის ხომ ახალ ჯაჭვებს გააჩენს. გახსოვდეთ, რომ ახალი ხუნდები გაცილებით მომხიბვლელი და მიმზიდველია და ადამიანი ვარაუდობს, რომ, აი, სწორედ მათ უნდა მოეჭიდოს. ერთი რამეც დაიხსომეთ: ახალი ჯაჭვი მუდამ უფრო ძლიერია ძველზე, რადგან თქვენ გამუდმებით ვითარდებით და აფართოებთ საკუთარ ცოდნას ჯაჭვების შექმნასთან დაკავშირებით. ხშირად შემინიშნავს, რომ ისინი, ვინც ცრურწმენების ნგრევითაა დაკავებული, წარმატებას მხოლოდ უფრო უხეში ცრურწმენის შექმნაში აღწევს, ეს ცრურწმენები კი, თავის მხრივ, ძველ ცრურწმენების შემცვლელებად გვევლინება. მათი ფუნქციაც ხომ მხოლოდ ესაა.

უნდა უარყოთ ცრუმორწმუნე გონება. სხვაგვარად, ის მომავალშიც წარმოშობს ცრურწმენას. დაფიქრდით და სხვა ადამიანებსაც მიეცით დაფიქრების უფლება. სიტყვა „ფიქრი“ ნიშნავს, რომ უნდა იაზროვნოთ, ეძებოთ, იყოთ ცნობისმოყვარენი. მხოლოდ სწორი გამოცდილების მიღების შემდეგ ისაუბრეთ, მაგრამ მაინც მზად იყავით იმის აღიარებისთვის, რომ თქვენი გამოცდილება შეიძლება არ იყოს მართალი. შესაძლოა, ხვალ ადამიანებმა სხვაგვარი გამოცდილება შეიძინონ. არ არის გამორიცხული, რომ სხვადასხვა ექსპერიმენტის ჩატარება მოგიწიოთ და, შესაძლებელია, თქვენი განცდილი, უბრალოდ, თქვენივე ჰალუცინაციების ნაყოფი აღმოჩნდეს.

ამგვარად, ვიდრე თქვენი გამოცდილება მრავალი ექსპერიმენტით არ დადასტურდება, სჯობს მასზე არაფერი თქვათ. ამიტომ სწავლული ატარებს ექსპერიმენტს, რომელსაც მერე ათასჯერ იმეორებს, და სხვებსაც აიძულებს ამგვარი ექსპერიმენტის ჩატარებას. მხოლოდ ამის შემდეგ, მიდის იგი გარკვეულ დასკვნამდე. ამ პირობებშიც კი არ არის სწავლულის ეს დასკვნა საბოლოო. ის, ვინც სიჩქარეში ცდილობს დასკვნის გამოტანას, ვერასოდეს იაზროვნებს. ადამიანი, რომელსაც სწრაფად გამოაქვს რაღაც დასკვნები, საკუთარ თავს ცრურწმენებით კვებავს. არადა, ჩვენ ყველანი ვჩქარობთ.

ერთი ჩვენი მეგობარი გვეკითხება იმის შესახებ, რასაც მთელი კაცობრიობა დღემდე დაეძებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ უპოვია. კითხვა შემდეგში მდგომარეობს:

არსებობს კი ღმერთი? რა არის ჯივატმანი, ინდივიდუალური სული? სად არის მოკშა? ვინ შექმნა ზეცა? არსებობს ჯოჯოხეთი? რატომ გაჩნდა დედამიწაზე ადამიანი? რა მიზანი აქვს ცხოვრებას?

მას სურს მალევე შეიტყოს ყველაფერი. ასეთი სულსწრაფი ადამიანი უეჭველად ცრუმორწმუნე გახდება. ძიებისთვის მოთმინებაა საჭირო, საგანგებო მოთმინება. და არაა მთავარი, თუ ერთი ცხოვრების განმავლობაში ვერ ვიპოვით იმას, რასაც ვეძებთ, ბევრად მნიშვნელოვანია ის, რომ მაინც განაგრძობთ ძიებას. რეალურად მოაზროვნე ადამიანისთვის მთავარია არა მიზნის მიღწევა, არამედ თავად ძიება. ცრუმორმუნე ადამიანისთვის კი მთავარი მიზნის მიღწევაა, ძიებას ის არანაირ ყურადღებას არ აქცევს.

ცრუმორწმუნე ადამიანს ძალიან უნდა გაიგოს, როგორ მიაღწიოს მიზანს. ის სვამს კითხვას: „სად არის ღმერთი?“ მას ისიც კი არ სურს, პირველ რიგში, ღვთის არსებობაში დარწმუნდეს, არ აინტერესებს ღმერთამდე მისასვლელი გზა. ეს მისი საქმე არ არის. ცრუმორწმუნე ამბობს: „მოძებნეთ ის და მერე მანახეთ“, ამიტომაც მიდის გურუს საპოვნელად.

ის, ვინც გურუს ეძებს, უსათუოდ იმით დაასრულებს, რომ ცრუმორწმუნე გახდება. ის უბრალოდ ვერ აარიდებს ამას თავს. სინამდვილეში, გურუს ძიება შემდეგს ნიშნავს: „შენ უკვე იპოვე ღმერთი. ახლა კი, გთხოვ, ჩვენ გვაჩვენე ის. შენ უკვე იპოვე ღმერთი, რაღა აზრი აქვს ჩვენს ძიებას? მუხლს ვიდრეკთ შენ წინაშე. თუ შეიძლება, მოგვეცი ის, რასაც მიაღწიე“. ზემოთქმულის დედააზრი ის გახლავთ, რომ გასხივოსნებული ადამიანი მხარზე თავს ჩამოგაყრდნობთ და თქვენც შეიმეცნებთ ღმერთს. ამიტომაც ადამიანები უგზოუკვლოდ ხეტიალობენ ამქვეყნად, იღებენ მანტრებს და გასხივოსნებებს, ახორციელებენ ფინანსურ შესაწირებს, გურუებს ფეხებზე მასაჟს უკეთებენ, ემსახურებიან მათ, და ყოველივე ეს იმის იმედად, რომ თავადაც დაისაკუთრებენ იმას, რასაც სხვა ადამიანმა მიაღწია. ეს არასდროს მოხდება. ასეთი ქმედება ნათლად წარმოაჩენს ცრუმორწმუნე გონების ფსიქოლოგიას.

სხვა ადამიანის მიღწევა ვერასდროს გახდება თქვენი. ეს საწყალი რაღაცას ეძებდა და იპოვა, თქვენ კი გინდათ იგივე ტყუილუბრალოდ მიიღოთ? დაიმახსოვრეთ, რომ თუ ეს ადამიანი ეძებდა, მაშინ ის, შესაძლოა, ძიების დროს მიხვდა, რომ ამის მიღწევა შეიძლებოდა ძიებით, და არა კითხვების დასმით. ამიტომ ეს ადამიანი მოწაფეებსაც კი არ აიყვანს. მოწაფეებს ეძებენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებმაც თავად ვერაფერს მიაღწიეს. თავის მხრივ, ისინიც ებღაუჭებიან რომელიღაც გურუს, რომელიც მათზე მაღლა დგას. გურუების გრძელი რიგი არსებობს, ამასთან, ყოველი მათგანი სხვა გურუსგან იმედოვნებს რაიმეს მიღებას.

ბევრი გურუ უკვე მოკვდა, მაგრამ ადამიანები მაინც ებღაუჭებიან მათ იმის იმედით, რომ ისინი რაღაცას მისცემენ. გარდაცვლილი გურუების ჯაჭვი დაგრძელდა. ეს ჯაჭვი ათას და მილიონ წელსაც გადაწვდება. ამ ჯაჭვის თითოეული კომპონენტი, თითოეული ადამიანი ერთმანეთსაა ჩაბღაუჭებული იმის იმედად, რომ ვიღაც რაღაცას მისცემს. ეს ცრუმორწმუნე გონების მანიშნებელია.

მაძებარი გონება ახასიათებს, მოაზროვნე გონება კი – განსაზღვრავს, ასეთია მოცემულობა: „თუ ღმერთი არის, მაშინ მე ვიპოვი მას. თუ მე მას ვიპოვი, ეს ჩემი დამსახურება იქნება, ჩემი უფლება, რაც დაბადებიდან მომენიჭა. თუ ოდესმე მოვძებნი ღმერთს, ეს იქნება იმის დამსახურება, რომ მთელი ცხოვრება ერთგული ვიყავი, ჩემი მსხვერპლშეწირვით, ჩემი მედიტაციით. ეს იქნება ჩემი ძალისხმევის ნაყოფი“.

დაიმახსოვრეთ, ღმერთი არავისთან მიდის ისე, უბრალოდ. ღმერთს პოულობს მოაზროვნე ადამიანი, რომელიც ამბობს: „არასწორია იმის მიღება, რაც ჩემი ძალისხმევით არ გამოვიდა. მე, ჩემი შრომით, მივაღწევ ღმერთამდე“. კარგად გააცნობიერეთ, რომ არის საგნები, რომელთა მიღებაც მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით შეიძლება. ღმერთს არ ყიდიან ბაზარში, ის საქონელი არ არის, რომელსაც ყველგან შეიძენ. ჭეშმარიტება რიგითი ნივთივით როდი იყიდება უნივერსალურ მაღაზიებში, რომელშიც დადიხართ ხოლმე რაღაც-რაღაცეების შესაძენად მაგრამ ასეთი მაღაზიები ნამდვილად არსებობს.

არსებობენ მაღაზიები და ბაზრები, რომლის დახლებზეც წერია: „აქ იყიდება ნამდვილი ჭეშმარიტება“. ჭეშმარიტებაც კი ასეთია – ნამდვილი და ხელოვნური. წარწერა ყოველ მაღაზიაში იტყობინება: „აქ ცხოვრობს ნამდვილი ოსტატი. ყველა დანარჩენი ოსტატი ყალბია. ისინი სხვაგან ცხოვრობენ. ეს ერთადერთი მაღაზიაა ნამდვილი. იყიდეთ ჩვენთან! მოგვეცით შესაძლებლობა მოგემსახუროთ!“ როცა რომელიმე ასეთ მაღაზიაში შეხვალთ, მისი მფლობელი იოლად როდი გაგიშვებთ. ყოველივე ეს ცრუმორწმუნის გონებაში გაჩენილი ხრიკებია.

მინდა გითხრათ, რომ უნდა გწამდეთ ძიების და არა მოწყალების. არა თხოვნით, არამედ შეცნობით მიაღწევთ ღმერთამდე. არასდროს დაიჯეროთ იმის, რასაც სხვა ადამიანები ამბობენ. შესაძლოა, ვილაცამ კიდეც მიაღწია უფალს (ასეთი რამ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია), ამიტომ უარი თქვით ურწმუნეობაზე, რადგან ესეც ცრურწმენაა. ნურც დაიჯერებთ და ნურც ნუ დაიჯერებთ. თუ თქვენთან ვინმე მოდის და გეუბნებათ, რომ მან ღმერთს მიაღწია, ასე უპასუხეთ: „გილოცავ, ღმერთს გამოუვლენია შენდამი თანაგრძნობა, მან ნება დაგრთო, გეპოვნა ის. მაგრამ კეთილი ინებე და მე ნუ დამანახვებ მას. მომეცი უფლება, დამოუკიდებლად ვიპოვო უფალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხეიბრად დავრჩები“.

თუკი იმ გზაზე შეგაყენებენ, რომელზეც უკვე ვილაცამ გაიარა, უსათუოდ კოჭლობით მიხვალთ დანიშნულების ადგილამდე. ფეხები სიარულისას ძლიერდება. მთავარი ის კი არ არის, რომ რომელიმე ადგილს მიაღწიოთ. მთავარი ის არის, რომ ამ ადგილამდე მიღწევის შემდეგ ადამიანი გარდაიქმნას.

ღმერთი, ცოდნა, მოკშა – ყოველივე ეს მზა საქონელი არ გახლავთ. ეს არის საკუთარი ცხოვრების შეწირვის ნაყოფი, მთელი ცხოვრების ნაყოფი, მუშაობის ნაყოფი, სადხანას ნაყოფი. ეს თითქოს უმაღლესი ყვავილია, რომელიც თავისთავად იშლება. მაგრამ თუ ბაზარში წახვალთ, იქ პლასტმასის ყვავილებს ნახავთ. ამ ყვავილებს მარადიული ცხოვრება აქვთ. თქვენ მხოლოდ მტვრის გადაწმენდა მოგიწევთ, რითაც მათ სიცოცხლესა და ტყუილს გაახანგრძლივებთ. მაგრამ ვის ატყუებენ ისინი? პლასმასის ყვავილებს შეუძლიათ სხვა

ადამიანების მოტყუება, მათ შეუძლიათ გამვლელები გაასულელონ, რომლებიც, სავარაუდოდ, გაიფიქრებენ, რომ თქვენი ფანჯრის რაფაზე შემოდგმული ყვავილები ნამდვილია. მაგრამ თქვენ ხომ არ მოტყუვდებით, რადგან თავად იყიდეთ ისინი.

იმისათვის, რომ ნამდვილი ყვავილები გაიზარდოს, თესლი უნდა ჩააგდო, უნდა იშრომო, უნდა მოუარო მცენარეს და მაშინ ყვავილები თავისით გაიშლება. ზერელედ, გარე ფაქტორების წყალობით კი არ შეგიქმნიათ ეს სილამაზე. უფლის განცდა საკუთარ თავში ყვავილს ჰგავს, მოწაფის სადხანა კი – თვით მცენარეს. იზრუნეთ მცენარეზე და ყვავილი თავისით გაიშლება. მაგრამ ჩვენ გვეჩქარება. ჩვენ ვამბობთ: „დაივიწყე მცენარე, უბრალოდ ყვავილი მოგვეცი!"

ხანდახან ბავშვები სასკოლო გამოცდებზე არ ხსნიან არითმეტიკულ დავალებებს და პასუხებს სახელმძღვანელოს ბოლო გვერდზე ეძებენ, რათა შემდეგ რვეულში გადმოიტანონ. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი სრულიად სწორ პასუხს იძლევა, დავალება მაინც არ არის სწორად შესრულებული. როგორ შეიძლება სწორი იყოს იმის პასუხი, ვინც მეთოდს არ მისდევს? მისი პასუხი სრულიად მართალია: მაგალითად, ბავშვმა პასუხად დაწერა „ხუთი", იმ ბავშვებმაც, რომლებმაც დავალება შესაბამისი მეთოდით ამოხსენეს, „ხუთი" დაწერეს. მაგრამ ხომ ხედავთ სხვაობას იმათ პასუხებში, ვინც შესაბამისი მეთოდებით გააკეთა ყველაფერი და ვინც სასწავლო წიგნის ბოლო გვერდით ისარგებლა? ან რა მნიშვნელობა აქვს, გიტას ბოლო გვერდიდან მოიპარეს ადამიანებმა პასუხი თუ ყურანის?

მიუხედავად იმისა, რომ ორივე პასუხი სწორია, ისინი მაინც სხვადასხვაა. მათ შორის იდეური სხვაობაა. საქმე ის კი არ არის, პასუხი მოვძებნოთ, საქმეა ის კი არ არის, პასუხად „ხუთი" მივიღოთ, არამედ ის, რომ ამ პასუხის მიღების მეთოდი შევითვისოთ. ამდენად, მან, ვინც წიგნის ბოლო გვერდში ჩაიხედა, ვერ იპოვა პასუხი. ის ვერ ისწავლის არითმეტიკას, მან მხოლოდ გამზადებული პასუხი მიიღო.

ამგვარად, თუ საიდანმე რამე შეიტყვეთ, თუ ვინმესგან რამე მიიღეთ, თუ ვინმესგან რამე გაიგეთ და ჩაეჭიდეთ ამ ინფორმაციას, ე.ი. რომელიღაც წიგნის ბოლო გვერდიდან რომელიღაც ღმერთი მოიპარეთ. ასეთი ღმერთი უსიცოცხლო.

მკვდარი, უსარგებლო, არაფრის მაქნისი და მკვდრადშობილია. ცოცხალი რელიგია მაშინ ჩნდება, როცა თქვენ ცოცხლობთ მისით, და არა მაშინ, როცა რომელიღაც წიგნის ბოლო გვერდიდან რაიმეს იპარავთ.

მაგრამ ჩვენ ყველანი ქურდები ვართ. ჩვენ ვუბრაზდებით პატარა ბავშვებს, ვუკრძალავთ ქურდობას. მასწავლებელიც უხსნის მოსწავლეებს, რომ არ შეიძლება პასუხების მოძებნა სასწავლო წიგნის ბოლო გვერდზე, რომ არ შეიძლება მოიპარონ ეს პასუხები საიდანმე, მაგრამ ამ მასწავლებელს საკუთარი თავისთვის რომ ეკითხა, მოიპარა თუ არა მან თავისი პასუხები, აღმოჩნდებოდა, რომ ყველა მისი პასუხიც ანალოგიურადაა მოპარული.

გურუ ქურდია, მოსწავლეც ქურდია. მასწავლებელი ქურდია. ცხოვრების ყველა პასუხი მოპარულია. მოპარული პასუხების წყალობით, ადამიანი ვერასდროს შეძლებს სიმშვიდისა და სიხარულის მოპოვებას. სიხარულს ის იმავე პროცესის განცდით აღწევს, რომლის გავლითაც დამოუკიდებლად იშლება პასუხთა ყვავილები. ეს პასუხები არც მოპარულია და არც ნასესხები.

მეექვსე თავი

სიყვარული საშიშია

საერთოდ, რატომ უნდა ვიფიქროთ სიკვდილზე? ჩვენ გვაქვს ცხოვრება, მოდით, ვიცხოვროთ. რატომ უნდა დატვირთოთ ცხოვრება სიკვდილზე ფიქრით?

ამ ადამიანმა კარგი კითხვა დასვა. მაგრამ მისი ეს კითხვა: *„რატომ უნდა დატვირთოთ ცხოვრება სიკვდილზე ფიქრით?“* ან *„მოდით, უბრალოდ ვიცხოვრით და არც კი ვიფიქროთ სიკვდილზე“* თავისთავად აჩვენებენ, რომ მასაც, კი არ შეუძლია სიკვდილზე ფიქრს გაექცეს. სიკვდილი ისეთი ნათელი რეალობაა, რომ მისი იგნორირება შეუძლებელია, თუმცა, მთელი ცხოვრების განმავლობაში ვცდილობთ არ ვიფიქროთ სიკვდილზე, და არა იმიტომ, რომ სიკვდილზე არ ღირს დაფიქრება, არამედ იმიტომ, რომ მასზე, მხოლოდ ფიქრიც კი შემზარავია. როგორც კი გავიფიქრებთ, რომ მოვკვდებით, სხეულზე ჟრჟოლა გადაგვივლის. რა თქმა უნდა, სიკვდილის იდეა დაგზაფრავთ, როცა მომაკვდავი იქნებით. მანამდეც, საკმარისია მასზე ფიქრი გეწვიოთ, რომ ძირფესვიანად გაგანადგურებთ.

ადამიანი მუდამ ცდილობდა სიკვდილი დაევიწყებინა. ის ცდილობდა არ ეფიქრა მასზე. ჩვენ ისე მოვაწყვეთ ცხოვრება, რომ სიკვდილი უხილავი ყოფილიყო. ადამიანის მიერ სიკვდილის ფალსიფიკაციისკენ მიმართული მთელი ძალისხმევა და გეგმები წამატებულად გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში, ისინი არასდროს არიან წარმატებულები, რადგან სიკვდილი *არსებობს*. როგორ გაექცევით მას? სად გაიქცევით? გაქცევის შემთხვევაშიც, კი ფინიშთან, სწორედ, მას შეეჩეხებით. და სულაც არა აქვს მნიშვნელობა, სად გარბიხართ, რომელი მიმართულებით მიეშურებით, ბოლოს და ბოლოს, თქვენს გზას ზუსტად სიკვდილთან დაასრულებთ. ფიქრობთ მასზე თუ არა. გარბიხართ მისგან თუ არა, სიკვდილი მაინც დღითიდღე გიახლოვდებათ. არასდროს შეიძლება რეალობას გაექცე.

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სიკვდილი, სადღაც მომავალში გვესტუმრება და ამჟამად, მასზე ფიქრიც არ ღირს. აქ გარკვეულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. სიკვდილი მომავალში კი არა, ყოველწამიერად დგება. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ, ის მომავალში მოვა, სინამდვილეში ყოველ წამს მეორდება. ჩვენ ყოველ წამს ვკვდებით. თუ აქ, ერთ საათს ვისხდებით, ერთი საათით მოვკვდებით. შესაძლოა, სრულად გარდაცვალებისთვის სამოცდაათი წელი დაგვჭირდეს, და მაინც, ეს ერთი საათი, ამ გარდაცვალების ნაწილი იქნება. ამ ერთი საათის განმავლობაში, ჩვენც ვკვდებით. და სამოცდაათი წლის შემდეგაც, ადამიანი არაფრით მოკვდება მოულოდნელად, რადგან სიკვდილი არასოდეს დგება მყისიერად. ეს უეცარი მოვლენა არ არის, მისი ზრდა დაბადებიდან იწყება.

დაბადება, სინამდვილეში, სიკვდილის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ჩვენი სიკვდილი – მხოლოდ ჩვენი ნაწილია. ეს მოგზაურობა დაბადებიდან იწყება. იმას, რასაც ჩვენ დაბადების დღეს ვუწოდებთ, რეალურად, სიკვდილის პირველი დღეა. სრული სიკვდილისთვის წლებია საჭირო, მაგრამ მისკენ მოგზაურობა შეუქცევადია.

მაგალითად, მავანი დვარკიდან კალკუტაში მიდის. მის მიერ გაკეთებული პირველივე ნაბიჯი, ზუსტად ისე წაიყვანს მას კალკუტისკენ, როგორც უკანასკნელი ნაბიჯი. უკანასკნელი ნაბიჯი, ისეთივე ქმედითი იქნება კალკუტაში მისი ჩასვლისთვის, როგორც პირველი ნაბიჯი. და თუ პირველ ნაბიჯს არ შეუძლია მისი კალკუტში ჩაყვანა, მაშინ ამის გაკეთება არც უკანასკნელ ნაბიჯს შეეძლება. ეს ნიშნავს, რომ კალკუტისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯით, ის, ამ ქალაქს მიუახლოვდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმის შედეგად, კალკუტა მასთან უფრო ახლოა. შესაძლოა იფიქროთ, რომ მას ნახევარი წელი დასჭირდა კალკუტამდე ჩასაღწევად, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ის, ამ ქალაქში ნახევარი წლის შემდეგ, მხოლოდ იმიტომ მოხვდა. რომ მისკენ სვლა ჩასვლამდე ნახევარი წლით ადრე დაიწყო.

მეორეც, მინდა გითხრათ, რომ სიკვდილს სადღაც მომავალში ნუ წარმოიდგენთ, რადგან იგი ყოველწამიერად არსებობს. მაინც რა არის მომავალი? ეს მთელი ჩვენი აწმყოს ერთობლიობაა. ჩვენ გამუდმებით ვაგროვებთ აწმყოს. ეს

წყლის გაცხელებას ჰგავს. ერთ გრადუსს რომ მიაღწევს, წყალი ცხელდება, მაგრამ ის ჯერ იქცევა ორთქლად. ასევეა ორ გრადუსზეც. წყალი ორთქლად ას გრადუს ტემპერატურაზე იქცევა. თუმცა, წყალმა თავისი ეს ქმედება ერთი გრადუსიდან დაიწყო. მერე მან მიაღწია ორ გრადუსს, სამ გრადუსს და ა.შ. მაგრამ მაშინც კი, როცა იგი ოთხმოცდაათ გრადუსს მიაღწევს, წყალი არ გადაიქცევა ორთქლად. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ას გრადუსს მიაღწევს.

ოდესმე დაფიქრებულხართ, რომ ასი გრადუსი იგივე ერთი გრადუსია არაფრით არაა მეტი ერთ გრადუსზე? ოთხმოცდაცხრამეტი გრაუსიდან ასამდე განხორციელებული ქმედება ერთი გრადუსიდან ორამდე განხორციელებულს უდრის. მათ შორის არანაირი განსხვავება არ არის. ამიტომ მცოდნე ადამიანი მანამ გაგაფრთხილებთ, ვიდრე წყლის ტემპერატურა ერთ გრადუსს შეადგენს და გეტყვით, რომ წყალი ორთქლად გადაიქცევა, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ვერ შეძლებთ ამ პროცესზე დაკვირვებას. რასაკვირველია, მას შეუძლია თქვას, რომ წყალი ცხელდება, მაგრამ როდის გადაიქცევა ის ორთქლად? ჩვენ შეგვიძლია ოთხმოცდაცხრამეტ გრადუსამდე მოვიტყუოთ თავი იმაზე საუბრით, რომ წყალი კვლავ არ გადაქცეულა ორთქლად, მაგრამ ას გრადუსზე აუცილებლად იგი უეჭველად აორთქლდება. ყოველი გრადუსი ადუღების წერტილს გვაახლოებს.

ამიტომ უაზრობაა სიკვდილისგან თავდახსნის მცდელობა ან მისი უარყოფა, იმის წარმოდგენით, რომ სიკვდილი სადღაც მომავალშია. სიკვდილი ყოველ წამს დგება. ჩვენ ყოველდღე ვკვდებით. სინამდვილეში, საქმის არსიდან გამომდინარე, არანაირი განსხვავება მათ შორის, რასაც ჩვენ სიცოცხლეს და სიკვდილს ვეძახით. არ მოგიწოდებთ იფიქროთ მომავალზე, გირჩევთ იმაზე დაფიქრდეთ, თუ რა ხდება ახლა. ამაზე ფიქრსაც კი არ გირჩევთ.

აქ მეგობარმა იკითხა: „რატომ უნდა ვიფიქროთ სიკვდილზე?“ სულაც არ გირჩევთ ფიქრს. ამაზე დაფიქრება არსად მიგიყვანთ. გახსოვდეთ, რომ არც ერთი ფაქტის შეცნობა არ შეიძლება ფიქრით. სინამდვილეში, ფიქრი საგნების ფალსიფიცირების ტაქტიკური საშუალებაა. თუკი ყვავილზე იფიქრებთ

და მხოლოდ მისი თვალიერებით დაკმაყოფილდებით, ვერასოდეს შეიმეცნებთ მას. რაც უფრო ბევრს იფიქრებთ ყვავილზე, მით უფრო დისტანცირდება ის. თქვენც დაშორდებით ყვავილს მასზე გაუთავებელი ფიქრით, მიუხედავად იმისა, როცა ყვავილი მდებარეობას არ შეიცვლის და კვლავინდებურად თქვენს წინაშე იქნება. რა საერთო აქვს ყვავილს თქვენს ფიქრთან? ყვავილი – ეს რეალობაა. თუ გინდათ, რომ შეიმეცნოთ ყვავილი, არ იფიქროთ მასზე, არამედ უბრალოდ უყურეთ მას.

არსებობს განსხვავება ფიქრსა და დანახვას შორის, და ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა. დასავლეთი დიდ აქცენტს აკეთებს ფიქრზე. ამიტომაც უწოდეს ფილოსოფიას ფიქრის მეცნიერება. ფილოსოფია ნიშნავს კონცეპტუალურ ფიქრს. ჩვენ კი იმავე მეცნიერებას ბარშანა დავარქვით. სიტყვა „ბარშანი" ნიშნავს ხილვას, და ის არ ნიშნავს ფიქრს. ჩვენ ამ მოვლენას ბარშანა დავარქვით, დასავლეთში კი ხალხმა მას ფილოსოფია უწოდა. ამ ორ გაგებას შორის დიდი განსხვავებაა. ის, ვინც ბარშანას და ფილოსოფიას სინონიმებად თვლის, არაფერი იცის. ეს არაა სინონიმები. ამიტომაც არ არსებობს არანაირი ინდური ფილოსოფია და არანაირი დასავლური ბარშანა.

დასავლეთში არის ფიქრის მეცნიერება, რომელიც შედგება კვლევებისგან, ლოგიკისგან და ანალიზისგან. აღმოსავლეთში კი სხვა რამით არიან დაინტერესებულნი, აღმოსავლეთში გაარკვიეს, რომ არის საგნები, რომელზეც ფიქრით რამის გაგება შეუძლებელია. ეს საგნები უნდა დაინახო, საკუთარი ცხოვრებით უნდა შეიგრძნო. ცხოვრებასა და ფიქრს შორის კი დიდი განსხვავებაა.

ადამიანს, რომელიც სიყვარულზე ფიქრობს, შეუძლია მასზე თეზისი დაწეროს. ის, როგორც შეყვარებული, სიყვარულით ცხოვრობს, ხედავს მას, და, შესაძლოა, სიყვარულზე თეზისიც დაწეროს. და თუკი შეყვარებულს ვინმე სიყვარულზე ჰკითხავს, გამორიცხული არაა, მან თვალები დახუჭოს, ღაწვებზე ცრემლი დაედინოს, და ცნობისმოყვარეს ასე უპასუხოს: „გთხოვ, არაფერი მკითხო მასზე. აბა, რა უნდა გითხრა სიყვარულზე?" ის კი, ვისაც სიყვარულზე უფიქრია, საათობით ისაუბრებს მასზე, მაგრამ ვერაფერს იტყვის გასაგებად, რადგან არაფერი იცის სიყვარულის შესახებ.

ფიქრი და ხედვა – ეს ორი სხვადასხვა პროცესია. ამიტომ არ გირჩევთ ფიქრს სიკვდილზე. ჩვენ ვერასდროს შევიმეცნებთ სიკვდილს მასზე ფიქრით. თქვენ ის უნდა დაინახოთ. მე გელაპარაკებით იმაზე, რომ სიკვდილი აქ არის, სწორედ ახლა ის თქვენშია და თქვენ უნდა დაინახოთ ის. რასაც „მე"-ს ვეძახი, განუწყვეტლივ კვდება. თქვენ უნდა ნახოთ სიკვდილი, როგორც მოვლენა, უნდა განიცადოთ სიკვდილი, როგორც მოვლენა, უნდა მიიღოთ სიკვდილი, როგორც მოვლენა და უნდა უთხრათ საკუთარ თავს: „ვკვდები, ვკვდები!"

ჩვენ მთელი ძალით ვცდილობთ სიკვდილის ფალსიფიცირებას, ამისთვის ათასი მეთოდი მოვიფიქრეთ. რასაკვირველია, შეგვიძლია ჭაღარა შევიღებოთ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიკვდილს სიყალბედ ვაქცევთ და იგი შორიახლოს ჩაგვივლის. ჭაღარა საღებავის ქვეშაც ჭაღარაა. შევერცხლილი თმა გვარწმუნებს, რომ სიკვდილი გვიახლოვდება, რომ ის აუცილებლად მოვა. როგორ შეგვიძლია მისი ფალსიფიცირება? და სულაც არ არის მთავარი, როგორი მონდომებით ვცდილობთ მის ფალსიფიცირებას, ეს ხომ არაფერს ცვლის, სიკვდილი მაინც განუწყვეტლივ გვიახლოვდება. ერთადერთი განსხვავება იმაშია, რომ, შესაძლოა, ვერც შევიმეცნოთ სიკვდილი.

გეკითხებით, როგორ შეუძლია მას, ვინც ვერ შეიმეცნა სიკვდილი, განმარტოს, რა არის სიცოცხლე? მიმაჩნია, რომ სიკვდილი ზედაპირზეა, სიცოცხლე კი ცენტრში. თუ არ ვიცით ზედაპირი, მაშინ როგორ შევიმეცნებთ ცენტრს? თუკი ზედაპირს გავექცევით, ვერასდროს მივუახლოვდებით ცენტრს. თუკი სახლის გარეგანი იერის, მისი ფასადის გეშინიათ და კედლებს გაურბიხართ, მაშინ როგორღა შეხვალთ შიგნით? სიკვდილი ზედაპირია, სიცოცხლე კი – ცენტრში მდგარი ტაძარი. ზედაპირისგან გაქცევით სიცოცხლესაც გავურბივართ. ის, ვინც სიკვდილს შეიმეცნებს, თანდათან სიცოცხლის არსსაც ჩასწვდება და გაიგებს.

სიკვდილი – ეს სიცოცხლის შემეცნების კარია. სიკვდილისგან გაქცევით თქვენ სიცოცხლესაც გაურბიხართ, ამიტომ როცა ვამბობ: „შეიმეცნეთ სიკვდილი", იცოდეთ, რომ არ მოგიწოდებთ ფიქრისკენ.

კიდევ ერთი საინტერესო რამ უნდა გამცნოთ. ფიქრი ნიშნავს გონებაში იმის გამეორებას, რაც უკვე ვიცით. ფიქრი არასდროს არ არის ორიგინალური, თუმცა, ჩვეულებრივ ვამბობთ, რომ ამა თუ იმ ადამიანის ფიქრები წარმოუდგენლად ორიგინალურია. არა, ფიქრი არასოდეს არის ორიგინალური. ორიგინალური შეიძლება იყოს ბარშანი, ხილვა.

ფიქრები მუდამ მტკივნეულია. როგორი ფიქრები აღგეძვრებათ, ვარდის წარმოდგენა რომ გთხოვოთ? უბრალოდ, დაიწყებთ იმის გამეორებას, რაც უკვე იცით ვარდზე. სხვა რა უნდა ქნათ? რა შეიძლება გააკეთოთ ფიქრისას? ნუთუ ვარდზე ფიქრისას შეიძლება დაგებადოთ ერთი ორიგინალური მოსაზრება, რომელიც ჯერ არავის სმენია? როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს?

ფიქრი – სხვა არაფერია, თუ არა რომელიღაც აზრის განმეორება. შესაძლოა, თქვათ: „ვარდი მშვენიერია", მაგრამ სხვა დროსაც ხომ ბევრჯერ გსმენიათ ეს სიტყვები? სხვა დროსაც ხომ ხშირად გადაყრიხართ კითხვისას? შესაძლოა, ასეც ჩამოაყალიბოთ სათქმელი: „ეს ვარდი ისეთივე მშვენიერია, როგორც ჩემი შეყვარებულის სახე". რამდენჯერ გაგიგიათ ასეთი სიტყვები სხვა დროს? რამდენჯერ წაგიკითხავთ ისინი? იქნებ, ასე ითქვას: „ეს ვარდი საოცრად ქორფაა". რამდენჯერ გაგიგიათ ან წაგიკითხავთ მსგავსი სიტყვები სხვა დროს? რა არის კარგი ფიქრში? როგორ შეგიძლით ამ ვარდის არსებას ჩასწვდეთ, თუ მასზე იფიქრებთ? ფიქრს შეუძლია მხოლოდ თქვენს მეხსიერებაში მყოფ ვარდს გადასწვდეს. ამიტომ ფიქრი არასოდეს არის ორიგინალური. სამყაროში არ არსებობენ ორიგინალური მოაზროვნეები, რადგან ორიგინალურები მხოლოდ თვალხილულებია.

ვარდის შემეცნების პირველი პირობა მისი შემყურე ადამიანის მიერ ფიქრის გამორიცხვაა. მან უნდა მოიცილოს თავიდან აზრები, უნდა დაიცალოს და ამ ყვავილთან ერთად აწმყოში იცხოვროს. დაე, ვარდი ერთ მხარედ იქცეს, თქვენ კი – მეორედ. თქვენ შორის არაფერი უნდა ჩადგეს, არც ოდესმე ყურმოკრული და არც ოდესმე წაკითხული. თქვენ შორის არ უნდა გაჩნდეს ის, რაც ოდესღაც განიცადეთ. არაფერი არ უნდა იყოს თქვენს შორის. მხოლოდ მაშინ დაიწყებს თქვენს არსებაში

შემოსვლას ვარდში არსებული ამოუცნობი ფენომენი. თუკი თქვენ შორის ბარიერს ვერ დაიგულებს, ის შემოვა თქვენში და მაშინ ვარდის შემეცნების სურვილს კი არ შეიგრძნობთ, არამედ მასთან ერთარსებობით დატკბებით.სწორედ მაშინ შეიმეცნებთ ვარდის შინაგან სამყაროს.

ცქერით ობიექტის შიგნიათ ვაღწევთ, ფიქრით კი მის გარშემო ვტრიალებთ, ამიტომ ის ვინც ფიქრობს, ვერასოდეს აღწევს ობიექტამდე, მხოლოდ დამნახავი ტკბება ობიექტში შეღწევით. დამნახავი ობიექტში აღწევს, რადგან მასა და ობიექტს შორის კედლები არ არსებობს, კედლები ინგრევა და ქრება.

ერთხელ, ქაბირმა თავის შვილს, ქიამალს სთხოვა ტყეში წასულიყო და საქონლისთვის თივა მოეტანა. ქიამალი ტყეში წავიდა, ისე როგორც დაავალეს. როცა დილაადრიანად გასული შუადღისკენაც არ დაბრუნდა, ქაბირი ანერვიულდა. არც საღამოს გამოჩენილა ქიამალის დაბრუნების რაიმე ნიშანწყალი. ქაბირი კიდევ უფრო აღელდა. მზე მთის მიღმა ეშვებოდა, როცა ქაბირმა თავისი ერთგული მოწაფეებით ქიამალის საძებნად გასწია.

ტყეში მისულმა დაინახა, რომ თვალდახუჭული ქიამალი სქელ ბუჩქნარში დგას და ისე ირხევა, როგორც ბალახი ქარში. ქაბირი შვილთან მივიდა, შეანჯღრია და ჰკითხა:

– რას აკეთებ აქ?

ქიამალმა თვალი გაახილა. ის აზრზე მოვიდა, მიხვდა, რაც მოხდა და მაშინვე ბოდიში მოიხადა.

– რას აკეთებდი აქ, ასე დიდხანს? – გაუმეორა ქაბირმა, - უკვე ხომ ასე გვიანაა.

– ბოდიშს ვიხდი, – თქვა ქიამალმა, – საქმე იმაშია, რომ აქ მოსულმა ბალახს დავუწყე ყურება, იმის ნაცვლად, რომ მომეჭრა. არ ვიცი, როდის მოხდა ეს, მაგრამ ბალახზე ფიქრისას, მეც ბალახი გავხდი. მალევე მოსაღამოვდა, მაგრამ მაინც ბალახივით ვიდექი, სულ დამავიწყდა, რომ ქიამალი ვარ, რომელიც აქ ბალახის მოსაჭრელად მოვიდა. თავად ვიქეცი ბალახად. ამ მდგომარეობაში მყოფი, ისეთ დიდ სიხარულს განვიცდიდი, რომელიც ქიამალად ყოფნისას არ განმიცდია. კარგია, რომ მოხვედი, იმიტომ რომ არ ვიცი, რა მოხდა. ქარს არ შეურხევია

ბალახი, მაგრამ ის მე მამოძრავებდა. გაქრა ის, ვინც ჭრიდა, ისიც, ვისაც აუცილებლად უნდა მოეჭრა.

ოდესმე, გინახავთ ცოლი ან შვილი, რომელთანაც ბევრი წელი იცხოვრეთ? თქვენ გინახავთ ისინი? მხოლოდ ის გახსენდებათ, რასაც ცოლი გუშინ აკეთებდა და თქვენ შორის ფიქრი ისადგურებს. გაგონდებათ, როგორ გიბრაზდებოდათ, როცა სამსახურში წასასვლელად ემზადებოდით და თქვენ შორის კვლავ ფიქრი ჩნდება. თქვენთან ბრუნდებიან სიტყვები, რომელიც მან ვახშმისას წარმოთქვა და თქვენსა და მას შორის ფიქრი აღიმართება. თქვენ ყოველთვის ფიქრობდით, მაგრამ ვერასოდეს ხედავდით. ამიტომაც ცოლსა და ქმარს შორის არანაირი კავშირი არ არის, ის ასევე არ არის მამასა და ვაჟს შორის, დედასა და ვაჟს შორის. კავშირი მაშინ მყარდება, როცა ფიქრები ქრება, როცა იწყება ბარშანი, ხედვა. სწორედ, მაშინ წარმოიშობა ნამდვილი კავშირი, რადგან მისი დანგრევა არვის ძალუძს.

გახსოვდეთ, რომ კავშირი არ გულისხმობს, რომ ორი მოვლენა ერთდება მესამის ფაქტორით. კავშირი არ მოქმედებს მანამ, ვიდრე ამ ორი მოვლენის დამაკავშირებელი რგოლი არსებობს. ის, რაც აკავშირებს, ანგრევს კიდეც კავშირს. როცა მათ არაფერი შეაერთებს, როცა მათ შორის არაფერი დარჩება, იმ დღეს, ფაქტობრივად, ერთადერთი მოვლენა იარსებებს, და ორ მოვლენას ადგილი არ ექნება.

კავშირი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვილაცას შევუერთდით. კავშირი ნიშნავს, რომ თქვენსა და იმ მეორე ადამიანს შორის უკვე არაფერი არსებობს, ისიც კი, რაც აქამდე გაკავშირებდათ. ორი ნაკადი ქრება და ერთმანეთს ერწყმის. სწორედ, ეს არის სიყვარული. ხილვა მიგიყვანთ სიყვარულთან. ხილვა – სიყვარულის პირველწყაროა. მას, ვისაც არ ჰყვარებია, არასდროს შეუტყვია რამე. და სულაც არაა მთავარი, რისი გაგება უნდოდა ადამიანს, სულერთია, ყველაფერი მაინც სიყვარულის გზით შეიმეცნა.

ამგვარად, როცა ვამბობ, რომ აუცილებელია შეიმეცნოთ სიკვდილი, ვგულისხმობ, რომ ჩვენ მოგვიწევს სიკვდილის შეყვარება. ჩვენ უნდა დავინახოთ სიკვდილი. მაგრამ როგორ შეიძლება სიკვდილის სიყვარული? როგორ უნდა მოვიპოვოთ

მისი ბარშანი? როგორ შეიძლება დაინახოს სიკვდილი იმან, ვისაც ეშინია სიკვდილის? ვინც მისგან გარბის? ყოველ ჯერზე, როცა სიკვდილის წინაშე აღმოჩნდება, ადამიანი ზურგს აქცევს მას, ემალება და არასდროს აძლევს პირისპირ მიახლების ნებას. ეს ადამიანი შეშინებულია. ამიტომაც, მას საერთოდ არ შეუძლია სიკვდილის დანახვა. მას არა აქვს მისი შეყვარების ძალა. როგორ შეიძლება შეიყვაროს სიცოცხლე იმან, ვინც აქამდე სიკვდილის შეყვარება ვერ შეძლო? სიკვდილი – ეს ზედაპირული მოვლენაა, სიცოცხლე კი – გაცილებით ღრმა მოვლენა. როგორ შეუძლია ჭის სიღრმეში ჩასვლა იმას, ვინც პირველივე ნაბიჯებმა შეაშინა?

ამიტომ ვამბობ, თქვენ სიკვდილით უნდა იცხოვროთ, სიკვდილი უნდა შეიმეცნოთ, სიკვდილი უნდა დაინახოთ. თქვენ უნდა შეგიყვარდეთ სიკვდილი. თქვენ მას თვალებში უნდა ჩახედოთ. ადამიანს გაოცება ეუფლება, როგორც კი თვალს უსწორებს სიკვდილს, როგორც კი იხილავს მას, იწყებს მის დანახვას, იწყებს მასში შეღწევას. გაკვირვებული საკუთარ თავს მიმართავს: „სიკვდილში უდიდესი საიდუმლოა დაფარული! ის, რასაც სიკვდილს ვეძახდი და რისგანაც ვილტვოდი, სინამდვილეში უმაღლესი სიცოცხლის წყაროს მოიცავს“, ამიტომ გეუბნებით: შეაბიჯეთ სიკვდილში თქვენივე ნებით, რათა სიცოცხლეს ეზიაროთ.

იესოს ერთი შესანიშნავი გამონათქვამი აქვს. მან თქვა: „ის, ვინც გადარჩება, დაიღუპება, ხოლო მას, ვინც საკუთარ თავს წაშლის, ვერაფერი გაანადგურებს. ის, ვინც დაიკარგება, იპოვიან, ხოლო ის, ვინც თავს შემოინახავს, დაიკარგება“. თუ თესლს სურს გადარჩენა, ის დალპება. სხვა რა დარჩენია? და თუ თესლი მიწაში საკუთარ თავს გაანადგურებს, გაქრება, ხედ გადაიქცევა. თესლის სიკვდილი ხის სიცოცხლედ ტრანსფორმირდება. თესლს რომ თავი დაეცვა იმის გამეორებით: „მეშინია, შეიძლება მოვკვდე, არ მინდა გავქრე. რატომ უნდა გავქრე?“ მაშინ, ის, აუცილებლად, დალპებოდა. ამ შემთხვევაში, თესლადაც ვერ დარჩებოდა, არაფერს ვამბობ, მის ხედ აღმოცენებაზე. საოცრად გვძაბავს სიკვდილის შიში.

კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ, რომელიც, ალბათ, ჯერ არ მოგსვლიათ თავში. ეგო მხოლოდ იმას აქვს, ვისაც სიკვ-

დილის ეშინია, რადგან ეგო ნიშნავს მყარ პიროვნებას, მყარ მარყუჟს. ის, ვისაც სიკვდილის ეშინია, იკუმშება. ის, კი ვინც იკუმშება, მარყუჟად გადაიქცევა. ადამიანში წარმოიშობა სირთულე.

„მე"-ს შეგრძნება ადამიანში იმის მაჩვენებელია, რომ ის სიკვდილს უფრთხის. იმისთვის, ვინც სიკვდილში შეაღწევს, ვისაც არ ეშინია სიკვდილის, ვინც მისგან არ გარბის, ვინც მისით იწყებს ცხოვრებას, „მე" ქრება, ეგო იკარგება. მაშინ კი, როცა ეგო ქრება, რჩება მხოლოდ სიცოცხლე. ჩვენ შეგვიძლია ეს მოვლენა ასე განვსაზღვროთ: კვდება მხოლოდ ეგო, მაგრამ არა სული. მაგრამ რამდენადაც ჩვენ ვაგრძელებთ ეგოში ყოფნას, დიდი სირთულეები იჩენს თავს. სინამდვილეში, მხოლოდ ეგოს შეუძლია სიკვდილი, მხოლოდ ეგოს გააჩნია სიკვდილი, რადგან იგი ყალბია. ის აუცილებლად მოკვდება. მაგრამ ჩვენ მაინც ჯიუტად ვებღაუჭებით მას.

მაგალითად, ოკეანეში წარმოიშობა ტალღა. თუკი ტალღას ტალღად დარჩენა სურს, ვერაფრით მოახერხებს ამას, ის სიკვდილისთვისაა განწირული. როგორ შეიძლება ტალღა ტალღად დარჩეს? ის მოკვდება. თუკი, რა თქმა უნდა, ყინულად არ გადაიქცევა. თუ წყალი შეიკუმშება და გამყარდება, მაშინ გადარჩენასაც შეძლებს. და მაინც, ამგვარად გადარჩენილი ტალღა წყვეტს ტალღად ყოფნას. იგი ყინულად იქცევა. ყინული ხომ უმოძრაო, ოკეანისგან მოწვეტილი ტალღაა. გახსოვდეთ, რომ წყალი, როგორც ტალღა, არ არის მოწყვეტილი ოკეანისგან, ისინი ერთნი არიან. წყალი კი, როგორც ყინული, უკვე აღარაა ოკეანის ნაწილი: ის გამოყოფილია მისგან, ის გამყარდა. წყალი შეიკუმშა და ყინულად იქცა. ის გაიყინა.

როცა ტალღას ტალღა ერქვა, ის ოკეანესთან კავშირში არსებობდა. თუმცა, თუკი ის ყინულის ლოდად იქცევა, მაშინ, რა თქმა უნდა, გადარჩება, მაგრამ ოკეანეს მოწყდება. და რამდენ ხანს იცოცხლებს ასეთ მდგომარეობაში?

ყველაფერი გაყინული, ცხადია, ოდესმე გადნება. სუსტი ტალღა გაცილებით სწრაფად დადნება, ძლიერი ტალღა კი ერთხანს კიდევ გაძლებს, მაგრამ რა შეიცვლება ამით? მზის სხივებს შედარებით დიდი დრო დასჭირდებათ იმისთვის, რომ დიდი ტალღა დაადნონ, პატარა ტალღას, კი ისინი უფრო

სწრაფად გაუმკლავდებიან. საქმე მხოლოდ დროშია, მაგრამ წყალი უსათუოდ დადნება. დადნობისას ტალღა აქეთიქით მიაწყდება, რადგან გაქრება, როგორც კი მზის სხივები დააჭერს. მაგრამ თუ ტალღა, ოკეანეში ჩაღვრისას თავის არსებობას განცალკევებულ სუბიექტად შეწყვეტდა, გაიცნობიერებდა რა, რომ თვითონ არის ოკეანე, მაშინ არც წამოიჭრებოდა მისი გაქრობის საკითხი. მაშინ ტალღა დაიწყებდა დამოუკიდებლად არსებობას, იმის მიუხედავად, ქრება ის თუ არა, რადგან ეცოდინებოდა, რომ ის ტალღა კი არა, ოკეანეა. გაქრობისას ტალღა მაინც განაგრძობს მშვიდ მდგომარეობაში არსებობას. როცა ტალღა ჩნდება, ის აქტიურ მდგომარეობაშია. მშვიდი მდგომარეობა მას არანაკლებ სიამოვნებას გვრის, ვიდრე აქტიური მდგომარეობა. სინამდვილეში ასეთ მდგომარეობას უფრო მეტი სიხარული მოაქვს.

არსებობს აქტიურობის მდგომარეობა და სიმშვიდის მდგომარეობა. ის, რასაც ჩვენ სამსარას, სამყაროს ვეძახით, აქტიური მდგომარეობაა, ხოლო რასაც მაკშას, განთავისუფლებას ვეძახით, სიმშვიდის მდგომარეობაა. ცხოვრება ჰგავს მღელვარე ტალღას, რომელიც ერკინება და ებრძოლება ქარს, მერე კი უკან, ოკეანეში ვარდება და ქრება. მაგრამ ტალღა, ჯერ კიდევ, არსებობს. ის არაფრით განსხვავდება თავისი არსით იმ ტალღისაგან, რომელიც ოკეანეში ბობოქრობდა – უბრალოდ სიმშვიდის მდგომარეობაშია. თუმცა, თუკი ტალღას ტალღად ყოფნა მოუნდებოდა, იგი ეგოთი აღივსებოდა და ოკეანიდან მოწყვეტას მოინდომებდა.

როგორ შეგიძლიათ თანაცხოვრება დანარჩენ სამყაროსთან, როცა საკუთარი თავის ვინაობაზე ფიქრობთ? თუ მთელ სამყაროსთან ყოფნას ირჩევთ, მაშინ „მე“ იკარგება. ამიტომ „მე“ ამტკიცებს იმას, რომ ის ყველაფრისგან გამოიყო. საინტერესოა: მთლიანისგან გამოყოფით, თქვენ უბედური ხდებით. მერე კი „მე“ ისევ ბრძანებს: „ყველაფერთან ურთიერთობა გქონდეს“. „მე“ ასე გაწვალებთ. თავიდან „მე“ ამბობს: „გამოეყავი ყველაფერს, იზოლირდი ყველაფრისგან, შენ განსხვავდები მთლიანისგან. როგორ შეგიძლია დაკავშირებული იყო მასთან?“ ამგვარად, „მე“ სწყდება მთლიანს, მაგრამ მერე ის საფრთხეში ვარდება, რადგან, როგორც კი „მე“ გამოეყოფა

ყოველივე მთლიანს, ის მაშინვე უბედურდება და მისი ბოლოც ახლოვდება. როგორც კი ტალღა დაიჯერებს იმას, რომ ის ოკეანისგან გამოყოფილია, მაშინვე კვდომას იწყებს, მისი სიკვდილი ახლოვდება. ახლა „მე“ იწყებს ბრძოლას იმისთვის, რომ თავი დაიცვას სიკვდილისგან.

ვიდრე ტალღა და ოკეანე ერთნი იყვნენ, სიკვდილი საერთოდ არ არსებობდა, რადგან ოკეანე არასდროს კვდება.

დაიმახსოვრეთ, ოკეანეს შეუძლია ტალღის გარეშე, ტალღას კი არ შეუძლია ოკეანის გარეშე. თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ტალღა ოკეანის გარეშე, ის იქნება ყოველ ტალღაში. თუმცაღა, ოკეანეს შეუძლია ტალღის გარეშე. როცა ტალღები ოკეანის განუყოფიელ ნაწილს წარმოადგენს, ისინი მშვიდ და მოდუნებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგრამ როცა ტალღა ოკეანესგან თავის დახსნას ცდილობს, წარმოიშობა სირთულეები, ის ხომ ოკეანეს სწყდება და კვდომას იწყებს.

ამ მიზეზით, ადამიანს სიკვდილის წინ სიყვარული სწყურია. მოკვდავთა სიყვარულისადმი სწრაფვის მიზეზი იმაშია, სიყვარული შერწყმის უტყუარი საშუალებაა. ამიტომ არავის სურს უსიყვარულოდ და უბედურად ყოფნა. ყველა ადამიანი სიყვარულს ეძებს, მხოლოდ ერთ ადამიანს სურს თქვენი სიყვარულის მიღება, სხვა კი სიყვარულის გაცემას ესწრაფვის. ის, ვინც ვერ პოულობს სიყვარულს, რთულ მდგომარეობაში ვარდება. მაგრამ ოდესმე დაფიქრებულხართ იმაზე, რა არის სიყვარულის გზა?

სიყვარული ნიშნავს მცდელობას თავიდან აღმოაჩინო, შეაგროვო სხვადასხვა ნაწილები ერთად, ურთიერთობა, რომელიც მთლიანთან გავწყვიტეთ. ამგვარად, სიყვარულთაგან ერთ-ერთი ის არის, რომელშიც ვცდილობთ თავიდან ავაგოთ ჩვენი დაკარგული ურთიერთობები ყოფიერებასთან საკუთარი ნაწილის დამატებით. სწორედ, ამას ვუწოდებთ სიყვარულს. არსებობს სხვა სახის სიყვარული, რომელშიც შევწვიტეთ მთლიანისგან გახლეჩვის ყველა ჩვენი მცდელობა. ამას ვეძახით ლოცვას. შესაბამისად, ლოცვა – ეს აბსოლუტური სიყვარულია. და ამ მოვლენას სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს. ეს არ ნიშნავს. რომ ყველა ნაწილის შეერთებას ვცდილობთ. ეს

ნიშნავს, რომ მთლიანისგან გამოყოფა შევწყვიტეთ. ტალღამ განაცხადა: „ოკეანე ვარ“ და უკვე არ ცდილობს სხვა ტალღებთან კავშირის დამყარებას.

გახსოვდეთ, თავად ტალღა და მის გარშემო მყოფი ტალღებიც კვდებიან. თუ ეს ტალღა სხვა ტალღებთან ურთიერთობას ეცდება, მას სირთულეები შეექმნება. ამიტომ ჩვენი ეგრეთ წოდებული სიყვარული მტკივნეულია, რადგან ტალღა სხვა ტალღასთან ურთიერთობას ცდილობს. კვდება ეს ტალღაც, და სხვა ტალღაც, და ისინი მაინც ურთიერთობენ ერთმანეთთან, იმის იმედად, რომ ერთმანეთთან შერწყმით, ისინი, შესაძლოა, გადარჩნენ. ამიტომ ჩვენ სიყვარულს უსაფრთხოდ ვაქცევთ. ადამიანს ეშინია სიმარტოვეში ცხოვრების. მას სურს ცოლი, ქმარი, ვაჟი, დედა, ძმა, მეგობარი, საზოგადოება, ორგანიზაცია, ნაცია. ეს ყველაფერი ეგოს გამოძახილია, ეს ცხოვრებისგან გამოღწეული ადამიანის მთლიანთან შეერთების მცდელობაა.

მაგრამ შეერთების ყველა ეს მცდელობა სიკვდილთან მოწვევას წარმოადგენს, რადგან ის, ვისთანაც კავშირის დამყარებას ცდილობთ, ზუსტად ასევეა სიკვდილით გარემოცული. სასაცილოა, რომ სხვა ადამიანს თქვენთან შეერთებით უკვდავება სურს, თქვენ კი მასთან შეერთებით გსურთ უკვდავებას მიაღწიოთ. საქმე კი იმაშია, ორივენი მოკვდებით. როგორ შეგიძლიათ უკვდავი გახდეთ? ასეთი კავშირი გააორმაგებს სიკვდილს, და ასეთი რამ, ბუნებრივია, ვერაფრით შეგძენთ უკვდავების ელექსირს.

ორ საყვარელს საოცრად სწყურია სიყვარული უკვდავებისთვის. ისინი დღედაღამ მღერიან. უკვე მთელი საუკუნეა თხზავენ ლექსებს სიყვარულზე, რომელიც უკდავებას ანიჭებს. როგორ შეუძლია ორ ადამიანს, რომლებიც ოდესმე მოკვდებიან, ერთად უნდოდეს უკვდავება? ორი ამგვარი ადამიანის კავშირი მხოლოდ ორჯერ რეალურს ხდის სიკვდილს. სხვა რა უნდა იყოს? ორივე ადამიანი დნება, იძირება, ქრება, ამიტომაც ისინი შეშინებულები და შეშფოთებულნი არიან.

ტალღამ შექმნა თავისი ორგანიზაცია. ის ამბობს: „მე უნდა გადავრჩე.“ მან შექმნა ნაცია, მან შექმნა ინდუისტური და მუსულმანური სექტები. იმიტომ რომ ტალღები ქმნიან თავიანთ

ორგანიზაციებს. არსი იმაშია, რომ ყველა ეს ორგანიზაცია გაქრება, რადგან მხოლოდ ტალღების ქვეშ მყოფი ოკეანეა ერთადერთი ორგანიზაცია. ოკეანის ორგანიზაცია კი უკვე სულ სხვა საკითხია. თუ ტალღა მას ეკუთვნის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტალღა თავად შეუერთდება ოკეანეს. ეს იმას უფრო ნიშნავს, რომ ტალღამ იცის, იმის შესახებ, რომ ის საერთოდ არ განსხვავდება ოკეანისგან. მე ვამბობ, რომ რელიგიური ადამიანი არცერთ ორგანიზაციას არ ეკუთვნის, ანუ ის არ არის ჩაჭიდებული არც ოჯახზე, არც მეგობარზე, არც მამაზე, არც ძმაზე.

იესომ რამდენიმე ძლიერი სიტყვა წარმოთქვა. სინამდვილეში, მხოლოდ მათ შეუძლიათ ამ სიტყვების წარმოთქმა, ვინც სიყვარული შეიგრძნო. ადამიანები ხომ მეტად სუსტები არიან სიყვარულში, ვერ იმეორებენ ქრისტეს იგავებს. ერთხელ, იესო ბაზარში იდგა, გარს ხალხი ეხვია. დედამისი, მარიამი, შვილის სანახავად მივიდა. ადამიანებმა გზა დაუთმეს. ვიღაცამ ბრბოდან იყვირა: „გაატარეთ ეს ქალი, ის იესოს დედაა. ნება მიეცით გაიაროს!“ იესომ ამ სიტყვების გაგონებისას ხმამაღლა თქვა: „თუკი გზას იესოს დედას უთმობთ, ნუ იზამთ ამას, რადგან იესოს არ ჰყავს დედა“. მარიამი გაქვავდა და შეჩერდა.

ბრბოს რომ მიმართავდა, ქრისტემ განაცხადა: „ვიდრე დედა, მამა, ძმა გეყოლებათ, ვერ შეძლებთ ჩემთან მოახლოებას“. ეს ძალიან მკვეთრი სიტყვებია. წარმოუდგენელია, რომ ქრისტესავით სიყვარულით აღსავსე ადამიანს ასეთი სიტყვების წარმოთქმა შეეძლო: „მე არ მყავს დედა, ვინ არის ჩემი დედა?“ გახევებული მარიამი შედგა. იესომ განაგრძო: „თქვენ ამ ქალს დედაჩემს უწოდებთ? მე არ მყავს დედა. დაიმახსოვრეთ, თუ ისევ გყავთ დედა, ვერ შეძლებთ ჩემთან მოახლოებას“.

მაშ, რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ თუ ტალღა ცდილობს შეერთებას სხვა ტალღასთან, მას არ შეუძლია ოკეანეს მიუახლოვდეს. სინამდვილეში ტალღები ერთმანეთს უერთდებიან და ქმნიან ორგანიზაციებს იმისთვის, რომ ოკეანისგან გადარჩნენ. ტალღა თავისი რეალური გაქრობის შიშს გრძნობს, მაგრამ სიმართლე ის გახლავთ, რომ ის უკვე ქრება

და მაინც, როცა რამდენიმე ტალღა ერთად გროვდება, ისინი მეტ თავდაჯერებულობას გრძნობენ. რადგან გარკვეული

ორგანიზაცია იქმნება. ამიტომ ადამიანს უნდა ხალხის მასაში იცხოვროს, მარტო დარჩენილს შიში იპყრობს. მარტოობაში ტალღა მთლიანად საკუთარი თავი ხდება. ის სხლტება, ეცემა, ქრება, იკარგება, გრძნობს საკუთარ სხვაობას ოკეანისგანაც და სხვა ტალღებისგანაც. ამიტომაც ტალღა ქმნის ორგანიზაციას, ის თავისთვის ბორკილებს ჭედავს.

მამა ამბობს: „მე გავქრები, მაგრამ არაუშავს, მე ხომ ვაჟს ვტოვებ ჩემს შემდეგ". ტალღა ამბობს: „მე გავქრები, მაგრამ პატარა ტალღას დავტოვებ და ის იცოცხლებს ჩემს შემდეგ, ჯაჭვი გაგრძელდება, და ჩემი სახელი დარჩება ქრონიკებში". ამიტომ მამა გრძნობს, რომ ის უბედურია, თუ მას ვაჟი არ ჰყავს, რადგან ეს ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია მოიწყოს უკვდავება. რა თქმა უნდა, ის გაქრება, მაგრამ მას სურს სხვა ტალღა შექმნას, რომელიც ჯაჭვს გააგრძელებს, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში გადაიქცევა ტალღად, რომლიდანაც ის წარმოიშვა. მაშინ კი არ არის საშიში, რომ წინა ტალღა გაქრება, რამდენადაც თავის შემდგომ ის სხვა ტალღას ტოვებს.

შესაძლოა, შეგიმჩნევიათ, რომ ადამიანებს, რომლებიც ჩართულნი არიან შემოქმედებით მოღვაწეობაში, ანუ მხატვრებს, მუსიკოსებს, პოეტებს, მწერლებს, ძალიანაც არ აწუხებთ ის, რომ ვაჟი არ ჰყავთ, რადგან მას შემცვლელი მოუძებნეს. მათ შემდეგ დარჩება მათი ნახატები, მათი ლექსები, მათი ძეგლები, ამიტომაც არ ფიქრობენ ვაჟების ყოლაზე. სხვა მიზეზი არ არსებობს, გარდა იმისა, რომ მათ სხვა „შვილი" გამონახეს. მათ შექმნეს ტალღა, რომელიც დიდხანს დარჩება მას შემდეგ, რაც ისინი გაქრებიან. სინამდვილეში, მათ იპოვეს ვაჟები, რომლებიც უფრო დიდხანს იცოცხლებენ, ვიდრე თქვენი ვაჟები, იმიტომ რომ მაშინაც, როცა თქვენი ვაჟი გაქრება, მწერლის წიგნი არ შეწყვეტს თავის არსებობას.

მწერალი ძალიანაც არ ზრუნავს ვაჟის შეძენაზე, რათა ფესვი და მომავალი ჰქონდეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეს მას არ სჭირდება. უბრალოდ, მან იპოვა ხანგრძლივი სიცოცხლის ტალღა, და მას აღარა აქვს საქმე პატარა ტალღებთან. ამიტომაც ის არ არის ოჯახის შექმნით დაინტერესებული, მან ხომ სხვანაირი ოჯახი შექმნა. ისიც იმავე ხარისხის უკვდავებისკენ ისწრაფვის. ამიტომ ის იტყვის: „ფული დაიხარჯება, სიმდიდრე

გამოილევა, მაგრამ ჩემი საქმე, ჩემი ძეგლი არსებობას განაგრძობს", სწორედ ეს სურს მას.

მაგრამ ძეგლებიც იკარგება. არც ერთი ძეგლი არ ცოცხლობს მარადიულად, თუმცა, რა თქმა უნდა, თქვენზე მეტს ცოცხლობს. ვინ იცის, რამდენი ძეგლია დაკარგული, და რამდენი იკარგება ყოველდღიურად. ტალღების სამყაროში ყველაფერი დაიკარგება, არ აქვს მნიშვნელობა, რამდენ ხანს იარსებებს ტალღა, საბოლოოდ, ის დაკარგვისთვისაა განწირული. ტალღად ყოფნა ნიშნავს, უყურო საკუთარი ცეცხლის ჩაქრობას, და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენ ხანს გაგრძელდა ის.

ამგვარად, თუ საკუთარ თავს ტალღასავით შეხედავთ, სიკვდილისგან დასხლტომა მოგინდებათ, რის გამოც მომავალშიც შეგეშინდებათ სიკვდილის. გეუბნებით: შეხედეთ სიკვდილს, არ უნდა გაექცეთ მას, არ უნდა შეგეშინდეთ მისი, არ უნდა მისცეთ მას წასვლის ნება. შეხედეთ სიკვდილს. სიკვდილის დაკვირვებისას მიხვდებით, რომ რაც სიკვდილი გეგონათ გადაიქცევა იმად, რასაც ცხოვრება წარმოადგენს. საჭიროა მხოლოდ სულ ოდნავ ჩაუღრმავდეთ სიკვდილს.

და მაშინ ტალღა ოკეანედ გადაიქცევა და გაქრობის შიშიც ეკარგება. მას არ სურს გაყინულ ლოდად ყოფნა. დარჩენილ დროს ცისკენ აშხეფებას, მზის სხივებში ციალს, სიხარულსა და ბედნიერებას უძღვნის. კვლავ ოკეანის მკლავებს მინდობილი იმავე ბედნიერებასა და სიმშვიდეს ინარჩუნებს. ამგვარად, ის ბედნიერია სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც. მან იცის იმის შესახებ, რომ არსება არასოდეს იბადება და არასოდეს კვდება. არსება, უბრალოდ, არსებობს. შეცვლით კი მხოლოდ მისი ფორმები იცვლება.

ჩვენ, ყველანი, ცნობიერების ოკეანეზე წარმოშობილი ტალღები ვართ. ზოგიერთი ჩვენგანი ყინულად გადაიქცა ყინულს ჰგავს, ქვასავით მყარია. საოცარია, რომ გამდინარე წყალს შეუძლია გახდეს მყარი, როგორც ყინული, ან ქვა. თუკი გაყინვის სურვილი გიპყრობთ, მაშინ ცნობიერი, რომელიც სხვა შემთხვევაში ასეთი მარტივი და მოჩუხჩუხეა, ეგოდ გადაიქცევა. ჩვენ, ყველანი, შეპყრობილნი ვართ გაყინვის სურვილით.

იმის გასაგებად, თუ როგორ უნდა გავიყინოთ და გავმყარდეთ, მრავალ მეთოდს მივმართავთ.

არსებობს კანონები, რომლის მიხედვითაც, წყალი ყინულად გადაიქცევა, ასევე არსებობს კანონები, რომელთაც ეგოს ფორმირებამდე მივყავართ. წყალი უნდა გააცივოთ იქამდე, რომ ის ყინულად გადაიქცეს. მან უნდა დაკარგოს თავისი სითბო. ის ცივი უნდა გახდეს. რაც უფრო ცივია წყალი, მით უფრო მყარია. ადამიანი, რომელსაც ეგოს შექმნა სურს, აგრეთვე უნდა უნდა გაცივდეს. მან უნდა დაკარგოს თავისი სითბო. ამიტომ წარმოვთქვამთ ფრაზას: „თბილი მიღება". გულიანი მიღება ყოველთვის თბილია, ცივი მიღება კი უაზრობაა.

სიყვარული სითბოს ნიშნავს, ცივი სიყვარული კი უაზრობაა. სიყვარული არასდროსაა ცივი. ის თავის თავში სითბოს შეიცავს. სინამდვილეში ცხოვრება სითბოსგან შედგება, სიკვდილი კი სიცივისგან, მისი ტემპერატურა ნულს ქვევითაა. ამიტომ მზე სიცოცხლის სიმბოლოა, მზე სითბოს სიმბოლოა. როცა დილით მზე ამოდის, სიკვდილი უკან იხევს და ყველაფერი თბილი და ცხელი ხდება. ყვავილები იშლება, ჩიტები ჭიკჭიკებენ.

სითბო სიცოცხლის სიმბოლოა, სიცივე კი – სიკვდილის. ამიტომ ადამიანი, რომელსაც უნდა ეგო შექმნას, ცივი უნდა გახდეს, იმისთვის რომ ცივი გახდეს, მან ყველაფერი უნდა დაკარგოს, რაც სითბოს იძლევა. მან ყველაფერი უნდა დაკარგოს, რაც მის არსებობას ამართლებს. მაგალითად, სიყვარული იძლევა სითბოს და სიძულვილი იძლევა სიცივეს. ამიტომ თავისი ეგოსთვის ადამიანმა უარი უნდა თქვას სიყვარულზე და ჩაებღაუჭოს სიძულვილს. გულმოწყალებას და თანაგრძნობას სითბო მოაქვს, სისასტიკესა და უკანონობას კი – სიცივე.

წყლის გაყინვის კანონებთან ერთად, ადამიანის ცნობიერის გაყინვის კანონებიც არსებობს. აქ მუშაობს იგივე კანონი: თქვენ მუდმივად იყინებით. ხანდახან ჩვენ ვამბობთ, რომ ესა და ეს ადამიანი ძალიან ცივია, რადგან ის სითბოს არ ასხივებს, ის მყარი ხდება, როგორც ქვა. გახსოვდეთ, რომ რაც უფრო თბილია ადამიანი, მით უფრო უბრალოა. მაშინ მის ცხოვრებაში არსებული ეგო გამდინარეა. იგი სხვა ადამიანებში საკუთარი ეგოს დინების და სხვათა ეგოს საკუთარ არსებაში დინების

შესაძლებლობას იძლევა. ცივი ადამიანი მყარი ხდება, მას არ ძალუძს დინება, ის ჩაკეტილია ყველა მხრიდან. მასში არავის შეუძლია შეღწევა, და მასაც არ შეუძლია ვინმეში შეღწევა. ეგო ჰგავს გაყინულ ლოდს, სიყვარული კი ჰგავს წყალს, ის მორაკრაკეა. მას, ვისაც ეშინია სიკვდილის, მისგან გაიქცევა. ის მუდმივად გაიყინება, რადგან სიკვდილის შიში და გაქრობა აიძულებს შევიწროებას. მისი ეგო დარჩება, ის გამყარდება და გაძლიერდება.

ახლახან რამდენიმე დღით ვესტუმრე სახლში მეგობარს. ის ძალიან მდიდარი იყო, უამრავი ნივთი ჰქონდა. მაგრამ გამაკვირვა იმან, რომ ის არასდროს ელაპარაკებოდა ადამიანებს კეთილად, დანარჩენში კი სიკეთეს ავლენდა. გაკვირვებული ვაკვირდებოდი, რომ შინაგანად ის ძალიან სათნო იყო, მაგრამ გარეგნულად მკაცრი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მის წინაშე მსახურები თრთოდნენ, ვაჟიშვილი კანკალებდა, ცოლს ეშინოდა, თვალში არ მოხვედროდა. ადამიანები კარგად დაფიქრდებოდნენ-ხოლმე, ვიდრე მას დაუძახებდნენ. მის კართან მიახლოებას, ზარზე დარეკვასაც ვერ ბედავდნენ, აანალიზებდნენ, საერთოდ იყო თუ არა საჭირო სახლში შესვლა.

მასთან სტუმრობისას, ის ახლოს გავიცანი და ვკითხე, რატომ იქცეოდა ასე.

– სინამდვილეში, თქვენ ძალიან უბრალო ადამიანი ხართ, – ვუთხარი.

– ძალიან მეშინია, – მიპასუხა მან, – ურთიერთობების დამყარება საშიშია, რამდენადაც, საკმარისია ვინმეს დაუმეგობრდე, რომ ადრე თუ გვიან, ის ფულის თხოვნას იწყებს. თუკი თავაზიანი ვიქნები ცოლთან, ჩემი ხარჯები მკვეთრად მოიმატებს. თუ შვილთან დისტანციას არ დავიჭერ, მაშინ მისი ჯიბეები მუდამ ფულით იქნება სავსე. თუ მსახურთან თავაზიანი ვიქნები, მაშინ ის ეცდება ბატონივით მოიქცეს.

ამგვარად, ყინულის მყარი კედელი უნდა აღმართულიყო მის გარშემო, რომ ცოლი და შვილი შეეშინებინა. რამდენი მამა იქცევა ასე? სიმართლე ის არის, რომ იშვიათად მოიძებნება სახლი, რომელშიც მამა და ვაჟი ერთმანეთს სიხარულით ხვდებიან. ვაჟი მამასთან მიდის, როცა მას ფული სჭირდება, მამა კი ვაჟთან მიდის, როცა უნდა ქადაგება წაუკითხოს. სხვა

შემთხვევებში ეს ორი ადამიანი ერთმანეთს არ ხვდება, ისინი არასოდეს იკვეთებიან. მამას ეშინია ვაჟის და თავის გარშემო მყარ კედელს აშენებს. ვაჟსაც ეშინია მამის და მალულად უსხლტება მას. ორ ადამიანს შორის არ არის ჰარმონია. რაც უფრო მეტად ეშინია ადამიანს, მით უფრო მეტად აკავებს საკუთარი უსაფრთხოება, და მით უფრო მყარი ხდება. გამდინარობაში დიდი საფრთხეა, ეს მდგომარეობა საშიშია.

ამ მიზეზით გვეშინია შეყვარების. ჩვენ გვიყვარდება ადამიანი მხოლოდ მას შემდეგ, რაც გულდასმით გადავამოწმებთ და სრულიად დავრწმუნდებით მის საიმედოობაში. რაც ნიშნავს, რომ ჯერ ვრწმუნდებით, რომ ამ ადამიანისგან საფრთხე არ მომდინარეობს, შემდეგ კი გვიყვარდება. სწორედ, ამიტომ გამოვიგონეთ ქორწინება. თავიდან ჩვენ ვქორწინდებით, თავიდან ყველა მეთოდს მივმართავთ და მერე გვიყვარდება, რადგან სიყვარული საშიშია. სიყვარული მიედინება, და ადამიანს შეუძლია გზა იპოვოს სხვა ადამიანისკენ. საშიშია უცხო ადამიანის შეყვარება. ის ხომ, შესაძლოა, ნებისმიერ ღამეს დაგისხლტეთ ხელიდან ყველა თქვენი ძვირფასეულობით! ასე რომ, უპირველესად სრულიად ვრწმუნდებით იმაში, თუ ვინ არის ეს ადამიანი, რას საქმიანობს, რა გვარის და წარმომავლობის მშობლები ჰყავს, როგორი ხასიათი და თვისებები აქვს. ჩვენ ყველა მეთოდს ვიყენებთ, ყველა საზოგადოებრივ სიფრთხილეს მივმართავთ და მხოლოდ ამ შემთხვევაში ვქორწინდებით ამ ადამაინზე.

ჩვენ შეშინებულები ვართ. უპირველესად გვსურს ყველაფრისგან ვიყოთ დაცულები. რაც უფრო აქტიურად ვზრუნავთ საკუთარ უსაფრთხოებაზე, მით უფრო ცივია ჩვენ გარშემო ყინულის კედელი, რომელიც კუმშავს ჩვენს არსებას. ჩვენ ერთადერთი მიზეზით გამოვეყავით ღმერთს: ჩვენ არ მივედინებით. ჩვენ გავმყარდით. ეს ჩვენი გამოყოფის ერთადერთი მიზეზია, ჩვენ ხომ არ მივედინებით, ჩვენ ლოდებს დავემგვანეთ. ჩვენ არ ვგავართ წყალს, ჩვენ ვგავართ ყინულის ლოდებს. როცა ჩვენ გავხდებით გამდინარენი, აღარ ვიქნებით ღმერთისგან გამოყოფილი, მაგრამ ჩვენ გამდინარენი გავხდებით მხოლოდ მაშინ, როცა დავთანხმდებით სიკვდილში სიცოცხლის დანახვას. როცა სიკვდილის არსებობის ფაქტს მივიღებთ.

რატომ დაიბუდებს ჩვენში შიში, თუკი სიკვდილს დავინახავთ და გავაცნობიერებთ მის არსებობას? ყველაფერი სრულდება იმ წამს, როცა სიკვდილი ნამდვილად ჩვენთანაა, როცა ტალღა უსათუოდ გაიგებს, რომ ის გაქრება, როცა ტალღა იმის შესახებ შეიტყობს, რომ თვით დაბადება მოიცავს თავის თავში სიკვდილს, როცა ტალღა მიხვდება, რომ არსის განყოფა მისი შექმნის მომენტში დაიწყო. ეხლა რატომ უნდა გადავიქცეთ ყინულად? როცა ტალღა აღიარებს საკუთარი არსებობის ფაქტს ტალღის როლში, ის ამ საკუთარ არსებობას ოკეანის როლშიც აღიარებს. სულ ეს არის! საქმეც მორჩება! მაშინ ყველაფერი მისაღებია. და ამ მიღებით ტალღა ოკეანედ გადაიქცევა. მაშინ ქრება ყველა შფოთვა მოსალოდნელი გაქრობის შესახებ, რადგან ტალღამ იცის, რომ ის უკვე არსებობდა დაბადებამდე, და თავის ყოფიერებას გააგრძელებს მას შემდეგაც, რაც გაქრება, მაგრამ უკვე არა როგორც „მე“, არამედ როგორც უკიდეგანო ოკეანე.

როცა ლაო-ძი სიკვდილის პირას იყო, მოწაფეებმა სთხოვეს ცხოვრების რამდენიმე საიდუმლო გაემხილა. ლაო-ძიმ უპასუხა:

– აი, პირველი საიდუმლო: მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერავინ გაიმარჯვა ჩემზე.

ამ პასუხის მოსმენისას მოწაფეები ანერვიულდნენ. მათ წამოიძახეს:

– თქვენ ადრე არასდროს გილაპარაკიათ ამაზე! ჩვენც გვინდა გამარჯვებულები ვიყოთ. გთხოვთ, გაგვანდეთ ეს მეთოდი.

– თქვენ ცდებით, – უთხრა ლაო-ძიმ, – თქვენ არასწორად გამიგეთ. მე ვთქვი, რომ ვერავინ ვერასდროს შეძლო გაემარჯვა ჩემზე, თქვენ კი საკუთარ ძლევამოსილებაზე ლაპარაკობთ. ეს ორი სრულიად განსხვავებული რამაა, თუმცა, ჩანს, რომ აზრობრივად ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ლექსიკონში, ენის სამყაროში, ამ მოვლენას ერთი აზრი აქვს, ანუ ადამიანი, რომელსაც არ განუცდია დამარცხება, დაუმარცხებელია. მე ხომ უბრალოდ ვთქვი, რომ ვერავინ ვერასდროს შეძლო ჩემი დამარცხება, მაშინ რატომ ინტერესდებით იმით, თუ როგორ უნდა გახდეთ გამარჯვებულები. წადით აქედან! თქვენ ვარასდროს გაიგებთ, რაზე გელაპარაკებით.

მოწაფეებმა ამოილულღლულეს:

– იყოს ასე, მაგრამ გთხოვთ, აგვიხსენით. გვანახეთ თქვენი ტექნიკა. როგორ შეძელით დამარცხებისთვის თავის არიდება?

ლაო-ძიმ ახსნა:

– ვერავინ ვერასდროს იმიტომ ვერ შეძლო ჩემი დამარცხება, რომ მუდამ გამარჯვებული ვრჩებოდი. გამარჯვებულ ადამიანს ვერ დაამარცხებ. სინამდვილეში ვერავინ შეძლო ჩემი ბრძოლაში გამოწვევა. თუ ვინმე მოვიდოდა და ბრძოლაში გამომიწვევდა, ალმოაჩენდა, რომ უკვე გამარჯვებული ვარ, ამიტომ ის ჩემზე გამარჯვების ინტერესს კარგავდა. გამარჯვების სიხარული იმაზე გამარჯვებით აღიძვრება, ვისაც სურს გამარჯვებული იყოს. რა სიხარული უნდა შეიგრძნო იმაზე გამარჯვებით, ვისაც გამარჯვებაც კი არ უნდა?

სინამდვილეში, ჩვენ სიამოვნებას ვიღებთ ვიღაცის ეგოს განადგურებით, იმიტომ რომ ამით საკუთარ ეგოს ვამყარებთ. მაგრამ თუკი ადამიანმა უკვე წაშალა საკუთარი თავი, რა სიხარულს მოიტანს ამ ადამიანზე გამარჯვება? ჩვენი ეგო ვერ შეიგრძნობს რამენაირ წინააღმდეგობას. რაც უფრო ხშირად გვიწევს სხვა ადამიანების ეგოს დანგრევა, მით უფრო მყარი ხდება ჩვენი ეგო. სხვა ადამიანების ეგოს მოსპობა ჩვენს ეგოს აძლიერებს. მაგრამ ლაო-ძის ეგო უკვე დანგრეულია.

მაგალითად, თქვენ გინდათ სხვა ადამიანზე გამარჯვება, მაგრამ ვიდრე თქვენ მას უკანასკნელ დარტყმას მიაყანებთ, ის თავად წვება მიწაზე. და ვიდრე თქვენ მასზე შეჯდომას მოასწრებთ, ის თავად გთავაზობთ ამის გაკეთებას და გაძლევთ ნებას, რომ მასზე შეჯდეთ. როგორ მდგომარეობაში ჩავარდებით ამ შემთხვევაში? თქვენ მისგან გაქცევა მოგინდებათ! სხვა რა უნდა გააკეთოთ? ადამიანებს, რომლებიც ამას აკვირდებიან, გაეცინებათ და იტყვიან: „იჯექი მასზე და უკეთ მოკალათდი. რატომ გარბიხარ მისგან?“ ვის დაარქმევენ სულელს? იმას, ვინც მოწინააღმდეგეზე მოკალათებულა, იმას, ვინც იცინის, თუ იმას, ვისი სიცილიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩაგესმით?

მაშ, ასე, როცა ვიღაც მივიდა ლაო-ძისთან, რათა ბრძოლაში გამოეწვია, ის მაშინვე მიწაზე წვებოდა და ამბობდა: „დამაჯექი. შენ ხომ ამისთვის მოხვედი, ასე არ არის? დაჯექი.

ტყუილად ნუ შფოთავ და ნუ ნერვიულობ. ნუ იქნები დაძაბული, უბრალოდ დაჯექი ჩემზე".

ლაო-ძიმ თავის მოწაფეებთან საუბარი გააგრძელა:

– მაგრამ თქვენ სხვა რამეს მთხოვთ, გსურთ, გამარჯვების ტექნიკა გაგიმხილოთ. თუ თქვენ გამარჯვებაზე იფიქრებთ, მაშინ წააგებთ. ის, ვინც გამარჯვებაზე ფიქრს ამოიჩემებს, ყოველთვის წააგებს. სინამდვილეში დამარცხება იწყება თავად გამარჯვების ფიქრიდან.

მერე ლაო-ძიმ დაამატა:

– და ვერავინ ვერასდროს შეძლო ჩემი შეურაცხყოფა.

– გთხოვთ, ეს საიდუმლოც მოგვიყევით, იმიტომ რომ არ გვინდა ვინმემ შეურაცხყოფა მოგვაყენოს.

– თქვენ ისევ ცდებით, – უპასუხა ლაო-ძიმ, – ვერავინ მომაყენა შეურაცხყოფა, იმიტომ რომ არასდროს მდომებია პატივცემული ვყოფილიყავი. თქვენ მუდამ მოგაყენებენ შეურაცხყოფას, იმიტომ რომ თქვენ სავსენი ხართ ცნობადობის სურვილით. მე ვერასდროს მიბიძგებდნენ ვერცერთი მდგომარეობიდან, რადგან მუდამ გასასვლელთან ვიჯექი, სადაც ადამიანები ფეხსაცმელს ტოვებენ. არასდროს უთხოვიათ ჩაწევა, იმიტომ რომ მუდამ ბოლოში ვიდექი, სადაც არავის შეეძლო ჩემი უკან ჩაჩოჩება. ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა უკან ვიყავი, ამან ხომ ყველანარი უსიამოვნება ამარიდა. და არავის, არასდროს უკრავს ხელი და არ გავუწევივარ გვერდზე. არავის უსურვებია ჯანდაბამდე წავთრეულიყავი, იმიტომ რომ უკანასკნელ ადგილას ვიდექი. მე ვიყავი ჩემი ადგილის პატრონი. არავის არასდროს გამოვუგდივარ იქიდან, სადაც ვიმყოფებოდი.

იესოც ამბობდა: „თუ ვინმე მარჯვენა ლოყაზე გაგარტყამს, მარცხენა მიუშვირეო". ეს იმას ნიშნავს, რომ ის თქვენი მეორე ლოყის მოსაბრუნებლადაც არ უნდა გაისარჯოს, თავად უნდა მიუშვიროთ. იესო ამბობს: „როცა ვინმეს თქვენზე გამარჯვება სურს, მომზადებულები შეხვდით საკუთარ დამარცხებას. თუ ის, ერთხელ დამარცხებას განგაცდევინებთ, დამარცხდით მის წინაშე მეორეჯერაც". იესო ამბობს: „თუ ადამიანი გართმევთ პალტოს, პერანგიც მიეცით". რატომ? იმიტომ, რომ ადამიანს, რომელიც პერანგს გართმევთ, შეიძლება შერცხვეს. იესო

ამბობს: „თუ ვინმე მის ტარებას გთხოვთ ერთ მილზე, გზის ბოლოს ჰკითხეთ, სურს თუ არა, რომ კიდევ წაიყვანოთ".

ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებისეული სინამდვილის მიღებისას, ანუ მისი საშიშროებების, წარუმატებლობების, დამარცხებების და ბოლოს და ბოლოს, სიკვდილის მიღებისას, ამ ყველა მოვლენაზე ვიმარჯვებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწორედ ეს სინამდვილე მიგვიყვანს სიკვდილამდე. საბოლოოდ სიკვდილი – ეს ჩვენი სრული დამარცხებაა. ყველაზე დიდი დამარცხების დროსაც კი გადარჩებით. მიუხედავად დამარცხებისა, თქვენ მაინც აგრძელებთ არსებობას. მაგრამ სიკვდილში თქვენც კი ნადგურდებით.

სიკვდილი – ეს ყველაზე დიდი დამარცხებაა, ამიტომ გვსურს ჩვენი მტრის მოკვლა, სხვა მიზეზი უბრალოდ არ არსებობს. სიკვდილი – ეს უმაღლესი დამარცხებაა, იმიტომ რომ მტერს უკვე არა აქვს შესაძლებლობა, ოდესმე დაგამარცხოთ. მტრის მოკვლის წყურვილი მისი საბოლოო დამარცხების სურვილია. სიკვდილის შემდეგ, მას უკვე აღარ შეეძლება გამარჯვებული იყოს, იმიტომ რომ ის უკვე საერთოდ არ იარსებებს.

სიკვდილი – ეს საბოლოო დამარცხებაა, და ჩვენ ყველას გვინდა მისი თავიდან აცილება. გახსოვდეთ ისიც, რომ ის, ვინც ცდილობს საკუთარ სიკვდილს გაექცეს, ყოველთვის სხვა ადამიანებს ხოცავს. რაც უფრო მეტი ადამიანის მოკვდინებას შეძლებს, მით უფრო ცოცხლად იგრძნობს თავს. ასე რომ, მსოფლიოში ყოველგვარი ძალადობის მიზეზი სრულიად განსხვავებულია იმისგან, რასაც ადამიანები წარმოიდგენენ. ძალადობის მიზეზი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ისინი გაუფილტრავ წყალს სვამენ ან მზის ჩასვლის შემდეგ იღმურძლებიან. არა, არავითარ შემთხვევაში!

ძალადობის ძირითადი მიზეზი იმაშია, რომ ადამიანი საკუთარი სიკვდილის დავიწყების გამო, სხვა ადამიანებს კლავს. სხვა ადამიანების მკვლელობით მას სწამს, რომ მის მოკვდინებას ვერავინ შეძლებს, იმიტომ რომ ახლა თავად აქვს მკვლელობის ძალაუფლება. ჰიტლერმა, ჩინგისხანმა და მსგავსმა ჯალათებმა მილიონობით ადამიანი დახოცეს იმაში დასარწმუნებლად, რომ მათი მოკვლის ძალა არავის შესწავდა, რამდენადაც მათ თავად მოკლეს მილიონობით ადამიანი. სხვა ადა-

მიანების მკვლელობით, ვცდილობთ საკუთარი სიკვდილისგან გათავისუფლებას, ამით ჩვენ საკუთარი დამოუკიდებლობის გამყარება გვინდა. ვვარაუდობთ, რომ ჩვენი მოკვლა არავის შეუძლია, რადგან თავად შეგვიძლია სიცოცხლე მოვუსწრაფოთ ადამიანებს.

ცნობიერების სიღრმეში ეს მაინც სიკვდილისგან გაქცევაა. სასტიკი ადამიანი გულში სიკვდილს გაურბის, ის კი, ვისაც სიკვდილისგან თავის დახსნა უნდა, არასდროსაა არამოძალადე. არამოძალადე ადამიანი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც აცხადებს: „მე ვიღებ სიკვდილს, იმიტომ რომ სიკვდილი ცხოვრების ერთ-ერთი მხარეა, ეს რეალობაა". არასდროს არ შეიძლება უარყოთ სიკვდილი. სად გაიქცევით მისგან? საით წაუხვალთ?

მზე ამოსვლისთანავე აპირებს ჩასვლას. მზის ჩასვლა ისეთივე რეალობაა, როგორც მზის ამოსვლა, განსხვავება მხოლოდ მზის მოძრაობაშია. მზის ჩასვლისას მზე ცაზე იმ წერტილს აღწევს, რომელშიც ამოსვლისას იყო, ოღონც ამოსვლით ის აღმოსავლეთიდან ამოდიოდა, ჩასვლით კი დასავლეთით ჩავა. ის, რაც ერთ მხარეს ამოდის, მეორე მხარეს ეშვება. მზის ამოსვლა და ჩასვლა ერთდროულად ხდება. სინამდვილეში მზის ჩასვლა მზის ამოსვლაში იმალება. სიკვდილიც დაბადებაშია ჩამალული. მან, ვინც იცის, რაშიც არის საქმე, არასდროს უარყოფს სიკვდილს. მაშინ ის ყველაფერს იღებს. მაშინ ის, ამ ჭეშმარიტებით ცხოვრობს. ეს ჭეშმარიტება ნაცნობია მისთვის, ის ხედავს მას და ითავისებს.

ამის გათავისება კავშირშია ფერისცვალებასთან. როცა ვამბობ: „სიკვდილზე გამარჯვება", ვგულისხმობ, რომ როგორც კი ადამიანი სიკვდილს მიიღებს, ის სიცილს იწყებს, რადგან ის აცნობიერებს, რომ სიკვდილი არ არსებობს. უბრალოდ, ფორმირდება და ინგრევა გარეგნული ნაჭუჭი. ოკეანე მუდამ აქ იყო, უბრალოდ ტალღამ მიიღო რაღაც ფორმა, მერე კი დაიშალა. სილამაზე მუდამ აქ იყო, უბრალოდ ყვავილები იშლებოდა და ცვიოდა. სინათლე მუდამ კიაფობდა, უბრალოდ მზე ამოდიოდა და ჩადიოდა. და ის, რაც კიაფობდა ამოსვლისას და ჩასვლისას, მუდამ არსებობდა: ამოსვლის წინაც და ჩასვლის შემდეგაც. მაგრამ ჩვენ ამას მივხვდებით მხოლოდ მაშინ, როცა სიკვდილს დავინახავთ, როცა გვექნება სიკვდი-

ლის ხილვა, როცა სიკვდილს პირისპირ შევხვდებით, და არანაირად უფრო ადრე.

ამგვარად, ჩემი მეგობარი მეკითხება: „რატომ უნდა ვიფიქროთ სიკვდილზე? რატომ არ დაგვევიწყებინა ის? უბრალოდ რატომ არ ვცხოვრობთ?“ მინდა ვუთხრა მას, რომ ადამიანს, რომელმაც სიკვდილი დაივიწყა, არც არასდროს უცხოვრია, მას უბრალოდ ასე ცხოვრება არ შეუძლია. ის, ვინც ყურადღებას არ აქცევს სიკვდილს, არც სიცოცხლეს აქცევს ყურადღებას.

ეს იგივეა, რომ ხელის გულზე მედოს მონეტა და ვთქვა: „რაში მაინტერესებს, რა არის მონეტის მეორე მხარეს? რატომ არ ვივიწყებ ამას? თუკი უარს ვიტყვი მონეტის მეორე მხარეზე, მაშინ დავკარგავ მონეტის იმ მხარესაც, რომელიც მაქვს, რამდენადაც ეს ერთი და იგივე მონეტის ორი მხარეა. შეუძლებელია მონეტის მხოლოდ ერთი მხარის შენახვა, და მეორე მხარის გზაზე გადაგდება. როგორ შეიძლება ეს მოხდეს? როგორც კი შევინახავ მონეტის ერთ მხარეს, თავისთავად შეინახება მისი მეორე მხარეც. თუ მონეტის ერთ მხარეს გადავაგდებ, მაშინ მისი ორივე მხარე დაიკარგება. სინამდვილეში ეს ერთი მოვლენის ორი მხარეა. დაბადება და სიკვდილი – ეს ერთი ცხოვრების ორი მხარეა. იმ დღეს, როდესაც ადამიანი ამას მიხვდება, მხოლოდ სიკვდილი კი არ ქრება, არამედ ქრება იმაზე ფიქრიც, რომ თქვენ არ მოკვდებით. მაშინ ადამიანი გაიგებს, რომ იქ, სადაც დაბადებაა, უკვე არის სიკვდილი. დაბადება და სიკვდილი თავის თავში შეიცავს ღვთაებრიობას.

ჩვენ ყოველ დილით ვდგებით და სამსახურში მივდივართ. ვილაც საფლავებს თხრის. თითოეული ადამიანი თავის საქმეს აკეთებს. ადამიანები ოფლად იღვრებიან მთელი დღის განმავლობაში. არსებობს დილით ადგომის სიხარული, მაგრამ ნუთუ არ არსებობს ასეთივე სიხარული საღამოს, დაძინებისას? თუ ვილაც შეშლილები დაარწმუნებდნენ ადამიანებს, ღამე არ დაეძინათ, მაშინ დილით ადგომაც შეწყდებოდა, რამდენადაც გამოუძინებელი ადამიანი ვერ შეძლებდა დილით გაღვიძებას. მთელი ცხოვრება შეწყდებოდა. ადამიანს დაძინების შეეშინდებოდა და თავს შეუძახებდა: „ისეთი სასიხარულო რამაა დილით გაღვიძება, ამიტომ სჯობს არ დავიძინო, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაღვიძების მთელ მომხიბვლელობას გავაქარწყლებ“

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს სასაცილოა, დაძინება ხომ გაღვიძების მეორე მხარეა.

ის, ვისაც სწორედ სძინავს, სწორედ გაიღვიძებს. ის, ვინც სწორედ იღვიძებს, სწორედ დაიძინებს. ის, ვინც ისე ცხოვრობს, როგორც საჭიროა, ისევე მოკვდება, როგორც საჭიროა. ის, ვინც მოკვდება როგორც საჭიროა, სწორ ნაბიჯებს გადადგამს მომავალ ცხოვრებაში. ის, ვინც არასწორად მოკვდება, ვერც იცხოვრებს სწორად. ის, ვინც არ ცხოვრობს სწორად, არ მოკვდება სწორად. მისი ცხოვრება არეული იქნება. ყველაფერი საშინელი და დამახინჯებული გახდება. სიკვდილის შიშია პასუხისმგებელი საშინელებისა და სიმახინჯის შექმნაში.

თუ დაძინების შიში მოიცავს ყველა ადამიანს, ცხოვრება გართულდება. ერთი მოხუცი ქალი მოიყვანა ჩემთან მისმა შვილმა. მან თქვა, რომ დედამისს დაძინების ეშინოდა.

– ეს როგორ მოხდა? – ვკითხე მას.

– ბოლო დროს, ის ძალიან ავადმყოფობს, – ამიხსნა მან, – გრძნობს, რომ შეიძლება ძილში მოკვდეს, ამიტომაც ეშინია დაძინების. იგი შიშობს, რომ დაძინების შემთხვევაში, ვერ გაიღვიძებს, ამიტომ ცდილობს მთელი ღამე იფხიზლოს. ჩვენ ძალიან ვნერვიულობთ მასზე. ის ვერ ჯანსაღდება, რადგან მთელი ღამე არ სძინავს იმის შიშით, რომ ვერ გაიღვიძებს. თუ შეიძლება, იღონეთ რამე და იხსენით დედაჩემი ამ შიშისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან დიდი პრობლემები მექნება.

ძილი ძალიან ჰგავს ყოველდღიურ სიკვდილს. მთელი დღე ცოცხალი ხართ, მთელი ღამე კი მკვდარი. ეს იგივეა, როგორც ნაწილობრივ სიკვდილი, ყოველ დღე ცოტა-ცოტა კვდებით. ღამით ჩვენს თავში ვიძირებით, დილით კი ფხიზლები გამოვდივართ. სამოცდაათი ან ოთხმოცი წლის ასაკში ჩვენი სხეული უკვე გამოფიტულია. სწორედ, მაშინ გვეწვევა სიკვდილი. სიკვდილის წყალობით, ჩვენი სხეული სრულიად იცვლება. ჩვენ ძალიან გვეშინია სიკვდილის, თუმცა, ის სხვა არაფერია, თუ არა ღრმა ძილი.

თქვენ იცით ამის შესახებ, რომ სხეული მთელი ღამის განმავლობაში იცვლება და ყოველ დილით სხვანაირი ხდება? ეს ცვლილებები იმდენად უმნიშვნელოა, რომ თქვენ ვერაფერს ამჩნევთ. ეს მთლიანი ცვლილება კი არ არის, არამედ

ნაწილობრივი გარდასახვა. როცა ღამით, დაღლილი და ძალაგამოცლილი, დასაძინებლად წვებით, თქვენი სხეული ერთ მდგომარეობაშია, დილით, გაღვიძებისას, ის სხვა მდგომარეობაში აღმოჩნდება. დილით სხეული მხნედ და ახალგაზრდულად გრძნობს თავს. ის სავსეა ენერგიით, მზადაა შემოქმედებითად შეხდეს ახალ დღეს. ახლა კვლავ შეგიძლიათ იმღეროთ სიმღერები და აკეთოთ ის, რასაც ვერ აკეთებდით წინა საღამოს. მაშინ თქვენ დაღლილები იყავით, დანგრეულები, სიქა გქონდათ გაცლილი. თუმცა, თქვენ არასდროს გიფიქრიათ იმაზე, რატომ გეშინიათ ასე ძალიან სიკვდილის.

როცა დილით იღვიძებთ, თავს ბედნიერად გრძნობთ, იმიტომ რომ მხოლოდ თქვენი სხეულის ნაწილი იცვლება ძილში, მაგრამ სიკვდილს სულ სხვანაირი ცვლილება მოაქვს. მთელი სხეული უსარგებლო ხდება და წარმოიშობა ახალი სხეულის აუცილებლობა. მაგრამ გვეშინია სიკვდილის, ამიტომ მთელი ჩვენი ცხოვრება დამახინჯებულია. მისი ყოველი წამი ავსებულია სიკვდილის შიშით. შიშის გამოისობით შევქმენით ისეთი ცხოვრება, საზოგადოება, ოჯახი. ადამიანები ცხოვრობენ თავიანთი შესაძლებლობების მინიმუმით, მაგრამ მაქსიმალურად ეშინიათ სიკვდილის. მას კი, ვისაც ეშინია სიკვდილის, ვერასდროს შეძლებს სიცოცხლეს, რამდენადაც შეუძლებელია ცხოვრება სიკვდილის შიშით. ცხოვრებისთვის მზადაა მხოლოდ ის, ვინც მზადაა სიკვდილს შეხვდეს სრულიად უეცრად. სიცოცხლე და სიკვდილი – ეს ერთი მოვლენის ორი მხარეა. ამიტომაც მოგიწოდებთ მიაქციოთ ყურადღება სიკვდილს. არ გირჩევთ იფიქროთ სიკვდილზე, რადგან ამგვარი აზროვნება საჭირო ადგილამდე არ მიგიყვანთ. რას მოგიტანთ სიკვდილზე ფიქრი?

ავადმყოფი და უბედური ადამიანი სიმშვიდეს იპოვის იმაზე ფიქრით, რომ სიკვდილით ყველაფერი მთავრდება. ამგვარი ფიქრები მას ამშვიდებს არა იმიტომ, რომ ისინი სწორია. დაიმახსოვრეთ, არ შეიძლება გწამდეთ იმის, რასაც მოჩვენებითი სიამოვნება მოაქვს, რადგან სასიამოვნო შეგრძნებები არ არის დამოკიდებული შეგრძნებების სისწორეზე, ისინი დამოკიდებულია იმაზე, რაც თქვენთვის კომფორტულია. ის, ვინც უბედურია, ავადაა, შეშფოთებულია, ვინც ტკივილს განიცდის, გრძნობს, რომ სრულ სიკვდილს უნდა შეხვდეს, რომ უკან არა-

ფერი რჩება, რამდენადაც, თუკი მისი, თუნდაც, ერთი ნაწილი გადარჩება, ეს იმას ნიშნავს, რომ თავად ეს უბედური და ავადმყოფი ადამიანიც გადარჩება.

ჩემმა მეგობარმა ასეთი კითხვა დასვა:

ზოგი ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. რას იტყოდით ამის შესახებ? ნუთუ, ამ ადამიანებს არ ეშინიათ სიკვდილის?

მათაც ეშინიათ სიკვდილის. მაგრამ ცხოვრების უფრო მეტად ეშინიათ, ვიდრე სიკვდილის. მათ ეჩვენებათ, რომ ცხოვრებაში უფრო მეტი ტკივილია, ვიდრე სიკვდილში, ამიტომაც უნდათ სიცოცხლე დაასრულონ. თუკი ადამიანები საკუთარ სიცოცხლეს ასრულებენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი რაიმე სიხარულს გრძნობენ სიკვდილში. ისინი, უბრალოდ, ამჯობინებენ სიკვდილს, რადგან სიცოცხლე, მათი აზრით, სიკვდილზე უარესია. ის, ვინც უბედურია, ვინც ტკივილს გრძნობს, მზადაა დაიჯეროს, რომ სიკვდილი მას ყველაფერს წაართმევს, მათ შორის სულსაც, რომ სიკვდილი არაფერს ტოვებს თავის შემდეგ. ალბათ, ადამიანს არ სურს არც ერთი თავისი ნაწილის გადარჩენა, იმიტომ რომ ასე მოქცევით ის, საკუთარი უბედურებისა და ტკივილის გარდა, ვერაფერს იხსნის.

მას, ვისაც ეშინია სიკვდილის და თავის გადარჩენა უნდა, მზადაა ირწმუნოს უკვდავი სულის. ყოველივე ეს კომფორტია. ასეთი ქმედება არ წარმოადგენს გაგებას, უბრალოდ ხაზს უსვამს ჩვენს დაინტერესებას კომფორტისადმი. რაღაც კონკრეტულ სიტუაციაში ჩვენ თავს კომფორტულად ვგრძნობთ, სულ ეს არის. ამიტომაც ხშირად ვიცვლით რწმენას. ის, ვინც ახალგაზრდობაში ათეისტი იყო, სიბერეში თეისტი ხდება. სინამდვილეში რწმენა მაშინ გვეცვლება, როცა თავი წამოგვტკივდება.

როცა თავი არ გვტკივა, ერთ რწმენას ვიცავთ, მაგრამ საკმარისია თავი აგვტკივდეს, ამ რწმენას მაშინვე სხვა რწმენა ცვლის. რთულია იმის თქმა, როგორ გავლენას ახდენს თქვენი რწმენის სისტემაზე წმინდა წიგნები და როგორ გავლენას – თქვენი ღვიძლი! არ შეიძლება დარმუნებული იყო, რა უფრო ახდენს გავლენას თქვენზე: გურუ თუ ღვიძლი! უფრო დიდ ეფექტს ახდენს ის, რაც თქვენს შიგნით ხდება. როცა მუცელში ყველაფერი თავდაყირაა, ადამიანი გრძნობს, რომ ის ათეისტი

ხდება, ხოლო როცა მუცელში ყველაფერი წესრიგშია, ადამიანი გრძნობს, რომ ღმერთის სწამს! საერთოდ, როგორ შეუძლია ადამიანს სწამდეს ღმერთის, როცა მას თავი სტკივა? თუ ღმერთი არსებობს, არსებობს თავის ტკივილიც. მაშ, როგორ შეიძლება ეს ორი მოვლენა გააერთიანო?

შეგვიძლია ექსპერიმენტი ჩავატაროთ. ავიღოთ ორმოცდაათი ადამიანი და დავაავადოთ ქრონიკული დაავადებებით, კიდევ ორმოცდაათი კი ჯანმრთელი იყოს. დაე, პირველმა ორმოცდაათმა ადამიანმა იცხოვროს უბედურად, მეორე ორმოცდაათმა ადამიანმა კი – ბედნიერად. თქვენ აღმოაჩენთ, რომ პირველ ჯგუფში ათეიზმი გაიზარდა, მეორე ჯგუფში კი გამყარდა თეიზმი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბედნიერება ღმერთის რწმენით იქმნება. უბედური გონება აუცილებლად ათეისტი ხდება. ამიტომ დაიმახსოვრეთ, თუკი აკვირდებით, როგორ ვრცელდება ათეიზმი მთელ მსოფლიოში, უნდა გაიგოთ, რომ, სავარაუდოდ, უბედურებაც იზრდება. თუკი ხედავთ, რომ მორწმუნე ადამიანების რიცხვი იზრდება, მაშინ უნდა იცოდეთ, რომ უფრო მეტი ადამიანი ხდება ბედნიერი.

გეუბნებით, რომ ორმოცდაათი წლის შემდეგ, ალბათ, რუსეთი მთლიანად თეისტური ქვეყანა გახდება, ინდოეთი კი უფრო ათეისტურ ქვეყანად იქცევა. რწმენა არაფერს ნიშნავს. რუსეთში ადამიანები კითხულობენ მარქსს, ინდოეთში კი ადამიანები კითხულობენ მახავირას, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. მახავირასა და მარქსის ნაშრომები რეალობაში უმნიშვნელო დირექტივასაც კი ვერ შეიტანს. თუ რუსეთში ადამიანები უფრო მეტად ბედნიერები გახდებიან, მაშინ ნახევარი საუკუნის შემდეგ, ამ ქვეყანაში თეიზმი გაიზრდება და რუსულ ეკლესიებში ზარებს ააჟღერებენ. ადამიანები დაანთებენ სანთლებს და ლოცვებს წაიკითხავენ. მხოლოდ ბედნიერი გონება რეკავს ტაძრებში ზარს, ანთებს სანთლებს და კითხულობს ლოცვებს. ადამიანები მადლობას გადაუხდიან ღმერთს. მხოლოდ ბედნიერ ადამიანს შეუძლია მადლობა უთხრას ვინმეს. ღმერთზე დიდს კი ვის უნდა უმადლოდეს? ადამიანს არ შეუძლია მასში დავანებული შინაგანი ბედნიერების მიზეზი იპოვოს, ამიტომ ის აქებს უზენაესს. ალბათ, სწორედ, ამან მოუტანა ბედნიერება.

უბედურ ადამიანს სურს თავისი ბრაზი გამოხატოს. როცა ადამიანი საკუთარი უბედურების ვერანაირ მიზეზს ვერ პოულობს, ვისზე გაბრაზდება? სავარაუდოდ, ის უზენაესისადმი სიბრაზით ივსება. ის საყვედურს გამოთქვამს: „ყველაფერი უზენაესის გამო მოხდა ასე, ღმერთის გამო!“, ანდა – „ის არ არსებობს“, ანდა – „ის ჭკუიდან შეიშალა!“. ვამბობ, რომ ჩვენი ათეიზმი და ჩვენი თეიზმი, როგორც სხვა ჩვენეული რწმენა - ეს წარმოებული კომფორტია, რომელიც ჩვენს პირობებს შეესაბამება.

მას, ვისაც სურს სიკვდილს გაექცეს, აუცილებლად ჩაებღაუჭება რომელიმე რწმენას. ვისაც სიკვდილი უნდა, ისიც ჩაეჭიდება რომელიმე რწმენას. მაგრამ არცერთი მათგანი არ იწვის სიკვდილის შეცნობის სურვილით. კომფორტსა და ჭეშმარიტებას შორის დიდი განსხვავებაა. არასდროს იფიქროთ უსაზღვრო კომფორტზე. ხედვა მუდამ ჭეშმარიტებისკენაა მიმართული, ფიქრი კი მუდამ კომფორტისკენ მიილტვის.

ერთი კაცი კომუნისტია. ის ბევრს ხმაურობს, ამბობს, რომ რევოლუცია უნდა მოხდეს, ღარიბებმა შვებით უნდა ამოისუნთქონ, ქონება თანაბრად უნდა განაწილდეს და ა.შ. მაგრამ მიეცით მას ავტომობილი, დიდი სახლი, გააყოლეთ ცოლად ლამაზი გოგონა, და რამდენიმე კვირაში სრულიად სხვა ადამიანს იხილავთ. გაიგებთ, თუ როგორ ამბობს ის, რომ კომუნიზმი და მისთანები სრული სისულელეა! რა შეიცვალა ამ ადამიანში? კომფორტმა, რომელშიც ის აღმოჩნდა, მის ფიქრებს ფორმა უცვალეს. სულ ცოტა ხნის წინ, მისთვის კომფორტული იყო ეფიქრა, რომ ქონება აუცილებლად თანაბრად უნდა განაწილდეს, ახლა კი მისთვის არ არის კომფორტული ივარაუდოს, რომ ეს ნამდვილად ასე უნდა მოხდეს. ახლა ქონების თანაბრად გაყოფა იმას გულისხმობს, რომ იგი ავტომობილსა და სახლს უნდა შეელიოს.

კაცს, რომელსაც არ ჰყავს ლამაზი ცოლი, უბრალოდ შეუძლია განაცხადოს, რომ ქალებიც საერთონი უნდა იყვნენ. რატომ უნდა ჰქონდეს კაცების ერთ ჯგუფს მონოპოლია ლამაზ ქალებზე? ქალები უნდა ეკუთვნოდნენ ყველა კაცს. არიან ადამიანები, რომლებიც ზუსტად ასე ფიქრობენ. დედამიწაზე

არიან ადამიანები, რომლებიც განსჯისთვის ამგვარ ფორმულას გვთავაზობენ: „დღეს ქონება, ხვალ კი ქალები“. და ამაში არაფერია არასწორი, ამიტომაც თქვენ მუდამ ისე ექცევით ქალებს, როგორც საკუთარ ნივთს.

თუ ვინმე აცხადებს: „ცუდია, რომ ერთი ადამიანი დიდი სახლის მფლობელია, სხვა კი ქოხმახში შეყუჟულა“, მაშინ რა არის ცუდი შემდგომ კითხვაში: „რატომ ფლობს ერთი კაცი ლამაზ ქალს, როცა სხვას ასეთი ქალი არ ჰყავს? ყველა ლამაზი ქალი თანაბრად უნდა გავიყოთ“. ეს საფრთხის სიგნალია. ადრე თუ გვიან უსათუოდ წამოსწევენ მსგავს საკითხებსაც. ქალების გაყოფის თემა აუცილებლად წამოიჭრება იმ დღეს, როცა ქონებას გაიყოფენ. მაგრამ კაცი, რომელსაც ლამაზი ცოლი ჰყავს, პროტესტს არ დააყოვნებს. ის აღშფოთდება: „ასეთი რამ როგორ შეიძლება? რა სისულელეს ამბობთ? ეს ყველაფერი არასწორია!“

ამგვარად, კომფორტი აყალიბებს თქვენს ფიქრებს. ჩვენი აზროვნება წარმოიშობა კომფორტთან მიმართებით. ყველა ჩვენი ფიქრი ამყარებს კომფორტს ან აქრობს დისკომფორტს. ხედვა – ეს სულ სხვაა. ის არ არის კავშირში კომფორტთან. დაიმახსოვრეთ, რომ ხედვა „ტაპასჩარიაა“, ინდივიდუალური სწრაფვა ჭეშმარიტების შეცნობისა. სიტყვა „ტაპასჩარია“ აღნიშნავს იმას, ვისაც არ აინტერესებს კომფორტი. ამის სანაცვლოდ მას სურს შეიმეცნოს ყველაფრის არსი, რაც არ უნდა იყოს ის.

ამგვარად, უნდა დაინახოთ სიკვდილის რეალობა და არ უნდა იფიქროთ მასზე. თქვენ ისე დაიწყებთ ფიქრს, როგორც თქვენთვის იქნება კომფორტული, კომფორტი ხომ თქვენს აზროვნებას აყალიბებს. საქმე კომფორტში არ არის. უნდა გაიგოთ, რომ არსებობს სიკვდილი, დაინახოთ ის, აღიქვათ მისი ჭეშმარიტი სახე. თქვენი კომფორტი და დისკომფორტი არაფერს ცვლის. უნდა შეიმეცნოთ ის, რაც არის. როგორც კი შეიმეცნებთ მას, თქვენს ცხოვრებაში ფერისცვალება მოხდება. რადგან სიკვდილი არ არსებობს. იმ წამს, როგორც კი შეიმეცნებთ სიკვდილს, ხვდებით, რომ სიკვდილი არ არსებობს. თქვენ გჯერათ სიკვდილის არსებობის მანამ, ვიდრე არ შეიმეცნებთ მას. უცოდინრობის შეგრძნება სიკვდილია, ცნობიერების შეგრძნება კი – უკვდავებაა.

თავი მეშვიდე

მე ვასწავლი სიკვდილს

თქვენ ასწავლით ადამიანებს როგორ მოკვდნენ? თქვენ ასწავლით ადამიანებს სიკვდილს? ამის ნაცვლად თქვენ ცხოვრება უნდა ასწავლოთ.

ეს ადამიანი მართალია, მე მართლა ვასწავლი ადამიანებს სიკვდილს. ვასწავლი სიკვდილის ხელოვნებას, იმიტომ რომ, ვინც სიკვდილის ხელოვნებას სწავლობს, მისთვის ასევე ცნობილი ხდება სიცოცხლის ხელოვნებაც. ის, ვინც თანახმაა მოკვდეს, ხდება უმაღლესი ცხოვრების ღირსი. მხოლოს ისინი, რომლებმაც გაიგეს, თუ როგორ უნდა წაშალონ საკუთარი თავი, შეიტყობენ იმას, თუ როგორ უნდა დარჩნენ.

ეს წინააღმდეგობრივ მოსაზრებად მოგეჩვენებათ, რადგან ცხოვრებასა და სიკვდილს ურთიერთსაპირისპიროდ, ურთიერთგამომრიცხავად მიიჩნევთ, მაგრამ ასე არ არის. ჩვენ ამ ორ გაგებას შორის შევქმენით ყალბი გაგება და ამან მიგვიყვანა მომაკვდინებელ შედეგებამდე. შესაძლოა, არაფერს მიუყენებია კაცობრიობისთვის ისეთი ზიანი, როგორც ამ წინააღმდეგობებმა მიაყენეს. მოცემული წინააღმდეგობის შედეგად შეიქმნა მრავალფენიანი მოვლენები. თუ ჩვენ სხვადასხვა (არა მხოლოდ სხვადასხვა, არამედ ურთიერთსაპირისპიროდაც) ნაწილად დავყოფთ იმას, რაც ერთიანია თავისთავში, მაშინ საბოლოო შედეგიც შიზოფრენიკის, სულით ავადმყოფის ცნობიერების მსგავსი იქნება.

მოდით ვივარაუდოთ, რომ არსებობს ადგილი, სადაც გიჟები ცხოვრობენ. დიდი პრობლემები და უსიამოვნებები წარმოიქმნება, თუ ეს ადამიანები დაიჯერებენ, რომ სიცივე და სითბო არათუ სხვადასხვა, არამედ საპირისპირო ცნებებია. სინამდვილეში სიცივე და სითბო არ არის ურთიერთსაპირისპირო მოვლენები, მხოლოდ სხვადასხვა გრადუსია, რომელიც ერთი

და იგივე რამეს განსაზღვრავს. თქვენი წარმოდგენა სიცივესა და სითბოზე არ არის აბსოლუტური, არამედ ძალიან შედარებითია. პატარა ექსპერიმენტი ყველაფერს ნათელს მოჰფენს.

ყოველთვის ვპოულობთ იმას, რაც თბილია და იმას, რაც ცივია. ასევე ვხედავთ, რომ ის საგანი, რომელიც ცხელია, მართლაც ცხელია და ის საგანი, რომელიც ცივია, მართლაც ცივია. ვერაფრით იჯერებთ იმას, რომ ერთი საგანი შეიძლება იყოს ერთდროულად ცხელიც და ცივიც, ამიტომ მოდით, შინ დაბრუნებულებმა პატარა ექსპერიმენტი ჩაატარეთ. აავსეთ ერთი ჩაიდანი ცხელი წყლით, მეორე ჩაიდანი – ცივი წყლით, მესამე ჩაიდანი კი – ოთახის ტემპერატურის წყლით. ჩაყავით ერთი ხელი ცხელ წყალში, მეორე კი – ცივ წყალში. მერე ამოიღეთ ხელები და ჩაყავით ოთახის ტემპერატურის წყალში. ერთი ხელი იგრძნობს, რომ წყალი ცივია, მეორე ხელი იგრძნობს, რომ იგივე წყალი ცხელია. მაშ, ცხელია თუ ცივია ეს წყალი? ერთი ხელი იტყვის, რომ წყალი ცხელია, მეორე ხელი კი იტყვის, რომ ის ცივია. მაშინ როგორია ამ წყლის ნამდვილი ბუნება? თუ ერთდროულად ერთი ხელი გრძნობს რომ წყალი ცხელია, მეორე ხელი კი გრძნობს, რომ იგივე წყალი ცივია, იმის გაცნობიერება მოგვიწევთ, რომ წყალი არც ცხელია და არც ცივი, რომ ცხელი და ცივი ტემპერატურა არსებობს თქვენი ხელების წყალობით.

ცხელი და ცივი ტემპერატურა ერთი და იგივეა. ეს არ არის სხვადასხვა მოვლენა. ისინი გამოირჩევიან რაოდენობით, და არა ხარისხით.

ოდესმე დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რა განასხვავებს ბავშვობასა და სიბერეს? როგორც წესი ვვარაუდობთ, რომ ისინი ერთმანეთის საპირისპიროა, რომ ერთ მხარეს არის ბავშვობა, მეორე მხარეს კი – სიბერე. მაგრამ რითი განსხვავდებიან ბავშვობა და სიბერე? განსხვავება მხოლოდ წლებშია, მხოლოდ დღეებში. მათ შორის განსხვავება არა ხარისხში, არამედ რაოდენობაშია.

მაგალითად, ავიღოთ ხუთი წლის ბავშვი. ჩვენ შეგვიძლია მას მოხუცი დავუძახოთ ხუთი წლის ასაკში. რა არის ამაში ისეთი? ჩვენ მხოლოდ ლინგვისტური პოზიციიდან ვეძახით ასეთ ადამიანს ხუთი წლის ბავშვს. თუ მოვინდომებთ, შევძლებთ ამ

ფრაზის ისე წარმოთქმას, როგორც ინგლისელები ამბობენ: ეს ბავშვი ხუთი წლით ძველია. (this child is five years old-ing.), რაც ფაქტობრივად, ხუთი წლის მოხუცს ნიშნავს. უბრალოდ, ერთი ადამიანი სამოცდაათი წლის მოხუცია, მეორე ადამიანი კი – ხუთი წლის მოხუცი. რაშია განსხვავება? თუ მოვინდომებთ, შევძლებთ სამოცდაათი წლის მოხუცს სამოცდაათი წლის ბავშვი დავუძახოთ, ბავშვი ხომ მაინც მოხუცდება. მაგრამ როცა მათ ცალ-ცალკე ვხედავთ, ისინი ორი საპირისპირო ცნების ობიექტად გვეჩვენება. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ბავშვობა და სიბერე წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან, მაგრამ თუ ასეა, მაშინ ვერც ერთი ბავშვი ვერ შეძლებს დაბერებას. როგორ მოახერხებს ამის გაკეთებას? როგორ შეიძლება ორი ურთიერთსაპირისპირო ცნება ერთნაირი იყოს? ოდესმე დაგიფიქსირებიათ დღე, როდესაც ბავშვი მოხუცად გადაიქცა? ან ღამე? შეგიძლიათ კალენდარზე აღნიშნოთ, რომ ამ დღეს, ეს ადამიანი ბავშვი იყო, ხოლო ამ დღეს კი დაბერდა?

სინამდვილეში კი საქმე ამაშია. მაგალითად, თქვენ წინაშეა კიბე, რომელიც ტერასაზე გადის. თქვენ ხედავთ ქვედა საფეხურებს, ზედა საფეხურებსაც ხედავთ, მაგრამ, ვთქვათ, რომ არ შეგიძლიათ ამის დანახვა. შესაძლოა, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, რომ ქვედა და ზედა საფეხურები გაყოფილია, რომ ისინი ერთმანეთისგან შორსაა. მაგრამ ის, ვისაც შეუძლია მთლიანი კიბის დანახვა, ამგვარი გაყოფის უარყოფას დაიწყებს. ის იტყვის: „განსხვავება ქვედა და ზედა საფეხურებს შორის მხოლოდ მოჩვენებითია, რადგან თქვენ ვერ ხედავთ შუა საფეხურებს. ყველაზე პირველი საფეხური მათი მეშვეობით ყველაზე ზედა საფეხურს უკავშირდება“.

განსხვავება ჯოჯოხეთსა და სამოთხეს შორის ხარისხში არ არის, რაოდენობაშია. არ იფიქროთ, რომ ჯოჯოხეთი და სამოთხე ურთიერთსაპირისპიროა, რადიკალურად ერთმენეთის ურთიერთსაწინააღმდეგოა. ჯოჯოხეთსა და სამოთხეს შორის განსხვავება ისეთივეა, როგორც სიცივესა და სიცხეს შორის, როგორც ქვედა და ზედა საფეხურს შორის, როგორც ბავშვსა და მოხუცს შორის.

ზუსტად ასეთივე განსხვავება არსებობს დაბადებასა და სიკვდილს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვინც იბადება,

ვერასდროს შეძლებს სიკვდილს. თუკი დაბადება და სიკვდილი ერთმანეთის საპირისპირონი იქნებოდნენ, როგორ შეძლებდა დაბადება სიკვდილით დასრულებას? ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ მხოლოდ ჩვენი ბუნებრივი სიმაღლის წერტილს. დაბადება გადაიზრდება სიკვდილში. ეს ნიშნავს, რომ დაბადება და სიკვდილი ერთი მოვლენის ორი მხარეა. ჩვენ ვთესავთ თესლს, ის მცენარედ ამოიზრდება, მერე კი ყვავილებს გაიკეთებს. ნუთუ, თქვენ გჯერათ, რომ თესლსა და ყვავილს შორის რაიმე ურთირთსაპირისპიროა? ყვავილი იბადება თესლისგან და ყვავილად გადაიქცევა. თესლში ხდება ზრდა.

დაბადება გადაიქცევა სიკვდილად. ღმერთმა უწყის, რომელი სისულელისგან და რომელ უბედურ დღეს ჩამოყალიბდა ადამიანის გონებაში ის აზრი, რომ დაბადება და სიკვდილი – ეს სხვადასხვა გაგებაა, რომ სიცოცხლე და სიკვდილი – ეს სხვადასხვა ცნებებია. ჩვენ გვინდა სიცოცხლე და არ გვინდა სიკვდილი, მაგრამ არ ვიცით ის, რომ სიკვდილი – უკვე სიცოცხლის ნაწილია. როცა გადავწყვეტთ, რომ არ გვინდა სიკვდილი, იმ წამსვე ნათელი ხდება, რომ ჩვენი ცხოვრება სავსე იქნება სირთულეებითა და პრობლემებით.

მთელი კაცობრიობა შიზოფრენიკი გახდა. კაცობრიობის გონება გახლეჩილია ნაწილებად, ფრაგმენტებად, და ამის არანაირი მიზეზი არ არსებობს. ჩვენ სიცოცხლის მთლიანობას ვიღებთ ისე, თითქოს ის მისი ნაწილებისგან შედგება, შემდეგ კი ყოველ განცალკევებულ ნაწილს სხვა ნაწილების წინააღმდეგ მივმართავთ. ადამიანი ისევ ისეთია, მაგრამ ჩვენ შევქმენით მასში საზღვრები, და დავასკვენით, რომ მასში არსებული ეს დანაყოფები ერთმანეთის საპირისპიროა. ისე მოვიქეცით, როგორც სხვა სფეროებში ვიქცეოდით. ჩვენ ვეუბნებით ადამიანს: „ნუ ბრაზობ, აპატიე ყველას ყველაფერი“, ვერ ვიაზრებთ, რომ განსხვავება სიბრაზესა და ყველაფრის პატიებას შორის მხოლოდ ხარისხშია, როგორც სიცივესა და სითბოს შორის, როგორც ბავშვობასა და სიბერეს შორის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიბრაზე, რომელსაც თავის დაბალ საფეხურამდე მივყავართ, – ეს ყველაფრის პატიებაა. და მათ შორის არ არსებობს არანაირი გაყოფა. მაგრამ კაცობრიობის ყველა ძველი ცნება გვასწავლის: „მოიშორე სიბრაზე და მიიღე პატიება“ თითქოს

სიბრაზე და პატიება – იმდენად ურთიერთსაპირისპიროა, რომ თქვენ შეგიძლიათ განაგდოთ სიბრაზე და პატიება მიიღოთ. საქმის ასეთ ვითარებას მხოლოდ ადამიანის დანაწევრება და მისთვის სირთულეების მოტანა შეუძლია.

ჩვენი წარსული მრწამსის სისტემები ამბობს, რომ სექსი და ბრახმაჩარია, ანუ სექსუალური თავშეკავება, ეს ურთიერთსაპირისპიროა. ამ შეცდომაზე დიდი შეცდომა არ არსებობს. სექსის ყველაზე დაბალი წერტილი – ეს ბრახმაჩარიაა. ბრახმაჩარია ჩამოქვეითებული, ქვედა საფეხურზე მყოფი სექსია. ამ ორ ცნებას შორის მანძილზე მტრობა და წინააღმდეგობები არ გვხვდება. დაიმახსოვრეთ, რომ ამქვეყნად არ არსებობს არანაირი წინააღმდეგობა. სინამდვილეში ამქვენად არ შეიძლება იყოს წინააღმდეგობები, იმიტომ რომ, თუკი ასე იქნებოდა, მაშინ შეუძლებელი გახდებოდა ურთიერთსაპირისპირო მხარეთა შეერთება. თუკი დაბადება და სიკვდილი სხვადასხვა ცნებებად მოგვევლინებოდა, მაშინ დაბადება იცხოვრებდა თავისი წესებით, ხოლო სიკვდილი – თავისი წესებით. და ისინი არასდროს შეხვდებოდნენ ერთმანეთს. როგორც არ თანაიკვეთება პარალელური ხაზები, დაბადებასა და სიკვდილსაც არ ექნებოდა თანაკვეთის წერტილი.

დაბადება და სიკვდილი ურთიერთკავშირშია, ეს ერთი ტალღის ორი ბოლოა. ამის თქმისას ვგულისხმობ, რომ თუ უახლოეს მომავალში ადამიანს შეშლილობისგან ისხნიან, მაშინ ცხოვრება ერთარსებად უნდა მივიღოთ. ჩვენ ვერ მივცემთ თავს ცხოვრების დაყოფისა და მისი ნაწილების შეპირისპირების ნებას.

უცნაურია, ის ვინ ამბობს: „სექსი ბრახმაჩარიას ურთიერთსაპირისპიროა. მოდით, მოვიშოროთ სექსი“, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი მცდელობებიდან გამომდინარე, თავადვე განიცდის მარცხს სექსუალური მოთხოვინილებისგან გათავისუფლებისას. ასეთი ადამიანი ვერასდროს შეძლებს ბრახმაჩარიას მიაღწიოს. მისი გონება მუდმივად დაძაბული და არეული იქნება. სწორედ ეს არის მისი სიკვდილი. მისი ცხოვრება აუტანელი გახდება. ადამიანი უზომოდ დამძიმდება და საერთოდ ვერ შეძლებს სიცოცხლეს, ერთი წამითაც კი. ის უბედურ დღეში აღმოჩნდება.

თუ ცხოვრებას ამ კუთხით შეხედავთ, საქმე კი სწორედ ამაში მდგომარეობს, მაშინ იმასაც გეტყვით, რომ სექსი და ბრახმაჩარია ურთიერთკავშირშია, ისევე როგორც ყველაზე დაბალი საფეხურია დაკავშირებული ყველაზე მაღალ საფეხურთან. ადამიანი სექსის კიბეზე ასვლისას შედის ბრახმაჩარიაში. ბრახმაჩარია სხვა არაფერია, თუ არა უმდაბლეს ხარისხამდე დაყვანილი სექსი. ადამიანი აღწევს წერტილს, რომელშიც გრძნობს, რომ მასში ყველაფერი დაცარიელდა, სწორედ ასე აღწევს იგი უმაღლეს დასასრულს. ამ დროს, ცხოვრებაში არ რჩება ადგილი არც დაპირისპირებისთვის, არც დაძაბულობისთვის. ამ დროს ცხოვრებიდან ქრება შფოთი და ფორიაქი. ამ დროს ჩვენ ბუნებრივ ცხოვრებას ვახერხებთ.

ვსაუბრობ იმაზე, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ ყველაზე ბუნებრივად, მისი ყველანაირი გამოვლინებით. ჩვენ არ ვცხოვრობთ ბუნებრივად არც ერთ დონეზე, რადგან არაბუნებრივი ცხოვრების მეთოდებს დავეუფლეთ. წარმოიდგინეთ, ვინმესთვის რომ გეთქვათ: „იარე მხოლოდ მარცხენა ფეხით, იმიტომ რომ მხოლოდ მარცხენა ფეხი უჭერს მხარს რელიგიასა და სიკეთის კეთებას. არ იარო მარჯვენა ფეხით, რადგან სწორედ მარჯვენა ფეხი წარმოადგენს ბიწიერებას“, მას კი თქვენი სიტყვებისთვის დაეჯერებინა. მსგავს მითითებებს ბევრი იჯერებს. ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან დაიჯერონ ასეთი სულელური წარმოდგენები. ამიტომაც ხშირად შეხვდებით ისეთებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მარჯვენა ფეხით სიარული ბიწიერია. რომ შეეძლოთ, ისინი მარჯვენა ფეხს მოიჭრიდნენ და შეეცდებოდნენ მხოლოდ მარცხენა ფეხით ევლოთ. მაგრამ ასეთები ვერასდროს შეძლებენ სიარულს.

ჩვენ სიარული მხოლოდ ორი ფეხის მეშვეობით შეგვიძლია. ფეხი თავისთავად არასდროს დადის მარტო, თუმცა, მხოლოდ ცალი ფეხი გადაადგილდება წინ ერთი წამით. სიარულისას თქვენ მხოლოდ ცალ ფეხს სწევთ, რაც იმის წარმოდგენას გიქმნით, რომ მხოლოდ ერთი ფეხით დადიხართ. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მეორე ფეხი მოლოდინის რეჟიმშია, პაუზას აკეთებს, და ესეც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პირველი ნაბიჯის გადადგმა. იმ დღეს, როდესაც ადამიანი ბრახმაჩა-

რიას აღწევს, სექსი მომლოდინე პოზიციას იკავებს, ისევე როგორც მდგომარე მარჯვენა ფეხი, რომელიც თავის ჯერს ელის მაშინ, როცა მარცხენა ფეხი უკვე გადაიდგა. მარცხენა ფეხს არ შეუძლია მოძრაობა მარჯვენა ფეხის დახმარების გარეშე.

ჩაჩუმებული სექსუალური ლტოლვა ბრახმაჩარიას საფუძვლად იქცევა. ადამიანს ბრახმაჩარიასკენ ნაბიჯის გადადგმა, მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა წყდება სექსუალური ლტოლვა. სექსის საფუძვლის გაწყვეტა, სექსის უარყოფა, უეჭველია, სექსუალური სურვილების გაქრობით დამთავრდება, მაგრამ ასე ვერ მიაღწევთ ბრახმაჩარიას. ამის სანაცვლოდ ადამიანი ცხრაკლიტულში აღმოჩნდება, ზუსტად ასე ამყოფებდნენ ძველი სწავლულები ბორკილებში მთელ კაცობრიობას. ის, რასაც ცხოვრებაში ვაწყდებით, სხვა არაფერია, თუ არა, მარჯვენა და მარცხენა ფეხის მონაცვლეობა, მარჯვენა და მარცხენა ნაბიჯის წადგმა.

ცხოვრებაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია. მკვეთრი სხვაობა აქ უდიადესი სიმფონიის ნოტებივით ჟღერს. თუკი ცხოვრებისგან რაღაცას ამოჭრით, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით. შესაძლოა, ვიღაცამ შავ ფერს ბოროტების სიმბოლო უწოდოს. ამიტომ ქორწილში არავის აძლევენ ნებას შავი ფერის ტანსაცმელი ჩაიცვას, შავი ფერის სამოსი მხოლოდ დაკრძალვის დროსაა ნებადართული. არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ შავი ფერი ბოროტების ნიშანია, არიან ადამიანები, რომლებსაც სწამთ, რომ თეთრი ფერი სისუფთავეს განასახიერებს. სიმბოლური გაგებით შეიძლება კიდეც გავავლოთ ასეთი საზღვარი, მაგრამ თუ ვინმე განაცხადებს: „მოდით, მოვიშოროთ შავი ფერი, აღვგავოთ შავი ფერი პირისაგან მიწისა“, მაშინ გახსოვდეთ, რომ როგორც კი მოიშორებთ შავ ფერს, თეთრი ფერიც გაცვდება, რადგან თეთრი ფერის ხარისხი მთელი თავისი სისავსით, სწორედ შავი ფერის ფონზე მჟღავნდება.

მასწავლებელი თეთრი ცარცით წერს შავ დაფაზე. ნუთუ ის ჭკუიდან გადავიდა? რატომ არ წერს ის თეთრ დაფაზე? რა თქმა უნდა, შესაძლებელია თეთრ დაფაზეც წეროს, მაგრამ მაშინ ასოებს ვერ გაარჩევთ. თეთრი ფერი ზუსტად იმიტომ იკვეთება, რომ ის შავ ფონზეა წარწერილი. დაიმახსოვრეთ.

იმ ადამიანის თეთრი თვისებები, რომელიც შავი თვისებებით ცდილობს მტრობის გაღვივებას, აუცილებლად მოჩლუნგდება და გაფერმკრთალდება.

იმას, ვინც საკუთარი სიბრაზის დემონსტრირებას ერიდება, მიტევებაც დაუუძლურდება. მიტევების ძალა სიბრაზეშია. მხოლოდ ის ფლობს პატიების ძალას, ვისაც გაბრაზება შეუძლია. რაც უფრო მრისხანეა ბრაზი, მით უფრო გულმოწყალე იქნება პატიება. ბრაზის ძალა თავადვე გადააქცევს საკუთარ ნათელს პატიებად. ბრაზის არქონისას წარმოიშობა პატიება, რომელიც სრულიად მოკლებულია ნათელს, სრულიად უსიცოცხლოა და უსულო.

თუკი მოვსპობთ ადამიანის სქესობრივ ლტოლვას (არის ასეთი მეთოდებიც), დაიმახსოვრეთ, ასეთი ქმედება არ მიიყვანს მას ბრახმაჩარიამდე, სქესობრივ შეკავებამდე, ის უბრალოდ იმპოტენტი გახდება. ამ ორ მოვლენას შორის დიდი განსხვავებაა. არსებობს სქესობრივი მკურნალობის მეთოდები, მაგრამ ადამიანს არ შეუძლია ბრახმაჩარია გახდეს სექსის უარყოფის გზით, ასე ის მხოლოდ იმპოტენტად იქცევა. სექსის გარდაქმნით, მისი მიღებით, მისი ენერგიის აყვანით უფრო მაღალ ნიშნულამდე ადამიანი, ალბათ, შეძლებს ბრახმაჩარიის მიღწევას. მაგრამ დაიმახსოვრეთ, რომ ნათელი, რომელიც დაუოჯახებლობის აღთქმა მიღებული ადამიანის თვალებდან გამოსჭვივის, თვით სექსუალური ენერგიის ნათელია, ენერგია არსად წასულა, ის უბრალოდ გარდაისახა.

გეუბნებით, რომ საგნები, რომლებსაც ერთმანეთის საპირისპიროს ვეძახით, სინამდვილეში სულაც არ არის საპირისპირო. ცხოვრებაში არსებობს იდუმალი წესრიგი. ამ იდუმალ წესრიგში დაპირისპირება იქმნება იმისთვის, რომ საგნები არსებობდეს. ალბათ, გინახავთ სახლის წინ ჩამოცვენილი აგურები. ყველა აგური ერთნაირია. მერე არქიტექტორი, ინჟინერი, შესასვლელი კარისთვის ბოძებს აშენებს, ამისთვის კი აგურებს საპირისპიროდ აწყობს, ანუ ერთმანეთთან 90-გრადუსიანი კუთხის მიმართებით. აგურები ისევ ისეთია, მაგრამ შესასვლელი კარის აშენებითვის ადამიანი მათ ერთმანეთის საპირისპიროდ აწყობს. ის ვერ ააშენებს თაღს. თუკი აგურებს

ერთმანეთზე დადებს, ამ შემთხვევაში ხომ კარიბჭე იმ წამსვე ჩამოიშლება.

აგურებს, რომელსაც ერთ მწკრივად ანყობენ, არა აქვთ ძალა, ისინი არ მოდიან ერთმანეთთან წინააღმდეგობაში. ძალა იქმნება იქ, სადაც წინააღმდეგობაა. მთელი ძალა საპირისპიროსგან იბადება. მთელი ენერგია ხახუნით წარმოიშობა. ცხოვრებაში პოლარულობის პრინციპი ქმნის ენერგიას, ძალას. ყველა აგური ერთნაირია, მაგრამ მათ ურთიერთსაპირისპიროდ ალაგებენ.

ღმერთი, ცხოვრების ღვთაებრივი არქიტექტორი, ძალიან ჭკვიანია. მან იცის იმის შესახებ, რომ ცხოვრება მაშინვე განელდება, მაშინვე გაქრება, თუ აგურები ერთმანეთის საპირისპიროდ არ დალაგდება. ამიტომ ღმერთმა სიბრაზე შექმნა პატიების საპირწონედ, სექსი – ბრახმაჩარიას საპირწონედ, ენერგია სწორედ ამ არსებული მოვლენების წინააღმდეგობის წყალობით იქმნება. ეს ენერგია ცხოვრებაა. ღმერთმა ერთად დადო დაბადებისა და სიკვდილის აგურები, ერთმანეთის საპირისპიროდ, და ამგვარად, ამ ორი მოვლენისგან შექმნა ცხოვრება. არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ: „ჩვენ მივიღებთ მხოლოს სიცოცხლის აგურს, მაგრამ არ მივიღებთ სიკვდილის აგურს". შესანიშნავია. თქვენ უბრალოდ კომფორტულად მოწყობილხართ. მაგრამ თუკი სიკვდილს არ მიიღებთ, მაშინვე მოკვდებით, რადგან ამ შემთხვევაში ყველა დანარჩენი აგური ერთნაირი გახდება. გამონაკლისის სახით მხოლოდ ცხოვრების აგურები დარჩება, მაგრამ ისინი აუცილებლად ჩამოინგრევა.

ადამიანები ხშირად იმეორებენ ასეთ შეცდომას. უკანასკნელი ათი ათასი წლის განმავლობაში, ადამიანს საშინელი უბედურებები შემთხვევია, სწორედ ამ შეცდომების გამო. ადამიანი იმას ამტკიცებს, რომ აგურები მწკრივად უნდა დალაგდეს, მას არ სურს მათი გაწყობა 90-გრადუსიანი კუთხით. „აღმოფხვერით დაპირისპირება, – გვეუბნება ის, – თუკი უფალს ვაღიარებთ, მხოლოდ მისი უნდა გვწამდეს. შესაბამისად, ჩვენ არ ვაღიარებთ დედამიწაზე სამსარას არსებობას. თუკი უფალი ჰგიებს, მაშინ სამსარა არ არსებობს, და ჩვენც შეგვიძლია, უარი ვთქვათ მიწიერ ცხოვრებაზე – უარვყოთ ყოველივე მიწიერი, უარი ვთქვათ ყოფით საქმეებზე, ჩვენ ხომ უფლის

გვწამს, ამიტომ შევიმოსებით ბერის სამისით და ტყეებს მივაშურებთ". ასეთ ადამიანს სურს უფლის აგურებით საკუთარი სამყარო ააგოს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა შედეგი მოჰყვება მსოფლიოსთვის შეშლილი ადამიანების ბერებად გადაქცევას? იმ დღესვე შეწყდება ყოველგვარი განვითარება, იმ დღესვე ნანგრევებში მოჰყვება მთელი სამყარო.

სინამდვილეში, ადამიანს, რომელიც ბერია, არ ესმის, რომ დღემდე ცოცხალია, რომ სწორედ იმიტომ შეუძლია მარცხენა ფეხის გადადგმა, რომ ვიღაც დედამიწელი ადამიანი სამყაროში ამქვეყნიურ საქმეებს აკეთებს. ცალი ფეხით ის მიწაზე დგას, ამდენად ახერხებს მეორე ფეხის თავისუფლად ამოძრავებას. თვით ამ ბერის ცხოვრებისეული სუნთქვა მომდინარეობს მიწიერი ადამიანისგან. ბერი ილუზიაშია, თითქოს დამოუკიდებლად ცხოვრობს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ის მთლიანად დედამიწისეული სამყაროთი იკვებება. თუმცა, ბერი მაინც წყევლის მიწიერ ადამიანს, გამუდმებით ეჩიჩინება მას: „უარყავი სამყარო და გახდი ბერი". მას არ ესმის, რომ ასეთი სიტყვებით ადამიანებს მასობრივი თვითმკვლელობისკენ უბიძგებს. ბერიც ვერსად წაუვა საყოველთაო განაჩენს, თვითონაც მოკვდება. ისიც ფიქრობს, რომ აგურები მხოლოდ ცალმხრივი წყობით ლაგდება.

არიან ადამიანები, რომლებიც საპირისპიროდ მსჯელობენ ისინი ამბობენ: „ღმერთი არ არის. არის მხოლოდ სამყარო და მეტი არაფერი. ჩვენ გვჯერა მხოლოდ მატერიის". იწამეს რა მატერიის, ეს ადამიანებიც შეეცადნენ საკუთარი სამყაროს შექმნას. ისინიც ზუსტად ისევე მოექცნენ უბედურების მარწუხებში. მათი გამოჩენა სამყაროს თვითმკვლელობას გამოიწვევს, რადგან, თუკი მხოლოდ მატერია არსებობს და არა ღმერთი, მაშინ ყველაფერი, რასაც სიცოცხლე ეყრდნობა, რაც მას მიმზიდველს ხდის, რაც მას მოძრაობის უნარს ანიჭებს. რაც ზრდის სურვილს აღუძრავს, გაქრება.

თუკი ადამიანი ღმერთის არარსებობას დაიჯერებს, თუკი ირწმუნებს, რომ არაფერია მატერიის გარდა, მაშინ რა აზრი აქვს ცხოვრებას? მაშინ ცხოვრება სრულიად უაზრო გახდება ამიტომ სარტრის, კამიუს, კაფკას და მათი მსგავსი მწერლები ასე აქტიურად განიხილავენ დასავლეთში აბსურდის თემას

ჩვენს დროში, ყველა დასავლელი ფილოსოფოსი ამტკიცებს, რომ ცხოვრება უაზროა. უეცრად შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა შექსპირის გამოთქმამ: „ეს არის ბრიყვის მიერ მოთხრობილი ხმაურითა და შფოთით სავსე ზღაპარი, რომელსაც არანაირი აზრი არ გააჩნია“. ცხოვრებას არ შეიძლება რაიმე აზრი ან მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგან თქვენ მხოლოდ მატერიის აგურები შეატყუპეთ, მხოლოდ მატერია. ცხოვრების აზრი აუცილებლად მთლიანად გაქრება. ზუსტად ისევე, როგორც მხოლოდ ბერების ანაბარა დარჩენილ დედამიწაზე დაეკარგებოდა აზრი სამყაროს, მხოლოდ მიწიერი ადამიანების ხელშიც ჩაკვდებოდა სამყაროს აზრი.

საინტერესოა, რომ მიწიერი ადამიანები მხოლოდ იმათი მეშვეობით გადარჩებიან, ვინც უარყო სამყარო, ის, კი, ვინც უარყო სამყარო, მიწიერი ადამიანებით გადარჩება: ზუსტად ასე, როგორც მარცხენა ფეხია დამოკიდებული მარჯვენაზე, ხოლო მარჯვენა ფეხი კი – მარცხენაზე. გარეგნულად ეს დამოკიდებულება წინააღმდეგობრივია, მაგრამ იდეაში, ეს ასე არ არის. ორივე ფეხი – ერთი არსების ნაწილია: ერთი ფეხი აბალანსებს სხეულს, მეორე ფეხი კი ამავე სხეულს ამოძრავებს.

ვერავინ ჩასწვდება ცხოვრების სისავსეს ამ წინააღმდეგობათა გაცნობიერების გარეშე. მას, ვინც კვლავ ოპოზიციაშია და ცხოვრებისგან ნახევრის ჩამოკვეთას ქადაგებს, ჯერაც ვერ მოუხმია გონიერებისთვის. რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ მოიშოროთ ცხოვრების ნახევარი, მაგრამ როგორც კი ეს მოხდება, დარჩენილი ნაწილიც მოკვდება, რამდენადაც მეორე ნაწილი, უეჭველად, მხოლოდ და მხოლოდ პირველი ნაწილისგან იძენდა სასიცოცხლო ენერგიას.

მომისმენია ასეთი ისტორია. ორი ბერი დიდხანს ეკამათებოდა ერთმანეთს. ერთ ბერს სწამდა, რომ ყოველი შემთხვევისთვის, კარგი იქნებოდა, თან ფული ქონოდა. მისი მეგობარი, მეორე ბერი, ასე პასუხობდა: „რად გვინდა ფული? ჩვენ ხომ უარვყავით ყველაფერი, მაშ, რად გვინდა ფული? მხოლოდ მიწიერი ადამიანები ინახავენ ფულს“. ორივე ბერს არგუმენტები მოჰყავდა თავისი აზრის დასაცავად, თითოეულს ეჩვენებოდა, რომ მისი არგუმენტი იყო მართალი.

სამყაროს უდიდესი საიდუმლო იმაშია, რომ შეგიძლიათ წამოაყენოთ უამრავი არგუმენტი საპირისპირო აგურების დასაცავად, რომელიც გამოიყენეს სამყაროს შექმნისთვის. და კამათი შეიძლება არასდროს დასრულდეს, რადგან ეს და სხვა აგურებიც გამოყენებულია სხვადასხვა ხარისხით. ერთ ადამიანს შეუძლია განაცხადოს: „შეხედეთ, სამყარო ჩემი აგურებისგან შეიქმნა“, სხვა ადამიანს შეუძლია გააპროტესტოს: „არა, სამყარო ჩემი აგურებისგან შეიქმნა“.

ცხოვრება კი ისეთი უძიროა, რომ ძალიან ცოტას თუ შეუძლია გაიგოს, მთელი მისი კარი ურთიერთსაპირისპიროდ დაწყობილი აგურებისგანაა ნაშენი. დანარჩენები მხოლოდ იმ აგურებს ხედავენ, რომელიც მათ თვალსაწიერში ხვდება. ისინი ამბობენ: „თქვენ მართლები ხართ, სამყარო სანიასების შექმნილია. თქვენ მართლები ხართ, ბრახმანი – ეს სამყაროს წყაროა. თქვენ მართლები ხართ, სამყარო ატმანის მიერაა ნაძერწი“. სხვა ადამიანები ამბობენ: „სამყარო შექმნილია მატერიისგან. ის მხოლოდ ფერფლისგან შეიქმნა და სხვა არაფრისგან. ყველაფერი ბოლოს ფერფლად იქცევა, ფერფლი ფერფლად გადაიქცევა“. ამ ადამიანებსაც შეუძლიათ მხოლოდ იმ აგურების დემონსტრირება მოახდინონ, რომელიც მათ თვალსაწიერში ხვდება. ამ კონკრეტულ კამათში ვერც თეისტი გაიმარჯვებს და ვერც ათეისტი, ვერც მატერიალისტი, და ვერც იდეალისტი. მათ არც შეუძლიათ ერთმანეთზე გამარჯვება. ამ ადამიანთა განცხადებები ცხოვრებაზე მათივე გაორებული წარმოდგენის ნაყოფია.

ამგვარად, ამ ორ ბერს შორის კამათი გაჩაღდა. ერთი ბერი ამტკიცებდა, რომ ფულის ქონა აუცილებელია, მეორე ბერი მას არ ეთანხმებოდა. ერთხელ, საღამოს, ძალიან ეჩქარებოდათ და მდინარესთან მივიდნენ. ბინდდებოდა. ერთი ბერი მივიდა მენავესთან, რომელიც ნავს აბამდა და სთხოვა:

– თუ შეიძლება, არ დააბა ნავი, მდინარეზე გადაგვიყვანე. ღამე ახლოვდება, ჩვენ კი იქითა ნაპირზე გვინდა გადასვლა.

– მაპატიეთ, მაგრამ დღეს საკმაოდ ვიმუშავე, – უპასუხა მენავემ, – ახლა ჩემს სოფელში მეჩქარება. ხვალ დილას გადაგიყვანთ

- არა, ჩვენ არ შეგვიძლია დილამდე ლოდინი, – გააპროტესტა ბერმა, – ჩვენი გურუ, რომელთანაც ვცხოვრობთ, რომელმაც ცხოვრების არსი გვასწავლა, კვდება. გავიგეთ, რომ ის დილით გარდაიცვლება. ჩვენმა გურუმ მოგვიხმო და არ შეგვიძლია ამ ღამით გამოღმა ნაპირზე დარჩენა.

– კარგი, – დათანხმდა მენავე, – ხუთ რუპიად გადაგიყვანთ გაღმა ნაპირზე.

ბერმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ფული თან უნდა ჰქონოდათ, ჩაიცინა, მეორე ბერს გახედა და ჰკითხა:

– აბა, რას იტყვი, ჩემო მეგობარო? არის აზრი იმაში, რომ ფული თან უნდა ვატაროთ, თუ არა?

მეორე ბერმაც გაიცინა. პირველმა ბერმა მენავეს ხუთი რუპია გადაუხადა და გადაწვიტა, რომ კამათში მოიგო. მეორე ნაპირზე მისულმა პირველმა ბერმა მეგობარს ჰკითხა:

– რას იტყვი, ჩემო მეგობარო? ჩვენ ვერ შევძლებდით მდინარეზე გადმოსვლას, თან რომ ფული არ გვქონოდა

მეორე ბერმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

– მდინარე იმიტომ კი არ გადმოვლახეთ, რომ ფული გვქონდა, არამედ იმიტომ, რომ შენ შეძელი მას შელეოდი! - წამოიყვირა მან, – მდინარეზე გადმოსვლა იმდენად შევძელით. რამდენადაც შენ მოახერხე მისი გაცემა.

კამათი გრძელდებოდა.

მეორე ბერმა დაამატა:

– ყოველთვის ვამბობდი, რომ ბერს უნდა ჰქონდეს ფულთან გამოთხოვების სიმამაცე. ჩვენ შევძელით ფულის მიცემა. ამიტომაც შევძელით მდინარის გადალახვა. შენ რომ ფულს ჩაბღაუჭებოდი, შენ რომ ის არ გაგეშვა, მაშინ მოვახერხებდით მდინარის გადალახვას?

კამათი არ ცხრებოდა. პირველი ბერი მეორეზე არანაკლებ ხარხარებდა. ისინი თავის გურუსთან მივიდნენ.

– რა გავაკეთოთ? – ჰკითხეს მას, – დიდ გასაჭირში ვართ დღევანდელმა სიტუაციამ ნათლად დაგვანახა ჩვენი პრობლემები. ერთი ჩვენგანი ფიქრობს, რომ მდინარე იმიტომ გადმოვლახეთ, რომ ფული გვქონდა, მეორე კი ამტკიცებს, რომ მდინარე იმიტომ გადმოვლახეთ, რომ შევძელით ფულთან

გამოთხოვება. დარწმუნებულები ვართ საკუთარ მოსაზრებაში და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ორივენი მართლები ვართ.

გურუმ გადაიხარხარა.

– თქვენ ორივენი გიჟები ხართ, – თქვა მან, – ისევე ბრიყვულად იქცევით, როგორც საზოგადოება საუკუნეთა განმავლობაში.

– მაგრამ რაში მდგომარეობს ჩვენი სიბრიყვე? – ვერ მიხვდნენ ბერები.

გურუმ აუხსნა:

– ყოველი თქვენგანი ჭეშმარიტებას ცალი მხრიდან უყურებს. მართალია, შეძელით ნავის დაქირავება და მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა, რადგან ფულს შეელიეთ, მაგრამ მეორე არგუმენტიც მყარია: თქვენ იმდენად შეძელით ფულის გადახდა, რამდენადაც გქონდათ ეს ფული. რა თქმა უნდა, სწორია, რომ მდინარის გადალახვა ფულის არსებობის გამო მოახერხეთ, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ არ გექნებოდათ ფული, ვერ შეძლებდით მდინარეზე გადასვლას. ეს იმიტომ გააკეთეთ, რომ ფული გადაიხადეთ. ამიტომ ორივე მტკიცებულება მართალია და მათ შორის არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს.

ადამიანებმა ამგვარი ორმაგი სტანდარტი ჩვენი ცხოვრების ყველა საფეხურზე შევქმენით. ორიდან ერთი ნაწილის რწმენას შეუძლია წარმოშვას დამაჯერებელი არგუმენტი რაღაცის მხარდასაჭერად. ეს არ არის რთული, რადგან, უპირველესად, ადამიანმა ცხოვრების ნახევარი მაინც უნდა დაიბრუნოს. მას ხომ მხოლოდ ნახევარი ცხოვრება აქვს და ეს უმნიშვნელო საკითხი როდია. ცხოვრებას მთელი თავისი სრულყოფილებით უნდა შეხედო. ვერაფერს გადაწყვეტ კამათით. ცხოვრება უნდა გამოიკვლიო და შეიმეცნო მთელი მისი სისავსით.

უეჭველია, მე სიკვდილს ვასწავლი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიცოცხლის წინააღმდეგი ვარ. ეს ნიშნავს, რომ სიკვდილი სიცოცხლის შეცნობის, მისი გააზრების კარიბჭეა. ეს ნიშნავს, რომ მე არ ვთვლი სიცოცხლესა და სიკვდილს ერთმანეთისადმი შეპირისპირებულ მხარეებად. ამას სიკვდილის ხელოვნებას დავარქმევ თუ სიცოცხლისას, აზრი მაინც არ იცვლება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ

შევხედავთ მას. შესაძლოა მკითხოთ: „რატომ არ უწოდებთ თქვენს სწავლებას სიცოცხლის ხელოვნებას?“ ამის მიზეზები არსებობს.

უპირველეს ყოვლისა, ძალიან შევეჩვიეთ სიცოცხლეს და ეს შეჩვევა საკმაოდ დაუბალანსებელი გახდა. შემიძლია ჩემს სწავლებას დავარქვა სიცოცხლის ხელოვნება, მაგრამ ასე არ ვიზამ, რადგან თქვენ ზედმეტად შეჩვეული ხართ სიცოცხლეს. თუ ვიტყვი: „შეისწავლეთ სიცოცხლის ხელოვნება“, თქვენ მომვარდებით, რადგან გინდათ გაამყაროთ თქვენი შეჩვევა ცხოვრებისადმი. მე ჩემს სწავლებას ვეძახი სიკვდილის ხელოვნებას, რათა თქვენ საკუთარი ბალანსის აღდგენა შეძლოთ. თუკი ისწავლით, როგორ მოკვდეთ, მაშინ სიცოცხლე და სიკვდილი გათანაბრდება, ისინი თქვენს მარცხენა და მარჯვენა ფეხად იქცევა, მაშინ თქვენ მიაღწევთ უმაღლეს ცხოვრებას. თავის უმაღლეს გამოვლინებაში სიცოცხლე არც დაბადებას მოიცავს და არც სიკვდილს, მაგრამ ის ნაქსოვია იმ ორი ასპექტისგან, რომელსაც ჩვენ დაბადებასა და სიკვდილს ვუწოდებთ.

რასაკვირველია, თუკი დედამიწის ზურგზე არსებობს ისეთი ქალაქი, სადაც ადამიანებს სურთ თვითმკვლელობა, სადაც არავის სწყურია სიცოცხლე, იქ არაფრით წავალ სიკვდილის ხელოვნებაზე სასაუბროდ. იქ ვიტყვი: „ისწვალეთ სიცოცხლის ხელოვნება“. და ისევე, როგორც თქვენ გეუბნებით: „მედიტაცია სიკვდილში შესასვლელი კარია“, ამ ქალაქის მაცხოვრებლებსაც ვეტყვი: „მედიტაცია სიცოცხლეში შესასვლელი კარია“. მე მეტყვი მათ: „მოდით ჩემთან, ისწავლეთ ცხოვრება. რადგან თქვენ ვერ გაიგებთ იმას, თუ როგორ უნდა მოკვდეთ მანამ, ვიდრე არ ისწავლით სიცოცხლეს. თუ სიკვდილი გინდათ, მომეცით ნება, გასწავლოთ როგორ იცხოვროთ. რადგან საკმარისია ისწავლოთ ცხოვრება, მაშინვე დაიწყებთ კვდომას“ იმ ქალაქის მცხოვრებნი მხოლოდ ამის შემდეგ შემობრუნდებიან ჩემსკენ. თქვენი ქალაქი ურთიერთგამომრიცხავი სუბსტანციების თავშესაფარია: თქვენ ხართ იმ ქალაქის მკვიდრნი, რომელშიც არავის უნდა სიკვდილი, რომელშიც არავის უნდა ცხოვრება, რომელშიც ადამიანები იმიტომ ეჭიდებიან ასე ძალიან სიცოცხლეს, რომ სიკვდილი ახლოსაც არ მოუშვან. ამიტომ, იძულებული ვარ, სიკვდილზე ვილაპარაკო. ეს არანაირად

არ არის დაკავშირებული ჩემთან. მე ხომ ზუსტად თქვენ გამო ვეძახი ჩემს სწავლებას სიკვდილის ხელოვნებას. მაგრამ მთელი დროის განმავლობაში ერთი და იგივეს ვლაპარაკობ.

ერთხელ, ბუდა ერთ სოფელში მივიდა. დილაუთენია მზე ჰორიზონტზე გამოჩნდა. ბუდას კაცი მიეახლა და უთხრა:

– მე ათეისტი ვარ, არ მწამს ღმერთის. როგორ ფიქრობთ, ღმერთი არსებობს?

– არსებობს მხოლოდ ღმერთი, – უპასუხა ბუდამ, – გარშემო სხვა არაფერია, ღმერთის გარდა.

– მე კი მითხრეს, რომ თქვენ ათეისტი ხართ, – დაფიქრდა ეს კაცი.

– ალბათ, არასწორად გაიგეთ, – ივარაუდა ბუდამ, – მე თეისტი ვარ. ეხლა ჩემი პირიდან გაიგეთ ყველაფერი. მე ისტორიაში უდიდესი თეისტი ვარ. არის ღმერთი და მხოლოდ ღმერთი.

ეს ადამიანი ხის ძირში იდგა, თავი ცუდად იგრძნო. ბუდა წავიდა.

შუადღისას ბუდასთან სხვა კაცი მივიდა და უთხრა:

– მე თეისტი ვარ. მე ნამდვილად მწამს ღმერთის. მე ათეისტების მტერი ვარ. მოვედი, რომ გკითხოთ, რას ფიქრობთ ღმერთის არსებობაზე?

– ღმერთი? – გაიკვირვა ბუდამ, – არ არსებობს არანაირი ღმერთი და არც შეიძლება არსებობდეს. ღმერთი არ არსებობს.

კაცს საკუთარი ყურების არ სჯეროდა:

– რაზე ლაპარაკობთ, – წამოიძახა მან, – მე გავიგე, რომ ამ სოფელში რელიგიური ადამიანი მოვიდა, ამიტომაც მოვედი, რომ მეკითხა, არსებობს კი ღმერთი? რის შესახებ საუბრობთ?

– რომელი რელიგიური ადამიანი? – ჰკითხა ბუდამ, – რომელი ღვთის მორწმუნე? მე ისტორიაში უდიდესი ათეისტი ვარ.

ის კაცი გაქვავდა. შესაძლოა, ჩვენ ჩავწვდეთ ამ კაცის დაბნეულობას, მაგრამ იქვე იყო ანანდა, ბუდას მოწაფე, რომელიც დაძაბული უსმენდა ამ სიტყვებს. მან ხომ ორივე დიალოგი მოისმინა. ანანდა ძალიან აღელდა, ვერ მიმხვდარიყო. რა ხდებოდა. დილით მისთვის ყველაფერი ნათელი გახლდათ. მაგრამ საღამოხანს რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. „რა მოუვიდა ბუდას?“ ანანდა თავს იმტვრევდა ამ საკითხზე. „დილით

მან თქვა, რომ ის უდიდესი თეისტი იყო, შუადღისას კი უკვე – უდიდესი ათეისტი". ანანდამ გადაწყვიტა, საღამოს, როცა ის მარტო დარჩებოდა, თავად ეკითხა ბუდასთვის ამ ტრასფორმაციის მიზეზი. საღამოს ანანდა უფრო მეტად გაოცდა.

საღამოს ბუდასთან კიდევ ერთი კაცი მივიდა.

– ვერ გავიგე არსებობს თუ არა ღმერთი.

ალბათ, ეს ადამიანი აგნოსტიკი იყო, რომელიც ამტკიცებს, რომ მან არ იცის, არსებობს თუ არა ღმერთი. არავინ იცის ეს, და არავის შეუძლია ოდესმე გაიგოს. ამიტომ ამ კაცმა თქვა:

– მე არ ვიცი, არსებობს თუ არა ღმერთი. რას იტყვით? რას ფიქრობთ?

– თუ თქვენ არ იცით, მაშინ არც მე ვიცი, – უპასუხა ბუდამ, – და კარგი იქნება, თუ დუმილს არ შევინახავთ.

ბუდას პასუხის გაგონებისას ეს კაცი შეწუხდა.

– გამიგია, რომ გასხივოსნებული ხართ, – უთხრა მან, – ამიტომ ვიფიქრე, რომ თქვენ იცით პასუხი.

– ალბათ, არასწორად გაიგეთ, – ივარაუდა ბუდამ, – სრულიად არაფერი ვიცი, რა უნდა ვიცოდე?

შეეცადეთ წარმოიდგინოთ, რას იგრძნობდა ანანდა. შედით მის მდგომარეობაში. ხედავთ მის გასაჭირს? როცა დაღამდა და ყველა წავიდა, ანანდა ბუდას ფეხს შეეხო და ამოილუღლუღა:

– თქვენ გინდათ მომკლათ? რას აკეთებთ? მე თითქმის მოვკვდი! არასდროს ვყოფილვარ ასე აღელვებული და შეშფოთებული, როგორც დღეს. რას ლაპარაკობდით, რას აკეთებდით მთელი დღე? ჭკუიდან შეიშალეთ? დარწმუნებული ხართ იმაში, რაზეც დღეს საუბრობდით? დილით ერთი პასუხი გქონდათ, სადილზე – მეორე, საღამოს კი სრულიად სხვა პასუხი გაეცით ერთი და იმავე კითხვაზე.

– მე ეს პასუხები შენთვის არ გამიცია, – მიუგო ბუდამ, – ამ პასუხებით დაინტერესებული ადამიანები გავისტუმრე. რატომ მოისმინე ეს საუბრები? ფიქრობ, სწორია სხვა ადამიანებთან ჩემი საუბრების მოსმენა?

– აი, ეს მესმის! – გაიკვირვა ანანდამ, – როგორ შეიძლებოდა არ მომესმინა შენი სიტყვები? მე ხომ ამ ოთახში ვიყავი. ყურები კი არ დამცობია! განა შეიძლებოდა შენი სიტყვები არ

მომესმინა, რომც არ მდომებოდა? მე მომწონს შენი საუბარი, და ჩემთვის სულერთია, ვისთან საუბრობ.

– მაშინ რატომ ხარ გაკვირვებული? – ჰკითხა ბუდამ, – მე შენ არ გპასუხობდი!

– შესაძლოა, მე არ მპასუხობდი, – დაეთანხმა ანანდა, – მაგრამ მე გამოუვალ მდგომარეობაში ვარ. გთხოვ, ახლავე მიპასუხე ამ კითხვაზე. რომელი პასუხია ჭეშმარიტი? რატომ მიეცი სამი განსხვავებული პასუხი?

ბუდამ ყველაფერი აუხსნა:

– იძულებული ვიყავი ბალანსისთვის სამი პასუხი გამეცა. ის, ვინც დილით მოვიდა, ათეისტი იყო, მაგრამ არასრულად, რადგან ცხოვრება ურთიერთსაწინააღმდეგო სუბსტანტებისგან შედგება.

დაიმახოვრეთ, რომ ნამდვილი, რელიგიური ადამიანი, ერთი მხრივ, ათეისტია, ხოლო, მეორე მხრივ ღვთის მოწამე. მისი ცხოვრება ორი მხარისგან შედგება, მაგრამ ის ახერხებს ამ დაპირისპირებულ მხარეთა შორის ჰარმონიის შემოტანას. რელიგია სწორედ ამ ჰარმონიაში არსებობს. და ის, ვინც მხოლოდ ღვთის მორწმუნეა, რელიგიური მოწიფულობის უკმარისობას განიცდის. მან, ჯერ კიდევ, ვერ მიაღწია ცხოვრების ბალანსს.

ამგვარად, ბუდამ უპასუხა:

– მომიწია მის ცხოვრებაში წონასწორობა შემომეტანა. მისი ერთი ნაწილი ძალიან მძიმე გამხდარიყო, ამიტომ იძულებული გავხდი, რამდენიმე ქვა მეორე მხარესაც დამედო. ამასთან, მსურდა უძრაობიდან დამეხსნა, რადგან თავი დაირწმუნა, რომ ღმერთი არ არსებობს. უნდა შემერყია მისი თავდაჯერებულობა, რადგან ის, ვინც რწმენაში ასეთი შეუვალი ხდება, კვდება. ხეტიალი უნდა გაგრძელდეს. ძიება არ უნდა შეწყდეს.

– ის, ვინც შუადღისას მოვიდა, თეისტი იყო. მომიწია მისთვის მეთქვა, რომ თეისტი ვარ, რადგან ისიც გაუწონასწორებელი გახლდათ, მანაც დაკარგა ჰარმონია. ცხოვრება – ეს წონასწორობაა. ის, ვინც წონასწორობას აღწევს, ჭეშმარიტებასაც შეიმეცნებს.

მიზეზი, რის გამოც სიკვდილის ხელოვნების დაუფლებისკენ მოგიწოდებთ, იმაში მდგომარეობს, რომ თქვენი ცხოვრება გაუწონასწორებელი გახდა. თქვენ მთელი ძალით ებღაუჭებით

ცხოვრების კიბეს, ამიტომ ყველაფერი ქვად იქცა. ცხოვრება მყარი გახდა, და წონასწორობა დაიკარგა.

იმოძრავეთ წინ. სიკვდილიც მოიწვიეთ. უთხარით: „ჩემთან სტუმრად მოდი. მოდი ერთად ვიყოთ". იმ დღეს, როცა სიცოცხლე დათანხმდება სიკვდილთან ერთად ცხოვრებაზე, ის სიცოცხლის უმაღლეს ფორმად გადაიქცევა. იმ დღეს, როდესაც ადამიანი სიხარულით შეხვდება სიკვდილს, გადაეხვევა მას, ჩაეხუტება, მაშინ ყველაფერი დასრულდება! იმ დღეს, ადამიანს სიკვდილის ნესტარი მოსძვრება. ნესტარი სიკვდილისგან ლტოლვაში, სიკვდილის შიშში მდგომარეობს. როცა ადამიანი წინ წარდგება და სიკვდილს მოეხვევა, ეს უკანასკნელი აგებს, სიკვდილი დაპყრობილია, რადგან ადამიანი, რომელმაც სიკვდილი ჩაიხუტა, უკვდავი ხდება. სიკვდილი მას ვერაფერს დააკლებს. რა უნდა ავნოს სიკვდილმა ადამიანს, რომელიც თავად არის მზად აღსასრულისთვის?

ორი ტიპის ადამიანი არსებობს. ერთს სიკვდილი ეძებს, მეორენი კი თავად ეძებენ მას. სიკვდილი ეძებს მათ, ვინც მისგან გარბის. და არიან ისეთები, რომლებიც ეძებენ სიკვდილს, მაგრამ ის მუდამ მათგან გარბის. ისინი უსასრულოდ ეძებენ, მაგრამ უძლურები არიან იპოვონ სიკვდილი. როგორი ტიპის ადამიანი გინდათ იყოთ: ისეთი, ვინც გარბის სიკვდილისგან, თუ ისეთი, ვინც მას გადაეხვევა? სიკვდილისგან გაქცეული ადამიანი მუდამ დამარცხდება. მთელი მისი ცხოვრება იქნება ხანგრძლივი დამარცხებების ისტორია. ის, ვინც სიკვდილს ეხვევა, მაშინვე იმარჯვებს მასზე და მთელი ცხოვრების განმავლობაში, აირიდებს მარცხს. მისი ცხოვრება ტრიუმფალურ მოვლენად იქცევა.

დიახ, მე ვასწავლი სიკვდილის ხელოვნებას. გასწავლით, როგორ მოკვდეთ, რათა სიცოცხლის მიღწევა შეძლოთ. თქვენ იცით ეს საიდუმლო? იმისთვის, ვინც სიბნელეში ცხოვრებას სწავლობს, ამ სიბნელის მთლიანობაში მიღებისთანავე სიბნელე სინათლით შეიცვლება. იცით იმის შესახებ, რომ ადამიანი, რომელიც სიყვარულით, სიხარულით სვამს შხამს, თითქოს ნექტარს[1] სვამდეს, ამ შხამს ნექტარად აქცევს? თუ ამის შესახებ

[1] ნექტარი – ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთების სასმელი, რომელიც მათ უკვდავებას ანიჭებდა.

არ იცით, მაშინ ეს უნდა გაარკვიოთ. ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ჭეშმარიტება იმაშია, რომ იმისთვის, ვინც შხამს სიყვარულით სვამს, შხამი თავდაპირველ თვისებას კარგავს და ნექტარად გადაიქცევა. ის, ვინც თავად მიიღო სიბნელე მთელი გულით, თავისდა გასაკვირად აღმოაჩენს, რომ სიბნელე სინათლედ გადაიქცა. ის, ვინც ტკივილს ხელგაშლილი მიესალმება, აღმოაჩენს, რომ საერთოდ გამქრალა ტკივილი და მისთვის მხოლოდ ბედნიერება დარჩენილა.

სიმშვიდისა და უშფოთველობის კარი იხსნება მათთვის, ვინც საკუთარი მღელვარებას უსწორებს თვალს და მასთან ცხოვრებას თანხმდება. ეს განცხადება საკამათო ჩანს. თუმცა, დაიმახსოვრეთ, რომ ის, ვინც ამბობს, რომ სიმშვიდის მიღწევა სურს, ვერასდროს იქნება მშვიდი, რადგან იმისი თქმა, რომ: „მინდა სიმშვიდეს მივაღწიო", – თავისი შინაარსით შფოთვის ძიებას ნიშნავს. ადამიანი მშფოთვარეა თავის ამჟამინდელ ყოფაში, და მაინც, არიან ადამიანები, რომლებიც ახალ შფოთს ბადებენ, როცა აცხადებენ: „გვინდა სიმშვიდეს მივაღწიოთ".

ერთხელ, ჩემთან ერთი კაცი მოვიდა. მან თქვა:

– რამანის აშრამში ვიყავი, პონდიჩერიში და რამაკრიშნის აშრამში, ყველა მისი მცხოვრები თვალთმაქცობს. იქ ვერაფერი ვიპოვე. სიმშვიდეს ვეძებდი, მაგრამ ვერსად ვნახე. სიმშვიდის პოვნის მიზნით ორი წელი ვმოგზაურობდი. პონდიჩერიში ვიღაცამ თქვენი სახელი ახსენა. მაშინვე აქ გამოვემართე. სიმშვიდე მინდა.

– ადექით და ახლავე იმ კარში გადით, – ვუპასუხე, – წინააღმდეგ შემთხვევაში მეც თვალთმაქცი გამოვალ.

– რა გინდათ ამით თქვათ? – გაოცდა მთხოვნელი.

– უბრალოდ, წადით, – გავიმეორე, – უკანაც არ მოიხედოთ. სჯობს თავიდანვე დავიცვა თავი თვალთმაქცობის იარლიყისგან.

– მაგრამ აქ იმიტომ მოვედი, რომ სიმშვიდე მომეპოვებინა, – არ წყნარდებოდა მთხოვნელი.

– უბრალოდ, წადით, – ვთხოვე, – და, თუ შეიძლება, გკითხავთ: ვისთან მიხვედით კითხვით, თუ როგორ უნდა გეშინოდეთ? რომელმა გურუმ განგიმარტათ შფოთვის რაობა? რომელ აშრამს ეწვიეთ შფოთვის არსის გასაგებად?

– არსად არ წავსულვარ, – ვერ ხვდებოდა მთხოვნელი.

– თქვენ ჭკვიანი კაცი ხართ, – ვუთხარი, – შეგიძლიათ საკუთარ თავზეც გამოსცადოთ ჭკუიდან გადახრის ეფექტი. მე რა უნდა გასწავლოთ? შემოაბრუნეთ მეთოდი, რომლითაც შფოთვა შექმენით და სიმშვიდეს მოიპოვებთ. ჩემგან რა გინდათ? შეცდომითაც კი არ უამბოთ ვინმეს, რომ ჩემთანაც იყავით. არანაირი კავშირი არ მაქვს იმასთან, რაც თქვენ შეგემთხვათ!

– გთხოვთ, მანახეთ სიმშვიდისკენ სავალი გზა, – იხვეწებოდა ის კაცი.

– თქვენ ეძებთ მეთოდებს, რომლებიც შფოთვის საფუძველს იძლევა, – ავუხსენი, სიმშვიდის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით: მშვიდად იყოთ მაშინ, როცა ღელავთ.

ის, ვინც მღელვარებას ერთიანობაში ღებულობს, ვინც ამ გრძნობას ეუბნება: „დარჩი ჩემთან, დარჩი ჩემს სახლში, როგორც სტუმარი“, უეცრად ხვდება, რომ შფოთვამ მიატოვა. შფოთვა გტოვებთ, როცა თქვენი ტვინის მდგომარეობა იცვლება. მას, ვინც თავად იღებს შფოთვას, გონება უმშვიდდება. როგორ შეიძლება შფოთვა გრძელდებოდეს, როცა გონება დამშვიდებულია?

მიუხედავად იმისა, რომ უარს ვამბობთ შფოთვის მიღებაზე, თავად შფოთვა მაინც ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულების წარმოებულია. ის, ვინც ამბობს, რომ არ იღებს შფოთვას, მშფოთვარე იქნება მომავალშიც, რადგან ეს მიუღებლობაა შფოთვის საფუძველი. ადამიანი ამბობს: „მე არ ვიღებ შფოთვას, არ შემიძლია მივიღო ტანჯვა, არ შემიძლია მივიღო სიკვდილი, არ შემიძლია მივიღო სიბნელე“. შესანიშნავია, არ მიიღოთ ეს ყველაფერი, მაგრამ თქვენ ამ ყველაფრით მომავალშიც იქნებით გარშემორტყმული, იმით, რასაც არ მიიღებთ. ამის სანაცვლოდ, დააკვირდით იმას, რაც თქვენს თავს ხდება, როცა რაღაცას იღებთ, როცა თანხმდებით იმას, რაზეც დათანხმება არავის სურს. და, თქვენდა გასაკვირად, აღმოაჩენთ, რომ მოვლენა, რომელსაც თქვენდამი მტრულად განწყობილად აღიქვამდით, თქვენი მეგობარი გახდა. თუკი მტერს თქვენთან სტუმრობას სთავაზობთ, სხვა რა დარჩენია, გარდა იმისა, რომ მეგობარად გექცეთ?

ამ საკითხებზე მსჯელობა სამ დღეს იმიტომ გაგვიგრძელდა, რომ ვხედავდი, ჩემთან მხოლოდ სიკვდილზე გამარჯვების სურვილით მოდიოდით, ალბათ, ფიქრობდით, რომ რაიმე ისეთ საიდუმლოს გაგიმხელდით, რომლის მეშვეობითაც არასოდეს მოკვდებოდით.

ერთმა კაცმა წერილი მომწერა, რომელშიც ამბობს:
თქვენ გვაჩვენებთ, როგორ უნდა გავიახალგაზრდავოთ სხეული? გვაჩვენებთ ალქიმიურ მეთოდს, რომელიც კვლავ გაგვაახალგაზრდავებს? ამ შემთხვევაში გვიღირს ფულის დახარჯვა თქვენთან მოსასვლელად.

შესაძლოა, თქვენ, ყველანი აქ რაღაც მოსაზრებით მოხვედით. თუ ასეა, მაშინ უნდა გაგაწბილოთ, რადგან მე აქ სიკვდილის ხელოვნებას ვასწავლი. მე გეუბნებით: მოკვდით! ისწავლეთ, როგორ მოკვდეთ. რატომ უნდა გაექცეთ სიკვდილს? მიიღეთ სიკვდილი, იხარეთ მისით. და დაიმახსოვრეთ, რომ მე სიკვდილზე გამარჯვების გასაღებს გაძლევთ. გაახალგაზრდავება არ არის სიკვდილზე გამარჯვების გასაღები. სულაც არ არის მნიშვნელოვანი, რამდენად ღრმად შეხვალთ გაახალგაზრდავების პროცესში, თქვენ ხომ მაინც სიკვდილი მოგიწევთ. სხეული აუცილებლად მოკვდება. გაახალგაზრდავებას მხოლოდ სიკვდილის გადავადება შეუძლია. თქვენ შეძლებთ ოდნავ მეტი ხნით გაექცეთ სიკვდილს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თქვენი პრობლემები უფრო დიდხანს გასტანს და იმის ნაცვლად, რომ სამოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვალოთ, შვიდასი წლისა აღესრულებით. ტანჯვა, რომლის აცილებაც ბევრად ადრე შეგეძლოთ, შვიდასი წლით გახანგრძლივდება. მაშ, რა გამოდის? სამოცდაათწლიანი შფოთვა შვიდას წელს გასტანს, შფოთვა მთელი ამ დროით გაიწელება და გამრავლდება. თქვენი აზრით, სხვა რა შეიძლება მოხდეს?

შესაძლოა, თქვენ არ გადაგხდენიათ მსგავსი რამ, მაგრამ თუ მაინც შეხვდებით იმას, ვინც მოგცემთ ნაყენს და გეტყვით: „დალიე ეს და შვიდას წელს იცხოვრებ“, უპასუხეთ: „მაცალე ერთი წუთით, ყველაფერზე უნდა დავფიქრდე“. არ მჯერა, რომ რომელიმე თქვენგანი დათანხმდება ნაყენის მიღებას, რომე-

ლიც სიცოცხლეს შვიდას წლამდე ახანგრძლივებს. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთივე დარჩებით, როგორც ახლა ხართ. ზუსტად ამ „მე"-ს მოუწევს შვიდას წელს ცხოვრება. ეს კი ძალიან ძვირი დაგიჯდებათ, ასეთ ცხოვრებას ფატალური შედეგები ექნება.

ოდესმე მეცნიერები აღმოაჩენენ მარადიული სიცოცხლის წყაროს. ასეთი აღმოჩენაც ხომ შესაძლებელია. ეს არ არის რთული გასაკეთებელი. დაიმახსოვრეთ, ასეთი ადამიანები გურუს ძიებას დაიწყებენ, გურუსი, რომელიც მათ მალე გარდაცვალების მეთოდს შეასწავლის. ისევე, როგორც დღეს გურუს, რომელსაც სხეულის გაახალგაზრდავება შეუძლია, ადამიანები დაიწყებენ იმის ძიებას, ვინც სიკვდილის მოახლოების საიდუმლოს გახსნის, თან ისე, რომ ვერც ერთმა მეცნიერმა ვერ შეძლოს მათი გადარჩენა. ისინი შეეცდებიან მოატყუონ ხელისუფლება და თავი სიცოცხლისგან გამოიხსნან.

ჩვენ ვერაფრით წარმოგვიდგენია, რომ გახანგრძლივებულ სიცოცხლეს აზრი არა აქვს. ცხოვრების აზრი მაშინ ჩნდება, როცა ჩვენ ვცხოვრობთ. ადამიანს შეუძლია ერთ წამში გაიაროს სისხლსავსე ცხოვრება, იმდენად სავსე, რომელსაც სხვა უამრავი წლის განმავლობაშიც ვერ გაივლიდა. საქმე იმაშია, თუ როგორ ცხოვრობთ, და ასე ცხოვრება მხოლოდ მას ძალუძს, ვისაც შიში არა აქვს. ვის შეუძლია სხვაგვარად? სიკვდილის შიში ადამიანს ძრწოლას აიძულებს. ის უკვე ვერ იქნება მშვიდად. ის გამუდმებით გარბის.

შეგიმჩნევიათ, რომ მსოფლიოში სიჩქარე თანდათანობით იზრდება? ყველაფერი ჩქარობს. რაღაც აზრით, რაკეტა უკეთესია ურემზე, რადგან რაკეტას შეუძლია სწრაფად მიგიყვანოთ სადმე, მაგრამ რატომ უნდა ჩაიციკლო ასე სისწრაფეზე? შესაძლოა, ვერ აცნობიერებთ ამას, მაგრამ ადამიანის მიერ მოძრაობის დაჩქარების ყველა მცდელობა იმ ადგილიდან გაქცევის მცდელობაა, სადაც ის იმყოფება. მას ისე ეშინია იმ ადგილის, რომელშიც თვითონ არის, ისე ეშინია, რომ უნდა გაიქცეს. ის ფიქრობს, რომ ამ ადგილას ყოფნას ნებისმიერ სხვა ადგილას ყოფნა ჯობია.

მთელ ევროპასა და აშშ-ში დასვენების დღეები და დღესასწაულები ძალიან არასასიამოვნო გახდა. ადამიანები ამ

დღეებისგან ჩვეულებრივ დღეებზე მეტად იღლებიან. ადამიანს უჩნდება სურვილი, ჩახტეს ავტომობილში და გასწიოს ორმოცდაათი, ასი ან ორასი მილის მოშორებით, რათა გაიქცეს პიკნიკის ადგილიდან ნებისმიერი მიმართულებით – მთა იქნება ეს, გორაკზე წამომართული ბარი, თუ ზღვის ნაპირი. სწრაფი მოძრაობის მოთხოვნა იქიდან წარმოიშობა, რომ სხვა ადამიანებიც გარბიან, მათაც ეჩქარებათ და, შესაძლოა, პირველებმა მიაღწიონ სიამოვნებას. მათ რომ ჰკითხო, სადა აქვთ მოხვედრის სურვილი, შეიძლება გაუჭირდეთ პასუხის გაცემა, რადგან არ იციან პასუხი. თუმცა, ერთი კი ნათელია: მათ სურთ იმ ადგილიდან გაქცევა, რომელშიც არიან, ანუ სახლიდან, ცოლისგან, სამსახურისგან.

ადამიანი ვერ ახერხებს ცხოვრებას, ამიტომაც გარბის ასე სწრაფად. მას მუდმივად უნდა საკუთარი ავტომობილი ააჩქაროს, რათა სწრაფად მოძრაობის საშუალება მიეცეს. ჰკითხეთ მას, საით მიემართება, სად უნდა მოხვდეს, და ის გიპასუხებთ: „ამის თქმა ეხლა არ შემიძლია, იმიტომ რომ დრო არა მაქვს. რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვხვდე იქ. ჩვენ მთვარეზე უნდა დავეშვათ, ჩვენ მარსზე უნდა დავეშვათ". მთელი ცხოვრება გავრბივართ. რისგან გავრბივართ? რისი გვეშინია? გვეშინია, რომ, ერთი მხრივ, სრულყოფილად ვერ ვიცხოვრებთ, მეორე მხრივ კი, ვგრძნობთ, რომ ახლომყოფი სიკვდილი გამუდმებით თავს დაგვტრიალებს. მაგრამ ყველაფერი ურთიერთკავშირშია. მას, ვისაც სიკვდილის ეშინია, უბრალოდ არ შეუძლია ცხოვრება, მას მერეც შეეშინდება სიკვდილის. მაშ, რა პასუხი უნდა გავცეთ ასეთ ადამიანს?

შენ მეკითხები: „როგორი იქნება პასუხი? როგორი იქნება გადაწყვეტილება?" მე გიპასუხებთ: მიიღე სიკვდილი, მოიწვიე სიკვდილი და უთხარი მას: „მოდი, ცხოვრებაზე მერე ვიდარდებ, მაგრამ თავიდან შენ მოდი, თავიდან შენთან გავერკვევი, რომ ჩემი შფოთვა ერთხელ და სამუდამოდ მორჩეს. მერე კი მშვიდად ვიცოცხლებ. ნება მომეცით, თავიდან საკუთარ თავზე ვიზრუნო, მერე კი დავმშვიდდები და უშფოთველად ვიცხოვრებ". მედიტაცია – ეს სიკვდილის მიღებაა ამ ურთიერთობით მედიტაცია – სიკვდილთან ამგვარი მოწვევის გაგზავნის საშუალებაა. მედიტაციაა პასუხი. ის, ვინც სიკვდილს ამ მონაცე-

მებითურთ იღებს, მაშინვე ჩერდება. მისი სიჩქარე ნულამდე ვარდება.

ოდესმე შეგინიშნავთ ასეთი რამ? როცა მოტოციკლის საჭესთან ბრაზობთ, უფრო მეტად ატრიალებთ გაზის სახელურს. როცა განრისხებული ხართ ავტომობილის საჭესთან. აქსელერატორის პედალს უფრო ძლიერ აწვებით. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ საგზაო კატასტროფები ცუდი გზების გამო კი არ ხდება, არამედ იმის გამო, რომ ადამიანი აქსელერატორის პედალს ბოლომდე აწვება, არეულობა სწორედ ადამიანშია. სიბრაზისას მას კბილი კბილზე აქვს დაჭერილი და უფრო ძლიერად აწვება გაზის პედალს, ასეა თუ ისე, მას თავად სურს კატასტროფაში მოჰყვეს. ის სავსეა რამესთან შეჯახების სურვილით. ცხოვრება იმდენად მოსაწყენი და უაზრო ეჩვენება, რომ მასში აღგზნების შეტანა უნდა, სურს წვენი გამოადინოს, ყოველ შემთხვევაში, რაღაცას მაინც შეეჯახოს, თუ სხვა არაფერია. ის ვარაუდობს, რომ კატასტროფა ახალ ცხოვრებისეულ იმპულსებს შესძენს და შეჯახების წყალობით, თავს კარგად იგრძნობს. ის გრძნობს, რომ სიამოვნებას მიიღებს იქიდან, რომ ცხოვრებაში რაღაც განსაკუთრებული შეემთხვა. რომ მთელი მისი ცხოვრება ტყუილად არ გაიხარჯა.

ევროპასა და აშშ-ში მრავალმა დამნაშავემ აღიარა სასამართლოში, რომ არაფერი ჰქონდათ იმ ადამიანების საწინააღმდეგო, რომლებიც დახოცეს. მათ უბრალოდ სურდათ გაზეთებში საკუთარი სახელი და გვარი ეხილათ, ამისთვის კი ეს ერთადერთი საშუალება იყო. პატიოსანი ადამიანის გვარი არასდროს ჩნდება გაზეთებში, იქ თქვენ მხოლოდ მკვლელებისა და მოძალადეების გვარებს ნახავთ. არსებობს ორი ტიპის მკვლელი: პირველები რაღაც მიზეზით ერთადერთ მკვლელობას სჩადიან, მეორენი კი სჩადიან მასობრივ მკვლელობებს. მე პოლიტიკოსებს ვგულისხმობ. მხოლოდ მათი სახელები იბეჭდება გაზეთებში, დანარჩენ ადამიანებს აიგნორებენ. დაე, პატიოსანი მოქალაქე იყავით, სულერთია, თქვენი სახელი გაზეთებში არ მოხვდება, მაგრამ საკმარისია დაჭრათ ვინმე, რომ თქვენი გვარი მაშინვე მოხვდება სტატიის სათაურში.

სასამართლოში დამნაშავემ აღიარა: „მე არ ვგრძნობდი მტრობას ამ ადამიანისადმი, ადრე ის არც მინახავს. უბრა-

ლოდ, მისი ზურგი დავინახე და დანა გავუყარე. როცა ჩემი მსხვერპლისგან სისხლმა იჩქეფა, სიამოვნება ვიგრძენი, რადგან გავბედე და ბოლოს და ბოლოს, ისეთი საქციელი ჩავიდინე, რომელზეც ადამიანები ბჭობენ, ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ცხოვრებამ ტყუილად არ ჩაიარა. გაზეთები სავსეა ამ შემთხვევისადმი მიძღვნილი მასალებით. მოსამართლეები, მნიშვნელოვანი მოსამართლეები და ადვოკატები, რომლებსაც შავი მანტიები აცვიათ, ძალიან სერიოზულად განიხილავენ ამ შემთხვევას. ამ ყველაფერს რომ ვუყურებ, ვგრძნობ, რომ მეც რაღაც გავაკეთე, რომ მეც არაჩვეულებრივი ადამიანი ვარ".

ის, ვინც სიკვდილს გაურბის, ვისაც სიკვდილის ეშინია, იმდენად ძლიერად არის იმედგაცრუებული, ისე მოწყენილი და სევდიანია, რომ მზადაა უბრალოდ, თავით გადაეშვას სადმე. თუმცა, რაღაცას არ აკეთებს, კერძოდ კი, არ ესალმება სიკვდილს. როგორც კი ადამიანი სიხარულით ეგებება სიკვდილს, იღებს სიკვდილს, მაშინვე მის ცხოვრებაში ახალი კარი იღება, ანუ კარი, რომელსაც მიჰყავს ღვთაებრიობისკენ.

სიტყვა „მოკვდი" ღმერთის ტაძარშია დაწერილი, რომლისგანაც სიცოცხლის ენერგია გადმოდის. „მოკვდი" – ამ წარწერის დანახვისას ადამიანები უკან ბრუნდებიან. ამ ტაძარში არავინ შედის. ეს ძალიან ჭკვიანური, დახვეწილი იდეაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტაძარში ბევრი ადამიანი იქნებოდა, და იქ ყოფნა გაჭირდებოდა. ამიტომ ცხოვრების ტაძრის შესასვლელში კიდია წარწერა „მოკვდი". ის, ვისაც მისი დანახვისას შიში იპყრობს, უკან მოუხედავად გარბის. სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ უნდა ისწავლოთ სიკვდილი.

ცხოვრების ყველაზე დიდი საიდუმლო იმაშია, რომ ისწავლოთ როგორ მოკვდეთ, მიიღოთ სიკვდილი. დაე, წარსული ყოველდღე მოკვდეს. მოდით, მოვკვდეთ ყოველდღე. ჩვენ წარსულს, გუშინდელ დღეს სიკვდილის ნებას არ ვაძლევთ. სამოცდაათი წლის ადამიანი მოგონებებში ინახავს თავისი ბავშვობის ბედნიერ მოგონებებს. მისი ბავშვობა, ჯერ კიდევ, არ მომკვდარა. ის აქამდე ატარებს ბავშობაში დაბრუნების სურვილს. ეს ადამიანი ძალიან მოხუცია იმისთვის, რომ უკან დაბრუნდეს. ის საწოლსაა მიჯაჭვული, მაგრამ მისი ახალგაზრდობა, ჯერ კიდევ, არ მომკვდარა. ის დღემდე ერთი და იმავე

რამეზე ფიქრობს. დღემდე ოცნებობს თავისი ახალგაზრდობისდროინდელ ცნობილ მსახიობებზე, თუმცა, არცერთ მათგანს არ შემორჩა ადრინდელი სილამაზე. მოხუცის თვალწინ ისევ ცოცხლდებიან სურათები, მისთვის არაფერია მკვდარი. სინამდვილეში, ჩვენი გუშინდელი დღე არასდროს კვდება. ჩვენ ვერასდროს ვიკრებთ ვაჟკაცობას სიკვდილისთვის. ჩვენ არასდროს ვაძლევთ რამეს სიკვდილის ნებას და, შესაბამისად, ყოველივე ეს პრობლემებად გვიხვავდება. ჩვენ მკვდარს მკვდრებთან წასვლის უფლებას არ ვაძლევთ, ამის სანაცვლოდ მას შეფუთულს ვინახავთ. ამ სიმძიმის გამო, ჩვენთვის სიცოცხლე აუტანელი ხდება. ამდენად, სიკვდილის ხელოვნების ერთერთი პოსტულატი შემდეგში მდგომარეობს: მიეცით მკვდარს მკვდართან წასვლის ნება.

როცა იესო ტბის ნაპირას გადიოდა, სასწაული მოხდა. ადრიანი დილა იყო, უკვე მზეც უნდა ამოსულიყო, ჰორიზონტი მეწამულისფრად შეიფერა. ერთმა მეთევზემ თევზის დასაჭერად ბადე ტბაში ჩააგდო. როცა მეთევზემ ბადე ნაპირზე ამოსწია, იესომ მას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

– ჩემო მეგობარო, მთელ ცხოვრებას თევზის ჭერაში ატარებ?

ეს კითხვა ბევრჯერ გასჩენია თვით ამ მეთევზესაც. არის კი გონება, რომელშიც არ გაჩენილა მსგავსი კითხვები? რასაკვირველია, შეიძლება დაიჭირო სხვადასხვა თევზი, გამოიყენო სხვადასხვა ბადე, ითევზავო სხვადასხვა ტბაში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში იბადება კითხვა: „ნუთუ, მთელი ცხოვრების განმავლობაში თევზი უნდა დავიჭირო?“

მეთევზე მოტრიალდა, რათა დაენახა იმ კითხვის ავტორი, რომელიც თავში უტრიალებდა. მან იესოს შეხედა. მეთევზემ მისი ნათელი, მომღიმარი მზერა შენიშნა, მისი შინაგანი სამყარო. მან თქვა:

– წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ იცხოვრებ. სად ვიპოვი ტბას? სად ვიპოვი თევზს? სად შევძლებ ბადის მოსროლას თევზის დასაჭერად? მაგრამ მეც ვუსვამ საკუთარ თავს ამ კითხვას, მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა ვითევზაო.

– მეც მეთევზე ვარ, – თქვა მაშინ იესომ, – მაგრამ ჩემს ბადეს სხვა ოკეანეში ვაგდებ. თუ გინდა, წამოდი ჩემთან ერთად,

მაგრამ გახსოვდეს, რომ ახალი ბადის გადაგდება მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ეყოფა სიმამაცე ძველ ბადეზე უარი თქვას. ახლავე დატოვე ძველი ბადე.

შესაძლოა, ეს მეთევზე მართლაც მამაცი ადამიანი აღმოჩნდა. მასავით ვაჟკაცი ადამიანი ცოტაა ამქვეყნად. მან მაშინათვე გაუშვა ხელი თევზით სავსე ბადეს. ალბათ, როგორც მინიმუმ, მისი ამოქაჩვის სურვილიც ექნებოდა, მაგრამ ხომ გაიგონა იესოს ნათქვამი: „ახალი ბადის სროლა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ძველ ბადესთან დამშვიდობების სიმამაცე ეყოფა. ახლავე დატოვე ძველი ბადე".

მეთევზე შეელია ბადეს და იესოს ჰკითხა:

– მითხარით, სად წავიდე?

– როგორც ჩანს, მამაცი ადამიანი ხარ, – უპასუხა იესომ, – სხვა ადგილისკენ გამგზავრების ძალა შეგწევს. გამომყევი!

როცა სოფელს გასცდნენ, ვიღაც კაცი დაეწიათ.

– სულელო, სად მიდიხარ? – იყვირა მან, – შენი ავადმყოფი მამა მოკვდა. სად იყავი? მთელ ტბაზე გეძებდით და შენი დაგდებული ბადე ვიპოვეთ. სად მიდიხარ?

მეთევზემ სთხოვა იესოს:

– მომეცი რამდენიმე დღე, რომ მამაჩემი უკანასკნელ გზაზე გავაცილო. მერე დავბრუნდები შენთან.

იესოს პასუხი წარმოუდგენლად საოცარი იყო:

– სულელო! დაე, მკვდრებმა თავად დამარხონ თავიანთი მკვდრები! რატომ უნდა წახვიდე იქ? გზა გავაგრძელოთ. წამომყევი. ის, ვინც მოკვდა, უკვე მკვდარია, რატომ უნდა იდარდო მის დასაფლავებაზე? ეს ფანდებია, რომელიც მისი სიცოცხლის შენარჩუნებისთვის მოიგონეს. ასე რომ, ის, ვინც მოკვდა, სამუდამოდ მკვდარია. სოფელში ბევრი მკვდარი ადამიანია. ისინი თავად დაასაფლავებენ თავიანთ მკვდარს. წამოდი ჩემთან ერთად.

მეთევზე წუთით დაიბნა. იესომ დაამატა:

– ალბათ, შევცდი, როცა დავიჯერე, რომ მართლა შეგეძლო შენი ძველი ბადის გადაგდება.

მეთევზე რამდენიმე წამი იდგა, შემდეგ კი იესოს გაჰყვა.

– შენ მამაცი ადამიანი ხარ, – დაასკვნა იესომ. – თუ შე-

გიძლია უკან მოიტოვო გარდაცვლილი, მაშინ მართლა შეძლებ სიცოცხლის მიღწევას.

სინამდვილეში, უნდა მოიშორო ის, რაც წარსულში მოკვდა. თქვენ მედიტირებთ, მაგრამ ყოველ ჯერზე მოდიხართ, რომ მითხრათ, რომ არასდროს არაფერი ხდება, რომ თავიდან არასოდეს გშორდებიან ფიქრები. ფიქრები თვითონ კი არ მოდიან თქვენს თავში. საკითხავი ის არის, შელევიხართ თუ არა მათ ოდესმე? თქვენ გამუდმებით ებღაუჭებით მათ. როგორ შეიძლება, ისინი იყვნენ დამნაშავენი თქვენს წარუმატებელ მედიტაციაში? თუ ადამიანს ჰყავს ძაღლი, აჭმევს მას, სახლში აბამს, მერე კი უეცრად გააგდებს, ნუთუ საწყალ ძაღლს შეიძლება დავდოთ ბრალი იმაში, რომ კვლავ პატრონთან ბრუნდება?

თქვენ ძაღლს მუდმივად აჭმევდით, უვლიდით, გიყვარდათ, ეთამაშებოდით, საყელურს არ უკეთებდით, სახლში გყავდათ. მერე უცბად მედიტაცია გადაწვიტეთ და ძაღლს ეუბნებით წავიდეს. ეს როგორ შეიძლება? საბრალო ძაღლი, უბრალოდ ვერ ხვდება, ასე უეცრად რა დაგემართათ, ამიტომ, რაღაც დროის განმავლობაში, თქვენს გარშემო დადის, მერე კი კვლავ გიბრუნდებათ. ის ფიქრობს, რომ, შესაძლოა, ეთამაშებით, რადგან, რაც უფრო აქტიურად აგდებთ, მით უფრო უნდება თამაში, მით უფრო დაჟინებით ბრუნდება თქვენთან. ძაღლი გრძნობს, რომ რაღაც ახალი ხდება, რომ შეიძლება პატრონი კარგ განწყობაზე იყოს, ამიტომ სულ უფრო ინტერესდება თამაშით.

თქვენ მოდიხართ ჩემთან და აღიარებთ, რომ ფიქრები არ განებებენ თავს. და როგორ უნდა დაგანებონ? თქვენ ისინი თქვენივე სისხლით გამოკვებეთ, მიიჩვიეთ, ყელზე საკუთარი გვარ-სახელებით დამშვენებული საყელურები შეაბით. ოღონდ უთხარით ვინმეს, რომ არასწორი ფიქრები აქვს და მაშინვე მოგვარდებათ სიტყვებით: „რას გულისხმობ, როცა ამბობ, რომ არასწორი ფიქრები მაქვს? ჩემს ფიქრები ვერასოდეს იქნება არასწორი!“ ამგვარად, საყელურში გაბმული ფიქრი, რომელსაც თქვენი სახელი აწერია, თქვენვე გიბრუნდებათ. საიდან უნდა იცოდეს თქვენმა ფიქრებმა, რომ მედიტირებთ? თქვენ

ეუბნებით თქვენს ფიქრებს: „გაეთრიე! დაიკარგე!“, მაგრამ ფიქრები, ასე, უბრალოდ, როდი წავლენ.

ჩვენ ვკვებავთ ჩვენს ფიქრებს. ჩვენ ვკვებავთ წარსულის ფიქრებს, ჩვენ განუწყვეტლივ მოვუხმობთ მათ. მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, სურვილი გიჩნდებათ, რომ მათ ხელაღებით დაგტოვონ. ისინი არამც და არამც არ დაგტოვებენ. თქვენ უნდა შეწვიტოთ მათი გამოკვება, თქვენ უნდა შეწყვიტოთ მათი ზრდა.

დაიმახსოვრეთ, თუ ფიქრების მოშორება გსურთ, უნდა შეწვიტოთ ამის გამეორება: „ჩემი ფიქრები“. როგორ შეგიძლიათ მოიშოროთ ის, რასაც თქვენსას უწოდებთ? თუ გსურთ, ფიქრებისგან გათავისუფლდეთ, ნუ გამოხატავთ მათდამი ინტერესს. როგორ შეგელევიან ისინი, როცა ამხელა ყურადღებას უთმობთ? წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შეიტყობენ ფიქრები, რომ უკვე შეიცვალეთ, რომ უკვე არ ინტერესდებით მათი არსებობით?

წარსულის ყველა ჩვენი მოგონება – ეს ფიქრებია. ჩვენ ვებღაუჭებით საკუთარ ფიქრთა სისტემას, არ ვაძლევთ მათ სიკვდილის უფლებას. დაე, თქვენი ფიქრები მოკვდნენ. დაე, მკვდრები მკვდრებად დარჩნენ, ნუ ეცდებით მკვდარს სიცოცხლე შეუნარჩუნოთ. მაგრამ ჩვენ მაინც ვაცოცხლებთ საკუთარ ფიქრებს.

ესეც სიკვდილის ხელოვნების ნაწილია. დაიმახსოვრეთ ეს გასაღებიც: თუ გინდათ სიკვდილის ხელოვნებას დაეუფლოთ, მაშინ მიეცით ნება მკვდარს მოკვდეს. დაე, წარსული იყოს წარსული. თუ რაიმე უკვე არ არსებობს, მაშინ მიეცით მას ნება გაქრეს. არ გინდათ ამ მოვლენის შენახვა მოგონებებში. დაემშვიდობეთ მას, მიეცით ნება წავიდეს თქვენგან. გუშინდელი დღე დასრულდა გუშინ, ეხლა ის აღარ არის, თუმცაღა. მუდმივად გებღაუჭებათ.

აი, კიდევ ერთი პატარა კითხვა.

რა არის ილუზიებით სავსე გონება? რა არის ძალიან ამღვრეული გონება? რას ნიშნავს გონების სიწმინდე?

ეს უნდა გაიგოთ. ამ მოვლენათა გაგება მედიტაციისთვის იმდენადვე სასარგებლო იქნება, რამდენადაც თვით სიკვდი-

ლის ხელოვნების შესწავლა. მან ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა დასვა. ასეთი რამ გვკითხა: „რა არის ამღვრეული გონება?“ მაგრამ აქ ვცდებით. ჩვენ ვამბობთ, რომ გონება ამღვრეულია, არეულია, დაბნეულია. და სწორედ, აქ ვუშვებთ შეცდომას. რაში გამოიხატება ეს შეცდომა? შეცდომა იმაშია, რომ ორ სიტყვას ვიყენებთ: „არეული“ და „გონება“. მაგრამ ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს ასეთი გაგება, ანუ „არეული გონება“. საქმე იმაშია, რომ არეულობის მიზეზი თავად გონებაა და არ არსებობს არანაირი არეული გონება.

გონება – ეს არეულობაა. გონება – ეს არეულობის კიდევ ერთი სახელწოდებაა. არეულობის არარსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გონება დაწყნარდა, ამ შემთხვევაში, გონების არსებობა საერთოდ გამოირიცხება.

მაგალითად, ზღვაში გამძვინვარდა შტორმი და ზღვა არ არის მშვიდი. ამ მოვლენას მშფოთვარე შტორმს უწოდებდით? ვინმე შეარქმევს ამ მოვლენას მშფოთვარე შტორმს? ამას, უბრალოდ, შტორმი დაერქმევა, რადგან შტორმი შფოთვის კიდევ ერთი სახელწოდებაა. როცა შტორმი ჩადგება, შტორმი დაწყნარდაო, ხომ არ იტყვით? თქვენ უბრალოდ იტყვით, რომ შტორმი არ არის.

ასევე გაიგეთ და დაიმახსოვრეთ, რომ გონება – არეულობის კიდევ ერთი სახელია. როცა ჩვენში სიმშვიდე ისადგურებს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ გონება დაწყნარდა, არამედ იმას, რომ გონება საერთოდ არ არსებობს. ჩნდება არაგონებრივი მდგომარეობა. როცა გონება არსებობას წყვეტს, მაშინ იმას, რაც რჩება, ატმანი ჰქვია. ზღვა მაშინაც არსებობს, როცა შტორმი არ არის. როცა შტორმი ჩადგება, ზღვა რჩება. როცა არეული გონება არსებობას შეწყვეტს, მაშინ რაც რჩება, იმას ატმანს ანუ სულს ვუწოდებთ.

გონება – ეს საგანი არ არის. ის არეულობის, ქაოსის მდგომარეობაა. გონება – ეს არ არის უნარი, არ არის ნივთიერება. სხეული ნივთიერებაა, ატმანიც ნივთიერებაა, მაგრამ ის არეულობა, რაც ამ ორი ნივთიერების დამაკავშირებელ ჯაჭვად გვევლინება, უკვე გონებაა. სიმშვიდის მდგომარეობისას რჩება სხეული, რჩება ატმანი, მაგრამ გონება უკვე აღარ არის.

არ არსებობს ისეთი მცნება, როგორიც მშვიდი გონებაა. ეს ჩვენს ენაში მობინადრე და მისივე შექმნილი მცდარი გამოთქმაა. ჩვენ გამოვთქვამთ ფრაზებს: „არაჯანსაღი სხეული“, „ჯანსაღი სხეული“ და ეს ნორმალურია. რა თქმა უნდა, არიან არაჯანსაღი სხეულები, არიან ასევე ჯანსაღი სხეულები. როცა ქრება არაჯანსაღი, რჩება ჯანსაღი სხეული. მაგრამ ეს არასწორია გონებასთან მიმართებაში. არ არსებობს ისეთი გაგება, როგორც „ჯანსაღი გონება“ და „არაჯანსაღი გონებაა“. გონება არაჯანსაღია საკუთარი მიზეზების გამოისობით. თავად მისი ბუნებაა არეულობა. თავად მისი არსებობაა ავადმყოფობა.

ამიტომ ნუ იკითხავთ იმას, თუ როგორ უნდა გადაარჩინოთ გონება არეულობისგან, უმჯობესია იკითხოთ, როგორ გათავისუფლდეთ გონებისგან. იკითხეთ, როგორ შეიძლება მოკვდეს გონება. იკითხეთ, როგორ უნდა გამოეყოთ გონებას. იკითხეთ, როგორ უნდა გათავისუფლდეთ გონებისგან, რა უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ გონება არ არსებობდეს.

მედიტაცია – ეს მეთოდია, რომლითაც შესაძლებელია გონების განადგურება, გონებისგან გამოყოფა. მედიტაცია ნიშნავს გონებისგან გამოსვლას. მედიტაცია ნიშნავს გონებისგან გამოყოფას. მედიტაცია ნიშნავს გონების საქმიანობის შეწყვეტას. მედიტაცია ნიშნავს იმ ადგილიდან გასვლას, სადაც იმყოფება არეულობა. რაც უფრო შორს ხართ არეულობისგან, მით ნაკლებია თქვენში არეულობა, რადგან მას თვით თქვენი არსებობა განაპირობებს. თუკი არეულობას გავეცლებით, ის დასრულდება.

როგორც, მაგალითად, ორი ადამინის ჩხუბი. თქვენ ჩემთან საჩხუბრად მოდიხართ, და, აი, ჩხუბი დაიწყო. თუ ერთი ნაბიჯით უკან დავიხევ, როგორ გაგრძელდება ჩხუბი? ის დასრულდება, რადგან ის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაგრძელდეს, თუკი მასში ჩავერთვები. ჩვენ ვცხოვრობთ გონიერების დონეზე, ჩვენ ზუსტად იქ ვართ, სადაც არეულობა მეფობს, სადაც მუდმივი ქაოსია. ჩვენ არ გვინდა ფეხი მოვიცვალოთ ამ ადგილიდან, თან გვსურს, რომ იქ სიმშვიდემ დაისადგუროს. მაგრამ შეუძლებელია იქ სიმშვიდე იყოს. კეთილი ინებეთ და გადადით გვერდზე, სულ ეს არის.

როგორც კი უკან დაიხევთ, არეულობა მაშინვე მორჩება. მედიტაცია – არ არის ტექნიკა, რომელსაც თქვენი გონებისთვის სიმშვიდე მოაქვს, ეს უფრო გონებისგან გამოყოფის ტექნიკაა. მედიტაცია მეთოდია, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გონებიდან გამოსხლტეთ, არეულობის ტალღებიდან ამოყვინთოთ.

კიდევ ერთმა ადამაინმა დასვა კითხვა, რომელიც წინა კითხვასთანაც კავშირშია. კარგი იქნება, თუ ამ კითხვასაც გაიგებთ. მას აინტერესებს, *რა სხვაობაა მედიტაციაში ყოფნასა და მედიტაციის კეთებას შორის.*

ისეთივე განსხვავებაა, როგორზეც უკვე გესაუბრეთ. თუ ადამიანი მედიტაციას ასრულებს, ის ცდილობს, არეული გონება დაამშვიდოს. რას გააკეთებს ის? ის შეეცდება დაამშვიდოს თავისი გონება. მაგრამ, როცა ადამიანი მედიტაციაშია, ის არ ცდილობს გონების დამშვიდებას. ნაცვლად ამისა, იგი უბრალოდ უსხლტება გონებას.

ქუჩაში მზე ანათებს, მაგრამ თქვენ ხედავთ ადამიანს, რომელიც ქოლგის გახსნას ცდილობს. ქოლგა შეიძლება მზეშიც დაიჭირო. ადამიანს შეუძლია მის ჩრდილქვეშ იდგეს, ან სხვა ჩრდილი მოძებნოს, მაგრამ გონებაში მსგავსი ქოლგების დაკავება შეუძლებელია. ერთადერთი ქოლგა, რომელიც გონებაში შეიძლება არსებობდეს, ფიქრია. მაგრამ ფიქრები არაფერს ცვლიან. ეს იგივეა, ადამიანი თვალდახუჭული იდგეს მზის ქვეშ და ფიქრობდეს, რომ მის თავზე ქოლგაა გაშლილი, და რომ სიცხე ახლა ვერაფერს დააკლებს. მაგრამ ის აუცილებლად იგრძნობს სიცხეს. ეს ადამიანი მზის გაგრილებას ცდილობს. ის ცდილობს „შეასრულოს“ მედიტაცია. მაგრამ არის სხვა ადამიანიც. როცა ქუჩაში მზე აცხუნებს, ის უბრალოდ დგება, სახლში შედის და დუნდება. ის არ ცდილობს მზე გააგრილოს, ის, უბრალოდ, მზისგან მიდის.

მედიტაციის შესრულება გონების შეცვლის ძალისხმევასა და მცდელობას ნიშნავს. მედიტაციაში ყოფნა კი ნიშნავს, რომ გონების შეცვლის მცდელობის არარსებობას გულისხმობს. ამის მაგივრად გონებაში უხმაურო მოძრაობა მიმდინარეობს.

აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ამ ორ მცნებას შორის არსებული განსხვავება. თუკი მედიტაციას ეცდებით,

მაშინ ის არასოდეს გამოგივათ. თუკი შეგნებულად გამოიჩენთ ძალისხმევას, თუკი დაძაბული კუნთებით დაჯდებით, საკუთარ თავს ძალას დაატანთ და გადაწყვეტთ დაამშვიდოთ გონება, მაშინ არაფერი იმუშავებს, რადგან, როგორც არ უნდა იყოს, ვინ გააკეთებს ამას ყველაფერს? ვინ მოახდენს გადაწყვეტილების დემონსტრირებას? ვინ, თუ არა თქვენ?

თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობაში, უკვე არეული და შფოთით მოცული ხართ, უკვე ცდილობთ დამშვიდებას, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ საკუთარი თავის ტკივილს აძლიერებთ. თქვენ ზიხართ პირდაპირ, თქვენ მზად ხართ, და არაფერს აქცევთ ყურადღებას. რაც უფრო ძლიერად შეეხებით, მით უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, და მით უფრო გახანგრძლივდება მზარდი დაძაბულობა. ეს არ არის გამოსავალი. მე, გთხოვთ, მედიტირებას იმიტომ, რომ მედიტაცია – ეს მოდუნებაა. არ არის საჭირო რაიმეს კეთება, უბრალოდ, უნდა მოდუნდეთ.

დარწმუნდით იმაში, რომ გაიგეთ ჩემი. ნება მომეცით, აგიხსნათ საქმის ვითარება ერთი პატარა პრინციპის დახმარებით. კარგად გაითავისეთ. ვიღაც ადამიანი მდინარეში მიცურავს. ის ამბობს, რომ მას სურს მეორე ნაპირს მიაღწიოს. ძლიერი დინებაა და ადამიანი ხელ-ფეხს აქნევს, ცდილობს ჩქარა გაცუროს. ის დაიღალა, ძალა გამოეცალა, მაგრამ მაინც აგრძელებს ცურვას. ეს ადამიანი ძალისხმევას არ იშურებს, რომ იცუროს. ცურვა მისთვის – ძალისხმევაა. მედიტაციის შესრულება – ესეც ძალისხმევაა. მაგრამ არის სხვა მოცურავეც. იმის მაგივრად, რომ იცუროს, უბრალოდ დინებას მიენებდა. მან თავი მდინარეს მიანდო. ის არ მუშაობს ხელებით და ფეხებით, უბრალოდ, ცხოვრობს მდინარეში. მდინარე მიედინება, მდინარესთან ერთად მიედინება ეს მოცურავეც. ის საერთოდ არ ცურავს, უბრალოდ დინებას მიჰყვება. იმისთვის, რომ წყლის ზედაპირზე გადაადგილდე, არაა საჭირო ცურვა. ნაკადის ნებაზე ცურვა – ეს მხოლოდ ძალისხმევის არქონაა.

მედიტაცია – რომელზეც გელაპარაკებით, არ ჰგავს ცურვას. დააკვირდით, როგორ ცურავს მდინარეში ადამიანი და როგორ ცურავს მდინარეში ფოთოლი. მოტივტივე ფოთლის სიხარული და მხიარულება არაამქვეყნიურია. ფოთლისთვის

არ არსებობს არც მფოთვა. არც დაბრკოლება, არც ჩხუბი, არც მღელვარება. ფოთოლი ძალიან ჭკვიანია. რაშია მისი გონიერება? იმაში, რომ მან მდინარე თავის ნავად აქცია და ახლა მასზე მგზავრობს. ფოთოლი მზადაა და მას სურს მიცურდეს სწორედ იქ, საითკენაც მდინარეს მიჰყავს. ფოთოლმა მდინარის მთელ ძალაზე გაიმარჯვა. მდინარეს არ შეუძლია ფოთოლს ავნოს, რადგან ფოთოლი არ ებრძვის მდინარეს. ფოთოლს არ სურს არანაირი წინააღმდეგობის გაწევა. ფოთოლი, უბრალოდ, სეირნობს დინებაში.

ამგვარად, ფოთოლი მდინარესთან სრულ თანხმობაშია. რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ ახლა ის არ ცდილობს მდინარესთან ჰარმონიაში ყოფნას, უბრალოდ მის ტალღებსაა მინდობილი, სულ ეს არის. ის ნებისმიერ იმ მიმართულებას იღებს, რომლისკენაც მიმართავს მდინარე. დაიმახსოვრეთ მოცურავე ფოთოლი. შეგიძლიათ ისე იტივტივოთ მდინარეზე, როგორც ფოთოლმა? თქვენში არ უნდა დაიბადოს ცურვასთან დაკავშირებული არცერთი აზრი, ფიქრის ნატამალიც კი, გონება სავსებით უნდა გამოირიცხოს.

ოდესმე შეგინიშნავთ, რომ ცოცხალ ადამიანს შეუძლია მდინარეში ჩაიძიროს, მაშინ როცა მკვდარი ადამიანი მის ზედაპირზე ცურავს? ოდესმე დაფიქრებულხართ, რატომ ხდება ასე? ცოცხალი ადამიანი იძირება, მკვდარი ადამიანი კი – არასოდეს. რაშია განსხვავება? მკვდარ სხეულში არ არის ძალისხმევა. მკვდარი სხეული არაფერს აკეთებს, მაშინაც კი, თუკი ეს მოუნდება. სხეული ამოდის ზედაპირზე და მასზე ტივტივებს. ცოცხალი ადამიანი შეიძლება ჩაიძიროს იმიტომ, რომ ის ძალისხმევას არ იშურებს, რომ ცოცხალი დარჩეს. გადარჩენის მცდელობისას ის იღლება და ძალაგამოცლილი მიდის ფსკერისკენ. მას არა მდინარე, არამედ მისივე ბრძოლა ძირავს. მდინარეს არ შეუძლია მკვდარი ადამიანის ჩაძირვა, რადგან ის სულაც არ ებრძვის მას. რამდენადაც ის არ იბრძვის, მისი ძალების გამოფიტვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მდინარეს არ შეუძლია მკვდარ ადამიანს რამე ავნოს, ამიტომ ის თავისუფლად ტივტივებს მდინარის ზედაპირზე.

მედიტაცია, რომელზეც ვყვები, ჰგავს თავისუფალ ტივტივს, და არა ცურვას თქვენ უბრალოდ ზედაპირზე უნდა

ილივლივოთ. როცა მთელი სხეულის მოდუნებას გირჩევთ, ეს მისთვის თავისუფლად ტივტივის უფლების მიცემას გულისხმობს. ადამიანი მხარს არ უჭერს თავის სხეულს, არ აბამს საკუთარ თავს თავისივე სხეულის ნაპირზე. თქვენ, უბრალოდ, უშვებთ სხეულს, წყლის ზედაპირზე ლივლივებთ. როცა ზომიერი სუნთქვისკენ მოგიწოდებთ, ნუ ჩაებღაუჭებით სუნთქვის ნაპირს. დატოვეთ ეს ნაპირიც, დაე, თქვენმა სუნთქვამაც თავისუფლად იცუროს. საითკენ გაემართება ამ შემთხვევაში ადამიანი? თუკი თქვენს სხეულს დინებას მიანდობთ, მაშინ თქვენ თქვენს შინაგან სამყაროში ჩაეშვებით. თუ ისევ თქვენს სხეულს მოეჭიდებით, მაშინ კვლავ გარესამყაროსთან იმოძრავებთ.

როგორ შეუძლია ადამიანს მდინარეში შევიდეს, თუკი ის ნაპირს ეჭიდება? მას მხოლოდ ნაპირთან დაბრუნება შეეძლება. თუ ის ნაპირს დატოვებს, პირდაპირ მდინარეში შეცურავს. ამგვარად, ცხოვრების ნაკადი, ღვთებრივი გონის ნაკადი მიედინება ჩვენში, მაგრამ ჩვენ ნაპირს ვებღაუჭებით, ჩვენივე სხეულის ნაპირს.

გაუშვით სხეული. გაუშვით სუნთქვაც. და, აი, უკვე ყველა ნაპირი უკან დარჩა. სად გაემგზავრებით? ახლა თავისუფლად იტივტივებთ ნაკადში, რომელიც თქვენკენ მოემართება. ის, ვინც საკუთარ თავს ამ მიმართულებით ცურვის ნებას მისცემს, ოკეანეს მიაღწევს.

შინაგანი ნაკადი მდინარეს ჰგავს, და ის, ვინც მასში თავისუფლად ტივტივს იწყებს, ოკეანეს აღწევს. მედიტაცია – სწორედ, ეს თავისუფალი ტივტივია. ის, ვინც თავისუფალ ტივტივს სწავლობს, ღვთაებრიობას აღწევს. არ იცუროთ. ის, ვინც ცურავს, გზას სცდება. ის, ვინც ცურავს, საუკეთესო შემთხვევაში, ერთ ნაპირს დატოვებს და სხვა ნაპირს მიადგება. სხვას რას იზამს? სხვას რას უნდა მიაღწიოს მოცურავემ? ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე ცურვას მოჰყვება. ერთი ნაპირი თუ მდინარიდან ამოსვლას გიქადით, მეორეც, სწორედ, ამისთვისაა განკუთვნილი. ღარიბი ადამიანი, რომელმაც ცურვაში საკუთარ თავსაც კი აჯობა, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება მდიდარ ადამიანად იქცეს. სხვა რა უნდა მოხდეს? დიდხანს და ჯიუტად მოცურავე ადამიანმა, რომელიც აქამდე პატარა სკამს

იკავებდა, შესაძლოა, დედაქალაქში მაღალი სკამი დაიკავოს. სხვა რა მოხდება?

ამ ნაპირს სწორედ ისევე ამოყავხართ მდინარიდან, როგორც იმ, მეორე ნაპირს. დვარკის ნაპირი – მდინარიდან ამოსულზე ზუსტად ისეთივეა, როგორიც დელის ნაპირი. და საერთოდაც არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რომელ ქალაქში ხართ. მოცურავეს მხოლოდ ნაპირამდე მიღწევა შეუძლია. მაშ, როგორ იტივტივებს ის თავისუფლად? ვერცერთი ნაპირი ვერ შეუშლის ხელს მას, ვინც ტივტივებს, რადგან მან საკუთარ თავს სიმშვიდეში დანთქმის ნება მისცა. და ნაკადი მას წაიღებს. ბუნებრივია, რომ მას ნაკადი წაიღებს და ისიც ოკეანეში აღმოჩნდება.

თავად მიზანი ოკეანემდე მიღწევაში მდგომარეობს, მდინარეც ოკეანედ გადაიქცევა, ინდივიდუალური ცნობიერება კი ღვთაებრივი ხდება. როცა წვეთი უზარმაზარ ოკეანეში იკარგება, აბსოლუტური ცხოვრების აზრს ვაღწევთ, უმაღლესი ცხოვრების ღვთაებრიობას, თავდაპირველი ცხოვრების მშვენიერებას.

უმაღლესი გაგებით სიკვდილის ხელოვნება – თავისუფალი ტივტივის ხელოვნებაა. ის, ვინც მზადაა სიკვდილისთვის, არასოდეს ცურავს. ის ამბობს: „წამიღე საითაც გინდა, მზად ვარ!"

ბოლო ოთხი დღის განმავლობაში წარმოთქმული ჩემი ყველა სიტყვა ამ ფრაზამდე მიდის. თუმცა, ჩემმა რამდენიმე მეგობარმა დაიჯერა, რომ მე, უბრალოდ, მათ კითხვებს ვპასუხობდი. ისინი მუდმივად მწერდნენ: „თუ შეიძლება, გვითხარით თქვენი აზრი. არ გვიპასუხოთ კითხვაზე ფორმალურად..." თითქოს კითხვებს სხვა ადამიანი პასუხობდა!

საქმე იმაშია, რომ საკიდები უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე მათზე დაკიდული ტანსაცმელი. და ადამიანები ამბობენ: „უბრალოდ, გვანახეთ ტანსაცმელი. რატომ ხარჯავთ ძალისხმევას საკიდებზე ტანსაცმლის დასაკიდად?" მაგრამ რას ვკიდებ ამ საკიდებზე? ყველაფერს, რასაც ვიტყვი, თქვენი კითხვების საკიდებზე დავკიდებ. სწორედ, ასე აზროვნებს ჩვენი გონება.

ერთი ანეგდოტი მსმენია

მოქმედება ცირკში განვითარდა. ცირკის მფლობელი მაიმუნებს ყოველ დილით ოთხ ბანანს აძლევდა, ყოველ საღამოს კი – სამს. ერთხელ, დილით მაღაზიაში ჩასულს არასაკმარისი ბანანი დახვდა, ამიტომ მაიმუნებს სამი ბანანი მისცა. მაიმუნები აჯანყდნენ, ყვირილი მორთეს:

– ჩვენ არ ვართ თანახმა! ჩვენ დილით ოთხი ბანანი გვინდა!

– მოგცემთ საღამოს ოთხ-ოთხ ბანანს, ეხლა კი სამ-სამი აიღეთ, – არწმუნებდა მათ ცირკის მეპატრონე.

მაგრამ მაიმუნები თავისაზე იდგნენ:

– ასეთი რამ ადრე არ ყოფილა. დილით ყოველთვის ოთხ ბანანს ვიღებდით. მოგვეცი ჩვენი ბანანები!

– თქვენ რა, გაგიჟდით? – იყვირა მეპატრონემ, – საღამოს ხომ მაინც მიიღებთ თქვენს ოთხ ბანანს?

– რა ხელი გვაქვს შენს მათემატიკასთან, – გაჯიუტდნენ მაიმუნები, – ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებს, რომ დილას ოთხ-ოთხ ბანანს ვიღებთ. მოგვეცი ჩვენი ბანანები!

მეგობრები მუდმივად მწერენ: „გთხოვთ, გვითხარით თქვენი აზრი. არ გვიპასუხოთ კითხვებზე ფორმალურად“. ნამდვილად არსებითზე ვისაუბრებ, მაგრამ საქმე იმაშია, თუ რას ვიტყვი. კითხვები საკიდებად მადგებიან. ყველაფერს, რასაც ვლაპარაკობ, მათზე ვკიდებ. რა მნიშვნელობა აქვს, კითხვებს ვპასუხობ თუ უბრალოდ ვსაუბრობ? ვინ უპასუხებს კითხვებს? ვინ ისაუბრებს? მაგრამ მეგობრები გრძნობენ, რომ ჩემი სათქმელი უნდა ვთქვა, რადგან ყოველ დილას ისინი ოთ-ოთხ ბანანს იღებენ.

ყოველ სამედიტაციო ბანაკში ორი ლექცია და ოთხი სესია ეძღვნებოდა კითხვა-პასუხს. ამჯერად, თქვენ ყველა ჩვენი შეხვედრა კითხვა-პასუხის სესიად აქციეთ. მაგრამ ეს არაფერს ცვლის. დაიმახსოვრეთ შვიდი ბანანის არითმეტიკა. დააჯამეთ ეს ბანანები. ნუ დათვლით მათ რიგის მიხედვით, თითქოს დილით მაინცდამაინც ოთხი ბანანი გქონდეთ, საღამოს კი – სამი, ან პირიქით. მე თქვენ შვიდივე ბანანი მოგეცით. თუ თვლა აგერევათ, შესაძლოა, არსი დაკარგოთ. ამიტომ დავასრულე იმით, რომ შვიდი ბანანი გაქვთ. ასე რომ. რაც უნდა მეთქვა. ყველაფერი გითხარით.

მერვე თავი

სიცოცხლის არცოდნა – ეს სიკვდილია

ადამიანმა ისიც კი არ იცის, რა არის ცხოვრება. და თუ ჩვენ არ ვიცით, რა არის ცხოვრება, მაშინ შეუძლებელია ვიცოდეთ, რა არის სიკვდილი. ვიდრე ჩვენთვის ცხოვრება უცნობი იქნება, ვიდრე ის გამოცანა იქნება, ადამიანი ვერ შეძლებს სიკვდილის შეცნობას, მისი რაობის გაგებას. ჭეშმარიტება ის არის, რომ სიკვდილი, როგორც ჩანს, იმიტომაც გაჩნდა, რომ წარმოდგენა არ გვაქვს, თუ რა არის სიცოცხლე. მათთვის, ვინც იცის ცხოვრება, სიკვდილი წარმოუდგენელი სიტყვაა. ეს ის არის, რაც არასდროს მოხმდარა, არასდროს ხდება, არასდროს შეიძლება მოხდეს.

სამყაროში რამდენიმე სრულიად ცრუ სუტყვაა. მათში სიმართლის მარცვალიც არ იძებნება. სიტყვა „სიკვდილი“ – ერთ-ერთი მათგანია. ეს მთლიანად ყალბი სიტყვაა. არასდროს არ ხდება ასეთი მოვლენა, როგორიც სიკვდილია. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ კვდებიან ყოველ დღე ადამიანები. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ სიკვდილი გამუდმებით ჩვენ გარშემოა.

ყოველ სოფელს სასაფლაო აქვს. და თუკი, სწორედ გავიგებთ ამას, მაშინ გავაცნობიერებთ, რომ სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, მიწის ნებისმიერ მონაკვეთზე უთვალავი ადამიანის მკვდარი სხეულია დაკრძალული. მიწის ნაკვეთი, რომელზეც ჩვენი სახლები აღვმართეთ, ოდესღაც, სავარაუდოდ, სასაფლაო იყო. მრავალი მილიონი ადამიანი აღესრულა, ადამიანები ყოველ დღე კვდებიან. და მაინც, არ გაიკვირვოთ, თუ ვიტყვი, რომ კაცობრიობის ნებისმიერ ენაში არ არსებობს უფრო ყალბი სიტყვა, ვიდრე „სიკვდილია“.

ტიბეტში ცხოვრობდა მისტიკოსი მარპა. ერთხელ, მასთან კაცი მივიდა და უთხრა:

– მოვედი, რათა სიცოცხლესა და სიკვდილზე გკითხოთ.

მარპამ გადაიხარხარა და უპასუხა:

– თუ შენ გსურს გაიგო სიცოცხლის შესახებ, იქ მოხვედი, სადაც საჭიროა, რადგან მე ვიცი, რა არის სიცოცხლე. რაც შეეხება სიკვდილს, მე ჯერ არ შევხვედრივარ მას და არ ვიცნობ. თუ გინდა, სიკვდილის რაობა გაიგო, შესაბამისი კითხვით იმას მიმართე, ვინც ისედაც მიცვალებულს ჰგავს, ან იმას, ვინც უკვე მკვდარია. მე ვიცნობ სიცოცხლეს და შემიძლია სიცოცხლეზე გელაპარაკო. შემიძლია განახო, რა არის სიცოცხლე, მაგრამ არ ვიცნობ სიკვდილს.

ეს ისტორია ჰგავს ზღაპარს სიბნელესა და სინათლეზე. ალბათ, ის უკვე გსმენიათ. ერთხელ, სიბნელე ეწვია ღმერთს და შეევედრა:

– ღმერთო, ამ შენმა მზემ დამტანჯა. უბრალოდ, ძალა გამომილია. მზე მომდევს გარიჟრაჟიდან, გამთანგავს და მხოლოდ საღამოხანს მტოვებს. რა დავაშავე? რატომ არ ვუყვარვარ მზეს? რატომ დამდევს ან რისთვის მტანჯავს? ძლივს ვითქვამ სულს ცხელი დღის შემდეგ, დილაუთენია კი ვხედავ, რომ მზე კვლავ ჩემს კართან ატუზულა. გადასარჩენად ისევ და ისევ გაქცევა მიწევს. ასე გრძელდება უსასრულოდ. მოთმინება დავკარგე. მეტი აღარ შემიძლია. გთხოვ, ჭკუაზე მოიყვანე მზე.

ამბობენ, რომ ღმერთმა დაუძახა მზეს და უთხრა:

– რატომ დასდევ სიბნელეს? რა დაგიშავა ასეთი? რისთვის არ გიყვარს? რა გაწყენინა სიბნელემ?

– რომელი სიბნელე? – ჰკითხა მზემ, – მთელი მარადისობაა სამყაროში ვმოგზაურობ, მაგრამ არასოდეს შემხვედრია სიბნელე. არ ვიცი, რა არის სიბნელე. სად არის ის? გთხოვ, მომიყვანე, რომ შევძლო მობოდიშება, გავიცნო და ამიერიდან არ გადავეღობო გზაზე.

ამ შემთხვევიდან დიდი დრო გავიდა, მაგრამ ეს საკითხი საკითხადვე დევს უფლის დავთარში. მან, დღემდე, ვერ შეძლო მზესთან სიბნელის მიყვანა. მას არ შეუძლია ამის გაკეთება, და ეს საკითხი არასდროს გადაწყდება. როგორ შეგიძლიათ სიბნელის მიყვანა მზესთან? სიბნელე საერთოდ არ ჩაითვლება დადებითი არსებობის სუბსტანციად. სიბნელე – ეს, უბრალოდ, სინათლის არარსებობაა. როგორ შეიძლება სინათლის არარსე-

ბობის მიყვანა მზესთან? არა, სიბნელეს ვერასდროს მიიყვანთ მზესთან. სიბნელის მიყვანა პატარა სანათთანაც კი გაჭირდება, რომ არაფერი ვთქვათ მზეზე, რომელიც უზარმაზარია. სანათის შუქში სიბნელე ვერაფრით შეაღწევს. სიბნელისთვის რთულია სინათლესთან შეხვედრა. როგორ შეიძლება სიბნელე იყოს იქ, სადაც სინათლეა. როგორ შეიძლება სიკვდილი იყოს იქ, სადაც სიცოცხლეა? ან სიცოცხლე არ არსებობს საერთოდ, ან სიკვდილი არ არის. მაგრამ ორივეს ერთად არ შეუძლია არსებობა.

ჩვენ ცოცხლები ვართ, მაგრამ არ ვიცით, რომ სიცოცხლე არსებობს. და ეს გაურკვევლობა გვაიძულებს გვწამდეს ის, რომ სიკვდილი, მართლაც, რეალურია. გაურკვევლობა – ეს სიკვდილია. თავად სიცოცხლის არცოდნა გვევლინება სიკვდილად. ჩვენ რომ ღვთის ნებით ჩვენში არსებული სიცოცხლის შეცნობა შეგვეძლოს, მაშინ ცოდნის ამ სხივთაგან ერთ-ერთი უსათუოდ მოსპობდა უცოდინარობას, რომელიც ამბობს, რომ ადამიანს შეუძლია მოკვდეს, რომ ვიღაც მოკვდა წარსულში, ან რომ ვიღაც მოკვდება ოდესმე, მომავალში. ჩვენ არაფერი ვიცით სინათლეზე, რომელსაც წარმოვადგენთ, რომელიც ჩვენი სასიცოცხლო ენერგიაა, ჩვენი ცხოვრებაა, ჩვენი არსებობაა, და გვეშინია სიბნელის, რომელთანაც არაფერი გვაქვს საერთო.

ადამიანი არ არის მოკვდავი, ის უკვდავია. მთელი სიცოცხლე უკვდავებაა, მაგრამ ჩვენ არასოდეს ვაქცევთ ყურადღებას უკვდავებას, არასდროს ვეძებთ ცხოვრების მიმართულებას, და ერთ ნაბიჯსაც არ ვდგამთ მისკენ. იმდენად, რამდენადაც ისევ ვერ გაგვირკვევია ცხოვრებასთან დამოკიდებულება, საოცრად გვეშინია სიკვდილის. ამგვარად, საქმე სიცოცხლესა და სიკვდილში კი არ არის, არამედ ხაზგასმით სიცოცხლეშია.

მთხოვეს, მესაუბრა სიცოცხლესა და სიკვდილზე, მაგრამ ეს შეუძლებელია. საქმე მხოლოდ სიცოცხლეშია, არ არსებობს არანაირი სიკვდილი. სიცოცხლე არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი გაიგებს, რომ ის არსებობს, მაგრამ როცა სიცოცხლე შეუცნობელი რჩება, მხოლოდ სიკვდილია. ზოგადად თუ ვიტყვით, სიცოცხლე და სიკვდილი არ თანაარსებობენ. ან ვიცით, რომ ჩვენ ვართ სიცოცხლე, და მაშინ არ არსე-

ბობს სიკვდილი, ან არ ვიცით, რომ სიცოცხლე გვქვია და ამ შემთხვევაში, მხოლოდ სიკვდილია, ყოველგვარი სიცოცხლის გარეშე. ეს მოვლენები არ არსებობს, ამდენად, ისინი ვერ იქნებიან ერთად. მაგრამ ჩვენ, ყველას გვეშინია სიკვდილის.

თავად შიში გვაჩვენებს, რომ არ ვიცნობთ სიკვდილს. სიკვდილის შიშს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს – სიცოცხლის არცოდნა. საქმე იმაშია, რომ სიცოცხლე ყოველ ჩვენგანში ყოველწამიერად ჩქეფს. ის ჩქეფს ყოველ ამოსუნთქვაში, ყოველ ნაწილაკში, ყველგან, შიგნით და გარეთ, და მაინც. რატომ არის ის ჩვენთვის უცნობი? ეს, შესაძლოა, მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდეს: ადამიანს ღრმად სძინავს. მხოლოდ სიზმარში შეიძლება ადამიანმა ვერასოდეს შეიტყოს ის, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ადამიანი ღრმად უგონო მდგომარეობაშია. რაც მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მთელ სასიცოცხლო ენერგიას გამოცლილი აქვს ცნობიერი, ის არ არის გაღვიძებული.

როცა ადამიანს სძინავს, მან არ იცის იმის შესახებ, თუ ვინ არის, საიდანაა – ყველაფერი ძილის უკუნშია ჩაკარგული. მან ისიც კი არ იცის, არსებობს თუ არა თვითონ. ის თავის სიზმარს მხოლოდ გაღვიძების შემდეგ იაზრებს, და მხოლოდ მაშინ იგებს, რომ ეძინა. სიზმარში ადამიანმა არ იცის, რომ სძინავს. როცა არ ეძინა, მან იცოდა, რომ სადაცაა დაიძინებს. ვიდრე ფხიზლობდა, იცოდა, რომ ფხიზლობდა და არ ეძინა. მაგრამ როგორც კი დაიძინებს, მან არ იცის იმის შესახებ, რომ სძინავს, იმიტომ რომ მას რომ შეემჩნია, რომ სძინავს, ეს იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ კი არ სძინავს, არამედ კვლავ ფხიზლობს. იმის შესახებ, რომ ეძინა, ადამიანი მხოლოდ მაშინ იგებს, როცა უკვე აღარ სძინავს. სიზმარში ადამიანმა არ იცის, არსებობს ის, თუ არა.

ცხადია, ადამიანს წარმოდგენა არა აქვს იმაზე, არის თუ არა ის, ანდა ვინ არის სინამდვილეში. ეს მხოლოდ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ადამიანი ღრმა სულიერი, ჰიპნოზური ძილითაა გარემოცული. ამიტომ ვერ ჭვრეტს ის თავად ცხოვრებას, არ იცის, რა არის ცხოვრება. მაგრამ ჩვენ არ ვიღებთ ამ სინამდვილეს. ჩვენ ვიტყვით: „ძალიან კარგად ვიცით, რა რის ცხოვრებაა: ვსუნთქავთ, დავდივართ, ვდგებით, ვჯდებით, გვძი-

ნავს". ალკოჰოლიკს შეუძლია სიარული, სუნთქვა, ამოძრავებს ხელებს და ფეხებს, ლაპარაკობს. შეშლილიც იგივეს აკეთებს, მაგრამ ეს არ ამტკიცებს, რომ ალკოჰოლიკი ფხიზელია, ან შეშლილი – გონზე მყოფი.

ერთხელ, ქალაქში სამეფო პროცესია მიდიოდა. მთავარ მოედანზე კაცი იდგა. მან ეტლებს ქვის სროლა დაუწყო და იმპერატორის მისამართით შეურაცხმყოფელ სიტყვებს ყვიროდა. რამდენადაც, ეს ადამიანი წინ აღუდგა თავად იმპერატორს, იგი მაშინვე დააპატიმრეს და ციხეში ჩააგდეს. მაგრამ როცა ეს ადამიანი იმპერატორს ქვებს ესროდა და შეურაცხყოფდა მას, თავად იმპერატორი იცინოდა. მისი ჯარისკაცები გაოცებულები იყვნენ.

– რატომ იცინით, ბატონო? – ჰკითხვა მას ვეზირმა.

– რამდენადაც მესმის, ამ ადამიანმა არ იცის, რას სჩადის, – უპასუხა იმპერატორმა,

– ვფიქრობ, რომ ის ლოთია. ხვალ ჩემთან მოიყვანეთ.

მეორე დილას ეს ადამიანი იმპერატორთან მიიყვანეს.

– რატომ მაყენებდი ყვირილით შეურაცხყოფას? – ჰკითხა იმპერატორმა, – გუშინ რატომ მლანძღავდი? რაშია საქმე?

– მე? – გაუკვირდა კაცს. – მე გლანძღავდით თქვენ? არა, თქვენო აღმატებულებავ. ალბათ, ჩემს ჭკუაზე არ ვიყავი, ამიტომაც ვამბობდი ასეთ სიტყვებს. ნასვამი ვიყავი, უაზროდ, მე არ ვიყავი მე. წარმოდგენა არა მაქვს, რა ჩავიდინე გუშინ.

ჩვენც ისე ვარსებობთ, თითქოს არც ვარსებობდეთ. დავდივართ, ვლაპარაკობთ, გვიყვარს, გვძულს, ვაჩაღებთ ომებს, მაგრამ ეს ყველაფერი სიზმარში ხდება. რომელიმე შორეული პლანეტიდან რომ გვაკვირდებოდნენ, იქაური არსებები გადაწვეტდნენ, რომ მთელი კაცობრიობა ისე იქცევა, როგორც სიზმარში, უგონო მდგომარეობაში მყოფი. უკანასკნელი სამი ათასი წლის განმავლობაში, ადამიანმა თხუთმეტი ათასი ომი წამოიწყო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანთა რასას ჯერ არ გაუღვიძია.

დაბადებიდან სიკვდილამდე ადამიანის მთელი ბიოგრაფია შფოთვაზე, უბედურებაზე, ტკივილსა და სიკვდილზე გადის. ადამიანი ვერ პოულობს წამიერ ღვთაებრიობასაც კი, ცხოვრებაში მისხალ სიხარულსაც ვერ განიცდის. ის ვერასოდეს

აცნობიერებს იმას, თუ რა არის სიხარული. ცხოვრება მიდის, ადამიანი კი სიხარულის სხივის გარეშე რჩება. როგორც ჩანს, შეუძლებელია ითქვას, რომ ადამიანი ცნობიერში ცხოვრობს. უბედურება, ტკივილი, შფოთვა, მწუხარება და შეშლილობა ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ამას ვერასდროს ვამჩნევთ, რადგან გარშემომყოფებს ზუსტად ისევე სძინავთ, როგორც ჩვენ.

ხანდახან, როცა გაღვიძებული ადამიანი იბადება, ჩვენ, მძინარე ადამიანები, ისე ძლიერ ვბრაზობთ მასზე, რომ მაშინვე მოვუსწრაფებთ სიცოცხლეს. დიდი ხნით ვერ ვეგუებით მის არსებობას. იესოს ჯვარცმის მიზეზი შეიძლება ამგვარად გადმოვცეთ: „შენ გამოღვიძებული ადამიანი ხარ და ამაშია შენი დანაშაული. ჩვენ, მძინარე ადამიანები, შენი გაღვიძების ხილვისას შეურაცხყოფილად ვგრძნობთ თავს. ჩვენისთანა ადამიანებისთვის, რომლებსაც სძინავთ, შენ უღირსობის სიმბოლო გახდი, შენ გაღვიძებული ხარ და შენი ყოფნა ჩვენს ძილს არღვევს. ჩვენ მოკლავთ შენ“. ასე ვალევინებთ სოკრატეს შხამს, მანსურას ჩამოვახრჩობთ. გაღვიძებულ ადამიანებს ისევე ვექცევით, როგორც ფსიქიატრიული საავადმყოფოში მას, ვინც არ არის შეშლილი.

ერთხელ, ერთი ჩემი მეგობარი ჭკუიდან შეიშალა. ის ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. ერთხელ, აშლილობის მომენტში, მან მთელი სათლი ქიმიური ხსნარი დალია, რომელიც საპირფარეშოს გასაწმენდად დაეტოვებინათ. ორი კვირა ავამდყოფობდა. იტანჯებოდა გამუდმებული გულისრევითა და ფაღარათით. ამ პროცესებმა ისე შეაჯანჯღარა ორგანიზმი, რომ ის გამოჯანსაღდა, თითქოს სხეულიდან ზედმეტი სიცხე გამოდევნესო. სინამდვილეში, ფსიქიატრიულში ნახევარი წელი უნდა გაეტარებინა, მაგრამ ეს ვადა, კიდევ სამი თვით, გაუხანგრძლივეს, მიუხედავად იმისა, რომ უკეთ იყო.

როგორც მოგვიანებით მიამბო, ფსიქიატრიულში გატარებული დამატებითი სამი თვე ჯოჯოხეთზე საშინელი აღმოჩნდა. ის ყვებოდა: „ყველაფერი ნორმალურად იყო, როცა შეშლილი ვიყავი, რადგან ყველა დანარჩენი პაციენტი მე მგავდა. მაგრამ როგორც კი გამოვჯანმრთელდი, ვერ ვხვდებოდი, სად ვიყავი. ღრმად მეძინა, როცა უცებ ორი ადამიანი დამეძგერა

დერეფანში მივდიოდი და ვიღაცამ ხელის კვრა დამიწყო. ადრე არასდროს შემიმჩნევია ასეთი რამ, რადგან მეც შეშლილი ვიყავი. შეშლილ მდგომარეობაში ვერასდროს ვაცნობიერებდი, რომ ჩემ გარშემო მხოლოდ შეშლილები იყვნენ. მხოლოდ შეშლილობის მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ადამიანები შეშლილები იყვნენ".

„საკმარისი იყო შეშლილი არ ვყოფილიყავი, რომ სხვა პაციენტების სამიზნე გავმხდარიყავი. სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ ვიცოდი, რომ სრულიად ჯანმრთელი ვიყავი და შიშით ვფიქრობდი იმაზე, თუ რა მომივიდოდა ახლა. როგორ გამეძლო ამ ყველაფრისთვის? ყვირილი რომ დამეწყო, არ ვარ შეშლილი-მეთქი, მაინც ვერაფერს შევცვლიდი, რადგან ყველა შეშლილი, სწორედ, ამას გაჰყვირის. არც ერთი ექიმი არ იყო მზად, ჩემი დაეჯერებინა".

ჩვენ გარშემორტყმულები ვართ მძინარე ადამიანებით, ამიტომ ვერ ვაცნობიერებთ, რომ ასევე გვძინავს. მაშინვე ვკლავთ იმას, ვინც გამოღვიძებულია, რადგან გვეჩვენება, რომ ჩვენთვის უბედურება მოაქვს, ის ძალიან გვანერვიულებს.

ერთმა ბრიტანელმა მეცნიერმა, კენეტ უიკერმა მისტიკოს გურჯიევს თავისი წიგნი მიუძღვნა, რომელსაც შესანიშნავი, უნიკალური რამ წააწერა: „გიორგი გურჯიევს, რომელმაც დაამსხვრია ჩემი ძილი".

სამყაროში ცოტაა ისეთი მოაზროვნე, ვინც ადამიანის ძილის გაფანტვა სცადა. მაგრამ ვინმეს ძილის დაფრთხობას თუ შეეცდებით, აუცილებლად მოგიზღავენ სამაგიეროს. არც კი სცადოთ მძინარე ადამიანის გაღვიძება, ის ხომ მაშინვე ყელში გწვდებათ. აქამდე იმას ვუჭერთ ყელში, ვინც ადამიანი სულიერი ძილისგან გამოყვანაზე ზრუნავს. ჩვენ ვერ ვამჩნევთ ამას, რადგან განურჩევლად ყველას გვძინავს.

ასეთი ისტორია მსმენია. ერთი ჯადოქარი ქალაქში შევიდა, ჭაში ფხვნილი ჩაყარა და განაცხადა, რომ ის, ვინც ამ ჭიდან წყალს დალევდა, ჭკუიდან შეიშლებოდა. ქალაქში კი ეს ერთადერთი ჭა იყო. მეორე ჭა მეფის სასახლეში მდებარეობდა. საღამოს ქალაქის ყველა მცხოვრებს მოსწყურდა, ამიტომ, შეშლილობის საფრთხის მიუხედავად, ადამიანებმა ჭიდან წყლის დალევა დაიწყეს. აბა, რამდენ ხანს უნდა გაეძლოთ? ისინი

უძლურები იყვნენ. ამიტომ საღამოს მთელი ქალაქი შეშლილებით აივსო.

მეფე და დედოფალი ბედნიერები იყვნენ, რომ მათ ქალაქის ჭიდან არ მოუწიათ წყლის დალევა და არ შეიშალნენ. მეფის მინისტრებსაც უხაროდათ, რომ შეშლილობას გადაურჩნენ. სასახლეში მუსიკა ისმოდა, მსახურები გადარჩენას ზეიმობდნენ, მაგრამ საღამოსკენ გააცნობიერეს, რომ შეცდნენ. სასახლეს ხალხის ნაკადი შემოერტყა, ყველანი შეშლილები იყვნენ. დაცვა და სამეფო გვარდიის ჯარისკაცებიც ჭკუიდან შეიშალნენ. ხალხმა ალყაშემორტყმულ სასახლეს შეჰყვირა: „როგორც ვხვდებით, ჩვენი მეფე ჭკუიდან შეიშალა. ვერ შევეგუებით იმას, რომ ტახტზე შეშლილი მეფე გვეჯდეს!“

სასახლის კოშკიდან მეფემ დაინახა, რომ ვერსად გაიქცეოდა, რომ ყველა მიმდებარე ქუჩა სავსე იყო შეშლილი მასით. მეფეს შეეშინდა და რჩევისთვის თავის მინისტრებს მიმართა. „რა მოხდება? – შფოთავდა მეფე, – ვიფიქრეთ, რომ გაგვიმართლა, იმიტომ რომ საკუთარი ჭა გვაქვს. მაგრამ ახლა მისი არსებობა ძვირად დაგვიჯდება“.

ადრე თუ გვიან, ყველა მეფეს ძვირის გადახდა უწევს, რადგან ისინი განსაკუთრებულ ჭებს ფლობენ. ეს მთელ მსოფლიოში ასეა. ის, ვინც ახლახან გახდა მეფე, აუცილებლად მიხვდება, რომ ცალკე გათხრილი ჭა მას ცუდად შემოუბრუნდება. საშიშია განსაკუთრებული ჭის ქონა.

მაგრამ ამ მომენტამდე მეფემ ვერ გააცნობიერა, რომ ის ცალკე ჭას ფლობდა. ამიტომ სთხოვა რჩევა თავის ვეზირს. ვეზირმა უპასუხა:

_ ახლა საქმეს ვერანაირი რჩევა ვერ უშველის. გაიქეცით უკანა ეზოდან, დალიეთ ქალაქის ჭიდან წყალი და გამოიქეცით უკან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრბო სასახლეს ნაცარტუტად აქცევს.

_ გინდა, რომ იმ ჭიდან წყალი დავლიო? – ჰკითხა შეშინებულმა მეფემ, – გინდა, რომ ჭკუიდან შევიშალო?

_ შეგიძლიათ გადარჩეთ, თუკი თქვენც შეიშლებით, – გაიმეორა ვეზირმა.

მეფე და დედოფალი თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ ქალაქის ჭასთან და მისი წყალი დალიეს. იმ ღამეს, ქალაქში უდი-

დესი დღესასწაული გაჩაღდა. ადამიანები გამოხატავდნენ თავიანთ სიხარულს, ისინი მღეროდნენ და ცეკვავდნენ მთელი ღამის განმავლობაში, ღმერთს მადლობას სწირავდნენ იმისთვის, რომ მათი მეფე შეშლილობისგან განკურნა, იმიტომ რომ ახლა მეფეც ხალხთან ერთად ცეკვავდა და ბილწსიტყვაობდა. გონების თვალთახედვიდან მეფე ნორმალური გახდა.

ჩვენ მუდმივად არაცნობიერ მდგომარეობაში ვართ იმის გამო, რომ ჩვენი ძილი საერთოა, უნივერსალურია, რადგან დაბადებიდან გვძინავს. რა შეგვიძლია გავიგოთ ცხოვრებაში ასეთი ძილის მდგომარეობისას? ჩვენ გვესმის მხოლოდ ის, რომ თავად ჩვენი სხეულია ცხოვრება, რომ სხეულში შეღწევა შეუძლებელია. ეს გაუგებრობა იმას უდრის, რომ ადამიანმა სასახლის გარეთა კედელი შეცდომით თავად სასახლედ მიიჩნიოს, ან მოაჯირზე მოსიარულემ ჩათვალოს, რომ ეს სასახლეა, ან მძინარე სასახლის გარეთა კედელს მიეყრდნოს და წარმოიდგინოს, რომ სასახლეში ისვენებს. მას, ვისაც მხოლოდ საკუთარი სხეულის გარშემო არსებულის გაეგება, იმ ბრიყვს ჰგავს, რომელიც, სასახლის კედლებს მიღმა მყოფი, თავს სასახლის სტუმრად წარმოიდგენს.

ჩვენ არ გვაქვს წვდომა სხეულის შიგნით. ჩვენ სხეულის გარეთ ვცხოვრობთ. ჩვენ მხოლოდ სხეულის გარეგნულ მხარეს ვიცნობთ, და ვერასდროს ჩავწვდებით მის შიდა ფენებს. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ როგორია სასახლის შიგნითა კედლები, რომ არაფერი ვთქვათ საკუთრივ სასახლეზე. გარეთა კედლებს თავად სასახლედ მივიჩნევთ, და წარმოდგენა არა გვაქვს კედლების შიდა მხარეზე.

ჩვენ ვიცით ჩვენი სხეული გარედან და არასდროს ვყოფილვართ შიგნით, არ გვინახავს ჩვენი სხეული შიგნიდან. მაგალითად, ყველანი ვსხედვართ ამ ოთახში და მას შიგნიდან ვხედავთ. ის კი, ვინც ქუჩაში მიდის, ამ სახლს გარედან ხედავს. მას არ შეუძლია შიგნიდან დანახვა, როგორც ჩვენ. ადამიანს საკუთარი სხეულის, საკუთარი ოთახის დანახვაც კი არ ძალუძს შიგნიდან, ამიტომ ის მხოლოდ გარედან იცნობს მათ. საქმის ასეთი ვითარება სიკვდილზე ფიქრს ბადებს.

ის, რაც ჩვენ ვიცით გარედან, მხოლოდ ჯავშანია, მხოლოდ გარეგნული საფარი. ეს მხოლოდ და მხოლოდ, სახლის გარეთა

კედელია, და არა სახლის პატრონი. პატრონი სახლშია. მაგრამ ჩვენ ვერასდროს ვხვდებით მას. როგორ გავიცნობთ სახლში მჯდომ პატრონს, თუკი გარე კედელზეც არაფერი ვიცით?

გარეგანი ცხოვრების ეს გამოცდილება სიკვდილის გამოცდილებად იქცევა. როცა ეს განცდა ხელიდან გვისხლტება... იმ დღეს, როცა ადამიანის სასიცოცხლო ენერგია შიგნით იკუმშება (ის ტოვებს სახლს, ანუ სხეულს, და ცნობიერი გარე კედლიდან შიგთავსისკენ მოძრაობს), მაშინ გარედან მოცქირალი ადამიანები გრძნობენ, რომ ადამიანი მკვდარია. და ადამიანიც გრძნობს, რომ ის კვდება. ის მართლა კვდება, იმიტომ რომ მისი ცნობიერი შიგთავსისკენ მოძრაობას იწყებს იმისგან, რასაც ჩვენ სიცოცხლედ აღვიქვამთ.

ცნობიერი მიემართება შიგთავსისკენ იმ დონიდან, რომელზეც, როგორც ვიცით, ცხოვრება იდგა. თავის ახალ გზაზე, უხილავ მოგზაურობაში, მისი სული შიშისგან ყვირილს იწყებს: „მე ვკვდები! მე ვქრები! ყველაფერი იძირება!“, რამდენადაც ის, რასაც ცნობიერი სიცოცხლედ მიიჩნევდა, ნელ-ნელა იძირება, ეცემა. გარშემომყოფნი ფიქრობენ, რომ ადამიანი მოკვდა, და სიკვდილის ამ მომენტში, ცვლილებათა ამ წამს ადამიანიც იმავეს გრძნობს, და ხმამაღლა გაჰყვირის: „ვკვდები! ვკვდები! ვკვდები! მე გავქრი!“

სინამდვილეში ჩვენი სხეული არ წარმოადგენს ჩვენს რეალურ არსებობას. ჩვენ ღრმად, შიგნით, გვყავს არსება, რომელიც სრულიად განსხვავებულია სხეულისგან. ის სხეულის საპირისპიროა. შეხედეთ თესლს. მას ძალიან მკვრივი ქერქი აქვს, რომელიც მასში ჩამალული სიცოცხლის ნაზ, ფაქიზ ჭურჭელს იცავს. ქერქში ძალიან სუსტი ნაზარდია, რომელსაც საგულდაგულოდ ფარავს ჯავშანი. მაგრამ ჯავშანი და კაფსულა – ეს არაა თავად თესლი. თუ ადამიანი თვლის, რომ თესლის ჯავშანი თავად თესლია, მაშინ, ის ვერ შეიცნობს მასში დამალულ ნერგს. ის გამუდმებით ჩაებღაუჭება ჯავშანს, საიდანაც არასოდეს აღმოცენდება ნერგი.

არა, ჯავშანი საფარია, ის არ არის თესლი. პირიქით, სიმართლე იმაშია, რომ როცა თესლი იბადება, თესლის ჯავშანი უნდა გაქრეს, აფეთქდეს, გაცვდეს და მიწაში ჩაინთქეს. როცა

თესლის ჯავშანი გაცვდება, მასში მყოფი ნერგი თავისთავად გამოჩნდება.

ჩვენი ფიზიკური სხეული – ეს ქარქაშია, რომელშიც თესლი დევს. შიგ იმყოფება ნერგი, რომელიც სიცოცხლისგან, ცნობიერისგან, ყოფიერებისგან შედგება. მაგრამ ამ ქარქაშების დათვლისას ჩვენ საკუთარ თავს ვამსხვრევთ, ნერგი არასოდეს იბადება, თესლი არასოდეს ამოდის ზედაპირზე. ადამიანი განიცდის ცხოვრებას, როცა ზედაპირზე ნერგი ამოაღწევს. როცა ნერგი ამოვიდა, ადამიანი წყვეტს თესლად ყოფნას და ხედ იზრდება. ვიდრე ადამიანი თესლია, ის მხოლოდ პოტენციალია, მაგრამ, როცა მასში სიცოცხლის ხე გაიზრდება, ის სრულყოფილი ხდება. ადამიანთა ერთი ნაწილი ამ სრულყოფილებას ეძახის სულს, სხვები კი – ღმერთს.

ადამიანი – ეს უფლის თესლია. ის მხოლოდ თესლია. ხე შეძლებს სიცოცხლის სისავსის განცდას. როგორ შეუძლია თესლს ასეთი მოვლენის განცდა? როგორ შეუძლია თესლს, ოდესმე ხის ღვთაებრიობა შეიცნოს? როგორ შეუძლია თესლს, ოდესმე გაიგოს, რომ ერთხელაც, გამოჩნდება მწვანე ფოთლები, რომლებზეც მზის სხივები ილიცლიცებს? როგორ შეუძლია თესლს ოდესმე გაიგოს, რომ ტოტებსა და ფოთლებში ქარი დაიწყებს ხმაურს და ეს მუსიკა მათში ექოდ გაიჟღერებს? განა შეძლებს ოდესმე თესლი იმის შეტყობას, რომ გაიშლებიან ყვავილები, რომლებიც თვით ვარსკვლავთა სილამაზეს დაჩრდილავენ? განა შეძლებს თესლი ოდესმე გაიგოს, რომ ხის წვერზე მსხდომი ჩიტები იჭიკჭიკებენ, რომ ხის ჩრდილში მოგზაურები დაისვენებენ? განა შეძლებს თესლი ოდესმე შეიცნოს ხის განცდები? თესლს არანაირი წარმოდგენა არა აქვს ამაზე. თესლს ოცნებაც კი არ შეუძლია შესაძლებლობებზე, რომლებიც მისი ხედ გადაქცევის შემდეგ დაესახება. ის ამ შესაძლებლობებს მხოლოდ ხედ არსებობისას გააცნობიერებს.

ადამიანმა არ იცის, რა არის ცხოვრება, რადგან დაიჯერა, რომ ის სავსეა მხოლოდ მაშინ, როცა ის თესლია. ის მხოლოდ მას შემდეგ გებულობს ყველაფერს, რაც მთელი ძალით გამოვლინდება მისი შინაგანი სიცოცხლის ხე. მაგრამ ეს კიდევ დიდხანს არ მოხდება. პირველყოვლისა, ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, რომ ჩვუნში რაღაც განსხვავებული და სხეულისგან განყენე-

ბული არსებობს. ვერასოდეს ვიხსენებთ, ვერაფრით ვწვდებით ამ ფაქტს. ამდენად, ნამდვილი ცხოვრებისეული საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ განვიცადოთ ის, რაც ჩვენშია, და თავი დავანებოთ ვარაუდს, რომ ცხოვრება – ეს მხოლოდ ის არის, რაც გარესამყაროს მოიცავს.

ერთხელ ხეს ვკითხე:

– სად არის შენი სასიცოცხლო წყარო?

მან მიპასუხა:

– ფესვებში, რომლებიც უხილავია.

ხის სიცოცხლე უხილავი ფესვებიდან მოდის, ანუ ხილული ხე სიცოცხლეს უხილავი ფესვებიდან იძენს.

მაო ძედონგმა თავის ბავშობაზე მოთხრობა დაწერა. ის ყვება, რომ ქოხს, რომელშიც დედასთან ერთად ცხოვრობდა, პატარა ბაღი ჰქონდა. დედა, მთელი ცხოვრების განმავლობაში, სიყვარულითა და მზრუნველობით უვლიდა ბაღს. ადამიანები შორიდან მოდიოდნენ, რომ უბრალოდ შეეხედათ ამ ბაღის დიდი, ლამაზი, მშვენიერი ყვავილებისთვის. არ მოიძებნა არც ერთი გულქვა ადამიანი, რომელიც ბაღთან ჩავლისას რამდენიმე წუთით მაინც არ შეყოვნებულიყოს, რათა ამ შესანიშნავი ყვავილებით დამტკბარიყო. სიბერეში დედა ავად გახდა. მაო მაშინ ძალიან პატარა გახლდათ. გვერდით არ აღმოჩნდნენ დიდები, მაგრამ მაომ დედას სთხოვა არ ენერვიულა მცენარეებსა და ყვავილებზე. მან თქვა, რომ იზრუნებდა მათზე.

დღედაღამ, გათენებიდან შებინდებამდე, მაო ჯიუტად შრომობდა ბაღში. დედა ისვენებდა, და დარწმუნებული იყო, რომ ბაღში ყველაფერი რიგზე იყო. ორი კვირის შემდეგ, დედა გამოჯანმრთელდა და ბაღში გავიდა. თვალწინ საშინელი სურათი გადაეშალა. მთელი ბაღი გაფუჭებულიყო. არა მარტო ყვავილები, ფოთლებიც მკვდარი ჩანდა. ხეებიც გულსაკლავად გამოიყურებოდნენ. ალბათ, ამ ასაკოვანმა ქალმა, სწორედ ის განიცადა, რასაც ადამიანი ჩვენს დროში კაცობრიობის ბაღის ხილვისას განიცდის. ყველა ყვავილი გაქრა, ყველა ფოთოლი მოწყდა, ყველა ხემ მოიწყინა.

_ რა ჩაიდინე? – დაიყვირა დედამ და ატირდა. – რას აკეთებდი დილიდან საღამომდე?

მაომაც ცრემლები გადმოყარა.

– ყველა ღონეს ვხმარობდი, – თქვა მან, – მუდმივად ვაცლიდი ყველა ყვავილს მტვერს, დაუზარლად ვწმენდდი მტვერს ფოთლებს. მუდამ ვკოცნიდი ყოველ ყვავილს მორწყვისას. არ ვიცი, რა მოხდა! ძალიან ვცდილობდი, მაგრამ მთელი ბაღი მაინც გაქრა!

მაოს ცრემლების მიუხედავად, დედამ სიცილისგან თავი ვერ შეიკავა.

– სულელო ბავშვო! – წამოიძახა მან, ნუთუ არ იცი, რომ ხეების სასიცოცხლო ენერგია ყვავილებსა და და ფოთლებში არ არის? ეს ენერგია მათ უხილავ ფესვებშია. შენ უაზროდ რწყავდი, ყვავილებსა და ფოთლებს ეამბორებოდი და მათზე აფრქვევდი მთელს შენს სიყვარულს. ნუ მიაქცევ ყურადღებას ყვავილებსა და ფოთლებს. თუ უხილავი ფესვები ძალ-ღონეს იკრებს, მაშინ ყვავილები და ფოთლები თავისთავად ჩნდება, და შენ არ უნდა ინერვიულო მათზე.

მაგრამ ადამიანი ცხოვრებას ყვავილობის გარეგანი იერსახით აღიქვამს და მთლიანად უარყოფს ფესვებს. ადამიანს შინაგანი ფესვები გააჩნია, მაგრამ ისინი მთლიანად უარყოფილია. ადამიანს არც კი ახსოვს, რომ მასში შინაგანი სამყაროა. სინამდვილეში, ყოველივე არსებითი შინაგან სამყაროშია. ჭეშმარიტება შიგნითაა, ენერგია შიგნითაა, ყველა შესაძლებლობა შიგნითაა – ყველაფერი შიგნიდან მომდინარეობს. არსი შიგნითაა, ჩამოყალიბება კი გარეთ ხდება.

ყოველივე ჭეშმარიტი შიგნითაა, ის კი, რაც ვრცელდება და მჟღავნდება – გარეთ. გამოვლინება მხოლოდ გარე სამყაროს თვისებაა, არსება კი შიგნით იმყოფება. მთელი ცხოვრება სიკვდილის შიში გატანჯავს იმას, ვინც გარე გამოვლინებას სიცოცხლედ მიიჩნევს. ისინი ცხოვრობენ ისე, თითქოს მკვდრები არიან. მათ ეშინიათ, რომ ოდესმე, ნებისმიერ წამს მოკვდებიან. სწორედ, ეს ადამიანები ტირიან, რომლებსაც სიკვდილის ეშინიათ. მათ ძნელად გადააქვთ სხვა ადამიანების სიკვდილი. თუმცა, სინამდვილეში, ახლობლის სიკვდილის გამო ტყუილად ტირიან და ქვავდებიან, უბრალოდ, ყოველი სიკვდილი მათ თავის სიკვდილს ახსენებს და, რაც უფრო ახლოა გარდაცვლილი ადამიანი, მით უფრო ხმამაღლა მოთქვამენ. და აი, ადამიანს ურჯოლა აიტანს, შიში იპყრობს და კანკალს იწყებს. ამ მდგო-

მარეობაში ის სასიამოვნოზე ფიქრობს. მისი აზრით, „სული უკვდავია, ჩვენ ღვთაებრივის ნაწილი ვართ, ბრახმანას ფორმა ვართ“. ყველაფერი ეს სისულელეა, მხოლოდ თავის მოტყუებაა.

ძალების მოსაკრებად, ადამიანი, რომელსაც სიკვდილის ეშინია, გამუდმებით იმეორებს: „სული უკვდავია...“ არსებითად ის ამბობს: „არა, მე არ მომიწევს სიკვდილი, სული ხომ უკვდავია“. თუმცა, მისი არსება შიშისგან კანკალებს, ის მაინც ამბობს, რომ სული უკვდავია. თუ ადამიანმა იცის, რომ სული უკვდავია, მაშინ ის, საერთოდ, არ წარმოთქვამს ამ ფრაზას. მან იცის და საკითხი ამოწურულია.

ეს ადამიანები, რომლებსაც სიკვდილის ეშინიათ, განაგრძობენ მის მიმართ შიშს. ამასთან, ისინი ვერ იგებენ ცხოვრების გემოს და იგონებენ ახალ ფანდს, ახალ ტყუილს, თითქოს სული უკვდავია. ამიტომ ძნელია ისეთი ხალხის მოძებნა, რომლებსაც უფრო მეტად შეეშინდებოდათ სიკვდილის, ვიდრე იმ ხალხს, რომლებიც სულის უკვდავებაზე ღაღადებენ. ინდოეთია ასე უბედური. სამყაროს ადამიანთა უმრავლესობას, რომლებსაც სულის უკვდავების სჯერათ, სწორედ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს. ინდოეთში ყველაზე მეტი რაოდენობაა მშიშრების, რომლებსაც სიკვდილის ეშინიათ. როგორ შეიძლება ერთდროულად თანაარსებობდეს სულის უკვდავების რწმენა და სიკვდილის შიში?

მათთვის, ვინც იცის, რომ სული უკვდავია, სიკვდილი არ არსებობს. სიკვდილის შიშმა დატოვა ისინი და ახლა არავის ძალუძს მათი მოკვდინება. უნდა გახსოვდეთ ასევე, რომ მათ ვერავინ მოკლავს, არც თავად უნდა ჰქონდეთ იმის ილუზია, რომ ვინმეს მოკლავენ, რადგან სიკვდილი, როგორც მოვლენა ამ ადამიანებისთვის სამუდამოდ გამქრალია. თქვენ უნდა ჩაწვდეთ ამ საიდუმლოს.

მათ, ვისაც სჯერათ, რომ სული უკვდავია, სინამდვილეში, სიკვდილის ეშინიათ. ისინი, უბრალოდ, იმეორებენ: „სული უკვდავია“. სიკვდილის შიშით ეს ადამიანები ბევრს იმსჯელებენ არაძალადობაზე, და არა იმიტომ, რომ მათ არ სურთ ვინმე მოკლან, არამედ იმიტომ, რომ გულის სიღრმეში არ უნდათ, რომ ისინი ვინმემ მოკლას. ისინი ვარაუდობენ, რომ სამყარო

არაძალდობრივი უნდა გახდეს. მაგრამ რატომ? ამაზე ასე გიპასუხებენ: „ცუდია ადამიანების მკვლელობა". მაგრამ არსებითად პასუხი ასეთია: „გვსურს, რომ ჩვენ არავინ მოგვკლას". რა თქმა უნდა, მკვლელობა ბოროტი ქმედებაა, მაგრამ ამ ადამიანებმა რომ იცოდნენ, რომ სიკვდილი საერთოდ არ არსებობს, მაშინ მათში არ დარჩებოდა სიკვდილისა და მკვლელობის შიშით განპირობებული სიცარიელე. მსგავსი მსჯელობები უადგილო იქნებოდა.

მაგრამ ბრძოლის ველზე კრიშნამ არდჟუნს უთხრა: „ნუ გეშინია, რადგან ეს ადამიანები, რომლებიც შენ წინაშე დგანან, თავიანთ ამჟამინდელ სიცოცხლემდეც არაერთხელ ცოცხლობდნენ. უეჭველია, რომ შენც არსებობდი და მეც. წარსულში ბევრჯერ მოვსულვართ დედამიწაზე და კიდევ არაერთხელ მოვალთ აქ". ამ სამყაროში არასდროს არაფერი ნადგურდება, ამიტომაც არ რჩება სივრცე იმის შიშისთვის, რომ თქვენ მოკვდებით, ან მოგკლავენ. მთავარია, ნამდვილად ვიცხოვროთ. ისინი, ვისაც ეშინია მოკვლის ან იმის, რომ თავად მოკლავენ, ცხოვრების თვალში იმპოტენტები ხდებიან. მათ, ვისაც არ შეუძლიათ სიკვდილი და მკვლელობა, სრულიად ვერ წარმოუდგენიათ, რომ არავის შეუძლია ცოცხალი არსების მოკვდინება, და რომ ეს არსება არც შეიძლება მოკვდეს.

როგორი მშვენიერი გახდება სამყარო, როცა მისი ყველა მცხოვრები გაიგებს იმას, რომ სული უკვდავია! ამ დღეს გაქრება სიკვდილის შიში. სიკვდილის შიში ისევე გაქრება, როგორც მკვლელობის მუქარა. სწორედ, მაშინ გაქრება ომები, მანამდე – არა.

ომები არ შეწყდება მანამ, ვიდრე ადამიანს ეჩვენება, რომ მისი მოკვლა შესაძლებელია, რომ მას სიკვდილი შეუძლია. და არა აქვს მნიშვნელობა, რამდენ არაძალადობას ასწავლის განდი, ან ბუდა, ან მახავირა, არ არის მნიშვნელოვანი, არაძალადობაზე რამდენ გაკვეთილს ჩააბარებენ სამყაროში, ომი ხომ მანამ არ შეწყდება, ვიდრე ადამიანი არ გაითავისებს თავისი შინაგანი სამყაროთი, რომ ყველაფერი მარადიულია. არ იფიქროთ, რომ ისინი, ვინც ხმლის ტრიალში ერკვევა, მამაცები არიან. ხმალი იმის დასტურია, რომ მისი მფლობელი მხდალია. ქალაქის მოედანზე აღმართული ხმლიანი ძეგლები მშიშრების

ძეგლებია. მამაც ადამიანს არ სჭირდება ხელში ხმლის დაჭერა, რადგან მან იცის, რომ მკვლელობა და იყო მოკლული – ეს ინფანტილური ცნებებია.

მაგრამ ადამიანი უცნაურად იტყუებს თავს. ის ისეთ სახეს იღებს, თითქოს იცის, მაგრამ სინამდვილეში არაფრის აზრზე არაა. ეს ყველაფერი შიშის ბრალია. სინამდვილეში ადამიანი შიშითაა შეპყრობილი. არებითად, მან იცის, რომ სიკვდილი მოუწევს, ადამიანები ხომ ყოველდღე კვდებიან. ის ხედავს, რომ მისი სხეული შიგნიდან სუსტდება, რადგან ახალგაზრდობა წავიდა, სიბერე კი ახლოვდება. ის ხედავს, რომ სხეულმა ამოწურა თავისი ძალები, მაგრამ მაინც იმეორებს თავისთვის: „სული უკვდავია". ადამიანი სიტყვებით ცდილობს გააძლიეროს თავისი რწმენა და სიმამაცე და საკუთარ თავს ეუბნება: „ნუ გეშინია. რა თქმა უნდა, სიკვდილი არსებობს, მაგრამ ბრძენი ადამიანები ამტკიცებენ, რომ სული უკვდავია". ადამიანები, რომლებსაც სიკვდილის ეშინიათ, იმ ბრძენი ადამიანების გარშემო იკრიბებიან მასებად, რომლებიც სულის უკვდავებაზე ლაპარაკობენ.

მე არ ვსაუბრობ იმაზე, რომ სული უკვდავია. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ სულის უკვდავების სწავლება იმათი სწავლებაა, ვისაც სიკვდილის ეშინია. სულის უკვდავების ცოდნა სულ სხვა საკითხია. დაიმახსოვრეთ, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ შეიმეცნონ სულის უკვდავება, ვინც სიცოცხლეშივე ატარებს ექსპერიმენტებს სიკვდილზე. ამის შესაცნობად სხვა მეთოდი არ არსებობს. ეს უნდა გაიაზროთ.

სინამდვილეში რა მოსდის სიკვდილს? ყველგან გაფანტული და გავრცელებული მთელი სასიცოცხლო ენერგია იკუმშება და თავის ცენტრს უბრუნდება. ეს მთავარი ენერგიაა, რომელიც აღწევს ჩვენი სხეულის ყველა კუნჭულს, უკან იხევს, უბრუნდება თავის საწყისს. მაგალითად, თუ გაფანტული სინათლის ძალას შეამცირებთ, ის შეიკუმშება და ჩამოწვება ნახევრად ბნელი. შუქი რაღაც მომენტში ერთი წერტილისკენ იქნება მიმართული, თვით ნათურის ახლოს. თუკი სინათლის ძალას კიდევ უფრო შევამცირებთ, მაშინ ის თესლის ფორმაში დაიწყებს არსებობას, და თქვენს გარშემო სიბნელე გამეფდება.

ამრიგად, თქვენი ცხოვრების სასიცოცხლო ენერგია იკუმშება და უბრუნდება თავის ცენტრს. ის კვლავ თესლად, ატომად გადაიქცევა, ახალი მოგზაურობისთვის გამზადებული. ამ შეკუმშვას, მთავარი ენერგიის შემცირებას ადამიანი, ბუნებრივია, გრძნობს და ამბობს: „მე ვკვდები! მე ვკვდები!“ ის, რასაც ადამიანი აქამდე სიცოცხლედ თვლიდა, გასხლტომას იწყებს, ყველაფერი ფერმკრთალდება. საბოლოოდ ადამიანი სასიცოცხლო ძალებს კარგავს, მას უხშირდება სუნთქვა, ცუდად ხედავს, სმენაც უქვეითდება.

სინამდვილეში, ყველა ეს შეგრძნება ცოცხალი იყო, და მთელი სხეულიც ცოცხალი იყო, რაღაც ენერგიის გამო. როცა ამ ენერგიის დონე მცირდება, სხეული, რომელიც თავიდან უსიცოცხლო იყო, კვლავ უსიცოცხლო ხდება. პატრონი წასასვლელად ემზადება, სახლი ცარიელდება და მცირდება. ადამიანი ამას გრძნობს და ამბობს: „მე მივდივარ!“ „მე მივდივარ! მე ვიძირები, ჩემი დასასრული ახლოა“, – ასეთი შეგრძნებები აქვს მას სიკვდილის მომენტში.

იმის ნერვიულ შეგრძნებას, რომ ის კვდება, მშფოთვარე და მელანქოლიურ მდგომარეობას, შიშსა და შფოთვას სიკვდილის გამო, მოახლოებული დასასრულის შეგრძნებას, ადამიანის გონებაში ისეთი ძლიერი ტანჯვა შემოაქვს, რომ მას უკვე აღარ აინტერესებს თავად სიკვდილის გამოცდილება. იმისთვის, რომ შეიმეცნო სიკვდილი, მშვიდად ყოფნაა საჭირო. ამის სანაცვლოდ ადამიანი ისეთ შფოთვას იწყებს, რომ ვერაფრით ხვდება, რა არის სიკვდილი.

ჩვენ ადრეც ბევრჯერ მოვმკვდარვართ, უთვალავჯერ, მაგრამ ვერასდროს მივმხვდარვართ, რა არის სიკვდილი. ყოველ ჯერზე, როცა სიკვდილის წამი დგებოდა, მშფოთვარენი, აღელვებულნი და შეშფოთებულნი ვიყავით – როგორ შეგვეძლო რაიმეს გაგება ამ მდგომარეობაში? როგორი ცოდნა შეიძლება მიიღო ამ შემთხვევაში? სიკვდილი ყოველ ჯერზე მოდის, მაგრამ ჩვენ მას აქამდე არ ვიცნობთ.

არა, შეუძლებელია სიკვდილის შეცნობა სიკვდილის მომენტში, მაგრამ, ეჭვგარეშეა, შესაძლებელია დაგეგმილი სიკვდილის მოწყობა. დაგეგმილი სიკვდილი – ეს მედიტაციაა, იოგა, სამადხი. სამადხი მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: იმ

მოვლენების გამეორება, რომლებიც სხვა შემთხვევაში, მხოლოდ სიკვდილისას ხდება. სამადხის მაძიებელი რეალიზებას უკეთებს ამ მოვლენებს საკუთარი ძალისხმევით, მთლიან ენერგიას შეგნებულად მიმართავს თავის არსებაში. ცხადია, მას არ ექნება შფოთვის განცდა, რადგან ექსპერიმენტისას მიზიდულობას იყენებს, გონებას შინაგანი არსებისკენ მიმართავს. ცივი გონების დახმარებით, ის კუმშავს ცნობიერს თავის თავში. ის თავად აკეთებს იმას, რაც სიკვდილს ხელეწიფება. და ამ დადუმებულ მდგომარეობაში, ის აღმოაჩენს, რომ სასიცოცხლო ენერგია და სხეული – ორი სხვადასხვა მოვლენაა. ნათურა, რომელიც ელექტროობას სინათლედ გადაქცევს, – ერთია, ხოლო ელექტროობა, რომლისგანაც ნათურა სინათლეს წარმოქმნის, სულ სხვაა. როცა ელექტროობა მთლიანად იკუმშება, ნათურა არ ანათებს, ის უსიცოცხლოა.

სხეული სხვა არაფერია, თუ არა ელექტრონული ნათურა. სიცოცხლე – ეს ელექტრობაა, ენერგიაა, სასიცოცხლო ენერგია, რომელიც სიცოცხლეს უჭერს მხარს, სხეულის ცხოველმყოფელობასა და სითბოს ინარჩუნებს.

სამადხის მაძიებელი თავად ხვდება სიკვდილს. რამდენადაც მაძიებელი თავად ხვდება სიკვდილს, ის ჭეშმარიტებას იგებს, ანუ იმას, რომ საკუთარი სხეულისგან დამოუკიდებლად არსებობს. საკმარისია მან შეიტყოს საკუთარი სხეულისგან განცალკევებით ყოფნაზე, სიკვდილის პრობლემა მაშინვე იხსნება. როცა ადამიანი იგებს, რომ სხეული და ყოფიერება ერთმანეთისგან განირჩევა, ის სიცოცხლის შეგრძნებას იწყებს. სიკვდილი და სიცოცხლის შეგრძნება ერთდროულად იწყება, ერთ წერტილში. შეიმეცნეთ სიცოცხლე და სიკვდილი გაქრება. შეიმეცნეთ სიკვდილი და სიცოცხლე გაჩნდება. თუ თქვენ ყველაფერს სწორედ გაიგებთ, მაშინ გაიგებთ იმასაც, რომ ერთი მოვლენის გამოსახატავად მხოლოდ ორი საშუალება არსებობს. ერთი მიმართულების საჩვენებლად ორი საგზაო ნიშანი არსებობს.

ამიტომ გეუბნებით, რომ რელიგია – ეს სიკვდილის ხელოვნებაა. მაგრამ თქვენ, ცხადია, იმასაც მოიგონებთ, რომ არაერთხელ მიწოდებია რელიგიისთვის სიცოცხლის ხელოვნება. რა თქმა უნდა, მე ერთზეც ვსაუბრობ და მეორეზეც, რადგან

მხოლოს მას, ვინც იცის, როგორ მოკვდეს, შეუძლია გაიგოს, რა არის სიცოცხლე. რელიგია – ეს სიცოცხლისა და სიკვდილის ხელოვნებაა. თუ გინდათ გაიგოთ, რა არის ცხოვრება, რა არის სიკვდილი, მაშინ უნდა დაეუფლოთ თქვენივე სხეულიდან ენერგიის ნებაყოფლობით გამოდევნის ხელოვნებას. მხოლოდ მაშინ შეძლებთ სიკვდილის შეცნობას, სხვაგვარად ეს შეუძლებელია. ენერგია შეიძლება გამოდევნო, ეს არ არის ძნელი. ენერგიის სხეულში ჩაბრუნებაც ადვილია. ეს ენერგია განიდევნება და მოიხმობა ნების დახმარებით. ეს ენერგია – უბრალოდ, ნების განვრცობაა. საქმე მხოლოდ ნებაშია. მარტოოდენ მყარი გადაწყვეტილებაა საჭირო საკუთარ თავში გასამგზავრებლად.

თუკი ნახევარი საათით საკუთარ თავში დანთქმას, სიკვდილს, თქვენსავე არსებაში ჩაძირვას, შიგნიდან მთელი თქვენი ენერგიის ამოხაპვას გადაწყვეტთ, მაშინ რამდენიმე დღეში მიუახლოვდებით ენერგიის შეკუმშვის განცდას. ეს იქნება მდგომარეობა, როცა სხეული თქვენგან დამოუკიდებლად იქნება დაწოლილი. სამთვიანი ექსპერიმენტის წყალობით შენიშნავთ, რომ თქვენი სხეული თქვენ გარეშე წევს, შეძლებთ თქვენგან მოშორებით მყოფი თქვენივე სხეულის დანახვას. ჯერ შიგნიდან დაინახავთ, რომ თქვენ თქვენი სხეულიდან მოშორებით დგახართ და ჩირაღდანივით ანათებთ. თქვენ დაინახავთ სხეულს შიგნიდან, ისევე როგორც ამ შენობას ხედავთ. უფრო მეტი სითამამის მოკრების შემდეგ, თქვენ შეძლებთ ამ შინაგანი, ცხოველმყოფელი ჩირაღდნის გარეთ გამოტანას, და უკვე გარედანაც შეძლებთ იმის დანახვას, რომ თქვენი სხეული თქვენგან დამოუკიდებლად წევს.

ნება მომეცით, გაგიზიაროთ ჩემ მიერ შეძენილი წარმოუდგენელი გამოცდილება. ერთხელ ისეთი რამ დამემართა, რომელიც ადრე არასდროს მომიყოლია. დაახლოებით ჩვიდმეტი თუ თვრამეტი წლის წინ, ხის კენწეროზე მჯდომი გვიან ღამემდე ვმედიტირებდი. ხშირად მიგრძვნია, რომ სხეული მეტად ზემოქმედებს ადამიანზე, თუკი ის მიწაზე ზის. სხეული შექმნილია მიწისგან, და სხეულის ძალები ძალიან ეფექტურად მუშაობს, თუკი ადამიანი მიწაზე მჯდომი მედიტირებს.

ყველა მონათხრობი იმაზე, თუ როგორ მიემართებიან იოგები უფრო მაღალი დონეებისკენ, ანუ მთებში, ჰიმალაებში,

უმიზეზოდ არ არსებობს, რამდენადაც იოგების ასეთი ქმედება მეცნიერულია. რაც უფრო დიდია დაშორება სხეულსა და მიწას შორის, მით უფრო სუსტია სხეულის მიზიდულობა მიწასთან. ამიტომ მუდმივად ვმედიტირებდი ყოველ საღამოს, ხეზე მჯდომი. ერთ საღამოს... არ ვიცი, რომელ მომენტში, ღრმა მედიტაციაში ჩავვარდი, არ ვიცი, რომელ წამს გადმოვარდა ჩემი სხეული ხიდან, მაგრამ როცა ეს მოხდა, გაოცებულმა გავახილე თვალი და ვნახე, რაც დამემართა.

მე ისევ ხეზე ვიჯექი, მაგრამ ჩემი სხეული მიწაზე იწვა. მხოლოდ ერთი, ვერცხლისფერი ძაფი მაკავშირებდა ჩემი სხეულის ნაჭუჭთან, ეს ვერცხლისფერი ძაფი მკვეთრად ანათებდა. ის, რაც ამის შემდეგ მოხდა, არ ექვემდებარება ჩემს გაგებას. როგორ დავბრუნდი ჩემს სხეულში?

არ ვიცი რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს მდგომარეობა, მაგრამ განსაკუთრებული გამოცდილება შევიძინე. პირველად დავინახე ჩემი სხეული გარედან და იმ დღის შემდეგ, ჩემმა სხეულმა არსებობა შეწყვიტა. იმ მომენტიდან დავივიწყე სიკვდილი, რადგან სხვა, ამ სხეულზე უკეთესი სხეული ვიხილე, მსუბუქი სხეული შევიგრძენი. რთულია თქმა, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს გამოცდილება.

განთიადისას, ხის გასწვრივ, ორი ქალი მოდიოდა მეზობელი სოფლიდან. მათ თავზე შემოდგმული რძით სავსე ქოთნები მოჰქონდათ. ხესთან მისულებმა მის ქვეშ მწოლიარე სხეული დაინახეს, მიუახლოვდნენ სხეულს და გვერდით მიუსხდნენ. მე ამ ყველაფერს მაღლიდან ვაკვირდებოდი. სავარაუდოდ, ქალებმა გადაწვიტეს, რომ ჩემი სხეული მკვდარი იყო. თავზე ხელი დამადეს და ამ მომენტში, რაღაცამ მთელი ძალით მიმიზიდა სხეულისკენ – კვლავ დავბრუნდი მასში და თვალი გავახილე.

იმ წამს, კიდევ ერთი გამოცდილება შევიძინე, შევიგრძენი, რომ ქალს კაცის სხეულში ქიმიური ცვლილებების წარმოქმნა შეუძლია, კაცსაც შეუძლია იგივე ქალის სხეულში. გაკვირვებული ვაკვირდებოდი, თუ როგორ შეძლო ქალის ერთმა შეხებამ საკუთარ სხეულში დავებრუნებინე. შედეგად, ბევრი ასეთი გამოცდილება დამიგროვდა. სოფლელებმა ამიხსნეს, თუ რატომ იყო, რომ ინდოეთის ტანტრები, რომლებიც აქტიურად

ატარებდნენ ექსპერიმენტს სამადხისა და სიკვდილზე, ინტენსიურად უკავშირდებოდნენ ქალებსაც.

სამადხის ღრმა მღელვარებისას კაცის გაბრწყინებულ სხეულს, მის გამჭვირვალე სხეულს არ შეუძლია ფიზიკურ სხეულში დაბრუნება ქალის დახმარების გარეშე. ზუსტად ასევე ქალის გაბრწყინებული, სიფრიფანა სხეული ვერ დაბრუნდება ფიზიკურ სხეულში, თუ მას კაცი არ დაეხმარება. როცა ქალისა და კაცის სხეული ერთდება, ისინი ელექტრონულ წრეს კრავენ და ცნობიერი, რომელმაც სხეული დატოვა, დაუყოვნებლივ ბრუნდება მასში.

ამ შემთხვევის, შემდეგ ნახევარი წლის განმავლობაში, კიდევ დაახლოებით ექვსჯერ განვიცადე მსგავსი რამ. ამ ხნის განმავლობაში, სულ მცირე ათი წლის სიცოცხლე მომაკლდა. თუ სამოცდაათი წელი უნდა მეცოცხლა, ახლა მხოლოდ სამოც წელს ვიცოცხლებ. ნახევარი წლის განმავლობაში, ისეთი საოცარი გამოცდილება დავაგროვე, რომ მკერდზეც კი გამიჭაღარავდა თმა. ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა.

თუმცა, მოხდა ისე, რომ ფიზიკურ სხეულსა და სიფრიფანა სხეულს შორის კავშირი გაწყდა, და ის ჰარმონია და თანხმობა, რომლითაც ისინი ერწყმოდნენ ერთმანეთს, გაქრა. მივხვდი, რომ მიზეზი, რის გამოც შანკარაჩარია[1] ოცდაცამეტი წლის ასაკში მოკვდა, ხოლო ვივეკანანდა[2] ოცდათექვსმეტი წლის ასაკში, სრულიად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ჩვენ ვფიქრობდით. საქმე იმაშია, რომ ცხოვრება შეუძლებელი ხდება,

[1] შანკარაჩარია – შანკარა, იგივე შანკარაჩარია გახლდათ ინდოელი ფილოსოფოსი (788-820წ.წ.) ვედანტის წამყვანი წარმომადგენელი, რელიგიური რეფორმატორი და პოლემისტი, მისტიკოსი და პოეტი, უპანიშად-ვედანტისა და ბუდიზმის სინთეზის საფუძველზე შექმნა თანმიმდევრული მონისტილური სისტემა - ადვაიტავედანტა.

[2] ვივეკანანდა, სვამი (დ. 12 იანვარი, 1863 – გ. 4 ივლისი, 1902) – XIX საუკუნის ინდოელი ფილოსოფოსი და სულიერი მოძღვარი. იგი თანამედროვე ინდოეთის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნეა. მოღვაწეობდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს. ინდოეთის თვალსაჩინო ფიგურა და ცნობილი მოღვაწე. მას იცნობენ, როგორც „ერისმამას". ვივეკანანდას ნააზრევმა უდიდესი გავლენა მოახდინა ინდოეთის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ხასიათზე, ასევე, ინდური ფილოსოფიის განვითარებაზე.მას უწოდებდნენ „ორატორს ღმერთის უფლებებით". მისი ნაშრომები დღემდე პოპულარულია როგორც ინდოეთში, ისე დასავლეთში.

როცა უეცრად წყდება კავშირი ორ სხეულს შორის. ამან ამიხსნა, თუ რატომ აღესრულნენ კიბოთი რამაკრიშნა[3] და რამანი. ეს არ მომხდარა ფიზიკური სხეულის მიზეზით. მათი გარდაცვალება ფიზიკურ და სიფრიფანა სხეულებს შორის კავშირის გაწყვეტამ განაპირობა.

ადამიანები ფიქრობენ, რომ იოგები ჯანმრთელი ადამიანები არიან, მაგრამ სინამდვილეში სხვაგვარადაა. სიმართლე იმაშია, რომ იოგები მუდამ ავადმყოფობენ და ახალგაზრდულ ასაკში იღუპებიან. ამის ერთადერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ ისინი არღვევენ აუცილებელ თანხმობას ორ სხეულს შორის. როცა სიფრიფანა სხეული ფიზიკურ სხეულს გამოეყოფა, ის უკვე არასოდეს ბრუნდება მასში მთელი სისავსით. მათ შორის არასდროს აღდგება სრული თანხმობა. მაგრამ იმ დროისთვის ეს არცაა საჭირო. თანხმობისთვის მიზეზი არ არსებობს, თანხმობა ყოველგვარ აზრს კარგავს.

ადამიანს, რომელიც ნების ძალას იყენებს, უბრალოდ ნების ძალას, ძალუძს საკუთარი ენერგია შიგნით შეიტრიალოს. ამას აკეთებს მხოლოდ ერთი აზრი, შეგრძნება: „მინდა ჩემს შინაგან სამყაროში გამგზავრება, მინდა დავუბრუნდე საკუთარ თავს, მინდა შიგნით შევტრიალდე, მინდა საკუთარ თავში აღმოვჩნდე". თუ ამგვარი ძლიერი მისწრაფება და შეგრძნება შეგიპყრობთ, თუ მთელი თქვენი არსება აივსება ვნებით, ძლიერი სურვილით, რომ თქვენსავე ცენტრს დაუბრუნდეთ, თუ მთელი თქვენი სხეული დაიწყებს პულსირებას ამ გრძნობით, მაშინ ოდესმე ეს მოხდება და უეცრად დაბრუნდებით თქვენს არსებაში, პირველად დაინახავთ თქვენს სხეულს შიგნიდან.

როცა იოგა ლაპარაკობს ათასობით არტერიასა და ვენაზე, ის არ მსჯელობს ფიზიოლოგიის თვალსაზრისით. იოგებს არაფერი აქვთ საერთო ფიზიოლოგიასთან. ეს შიგნიდან შეიცნობა, ამიტომ, როცა დღეს, ადამიანი თავის სხეულს უყურებს, ის გაკვირვებული კითხულობს, სად არიან ეს არტერიები და ვენები, სად არის შვიდი ჩაკრა, ანუ სხეულის ცენტრები, რო-

[3] რამაკრიშნა პარამაჰამსა (დ. 18 თებერვალი 1836; გ. 16 აგვისტო 1886) ნამდვილი სახელი გადადჰარჩატოპადჰიაი – ინდოელი მისტიკოსი, ბჰაკტის ტრადიციების ხელშემწყობი და ადვაიტა-ვედანტას ფილოსოფიის მასწავლებელი.

მელზეც იოგა მოგვითხრობს? სხეულზე ისინი არსად ჩანან. ჩვენ არ შეგვიძლია მათი დანახვა, რადგან სხეულს გარედან ვუყურებთ.

სხეულის შესწავლა შეიძლება სხვა მეთოდითაც, ანუ შიგნიდან, შიდა ფიზიოლოგიიდან. ეს ფაქიზი ფიზიოლოგიაა. ნერვები, ვენები და სხეულის ცენტრი, რომლის შეცნობაც შესაძლებელია შინაგანი ფიზიოლოგიით, სრულიად განსხვავებული რამეა. თქვენ ვერსად ნახავთ მათ ამ ფიზიკურ სხეულში. ეს ცენტრები სხეულსა და მასში არსებულ სულს აკავშირებს. ისინი სხეულისა და სულის შემაერთებელ წერტილებად გვევლინება.

ყველაზე დიდი დამაკავშირებელი წერტილი – ეს ჭიპია. ალბათ, შეგიმჩნევიათ, რომ თუკი მანქანის ტარებისას ავტოკატასტროფაში მოყვებით, თქვენი ჭიპი პირველი იგრძნობს დარტყმას. ჭიპის ენერგია მაშინვე აღირევა, რადგან ზუსტად აქ მყარდება უდიდესი და უღრმესი ურთიერთობა სხეულსა და სულს შორის. სიკვდილის დანახვისას, პირველ რიგში, ეს ცენტრი აღელდება. როგორც კი სიკვდილი დადგება, ჭიპი წყვეტს კავშირს სხეულის ცენტრთან. ეს სხეულის შინაგანი მოწყობილობაა, ფიზიკური სხეულისა და შინაგანი სხეულის ურთიერთობის შედეგი. ჩაკრები – ეს მათი ურთიერთობის ველია.

ამგვარად, ცხადია, რომ სხეულის შეცნობა შიგნიდან სულ სხვა სამყაროს შეცნობას ნიშნავს, სამყაროსი, რომელზეც თქვენ საერთოდ არაფერი იცით. სამედიცინო მეცნიერებამ არაფერი იცის ამ სამყაროს შესახებ. ეს მოცემულობა რაღაც დროით არ შეიცვლება. როცა ფიზიკურ სხეულთან განცალკევებას განიცდით, სიკვდილის თემას ხურავთ. აცნობიერებთ, რომ სიკვდილი არ არსებობს. ამ დროს, შესაძლებელია მართლა გამოხვიდეთ სხეულიდან და გარედან შეხედოთ მას.

კითხვები, რომელიც სიცოცხლესა და სიკვდილს ეხება, არ წყდება ფილოსოფიური და მეტაფიზიკური აზროვნებით. ის ადამიანები, რომლებიც ამ მოვლენებზე ფიქრობენ, ვერასდროს ვერაფერს აღწევენ. ჩემი სიტყვა ამასთან დაკავშირებით ეგზისტენციალური ხასიათისაა. მოცემულობის – „მე ვარ სიცოცხლე“ შემეცნება ისევე შესაძლებელია, როგორც

მოცემულობისა „მე არ მოვკვდები“. შეიძლება სიცოცხლე ამ გამოცდილებით, შეიძლება ამგვარი ექსპერიმენტების ჩატარება. მაგრამ მათ, ვინც ამბობს: „ჩვენ ვიფიქრებთ იმაზე, თუ რა არის სიკვდილი და რა არის სიცოცხლე“, შეუძლიათ ამაზე მილიონჯერ იფიქრონ, შეუძლიათ იფიქრონ ამაზე ცხოვრებიდან შემდგომ ცხოვრებამდე, მაგრამ ისინი ვერასდროს ვერაფერს შეიტყობენ. სიმართლე რომ ვთქვათ, რა არის აქ საფიქრალი?

ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ იმაზე, რაც ჩვენთვისაა ცნობილი, მაგრამ არაფერი შეგვიძლია განვსაზღვროთ ის, რაც არ ვიცით. თქვენ მხოლოდ იმაზე ფიქრი შეგიძლიათ, რაც იცით. გქონიათ შემთხვევა, როცა იმაზე დაფიქრებულხართ, რაც არ იცით? როგორ შეგიძლიათ ფიქრი იმაზე, როგორ შეგიძლიათ ჩაწვდეთ იმას, რაზეც არაფერი იცით? ჩვენ არ ვიცით, რა არის სიცოცხლე, არც ის ვიცით, რა არის სიკვდილი. მაშ, რაზე უნდა ვიფიქროთ? ამიტომ ვამბობ, რომ ფილოსოფოსების სიტყვებს სიცოცხლესა და სიკვდილზე არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

ის, რაც სიცოცხლესა და სიკვდილზე ფილოსოფიურ წიგნებში წერია, არაფრად ღირს, რადგან ამ ადამიანებმა მხოლოდ თავიანთი ნააზრევი გადმოგვცეს. მაგრამ საქმე მხოლოდ ნააზრევსა და აზრების მიმდევრობაში როდია. ყველა საუბარი სიცოცხლესა და სიკვდილზე, გარდა იოგას საუბრისა, მხოლოდ სიტყვების თამაშია. ის, რაზეც იოგა ლაპარაკობს, ეგზისტენციალურად, ცოცხალ გამოცდილებად უნდა მივიღოთ.

სულის უკვდავება არც თეორიაა და არც იდეოლოგია. ეს ზოგიერთი ადამიანის გამოცდილებაა. როცა ამ მოვლენის განცდის სურვილი გეუფლებათ, უკვე ერთ გამოცდილებასაც შეუძლია იმ გამოცანის გახსნა, თუ „რა არის სიცოცხლე და რა არის სიკვდილი?“ როგორც კი გამოცდილებას შეიძენთ, იმის შესახებაც შეიტყობთ, რომ სიცოცხლე არსებობს, სიკვდილი კი – არა, რომ არსებობს მხოლოდ სიცოცხლე, სიკვდილი კი საერთოდ არ არსებობს. მაშინ იმის თქმასაც შევძლებთ, რომ სიკვდილი გარდამავალია. ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ იმ სახლს ანუ სხეულს ვტოვებთ, რომელშიც ვცხოვრობდით, და ახალი სახლისკენ მოგზაურობას ვიწყებთ. ჩვენ გამოვდივართ სხეულიდან, ერთ სახლს მეორის გამო ვტოვებთ. ამ სახლს

განსაზღვრული შესაძლებლობები აქვს. ეს სახლი – მანქანაა. სხეული იღლება, ძალა ეცლება და ამ დროს აუცილებელია, მას გავეცალოთ.

ამის შესახებ რომ მეცნიერებამ იცოდეს, ადამიანის სხეულს ას, ორას ან სამას წელს შეინახავდნენ. მაგრამ ეს არ დაამტკიცებდა იმას, რომ სული არ არსებობს. ეს იმას დაამტკიცებდა, რომ სულს უკვე არ სჭირდება სახლების ცვლა, რომ მეცნიერებამ უკვე იპოვა გზა სულის ძველი სახლის გასამყარებლად. მიუხედავად ამისა, მეცნიერები ილუზიებმა არ უნდა შეიპყროს იმის გამო, რომ თუ ადამიანის სიცოცხლეს ხუთასი ან ათასი წლით გაახანგრძლივებენ, სულის არარსებობის დადასტურებასაც შეძლებენ. ეს არაფერს დაამტკიცებს. ეს მხოლოდ იმის დემონსტრირებას მოახდენს, რომ სულმა უნდა შეცვალოს სხეულის მიერ გამომუშავებული მექანიზმი. თუკი შესაძლებელი იქნება სხეულის ნაწილების – გულის, თვალების, კიდურების შეცვლა, სულს არ ექნება სხეულის შეცვლის მიზეზი. ამ შემთხვევაში, ძველი სახლიც გამოდგება, რომელსაც უბრალოდ შეაკეთებენ. ეს არაფრით ამტკიცებს, რომ სხეულში სული არ არსებობს.

შესაძლებელია ასევე, უახლოეს მომავალში მეცნიერებამ კიდევ ერთ წარმატებას მიაღწიოს, სინჯარაში განაყოფიერებით, ახალ სიცოცხლეს, ახალ ბავშვს მისცეს დასაბამი. ამ შემთხვევაში, მეცნიერებს შეექნებათ იმის ილუზია, რომ სიცოცხლე სწორედ მათ შექმნეს. ეს არასწორი წარმოდგენა იქნება. ნება მომეცით ვთქვა, რომ ასეთი მიღწევაც არაფერს დაამტკიცებს.

რა ხდება ქალისა და მამაკაცის ერთად ყოფნისას? ისინი არ ქმნიან სულს დედის წიაღში, უბრალოდ ქმნიან სიტუაციას, როცა ჩანასახში შეიძლება შევიდეს სული. როცა ორი ელემენტი ერთმანეთს ხვდება, სულს საშოში შესვლის შესაძლებლობა ეძლევა. შესაძლოა, მეცნიერებმა შექმნან კიდეც ანალოგიური სიტუაცია სინჯარაში განაყოფიერებისას, მაგრამ ეს იგივე არ იქნება, რაც სულის შექმნა.

დედის საშო – მექანიკური სისტემაა, თავისებური სინჯარაა. ეს ბუნებრივი სისტემაა. მალე მეცნიერები სრულად შეისწავლიან იმ ქიმიურ ელემენტებს, რისგანაც მამაკაცის სპერმა და

ქალის კვერცხუჯრედი შედგება, შეძლებენ წარმატების მიღწევას, ლაბორატორიული კვლევების გზით, სინჯარის ბავშვების ჩასახვისთვის. სული, რომელიც ადრე დედის საშოში შედიოდა, სინჯარაში დაისადგურებს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, კი არ დაიბადება სული, არამედ მხოლოდ სხეული მოევლინება ქვეყანას. სული მარტოოდენ სხეულში შევა. დაბადების მოვლენა – ეს ორმაგი მოვლენაა: სხეულის ფორმირება და მასში სულის შესვლა, სული სხეულში გადმოდის.

მომავალს ბევრი საშიშროება მოაქვს სხეულისთვის, რადგან ყოველი ახალი აღმოჩენით მეცნიერება სულ უფრო მეტად დაუმტკიცებს ადამიანს მასში სულის არარსებობას. მაგრამ სულის არსებობა ამგვარი აღმოჩენებით უარყოფილი ვერ იქნება, ისინი მხოლოდ შეასუსტებენ ადამიანის ნებას ჩაუღრმავდეს თავის შინაგანს სამყაროს. თუ სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდისა და სინჯარის ბავშვების შექმნის გამო, ადამიანი იტყვის, რომ სული არ არსებობს, მაშინაც კი არ იქნება უარყოფილი სულის არსებობა, უბრალოდ, შეწყდება ადამიანის შინაგანი ძიების დღემდე მიმდინარე პროცესი. და ეს სამწუხარო ვითარება აუცილებლად დადგება მომავალი ორმოცდაათი წლის განმავლობაში. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, საამისოდ საკმაოდ მყარი საფუძველი ჩაყარეს.

სამყაროში ყოველთვის არიან ღარიბები, უბედურები, საცოდავები, ავადმყოფი ადამიანები, მათ ხანმოკლე სიცოცხლე აქვთ, რადგან ხარისხიანი საკვების ნაკლებობას განიცდიან, არა აქვთ ნორმალური ტანსაცმელი. მაგრამ სულის თვალსაზრისით, ღარიბი ადამიანები არასდროს ყოფილან ისეთი ღარიბები, როგორიც ჩვენს დროს. ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ადამიანმა დაიჯერა ის, რომ მასში არაფერია, ამიტომ არ უჩნდება თავის შინაგან სამყაროსთან დიალოგის სურვილი. როცა კაცობრიობას სჯერა, რომ ადამიანის შიგნით არაფერია, შინაგანი სამყაროს წვდომის ყოველგვარი შესაძლებლობა იკარგება.

შესაძლებელია, ჩვენი მომავალი საშიში და მკაცრი იყოს, ამიტომ აუცილებელია საყოველთაო ექსპერიმენტების ჩატარება, რათა რამდენიმე ადამიანმა თამამად შეძლოს თქმა, არა მხოლოდ სიტყვით და სწავლით, არა მხოლოდ გიტას, ყურანის,

ბიბლიის განმეორებით, არამედ ცოცხალი მტკიცებულებით: „მე ვიცი, რომ სხეული არ ვარ“. ეს განცხადება მხოლოდ სიტყვებისგან კი არ უნდა შედგებოდეს, იგი განმტკიცებული უნდა იყოს ცხოვრების მთელი გზით. მხოლოდ მაშინ შევძლებთ კაცობრიობის გადარჩენას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა სამეცნიერო მიღწევა ადამიანს მანქანად, რობოტად გადააქცევს. იმ დღეს, როცა ადამიანი დაიჯერებს, რომ სხვა არაფერია თუ არა მანქანა, რომ მასში არაფერია, შესაძლოა, მისი შინაგანი სამყაროსკენ მიმავალი ყველა კარი დაიხუროს. რთულია იმის თქმა, თუ რა მოხდება შემდეგ.

აქამდე ბევრი ადამიანის შინაგანი სამყაროა დაკეტილი. მაგრამ ხანდახან ზოგიერთი ვაჟკაცი ახერხებს კედლის შიგნით შეღწევას. მაჰავირამ, ბუდამ, ქრისტემ, ლაო-ძიმ გაარღვიეს კედელი და შევიდნენ თავიანთ შინაგან სამყაროში. მაგრამ იმის შესაძლებლობა, რომ ასეთი რამ კვლავ განმეორდება, ყოველდღიურად მცირდება.

მე გეუბნებით, რომ არის მხოლოდ სიცოცხლე, სიკვდილი კი არ არსებობს, მაგრამ იქნებ ასი ან ორასი წლის მერე პირიქითაც თქვას ვინმემ: „არის მხოლოდ სიკვდილი, სიცოცხლე კი არ არსებობს“. ამგვარი განცხადებისთვის საფუძველი მზადაა. უკვე წამოიწიეს მათ, რომლებიც ასეთ განცხადებებს აკეთებენ. ბოლოს და ბოლოს, რაზე საუბრობს მარქსი? მარქსის თანახმად, მატერია არის, ღმერთი კი არ არის, ის, რაც ღმერთად გვეჩვენება, სხვა არაფერია, თუ არა მატერიის გვერდითი მაწარმოებელი. მარქსი ამბობს: „სიცოცხლე არ არის, არის მხოლოდ სიკვდილი“. თუ სული არ არის და მხოლოდ სხეულია, მაშინ, ცხადია, რომ სიცოცხლე არ არის და არის მხოლოდ სიკვდილი.

შესაძლოა, ვერ აცნობიერებდეთ ამას, მაგრამ მარქსის სიტყვები საფუძველს განამზადებს. სამყაროში მუდამ არიან ადამიანები, რომლებმაც უარყვეს სული, მაგრამ აქამდე ამ ადამიანებს არ შეუქმნიათ თავიანთი რელიგია. ჩვენს დრომდე არასდროს შექმნილა ათეისტების ორგანიზაცია. ჩარვაკა, ბრიხასპატი, ეპიკურე და მსოფლიოს ბევრი სხვა ცნობილი ადამიანი უარყოფდა სულს, მაგრამ მათ არ ჩამოუყალიბებიათ არც ეკლესია, არც ორგანიზაცია. მარქსი – ის პირველი ათეის-

ტია სამყაროში, რომელმაც შექმნა ორგანიზებული რელიგია. ამ მომენტში სამყაროს ნახევარი ამ რელიგიის მრევლს შეადგენს, დანარჩენი კი მას ნახევარი საუკუნის შემდეგ შეუერთდება.

რა თქმა უნდა, სული არსებობს, მაგრამ მისი შეცნობის ყველა გზა ერთმანეთის მიყოლებით იხურება. სიცოცხლე არის, მაგრამ მასში ურთიერთობის შესაძლებლობა იკარგება. ვიდრე ყველა კარი დაიხურება, მათ ვისაც ამის შესაძლებლობა და სიმამაცე აქვს, საკუთარ თავზე უნდა ჩაატარონ ექსპერიმენტები, უნდა სცადონ თავიანთ შინაგან სამყაროში ჩაღრმავება, რათა გამოცდილება შეიძინონ.

ასმა ან ორასმა ადამიანმა მაინც რომ შეძლოს შინაგანი ცეცხლის შეგრძნება, არ ვიქნებით საშიშროების წინაშე. მილიონი ადამიანის სიბნელე შეიძლება გაფანტოს რამდენიმე ადამიანის შინაგანმა ცეცხლმა. პაწაწინა ნათურაც კი ფანტავს დიდი ხნის უკუნს. თუკი სოფელში ერთი ადამიანი მაინც იქნება ისეთი, ვინც სულის უკვდავება შეიცნო, მაშინ მთელი ატმოსფერო, მთელი ვიბრაცია, სოფლის მთელი ცხოვრება შეიცვლება, გაიშლება ერთადერთი ყვავილი და მისი კეთილსურნელება უშორეს ადგილებამდე მიაღწევს. თავად იმ ადამიანის არსებობას, რომელმაც სულის უკვდავება შეიცნო, მთელი სოფლის სულის განწმენდა შეუძლია.

ინდოეთი სავსეა სადჰუებით, ბერებით და სხვა ადამიანებით, რომლებსაც ხმა ჩაეხლიჩათ სულის უკვდავებაზე ყვირილით. მსგავსი ადამიანები დიდ რიგში დგანან, უდიდეს ბრბოს შეადგენენ, მაგრამ ქვეყანაში მაინც შეგნების დაბალი დონეა. ინდოეთი დაეცა. მის მკვიდრთაგან არავინ არაფერი იცის სულზე. შეხედეთ ამ ბრბოს, ამ რიგს, სადჰუს ამ არმიას, სადჰუს ცირკია მთელ ქვეყანაში. აქ მიმოდიან პირახვეული მასხარები, წარმოდგენებს მართავენ ხელჯოხიანი აკრობატები, სხვები სხვა სპექტაკლებს დგამენ! ადამიანთა მთელმა ბრბომ შეიცნო სული, ინდოეთი კი დღემდე ორმოშია! რთულია ამის დაჯერება.

არიან ადამიანები, რომლებიც ჩვეულებრივ ადამიანს ადანაშაულებენ, იმაში, რომ მან მიიყვანა სამყარო მორალურ დაცემამდე. მე კი გეუბნებით, რომ ისინი ცდებიან. ჩვეულებრივი

ადამიანი არასდროს იცვლება. წარსულში, მთელ მსოფლიოში, მორალური დონე მაღალი იყო იმ ადამიანთა წყალობით, რომლებსაც საკუთარი თავი ჰქონდათ შეცნობილი. ჩვეულებრივი ადამიანი არასდროს იცვლება, ის შეუცვლელი რჩება. რა თქმა უნდა, იყო რამდენიმე ადამიანი, რომლებიც მუდამ ამაღლებდნენ, აფართოებდნენ დანარჩენთა ცნობიერებას. თავად მათი არსებობა წარმოადგენდა კატალიზატორს, ამაღლებდა ადამიანის ცხოვრების დონეს.

ადამიანთა ამჟამინდელ დაბალ დონეზე პასუხისმგებლობა ეკისრება, სწორედ, ამ სადჰუებს, ამ ე.წ. წმინდანებს, ფარისევლებსა და თაღლითებს, რომლებიც რელიგიაზე ღაღადებენ. ჩვეულებრივი ადამიანი ამგვარ ვითარებაში პასუხისმგებლობას არ ატარებს. ის ადრეც არ იყო პასუხისმგებელი და ახლაც არ არის.

თუ გსურთ შეცვალოთ სამყარო, მოეშვით სისულელეების ლაპარაკს ადამიანთა მორალური ქცევის გაუმჯობესებაზე, ყველა ადამიანის მორალის კითხვაზე. თუ სამყაროს შეცვლას ლამობთ, მაშინ რამდენიმე ადამიანს საკუთარ თავზე ძლიერი შინაგანი ექსპერიმენტის ჩატარება უნდა უსურვოთ. უნდა დაიგულოთ ადამიანები, რომლებიც მზად იქნებიან ასეთი ექსპერიმენტებისთვის... ბევრი არც იქნება საჭირო, მხოლოდ ასიოდე. თუ ეს ასი ადამიანი, რომელიმე ქვეყანაში მიაღწევს შეიცნობს იმას, თუ რა არის სული, მაშინ ამ ქვეყნის ცხოვრების დონე მაშინათვე ავა უფრო მაღალ ნიშნულზე. ქვეყნის აღმავლობაც იქნება შესაძლებელი, თუკი მასში ასი მანათობელი ლამპარი იარსებებს.

ამ საკითხზე საუბარი მხოლოდ იმიტომ გადავწყვიტე, რომ ვიგრძენი, თუკი რამდენიმე მამაცი ადამიანი გამოჩნდება, შევძლებ მოვიწვიო ისინი და ვუთხრა: „წამომყევით! თუკი მზად ხართ შინაგანი მოგზაურობისთვის, მაშინ მინდა თქვენით დავკავდე. მე შემიძლია დაგანახოთ, რა არის სიცოცხლე და რა არის სიკვდილი“.

მეცხრე თავი

უმაღლესი თავისუფლება

რამდენიმე კითხვა დამისვეს ზოგიერთი მომენტის დასაზუსტებლად ჩემს იმ ლექციაში, რომელიც გუშინ საღამოს წავიკითხე.

თუ ქალი და კაცი სულის დაბადების შესაძლებლობას ქმნიან, ნიშნავს თუ არა ეს, რომ არსებობს ბევრი განკერძოებული სული, და არ არის ერთი მთლიანი სული? თქვენ ხშირად ახსენებდით, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება, ერთი ღმერთი, ერთი სული. ნუთუ ეს მოსაზრებები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს?

მათში ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ ვამჩნევ. რა თქმა უნდა, ღმერთი ერთია. არსით სულიც ერთია, მაგრამ სხეული ორი ტიპისა არსებობს. ერთი სხეული, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, უხეშია, მეორე სხეული კი, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ – თხელი. სიკვდილის მომენტში უხეში სხეული ქრება, მაგრამ თხელი სხეული სიცოცხლეს ინარჩუნებს.

სული ორი სხეულის შიგნით თავსდება, ანუ თხელ სხეულსა და უხეშ სხეულში. სიკვდილის მომენტში უხეში სხეული კვდება. მიწისგან და წყლისგან შექმნილი სხეული, რომელიც ძვლისა და ხორცისგან შედგება, ქრება, იღუპება. შესაბამისად, რჩება სხეული, რომელიც შედგება გამჭვირვალე ფიქრებისგან, სიფრიფანა, დახვეწილი შეგრძნებებისა და ვიბრაციებისგან, თხელი ბოჭკოებისგან. ეს სხეული ჩამოყალიბებულია თხელი ქსოვილისგან და სულთან ერთად მიემგზავრება სამოგზაუროდ. იგი კვლავ შედის უხეშ სხეულში ახალი დაბადებისთვის. როცა ახალი სული დედის წიაღში აღმოჩნდება, ეს ნიშნავს, რომ იქ, სწორედ, ამ თხელმა სხეულმა დაისადგურა.

სიკვდილის დროს ინგრევა მხოლოდ უხეში სხეული და არა თხელი სხეული. მაგრამ უმაღლესი სიკვდილის დროს, რომელ-

საც მოკშა[1] ეწოდება, თხელი სხეულიც ნადგურდება ზუსტად ისევე, როგორც უხეში სხეული. მაშინ სული უკვე არ დაიბადება. მაშინ სული ყოველივეს არსთან გაერთიანდება. ეს მხოლოდ ერთხელ ხდება. ეს მოვლენა წყლის წვეთის ოკეანის ზედაპირზე დაცემასა და მასთან შერწყმას ჰგავს.

თქვენ უნდა დაიმახსოვროთ სამი პუნქტი. პირველი სულის ელემენტია. როცა ორი ტიპის სხეული, ანუ უხეში სხეული და თხელი სხეული, ამყარებენ კავშირს სულის ელემენტთან, ორივე აქტიური ხდება. ჩვენთვის ნაცნობია უხეში სხეული, ფიზიკური სხეული, იოგისთვის ცნობილია თხელი სხეული. მათ, ვინც იოგის მიღმა გავიდნენ, სული შეიცნეს.

ჩვეულებრივ, თვალებს ძალუძთ უხეში სხეულის დანახვა. იოგის შეუძლია თხეული სხეულის დანახვაც. მაგრამ ის, რაც იოგის მიღმაა, ის რაც არსებობს თხელი სხეულის მიღმა, მხოლოდ სამადხიში[2] განიცდება. ის, ვინც მედიტაციის მიღმა სამადხის აღწევს, ღვთაებრიობას განიცდის. ჩვეულებრივი ადამიანი ფიზიკურ სხეულს შეიგრძნობს, ჩვეულებრივი იოგა – თხელ სხეულს, გასხივსნებული იოგა – ღვთაებრიობას. ღმერთი ერთია, მაგრამ გარშემო უთვალავი თხელი და ასევე უთვალავი უხეში სხეული არსებობს.

თხელი სხეული მიზეზობრივი სხეულია. სწორედ, ეს სხეული იძენს ახალ ფიზიკურ ნაჭუჭს. ამ ოთახში თქვენ ყველგან განათებულ ნათურებს ხედავთ. ელექტრობა ერთია, ენერგია ერთია, მაგრამ ის სხვადასხვა ნათურაში მჟღავნდება. ნათურებს სხვადასხვა ნაჭუჭი აქვთ, მაგრამ მათი სული ერთია. ზუსტად ასევეა ცნობიერება, რომელიც ჩვენგან გამოსჭვივის, იგი ერთიანია, მაგრამ ამ ცნობიერების გამოვლენისთვის ორი მეთოდს იყენებენ. ერთი მეთოდი თხელია, ანუ თხელი სხეული, მეორე მეთოდი უხეშია, ანუ უხეში სხეული.

---

[1] მოკშა (სანსკ. मोक्ष mokṣa „გათავისუფლება“) – ცნება ინდუიზმსა და ბუდიზმში, ატმანის (სულის) გათავისუფლება ამ ქვეყნიური ბუნებისაგან (მაია, პრაკრიტი, სამსარა) და მასზე მიჯაჭვულობისგან, განსხივოსნება. მოკშა სულის განვითარების ოთხი სტადიიდან ბოლოა – ართას, დჰარმას და კამას შემდეგ. მისი მიღწევისას ატმანი წყვეტს კავშირს დაბადებების სპირალისებურ წრესთან და უზენაეს სულს – ბრაჰმანს უბრუნდება.

[2] სამადხი – გონებრივი ანდა შინაგანი მობილიზება, გამოიყენება ინდუისტური და ბუდისტური მედიტაციების პრაქტიკის დროს.

ჩვენი გამოცდილება შეზღუდულია უხეში ცნობიერების გამოვლინების საშუალებით, ანუ ფიზიკური სხეულით. ეს ორგანული განცდაა – მთელი კაცობრიობის უბედურებისა და უცოდინარობის მიზეზი. ანუ ადამიანებს, მათაც კი, რომლებიც ფიზიკური სხეულიდან გავიდნენ, შეუძლიათ თხელ სხეულში შეყოვნება. „უთვალავი რაოდენობის სული არსებობს“, – ამბობენ ისინი. მაგრამ ვინც თხელი სხეულის მიღმა გავიდა, ასე გამოხატა სათქმელი: „ღმერთი ერთია, სული ერთია, ბრახმანი ერთია“.

ჩემს განცხადებებში არ არის წინააღმდეგობები. როცა სულის სხეულში შესვლას ვახსენებდი, სწორედ სულს ვგულისხმობდი, რომელიც, ჯერ კიდევ, ასოცირდება თხელ სხეულთან. ეს ნიშნავს, რომ თხელი სხეული, რომელშიც მოთავსებულია სული, ჯერ კიდევ არ დანგრეულა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ სული, რომელიც აღწევს უდიდეს თავისუფლებას, ტოვებს დაბადებისა და სიკვდილის წრეს. სინამდვილეში, სულისთვის არ არსებობს არც დაბადება, არც სიკვდილი, რამდენადაც ის არასდროს დაბადებულა და არც არასდროს მოკვდება. დაბადებისა და სიკვდილის წრე იშლება, როცა თხელი სხეული არსებობას წყვეტს, რადგან, სწორედ, თხელი სხეული ახორციელებს ახალ დაბადებას.

თხელი სხეული – ეს მთლიანი თესლია, რომელიც ჩვენი ფიქრებისგან, სურვილებისგან, ვნებისგან, იმედისგან, განცდისგან, ცოდნისგან შედგება. ეს სხეული ინსტრუმენტია, რომელიც ჩვენს ხანგრძლივ მოგზაურობაში დაგვატარებს. თუმცა, იმ ადამიანს, რომლის ყველა აზრი და სწრაფვა განადგურებულა, რომელიც გამქრალა, დაკარგულა, ისე რომ ერთი სურვილიც არ შერჩენია, არსად წაესვლება. მას არ დარჩა სხვაგან გადანაცვლების მიზეზი. მისთვის არ არსებობს თავიდან დაბადების საბაბი.

რამაკრიშნას ცხოვრებაში სასწაული შემთხვევა მოხდა. ის, ვინც მასთან ახლობლობდა, ვინც იცოდა, რომ რამაკრიშნა პარამხანსა[3], ანუ გასხივოსნებული ადამიანი იყო, მუდმივად ნერვიულობდნენ მის ერთ თვისებაზე. ისინი ძალიან წუხდნენ, როცა

[3] პარამხანსა – გასხივოსნებული ადამიანი.

ხედავდნენ, რომ ასეთი გასხივოსნებული ადამიანი, რომელმაც სამადხუს მიაღწია, მუდმივად ითხოვდა საჭმელს. რამაკრიშნა დიდ ინტერესს იჩენდა საჭმლისადმი. ის ხშირად დადიოდა სამზარეულოში და ცოლს, შარადა დევის ეკითხებოდა: „რა კეთდება დღეისთვის? დიდი დრო სჭირდება?“ სულიერ თემებზე სერიოზული საუბრის დროსაც, კი რამაკრიშნა მოულოდნელად დგებოდა და სამზარეულოში მირბოდა, ინტერესდებოდა იმით, თუ რა მზადდებოდა და საჭმლის ძებნას იწყებდა.

შეწუხებული შარადა, თავაზიანად პასუხობდა: „რას აკეთებ? რას იფიქრებს ხალხი? შენ ხომ უცებ მიატოვე ბრახმანზე ლაპარაკი და საჭმლის თემაზე გადახვედი!“ რამაკრიშნა იცინოდა და ხმას არ იღებდა. მისი ახლო მოწაფეებიც კი აფრთხილებდნენ მას. ისინი ამბობდნენ: „მსგავსი ქმედება სახელს გვიფუჭებს. ადამიანებს უკვირთ, როგორ შეიძლება ასეთმა ადამიანმა, საჭმლის სურვილით შეპყრობილმა, უმაღლეს ცოდნას მიაღწიოს?!“

ერთხელ, ოსტატის ცოლი, შარადა, ძალიან გაბრაზდა და ქმარს წაეჩხუბა. რამაკრიშნამ უპასუხა:

– შენ, უბრალოდ, არაფერი იცი. საქმე იმაშია, რომ იმ მომენტიდან, როცა საჭმელს ავითვალწუნებ, მხოლოდ სამი დღე გავძლებ.

– ამით რა გინდა თქვა? – ჰკითხა შარადამ.

და რამაკრიშნამ აუხსნა:

– ყველა ჩემი სურვილი და მისწრაფება გაქრა, ყველა ჩემი აზრი დაიკარგა, მაგრამ კაცობრიობის სასიკეთოდ შეგნებულად ვებღაუჭები ერთადერთს – ჭამის სურვილს. მე უკანასკნელ თოკზე გამობმული ნავივით ვარ. როგორც კი თოკს გადაჭრიან, ნავი გაარძელებს თავის უსასრულო მოგზაურობას. თავს ძალას ვატან, რათა ამქვეყნად დავრჩე.

ალბათ, რამაკრიშნას გარშემო მყოფმა ადამიანებმა არ მიაქციეს ამ ფრაზას სათანადო ყურადღება. მაგრამ სიკვდილამდე სამი დღით ადრე, რამაკრიშნამ შეხედა შარადას, რომელსაც მისთვის ოთახში საჭმელი შეჰქონდა, თვალები დახუჭა და ცოლისგან ზურგშექცევით დაწვა. შარადას თავში ქმრის სიტყვებმა ელვასავით გაიელვა. ქალს საჭმელი გაუვარდა და მწარედ აქვითინდა.

– ნუ ტირი, – აწყნარებდა რამაკრიშნა, – შენ ხომ თავად გინდოდა, რომ ჭამა შემეწყვიტა. შენი სურვილი შესრულებულია.

ამ შემთხვევიდან, ზუსტად სამ დღეში, რამაკრიშნა აღესრულა. სამყაროს ის უმნიშვნელო სურვილის მეშვეობით ეჭიდებოდა. ეს სურვილი უჭერდა მხარს ცხოვრებისეული მოგზაურობის გასახანგრძლივებლად. როცა იგი გაქრა, რამაკრიშნას არსებობასაც გამოეცალა საძირკველი.

ისინი, ვისაც ტირტხანკარებს[4], ბუდებს, ღმერთის შვილებს, ავატარებს ეძახიან, მხოლოდ ერთ სურვილს ეჭიდებიან და მას მხოლოდ და მხოლოდ, თანაგრძნობის გამო, მთელი კაცობრიობის სასარგებლოდ ინახავენ. იმ დღეს, როცა მათი სურვილი ქრება, ეს ადამიანები წყვეტენ სიცოცხლეს სხეულში და მათი მარადიული მოგზაურობა იწყება. ამის შემდეგ, ისინი არც იბადებიან და არც კვდებიან. ამის შემდეგ, არც ერთია და არც მრავალი. ის, რაც რჩება, დასათვლელადაც არ დაითვლება. ამიტომ საქმის ვითარებაში გარკვეულნი არც კი ამბობენ: „ბრახმანი ერთია, ღვთაებრივი ერთია“. უწოდო ამას ერთი, უაზრობაა, მაშინ, როცა შეუძლებელია თვლის გაგრძელება „ორით“, „სამით“ და ასე შემდეგ. „ერთის“ თქმას მხოლოდ მაშინა აქვს აზრი, როცა მას „ორი,“ „სამი“ და „ოთხი“ მოჰყვება. „ერთს“ ოდენ სხვა ციფრებთან კონტექსტში აქვს მნიშვნელობა. ამიტომ ის, ვინც იცის, არც კი ამბობს, რომ ბრახმანი ერთია. ისინი ამბობენ, რომ ბრახმანი არ არის ორსახოვანი, რომ ის ორი არ არის.

მათ ფასეული მტკიცებულებები მოჰყავთ. ისინი ამბობენ: „ღმერთი არ არის ორი. ღმერთის განხილვა თვლის ტერმინებში შეუძლებელია“. მაშინაც კი, როცა ღმერთს ერთადერთს ვეძახით, მისი რაოდენობის დადგენას ვცდილობთ, რაც უმართებულოა. მაგრამ უფლის აღქმას ციფრების მოშველიების გარეშე, კიდევ კარგა ხანს ვერ შევძლებთ. ჩვენ, ახლაც, უხეშ სხეულში ვიმყოფებით, ანუ იმ სხეულში, რომელიც უსასრულოდ გადადის ფორმიდან ფორმაში. როცა ამ სხეულში შევდივართ, ჩვენ სხვა სხეულს, უფრო ზუსტად კი, თხელ სხეულს

[4] ტირტხანკარა – ერთ-ერთი წმინდანი, მიახლოებული 24 ღვთებათაგანს.

ვპოულობთ. მხოლოდ ამ თხელი სხეულიდან გამოსვლისას ვაღწევთ იმას, რაც უკვე არ არის სხეული, ანუ სულია.

ჩემი გუშინდელი მტკიცებულებები არ არის წინააღმდეგობრივი და არც პარადოქსული.

მეგობარმა მკითხა:

შეუძლია სულს, დატოვოს სხეული და სხვა მკვდარ სხეულში გადავიდეს?

დიახ, შეუძლია. მაგრამ მისთვის უაზრობა იქნება სხვა მკვდარ სხეულში შესვლა, რადგან ეს სხვა სხეული ხომ იმიტომ მოკვდა, რომ სულმა ჩათვალა, რომ იქ ცხოვრება აღარ ღირს. სულმა უარი თქვა ამ სხეულზე, რადგან ის უსარგებლო გახდა, ამიტომ არა აქვს აზრი ამ სხეულში შესვლას. მიუხედავად ამისა, სხვა სხეულში შესვლა ნამდვილად შესაძლებელია.

თუმცა, უაზროა იმის კითხვა, როგორ შეიძლება სხვა სხეულში შესვლა, როცა ჩვენ ისიც კი არ ვიცით, როგორ ვარსებობთ იმ სხეულში, რომელშიც რეალურად ვიმყოფებით. რა უნდა გამოვიდეს ისეთი უსარგებლო ნააზრევისგან, როგორიც სხვა სხეულში შესვლაა? ჩვენ ისიც კი არ ვიცით, როგორ შევედით იმ სხეულში, რომელშიც ახლა ვართ. ისიც კი ვერ გაგვირკვევია, როგორ ვცხოვრობთ ჩვენს სხეულში. არასდროს გვქონია გაელვების გამოცდილება, წარმოდგენა არა გვაქვს, როგორ შეიძლება ჩვენსავე სხეულს გამოვეყოთ.

ნებისმიერ შემთხვევაში, სხვა სხეულში დამკვიდრების არანაირი მიზეზი არ არსებობს. თუმცა, მეცნიერული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ სხვა სხეულში შესვლა შესაძლებელია, იმიტომ რომ, არსებითად სხეული არ შეიძლება განვიხილოთ კუთვნილებითი ტერმინებით. ყველა სხეული გარეგნულია. დედის საშოში შესული სული, სინამდვილეში, ძალიან პატარა, მიკროსკოპულ სხეულში მკვიდრდება. ის, სწორედ, ამ მიკროსკოპული სხეულის ნაწილი ხდება. უჯრედი, რომელიც ჩასახვის დღეს დედის წიაღში წარმოიქმნება, თავის თავში მთელ ჩაშენებულ პროგრამას მოიცავს. მაგალითად, პაწაწინა თესლში დამალულია თმის გაჭაღარავების შესაძლებლობა ნახევარი საუკუნის შემდეგ. თესლი შეიცავს თავის თავში ინფორმაციას იმაზე, თუ როგორი ფერის თვალები და რა სიგრძის ხელები გექნებათ, ჯანმრთელი იქნება თქვენი

სხეული თუ ავადმყოფი, თეთრკანიანი იქნებით თუ შავკანიანი, სწორი თმა გექნებათ თუ ხვეული. ეს არის პაწაწინა სხეული, მიკროსკოპული სხეული. სული შედის სწორედ ამ მიკროსკოპულ სხეულში. ის ამყარებს თანხმობას სხეულის მიკროსკოპულ სტრუქტურასთან, მდგომარეობასთან, რომელშიც ეს მიკროსკოპული სხეული იმყოფება.

ამჟამად, ადამიანის ცნობიერება დეგრადირების გზაზეა. ამის ერთადერთი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ წყვილები არ ქმნიან მოსახერხებელ გარემოს უდიადესი სულების დაბადებისთვის. ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა მხოლოდ ქვედა სულების მოვლინებისთვისაა გამოსადეგი. სრულიად არაა აუცილებელი, რომ ადამიანის სიკვდილის შემდეგ, მისმა სულმა სწრაფად იპოვოს საშუალება ამქვეყნად ხელახლა დაბადებისთვის. ჩვეულებრივი სულები, ანუ არა უმაღლესი, და არა უმდაბლესი სულები, ახალ სხეულს ძველი სხეულის სიკვდილიდან ცამეტი დღის ფარგლებში პოულობენ. თუმცა უმდაბლეს სულებს არ შეუძლიათ დაბადება, რადგან მათთვის ძალიან რთულია შესაფერისი გარემოს, უფრო ზუსტად, დაბალი ხარისხის საშვილოსნოს მოძებნა. ამ უმდაბლეს სულებს მოჩვენებებსა და ავ სულებს ეძახიან. უმაღლეს სულებსაც არ გამოსდით დაბადება, იმიტომ რომ ისინი მათთვის შესაფერის გარემოს, უფრო ზუსტად, უმაღლესი ხარისხის საშვილოსნოს ვერ პოულობენ. ამ უმაღლეს სულებს ღმერთებს უწოდებენ.

ადრე, ავი სულები ბევრად აღემატებოდნენ რაოდენობით მცირერიცხოვან ღმერთებს. ჩვენს დროში, მოჩვენებებისა და ავი სულების რაოდენობა ძალიან შემცირდა, ღმერთების რაოდენობა კი გაიზარდა, რადგან ღმერთისმაგვარი ადამიანების დაბადების შესაძლებლობამ იკლო. ამავე დროს, სწრაფად მოიმატა ბოროტი სულების გაჩენის ალბათობამ. ადამიანის სხეულში შესვლისას მოჩვენებები და ავი სულები, რომლებსაც ადრე არ გამოსდიოდათ დაბადება. ახლა თითოეული მათგანი კაცობრიობაში გაითქვიფა! ამიტომ ჩვენს დროში მეტად რთულია მოჩვენებებისა და ავი სულების შენიშვნა. უბრალოდ, დააკვირდით ადამიანებს და თქვენ მათ დაინახავთ!

ჩვენი რწმენა ღმერთებისადმი ძალიან შესუსტდა, რამდენადაც, როგორ უნდა დავიჯერო იმის, რაც რთული მოსაძებნია?

იყო დრო, ღმერთები ისეთივე ნამდვილები იყვნენ, როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა მოვლენები. თუ წაიკითხავთ ვედური რიშების, ბრძენი ადამიანების, მწერლობას, მიხვდებით, რომ ისინი გამოგონილ ღმერთებზე არ მოგვითხრობენ. არა, ისინი მოგვითხრობენ ღმერთებზე, რომლებიც მათ ელაპარაკებიან, რომლებიც მღერიან და იცინიან მათთან ერთად. ისინი საუბრობენ ღმერთებზე, რომლებიც მათ გვერდით, ამ დედამიწაზე დადიან.

ჩვენ დავკარგეთ კავშირი ღმერთების სამყაროსთან, იმიტომ რომ ჩვენ შორის არ არის ისინი, ვინც დამაკავშირებელი ჯაჭვის ფუნქციას შეასრულებდა, ვინც იქნებოდა ხიდი ღმერთებსა და ადამიანებს შორის და ადამიანებს მისცემდა იმის გაგების საშუალებას, თუ ვინ არიან ღმერთები. მთელი პასუხისმგებლობა ამგვარი მდგომარეობისთვის ცოლ-ქმრულ სისტემას ეკისრება. ადამიანთა წყვილების ინსტიტუტი სრულიად დამახინჯებული და ნირწამხდარია.

ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ შევწყვიტეთ სიყვარულით ქორწინებები. ჩვენ სიყვარულის გარეშე ვქორწინდებით. ქორწინება მოკლებულია სიყვარულს, არ ქმნის სულიერ კავშირს, შერწყმას, რომელიც მხოლოდ სიყვარულის არსებობის დროსაა შესაძლებელი. ჰარმონია, თანხმობა, მუსიკა – ეს ყველაფერი აუცილებელია იმისთვის, რომ უდიადესი სული დაიბადოს, მაგრამ მამაკაცსა და ქალს შორის არ მყარდება ასეთი კავშირი. მათ შორის, სიყვარული, უბრალოდ, მათი მეგობრული ურთიერთობის შედეგია. სულები არ ერწყმიან ასეთი სიყვარულისას. ამ სიყვარულში არ არის მოძრაობა, რომელიც გააერთიანებს ორ არსებას.

უსიყვარულო ქორწინებისას დაბადებული ბავშვები ვერასდროს იქნებიან მოსიყვარულეები, ვერასდროს იქნებიან ღვთისნაირები. ისინი უფრო მოჩვენებებსა და ავ სულებს დაემსგავსებიან. მათი ცხოვრება სავსე იქნება ბრაზით, სიძულვილითა და ძალადობით. წვრილმანიც კი ყველაფერს ცვლის, ძალიან ცვლის, თუ კაცსა და ქალს შორის ჰარმონია და თანხმობა არ არის.

შესაძლოა, არც გიფიქრიათ იმაზე, რატომაა ქალი გარეგნულად მამაკაცზე ლამაზი, რატომ აქვთ ქალებს ასეთი ნარნა-

რი ნაკვთები? რატომ არ შეიძლება ეს მამაკაცში დავინახოთ? შესაძლოა, თქვენ არც დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რატომ არის გამოხატული ქალის არსებაში ასე მკვეთრად მუსიკა და შინაგანი ცეკვა, რასაც მამაკაცში ვერ ვხედავთ. მიზეზი ძალიან უბრალოა. სიმართლე რაიმე განსაკუთრებულში არ იმალება. მიზეზი იმდენად უმნიშვნელოა, რომ ვერც წარმოიდგენთ, კაცსა და ქალს შორის განხვავება ასეთ წვრილმანს თუ დაეფუძნება.

დედის წიაღში მყოფი უჯრედი შედგება მამაკაცის ოცდაოთხი ქრომოსომისგან და ქალის ოცდაოთხი ქრომოსომისგან. როცა ერთმანეთს ორი ოცდაოთხქრომოსომიანი უჯრედი ერწყმის, ორმოცდარვა ქრომოსომისგან შემდგარი პირველი უჯრედი წარმოიქმნება. ორმოცდარვა ქრომოსომის შერწყმისას იქმნება ქალის სხეული, სადაც ორივე მხარე თანაბარი რაოდენობის ქრომოსომას შეიცავს და ამდენად ფორმა წონასწორობას ინარჩუნებს. მაგრამ მამაკაცის პირველი უჯრედი შედგება მხოლოდ ორმოცდაშვიდი ქრომოსომისგან, სადაც ერთ მხარეს არის ოცდაოთხი, ხოლო მეორე მხარეს – ოცდასამი ქრომოსომაა განლაგებული. წარმოიქმნება დისბალანსი და ჰარმონია ირღვევა. ქალის არსების ორივე მხარე გაწონასწორებულია, ამიტომაცაა ქალი ასეთი მშვენიერი. მისი სიმრგვალე, ელეგანტურობა და ბუნებრიობის სურნელი, მისი პიროვნების პოეზია განუმეორებელია.

კაცის პიროვნებაში პატარა ნაკლოვანებაა. მისი უჯრედის ცალი მხარე ოცდაოთხი ქრომოსომისგან შედგება. უჯრედი, რომელსაც კაცი დედისგან იღებს, შეიცავს ოცდაოთხ ქრომოსომას, ხოლო უჯრედი, რომელსაც მამისგან იღებს – ოცდასამ ქრომოსომას. ამგვარად, როცა დედის ოცდაოთხი ქრომოსობა ხვდება მამის ოცდასამ ქრომოსომას, ფორმირდება კაცის სხეული. ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ მამაკაცი მუდამ შეშფოთებული და უკმაყოფილოა თავისი ცხოვრებით. ის მუდამ განიცდის, მუდამ ნერვიულობს იმაზე, თუ რა გააკეთოს და რა არ გააკეთოს, ასე მოიქცეს თუ სხვაგვარად. მთელი ეს შფოთვა პატარა მოვლენისგან მომდინარეობს, როცა მამაკაცი ერთი ქრომოსომით ნაკლებს იღებს უჯრედის ცალი მხარისთვის. მამაკაცი გაუწონასწორებელია. ქალი

მთლიანად გაწონასწორებულია. ჰარმონია და რიტმი მასში სრულყოფილია.

ეს პატარა მოვლენა უზარმაზარ სხვაობას განაპირობებს. თუმცა, მეორე მხრივ, ქალს, რომელსაც შეუძლია იყოს მშვენიერი, ზრდის შესაძლებლობა ეზღუდება. გაწონასწორებული პიროვნება არ იზრდება, ის უმოძრაოდ რჩება. მამაკაცის პიროვნება გაუწონასწორებელია, ამიტომაც ხედავთ, რომ ის მიზანდასახულად ვითარდება. ის მიცოცავს ევერესტზე, კვეთს უღელტეხილებს, ჯდება მთვარეზე, აღწევს ვარკვლავებამდე ის ეძებს და იკვლევს. ის აზროვნებს, წერს წიგნებს, წარმოშობს რელიგიას. ქალი მსგავსს არაფერს აკეთებს. ის არ ავა ევერესტზე, არ დაეშვება მთვარეზე და ვარსკვლავებზე, ის არ დაიწყებს რელიგიურ ძიებებს, წიგნის წერას, არ გაირჯება მეცნიერული აღმოჩენებისთვის. ის არ დაიწყებს ამის კეთებას ქალის პიროვნებაში არსებული წონასწორებულობა არ აღუძრავს მას რაიმეს გადალახვისკენ მისწრაფებას.

სწორედ მამაკაცმა განავითარა კაცობრიობის ცივილიზაცია, და ყოველივე ეს თითქოს უმნიშვნელო თვისების წყალობით: მას ერთი ქრომოსომა აკლია. ქალმა არ განავითარა ცივილიზაცია, რადგან მისი პიროვნება სრულყოფილია. ის ხომ ქრომოსომებში ნაკლოვანებას არ განიცდის. ამდენად, პატარა ნიუანსიც კი შეიძლება პიროვნებათა შორის უდიდესი განსხვავების მიზეზად მოგვევლინოს! ამაზე იმიტომ მივანიშნებ, რომ მხოლოდ ბიოლოგიური ჭეშმარიტებაა. შესაძლებელია ბიოლოგიურად განვიხილოთ, თუ როგორ შეიძლება ასეთმა უმნიშვნელო მოვლენამ სრულიად განსხვავებული ხასიათის მქონე პიროვნებები ჩამოაყალიბოს. მაგრამ არსებობს სხვა, უფრო ღრმა განსხვავებებიც.

მამაკაცისა და ქალის კავშირის ნაყოფი, ანუ ბავშვი გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერ უყვართ მათ ერთმანეთი, რამდენად ძლიერი სულიერება არსებობს მათ შორის, როგორი სისუფთავითა და როგორი ლოცვით უკავშირდებიან ერთმანეთს. ამაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მაღალ და დიად სულს მიიზიდავენ ისინი, რამდენად დიდი იქნება ღვთაებრივი ცნობიერება, რომელიც ჩანასახში ჩასახლდება. კაცობრიობა სულ უფრო უბედური და საცოდავი ხდება. ამის სიღრმისეული

მიზეზი ქორწინების ურთიერთობის დამახინჯებაშია. ვიდრე არ გადავხედავთ ოჯახური ცხოვრების მნიშვნელობას, არ გამოვაჯანსაღებთ, არ ვსრულყოფთ და სულს არ ჩავბერავთ, ვერაფრით შევძლებთ კაცობრიობის მომავლის გაუმჯობესებას.

ასეთ უსუსურ ვითარებაში, ის, ვინც პატრონის სიცოცხლე უარყო, და ის, ვინც ამ უარყოფით ცხოვრება აირია, ერთნაირადაა პასუხისმგებელი. პატრონის ცხოვრების განსჯით, ჩვენ უარი ვთქვით ამ მიმართულებით წინსვლაზე. ეს არასწორია. მინდა გითხრათ, რომ ძალიან ცოტა ადამიანმა მიაღწია ღმერთს უარყოფით. ადამიანთა ძალიან მცირე რაოდენობა, მათი განსაკუთრებული ტიპი, სრულიად სხვა ხარისხის პიროვნებები აღწევენ ღმერთს უარყოფის გზით. უმრავლესობა ღმერთს პატრონის მეშვეობით, ოჯახური ურთიერთობის გზით აღწევს.

უცნაურობა იმაში მდგომარეობს, რომ, პატრონის მეშვეობით, ღმერთამდე მიღწევის სიმარტივის მიუხედავად, ამ გზას, ჯერ კიდევ, არ ეთმობა სათანადო ყურადღება. რელიგია დღემდე იტანჯება მათი მოჭარბებული ზეგავლენისგან, ვინც სამყაროს განუდგა. რელიგიამ ვერ შეძლო პატრონის სასარგებლოდ განვითარება. ის რომ პატრონის სასარგებლოდ განვითარებულიყო, დაბადების პირველივე წამიდან განვჭვრეტდით იმ სულს, რომლის მოწვევასაც ვაპირებთ, რომლის შემოტყუებასაც ვლამობთ, რომლის დამკვიდრებაც გვინდა საკუთარი ცხოვრების თანამგზავრად.

რელიგია რომ სწორად ისწავლებოდეს, თითოეულ ადამიანს სწორად აზროვნება რომ შეეძლოს, მართებული გაგება და ხედვა რომ ჰქონდეს, მაშინ ოცი წლის შემდეგ, ჩვენ შევძლებდით სრულიად ახალი თაობის შექმნას. ის, ვინც სექსითაა დაკავებული და ამ დროს შემქმნელი სულის მოპატიჟება ავიწყდება, სცოდავს. ის დამნაშავეა, და მისი შვილები დასჯილები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, შესაძლოა, ქორწინებაშიც იყვნენ გაჩენილნი. ეს ადამიანი, რომელმაც თავისი შვილები არ დაბადა გულში, სრული ლოცვით და თაყვანისცემით – დამნაშავეა. ის დამნაშავედ დარჩება მთელი შთამომავლობის წინაშე.

ჩვენი მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სული შედის საშოში. ჩვენ ვზრუნავთ ბავშვების განათლება-

ზე, მათ ჩაცმულობაზე, მათ ჯანმრთელობაზე და კვებაზე, მაგრამ სრულიად შევწყვიტეთ ზრუნვა იმაზე, თუ როგორი სული აქვს ბავშვს. არ შეიძლება კაცობრიობის გაუმჯობესების იმედი გვქონდეს ამგვარი ქმედებებისას. ასე რომ, არ არის საჭირო ძალიან ვინერვიულოთ იმაზე, თუ როგორ შეხვალთ სხვა სხეულში, ამის ნაცვლად, უკეთესია ყურადღება მიაქციოთ იმას, თუ როგორ უნდა შეხვიდეთ თქვენსავე სხეულში.

ამ თემასთან დაკავშირებით ასეთი კითხვა დამისვეს: *როგორ შევიტყოთ წარსულ ცხოვრებათა შესახებ?*

ეჭვგარეშეა, შეგიძლიათ ჩაწვდეთ თქვენივე წარსულ ცხოვრებათა ისტორიას, მაგრამ ფაქტია, რომ თქვენს ამჟამინდელ ცხოვრებაზეც არაფერი იცით. წარსულ ცხოვრებათა გაგება გაცილებით რთულია. რა თქმა უნდა, ადამიანს შეუძლია გაიგოს თავის წარსულ ცხოვრებათა შესახებ, რამდენადაც. როცა რაღაც აისახება თქვენს გონებაში მოგონების ფორმით. ის უკვე არასდროს იშლება. ინფორმაცია მუდამ რჩება ღრმად. ქვეცნობიერ დონეზე. ჩვენ არასდროს ვივიწყებთ იმას, რაც გავიგეთ.

თუკი მე გთხოვთ, მითხრათ რას აკეთებდით 1950 წლის 1 იანვარს, შესაძლოა, ვერ მიპასუხოთ. შესაძლოა, თქვენ თქვათ: „მე არაფერი მახსოვს. წარმოდგენა არ მაქვს, რას ვაკეთებდი 1950 წლის 1 იანვარს". მაგრამ რომ დაგაჰიპნოზოთ. ეს კი იოლი გასაკეთებელია. ამგვარად, უგონო მდგომარეობაში რომ ჩაგაგდოთ და გთხოვოთ იმაზე პასუხი, თუ რას აკეთებდით 1950 წლის 1 იანვარს, თქვენ წვრილად აღმიწერდით მთელ 1-ელ იანვარს, თითქოს, ამ დღემ, აქ და ახლა თქვენს თვალწინ ჩაიარა. იმის თქმასაც კი შეძლებდით, რომ 1950 წლის 1 იანვარს თქვენს დილის ჩაიში ცოტა შაქარი ეყარა. მეტყოდით, რომ ადამიანი, რომელმაც ჩაი მოგიტანათ, დასველდა უმნიშვნელო დეტალებზეც მიმანიშნებდით, მაგალითად, რომ ფეხსაცმელმა, რომელიც ჩაიცვით, ფეხი გადაგიქექათ.

ჰიპნოზის მდგომარეობაში, თქვენში ღრმად ჩალექილ მოგონებებს სინათლეზე გამოღწევა შეუძლიათ. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ამ საკითხის კვლევას მრავალი ექსპერიმენტი მივუძღვენი. წარსულ ცხოვრებაში. სურვილის არსებობის

შემთხვევაში, ნებისმიერის გაგზავნა შეიძლება. თუმცა, მას თავიდან მოუწევს გონებაში ამ ცხოვრების აღდგენა, მისი გავლა მოგონების ხაზის მეშვეობით. ადამიანს მოუწევს უკან დახევა, იმ წერტილიდან დაწყება, როცა ის დედის საშოში იყო. მხოლოდ ამ წერტილის მიღწევის შემდეგ შეეძლება მას წარსული ცხოვრების მოგონებებში გადანაცვლება.

გახსოვდეთ, ბუნებას თავისი მიზეზი ჰქონდა იმისთვის, წარსული ცხოვრების დავიწყების შესაძლებლობა რომ მოგვცა. ეს მიზეზი ძალიან მნიშვნელოვანია. მხოლოდ ერთი თვის მოგონებებს შეუძლიათ ჭკუიდან შეგშალოთ, რომ არაფერი ვთქვათ მთელი წარსული ცხოვრების მოგონებებზე. ზოგჯერ, ერთი დღის მოგონებებიც კი არ გიტოვებთ გადარჩენის უფლებას. ბუნების მთელი ორგანიზაცია ასეთია: უფლება გეძლევათ იმდენი მოგონება გახსოვდეთ, რამდენსაც თქვენი ტვინი აიტანს. დანარჩენი ინფორმაცია ბნელ უფსკრულში ვარდება. ინფორმაციის ეს საცავი ბეღელს ჰგავს, სადაც უსარგებლო ნივთებს ვყრით და კარს ვიჯახუნებთ. ზუსტად ასევე, არსებობს მოგონებების შემგროვებელი სახლი, არაცნობიერის სახლი, სადაც ინახება ყველა არასაჭირო ინფორმაცია, ანუ ის მოგონებები, რომელიც არაფერში სჭირდება ჩვენს ტვინს. მაგრამ ადამიანი რომ ძალაუნებურად აღმოჩენილიყო ამ საცავში, მაშინვე ჭკუიდან შეიშლებოდა, იმდენად დიდია ეს მოგონებები.

ერთი ქალბატონი, ჩემი ხელმძღვანელობით მუდმივ ექსპერიმენტებს ატარებდა ღრმა მოგონებებში. მას ძალიან უნდოდა გაეგო საკუთარი წარსული ცხოვრების შესახებ. მე რამ ვუთხარი:

– ეს შესაძლებელია. თუმცა, თქვენ უნდა გააცნობიეროთ შედეგები, რადგან, შესაძლოა, საკუთარმა წარსულმა ცხოვრებამ ძალიან დაგაბნიოთ და აგაფორიაქოთ.

– არა, რატომ უნდა დავიბნე? – გააპროტესტა მან, – წარსული ცხოვრება ხომ უკვე წარსულია. ახლა რისთვის უნდა ვინერვიულო?

ექსპერიმენტები დაიწყო. ეს ქალბატონი კოლეჯის პროფესორი იყო, ინტელიგენტი, ბრძენი და მამაცი ქალი. ზუსტად გაჰყვა ჩემს მითითებებს და ღრმა მედიტაციაში წავიდა. თანდათან მოგონებათა უფრო და უფრო ღრმა ფენებში ქექვას

მოჰყვა და იმავე დღეს მოირბინა ჩემთან, როგორც კი პირველად მოახერხა წარსულ ცხოვრებაში გადანაცვლება. ქალი კანკალებდა და ტიროდა. ცრემლიანმა მომმართა:

– მინდა დავივიწყო ის, რაც გავიხსენე. აღარ მინდა წარსულ ცხოვრებაში ჩაყვინთვა.

– ეს რთულია, – ვუპასუხე მე, – იმის დასავიწყებლად, რაც თქვენს ტვინში დაბრუნდა, დროა საჭირო. მაგრამ ასე რატომ ნერვიულობთ?

– გთხოვთ, არ მკითხოთ, – მეუედრებოდა ის, – ყოველთვის მეგონა, რომ სუფთა და გონიერი ვარ, მაგრამ წარსულ ცხოვრებაში მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ვიყავი რომელიღაც ტაძარში, ქვეყნის სამხრეთით. დევადასი[5] გახლდით. ათასობით კაცთან ვიყავი დაკავებული სექსით. არც მინდა ამის გახსენება.

ასე რომ, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გადაბარგდეს თავის წარსულ ცხოვრებაში. არის ამის შესაძლებლობა. არსებობს ასეთი მეთოდოლოგია. უდიდესი წვლილი შეიტანეს კაცობრიბის ისტორიაში მახავირამ და ბუდამ, – ეს არ არის დოქტრინა არაძალადობაზე, ეს არის დოქტრინა წარსული ცხოვრების გახსენების შესახებ. მათ პირველებმა აუხსნეს მაძიებლებს, რომ ვიდრე ისინი არ შეუვლენ თავიანთ ყოფილ ცხოვრებაში, ვერ შეძლებენ სულის რაობის გაგებას. ისინი ყოველ მაძიებელს დაეხმარნენ წინა ცხოვრებაში დაბრუნებაში.

თუ ადამიანი საკმარის სიმამაცეს მოიკრებს თავისი წარსული ცხოვრების გასახსენებლად, მაშინ ის უკვე სხვა ადამიანი გახდება, იმიტომ რომ შენიშნავს, რომ ზუსტად იმას იმეორებს, რაც აქამდეც ათასჯერ გაუკეთებია. ის დაინახავს თავის სიბრიყვეს. ის დაინახავს, თუ რამდენჯერ დააგროვა სიმდიდრე, რამდენი აგარაკი აიშენა, რამდენჯერ დაედევნა პრესტიჟს, ღირსებას, საპატიო მდგომარეობას, რამდენჯერ იმოგზაურა დედაქალაქში, რამდენჯერ მიაღწია იქ მაღალ თანამდებობას. ის გააცნობიერებს, რომ ამას მრავალგზის აკეთებდა და რომ კვლავაც ძველებურად იქცევა. ის აღმოაჩენს.

[5] დევადასი (ღმერთის მსახური) – სამხეთ ინდოეთში გოგონა, რომელიც დაბადებიდან ღვთაებას „მიეძღვნა“ იმ პირობით, რომ მთელ ცხოვრებას ტაძარში გაატარებს. დევადასებს ასწავლიან საკრალური ცეკვის ხელოვნებას (ბხარატანატა) და ტაძრის მოცეკვავეებად გამოჰყავთ. ინგლისელები მათ ტაძრის კახპებად თვლიდნენ.

რომ ყოველ ჯერზე მისი მოგზაურობა წარუმატებლად სრულდებოდა.

მოგზაურობა, ამჟამადაც, წარუმატებელი იქნება. საკმარისია ადამიანმა თავისი მოგონებები შეიძინოს, რომ მაშინვე დასრულდება მისი რბოლა სიმდიდრისთვის, და გაქრება მისი ლტოლვა მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობისადმი. კაცი გაიგებს, თუ რამდენ ქალთან ჰქონდა რომანი ათასობით წლის განმავლობაში, ქალი შეიტყობს, თუ რამდენი რომანი ჰქონდა კაცებთან, არადა, ქალს ხომ არცერთი კაცი არასოდეს ეხატებოდა გულზე, კაცს კი არცერთი ქალი არ აკმაყოფილებდა. და მაინც, კაცი აქამდე მაინც იმას ფიქრობს, მოსწონს თუ არა ესა თუ ის ქალი, ქალი კი აქამდე თავს იმაზე იმტვრევს, შეუყვარდა თუ არა ესა თუ ის კაცი. ეს უკვე მილიონჯერ მომხდარა.

თუკი ყოველივე ამას ერთხელ მაინც გაიხსენებთ, არასდროს მოგინდებათ ამის გამეორება, რადგან ეს უაზრობაა. ასეთი ქცევა არაფრის მომცემია. ბუდა და მახავირა ინტენსიურ ექსპერიმენტებს ატარებდნენ ჯატისმარანში წარსულ ცხოვრებათა გახსენების თემაზე. მაძიებელი, რომელიც ერთხელ მაინც დაბრუნდა მოგონებებში, შეიცვალა. ის სხვა ადამიანი გახდა.

მე შემიძლია დავარწმუნო მეგობარი, რომელმაც ეს კითხვა დასვა, რომ მას შეუძლია გაემგზავროს წარსული ცხოვრების მოგონებებში, თუკი სურვილი აქვს. თუმცა, ვიდრე ექსპერიმენტს დაიწყებს, ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონოს. მის რეალურ ცხოვრებაში საკმარისი განსაცდელი და სირთულეებია. როგორც ჩანს, ადამიანი სვამს, უყურებს კინოს, თამაშობს კარტს და სხვა აზარტულ თამაშებს აწმყოს დასავიწყებლად, ამჟამინდელი დღეების დასავიწყებლად. თუკი ადამიანს ესმის, რომ ძნელია ცხოვრება ერთადერთი დღის მოგონებებით, თუკი მას არ ჰყოფნის სიმამაცე ამ ცხოვრებისთვის თვალის გასასწორებლად, როგორ მოიკრებს ძალებს წარსულ ცხოვრებათა გახსენებისთვის?

შესაძლოა, ეს ფაქტი უცნაურად ჩათვალოთ, მაგრამ სამყაროს ყველა რელიგია ალკოჰოლის წინააღმდეგია. თუმცა, რიგითი და აბსოლუტურად ბრიყვი პოლიტიკოსები მთელ სამყაროს იმით განუმარტავენ ალკოჰოლისადმი თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას, რომ თითქოს ალკოჰოლი არღვე-

ვს მორალურ ქცევებს, აუარესებს ფინანსურ მდგომარეობას, ადამიანს ართმევს ქონებას და მას სასტიკად აქცევს. ყოველივე ეს სისულელეა. რელიგიები ალკოჰოლის წინააღმდეგნი მხოლოდ იმიტომ არიან, რომ ის, ვინც სვამს, ამას თავდავიწყებისთვის აკეთებს. ის, ვინც დავიწყებას ცდილობს, ვერასოდეს შეძლებს სულის შეცნობას. თავად თვითშეცნობის მიზანი სულის შეცნობაში მდგომარეობს, ამიტომ ალკოჰოლი და სამადჰიორ ურთიერთგამომრიცხავ მოვლენად იქცა. ეს არაფრითაა დაკავშირებული იმასთან, რასაც პოლიტიკოსები ამბობენ.

საქმე იმაშია, რომ აუცილებლად ყურადღებით არის განსახილველი ალკოჰოლთან დაკავშირებული სიტუაცია. ჩვეულებრივ, ადამიანები ფიქრობენ, რომ ალკოჰოლიკი სულელი ადამიანია. მე ვიცნობ მსმელ ადამიანებს, ასევე ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც არ სვავენ. ათასობით ექსპერიმენტზე დაყრდნობით, გავარკვიე, რომ ადამიანი, რომელიც სვამს, გაცილებით უკეთესია იმაზე, ვისაც ასეთი მისწრაფება არა აქვს. იმდენი გულმოწყალება და თანაგრძნობა, რამდენსაც მსმელ ადამიანებში წავაწყდი, ფხიზლებთან არ შემინიშნავს. მსმელი ადამიანებისთვის დამახასიათებელი მორჩილების გრძნობა არ დამინახავს ფხიზლებში. ალკოჰოლიკებში არასოდეს დამილანდავს ქედმაღლობა, რომელსაც ფხიზლებში ვამჩნევდი.

მაგრამ პოლიტიკოსები იმ მიზეზებზე როდი ამახვილებენ ყურადღებას, რის გამოც რელიგია ალკოჰოლის წინააღმდეგია. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ თავდავიწყებისას ადამიანი უარს ამბობს საკუთარი თავის გახსენებაზე. როგორ შეუძლია წარსული ცხოვრების მოგონება იმას, ვინც ახლანდელი ცხოვრების დავიწყებას ცდილობს? ან როგორ შეუძლია მას, ვინც თავის წარსულ ცხოვრებას ვერ იხსენებს, ახლანდელი ცხოვრება შეცვალოს?

ამიტომ ყოველივე ბრმად მეორდება. გამუდმებით იგივეს ვაკეთებთ, რაც ბევრჯერ გვიკეთებია. ეს უსასრულო პროცესია. ვიდრე ჩვენს წარსულ ცხოვრებას არ გავიხსენებთ, კვლავაც და კვლავაც დავიბადებით, და მაშინ, ისევ და ისევ, განმეორდება ძველი სისულელეები. ეს მოსაწყენი, უსასრულო, უაზრო ჯაჭვია, იმიტომ რომ განუწყვეტლივ მოვკვდებით, განუწყვეტლივ დავივიწყებთ იმას, რაც წარსულში ჩავიდინეთ და

კვლავ ძველებურად გავაგრძელებთ ცხოვრებას. ჩვენ ვიმოძრავებთ წრეზე იმ ხარივით, რომელიც ჭის თვალს ატრიალებს.

თქვენ, ვინც ამ ცხოვრებას სამსარა უწოდეთ... იცით რას ნიშნავს სამსარა? ეს ნიშნავს ბორბალს, რომლის ჩხირები მუდმივად ტრიალებენ, რომელიც ხან ზევით ადის და ხან ქვევით. არ ვიცი, ინდოეთის ჩინოვნიკებმა რატომ განათავსეს ნაციონალურ დროშაზე ბორბალი. შესაძლოა, თვითონაც არაფერი იციან, დანარჩენები კი გაოცებულები არიან, ,,ერ ხვდებიან, რისი თქმა უნდოდათ ამით პოლიტიკოსებს. აშოკამ ბორბალი გამოსახა თავის სტუპებზე[6], ყველა ბუდისტურ ტაძარზე, რათა ადამიანებს შეახსენოს, რომ ცხოვრება მბრუნავი ბორბალია, რომ ის ჰგავს ხარს, რომელიც ჭას გარშემო უვლის, რომ სამყაროში ყველა მოვლენა წრეზე ტრიალებს. ადამიანები უსასრულოდ ბრუნდებიან იმ წერტილში, სადაც უკვე იყვნენ.

ამგვარად, ბორბალი – ეს სამსარას სიმბოლოა. ის არ წარმოადგენს არანაირ გამარჯვებას. ის განასახიერებს ცხოვრებას, რომელიც ყოველდღე განიცდის წარუმატებლობას. სიმბოლურად ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ცხოვრება განმეორებადი მოწყენილობაა. მაგრამ ჩვენ ყოველდღე ვიწყებთ ამ სინამდვილეს და დიდი ინტერესითა და ენთუზიაზმით განვაგრძობთ ძველ ქმედებათა განმეორებას.

კაცს უყვარდება ქალი და მასზე ზრუნვას იწყებს. თუმცა, მას არ იცის, ადრე რამდენჯერ ყოფილა შეყვარებული, რამდენ ქალს დასდევდა უკან. და მაინც, ის კვლავ უახლოვდება ქალს და იმედოვნებს, რომ ეს შესანიშნავი მოვლენა მის ცხოვრებაში პირველად ხდება. მაგრამ ასეთ მშვენიერ მოვლენას, ადრეც უამრავჯერ წაწყდომია. გახსენების შემთხვევაში, ის დაემსგავსებოდა ადამიანს, რომელმაც ერთსა და იმავე ფილმს ათჯერ ან ოცჯერ უყურა.

როცა ფილმს პირველად უყურებთ, სიამოვნებას განიცდით, მაგრამ მეორე დღეს, ეს ფილმი უკვე ასატანი ხდება. მესამე დღეს თქვენ იტყვით: „გმადლობთ, აღარ მინდა ამ ფილმის ყურება“. მაგრამ თუ გაიძულებენ ყურებას და შემდეგნაირად დაგემუქრებიან: „თუ ამ ფილმს არ უყურებ, პოლიცია დაგიჭერს

[6] სტუპა – ბუდისტური არქიტექტორულ-სკულპტურული საკულტო ობიექტი, რომელსაც ნახევრასფეროს ფორმა აქვს.

და წაგიყვანს", თუ ასე გაგრძელდება თხუთმეტი დღის განმავლობაში, ანუ თხუთმეტჯერ ნახავთ ამ სურათს, მაშინ მეთექვსმეტე დღეს, თქვენ უეჭველად თვითმკვლელობით დაასრულებთ სიცოცხლეს. თქვენ, უბრალოდ, ვერ შეძლებთ ამის ატანას. მოჰყვებით ყვირილს: „მაგრამ მე უკვე თხუთმეტი დღეა. რაც ამ ფილმს ვუყურებ, კიდევ რამდენჯერ უნდა ვუყურო?!" პოლიციელები კი თქვენს ზურგს უკან იდგებიან და ფილმის ნახვას დაგაძალებენ. თუმცა, თუ ფილმის ყურების შემდეგ გაგიკეთებენ ინექციას, რომლის წყალობითაც დაივიწყებთ, რომ ფილმს უყურებდით, მაშინ, შესაძლოა, მომდევნო დღეს, გარშემომყოფებმა შენიშნონ, თუ როგორ შეიძინეთ ბილეთი ისევ ამ ფილმზე და სიამოვნებით მიუჯექით კინოეკრანს.

ყოველ ჯერზე, როცა ადამიანი ერთ სხეულს ტოვებს და სხვა სხეულში შედის, მისი წინა სხეულის მოგონებების კარი იკეტება. ახალი სხეულით იწყება ახალი პიესა, რომელსაც წარსულის მოქმედებები და სცენარი აქვს. ყველაფერი ისევ ისეთია, როგორც ადრე, ყველაფერი უკვე მრავალჯერ მომხდარა წარსულის გახსენებით ადამიანი ხვდება, რომ ადრე ერთი და იგივე მოქმედება ბევრჯერ გათამაშებულა, რომ ადრე ერთი და იგივე ისტორია ბევრჯერ მომხდარა, ადრე ერთი და იგივე სიმღერა ბევრჯერაა ნამღერი. და ახლა უკვე აღარ შეგწევთ ძალა ეს აიტანოთ.

მიუჯაჭველობა, სამყაროს სურვილთაგან განთავისუფლება წარსული მოგონებებიდან მოდის. სხვა გზა და გამოსავალი მიმდინარე ცხოვრების შესაძულებლად ადამიანს არ გააჩნია მიუჯაჭველობა იბადება წარსულ დაბადებათა მოგონებების გაცოცხლებით. მიზეზი იმისა, რომ ჩვენს დროში მიუჯაჭველობის პოპულარობა მცირდება, იმაშია, რომ დღესდღეობით არ არსებობს წარსული ცხოვრებათა გახსენების ხელმისაწვდომი მეთოდები.

იმ მეგობრებს ვეტყვი, რომლებმაც ეს საკითხი წამოსწიეს რომ სავსებით მზად ვარ. ჩემი საუბარი მხოლოდ თეორიული არ გახლავთ. საჭიროების შემთხვევაში, ყოველ ჩემს სიტყვას გამოვიყენებ. ბედნიერი ვიქნები, თუკი სხვებსაც შევნიშნავ მზადყოფნას. გუშინ მოვიწვიე ისინი, ვინც მამაცია, რათა ერთად ჩავატაროთ ექსპერიმენტი. გამიხარდა, როცა შემდეგი

მინაარსის რამდენიმე წერილი მივიღე: „ერთი სული გვაქვს ექსპერიმენტის დაწყებამდე. თქვენს მოხმობას ველოდებით. თქვენ მოგვაჯადოვეთ და ჩვენც მზად ვართ“. ბედნიერება ვიგრძენი, როცა მათი მზაობა შევიტყვე. ჩემი კარი მათთვის ღიაა. მე შემიძლია ეს ადამიანები ისე შორს წავიყვანო, როგორც მოვისურვებ, და როგორც ისინი მოისურვებენ. სამყაროს ახლა რამდენიმე ისეთი ადამიანი მაინც სჭირდება, რომლებიც გასხივოსნებას მიაღწევენ. რამდენიმე ადამიანმა რომ შეძლოს გასხივოსნება, მთელი იმ უკუნის გაფანტვასაც შევძლებთ, რომელსაც დღეს კაცობრიობა ჩაუყლაპავს.

შესაძლოა, არც შეგინიშნავთ, მაგრამ ინდოეთში, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ძირითადად ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის ორ ექსპერიმენტს ატარებდნენ. ერთ ექსპერიმენტს ატარებდა განდი, მეორეს – აურობინდო[7]. განდის ექსპერიმენტი მიმართული იყო თითოეული ადამიანის მორალის ამაღლებისკენ. ისე ჩანდა, რომ განდის ექსპერიმენტი წარმატებით მიდიოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, მან დამანგრეველი წარუმატებლობა განიცადა. განდის აზრით, ის ადამიანები, ვისი ხასიათის გამოკეთებაც შესაძლებელი გახდა, თიხისგან იყვნენ მოზელილნი. ბოლო ოცი წლის განმავლობაში, წამოსული მცირეოდენი წვიმაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ განდის ძალისხმევა წყალში ჩაყრილიყო. ჩვენ, ყველანი ვართ ამ პროცესის მოწმენი. ამ ადამიანების სხეულები დელიში გაშიშვლდა. მთელი საღებავი ჩამოირეცხა მათგან, მათგან არაფერი დარჩა. ყველაფერი, რაც განდმა ამ ადამიანებზე დახატა, წვიმამ ჩამორეცხა. ვიდრე მათზე ენერგია გადმოდიოდა, მეტყველი სახეები ჰქონდათ, ტანსაცმელი უნათებდათ. ქუდებით არწმუნებდნენ დანარჩენებს, რომ ქვეყანას მაღალ დონეზე აიყვანდნენ. სჯობს ეს ქუდები ყოველ

[7] შრიაურობინდო (ბენგ. অরবিন্দ ঘোষ, Arabinda Ghoṣ, Arabinda Ghosh; დ. 15 აგვისტო, 1872, კოლკატა, ინდოეთი – გ. 5 დეკემბერი, 1950, პონდიშერი, იქვე) – ინდოელი პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, ჰინდუმისტიკოსი, იოგი და გურუ. მისიწერილები, ლექსები და ფილოსოფიური ჩანაწერები ხელმოწერილია შრიაურობინდოთი და ამ სახელითაა გამოქვეყნებული. თავის პიროვნებაში იგი აერთიანებს დასავლეთის ჰუმანისტურ განათლებასა და ცოდნას ინდოეთის სიბრძნის სწავლებებთან და სპირიტუალურ ტრადიციებთან

სოფელში წმინდა ცეცხლს შეუკეთონ, ისინი ხომ ინდოეთში ბურჟუაზიისა და და კორუფციის სიმბოლოდ იქცა. ამგვარად, განდის ექსპერიმენტი წარმატებული ჩანდა, მაგრამ ის სრული წარუმატებლობით დასრულდა. მერეც ბევრჯერ უცდიათ განდის ექსპერიმენტის განმეორება, მაგრამ ყველა ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა.

აურობინდომ ჩაატარა ექსპერიმენტი, რომელიც წარუმატებელი იყო. ამ ოსტატს არც შეეძლო მისი წარმატებით ჩატარება, მაგრამ ის სწორი მიმართულებით მოძრაობდა. ის ექსპერიმენტობდა იმისთვის, რომ დაენახა, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ რამდენიმე სული ისე მაღლა ასულიყო, რომ თავად მათ არსებობას აეყვანა სიმაღლეზე სხვა სულები. საინტერესო იყო, შეძლებდნენ თუ არა დაწინაურებულები სხვა სულებისთვის აღმასვლისკენ მოეწოდებინათ და მოახერხებდნენ თუ არა სხვა სულები ამ მოწოდების შესრულებას. შესაძლებელია ერთი ადამიანის სულის წამოწევით ხელი შეეწყოს მთელი კაცობრიობის სულთა აღმასვლას? ეს არა მარტო შესაძლებელი, არამედ ერთადერთი შესაძლებელი მოცემულობაა. ჩვენს დრო-ში, სხვა არაფერი შეიძლება იყოს უფრო წარმატებული.

ჩვენს დროში, ადამიანი ისე დაეცა, რომ თუკი თითოეულის შეცვლის სიმძიმეს საკუთარ თავზე ავიღებთ, კაცობრიობის სულიერი ამაღლება არასდროს მოხდება. პირიქით, შესაძლებელია, ნებისმიერი, ვინც კაცობრიობის შეცვლას მოიწადინებს, თავად დაემსგავსოს დანარჩენებს. ძალიან დიდი ალბათობით, ისიც სხვა ადამიანებივით გაფუჭდება. შეგიძლიათ დააკვირდეთ, რომ ისინი, ვინც მასებზე იწყებს მუშაობას, რამდენიმე დღის შემდეგ, მატყუარებად გადაიქცევიან. ვერ იტყვით ასევე, რომ მათ, ვინც ხალხის სამსახურში ჩადგა, მათი რეფორმირება მოიწადინა, ნამდვილად მოახერხა რაიმეს შეცვლა საზოგადოებაში. არა, თითოეული ადამიანის შეცვლის ეს იდეა შეუსრულებელია.

კაცობრიობის ცნობიერების ისტორია გვაჩვენებს, რომ იყო დრო, როცა კაცობრიობის მთელი ცნობიერება ისეთ სიმაღლეებს აღწევდა, რომელსაც თქვენ ძნელად წარმოიდგენთ. ოცდახუთი ასეული წლის წინ, ინდოეთი იყო ბუდას, მახავირას, პრაბუდა კატიაიანის, მაკხალი გოსალას, სანიაი ვილეტიპუტის

საქმეთა მოწმე. საბერძნეთში დაიბადნენ: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ჩინეთში – ლაო-ძი, კონფუცი, ჩონგ-ძი. ოცდახუთი ასეული წლის წინ, დაიბადა ათი თუ თხუთმეტი ადამიანი ისეთი ფასეული თვისებებით და სულ რაღაც ას წელიწადში ადამიანის ცნობიერება ცას მისწვდა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ სამყაროში ოქროს ხანა იდგა. კაცობრიობის სული ადრე არასდროს ყოფილა ასეთი ძლიერი.

მახავირამ აანთო ღვთაებრივი ცეცხლი ორმოცდაათი ათასი ადამიანის გულში, რომლებიც ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ მას ერთი ადგილიდან მეორეში. ბუდას ათასობით მოწაფე გასხივოსნდა და მათი ნათელი, მათი ცეცხლი გადავიდა სოფლიდან სოფელში. იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც ბუდა თავის ათი ათას მოწაფესთან, ბხიკუსთან[8] ერთად ჩადიოდა, სამი დღის ვადაში იცვლებოდა ვიბრაცია. იქ, სადაც ათი ათასობით ბხიკუ ლოცულობდა, თითქოს მთელ სოფელზე გადმოდიოდა ლოცვის მადლი, თითქოს ადამიანთა გულები პირველად იწყებდა გაშლას და ივსებოდა კეთილსურნელებით.

ავიდა ზევით რამდენიმე ადამიანი და მათი დახმარებით ქვემოთ მყოფებმაც შეძლეს მაღლა ახედვა. ადამიანები მხოლოდ მაშინ იყურებიან მაღლა, თუ იქ რამეა დასანახი. ახლანდელ დროში, არაფერია მაღლა დასანახი, ქვევით კი ბევრი რამ შეიძლება დაინახო. რაც უფრო დაბლა ეცემა ადამიანი, მით უფრო დიდია მისი საბანკო ანგარიში, მით უფრო დიდია მისი სახლი, მით უფრო ბრწყინვალეა მისი „კადილაკი“ – ქვევით ბევრი რამის დანახვა შეიძლება. ჩვენს დროში, დელი კრიზისში იმყოფება, ეს ქალაქი, უბრალოდ, ორმოში ჩავარდა. თუკი ზევით აიხედავთ, დაინახავთ, რომ დელი ყველაზე დაბლა მყოფი ქალაქია დედამიწაზე. იგი ჯოჯოხეთის უმდაბლეს წრეზე მდებარეობს. ის, ვისაც სურს, მაღალი მდგომარეობის მიღწევა, ჯურღმულში უნდა ჩაეშვას, რაც შეიძლება დაბლა და დაბლა.

ჩვენს დროში არაფერი ღირს იმად, რომ უყურო. ვის დაუწყებთ ყურებას? რა არის ზევით? რა არის იმაზე სამწუხარო ფაქტი, რომ უკვე არ შეიძლება ამაღლებული სულების ცქერა? ამგვარი სულების ხილვისას ჩვენს გულში იბადება ძლიერი ლტოლვა. ამგვარი სულების ხილვისას ჩვენი არსება

[8] ბხიკუ – ბუდიზმში ასკეტი ბერი, რომელიც ცხოვრობს მოწყალებებით

გაჰყვირის. ამგვარი სულების ყურებისას ჩვენ საკუთარ თავს ვკიცხავთ და ვამბობთ: „მეც შემეძლო ვყოფილიყავი ასეთი ნათელი, ჩემშიც შეიძლებოდა გაშლილიყო ამგვარი ყვავილი, მეც შემეძლო ასე მემღერა. მეც შემეძლო გავმხდარიყავი ბუდა. მახავირა, კრიშნა, ქრისტე“.

ერთხელ მაინც რომ მოგსვლოდათ თავში ასეთი აზრი: „მეც შემეძლო გავმხდარიყავი ისეთი, როგორებიც ეს ადამიანები არიან“ (ასეთი შთაგონებისთვის, რა თქმა უნდა, ქვევიდან ზევით უნდა უცქერდეთ ვინმეს), მაშინ თქვენი ცხოვრებისეული ენერგია უფრო მაღალი მწვერვალების დასალაშქრად გაემგზავრებოდა. გახსოვდეთ, რომ თქვენი ცხოვრებისეული ენერგია მუდამ მოძრაობს, თუ ის ზევით არ მიდის, ესე იგი ქვევითკენ მიემართება. ცხოვრებისეული ენერგია არასდროს დგას ერთ ადგილას. ცნობიერის სამყაროში არც გაჩერებებია, და არც მოლოდინები. აქ არ არის სადგურები, რომელშიც შეგიძლიათ ჩასვლა და დასვენება, მოძრაობთ ან მაღლა ან დაბლა. ცხოვრების ყოველი წამი მოძრაობაშია. მოვიდა დრო ცნობიერების ასამაღლებლად და საჭიროა იგი მუდმივად მაღალ ნიშნულზე დარჩეს, რათა დაბლა მყოფმა ადამიანებმა კარგად შეძლონ მისი დანახვა.

მინდა მთელ მსოფლიოში დავიწყო მოძრაობა, რომელშიც არ გაერთიანდება ბევრი ადამიანი, რადგან მხოლოდ რამდენიმე მამაცი პიროვნება მჭირდება, რომლებიც მზად იქნებიან ექსპერიმენტისთვის. თუკი ინდოეთში ასი მოხალისე დათანხმდება ექსპერიმენტს და გადაწყვეტს საკუთარი ცნობიერის ამაღლებას ადამიანისთვის შესაძლებელ დონეზე, მაშინ ინდოეთის იერსახის შეცვლა ოც წელიწადში იქნება შესაძლებელი.

მომაკვდავი ვივეკანანდა გამოტყდა: „ყოველთვის ვეძახდი ას ადამიანს, მაგრამ იხინი არ მოვიდნენ. ახლა სასოწარკვეთილი განწყობით ვკვდები. ჩემთან რომ მხოლოდ ასი ადამიანი მოსულიყო, მთელი ქვეყნის შეცვლას შევძლებდი“.

ვივეკანანდა მუდმივად ეძახდა ადამიანებს, მაგრამ ისინი არ მიდიოდნენ მასთან. მე გადავწვიტე, რომ არავის დავუძახებ მე ყოველ სოფელში დავძებნი, თვალებში ჩავხედავ თითოეულ ადამიანს მისი ვინაობის დასადგენად. მომიწევს ფიზიკურად მოვათრიო ჩემთან ისინი. ვინც მოწოდებას არ გამოეხმაურება

თუ მხოლოდ ასი ადამიანი შეგროვდება, მაშინ გარწმუნებთ, რომ მათი სულები ევერესტამდე აიჭრება. სულთა ამ მოგზაურობას სიმაღლეებისკენ, შესაძლოა, მთელი ქვეყნის ცხოვრებისეული ენერგიაც აჰყვეს.

მეგობრებო, ვინც ჩათვლის, რომ ღირს ჩემს დაძახილზე გამოხმაურება, ვინც იგრძნობს, რომ აქვს საკმარისი სიმამაცე და ძალა სრულიად გაურკვეველ, უცნობ გზაზე შესადგომად, შეუსწავლელი ოკეანის გადასაკვეთად, უნდა იცოდეს, რომ ასეთი გამბედაობა, ასეთი სიმამაცე, მასში მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ იგი ღვთაებრივი ძახილით განიმსჭვალა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი გამბედაობა, ასეთი სიმამაცე გამორიცხულია. ეგვიპტეში ასე ამბობდნენ: „ადამიანმა, რომელიც ღმერთს ეძახის, იმის შესახებაც უნდა იცოდეს, რომ თვით ეს ღმერთი ეძახდა მას დიდხანს, სხვა შემთხვევაში მასში არ აღიძვრებოდა ეს ძახილი“.

ის ადამიანები, რომლებიც ამ ძახილს გრძნობენ, უდიდეს პასუხისმგებლობას ატარებენ კაცობრიობის წინაშე. არსებობს იმის აუცილებლობა, რომ აქ მოვიდეს რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ცნობიერის სიმაღლეებს გამოცდიან, და საკუთარ სიცოცხლეს მიუძვნიან ამას. ცხოვრების ყველა ჭეშმარიტება და გამოცდილება ამ მომენტამდე ყალბი ხდება. აქამდე დაპყრობილი ყველა სიმაღლე ფანტაზიად ითვლება, ისინი მითებად იქცევიან.

ასი ან ორასი წლის შემდეგ, ბავშვები არც დაიჯერებენ ბუდას, მახავარას ან ქრისტეს მსგავსი ადამიანების არსებობას. ისინი მათ გამოგონილ პერსონაჟებს დაარქმევენ. დასავლეთში უკვე ერთმა ადამიანმა დაწერა წიგნი იმაზე, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც ქრისტეა, არასოდეს არსებობდა. ის ამტკიცებს, რომ ეს, უბრალოდ, ძველი პიესაა, რომელიც ადამიანებმა, დროთა განმავლობაში, დაივიწყეს და ისტორიად აქციეს.

ჩვენ იმიტომ ვდგამთ სცენაზე რამლილას, რომ გვჯერა, ოდესღაც არსებობდა ისეთი ადამიანი, როგორიც რამაა. ამიტომაც ვდგამთ სცენაზე რამლილას. ასი წლის შემდეგ, ბავშვები იტყვიან: „ადამიანებმა ნახეს „რამლილა“ და არასწორი შთაბეჭდილება შეექმნათ იმაზე, რომ რამა ოდესღაც ცხოვ-

რობდა". ამგვარად, „რამლილა", ანუ რამას სასცენო თავგადასავალი, თავად რამას დაჩრდილავს. ადამიანები „რამლილას" ჩათვლიან მხოლოდ პიესად, რომელიც ასობით წლის განმავლობაში იდგმებოდა, რამას კი მხოლოდ ფინალში გაიხსენებენ თუკი ადამიანები შეწყვეტენ რამას, ბუდას, ქრისტეს აღიარებას, რანაირად შეძლებენ შორეულ წარსულში მათი არსებობის დაჯერებას?

ადამიანის გონება არასოდესაა მზად იმის დასაჯერებლად, რომ შეიძლება უფრო მაღალი ცნობიერების ადამიანი არსებობდეს. ის, უბრალოდ, უარს ამბობს თავისზე მეტად მნიშვნელოვანი ადამიანის არსებობის ფაქტის აღიარებაზე ადამიანს მხოლოდ იმის დაჯერება სურს, რომ თავადაა ყველაზე დიადი და გამორჩეული. ის სხვა ადამიანის უპირატესობას მხოლოდ მაშინ აღიარებს, როცა ამას აიძულებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს არასდროს ხდება. ის ცდილობს. სხვა ადამიანში ათასჯერ დაძებნოს რაიმე ნაკლი, დეფექტი. რათა დაამტკიცოს, რომ ისიც მდაბალია. ის მუდამ დადარაჯებულია საიმისოდ, რომ ამის შესახებ სხვებსაც ამცნოს. გაამხილოს ის, რომ ამ ადამიანის ძველი იმიჯი შეილახა, რამდენადაც მასში ნაკლოვანება მოიძებნა. მისი ძიება სხვა ადამიანში ნაკლის აღმოჩენისკენაა მიმართული. თუკი მსგავსი რამ ვერ მოიძებნა, ადამიანი თავად იგონებს მას საკუთარი სიბრიყვის გასამართლებლად, იმაში დასამტკიცებლად, რომ შესანიშნავად იქცევა.

ადამიანი თანდათან ყველა დიად სულს უარყოფს, რადგან მათ სიმბოლოები, მათი ნიშნები არსად გამოჩნდება. რამდენი ხანი დაგარწმუნებთ ქვის გამოსახულებები იმაში, რომ ბუდა და მახავირა ნამდვილად არსებობდნენ? რამდენი ხანი დაგარწმუნებთ ბიბლიის სიტყვები, რომ ქრისტე მართლა არსებობდა? რამდენი ხანი შეძლებს ჩვენ წინაშე ბჰაგავად გიტა კრიშნას ცხოვრების დემონსტრირებას? დიდხანს ეს არ გასტანს ჩვენ გვჭირდება ქრისტეს, კრიშნას, ბუდას, მახავირას მსგავსი ადამიანები. თუ ვერ შევძლებთ ამ სიდიადის ადამიანის შექმნას, შემდეგი ორმოცდაათი წლის განმავლობაში, კაცობრიობა უბნელესი ისტორიის ეპოქაში ჩაეშვება. და მაშინ. კაცობრიობას არ ექნება მომავალი

ეს უდიადესი გამოწვევაა მათთვის, ვინც გრძნობს, რომ რაღაცის გაკეთება შეუძლია კაცობრიობისთვის. მე დავიწყებ სიარულს ქალაქიდან ქალაქში, რათა მოვუწოდო ადამიანებს. როგორც კი წავაწყდები თვალებს, რომლებიც, ჩემი აზრით, ლამპრებად ქცევას შეძლებენ, მაშინათვე დავინთები ღვთაებრივ ცეცხლად. მზად ვარ მთელი ძალისხმევა მოვახმარო იმას, რომ ეს რეალობად ვაქციო. რაც შემეხება მე, სავსებით მზად ვარ. მოდით ვნახოთ, მომიწევს თუ არა სასიკვდილო სარეცელზე ამის თქმა: „მე ვეძებდი ას ადამიანს და ვერ ვიპოვე ისინი"

მეათე თავი

რელიგია – ეს მედიტაციის ძიებაა

ვიდრე ცნობიერად სიკვდილთან მიახლების პროცესზე იმსჯელებთ, მინდა გკითხოთ, რა განსხვავებაა ცნობიერ მდგომარეობასა და გააზრებულ მდგომარეობას შორის? გონების რომელი მდგომარეობაა უგონო მდგომარეობა? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რას ჰგავს ინდივიდუალური სულის გონი მის ცნობიერ თუ არაცნობიერ მდგომარეობაში?

იმისათვის, რომ გავიგოთ ცნობიერისა და ცნობიერის არარსებობის მდგომარეობის რაობა, უპირველესად, უნდა გავიგოთ, რომ ეს არ არის ურთიერთსაპირისპირო მოვლენები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ასეთ მოვლენებად მიიჩნევენ. სინამდვილეში ჩვენ შევეჩვიეთ ცხოვრების გადმოცემას ორაზროვანი ტერმინებით. თავიდან ვქმნით განსხვავებას სიბნელესა და სინათლეს შორის, მერე ვვარაუდობთ, რომ ეს ორი განსხვავებული მოვლენაა. როგორც კი ვიწყებთ სიბნელისა და სინათლის შეცნობას, როგორც ორი სხვადასხვა მოვლენისა, მაშინვე ვუშვებთ მთავარ შეცდომას. ნებისმიერი აზრი, რომელიც ამ შეცდომას მოჰყვება, უცილობლად არასწორი იქნება. ის არ შეიძლება იყოს სწორი.

სიბნელე და სინათლე – ეს ერთი და იგივე მოვლენის ვარიაციებია. ეს ერთი და იგივე მოვლენის ორი სხვადასხვა მხარეა, სხვადასხვა სტადიაა. კარგი იქნებოდა, სიბნელისთვის სინათლის ნაკლებობა გვეწოდებინა. სინათლე, რომლის დაჭერაც არ შეუძლია ჩვენს მზერას, სინათლე, რომელსაც ვერ განსაზღვრავს ჩვენი მხედველობა, სიბნელეს ჰგავს. ზუსტად ასევე, სინათლეს სიბნელის ნაკლებობა უნდა ვუწოდოთ, რამდენადაც ეს ის სიბნელეა, რომელიც ჩვენს მხედველობას შეუძლია აღიქვას. ამგვარად, სიბნელე და სინათლე – ორი სხვადასხვა მოვლენა კი არა, განსხვავებული ხარისხის ერთი და იგივე მოვლენებია.

ის, რაც მართებულია სიბნელისა და სინათლის გაგებისთვის, ასევე მართებულია სხვა დანარჩენი ცხოვრებისეული მდგომარეობებისთვის. ეს მართებულია არაცნობიერ და ცნობიერ მდგომარეობასთან დაკავშირებითაც. თქვენ შეგიძლიათ არაცნობიერი მდგომარეობა ჩათვალოთ სიბნელედ, ხოლო ცნობიერი – სინათლედ. სინამდვილეში, თითოეული ობიექტის ყველაზე არაცნობიერი მდგომარეობაც კი არ არის მთლიანად ცნობიერებას მოკლებული. ქვა სრულიად არ არის არაცნობიერი – საქმე იმაშია, რომ ისიც არსებობს ცნობიერ მდგომარეობაში, მაგრამ მისი ცნობიერი იმდენად პატარაა, რომ მისი დაჭერა რთულია.

ადამიანს სძინავს, ადამიანი ფხიზლობს. ძილი და სიფხიზლე – ეს არაა ორი სხვადასხვა გაგება. ძილსა და სიფხიზლეს შორის ერთი და იგივე ადამიანი ცურავს. ის, რასაც ჩვენ ძილს ვეძახით – სინამდვილეში არ არის ძილი. მაგალითად, ხუთას კაცს სძინავს ერთ ოთახში და ჩვენ ხმამაღლა წარმოვთქვამთ სიტყვას „რამა“. მხოლოდ ის ადამიანი ახელს თვალს, რომელსაც რამა ჰქვია, რათა გაიგოს, ვინ უშლის მას ძილში ხელს, ვინ ეძახის. დანარჩენი ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი ადამიანი ძილს აგრძელებს. რამას რომ ნამდვილად სძინებოდა, მაშინ, ის, ვერ გაიგებდა ამ ადამიანის ძახილს, ვერ შეძლებდა იმის აღქმას, რომ რამა ჰქვია. სინამდვილეში, მისი ძილი სიფხიზლის ერთერთ ნაკლებაქტიურ მდგომარეობაში გახლდათ, ან მისი სიფხიზლე გაბუნდოვანდა რამდენადმე და დაინისლა.

თქვენ ხედავთ, რომ ქუჩაზე ადამიანი მორბის. გაიგო, რომ მის სახლში ხანძარია. თქვენ ესალმებით. ის გხედავთ თქვენ, მაგრამ მაინც ვერ გხედავთ. მას ესმის თქვენი, მაგრამ მაინც არ ესმის. მომდევნო დღეს ამ ადამიანს ეკითხებით, თუ რატომ არ გიპასუხათ მისალმებაზე, ის კი გპასუხობთ: „ჩემი სახლი იწვოდა. იმ მომენტში ვერაფერს ვხედავდი, საკუთარი სახლის გარდა, არაფერი გამიგია, გარდა ჩემი სახლის გარშემო ატეხილი ხმაურისა, გარდა იმისა, რომ ხალხი ყვიროდა: „სახლი იწვის!“ დარმუნებული ვარ, დამინახეთ და მომესალმეთ, მაგრამ მე ვერ დაგინახეთ და ვერ მოგისმინეთ“. ეძინა ამ ადამიანს თუ ფხიზლობდა? რა თქმა უნდა, მორბენალი კაცი ყველა გაგებით ფხიზლობდა. მაგრამ. გამვლელის თვალსაზრისით, მას თით-

ქმის ეძინა. მას იმაზე მეტად ეძინა, ვისაც ძილში საკუთარი სახელი „რამა" ჩასძახეს.

ამგვარად, ვის სძინავს, და ვინ ფხიზლობს? პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ეს არ არის ორი საპირისპირო მოვლენა. მატერია და ღმერთი – არ გახლავთ ორი საპირისპირო გაგება. ძილი და სიფხიზლე, სინათლე და სიბნელე, ეშმაკი და ღვთაებრივი, კარგი და ცუდი, – არ არიან საპირისპირო მოვლენები. მაგრამ ადამიანის ტვინი მოვლენას მაშინვე ყოფს ორ ნაწილად. სინამდვილეში, როგორც კი ტვინი საკითხს დასვამს, მაშინვე ორად გაყოფს მოვლენას. ტვინი ფიქრობს, რომ ყველაფერი ორ ნაწილად იყოფა.

დაფიქრება და ორ ნაწილად გაყოფა – ეს ერთი და იგივეა. თქვენ ყოფთ იმ წამს, როცა ფიქრობთ. ფიქრი – გაყოფის პროცესია: თქვენ იმ წამსვე ყოფთ ყველაფერს ორ ნაწილად. ადამიანი, რაც უფრო მიეჩვევა ფიქრს, მით უფრო აქტიურად დაიწყებს გაყოფას. საბოლოოდ ის ყველაფერს დაანაწევრებს და მთლიანი დაიკარგება. ყოველი კითხვის პასუხი ამ მთლიანში, ამ მთლიანობაში დევს.

ტვინს არ შეუძლია არც ერთ კითხვაზე არ ძალუძს პასუხის პოვნა. სინამდვილეში, ის უამრავ კითხვას სვამს ყოველ მოძებნილ პასუხზე. სულ არაა მთავარი, რამდენად მნიშვნელოვანია ეს პასუხი, ტვინი ხომ მაშინვე ათობით კითხვას სვამს, მაგრამ არსებითად ტვინს არასდროს შეუძლია არაფერზე პასუხის მოძებნა. ამის მიზეზი არსებობს: პასუხი მთლიანობაში დევს. მაგრამ ტვინი უმწეოა. მას არ შეუძლია იმუშაოს ისე, რომ არ გაყოს.

მაგალითად, მე ვზივარ აქ და ვლაპარაკობ თქვენთან. თქვენ მისმენთ და მიყურებთ. ის, ვინც მიყურებს, და ის, ვინც მისმენს – ორი სხვადასხვა ადამიანი როდია. თუმცა, რაც შეგეხებათ თქვენ, თქვენ იყურებით თქვენივე თვალებით და თქვენივე ყურებით ისმენთ. თქვენ ორ ნაწილად გამყავით. თქვენ რომ ჩემს გვერდით იჯდეთ და ჩემი სხეულის სუნს შეიგრძნობდეთ, მაშინ სამ ნაწილად გამყოფდით. ამ შემთხვევაში, თქვენ დაუკავშირებდით ერთმანეთთან ამ სამ ნაწილს და ჩემს გამოსახულებას შექმნიდით. მაგრამ ეს გამოსახულება არ იქნება ჩემი, თქვენ, უბრალოდ, ჩემი ნაწილები შეაერთეთ. ჩემი გამოსა-

ხულება არაკორექტული იქნება. თქვენ ვერასდროს შექმნით მთლიანს ნაწილების შეერთებით, რადგან მთლიანი – ეს ის არის, რაც მანამდე იყო, ვიდრე ნაწილები შეიქმნებოდა.

როგორც კი ცნობიერითა და არაცნობიერით ვინტერესდებით, მაშინვე გაყოფას ვიწყებთ. მე ვთლი, რომ ეს მდგომარეობები ერთი მთლიანია. მაგრამ როცა ვლაპარაკობ იმაზე, რომ ეს ერთი მთლიანია, ერთი და იმავეს არ ვგულისხმობ. არ ვამბობ, რომ საკუთრივ ცნობიერი – ეს არაცნობიერი მდგომარეობაა. როცა ვამბობ, რომ სიბნელე და სინათლე ერთიანია, არ ვგულისხმობ იმას, რომ თქვენ სიბნელეში ისევე შეგიძლიათ სიარული, როგორც სინათლეზე სეირნობთ. როცა იმაზე ვსაუბრობ, რომ სიბნელე და სინათლე ერთიანია, მინდა ვთქვა, რომ არსებობა შედგება სხვადასხვა ხარისხის რეალობის ერთი და იგივე გამოვლინებით. განსხვავება იმაშია, თუ რამდენად მკვეთრად გამოვლინდება რეალობა.

ახლა უფრო იოლად გამიგებთ. რა დავარქვათ იმას, რაც ვლინდება როგორც ცნობიერი, დიდი დოზით არსებობისშემთხვევაში, ხოლო მცირე დოზით არსებობისას არაცნობიერი ხდება? ამ ელემენტს ყურადღება ეწოდება. რაც უფრო ღრმა და მძაფრია ყურადღება, მით უფრო სტაბილურია ცნობიერის მდგომარეობა. არაცნობიერი მდგომარეობა და ცნობიერი – სხვა არაფერია, თუ არა ყურადღების სხვადასხვა კონცენტრაცია. რაც უფრო ღრმაა ყურადღების მდგომარეობა, მით უფრო სტაბილურია ცნობიერი. რაც უფრო სუსტია ყურადღება, მით უფრო სტაბილურია არაცნობიერი მდგომარეობა. სინამდვილეში, განსხვავება ქვასა და ადამიანს შორის ის არის, რომ ქვას არა აქვს ყურადღების კონცენტრაციის უნარი, არცერთი ცნობიერის დონეზე. ცნობიერი ვლინდება იმ დონეზე, რომელზეც გროვდება ყურადღება, არაცნობიერი მდგომარეობა კი იმ დონეზე, რომელზეც მცირდება ყურადღების კონცენტრირება.

თუ მზის სხივს ლინზაში გაატარებთ, ცეცხლი აგიზგიზდება. მობილიზებული სინათლე ცეცხლს ქმნის. მაგრამ ძალადაკარგული და დასუსტებული სინათლე არ წყვეტს თავის არსებობას. მოკიაფე კუთხეში ცეცხლია, რადგან ის ძლიერ მობილიზებულ სინათლეს შეიცავს. ცეცხლი ჩნდება ყოველ-

თვის, როცა სინათლე მობილიზდება. როცა სინათლე სუსტდება, ანუ მისი მობილიზება მცირდება, მაშინ ცეცხლიც კი მხოლოდ სინათლეა.

როცა სინათლის მობილიზება მცირდება, ძლიერდება სიბნელე. სინათლე ძლიერდება, როცა მისი მობილიზება იზრდება. თუკი მზისკენ გავემგზავრებით, სინათლე მუდმივად გაძლიერდება, რადგან მზის ზედაპირზე სხივები ერთადაა თავმოყრილი. როცა მზეს მოვცილდებით, სინათლე უფრო და უფრო შესუსტდება. მზისგან ყველაზე დიდ მანძილზე არაფერი იქნება, გარდა სიბნელისა, სინათლის მობილიზების შემცირების გამო.

ამ პრინციპს ვიყენებთ როგორც არაცნობიერი, ისე ცნობიერი მდგომარეობისას. ძირითადი პრინციპი – ეს ყურადღებაა. მისი მდინარება, მობილიზება, სისუსტე, სიმყარე განსაზღვრავს იმას, თუ რა შეიძლება ადამიანს უწოდო – ფხიზელი თუ მძინარე, უგონოდ მყოფი თუ ცნობიერი. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული ეს სიტყვა შედარებისთვის გამოიყენება. მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ ოთახში სინათლეა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ოთახის შიგნით უფრო მეტი სინათლეა, ვიდრე ქუჩაში. ამ ოთახში სინათლეა, იმიტომ რომ ქუჩაში ბნელა. გარეთ რომ მზე ანათებდეს, მაშინ ეს ოთახი უფრო ჩაბნელებულად მოგვეჩვენებდა. ამგვარად, როცა ვამბობთ, რომ ვიღაც ფხიზლობს, ან ვიღაცას სძინავს, ამ სიტყვებს პირობითად ვიყენებთ, რაღაც სხვა სუბსტანტთან შედარებისთვის.

ენას თავისი სირთულეები აქვს. ცნებათა გამუდმებული გადმოცემა ამგვარი შედარებითი ტერმინებით რთული იქნებოდა. ამიტომ სიტყვებს მათი აბსოლუტური გაგებით ვხმარობთ, რაც, პრინციპში არასწორია. უფრო კორექტული იქნებოდა კონცეფციების გამოხატვა მონათესავე ტერმინებით. მაგალითად, ვინც აქ ვსხედვართ, ასე თუ ისე, ყველანი ვფხიზლობთ. მაგრამ ეს მთლად სწორი არ არის. ყოველი აქ მყოფი ადამიანი რაღაც დონემდეა ფხიზელი. ამიტომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ თქვენგან მარჯვნივ მჯდომი ადამიანი ნაკლებად გამოფხიზლებული იყოს თქვენგან მარცხნივ მჯდომ ადამიანთან შედარებით.

ელემენტი, რომელიც ცნობიერსა და არაცნობიერ მდგომარეობას შორის მოძრაობს, – ეს ყურადღებაა. ამგვარად, თუ

გაიგებთ, რა არის ყურადღება, ანუ დხიანა, მაშინ გაიგებთ, რასაც ნიშნავს ცნობიერი და არაცნობიერი მდგომარეობა. ყურადღება ნიშნავს რაიმეს გაცნობიერებას. ეს ნიშნავს რაღაცის არეკვლას ცნობიერში. არასდროს ხდება ისე, რომ ადამიანი ყოველწამს და ყოველდღე თანაბრად იყოს ფხიზელი.

მაგალითისთვის, კარგი იქნება, თუ თვალის გუგის მოძრაობის პრინციპს გაეცნობით. თქვენ მზეზე გადიხართ, გუგა პატარავდება, თვალს არა აქვს მძლავრი შუქის მოთხოვნილება. თქვენი თვალთახედვისთვის სავსებით საკმარისია მცირე სიმძლავრის სინათლე, ამიტომაც გუგა და ფოკუსი ვიწროვდება. როცა მკვეთრი სინათლიდან ბნელ ადგილას გადადიხართ, თქვენი გუგები ფართოვდება და ფოკუსიც დიდდება, რადგან იმისთვის, რომ სიბნელეში დაინახოთ, თვალისთვის მეტი სინათლეა საჭირო. თვალის მიერ აღქმული სიბნელისა და სინათლის დონეთა მიხედვით, მისი გუგა მუდმივად იცვლის ფოკუსს. ზუსტად ასევე ვცვლით ფოტოკამერის ლინზის ფოკუსს ფოტოების გადაღებისას.

ადამიანის ყურადღება მის თვალთა ცეცებას ჰგავს. თქვენ მიდიხართ ქუჩაში. თუ ქუჩა ნაცნობია, თქვენი ყურადღება შესუსტებულია. თუ ქუჩა უცხოა, მაშინ თქვენი ყურადღებაც იძაბება. თქვენ არ გჭირდებათ ზედმეტი სიფხიზლე, თუ იმ ქუჩით მიდიხართ, რომელზეც ყოველდღე დადიოდით, რადგან სავარაუდოდ მას არაცნობიერ მდგომარეობაშიც გაივლით. თუ თქვენთვის ქუჩა არაა ნაცნობი და არასდროს გაგივლიათ იქ, მაშინ ცნობიერის კონცენტრირება მოგიწევთ. იმის გამო, რომ ქუჩა თქვენთვის უცხოა, ყურადღების დაძაბვა დაგჭირდებათ.

ამდენად, რაც უფრო დიდხანს ცხოვრობს ადამიანი უსაფრთხოდ, მით უფრო არაცნობიერ მგდომარეობაში იქნება ის. არაცნობიერ მაგდომარეობაში ყველაფერი ნაცნობი და ნათელია. რაც უფრო დიდხანს ცხოვრობს ადამიანი რისკის ქვეშ, მით უფრო ცნობიერი იქნება ის. მოულოდნელ საფრთხეთა გამოკლებით, ჩვენ არასოდეს ვართ ბოლომდე ცნობიერ მდგომარეობაში, პირიქით, გამუდმებით გვძინავს. თუ უეცრად მკერდზე ხანჯალს მოგაბჯენთ, მაშინათვე გამოფხიზლდებით, ცნობიერნი გახდებით, სრულიად საპირისპირო იმისა, რაც ახლა ხართ. მკერდს მიბჯენილი ხანჯალი საგანგებო სიტუა-

ციაში გაგდებთ, ისეთ კრიტიკულ სიტუაციაში, რომ იმ წამს თავს ვერაფრით მისცემთ ჩათვლემის უფლებას. ეს ნიშნავს, რომ თქვენ არ შეგიძლიათ ძილი ამ მომენტში. თუკი ამ სახიფათო ვითარებაში მძინარე დარჩებით, მაშინ სიკვდილი დაგემუქრებათ.

ამ უმკაცრეს წუთებში მთელი თქვენი არსება კრისტალიზდება, მთელი თქვენი ყურადღება მობილიზებული ხდება. მთელი თქვენი ყურადღება მიემართება ხანჯლისკენ, და თქვენ მთლიანი ძალით გააცნობიერებთ მას. შესაძლოა, ეს სიტუაცია გაგრძელდეს მხოლოდ ერთი წამი, მიუხედავად ამისა, საქმე იმაშია, რომ თქვენი ყურადღება, ჩვეულებრივ, მხოლოდ კრიტიკულ წუთებშია მობილიზებული. როცა საშიშროება გაივლის, პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდებით, ისევ იძინებთ.

ალბათ, ამ მიზეზით გიზიდავთ საშიშროება. ჩვენ გვიყვარს გარისკვა. მაგალითად, ადამიანი თამაშობს აზარტულ თამაშებს. შეიძლება, თქვენთვის ძნელი წარმოსადგენი იყოს ის, თუ რა აიძულებს მას ამგვარი თამაშებით გაერთოს. ასეთი ქმედებისკენ მოთამაშეს საფრთხის ელემენტი უბიძგებს. ფსონის დადებისას ადამიანი მეტად ცნობიერი ხდება, ვიდრე სხვა დროს. მოთამაშემ დადო ცხენზე ასი ათასი დოლარი და საცაა კამათელს გააგორებს. ეს ყველაზე კრიტიკული მომენტია. თვალის დახამხამებაში ასი ათასი დოლარი შესაძლოა თვალის დახამხამებაში მილიონად იქცეს, ან საერთოდ განქარდეს. ამ მომენტში ადამიანი ვერ მისცემს თავს ძილის უფლებას, მას ცნობიერ მდგომარეობაში ყოფნა სჭირდება. ის წამი, როცა კამათელი იდება, აუცილებლად აკრისტალებს მის ყურადღებას. ამან შეიძლება გაგაღიმოთ, მაგრამ, ჩემი თვალსაზრისით, მოთამაშეც ცდილობს მედიტაციას თავად იცის თუ არა ამის შესახებ, ეს უკვე სხვა საქმეა.

კაცს ცოლი მოჰყავს. გადის დღეები, ცოლი უფრო და უფრო ნაცნობი ხდება მისთვის და ქმარიც სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს მას. ცოლი მისთვის ისეთივე ნაცნობი ხდება, როგორც ქუჩა, რომელზეც ყოველ დღე დადის. მოულოდნელად კაცს მეზობელი უფრო მიმზიდველად ეჩვენება. მისი მოჭარბებული ყურადღების მიზეზი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ქალი კაცისთვის უცხოა. როცა ის მას

უყურებს, აუცილებლად მობილიზებული აქვს ყურადღება, მაშინათვე იცვლება მისი ხედვის ფოკუსიც. მაგრამ სინამდვილეში, ქმრებისა და ცოლების თვალები არ იცვლიან ფოკუსს, როცა ისინი ერთმანეთს უმზერენ. რეალურად ქმარი იშვიათად უყურებს ცოლს, ის უბრალოდ გაურბის მას. მისი ცხოვრების სტილი თანაცხოვრების პირობებში არ მოითხოვს ცოლისთვის ყურადღების მიქცევას. ამდენად, ჩემი აზრით, სხვა ქალის ან სხვა კაცის მიმზიდველობა სინამდვილეში ყურადღების მიპყრობაა. აღგზნების ამ მომენტში ტვინი სრულიად ცნობიერი ხდება. ის იძულებულია ეს გააკეთოს, რადგან მხოლოდ ამ დროს შეუძლია ვიღაცის დანახვა.

სამყაროში დაუსრულებელი რბოლაა: ახალი სახლისთვის ძველის ნაცვლად, ახალი ტანსაცმლისთვის ძველის ნაცვლად, ახალი სოციალური მდგომარეობისთვის ძველის ნაცვლად. არსებითად, მთელი ეს რბოლა კრისტალიზებული ყურადღების, ანუ მედიტაციის უდიდეს სურვილს ავლენს. ადამიანის ცხოვრებაში ყველა სიხარული იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენადაა კრისტალიზებული მისი მედიტაცია. ღვთაებრივი გაელვება – კრისტალიზებული მედიტაციის გაელვებაა. ამიტომ იმ ადამიანებს, რომლებსაც სიხარულის მოპოვება სურთ, უნდა გაიღვიძონ. შეუძლებელია სიხარულის მოპოვება ძილის მდგომარეობაში.

რელიგია – ეს მედიტაციის ძიებაა, ასევეა აზარტული თამაშების შემთხვევაშიც. ისინიც, ვინც ხმლით ხელში ომში მიდიან, მედიტაციას ეძებენ. ის, ვინც ტყეში ვეფხვზე სანადიროდ მიდის, მედიტაციას ეძებს. ისიც კი, ვინც თვალდახუჭული ზის გამოქვაბულში და აქტიურადაა ორიენტირებული აჯნიას ჩაკრაზე, ანუ მესამე თვალის ცენტრზე, ზუსტად ასევე ეძებს მედიტაციას. ძიება შეიძლება იყოს წარმატებულიც და სულელურიც, სასურველიც და არასასურველიც, მაგრამ ძიების სურვილი სურვილად რჩება. მედიტაცია ნიშნავს, რომ თქვენში არსებული ცოდნის ენერგია მთელი თავისი სისავსით გამოვლინდება. ცოდნის არცერთი ნაწილი არ შეიძლება თქვენში პოტენციალის სახით, თესლის ფორმით ჩარჩეს. შემეცნების ნებისმიერი უნარი, რომელიც თქვენშია, არ უნდა იქცეს პოტენციალად. იგი უნდა გამოვლინდეს.

მხოლოდ ამ დროს იწყებს ადამიანი სრულად იმის გაცნობიერებას, რომ მისი არსება იფურჩქნება. ორივე მოვლენა ერთდროულად ხდება. მაგალითად, ხე დაფარულია თესლში, მაგრამ ეს მხოლოდ პოტენციალია, რადგან თესლი შეიძლება ისე მოკვდეს, რომ არც მატერიალიზდეს ხედ. ხე მაინცდამაინც თესლისგან კი არ უნდა გაჩნდეს. ეს მხოლოდ შესაძლებლობაა და არა აუცილებელი მოცემულობა.

თესლის ხედ გადაქცევა – ეს მისი არსებობის შემდგომი მდგომარეობაა. მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ თესლი არ გახლავთ ხის გაცხადებული მდგომარეობა, რადგან ხედ ქცეული თესლი სწორედ ისაა, რაც მასში იმალებოდა. ანალოგიურად თუ მივყვებით, კორექტული იქნება იმის თქმაც, რომ არაცნობიერი – ეს ცნობიერის პოტენციური მდგომარეობაა, ან რომ ცნობიერი არაცნობიერის გამჟღავნებული გამოვლინებაა.

რა მოძრაობს ამ ორ მდგომარეობას შორის? რაც იყო თესლში, იგივეა ხეშიც? თესლსა და ხეს შორის უნდა არსებობდეს დამაკავშირებელი ჯაჭვი. შესაძლოა, ის არც გადადიოდეს თესლიდან ხეში, ორივეში არსებობდეს. სხვაგვარად როგორ უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს თესლი და ხე? რა იყო დამალული თესლში და რა გამოვლინდა ხეში? ეს არ შეიძლება იყოს არც თესლი და არც ხე. უნდა შევიტყოთ ამის შესახებ.

მესამე ძალა, რომელიც თესლში იყო დაფარული, რომელიც გამოვლინდა ხეში, არ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ თესლი. მაშინ თესლი ვერასდროს გახდებოდა ხე. თუკი ეს იქნებოდა მხოლოდ ხე, მაშინ როგორ აღმოჩნდა ის თესლში? ის ორივეში არსებობდა. მესამე ძალა – ეს ცხოვრებისეული ენერგიაა.

სიფხიზლე და არაცნობიერი მდგომარეობა – ეს ორი მდგომარეობაა. ელემენტი, რომელიც მოძრაობს ამ ორ მოვლენას შორის – მედიტაციაა. ეს არის მესამე სტადია, სასიცოცხლო ენერგია. ამგვარად, რაც უფრო ინტენსიურად მედიტირებთ, მით უფრო ცნობიერ მდგომარეობაში ხართ, რაც უფრო ნაკლებად მედიტირებთ, მით უფრო ღრმად გძინავთ. ქვა მძინარე ღმერთია. ქვას მთლიანად სძინავს, ის იმ თესლიავითაა, რომელიც არასდროს იზრდება. ადამიანი ხე არ არის, ის გატეხილი თესლია პაწაწინა წანაზარდით. ის, ჯერ კიდევ, არ გამხ-

დარა ხე, მაგრამ არც ქვაა. ის საღაც შუა გზაზეა. ადამიანი მოძრაობს, ან უკეთ რომ ვთქვათ, ადამიანი შესასვენებლად გაჩერდა. ადამიანი თესლია ხედ გადაქცევისკენ მიმავალ გზაზე. ისიც შუალედური ყლორტია. სულ ეს არის, რასაც ადამიანი წარმოადგენს: ყლორტი, ჩამოსაყალიბებელი თესლი. ისიც, რაც ჩვენთვის სიფხიზლის სახელითაა ცნობილი, მხოლოდ და მხოლოდ წანაზარდია. რასაც სიფხიზლედ მოვიხსენიებთ, საკმაოდ ბუნდოვანი მდგომარეობაა.

ის, რასაც ჩვენ სიფხიზლეს ვეძახით, ჯერ კიდევ ძილის მდგომარეობაა. ფხიზელი მდგომარეობა, რომელშიც ჩვენს რუტინულ საქმეებს ვაგვარებთ, ძალიანაც არ განსხვავდება მთვარეულის მდგომარეობდან. ძილში ადამიანი დგება, გადის სამზარეულოში და ონკანიდან წყალს სვამს, ანდა მაგიდასთან ჯდება და წერილს წერს. შემდეგ, ისევ საწოლს უბრუნდება. დილით, მას არაფერი ახსოვს, ის ხომ ამ ყველაფერს ძილში აკეთებდა. მას გახელილი ჰქონდა თვალები, ის სწორ გზაზე მიდიოდა, მან ძალისხმევის გარეშე გააღო კარი, დაწერა წერილი, მაგრამ მას მაინც ეძინა. ეს იმას ნიშნავს, რომ ტვინის პაწაწინა ნაწილის გარდა, მთელ ტვინს ეძინა, ამიტომ მის მეხსიერებას არ შეეძლო ქმედებათა აღნუსხვა. ამგვარად, დილით, როცა ღამით მომხდარის ახსნას ცდილობს, ადამიანი იბნევა.

ის, რასაც ჩვენ სიფხიზლეს ვეძახით, მთვარეულის მდგომარეობას ჰგავს. იმის გახსენება რომ გთხოვოთ, რასაც 1950 წლის 1 იანვარს აკეთებდით, ვერ იპოვით პასუხს. უბრალოდ იტყვით: „იყო ასეთი დღე, 1-ლი იანვარი, და მეც, ალბათ, რამეს ვაკეთებდი ამ დღეს, მაგრამ დეტალები არ მახსოვს“. თუმცა, თქვენ გაოცდებით, როცა გაიგებთ, რომ დაჰიპნოზების შემდეგ, უპრობლემოდ და ამომწურავად უპასუხეთ იმავე კითხვას.

ის, რაც იმ დღეს მოხდა, ჩაწერილია თქვენი ტვინის რომელიღაც უბანზე, რომელსაც სრულყოფილად ვერ აღიქვამთ. ინფორმაცია ჩაწერილი და შენახული იყო გამოყენების გარეშე. ზუსტად ასევე ცხოვრობს თქვენში წარსულ ცხოვრებათა მოგონებები, მაგრამ ჩვენ მათ არ ვეხებით. ჩვენ მთლიანად ვერ ვაცნობიერებთ მათ. წარსულ ცხოვრებაში ჩვენი არსების რომელიღაც ნაწილს ეღვიძა. სწორედ, ამ ნაწილმა ჩაწერა ეს ინ-

ფორმაცია. ეხლა ეს ნაწილი პასიურია, მას სძინავს. სულ სხვა ნაწილი ფხიზლობს და აქტიურობს. იმ ნაწილმა, რომელსაც ამ ცხოვრებაში ღვიძავს, არაფერი იცის უდიდესი სამუშაოს შესახებ, რომელიც უკვე შესრულებულია სხვა ნაწილის მიერ წინა ცხოვრებაში. მან არ იცის, რომ თესლი უკვე მომწიფდა წინა ცხოვრებაში და მერე მოკვდა. მას წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რომ ასეთი მცდელობა უკვე იყო. სინამდვილეში წარსულში უამრავ მცდელობას ჰქონდა ადგილი.

თუკი ოდესმე გადაინაცვლებთ თქვენი წარსული ცხოვრების მოგონებებში, ძალიან გაოცდებით. წარსული ცხოვრების მოგონებები არ არის განსაზღვრული ერთი ადამიანის ცხოვრებით. ამ მოგონებებში გადაბარგება ძალიან იოლია, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშეა შესაძლებელი. თუმცა, მრავალი ადამიანური ცხოვრების განსრულებამდე ცხოველების ცხოვრებითაც გვიცხოვრია. ამ ცხოვრებებში შეღწევა უფრო რთულია. რადგან ისინი უფრო ღრმა ფენებშია შეფარული. წარსულში. ცხოველურ ცხოვრებამდე, ჩვენ ხეების სახით ვცხოვრობდით ამ მოგონებებში შეღწევა კიდევ უფრო ძნელია, ვინაიდან მათ ბევრად სქელი შრეები ფარავს. ამ ცხოვრებათა მოგონებები უმდაბლეს ფენებშია დაფლული. მათთან მიღწევა ურთულესი საქმეა.

აქამდე წარული ცხოვრების მოგონებებზე ჩატარებული ექსპერიმენტები ამ ცხოველური ცხოვრების მიჯნას არ გასცდენია. ბუდასა და მახავირას მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებიც კი არ წასულა ცხოველური ცხოვრების იქით. ხის რანგში არსებობის მოგონებათა გაცოცხლება კიდევ უფრო წინ არის. რაც შეეხება ქვისა და მინერალების რანგში არსებობისდროინდელ მოგონებებს, მათ შრეებამდე კიდევ უფრო შორი გზაა. მაგრამ ყველა ამ წარსული ცხოვრების მოგონებები მკვეთრად ინერება. თუმცა, ეს ჩანაწერები ძილში უნდა გაკეთდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტვინი გააცნობიერებს მთელ ამ პროცესს.

შესაძლოა, არც მოგსვლიათ თავში, მაგრამ არის ისეთი ნიუანსები, რომელსაც ვერასდროს ვივიწყებთ. რატომ ხდება ასე? ვთქვათ, ხუთი წლის ასაკში ვიღაცამ გცემათ. ეს შემთხვევა მრავალი წლის შემდეგაც ნათლადაა აღბეჭდილი თქვენს

ტვინში და იგი სიცოცხლის ბოლომდე გეხსომებათ. რაშია საქმე? როგორც ჩანს, ალიყურის მომენტში ძალზე გამახვილებული გქონდათ მასზე ყურადღება. ამიტომაც, ამ შემთხვევამ, თქვენზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა. რასაკვირველია, იმ დროს, როცა ადამიანს სცემენ, მისი ყურადღება უმაღლეს დონეზეა მობილიზებული. ამ მიზეზით ადამიანი არასოდეს ივიწყებს შეურაცხყოფას, ტკივილიან შეგრძნებებს, ბედნიერების წუთებს. მსგავს წუთებში უამრავი შეგრძნებაა. ამ მომენტში ადამიანი ისე სავსეა ცნობიერებით, რომ კონკრეტული შემთხვევის ხსოვნა მთელს ცნობიერს აღემატება, მაშინ, როცა რიგითი სასიხარულო ამბები ადამიანს ძალაუნებურად ავიწყდება.

როგორ გავიგოთ რა არის ყურადღება, რა არის მედიტაცია? ძნელია ამის გაგება, რამდენადაც ეს გამოცდილების საკითხია. რა მოხდებოდა, თქვენთვის რომ უცებ ქინძისთავი შემერჭო? მთელი თქვენი ყურადღება გადავიდოდა იმ წერტილისკენ, რომელშიც ქინძისთავი შეგერჭოთ. უეცრად სხეულის ეს წერტილი თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გახდებოდა. თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი თქვენი არსება ამ წერტილთან მოიყრიდა თავს. და იმ წამს თქვენთვის სხეულის მხოლოდ ის ნაწილი იქნებოდა აღქმადი, რომელშიც ჩხვლეტა იგრძენით.

მაშ, რა მოხდა სინამდვილეში თქვენს სხეულში? ქინძისთავის ჩარევის გარეშეც გქონდათ სხეულის ეს ნაწილი, მაგრამ ამას ვერ აცნობიერებდით, ვერ გრძნობდით, არც კი იცოდით, რომ ეს ნაწილი არსებობდა. მერე კი, უეცარმა ტკივილმა, რომელიც ქინძისთავმა გამოიწვია, კრიზისი შექმნა და მთელი თქვენი ყურადღება მიიპყრო იმ წერტილმა, რომელშიც ქინძისთავი შეგერჭოთ.

მაინც, რა გამოიქცა ამ წერტილისკენ? რა მოხდა თქვენ შიგნით? რა შეიცვალა? რა არის ის, რაც წამის წინ არ იყო ამ წერტილში, მაგრამ ახლა გაჩნდა? ეს ცნობიერია, გაცნობიერება, რომელიც არ იყო წამის წინ. სწორედ, მისმა არყოფნამ გაიძულათ მიგეგივნყებინათ სხეულის ეს ნაწილი და თქვენთვის სულერთი იყო, არსებობდა თუ არა ის. თქვენ არაფერი იცოდით მასზე და თქვენთვის სულერთი იყო, არსებობდა ის თუ არა. უეცრად, თქვენ დაიწყეთ გაცნობიერება, რომ თქვენს

სხეულზე ეს ნაწილიც არსებობს. ანაზდად თქვენთვის მნიშვნელოვანი გახდა მისი არსებობა. და ახლა ეგზისტენციალური ცნობიერება თქვენთვის სრულიად თვალსაჩინო ხდება. ამგვარად, ყურადღება – ეს სწორედ გაცნობიერებაა.

არსებობს ორი სახის ყურადღება. ესეც უნდა გაიგოთ, რადგან ასე უფრო იოლი იქნება ჩემთვის გიპასუხოთ თქვენს კითხვებზე. არსებობს ორი სახის ყურადღება. პირველს შეიძლება ვუწოდოთ კონცენტრაცია. იმისთვის, რომ გავიგოთ, რა არის კონცენტრაცია, აუცილებელია გავიგოთ, რომ როცა თქვენი ყურადღება მობილიზებულია ერთ წერტილზე, თქვენ ყველა დანარჩენი წერტილი გავიწყდებათ. როგორც ადრე ვახსენე, თუ ქინძისთვი შევა თქვენს სხეულში, მაშინ მთელი თქვენი ყურადღება გადაინაცვლებს იმ წერტილზე, რომელშიც ქინძისთავი გეჩხვლიტათ. თქვენ შეწყვეტთ დანარჩენი სხეულის გაცნობიერებას.

რეალურად ავადმყოფი ადამიანი აცნობიერებს თავისი სხეულის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ავადაა. ის იწყებს ცხოვრებას მხოლოდ დაავადებული სხეულის ნაწილით და მისთვის დანარჩენი სხეული არ არსებობს. ის, ვინც თავის ტკივილებით იტანჯება, საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მხოლოდ თავთან ახდენს, დანარჩენი სხეული კი მისთვის არსებობას წყვეტს. იმისი ყურადღება, ვისაც მუცელი სტკივა. მობილიზებულია მხოლოდ მუცელზე. თუ ფეხში ხიჭვი შეგერჭოთ, მაშინ თქვენი ფეხი იქცევა თქვენთვის მთელ სხეულად. ეს არის მობილიზებული ყურადღება. სწორედ, ასე მიგყავთ მთელი თქვენი ყურადღება ერთ წერტილამდე.

როცა მთელი ყურადღება ისწრაფვის ერთ წერტილში და იქ რჩება, მაშინ ნათელია, რომ ყველა დანარჩენი წერტილი ქრება, ისინი ქრებიან სიბნელეში. როგორც ადრე ვახსენე, როცა ვინმეს სახლი ეწვის, ის, ხანძრის გარდა, ყველაფერს ივიწყებს. მან მხოლოდ ის იცის, რომ მისი სახლი იწვის და ყოველივე დანარჩენი, მისი აზრით, არარსებულია. ერთადერთი, რასაც ის სულ აცნობიერებს, ეს ის არის, რომ მისი სახლი იწვის. იგი წვეტს სხვა რამის გაცნობიერებას.

ამგვარად, კონცენტრაცია – ეს ყურადღების ერთი ფორმაა. კონცენტრირებისას თქვენ იწყებთ მობილიზებას ერთ

წერტილზე და ვერ აღიქვამთ სხვა ნაწილთა განუსაზღვრელ რაოდენობას. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ კონცენტრაცია ყურადღების ძალაა, ის უგონო მდგომარეობის საფუძველიც გახლავთ. ორივე მოვლენა ერთდროულად ხდება.

ყურადღების სხვა ფორმა – ეს გაცნობიერებაა, და არა კონცენტრაცია. გაცნობიერება ნიშნავს ყურადღებას, რომელიც არ არის კონცენტრირებული რომელიმე განსაკუთრებულ წერტილზე. ეს ცოტა რთული გასაგებია, რადგან ჩვენთვის ცნობილია ყურადღების მიმართულება. ადამიანს აქვს ინფორმაცია ხიჭვზე, რომელიც ფეხში შეერჭო და აწუხებს, თავის ტკივილზე, სახლში გაჩენილ ხანძარზე, მოსალოდნელ გამოცდაზე და სხვა თემებზე. ჩვენთვის ნაცნობია ყურადღება, რომელიც მიმართულია განსაზღვრული წერტილისკენ, ჩვენ ვიცით, რაც არის კონცენტრაცია. მაგრამ არის ყურადღების კიდევ ერთი სახე, რომელიც არ მობილიზდება კონკრეტულ წერტილზე. ვიდრე ადამიანის ყურადღება შევიწროებულია კონკრეტულ წერტილამდე, ის ვერ გააცნობიერებს დანარჩენ ადგილებს.

თუკი ღმერთის არსებობის გვჯერა, მაშინ ის გაღვიძებული, მთლიანად ცნობიერი უნდა იყოს. მაგრამ რა უნდა გააცნობიეროს მან? თუკი არსებობს წერტილი, რომელსაც ის გააცნობიერებს, მაშინ მას, სავარაუდოდ, მოუწევს დანარჩენების არგაცნობიერება. ამგვარად, რაც შეეხება ღმერთს, მას არ შეიძლება ჰყავდეს კონკრეტული ობიექტი, გააჩნდეს ცნობიერების რამენაირი ცენტრი. ეს გაცნობიერება ცენტრგარეშეა. ამ შემთხვევაში, გაცნობიერება უსასრულო, ყოვლისმომცველი სახეს იძენს.

ყოვლისმომცველი გაცნობიერება უმაღლესი მდგომარეობაა, უმაღლესი ხარისხისთვის დამახასიათებელი. ამიტომ, როცა ღმერთს განვსაზღვრავთ, როგორც სატ-ჩიტ-ანანდას, სიტყვა „ჩიტ“ ყოფიერების მდგომარეობას ნიშნავს. ჩვეულებრივ, ადამიანებს ერევათ სიტყვა „ჩიტ“, სიტყვა „ჩეტანაში“, ანუ ცნობიერებაში, რომელიც სინამდვილეში, არ ნიშნავს ამას, რადგან ცნობიერება მუდამ რაღაცის გარშემო ბრუნავს. თუკი იტყვით: „მე ვაცნობიერებ“, ესე იგი შეიძლება ითქვას: „აცნობიერებ რას?“ სიტყვა „ჩიტ“ ნიშნავს არაობიექტურ ცნობიე-

რებას. ეს ცნობიერება არაა მიმართული რაიმესკენ, ეს უბრალოდ სუფთა თვითცნობიერების მდგომარეობაა. ცნობიერება მუდამ ორიენტირებული იქნება ობიექტზე, თვითცნობიერების მდგომარეობა კი ცენტრიდან უსასრულობაში ასხივებს ის არასდროს ისვენებს, არაფერზე ყოვნდება, ის ყველაფერს შთანთქავს.

ამ მდგომარეობაში, რომელიც ვრცელდება უსასრულობაში, არ არსებობს არცერთი წერტილი, სადაც შეიძლება თავისი კვალი დატოვოს გაუცნობიერებლობამ. ჩვენ შეგვიძლია ამ მდგომარეობას ვუწოდოთ სრული გაცნობიერება. არსებობს მდგომარეობა, რომელიც საპირისპიროა მდგომარეობის, რომელსაც ჰქვია შუშუნტი, ღრმა ძილის მდგომარეობა სიზმრის გარეშე. აუცილებელია ამასაც კარგად ჩასწვდეთ.

ადამიანის ცნობიერის კონცენტრაცია მობილიზებულია ერთ ობიექტზე, დანარჩენს კი ვერ აცნობიერებს. გაცნობიერება მობილიზებულია მხოლოდ ერთ წერტილზე. თუმცა, სრული გაცნობიერების მდგომარეობაში არ არსებობს ერთი წერტილი, რომელიც შეიძლება გააცნობიერო. ასეთი გაცნობიერებით თითოეული მათგანია გაჟღენთილი. უნდა ითქვას, რომ ეს, უბრალოდ, გაცნობიერებაა, და არა კონკრეტული ობიექტის გაცნობიერება. სრული გაცნობიერების მდგომარეობაში ობიექტი ქრება და მხოლოდ სუბიექტი რჩება. რჩება მხოლოდ მისი შემცნობი, და უჩინარდება ის, რაც შეიძლება შეიცნო. შეცნობის ენერგია უსასრულოდ ვრცელდება და უკვე არაფერი რჩება შესაცნობად.

მუდამ არსებობს ფასი, რისთვისაც ადამიანს უნდა ცოდნას მიაღწიოს. თუკი გინდათ რაიმე იცოდეთ, მაშინ სხვა რამის მიმართ მოგიწევთ უცოდინრად დარჩენა. დაიმახსოვრეთ, ცოდნისთვის ადამიანი უცოდინრობით იხდის. მრავალ მოვლენაზე მზარდი ცოდნით ადამიანი უეჭველად უცოდინარი რჩება სხვა მრავალი მოვლენის მიმართ. მაგალითად, მეცნიერი ძალიან მცოდნე ადამიანია, მაგრამ თუ ის ქიმიკოსია, მას არაფერი ეცოდინება ფიზიკაზე, თუ მათემატიკოსია, არაფერი ეცოდინება ქიმიაზე. თუკი მათემატიკის შესახებ ვრცელი ინფორმაციის მიღებას მოიდომებს, უნდა შეეგუოს იმას, რომ არაფერი ეცოდინება უამრავ სხვა საგანზე. მას მოუწევს ამ არჩევანის

გაკეთება. თუ გსურთ რომელიმე კონკრეტულ სფეროში ექსპერტი გახდეთ, უნდა გეყოთ სიმამაცე იმისთვის, რომ სხვა ბევრ საგანში უცოდინარი დარჩებით.

ამიტომ მახავირა და ბუდა არ იყვნენ განსწავლულნი, ამ სიტყვის ფართო გაგებით. მათ არ ჰქონდათ რაიმე განსაკუთრებული ცოდნა, ისინი არ იყვნენ სპეციალისტები არცერთ სფეროში. ამიტომ, ერთი მხრივ, ჩვენ ვამბობთ, რომ მახავირა იყო ყოვლისმცოდნე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მან ისიც კი არ იცოდა, ველოსიპედის გახვრეტილი საბურავისთვის როგორ დაედო ნაკერი. ის არ იყო სპეციალისტი. ის, ვინც გახვრეტილი საბურავის შეკეთებას დაეუფლება, იძულებული იქნება თავი შეიკავოს სხვა საგნების სწავლისაგან. ამ მოხელის ცნობიერი ორიენტირებული იქნება ერთ კონკრეტულ ობიექტზე და ბევრ სხვა მოვლენას, მისთვის, შეუცნობლის ბურუსი შთანთქავს.

თავად მეცნიერების მნიშვნელობა განისაზღვრება რაც მეიძლება მცირე სფეროზე რაც შეიძლება მეტის გაგებით. ცოდნის ზრდასთან ერთად, შემეცნების სფერო ვიწროვდება. საბოლოო ჯამში, მხოლოდ ერთი პუნქტის შეცნობაღა გვმართებს, დანარჩენი სფეროები სრულიად დაფარულია. ზუსტად ამ მიზეზით მეცნიერი, რომელსაც წყალბადის ბომბის შექმნა შეუძლია, შესაძლოა, ჩვეულებრივმა გამყიდველმა მოატყუოს, რადგან ამ მეცნიერის ცოდნა იმდენად ვიწრო სფეროს მოიცავს, რომ მან მეტი არაფერი იცის. დანარჩენთან დაკავშირებით, ის, სრულიად უცოდინარია, ბნელზე ბნელი გლეხივით, და უფრო მეტადაც. გლეხმა ბევრი კარგი რამ იცის, თუმცა, ის სპეციალისტი არაა. ამიტომ ადამიანმა წარსულიდან ბევრი მოვლენა იცის, მაშინ როცა თანამედროვე ადამიანი ამაში ნაკლებად ერკვევა. თანამედროვე ადამიანი იძულებულია არჩევანი გააკეთოს. იმისთვის, რომ ერთ რამეზე ბევრი რამ შეიტყოს, ის იძულებულია უარი თქვას ბევრი რამის შეცნობაზე.

ასეთი იქნება კონცენტრაციის შედეგი. ერთი განსაკუთრებული ობიექტი შეიძენს მნიშვნელობას, მაშინ როცა დანარჩენი ობიექტები დავიწყებას მიეცემა. და მაინც, კონცენტრაციის ერთ-ერთი შედეგი ის გახლავთ, რომ რაც უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ობიექტი, მით უფრო მეორეხარისხოვანი ხდება მისი შეცნობა. მეცნიერმა ბევრი რამ იცის. მაგრამ არაფერი

იცის შეცნობაზე, ანუ შეცნობის ელემენტზე საკუთარ თავში თუკი მას კონკრეტულ ობიექტზე ჰკითხავთ, ლოგიკურ პასუხს მიიღებთ, მაგრამ თუკი საკუთარ თავზე ჰკითხავთ რამეს, ხშირ შემთხვევაში, დაბნეულ სახეს წააწყდებით.

ედისონის ცხოვრებაში, რომელმაც ათასობით აღმოჩენა გააკეთა, ერთი საინტერესო შემთხვევაც იყო. შესაძლოა, სხვას არავის ჰქონდეს ამდენი აღმოჩენა. პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა აშშ-ში შემოიღეს საბარათე სისტემა, ედისონსაც მოუწია ბარათის აღება, მაღაზიაში წასვლა და რიგში ჩადგომა როცა მისი სახელი წამოიძახეს, ანუ თომას ედისონი, მან გულგრილად გაიხედა გვერდზე, თითქოს სხვა ადამიანს უხმობენო მაგრამ რიგში მდგარი ედისონი ვიღაცამ იცნო, მივიდა მასთან და უთხრა:

– უკაცრავად, მე თქვენი ფოტო გაზეთში ვნახე. როგორც ჩანს, თქვენ ხართ ედისონი.

ედისონს გაუკვირდა. მადლობა გადაუხადა იმ ადამიანს იმისთვის, რომ მან თავისი სახელი შეახსენა და შენიშნა:

– უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში, ძალიან ცოტა დრო მქონდა საკუთარი თავისადმი მისაძღვნელად.

ოცდაათი წელი ეს ადამიანი იმდენად დაკავებული იყო თავის ლაბორატორიაში, რომ საკუთარი თავისთვის დრო არ რჩებოდა. ის იმდენად მნიშვნელოვანი პიროვნება გახლდათ. რომ ოცდაათი წლის განმავლობაში, არავის დაუძახია მისთვის სახელი, რომელიც, სავარაუდოდ, თვითონაც დაავიწყდა.

კონცენტრაცია მაშინ ხდება, როცა ცნობიერების ისარი აქტიურად აზიანებს, ობიექტს. თუმცა, ამ დროს, მთელი სამყარო, თავად მობილიზებულის ჩათვლით, სიბნელეში ეხვევა უმაღლეს მდგომარეობაში, რომელზეც თქვენთან ვლაპარაკობ, განსაკუთრებული საგანი ქრება. ამის ნაცვლად ყველაფერი ნათდება, საკუთარი თავის ჩათვლით, იმის ჩათვლით რაც სინამდვილეში ხართ. ეს სინათლე არ იქნება ფოკუსირებული. უმჯობესია ამ მოვლენას სინათლის ნაცვლად ნათება ვუწოდოთ.

სინათლე და ნათება – ეს არ არის სინონიმები, ამ ორ ცნებას შორის მცირედი განსხვავებაა. ის, რაც ალიონთან ერთად ჩნდება. სინათლეა. მაგრამ როცა ღამე სრულდება და მზე

ამოსვლას აპირებს, წარმოიქმნება ნათება. ის არ არის ფოკუსირებული, არ არის მობილიზებული, უბრალოდ, გაბნეულია. ამგვარად, ღმერთი ნათებაა, ანუ ნათება უმაღლესი სიფხიზლის მდგომარეობაა. ამის საპირისპირო ცნებააა წყვდიადი, სხვაგვარად – ძილი სიზმრების გარეშე.

მოდით, ყველაფერი ასე განვმარტოთ. სრული ცნობიერის მდგომარეობაში არ რჩება არც სუბიექტი და არც ობიექტი. ის, რაც რჩება, უბრალოდ უსასრულო ნათებაა. თუკი შეიძლება ასე ითქვას, ეს ნათება – ყოვლივე არსებულის შეცნობის მდგომარეობაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს რაიმეს არშეცნობას გულისხმობს. ეს არის მთლიანის შეცნობა, რადგან ხელშესახებად არ რჩება ის, რაც ამ სინათლის სფეროდან ვარდება. არაფერი შეიცნობა, რადგან რეალურად არ არსებობს ის, რაც შეიძლება შეიცნობოდეს. თუ ადამიანი შეეცდება გაიგოს რაიმე კონკრეტული, ცხადია, ბევრი ობიექტი შეიმოსება მისთვის ბურუსით. ამგვარად, ეს ცოდნა არაა ის, რაც მოეთხოვება მეცნიერს, ეს ცოდნა, რალაც მოსაზრებით, პოეტისთვის უფროა აუცილებელი.

მეორე ჩვეულებრივი მდგომარეობა გაცნობიერების მდგომარეობს კონცენტრაციაში, რომლის დროსაც, თქვენ იცით ერთ საგანზე და ივიწყებთ ყოველივე დანარჩენს, მათ შორის საკუთარ თავს. არის სხვა მდგომარეობაც, რომელიც დგება ამ მდგომარეობამდე. ეს საწყისი მდგომარეობაა, როცა თქვენ არ იცით არც ობიექტი, არც საკუთარი თავი. ეს სრული სიბნელის მდგომარეობაა. თქვენ არაფერი იცით კონკრეტულ საგანზე, ანუ ეს კონცენტრაციაც კი არ არის, და არც ყოვლისმომცველ არსზე, ანუ ეს ცნობიერიც კი არ არის. თქვენ ასევე არაფერი იცით საკუთარ თავზე. შეცნობა კვლავ გამოკეტილ მდგომარეობაშია. ის, ჯერ კიდევ, თესლის ფორმაშია, ის ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი, ფესვებშია დაფარული.

ამგვარად, არსებობს შუშუპტი, ძილის მდგომარეობა სიზმრის გარეშე, და არის სრული ცნობიერის მდგომარეობა. ჩვენ, ყურადღების ამ უამრავ წერტილს შორის ვირყევით. დღისით ცნობიერნი ხართ და თქვენი ყურადღების ქანქარაც გაცნობიერებისკენაა მიმართული. ღამით კი, როცა გძინავთ, ის შუშუპტისკენ იხრება.

სინამდვილეში, ძილში უფრო ახლოს ვართ მატერიასთან. როცა ვფხიზლობთ, უფრო ვუახლოვდებით ღვთაებრივს. ღმერთისკენ მივისწრაფით. შეცნობისკენ სვლა რომ არ შეგვეწყვიტა, ეს მოძრაობა რომ გაგრძელებულიყო, დადგებოდა მომენტი, როცა სრულყოფილი ძილითაც კი არ დაგვეძინებოდა. მაშინ ღრმა ძილშიც კი შევინარჩუნებდით გარკვეული დონის სიფხიზლეს. ამ შემთხვევაში, ძილი ფიზიკური მოდუნების საშუალებად იქცევა და სავსებით კარგავს სულიერი წყვდიადის ფუნქციას. თქვენ გძინავთ, მაგრამ გამუდმებით აცნობიერებთ, რომ გძინავთ. თქვენ იძინებთ და, ამავე დროს, იცით, რაც გხდება თქვენს თავს. ამ შემთხვევაში, თქვენში განუწყვეტლივ ჩქეფს ცნობიერის ნაკადი. ცხადია, უკუ მოვლენაც შესაძლებელია.

მაგალითად, ადამიანი კომაში ვარდება, კარგავს გონებას, ან სვამს. ყველა ამ მდგომარეობაში ადამიანი ვერ აცნობიერებს, რა ხდება მის გარშემო და თავად მასში. იკარგება შეცნობის შეგრძნება და ის, რაც უნდა იყოს შეცნობილი – ყველაფერი სიბნელეში ინთქმება. ზუსტად ასევე ქრება ორივე პოსტულატი უმაღლესი ცნობიერის მდგომარეობისას, მაგრამ არა სიბნელეში, არამედ უსაზღვრო ნათელში.

თუკი ჩემი საუბარი გესმით, მაშინ მოკლედ გეტყვით იმასაც, რასაც ეს ნიშნავს: ყურადღების მოძრაობა ვრცელდება სრული ძილიდან სრულ გაცნობიერებამდე. ამ მდგომარეობებს შორის მანძილი უამრავ დონედ განიყოფა.

ხეც რაღაცას ნიშნავს. დიდხანს არ ვიცოდით ამის შესახებ. როცა რამდენიმე ადამიანმა პირველად ამ ფაქტს მიაქცია ყურადღება, ადამიანებს ჩამოუყალიბდათ აზრი, რომ მათ ეს მოიგონეს. მათი ისტორიები ზღაპრებს ჰგავდა. მაგრამ ახლა მეცნიერებიც კი წარმოგვიდგენენ მტკიცებულებებს, რომ ხეც ფლობს ინფორმაციას, რომ ხესაც ესმის. ზოგიერთი ხის ქერქს თვალებიც აქვს. რა თქმა უნდა, ეს თვალები არ ჰგავს ჩვენს თვალებს, მიუხედავად ამისა, ხეებს აქვთ უნარი ხედვის, სმენის, შეგრძნებების.

ამას წინათ, წავიკითხე რამდენიმე ექსპერიმენტზე, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩატარდა. სამეცნიერო მეთოდებით ჩატარდა განსაცვიფრებელი ექსპერიმენტი ადა-

მიანის ყურადღებაზე. ერთ-ერთი საოცარი გამოცდილება მდგომარეობდა იმაში, რომ ერთი პაკეტში ჩაყრილი თესლი თანაბარ ნაწილად გაყვეს და დათესეს ორ სხვადასხვა ქოთანში. ორივე ქოთანს ერთნაირად უვლიდნენ. მერე კი ექსპერიმენტატორებმა სთხოვეს წმინდა ადამიანს, ბერს, ელოცა ერთ-ერთი ყვავილის ქოთნის წინ, რომ მისი თესლი სწრაფად გაზრდილიყო, რომ აყვავილებულიყო და ნაყოფი მოეცა, რომ მათ თავისი უმაღლესი პოტენციალისთვის მიეღწიათ. მეორე საყვავილესთან ბერს არ წაუკითხავს ლოცვა.

ექსპერიმენტატორები დიდად გაოცდნენ, როცა მეორე ქოთანში თესლი ძალიან გვიან გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქოთანს ერთნაირად უვლიდნენ, და არცერთს არ ჰქონდა არანაირი პრივილეგია. მებაღეებს არ უთხრეს განსხვავებაზე, და არც განსაკუთრებული ინსტრუქცია მიუციათ ქოთნებზე განსხვავებული მზრუნველობისთვის. მიუხედავად ამისა, ქოთანი, რომელზეც ბერმა ილოცა, განსაკუთრებული გამოდგა. მასში თესლები უფრო ადრე გაიზარდა, ადრე გაყვავილდა და ნაყოფიც ადრე გამოიღო. აქ ყველა თესლმა გაამართლა. მაშინ როცა მეორე ქოთანში, მიუხედავად იმისა, რომ თესლი ნორმალურად აღმოცენდა, მისი ზრდა-განვითარება ბევრად სუსტად წარიმართა. აღსანიშნავი იყო, რომ ყვავილებისა და ნაყოფის ხარისხი ამ ორ ქოთანში აღმოცენებული თესლისა სრულიად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ამ ლაბორატორიაში მრავალი სხვა ექსპერიმენტიც ჩაატარეს, და ყველას გასაოცრად დადგინდა, რომ მცენარესაც შეუძლია ლოცვის შეგრძნება, რომ ისიც იღებს ლოცვას. ჩაატარეს უფრო საოცარი ექსპერიმენტიც, რომელმაც ყველა გააოგნა. წმინდანი, რომელსაც სთხოვეს ელოცა, ქრისტიანი იყო და მკერდზე ჯვარი ეკიდა. თესლები გადაიღეს იმ მომენტში, როცა ის მათზე თვალდახუჭული და ხელებაღმართული ლოცულობდა. მკვლევარებმა ფოტოში დაინახეს ის, რაც, შესაძლოა, სცდება კიდეც ადამიანის აღქმის უნარს. ფოტოზე თესლებზე გამოსახული წმინდანის ჯვარი და მისი ზეაპყრობილი ხელები გამოჩნდა.

რას ნიშნავს ეს? ამ შემთხვევაში, შესაძლებელია ძალიან ფართო დასკვნები გავაკეთოთ. მე ვთვლი, რომ ეს ექსპერი-

მენტები კაცობრიობისთვის უფრო სასარგებლო იქნება, ვიდრე ატომური ენერგიის აღმოჩენა. თესლიც რაღაცას აღიქვამს. ისიც იღებს რაღაც ინფორმაციას. თესლსაც აქვს ცნობიერი მაგრამ მას სძინავს. ადამიანისგან განსხვავებით, მას უფრო ღრმა ძილით სძინავს. და მაინც, ძილის მდგომარეობაში მყოფ თესლშიც გარკვეული ცნობიერებაა.

როგორც ჩანს, ქვას უფრო ღრმად სძინავს, მაგრამ მისი ძილის მდგომარეობაც შეიცავს ცნობიერებას. ყველა ქვა როდია მთლიანად ქვა და ყველა ქვას როდი სძინავს ერთნაირად ქვებს თავიანთი ინდივიდუალობა გააჩნიათ. მეცნიერებმა მათი თვისებები გამოიკვლიეს და ძიებამ ისინი ძვირფასი ქვების აღმოჩენამდე მიიყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ვერ აღმოაჩენდნენ. ძვირფას ქვებად ყველა ქვა არ მიიჩნევა. არ მოტყუვდეთ ეკონომისტების კანონებით, რომლებიც ამტკიცებენ. რომ რაღაც საგნები იშვიათობის გამო, ხდებიან ფასეულნი ქვებს ამ მეთოდით არ აფასებენ.

წარმოვიდგინოთ, რომ ბუდას გვერდით დგას ჩვეულებრივი ადამიანი. მათ ახლოს რომ მარსიანელი დაფრენილიყო, და მათთან მისულიყო, როგორ გაარჩევდა, ვინ ვინ იყო ამ ორიდან? მარსიანელმა არ იცის არც ჩვენი ენა, არც ჩვენი კულტურა. არც ჩვენი ადათ-წესები. ის განსჯიდა მხოლოდ გარეგნობით თუ მარსიანელი ამ ორი ადამიანის გარემოცვაში ერთ საათს გაატარებდა, შეამჩნევდა კი მათ შორის რამე განსხვავებას? თავის პლანეტაზე დაბრუნებული მარსიანელი არ შეცდებოდა. თუ თავის ახლობლებს ეტყოდა, რომ ნახა ორი ერთმანეთის მსგავსი ადამიანი. მან დაინახა, რომ ორივე სუნთქავდა, დადიოდა, ლაპარაკობდა, ისვენებდა – მათში ყველაფერი ერთმანეთს ჰგავდა. ამიტომ, როცა ჩვენ ვხედავთ ორ ქვას, გვგონია. რომ ისინი ერთნაირები არიან, რადგან ვერ ვაცნობიერებთ მათ ინდივიდუალობას.

ძვირფასი ქვები – კაცობრიობის უდიდესი აღმოჩენაა. ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ქვების სიღრმეთა კითხვა. შეუძლიათ ძირფესვიანად გამოიკვლიონ ქვები, დაამყარონ მათთან კავშირი, აღმოაჩენენ, რომ ქვებს შორის არის ფხიზელი ეგზემპლარები. ზოგი ქვა მეტად ფხიზლობს, დანარჩენები კი უფრო ძილისკენ არიან მიდრეკილნი. ადამიანები იმასაც

ჩასწვდნენ, რომ ზოგი ქვა რომელიმე კონკრეტული დანიშნულებისთვის ფხიზლობს და მისი გამოყენება მხოლოდ ამ კონკრეტული მიზნითაა შესაძლებელი.

თქვენს ცხოვრებაში დაიწყება წარმოუდგენელი მოვლენები, თუ დაიწყებთ გარკვეული ქვების ტარებას, დაამუშავეთ ისინი და ატარეთ, როგორც სამკურნალო საშუალებები, ჩასვათ ბეჭედში, ამ ქვებს ხომ თავიანთი ცხოვრება აქვთ. თუ თქვენ გექნებათ ასეთი ქვები, მაშინ აუცილებლად გადაგხდებათ თავს მათთვის შესაბამისი ამბები, რადგან სიმბოლური ურთიერთობით იქნებით დაკავშირებული კონკრეტულ ქვასთან. ამგვარი ურთიერთობის გარეშე მსგავსი სიტუაციები არ მოხდებოდა.

არის ქვები, რომელსაც თან სდევს უბედურების გრძელი ისტორია. ყველა, ვინც ასეთ ქვას ფლობდა, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მათ აღმოაჩინეს, რომ უკვე რთული იყო პრობლემიდან თავის დაღწევა. როცა ეს ქვა სხვა ადამიანთან გადადიოდა, ისიც საფრთხეში ვარდებოდა. არსებობენ ქვები, რომელთა ისტორია ასობით წელს მოითვლის, ზოგიერთისა კი – ათასობით წელს. ეს ისტორია გვაჩვენებს, რომ ყოველი ადამიანი, რომელიც მათი მფლობელი ხდებოდა, უბედურებას იმკიდა. ამ ქვებში სიცოცხლე დუღს. ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ. ისინი უბედურებას დაატეხენ თავს ნებისმიერს, ვინც მათ დაეუფლება. არის ქვები, რომლებსაც წარმატება მოაქვთ თავიანთი მფლობელებისთვის, და მათი ფასი იზრდება. ამგვარად, ქვებს თავიანთი ინდივიდუალობა გააჩნიათ. ეს ინდივიდუალობა დამოკიდებულია ხარისხზე, იმაზე, გამოფხიზლებულია ესა თუ ის ქვა, თუ სძინავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვის ხარისხი, მისი აქტიურობა განსაზღვრავს გარკვეული პირის მდგომარეობას. ამ მოვლენას შეგიძლიათ სხვაგვარად შეხედოთ: დინამიური ყურადღება ნიშნავს გაცნობიერებას, პასიური ყურადღება ნიშნავს ძილს, არაცნობიერ მდგომარეობას. უმაღლესი მასიური ყურადღება მატერიაა, უმაღლესი ყურადღების დინამიკა კი ღმერთია.

თქვენ აღწერეთ ორი მდგომარეობა, ერთ-ერთი უგონო მდგომარეობაა, მეორე – აბსოლუტური გაცნობიერება. სული გადადის სრული უგონი მდგომარეობიდან. აბსოლუტურ

გაცნობიერებაში. კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ სად ვხვდებით, როცა ვაღწევთ აბსოლუტურ გაცნობიერებას? და რომელი მომენტიდან იწყება სრული უგონო მდგომარეობა, საიდან მოდის ის?

სინამდვილეში, თუ ამ სიტყვებს – „აბსოლუტური" ან „სრული" – გამოვიყენებთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ რამდენიმე პირობას. მაგალითად, არასწორია კითხვის ასე დასმა: „სად მთავრდება მთლიანობა?", რადგან მთლიანობა ნიშნავს იმას, რაც არასდროს შეიძლება დასრულდეს. თუ მთლიანობა ოდესმე სადმე მთავრდება, მაშინ ის არ იქნებოდა მთლიანობა თუკი, ის, რომელიმე წერტილში შეიზღუდება, იმ წამსვე შეწყვეტს არსებობას.

როცა ვსვამთ კითხვას: „საიდან იწყება მთლიანობა?", ჩვენ არასწორ ფორმულირებას ვახდენთ, რადგან მთლიანი ნიშნავს იმას, რასაც არა აქვს დასაწყისი. თუ მთლიანობას დასაწყისი აქვს, მაშინ ის არ შეიძლება იყოს მთლიანი. მთლიანს, აბსოლუტურს, არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული. აქ, არ არის დასაწყისისა და დასასრულის გაგება. მთლიანობას რომ რომელიმე კუთხიდან „დასასრული" ჰქონოდა, მაშინ ის არ იქნებოდა მთლიანი. ამიტომ არ შეგვიძლია ასეთი კითხვების დასმა აბსოლუტურის დასაწყისსა და დასასრულზე. თუ საჭიროა რაიმე კითხვის დასმა, მაშინ სჯობს იკითხოთ მანამ, ვიდრე გაჩნდება კითხვა: „რა არის მთლიანობა?" როგორც ასეთი. თავად სიტყვა „მთლიანი" ატარებს ყველა კითხვის უაზრობის მნიშვნელობას.

თქვენს გონებაში ჩნდება კითხვები: „საიდან წარმოიშვა ეს უგონო მდგომარეობა? როდის გაჩნდა? სად დასრულდა? რატომ დასრულდა? როდის დასრულდა? სად არის მთელ არსებობაში ამ ცნობიერების მდგომარეობა? სად შეიძლება იყოს არსებობაში სრული უგონო მდგომარეობა?" რასაკვირველია, უნდა წამოიჭრას ამგვარი კითხვები. კითხვები შესაბამისია ლოგიკის თვალსაზრისით, მაგრამ არსებითად სრულიად უაზროა.

ნუ გვექნება იმის ილუზია, რომ რომელიმე კითხვა გააზრებულია მხოლოდ იმის გამო, რომ ის თანმიმდევრულია. კითხვა შეიძლება იყოს ლოგიკური, მაგრამ მაინც უაზრო. მაგალითად,

კითხვები შესაბამისია, მაგრამ პასუხები უაზრო იქნება. ისინი არაფერს გადაწვეტენ. ნებისმიერ ასეთი პასუხს შეუძლია კიდევ უფრო მეტი კითხვის გაჩენა ამ კუთხით. ამგვარად, იცით რა მინდა გითხრათ?

არის ზოგიერთი კითხვა, რომელსაც არასდროს დაუსვამთ მეცნიერს. რატომ არ ეპყრობით ზუსტად ასევე რელიგიურ ადამიანს? არის განსაზღვრული საგნები, რომლის ახსნასაც არასდროს სთხოვენ მეცნიერს. რატომ უსვამენ მათზე კითხვებს რელიგიურ ადამიანს? მეცნიერი უარს ამბობს გიპასუხოთ ამგვარ კითხვებზე, ის სულელი კი, რომელიც რელიგიას ემსახურება, უამრავ შეცდომას უშვებს, მათზე პასუხის გაცემისას. ყველა რელიგია უშვებს ამგვარ შეცდომებს. ისინი თავად ვარდებიან უხერხულ მდგომარეობაში, როცა ისეთ კითხვებს პასუხობენ, რომელზეც საერთოდ შეუძლებელია პასუხის გაცემა.

მაგალითად, თუკი მეცნიერს ჰკითხავთ: „რატომ არის ხე მწვანე?“ ის გიპასუხებთ: „იმიტომ, რომ ხე ქლოროფილს შეიცავს.“ თუ ჰკითხავთ: „რატომ შეიცავს ხე ქლოროფილს?“ მეცნიერი წაუყრუებს კითხვას, რამდენადაც ასეთია მოცემულობა, ასე განსაზღვრა ბუნებამ. ის გაიმეორებს: „ხე მწვანეა, იმიტომ რომ ის ქლოროფილს შეიცავს!“ თუ გააგრძელებთ კითხვების დასმას: „რატომ არ შეუძლია ხეს არსებობა ქლოროფილის გარეშე?“ მეცნიერი პატიოსნად გიპასუხებთ: „მე არ ვარ შემქმნელი და ამ კითხვაზე პასუხი არა მაქვს!“

ამგვარად, მეცნიერება თავს არიდებს სულელურ სიტუაციაში ჩავარდნას. ის ყველაფერს ფაქტებად ტოვებს. „ასეთია ბუნება, აი ეს არის ფაქტი“. მეცნიერი ამბობს: „წყალი ჩნდება, როცა წყალბადი და ჟანგბადი ერთდება“. მერე არავინ კითხულობს: „რატომ ხდება ასე? რატომ ჩნდება წყალი ჟანგბადისა და წყალბადის შეერთების გზით?“ ის, უბრალოდ, ხსნის სიტუაციას. „ასეთი კითხვები ჩვენ არ გვებადება, – აღიარებს ის, – ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ წყალი ჩნდება ორი მოლეკულის შეერთებისგან, და რომ წყალი არ ჩნდება, როცა ისინი არ ერთდებიან. აი, ფაქტი. მის მიღმა ფანტასტიკა იწყება“.

რომ შეიძლებოდეს იმის ახსნა, რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა, მაშინ გეტყოდით, რომ ამ სამყაროში გაუცნობიერებელიც არსებობს და ცნობადიც. ასეთია სინამდვილე, და ჯერ-ჯერობით, ადამიანებს არ უპოვიათ მეთოდი უფრო ღრმად ჩასვლისთვის. მე არ ვფიქრობ, რომ ასეთ მეთოდს ოდესმე იპოვიან. ასეთია უმაღლესი რეალობა.

ერთ ბოლოში სიბნელეა, მეორე ბოლოში – სინათლე. სიბნელე, ბოლოს და ბოლოს, უსასრულობაში უჩინარდება და არასდროს იცი, სად დაიწყო ის, სადაა მისი ათვლის წერტილი სინათლეც, დროთა განმავლობაში, უსასრულობაში ინთქმება და არასდროს იცი, სად მდებარეობს მისი გაქრობის წერტილი ჩვენ მუდამ ცენტრში ვართ, ნებისმიერი მიმართულებით მხოლოდ პატარა არეალის დანახვა შეგვიძლია. როგორც კი უკან მოვიხედავთ, მაშინვე აღმოვაჩენთ, რომ სიბნელე იფანტება. და სინათლე მატულობს, თანდათან ძლიერდება. მაგრამ ვერასდროს ვხედავთ ვერც სიბნელისა და ვერც სინათლის სასრულს. ასევე, ვერ ვხედავთ სიბნელისა და სინათლის საწყისს ზუსტად ამ მდგომარეობაში ვართ – ცენტრში. არაა მთავარი. რამდენად შორს წვდება ჩვენი მზერა, მხოლოდ შუალედურის გარჩევას ვახერხებთ.

ყველაზე შორსმხედველი ადამიანიც კი ვერ ხედავს ამ დონის მიღმა. საიდან მოდის ეს სირთულე? როგორც კი კითხვას ჩამოვაყალიბებთ, რომელიმე ბრიყვი მაშინვე წამოიჭრება პასუხის გასაცემად. როცა კითხვა ფორმულირებულია, ვინმე აუცილებლად გამოჩნდება იმისთვის, რომ მასზე უპასუხოს. ზუსტად ამაშია ფილოსოფიის არსი. ფილოსოფია სულელურ კითხვებზე სულელური პასუხებისგან შედგება. კითხვები ზუსტად იქ რჩება, სადაც მუდამ იყო.

ყოველ კითხვაზე შეიძლება სხვადასხვაგვარი პასუხის გაცემა, რადგან ყოველი პასუხი აირეკლავს ინდივიდუალურ გაგებას. „ვინ შექმნა ადამიანი?“ – ამ კითხვას ვინმე ასე უპასუხებს: „ადამიანი ღმერთმა შექმნა“. მაგრამ მერე რა? თქვენ შეგიძლიათ დასვათ კითხვა: „რატომ შექმნა ადამიანი ღმერთმა? რატომ შექმნა ზუსტად ისე როგორც შექმნა? საერთოდ, რატომ შექმნა ღმერთმა ადამიანი?“ ეს კითხვა უპასუხოდ დარ-

ჩება. საბოლოო ჯამში, ვილაც იტყვის: „იცით, მან ასეთად შექმნა და მორჩა!"

თუ, ბოლოს და ბოლოს, მივალთ ზუსტად ამ პასუხამდე... ვილაცას შეუძლია თქვას: „ყველაფერი მაიაა, ჩვენი გაგების მიღმაა". ერთი მხრივ, ადამიანი ამბობს, რომ ყველაფერი გაგების მიღმაა, რომ ყველაფერი ილუზიაა, მაიაა. თუმცა, როცა ამბობს, რომ ყველაფერი მაიაა, ის წარმოთქვამს იმას, რაც უეჭველად მისი გაგებიდან მომდინარეობს. მისი დასკვნა ისაა, რომ მან მთლიანად გააცნობიერა თემა, რომ ეს ყველაფერი მაიაა, რომ ყველაფერი ჩვენი გაგების მიღმაა. თუ ყველაფერი მართლაც გაგების მიღმაა, მაშინ მან პირი უნდა დამუწოს, მაშინ მან არ უნდა ილაპარაკოს იმაზე, რომ ყველაფერი მაიაა. როგორ შეიძლება არსებობდეს პასუხი, თუ კითხვა გაგების მიღმაა? ამგვარად, ადამიანი დუმილს უნდა ინარჩუნებდეს, მან არაფერს უნდა უპასუხოს.

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი, ამიტომ ადამიანს შეუძლია ღმერთს მიაღწიოს. რა სისულელეა! ეს რომ სიმართლე იყოს, მაშინ ღმერთმა, პირველ რიგში, ღმერთად რატომ არ შექმნა ადამიანი? რად უნდა მას პრობლემები? მეორე ადამიანი აცხადებს: „ყველა მსოფლმხედველობა შექმნილია წარსული ცხოვრების კარმის გამოსყიდვისთვის". მაგრამ მაშინ შეიძლება ასეთი კითხვის დასმაც: „ხომ იყო პირველი ცხოვრება, რომელზე ადრეც არანაირი სიცოცხლე არ იყო. როგორი ნაყოფი ვიგემეთ ამ პირველი დაბადებისას?" ცხადია, მაშინ გამოსყიდვის მიზეზი არ იყო.

მე მიმაჩნია, რომ არცერთ ფილოსოფიას არასდროს გაუცია არცერთი პასუხი უმაღლესი კითხვებისთვის. ყველა ფილოსოფია თავის სიცრუეს ეფუძნება. მაგრამ მათი სიცრუე ძალიან ღრმადაა დაფარული. როცა ყურადღებას არ მიაქცევთ ძირისძირში ჩასმულ ამ სიცრუეს, დარჩენილი სტრუქტურა საკმაოდ დამაჯერებლად მოგეჩვენებათ და სირთულესაც არ წააწყდებით. როცა საწყის სიცრუეს (პირველ სიცრუეს) მიიღებთ, სხვა სიცრუეებიც სიმართლედ მოგეჩვენებათ. როცა ადამიანს სწამს, რომ ღმერთი შემოქმედია, მატერია მაშინვე ქრება. მაგრამ როგორ გავიგებთ, რომ ღმერთი შემოქმედია? ეს კითხვა ერთხელ მაინც თუ გაჩნდა, ნიშნავს, რომ მატე-

რია იქვე დარჩა, სადაც იყო, ის არასდროს დაწყებულა და არც არასდროს დასრულებულა. ჩემი აზრით, რელიგიასაც ისე უნდა მივუდგეთ, როგორც მეცნიერებას.

აინშტეინს სიკვდილამდე ჰკითხეს:

– როგორ ანსხვავებთ მეცნიერს ფილოსოფოსისგან?

აინშტეინმა უპასუხა:

– მე მეცნიერს ვუწოდებ იმას, ვინც ასი კითხვიდან ერთს პასუხობს, და დანარჩენ ოთხმოცდაცხრამეტ კითხვას იგნორირებას უკეთებს. მაგრამ ის ამ ერთადერთ კითხვას იმდენად ამომწურავად უპასუხებს, რომ შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს მთელი ინფორმაცია გადმოგცათ ამ საკითხზე მოცემული მომენტისთვის. ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს მომავალში, ახალი აღმოჩენის შემდეგ. ეს არაა საბოლოო განცხადება

მეცნიერება არასდროს აკეთებს საბოლოო განცხადებებს, ამიტომ მეცნიერებაში სიმართლეა. და აინშტაინმა განაგრძო:

– თუკი მეცნიერს ას კითხვას დაუსვამთ, ის ას ორმოცდაათ პასუხს გაგცემთ, ამასთან, თითოეულ პასუხს ყურადღებით განიხილავს, თითქოს ამ საგანში აწი არაფერი შეიცვლება.

ფილოსოფოსის ყველა სიტყვა უნდა მივიღოთ როგორც საბოლოო მონაცემი, და ნებისმიერი, ვისაც მასში ეჭვი შეეპარება, შეიძლება დაიწვას ჯოჯოხეთის ცეცხლში. ფილოსოფოსისთვის მისი თეორია მტკიცებულებაა.

მიმაჩნია, რომ უნდა შეგვეძლოს ტვინების შექმნა, რომლებიც ერთდროულად მეცნიერულიც იქნება და რელიგიურიც ასეთია ჩემი მიდგომა. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რელიგიაზე ვსაუბრობ, ჩემი ხედვა მუდამ მეცნიერულია. ამიტომ მე არა მაქვს პასუხები უმაღლეს კითხვებზე და არც შეიძლება მქონდეს. თუკი გაჩნდა პასუხი, იცოდეთ, რომ უმაღლესმა კითხვამ ნირი იცვალა, და ეს ახალი, შუალედური კითხვაა, რომელზეც ახალი პასუხი უნდა მოიძებნოს. მოგვიანებით, ეს პასუხი გასაჩივრდება.

უმაღლესი კითხვა ისეთი კითხვაა, რომელიც რჩება, მიუხედავად ყველა პასუხისა. უმაღლესი კითხვა ნიშნავს, რომ რამდენი კითხვაც არ უნდა დაიბადოს, ყველა მათგანს რომ ვუპასუხოთ, მაინც აღმოვაჩენთ, რომ იგივე კითხვა გველოდება, რომ ამ კითხვის ნიშანი უკვე თვალწინ გვიდგას ჩვენ შეგ-

ვიძლია გარკვეულ წარმატებას მხოლოდ კითხვის გადაწევაში მივაღწიოთ, ეს არის და ეს.

შესაძლოა, გინახავთ თოჯინა, რომელიც ავტომატურად დგება ფეხზე და არასოდეს ეცემა. როგორც არ უნდა ეცადოთ მის წაქცევას, ის მაინც სწორედ დგება. ეს იაპონური თოჯინაა, მას დარუმას ეძახიან. ასე ეძახდნენ იაპონელები ინდოელ მისტიკოსს ბოდხიდხარმას. ეს ოსტატი ინდოეთიდან ჩინეთში წავიდა, იაპონურ ენაზე ბოდხიდხარმა ნიშნავს დარუმას. ამ თოჯინამ პოპულარობა მოიპოვა, როგორც დარუმამ. რაც არ უნდა მოსწეოდა ბოდხიდხარმას, ის მუდამ საკუთარ თავად რჩებოდა. ეს თოჯინა მას მიამსგავსეს. როგორც არ უნდა წააქციოთ, საითაც არ უნდა გადააგდოთ ეს თოჯინა, ის მაინც თავის ადგილზე დგება.

უმაღლესი კითხვები თოჯინა დარუმას ანუ ბოდხიდხარმას ჰგავს. რაც არ უნდა გაუკეთოთ მას, ისინი მაინც იქ დარჩებიან, სადაც იყვნენ. საუკეთესო ვარიანტში, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ძლიერად და რა მიმართულებით მოისვრით, მხოლოდ მათი პოზიცია შეიცვლება. შეგიძლიათ ცხოვრების ბოლომდე სცადოთ თოჯინას წაქცევა, შედეგად, სწორედ, თქვენ დაიღლებით და არა ის. თოჯინა მუდამ თავისით დადგება.

ასეთია უმაღლესი კითხვები. როცა ჩვენ ვკითხულობთ, რა არსებობდა აბსოლუტურამდე, მთლიანობამდე, და რა არსებობს მის მიღმა, კითხვა უაზრო ხდება. შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ სიბნელე, უგონო მდგომარეობა, უკანა პლანზე ინაცვლებს, მაშინ როცა ჩვენს წინ ფართოვდება სინათლე, ცნობიერება. შემიძლია ასევე გითხრათ, რომ სიბნელის გაქრობასთან ერთად, იზრდება ღვთაებრიობა. შემიძლია განვაცხადო, რომ როცა სიბნელე ფართოვდება, იზრდება უბედურება. ასეთია რეალობა. თუ უბედურებას ირჩევთ, შეგიძლიათ დაბრუნდეთ სიბნელისკენ და უგონო მდგომარეობისკენ. თუ ღვთაებრიობას ირჩევთ, შეგიძლიათ იმოძრაოთ წინ, სინათლისკენ, უმაღლესი სინათლისკენ. თუ არაფრის არჩევა არ გსურთ, შეგიძლიათ დარჩეთ სინათლესა და სიბნელეს შორის. იმაზე ფიქრში ჩაძირულნი. რა არის უკან და რა წინ

დვარკის მედიტაციის ბანაკში თქვენ თქვით, მედიტაცია და სამადხუ – ეს სიფხიზლის შედეგია, ცნობიერად სიკვდილში ჩაყვინთვა და სიკვდილის ილუზია ვრცელდება, როცა თქვენ ამას აკეთებთ. მაინტერესებს, რა შედის ამ ილუზიაში? სხეული თუ ცნობიერება? რამდენადაც სხეული – ეს მექანიკური საშუალებაა, ე.ი. მას არ შეუძლია განიცადოს ილუზია. რა თქმა უნდა, ცნობიერს არ შეუძლია შეცდეს. მაშინ რა არის ამ ილუზიის საფუძველი?

სიკვდილის გაცნობიერება... თუ ადამიანს შეუძლია მოკვდეს ცნობიერ მდგომარეობაში, მაშინ სიკვდილი მისთვის არ არსებობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ადამიანი შეძლებს ცნობიერ მდგომარეობაში დარჩეს სიკვდილის მომენტში, ის აღმოაჩენს, რომ საერთოდ, არასოდეს მომკვდარა და სიკვდილი ილუზიად ეჩვენება. თუმცა სიკვდილი, რომელიც ილუზია აღმოჩნდა, არ ნიშნავს იმას, რომ სიკვდილი არსებობს რაღაც ილუზორული ფორმით. როცა ადამიანი კვდება სრულ ცნობიერ მდგომარეობაში, ის აღმოაჩენს, რომ სიკვდილი საერთოდ არ არსებობს. და მაშინ, სიკვდილი ყალბი ხდება.

მაგრამ სავსებით ბუნებრივია დასვათ კითხვა: „ვინ არის ილუზიაში?" მართალი ხართ, რომ სხეულს არ შეუძლია შეცდეს, რადგან როგორ შეუძლია სხეულს შეიგრძნოს ილუზია? სულსაც არ შეუძლია შეცდეს, რადგან სული არასდროს კვდება. ვინ განიცდის ილუზიას? რასაკვირველია, ეს არც სულია და არც სხეული. სინამდვილეში, ადამიანი არასდროს განიცდის სიკვდილის ილუზიას, რამდენადაც სიკვდილის ილუზია საზოგადოებრივი მოვლენაა. ეს უნდა გაიგოთ, და ამაზე დეტალურად მოვყვები.

თქვენ ხედავთ, როგორ კვდება ადამიანი, და მერე ფიქრობთ. რომ ის მოკვდა. თქვენ არ გაქვთ უფლება ასე იფიქროთ, რამდენადაც თქვენ თავად არ ხართ მკვდარი. რისი თქმაც შეგიძლიათ მხოლოდ ესაა: „მე არ შემიძლია განვსაზღვრო, ეს ის ადამიანია თუ არა, რომელსაც ადრე ვიცნობდი". საფრთხილოა ამ ფრაზას რაიმე დაამატოთ. ეს, უბრალოდ, უადგილო იქნება.

შეიძლება მხოლოდ ასე ითქვას: „გუშინდელ დღემდე ეს ადამიანი საუბრობდა. ახლა არ საუბრობს. უკვე არ არსებობს ის.

რასაც გუშინდელ დღემდე მის სიცოცხლედ ვთვლიდი. უკვე არ არსებობს ის ცხოვრება, რომლითაც გუშინდელ დღემდე ცხოვრობდა. თუკი არსებობს რაიმე ცხოვრება ამ ცხოვრების შემდეგ, დაე, ასე იყოს, და თუკი ასეთი ცხოვრება არ არსებობს, მაშინ ვაღიარებ ასეთ რეალობასაც". მაგრამ თქვენ საკუთარ თავზე ბევრს იღებთ, როცა ამბობთ: „ეს ადამიანი მკვდარია". ასე ლაპარაკი არ ვარგა. შეიძლება მხოლოდ ასე ითქვას: „ეს ადამიანი უკვე ცოცხალი აღარ არის". ამ ადამიანს უკვე არა აქვს ის ცხოვრება, რომელიც, როგორც მისი გარშემომყოფებისთვისაა ცნობილი, მას ჰქონდა.

კორექტულია ის დადებითი მტკიცებულება, რომ ჩვენთვის კარგად ცნობილი ამ ადამიანის სიცოცხლე, ბრძოლა, სიყვარული, ჭამა-სმა უკვე არ არსებობს, მაგრამ ის, რომ ადამიანი მკვდარია, უარყოფითი განაცხადია. ჩვენ, უბრალოდ, არ ვამბობთ იმას, რომ ადამიანში უკვე აღარ არსებობს ის, რაც მასში არსებობდა, ბევრად დიდ რამეს ვაცხადებთ: ეს ადამიანი მკვდარია. ჩვენ ვამბობთ, რომ სიკვდილი – ეს მოვლენაც დადგა. კარგი იქნება, თუ ვიტყვით, რომ არ ხდება ის, რაც ადრე ხდებოდა ამ ადამიანის გარშემო. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ამის თქმას არ ვჯერდებით, ახალ მოვლენას ვამატებთ: ეს ადამიანი მოკვდა.

ჩვენ, ანუ ისინი, ვინც არაა მკვდარი, ანუ ისინი, ვინც არაფერი იცის სიკვდილის შესახებ, ამ ადამიანის გარშემო შევკრებილვართ და მის სიკვდილს ვაცხადებთ. მასა განსაზღვრავს ადამიანის სიკვდილს, მაშინ, როცა თავად მას არაფერს ვეკითხებით, არც კი ვაძლევთ იმის უფლებას, ეს ფაქტი თავად დაადასტუროს! ეს ისევეა, როგორც სასამართლოში, როცა ერთი მხარე ისე იღებს გადაწვეტილებას, რომ მეორე მხარე არც ესწრება პროცესს. საცოდავს ერთი შანსიც არა აქვს, რომ ამის შესახებ განაცხადოს, თქვას, ნამდვილად მკვდარია თუ არა. თქვენ გესმით, რას ვგულისხმობ? სიკვდილი საზოგადოებრივი მოვლენაა. ეს არაა ადამიანის ილუზია. მას სხვა ილუზია აქვს.

მისი ილუზია გარდაცვალებაში არაა. მისი ილუზია იმაშია, თუ როგორ შეიძლება ჰქონდეს სიფხიზლის იმედი სიკვდილის მომენტში. მაშინ როცა მთელი ცხოვრება ძილის მდგომარეო-

ბაში გაატარა? ეს ნათელია. როგორ შეუძლია მას, რომელიც მიჩვეულია მთელი დღე გაატაროს ძილის მდგომარეობაში, დარჩეს ფხიზლად, მაშინ, როცა სინამდვილეში სძინავს? ეს იმას ნიშნავს, რომ ის, ვისაც უკვე სძინავს, მაშინაც კი, როცა ფხიზლობს, უეჭველად ღრმა ძილში იქნება მაშინ, როცა სძინავს. როგორ შეუძლია მას, ვინც დღის კაშკაშა შუქზე ვერაფერს ხედავს, სრულ სიბნელეში დაინახოს?

თქვენ გგონიათ, რომ მას, ვინც ცხოვრება ფხიზელ მდგომარეობაში ვერ იხილა, შეძლებს სიკვდილის დანახვას? სინამდვილეში, როგორც კი ადამიანს ხელიდან გაუსხლტება ცხოვრება, ის მაშინვე ჩაიძირება ღრმა ძილში. საქმე იმაშია, რომ მისი გარეგნობის მიხედვით, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ის მკვდარია. ამას ზუსტად ასე განსაზღვრავს საზოგადოება და განსაზღვრავს არასწორად. სიკვდილის მოვლენას განსაზღვრავს ის, ვისაც ამის გაკეთება არ შეუძლია. მთელი ამ მასიდან არც ერთმა ადამიანმა არ იცის სიმართლე, არ იცის, თუ როგორ კვდება ადამიანი. არც ერთი ადამიანი არ ყოფილა სიკვდილის აქტის მოწმე. მხოლოდ ის ვიცით, რომ ადამიანი იყო ცოცხალი გარკვეულ მომენტამდე, მერე კი უკვე აღარ იყო ცოცხალი. სულ ეს არის. ამის შემდეგ კედელია აღმართული. მანამდე, არავინ, არასდროს არ დაკვირვებია სიკვდილის მოვლენას.

სინამდვილეში, საქმე იმაშია, რომ როცა რაღაცის გაგება დროში იწელება, საერთოდ ვწყვეტთ მის გააზრებას. მაგალითად, მაშინვე გამორიცხავთ საკუთარ თავს, თუ ვიტყვი, რომ არცერთ ადამიანს არ უნახავს სინათლე. მაგრამ დაჟინებით ვამბობ, რომ არავის, არასდროს უნახავს სინათლე. რა თქმა უნდა, გვინახავს განათებული საგნები, მაგრამ თავად სინათლე არასდროს გვინახავს. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ოთახში სინათლე იმიტომ არის, რომ ვხედავთ კედელს, ვხედავთ საკუთარ თავს. საგანი განათებულია სინათლით, მაგრამ თავად სინათლეს ადამიანები ვერასდროს ხედავენ.

სინათლე ყოველთვის უცნობი წყაროა. მასში იკვეთება გარკვეული საგნები, ამიტომ ვამბობთ, რომ ოთახში სინათლეა. როცა საგნები განათებული არ არის, ვამბობთ, რომ ოთახში სიბნელეა. ჩვენ სიბნელეც არასდროს გვინახავს. ცხადია, როგორ შეძლებს ის, ვისაც არასდროს უნახავს სინათლე, ოდეს-

მე დაინახოს სიბნელე? თუკი სინათლეს ვხედავთ, ეს კიდევ შეიძლება გასაგები იყოს, მაგრამ როგორ შეიძლება სიბნელის დანახვა?

სიბნელე უბრალოდ ნიშნავს, რომ ახლა ჩვენ ვერაფერს ვხედავთ. რაც უფრო ღრმაა სიბნელის არსი, მით უფრო ნათელია, რომ ახლა ჩვენ ვერაფერს ვხედავთ. უმჯობესია ვთქვათ: „ჩვენ არაფრის დანახვა არ შეგვიძლია". ეს იქნებოდა სიმართლე. მაგრამ ამის თქმა: „არის სიბნელე" – სრულიად არასწორია. ამგვარად, ჩვენ სიბნელეს ობიექტად ვაქცევთ. სიბნელეზე კორექტული იქნება ასე ვთქვათ: „არაფრის დანახვა არ შემიძლია". თუმცა, თუ არაფრის დანახვა არ შემიძლია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიბნელეა. გამოთქმა „მე არაფრის დანახვა არ შემიძლია" ნიშნავს, რომ წყარო, რომელიც ყველაფერს ანათებდა, ჩაქრა. და ახლა, ვერაფერს ვხედავ, დაბნელდა.

ის ადამიანიც კი, რომელიც საკუთარ ცხოვრებას მხოლოდ ჭამა-სმად, ძილად, გასეირნებად, ჩხუბად, სიყვარულად, მეგობრებისა და მტრების გაჩენად აღიქვამს, სიკვდილის მომენტში უეცრად აღმოაჩენს, რომ ცხოვრება ხელიდან უსხლტება. ის, რასაც ცხოვრებად თვლიდა, სულაც არ ყოფილა ცხოვრება. ეს, უბრალოდ, დღის სინათლეზე მყოფი სუბსტანტი იყო. სინათლის თანდასწრებით საგნები ხილვადია და სწორედ, ასე ხედავდა ადამიანი გარკვეულ საგნებს, როცა მასში სინათლე არსებობდა. ის იღებდა საკვებს, იჩენდა მეგობრებსა და მტრებს, აშენებდა სახლებს, გამოიმუშავებდა ფულს, აღწევდა მაღალ თანამდებობას – ყველაფერი ეს ხილვადია ცხოვრებისეულ ნათელში. ახლა, სიკვდილის მომენტში, ის აღმოაჩენს. რომ ყოველივე ეს, ხელიდან უსხლტება.

ამგვარად, ახლა ადამიანი ფიქრობს, რომ გაქრა, მოკვდა. რომ ცხოვრება მისთვის სამუდამოდ დაიკარგა. ის ხედავდა. თუ როგორ კვდებოდნენ მანამდე ადამიანები და მის გონებაშიც ჩაიჭედა საზოგადოებრივი ილუზია იმის შესახებ. რომ ადამიანი მოკვდავია. ამიტომ ადამიანი გრძნობს, რომ კვდება მისი ცნობიერი – ესეც საზოგადოებრივი ილუზიის ნაწილია. ის იწყებს შეგრძნებას, რომ ისევე კვდება. როგორც აქამდე სხვა ადამიანები კვდებოდნენ.

ის ხედავს, რომ მოსიყვარულე ადამიანები ახვევია გარშემო, მისი ოჯახი და ხმამაღლა მოტირალი ნათესავები ის რწმუნდება თავის ილუზიაში. ყველაფერი, რაც ხდება. მასზე ჰიპნოზურ ზეგავლენას ახდენს. ყველა ეს ადამიანი... იდეალური სიტუაციაა: მის თავთან ექიმი ზის, აქვეა ჟანგბადის ბალიში, სახლის ატმოსფერო სრულიად შეიცვალა, ადამიანებს თვალებში ცრემლი ჩასდგომიათ. და ეს ადამიანი საკუთარ სიკვდილში რწმუნდება. საზოგადოებრივი ილუზია იმის შესახებ, რომ ადამიანი კვდება, მის გონებას ატყვევებს. მის გარშემო შეკრებილი მეგობრები და ნათესავები იწყებენ ჰიპნოზურად შთაგონებას, რომ ის სიკვდილის გზაზეა. ერთი პულსს უსინჯავს, მეორე ბჰაგავატგიტას უკითხავს, ან ყურში ჩასჩურჩულებს ნამოკარის მანტრას[1]. ყველანი გულდასმით ცდილობენ დაარწმუნონ იმაში, რომ საცაა მოკვდება. ეს ადამიანები ადრე სხვა მომაკვდავებსაც ასე ექცეოდნენ.

ეს საზოგადოებრივი ჰიპნოზია. მალე ადამიანი სრულად რწმუნდება იმაში, რომ სიკვდილის გზაზეა, რომ ის კვდება, რომ ის გაქრა. ეს ჰიპნოზი მისი უგონო მდგომარეობის, შიშისა და საშინელების მიზეზი გახდება. ის აიძულებს მას შეკრთეს და ასეთი აზრი გაივლოს თავში: „ვკვდები, საცაა გავქრები. რა უნდა ვქნა?" შიშით შეპყრობილი თვალებს ხუჭავს და გონებას კარგავს

სინამდვილეში, გონების დაკარგვა ის გზაა, რომელსაც საშიში მოვლენების წინააღმდეგ ვიყენებთ. ვთქვათ, მუცელი გტკივათ. თუ ტკივილი გაუსაძლისი გახდება, თქვენ გონებას დაკარგავთ. ეს ერთგვარი ფანდია, გონებას გამორთავთ იმისთვის, რომ ტკივილი დაივიწყოთ. როცა ტკივილი ძალიან ძლიერია, გონების დაკარგვა ტვინის ხერხად იქცევა, თქვენ ხომ აღარ გინდათ გაგტანჯოთ ტკივილმა. როცა ტკივილი არ გადის, ერთადერთი შესაძლებლობა საკუთარი ტვინის გამორთვაა. ადამიანი „ითიშება", რათა ტკივილი არ გააცნობიეროს

[1] მანტრა (სანსკ.मन्त्र მანტრა „საფიქრელი") – ინდუისტური სალოცავი ფორმულა, ძირითადად მოკლე, რამდენიმე სიტყვის შემცველი გამონათქვამი სანსკრიტულ ენაზე. მანტრა მიმართულია რომელიმე ღვთაებისადმი და მისგან სადიდებლად წარმოითქმის. მანტრების უმეტესობა მარცვალი აუმ-ით იწყება, მაგალითად ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მანტრაა შივასადმი მიმართული: **aum namah shivaaya** „აუმ, თაყვანისცემა შივას!"

ამგვარად, გონების დაკარგვა უნიკალური საშუალება იმისთვის, რომ თავი დავაღწიოთ აუტანელ ტკივილს. თუმცა, დაიმახსოვრეთ, რომ არ არსებობს არანაირი აუტანელი ტკივილი, უბრალოდ, თქვენ გრძნობთ ტკივილს იმ დონემდე, ვიდრე მისი ატანა შეგიძლიათ. როგორც კი ტკივილი აღწევს იმ წერტილს, როცა ის აუტანელი ხდება, თქვენ მაშინვე ქრებით. ამიტომ თქვენ არასდროს გრძნობთ აუტანელ ტკივილს. არასდროს დაუჯეროთ იმას, ვინც ამბობს, რომ აუტანელი ტკივილებისგან იტანჯება, იმიტომ რომ ამის მთქმელი ადამიანი, ჯერ კიდევ, გონზეა. აუტანელი ტკივილების შემთხვევაში, ის, გაითიშებოდა. მოქმედებაში მოვიდოდა ბუნებრივი ფანდი, და ადამიანი გონებას დაკარგავდა. როგორც კი ადამიანი გადაკვეთს თავისი ორგანიზმის ამტანობის ზღვარს, ის მაშინვე კარგავს გონებას.

ჩვენ პატარა ავადმყოფობებიც კი გვაშინებს, და მათ გამოც ვკაგავთ გონებას. მაშ, რაღა უნდა ვთქვათ სიკვდილის უსაშინლეს ფიქრზე? ჩვენ გვკლავს თავად სიკვდილის იდეა. ჩვენ ვკარგავთ გონებას, და სიკვდილი ამ უგონო მდგომარეობაში დგება. ამიტომ, როცა ვამბობ, რომ სიკვდილი – ეს ილუზიაა, ვგულისხმობ, რომ ილუზია ისაა, რაც სხეულს ან სულს მოსდის, არადა, ჩვენ ხომ ამ ილუზიას ვზრდით თითოეულ ბავშვში, ბავშვებს ვუქმნით ამგვარ წარმოდგენას: „შენ აუცილებლად მოკვდები, და აი, როგორია სიკვდილი". ამგვარად, ჯერ კიდევ, მომწიფების ასაკამდე შეისწავლა ბავშვმა სიკვდილის ყველა სიმპტომი, და როცა თავის დროს საკუთარ თავზე გამოსცდის ამ სიმპტომებს, ის, უბრალოდ, თვალებს დახუჭავს და გონებას დაკარგავს. ის ჰიპნოზის მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ამ ჰიპნოზის საპირისპირო ტექნიკაა აქტიური მედიტაცია. ეს ტექნიკა სიკვდილში გაცნობიერებულად შესვლას გულისხმობს. ეს ტექნიკა ტიბეტში ცნობილია ბარდოს სახელით. როგორც მომაკვდავს აჰიპნოზებენ გარშემომყოფნი მისი სიკვდილის მომენტში, ზუსტად ასევე აძლევენ მას ანტიჰიპნოზურ რჩევებს ბარდოსმიმდევარი ადამიანები. ბარდოს მიმდევრები მომაკვდავი ადამიანის გარშემო იკრიბებიან და ეუბნებიან: „შენ არ კვდები, იმიტომ რომ ჯერ ამ სამყაროში არცერთი ადამიანი არ მომკვდარა". ისინი იძლევიან ანტიჰიპნოზურ რჩევებს. ისინი არც მოთქვამენ, არც ტირიან. არაფერი ამგვარი

არ მოხდება. მომაკვდავის გარშემო შეიკრიბებიან ადამიანები. და სოფლის მოძღვარი, ან ბერი იტყვის: „შენ არ კვდები, რადგან ჯერ სამყაროში არ მომკვდარა არცერთი ადამიანი. შენ გადახვალ სხვა სამყაროში მოდუნებულ მდგომარეობაში, სრულ ცნობიერ მდგომარეობაში. შენ არ მოკვდები, რადგან არავინ არასდროს მომკვდარა".

ადამიანი თვალებს ხუჭავს და მას უყვებიან, თუ რა ხდება მისთავს: აი, მისი ფეხები დატოვა სასიცოცხლო ენერგიამ, აი. ხელებიც წაერთვა, ახლა მას ლაპარაკიც არ შეუძლია და ა.შ ანუ ადამიანს ეუბნებიან იმას, რომ ის ისევ არსებობს, რომ ის დარჩება. ამგვარ რჩევებს იძლევა ყველა გარშემომყოფი. ეს. უბრალოდ, ანტიჰიპნოზური რჩევებია. ეს რჩევები განკუთვნილია იმისთვის, რათა ადამიანი დაარწმუნონ იმაში, რომ ის. საზოგადოებრივი ილუზიის მიუხედავად, სულაც არ არის სიკვდილის ზღვარზე. ამგვარი ფიქრებისგან თავდახსნის მიზნით ადამიანები იყენებენ ბარდოს, როგორც შხამსაწინააღმდეგო საშუალებას.

იმ დღეს, როცა სამყაროს ჯანსაღი ურთიერთობა ჩამოუყალიბდება სიკვდილთან, ბარდო უკვე აღარ იქნება გამოყენებაში. მაგრამ ჩვენ ძალიან არაჯანსაღი ადამიანები ვართ. ჩვენ უდიდეს ილუზიაში ვცხოვრობთ, ამ ილუზიის გამოა აუცილებელი შხამსაწინააღმდეგო საშუალებები. მიმაჩნია, რომ ინდოეთშიც ფართოდ უნდა გამოიყენებოდეს ბარდო. როცა ადამიანი კვდება, ყველა მისი მოყვარე უნდა ეცადოს გაფანტოს მისი ილუზიები სიკვდილთან დაკავშირებით. თუ ისინი შეძლებენ ადამიანი ფხიზელ მდგომარეობაში ამყოფონ და ყოველწამიერად შეახსენონ...

მერე ცნობიერი გადის სხეულიდან, მაგრამ ის მაშინვე არ ტოვებს მას. მთელი სხეული ერთდროულად არ კვდება ცნობიერი იკუმშება შიგნით და ნელ-ნელა ეცლება სხეულის ცალკეულ ნაწილებს. ის უკან იხევს სხვადასხვა სტადიებზე. თითოეული ამ სტადიის შესახებ შეიძლება ეუწყოს მომაკვდავ ადამიანს, და ამგვარად მოხერხდეს მისი ცნობიერის შეკავება

არსებობს სხვადასხვა მეთოდები მომაკვდავი ადამიანის ფხიზელ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად. მაგალითად, განსაკურნებელ სუნებს შეუძლია ადამიანს დაეხმაროს ცნობი

ერ მდგომარეობაში დარჩენაში, ზუსტად ასევე შეუძლია სხვა კონკრეტულ სუნებსა და არომატებს ადამიანს გონება დააკარგვინოს. საკმეველი იმიტომაც გამოიგონეს, რომ ადამიანს დახმარებოდნენ ფხიზლად დარჩენაში. ადამიანის მახლობლად, შეიძლება მუსიკა ჩაირთოს, რომ ის ცნობიერ მდგომარეობაში დარჩეს. არსებობს მუსიკა, რომელიც აძინებს ადამიანს. ხომ მოგისმენიათ მუსიკა, რომელიც ძილს გაიძულებთ, არის ასევე მუსიკა, რომელიც სიფხიზლის შენარჩუნებაში გეხმარებათ! შეიძლება წარმოთქვათ განსაზღვრული სიტყვები, განსაზღვრული მანტრები, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანის დახმარება ფხიზლად დარჩენაში. შეიძლება მომაკვდავ ადამიანს წამოარტყათ კიდეც სხეულის სხვადასხვა ნაწილზე, რათა ძილის საშუალება არ მისცეთ, რათა შეინარჩუნოთ მისი ცნობიერის აქტიურობა. შეიძლება აიძულოთ მას გარკვეულ პოზაში ჯდომა და არ მისცეთ დაძინების საშუალება, შეინარჩუნოთ მისი ცნობიერება.

კვდებოდა ერთი ოსტატი, ძენი. მან შემოიკრიბა ბერები და უთხრა:

– რაღაც მინდა გთხოვოთ. დაჰკრა ჩემმა საათმაც, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემთვის ასე სიკვდილი უაზრობაა, როგორც სხვა ადამიანები კვდებიან. ბევრი დაწოლილი მოკვდა. ეს მოსაწყენია. ჰოდა, გეკითხებით: ოდესმე გინახავთ, რომ ადამიანი სიარულისას მომკვდარიყო?

– ჩვენ არ გვინახავს ასეთი ადამიანი, – უპასუხეს ბერებმა, - მაგრამ გაგვიგია მისტიკოსზე, რომელიც სიარულისას მოკვდა.

– კარგით, დაივიწყეთ ეს კითხვა! – თქვა ოსტატმა, – ახლა კი ასეთი კითხვა: ოდესმე გინახავთ მისტიკოსი თავდაყირა მდგარი მომკვდარიყოს?

– თავშიც კი არ მოგვსვლია ასეთი მეთოდი, არათუ, ამგვარი სიკვდილი გვინახავს, – გაუკვირდათ ბერებს.

– შესანიშნავია, – დაასკვნა ოსტატმა, – ზუსტად ასე მოკვდები.

ის თავდაყირა დადგა და მოკვდა.

ხალხის მასა, რომელიც გარს ერტყა ოსტატს, შეშინდა. გვამის ხილვა გაშინებს. მაგრამ იმ გვამის ხილვა, რომელიც

თავდაყირა დგას, უბრალოდ, საშინელებაა. ოსტატი საშიში ადამიანი იყო. პოზა, რომელიც მან მიიღო... ის მკვდარი იყო, მაგრამ ვერავინ ბედავდა მის ამობრუნებას და საკაცეზე დასვენებას. მერე ვილაცამ რჩევა მისცათ, რომ მისი დისთვის, მონაზვნისთვის დაეძახათ, რომელიც მეზობელ მონასტერში ცხოვრობდა. ყველამ იცოდა, როგორ ამშვიდებდა ის ძმას, როცა ბიჭი ბავშვობაში ცელქობდა.

მოვიდა ამ ოსტატის და და მაშინვე მიხვდა ყველაფერს. ქალი ძალიან გაბრაზდა.

– ის მუდამ სულელობდა, – თქვა მან, – თავისი ჩვევები სიბერეშიც კი არ დაივიწყა. მომაკვდავსაც კი არ შეეძლო, არ ესულელა!

ოცხმოცდაათი წლის ქალმა ჭოკი[2] აიღო ოსტატთან მივიდა. ჭოკი ძლიერად დაჰკრა მიწას და იყვირა:

– გეყოფა სისულელეები! თუ გინდა რომ მოკვდე, გააკეთე ეს ნორმალურად.

ოსტატს გაეცინა და მაშინვე ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა.

– უბრალოდ, ვიხუმრე, – აუხსნა მან დას, – მაინტერესებდა, რას იზამდნენ მოწაფეები. – ეხლა კი დავწვები და კომფორტულ მდგომარეობაში მოვკვდები.

ის მიწაზე გაიჭიმა და მოკვდა.

მისი და უკან დაბრუნდა. დამშვიდობებისას თქვა:

– ამჯერად გაცილებით უკეთესია. დაასაფლავეთ.

უკან მოუხედავად დაამატა:

– ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც საჭიროა.

ამგვარად, სიკვდილის ილუზია საზოგადოებრივი ილუზიაა. ილუზიისგან შეიძლება გათავისუფლება. არსებობს მისგან გათავისუფლების ტექნიკაც. არის სისტემა, რომლის დახმარებითაც შეიძლება მისგან თავის დაღწევა. თუ ადამიანს არავინ დაეხმარება ამ ილუზიისგან გათავისუფლებაში, მაშინ ის თავად მოახერხებს მისგან თავდაღწევას სიკვდილის მომენტში, თუკი ცოტათი მაინც წაივარჯიშებს მედიტაციაში. მაშინაც კი, თუ პატარა გამოცდილება გაქვთ მედიტაციაში, მაშინაც კი, თუ ჭეშმარიტების გაელვებამ გამცნოთ იმის შესახებ, რომ

[2] ჭოკი - გრძელი ჯოხი

თქვენ განცალკევებული ხართ სხეულისგან, თუ წამით მაინც გეწვევათ შეგრძნება, რომ არ ხართ იდენტიფიცირებული სხეულთან, მაშინ არაფრით დაკარგავთ გონებას სიკვდილის მომენტში. სინამდვილეში, ამ მომენტისთვის თქვენი უგონო მდგომარეობა უკვე გაფანტული იქნება და ცნობიერად სიკვდილსაც შეძლებთ.

ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ცნობიერად სიკვდილის უნარი წინააღმდეგობრივია. არცერთ ადამიანს არ შეუძლია მოკვდეს ცნობიერად, შეგნებულად, რადგან ის მუდამ აცნობიერებს, რომ თვითონ კი არ კვდება, არამედ რაღაც კვდება მასში. ის განუწყვეტლივ ფიქრობს ამ გაყოფაზე და ბოლოს და ბოლოს, აღმოაჩენს, რომ მისი სხეული მისგან დამოუკიდებლად წევს, რომ კავშირი მასთან გაწყდა. ეს იგივეა, როგორც, ვთქვათ, სახლიდან რომ გავიდე და ამ სახლის მცხოვრებნი, რომლებმაც მისი კედლების მიღმა არაფერი იციან სამყაროზე, ტირილით მოვიდნენ ჩემი ოთახის კართან, იმ შეგრძნებით, რომ ადამიანი, რომელთანაც გამოსამშვიდობებლად მივიდნენ, მოკვდა.

სხეულისა და ცნობიერების გაყოფაა სიკვდილი. ამ გაყოფის არსებობის გამო, უაზრობაა ამ მოვლენას სიკვდილი ვუწოდოთ, ეს ხომ უბრალო მოდუნებაა და კავშირის გაწყვეტაა. სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა ტანსაცმლის გამოცვლა. ამგვარად, ის, ვინც ცნობიერად კვდება, სინამდვილეში არასდროს მომკვდარა, ამიტომ სიკვდილის საკითხი მისთვის არასდროს დამდგარა. ის სიკვდილს ილუზიასაც კი არ დაარქმევს. ის იმასაც კი არ იტყვის, რომ ვინმე კვდება და ვინმე არ კვდება. ის, უბრალოდ, კონსტანტირებს, რომ მოვლენას, რომელიც გუშინდელ დღემდე სიკვდილს ვეძახდით, უბრალოდ, ასოციაცია იყო. ეს ასოციაცია დაინგრა. და ახლა ახალი ცხოვრება დაიწყო, რომელიც არაა ასოციაცია ძველი თვალსაზრისით. შესაძლოა, ეს ახალი შეერთება, ახალი მოგზაურობა იყოს.

გესმით ჩემი, როცა ვამბობ, რომ სიკვდილი ილუზიაა იმისთვის, ვინც ცნობიერად კვდება? ილუზია ნიშნავს, რომ სიკვდილი არასდროს ყოფილა. ის მხოლოდ საზოგადოებრივი მოვლენა იყო, იმათ მიერ შექმნილი, ვინც არ იცოდა, როგორ

უნდა მომკვდარიყო, ვინც არასოდეს მომკვდარა, ვისაც წარმოდგენაც კი არა აქვს სიკვდილზე. და ეს რწმენა მეფობდა მარადიულად, და განაგრძობს არსებობას მომავალშიც, იმიტომ რომ ისინი, ვინც არ არის მკვდარი, მუდამ გადასცემს თავის დასკვნებს იმათ, ვინც მოკვდა. მკვდრები არასდროს ბრუნდებიან ახალი ამბების მოსატანად.

ჭეშმარიტება ისაა, რომ მედიტაციური ადამიანი, რომელიც მიუახლოვდა მედიტაციას, დიდი ხნის განმავლობაში ვერ აცნობიერებდა, რომ ის მოკვდა. ის თავის გარშემო ხედავს ადამიანებს და უკვირს, რატომ გლოვობენ. თავისივე სხეულის კრემაციისთვის მზადება ახვედრებს მას, რომ უკვე ცოცხალი აღარ არის, რომ ის არ არის ის ადამიანი, ვინც აქამდე იყო.

ინდოეთში ამ მიზეზით წვავენ ყველა სხეულს, სანიასინების სხეულთა გარდა. ამის ერთადერთი მიზეზი არის ის, რომ თუ შეინახავ მკვდარ სხეულს, მაშინ მის გარშემო რამდენიმე თვე იტრიალებს სული, შეცდომით დაიჯერებს, რომ მისი სხეული არ არის მკვდარი, და დაიწყებს გზების ძიებას, რათა კვლავ შევიდეს მასში. სხეულის შენახვით ჩვენ ხელს ვუშლით გარდაცვლილს ახალ მოგზაურობაში წასასვლელად. სული ტყუილად იტრიალებს სხეულის გარშემო, ამიტომაც დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში წესად სხეულის მაშინათვე კრემირება. ამ შემთხვევაში, სული დაინახავს ცეცხლს და მიხვდება, რომ უკვე ვერაფერს დაიბრუნებს, რომ უკვე არ არსებობს ის, რასაც თავის სხეულად თვლიდა. სული გააცნობიერებს, რომ აღარა აქვს სხეულთან კავშირი, რომ ხიდი დანგრეულია, საკითხი ამოუწურულია, და უკვე ვეღარაფერს შეცვლი.

ამგვარად, გააცნობიერეთ, რომ სხეულის დაწვის სისტემა – ეს მხოლოდ სახლის გათავისუფლების მეთოდი არაა. აქ სხვა მნიშვნელოვანი მიზეზებიცაა. სინამდვილეში, იმ სამყაროში გადამსვლელი ადამიანი აღმოაჩენს, რომ მისთვის რთული დასაჯერებელია საკუთარი სიკვდილი. როგორ შეიძლება მან ეს დაიჯეროს? ის ხედავს, რომ ისეთივეა, როგორც ადრე, რომ ის, საერთოდ არ შეცვლილა. მხოლოდ სანიასინების[3] სხეულს

[3] სანიასა – ინდუიზმში ცხოვრების ეტაპი, როცა ადამიანი უარს ამბობს ცხოვრების მატერიალურ კეთილდღეობაზე და მობილიზებულია სულიერ ცხოვრებაზე. ადამიანს სანიასას ეტაპზე სანიასინს უწოდებენ

არ უკეთებენ კრემაციას, რადგან სანიასინმა უკვე იცის, რომ ის სხეული არაა. ამიტომ ამ სხეულის საფლავში ჩაშვება შეიძლება. ეს იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ სანიასინმა უკვე გააცნობიერა, რომ ის და თავისი სხეული – განსხვავებული მოვლენაა. ამიტომ გაცნობიერებული სანიასინის სხეულის მენახვა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. მაგრამ ჩვეულებრივ ადამიანთან დაკავშირებით საქმე სულ სხვაგვარადაა. რამდენადაც მისმა სულმა შეიძლება დიდხანს იაროს სხეულის გარშემო. მან შეიძლება ისევ სცადოს მონახოს გზა სხეულში შესაღწევად.

თქვენ შეიძლება მოკვდეთ გაცნობიერებულ მდგომარეობაში მხოლოდ მაშინ, თუ გაცნობიერებულად ცხოვრობდით თუკი ცხოვრებას გააცნობიერებთ, მაშინ უეჭველად შეძლებთ გაცნობიერებულად სიკვდილს, რადგან გარდაცვალება ცხოკრებისეული მოვლენაა და ის ცხოვრების პროცესში ხდება სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიკვდილი უკანასკნელი მოვლენაა, რომელსაც თქვენ ცხოვრებად თვლით. ეს მოვლენები არ ხდება ცხოვრების მიღმა.

ჩვეულებრივ მივიჩნევთ, რომ სიკვდილი ცხოვრების მიღმა ხდება, ან ვფიქრობთ, რომ ის ცხოვრების საპირისპირო მოვლანაა. მაგრამ სინამდვილეში, ეს უკანასკნელი მოვლენაა იმ მოვლენათა ჩამონათვალში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცხოვრების განმავლობაში. ეს ჰგავს ხეს, რომელიც ნაყოფს ისხამს თავიდან მისი ნაყოფი მწვანეა, მერე კი ყვითლდება. ნაყოფი უფრო და უფრო ყვითელი ხდება, ბოლოს კი, კარგად რომ გაყვითლდება, ხიდან ვარდება. მისი ხიდან ჩამოვარდნა არაა ნაყოფის ყვითლად შეღებვის პროცესის მიღმა მდგარი მოვლენა. ეს უფრო საბოლოო მიზანია, რასაც ნაყოფის მთლიანად გაყვითლება ჰქვია.

ნაყოფის ხიდან ჩამოვადნა არაა გარეგანი მოვლენა. ეს ძისი გაყვითლებისა და მწიფობის უმაღლესი წერტილი უფროა. აქეთკენ მიდიოდა ის მთელი ცხოვრება. და რა ხდებოდა, როცა ნაყოფი მწვანე იყო? ის ემზადებოდა იმისთვის, რომ ენახა ეს უკანასკნელი მოვლენა. ზუსტად, იგივე პროცესი მიმდინარეობდა მაშინაც, როცა ტოტს კი არ ესხა, არამედ, ჯერ კიდევ ყლორტში იმალებოდა ამ მდგომარეობაშიც კი ნაყოფი ემზა-

დებოდა უკანასკნელი მოვლენისთვის. რა შეიძლება ითქვას იმ მდგომარეობაზე, როცა ხე, ჯერ კიდევ, არ იყო სამზეოზე როცა ის, ჯერ კიდევ, თესლში მოიაზრებოდა? იქაც ემზადებოდნენ ამ მოვლენისთვის. რა შეიძლება ითქვას იმ მდგომარეობაზე, როცა ეს თესლი, ჯერ კიდევ, არ გაჩენილი, როცა ის სხვა ხეში იყო შეფარული? იქაც იგივე პროცესი მიდიოდა

ამგვარად, სიკვდილის მოვლენა სხვა არაფერია, თუ არა მოვლენათა ჯაჭვი, რომელიც დაკავშირებულია ერთ პროცესთან. უკანასკნელი მოვლენები დასასრული არ არის, მხოლოდ განცალკევებაა, როცა ერთი ურთიერთობა სხვა ურთიერთობით იცვლება, ერთი წესრიგი – მეორე წესრიგით.

თქვენი აზრით, ენათესავებიან ერთმანეთს სიკვდილი და ნირვანა?

ნირვანა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ ადამიანმა სრულიად გააცნობიერა, რომ სიკვდილი საერთოდ არ არსებობს. მეორეც, ეს ნიშნავს, რომ ადამიანმა ასევე გაიგო, რომ არაფრის მიღწევა არ შეიძლება იმაში, რასაც ცხოვრება ჰქვია ნირვანა ნიშნავს იმის გაცნობიერებას, რომ მოვლენა, რომელსაც ჩვენ სიკვდილად მივიჩნევთ, – სრულებითაც არაა სიკვდილი, და იმას, რასაც სიცოცხლედ ვთვლით, – სინამდვილეში არ არის სიცოცხლე. გესმით, ის, რასაც ვამბობ? ნირვანა ნიშნავს, რომ ადამიანი, რომელმაც შეიმეცნა სიკვდილი, აღმოაჩენს რომ სიკვდილი არ არსებობს. ამასთან დაკავშირებით, არის კიდევ ერთი მოვლენა: ადამიანი, რომელიც ხედავს ცხოვრებას სრულიად გაცნობიერებულად, აღმოაჩენს, რომ ცნება, რომელსაც ყველა ცხოვრებას უწოდებს, – სულაც არ არის ცხოვრება ისიც ისეთივე საზოგადოებრივი ილუზიაა, როგორც სიკვდილი. ნირვანა ნიშნავს ორივე რეალობის სრულ გაცნობიერებას

თუ მხოლოდ ის იცით, რომ არ არსებობს ისეთი რამ, როგორც სიკვდილია, მაშინ თქვენ კვლავ დაიბადებით. ცხოვრება ასე თუ ისე გრძელდება. ამ შემთხვევაში, თქვენ გაიგეთ მხოლოდ ჭეშმარიტების ნახევარი. კვლავ გრჩებათ სიცოცხლის სხეულით შემოსვის, ხელახლა დაბადების სურვილი. იმ დღეს როცა ჭეშმარიტების მეორე ნახევარს გაიგებთ, იმ დღეს როცა ჭეშმარიტებას მთლიანად შეიტყობთ. ანუ მიხვდებით

იმას, რომ სიცოცხლე სიცოცხლე არაა და სიკვდილი სიკვდილი არაა, მიაღწევთ იმ წერტილს, საიდანაც უკან დასაბრუნებელი არ არსებობს. მაშინ დაბრუნების საკითხი აღარ წამოიჭრება. გაიგეთ, რაც გითხარით?

ეს გარდაცვლილთან დამშვიდობებას ჰგავს. ჩვენ ვხედავთ მის სხეულს, როგორც უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილს. როცა ადამიანი სხეულში იყო, მას სჯეროდა, რომ ეს მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი იყო. ამიტომაც გარედან მოჰყვება კარზე კაკუნს იმისთვის, რომ შიგ შესასვლელი იპოვოს. თუ ამ სახლის საფეხურები ჩამონგრეულია, თუ არ დარჩა დამაკავშირებელი ძაფი, მაშინ ის სხვა კარზე კაკუნს დაიწყებს, ანუ სხვა სხეულში შესვლას ეცდება, რადგან ცხოვრება შეიძლება გამოსცადო მხოლოდ სხეულში ყოფნისას. ასე რომ, ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, შევა სხვა სახლში, ანუ სხვა სხეულში. როგორც კი ადამიანი კვდება, მისი სული მშფოთვარე ხდება და მაშინვე იწყებს ბორგვას სხვა სხეულის ძებნისთვის, იმიტომ, რომ ის ცხოვრებას მუდამ ფიზიკური სხეულის ქონასთან აიგივებდა.

შესაძლოა, არასდროს დაფიქრებულხართ იმაზე, რომ თქვენი უკანასკნელი ფიქრი, რომლითაც ღამით იძინებთ, თქვენს პირველ ფიქრად იქცევა, როცა დილით იღვიძებთ. დააკვირდით ამ მოვლენას. წინა ღამის უკანასკნელი ფიქრი გახდება თქვენი პირველი ფიქრი მომავლ დილას, ანუ შვიდი საათის შემდეგ. ეს ფიქრი დაელოდება თქვენს გაღვიძებას. ის, მთელი ღამის განმავლობაში, თქვენი ცნობიერის კართან დაელოდება იმას, თუ როდის გაიღვიძებთ, რათა თქვენი წამოდგომისთანავე ამუშავდეს. თუ საღამოს ვინმესთან იჩხუბეთ, მაშინ მომავალ დილას, პირველი ფიქრი ამ კონფლიქტზე იქნება. თუ ლოცვით დაიძინეთ, მაშინ დილით ამ ლოცვის ფიქრით გაიღვიძებთ. ის, რაც მოხდა წინა საღამოს, გახდება მომავალი დილის ათვლის წერტილი.

უკანასკნელი ფიქრი, უკანასკნელი სურვილი, უკანასკნელი მისწრაფება, გარდაცვალების შემდეგ, მომაკვდავი ადამიანისთვის პირველ სურვილად იქცევა. ის მაშინვე სამოგზაუროდ მიემართება. თუ სიკვდილის მომენტში გრძნობდა, რომ ეს სხეული ინგრევა. ანუ რომ ის, მომაკვდავი. თავის სხეულს

კარგავს, მაშინ მისი სული დაუღალავად დაიწყებს სხვა სხეულის ძიებას დაუყოვლენლად დაბადებისთვის. ამგვარად, როგორიც არ უნდა იყოს თქვენი სურვილი სიკვდილის მომენტში (დაიმახსოვრეთ – ყველაზე უკანასკნელი სურვილი), ზუსტად ის იქნება მთელი თქვენი ცხოვრების არსი. სინამდვილეში, დაძინებამდე თქვენი უკანასკნელი ფიქრიც განვლილი დღის აბსტრაქტული დასკვნაა, მისი მოკლე შინაარსია. მაგალითად, კაცი, მთელი დღის განმავლობაში, მუშაობდა მაღაზიაში, საღამოს აკეთებს დღის ანგარიშს, მერე კი იძინებს. სწორედ, ასევე წარმოადგენს დაძინებამდე უკანასკნელი ფიქრი დღის ანგარიშს.

ადამიანს რომ დაძინებამდე თავისი ფიქრი (ყველაზე ბოლო ფიქრი) ჩაენიშნა, შეეძლებოდა დაეწერა შესანიშნავი, შეუდარებელი ავტობიოგრაფია. ეს აბსტრაქტული ისტორია მოკლედ აგვიღწერდა მთელ მის ცხოვრებას. მასში შევიდოდა უმთავრესი, არამთავარი კი გვერდზე დარჩებოდა. თუ დილაობით ჩაინიშნავდით ყველაზე მთავარ აზრს, თხუთმეტი წლის შემდეგ, შეძლებდით ყველაფრის შეტყობას საკუთარ ცხოვრებაზე, გაიგებდით იმას, თუ ვინ იყავით, ვინ ხართ და ვინ გინდათ იყოთ

სიკვდილის მომენტში აღძრული უკანასკნელი ფიქრი - მთელი თქვენი სამოცდააწლიანი თუ ოთხმოცწლიანი ცხოვრების კვინტენსენციაა. ყოველივე ეს იქცევა თქვენს პოტენციალად მომავალი ცხოვრებისთვის. ეს ინფორმაცია გახდება თქვენი არქივი, რომელსაც ახალ დაბადებაში წაიღებთ. შეგიძლიათ მას კარმა უწოდოთ, სურვული უწოდოთ, ან ნებისმიერი სხვა რამ, რაც გნებავთ. შეგიძლიათ მას უწუდოთ სამსარა. დამოკიდებულება – ეს არაფერს ცვლის. უმჯობესი იქნება. თუკი ამას დაარქმევთ ცხოვრების ჩამონტაჟებულ პროგრამას. რომელსაც მომავალში გამოიყენებთ.

საკვირველია, რატომ იზრდება თქვენ მიერ დათესილი თესლისგან მხოლოდ ბანანები? ალბათ, თესლებში პროგრამაა ჩამონტაჟებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამგვარი სიტუაციის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. ალბათ, თესლი შედგება რომელიმე ინფორმაციის ასლისგან. სხვაგვარად როგორ შეუძლია მას ტოტებისა და ფოთლების გამოსხმა. ან რატომ უნდა იყოს ბანანის თესლები? ალბათ, ეს თესლი

დაპროგრამებულია. ალბათ, ეს პატარა თესლი, თავის თავში. ინახავდა მთელ გეგმას. თუ შევხედავთ ამ თესლის ჰოროსკოპს, შეიძლება განვჭვრიტოთ, რამდენი თესლი იქნება მასში. როგორი სიმაღლის და სისქის ხე გაიზრდება, რამდენად გრძელი იქნება მისი ტოტები, რამდენი ხარშებმული ეტლი დაისვენებს და შეეფარება მათ ჩრდილს. ზემოაღნიშნულის დანახვა დეტალურადაა შესაძლებელი, იმიტომ რომ ასეთი ინფორმაცია პაწაწინა თესლშია დაფარული. ეს სახლის მშენებლობის სქემას ჰგავს, რომელზეც აღნიშნულია ყოველივე ის, რაც დროთა განმავლობაში იარსებებს.

სიკვდილის მომენტისთვის, ჩვენ, საკუთარი ცხოვრების არსს ვაგროვებთ. ვინახავთ იმას, რასაც მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, და ვაგდებთ იმას, რასაც უსარგებლოა. ადამიანს, რომელმაც გამოიმუშავა ასი ათასი რუპია და ათასი რუპია ტაძრის მშენებლობას შესწირა, სიკვდილის მომენტში არ ემახსოვრება ეს ტაძარი, მაგრამ ის უეჭველად გაიხსენებს შენახულ ოთხმოცდაცხრამეტი ათას რუპიას.

ადამიანი, სიკვდილის წუთებში, ინახავს მნიშვნელოვან ინფორმაციას, უსარგებლოს კი იშორებს. ხდება მთავარისა და არამთავარის დახარისხება. ამ დროს, ყოველივე უსარგებლო განზე რჩება, ის კი, რასაც აზრი გააჩნია, წასაღებად მზადდება. ეს გახდება თქვენი მოგზაურობის საფუძველი. წასაღებად გადადებული ინფორმაცია მაშინვე გადაიქცევა თქვენში ჩაშენებულ პროგრამად. ახლა სხვა მოგზაურობაში გაემგზავრებით და თქვენი მომავალი დაბადება ამ ახალი პროგრამით განხორციელდება. ეს იქნება ახალი მოგზაურობა, ახალი სხეული. ყველაფერი ახალი იქნება. ეს მოვლენა ისევე მეცნიერულად ხდება, როგორც სხვა დანარჩენი.

ამგვარად, ნირვანა ნიშნავს, რომ ადამიანი იგებს იმას, რომ სიკვდილი – სინამდვილეში არ არის სიკვდილი, ხოლო ცხოვრება – სულაც არაა ცხოვრება. როცა ადამიანი ორივე მოვლენას გააცნობიერებს, მასში აღარ რჩება დამონტაჟებული პროგრამა. ის პროგრამისგან თავისუფლდება. ის თავისუფლდება მთავარისგანაც და არამთავარისგანაც. ახლა ის მზადაა დამოუკიდებლად იმოძრაოს, როგორც მარტოხელა მფრინავმა ჩიტმა. ის მარტო მოძრაობს და ყველაფერს უკან ტოვებს. ის

უკან ტოვებს განძსაც და ტაძარსაც. ის ისუფთავებს თავს სხვა ადამიანების ვალებისგან და სხვა ადამიანების ვალებსაც ათავისუფლებს საკუთარი თავისგან. ის კეთილ და ბოროტ საქმეებზეც აღმატებულია. სინამდვილეში, ის საკუთარ თავს აღემატება.

კაბირი ამბობს: „მე ჩემს ლაბადას უკანვე ვკიდებ, დაუჭ-მუჭნავს". ის გულისხმობს, რომ ისე აკურატულად ატარებდა ლაბადას, რომ მისთვის ხელის ხლებაც ზედმეტია. მან ერთიანად მიატოვა სამყარო, ასე რომ, არ მოუწევს გადახედოს საკუთარ წარმოდგენას რეალურისა თუ არარეალურს, მთავარისა თუ არამთავარის შესახებ.

კაბირი ამბობს: „მე ჩემი ლაბადა ძალიან ფრთხილად ვატარე, მერე კი დავდე იქ, საიდანაც ავიღე, არ გავაფუჭე". ამ სტუაციაში, არ შეიძლება სადმე იყოს მომავლისთვის გათვლილი ჩაშენებული პროგრამა, რადგან ადამიანი ყველაფერს ტოვებს ქალწულებრივ მდგომარეობაში. ის არაფერს ირჩევს. ის არაფერს ინახავს, ის აღმატებულია ყველაფერზე. ისე, რომ არცერთი სურვილი არ დაუმალავს, ის გათავისუფლდა ყველაფრისგან, რაც კი ცხოვრებაში მოიმკ. ამიტომ კაბირი ამბობს: „ო, გედო, მარტოდმარტო გაფრინდი". და გედი, ანუ მისი სული, მარტოდმარტო ტოვებს მიწას. მას არავინ უწევს კომპანიონობას: არც მეგობარი, არც მტერი, არც კეთილი საქმეები, არც სულელური საქმეები, არც წმინდა წიგნები, არც მეცნიერული კვლევები – სულ არაფერი.

ამგვარად, ნირვანა ნიშნავს იმას, ვინც გაიგო, რომ ცხოვრება, სინამდვილეში არ ყოფილა ცხოვრება, რომ სიკვდილი სინამდვილეში არ ყოფილა სიკვდილი. როცა ჩვენ ვგებულობთ ყოველივე იმას. რაც არ არის. იმის დანახვას ვიწყებთ. რაც არის

მეთერთმეტე თავი

არჩევანი თქვენზეა

დვარკის სამედიტაციო ბანაკში თქვენ ახსენეთ, რომ ყველა სადხანა, ყველა სულიერი მოძღვრება ყალბია, იმიტომ რომ ჩვენ არასდროს ვყოფილვართ ღვთისგან განცალკევებული. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უგონო მდგომარეობაზე მსჯელობა მცდარია? მცდარია თუ არა სხეულისა და გონების ზრდის თეორია? მცდარია თუ არა თხრობა დამოკიდებულების შეწყვეტის შესახებ? მცდარია თუ არა უხეშიდან ფაქიზამდე მოძრაობის შესაძლებლობა? მცდარია თუ არა მზადება მოგზაურობისთვის პირველი სხეულიდან მეშვიდემდე? ნუთუ კუნდალინის ხანგრძლივი სწავლების პროცესიც სიყალბეა? თუ შეიძლება, გვიპასუხეთ.

უპირველეს ყოვლისა, როცა რამეს ვეძახი ყალბს, არაგულწრფელს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის არსებითად უმნიშვნელოა. სიყალბესაც აქვს არსებობის უფლება. თუ რაიმე არაგულწრფელია, ჯერ კიდევ, არ შეიძლება მას სიცრუე ვუწოდოთ. სიცრუეც ისევე არსებობს, როგორც ძილი. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ძილი სიცრუეა, ეს არ ნიშნავს, რომ ძილი არ არსებობს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ძილი ფსიქოლოგიურად არსებობს და არა რეალურად. ეს გონების კაპრიზია და არა რეალობა.

როცა ჩვენ ვამბობთ, რომ სამყარო – ეს მაიაა, ილუზიაა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამყარო არ არსებობს, იმიტომ რომ, თუ სამყარო არ არსებობს, მაშინ ვის მიმართავთ? ვინ ლაპარაკობს? რატომ? როცა სამყაროს ილუზიას უწოდებს, ადამიანი, სულ მცირე, იმას გულისხმობს, რომ არსებობს თანამოსაუბრე, მსმენელი. ის, ასევე გულისხმობს, რომ ვილაცას სჭირდება ახსნა, რომ ვილაცას სჭირდება გაგება. როგორც მინიმუმ. ასეთი ჭეშმარიტება იქმნება. ამგვარად, როცა ამ სამყაროს ილუზიას ვეძახით, ეს არ ნიშნავს, რომ სამყარო არ არსებობს

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვეჩვენება, თითქოს სამყარო არსებულია. სამყაროსთვის მაიას შერქმევით, ჩვენ უბრალოდ გვინდა ვთქვათ, რომ სამყარო ისეთი არ არის, როგორიც ჩანს, რომ ეს, უბრალოდ, ხილვადობაა. სამყაროს არა აქვს ასეთი გარეგნობა, ეს არ არის მისი რეალური სახე. სამყარო არ არის ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, და ჩვენ ვხედავთ იმას, რაც, ფაქტობრივად, არ არსებობს.

მაგალითად, ქუჩაში მიდის ადამიანი და უკვე თითქმის ბნელა. ის ხედავს ძირს დაგდებულ თოკს და გველად მიიჩნევს. ადამიანი გარბის, რათა დაგესვლას გადაურჩეს. ვიღაც ეუბნება მას, რომ ეს არ იყო გველი, რომ მის მიერ ნანახი ცრუ გამოსახულება იყო, რომ ის ტყუილად გარბოდა. რას ნიშნავს ეს? იმის მტკიცება, რომ გველი ცრუ გამოსახულება იყო, არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს არ უნახავს გველი. ადამიანი არ გაიქცეოდა, გველი რომ არ დაენახა. მან ნამდვილად დაინახა გველი. მისი დაკვირვებით, ეს, მართლაც რომ, გველი იყო.

რამდენადაც მან დაინახა... თოკი რომ არ ყოფილიყო, მაშინ კაცი ვერ დაინახავდა გველს ცარიელ ადგილას. ამგვარად, სწორედ თოკმა მისცა მის ფანტაზიას გასაქანი. ის, რაც მან შიგნიდან დაინახა, სრულიად განსხვავდებოდა გარეთ არსებულისგან. მიწაზე ეგდო თოკი, მან კი გველად აღიქვა. მან თოკი თოკად ვერ ჩათვალა. თოკი მას გველად მოეჩვენა, მაგრამ ეს ნამდვილად არ იყო გველი. ამგვარად, ადამიანმა ვერ დაინახა ის, რაც იყო, და დაინახა ის, რაც არ იყო, ანუ იმან, რაც სინამდვილეში არ არსებობდა, საფუძველი ჩაუყარა იმას, რაც არსებობდა.

ამგვარად, როცა ისეთ სიტყვებს იყენებთ, როგორიცაა ყალბი, ტყუილი, ილუზია, მოჩვენება, ერთი რამ უნდა გესმოდეთ: ეს რაიმე არარსებულს არ ნიშნავს. მაგალითად, დავაკვირდეთ ამ ადამიანს, რომელიც თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, რომელიც ფიქრობდა, რომ გველი დაინახა. თუკი ეცდებით ეს ადამიანი დაარწმუნოთ იმაში, რომ ქუჩაში გველი არ ყოფილა, მას გაუჭირდება თქვენი დაჯერება, ჯიუტად მოჰყვება მტკიცებას, რომ ნამდვილად გველი დაინახა. ალბათ, დაბრუნებას და იმ ადგილის კიდევ ერთხელ შეთვალიერებას შესთავაზებთ, მაგრამ მას, მანამ ვერ დაიყოლიებთ, ვიდრე ჯოხს არ მისცემთ

უსაფრთხოებისთვის. თქვენ იცით, რომ სავარაუდოდ, ეს გველი არ იყო, რომ ჯოხით შეიარაღება უაზრობაა, მაგრამ ეს ადამიანი დარწმუნებულია გველის არსებობაში, ის ვარაუდობს, რომ ჯოხი მას სარგებლობას მოუტანს. მას შემდეგ, რაც უსაფრთხოებისთვის ჯოხი შესთავაზეთ, ვიღაცამ შეიძლება გკითხოთ: „თუ გველი მართლა არ არის, რატომ აძლევ ადამიანს ჯოხს? ეს იმას ნიშნავს, რომ შენც დარწმუნებული ხარ იმაში, რომ ამ კაცმა ნამდვილად გველი დაინახა“. მიუხედავად ამისა, თქვენ იმეორებთ: „იქ არანაირი გველი არ არის. ეს გველი ყალბია. თუმცა, ამ ადამიანმა დაინახა ის და მას ეშინია იქ ხელახლა მისვლის. მისთვის ეს გველი რეალურია“. თქვენ აძლევთ მას ჯოხს და ეუბნებით: „თუ გველი მართლა არსებობს, მოკალი ის“. მაგრამ თუკი არ არსებობს გველი, მაშინ პრობლემაც არ არსებობს.

ის, რასაც ადამიანი ცხოვრებაში ხედავს, არაა ცხოვრებისეული სიმართლე. ადამიანი შეძლებს ცხოვრებისეული სიმართლის დანახვას მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად გაცნობიერდება. ჭეშმარიტება ფალსიფიცირდება სიყალბის მიერ ადამიანის უგონო მდგომარეობის პროპორციულად. მას ყველაფერი იმ დონეზე ეჩვენება დამახინჯებულად და გაუკუღმართებულად, რა დონეზეც ადამიანს სძინავს. უპირველეს ყოვლისა, ის, რაც ჩვენ რეალობად გვეჩვენება, სულაც არაა რეალობა. ამგვარად, როცა ვინმე მძინარე ადამიანს იმაზე მიუთითებს, რომ ყველაფერი ყალბია, რომ ყველაფერი ილუზიაა, ის უარს ამბობს ამის დაჯერებაზე. ის უარყოფს: „როგორ შეიძლია დავიჯერო ის, რომ ყველაფერი ილუზიაა? ჩემი შვილი ავადაა – როგორ შეიძლება ეს ილუზია იყოს? მშიერი ვარ – როგორ შეიძლება ეს შიმშილი ილუზიად ჩავთვალო? მჭირდება სახლი. როგორ შემიძლია ყოველივე ეს ილუზიად ჩავთვალო? მე მაქვს სხეული. როცა ვინმე მირტყამს, მტკივა, ჩემი სხეული სისხლისგან იცლება და ტკივილს განვიცდი“.

რა უნდა იღონო? უნდა გამონახოთ რაიმე ხერხი ამ ადამიანის გასაღვიძებლად. ამ ხერხს იგივე ეფექტი ექნება, რაც ჯოხს აქვს ბუნებაში. იმ დღეს, როცა ეს ადამიანი გაიღვიძებს. ის ამ ხერხებით ზუსტად იმავეს იზამს, რაც სხვა ადამიანმა გააკეთა თქვენივე მიცემული ჯოხით. ის წავიდა იქ, სადაც

გველი აღმოაჩინა, მის ადგილას ნახა თოკი, გაეცინა საკუთარ თავზე და ჯოხი გადააგდო. მან თქვა: „გველი მართლა სიყალბე გამოდგა. ეხლა ჯოხის ტარებაც უაზრობაა“. შესაძლოა, ის კიდეც დაბრუნდა თქვენთან და თავისი გაოცება გამოხატა იმის გამო, რომ ჯოხის წაღება აიძულეთ იქ, სადაც გველი არ იყო.

იმას, რასაც მე მედიტაციას, იგივე კუნდალინს, იგივე სულიერი სწავლების ტექნიკას ვეძახი, ძირითადი საშუალებებია იმის ძიებისას, რაც არ არსებობს. როცა დარწმუნდებით, რომ თქვენ მიერ ნანახი არც კი არსებულა, ყველა ტექნიკა უაზრო ხდება. ამ დღეს, თქვენ მიხვდებით, რომ ავადმყოფობა ყალბი იყო, წამალიც ყალბი იყო. სინამდვილეში არ არსებობს წამალი ყალბი ავადმყოფობისთვის, ასე არ არის? თუ ავადმყოფობა ყალბია, მაშინ წამალი არაფრით იქნება ნამდვილი. ყალბი ავადმყოფობა მოითხოვს ყალბ მკურნალობას, მხოლოდ ასე შეიძლება მისი განკურნება. ორი სიყალბე უარყოფს ერთმანეთს. ამიტომ, როცა ვამბობ, რომ სულიერი სწავლების ყველა ტექნიკა ყალბია, ვგულისხმობ, რომ ის, რასაც ვეძებდით, პირველ რიგში, არასოდეს დაკარგულა.

მაგალითად, თოკი ყოველთვის თოკი იყო, და ის წამითაც კი არ გადაქცეულა გველად. თოკი სულ მიწაზე ეგდო. თუმცა, მოხდა ისე, რომ იგი ადამიანის თვალსაწიერიდან გაქრა. თოკი არცერთი წამით არ გადაქცეულა გველად, მაგრამ ადამიანს გველად მოევლინა.

ახლა, სავარაუდოდ, ჩიხში აღმოვჩნდებით, ძალიან რთული სიტუაციაა. თოკი ნამდვილად თოკია, მაგრამ ის გველს გავს. უნდა მოვკლათ გველი და ვიპოვოთ თოკი, მაგრამ თოკს ვერ ვიპოვით, თუ გველს არ მოვკლავთ. გველს ვერ მოვკლავთ, თუ არ ვიპოვით თოკს. ამგვარად, რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ.

და მაინც, როგორ ფიქრობთ, რა შედეგი მოჰყვება მოქმედებას? მაქსიმუმ, გავიგებთ, რომ იმ ადგილას რეალურად არ არის ის, რაც არ ყოფილა, და რაც არის, ჩვენ თვალწინ გაცხადდება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაიმეს მივაღწიეთ ამის გაცნობიერებით? შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავკარგეთ გველი და ვიპოვეთ თოკი? მსგავსი არაფერი, რადგან შეუძლებელი იყო გველის დაკარგვა, რადგან ქუჩაზე, მთელი ამ დროის განმავლობაში. თოკი ეგდო. არც დამდგარა მისი ძებნის საკითხი.

ის ხომ სულ ადგილზე იყო. თოკი სულ არსებობდა, ის ერთი და იგივე ადგილას იდო.

როცა ბუდამ გახსივოსნებას მიაღწია, მასთან ადამიანები მივიდნენ, და ჰკითხეს:

- რას მიაღწიე?

- თქვენი კითხვა უაზროა, არაფერს არ მივაღწიე, - უპასუხა ბუდამ.

– ეს ნიშნავს, რომ მთელი შენი შრომა, ამ წლების განმავლობაში, ფუჭი იყო? – დაინტერესდა ხალხი, – ნუთუ, შენმა ასკეტიზმმა და ძიებამ, წლების განმავლობაში, არანაირი შედეგი არ გამოიღო?

– თუკი ტერმინთა მიღწევებზე მეკითხებით, მაშინ ჩემი ძალისხმევა, ცხადია, ტყუილად გაიხარჯა, რადგან არაფრისთვის მიმიღწევია, – უპასუხა ბუდამ, – და მაინც გეუბნებით: მიჰყევით იმ გზას, რომლითაც მე წავედი, აკეთეთ ის, რასაც მე ვაკეთებდი.

– ჭკუიდან შეიშალე? – გაუკვირდა ხალხს, - რატომ უნდა ვაკეთოთ ის, რაც შედეგს არ გამოიღებს?

– რა თქმა უნდა, ვერაფერს მივაღწიე, – აუხსნა ბუდამ, - მაგრამ ზუსტად ის დავკარგე, რაც ისედაც არ იყო. მე დავკარგე ის, რაც საერთოდ არ არსებულა, ის, რაც მეგონა, რომ არსებობდა. აღმოჩნდა, რომ ჩემ მიერ ნაპოვნი სულ თან მახლდა და არც მჭირდებოდა მისი ძებნა. მე ვიპოვე ის, რაც სიცრუითაა გარემოცული და რასაც აქამდე არარსებულად ვთვლიდი.

რას ნიშნავს ეს? როგორ უნდა გაიაზრო ის, რაც უკვე არსებობდა და ხელახლა იპოვო ის, რასაც უკვე მიაღწიეს, მაგრამ ხელახლა აღმოაჩინეს, რისთვისაც არასოდეს მიუღწევიათ. მაგრამ მაინც დაკარგეს?

ამგვარად, როცა ვამბობ, რომ ყველა სულიერი სწავლება ყალბია, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ უნდა გამოვიყენოთ. უბრალოდ, იმას ვგულისხმობ, რომ იმდენად ღრმად ხართ ჩაფლული სიყალბეში, რომ სიცრუის გასანეიტრალებლად, ცრუ მეთოდების გარდა, ვერაფერს იყენებთ. ისე დიდხანს ცხოვრობდით სიყალბეში, უკან დაბრუნების შემთხვევაშიც, კი იგივე ყალბი გზა უნდა გამოიაროთ. რომელიც იქით მიმავლებმა გაიარეთ.

მაგალითად, ამ ოთახში შემოსვლისთვის, მე ათ ნაბიჯს ვდგამ. თუკი ოთახიდან გასვლა მომინდება, უკუმიმართულებით, სულ მცირე, ათი ნაბიჯის გადადგმა მომიწევს, თუკი ვინმე გარეთ გასვლისთვის კიდევ ათი ნაბიჯის გადასადგმელად დამიყოლიებდა, უსათუოდ დავიბნეოდი, რადგან ამ ოთახში მოსახვედრად თავიდან ათი ნაბიჯი გადავდგი. კიდევ რომ დამჭირვებოდა ათი ნაბიჯის გადადგმა, ოთახში გადავდგამდი ოც ნაბიჯს. სინამდვილეში, მინდა განახოთ, როგორ უნდა გავიდე ოთახიდან, ისე რომ მის სილრმეში არ შემიტყუოთ. ცხადია, აუცილებლად დამჭირდება ათი ნაბიჯის გადადგმა, თუმცა, ამჯერად, უკვე სხვა დამოკიდებულება მექნება საკითხისადმი, ჩემი კურსი შეიცვლება და წინ კი არ წავალ, არამედ ასოთხმოცი გრადუსით შემოვბრუნდები.

ჩვენ სიყალბეში ვცხოვრობთ. სულიერ სწავლებას აყოლილები, თქვენ უბრალოდ იცვლით მოძრაობის მიმართულებას. ჩვენ სიყალბეში ცხოვრება გვიწევს, ეს გარდაუვალია. თქვენ იქით შეტრიალდებით ზურგით, საითკენაც სახით იდექით, სახე კი იქით შებრუნდება, საითკენაც ზურგი გქონდათ შექცეული. ამ ყველაფრის არსი იმაშია, რომ ჩვენ მოგვიწევს იმ გზის გავლა, იმ წერტილამდე მისვლა, რომლითაც სიყალბეში შემოვედით. იმ დღეს, როცა ძველ გზას დავუბრუნდებით, მთელი სამყარო მშვენიერი მოგვეჩვენება.

ეს იგივეა, გამანეიტრალებელი სამედიცინო საშუალება მისცე იმას, ვინც შეცდომით სხვა წამალი დალია. ამ საშუალების მიღების არავითარი საჭიროება არ არსებობს, მას მხოლოდ იმიტომ იყენებენ, რომ ადამიანმა არასწორი წამალი გადაყლაპა. არასაჭირო წამალი საწამლავის სახით უკვე აღმოჩნდა მის სხეულში. აუცილებელია მას სხვა საწამლავი მივცეთ წინა საწამლავის გასანეიტრალებლად. თუმცა, დაიმახსოვრეთ, რომ ანტიდოტი – ესეც საწამლავია. მხოლოდ საწამლავს შეუძლია მოერიოს სხვა საწამლავს. მეორე დოზა – ესეც საწამლავია, ოღონდ ის მოწოდებულია იმუშაოს საწინააღმდეგო მიმართულებით. გაოგნდებით, თუკი ექიმი გეტყვით, რომ თქვენი სხეული მოწამლულია და ამიტომ ის უფრო ბევრ საწამლავს გალევინებთ. თქვენ დაიყვირებთ: „მე უკვე ვკვდები საწამლავისგან და დამატებით მასმევთ ასეთივე ფხვნილს?“ ექიმი აგიხსნით:

„ეს ანტიდოტია. სინამდვილეში, ეს საწამლავია, უბრალოდ, ის წინა საწამლავის საპირისპიროდ მოქმედებს".

ასე რომ, თუ ვიტყვი, რომ ეს სამყარო ყალბია, მაშინ მე სადხანა ვარ, ანუ სულიერი სწავლება არ შეიძლება იყოს ნამდვილი. როგორ შეიძლება ნამდვილმა სადხანამ მიმართოს ყალბი სამყაროს ნეიტრალიზებას? თქვენ არ შეგიძლიათ გამოიყენოთ ნამდვილი ხმალი წარმოსახვითი სულის მოსაკლავად, ასე მხოლოდ საკუთარ თავს დაჭრით. დარწმუნდით იმაში, რომ ყალბი ხმალი გაქვთ წარმოსახვითი სულის მოსაკლავად. ცხადია, გაგიჭირდებათ, თუკი არარსებული სულის მოკვლას ნამდვილი იარაღით შეეცდებით. ნამდვილი იარაღი ზიანს მოგიტანთ. ამიტომ, თუ გინდათ გაათავისუფლოთ სული, თილისმა უნდა ატაროთ, და ეს არაა ხმალი, არც იარაღი. ეს ყალბი საშუალებაა, თავისებური ანტიდოტია. ეს სრულყოფილი საშუალებაა, საპირისპირო სიყალბეა სხვა სიყალბეთა ნეიტრალიზებისთვის.

ყველა სულიერი სწავლება სხვა არაფერია, თუ არა სამსარიდან, მიწიერი სამყაროდან გამოსვლის საშუალება. მე მიწიერ სამყაროს ილუზიას ვეძახი, იმ გაგებით, რომ ის, საერთოდ, არ არის ისეთი, როგორსაც ვხედავთ.

ამგვარად, დაისმის კითხვა: რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს ილუზია გავფანტოთ? ჩვენ უნდა დავიხიოთ უკან იმ წერტილამდე, სადაც ილუზიაში გადავეშვით. რატომ მინდა ეს შეგახსენოთ? იმიტომ რომ მაძიებელი მუდმივად ხიფათს აწყდება. საშიშროება იმაშია, რომ მას შეუძლია გამოიყენოს თილისმა სულის განსადევნად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მან შეძლო სულისგან თავის დაღწევა, ის ძლიერ ეჭიდება თილისმის მაგიას. ის გრძნობს, რომ თილისმა გადაურჩენს სიცოცხლეს. ის შიშობს, რომ დაკარგავს ჯადოსნობას, რომელსაც იყენებდა სულის წინააღმდეგ. როგორ შეიძლება დაკარგოს ის, რამაც სიცოცხლე გადაურჩინა? ამგვარად, მაძიებელი სულისგან თავისუფლდება, მაგრამ თილისმას ეჩვევა. ამიტომ მას უნდა შევახსენოთ, რომ თილისმაც ისეთივე არარეალურია, როგორც სული. ახლა, როცა სული გაქრა, კარგი იქნება, თუ თილისმასაც მოიშორებს.

მინდა, მუდმივად შევახსენო ყველა მაძიებელს, რომ რომელ სადხანასაც არ უნდა მისდევდეს, საფუძველთა საფუძ-

ველი ანტიდოტია, რომელმაც იგი სიყალბისგან უნდა იხსნას. სიცრუის ანტიდოტი აუცილებლად უნდა იყოს სიყალბე. მხოლოდ საწამლავს შეუძლია გაანეიტრალოს სხვა საწამლავი, რადგან ის მუშაობს საპირისპირო მიმართულებით. მთავარია ამ მითითებებმა თვით მაძიებლამდე მიაღწიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მან, შესაძლოა, წარმატებით ჩამოიშოროს სამსარა, მაგრამ მიეჩვევა სანიასას, უარყოფას. მას შეუძლია უარი თქვას საქვეყნო საქმეზე, მაგრამ ტაძარს ჩაეჭიდოს. მას შეუძლია უარი თქვას ფულზე, მაგრამ მედიტაციაში გადაეშვას. საშიშია რაიმეზე მოჭიდება, იმიტომ რომ ყველაფერი, რასაც ადამიანი ეჭიდება, დამოკიდებულებას აჩენს, სულ არა აქვს მნიშვნელობა, ფული იქნება ეს თუ მედიტაცია. სადხანა რეალური ხდება იმ დღეს, როცა აღარაა მედიტაციის საჭიროება. როცა მედიტაცია უსარგებლოა.

ცხადია, ის, ვინც სახურავზე ასვლა შეძლო, ხვდება, უკვე აღარ სჭირდება კიბე. თუკი ის, ჯერაც ამტკიცებს, რომ მისთვის კიბე აუცილებელია, თუკი ის მაინც ეჭიდება კიბეს, იცოდეთ, რომ მას ჯერაც არ აუღწევია სახურავამდე და, სავარაუდოდ, სადღაც კიბეზე დგას. არის ისე, რომ ადამიანმა მიაღწია კიბის მაღალ საფეხურს, მაგრამ მაინც ეჭიდება მას. თუ საქმე ასეა, მაშინ დაიმახსოვრეთ, რომ ადამიანი ახლაც შორსაა სახურავისგან, როგორც მაშინ, როცა ის კიბის პირველ საფეხურზე იდგა. მას, ჯერ კიდევ. არ მიუღწევია სახურავამდე. ორივე შემთხვევაში, სახურავი, ჯერ კიდევ, ძალიან შორსაა.

შესაძლოა, უკვე აცოცდით კიდეც კიბეზე, მაგრამ თუ ბოლო საფეხურზე გაჩერდით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახურავს მიაღწიეთ. ეს ყველაფერს ცვლის. თავიდან პირველ საფეხურზე იდექით, ახლა კი მეასე საფეხურზე ხართ, მაინც კიბეზე დგახართ. ის კი, ვინც კიბეზეა, უეჭველად არ ასულა სახურავზე. თუ სახურავზე ასვლა გსურთ, ორი რამის გაკეთება მოგიწევთ: უნდა აცოცდეთ კიბეზე, და მერე, როცა სახურავს მიაღწევთ, უნდა მოიშოროთ კიბე.

ამიტომ ვამბობ, რომ, ერთი მხრივ, მედიტაცია სასარგებლოა. ამავე დროს, ვამბობ, რომ მედიტაცია – სხვა არაფერია, თუ არა ანტიდოტი. ამგვარად, ვამტკიცებ იმას, რომ თქვენთვის აუცილებელია სულიერი სწავლების პრაქტიკა.

რომელსაც მოგვიანებით უნდა შეელიოთ. როცა ერთდროულად ორ რამეზე ვლაპარაკობ, სავარაუდოდ, პრობლემებს ვამრავლებ. ბუნებრივია, თქვენ გესმით, რომ, ერთი მხრივ, სულიერი სწავლების პრაქტიკას ვქადაგებ, მეორე მხრივ კი, ვაცხადებ, რომ ყველა სადხანა ყალბია.

„თუ ეს ასეა, მაშინ რატომ უნდა გავიაროთ პრაქტიკა სულიერ სწავლებაზე?" – მისვამთ სავსებით ლოგიკურ კითხვას პასუხს თქვენივე ლოგიკა გკარნახობთ: „თუკი, საბოლოოდ, კიბის თავიდან მოშორებაა საჭირო, მაშინ რატომ უნდა ავცოცდეთ მასზე?"

დაიმახსოვრეთ, ვინც არ მიცოცავს კიბეზე, მისგან განკერძოებით დგას, ვინც უკვე აცოცდა კიბეზე და სახურავზეც ავიდა, ისიც კიბის მიღმაა, თუმცა, ორივე სრულიად განსხვავებულ დონეზე იმყოფება. ერთი სახურავზეა, მეორე – მიწაზე მიუხედავად იმისა, რომ კიბეზე არც ერთი მათგანი არ დგას. ამ ორ ადამიანს შორის, მაინც უდიდესი განსხვავებაა. ერთი კიბის მიღმა დგას, რადგან არ მიცოცავს მასზე, მეორე კიბის მიღმა დგას, რადგან ის მიცოცავდა კიბეზე და ბოლომდე ავიდა.

ცხოვრება უდიდესი საიდუმლოა, რომელშიც ადამიანი ერთ ცნებებზე უნდა აცოცდეს და სხვა ცნებებით ჩამოცოცდეს. რომელშიც ის ერთი ტიპის საგნებს უნდა ჩაებღაუჭოს და სხვა ტიპის საგნები კი უკუაგდოს. მაგრამ ადამიანის ტვინი ამბობს: „თუ გინდა რამეს მოეჭიდო, მაშინ კარგად მოეჭიდე, და თუ გინდა რამე მოიშორო, მაშინ მოიშორე".

ასეთი ლოგიკური დასკვნები საშიშია. ის არ მოგიტანთ ცხოვრებაში დინამიზმს. მე კარგად ვერკვევი ორივე მოვლენაში და სირთულეებსაც კარგად ვხედავ. ზოგიერთი ადამიანი ეჭიდება საკუთარ სიმდიდრეს, როცა სხვა ადამიანები თავიანთ რელიგიას ეჭიდებიან; ერთნი ებღაუჭებიან სამსარას, მეორენი კი – მოკშის იდეას, მაგრამ საბოლოო ჯამში, ნუგეშად მოჭიდებალა რჩებათ.

თავისუფლდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს ეჭიდება. ჭეშმარიტება იცის მხოლოდ მან, ვინც თავისუფალია მოჭიდებისგან, მიჩვევისგან, კომპლექსებისგან და მოთხოვნილებებისგან მხოლოდ მას შეუძლია შეიმეცნოს ჭეშმარიტება. ვინც არ აყე-

ნებს პირობებს. ისეთმა პირობამაც კი, როგორც მაღაზიაში ვაჭრობასთან შედარებით ლოცვისთვის უპირატესობის მინიჭებაა, შესაძლოა ხელი შეგიშალოთ ჭეშმარიტების შეცნობაში. ასეთ შემთხვევაში, თქვენ გეცოდინებათ მხოლოდ ის ჭეშმარიტება, რომელიც იბადება ტყუილისგან, ტაძარიც ხომ სიყალბეა. ასეთმა პირობამაც კი, როგორც განსაკუთრებულად სანიასინივით ცხოვრების სურვილია, გამოიწვევს იმას, რომ ვერასდროს შეიმეცნებთ ჭეშმარიტებას. ეს იქამდე მიგიყვანთ, რომ ბოლო საფეხურზე ასული, კვლავ კიბეს ჩაებღაუჭებით.

შესაძლოა, ხშირად მოგვსლიათ აზრად: „როგორ შემიძლია უცებ მოვისროლო კიბე, რომელიც ამ სიმაღლეზე ასვლაში დამეხმარა?“ და მაშინვე კიბეს ჩაბღაუჭებიხართ. ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი ჩვენს გარშემო გამუდმებით ხდება. მაგალითად, რომელიმე ადამიანი იწყებს ფულის გამომუშავებას, რომ შემდეგ ამ სახსრებით იცხოვროს, რათა საკუთარი თავის არ შერცხვეს. ფულის დაგროვებაში მას წლები ეხარჯება, ამ პროცესში ის წყვეტს დასვენებას და ძალების აღდგენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შეძლებდა წარმატების მიღწევას სიმდიდრის დაგროვებაში? იმ მომენტში მან ივარაუდა, რომ ბევრ ფულს გამოიმუშავებდა და მოგვიანებით, უფრო იოლად და სიხარულით იცხოვრებდა. მისი მიზანი იყო კომფორტში ცხოვრება, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა ფულის გარეშე. ამიტომ ადამიანი დაკავებული იყო კაპიტალის დაგროვებით. როცა ფულის კეთების პროცესში ხართ, ვერაფრით მისცემთ თავს მოდუნების უფლებას. ფულის გაკეთების ერთადერთი საშუალება წლების განმავლობაში სიმშვიდესა და მოდუნებაზე უარის თქმაა.

წარმოვიდგინოთ, რომ ამ ადამიანმა უარი თქვა დასვენებასა და სადღესასწაულო დღეებზე მომდევნო ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში და ბევრი ფული დააგროვა. ცხადია, მან სიმდიდრე დააგროვა, მაგრამ მოდუნების უნარი დაკარგა. ის ყოველგვარი დაძაბულად ყოფნას შეეგუა, რაც თავისთავად წარმოშობს სირთულეს. მის ზურგს უკან ოცდახუთწლიანი პრაქტიკაა. თუკი, მას შინ დარჩენასა და დასვენებას სთხოვთ, ის ვერ შეძლებს ამის გაკეთებას. ერთი საათით ადრე მივა

სამსახურში და თავის სავარძელში ჩაჯდება. მისი ქვეშევრდომები ხუთ საათზე მორჩებიან საქმეს, ის კი შვიდ საათამდე იმუშავებს. მან აშკარად დაივიწყა, რომ ოდესღაც უარი უნდა თქვას კიბეზე, რომელზეც მიღოღავდა. მისთვის უმჯობესი იქნებოდა, რომელიმე დონეზე ჩამოსულიყო და მოდუნებულიყო. იდეა იმაშია მდგომარეობდა, რომ საკმარისი თანხა შეეგროვებინა, რათა მოგვიანებით წყნარად დასვენების შესაძლებლობა მისცემოდა. მისი ერთადერთი მიზანი იყო კაპიტალი გამოემუშავება დასვენების მიზნით.

ადამიანს ესმის, რომ ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ფულზე გამოდევნებით მან დაკარგა მოდუნების თვისება, ის დაძაბულობის ანკესს წამოეგო. ის ფიქრობს იმაზე, თუ როგორ უნდა მოდუნდეს. სწორედ, ამიტომ აგროვებს ფულსა და ქონებას. ის გამალებით მიცოცავს კიბეზე და უარს ამბობს იქიდან ჩამოსვლაზე. სახურავი არასოდეს უახლოვდება მას. ის შეუჩერებლად მიღოღავს წინ, ერთი კიბით ზევით. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენჯერ შეუძახებთ მას: „გეყოფა, დროა ჩამოხვიდე“, ის ჯიუტად იტყვის: „როგორ შეიძლება ჩამოვიდე? ვიდრე დავჯდები და მოვდუნდები, კიბის აგება მომიწევს“. ის განაგრძობს საკუთარი კიბის შენებას და მაღლა ცოცვას. ეს არ იქნებოდა ასე მნიშვნელოვანი, ამგვარ ქმედებას, ალბათ, გამართლებაც მოეძებნებოდა, საქმე რომ მხოლოდ ფულთან დამოკიდებულებას უკავშირდებოდეს. მაგრამ ზუსტად იგივე ხდება რელიგიასთან დაკავშირებითაც. ჩვენი გონება ყველგან ანალოგიურად მუშაობს, საქმინობის სფეროს მიუხედავად.

ადამიანი რელიგიის სამყაროში ხვდება, და ის უარს ამბობს ზოგიერთ რამეზე. ის უარყოფს საგნებს, რათა მიაღწიოს წერტილს, სადაც მისი გონება გათავისუფლდება ყოველგვარი დამოკიდებულებისგან. ის ვარაუდობს, რომ მანამდე იქნება მონობაში, ვიდრე რაიმეზე იქნება დამოკიდებული. ამიტომ ის ამბობს: „მიატოვე ყველაფერი. უარი თქვი ყველაფერზე, რაც დამოკიდებულებას ბადებს!“ ის უარს ამბობს თავის სახლზე, სამსახურზე, ოჯახზე, კაპიტალზე, ტანსაცმელზე – ის გამუდმებით უარს ამბობს ყველაფერზე.

ოცი ან ოცდახუთი წლის მერე, ეს მისი ჩვევა იმდენად სისხლხორცეული ხდება, რომ უკვე არ შეუძლია მისი მოცი-

ლება. ეს ჩვევა ქვასავით აწევს კისერზე. ის აგრძელებს მეთოდების ძებნას იმისთვის, რომ კიდევ უარყოს რაღაც და მისი კიბე გრძელდება. ის ცდილობს გაიგოს, თუ შეიძლება კიდევ მოიშოროს: საჭმელი, წყალი, მარილი, კარაქი, შაქარი თუ სხვა. მისი ფიქრი დაუღალავად დაჰფარფატებს იმას, თუ რას შეიძლება კიდევ გაანებოს თავი: ძილს თუ ბანაობას. ის მუდმივად ეძებს უარყოფის მეთოდებს. ბოლოს და ბოლოს იმ წერტილამდე მიდის, სადაც სიცოცხლის უარყოფაზე საუბრობს, ის იწყებს თვითმკვლელობაზე ფიქრს. ადამიანი ემზადება სანტარასთვის, ანუ, რელიგიური პრაქტიკის თანახმად, სიკვდილთან საკუთარი ნებით მიახლებისთვის.

ის, ვინც უარყოფს, და ის, ვინც ეჭიდება, ერთ ტიპის ადამიანებს მიეკუთვნებიან. ერთი ადამიანი ებღაუჭება კიბეს, რომელიც განკუთვნილია ყველაფრის უარყოფისთვის, მეორე კი კიბეს, რომელიც განკუთვნილი საგნების სიყვარულზეა გადაგებული. მაგრამ არცერთ მათგანს არ სურს კიბიდან ჩამოსვლა. ჩემი აზრით, სიმართლე იქ არის, სადაც კიბეები სრულდება, სადაც უკვე სწორ ზედაპირზე დგებით, სადაც აღარაა ყოყმანის, ასვლასა და ჩამოსვლას შორის არჩევანის საჭიროება. ჭეშმარიტება იქაა, სადაც თქვენს დამოკიდებულებას უკუაგდებთ, სადაც თქვენს პირობებს უარყოფთ, სადაც საგნებს დაინახავთ თქვენივე განპირობებული გონების მიღმა, სადაც საგნებს ყოველგვარი პირობისგან დაცლილი გონებით შეიმეცნებთ. სწორედ, აქ იბადება ჭეშმარიტება.

შესაძლოა, სწორედ, ამას გულისხმობდა იესო. კითხვაზე, ვინ დაიმკვიდრებს სასუფეველს, იესომ უპასუხა: „ის ადამიანები, რომლებიც ბავშვებს ჰგვანან“. რას ნიშნავს „ბავშვებს ჰგვანან“? ეს გულისხმობს ადამიანებს, რომლებიც სამყაროს ცრურწმენების გარეშე უყურებენ. გაოცდებით, თუ დააკვირდებით იმას, როგორ უყურებენ ბავშვები საგნებს. უდიდესი განსხვავებაა, ამ თვალსაზრისით, ჩვენს ხედვასა და ბავშვების ხედვას შორის. როცა ჩვენ სამყაროს ვუყურებთ, ვუყურებთ რაღაცას, ვეძებთ რაღაცას, ბავშვი კი უბრალოდ უყურებს. ის არ ეძებს რაღაც განსაკუთრებულს, მისი თვალები უბრალოდ მოძრაობს. ის, უბრალოდ, უყურებს იმას, რაც მის თვალწინაა. მისი გამოხედვა არაა მიჯაჭვული განსაკუთრებულ საგნებზე.

ის არ წარმოიდგენს, რომ საგანი, რომელსაც თვალი გაუსწორა, რაღაც განსაკუთრებულად უნდა გამოიყურებოდეს. ბავშვი ხედავს იმას, რაც არის. ერთი სიტყვით, მისი ხედვა მიზანსაა მოკლებული.

ბავშვი ვერ ხედავს მიზანს, ამიტომ მოზრდილის თვალში თქვენ ვერ შენიშნავთ იმ უმწიკვლობას, რომელიც ბავშვის თვალებში ირეკლება. ზდასრული ადამიანი საგნებს რაღაც მიზეზის გამო უყურებს. თუ ჯიბეში ფული გაქვთ, ის ამნაირად გიყურებთ, მაგრამ თუ ცარიელი ჯიბით დადიხართ, უკვე იმნაირად. თუ ლამაზი ქალი ხართ, კაცი ანთებული თვალებით შემოგხედავთ, თუ სილამაზით არ გამოირჩევით, მისი მზერა ქრება. ზრდასრული ადამიანი განსაკუთრებულად გაკვირდებათ, თუ დაინტერესებულია თქვენით, სხვა შემთხვევაში მისი მზერა იცვლება, ან სულაც სხვა ობიექტზე გადადის. ზრდასრულის მზერაში მიზანი იკვეთება. შეუძლებელია მან უმიზნოდ გაიხედოს სადმე.

როცა თქვენს მზერაში მიზანი ისადგურებს, თოკი გველად გეჩვენებათ და თავად თოკი არსებობას წყვეტს. დაფიქრდით, რატომ ეჩვენება ადამიანს თოკი გველად? ეს, უბრალოდ, მისი პროექციაა, ადამიანს ეშინია. მის მზერაში დატყვევებულია შიში. ეს ნიშნავს, რომ ის ყოველთვის შიშით უყურებს საგნებს. ადამიანი ბნელ ქუჩაში მიდის და თვალები შიშითა აქვს სავსე. ის შენიშნავს, რომ ქუჩაზე რაღაც აგდია და მოეჩვენება, რომ ეს რაღაც მოძრაობს. კაცი მაშინათვე ჩათვლის, რომ ეს გველია, რადგან თვალებში შიში უდგას. ამ ადამიანს მიზანი ამოძრავებს, უგონოდ მყოფი ცდილობს დააკვირდეს საგანს და დარწმუნდეს, გველია ეს თუ თოკი, და ბოლოს, თოკს გველად მიიჩნევს.

ბავშვი არ დაინახავს გველს დაგდებული თოკის ნაცვლად. ხშირად ხდება ისე, რომ როცა გველი უმოძრაოდ წევს, ბავშვს ის თოკი ჰგონია. მას შეუძლია არ დაინახოს გველი და ხელში აიღოს. თუ არის რაიმე მიზანი, რაიმე მოლოდინი, რაიმე შიში, იმაში, რასაც ჩვენ ვხედავთ... გაიგეთ, რომ თუ გონების თვალით შეხედავთ, მაშინ გააუკუღმართებთ აღქმის ობიექტს. ამგვარად, კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ დავინახოთ გონების დახმარების გარეშე. გონების მონაწილეობის გარეშე

ხედვა – ეს უმაღლესი მდგომარეობაა. ყველა ჩვენი გაღვიძება, შიშები, სურვილები, ლტოლვა გონებაში ილექება.

ჩეხოვმა დაწერა პატარა მოთხრობა. ორი პოლიციელი ქუჩის შემოვლაზე იყო. მათ საჩაიეს გარშემო შეკრებილი ადამიანები შენიშნეს. ერთ კაცს ძაღლის თათი ეჭირა. ის უხსნიდა დანარჩენებს, რომ ძაღლის მოკვლა სურდა, რადგან ძაღლმა უკბინა. ხალხი მხიარულობდა და მხარს უჭერდა ამ ადამიანის სურვილს, რადგან ძაღლი ნამდვილად ავი იყო და ბევრი ადამიანი ჰყავდა დაკბენილი. პოლიციელებიც შეუერთდნენ ამ ადამიანებს. ძაღლები პოლიციელებსაც აწუხებდნენ, ამიტომ მათი საკითხი ამ უკანასკნელთა ყურადღებასაც იპყრობდა.

ამგვარად, პოლიციელებს მოეწონათ, რომ ამ ძაღლით ვიღაც დაკავდა. „სწორედ იქცევი. მოკალი ის, ამ საღამოს ძალიან შეგვაწუხა", – ურჩია ერთ-ერთმა პოლიციელმა. მაგრამ მეორე პოლიციელმა მაშინვე გვერდზე გაიყვანა კოლეგა და უთხრა: „მისმინე, მეჩვენება, რომ ეს ძაღლი ჩვენი უფროსის ძაღლს ჰგავს". პირველმა პოლიციელმა, რომელიც დაზარალებულს აქეზებდა ძაღლის მკვლელობისკენ, მაშინვე მიეჭრა მას, საყელოში წააფრინდა და უყვირა: „ოხ, შენ თაღლითო! რატომ აყოვნებ ამდენ ხალხს ქუჩაში და რატომ აფერხებ მოძრაობას? რა წარმოდგენას დგამ? ახლავე წამოდი ჩვენთან ერთად განყოფილებაში!" მან წამში გამოგლიჯა დაზარალებულს ხელიდან ძაღლი და მოფერება დაუწყო. ხალხი გაოცებისგან გაირინდა, პირველმა პოლიციელმა ხომ ამჯერად ძაღლის მხარე დაიჭირა და დაზარალებული დააკავა.

ხალხს არ ესმოდა, რა ხდებოდა, ცოტა ხნის წინ, პოლიციელი მზად იყო ძაღლი გაეთელა. მოგვიანებით, მეორე პოლიციელი კარგად დააკვირდა ძაღლს და განაცხადა: „არა, როგორც ჩანს, ეს ძაღლი ჩვენი უფროსის არ არის." პირველმა პოლიციელმაც მაშინვე მიაგდო ძაღლი და დაზარალებულს უყვირა: „წაიყვანე ეს ძაღლი და მოკალი! ძალიან საშიშია". თუმცა, ვიდრე დაზარალებულმა ძაღლი დაიჭირა, მეორე პოლიციელმა კვლავ გამოთქვა საკუთარი ეჭვი: „არ ვარ დარწმუნებული, მაგრამ მგონი, ეს ძაღლი ჩვენი უფროსის არის".

მოთხრობა ამავე პათოსით გრძელდება. ძაღლისადმი დამოკიდებულება, ისევე როგორც მიზანი, მრავალგზის შეიცვა-

ლა. ჩვენ ერთსა და იმავე ძაღლზე, ერთსა და იმავე დაზარალებულზე, ერთსა და იმავე პოლიციელებზე ვსაუბრობთ, ამ შემთხვევაში, არაფერი შეცვლილა. გმირები იგივეა, მაგრამ მოთხრობა რამდენჯერმე შედგა ახალ რელსებზე, იმიტომ რომ ყოველ ჯერზე იცვლება სურვილი. ამ ძაღლს ხან მიიჩნევენ უფროსის ძაღლად, ხან – არა. პოლიციელები ყოველ ჯერზე ცვლიდნენ თავიანთ დამოკიდებულებას. როცა ეჩვენებოდათ, რომ ეს ძაღლი მათ უფროსს არ ეკუთვნოდა, მოსაკლავად იმეტებდნენ, ხოლო როცა ეგონათ, რომ ძაღლი უფროსის იყო, ეფერებოდნენ მას.

ზუსტად ასე ვცხოვრობთ. ვიდრე იარსებებს გონება, სულ ასე ვიცხოვრებთ. ამიტომ ვამბობ, რომ სადხანა...

რა არის სინამდვილეში სადხანა, სულიერი სწავლება? სადხანა ნიშნავს გონებისგან გათავისუფლებას. მაგრამ რა აზრი აქვს სადხანას, თუ გათავისუფლდებით გონებისგან? თქვენ ის უნდა დამარხოთ საკუთარ გონებასთან ერთად. ისევე როგორც გონებისგან, სულიერი სწავლებისგანაც უნდა გათავისუფლდეთ. უნდა უთხრათ თქვენს გონებას: „წაიყვანე შენი სადხანა. მე პრაქტიკას შენ გამო გავდიოდი. ეხლა კი, როცა შენ მტოვებ, კეთილი ინებე და ეს სადხანაც წაიღე!“

როცა ადამიანი თავისუფალია გონებისგანაც და სადხანისგანაც, თავისუფალია ავადმყოფობისგან და წამლისგანაც... დაიმახსოვრეთ, თუ ადამიანი მხოლოდ ავადმყოფობისგანაა თავისუფალი და წამლის მიღებას განაგრძობს, ის თავისუფალი არ არის. ძალიან ხშირად საშიშია არა თავად დაავადება, არამედ წამალზე დამოკიდებულება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ბევრად იოლია ავადმყოფობისგან თავდახსნა, რადგან ავადმყოფობას ტკივილი მოაქვს.. ადამიანი კარგად გრძნობს თავს, როცა წამალს სვამს, ამიტომ მას არ უნდა მისი გადაგდება. მაგრამ არის კი ეს წამალი ის, რასაც შეიძლება ჩაეჭიდო?

სინამდვილეში წამალი იმას სჭირდება, ვინც ავადმყოფობს, მაგრამ რა ხეირი მოაქვს მას ჯანმრთელისთვის? ჯანმრთელი ადამიანისათვის წამალი სრულიად უსარგებლოა. იმდენად, რამდენადაც გულით გსურთ ავადმყოფობის ჩახუტება, წამლე-

ბის ყლაპვას გაიძულებენ. მაგრამ, თუ არ იჯიუტებთ და არ იწუწუნებთ, წამალიც სრულიად ზედმეტი იქნება.

ავადმყოფობა და წამალი ერთ დონეს მიეკუთვნება, და მათ შორის არანაირი განსხვავება არ არის. სხვაგვარად რომ იყოს, ისინი მოქმედებას შეწყვეტდნენ. წამალი ზუსტად იმ დონეზე არსებობს, რომელზეც ავადმყოფობაა: აბებში მყოფი მიკრობები დაავადებების გამომწვევი მიკრობების საპირისპიროა. მართალია, ავადმყოფობა და წამალი ერთმანეთისკენ ზურგშექცევით დგანან, თუმცა, ისინი მაინც ერთსა და იმავე დონეზე არსებობენ.

მე ვაპროტესტებ არა მხოლოდ ავადმყოფობას, არამედ წამალსაც, იმიტომ რომ, როგორც ჩემი გამოცდილება მეუბნება, უკანასკნელი ათასი წლის განმავლობაში, ბევრი გამოვიდა დაავადებათა წინააღმდეგ. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფობა დაამარცხეს, ადამიანებმა მაინც ვერ დაანებეს თავი წამლებს.

ისინი, ვინც წამლებს მიეჩვია, უფრო საშიშნი გახდნენ, ვიდრე ისინი, ვინც ავადმყოფობდა. ამიტომ ორივე მოვლენის გადაფასებაა საჭირო. უარი უნდა ეთქვას ავადმყოფობასაც და წამალსაც. ზურგი უნდა შევაქციოთ გონებასაც და მედიტაციასაც. უნდა უარი ვუთხრათ სამსარასაც და რელიგიასაც. აუცილებელია იმ წერტილთან მისვლა, სადაც არაფერი რჩება: არაფერია ხელმოსაჭიდი, არაფერია უარსაყოფი. და მაშინ რჩება მხოლოდ ის, რაც არსებობს.

ამგვარად, როცა ყველა ამ ტექნიკაზე (კუნდალინიზე, ჩაკრებზე, შვიდ სხეულზე), ვსაუბრობ, უნდა იგულისხმოთ, რომ ეს ძილის ნაწილია. საქმე იმაშია, რომ თქვენ უკვე გძინავთ, და ვერაფრით შეძლებთ გაღვიძებას, ვიდრე სათანადოდ არ გაერკვევით ძილის არსში.

ძილისაგან თავდასახსნელად აუცილებელია მასზე სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ. ძილსაც და სიყალბესაც საკუთარი არსებობა გააჩნიათ. ძილს ამ სამყაროში თავისი ადგილი აქვს, მაგრამ არსებობს მისგან გამოსვლის საშუალებები. ცხადია, საბოლოო ჯამში, სჯობს ერთიც მოვიშოროთ და მეორეც. მე გეუბნებით, რომ ორივე მოვლენა ყალბია, სამსარაც ყალბია

და სადხანაც. თუკი ვიტყვი, რომ ამ ორი მოვლენიდან რომელიღაც სწორია, როგორღა მოიშორებთ რამეს? პირიქით, სწორედ, მას ჩაებღაუჭებით. „როგორ შეიძლება უარყოთ ჭეშმარიტება? ჭეშმარიტებას უნდა ჩაეხუტოთ“, – სავარაუდოდ, ეს იქნება თქვენი პასუხი.

იმისთვის, რომ არაფერზე იყოთ დამოკიდებული, არაფერს ებღაუჭებოდეთ, არ ჩამოგიყალიბდეთ რაიმე კომპლექსი, არაფერს მიეჩვიოთ, უნდა იცოდეთ ის, რასაც ახლა გეტყვით: არც სამსარაა სწორი და არც სადხანა. სადხანას სიყალბის მიზანი სამსარას სიყალბის უარყოფაა. როცა ორივე სიყალბე წონასწორდება და ერთმანეთს ანეიტრალებს, სწორედ, მაშინ წარმოიშობა ჭეშმარიტება. ეს ჭეშმარიტება არაამქვეყნიურია, ანუ არც სამსარიდანაა და არც სადხანიდან. ეს ჭეშმარიტება არ მომდინარეობს მათგან, ის არც ამ ორის წინ გაჩენილა, არც მათ მიღმა და არც მათ მაღლა. ჭეშმარიტება არსებობს, როცა არც სამსარაა და არც სადხანა.

ამიტომ ვსაუბრობ მესამე ტიპის ადამიანზე, რომელიც არც სამყაროსია და არც სამყაროსგანაა უარყოფილი. ვინმემ შეიძლება მკითხოს: „თქვენ სანიასინი ხართ?“, მე მესმის, რომ რთულ მდგომარებაში ვარ, იმიტომ რომ, თუ ვიტყვი, რომ სანიასინი ვარ, აღმოვაჩენ, რომ იმ ორის ტყვეობაში ვარ, რომელიც არსებობს ჩვეულებრივ ადამიანსა და ბერს შორის. ზუსტად ასევე, როცა ვინმე მეკითხება: „თქვენ წუთისოფლის კაცი ხართ?“, ჩემს წინ ასეთივე სირთულე ჩნდება, რამდენადაც, თუ ვიტყვი, რომ ქვეყნის კაცი ვარ, ჩავითვლები გაორებულ პიროვნებად, რომელიც არსებობს მიწიერ ადამიანსა და ამასოფლის უარმყოფელს შორის.

ამგვარად, უნდა ვთქვა, რომ ერთდროულად ერთიც ვარ და მეორეც, რაც უაზრობა იქნება... რადგან თუ ერთსა და იმავე დროს ამქვეყნიურიც ვარ და ამ ქვეყნის უარმყოფელიც, მაშინ ყველაფრის აზრი იკარგება. აზრი არსებობდა ორმაგობისა და დიხოტომიის შემთხვევაში. სამყაროსგან გასვლა უტოლდებოდა სანიასინად გადაქცევას. ცხოვრების უარყოფის მიღება კი ნიშნავდა, რომ ადამიანი ამქვეყნიურია. ამიტომ, თუ ვიტყვი, რომ ისიც ვარ და ისიც, მაშინ სიტყვები თავის მნიშვნელობას დაკარგავს. ასეთივე სირთულე წარმოიქმნება, თუ განვაცხა-

დებ, რომ რომ არც ის ვარ და არც სხვა, რადგან ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს იმაზე, რომ კიდევ რაღაც არსებობს ამ ორი გაგების მიღმა, რომ არსებობს მესამე გაგებაც. ადამიანები ამბობენ: „ან ამ მოვლენას მიეკუთვნები, ანდა იმას. ან დაადასტურე, რომ ცოცხალი ხარ, ანდა აღიარე, რომ მკვდარი ხარ. როგორ შეგიძლია იმის თქმა, რომ ორივე გაგება არასწორია? ამას ვერაფრით ვაღიარებთ“.

ჩვენ ვცოცხლობთ, მხოლოდ მაშინ, როცა ყველაფერს ორ ნაწილად ვყოფთ და ერთ-ერთ მათგანს ვირჩევთ. ან სიბნელეს ვხედავთ, ან სინათლეს. ჩვენს ცხოვრებაში ბინდ-ბუნდის ადგილი არ არის, ვერაფრით ვნახავთ იმას, რასაც არც სიბნელე ჰქვია და არც სინათლე. ჩვენს ცხოვრებაში ნაცრისფერის ადგილი არ არის. ჩვენ ყველაფერს ვყოფთ შავად და თეთრად. მაშინ როდესაც რეალობა ძირითადად სწორედ ნაცრისფერია როცა ნაცრისფერი იკუმშება, ის სიბნელედ გადაიქცევა, ხოლო როცა ფართოვდება, ის თეთრია. მაგრამ ნაცრისფრისთვის ჩვენ არ ვტოვებთ სივრცეს. თქვენ ან მეგობარი გყავთ, ან მტერი, ვინმე მესამის არსებობა აქ გამორიცხულია. სინამდვილეში მესამე სავსებით რეალურია, მაგრამ ჩვენს ენაზე, ჩვენი აზროვნების სტილზე, ჩვენი ცხოვრების წესზე, მას არავითარი გავლენა არა აქვს.

დავუშვათ მკითხეთ: „შენ ჩემი მტერი ხარ თუ მეგობარი?“ თუ გიპასუხებთ: „მე შენთვის მტერიც ვარ და მეგობარიც“. თქვენ გაგიძნელდებათ ჩემი გაგება. როგორ შემიძლია ვიყო ერთიც და მეორეც? თუ გიპასუხებთ, რომ არც მტერი ვარ და არც მეგობარი, ჩემი პასუხი მაშინაც უაზრო იქნება, რადგან ეს უაზრობაა. საქმე იმაშია, რომ ჯანსაღი ადამიანი თქვენთვის ან მეგობარი იქნება, ან მტერი, ან არც ერთი და არც მეორე

ერთი და იგივე რაიმეს გამოსახატავად ორი გზა არსებობს ამ შემთხვევაში, ადამიანი არც მტერი იქნება და არც მეგობარი. მიმაჩნია, რომ მხოლოდ მაშინ იქცევა ადამიანი ადამიანად. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მას არავისთან ექნება არც მტრობა და არც მეგობრობა. ის არ დაიწყებს სამყაროს უარყოფას, და არც სამსარას მიეჯაჭვება.

ზუსტად ამ მესამე ტიპის ადამიანს ვეძებ. თითოეული ჩემი სიტყვა თქვენი ძილის გაფანტვას ისახავს მიზნად. და თუ ძილი

გაფანტულია, მაშინ ჩემს სიტყვებს უკვე მნიშვნელობა არა აქვს.

ერთ ისტორიას მოგიყვებით. ერთხელ, დილით ერთმა ოსტატმა ძენმა გაიღვიძა. მას ძალიან სჯეროდა სიზმრების. რა თქმა უნდა, ძილი ძალიან სასარგებლოა, რამდენადაც სიზმრები დიდ ინფორმაციას გვაწვდის ადამიანზე. ვინაიდან ადამიანი მატყუარაა, მხოლოდ ასეთ სიცრუეს შეუძლია მის შესახებ მოგვითხროს, როგორიც ძილია. საქვეყნო საქმეების კეთებისას ადამიანი ისეთი ნამდვილი არ არის, როგორც ძილშია, ანუ იმ ძილში, რომელშიც სრული სიყალბეა. თუ წააწყდით ადამიანს, რომელიც ხელებაპყრობილი უმტკიცებს ცოლს, რომ ის ყველაზე ლამაზი ქალია დედამიწაზე, შეიხედეთ მის სიზმრებში. მისი ცოლი იშვიათად ხვდება იქ. თქვენ ამ კაცის ძილში, სავარაუდოდ, სულ სხვა ქალებს აღმოაჩენთ. მისი სიზმარი ზუსტად მოგიყვებათ მასზე. სიზმარი ხომ საფუძველშივე სიყალბეა.

რამდენადაც თავად ადამიანია – სიყალბე, სიყალბე უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ მასზე სიმართლე გავიგოთ. ადამიანი რომ ნამდვილი იყოს, მაშინ მისი ცხოვრება თავად გვანახებდა, ვინ არის ის. მაშინ აღარ იქნებოდა საჭირო მისი სიზმრებისთვის მიგვემართა, მისი სახე ხომ ყველაფერს წარმოაჩენდა. ნამდვილი ადამიანი თავის ცოლს ეტყოდა: „შენ არ მეჩვენები ლამაზად, მეზობლის ქალი – აი, ესაა სილამაზე". თქმაც არ უნდა იმას, რომ ასეთი ადამიანი არ არსებობს ჩვენ გარშემო, მაგრამ ასეთი ადამიანი რომ არსებობდეს, მაშინ მას სიზმრები არ ეწვეოდა. „დღეს, შენ მიმართ სიყვარულს არ ვგრძნობ, ის ქალი მიზიდავს, რომელიც ქუჩაში მიდის", – ცოლისთვის ამის მთქმელი ქმარი, ასეთი უბრალო და პირდაპირი ადამიანი სიზმრების ნახვას შეწყვეტს. მას არ დასჭირდება სხვა ქალის დასიზმრება, იმიტომ რომ ის, ყველაფერში დღისით გაერკვია. საკითხი ამოწურულია და სიზმრებიც გაქრა.

სიზმარი – შემაკავებელი მოვლენაა. ის, რაც არ მოხდა დღის განმავლობაში, ის, რაც ვერ შეძელით გეთქვათ, რაც ვერ შეძელით გაგეკეთებინათ, რასაც თქვენში სძინავს, მოგვიანებით სიზმრებში გაცოცხლებას ცდილობს. ადამიანი ხომ დღისით სიყალბეში ცხოვრობს, ამიტომ მხოლოდ სიყალბე გამჟღავნდება ღამ-ღამობით მის სიზმრებში. ამიტომ თანამედრო-

ვე ფსიქოლოგიის სივრცე (ფროიდის, უინგის, ან ადლერის) - სიზმრის ანალიზის ფსიქოლოგიაა.

უცნაურია, რომ ადამიანის გაგებისთვის სიზმრის გაანალიზება გვიწევს. სიზმრის ანალიზი ადამიანის შეცნობის საშუალება გახდა. უბრალოდ, დაფიქრდით: რას ნიშნავს ეს? თუ თქვენ ფსიქოანალიტიკოსთან დადიხართ, ის თქვენდამი დიდ ინტერესს არ იჩენს, ის ყურადღებას აქცევს თქვენს სიზმრებს. იმიტომ რომ თქვენი დღევანდელობა ყალბია. თქვენთვის რაიმეს კითხვა ამაო გარჯაა, ამიტომაც თქვენს სიზმრებში გარკვევას ცდილობენ. სიზმრებში ნათლად ჩანს თქვენი ანარეკლი. მკვეთრადაა გამოკვეთილი თქვენი სახე, მაგრამ სიზმრებიც ხომ ყალბია. ამიტომ ფსიქოანალიტიკოსს სურს შეაღწიოს თქვენს სიზმრებში. ფსიქოლოგიის ყველა სწავლება სიზმრებზეა დაფუძნებული.

ოსტატი ძენიც ძალიან აქტიურად იყო დაინტერესებული სიზმრებით. ის მუდმივად ეკითხებოდა თავის მოწაფეებს, მაძიებლებს მათი სიზმრების შესახებ, ხომ შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო – მაძიებელი მისულიყო ოსტატთან და ეთქვა. რომ უნდოდა ღმერთის მოძებნა, მაგრამ სიზმრად მხოლოდ ბრილიანტების საგანძურს ხედავდა. სინამდვილეში ღმერთი მას არ აინტერესებდა. სხვა ვერსია რომ განვიხილოთ, იგი იმისთვის ეძებდა ღმერთს, რომ მისთვის ბრილიანტების განძის ადგილსამყოფელი ეკითხა. სწორედ, ასე წარმოაჩენს სიზმარი ჭეშმარიტი ძიების არსს.

ეს ოსტატი მოწაფეებს სთხოვდა სიზმრების დღიური ეწარმოებინათ. ადამიანებმა რომ მხოლოდ სიმართლე ჩაწერონ თავიანთ ავტობიოგრაფიებში, ანუ ის, რაც მართლა მოხდა მათ სიზმრებში, ცხადში მომხდარი კი განზე დატოვონ, მსოფლიო ბევრად უფრო კომფორტული იქნება და თვით ადამიანებზეც ბევრად მეტს შევიტყობდით.

დღის შუქზე მყოფი მსოფლიო სავსეა სიყალბით. ყალბი ადამიანი საკმაოდ კარგად ანაწილებს დროს. ჭეშმარიტება მხოლოდ სიზმრებში არსებობს, რადგან სიმზრებს არ გეგმავენ, ისინი თავისთავად მოდის, მათ თავიანთი რეალობა აქვთ ჩვენ რომ გვენახა ყველა წმინდანის სიზმრები, აღმოვაჩენდით. რომ კაპიკია ამ წმინდანების უმეტესობის ფასი. მათი დიდი

ნაწილი დამნაშავე იქნებოდა, ცხადია, ისეთი დამნაშავე, რომელიც არა რეალურად ჩადის დანაშაულს, არამედ გონებაში.

ერთხელ, დილით, ეს ოსტატი საწოლიდან წამოდგა, გვერდით მოსწავლემ ჩაუარა. ოსტატმა დაუძახა და უთხრა:

– წუხელ, ღამით, სიზმარი ვნახე, ამიხსენი თუ შეიძლება.

– თუ შეიძლება, მადროვეთ, – უპასუხა მოწაფემ, – ნება მომეცით, წავიდე, რათა სიზმრის ახსნა მოგიტანოთ.

– შენ წახვალ ახსნის მოსატანად? – გაუკვირდა ოსტატს. მაგრამ დაცდა ამჯობინა.

მოწაფე ოსტატის ოთახში შევიდა, თან წყლით სავსე დოქი მოიტანა. ოსტატს მიმართა:

– პირი ჩამოიბანეთ. ახლა, როცა სიზმარი გაიფანტა, რა აზრი აქვს მის მოყოლას? გთხოვთ, ჩამოიბანეთ სახე, რომ წაშალოთ ნებისმიერი, თვით უმნიშვნელო ილუზიაც კი, ნებისმიერი პაწაწინა ნამცეციც კი თქვენი სიზმრიდან.

– ჩემს გვერდით დაჯექი, – უპასუხა ოსტატმა, – მომწონს შენი მსჯელობა.

მერე სხვა მოწაფემაც ჩაიარა, ოსტატმა მასაც დაუძახა და უთხრა:

– დღეს, ღამით სიზმარი ვნახე. ამ მოწაფემ მოკლედ ამიხსნა ის. აი, წყლით სავსე დოქი. ვერ გააგრძელებ მის ახსნას?

– აგიხსნით, თუ ერთი წუთით დამელოდებით, სწრაფად დავბრუნდები, – უპასუხა მოწაფემ. ის გაიქცა და ოსტატს ჭიქა ჩაი მოუტანა.

– გთხოვთ, დალიეთ ეს ჭიქა ჩაი, – შესთავაზა ოსტატს, – და საკითხიც ამოწურული იქნება. ახლა, როცა გაიღვიძეთ და პირი დაიბანეთ, რატომ უნდა მიმიმწყვდიოთ კუთხეში?

ოსტატმა ამ მოწაფესაც სთხოვა მის გვერდით დამჯდარიყო და უთხრა:

– მომწონს შენი პასუხი, მაგრამ ჩემი სიზმრის ახსნა რომ გეცადა, აშრამიდან გაგაგდებდი. შენ საკუთარი თავი იხსენი, თუმცა, ბეწვზე ეკიდე. თუ სიზმარი განქარდა, მაშინ რა აზრი აქვს მის ახსნას? ახსნას აზრი აქვს, თუკი სიზმარი გრძელდება.

ამგვარად, ყველა ჩემი ახსნა – ეს სიზმრების ახსნაა, სიზმრების ახსნა კი ვერასდროს იქნება რეალური. გესმით, რასაც ვამბობ? როგორ შეიძლება სიზმრის ახსნას რაიმე აზრი ჰქონ-

დეს, როცა თავად სიზმარი არასდროსაა რეალური? თუმცა. სიზმრის ახსნას შეუძლია შეწვიტოს სიზმარი. თუ ეს მოხდება. თქვენ გაიღვიძებთ. იმ დღეს, როცა გაიღვიძებთ, არ იტყვით. რომ სიზმარი იყო რეალური, არ იტყვით, რომ ახსნა იყო რეალური, არამედ იტყვით, რომ ეს იყო თამაში და ის დასრულდა თქვენ იტყვით, რომ თამაშში ორი მხარე მონაწილეობდა: ერთი ხელს არ უშლიდა სიზმარს, მეორე კი ფანტავდა მას. სიზმრის წახალისება სამსარაა, ახსნა კი, რაც ანგრევს სიზმარს, სანიასას წარმოადგენს, თუმცა, ერთიცა და მეორეც საფუძველშივე სიზმრის წარმოებულია.

სამსარა ნიშნავს სიზმრის ხელშეწყობას, სანიასა – სიზმრის დანგრევის მცდელობაა, მაგრამ ერთიც და მეორეც სიზმრის წარმოებულებია. როცა სიზმარი მთავრდება, არ არც სამსარა იქნება და არც სანიასა. ჭეშმარიტება იქნება ის, რაც დარჩება

სადხანა – ბუნებრივი ზრდა და ნახტომია ბუნების არაევოლუციურ პროცესში? თუ სადხანა – არც ნახტომია და არც ბუნებრივი ევოლუციის საზღვრიდან გასვლა, მაშინ შესაძლებელია მთელმა კაცობრიობამ დამოუკიდებლად მიაღწიოს სულიერ სიმაღლეებს? თუ სიმართლეა, რომ ევოლუციის კურსი აგრძელებს პროგრესულ მოძრაობას, მაშინ რატომ დარჩა წარსულში მთელი ამ ევოლუციური პროცესის უდიდესი სულიერი კულტურა?

აქ, მრავალი მომენტია გასათვალისწინებელი.

პირველ რიგში, როგორც კი ვხედავთ სამყაროსგან განდგომილ ადამიანს, მაშინვე იბადება ამგვარი კითხვები. მაგალითად, თუ წყალს ას გრადუს ტემპერატურამდე მივიყვანთ, მეასე გრადუსზე წყალი ორთქლად გადაქცევას დაიწყებს. წყლის გაცხელება, ისევე, როგორც წყლის ორთქლად გადაქცევა. ერთი, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

კარგია, რომ არსებობს წყლის აორთქლების ბუნებრივი კანონი, თავად წყალს ხომ არ აქვს შესაძლებლობა ორთქლად გადაიქცეს. კარგია, რომ ბუნებას აქვს შესაძლებლობა გააცხელოს წყალი ას გრადუსამდე, თავად წყალს ხომ არ გააჩნია შესაძლებლობა ას გრადუსამდე გაცხელდეს თუმცა

წყალს რომ ცნობიერი გააჩნდეს, მაშინ მას შეეძლებოდა თავის დახსნა გაცხელებისგან, ანდა თვითონ გადახტებოდა ცეცხლში, და ორივე შემთხვევაში, ეს მოვლენა სავსებით ბუნებრივი იქნებოდა. მინდა ვთქვა, რომ სამყაროში არასოდეს არაფერი ხდება არაბუნებრივად. სინამდვილეში, არაბუნებრივი ზუსტად ის არის, არც არასდროს შეიძლება მოხდეს.

სამყაროში ადგილი აქვს მხოლოდ იმას, რაც ბუნებრივია და აქ არ შეიძლება მოხდეს რაიმე არაბუნებრივად. ყველაფერი რაც ხდება, ბუნებრივია. თუ ადამიანი სულიერად ვითარდება, ეს მისი ბუნებრივი პოტენციალის წყალობით ხდება. თუ ის ნახტომს აკეთებს, ესეც ბუნებრივი პოტენციალია. მისი არჩევანია: ახტეს თუ არ ახტეს და ესეც ბუნებრივი მდგომარეობაა ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნებაში ბევრი რამეა შესაძლებელი. სინამდვილეში, ჩვენი შეცდომა იმაშია, რომ სიტყვა „ბუნებრივს", ხშირ შემთხვევაში, ერთადერთი პოტენციალის გაგებით ვიყენებთ.

ბუნებამ აკუმულირება გაუკეთა უსაზღვრო შესაძლებლობებს. ამ შესაძლებლობების ფარგლებში წყლის ას გრადუსამდე ადუღება ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ნულ გრადუსზე მისი გაყინვა. ასეთი ბუნებრივი მოვლენა, როგორიცაა წყლის გაყინვაა, სულაც არ უარყოფს წყლის ორთქლად გადაქცევის შესაძლებლობას ას გრადუს ტემპერატურაზე. ვერაფრით ვიტყვით, რომ ერთი მოვლენა ბუნებრივია, ხოლო მეორე – არაბუნებრივი. არა! ორივე მოვლენა ბუნებრივია.

სიბნელე ბუნებრივია, სინათლეც ბუნებრივია. მზის ჩასვლა ბუნებრივია, მზის ამოსვლაც ბუნებრივია. ბუნებაში უსაზღვრო შესაძლებლობებია. ჩვენ მუდამ გზაგასაყარზე ვდგავართ, საიდანაც უსასრულოდ ბევრი გზა იწყება. ჩვენ მიერ არჩეული ნებისმიერი გზა ბუნების საჩუქარი იქნება. მაშინაც კი, თუ არასწორ გზას ავირჩევთ, ბუნება მაინც ბოლომდე მიგვიყვანს.

ბუნება ძალიან კეთილია. თუ ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზას აირჩევთ, ის სავალ ნაწილს დაგისუფთავებთ და წინ გაგიძღვებათ. ბუნება არ შეგაჩერებთ. რატომ არ უნდა მოგცეთ ბუნებამ წყლის ყინულად გადაქცევის ნება, თუკი ამისი სურვილი გაქვთ. ან, იქნებ, წყლის ორთქლად გადაქცევა გწადიათ? ბუნება სიხარულით გაგიკვალავთ გზას, გნებავთ ჯოჯოხე-

თისკენ და გნებავთ სამოთხისკენ. არა აქვს მნიშვნელობა, სიცოცხლე გენდომებათ თუ სიკვდილი – ბუნება მუდამ დაგეხმარებათ. სიცოცხლე ბუნებრივია, სიკვდილიც ბუნებრივია და თქვენი არჩევანიც – ამ ორ ალტერნატიულ ბუნებრიობათაგან ერთ-ერთისადმი პრიორიტეტის მინიჭება – სავსებით ბუნებრივია. თუ ბუნების ამ მრავალგანზომილებიანობას გამოიყენებთ. მაშინ უპრობლემოდ გაიგებთ, რაზეც ვსაუბრობ.

ტანჯვა ბუნებრივია, ბედნიერებაც ბუნებრივია. ბუნებრივია, იცხოვრო როგორც ბრმამ, გახელილი თვალებით ცხოვრებაც ბუნებრივია. სიფხიზლე ბუნებრივია, ძილიც ბუნებრივია ბუნება შეიცავს უსაზღვრო შესაძლებლობებს. საინტერესოა. რომ ხან ბუნების მიღმა ვცხოვრობთ, ხანაც ბუნების წიაღში ჩვენი არჩევანი ჩვენშივე არსებული ბუნებრივი შესაძლებლობითაც არის განპირობებული.

ადამიანის ცნობიერის ზრდისას მისი არჩევანის უნარი ღრმავდება. რაც უფრო ცოტაა ადამიანში ცნობიერი, მით უფრო ნაკლებია მასში არჩევანის უნარი. მაგალითად, შეუძლებელია. რომ წყალი, რომელიც მზის ქვეშ არსებობს, ორთქლად არ გადაიქცეს. მას ამის გაკეთება გაუძნელდებოდა. წყალს არ შეუძლია გადაწვიტოს ორთქლად გადაიქცეს თუ არა. თუ ის მზეზე დარჩება, მაშინ ის აუცილებლად ორთქლად იქცევა, და თუკი სიცივეში იქნება, მაშინ აუცილებლად გაიყინება. წყალს მოუწევს ამ მოვლენის გადატანა, თუმცა, მას არ ეცოდინება, რომ ის ამას გადაიტანს, რადგან მისი ცნობიერი დაბალ დონეზეა, ან წყალს სულაც არა აქვს ცნობიერი, ან მის ცნობიერს სძინავს.

აფრიკაში, მზის ძიებაში, ხეები ასობით ფუტ სიმაღლეს აღწევენ, ტანაშოლტილები იზრდებიან. ინდოეთში ხეები ვერ აღწევენ ასეთ სიმაღლეებს, იმიტომ რომ ინდოეთში არ არის ასეთი მჭიდრო ტყეები. მჭიდრო ტყეში გადარჩენისთვის, ხე რაც შეიძლება მაღალი უნდა გაიზარდოს, სხვა ხეებს უნდა გაუსწროს სიმაღლეში, რათა მზის სხივების მიღების შესაძლებლობა ჰქონდეს. ხე მოკვდება, თუ ვერ დაიმკვიდრებს შესაფერის სიმაღლეს. ხისთვის ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ხემ არჩევანი უნდა გააკეთოს.

მჭიდრო ტყეში პატარა სისქის ხეები გაიზრდება. სამაგიეროდ. ისინი სიმაღლეში წავლენ. კონუსისებრი კენწეროე-

ბი ექნებათ. მჭიდრო ტყეში ხის სისქეში გაზრდა სახიფათოა, რადგან ეს მისი სიკვდილის მიზეზი გახდება. მეზობელი ხეების ტოტები ერთმანეთში გადაიხლართება და მაშინ, ხეები ვერ შეძლებენ მზემდე მიღწევას. ასე რომ, თუ ხეს მზემდე ასვლა სჭირდება, ტოტები კი არ უნდა გაჩაჩხოს, მაღლა უნდა აუშვას. ესეც ხის არჩევანია. იგივე მცენარე რომ მჭიდრო ტყეების არმქონე ქვეყანაში დაგერგოთ, უფრო ტანმორჩილი იქნებოდა.

არიან ხეები, რომლებიც ყოველწლიურად რამდენიმე ფუტით იზრდებიან. ეს ნიშნავს, რომ არიან ხეები, რომლებიც ზუსტად ისევე ამოძრავებენ ფესვებს, როგორც ჩვენ ვამოძრავებთ ფეხებს. ისინი იმ მიმართულებით იმაგრებენ ფესვებს, საითკენაც სურთ გადაადგილება, და იქ ადუნებენ მათ, საიდანაც წასვლას ლამობენ. ზუსტად ასე ნელ-ნელა მიიწევენ წინ. დაჭაობებული ადგილი უადვილებს მათ ამგვარ მოძრაობას.

არსებობენ ხეები, რომლებსაც შხამიანი ნაყოფი აქვთ. ისინი ჩიტების სატყუარაა, ატყვევებენ მათ და როცა ჩიტები მასზე სხდებიან, ისინი ფოთლებს კეცავენ. ამ ხეებმა სრულყოფილი სისტემა განავითარეს ჩიტების მოზიდვისთვის. მათ თეფშისხელა ფოთლები აქვთ, რომლებიც არომატული წვენს შეიცავს. ცხადია, ეს არომატი შორიდანვე იზიდავს ჩიტებს. როგორც კი ჩიტი მოფრინდება და ხის ფოთოლზე ჯდება, ფოთლები ყველა მხრიდან იკეცება და მოიმწყვდევს ფრინველს, სრესს მას, შემდეგ კი ხე მსხვერპლის სისხლით რწყულდება.

რთულია იმ ფაქტის დადასტურება, რომ ხე არ აკეთებს არჩევანს. ის მართლა აკეთებს არჩევანს, ის რაღაცას გეგმავს, ის რაღაცას ეძებს. ცხოველები უფრო რთულ არჩევანს აკეთებენ: ისინი დარბიან, სწრაფად მოძრაობენ. მიუხედავად ამისა, თუკი მათ არჩევანს ადამიანის არჩევანთან შევადარებთ, ისინი სრულიად ჩვეულებრივები აღმოჩნდებიან.

ადამიანის წინაშე უფრო მნიშვნელოვანი არჩევნები დგება, იმიტომ რომ მას უფრო განვითარებული ცნობიერება აქვს. ის ირჩევს არა მხოლოდ სხეულით, არამედ გონებითაც. ის აკეთებს არა მხოლოდ მიწაზე მოძრაობის, ვერტიკალურად, კოსმოსისკენ მოძრაობის არჩევანსაც. ასეთი არჩევანიც მის ნებელობაშია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სფერო, ჯერ კიდევ, არ არის გამოკვლეული, ვგრძნობ, რომ უახლოესი მომავლის მეცნიერებას შეეძლება იმგვარი ხეების აღმოჩენა, რომელთაც სუიციდუალური მიდრეკილებები აქვთ. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ზოგიერთ ხეს არ სურს სიცოცხლე, ტყეში ტანმორჩილად დგომა და, საბოლოო ჯამში, სიკვდილი ურჩევნია. ეს, ჯერ კიდევ, აღმოსაჩენია.

ადამიანებს შორის ნათლად ვხედავთ მათ, ვინც მიდრეკილია თვითმკვლელობისკენ. ეს ადამიანები არ აკეთებენ არჩევანს სიცოცხლის სასარგებლოდ, ისინი მუდმივად ეძებენ მეთოდებს იმქვეყნად წასასვლელად. ეკლების დანახვისას შეშლილებივით მივარდებიან მათ, ყვავილები ნაკლებად იზიდავთ დაჰიპნოზებულებივით მიილტვიან მარცხისკენ, მაგრამ როგორც კი ჰორიზონტზე გამარჯვება იკვეთება, ჩრდილში გადადიან. ზრდის საწინააღმდეგოდ ასეთი ადამიანები ათასობით არგუმენტს პოულობენ და მუდამ იმ ადგილისკენ მიისწრაფვიან, სადაც აუცილებლად დალპებიან.

ადამიანისთვის ყველა შესაძლებლობა გახსნილია. რაც უფრო ცნობიერი ხდება ადამიანი, მით უფრო უახლოვდება მას ბედნიერება საკუთარი არჩევანის გამოისობით. რაც უფრო ნაკლებად ცნობიერი იქნება ადამიანი, მით უფრო ახლოს იქნება ის უბედურებასთან. ასე რომ, როცა ვამბობ, რომ არჩევანის გაკეთება მოგიწევთ... არის ორთქლადქცევის მეთოდები. მაგრამ მოგიწევთ იმ წერტილამდე მიღწევა, სადაც ორთქლი ჩნდება. არის მეთოდები, რომლითაც შეგიძლიათ იქცეთ ყინულად, მაგრამ მოგიწევთ მიაღწიოთ იმ წერტილამდე მისვლა. სადაც ყინული ჩნდება. არის სიცოცხლის მეთოდები, მაგრამ სიცოცხლის წესრიგის შესწავლა მოგიწევთ. არის სიკვდილთან შეხვედრის მეთოდები, მაგრამ სიკვდილის წესრიგის გაცნობა მოგიწევთ. არჩევანი თქვენზეა. მითუმეტეს, რომ თქვენ და ბუნება – ეს არ არის ორი განცალკევებული არსება. თქვენ თავად ხართ ბუნება.

ამგვარად, ბუნების მრავალი განზომილება ორ სახეობას მიეკუთვნება. მახავირა იყენებდა ტერმინს, რომელიც უნდა გადაიხედოს. მახავირას მიერ გამოყენებული ტერმინი ჟღერს როგორც ანანტ-ანანტ. ანუ უსასრულო უსასრულობა უკვე

არის სიტყვა ანანტ, უსასრულობა, რომელიც ნიშნავს უსასრულობას ერთი მიმართულებით. სიტყვა „ანანტ-ანანტი" გულისხმობს უსასრულობას უსასრულო მიმართულებით. ისე კი არა, რომ უსასრულობა ორი მიმართულებით ვრცელდებოდეს – ის ყველა მიმართულებით ვრცელდება, უსასრულობა ყველა უსასრულობაში არსებობს. ამდენად, უნდა ითქვას, რომ სამყარო, უბრალოდ, უსასრულო კი არ არის, იგი უსასრულო უსასრულოებებისგან შედგება.

პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ არსებობს უამრავი მიმართულება და ბუნებაც ყოველ მათგანს აძლევს შესაძლებლობას. უამრავი არჩევანი არსებობს და ბუნებაც ხელმისაწვდომს ხდის ყოველ მათგანს. არსებობს უამრავი ადამიანი, რომლებიც თვით ბუნების განუსაზღვრელ ნაწილებს შეადგენენ. ყოველ ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანი, რომელიც შეუძლია გააკეთოს, ან არ გააკეთოს. თუმცა, ეს მაღლიდან კი არ კონტროლდება, არამედ შიგნიდან რეგულირდება.

ეს უსასრულობა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უსასრულო უსასრულობები, სულაც არ ჰგავს იმ თოკშებმულ ხარს, რომელსაც ვიღაც ექაჩება წინ. ის არ ჰგავს ხარს, რომელსაც უკნიდან სახრის დარტყმით ერეკებიან. ის უფრო გაზაფხულის წყალს ჰგავს, რომელიც თავისი შინაგანი ენერგიის წყალობით მიჩუხჩუხებს. არავის არ მიჰყავს წინ, არავინ უბიძგებს უკნიდან, არავინ უხმობს მას, არავინ წაჰკრავს ხელს. წყალს უდიდესი ძალა აქვს, წარმოუდგენელი ენერგია. და რას აკეთებს ენერგია? ის წინ მიიწევს, ის მიედინება. ენერგია შიგნიდან ფართოვდება.

ამგვარად, არსებობს უსასრულო ბევრი განზომილება, არჩევანი, ნაწილი, რომელიც შეიძლება ავირჩიოთ. მაგრამ არ არსებობს ზედამხედველი – ღმერთი, ზევიდან მაყურებელი. არ არსებობს არანაირი ინჟინერი. თქვენში მყოფი უსასრულო ენერგია ერთადერთი წყაროა. რომელიც ყველაფერს გაფართოებას აიძულებს.

ამგვარად, არსებობს სამი დონე. ერთი დონე შედგება არაცნობიერი მდგომარეობისგან, როცა ყველაფერი სპონტანურად ხდება არაცნობიერების გამო. აქ, ფაქტობრივად, არ არის არანაირი არჩევანი. მეორე დონე. რომელიც არჩევანის

არსებობას მოიაზრებს, ადამიანის გეგმაა, ცნობიერის დონეა. აქ ყველაფერი ჩვენი არჩევანის წყალობით ხდება. ჩვენ არ შეგვიძლია ვინმეს დავაკისროთ პასუხისმგებლობა საკუთარი არჩევანისთვის. თუ ადამიანი ქურდია, ეს მისი არჩევანია. თუ ადამიანი პატიოსანია, ესეც მისი არჩევანია. ამ დონეზე ადამიანი ზუსტად ისეთივეა, როგორიცაა მისი არჩევანი. ადამიანურ დონეზე ყველაფერი არჩევანის წყალობით ხდება. ეს დონე შედგება მდგომარეობისგან, რომელიც ნახევრად ცნობიერია, ნახევრად – არაცნობიერი და ჩვენ, შემთხვევით ვირჩევთ იმას, რაც არ გვინდა ავირჩიოთ.

ეს ძალიან საინტერესოა. იმის თქმა, რომ შემთხვევით ვირჩევთ იმას, რისი არჩევაც არ გვინდოდა, პირველყოვლისა, ძალიან საეჭვოა, მაგრამ სინამდვილეში, ყოველდღე ასე ვიქცევით. არ გვინდა გაბრაზება, მაგრამ ვბრაზობთ. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ სიბრაზე ჩნდება ჩვენი არაცნობიერიდან, მაშინ. როცა სიმშვიდის სურვილი ჩვენი ცნობიერის ნაწილია.

თქვენი ცნობიერი ნაწილი ამბობს: „არ გაბრაზდე“, ხოლო არაცნობიერი ნაწილი განაგრძობს გაბრაზებას. თქვენ მუდმივად ორ ნაწილად ხართ გაყოფილი. ერთი ნაწილი შეერთებულია გარესამყაროსთან, ანუ სამყაროსთან, სადაც არის ქვები და მთები, სადაც ყველაფერი არაცნობიერ მდგომარეობაშია, მეორე ნაწილი გაღვიძებულია. ის სავსეა ცნობიერით და შერწყმულია იმ სამყაროს, რომელიც წინ უდევს, ანუ ერთიან სამყაროს, ღვთაებრივ სამყაროს, რომელშიც ყველაფერი სრულ ცნობიერშია. ადამიანი იმყოფება ამ ნაწილების შორის და სწორედ, ამიტომ არის ის ასეთი დაძაბული.

მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ ადამიანია თავად დაძაბულობა, მისი არსების ნახევარი ხომ ერთი მხარისკენ მიიწევს, მაშინ როცა მეორე ნახევარი – მეორე მხარისკენ იქაჩება სხვა სიტყვებით, ადამიანი მოკლებულია ინდივიდუალობას მისთვის დამახასიათებელია შიზოფრენია. მას სძინავს ღამ-ღამობით და ბუნების ნაწილი ხდება, დილით იღვიძებს და იწყებს თავის მოგზაურობას ღვთაებრივისკენ. როცა ადამიანი გაცოფებულია, ის სიბრაზისგან დაბრმავებულია, როცა ადამიანი მათემატიკურ საკითხებზე მუშაობს, ის ამას დიდი შეგნებით აკეთებს.

არავის არასდროს გაუგია მათემატიკოსისგან ასეთი სიტყვები: „მსურდა ორისთვის ორი მიმემატებინა, რომ მიმეღო ოთხი, მაგრამ შედეგად ხუთი მივიღე“. რაც შეეხება სიბრაზეს, ადამიანი აღიარებს, რომ მას არ სურდა გაბრაზება და მაინც გაბრაზდა. როგორც ჩანს, სიბრაზესა და მათემატიკური დავალების შესრულებას შორის, არ არის რაღაც შუალედი. შესაძლოა, მათემატიკა – ჩვენი გაღვიძების ნაწილი იყოს, ხოლო ბრაზი – ჩვენი არაცნობიერის ნაწილი. ამ მიზეზით, ადამიანი ნიადაგ ღელავს, შფოთავს, მუდამ დაძაბულია და ეჭვიანი. ის მუდამ უბედურია. ის აკეთებს იმას, რაც არ უნდა რომ გააკეთოს, და არ შეუძლია გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც მართლა სურს. ამიტომაც არის ადამიანი მუდმივად დაძაბული. ადამიანი მუდამ ქანქარასავით ქანაობს: ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. ამდენად, არ შეიძლება მისი ნდობა, ახლა რომ მარჯვნივ მოძრაობს, მერე მარცხნივ შეტრიალდება. ვერაფრით იქნებით ადამიანში დარწმუნებულები, რადგან იგი საათის ქანქარასავით აქეთ-იქით მოძრაობს.

ადამიანის შესაძლებლობების მიღმა დევს მესამე დონე, ანუ სრული სიფხიზლე. ამ დონეზეც არ არსებობს არჩევანი. თუმცა, არჩევანის მდგომარეობის არქონას პირველ დონეზე და არჩევანის მდგომარეობის არქონას ამ დონეზე ერთმანეთისგან ბევრი რამ განასხვავებს. პირველი დონე შედგება არაცნობიერი მდგომარეობისგან. ამომრჩეველი არ არსებობს, ამიტომაც არ არის საკითხი არჩევანზე.

რა შეუძლია აირჩიოს მძინარე ადამიანმა? ის კიდევ გააგრძელებს ძილს. მაშინაც კი, როდესაც მის სახლს ცეცხლი მოედება, ვერ გადაწყვეტს, შინ დარჩეს თუ ქუჩაში გავარდეს, ვიდრე არ გაიღვიძებს. უგონო მდგომარეობის სამყაროში არ არის არჩევანი, რადგან ამომრჩეველს სძინავს.

ცნობიერის სამყარო, გაცნობიერება, რასაც მე ღმერთს ვუწოდებ, – ეს ბუნების გაღვიძებული მდგომარეობაა. როგორც კი ადამიანი ამ სრული სიფხიზლის სამყაროში შევა, მაშინვე ეკარგება არჩევანი. აქ არჩევანი არ არის, რადგან ადამიანი სრულიად გაღვიძებულია. ის კითხვების გარეშე ხედავს, რა არის სწორი, ამიტომაც მას არა აქვს მიზეზი რაიმეს ასარჩევად. არჩევანის სიტუაცია მაშინ დგება, როცა ყველაფერი

ბუნდოვანია, ანუ როცა ადამიანი არ არის დარწმუნებული, ღირს ასე მოქცევა თუ არა, როცა ადამიანი ვარდება სიტუაციაში „ან/ან“. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მას არ შეუძლია ნათლად დაინახოს და ყველაფერი ბუნდოვნად ეჩვენება. ის ვარაუდობს, რომ ასე მოქცევაც შეიძლება და ისეც – სწორედ, აქედან მომდინარეობს არჩევანი.

თუ ადამიანს შეუძლია ზუსტად დაინახოს, რისი გაკეთება ჯობია და რისი – არა, მაშინ რატომ დგება არჩევანის საკითხი? ამ შემთხვევაში ხომ ყოველგვარი არჩევანი დასრულებულია. ადამიანი აკეთებს იმას, რაც საჭიროა რომ გაკეთოს, და თავს ანებებს იმას, რისი გაკეთებაც არ ღირს. ამიტომ ამ დონეზე მყოფ ადამიანს არ შეუძლია თქვას, რომ გააკეთა ის, რისი გაკეთებაც არასდროს უნდოდა – საკითხი ასე არ დაისმის; იმასაც ვერ იტყვის, რომ წუხს მომხდარის გამო, ან იმ შეცდომის გამო, რომლის დაშვებაც ეკრძალებოდა. თუმცა, საკითხის ასე დასმაც ზედმეტობაა.

სრულიად ფხიზელი ადამიანი არ ერთვება განსახილველ საკითხში. ის მოქმედებს მხოლოდ იმის მიხედვით, რასაც ხედავს, რისი გაკეთებაც ღირს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ასე მოქცევის აუცილებლობას გრძნობს. უბრალოდ, ხდება ის, რაც აუცილებლად უნდა მოხდეს. ამგვარად, არც სრული ცნობიერის დროს და არც სრული არაცნობიერის დროს არჩევანი არ არსებობს.

არჩევანი არსებობს ადამიანურ დონეზე, რომელიც შედგება ნახევრად ცნობიერი და ნახევრად არაცნობიერი მდგომარეობისგან. აქ უკვე თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, თქვენ უნდა აირჩიოთ სასურველი მიმართულება. თქვენ ხიდის ცენტრში დგახართ – შეგიძლიათ უკან გაბრუნდეთ, ან წინ გასწიოთ. ყოველთვის ისე ჩანს, რომ უკან გაბრუნება სჯობს. რატომ? იმიტომ რომ ადგილი, სადაც ვბრუნდებით, ნაცნობია ჩვენთვის. ჩვენ იქიდან მოვდივართ და ის ადგილი, ყოველგვარ ხიფათს მოკლებულია. ტერიტორია ნაცნობია. წინ წასვლა მუდამ საშიში ჩანს, რადგან არ გვაქვს მიმართულების შეგრძნება.

ამიტომ სვამს ადამიანი, ამიტომ კარგავს გონს, ამიტომ დეგრადირდება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ის ადამიანობას კარგავს. ის ამბობს: „მინდა არჩევანის გაკეთების სირთულეს

გაერიდო, მინდა მივაღწიო წერტილს, სადაც ადამიანს არაფრის არჩევანის გაკეთება არ მოუწევს, მინდა დავრჩე უძრავ მდგომარეობაში, როცა არხში წოლა შემეძლება, ვეგდები გზაზე, თუ მომინდება, ბუნძურად შევიგინები, თუ არ მომინდება, არ შევიგინები. მინდა ვიყო სიტუაციაში, როცა ყველაფერი სპონტანურად ხდება, როცა არ მჭირდება არანაირი არჩევანი".

ამგვარად, ადამიანი მიდის იმ წერტილამდე, როცა მას აღარ უწევს დაძაბულობის მოთმენა, არ აწევს არჩევანის ტვირთი. ყველა ნარკოტიკი ხიდიდან ექაჩება ადამიანს. ისინი მას მოუხმობენ: „დაბრუნდი, ხომ გახსოვს, რა კარგად იყავი ჩვეულ ადგილას". წინ წასაწევად ცნობიერის ამაღლება მოგიწევთ, რადგან ხიდზე გადაადგილებისას სულ უფრო გაცნობიერებულები გახდებით, მხოლოდ მაშინ შეძლებთ წინ წასვლას.

წინსვლა ერთს რამეს ნიშნავს: თქვენ უფრო ცნობიერნი ხდებით. ესეც არჩევანის საკითხია. გადაწყვეტილება თქვენი და ყველა დანარჩენის მისაღებია. ვერ შეძლებთ პასუხისმგებლობა დააკისროთ ვინმეს საკუთარ არჩევანზე, რადგან არავინ დგას თქვენს წინ, და ვერავის დაადანაშაულებთ იმაში, რომ მან გაიძულათ არასწორი არჩევანის გაკეთება. ზევით არავინაა. ზეცა ცარიელია. არც ღმერთია, არც ღვთაებები, იქ არ ჰგიებს ღვთაებრიობა, რომელსაც შეგიძლიათ სასამართლოზე ხელი დაუქნიოთ და უთხრათ: „ჩვენ სწორი გზით ვმოძრაობდით და შენ გვაიძულე მისგან გადახვევა", არ შეგიძლიათ უთხრათ: „ყველაფერი უკეთ იქნებოდა, შენ რომ არ ჩარეულიყავი".

არავინ არის, ვისი მისამართითაც ამ სიტყვებს იტყოდით, ამიტომაც მათი წარმოთქმა არ შეიძლება. ადამიანი უმაღლეს დონეზეა პასუხისმგებელი. ის კეთილ საქმეებზეც ისევეა პასუხისმგებელი, როგორც ბოროტ საქმეებში. არავინაა, ვისაც პასუხისმგებლობას დააკისრებთ, ვინც აგიხსნით, თუ რატომ მოხდა მაინც და მაინც ასე – საერთოდ არავინაა.

ცხადია, ისინი, ვინც წინ წავიდა, ხმამაღლა გაჰყვირიან: „არ მიიხედოთ უკან შიშის გამო, იმიტომ რომ წინ სიხარული გელოდებათ. საკმარისია იქ მოხვდეთ და მაშინვე დასრულდება ყველა შიში, ყველა შთოთვა, ყველა უბედურება". ისინი ხმამაღლა ყვირიან ამ სიტყვებს, მაგრამ მათი ხმები, ჩვენი

თვალსაზრისით, უცნაურად ჟღერს, რადგან ჩვენთვის არ არის ცნობილი ადგილი, საიდანაც ისინი ყვირიან.

„როგორ შეგვიძლია ნეტარების მიღწევა?" – აი, რას დასტრიალებს ჩვენი გონება. თუკი გზის ამ სტადიაზე ვგრძნობთ ტკივილს, როგორ გვეტკინება, როცა წინ წავიწევით? ადამიანი გრძნობს, რომ უნდა დაბრუნდეს იქ, სადაც არ არსებობს უბედურება. ყველა ამბობს, როგორი ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა, ამიტომ ადამიანის ნება რომ იყოს, მაშინვე დაბრუნდებოდა ბავშვობაში. მაგრამ მას არ შეუძლია ამის გაკეთება, ამიტომ რჩება თავის ადგილზე.

ადამიანი ამტკიცებს, რომ ბავშვობაში არ არის უბედურება. მეტიც, მას შეუძლია ასეც თქვას: „დედის საშოში ნეტარებას ვგრძნობდი". ადამიანს რომ შეეძლოს, სიხარულით დაბრუნდებოდა დედის წიაღში, მაგრამ მას არ შეუძლია ამის გაკეთება. ამიტომ, ის წინ მიიწევს. ჩვენ შეგვიძლია ცხოვრებაში დეგრადაციის სასარგებლოდ გავაკეთოთ არჩევანი, შეგვიძლია უგონო მდგომარეობაში დავბრუნდეთ, შეგვიძლია უგონო მდგომარეობაში გადასვლის მეთოდებიც გამოვნახოთ, თუკი მოვისურვებთ.

ჩვენ შორიდან მომავალი ხმების ენაც კი არ გვესმის, იმიტომ რომ წარმოდგენა არ გვაქვს, რა არის ნეტარება. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რას წარმოადგენს ცნება, რომელსაც ადამიანები ნეტარებას უწოდებენ. ჩვენთვის ცნობილია უბედურება, რომელიც ძალიან ნაცნობ მოცემულობად იქცა. ასევე ვაცნობიერებთ, რომ რაც უფრო აქტიურად ვცდილობდით ბედნიერების მიღწევას, მით უფრო ვიძირებოდით უბედურებაში. ახლა ვშიშობთ, საკუთარი ნეტარების ძიებაში უფრო დიდი უბედურება არ დავიტეხოთ თავს.

ჩვენ კიდევ უფრო უბედურები ვხდებით, როცა ბედნიერების პოვნას ვცდილობთ, ამიტომაც მივიჩნევთ ნეტარებას ბედნიერებად. გვეჩვენება, რომ ეს უფრო ნათელი ბედნიერებაა ამავე დროს, უბედურებასთან შეხვედრას ვუფრთხით. საქმე იმაშია, რომ ბედნიერების მიღწევის მცდელობისას, ჩვენ ტკივილს ვეჯახებით, ამიტომ ახლა, როცა ვცდილობთ ნეტარებას მივაღწიოთ, ვშიშობთ, უფრო საშინელ უბედურებას არ შევეჩეხოთ ამგვარად. ჩვენ ეს ხმები შორიდან ჩაგვესმის და ხელი

ბალმართული მივესალმებით იმ ადამიანებს, რომლებიც სხვა ნაპირზე დგანან. „თქვენ ღმერთები ხართ, ავატარები ხართ, ტირტხანკარები ხართ, უდიადესები ხართ! თაყვანს გცემთ, მაგრამ უკან გაბრუნება გვინდა“. – ასე მივმართავთ გაღმა-მყოფთ.

ჩვენ ამოუცნობის გვეშინია, იმის გვეშინია, რომ იმ ბედნიერების წვეთსაც დავკარგავთ, რომელიც მოვიპოვეთ. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ჩვენს წინსვლასთან ერთად ისინი გაქრებიან. მიზეზი იმაშია, რომ სახლები საფეხმავლო ხიდზე ავიშენეთ და შიგ შევსახლდით. საფეხმავლო ხიდი სასტუმროდ ვაქციეთ. და ახლა, როცა ვიღაც წინსვლისკენ მოგვიწოდებს, ვშფოთავთ, რადგან, შესაძლოა, დავკარგოთ ის, რაც მოვიპოვეთ. ნათელი ხდება, რომ წინსვლა ყოველივე იმასთან გამოთხოვებას ნიშნავს, რაც ახლა გვაქვს.

ამგვარად, ჩვენ ვამბობთ: „დაე, გავიდეს დრო. როცა დავბერდები, როცა ჩემს ჭიშკართანაც ჩაიმუხლებს სიკვდილი, როცა ყოველივე ის, რაც გამაჩნია, განქარდება, მაშინ წავალ წინ, მაშინ არ ვიდარდებ არაფერს“. მაგრამ რაც უფრო ახლოს მივდივართ სიკვდლთან, მით უფრო ვიძაბებით. სიკვდილთან მიახლოებისას მაგრად ვკრავთ მუშტს, ამიტომ მოხუცი ადამიანი სრულიად უბედური ხდება. ახალგაზრდა არასოდესაა ასე უბედური.

მოხუცი, ნებისმიერ შემთხვევაში, უბედურია. ის დაძაბულია. საიქიოში გადასვლის მომენტში მოხუცი საშინელი შიშითაა შეპყრობილი, მას ხომ, შესაძლოა, მთელი ქონება გამოეცალოს ხელიდან. ის მთელი ძალით ეჭიდება თავის საკუთრებას, ცდილობს, მოჭიდების ძალა არ შეამციროს. მსგავსი ჩაბღაუჭება საგნებისადმი ადამიანს აუბედურებს, სხვა შემთხვევაში მოხუცის სილამაზე და მადლი შეუდარებლად მშვენიერი იქნებოდა.

ჩვენ ვხედავთ ბავშვების სილამაზეს, ვიცით, რომ უამრავი მომხიბვლელი ახალგაზრდა დადის, მაგრამ იშვიათად ვაწყდებით ლამაზ მოხუცებულებს. ათასში ერთხელ თუ ვხვდებით ადამიანს, რომელმაც სიბერისას სილამაზე შეინარჩუნა. ჩვეულებრივ, გაუმაძღარი და საგნებით შეპყრობილი ადამიანი სულ უფრო საზიზღარი ხდება. გაშლილი ხელი მშვენიერი სანახა-

ვია, შეკრულ მუშტს კი საზიზღარი სახე აქვს. თავისუფლება მომხიბვლელია, მიჩვევა – კი მონობაა.

ყოველი ადამიანი ვარაუდობს, რომ მომავალში, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემა, თავს დაანებებს საგნებისადმი შეჩვევას. ის, ბოლო მომენტამდე, ელოდება ამას და მხოლოდ მაშინ ითავისუფლებს თავს, როცა ბოლოს და ბოლოს, სიკვდილი ჩამოართმევს ყველაფერს. ადამიანი ვერასოდეს ელევა საგნებს, ტკივილამდე განიცდის, როცა მას საგნები ტოვებენ. მაგრამ ტკივილი არსადაა, როცა ნებაყოფლობით ემშვიდობები საგნებს.

ჩვენ თვითონ ვირჩევთ წინსვლას. მამოძრავებელი ძალა შესაძლოა, ამ არჩევანის გაკეთებაში დაგვეხმაროს. ხიდი უკვე არსებობს და ეს სავსებით ბუნებრივია. ხვდებით, რას ვგულისხმობ? ხიდი მზადაა მეორე ნაპირზე გადაგიყვანოთ, ის წინსვლის ნებას გაძლევთ და ესეც ბუნებრივია. ხიდი მზადაა თქვენი უკუსვლაც უზრუნველყოს. ესეც ბუნებრივია.

ბუნება მზადაა მოგესალმოთ ნებისმიერ შემთხვევაში. მის ყველა კარს ამშვენებს წარწერა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, არც ერთ კარზე არაა წარწერილი: „შესვლა აკრძალულია“. ასე რომ, არჩევანი თქვენზეა. ბუნება გვითანაგრძნობს. ხელს არ გვიშლის სასურველი კარის შერჩევაში. თავისუფლად შეგიძლიათ შესვლა იქ, სადაც გინდათ. ჯოჯოხეთის კარი ამბობს: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, სამოთხის კარიც იმავეს ამბობს. მხოლოდ თქვენ უნდა შეარჩიოთ მისაღები ნიშანი. ამ შემთხვევაში, ვერაფრით შეძლებთ ბუნებას დააკისროთ პასუხისმგებლობა იმაზე, რომ სადღაც გამოკიდა ეს ნიშანი. საქმე იმაშია, რომ მან ის ყველგან გამოკიდა. ბუნებას არა აქვს პრობლემა, მას არ შეუქმნია წინააღმდეგობები.

გულითადი მისალმება ნიშნავს თავისუფლების ნებართვას. ეს ნიშნავს, რომ თავისი არსით ბუნება სრულიად თავისუფალია. ჩვენ ბუნების ნაწილი ვართ, ამიტომ სრულიად თავისუფალნი ვართ. ნამდვილად ვაკეთებთ იმას, რაც გვინდა. ბუნება გვეხმარება ყველა ქმედებაში, მაგრამ არჩევანი ჩვენზეა. სწორედ გამიგეთ, როცა ვამბობ, რომ არჩევანი მუდამ ჩვენზეა, ვგულისხმობ, რომ არსებითად ბუნების ნაწილი ვართ სიმართლე რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ ბუნების უსასრულო

შესაძლებლობებს, მის უსასრულო აღმოჩენებს წარმოვადგენთ. სწორედ, თავისი უსასრულო ნაწილების ძიებით დაკავებული ბუნება აკაკუნებს უსასრულო რაოდენობის კარზე – ის არჩევს, მოგზაურობს, გზას სცდება და დანიშნულების მიზანსაც აღწევს.

მაგრამ ეს სამყაროს აღქმის სპირალისებრი მოწყობილობაა, რომელსაც არანაირი კუთხე არა აქვს. საქმე იმაშია, რომ ყველა განვითარებული ბუნება სპირალისებურია. აქ არ არის კუთხეები, ტეხილი ხაზები. ყველა ვარსკვლავი, მთვარე, პლანეტები და თანამგზავრები მრგვალია. სამყაროში მათი მოძრაობა წრიულია. ამავე მიზეზით წრე არაერთ რელიგიურ სიმბოლოში გამოიყენება. ამგვარად, ბუნება – ეს წრიული მოვლენაა. საიდანაც გნებავთ, იქიდან დაიწყეთ და სადაც გნებავთ, იქ მოხვდით – არჩევანი მუდამ თქვენზეა.

როცა შეიგნებთ, რომ არჩევანი სწორედ თქვენზეა, ბუნების კანონთა სწორი კუთხით გამოყენებასაც მოახერხებთ. მაგალითად, ქუჩაში სიარულისას, დედამიწის მიზიდულობას იშველიებთ. დედამიწა რომ საგნებს არ იზიდავდეს, თქვენ ვერ შეძლებდით მასზე გადაადგილებას. სად აღმოჩნდებოდით ნაბიჯის გადადგმისას, როცა ცალი ფეხი აწეული გაქვთ, მეორე ფეხი რომ მყარად არ იდგეს მიწაზე და საკუთარი საყრდენი არ გააჩნდეს? სად იდგებოდით? როცა მარცხენა ფეხს წამოსწევთ, მიწა მარჯვენა ფეხს იჭერს, სწორედ, ამიტომ ახერხებთ მარცხენა ფეხის წადგმას. მიწა, რომელიც მარცხენა ფეხს იჭერს, პასუხისმგებელია თქვენი მარჯვენა ფეხის აწევაზე. იმავდროულად მარჯვენა ფეხიც რომ იწეოდეს, დაეცემოდით. იმ დროს, როცა მიწა მარცხენა ფეხს იჭერს, თქვენ მარჯვენა ფეხს სწევთ, ძირს უშვებთ მარცხენა ფეხს და ბუნება მანამდე იჭერს მას, ვიდრე მარჯვენა ფეხს არ ასწევთ.

სწორედ, ასე მუშაობს დედამიწის მიზიდულობის კანონი. გრავიტაციაც ასევე მუშაობს, როცა ადამიანი სახურავიდან ხტება. ამ დროს, მიწა სიხარულით ეგებება ადამიანს და მიიზიდავს მას. ისევე, როგორ მიწა იზიდავს ადამიანის მარცხენა და მარჯვენა ფეხს, ის მთლიანად მიიზიდავს მაღლიდან გადმომხტარ ადამიანსაც. გადმომხტარი ადამიანის ძვლები მიწას ენარცხება და იმსხვრევა. დანარჩენები დავიჩივლებთ: „რანაი-

რია ბუნება... საწყალს ძვლები დაუმტვრია!" მაგრამ ბუნება, უბრალოდ, თავის საქმეს აკეთებს. ის ამბობს: „გთხოვ, მოდი ჩემთან და ძვლები დაიმტვრიე".

აქ იგივე კანონი მუშაობს. დედამიწის მიზიდულობა, რომელიც ადრე სიარულში გეხმარებოდათ, ამჯერად ძვლებს დაგიმტვრევთ და ხეიბარს გაგხდით. მიუხედავად ამისა, მას პასუხისმგებლობას ვერ დააკისრებთ, რადგან ბუნება, უბრალოდ, თავის საქმეს აკეთებს. ის სრულყოფილ სამუშაოს ასრულებს და არასდროს ცდება. მას უბრალოდ ნაკლი არ აქვს. სულერთია ფეხებს ამოძრავებთ თუ კისერს იტეხთ, რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ბუნების კანონი შეუცდომლად მუშაობს. აღნიშნული კანონის გათვალისწინებით, უნდა აირჩიოთ, გსურთ თუ არა ძვლების დამტვრევა, ამ შემთხვევაში, შეგიძლიათ სახურავიდანაც გადმოხტეთ. თუ სიარულს ამჯობინებთ, მაშინ თანმიმდევრობით უნდა გადადგათ ფეხები. მოგიწევთ თვალყურის მიდევნება იმისთვის, ხომ არ ეწინააღმდეგებით ბუნების კანონს.

მიმაჩნია, რომ მეცნიერებას მხოლოდ ერთი დანიშნულება აქვს. მეცნიერების გამოყენება არ სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ბუნება დავიპყარით, რადგან მისი დაპყრობა შეუძლებელია. მეცნიერება უბრალოდ გულისხმობს, რომ აღმოვაჩინეთ ცხოვრების განსაზღვრული მეთოდები და საშუალებები, რომელიც თანხვედრაშია ბუნებასთან. მხოლოდ ეს გახლავთ მისი არსი. უარი თქვით დაპყრობაზე. კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ ვინ ვის დაიპყრობს.

ჩვენ ვიპოვეთ ბუნებასთან თანაცხოვრების საშუალებები. მაგალითად, ბუნებას კარგა ხნის წინ, სურდა ამ ვენტილატორის ჩართვა. დიდი დრო დაგვჭირდა მისთვის საჭირო ადგილის შესარჩევად და ასამუშავებლად. გესმით ჩემი? ქარი მუდამ ჩასაფრებული იყო და გარედან გვიბერავდა. ვეწინააღმდეგებოდით მას, აღვმართეთ კედელი, მაგრამ ფანჯარა არ გაგვიჭრია. ფანჯარა რომ გაგვეჭრა, შევძლებდით თუ არა იმის თქმას, რომ ქარი დავიურვეთ? უბრალოდ, ქარს შემოსვლის ნება დართეთ. ქარი მუდამ მზად იყო შიგ შემოსასვლელად.

ვენტილატორის ჩართვისა და შუქის ანთების ჩვენეული უნარი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბუნებაზე გავიმარჯ-

ვეთ, მხოლოდ ბუნებასთან ჰარმონიაში ყოფნის მეთოდს დავეუფლეთ. ახლა ვაყენებთ ნათურებს და ჩამრთველებს, გაგვყავს ელექტრონული ხაზები იმგვარად, რომ მათი მეშვეობით ელექტროენერგიამ იდინოს. სინამდვილეში, ელექტროობა მუდამ მზად იყო ამ სადენებში ედინა. ჩვენმა ქმედებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ მის წინ კარი გაიღო.

მეცნიერება დაკავებულია ბუნებრივი კანონების ძიებით, რომელთა გამოყენებაც შესანიშნავად შეიძლება ჩვენს სამყაროში. რელიგია დაკავებულია ბუნების კანონების ძიებით, რომლებიც გამოყენებულია შინაგანი სამყაროსთვის. ზოგიერთი ბუნების კანონი მხოლოდ შინაგანი სამყაროსთვის არსებობს. თუკი ამ კანონებს ვემორჩილებით, ბუნება გვეხმარება, თუ მათ წინააღმდეგ ავმხედრდებით, ბუნება ზურგს გვაქცევს. საერთოდაც, არაკორექტულია იმაზე საუბარი, რომ ბუნება გვეხმარება, ან ზურგს გვაქცევს, ბევრად სწორი იქნება იმის თქმა, ჩვენ როგორ ვახერხებთ ბუნების დახმარების მიღებას. თუკი ისე ვიქცევით, რომ ბუნებას ჩვენი დახმარების შესაძლებლობას ვუტოვებთ, საკუთარ ქმედებათაგან სარგებელს ვიღებთ. მაგრამ თუ ისე ვიქცევით, რომ ბუნებას დახმარების შანსს არ ვუტოვებთ, წამგებიან ქმედებებს ჩავდივართ.

მაგალითად, თქვენ გაშლილი ქოლგით მიდიხართ. ქარი თქვენკენ უბერავს. თუ ქოლგას წინ წასწევთ, არაფერი მოგივათ, მაგრამ თუ ქოლგას მხარზე გაიდებთ, მაშინ ქარი მას ხელიდან გამოგტაცებთ. ეს ბუნების ბრალი როდი იქნება. თქვენ ქოლგა ქარის საწინააღმდეგოდ დაიჭირეთ და მომხდარზე პასუხისმგებელიც ბრძანდებით. ორივე შემთხვევაში, ბუნება ერთნაირად მოქმედებდა. ის აწვებოდა ქოლგას, როცა წინ გაიშვირეთ და მის ძალას იყენებდით. ანალოგიურად მოქმედებდა ბუნება მაშინაც, როცა ქოლგა მხარზე გაიდეთ, მაგრამ ამჯერად იგი ხელიდან გაგისხლტათ. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იგივე ზეწოლა იყო, მისი მოქმედება ქოლგის მდებარეობას დაეფუძნა.

ზუსტად ასევე მოქმედებს შინაგანი ბუნების კანონებიც. ადამიანი, რომელიც ბრაზიანია, ქოლგას მხარზე იდებს. ეს კი მას პრობლემებს მოუტანს, რადგან მისი შინაგანი ქოლგები აუცილებლად დაიკეცება. ადამიანი, რომელიც სიყვარულს ას-

ხივებს, ქოლგას წინ სწევს, ის ბუნებასთან თანხმობაში ცხოვრობს.

მან, ვინც სიყვარული ისწავლა, სინამდვილეში შინაგანი მეცნიერების ერთი კანონი გამოიყენა. მან გაიგო, რომ სიყვარულს ჰარმონია მოაქვს, შინაგან ცხოვრებაში თანხმობა, იმ დროს, როცა ბრაზი აჩენს დისჰარმონიას და უთანხმოებას ეს კანონი ძალიან ჰგავს დედამიწის მიზუდულობას. სიბრაზეში თქვენ ფეხს იტეხთ, სიყვარულში კი ამ მტკივან ფეხს აღადგენთ. ბუნებას სურს, ორივე შემთხვევაში, იმუშაოს, იმის მიუხედავად, როგორ მაგალითს ირჩევთ. სიბრაზეში, ადამიანი. სახურავიდან გადმოხტომას ლამობს.

მედიტაცია – ეს შინაგანი ცხოვრების უმაღლესი თანხმობა. უდიდესი და ყველაზე ღრმა ჰარმონიაა.

მედიტაცია ნიშნავს, რომ ადამიანი შინაგანად ჰარმონიაში იმყოფება ცხოვრების უმაღლეს კანონებთან. ლაო-ძი ამ გაგებისთვის შესანიშნავ სიტყვას იყენებს. ის ამას უწოდებს დაოს. დაო კანონს ნიშნავს. ზუსტად ასევე ითარგმნება ვედური წინასწარმეტყველების მიერ შემოღებული ტერმინიც. ისინი მას რიტ-ს უწოდებენ. რიტი კანონს ნიშნავს. დხარმაც ნიშნავს კანონს. დხარმა ნიშნავს თქვენს შინაგან ბუნებას, კანონს აი, დხარმის მნიშვნელობა: თუკი კანონის თანახმად იმოქმედებთ, ბედნიერებას მიაღწევთ. ადხარმა არასწორი ქმედებაა. – ეს ისეთი ქმედებაა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს და უბედურებას იწვევს. ეს შინაგანი მეცნიერების ძირითადი მდგომარეობაა.

მედიტაცია უმაღლესი გაგებით, შინაგანი გაგებით ნიშნავს ჰარმონიას, თანხმობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინც ჰარმონიულადაა ბუნების ყველა მხარესთან, ვინც არ უპირისპირდება ცხოვრებას, ვინც არ სცდება ცხოვრებას, ვინც თანხმობაში მოვიდა ცხოვრების ყველა კანონთან, ის აღწევს უმაღლეს ჭეშმარიტებას, უმაღლეს ცხოვრებას. უდიდეს ნეტარებას.

ჩვენც ამ კანონის ზემოქმედების ქვეშ ვცხოვრობთ. მაგრამ, ცხოვრების კანონებთან ბრძოლას იმით ვასრულებთ. რომ ამავე კანონების მონობაში ვვარდებით. ეს შეიძლება შემდეგნაირად აღვწეროთ: არიან ადამიანები. რომლებსაც ესმით

ოქროს ფასი და მისგან სამკაულს აკეთებენ, მაგრამ არსებობენ ისეთებიც, რომლებსაც არ ესმით ოქროს ფასი და მისგან ხუნდებს აკეთებენ. არის კანონი, რომელიც ოქროზე მუშაობს. არის კანონი, რომელსაც ოქროს დაობებამდე მივყავართ და მას სანაგვეზე მოისვრიან. მხოლოდ თქვენ უნდა გადაწვიტოთ, გააკეთებთ თუ არა მისგან სამკაულს.

ის, ვინც მთლიანად ჰარმონიაშია შინაგანი ბუნების კანონებთან, დხარმას აღწევს. ის, ვინც შინაგანი სამყაროს კანონებთან თანხვედრაშია, აღწევს ვიგიანის. ეს სიტყვები ისეთი მშვენიერია, რომ უსათუოდ უნდა შეიმეცნოთ.

გიანას ეძახიან იმას, რაც დხარმით მიიღწევა. ვიგიანას ეძახიან იმას, რაც მეცნიერებიდან გამოდის. ორივე სიტყვა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ არ ვხმარობთ ზედსართავ სიტყვა „გიან“-თან, არ ვამატებთ განმარტებას. ვიგიანა ნიშნავს განსაკუთრებულ ცოდნას, გიანა კი ბუნებრივ ცოდნას, და არა განსაკუთრებულ ცოდნას.

რელიგია ნიშნავს იმის გაგებას, თუ როგორ უნდა გავხდეთ სპონტანურები, როგორ უნდა გავერთიანდეთ შინაგან ბუნებასთან. ამგვარად, ეს, უბრალოდ, ცოდნაა, და არა განსაკუთრებული ცოდნა. ვიგიანა – ეს განსაკუთრებული ცოდნაა. მან უნდა გამოიკვლიოს ყოველი მიმართულება, რათა გაარკვიოს, თუ რა შევა ამა თუ იმ ბუნებასთან ჰარმონიაში. შინაგან სამყაროში მილიონი კანონი მუშაობს.

როგორც ჩანს, საკუთარ თავში ჩაღრმავების გზაზე, საბოლოო ჯამში ერთადერთ კანონს აწყდებით. მაგრამ კანონები მუდმივად იზრდება გარესამყაროში მოძრაობისას. ეს მზის სხივების მსგავსია. ცენტრალურ წერტილში ისინი ერთიანია, მაგრამ როგორც კი გამოაღწევენ პირველწყაროს, რიცხობრივად იზრდებიან და საწყისთან მანძილიც სულ უფრო მეტად გაიზრდება. მზისგან სხივები ყველა მიმართულებით გაიტყორცნება. მზეზე ერთადერთი სხივია, მაგრამ მზისგან გამოყოფის შემდეგ, ის გადაიქცევა ორ სხივად, ოთხად, ათასად, მილიონად, მილიარდად – სხივების რაოდენობა მუდმივად იზრდება. დაშორებაც სულ უფრო დიდია.

ვიგიანა, როგორც მეცნიერება, – ეს განსაკუთრებული ცოდნაა ეს ყოველ სხივზე არსებული ინფორმაციაა. ამიტო-

მაცაა იგი განსაკუთრებული. როცა მეცნიერება ერთ სხივს ჩაიგდებს ხელში, ის მაშინვე ყველაფერს გაარკვევს მასზე როგორც გუშინ გითხარით, მეცნიერება ნიშნავს შემცირებისკენ მიდრეკილი მოვლენის შეცნობის გაზრდას. მაგრამ, ამ შემთხვევაში, სხივი თანდათან გათხელდება, და რაც უფრო დასცილდება პირველწყაროს, მით უფრო დაწვრილდება.

რელიგია ფართოვდება, ის უფრო და უფრო გრანდიოზული მოვლენა ხდება. ის შეუჩერებლად მიიწევს იქითკენ, რომ უფორმო გახდეს, ვიდრე ბოლოში არ იქცევა ადვაიტად, ორმაგობის არარსებობად, ერთიანობად. და მაშინ ორგვარი გაგებაც კი არ დარჩება. ამიტომ გეუბნებით თქვენ, რომ მეცნიერება შეიძლება იყოს ბევრი, მაგრამ რელიგია არ შეიძლება ბევრი იყოს. რელიგია შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, რადგან ის საერთო ცოდნაა და არა ცოდნის რომელიმე ვიწრო სფერო

თუ ჩვენ ეს გვესმის, მაშინ კანონები არსებობს, ჩვენ ვარსებობთ, არსებობს ასევე ჩვენი ურთიერთობები კანონებთან, ანუ ჩვენი არჩევანის უნარი. ჩვენ გვაქვს საკუთარი ქმედებებით ცხოვრების უნარი. ასეა საქმეები. თუმცა, ვინც გონიერია აგრძელებს მუშაობას ნეტარების მიმართულებათა დაზუსტებაზე. სირეგვნის ამრჩევი გამუდმებით იმცირებს ნეტარების მიღწევის უნარს. და ვერავის დააკისრებ პასუხისმგებლობას რადგან მთელი პასუხისმგებლობა ადამიანს აწევს.

ამიტომ სადხანას გირჩევთ, და ვიმეორებ: სადხანას პრაქტიკა გაიარეთ, გააკეთეთ ნახტომი, კანონებს ხომ ფესვები ღრმად აქვთ გადგმული. თქვენს ქვეშ ოკეანის ტალღები ირწევა შეგიძლიათ ჩახტეთ. მზე აცხუნებს, აუტანელი სიცხეა, ოფლში იწურებით, ქვევით კი გრილი ოკეანის ტალღები ლივლივებს ცხადია, უპრობლემოდ მოახერხებთ გრილ წყალში ჩახტომას ტრამპლინზე დგახართ. თუკი მოინდომებთ, მაშინ ტრამპლინიც მზად იქნება დასახმარებლად, შეირხევა და წყალში მოგისვრით. მაგრამ თქვენ გაუნძრევლად დგახართ მასზე და მზეზე იხვითქებით. თქვენს ფეხქვეშ ტრამპლინი ცრემლებად იღვრება. გადახტომა რომ გადაგეწყვიტათ, ის სიხარულით და გეხმარებოდათ, მაგრამ თქვენ არ ხტებით, ამიტომაც ტრამპლინი უმოძრაოა. გრილი ოკეანე ადევნებს თვალს იმას თუ რ. წურწურით გდით ოფლი

ასეთი სუტიაციაში მტკიცე არჩევანის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. კარგია, თუ მოცდის სურვილი გაქვთ. ეს უპრობლემოდ მოხერხდება. მაგრამ, შესაძლოა, ასეთი გადაწვეტილებაც მიიღოთ: „მინდა დავიცადო. არ მინდა გრილ წყალში ჩავხტე, მინდა სიცხეში ვიდგე და ვოფლიანობდე. არ მინდა წყალში ჩახტომა, ჩემს ადგილას დავრჩები“. დაე, ეს იყოს თქვენი არჩევანი, მაშინ მოითმინეთ. ვფიქრობ, ეს არჩევანიც დაადასტურებდა იმას, რომ გაიზარდეთ. მინიმუმ, თქვენ გადაწვეტილება მიიღეთ.

მაგრამ თქვენ ძალიან უცნაური ტიპის ადამიანები ხართ. თქვენ ამბობთ: „ჩვენ არ გვინდა ოკეანეში ჩახტომა. ცხადია, გრილ წყალში ყოფნა გვირჩევნია, ისიც ვიცით, რომ მწველი მზეა, რომ ოფლი ნაკადულებად გვდის, მაგრამ ახლა მაინც ვერ შევძლებთ წყალში ჩახტომას. ნამდვილად გვინდა ვისკუპოთ, ოკეანეში გადავეშვათ, მაგრამ მოითმინეთ, თუ შეიძლება. როგორ უნდა გადავხტეთ წყალში? ხვალ ან ზეგ გადავხტებით“.

ასეთი პოზიცია თქვენს ზრდას აჩერებს. ეს თანდათან გხდით ინეტრულს და იმავე ადგილზე გამყოფებთ, სადაც ამჟამად იმყოფებით. თქვენ ეგუებით ამ ოფლიანობას, სიცხეში დგომას და იმაზე ლაპარაკს, რომ გინდათ გადახტეთ, ოღონდ ხვალ. ხვალაც იმავეს იტყვით, მომდევნო დღისთვის გადადებთ. მერე კი შეეჩვევით ამ ინერტულობას და ბუნების ყველა კანონი მოთმინებით გააგრძელებს ლოდინს. მზე ისევ იკაშკაშებს, ის სიხარულით შეგეგებებათ და მისი სხივებით ტკბობას შემოგთავაზებთ. ვიდრე ვოფლიანობთ, ოკეანე განუწყვეტლივ გიხმობთ: „მოდით ჩემთან, თუ გსურთ, მე თქვენი სიამოვნება ვარ. ჩემი გრილი წყლები მზად არიან თქვენს მისაღებად“. ტრამპლინი დაჟინებით გაიმეორებს: „მზად ვარ წყალში გადაგაგდო, მაგრამ ჯერ თქვენ უნდა გააკეთოთ არჩევანი და გადახტეთ ჩემგან“. სწორედ, ამაშია საქმე.

მიმაჩნია, რომ რეალური ზიანი იმით კი არ არის გამოწვეული, რომ უბედურებისგან იტანჯებით, არამედ იმით, რომ ეს ტანჯვაა განპირობებული თქვენი გადაწვეტილებით. თქვენივე გადაწყვეტილებით იტანჯებით! ტანჯვაც თქვენი გადაწყვეტილებიდან უნდა მომდინარეობდეს. თუ ადამიანს რაღაც ნივთის

მოპარვა სურს, მიზანდასახულად უნდა იმოქმედოს, ქურდი უნდა გახდეს. მან გარკვევით უნდა განაცხადოს: „გადაწვეტილი მაქვს ქურდი ვიყო, და ყველა წმინდანს ვუთხრა, რომ სისულელეების ბოდვას თავი გაანებონ. ჩემთვის მათი სწავლებები უსარგებლოა. თუ მათ წმინდანებად ყოფნა სურთ, დარჩნენ წმინდანებად. მე ქურდობა გადავწყვიტე“.

ამგვარად, დაიმახსოვრეთ, იმისგან განსხვავებით, ვინც გადაწყვეტილების გარეშე გახდა წმინდანი, ქურდი, რომელიც საკუთარი სურვილით იქცა ქურდად, უფრო სავსე ცხოვრებას გაივლის, რადგან გადაწყვეტილება აფართოებს მის ცნობიერს, წონას მატებს მის ყოფიერებას, ამაღლებს მისი პასუხისმგებლობის დონეს. ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარ გადაწყვეტილებაზე. როცა ადამიანი თავად იღებს გადაწყვეტილებას, როცა სწორედ თავად წყვეტს, როცა რაღაცას დამოუკიდებლად ირჩევს, იბადება ნება. როცა ნება იბადება, ცნობიერი იღვიძებს. მას უკვე არ შეუძლია იძინოს.

უკვე ის, რომ თქვენ გადაწვეტილებას იღებთ, წყვეტს უგონო მდგომარეობას, რადგან გადაწვეტილება არ შეიძლება გაჩნდეს უგონო მდგომარეობაში. გადაწვეტილების უნარის უკმარისობის შემთხვევაში, გამუდმებით იწრიალებთ, წარამარა მიაწყდებით იმ კუთხეს, რომლისკენაც საზოგადოება გიბიძგებთ. მამა მოგაწყობთ რომელიღაც სკოლაში, და თქვენც ივლით ამ სკოლაში, დედა იპოვის თქვენთვის სამსახურს, და თქვენც პატიოსნად იმუშავებთ ამ კანტორაში, ცოლი გთხოვთ თავდაყირა დადგომას და თქვენც უსიტყვოდ დაემორჩილებით მის ნებას. მერე შემოგეხვევიან ბავშვები და უფრო საფუძვლიანად მოგიჭერენ სინამდვილის მარწუხებს. ყველა მხრიდან გითრევენ და გიბიძგებენ. ამგვარად, თუ იყოყმანებთ, უგონო მდგომარეობა მეტად გამყარდება.

არაფერია საშიში იმაში, რომ ადამიანმა არჩევანი უნდა გააკეთოს, მაშინაც კი, თუ ცდება. რამდენადაც მესმის, ერთადერთი არასწორი ქცევა არსებობს – არ მიიღო გადაწვეტილება, ერთადერთ სიკეთეზე გვეგულება – მიზანდასახულობა ამგვარად, იყავით მიზანდასახულნი. სულაც არ არის მთავარი. ქურდობას გადაწყვეტთ თუ არა, ოღონდ მთელი სულითა და გულით მიიღეთ ეს გადაწყვეტილება და მაშინ. არც იქურდებთ

დიდხანს. ის, ვინც მთელი სულით და გულით იღებს გადაწვეტილებას, იმდენად ფართო ცნობიერს იძენს, რომ მას უკვე აღარ შეუძლია მოპარვა. მას უკვე იმდენად კარგად ესმის ყველაფერი, რომ ქურდობა სულელური საქმე ჰგონია.

მაშინაც კი, როცა ქალები და კაცები წმინდანებად იქცევიან-ხოლმე, ისინი აქამდე იმიტომ მიდიან, რომ ვიღაცამ უბიძგათ ამგვარი ქმედებისკენ. ვიღაცის ცოლი კვდება, ქვრივი წმინდანად იქცევა. ვიღაცას ქმარი უკვდება და ქვრივი თავის ცხოვრებას წმინდანობით ასრულებს. ადამიანი ჯერ ბანკროტი ხდება, მერე კი შარავანდედით იმოსება. ვიღაცის მამა სულ მალე ზურგს შეაქცევს ამქვეყნიურ ცხოვრებას. შვილს სხვა არჩევანი არა აქვს, გარდა იმისა, რომ მამის კვალს გაჰყვეს, მამამ ხომ მასაც მისცა საამისო კურთხევა. ასეთი ქმედება უაზროა და ყოველგვარ მიზანს მოკლებული. თქვენ უნდა მიიღოთ გადაწვეტილება. ის, ვინც ყოველწამიერად თავისი გადაწყვეტილებების მიხედვით ცხოვრობს, ყოველწამიერად გაიზრდება. მიიღეთ გადაწყვეტილება თუნდაც წვრილმან საქმეებთან დაკავშირებით და ისწავლეთ ამ გადაწვეტილებათა განხორციელებისთვის ბრძოლა.

ნება მომეცით, მოკლე მითითებები მოგცეთ, რის შემდეგაც დავასრულებთ დღევანდელ საუბარს. გურჯიევი, თავის მოწაფეებთან ერთად, მუდამ ატარებდა პატარა ექსპერიმენტს. ეს იყო პატარა, მაგრამ საკმაოდ ეფექტური გამოცდილება ცნობიერების გაფართოებისთვის. ამ ექსპერიმენტს ერქვა „სდექ". მაგალითად, როცა გურჯიევი თავისი ლექციის მსვლელობისას უცებ დაიყვირებდა „სდექ!", მის წინ მჯდომი ადამიანები მაშინვე შეშდებოდნენ. ხელები, თავი, ფეხები – მთელი სხეული უქვავდებოდათ ძეგლივით. გურჯიევი თვალს ადევნებდა აუდიტორიას, იმას, ვინც ოდნავ მაინც მოძრაობდა, ასე მიმართავდა: „ნუთუ თქვენ არ შეგიძლიათ თავი მოუყაროთ იმდენ ნებას, რომ ორიოდე წამს გაუნძრევლად იჯდეთ?"

ერთხელ, გურჯიევი ატარებდა ექსპერიმენტს თბილისში თავის მიმდევრებთან. ისინი ქალაქის გარეუბანში გაშლილ კარავში ისხდნენ. შორიახლო არხი ჩადიოდა. არხი მშრალი იყო, რადგან მასში წყალი არ მიედინებოდა. სამმა მაძიებელმა შედ-

გა ფეხი დაშრეტილ მდინარეში და კარვიდან სრულიად მოულოდნელად იყვირა გურჯიევმა: „სდექ!“

სამივე მაძიებელი შუა არხში გაჩერდა, მოძრაობა შეწყვიტეს. ამ დროს, ვილაცამ არხში წყალი გაუშვა. ის წყლით ივსებოდა, გურჯიევი კარავში იჯდა. მაძიებლები არხის ფსკერზე იდგნენ გაუნძრევლად.

სამი ადამიანი მანამ იდგა ფსკერზე, ვიდრე წყალმა მკერდამდე არ უწია. როგორც კი წყალმა იმატა, მაძიებლები შეშფოთდნენ. მათ კრინტის დაძვრაც კი არ შეეძლოთ, რადგან ეს ბრძანება „სდექ“-ის დარღვევას ნიშნავდა. გურჯიევი ისევ კარავში იჯდა. ისინი არ იყვნენ დარწმუნებულები იმაში, რომ ოსტატმა არხში წყლის მოსვლის შესახებ შეიტყო. შესაძლოა, მას ისიც კი არ სცოდნოდა, რომ მისი მოწაფეები არხის შუაგულში იდგნენ. ისინი სიმამაცეს ინარჩუნებდნენ, ვიდრე წყალმა ყელამდე არ მიაღწია. როცა წყალი მოწაფეთა პირებს მისწვდა, ერთ-ერთმა მათგანმა იყვირა: „რა სისულელეა!“ და არხიდან ამოხტა.

მეორე არხიდან მაშინ მოვიდა, როცა წყალი ცხვირში ჩაუვიდა. იმედი ჰქონდა, რომ გურჯიევმა შეცვალა სავარჯიშო „სდექ“. მან იგრძნო, რომ ფსკერზე დარჩენა სახიფათო იყო და ისიც ამოხტა არხიდან.

მესამე ახალგაზრდა გაუნძრევლად იდგა. წყალმა თავიანად დაფარა. მაშინ გურჯიევი კარვიდან გამოვარდა, არხში გადახტა და მოწაფე გამოიყვანა. გურჯიევმა ჰკითხა მას, თუ როგორ გრძნობდა თავს, როცა წყალმა თავზე გადაუარა. ახალგაზრდამ უპასუხა:

– მოხდა ის, რასაც ველოდებოდი. მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ მაშინ, როცა მყარად გადავწვიტე დგომა. როცა წყალმა ჩემი თავიც დაფარა, უმაღლეს ცნობიერებას მივაღწიე. ახლა არაფრის სწავლება არ მჭირდება, რადგან გადაწყვეტილების მიღება სრულიად საკმარისია!

ამ ადამიანმა გადაწვეტილებაა მიიღო და საშიშროების წინაშეც არ შედრკა. გურჯიევმა აუხსნა:

– ყველაფერი მე დავგეგმე. თავადვე გავუშვი არხში წყალი. მინდოდა დავრწმუნებულიყავი იმაში, შეგეძლოთ თუ არა უფრო მეტი, ვიდრე ხელ-ფეხის გაშეშებაა.

გურჯიევმა ყველა სხვა მაძიებელი დაითხოვა და უთხრა მათ არასოდეს დაბრუნებულიყვნენ, საერთოდ არასოდეს. ოსტატმა განაცხადა, რომ მათ არაფერი აქვთ მასთან საკეთებელი.

რაც უფრო ძლიერია ნება, მით უფრო ღრმაა გადაწვეტილების შეგრძნება, მით უფრო ახლოსაა ადამიანის ცნობიერი თავის მთლიანობასთან. თუკი თუნდაც წამით მოახდენთ საკუთარი ნების დემონსტრირებას, იმ წამში სრულ ცნობიერს მიაღწევთ. მთელი მზადება ამ სრული ცნობიერის მიღწევისთვის მიმდინარეობს. ეს აბსოლუტური ნების შექმნას ემსახურება.

ამგვარად, ჩემი აზრით, არჩევანი ყოველთვის კარგია. თუ ღმერთი გვაიძულებს, როგორც თოჯინებმა ვიცეკვოთ, ნაწილს ცოდვილებად გვაქცევს, ნაწილს კი – წმინდანებად, მაშინ მთელი ეს სამყარო უაზრობაა, სრული უაზრობა. არა მხოლოდ ყველაფერს ეკარგება აზრი, არამედ თვით ღმერთიც საკმაოდ სულელი ჩანს. რა სიგიჟეა ეს? თუ ღმერთი თავად წყვეტს ყველაფერს, თუ მხოლოდ ის აქცევს ერთ ადამიანს კეთილად და მეორეს – ბოროტად, ერთს რამად, მეორეს კი რავანად, მაშინ რა აზრი აქვს სამყაროს? ამ შემთხვევაში, ყველაფერი სისულელეა და უაზრობა.

არა, ადამიანი დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღებაში და მაღლიდან არავინ ახვევს თავს გადაწყვეტილებას. როცა გადაწყვეტილება ჩვენში იბადება, სიფხიზლის სიმები ირხევა. მაძიებელი, მთელი დღეების განმავლობაში, დაიცდის იმისთვის, რათა მარტივი გადაწყვეტილება მიიღოს. განა ის არის მთავარი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება. მომავალშიც უნდა მოიძებნოს უბრალო გადაწყვეტილებების, სრულიად ჩვეულებრივი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა.

დილიდანვე დაუღალავად უნდა ეძებდეთ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ყოველ ჯერზე, როცა ასეთი შესაძლებლობა მოგეცემათ... შესაძლებლობები კი მუდმივად გეძლევათ, სხვადასხვა შესაძლებლობები... თუკი ყოველწამიერად შეძლებთ გადაწყვეტილების მიღებას, რამდენიმე დღეში აღმოაჩენთ, რომ თქვენი ცნობიერი თქვენში ისარივით აიჭრა.

ალმოაჩენთ, რომ ის დღითიდღე იზრდება, სიჩქარეს კრეფს. უბრალო, ყველაზე ჩვეულებრივი გადაწვეტილებების მიღებისას.

ის, რასაც ჩვენ წმინდა მსხვერპლი, ასკეტიზმი და ათასგვარი სულელური სიტყვა ვუწოდეთ – სრული სისულელეა. თუ ყველა ამ მოვლენას აზრი აქვს, თუ ადამიანი მათ გაცნობიერებულად იღებს, მაშინ, ეს, სწორედ, მისი ნების წყალობით ხდება. მაგალითად, ვიღაც გადაწყვეტს, ერთი დღით იშიმშილოს. მარხვის ფასი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ჭამაზე თქვა უარი, არამედ თავად გადაწყვეტილების მიღებაში.

თუ ადამიანი ერთხელ მაინც შეჭამს წარმოსახვაში, მაშინ ყველა ქმედება უაზრო ხდება, ის, უბრალოდ, სრულდება. საჭმელზე უარის თქმა მხოლოდ ფიზიკურ თავშეკავებას კი არ ნიშნავს, გონებრივსაც გულისხმობს. თუ ადამიანი შეძლებს გაცნობეირებულად არ ჭამოს თორმეტი საათის განმავლობაში, მაშინ ის თავის გადაწყვეტილებას დიდხანს შეინარჩუნებს. საჭმელზე უარის თქმა თავისთავად არაფრად ღირს. ის ხომ იმ საკიდივით მუშაობს, რომელზეც ადამიანს საკუთარი ნების ჩამოკიდება შეუძლია. თორმეტი საათის შემდეგ, მისი არსის ხარისხი აუცილებლად შეიცვლება. როცა ვხედავ, რომ ადამიანი მარხულობდა რამდენიმე წლის განმავლობაში, და მისი არსების ხარისხი არ შეიცვალა, ვიცი, რომ ის თავის წარმოსახვაში იკვებება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხარისხი შეიცვლებოდა. ის მარხულობდა მთელი ცხოვრება, მიმართავდა მარხვის სხვადასხვა სისტემას, მაგრამ ხარისხში არ შეცვლილა – როგორიც იყო, ისეთივედ დარჩა. ის იმას ჰგავს, ვინც გასვლისას გასაღებს კარზე კიდებს, მაგრამ კვლავ უკან ბრუნდება, რათა შეამოწმოს, ნამდვილად ჩაკეტა კარი თუ არა.

მე ვიცნობ ასეთ ადამიანს. ის ჩემს მეზობლად ცხოვრობს. მარხულობს და რეგულარულად სცემს თაყვანს ღვთაებებს. მაგრამ ის სუსტი ნებისყოფის ადამიანია. ხშირად ვაკვირდები მას. ის კარს კეტავს, ათ ნაბიჯს გადადგამს და უკან ბრუნდება, რამდენჯერმე ამოწმებს სახელურს, რათა მყარად დარწმუნდეს იმაში, რომ კარი ჩაკეტა. მე ვკითხე მას:

– რატომ აკეთებთ ამას? თქვენ ხომ თავად დაკეტეთ კარი?

და მან ამიხსნა:

– ხშირად არ ვარ დარწმუნებული იმაში, დავკეტე თუ არა კარი, ამიტომაც ვბრუნდები, რომ კიდევ ერთხელ შევამოწმო და რას ხედავთ ამაში ცუდს?

– არ გეჩვენებათ, – ვკითხე მე, – რომ მეორედაც ვერ რწმუნდებით სრულად იმაში, რომ კართან მიხვედით და საკეტი შეამოწმეთ?

– თქვენ საიდან იცით? – გაუკვირდა მას, – ნამდვილად ვერაფერში ვრწმუნდები. მინდა მივიდე კართან და ერთხელ კი არ შევამოწმო საკეტი, არამედ ორჯერ და სამჯერაც, მაგრამ. უბრალოდ, მრცხვენია ამის გაკეთების.

აი, ადამიანი, რომელიც მარხულობს, მაგრამ მაინც არ იცის. რას ნიშნავს მარხვა. მარხვის მიზანი იმაშია, რომ ცხოვრებაში გამბედაობა, გადაწყვეტილების მიღების ნება შემოიტანო. გადაწყვეტილების ერთხელ მიმღებმა უკან არ უნდა დაიხიოს. და თუკი ადამიანს საკუთარი გადაწყვეტილება არდაბრუნების წერტილად ექცა, მის ცხოვრებაში არაფერი მიეცემა ძილს. მასში ყველაფერი იფხიზლებს.

თავი მეთორმეტე
დაშორებას დიდი მნიშვნელობა აქვს

იმისათვის, რომ სიფხიზლე შევინარჩუნოთ სიკვდილის მომენტში, ანდა იმისთვის რომ წარმატებით განვიცადოთ გაცნობიერებული სიკვდილი მედიტაციაში, გთხოვთ, დეტალურად აგვიხსნათ, როგორ უნდა იმუშაოს შემდეგზე მაძიებელმა: სხეულის სისტემა, სასუნთქი სისტემა, სუნთქვის მდგომარეობა, ადამიანის არსებობის მდგომარეობა, ცელიბატი, გონების მდგომარეობა.

ვიდრე ადამიანი შეძლებს სიკვდილის მომენტში ცნობიერად დარჩენას, ის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოემზადოს იმისთვის, რომ დარჩეს ცნობიერად ტკივილსა და ტანჯვაში. ჩვეულებრივ, ვინც უგონო მდგომარეობაში ხვდება უბედურებას, შეუძლებელია ფხიზელი დარჩეს სიკვდილის მომენტში. უნდა გავიგოთ, რას ნიშნავს უგონო მდგომარეობაში ყოფნა უბედურებისას. ეს დაგვეხმარება გავიგოთ ის, თუ რას ნიშნავს ცნობიერად ყოფნა უბედურებაში.

ადამიანი, რომელიც უგონო მდგომარეობაში ხვდება უბედურებას – ეს ის არის, ვინც თავი გამოავლინა უბედურებით. როცა თქვენ გტკივათ თავი, თქვენ ვერ გრძნობთ მანძილს თავის ტკივილსა და თქვენ შორის, თქვენ არ რჩებით მხოლოდ განყენებულ დამკვირვებლად. ამის მაგივრად, თქვენ გრძნობთ, თითქოს თავად ხართ ტკივილი. როცა ციებ-ცხელება გაქვთ, თითქოს ვერ გრძნობთ ცხელ სხეულს, რომელიც მდებარეობს თქვენგან მოშორებით. ამის ნაცვლად გრძნობთ, რომ სწორედ თქვენ ხართ ცხელი. ეს გათანასწორებაა. როცა ფეხი გაქვთ გაჭრილი, უბრალოდ კი არ გრძნობთ დაშავებულ ფეხს – უფრო იმას გრძნობთ, რომ ზუსტად თქვენ ხართ დაჭრილი.

არსებითად, ჩვენ ვერ შევიგრნობთ დაშორებას ჩვენსა და ჩვენს სხეულს შორის. ჩვენ ვცხოვრობთ სხეულთან გათანაბრებულად. როცა შიმშილის გრძნობა ჩნდება, ადამიანი არ

ამბობს, რომ მის სხეულს შია, მან ისედაც იცის ამის შესახებ, ის ამბობს: „მე მშიერი ვარ“. მაგრამ ეს არ არის მართალი. საქმე იმაშია, რომ მშიერი ზუსტად სხეულია და ადამიანი ამას აცნობიერებს. ის, უბრალოდ, გაცნობიერების ცენტრია, რომელიც მუდმივად აცნობიერებს, რა ხდება. თუ თავიდან დაიჭრება ფეხში, ადამიანი გაიგებს ამას; თუ წარმოიშვა თავის ტკივილი, ის გაიგებს ამას; თუ კუჭს დასჭირდება საკვები, ის გაიგებს ამის შესახებ.

ადამიანი – ეს გონია, რომელიც მუდმივად ცნობიერ მდგომარეობაში იმყოფება. ის არ არის ის, ვინც გრძნობს, არამედ ისაა, ვინც იცის. ეს არის სინამდვილე. მაგრამ ჩვენი გონების მდგომარეობა არ არის ცოდნისმიერი, ის შეგრძნებებისმიერია. მცოდნე გადაიქცევა შემგრძნობად: მან არაფერი არ იცის, მაგრამ იწყებს საკუთარი თავის გაიგივებას თავად ქმედებასთან. ის არ რჩება მოწმედ, შორიდან დამკვირვებლად, ამის ნაცვლად იწყებს ქმედებაში მონაწილეობას – და მაშინ ჩნდება გაიგივება. ეს გაიგივება ხელს უშლის მის გამოღვიძებას, რადგან იმისთვის, რომ ფხიზელი და ცნობიერი იყო, აუცილებელია გარკვეული დისტანცია, სივრცე.

მე თქვენი დანახვა მხოლოდ იმიტომ შემიძლია, რომ ჩემსა და თქვენ შორის რაღაც მანძილია. ჩვენ შორის დაშორება რომ გამქრალიყო, მაშინ მე ვერ შევძლებდი თქვენს დანახვას. მე თქვენი დანახვა იმიტომ შემიძლია, რომ ჩვენ შორის არის სივრცე. ეს სივრცე რომ გაქრეს, მაშინ მე აღარ მეყოფოდა იმის ძალა, რომ დამენახეთ. ჩემს თვალებს შეუძლია დაგინახოთ, რადგან ისინი აღიქვამენ სივრცეს ჩვენ შორის, მაგრამ ჩემს თვალებს თავიანთი თავის დანახვა არ შეუძლიათ.

მაშინაც კი, თუ ჩემი ფიგურის ნახვა მომინდება, უნდა დავდგე სარკესთან, უნდა ვიყო საკუთარ თავთან დაშორებული, მხოლოდ მაშინ შევძლებ საკუთარი ანარეკლის დანახვას. თუ საკუთარი თავის ანარეკლს ვხედავ სარკეში, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი სახება ჩემგან დაშორებითაა და ახლა ის მხედავს მე. სარკე თქვენს სახებას თქვენგან რაღაც მანძილზე ასახავს.

იმისათვის, რომ დაინახო, აუცილებელია მანძილი. იმისათვის, ვინც საკუთარ თავს სხეულთან აიგივებს, ან სულაც თავს

სხეულად მიიჩნევს, არ არსებობს არანაირი მანძილი მასა და მისივე სხეულს შორის.

ოდესღაც ცხოვრობდა მუსულმანი მისტიკოსი, სახელად ფარიდი. ერთხელ, დილით, მასთან მივიდა ვიღაც კაცი და იგივე კითხვა დაუსვა, რომელიც მე დამისვით. მან ფარიდს უთხრა:

– ჩვენ გავიგეთ, რომ იესო, როცა ის ჯვარზე გააკრეს, არ ყვიროდა, არ ბრაზობდა, მას არ ჰქონდა უბედურის მზერა ასევე გავიგეთ, რომ როცა მანსურის[1] კიდურები მოაჭრეს, ის იცინოდა. როგორ შეიძლება ეს მოხდეს? ეს შეუძლებელია.

ფარიდმა სიტყვაც კი არ დაძრა, გაიცინა, მისთვის მორთმეული ქოქოსის კაკალი აირჩია და ამ კაცს გაუწოდა.

– აიღე ეს ქოქოსი, – თქვა მან, – ჯერ-ჯერობით ის მწიფე არ არის, გატეხე, მაგრამ დარწმუნდი, რომ თესლი არ დაგიშავებია. გატეხე კაკლის ქერქი და მომიტანე დაუზიანებელი თესლი.

– ეს შეუძლებელია, – უპასუხა კაცმა, – ქოქოსი მწიფე არაა, შიგნით, ქერქსა და თესლს შორის არ არის მანძილი. თუ გავტეხ ქერქს, თესლიც დაზიანდება.

– ამოიგდე თავიდან ეს კაკალი, – უთხრა ფარიდმა, – აი, სხვა ქოქოსი. აიღე ის, ის მშრალია. აქ ქერქსა და თესლს შორის სივრცეა. შეგიძლია დამარწმუნო იმაში, რომ მხოლოდ კაკალს გატეხ და თესლს არ შეეხები?

– და რა არის ამაში რთული? – გაუკვირდა კაცს, – მე გავტეხ ქერქს და თესლი გადარჩება. უმარტივესია.

– მითხარი, რატომ არ დაზიანდება თესლი? – ჰკითხა ფარიდმა.

– იმიტომ რომ ქოქოსი ხმელია, – აუხსნა კაცმა, – და ქერქსა და თესლს შორის სივრცეა.

– ნუ გაწვალდები ქოქოსის ტეხვით, – ფარიდმა შეაჩერა კაცი, – ეს კაკალიც გვერდით გადადე. მიიღე პასუხი თუ არა?

– მე სხვა რამეს გეკითხებოდი, შენ კი სხვაგან წამიყვანე ქოქოსზე უაზრო საუბრით. იმას გეკითხებოდი, რატომ არ

[1] მანსური – (აბუჯაფარაბდალ-ლაჰიბნ-მუჰამადალ-მანსური (არაბ. ابو جعفر عبد الله بن محمد المنصور) (დ. 705 -გ. 775) – აბასიანთა დინასტიის ხალიფა 754-775 წლებში. აბასიანთა სახალიფოს დედაქალაქის – ბაღდადის დამაარსებელი. გაატარა ადმინისტრაციულ-ფინანსური რეფორმები ხელს უწყობდა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას

ყვიროდა იესო, როცა მას ჯვარზე აკრავდნენ, რატომ არ ბრაზობდა? მანსური რატომ არ ყვიროდა ტკივილისგან, როცა მას კიდურები მოაჭრეს? რატომ იცინოდა? რატომ იღიმოდა?

– იმიტომ რომ ეს ადამიანები მშრალი ქოქოსები იყვნენ, - უპასუხა ფადირმა. – ჩვენ კი ნედლი ქოქოსები ვართ. სხვა მიზეზი არ არსებობს.

იესო არ ტიროდა, როცა მას ჯვარზე აკრავდნენ, მანსური არ იტანჯებოდა ტკივილებით, არამედ იცინოდა და იღიმოდა, როცა მას კლავდნენ, რადგან ისინი მთლიანად შეეშვნენ საკუთარი თავის სხეულთან გაიგივებას. აქ სხვა მიზეზი არ არსებობს. ჯვარზე იესო არ გაუკრავთ. იესო უთვალთვალებდა შიგნიდან თავისივე სხეულის ჯვარცმას, ის თავისივე სხეულს შორიდან უყურებდა, ისევე როგორც მის გარშემო მყოფი ადამიანები. ის თავის სხეულს შიგნიდან აკვირდებოდა, სხეულისგან განცალკევებით. ხალხში არავინ ტიროდა, არავინ ყვიროდა: „არ მომკლა!“ რატომ? იმიტომ რომ მათსა და იესოს სხეულს შორის გარკვეული დისტანცია იყო.

იესოშიც არსებობდა დისტანცია დაკვირვების ელემენტსა და მის სხეულს შორის. ამიტომ იესოც არ ყვიროდა: „არ მომკლათ!“

მანსურას კიდურები მოაჭრეს, მაგრამ ის მაინც იცინოდა.

ვიღაცამ ჰკითხა:

– როგორ ახერხებ სიცილს, როცა ხელ-ფეხს გაჭრიან?

მანსურმა უპასუხა:

– ვიყვირებდი, მე რომ დამანაწევროთ, მაგრამ თქვენ მე არ მჭრით. სულელებო, თქვენ მე არ მსჯით. მე თქვენ დაგცინით, რადგან თქვენ ეს სხეული მანსურა გგონიათ, ისევე როგორც საკუთარ სხეულს მიიჩნევთ საკუთარ თავებად. თქვენ აუცილებლად დაიტანჯებით, სასიკვდილო სარეცელზე მოგვრილი ტკივილებით. იმას, რასაც მე მიკეთებთ, სხვა არაფერია, თუ არა იმ შეცდომების გამეორება, რომელსაც საკუთარ თავთან მიმართებით სჩადიოდით. რომ აცნობიერებდეთ, რომ თქვენივე სხეულისგან განცალკევებით დგახართ, არ შეეცდებოდით ჩემი სხეულის დაჭრას. რომ იცოდეთ, რომ თქვენ და თქვენი სხეული ორი სხვადასხვა გაგებაა, მაშინ იმასაც მიხვდებოდით, რომ მანსურის სხეულის დაჭრისას, თავად მისთვის ზიანი არ მიგიყენებიათ.

სიკვდილთან ცნობიერ მდგომარეობაში შეხვედრის უდიდესი სამზადისი იმაში მდგომარეობს, რომ უპირველეს ყოვლისა, ტკივილს შეხვდეთ ცნობიერად, რადგან სიკვდილი ხშირად არ მოდის, ყოველდღე არ მოდის. სიკვდილი მხოლოდ ერთხელ მოვა, მზად იქნებით ამისთვის თუ არა, და არ არსებობს სიკვდილამდელი რეპეტიციები. მაგრამ ტკივილი და უბედურება ყოველდღე მოდის. ჩვენ შეგვიძლია მოვემზადოთ, ტკივილისა და ტანჯვის განსაცდელად. გახსოვდეთ, რომ თუ თქვენ ამ მოვლენებს პირდაპირ შეხედავთ, ეს სიკვდილის დროს წაგადგებათ.

ამიტომ მაძიებელები მუდამ სიხარულით ხვდებოდნენ ტანჯვას. არ არსებობს ამისთვის სხვა მიზეზი. არავინ ამბობს, რომ ტანჯვა სანატრელი მოვლენაა. მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ტანჯვა მაძიებელს საკუთარ თავთან მიღწევის შესაძლებლობას აძლევს. მაძიებელი მუდამ მადლობას სწირავდა ღმერთს იმ ტანჯვისთვის, რომელსაც გადალახავდა, უბრალო მიზეზის გამო, უბედურების მომენტში ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა საკუთარ სხეულზე დაკვირვება შეწყვიტოს.

დაიმახსოვრეთ, რომ სადხანას სულიერი სწავლების პრაქტიკაში გატარება რთულია, როცა ადამიანი ბედნიერია. ეს სჯობს მაშინ გააკეთოთ, როცა უბედურები ხართ, იმიტომ რომ ბედნიერების მომენტში ადამიანს მცირე დროითაც კი არ სურს საკუთარი სხეულისგან განშორება შეიგრძნოს. როცა ბედნიერი ხართ, სხეული გრძნობს, რომ ის ძვირფასია თქვენთვის, და თქვენ ერთი დიუმითაც კი არ გინდათ მისგან გამოყოფა.

ბედნიერების მომენტში ჩვენ ვუახლოვდებით სხეულს, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ბედნიერების მაძიებელი მატერიალისტი ხდება. ასევე არაა გასაკვირი, რომ ბედნიერების გამუდმებით მაძიებელი ადამიანი, საკუთარ თავს მხოლოდ სხეულად აღიქვამს, რადგან ბედნიერების ჟამს ის ხმელი ქოქოსის ნაცვლად მწვანე ქოქოსად განაგრძობს არსებობას და მანძილიც მასა და მის სხეულს შორის გამუდმებით მცირდება.

ტკივილის მომენტში ადამიანს არ სურს სხეულად ყოფნა. ჩვეულებრივ, იმ ადამიანსაც, რომელიც ვარაუდობს, რომ სხვა არაფერია, თუ არა სხეული, ასევე არ სურს სხეულად ყოფნა, როცა შაკიკი აქვს. ფეხს იჭრის, ან წელს იტკიებს. ის თანახ-

მაა დაეთანხმოს მთელი მსოფლიოს ბერებს, რომლებიც ამბობენ: „კარგი იქნებოდა, სხეული რომ არ ვიყო“. როცა ადამიანი სხეულის ტკივილს განიცდის, იმის გაგებას ცდილობს, ნამდვილად სხეულია ის თუ არა. ამიტომ გეუბნებით თქვენ, რომ ტკივილის მომენტები შეიძლება სულიერი სწავლების მომენტებად იქცეს, ისინი შეიძლება იქცეს სადხანას მომენტებად. მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ როგორც წესი?

ჩვეულებრივ, ტკივილის დღეებში ტკივილის დავიწყებას ვცდილობთ. თუ ადამიანი გასაჭირშია, ის სპირტიანი სასმელების სმას იწყებს. ვიღაც განიცდის ტკივილს და კინოში მიდის. ვიღაც უბუდურია და ცდილობს ლოცვების კითხვითა და რელიგიური სიმღერების ღიღინით დაივიწყოს უბედურება. ეს განსხვავებული საშუალებებია ტკივილის დასავიწყებლად.

ვიღაც სვამს, მაგრამ არსებობს სხვა ტაქტიკაც – ადამიანი კინოში მიდის. ადამიანი კონცერტზე მიდის – ტკივილის დასავიწყებლად. ეს კიდევ მესამე პრაქტიკაა. ვიღაც მიდის ტაძარში და იძირება ლოცვებსა და ჰიმნებში – ეს მეოთხე სტრატეგიაა. შესაძლოა, უამრავი სახის სტრატეგია არსებობდეს: რელიგიური, არარელიგიური, საერო. ეს არ არის მთავარი. მთავარი ამ ყველაფერში ის არის, რომ ადამიანი თავისი უბედურების დავიწყებას ცდილობს. ის ამის მიღწევას ლამობს.

ადამიანი, რომელიც გარეთ გადის უბედურების დასავიწყებლად, ვერასდროს შეძლებს გამოღვიძებას უბედურების მომენტში. როგორ შეგვიძლია გავაცნობიეროთ ის, რის დავიწყებასაც ვცდილობთ? მხოლოდ გახსენების მეთოდით თუ შევძლებთ რაიმეს გაცნობიერებას. ამიტომ მხოლოდ ტკივილის გახსენებითაა შესაძლებელი მისი აღქმა.

ამგვარად, ყოველ ჯერზე, როცა უბედურებას შეიგრძნობთ, ეს შესაძლებლობად ჩათვალეთ. გააცნობიერეთ ტკივილი მთელი სიცხადით და შესანიშნავი შეგრძნება დაგეუფლებათ. როცა სრულად გააცნობიერებთ თქვენ ტანჯვას, როცა მას თვალს გაუსწორებთ, როცა არ გაექცევით ტკივილს, მაშინ მიიღებთ მისგან განრიდების ნიშანს. მაგალითად, იგრძენით, რომ ფეხი გაიჭერით. შეეცადეთ განსაზღვროთ ჭრილობის ადგილმდებარეობა, სცადეთ დააზუსტოთ წერტილი, საიდანაც ტკივილი მოდის და გაოცდებით, როცა აღმოაჩენთ. რომ ამ ტკივილის

გავრცელება ფართოდ, თავდაპირველი ადგილიდან საკმაოდ მოშორებით შეძელით.

ადამიანი აზვიადებს თავის სატკივარს. ის აფართოებს თავის უბედურებას, რომელიც სინამდვილეში არც ისე ღრმაა ამის მიზეზიც საკუთარი თავის სხეულთან იდენტიფიცირებაა უბედურება ალს ჰგავს, მაგრამ ჩვენ მას ლამფის გაფანტულ ნათებად აღვიქვამთ. უბედურება ცეცხლს ჰგავს, ის სხეულის პაწაწინა ნაწილით შემოიფარგლება. მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ. რომ ეს ლამფის დიდი ნათებაა, რომელიც მთელს სივრცეზე იფრქვევა. დახუჭეთ თვალები და შეეცადეთ განსაზღვროთ თქვენში ტკივილის ადგილმდებარეობა.

ასევე დაიმახსოვრეთ, რომ ჩვენ სხეულს მუდამ გარედან ვიცნობდით და არასდროს შიგნიდან. მაშინაც კი, თუ საკუთარ სხეულს იცნობთ, თქვენთვის ის სხვა ადამიანების თვალსაზრისითაა ცნობილი. საკუთარი ხელი თქვენ მხოლოდ გარედან გინახავთ, მაგრამ მისი შეგრძნება შიგნიდანაც შეიძლება. ეს იგივეა, ადამიანი ქუჩიდან დასჯერდეს საკუთარი სახლის ცქერას. სახლს ხომ შიდა ხედიც გააჩნია.

ტკივილი ჩნდება სხეულის შიგნითა ნაწილებში. წერტილი. რომელშიც ტკივილია, მდებარეობს სადღაც სხეულის შიგნით. მაგრამ ტკივილი ვრცელდება სხეულის გარე ნაწილებშიც. ეს იმას ჰგავს, ტკივილის ცეცხლი შიგნით ენთოს, შუქი კი გარეთ ასხივებდეს.

ჩვენ შევეჩვიეთ სხეულის გარედან ყურებას და გვეჩვენება. რომ ტკივილი დაზიანებული ადგილიდან შორს გავრცელდა თქვენ შესანიშნავ გამოცდილებას ღებულობთ, როცა სხეულის შიგნიდან დანახვას ცდილობთ. დახუჭეთ თვალები და შეეცადეთ შეიგრძნოთ, როგორია თქვენი სხეული შიგნიდან. ადამიანის სხეულს შინაგანი კედლებიც აქვს და შინაგანი საფარიც. ამ სხეულს შინაგანი შეზღუდვებიც მოეპოვება. ამ შინაგან შეზღუდვათა დანახვა თვალდახუჭულადაც შეგიძლიათ.

თქვენ უკვე ნახეთ, როგორ ადის მაღლა თქვენი ხელი დახუჭეთ თვალები და ასწიეთ ხელი. თქვენ იგრძნობთ, რომ თქვენი ხელი შიგნიდან ადის მაღლა. გარედან თქვენ უკვე იცით, რასაც ნიშნავს შიმშილი. ახლა პირველად შეგიძლიათ შეიგრძნოთ იგი შიგნიდან.

როგორც კი შიგნიდან ჩაეჭიდებით ტკივილს, ორი მოვლენა მოხდება.

პირველ რიგში, ტკივილი ისე ფართოდ აღარ გავრცელდება, როგორც ადრე გეჩვენებოდათ, ის მაშინვე პატარა წერტილზე კონცენტრირდება. და რაც უფრო აქტიურად ლოკალიზდებით ამ წერტილზე, მით უფრო დაბალი იქნება ტკივილი. დაუჯერებელი რამ მოხდება. ტკივილის არეალი შემცირდება. შემდეგ გაგაოცებთ ის ფაქტი, რომ ტკივილი ხან ქრება და ხან ჩნდება. ტკივილებს შორის მანძილი გაჩნდება. ბოლოს და ბოლოს, როცა ტკივილი გაქრება, კიდევ ერთხელ დარჩებით სახტად – რა მოუვიდა მას? ხშირად ვერც შენიშნავთ ამ ტკივილს. წერტილი ისე დაპატარავდება, რომ ტკივილი დროდადრო გაქრება, როცა ცნობიერი მის ადგილმდებარეობის განსაზღვრას მოინდომებს.

ტკივილი ზუსტად ისევე ვიწროვდება და სუსტდება ცნობიერ მდგომარეობაში, როგორც უგონო მდგომარეობაში ყოფნისას ფართოვდება. ცნობიერ მდგომარეობაში თქვენ იგრძნობთ, რომ მიუხედავად ასეთი ძლიერი ტკივილებისა და ტანჯვისა, რაც გადაიტანეთ, სინამდვილეში არც ისე ბევრი უბედურება გწვევიათ. ზუსტად ასევეა ბედნიერებასთან მიმართებაშიც. ბედნიერება, რომელსაც შევიგრძნობდით, არც თუ ისე ხშირად გვწვევია, როგორც გვეგონა. ჩვენ ბედნიერებას გადაჭარბებული ფორმით შევიგრძნობდით.

ადამიანი რომ საკუთარ ბედნიერებას ცნობიერად შეიგრძნობდეს, აღმოაჩენდა, რომ ბედნიერებაც პაწაწინა ყოფილა. უბედურებაც რომ ასევე გაცნობიერებულად განგვეცადა, მივხვდებოდით, რომ ისიც პატარავდება. რაც უფრო მეტია ცნობიერი, მით უფრო სუსტია ტკივილი და უბედურება. ბედნიერება და უბედურება იმდენად უმნიშველო ხდება, რომ უფრო ღრმა აზრით, მათ ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება. სინამდვილეში, ეს მნიშვნელობა მათ გაფართოებაში მდგომარეობს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს შეგრძნებები ადამიანის მთელ ცხოვრებას ავსებს. თუმცა, როცა მათ დიდი ცნობიერებით ვაკვირდებით, ისინი აგრძელებენ შევიწროებას, ბოლოს და ბოლოს, ისეთი უაზრონი ხდებიან, რომ სრულებით კარგავენ კავშირს ცხოვრებასთან.

მეორეც, როცა საკუთარ უბედურებას ძალიან ახლოდან დააკვირდებით, თქვენსა და თქვენს უბედურებას შორის მანძილი წარმოიშობა. სინამდვილეში ეს ყოველთვის ასე ხდება – როცა რაიმეს უყურებთ, მაშინვე თქვენსა და იმ საგანს შორის რაღაც მანძილი ჩნდება. ხედვა წარმოშობს დისტანციას. მნიშვნელობა არა აქვს, რას უყურებთ, მანძილი მაინც მაშინვე ჩნდება.

თუ ახლოდან დაუწყებთ ყურებას თქვენს უბედურებას, აღმოაჩენთ, რომ უბედურება გშორდებათ, იმიტომ რომ თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ მხოლოდ ის, რაც თქვენგან მოშორებითაა. ცხადია, თქვენ არ შეგიძლიათ დაინახოთ ის, რაც არ არის მოშორებული თქვენგან. ის, ვინც გააცნობიერებს თავის უბედურებას, ვინც სავსეა ცნობიერით, ვინც სავსეა მოგონებებით, უბედურებას სულ სხვაგვარად აღიქვამს, მოშორებით დგას მისგან.

იმ დღეს, როცა ადამიანი გააცნობიერებს განსხვავებას საკუთარ თავსა და უბედურებას შორის, როგორც კი იმის შესახებ შეიტყობს, რომ ტკივილი მისგან მოშორებით არსებობს, უგონო მდგომარეობა, რომელიც უბედურების პირმშოა, არსებობას წყვეტს. როცა ადამიანი ხვდება, რომ სხეულის ტანჯვა, ისევე როგორც სხეულის ბედნიერება, სულ სხვაგან ხდება, რომ ადამიანი შეიცნობს ამ ყველაფერს, მისი გაიგივება სხეულთან წყდება. მაშინ ის აცნობიერებს იმას, რომ სხეული არ არის.

ეს საწყისი მომზადებაა. როცა სრულდება ეს მომზადება, უკვე ადვილია სიკვდილში შესვლა გაცნობიერებულად. არა მარტო იოლია, ეს აუცილებლად მოხდება. სინამდვილეში ჩვენ არ გვეშინია სიკვდილის. როგორც არ უნდა ეშინოდეს, ადამიანი მაინც უნდა გაეცნოს სიკვდილს. როგორ შეიძლება გვეშინოდეს იმის, რაზეც არაფერი ვიცით?

ამგვარად, სინამდვილეში ჩვენ არ გვეშინია სიკვდილის, უბრალოდ სიკვდილი ჩვენს წარმოსახვაში დაავადების ფორმით არსებობს. ზუსტად ასე წარმოვიდგენთ მას. თუ ჩვეულებრივი ავადმყოფობა ასე გვაწუხებს და საშინლად ვიტანჯებით გაჭრილი ფეხის ან თავის ტკივილის გამო, წარმოიდგინეთ, როგორი ტანჯვა მოჰყვება მთელი სხეულის ტკივილს და სხეულიდან გასვლას!

სიკვდილის შიში – ეს ყველა ჩვენი ავადმყოფობის ჯამია. თუმცა, თავად სიკვდილი არ არის ავადმყოფობა. სიკვდილს არაფერი აქვს საერთო ავადმყოფობასთან, ახლოსაც კი არ არის მასთან. სხვა საქმეა, თუ ავადმყოფობა წინ უსწრებდა სიკვდილს, მაგრამ ამ ორ მოვლენას შორის არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. არასწორია ვიფიქროთ, რომ ადამიანი ავადმყოფობის შედეგად კვდება. არ არის საჭირო შეცდომაში შესვლა და იმის ვარაუდი, რომ ავადმყოფობა სიკვდილს იწვევს. შესაძლოა, საქმე პირიქითაც იყოს.

ადამიანი უახლოვდება სიკვდილს და ამდენად ავადმყოფობას ებღაუჭება. არასდროს არავინ კვდება ავადმყოფობისგან. სიკვდილის მოახლოებისას ადამიანი ებღაუჭება ავადმყოფობას. რაც უფრო ახლოსაა სიკვდილი, მით უფრო სუსტია მისი სხეული, მით უფრო მაღალია მისი მგრძნობელობა ავადმყოფობისადმი. ადამიანი დაუცველი ხდება, ის ეძებს ავადმყოფობას. იგივე ავადმყოფობა ვერაფერს დააკლებდა სიკვდილთან ახლოს მყოფ ადამიანს. შესაძლოა, ამ დროს, ავადმყოფობა ვერც მიჰკარებოდა მას.

ამიტომ არ არის მთავარი, რამდენ წამალს გასმევენ, რადგან ისინი, ვისაც სუიციდალური განწყობა აქვს, ვერასდროს გამოჯანსაღდებიან. მათი ტვინები ვერ იღებს წამალს. მათი ტვინები მუდმივად ავადმყოფობას ეძებს, ეპატიჟებიან ავადმყოფობას გაშლილი ხელებით, მაგრამ თავიანთი კარი მჭიდროდ აქვთ დაკეტილი წამლებისთვის.

არა, არასდროს არავინ კვდება ავადმყოფობით. უბრალოდ, ადამიანი იოლად ხელმისაწვდომი ხდება ავადმყოფობისთვის სიკვდილის მოახლოების გამო. ამიტომ თავიდან ავადმყოფობა მოდის, რომელსაც კვალად სიკვდილი მოსდევს. როგორც წესი, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მიზეზი ის არის, რაც პირველ რიგში ხდება, შედეგი კი ის გახლავთ, რაც მიზეზს მოჰყვება. ასე ფიქრი არასწორია. ავადმყოფობა – ეს არ არის მიზეზი. მიზეზი სიკვდილია. ავადმყოფობა – ეს უბრალოდ შედეგია.

მაშ ასე, ჩვენს ტვინებში ჩაბუდებული სიკვდილის შიში სინამდვილეში ავადმყოფობის შიშია. უპირველესად ჩვენ სიკვდილის შიშს ვბადებთ, ვაგროვებთ რა ერთად ყველა ჩვენს დაავადებას. მეორეც, საჭიროა გვახსოვდეს, რომ ჩვენ არ გვინახავს,

როგორ კვდებოდნენ ან უკვე გარდაცვლილი ადამიანები, მხოლოდ ის ვნახეთ, თუ როგორ დაავადდნენ ისინი. როგორ შეგვიძლია ადამიანის სიკვდილის დანახვა? სიკვდილი – იმდენად დიდი შინაგანი მოვლენაა, რომ არცერთ ადამიანს არ შეუძლია მისი მოწმე იყოს. დაფიქრდით ხოლმე, ვიდრე განაცხადებთ, რომ ვიღაც კვდება, რადგან ძალიან რთულია იმის დანახვა, თუ როგორ კვდება ადამიანი. დედამიწაზე ეს აქამდე არ მომხდარა.

არასდროს არავის დაუნახავს, თუ როგორ კვდება ადამიანი. ხედავდნენ მხოლოდ, როგორ ავადდებოდა იგი, როგორ მძიმდებოდა მისი ავადმყოფობა და ერთხელაც, თქვენამდე მოდის ცნობა, რომ ეს ადამიანი უკვე აღარ არის ცოცხალი. მაგრამ არსებითად არასდროს არავის შეუნიშნავს, რომ ადამიანი მოკვდა, არავის აღუწერია, თუ რა ხდება ზუსტად სიკვდილის პროცესში. ჩვენ ვხედავდით მხოლოდ იმას, რომ ადამიანი გათავისუფლდა სიცოცხლისგან.

ჩვენ არ დაგვინახავს, როგორ შეეხო ნავი მეორე ნაპირს, მხოლოდ ის ვნახეთ, თუ როგორ დატოვა მან ნაპირი. შევნიშნეთ, როგორ დატოვა ცნობიერმა სიცოცხლის ნაპირი, და განსაზღვრული წერტილის შემდეგ, თვალსაწიერიდან დავკარგეთ. სხეული, რომელიც ჩვენთან დარჩა, უკვე აღარაა ცოცხალი, არაა ისეთი, როგორიც გუშინ იყო და ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ადამიანი მკვდარია.

ჩვენთვის სიკვდილი – ეს დასკვნაა და არა მოვლენა, რომელიც პირდაპირ ჩვენ თვალწინ ხდება. ვხედავდით მოხუც ადამიანებს, ვხედავდით მომაკვდავი ადამიანის ტანჯვას, ანუ კიდურების სპაზმს, თვალების გადატრიალებას, სახის მიმიკებს, კრიჭის შეკვრას, ვხედავდით, რომ ამ ადამიანს, შესაძლოა, რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ არ შეეძლო – ყოველივე ამას ვხედავდით. ჩვენ შევაჯამეთ საკუთარი შთაბეჭდილებები და ის ჩვენი კოლექტიური გონების ნაწილი გახდა. ჩვენ შევაგროვეთ ყველაფერი, რაც ხდებოდა მილიონობით წლის განმავლობაში და სწორედ, ამის გვეშინია.

ჩვენ ასევე გვეშინია იმ სირთულეების, რასაც სიკვდილის დროს შევეჩეხებით. ამიტომ ადამიანმა გამოიგონა ეშმაკური გზები. მან გამოარჩია სიკვდილის ყველა სინამდვილე ცხოვ-

რების ყველა წარმოდგენიდან. ჩვენ ვაარსებთ სასაფლაოებს ქალაქგარეთ, რათა ხშირად არ გაგვახსენდეს სიკვდილი. სინამდვილეში სასაფლაოები უნდა განვათავსოთ ქალაქის შუაგულში, რადგან არ არსებობს ცხოვრებაში უფრო გარკვეული რამ, ვიდრე სიკვდილია. ყველაფერი დანარჩენი გაურკვეველია. სხვა რამ შეიძლება მოხდეს, ან არც მოხდეს. ერთადერთი, რისიც ღრმად უნდა გვწამდეს, ეს ზუსტად რომ სიკვდილია. სიკვდილი ყველაზე გარკვეული მოვლენაა და არავის შეუძლია მასში ეჭვის შეტანა.

ჩვენ შეგვიძლია ეჭვი შევიტანოთ ღმერთის არსებობაში, ჩვენ შეგვიძლია ეჭვი შევიტანოთ სულის არსებობაში, ჩვენ შეგვიძლია ეჭვი შევიტანოთ თავად სიცოცხლეში, მაგრამ შეუძლებელია სიკვდილი გვეეჭვებოდეს. სიკვდილი არსებობს. ჩვენ ქალაქგარეთ გავიტანეთ ის, რაც ასე გარკვეულია. თუ სახლთან დაკრძალვის ცერემონიის ჩავლისას დედა ბავშვებს დაუძახებს, რადგან ვიღაც მოკვდა. სინამდვილეში, თუ ვინმე მოკვდა, ყველას უნდა სთხოვოთ ქუჩაში გამოსვლა, რათა შეძლონ იმის დანახვა, როგორ ჩაივლის ქუჩაში მათი ცხოვრების ყველაზე დიდი სინამდვილე. ყველა განწირულია სიკვდილისთვის. არ არის საჭირო ამისი უარყოფა. მაგრამ ჩვენ ისე გვეშინია სიკვდილის, რომ მისი ხსენებაც არ გვინდა.

ასეთი ისტორია მსმენია: ერთი მოხუცი ქალი მივიდა ბერთან და უთხრა:

– სული ნამდვილად უკვდავია.

მოხუცი ადამიანები ხშირად ლაპარაკობენ სულის უკვდავებაზე, ცხადია, მხოლოდ სიკვდილის შიშით. ეს ერთადერთი მიზეზია იმისა, რომ ტაძრებში, მეჩეთებსა და ეკლესიებში უამრავ მოხუცს ვხვდებით. რატომ არის, რომ ბავშვებსა და ახალგაზრდებს არ აინტერესებთ ამგვარი ადგილების მონახულება? მათ ჯერ არაფერი გაუგიათ სიკვდილზე. ამისთვის გარკვეული დრო დასჭირდებათ, შეუძლიათ რაღაც დროით თავს სიკვდილის უარყოფის უფლებაც მიანიჭონ, შეუძლიათ დაივიწყონ ის რაღაც დროით.

როგორ შეძლებს სიკვდილის დავიწყებას მოხუცი ადამიანი? ყოველ დღე რაღაც ახსენებს ამას. დღეს ის აღმოაჩენს, რომ მისი ფეხები უარს ამბობენ სიარულზე, ხვალ მხედვე-

ლობა უღალატებს, ზოგჯერ ყურშიც არ ესმის. ყველა მხრიდან იღებს მინიშნებებს, ერთმანეთის მიყოლებით, და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მისი სხეულის ნაწილები სიკვდილს ემორჩილებიან. და, აი, ის იწყებს სიარულს ეკლესიებში, ტაძრებში, მეჩეთებში. მას არ აინტერესებს ღმერთი. მას, უბრალოდ, სურს დარწმუნდეს, მოკვდება თუ არა თვითონ, მან ხომ შეიტყო, რომ ცხოვრება დასასრულს უახლოვდება.

უცნაურია, რომ საზოგადოებას, რომელსაც სწამს უკვდავი სულის, უფრო მეტად ეშინია სიკვდილის, ვიდრე იმ საზოგადოებას, რომელსაც არ სწამს სულის უკვდავების. გადავხედოთ, მაგალითად, ჩვენს ინდოეთს. აქ, საუკუნეების განმავლობაში, მყარად სწამდათ სულის უკვდავების. და მაინც, მსოფლიოში არ მოიძებნება უფრო მშიშარა ერი, ვიდრე ჩვენი ხალხია, არსად მეგულება იმაზე უფრო მკვდარი ადამიანები, ვიდრე ჩვენ ვართ.

ხალხი, რომელიც აცხადებს, რომ სული უკვდავია, მონობაში იტანჯება ათასობით წლის განმავლობაში. რა საინტერესო ფაქტია! საოცარია, როგორ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ხალხი, რომელიც აცხადებს, რომ სული უკვდავია, ქვეყანას, რომელშიც რვაასი მილიონი ადამიანი ცხოვრობს, შეუძლია სამი მილიონი ადამიანის მონობაში იყოს. რომელ შიშს შეუძლია დაამონოს ისინი, ვისაც სჯერა სულის უკვდავების, ვისაც სწამს, რომ არასოდეს მოკვდება? რომელ შიშს შეუძლია მათ აიძულოს მტერთან შებრძოლება? რომელ შიშს შეუძლია უბიძგოს მათ ადამიანების ჩამოხრჩობისკენ? რა შაშხანებმა და ქვემეხებმა შეიძლება დააფრთხოს ასეთი ხალხი? მაგრამ არა, საქმე სხვა რამეშია.

სულის უკვდავების რწმენა – ეს, ჯერ კიდევ, არ არის სულის უკვდავების ცოდნა. სულის უკვდავების რწმენა – უბრალოდ, სიკვდილის შიშის განადგურების სტრატეგიაა, მისი ფალსიფიკაციაა, ისევე როგორც სასაფლაოების გატანა ქალაქგარეთ.

ადამიანები ყოველდღე შლიან წმინდა წიგნებს და კითხულობენ სწავლებებს სულის უკვდავებაზე, რათა შეიძინონ იმის იმედი, რომ სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლე გაგრძელდება, რომ ამ თემაზე ნერვიულობა არ ღირს. ისინი აცხადებენ: „სხეული მოკვდება, მაგრამ ჩვენ მაინც ვიცოცხლებთ“.

რის საფუძველზე ამბობთ, რომ თქვენი არსებობა სხეულისგან განსხვავებულია? თქვენ არაფერი იცით ამის შესახებ და მაინც აცხადებთ: „სხეული შეიძლება მოკვდეს, მე კი ამის შემდეგაც ვიცხოვრებ“. საქმე იმაშია, რომ წარმოდგენაც არა გაქვთ იმაზე, თუ ვინ იქნებით სხეულის გარეშე! თქვენ არ იცით, რა გააგრძელებს ცხოვრებას, როცა სხეული აღარ იქნება. ოდესმე რომ დაგესვათ კითხვა: „ვინ ვარ მე?“, მაშინ გაიგებდით, რომ არაფერი გცოდნიათ საკუთარ თავზე, გარდა იმისა, რომ სხეული ხართ.

ამგვარად, მოხუცმა ქალმა უთხრა ბერს:

– მწამს, რომ სული უკვდავია. სულს, მართლაც, არ შეუძლია სიკვდილი. რას იტყვით ამის შესახებ?

ბერმა არაფერი უპასუხა სულის უკვდავებაზე. მან, უბრალოდ, შეხედა ქალს, ჩაჰკიდა ხელი და მიუგო:

– რას ფიქრობთ სიკვდილზე? არც თუ ისე ბევრი დრო გაქვთ დარჩენილი.

ქალი დათრგუნა ბერის სიტყვებმა.

– როგორი ავი სიტყვით მომმართავთ, – უთხრა მან, - გთხოვთ, ნუ ლაპარაკობთ ასე, თქვენ ბერი ხართ, მოკრძალებული ადამიანი, და თქვენარ უნდა ლაპარაკობდეთ ასეთ საშინელებებს.

– თუ სული უკვდავია, მაშინ რატომ უნდა იყოს სიკვდილი საშიში? – ჰკითხა ბერმა, – სიკვდილი შეიძლება ცუდი რამ იყოს, მხოლოდ მაშინ, თუ სული მოკვდავია.

– მორჩით ამაზე საუბარს, – მოითხოვდა ქალი, – სხვა რამეზე გადადით. ილაპარაკეთ ღმერთზე, მოკშაზე. მე სიკვდილზე სალაპარაკოდ მოვედი?

სინამდვილეში, ადამიანები ბერებთან სწორედ იმიტომ დადიან, რომ მათგან დამამშვიდებელი საუბრები მოისმინონ საკუთარი შიშების გასაფანტად. ადამიანებს სურთ ვინმესგან მაინც გაიგონონ: „შენ არ მოკვდები“, „შენ არ ხარ ცოდვილი, სული ხომ მუდამ სუფთა და შეურყვნელია. ამბობ, რომ ქურდი ხარ? რა სისულელეა, არავინაა ქურდი. ამბობ, რომ თაღლითი ხარ? რა სისულელეა! ნუთუ სულს თაღლითობა შეუძლია?!“

შედეგად ყველა თაღლითი თავს იყრის ბერების გარშემო, რომლებიც მუდმივად ამტკიცებენ: „სული სუფთაა, გაუს-

ვრელია. ის მუდამ უცოდველი იყო, ცოდვაში მისი მხილება შეუძლებელია". და ბერის წინ მჯდომი ადამიანი, მოხუცი ქურდი, თანხმობის ნიშნად თავს აქნევს და ამბობს: „თქვენ სრულიად მართალი ხართ, თქვენო უწმინდესობავ! როგორი სიმართლეა, თქვენო უწმინდესობავ!" მას სურს სჯეროდეს. მას უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ სული სრულიად სუფთაა. ამიტომ მას შეუძლია გაითავისუფლოს თავი სიწმინდის შენარჩუნებისგან, და ამიერიდან საკუთარი უწმინდურობაც აღარ შეაწუხებს, მას ხომ არაფრის შეეშინდება.

კარგად უნდა გავიაზროთ რეალობა, რომელსაც თავიდანვე ეფუძნება ფსიქიკური მდგომარეობა. ჩვენ არ გვეშინია სიკვდილის, ჩვენ გვეშინია ავადმყოფობების და გვეშინია იმას დაკარგვის, რასაც სიცოცხლეს ვეძახით.

მაგალითად, თქვენ მაგდებთ ამ სახლიდან. მე აზრზე არა ვარ, რა არის ამ სახლის მიღმა: დიდი სასახლე, ტყე, უდაბნო – წარმოდგენა არა მაქვს ამაზე. არა ვარ დარწმუნებული. ბედნიერი ვიქნები თუ უბედური სახლის გარეშე. საერთოდ არ ვიცი. მიუხედავად იმისა, რომ სახლს გარეთ შეუცნობელია. სახლის დატოვება მაინც უბედურს მხდის. სახლი იყო ჩემი დამცველი. მასზე ყველაფერი ვიცოდი, ის ძალიან ნაცნობი იყო ჩემთვის. მაშინებს ნაცნობის დატოვება და უცხოსკენ წასვლა მართლა მეშინია უცხოსი, რადგან აბსოლუტურად უცნობია უცხო. მეშინია დავტოვო ნაცნობი.

გაგიკვრიდებათ, მაგრამ ნაცნობი იმდენად ავსებს გონებას. რომ ნაცნობ ავადმყოფობასთან განშორებაც კი გვიჭირს. ჩვენთვის ნაცნობ უბედურებასაც ვერ ველევით მარტივად. ექიმთა უმეტესობა იშვიათად კურნავს ჩვენს დაავადებებს, ისინი უბრალოდ გვარწმუნებენ ავადმყოფობის უკუგდებაში. წამლების უმეტესობა ვერაფერს აკლებს ჩვენს ავადმყოფობებს, ისინი. უბრალოდ, სიმამაცეს გვმატებენ მათთან საბრძოლველად.

ცოტა ხნის წინ, ერთი ცნობილი სწავლული ამ სფეროში ექსპერიმენტს ატარებდა. მან აირჩია ორი პაციენტი, რომლებიც ერთი და იგივე დაავადებით იტანჯებოდნენ. ერთ მათგანს ის წამლებით მკურნალობდა, მეორეს კი მხოლოდ წყალს ასმევდა. საინტერესოა, რომ ორივე პაციენტი ერთდროულად გამოჯანსაღდა. რას ნიშნავს ეს? საქმე არც წამალშია და არც

წყალში. მთავარია ადამიანი დაარწმუნო საკუთარი ავადმყოფობის უკუგდებაში. თუკი ამას წყალი შეძლებს, მაშინ პაციენტი წყლისგან იკურნება. თუკი წარმატებას ჰომეოპათიური შაქრის აბები მოიტანს, მაშინ ადამიანი აბებისგან იკურნება. თუკი საუბარია ეფექტური, ამანაც შეიძლება განგვკურნოს. თუკი პაციენტს სწამს იმ ფერფლის, რომელსაც ფაკირი აძლევს, ის ფერფლისგან განიკურნება. განგის წყლის რწმენაც მუშაობს. საქმეში ყველაფერია ჩართული.

ისეთმა უაღრესად ჭკვიანმა ადამიანმაც კი, როგორიც არისტოტელეა, გამოიგონა წამალი, რომელიც ადამიანებს სიცილს აიძულებს. უნდა ითქვას, რომ არისტოტელე ლოგიკის მამა იყო. მან გამოიგონა არაჩვეულებრივი წამალი. თუ ის არაეფექტური აღმოჩნდებოდა, მაშინ არისტოტელე არ ურჩევდა მის გამოყენებას ავადმყოფებს. წამალმა იმუშავა. მაგალითისთვის, არისტოტელე წერდა, რომ როცა ქალი მშობიარობს, მას მუცელზე ძროხის ფუნა უნდა დაადოთ და ტკივილი საერთოდ გაქრებაო. ამას წერს ისეთი ბრძენი და ჭკვიანი ადამიანი, როგორიც არისტოტელეა. ნუთუ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ქალს დაუამდეს სამშობიარო ტკივილები მუცელზე ძროხის ფუნის დადებით? საქმე იმაში იყო, რომ ეს საშუალება ნამდვილად მუშაობდა. იმის მთავარი მიზეზი, რომ ქალები სამშობიარო ტკივილებს იშორებდნენ, იმაშია, რომ ფეხმძიმე ქალს არასოდეს სტკივა მუცელი, ტკივილი უბრალოდ ბავშის გაჩენისას წარმოიქმნება.

რაც უფრო მეტად ეშინია ქალს ბავშვის გაჩენის, მით უფრო მეტ ტკივილს განიცდის. ტკივილის შიში ქალის მთელ რეპროდუქციულ სისტემას კუმშავს. ბავშვი დედის სხეულიდან გამოსასვლელს ეძებს, ქალი კი ცდილობს მთელი ორგანიზმი შეკუმშოს. ეს წარმოშობს კონფლიქტს ბავშვსა და ქალს შორის, კონფლიქტს კი ტკივილი მოსდევს. ამიტომაც ბავშვთა უმრავლესობა ღამით იბადება (ბავშვთა სამოცდაათი პროცენტი), რადგან დედა ბავშვს არ აძლევს ნებას დღისით დაიბადოს. ის მუდამ საგუშაგოზეა და ხელს უშლის ბავშვის დაბადებას. ამგვარად, ბავშვს აიძულებენ დაიბადოს ღამით, როცა დედას სძინავს, როცა ის ვერაფერს აცნობიერებს. საწყალი ბავშვების

სამოცდაათ პროცენტს არ შეუძლია დღისით დაბადება. ისინი იძულებულნი არიან ღამით დაიბადონ.

ამქვეყნად დადის ერთი ადამიანი, გვარად ლევინი, რომელიც ქალებს თავიანთ ნაყოფთან ასწავლის ურთიერთობას. ის ეხმარება ბავშვს ნაჭუჭიდან გამოსვლაში. მან მოახერხა და ათასობით ქალი ტკივილის გარეშე ამშობიარა. ის არ იყენებს არც ძროხის ფუნას, არც ინექციებს, არც შელოცვებს, არც გურუების თილისმებს – მსგავსი არაფერი. ის ქალებს ურჩევს: „მიეცით ნება ბავშვს დაიბადოს, ნუ შეუშლით ხელს, ურთიერთობა დაამყარეთ ბავშვთან. იყავით სავსენი იმ შეგრძნებით, რომ თქვენი ბავშვი დაიბადება. ეს სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ უმტკივნეულოდ იმშობიაროთ".

ათასობით ტომი არსებობს, სადაც არ გრძნობენ სამშობიარო ტკივილებს. ისინი მუშაობენ მინდორში და როცა მოდის მათი მშობიარობის საათი, ბავშვებს აჩენენ. დედა ჩვილს კალთაში იწვენს და კვლავ მინდორში ბრუნდება სამუშაოს გასაგრძელებლად.

ადამიანმა იმ ავადმყოფობებზეც კი არ თქვა უარი, რომლითაც ის, ასე დიდხანს იტანჯებოდა, ის მაგრად მოეჭიდა მათ. ადამიანები თავიანთ ჯაჭვებსაც ვერ ელევიან. ეს ფაქტი საყოველთაო ცნობილი გახდა ფრანგული რევოლუციის დროს. ქვეყნის ყველაზე საშიში დამნაშავეები ბასტილიის დიდ საპყრობილეში იხდნენ. ამ ადამიანებს სიცოცხლის ბოლომდე მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა. მათთვის არასდროს მოუხსნიათ ბორკილები, ისინი, მთელი ცხოვრების განმავლობაში, დაბმულები უნდა ყოფილიყვნენ. ბორკილებს მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ ახსნიდნენ.

რევოლუციონერებმა ციხის კედლები დაანგრიეს და დაკავებულები ციხიდან გაუშვეს. პატიმრებს დაკარგული ქონდათ ციხიდან გასვლის ყოველგვარი იმედი. ბასტილიაში ზოგი ოცი წელი იჯდა, ზოგი – ოცდაათი, ზოგი კიდევ – ორმოცდაათი. ისინი თითქმის დაბრმავდნენ. მათი ჯაჭვები მათი სხეულის ნაწილებად იქცა. რთული იყო იმის თქმა, რომ ჯაჭვები ცალკე არსებობდა, მათი სხეულები კი – ცალკე. მათ სხეულებსა და ჯაჭვებს შორის მანძილი გაქრა. ნუთუ ფიქრობთ. რომ ჯაჭვე-

ბი, რომელსაც ვიღაცის ხელები შეუბოჭავს, ოდესმე შეელევა ამ ხელებს? ისინი აუცილებლად პატიმართა ხელების ნაწილებად დარჩება.

ადამიანს ავიწყდება ის, რომ ჯაჭვები მისი ხელის ნაწილი არ არის, ისევე უფრთხილდება მათ, როგორც საკუთარ ხელებს. ყოველ დილით ასუფთავებს და წმენდს, როგორც სხეულის დანარჩენ ნაწილებს, ჯაჭვი ხომ მასთან ერთად უნდა იყოს მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში. თუ ნამდვილად ასეა, მაშინ საკითხი ამოწურულია.

ამგვარად, როცა რევოლუციონერებმა პატიმართა ჯაჭვების დამსხვრევა დაიწყეს, ბევრი მათგანი უარობდა და რევოლუციონერებთან აღიარებდა, რომ ჯაჭვის გარეშე თავს კარგად ვერ გრძნობდნენ. მაგრამ რევოლუციონერები მუდამ ბრიყვები არიან. მათ აქამდე ვერ გაიგეს, რომ ხალხთან არ შეიძლება სიჯიუტე. თუ ადამიანებს აიძულებ, უარი თქვან არსებულ ჯაჭვებზე, ისინი ახალ ჯაჭვებს გაიკეთებენ. ამგვარად, რევოლუციონერებმა ძალით დაამსხვრიეს ჯაჭვები და გაათავისუფლეს პატიმრები. ამის შემდეგ, წარმოუდგენელი რამ მოხდა. ღამით მსჯავრდებულთა ნახევარზე მეტი ციხეში დაბრუნდა. მათ განაცხადეს, რომ არ მოეწონათ თავისუფლება და ჯაჭვების გარეშე თავს შიშვლად გრძნობენ.

სავარაუდოდ, თუ ქალს იმ ოქროს სამკაულებს მოხსნით, რომელსაც მუდმივად ატარებდა, ის თავს შიშვლად, წონადაკარგულად იგრძნობს. მას ექნება შეგრძნება, რომ რაღაც დაკარგა, მასა დაკარგა. ამიტომ პატიმრებმა ითხოვეს: „დაგვიბრუნეთ ჩვენი ჯაჭვები. გვიჭირს მათ გარეშე ნასადილევზე დაძინება". ამ ჯაჭვების ხმაც კი მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის ნაწილად იქცა. დამატებით ჯაჭვის მასაც მათი ფსიქიკის, ქვეცნობიერის ნაწილად იქცა, ამიტომ ისინი გრძნობდნენ მას, როცა ძილში ტრიალდებოდნენ.

ადამიანი ნაცნობს ისე ძლიერად ეჩვევა, რომ ჯაჭვების მსხვრევის დროსაც კი ტკივილსაც განიცდის. ჩვენ იმ ნაცნობის ტყვეობაში ვართ, რომელსაც სიცოცხლეს ვეძახით. ძალიან გვეშინია სიკვდილის, სწორედ ამ ნაცნობის წყალობით. უპირველეს ყოვლისა, არ ვიცით რა არის სიკვდილი. გამოღ-

ვიძების ძირითადი პირობა უბედურების გაცნობიერებაა, რათა ადამიანმა გაიგოს, რომ ის გამოყოფილია სხეულისგან.

მეორე პირობა დამოწმების უნარია. ჩვენ არასდროს შეგვმთხვევია ისეთი რამ, როგორიცაა... საქვეყნო საქმეებით დაკავებულნი ზოგჯერ ითიშებით და ორიოდე წამით შეშდებით ერთ ადგილას. დააკვირდით, არაფერი აკეთოთ, უბრალოდ იყავით მოწმე. იმ დროს, როცა შუა ქუჩაში როგორც მოწმე იდგებით, უეცრად მოშორდებით გარესამყაროს. იმ წამს, როცა რაიმეს მოწმე ხდებით, გადიხართ მისი საზღვრებიდან, გამოდიხართ მისგან. მაგრამ ქუჩაში დგომა და მოწმედ ყოფნა ძალიან რთულია. იოლი არ არის მოწმედ ყოფნა, მაშინაც კი როცა ფილმს უყურებ.

კინოთეატრში გამეფებული სიბნელე ძალიან კომფორტულია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ფილმს უყურებენ. ადამიანს შეუძლია სიბნელეში იტიროს, თან ისე, რომ არ შერცხვეს. თუკი დარბაზიდან გამოსულ მაყურებელს ცხვირსახოცებს შევუმოწმებთ, შევიტყობთ, რაც ხდებოდა ფილმის ჩვენებისას, გავიგებთ, რამდენად ბევრი ადამიანი ტიროდა. ამავე დროს, კარგად ვიცით, რომ ეკრანზე მომხდარი შორსაა სინამდვილისგან, ეს ხომ მხოლოდ კინოა. მშვენივრად ვიცით ასევე, რომ ჩვენ მიერ ეკრანზე ნანახი – მხოლოდ ჩვენთვისაა ხილვადი, რომ სინამდვილეში ეკრანზე არაფერი ხდება. ეს მხოლოდ შუქ-ჩრდილების თამაშია, მხოლოდ და მხოლოდ სხივების შეერთებაა, რომელიც პროექციორდება დარბაზის სიღრმიდან ეკრანი სურათების დემონსტრირებასღა ახდენს. და მაინც, ყველაფერი გადმოდის ეკრანზე და ჩვენ ეკრანის მოწმენიც არ ავართ. ჩვენ მისი ნაწილი ვხდებით.

არ მიეცეთ იმის ილუზიას, თითქოს ფილმის ყურებისას მაყურებლად დარჩებით. არ შეცდეთ. ცხადია, ეკრანზე მიმდინარე კადრების მონაწილეებად გარდაისახებით და არაფრით რჩებით ფილმს მიღმა. როცა კინოთეატრში ხართ, მცირე ხნითშედიხართ ფილმში. ფილმშივე გამოხატავთ სიმპათიას ვიღაცის მიმართ, ვიღაც კი კატეგორიულად არ მოგწონთ. ერთი გმირი გეცოდებათ, მეორის გამო კი გიხარიათ. რაღაც დროის შემდეგ, როცა გმირებთან გაიგივდებით, ფილმის მონაწილენი ხდებით

მართლაც, გაგვიჭირდება ცხოვრებაში მოწმეებად დარჩენა, თუკი ფილმის ყურებისას უბრალო მაყურებლად ყოფნას ვერ შევძლებთ. ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა კინო. თუ მიმოიხედავთ, დაინახავთ, რომ ცხოვრება ძალიანაც არ განსხვავდება კინოსგან. თუ უფრო ჩაუღრმავდებით, აღმოაჩენთ, რომ როგორც ხსივთა გროვა აირეკლება კინოეკრანზე, ასევე აირეკლება ელექტრონთა გროვა ცხოვრებისეულ ეკრანზე.

ცხოვრება ელეტრონთა რთული ნახლართებისგან შედგება. ეს ელექტრონების აქტიური თამაშია. ადამიანის სხეული რომ წვრილად დაგენაწევრენინათ, ბოლო-ბოლო მასში ვერაფერს იპოვიდით, ელეტრონების გარდა. ამ ოთახის კედელები რომ დაგვენგრია და ის ელემენტი გვეძებნა, რისგანაც ის შედგება, მიხვდებოდით, რომ საბოლოო ჯამში ხელში მხოლოდ ელექტროობა შეგვრჩება. მაშ, რა იცვლება?

რით განსხვავდება კინოეკრანი ცხოვრების ეკრანისგან? ელექტრონების თამაშს კინოეკრანზეც ვპოულობთ. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ კინოეკრანებზე სურათები ორგანზომიალებიანია, ცხოვრების ეკრანზე კი – სამგანზომილებიანი. მაგრამ ეს ცოტა რამეს ცვლის. დროთა განმავლობაში, ადამიანები შექმნიან მესამე განზომილებას, რომელიც ჯერაც აკლია კინოს.

ოდესმე კინოეკრანებზე ადამიანების ისე დანახვა იქნება შესაძლებელი, როგორც ახლა მე თქვენ გხედავთ. მალე მსახიობი ეკრანიდან გადმოვა და კინოთეატრში გაისეირნებს. ეს შორს არ არის. საქმე მხოლოდ ტექნიკის განვითარებაშია, რაც არც თუ ისე რთულია. თუ სამგანზომილებიან ადამიანს შეეძლება ეკრანზე სიარული, მაშინ მისი გადმოსვლა ეკრანიდან ათიოდე ფუტის მანძილზე და დარბაზში გასეირნება მხოლოდ ტექნოლოგიების განვითარების ამბავია. და სულაც არ არის რთული ამოსაცნობი ის ფილმი, რომლის მსახიობი ქალიც ეკრანიდან გადმოსვლის შემდეგ ხელს ჩამოგართმევთ ან მოგიალერსებთ.

სრულიად საპირისპირო რამეც შეიძლება მოხდეს – კინოგმირის ჩამოსვლის ნაცვლად, თქვენ შეხვიდეთ ფილმში, ეკრანზე აღმოჩნდეთ და მსახიობს ჩაეხვიოთ. და ამისთვის პასუხს არავინ მოგთხოვთ. რათ გინდათ ზედმეტი უსიამოვნებები? ნამდვილად არაფერში გჭირდებათ. სჯობს მთელი ფილ-

მის მსვლელობისას სავარძელში იჯდეთ და კინოგმირმა თავად გასიამოვნოთ!

და რა ხდება ცხოვრებაში? რა გადმოგეცემათ, როცა ხელს გკიდებთ? როცა ხელს გკიდებთ, თქვენ ამ ჟესტს ან სიყვარულის ან მტრობის გამოვლინებად აღიქვამთ. საქმე მხოლოდ განმარტებაშია. ორივე შემთხვევაში, თქვენი ხელი ჩემს ხელშია მომწყვდეული, განსხვავება მხოლოდ ინეტრპრეტირებისას ვლინდება.

ხელის ჩამორთმევისას წამისყოფით უპრობლემოდ შეიძლება ორი მოვლენა განვითარდეს: თავიდან ხელის დაჭერა სიყვარულის გრძნობით შეიძლება, ბოლოს კი ხელები შესაძლოა მტრობამ გახლიჩოს. ეს რთული გასაგები არაა. ასეთი ცვლილებები წამში ხდება.

როცა თქვენი ხელი მიჭირავს, ჩემს ამ ჟესტს სიყვარულის გამოვლინებად მიიჩნევთ. მაგრამ რა ხდება სინამდვილეში? რა გადმოგეცემათ ჩემგან? ერთი ელექტრონები ზეწოლას ახდენს მეორე ელექტრონებზე. საინტერესოა, რომ ჩემი ხელი არასდროს ეხება თქვენს ხელს. მათ შორის აუცილებლად სივრცეა. ზოგჯერ ეს სივრცე მცირდება. როცა მანძილია, სივრცე ხილული ხდება. მანძილის შემცირებასთან ერთად, სივრცე სულ უფრო ხილვადი ხდება. თუ მანძილი ძალიან შემცირდა. სივრცე ქრება.

ამგვარად, როცა ერთ ხელს უჭირავს მეორე ხელი, მათ შორის ყოველთვის არის სივრცე. ზეწოლას სწორედ ეს სივრცე განიცდის, და არა თქვენი ხელი. შედეგად, ზეწოლა ამ ცარიელი სივრცის გავლით მოქმედებს თქვენს ხელზე. ჩვენ ამ ცარიელი სივრცის ზეწოლას სიყვარულს ან მტრობას ვეძახით

საქმე მხოლოდ განმარტებაშია. თუმცა, თუკი ადამიანი შეძლებდა ხელის ამ ჩამორთმევის მოწმე გამხდარიყო, თუკი მოახერხებდა და დააკვირდებოდა ამ პროცესს, შთამბეჭდავ მოვლენას იხილავდა. როცა ვინმე თქვენს ხელს იჭერს, ნუ იჩქარებთ გაიგოთ, ის სიყვარულს ავლენს თუ მტრობას. უბრალოდ, იყავით ხელის ჩამორთმევის მოწმე, და საკუთარი ცნობიერის სრულ გარდასახვას შეიგრძნობთ.

როცა ვიღაცის ტუჩები თქვენს ტუჩებს ეხება, დაივიწყეთ სიყვარული და ყველაფერი ამგვარი. უბრალოდ, ერთი წუთით

გახდით მოწმე. ცნობიერში ისეთი უცნაურ შეგრძნებები აღგეძვრებათ, რომელიც აქამდე არასოდეს გქონიათ. ამ დროს, შესაძლოა, საკუთარ თავზეც გაგეცინოთ.

ვიდრე სხვა ადამიანებზე გეცინებათ, თქვენ არ ხართ მოწმე. მოწმე მხოლოდ მაშინ ხდებით, როცა საკუთარ თავზე იცინით. ამ დღიდან იწყება თქვენი მოწმეობა. მთელ მსოფლიოში ადამიანები სხვებს დასცინიან და მხოლოდ სანიასინი დასცინის საკუთარ თავს. ის, ვისაც შეუძლია საკუთარ თავზე გაიცინოს, უკვე იწყებს რაღაცის დანახვას.

იყავი ცხოვრებაში მოწმე, ყველგან და ყოველ წამს. მაგალითად, სადილის დროს, უეცრად ერთი წუთით გახდით დამკვირვებელი. დააკვირდით იმას, თუ როგორ იღებს ხელი საჭმელს, დააკვირდით, როგორ ღეჭავს პირი, დააკვირდით, საჭმელი როგორ მოძრაობს კუჭისკენ. დაიცავით დისტანცია და უბრალოდ, დააკვირდით. უეცრად აღმოაჩენთ, რომ გემო გაქრა. უცებ, საჭმლის ყლაპვის პროცესს სხვა დანიშნულება გაუჩნდება. მიხვდებით, რომ თქვენ კი არ ჭამთ, უბრალოდ საკვები შთაინთქება. თქვენ უბრალოდ აკვირდებით.

არსებობს შესანიშნავი ისტორია. მოუსმინეთ მას.

ერთხელ, ერთი ბერი იმ ქალაქს მიუახლოვდა, სადაც კრიშნა ცხოვრობდა. წვიმების სეზონი იდგა და მდინარე ნაპირებიდან გადმოვიდა. ბერი მეორე ნაპირას დარჩა. სოფლის ქალებს უნდოდათ ბერის დაპურება, მაგრამ მათ გზა ჩაუკეტა მდინარემ. და აი, მათ კრიშნა შენიშნეს დაჰკითხეს:

– როგორ გადავლახოთ მდინარე? აქ ძლიერი დინებაა და ნავები ვერ შეძლებს გაღმა ნაპირამდე მიღწევას. ბერს კი რამდენიმე დღეა, არაფერი უჭამია. შემთხვევით გავიგეთ მასზე. ის მეორე ნაპირზე იცდის, რომელიც ჯუნგლებითაა დაფარული. საჭმელი უნდა მივუტანოთ. გთხოვთ, გვაჩვენე, სად შეიძლება მდინარეზე გადასვლა.

კრიშნამ უპასუხა:

– მიდით მდინარესთან და უთხარით მას, რომ თუკი ამ ბერს ცხოვრებაში არაფერი უჭამია, თუკი მუდამ მარხულობდა, გადაგვიშვი. მაშინ მდინარემ უნდა გადაგიშვათ.

ასე თქვა კრიშნამ და ქალებმაც დაუჯერეს.

ისინი მდინარესთან მივიდნენ და შესძახეს:

– ჰეი, მდინარევ! თუ ეს ბერი მთელი ცხოვრების განმავლობაში მარხულობდა, მაშინ გადაგვიშვი, გთხოვთ, რომ მასთან საჭმლის მიტანა შევძლოთ.

ისტორია გვიყვება, რომ მდინარემ, მართლაც, გაატარა ისინი. ქალები მის ფსკერზე გადავიდნენ და ბერი დააპურეს. ქალებმა უამრავი საკვები მიიტანეს, მაგრამ ბერმა ყველაფერი შეჭამა. როცა დაბრუნების დრო მოვიდა, ქალებს გაახსენდათ, რომ არაფერი უკითხავთ კრიშნასთვის უკან დასაბრუნებელი გზებისა და ხერხების შესახებ. ისინი ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ადრე მათ მდინარეს უთხრეს, რომ ეს ბერი მთელი ცხოვრების განმავლობაში მარხულობდა, მაგრამ რა უნდა ეთქვათ ახლა? ახლა ბერი ჭამდა, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი. სულაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს ის, რომ ბერი მარხულობდა, მან ხომ ქალების მიერ მოტანილი მთელი საკვები შთანთქა. ბერი საკვების მეორედ ან მესამედ დამატებასაც კი არ დალოდებია, სრულად გადასანსლა ყველაფერი. ქალები ძალიან აღელდნენ.

– რატომ გაქვთ ასეთი შეშფოთებული სახეები? რა მოხდა? – იკითხა ბერმა.

– ჩვენ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, – აუხსნეს ქალებმა, – მხოლოდ აქ მოხვედრის საშუალება ვიკითხეთ, მაგრამ არ ვიცით გასაღები, რომელიც სახლში დაგვაბრუნებს.

ბერი დაინტერესდა, თუ რა გზით შეძლეს ქალებმა მასთან მისვლა. ქალებმა მიუგეს:

– კრიშნამ გვითხრა, რომ თუკი მდინარეს გავუმხელდით. რომ ბერი მთელი ცხოვრება მარხულობდა, გაგვატარებდა.

– რაშია პრობლემა? – გაუკვირდა ბერს? – იგივე მეთოდი კვლავაც იმუშავებს. იმ გასაღებს, რომელიც აღებს. დაკეტვაც შეუძლია. ისევ ის გასაღები გამოიყენეთ.

– ისევ როგორ უნდა გამოვიყენოთ? – ვერ გაიგეს ქალებმა. – შენ უკვე მთელი საჭმელი შეჭამე.

ნაპირზე მჯდომი ბერი გულიანად ახარხარდა ქალები ვერაფერს მიხვდნენ

– ჩვენ განსაცდელში ვართ და შენ იცინი! – უსაყვედურეს ბერს.

– თქვენ კი არ დაგცინით, – აუხსნა ბერმა, – საკუთარ თავზე მეცინება. მიდით მდინარესთან და იგივე გაუმეორეთ. მიხვდებოდა მდინარე, რაზეც ვიცინოდი. გაუმეორეთ მას იგივე სიტყვები.

ქალები შიშით და ყოყმანით მიუახლოვდნენ მდინარეს და უთხრეს:

– ო, მდინარევ, გთხოვთ, გადაგვიშვი, თუკი ამ ბერს ცხოვრების განმავლობაში არაფერი უჭამია.

ცხადია, ქალებმა იცოდნენ, რომ ტყუილის ამბობდნენ, მაგრამ მდინარემ მაინც უკან დაიხია.

ქალები გაოგნდნენ. იქით მიმავალ გზაზე მომხდარი სასწაული არაფერი იყო ამ, უკანა გზაზე მომხდარ სასწაულთან შედარებით. ისინი პირდაპირ კრიშნასთან მივიდნენ და უთხრეს:

– გაოგნებულები ვართ. ვფიქრობდით, რომ სასწაული მოახდინე მაშინ, როცა პირველად გადავდიოდით მდინარეს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სასწაული ბერმა ჩაიდინა. ჩვენ მიერ პირველად თქმული სიტყვები სიმართლე იყო და ამან გაამართლა. მაგრამ იგივე გავიმეორეთ უკანა გზაზეც და მდინარემ მაინც გადმოგვიშვა!

– რა თქმა უნდა, მდინარე ვალდებული იყო გადმოეშვით, იმიტომ რომ ბერი მხოლოდ ის არის, ვინც არასდროს ჭამს, – უპასუხა კრიშნამ.

– მაგრამ საკუთარი თვალებით ვნახეთ, როგორ იღეჭებოდა ჩვენს მირთმეულ საჭმელს, – გააპროტესტეს ქალებმა.

– ბერი აკვირდებოდა იმას, თუ როგორ ჭამს საჭმელს, ზუსტად ისევე, როგორც თქვენ აკვირდებოდით ბერს, – უთხრა კრიშნამ, – ის არ იყო საჭმლის შთანთქმის პროცესის მონაწილე.

ეს მხოლოდ იგავია. არასდროს სცადოთ ამგვარად მდინარის გადალახვა, შეიძლება უსიამოვნებებში გახვიოთ რომელიმე ბერი! არცერთი მდინარე არ გაგატარებთ, და მაინც, სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ თუკი საკუთარ თავის, როგორც მოქმედის კი არა, როგორც დამკვირვებლის თვალით

შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ სიკვდილიც სცენაა, ცხოვრების უკანასკნელი სცენა.

თუკი შეძლებთ განცალკევებას თქვენივე ქმედებებისგან, მაშინ საკუთარი სიკვდილისგან განცალკევებასაც შეძლებთ. მაშინ თვალი აგეხილებათ. კვდება სწორედ ის, ვინც გუშინდელ დღემდე ჭამდა, ვინც სამსახურში დადიოდა, ვინც ქუჩაში სეირნობდა, ვინც ილანძღებოდა, იბრძოდა, უყვარდა. მაშინ თქვენ შეძლებთ კიდევ ერთ მოქმედებას, სიკვდილის სცენის დანახვას. სიკვდილიც ისეთივე ეპიზოდი იქნება, როგორც სიყვარული, სამსახური, ან საქვეყნო საქმეების კეთება. თქვენ შეძლებთ დაინახოთ, თუ როგორ კვდება ის ადამიანი, ვინც ამ ყველაფერს აკეთებდა.

ცხოვრობდა ერთი მუსულმანი ფაკირი, სახელად სარმადი. მის ცხოვრებაში შესანიშნავ, მაგრამ უცნაურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. როგორც ხდება ხოლმე, მოლებმა და მღვდელმსახურებმა მას დანაშაული დააბრალეს. ღვთისმსახური მუდამ მისტიკოსის წინააღმდეგ გამოდის. სარმადს უბრძანეს იმპერატორის სასამართლოში გამოცხადებულიყო.

მუსულმანები თავის რწმენას სუტრით გამოხატავენ. პრინციპი ასე ჟღერს: „არს ერთი ღმერთი, და არ არსებობს სხვა ღმერთი, მის გარდა. ღმერთს მხოლოდ ერთი წინასწარმეტყველი ჰყავს და მისი სახელია მუჰამედი". მაგრამ სუფისტმა მისტიკოსებმა უარი თქვეს სუტრის მეორე ნაწილზე. ისინი იმეორებენ: „არის მხოლოდ ერთი ღმერთი, და არ არის სხვა ღმერთი, მის გარდა", მაგრამ მათ უარყვეს ამ ციტატის მეორე ნახევარი: „ღმერთს მხოლოდ ერთი წინასწარმეტყველი ჰყავს. და მისი სახელია მუჰამედი", იმიტომ რომ სუფისტებს სჯერათ. ღმერთს ბევრი წინასწარმეტყველი ჰყავს. ამიტომ მუსულმანური თეოლოგია მუდამ წინააღმდეგი იყო სუფისტების.

სარმადი კი უფრო საშიში იყო. ის სუფისტურ სუტრასაც კი არ წარმოთქვამდა. მან სუფისტური სუტრის პირველი ნაწილიც უარყო: „არის მხოლოდ ერთი ღმერთი, და არ არის სხვა ღმერთი, მის გარდა". სარმადი იმეორებდა მხოლოდ მეორე ნაწილს: „...და არ არის ღმერთი...". ეს ყველა ზღვარს სცდებოდა. მხოლოდ მუჰამედის სახელი რომ განეგდო, სარმადი არ გახდებოდა ათეისტი. და უბრალოდ. სხვა არამუსულმანების

მიაკუთვნებდა თავს. თუმცა, თუ ვინმე არ არის მუსულმანი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის არაა რელიგიური ადამიანი. მაგრამ რას გახდები ისეთ ადამიანთან, როგორიც სარმადია? ის აცხადებდა: „ღმერთი არ არსებობს!"

სარმადი წაიყვანეს სასამართლოში.

– შენ ამბობ, რომ ღმერთი არ არსებობს, – უთხრა იმპერატორმა, – ეს ასეა?

– მე ნამდვილად ასე ვამბობ, – დაეთანხმა სარმადი.

– ათეისტი ხარ? – ჰკითხა იმპერატორმა.

– არა, არ ვარ ათეისტი, – უპასუხა სარმადმა, – მაგრამ ჯერ არ გამიცვნია რომელიმე ღმერთი, ამიტომ როგორ შემიძლია ვთქვა, რომ ღმერთი არსებობს? მე ვამბობ მხოლოდ იმას, რაც ჩემთვის ცნობილია. სუფისტურ სუტრაში მხოლოდ იმ ნაწილს ჩავწვდი, რომ ღმერთი არ არსებობს. არაფერი ვიცი სუტრის მეორე ნაწილზე. იმ დღეს, როცა მასაც ჩავწვდები, ყველას შევატყობინებ. როგორ შემიძლია ვიცრუო, ვილაპარაკო ის, რაც თავად არ ვიცი? რელიგიურ ადამიანს ტყუილი არ ეხერხება.

რთული სიტუაცია იყო. ბოლოს და ბოლოს, სარმადი დასაჯეს, მას მეჩეთის წინ თავი მოკვეთეს. მოჭრილი თავი მეჩეთის კიბეებზე დაგორდა. მგორავმა თავმა წამოიძახა:

– არ არის ღმერთი, გარდა ერთი ღმერთისა.

მათ, ვისაც სარმადი განსაკუთრებით უყვარდა, დანანებით ჩაილაპარაკეს:

– ბრიყვი სარმადი, თუკი მაინც აღიარებდი ამას, რატომ ადრე წარმოთქვი ასეთი უმარტივესი სიტყვები?

სარმადმა უპასუხა:

– როგორ შეიძლება ეს იცოდეს ადამიანმა, მანამ, ვიდრე თავს არ დაკარგავს? ახლა, როცა ვიცი, ვამბობ, რომ ღმერთი არის, რომ არ არის სხვა ღმერთი, ერთის გარდა. მაგრამ როგორ შემეძლო ამის თქმა, ვიდრე არაფერი ვიცოდი?

არის ჭეშმარიტებები, რომელსაც მხოლოდ მათი შეგრძნების შემდეგ შევიმეცნებთ. სიკვდილის ჭეშმარიტება ერთ-ერთი მათგანია. მაგრამ იმისთვის, რომ სიკვდილი შევიმეცნოთ, მისთვის ჯერ კიდევ სიცოცხლეში უნდა მოვემზადოთ. ადამიანს

შეუძლია სიკვდილისთვის მოემზადოს, როცა ის ცოცხალია მას, ვისაც ეს არ შეუძლია, არასწორად კვდება.

არასწორი ცხოვრების პატიება შეიძლება, მაგრამ არასწორი სიკვდილის – არასოდეს, რადგან ეს უმაღლესი წერტილია. თავად სიცოცხლის არსი და მისი ფინალია. შეიძლება გავატაროთ აქა თუ იქ ჩადენილი ესა თუ ის შეცდომა, მაგრამ ცხოვრების უკანასკნელი მომენტის შეცდომა სამუდამო შეცდომად რჩება. საინტერესოა, რომ თქვენ შეგიძლიათ შეცდომების აღიარება, მაგრამ შეუძლებელია შეცდომის გამოსწორება სიკვდილის შემდეგ, თუნდაც მისი აღიარებით და ბოდიშის მოხდით. სიკვდილი უკანასკნელ ბეჭდად იქცევა. ასე რომ. შეიძლება არასწორი ცხოვრების პატიება, მაგრამ არასწორი სიკვდილის პატიება შეუძლებელია.

დაიმახსოვრეთ, როგორ შეიძლება სწორად მოკვდეს ის. ვინც არასწორედ ცხოვრობდა? როგორც არ უნდა იყოს, ცხოვრება აუცილებლად მივა დასასრულამდე და ბოლოს და ბოლოს. მიაღწევს წერტილს, რომელშიც განგეშორებათ. სინამდვილეში სიკვდილის უკანასკნელ მომენტში განვეშორები იმას, ვინც სიცოცხლეში ვიყავი. ამ მომენტში, ყველაფერი თვალწინ დამიდგება. სიკვდილის მომენტში ჩემი მთელი ცხოვრების ჯამი ვიქნები.

ამაზე ასე ვიტყვი: ცხოვრება ფართე მოვლენაა, სიკვდილი კი – შეკუმშული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცოცხლე საყოველთაო გაფართოებაა, სიკვდილი კი – ამ საყოველთაო გაფართოების საყოველთაო შეკუმშვა, მისი მაქსიმალური დამცრობა. სიკვდილი პაწაწინაა. ყველაფერი ერთ ატომში გროვდება, ამიტომაც იმაზე უდიდესი მოვლენა, ვიდრე სიკვდილია, არც არსებობს. მაგრამ ის მხოლოდ ერთხელ ხდება თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადრე არ გარდაცვლილხართ არა! ადრე სიკვდილი ბევრჯერ დამდგარა, თუმცა, ერთ ცხოვრებაში ის მხოლოდ ერთხელ ხდება. და თუკი ძილში ცხოვრობდით, მაშინ სიკვდილიც ძილის მდგომარეობაში მოდის. მომავალ ცხოვრებაში ყველაფერი ახლდება, და სიკვდილიც თავის ერთადერთობას უბრუნდება.

ამგვარად, გაიაზრეთ, რომ ის, ვინც ცნობიერად კვდება მომავალ ცხოვრებაში ცნობიერი იბადება. ცნობიერება ხდე-

ბა მისი სიკვდილის ნაწილი. მისი ცხოვრება, ვინც ცნობიერად კვდება და იბადება, სულ სხვა დონეზე მიედინება. ადამიანი პირველად იღებს ცხოვრების მთელი არსის, მისი სიმაღლეებისა და სიღრმეების ზუსტად და გაცნობიერებულად აღქმის შესაძლებლობას. მას შეუძლია გააცნობიეროს მთელი ცხოვრების ჭეშმარიტება.

მე ვახსენე ორი მოვლენა. პირველი – იმისთვის, რომ ცნობიერად სიკვდილი შეძლოთ, გააცნობიერეთ ტანჯვა, ყურადღება მიაქციეთ მას, არ გაექცეთ ტკივილს, არ აქციოთ ზურგი უბედურებას. მეორეც, როგორც უკვე ვთქვი, ყოველდღიური საქმეების კეთებისას უეცრად შეჩერდით და გახდით საკუთარი ცხოვრებისეული მომენტის მოწმენი. მერე კვლავ განაგრძეთ საქმიანობა. თუკი, დღის განმავლობაში, შეძლებთ დააკვირდეთ საკუთარ თავს თუნდაც რამდენიმე წუთითაც, უეცრად აღმოაჩენთ, რომ ეს მსოფლიო დიდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს წარმოადგენს, საიდანაც გამოღწევა შეძელით.

როცა ვინმე გადანაშაულებთ, მაშინვე ისე მძაფრად მიგაქვთ გულთან მისი სიტყვები, რომ თავად ამ ადამიანს მხედველობიდან უშვებთ. სინამდვილეში, თქვენ მის ინფორმაციას უფრო ადრე იღებთ, ვიდრე მის ტუჩებს სიტყვები მოსწყდება თქვენ მის ინფორმაციას მანამ იღებთ, ვიდრე თქვენი შეურაცხყოფის მომყენებელი ფრაზას დაასრულებს. არსებითად. ორჯერ უფრო მეტად ილანძებით, ვიდრე ამას დამდანაშაულებელი ადამიანი ცდილობდა. თქვენი მლანძველი ადამიანი უკან იხევს იმის დანახვისას, თუ როგორ მიიღეთ მისი ლანძღვა. თქვენ ვერ ახერხებთ მოვლენების დანახვას.

თქვენ რომ რეალურად შეგეძლოთ დანახვა... შემდეგ ჯერზე, როცა თქვენ ვინმე გაგლანძღავთ, დამკვირვებლად დარჩით, ნუ იქნებით მიმღები. უბრალოდ, იდექით და დააკვირდით იმას, როგორ გლანძღავენ. შედეგად, საკუთარ თავზე გაგეცინებათ და სიცილი გაგათავისუფლებთ. თქვენ გაგეცინებთ იმაზე, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში, გულთან ახლოს მიგქონდათ ყოველი წვრილმანი. შესაძლოა, მადლობაც კი უთხრათ ამ ადამიანს და თქვენი გზით წახვიდეთ. ასეთი ქცევით. თქვენ. შესაძლოა, გაურკვეველ მდგომარეობაში და-

ტოვოთ ის ადამიანი, რადგან ასეთი ქმედება მისი გაგების მიღმაა. ის ძალიან დაიბნევა.

დღის განმავლობაში, ხანდახან წუთით მაინც დააკვირდით, რა ხდება სიბრაზისას, შურისას, სიყვარულისას, მეგობრობისას, მტრობისას, სეირნობისას, დასვენებისას და სხვა. წუთით შეაჯანჯღარეთ საკუთარი თავი და გაცნობიერებულად დააკვირდით იმას, რაც ხდება. წუთით მაინც ნუ იქნებით მიმღები, უბრალოდ დამკვირვებელი იყავით, აღიქვით მოვლენა. ამ მომენტში სრული სიმშვიდე დაგეუფლებათ, სრულად გაცნობიერებული გახდებით, რადგან ამ მომენტში აივსებით მედიტაციით. სწორედ, ეს გაცნობიერების წამია მედიტაციის წამი.

თუ ადამიანი შეძლებს ამ ორი ექსპერიმენტის ჩატარებას, ამას მოჰყვება ყოველივე ის, რასაც ითხოვთ. მაგალითად, მეკითხებით: „თუ მაძიებელი ცხოვრებაში პრაქტიკულად იყენებს ცელიბატს, დაეხმარება თუ არა ეს მას სიკვდილში? მიაღწევს გაცნობიერებას?“ სინამდვილეში, ცელიბატის მიღწევა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც მოწმე ხდება, სხვაგვარად შეუძლებელია.

ვინც თავის სისუსტეს მისდევს, აუცილებლად სექსუალური დარჩება. სუსტი ადამიანი – ეს ის არის, ვინც სავსეა ხორციელი ვნებით. მას სურს მიეცეს სქესობრივი ურთიერთობების სიხარულს. ადამიანი რომ მოწმე იყოს, მაშინ ხორციელი ვნება და სქესობრივი მიზიდულობა ნელ-ნელა გაქრებოდა მისი ცხოვრებიდან. ადამიანს რომ შეეძლოს მოწმედ დარჩენა სქესობრივი აქტის დროს, ის არ დაკავდებოდა სექსით, რადგან უაზრობად მოეჩვენებოდა ყველაფერი. იმდენად ინფანტილურად მოეჩვენებოდა ყველაფერი, რომ საკუთარ თავს ეტყოდა: „რა ხდება? რა საჭიროა ყოველივე ეს? როგორ შემეძლო აქამდე ამგვარი რამით დავკავებულიყავი? რატომ მატყვევებდა აქამდე მთელი ეს სისულელე?“ მაგრამ იმდენად, რამდენადაც მოწმეები არ ვხდებით, მუდამ ერთი და იმავე საქციელს ვიმეორებთ.

ნურასოდეს იქნებით მოწმე, თუკი კვლავ დააპირებთ საკუთარი შეცდომების განმეორებას, ამ შემთხვევაში, ხომ თქვენი ყოველი შეცდომაც განმეორდება. ყოველ შეცდომას თავისი დრო ექნება და ის პერიოდულად განმეორდება. რამდენიმე

თვის განმავლობაში რომ თქვენი ცხოვრების დღიური შეგედგინათ, აღმოაჩენდით, რომ იმათ რიცხვში ხართ, რომლებიც პერიოდულად ჭკუიდან იშლებიან.

დღეს, მეგობრისგან წერილი მივიღე. ის ჭკუიდან იშლება ყოველ ნახევარ წელიწადში, დანარჩენი ექვსი თქვე კი ჯანმრთელია. ის ხშირად მთხოვს ავუხსნა, თუ რატომ ხდება ასე. მე ვპასუხობ: „შენ შეგიძლია შეამჩნიო საკუთარი მდგომარეობის ცვლილება, რადგან შენი ჯანსაღი და არაჯანსაღი მდგომარეობის ხანგრძლივობა მკვეთრად განსაზღვრულია. სხვა ადამიანებთან სხვაგვარადაა. ისინი არაჯანსაღები არიან, მაგრამ დღის განმავლობაში ათჯერ ხდებიან ჯანსაღნი და კიდევ ათჯერ ჭკუიდან იშლებიან. ამიტომ მათ არ შეუძლიათ შენიშნონ თავიანთი მდგომარეობის ცვლილება. შენ სულიერად ავად ხარ სტაბილურად ექვსი თქვის განმავლობაში, დანარჩენი ექვსი თვე – ჯანმრთელი ხარ. კონტრასტი ძალიან მკვეთრია“. ჩვეულებრივ, ადამიანი დღეში ჭკუიდან ათჯერ მაინც იშლება, დანარჩენ დროს ნორმალურად იქცევა. და არც მან და არც სხვა ადამიანებმა არ იციან, როდის არის ჯანმრთელი, და როდის – ავადმყოფი.

თუკი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩაინიშნავთ იმას, რაც თქვენს ცხოვრებაში ხდება, თქვენთვის მაშინვე ნათელი გახდება, რომ ყველაფერი მეორდება. მაგალითად, ბრაზი ჩნდება ერთი და იმავე დროს. არა მარტო შიმშილს გრძნობთ ყოველდღე გარკვეულ დროს, არამედ ბრაზსაც გარკვეულ დროს განიცდით. საჭმელი ზუსტად თერთმეტ საათზე გინდებათ. როგორც კი თერთმეტს ან თორმეტს ჩამოჰკრავს ან შუადღის პირველს, მაშინვე შიმშილს იგრძნობთ. შიმშილს სწორედ იმ საათზე გრძნობთ, რომელზეც ყოველთვის ჭამთ. სხეული გეუბნებათ, რომ მშიერია. ზუსტად ასევე გრძნობთ დანიშნულ დროს სიბრაზეს, სექსუალურობას, სიყვარულს. ესეც ერთგვარი შიმშილია, რომელიც გარკვეულ დროს ჩნდება.

თქვენ მუდმივად იმეორებთ ერთი და იგივე შეცდომას, იმიტომ რომ არასდროს გიცდიათ გაგეცნობიერებინათ ის ფაქტი. რომ ყველა თქვენი ქმედება მოდის მექანიკური შაბლონიდან ეს პრობლემებს ქმნის. ვთქვათ, გშიათ, და ირგვლივ საჭმელი არ არის. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაიგებთ. რომ მშიერი ხართ

თუკი მოშიებისას უცებ იპოვით საკვებს, ვერასდროს გაიგებთ. რა არის შიმშილი. თქვენ უბრალოდ დახურეთ ეს საკითხი.

ზუსტად ასევე შეგიძლიათ გაიგოთ, რა არის ბრაზი, როცა მშიერი ხართ და ამ სიბრაზეს ვერავისზე ანთხევთ. მაგრამ მაინც პოულობთ მახლობლად ვიღაცას. ხანდახან ხდება ისეც. რომ მშიერი ხართ, მაგრამ გარშემო არ არის საჭმელი. თუმცა, იშვიათად ხდება ისე, რომ არ შეგეძლოთ იმის მოძებნა. ვისზეც შეიძლება გადმოანთხიოთ თქვენი ბრაზი. მაშინ, როცა სულიერის პოვნა ჭირს, ადამიანი თავის ბრაზს უსულო საგნებზე აფრქვევს. თუ ირგვლივ არავინაა, ის საკუთარ კალამს ურტყამს, ლანძღავს მას. რას იფიქრებს ეს ადამიანი, თუკი ოდესმე თავის საქციელს გააცნობიერებს? რა შთაბეჭდილება შეექმნება?

აშშ-ში ბევრი კვლევა ჩატარდა გახშირებული ავტოავარიების მიზეზების დასადგენად. ხშირ შემთხვევაში ადამიანები არიან პასუხისმგებელნი. ბრაზმორეული ადამიანი, გაუცნობიერებლად და ძლიერად აწვება გაზის პედალს. შესაძლოა, ის წარმოდგენაში ცოლის თავს აწვება ან შვილის ყელს, მაგრამ სწორედ, ამ მომენტში, მისი ფეხი გაზის პედალზეა მიბჯენილი. ამ შემთხვევაში, ექსელატორი წარმოადგენს ცოლის ან შვილის შემცვლელს. კაცი მუდმივად აწვება გაზს და ავიწყდება, რომ მანქანას მართავს. სინამდვილეში, ის თავისი ბრაზის ძალის შესაბამისად ატარებს მანქანას, მაგრამ არ იცის, რას აკეთებს საშიშროება ნათელია.

მანქანა არანაირად არ არის დაკავშირებული ამ კაცის ბრაზთან, მანქანამ არ იცის მისი ბრაზის შესახებ. ჯერ ჩვენ არ შეგვიქმნია ისეთი სისტემა, რომელსაც შეეძლებოდა მანქანის მართვა, თუ მძღოლი გაბრაზებულია. ჩვენ არ შეგვიძლია განვავითაროთ ასეთი მექანიზმი. ადამიანი აწვება ამაჩქარებლის პედალს და ავტომობილი თვლის, რომ ეს მოქმედება მისთვის ნაცნობია, რომ ადამიანს სურს სიჩქარის მომატება. მანქანამ არ იცის, რომ მან სიჩქარე უნდა შეანელოს ამ მომენტში, რომ ადამიანი არის საშიშ სიტუაციაში, რომ ადამიანს არაფრის დანახვა არ შეუძლია ამ მომენტში.

ყოველ ოცდაოთხ საათში სიბრაზისა და სექსის წუთები მეორდება ჩვენ ვმოძრაობთ დაწესებული შაბლონით. რო-

გორც მანქანა. თუ გაიღვიძეთ და ეს შენიშნეთ, შეგიძლიათ იკითხოთ: „ნამდვილად ვცხოვრობ თუ უბრალოდ წრეზე ვმოძრაობ, როგორც ხარი ატრიალებს ბორბალს?“ ცხადია, ცხოვრება არ შეიძლება ხარის მიერ ბორბლის ტრიალს ჰგავდეს. როგორ შეიძლება ცხოვრება წრეზე ტრიალებდეს, ისევე, როგორც ხარი ატრიალებს ბორბალს? ხარი უბრალოდ მექანიკურად მოძრაობს. ოდესმე გიფიქრიათ ამაზე?

წავიკითხე წიგნი ერთ შესანიშნავ ადამიანზე, რომელმაც ჩაატარა უნიკალური ექსპერიმენტი. მან შენიშნა, რომ თუკი ქუჩაში ვიღაც შეგხვდათ და გეუბნებათ: „გამარჯობა, როგორ ხარ?“, თქვენ პასუხობთ: „გმადლობთ, კარგად!“ შესაძლოა, ვერ მიხვდით, რომ ადამიანს არც გაუგია თქვენი პასუხი. მან ისე, სხვათა შორის დასვა კითხვა და არც უფიქრია პასუხის მოსმენა. ალბათ, სხვა რამის კითხვა სურდა. მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის საინტერესო კითხვით დაწყება, ცოტა არ იყოს, უცნაური იქნებოდა, მან დაიწყო კითხვით: „როგორ ხარ?“

ტელეფონშიც კი გეკითხებათ ადამიანი: „როგორაა შენი ჯანმრთელობა?“ თუმცა, მისთვის სულერთია, როგორი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაქვთ, ის ამ თემით არასოდეს დაინტერესებულა და არასდროს არც დაინტერესდება. ამიტომაც არ არის მთავარი, რას უპასუხებთ მას, ის მაინც არ აპირებს თქვენი პასუხის მოსმენას. ამ პასუხს ის, უბრალოდ, გაატარებს და სხვა რამეზე დაიწყებს ლაპარაკს.

მაშ ასე, ამ ადამიანმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა ექსპერიმენტი. ერთხელ, დილით, ვიღაცამ ტელეფონზე დაურეკა და ჰკითხა:

– გამარჯობა, როგორ ხარ?

ექსპერიმენტატორმა უპასუხა:

– ჩემი ძროხა კარგად იწველება.

– შესანიშნავია! – გამოეხმაურა მეგობარი, – და შენი ცოლი როგორაა?

ამ სიტყვების მოსმენისას მკვლევარი მიხვდა, რომ სინამდვილეში არცერთი არ უსმენს ერთმანეთს. ჩვენ უბრალოდ მექანიკურად ვღებულობთ პასუხებს.

ერთი კაცის ბიოგრაფიას გავეცანი. ეს კაცი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობდა. ნებისმიერ ქვეყანაში, რომელშიც

ის ჩერდებოდა, უამრავი ანკეტის შევსება უწევდა. ვერ ხვდებოდა, რატომ უნდა აეტანა ამდენი ანკეტის შევსებასთან დაკავშირებული წვალება. ამიტომ მათში აბსურდული წინადადებების ჩაწერა დაიწყო. ის წერდა ყველგან, სადაც მოგზაურობდა. არც ერთ ხელისუფლებას არ მოუთხოვია რაიმე ახსნა-განმარტება. მან დაწერა, რომ ხუთი ათასი წლის იყო და არავის გაუპროტესტებია. ვინ კითხულობს ამ ანკეტებს? ვის აინტერესებს? ისინი არავის სჭირდება. ცხოვრება თავისი დინებით მიედინება, მექანიკურად. ყველა პასუხი მექანიკურია ვიღაც კითხულობს: „როგორ ხარ?“ თქვენ პასუხობთ: „ნორმალურად“. კომპიუტერებსაც კი შეუძლიათ ამის გაკეთება. ერთი კომპიუტერი კითხულობს: „როგორ ხარ?“, მეორე კომპიუტერი კი პასუხობს: „ნორმალურად“. აი, სინამდვილეში ასეა საქმე არც გონებაა ამაში, არც სიფხიზლე, არც გაცნობიერება – ამაში საერთოდ არაფერია.

ადამიანმა ცოტათი მაინც უნდა გააცნობიეროს ყოველივე ეს. ადამიანი უნდა იყოს მოწმე. უბრალოდ, გაჩერდით ერთი წუთით. დაე, ნებისმიერი წუთი იქცეს თქვენთვის სიფხიზლის წუთად. მერე უცებ გამოფხიზლდით და გაკვირვებით მიმოიხედეთ. უბრალოდ, იყავით მოწმე.

თუკი შეძლებთ ამ ორ სფეროში მომზადებას, ნაკლებად გაბრაზდებით, იმიტომ რომ მოწმედმყოფ ცნობიერს არასდროს შეუძლია გაბრაზება. იმისთვის, რომ გაბრაზდეთ, უნდა გაიგივდეთ სიბრაზესთან, უნდა გახდეთ უგონო. მოწმე ცნობიერი მუდამ მიაღწევს ცელიბატს, იმიტომ რომ მისი დაპყრობა არ შეუძლია სექსუალურ მოთხოვნებს. მოწმე ცნობიერად მყოფი ადამიანი ვერასდროს გაძღება, იმიტომ რომ მას არ უწევს ფიცის დადება იმაზე, რომ დიეტაზე დაჯდება. მიუხედავად იმისა, რომ ვერ ვაცნობიერებთ ამას, საკვები თავისთავად არ წარმოადგენს ჩვენი გადაძღომის მიზეზს. ამის მიზეზი უფრო ღრმად იმალება.

განვიხილოთ ადამიანი, რომელიც მაძღრობს. ის ვერც კი აცნობიერებს, რატომ ჭამს ბევრს. ოდესმე მოგსვლიათ თავში, რომ როცა ბრაზობთ, ძალიან ბევრს ჭამთ? ოდესმე დაფიქრებულხართ ამაზე? ოდესმე შეგიმჩნევიათ გაცნობიერებულად, რომ უფრო მეტს ჭამთ, როცა სიყვარულის ნაკლებობას

განიცდით? ოდესმე აღგინიშნავთ ეს ფაქტი? ოდესმე გაგიცნობიერებიათ ის, რომ როდესაც ვიღაცის ცხოვრება სავსეა სიყვარულით, ის ბევრს არ ჭამს? როცა კაცი საყვარელ ქალს ხვდება, ის მადას კარგავს. შიმშილი ქრება სიყვარულის ნუთებში. მაგრამ როცა სიყვარული მიაკლდება, ის ხარბად ჭამს. რატომ? არსებობს მექნიკური სისტემა და ის დიდხნიანმა ფსიოლოგიურმა დამოკიდებულებამ ჩამოაყალიბა.

ბავშვი დედისგან სიყვარულსაც იღებს და საკვებსაც. სიყვარულის ყველაზე პირველ განცდას ბავშვი საკვების მიღებით იძენს. თუ ბავშვი საკვებს დედისგან არ იღებს, ის სიყვარულის ნაკლებობას განიცდის, ხოლო როცა დედა ბავშვს საკვებს სთავაზობს, ის სიყვარულს გრძნობს. ამგვარად, საკვაბი და სიყვარული – ორი სხვადასხვა გაგება კი არ არის ბავშვის თავდაპირველი შეგრძნებებისთვის, არამედ სინონიმია. ბავშვისთვის საკვებისა და სიყვარულის პირველი განცდა ერთი და იგივეა.

თუ დედას ძალიან უყვარს შვილი, შვილი მცირე რაოდენობის რძეს სვამს, რადგან მუდამ დარმუნნებულია იმაში, რომ რძეს ნებისმიერ მომენტში მიიღებს, ამდენად, არ დარდობს მომავალზე. ამიტომ ის მუცლის გადავსების არანაირ აუცილებლობას არ ხედავს. ბავშვი, რომელიც დედის ძლიერი სიყვარულით სარგებლობს, უფრო ცოტა რძეს მოითხოვს. იმ დედას კი, რომელსაც ნაკლებად უყვარს თავისი შვილი, რომელსაც არ უნდა და გულგრილად აჭმევს მას რძეს, რომელიც მუდმივად უარს ამბობს შვილზე, შვილი მეტი რაოდენობის რძეს ართმევს, რადგან ბავშვი არაფერშია დარწმუნებული. შესაძლოა, შემდგომში დედამ გამოკვებოს რძით, მაგრამ შესაძლოა არც გამოკვებოს. ვინ იცის, რამდენ ხანს მოუწევს ბავშვს შიმშილი.

სიყვარულის უკმარისობა უბიძგებს ბავშვს მეტი ჭამოს სიყვარულის სიჭარბე პირიქით, მინიმალური კვების უფლებას აძლევს. ეს მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის ნაწილი ხდება. ყოველთვის, როცა მის ცხოვრებაში სიყვარული ჩქეფს, ბავშვი ნაკლებს ჭამს. ის გადაძღომას იწყებს, როცა სიყვარული წყვეტს დინებას, თუმცა კავშირი ახლა არც ისე გამოკვეთილია. ამჯერად ეს უფრო მექანიკური შაბლონია.

ამიტომ ადამიანები, რომლებიც სიყვარულის ნაკლებობას გრძნობენ, იწყებენ გადაძღომას. მაგრამ თუ გააცნობიერებთ ამ რეალობას, ძალიან გაოცდებით. საქმე იმაში კი არ არის, როცა ნაყრდებით, ცოტას ჭამაზე დაიფიცოთ, არამედ იმაში, რომ ჯერ სიყვარულთან ახლომყოფი გრძნობა ვერ გიპოვიათ თუკი ეს გესმით, მაშინ მთავარი საკითხის ძირეულ მიზეზებში გარკვევასაც შეძლებთ. სად არის პრობლემები? რაშია საქმე?

ერთი ადამიანი იტანჯება გადაძღომით. ის ტაძარში მიდის და მუნის, ანუ ბერს ეფიცება, რომ მხოლოდ დღეში ერთხელ შეჭამს. თუმცა, ახლა ის, დღეში ერთხელ მოიხმარს ორჯერ ან სამჯერ მეტ საკვებს. ის შიმშილით იტანჯება მთელი დღის განმავლობაში და მუდამ საჭმელზე წუწუნებს. ის მანიაკად ქცეულა. ის უკვე არა მხოლოდ მშიერია, ჭკუიდან გადამცდარიცაა. საჭმლის მიმართ გიჟური სწრაფვა უვითარდება. ორი დღის განმავლობაში, საჭმელი მის ერთადერთ ინტერესს წარმოადგენს.

ინდოეთში ათასობით ბერი სევდიანად ფიქრობს საჭმელზე ისინი მანიაკები და შეშლილები არიან. მათ არ ესმით, რას უშვრებიან საკუთარ თავს, რომელ სიგიჟეში ჩაცვივდნენ. მათი მთელი დრო საჭმელზე ფიქრს ეთმობა, თითქოს სამყაროში მხოლოდ ეს დარჩა და სხვა არაფერი, რაზეც შეიძლება ვიდარდოთ, თითქოს დილიდან საღამომდე საჭმელზე ფიქრი ერთადერთი საქმიანობაა ცხოვრებაში. ისინი ფიქრობენ, რომ საკითხი გადაწყდება, თუ საჭმელი ისე მომზადდება, როგორც თავად სურთ.

ამერიკაში სტუმრობისას ვივეკანანდამ თქვა: „ჩემი ქვეყანა არ მოხვდებოდა ნანგრევებში, ჩვენი რელიგია სამზარეულოს რელიგიად რომ არ ქცეულიყო. სწორედ ამან გამოიწვია კატასტროფა“. შეიძლება რელიგიამ დაიმკვიდროს საკუთარი სახელი, თუ აღმოჩნდება, რომ ეს რელიგია, სამზარეულოს ჩარჩოებითაა შემოზღუდული? ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ არ ვიღვიძებთ და ვერ ვამჩნევთ ჩვენში რა რითია განპირობებული: არ ვიცით, რას ვაკეთებთ და როდის.

მაგალითად ალკოჰოლიკი ავიღოთ. ადამიანები თავს აბეზრებენ იმით, რომ ყველა სასმელისთვის თავის დანებებას სთხოვს. თვით ამ ადამიანსაც უნდა სმას თავი დაანებოს

მაგრამ ის არასოდეს წუხდება იმ მიზეზების დასადგენად, რის გამოც საერთოდ სხვამს. რისთვის სჭირდება უგონო მდგომარეობაში ყოფნა? ე.ი. მის ცხოვრებაში არის ის, რის დავიწყებასაც მთლიანად ცდილობს, რისი გახსენებაც არ სურს. მის ცხოვრებაში არის ის, რისი დაფარვაც უნდა.

ამ ადამიანს რომ შეეძლოს იმის გაცნობიერება, რისი დავიწყებაც უნდა, შესაძლოა, მოიძებნოს კიდეც რაიმე გამოსავალი. მაგრამ ამის ნაცვლად ის ფარავს თავის სირთულეს. გადასაფარებელს გადასაფარებელზე აფარებს, რადგან მას არ უნდა, მის მიღმა არსებულს ნათელი მოეფინოს. ეს ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში დაუღალავად მალავს თავის პრობლემებს, და მასში ყველაფერი ტყუილად იქცევა. ბოლოს და ბოლოს, დგება დღე, როცა ამ ადამიანისთვის რთული გასაგებია, რატომ უნდოდა რაღაც მოვლენის დავიწყება. ის თვითონაც დაივიწყებს ამას. თავად არ ექნება წარმოდგენა იმაზე, რატომ და როდის დაიწყო სმა.

ადამიანი, მთელი დღის განმავლობაში, ეწევა, წარამარა აძრობს კოლოფიდან სიგარეტს. შესაძლოა, ვიღაცამ შენიშნოს: „რა მიზეზით ეწევა? რატომ შეისუნთქავს და ამოისუნთქავს სიგარეტის ბოლს? ამ ბოლში უსათუოდ უნდა იყოს რაღაც საიდუმლო, იმიტომ რომ რთული წარმოადგენია ადამიანი, რომელიც ისე, არაფრის გამო ეწევა".

თუ მწეველი საკუთარ თავს დააკვირდება, შენიშნავს, რომ ყოველ ჯერზე, როცა მარტოხელად გრძნობს თავს, როცა კამპანიის გარეშეა, მაშინვე იღებს სიგარეტს. ის იყენებს სიგარეტს, როგორც მეგობარს, სულ ახლახან შეძენილ მეგობარს. ამას არ მოაქვს სირთულეები. თქვენ შეგიძლიათ ასეთი მეგობარი ჯიბეში ჩაიდოთ და სადაც გინდათ, იქ წაიღოთ. შეგიძლიათ მარტოობაშიც ნებისმიერ დროს დაკავდეთ ამ მეგობრით. ეს რაღაცის კეთებაა. გარკვეული მოსაზრებით, ეს უწყინარი საქმიანობაა. თქვენ ხომ არავის აყენებთ ზიანს. მხოლოდ თქვენს თავს ავნებთ, დიდი თუ პატარა ხარისხით. თქვენ უბრალოდ აბოლებთ, თავს ისაქმებთ, სულ ეს არის.

ერთხელ, მატარებლით ვმგზავრობდი. თვისება მაქვს, იმდენ ხანს ვიძინო ჩუმად მატარებელში, რამდენსაც ხანსაც შევძლებ. ჩემს თანამგზავრს ძალიან აწუხებდა ის, რომ მეძინა.

რამდენჯერმე სცადა გავეღვიძებინე. როცა ექვსაათიანი ძილის შემდეგ ავდექი, დავიბანე და კვლავ მოვემზადე ძილისთვის, ამ ადამიანმა მეტის მოთმენა ვერ შეძლო. „რას აკეთებთ? – მკითხა მან, – მე უკვე ათჯერ წავიკითხე ერთი და იგივე გაზეთი, რამდენჯერმე გავაღე და დავკეტე ეს ფანჯარა, და თქვენ ისევ მშვიდად გძინავთ. არასდროს მომიწევია ამდენი სიგარეტი. კარგი იქნებოდა, თუ ადგებოდით“.

ის მართალი იყო. ადამიანი ბრბოშიც მარტოა, გარშემო იმდენი ადამიანია: ცოლი, ვაჟები, გოგონები, მამა, დედა, სხვა ნათესავები, მთელი მასაა ხალხის... მაგრამ ადამიანი მაინც მარტოა.

აქამდე ვერ გავუმკლავდით მარტოობას, ამიტომ ასეა თუ ისე, ადამიანი მუდამ რაღაცას აკეთებს იმისთვის, რომ სიმარტოვეს გაექცეს. ის ეწევა და თამაშობს კარტს. ის კარტს თამაშობს არა მხოლოდ სხვა ადამიანებთან, საკუთარ თავთანაც კი. სიგიჟე კულმინაციას აღწევს, როცა ადამიანს ხელიდან ხელს ათამაშებს. თქვენ შეგიძლიათ მოძებნოთ ყველაზე გონიერი ადამიანი, რომელიც ასე იქცევა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ე.წ. ყველაზე გონიერი ადამიანი – სინამდვილეში, სულაც არ არის ყველაზე გონიერი. რატომ? ადამიანმა ეს მდგომარეობა უნდა გააცნობიეროს, უნდა იყოს მოწმე. თუ ეს ადამიანი, რომელიც ორივე ხელით თამაშობს, წუთით მაინც შეძლებდა ცნობიერის მოკრებას და დამკვირვებლის თვალით გადახედავდა მოვლენებს, განა არ გაიცინებდა საკუთარ ქმედებებზე? ნამდვილად გაიცინებდა. ის გაოცდებოდა: „რა ხდება? რას ვუშვრები საკუთარ ცხოვრებას?“

თუკი ადამიანის მდგომარეობას ნათელი მოეფინებოდა, მას არ მოუწევდა ათასგვარი ფიცის დადება. ამ შემთხვევაში, ადამიანს არ დასჭირდება რაიმეს უარყოფა, რადგან უაზრო საგნები თავისთავად გაქრება. თუ ადამიანი აცნობიერებს ძირეულ მიზეზებს და აგრძელებს მათ სიღრმისეულ გააზრებას, ის მიაღწევს წერტილს, სადაც ეს მიზეზები შეიძლება აღმოიფხვრას ყოველგვარი პრობლემების გარეშე.

დაიმახსოვრეთ, რომ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, თუკი ხეებიდან ფოთლების მოცლას დაიწყებთ, რადგან

თუ ხეს ერთ ფოთოლს მოაცლით, სანაცვლოდ ოთხი ახალი ფოთოლი ამოვა. ხე ვარაუდობს, რომ ნერგი გინდათ, ამიტომ არაფერში გადანაშაულებთ. ხე ფიქრობს, რომ თქვენ, შესაძლოა, ოთხი ფოთოლი გსურთ და ამ ერთი ფოთლით დაიწყეთ. ხე ოთხ ფოთოლს ზრდის. ოთხი ფოთლის დანახვისას თქვენ პანიკაში ვარდებითდა ოთხივე ფოთოლს გლეჯთ. მაშინ ხე თექვსმეტ ახალ ფოთოლს ისხამს!

არა, საჭიროა პრობლემები ფესვებიდან ამოვძირკვოთ, მათ უბრალო მოჭრა არ უშველის. ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს ფესვებზე, მუდამ ფოთლებით ვერთობით.

არიან ადამიანები, რომლებიც იფიცებიან, რომ ცელიბატს შეინახავენ. ერთხელ, მეგობართან ერთად, კალკუტას ვსტუმრობდი. ჩვენი მასპინძელი იყო სამოცდაათი წლის კაცი, ერთ-ერთი უპატიოსნესი ადამიანი, რომელიც კი გამიცნია. გულწრფელად და ნდობით მომმართა:

– გთხოვ, მითხარი, როგორ მოვიქცე. ცხოვრების განმავლობაში, უკვე სამჯერ დავდე პირობა, რომ ცელიბატს შევინახავდი.

ამ კაცის სიტყვები საინტერესოდ ჟღერდა, მაგრამ ყველაზე საგულისხმო ის გახლდათ, რომ მათ ჩემს მეგობრებზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვეს.

– სამჯერ? – აღმოხდა მას.

– შენ გესმის, რას ნიშნავს სამჯერ დაფიცება? – ვკითხე მეგობარს. მერე კი მოხუცს მივუბრუნდი:

– რატომ არ მიეცით პირობა მეოთხედაც? თქვენი მესამე აღთქმა წარმატებული იყო?

– არა, – შერცხვა მოხუცს, – მესამედ პირველი ნერვიული აშლილობა დამემართა.

ის, მართლაც, პატიოსანი ადამიანი აღმოჩნდა. თუკი მან სამჯერ მისცა პირობა, მაშინ სამივეჯერ დაარღვია ის. ყოველი მიცემული პირობის დარღვევის შემდეგ, უცილობლად მცირდებოდა საკუთარი თავისადმი რწმენა. მეოთხედ კაცმა ვერ შეძლო სიმამაცის გამოვლენა.

და მე ვუთხარი მას:

– ბერი, რომელმაც გაიძულათ პირობის მიცემა, სინამდვილეში თქვენი მტერია. თქვენ ის მეგობრად ჩათვალეთ. მან

მთლიანად გაანადგურა თქვენი ნება და ახლა, სამოცდაათი წლის ასაკშიც კი არ გყოფნით სიმამაცე ცელიბატის აღთქმის დასადებად.

რა არის ამის მიზეზი? საქმე ფოთლებშია. თქვენ წყვეტთ ერთ ფოთოლს, მის ადგილას სამჯერ მეტი ფოთოლი ჩნდება. რომელ ცელიბატის პირობის შესრულებაზეა ლაპარაკი?

არ არსებობს აღთქმა ცელიბატის შენარჩუნებისთვის. ადამიანმა მხოლოდ უნდა გაიგოს, რა არის სექსუალური სურვილი. თქვენ უნდა გააცნობიეროთ სექსუალური ლტოლვა. ცელიბატის ნაყოფი წარმოიშობა სექსის გაცნობიერებით. როცა ადამიანი აცნობიერებს თავის სექსუალურ სურვილს, ესმის მისი, იკვლევს და განიცდის მას, ის მოულოდნელად ეუფლება თამაშს, რომელშიც მოხვდა.

ეს თამაში არ განსხვავდება კარტის თამაშისგან, რომელიც ადრე ვახსენე. მთელი ეს თამაში სექსია. ეს სხვა არაფერია, თუ არა იმავე კარტის თამაში. როცა ამის გაცნობიერება ისარივით აღწევს ადამიანის შინაგან არსებაში, ის უეცრად ხვდება, რომ ცელიბატს მიაღწია. ბრახმაჩარია, ცელიბატი – ეს არანაირი აღთქმა არ გახლავთ.

დაიმახსოვრეთ, რელიგიას არაფერი აქვს საერთო აღთქმასთან. ადამიანები, რომლებიც ფიცს დებენ, არასდროს არიან რელიგიურები, მათ არც შეუძლიათ ასეთები იყვნენ. რელიგიური ადამიანი ის არის, რომლის ცხოვრებაშიც აღთქმა ისევე ყვავილობს, როგორც ნაყოფი, როგორც შედეგი. რაც უფრო აქტიურად აკვირდება ის ცხოვრებას, მით უფრო ხშირად ამჩნევს, რომ რაღაც მუდმივად იცვლება.

მაგალითად, ადამიანი აგროვებს ფერად ქვებს. თქვენ შეგიძლიათ გაუჯავრდეთ მას და ამ ქვების გადაყრა უბრძანოთ, მაგრამ ამაოდ, ის თქვენ ყურს არ დაგიგდებთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ ფერადი ქვებია, ადამიანი მათ ფერად ბრილიანტებად აღიქვამს. მათი ელვარებისა და ბრწყინვალების ხილვისას, ის ფიქრობს, რომ მის წინ ბრილიანტები ყრია. ცხადია, რომ მას არ შეუძლია მათი გადაყრა. ის ამბობს: „ჩვენ ღმერთებად მივიჩნევთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამგვარ ქვებზე უარს ამბობენ. მაგრამ ჩვენ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და ვერაფრით ვიტყვით მათზე უარს“.

იგივე ადამიანი, რომელიც გაბნეულ ბრილიანტებს წააწყდა, ყველგან ბრილიანტებს ხედავს. საჭიროა თუ არა მისი დარწმუნება იმაში, რომ სასწრაფოდ უნდა შეელიოს თავის ფერად ქვებს? მომხდარის გაცნობიერებამდე ის გადაყრის ამ ქვებს, გაიქცევა გაბნეულ ბრილიანტებთან და პეშვებს გაივსებს. და თუ მოგვიანებით ვინმე ჰკითხავს, რა უყო ქვებს, რომელიც ხელში ეჭირა, შესაძლოა უპასუხოს: „მადლობა, რომ გამახსენეთ. სრულიად გადამავიწყდა ისინი. არ ვიცი, მათ რა მოუვიდა. არც კი მახსოვს, როდის გადავყარე“. როცა ადამიანს ცხვირწინ ბრილიანტები აქვს, მაშინვე უნდა გააგდოს ხელიდან სხვა ყველაფერი.

ცხოვრება – ეს დადებითი მოძრაობაა ზევით, და არა უარყოფითი მოძრაობა ქვევით. ცხოვრება – ეს დადებითი მიღწევაა, და არა უარყოფითი უარყოფა. როგორც დამკვირვებელი ცნობიერის გაღრმავებასთან ერთად, დღის შუქზე გამოდის ახალი დონის ნეტარებანი. უბედურება ფენა-ფენა გვცილდება და უამრავი ნაგავიც მიჰყვება. თქვენ გამუდმებით ყრით კენჭებს და ხელებში ბრილიანტები გიჩნდებათ. ეს ორი მოვლენა, ანუ არარსებულის მოშორება და არსებულის შეძენის მუდამ შეუწყობს ხელს იმის გაგებას, თუ რა პრიორიტეტი წამოსწიეთ თქვენს კითხვაში.

ამგვარად, დაე, თქვენთვის უბედურების გაცნობიერება იყოს აქტიური და მწვავე. ამ მდგომარეობაში მოეშვით საკუთარი თავის სხეულთან გაიგივებას. დაე, ნუ იქნება თქვენი ცნობიერი თქვენივე სხეულის ნაწილი. იყავით მოწმე, და არა ის, ვინც განიცდის თავის ყოველდღიურ ქმედებებსა და საქციელს.

ნება მომეცით, გიამბოთ პატარა ისტორია და აგიხსნათ, რასაც ვგულისხმობ. ყოველთვის მომწონდა ეს ისტორია.

სულ ცოტა ხნის წინ, ზეიმობდნენ იშვარჩანდრა ვიდიასაგარას დაბადების დღეს. ერთხელ, ის წავიდა რომელიღაც პიესის სანახავად. იშვარჩანდრა, თავის დროზე, ცნობილი ფიგურა იყო, ძალიან ინტელიგენტი ადამიანი. როგორც საპატიო სტუმარი, იშვარჩანდრა პირველ რიგში დაჯდა. დაიწყო სპექტაკლი, რომელშიც ასეთი სცენაც იყო – ვიღაც გარეწარს მდგომარეობიდან გამოჰყავდა ქალბატონი – წარმოდგენის ერთ-ერთი

მთავარი პერსონაჟი. ყოველნაირად ცდილობდა ქალისთვის დისკომფორტი შეექმნა. სცენამ კულმინაციას მიაღწია, როცა ბნელ ღამეს, ჯუნგლებში ეს ავაზაკი ქალს დააცხრა. ბნელი ღამე იყო, გარშემო სიჩუმე სუფევდა და ახლომახლო სულიერი არ ჭაჭანებდა. ავაზაკმა დაიჭირა ქალი, ქალმა შეჰკივლა, მაგრამ მისი ხმა მხოლოდ ექოდ გაჟღერდა უსიერ ტყეში.

იშვარჩანდრა უყურებდა ამ სცენას. ის სათნო ადამიანი იყო და უკვე არ შეეძლო ავაზაკის ამგვარი ქმედების ატანა. მან ვერ შეძლო გრძნობების შეკავება, ისე გაბრაზდა, რომ სულ დაავიწყდა, რომ უბრალოდ პიესას უყურებდა. გაიხადა ფეხსაცმელი, სცენაზე აიჭრა და ავაზაკის ცემა დაიწყო. გამეტებით ურტყამდა მსახიობს! მსახიობმა აიღო იშვარჩანდრას ფეხსაცმელი და შუბლზე მიიდო, რითიც იშვარჩანდრასადმი საკუთარი მადლიერების დემონსტრირება მოახდინა.

მსახიობმა უფრო მეტი გაგება გამოავლინა, ვიდრე იშვარჩანდრამ. მან აუდიტორიას მიმართა და თქვა: „ამაზე დიდი ჯილდო, ვიდრე დღეს მივიღე, არასდროს მიმიღია. მსახიობის ოსტატობამ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, თუკი ასეთმა ჭკვიანმა ადამიანმა, როგორიც იშვარჩანდრაა, ჩათვალა, რომ ეს პიესა ნამდვილი ცხოვრებაა“.

იშვარჩანდრას მსახიობმა უთხრა: „ძვირფასო ბატონო, მე თქვენს ფეხსაცმელს დავიტოვებ, როგორც საგანძურს. მე თქვენ არ დაგიბრუნებთ მას. ის ჩემს უდიდეს ჯილდოდ დარჩება“.

თუკი ისეთმა ადამიანმა, როგორიც იშვარჩანდრაა, პიესა ნამდვილ ცხოვრებად მიიჩნია, როგორ შეძლებენ რიგითი ადამიანები, ისეთები, როგორებიც ჩვენ ვართ, რეალობისა და არარეალობის გარჩევას? მაგრამ მოწმედ ყოფნის რამდენიმე ექსპერიმენტის შემდეგ ჩვენ შეგვეძლება ამის გაგება, რადგან რეალობა სპექტაკლად მოგეჩვენება. თუ ეს მოხდება. მაშინ სიკვდილის ცნობიერად მიღებასაც მოვახერხებთ.

მეცამეტე თავი
ეზოთერული მეცნიერება

ერთ-ერთ ლექციაზე თქვენ აღნიშნეთ, რომ თუ ღრმა მედიტაციის დროს კაცის ან ქალის გასხივოსნებული სხეული, ანუ თხელი სხეული ფიზიკური სხეულიდანგამოვა, ის ვერ დაბრუნდება მასში საპირისპირო სქესის ადამიანის დახმარების გარეშე, რადგან ასეთი ადამიანის შეხებისას ჩნდება ელექტრონული კონტური, და ცნობიერი, რომელიც სხეულიდან გამოვიდა, მაშინვე ჩაბრუნდება უკან. თქვენ თქვენი შეგრძნებებიც კი გაგვიზიარეთ, რომელიც გქონდათ, როცა ხეზე მჯდომი მედიტირებდით. და აი, ჩემი კითხვაც: რატომ არის საჭირო ამ ტექნიკის დროს, საწინააღმდეგოსქესის ადამიანი? როდის არის ის საჭირო? ნუთუ არ არის შესაძლებელი, სხვა ადამიანის დახმარების გარეშე ფიზიკურ სხეულში დაბრუნება? რაშია პრობლემა?

ერთი რამ უნდა გაიცნობიეროთ. უპირველეს ყოვლისა, მთელი მსოფლიო სისტემა დაფუძნებულია პოლარულობასა და უარყოფაზე. უსათუოდ იპოვით ორ შემადგენელს – დადებითსა და უარყოფითს, იქ, სადაც მიზიდულობაა. ქალისა და კაცის განყოფა, სქესობრივი ნიშნით განყოფა, – ეს ამ გაცილებით ფართო პოლარულობის ნაწილია.

ელეტროობის ენაზე დადებითი და უარყოფითი პოლუსები დიდი ძალით მიიზიდავს ერთმანეთს. იგივე პრინციპი დევს ქალისა და კაცის უერთიერთლტოლვაში. არ არის ფუნდამენტური განსხვავება ამ მოვლენის ბუნებასა დარკინის ნაწილაკების მაგნიტისადმი მიზიდულობაში. რკინის ნაწილაკს რომ შეეძლოს ლაპარაკი, ის იტყოდა: „მე მაგნიტი შემიყვარდა და მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია, მე ან მასთან ერთად ვიცხოვრებ, ან მასთან ერთად მოვკვდები“. რკინის ნაწილაკს რომ შეეძლოს ლაპარაკი, ადამიანებზე ნაკლებად არ დაწერდა ლექსებს სიყვარულზე. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ

მას ლაპარაკი არ შეუძლია, დანარჩენ ლტოლვაში ყველაფერი იგივეა. თუ შეძლებთ ამ ლტოლვის ბუნების გაგებას, იოლად გააცნობიერებთ სხვა რამესაც.

ამ ლტოლვას განიცდის ყველა ადამიანი, მაგრამ ის შეიძლება ფასეული იყოს სულიერი თვალსაზრისითაც. განსაზღვრულ პირობებში ის გარდაუვალი ხდება. მაგალითად, თუ კაცის თხელი სხეული ოდესმე შემთხვევით გავა ფიზიკური სხეულიდან, წინასწარი ვარჯიშის გარეშე ან სულიერი პრაქტიკის გარეშე, მისთვის რთული იქნება უკან დაბრუნება. ზუსტად ასევე, თუ ქალის თხელი სხეული ფიზიკური სახეულიდან შემთხვევით გავიდა, ან ავადმყოფობისას, ან ორგანოების დაზიანების ან სულიერი ვარჯიშების შესრულების დროს, ერთი სიტყვით, დაუგეგმავად, მაშინ თხელი სხეულისთვის ძალიან ძნელი იქნება ფიზიკურ სხეულში დაბრუნება, რადგან ასეთ შემთხვევაში ადამიანმა არაფერი იცის როგორც სხეულიდან გასვლის, ისე სხეულში დაბრუნების მეთოდზე. და ამ სიტუაციაში შეიძლება სარგებლობა მოიტანოს საწინააღმდეგო სქესის მიზიდულობის წერტილმა.

ქალის შეხება ეხმარება კაცის თხელ სხეულს ფიზიკურ სხეულში დასაბრუნებლად. ეს იგივეა, შუშის ნატეხი მოათავსო მაგნიტსა და რკინის ნაწილაკს შორის. რკინა მიიზიდება მაგნიტთან, თუმცა, მათ შორის შუშის ნატეხია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ კაცის ფიზიკური სხეული პარტნიორების თხელ სხეულებს შორისაა, ქალის შეხება თხელი სხეულის დაბრუნებას შეუწყობს ხელს. მაგნიტური ძალა ამას შესაძლებელს გახდის. ზუსტად ასევე ქალის თხელ სხეულსაც შეიძლება დაბრუნებაში დავეხმაროთ, თუკი ისშემთხვევით გავა ფიზიკური სხეულიდან. მაგრამ ეს დახმარება თხელი სხეულის შემთხვევითი გამოსვლისთვისაა, მაგრამ ეს არ არის საჭირო, თუ ექსპერიმენტი წინასწარ დაიგეგმა. რატომ ხდება ასე?

თუკი ჩემი წინანდელი საუბარები მოისმინეთ, შეიძლება გაიხსენოთ, რას ვამბობდი იმაზე, რომ კაცის პირველი სხეული კაცურია, და მეორე სხეული – ქალური. ქალის პირველი სხეული ქალისაა, მეორე სხეული კი – კაცის. თუ ადამიანმა სხეულიდან გამოსვლის ნება მისცა თავის თხელ სხეულს განსაკუთრებული ვარჯიშებით. მაშინ მას არ სჭირდება ქალის

სხეული. მას შეუძლია გამოიყენოს საკუთარი მეორე სხეული, ანუ ქალის სხეული, თხელი სხეულის დასაბრუნებლად. ამ შემთხვევაში სხვა ქალი არ არის საჭირო. თუმცა, ეს შესაძლებელია, თუ ექსპერიმენტი კარგად არის დაგეგმილი, რათა თხელი სხეულის გასვლა შემთხვევით არ მოხდეს.

როცა ასეთი მოვლენა შემთხვევით ხდება, თქვენ ვერ აცნობიერებთ, რომ თქვენში სხვა სხეულებია, ასევე წარმოდგენა არ გაქვთ იმაზე, როგორ მოქმედებს ეს სხეულები და როგორ უნდა გამოიყენოთ ისინი. პრინციპში, კაცის თხელ სხეულს შეუძლია ქალის დახმარების გარეშე, მაგრამ ის ისევე შემთხვევით დაბრუნდება, როგორც გავიდა. როგორც არ უნდა იყოს, ძალიან დარწმუნებულებიც ნუ იქნებით მის დაბრუნებაში.

არავის ჩაუტარებია იმდენი ექსპერიმენტი ადამიანის შინაგან ცხოვრებაზე, რამდენიც ტანტრიკის[1],ამიტომ ყოველი ტანტრის ჯგუფში, რომელშიც მიდიოდა უდიდესი სამუშაოები ადამიანის შინაგან სხეულზე, ქალის დასწრება გახდა აუცილებელი. მაგრამ არა ჩვეულებრივი ქალის, არამედ განსაკუთრებულის. ტანტრაში ქალიშვილები დიდად ფასდებოდნენ, რამდენადაც, თუ ქალს მრავალ კაცთან ჰქონდა სქესობრივი კავშირი, მაშინ მისი მაგნიტური ძალა იფანტებოდა. ზუსტად ამ ერთადერთი მიზეზით ტანტრიკებს ქალიშვილები სჭირდებოდათ.

თუ ქალს სქესობრივი კავშირი ერთ კაცზე მეტთან ჰქონდა, ან მრავალჯერ ჰქონდა ერთ კაცთან, მაშინ მისი მაგნიტური ძალა ეცემა. სიბერე – ეს ერთადერთი მიზეზი არ არის, რის გამოც ქალი მიმზიდველად არ გამოიყურება. იგივე ითქმის კაცებზეც. ყველაზე მთავარი მიზეზი იმაშია, რომ სუსტდება მათი პოლარულობა: კაცი კარგავს კაცურ თვისებებს, ქალი – ქალურ თვისებებს. თუ ადამიანები სიბერემდე შეძლებენ დარჩნენ ქალებად და კაცებად, მაშინ ისინი არასდროს დაკარგავენ თავიანთ მიმზიდველობას. ადამიანთა კაცებად და ქალებად ბოლომდე დარჩენის დინამიკა – ბრახმაჩარიას, ცელიბატის არსიც ეს არის.

აშშ-ში ცხოვრობს ქალბატონი, რომელიც სამოცდათ წელს

[1] ტანტრიკი – მასწავლებლები, რომლებიც მედიტირებდნენ საიდუმლო ადგილებში. ჩვეულებრივ ადამიანთაგან დაფარულად.

გადამცდარია. ამ ქვეყანაში არავის ძალუძს მასზე მომხივლელი იყოს. ამ ასაკშიც კი მას პოლიციის განსაკუთრებული დაცვა სჭირდება. ცხადია, ამ ქალმა წარმატებას მიაღწია სამოცდაათ წლამდე თავისი მაგნიტური ელემენტების შენახვის წყალობით. კაცსაც შეუძლია იგივე გაკეთოს. ამ დარბაზში ზის პრიტვისინგჰი. მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე ძალიან მოხუცია, მასში უხვადაა ახალგაზრდული ელემენტები. მან შეინარჩუნა თავისი მაგნიტური ძალა დიდი დროის განმავლობაში მან მოახერხა და როგორღაც შეძლო დღემდე სიბერეშიც კი შეენარჩუნებინა მიმზიდველი იერი.

ამგვარად, ტანტრაში ქალიშვილები გახდნენ ფასეულნი მაძიებლის ცნობიერის მოსაზიდად ფიზიკურ სხეულში. ამ ქალიშვილებს თავიანთი სისუფთავე სათუთად უნდა შეენარჩუნებინათ, რათა მათი მაგნიტური ძალა არ შემცირებულიყო არის ამ ძალის გასაზრდელი მეთოდები, და არის მეთოდები. მათ შესამცირებლად. სხვადასხვა ასანი[2], ანუ სხეულის პოზა. როგორცაა სიდდხასანა და პადმასანა, შეგნებულად შემუშავდა, რათა თავიდან აეცილებინათ სხეულიდან ამ ენერგიის გამოსვლა.

ჩვენს სხეულში არის განსაზღვრული წერტილები, საიდანაც მაგნიტური ენერგია გარეთ გამოდის. მაგალითად, ის ჩვენი თითებიდან იღვრება. იმისათვის, რომ ენერგია გარეთ გამოვიდეს, მისთვის აუცილებელია საჩვენებელი თითის გავლა. ენერგიას არ შეუძლია გამოვიდეს რაიმე მრგვალიდან, ამ შემთხვევაში ის წრეზე დადის. ენერგია გამოდის ასევე ფეხის თითებიდან. ამგვარად, მტევნები და ტერფები – მაგნიტური ენერგიის გადინების ორი მთავარი წყაროა. ამიტომ სიდხასანაში ან პადმასანაში აუცილებელია შეაერთოთ ხელები და ფეხები, რათა ენერგია ერთი ხელიდან მეორეში გადავიდეს და გარეთ არ აღმოჩნდეს.

თვალები – კიდევ ერთი წყაროა, საიდანაც გამოედინება მაგნიტური ენერგია. თუმცა, ეს ენერგია დინებას წყვეტს, თუ ადამიანი იეშმაკებს და თვალებს დახუჭავს. გაოცდებით, როცა შეიტყობთ, რომ ენერგია არა მარტო გახელილი. არამედ კარ-

[2] ასანები - სხვადასხვა პოზა იოგაში

გად დახუჭული თვალებიდანაც იღვრება. ენერგია არ გადმოდის, როცა თვალები ნახევრად დახუჭულია. როცა თვალები ნახევრად ღიაა, ან ნახევრად დახუჭულია, იქმნება სიტუაცია, როცა თვალებში შექმნილი კონტური ინგრევა. ენერგიას ერთდროულად სურსგარეთ გამოსვლა და შიგნით დარჩენა. ენერგია ორად იყოფა – ენერგიის ერთ ნახევარს გარეთ გასვლა უნდა, მეორე ნახევარს კი – შიგნით ყოფნა სწადია. ორივე ენერგია ავსებს და უარყოფს ერთმანეთს. ამიტომ თვალების ნახევრად დახუჭვა ძალიან მნიშვნელოვან ასპექტად იქცა ტანტრაში, იოგასა და სხვა სისტემებში.

თუ ენერგია ყველა მხრიდან დაკონსერვდა და ადამიანი თავის თავში საპირისპირო სხეულს შეიგრძნობს, მაშინ სხვა სქესის ადამიანი საჭირო აღარაა. თუმცა, ხანდახან ყველაფერი შემთხვევით ხდება. მაგალითად, მედიტაციისას დგება მომენტი, როცა ეს მოვლენა ადამიანის ცოდნის გარეშე მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გარეშეთა დახმარებაც გამოვიყენოთ. მაგრამ დახმარება საჭიროა მხოლოდ მოულოდნელ სიტუაციებში.

რამდენადაც მესმის, თუ ცოლი და ქმარი კარგად უგებს ერთმანეთს, სულიერ სფეროში პარტნიორობასაც შეძლებს. თუკი მათ სრულად ესმით ერთმანეთის, თუკი ერთმანეთის მაგნიტური და ელექტრონული ძალებით ხელმძღვანელობენ, მაშინ იმაზე მეტად გაუიოლდებათ შინაგან შეგრძნებათა აღქმა, ვიდრე ამას სანიასინი ან სანიასინკა ახერხებენ. გარდა იმისა, რომ ისინი ერთმანეთს უფრო ახლოს გაიცნობენ, მათი მაგნიტური ძალებიც ჰარმონიზდება.

ამიტომ ადამიანი განიცდის ძალიან უცნაურ შეგრძნებებს. თუ კაცსა და ქალს ძალიან უყვართ ერთმანეთი და დიდ სიახლოვეს გრძნობენ, თუ არ აქვთ კონფლიქტები, მაშინ ისინი იწყებენ ერთმანეთის უარყოფითი და დადებითი თვისებებისა-რეკვლას. თუ პარტნიორებს ძალიან უყვართ ერთმანეთი, მამინ მათი ხმა ერთ ნოტაზე ისმის, მათ ერთნაირი სახის გამომეტყველება უყალიბდებათ. იწყება მათი პიროვნების შინაგანი ჰარმონიის გამოვლინება. სინამდვილეში, ელექტროობა, რომელსაც ისინი საკუთარ თავში ატარებენ, მამაკაციდან ქალში და ქალიდან მამაკაცში გადადის. ნელ-ნელა ისინი ერთნაირები

ხდებიან. მაგრამ ეს შეუძლებელია, თუ მათ შორის თანხმობა არ არსებობს. ამგვარად, უნდა დავიხსომოთ, რომ კაცსა და ქალს ერთმანეთის დახმარება შეუძლია. ცოლქმრული ურთიერთობა მხოლოდ ქმარსა და ცოლს შორის სექსით არ განისაზღვრება. მათ ურთიერთობას წყვილის სამადხისთან მიყვანაც შეუძლია.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში სანიასინი ძალიან მიმზიდველი გვეჩვენება. არც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი არ იზიდავს ქალებს ისე ძლიერ, როგორც ის. ამის მიზეზი მხოლოდ ის გახლავთ, რომ სანიასინში უდიდესი მაგნიტური ენერგიის მარაგია. ზუსტად ასევე, ჩვეულებრივ ქალთან შედარებით, სანიასინკა კაცებს გაცილებით მიმზიდველად ეჩვენებათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მასში მაგნიტური ძალა დაგროვდა.

ცოლ-ქმარს რომ ასევე მოეხდინა ამ ენერგიის კონსერვაცია და ესწავლა მისი შენახვა, მაშინ ისინი შეძლებდნენ ერთმანეთის დახმარებას ეფექტური მაგნიტური ძალების დაზოგვისას და არ გაფანტავდნენ მას. შეგიძლიათ გაიხსენოთ ჩემი ადრინდელი საუბარი, რომელშიც შევნიშნე, რომ სექსიც შეიძლება იყოს ენერგიის კონსერვატორი, თუ მას სხვადასხვა იოგისა და ტანტრის ტექნიკის ცოდნით წარვმართავთ.

ამგვარად, დაიმახსოვრეთ, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო სქესის როლი მნიშვნელოვანია მოულოდნელ სიტუაციებში თუმცა, ურთიერთსაწინააღმდეგო სქესის ფიზიკური დახმარება ყოველთვის არ არის საჭირო. ხშირად, მაშინაც კი, როცა მოვლენა უეცრად ჩნდება, თხელი სხეული ბრუნდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ამას შინაგანი ქალი ახერხებს. ასეა თუ ისე, ქალი და კაცი უსათუოდ გვევლინებიან დაბრუნების ინსტრუმენტებად.

როგორია სხეულში დაბრუნების კონკრეტული მეთოდები? აგვიხსენით, თუ შეიძლება.

აუცილებელია ამ ურთიერთობზეც იცოდეთ გარკვეული რამ. ჩვეულებრივ, არაფერი ვიცით იმაზე, რომ ყოველი ჩვენი შეხება მაგნიტიზმის შემცველია. როცა სიყვარულით ვართ აღვსილი და ადამიანს ვეხებით. მან შესაძლოა შეხების მხოლოდ

ერთი ხარისხი შეიგრძნოს. როცა სიძულვილს დავატარებთ და ვიღაცას ვეხებით, ის ასევე შეიგრძნობს ცვლილებებს. როცა ადამიანს გულგრილად ვეხებით, ადამიანი ამასაც აღიქვამს. ყველა სამ შემთხვევაში მაგნიტური ელემენტი ჩვენში სხვადასხვა არხით მიედინება. უფრო მეტიც, თუ ადამიანი, გონებით მობილიზდება და ტალღებს ხელისკენ მიმართავს, მაშინ მისი მაგნიტური ძალა ძალიან ძლიერდება. მესმერი მათ მაგნიტურ პასაჟებს უწოდებს.

ადამიანი მთლიანად უნდა გაშიშვლდეს და დაწვეს. თქვენ ხელები ერთმანეთს უნდა გაუხახუნოთ და მწოლიარეს თავსზემოთ ოთხი დიუმის სიმაღლეზე დაიჭიროთ. არ შეეხოთ მის სხეულს. მერე კი აქტიურად დაიწყეთ ვიბრირება ხელის მტევნებით და ამოძრავეთ ისინი თავიდან ფეხებამდე. საჭიროა, თქვენი მტევნები მუდმივად მოძრაობდეს სხეულიდან ოთხი დიუმის სიმაღლეზე. თუ ამას თხუთმეტი წუთის განმავლობაში გააკეთებთ, ადამიანი საოცარ სიმშვიდეს მიაღწევს, ღრმა ძილს, რომელიც, შესაძლოა, მას ადრე არასდროს სწვევია. არ შეეხოთ მას, უბრალოდ შექმენით ელექტრული ველები მისგან ოთხი დიუმის დაშორებით. უბრალოდ შეიგრძენით მომდინარე ელექტრული ველები და მტევნების ვიბრირებით მიმართეთ თავიდან ფეხებისკენ.

ოლდოს ხაკსლის ცოლმა თავის მემუარებში უჩვეულო შემთხვევა აღწერა. ის ხაკსლის შეხვდა, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მისი პირველი ცოლი. ქალი ფსიქიატრი იყო და ხაკსლი მასთან სახლში მივიდა ფსიქოანალიზის სეანსისთვის. ექიმმა მწერალი აიძულა დაწოლილიყო დივანზე და მასთან თითქმის ორი საათი ილაპარაკა. თუმცა, ის მიხვდა, რომ ხაკსლი იმდენად ინტელექტუალი ადამიანი იყო, რომ გაჭირდებოდა მისგან რაიმეს ამოქაჩვა. მართლაც, ინტელექტუალ ადამიანებთან რთულია ურთიერთობა!

რაც არ უნდა ეთქვა მას, ხაკსლიმ უფრო მეტი იცოდა. წიგნები, რომელსაც ის ეყრდნობოდა, ხაკსლიმ ყველა ჩამოთვალა, და უფრო მეტიც, იმ სიტყვებისა და ტერმინების მნიშვნელობა განმარტა, რომელსაც ქალი მასთან საუბრისას იყენებდა. სიტუაცია გართულდა. პაციენტი გაცილებით ბრძენი აღმოჩნდა,

უფრო განათლებული, უფრო ინტელიგენტი, ვიდრე ფსიქოანალიტიკოსი.

ხაკსლი ჩვენი ასწლეულის ერთ-ერთი ყველაზე ბრძენი ადამიანი იყო. ქალბატონი კი უბრალოდ ექიმი იყო, ფსიქიატრი. დაახლოებით ორი საათის შემდეგ ქალი ანერვიულდა. ის მიხვდა, რომ სამეცნიერო ტერმინოლოგიების გამოყენება არსად მიიყვანდა. რა თქმა უნდა, ისინი, ვინც სიტყვების ზუსტი განმარტება იცის, ხშირად ვარდებიან გასაჭირში, ისინი ხომ სიტყვათა ზუსტ მნიშვნელობებს არიან მიჯაჭვული.

ფსიქიატრი ძალიან შეწუხდა. ნათელი იყო, რომ მისი მეთოდი არ მუშაობდა. ქალს უეცრად მოაგონდა, რომ ხაკსლიმ რაღაც იცოდა მაგნიტურ ფაზებზე. „გამიგია, რომ თქვენ რაღაც იცით მაგნიტურ ფაზებზე. ეს მართალია?“ – ჰკითხა ექიმმა პაციენტს. ამ სიტყვების გაგონებისას ხაკსლი მაშინვე წამოდგა. აქამდე ნაძალადევად პასუხობდა, ახლა კი ძალიან დაინტერესდა. მან ქალს დივანზე დაწოლა სთხოვა.

ქალი მხოლოდ იმიტომ წამოწვა, რომ ხაკსლის რაიმე გაკეთების და ლაპარაკში გარკვეული ინტერესის გამოვლენის სურვილი გასჩენოდა. ხაკსლის ორსაათიანი წოლის გამო მთელი სხეული ტკიოდა. როგორც კი ქალბატონი დივანზე დაწვა, ხაკსლიმ მისი სხეულიდან ოთხ დიუმზე ფასების გაგზავნა დაიწყო. ეს ძალიან მარტივი ტექნიკაა. დაიჭირეთ თითები ოთხი დიუმის მანძილზე პარტნიორის სახიდან და აქტიურად ამოძრავეთ. უსათუოდ იგრძნობთ, თუ როგორ იღვრება ელექტროობა თქვენი თითებიდან. ამოძრავეთ ისინი პაციენტის თავიდან ფეხების მიმართულებით.

ხაკსლიმ დაიწყო ამ ტექნიკის შესრულება და ათი წუთში ეს ქალბატონი არნახულ სიმშვიდეში ჩაიძირა. არადა, ქალი დივანზე მხოლოდ იმიტომ დაწვა, რომ ხაკსლი გამოეცოცხლებულიყო. ფსიქიატრი კვლავ წამოდგა და ხაკსლის სთხოვა, დივანზე დაწოლილიყო.

გარკვეული დროის შემდეგ ფსიქოანალიტიკოსი შინ დაბრუნდა, მაგრამ ვერაფრით დააღწია თავი ძილბურანს. თითქოს, ისევ ეძინა, მაგრამ ვერაფრით გაერკვია, რა სჭირდა. მან ხაკსლის ცოლს დაურეკა და თავისი სასაცილო მდგომარეობის შესახებ უამბო.

– თქვენ ხაკსლიმ გაგაღვიძათ? – ჰკითხა მწერლის ცოლმა.

– არა, – უპასუხა ექიმმა, – მას არ გაუღვიძებივარ, მე თავად ავდექი.

ასეთი პასუხის მიღებისას, ცოლმა ხაკსლის დაუძახა.

– შენ ლაურას გაღვიძება დაგავიწყდა, – თქვა მან, – ის ჯერ კიდევ ძილის მდგომარეობაშია.

ხაკსლიმ აუხსნა:

– ვიდრე მის გაღვიძებას მოვასწრებდი, ის თავად ადგა. მერე ლაპარაკი დავიწყეთ, და ეს ყველაფერი თავიდან ამომიფრინდა.

ხაკსლიმ მისი ენერგია, რომელიც მან ექიმს გადასცა მაგნიტური ფაზების დახმარებით, უკან არ წაიღო. ეს ენერგია მას თან სდევდა ორი დღის განმავლობაში. ამგვარად, როცა ენერგია გადაეცემა ადამიანს, თქვენი ხელები მოძრაობენ მისი თავიდან ფეხებამდე, და როცა უკან იღებთ ენერგიას, ხელები მოძრაობენ პირიქით – მისი ფეხებიდან თავისკენ.

სხეულში არის განსაზღვრული წერტილები, რომელიც ძალიან მგრძნობიარენი არიან, ენერგია ძალიან სწრაფად გაედინება მათი გავლით. ყველაზე მგრძნობიარე წერტილი ორ თვალს შორის არის განთავსებული. მას ჰქვია აჯნა ჩაკრა, ადამიანის მესამე თვალი. ეს ყველაზე მგრძნობიარე ნაწილია ჩვენს სხეულში. თუ თქვენ დაჯდებით, დახუჭავთ თვალებს და ვინმე დაიჭერს თითს თქვენს თვალებს შორის ოთხი დიუმის მოშორებით შუბლიდან, მაშინ მალევე დაინახავთ ამ თითს თქვენში, თუმცა, ვერ დაინახავთ იმას, ვინც გვერდში გიდგათ, რადგან თვალები გექნებათ დახუჭული. თითი არ შეგეხებათ, უბრალოდ შიგნიდან შეიგრძნობთ მის შეხებას, ანუ ეს ჩაკრა შიგნით გააქტიურდება. თუ ამ ექსპერიმენტს მძინარე ადამიანზე ჩაატარებთ, მაშინ მისი ჩაკრა ძილში გააქტიურდება.

მეორე ყველაზე აქტიური წერტილი განთავსებულია კეფაზე. ზოგჯერ ხალისსაც მოგგვრით ამ ცენტრზე ექსპერიმენტირება. მაგალითად, თქვენს წინ უცნობი მიდის. თუ თვალების ფოკუსირებას ოთხი ფუტის მანძილიდან მის კეფაზე მოახდენთ და შთააგონებთ, თქვენკენ შემოტრიალდეს, რამდენიმე წუთის შემდეგ ნახავთ, რომ წინ მიმავალი ნერვულად იცქირება უკან. ისიც კი შეგიძლიათ, მარჯვენა ან მარცხენა მხარეს

შეტრიალება აიძულოთ. ის იმ მხარეს შებრუნდება, საითკენაც შთააგონებთ. შეგიძლიათ მეზობელ ქუჩაზე შეახვევინოთ. როცა საკმარისად თავდაჯერებული იქნებით, მისთვის გზის არევასაც შეძლებთ, ისე რომ საერთოდ დაიკარგოს. შეძლებთ აიძულოთ იქ წავიდეს, სადაც არასდროს ნდომებია წასვლა.

ადამიანები, რომლებიც ბავშვებს იტაცებენ, არ უკრავენ მათ ხელ-ფეხს, ამის მაგივრად ისინი მათ კეფაზე ცენტრს ააქტიურებენ. თუკი ვინმე ქუჩაში, ღიად, ბავშვის გაკოჭვას შეეცდება, შესაძლოა, დიდ უსიამოვნებაში გაეხვიოს. დიდი ალბათობით ბავშვი იყვირებს და გამვლელების ყურადღებასაც მიიქცევს. ამ შემთხვევაში დამნაშავის დაჭერა ძალიან ადვილად შეიძლება. მაგრამ თუ დამნაშავემ იცის, როგორ იმოქმედოს კეფაზე განთავსებულ ცენტრზე, მაშინ მას შეუძლია ვინც უნდა და სადაც უნდა, იქ წაიყვანოს. საინტერესო ისაა, რომ თუკი ადამიანი „ა“, მაგალითად, გაჰყვება ადამიან „ბ“-ს და მასზე იმუშავებს, ვერავინ შეძლებს მის დადანაშაულებას იმაში, რომ „ბ“-ს გზიდან გადაახვევინა. მიუხედავად იმისა, რომ „ბ“ გამუდმებით „ა“-ს წინ ივლის, ის „ა“-ს შთაგონებებს შეასრულებს. „ა“-ს შეუძლია „ბ“-ს იქითკენ აიძულოს სიარული და მოხვევა, საითკენაც თავად „ა“ მოისურვებს. მას შეუძლია „ბ“ იქითკენ წაიყვანოს, სადაც სურს.

ამგვარად, ეს ორი მნიშვნელოვანი წერტილია. სხეულში კი დევ ბევრი წერტილია, მაგრამ სჯობს ისინი არ განვიხილოთ ეს ორი მარტივი და პირდაპირი ცენტრია. როგორც წინა ლექციებზე აღვნიშნე, ნებისმიერი ქალი, რომელიც გურჯიევთან მიდიოდა, მაშინვე გრძნობდა, რომ მის სექსუალურ ცენტრზე გარკვეული მუშაობა იწყებოდა. ოსტატთან ბევრი ინტელექტუალი ქალი აღმოჩენილა და ისინი ერთნაირ შეგრძნებებს განიცდიდნენ. საკმარისი იყო გურჯიევთან მისულიყვნენ, რომ მათი სექსუალური ცენტრი მაშინვე აქტიურდებოდა. ამ წერტილში წრიულად მოძრაობდა რაღაც უცნაური, ძლიერი შეგრძნება. ეს წარმოუდგენლად მგრნობიარე წერტილია. ჭიპი – ესეც ერთ-ერთი ასეთი ცენტრია. და კიდევ ბევრი ცენტრი არსებობს.

ამგვარად, თუ ადამიანის ცნობიერი სხეულიდან გავიდა, სად უნდა შევეხოთ სხეულს ცნობიერის უკან ჩასაბრუნებლად?

ადამიანის პიროვნების შესასწავლად უნდა გავიგოთ, რომელი წერტილი იყო მის სხეულში ყველაზე ცოცხალი. თუ ის სექსუალურია, მაშინ მის სექსუალურ ცენტრთან შეხება მაშინვე ჩააბრუნებს ცნობიერს სხეულში. თუ ის ინტელექტუალია და გონებით ცხოვრობს, მაშინ სხეულში ჩაკრა აჯნიასთან შეხებისას დაბრუნდება. თუ ადამიანი სენტიმენტალურია, მაშინ მასში თხელი სხეულის ჩაბრუნება შესაძლებელია მის გულთან შეხებით. ამგვარად, ყველაფერი დამოკიდებულია ცენტრზე, რომლითაც ყველაზე მეტად ცხოვრობს ადამიანი.

დაიმახსოვრეთ, რომ როცა ადამიანი კვდება, მისი სასიცოცხლო ენერგია ტოვებს სხეულს სწორედ იმ ცენტრიდან, რომლითაც ის ცხოვრობდა ყველაზე მეტად. ზუსტად ამავე წერტილიდან ბრუნდება თხელი სხეული ფიზიკურ სხეულში. მაგალითად, როცა კვდება სექსუალური ადამიანი, მისი სასიცოცხლო ენერგია გამოდის მისი გენიტალიებიდან. არსებობს განვითარებული მეცნიერება, რომელიც აღწერს, როგორ იკვლევს მომაკვდავ ადამიანს. შეგიძლიათ მიუთითოთ, თუ რომელი ცენტრი იყო მის სხეულში ყველაზე აქტიური, რადგან სიკვდილის მომენტში სწორედ ეს ცენტრი იხსნება.

ჩვენ აქამდე ვიკვლევთ უძველეს პრატიკას, რომელიც კრემაციის დროს ტარდება. ამ პრაქტიკას ოდესღაც უდიდეს ცოდნად მიიჩნევდნენ, თუმცა,ახლა მან საერთოდ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. კრემაციის ბოლოს ჯოხის დახმარებით იშლება ცხელი სხეულის თავის ქალა. დარტყმა ხორციელდება მეშვიდე ჩაკრაში სახასრარაში[3].

საქმე იმაშია, რომ ადამიანის თავის ქალა, რომელიც სახასრარას აღწევს, სიკვდილის მომენტში იხსნება. ეს სასიცოცხლო ენერგია ამ ცენტრიდან გამოდის. ბრიყვულია იმის იმედი, რომ საყვარელი ადამიანის სასიცოცხლო სუნთქვა სახასრარას გაივლის, მაგრამ ადამიანები ტრადიციებს არ ღალატობენ და კრემაციისას თავის ქალას ტეხენ. ეს სრული უაზრობაა, რადგან ადამიანის სასიცოცხლო სუნთქვა უკვე გავიდა სხვა ცენტრიდან. თუმცა, მას, ვინც სიკვდილის მომენტში მიაღწია უმაღლესი ცნობიერების მდგომარეობას, შუბლზე

[3] სახასრარა – სინათლე და ცოდნა, როცა სახასრარა გახსნილია და სუფთაა, გვავსებს ინტუიციით. ძალით და შთაგონებით.

ნაპრალი უჩნდება, რადგან სასიცოცხლო სუნთქვა სწორედ ამ ცენტრიდან გამოდის. ადამიანები ამჩნევდნენ ასეთ ფაქტებს, ამიტომაც ამსხვრევენ თავის ქალებს კრემაციის სარეცელზე, სიყვარულით, იმ იმედით, რომ ასე მათი გარდაცვლილების სასიცოცხლო ენერგია შეიძლება ამავე ცენტრიდან გამოვიდეს. თუმცა, არსებითად, ადამიანი მკვდარია, და მისმა სასიცოცხლო ენერგიამ უკვე დატოვა სხეული.

ჩვენი სიცოცხლის ცენტრი ის არის, საიდანაც გამოდის ჩვენი სასიცოცხლო სუნთქვა. ამიტომ, თუ ამ ცენტრს შეეხებიან, თხელი სხეული მაშინვე დაბრუნდება. მიუხედავად იმისა, ყველა ადამიანში ეს ცენტრი სხვადასხვაა, ასიდან ოთხმოცდაათ ადამიანს ცენტრი განთავსებული აქვს სექსუალურ ჩაკრაში, რადგან მთელი მსოფლიო სწორედ სექსითაა შეპყრობილი. ამგვარად, თუკი ვერ შეძლებთ იმის დადგენას, რომელიც სასიცოცხლო ცენტრი აქვს ადამიანს, შეგიძლიათ მის სქესობრივ ორგანოებს შეეხოთ. თუ ეს ეფექტს არ მოახდენს, მაშინ, სავარაუდოდ, მისი ცენტრი ჩაკრა აჯნაა, მესამე თვალი მათი სექსუალური ენერგია, ვინც ძალიან გონიერია ან ხშირად გამოიყენებს თავის ინტელექტს, მიედინება გონებაში. თუ ამ შემთხვევაშიც არაფერი გამოვა, მაშინ სჯობს გულის ცენტრს შევეხოთ. ისინი, ვინც არც თუ ისე სექსუალურები არიან და არც თუ ისე გონიერები, ემოციური ადამიანები არიან.

აი, სამი ჩვეულებრივი ცენტრი. არსებობს კიდევ არაჩვეულებრივი ცენტრებიც, მაგრამ ეს ცენტრები ძალიან ცოტა ვინმეს აქვს. ისინი თავად არიან არაჩვეულებრივები. მაგრამ ამ უჩვეულო ცენტრებთან შეხება...

საჭიროა მხედველობაში მივიღოთ რამდენიმე რამ ამ ცენტრებთან შეხებისას. თუკი იმ ადამიანში, რომელსაც ეხებიან. გააქტიურებულია განსაკუთრებული ცენტრი, მაშინ შეხება უჩვეულო სიტუაციას ქმნის. მაგალითად, თუ ადამიანი აჯნა ჩაკრითაა აქტიური და მისი გულის ცენტრს შეეხებით, ეფექტი მინიმალური იქნება. საჭიროა საქმეს მეცნიერულად მივუდგეთ.

ამგვარად, მუდამ სახიფათოა ამ ექსპერიმენტების დამოუკიდებლად ჩატარება. ამ შემთხვევაში თავად სხეულების გამოკვლევას. ფიზიკური სხეულიდან გამოსვლასა და მსგავს

ექსპერიმენტებს ვგულისხმობ. არსებობს სკოლა, აშრამი, სადაც საკითხში გარკვეული ადამიანები დადიან. მათ ესმით მთელი ეს სისტემა და შეუძლიათ დახმარების გაწევა. ეს ამგვარი ექსპერიმენტებისთვის ზედგამოჭრილი ადგილებია. ამიტომ იმ ბერების ტრადიციებში, რომლებმაც გადაწვიტეს დარჩენილიყვნენ პარივრაჯაკებად[4], მოხეტიალე ბერებად, შვიდი ჩაკრის ყველა სწავლება გაქრა, თავად სხეულის... რადგან მოხეტიალე ბერს არ შეუძლია მათი გამოყენება. ბერები, რომლებიც მუდმივად მოძრაობენ, მოგზაურობენ, არასდროს ჩერდებიან ერთ ადგილას, ხანგრძლივად ვერ ატარებენ ექსპერიმენტებს ამ სფეროში. ამიტომ გაცილებით მეტი ექსპერიმენტი ტარდება აშრამის მონასტრებში.

მაგალითად, ევროპაში არის მონასტერი, სადაც არასდროს შესულა მამაკაცი. მონასტერი დაახლოებით ოთხასი წლისაა. იქ მხოლოდ მონაზვნები ცხოვრობენ. მონაზვნად აღკვეცის შემდეგ ქალი ვერ დატოვებს მონასტრის ტერიტორიას. მის სახელს მოქალაქეთა სიიდან ამოიღებენ. ის, ფაქტობრივად, მკვდარი ხდება. გარესამყაროს მასთან შეხება არა აქვს. ის უკვე არ არსებობს გარესამყაროსთვის.

ასეთივე მონასტერი კაცებისთვისაც არსებობს. ეზოთერულმა ქრისტიანობამ შესანიშნავი სამუშაო ჩაატარა, როცა ეს მონასტერი ააგო. ამ მონასტერში არასდროს შესულა ქალი. არცერთი კაცი არ გამოსულა იქიდან. მაგრამ ეს მონასტრები ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. თუ ბერის თხელი სხეული დატოვებს ფიზიკურ სხეულს, მაშინ აუცილებელია ქალის შეხება მასთან. საკმარისია ეს ბერი დააწვინოთ დედათა მონასტრის კედლებთან. მთელი მონასტერი დამუხტულია ენერგიით. მაგრამ არცერთი კაცი არ შესულა შიგ. მასში ათასობით ქალია, კაცების მონასტერში კი ათასობით კაცი ცხოვრობს. ეს არ არის ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, ამისთვის მაქსიმალური სითამამეა საჭირო. ეს ჯერ კიდევ სიცოცხლეში სიკვდილთან ჩაკონების ტოლფასია. მორჩილები ვერასოდეს დაუბრუნდებიან გარესამყაროს.

---

[4] პარივრაჯაკები – მოგზაური ჯგუფი, რომელსაც შეადგენენ ნახევრად ბერები, ადამიანები, რომლებსაც ინდოეთის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებათ შრამანის ეპოქის ინტელექტუალური ატმოსფეროს ფორმირებაში.

ამ მონასტრებში შესაძლოა განვითარებულიყო ყველაზე საიდუმლო მეცნიერებები, რადგან იქ კომფორტულია ექსპერიმენტების ჩატარება. ტანტრიკებიც აარსებდნენ ასეთ სავანეებს, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი დავიწყებას მიეცა. ჩვენც ვაგებთ პასუხს ამაზე, რადგან ინდოეთის მკვიდრთა სულელურმა, პურიტანულმა ურთიერთობებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ ტანტრიკები ამორალურ ადამიანებად გამოაცხადეს. თუ მონასტერში თაყვანს სცემენ შიშველ ქალს, ეს აუცილებლად დაარღვევს გარესამყაროს ეთიკურ და მორალურ საფუძველს. საშიში სიტუაცია შეიქმნება, თუკი გამჟღავნდება, რომ მონასტერში შიშველი ქალი ზის და მაძიებლები მას თაყვანს სცემენ. გარესამყაროში დარჩენილი ადამიანები აუცილებლად დაინტერესდებიან იმ თემით, რომ სადღაც, რომელიღაც სივრცეში მამაკაცები შიშველ ქალს ეთაყვანებიან.

ასე დავამსხვრიეთ ინდოეთში ბევრი უდიდესი მონასტერი, გავანადგურეთ უდიდესი წმინდა წიგნები. მხოლოდ ერთმა მეფე ბხოჯამ მოკლა ასი ათასი ტანტრიკი[5]. მათ მთელ ქვეყანაში ეძებდნენ და მასობრივად ხოცავდნენ. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ტანტრიკები ატარებდნენ გარკვეულ ექსპერიმენტებს, რომლებიც საფრთხის შემცველი იყო ინდოეთის სამღვდელო ინსტიტუტისთვის, ინდოეთის მორალისა და პურიტანული აზროვნებისთვის. თუკი მათი ექსპერიმენტები მართებულია, მაშინ მთელი ჩვენი მორალი ყალბი ყოფილა.

ტანტრიკებმა დაადგინეს, რომ თუ კაცი პრაქტიკას გადის შიშველი ქალის ღრმა თაყვანისცემით, მაშინ ის სამუდამოდ თავისუფლდება ქალისგან. ზუსტად ასევე, თუ ქალი პრაქტიკას გადის განსაკუთრებული თაყვანისცემით შიშველი კაცისადმი, ის სამუდამოდ თავისუფლდება კაცისგან.

ქალსა და კაცს შორის მაგნიტური ძალები თავიდანვე განკუთვნილია მათი შეერთებისთვის. ამიტომ სულაც არ არის წვრილმანი, თუ მამაკაცს შეუძლია ღრმა პატივისცემით უყუროს შიშველ ქალს. თუმცა, ბუნებამ დააწესა, რომ მამაკაცმა ქალით უნდა ისიამოვნოს, მაგრამ მაინც, თუკი კაცი ღრმა პატივისცემით ეჩვევა შიშველი ქალის ყურებას, მაშინ მისი

[5] ტანტრიკი – მასწავლებლები, რომლებიც საიდუმლო ადგილებში უბრალო ხალხისგან ფარულად მედიტირებდნენ

მაგნიტური ძალა, ანუ ენერგია, რომელიც ქალის გარეთ მოძრაობდა, ქალის შიგნით იწყებს დინებას. ეს ერთადერთი მეთოდია ამ მოძრაობის, რადგან ქრება მისი ლტოლვა ქალისადმი. ახლა ის მისთვის დედა ხდება. ის მას როგორც ღვთაებას, ისე უყურებს. ის უბრალოდ აღმერთებს მას.

სად წავა ენერგია, როცა უკან მიბრუნდება? ცხადია, ენერგია არასდროს იკარგება, ის უბრალოდ გეზს იცვლის. არანაირი ენერგია არიკარგება არასოდეს, უბრალოდ მისი მიმართულება იცვლება. თუ გარეგანი სამყაროს ქალი იქცევა თაყვანისცემის საგნად, მაშინ ენერგია შიგნით დინებას იწყებს და შინაგან ქალთან შეხვედრა ხდება. როცა კაცი და მისი შინაგანი ქალი გაერთიანდება, გარესამყაროს ქალთან შეხვედრას უკვე აღარა აქვს არანაირი მნიშვნელობა, ის უაზრო ხდება.

შიშველი ქალის თაყვანისცემისთვის ბევრი განსაკუთრებული ვარჯიში არსებობდა: გონების განსაზღვრული მდგომარეობა, სპეციალური მედიტაციები, სხვადასხვა მანტრა და სიტყვა, განსაკუთრებული ტექნიკა. შინაგან ქალთან შეერთება მაშინ ხდებოდა, როცა ექსპერიმენტი თავის თავში შეიცავდა ყველა ამ შემადგენლობას. მთელი სისტემა თანამედროვე სამეცნიერო ლაბორატორიას ჰგავდა.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ წყალბადისა და ჟანგბადის კომბინაცია წყალს ქმნის. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ თქვენს ოთახს წყალბადითა და ჟანგბადით აავსებთ, შედეგად წყალი გაჩნდება. მხოლოდ წყალბადისა და ჟანგბადის არსებობა საკმარისი არ არის. წყალბადისა და ჟანგბადის წყლად გადაქცევისთვის საჭიროა დიდი ელექტრული ძაბვა. წვიმის წყალი ელვისგან ჩნდება. ჰაერში ერთდროულად მოიპოვება წყალბადი და ჟანგბადი, მაგრამ მხოლოდ მაშინ ჩნდება წყალი, როცა მძლავრად გაიელვებს და ელექტროობით წარმოქმნილი სითბო ამ ორი ნივთიერების შეერთებას უზრუნველყოფს.

ღმერთი ეწინააღმდეგება ამას, მაგრამ, ჩვენი მეცნიერების წყალობით, შეიძლება დადგეს ისეთი უბედური დღეც, როცა მხოლოდ იმ წიგნებთან დავრჩებით, რომლებიც გვაუწყებენ, რომ წყალი წყალბადისა და ჟანგბადის კომბინირებისას ჩნდება. მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი წყლის შესაქმნელად. ზუსტად იგივე წერია წიგნებში ტანტრასთან მიმართებაშიც. ეს

წიგნები მხოლოდ იმაზე შეიცავს ინფორმაციას, რომ თუ შიშველ ქალს ღრმა პატივისცემით სცემთ თაყვანს, მაშინ ენერგია შიგნით მიედინება. მაგრამ ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს იმაზე. რამდენად საჭიროა ელექტრონული დამუხტვა, რამდენად განსაკუთრებულია ასეთი რამ იმისთვის, რომ მოვლენა განხორციელდეს. მოდით, ამას სხვა კუთხიდან შევხედოთ.

შესაძლოა, გსმენიათ რამე ტიბეტური მანტრის: ***ომ მანი პადმე ხუმ-ის*** შესახებ. თუ ამ მანტრას გაიმეორებთ, აღმოაჩენთ. რომ თქვენი სხეულის რამდენიმე ნაწილი ჩართულია ამ სიტყვების წარმოთქმაში. მაგალითად, სიტყვა „ომ" მოქმედებს ყელის არეში, სიტყვა „პადმე" კი აღწევს ჭიპამდე, სიტყვა „ხუმ" ურტყამს სექსუალურ ცენტრში.

ამ მანტრის განმეორება გვიჩვენებს, თუ როგორ აღწევს ის თქვენი სხეულის სხვადასხვა ნაწილამდე. თუ მანტრაში „ომ მანი პადმე ხუმ" სიტყვა „ხუმ" ხშირად მეორდება, მაშინ მისი ძლიერი დარტყმა ჩერდება შინაგანი სექსუალურ ცენტრის დინებასთან. თუ ხშირად გავიმეორებთ სიტყვა „ხუმ"-ს. მაშინ ადამიანის სექსუალურობა ინგრევა, ქრება.

შიშველი ქალების წინაშე არაერთ ტექნიკას ახორციელებდნენ. ადვილია ტექნიკის მუშაობის გარკვევა იმ შემთხვევაში. თუ თაყვანისმცემელი კაციც შიშველია, სხვა მაძიებლები მას აკვირდებიან. მაგრამ თუ შიშველი ქალის მხრიდან დააკვირდებით, ვერაფრით დავანამდვილებთ, იზრდება თუ არა მისი სექსუალობა, რადგან ქალის სექსუალური მექანიზმი მისივე სხეულშია დაფარული. თუმცა, შიშველი კაცის დაკვირვებით მაშინვე შეიძლება გაიგო, გაიზარდა თუ არა მისი სექსუალურობა. მახავირა შიშვლად სიარულის ნებას მხოლოდ იმ ბერებს აძლევდა, რომლებიც ინტენსიურად იყენებდნენ პრაქტიკაში ხმას „ხუმ". მათ სიშიშვლის ნება ეძლეოდათ, რადგან მათი სექსუალური ორგანოები ძილშიც კი არ ექცეოდნენ გავლენის ქვეშ.

გაგიკვირდებათ და, ძნელია ისეთი კაცის მოძებნა, ვისაც სამ-ოთხჯერ მაინც არა აქვს ღამის ძილისას ერექცია. მთავარი არაა, აცნობიერებს ის ამას თუ არა. აშშ-ში ინტენსიურად იკვლევენ ძილს და საოცარი რამ შენიშნეს: ყოველ მამაკაცს ღამის ძილის დროს ორჯერ. სამჯერ ან ოთხჯერ ჰქონდა ერექ-

ცია. როცა კაცს სექსუალური სიზმრები ესიზმრება, მისი გენიტალიები აღგზნებულია. თუ სიზმრებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სექსუალურ ორგანოებზე, მაშინ იმავეს შეძლებენ სიტყვებიც. თუ სიზმრებს შეუძლიათ სექსუალურ ორგანოებზე მოახდინონ გავლენა, მაშინ იმავეს მოახერხებენ სურათებიც. რა არის სიზმარი?

ამგვარად, არსებობს ენერგიის გარდაქმნის მთელი სისტემა, რომლის დახმარებითაც მისი შიგნით ჩაბრუნებაა შესაძლებელი. ენერგიის შეგნით შეტრიალების კონტექსტში ასეთი კითხვის დასმაც შეიძლება: რატომ არ ჰქონდა ტანტრის სისტემაში ადგილი ქალთა მხრიდან შიშველი კაცების თაყვანისცემას? ამის გაგებაც აუცილებელია.

არასდროს არსებობდა ტანტრის სისტემა, რომელშიც ქალები შიშველ კაცს სცემდნენ თაყვანს, რადგან აღმოჩნდა, რომ ასეთი პრაქტიკა საჭირო არ არის. ამისთვის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველი მიზეზი იმაშია, რომ ყოველთვის, როცა კაცი ქალისკენ ილტვის, მას შიშველი მშვენიერების დანახვა სურს. ქალებს კი არა აქვთ ასეთი სურვილი. კაცს თვალებით უყვარს. მას უნდა ქალი შიშველი დაინახოს, ქალისთვის კი ეს არ არის საინტერესო. ამავე მიზეზით სექსუალური აქტის დროს ასი ქალიდან ოთხმოცდაცხრამეტი თვალებს ხუჭავს, მაშინ, როცა კაცს თვალები გახელილი აქვს. მაშინაც კი, როცა ქალს კოცნით, მას თვალები მუდამ დახუჭული აქვს. ამის მიზეზიც არსებობს: ქალს ამ მომენტში გარესამყაროში ყოფნა არ სურს. მისთვის ეს მომენტი არაფრით უკავშირდება გარესამყაროს. მას უნდა შიგნით, თავისთვის დატკბეს ამ მომენტით.

ამ მიზეზით კაცებმა ბევრი ძეგლი, ფილმი და სურათი შექმნეს ქალის შიშველი სხეულით, ქალები კი დღემდე არ ინტრესდებიან შიშველი კაცებით. ისინი არ უღებენ ფოტოებს შიშველ კაცებს, არ ხატავენ მათ შიშველ მდგომარეობაში და სახლებში არ კიდებენ კალენდრებს შიშველი მამაკაცებით. ქალებს არასდროს გამოუხატავთ ინტერესი შიშველი კაცებისადმი, მაგრამ, აი, კაცები ძალიან ინტერესდებიან ქალთა სიშიშვლით. შიშველი ქალი შეიძლება იქცეს კაცის გარდასახვის მიზეზად, შიშველი კაცს კი მხოლოდ ის შეუძლია, ქალს

თვალების დახუჭვა აიძულოს, სხვა არაფერი. მაშ ასე, ამგვარი ტექნიკა ქალებისთვის აზრს მოკლებულია.

ქალების გარდასახვა სხვაგვარად ხდება. უნდა იცოდეთ, რომ ქალი სექსუალური აქტის დროს პასიურია: ის არ არის აგრესიული, ის მიმღებია. არცერთ ქალს არ შეუძლია იყოს აგრესიული. ის პირველიც კი არ ეტყვის ვინმეს: „მე შენ მიყვარხარ“, საუბარიც ზედმეტია აგრესიულობის გამოვლენაზე. ასეთი გამონათქვამიც აგრესიულობის გამოხატვა იქნებოდა მისთვის. მაშინაც კი, როცა ქალს ვიღაც უყვარდება, ის ისე ფრთხილად ავლენს თავის გრძნობებს, რომ კაცი თავად მიდის და ეუბნება: „მე შენ მიყვარხარ“. ქალი არასდროს წარმოთქვამს ამ სიტყვებს. ის ამ დონეზეც ვერ ავლენს თავის აგრესიას.

როცა კაცი მიდის ქალთან და ეუბნება: „მე შენ მიყვარხარ“, ქალი, თანახმაც რომ იყოს, მაინც ზურგს აქცევს კაცს. ის განერიდებაკაცის აგრესიას იმით, რომ მოკლე სიტყვა „დიახ“-საც არ ეუბნება. ქალი „არა“-ს პასუხობს. ქალის უარი სინამდვილეში თანხმობას ნიშნავს. ეს სრულიად სხვა საქმეა. ამ შემთხვევაში ქალის უარი მიღებას შეიცავს. ქალის „არა“ უეჭველად აირეკლავს მის „დიახსაც“ და მამაკაცის მხრიდან სიყვარულში გამოტყდომით განპირობებულ სიხარულსაც, მაგრამ მას არ შეუძლია თქვას: „დიახ“.

კაცმა ქალი უნდა განანათლოს სექსუალურობაში, უნდა შეიყვანოს სექსის სამყაროში. თუმცა, თუ კაცი ქალის დანახვისას ერთიანდება თავის შინაგან ენერგიასთან, იმის ნაცვლად, რომ აღიგზნოს, მაშინ ეს მოვლენა უაღრესად ფასეული ხდება ქალისთვის. შიგნით მიმართული კაცის ენერგია ქალის ენერგიასაც ეხმარება შინაგან სამყაროსკენ მდინარებაში – ის მისთვის ხელდასხმული ხდება. გარდა იმისა, რომ კაცი წარმატებას აღწევს ქალის სექსთან მიახლებისას, მას შეუძლიაკიდეც გასცდეს სექსს ქალის თანდასწრებით, ამ შემთხვევაში ის მოახერხებს ქალიც დააყენოს იმ გზაზე, რომელიც სექსის საზღვრებს სცდება. ამიტომ არ იყო გახსნილი ქალებისთვის დამოუკიდებელი სისტემა, არ არსებობდა ამის საჭიროება.

რა მოსდით იმ ქალებს, რომლებსაც კაცის ბუნება აქვთ?

ასეთი რამ ხდება და საამისო მიზეზიც არსებობს. კარგი იქნება, თუ ამაზე ცოტას ვილაპარაკებთ. არ იქნება მთლად სწორი იმის თქმა, რომ ეს ერთი ადამიანი კაცია, ხოლო ის მეორე – ქალი. არსებითად, არცერთი ადამიანი არ არის მხოლოდ კაცი ან ქალი. კაცად ან ქალად მოვლენა – მხოლოდ ხარისხობრივი საკითხია. რაღაც დროით ბავშვს დედის საშოში ორივე სქესი აქვს, როცა იგი არც კაცია და არც ქალი. ემბრიონი თანდათან კაციდან ქალად ყალიბდება.

ეს პროგრესია, მხოლოდ ხარისხობრივი საკითხია. როცა ადამიანს მამაკაცთან ვაიგივებთ, ეს ნიშნავს, რომ რომ ის სამოცი პროცენტით კაცია და ორმოცი პროცენტით – ქალი, ან სამოცდაათი პროცენტით კაცია და ოცდაათი პროცენტით-ქალი. როცა წარმოვთქვამთ სიტყვას „ქალი", ეს ნიშნავს, რომ ადამიანში კაცურ ელემენტს ქალური ელემენტი აღემატება. ხდება ხოლმე,როცა კაცში ორმოცდათერთმეტი პროცენტი კაცია, ხოლო ორმოცდაცხრა პროცენტი – ქალი. ეს უმნიშვნელო სხვაობაა. ასეთი კაცი ქალურად გამოიყურება. ზუსტად ასევეა, თუ ქალი ორმოცდათერთმეტ პროცენტში ქალია და ორმოცდაცხრა პროცენტში – კაცი. ამ შემთხვევაში ქალს მამაკაცური იერი ექნება. თუ ასეთი ქალი ქალურ ქმარს იპოვის, ქორწინებაში მაშინვე მოიწადინებს დომინანტის როლის შესრულებას.

მსგავს სიტუაციებში ლინგვისტურ შეცდომას ვუშვებთ. სწორად რომ ვიყენებდეთ ენას ამგვარი შემთხვევებისას, კაცს ცოლს დავუძახებდით, ცოლს კი – ქმარს, იმიტომ რომ პატრონი ის არის, ვინც დომინირებს. მოცემულ რეალობაში სიტყვები „ქმარი" და „ცოლი" „მამაკაცისა" და „ქალის" სინონიმებად არ გამოგვადგება.

სიმართლე რომ ვთქვათ, სიტყვა „ქმარი"განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს. იყო ქმარი, ნიშნავს ითამაშო რაღაც როლი. ამ პოზიციაზე შეიძლება იყოს როგორც კაცი, ასევე ქალიც. ცოლად ყოფნაც რაღაც ფუნქციის შესრულებას ნიშნავს, რაც კაცსაც შეუძლია და ქალსაც. ბევრი კაცი თამაშობს ცხოვრობაში ცოლის როლს, ისევე როგორც ბევრი ქალი – ქმრისას.

ამგვარად, კაცის/ქალის, როგორც პიროვნების, მაღალსა თუ დაბალ დონეს იქამდე მივყავართ, რომ კაცები და ქალები სწორედ ასე ცხოვრობენ. ზოგჯერ ხდება ისეც, რომ შემთხვევით, რაღაც დაავადების გამო კაცი ქალად იქცევა, ან პირიქით, ქალი – კაცად.

რამდენიმე წლის წინ ლონდონში დააფიქსირეს შემთხვევა, როცა ქორწინებიდან ცოტა ხანში, ქალი კაცად გადაიქცა. კაცი, რომელმაც ის ცოლად შეირთო, მისმა სამოსმა შეაცდინა. ტანსაცმელი ფარავდა იმ ფაქტს, რომ ქორწილზე ის უკვე კაცი იყო და რომ სიძე მწარედ ტყუვდებოდა. საწყალ ქალს გაუჭირდა იმის დამტკიცება, რომ ის ქორწილის დროს ნამდვილად ქალი იყო კაცად მხოლოდ ქორწილის შემდეგ გადაიქცა. მაგრამ მედიცინამ ის გადაარჩინა. აღმოჩნდა, რომ პატარძლობისას ის მაინც ქალი იყო, რომელიც თითქმის კაცად იქცა. ეს გარდამავალი შემთხვევა გახლდათ: კიდევ ერთი ნაბიჯი და ის კაცად მოგვევლინებოდა. და მან გადადგა ეს ნაბიჯი.

მომავალში მეცნიერებას არ გაუჭირდება კაცისა თუ ქალისთვის სქესის გადაკეთება. და ეს ძალიან კარგია, რადგან ადამიანებს ბოლოს და ბოლოს ბეზრდებათ ერთი და იმავე როლის თამაში და მათთვის ცვლილებებია აუცილებელი.

ქალები, რომლებშიც კაცის ელემენტი სჭარბობს, იბატონებენ. ასეთი ქალები მუდამ უბედურები იქნებიან. მიზეზი იმაშია, რომ ასეთი დომინირებული ელემენტი ეწინააღმდეგება მათ ქალურ ბუნებას. ამდენად, მათ უბედურებას საზღვარი არ ექნება. სინამდვილეში ქალებს მოსწონთ კაცები, რომლებიც მათზებატონობენ. არცერთ ქალს არ ეხატება გულზე ის კაცი, რომელზე მაღლაც თვითონ დგას. მაღალი მამაკაცური ელემენტის მქონე ქალები იბატონებენ კაცებზე და დაიტანჯებიან, რადგან მათ ვერ იპოვეს ისეთი კაცები, რომლებიც მათზე იბატონებდნენ. ასეთი ქალების უბედურება არასოდეს დასრულდება. თუმცა, კაცების შემთხვევაში სხვაგვარი სიტუაციაა. კაცის ბედნიერება იმ ქალში დევს, რომელიც მის გვერდით ცხოვრობს. მაგრამ თუ კაცი ქალს თავად ნებდება მაშინ ქალი მუდამ არაკომფორტულად იგრძნობს მასთან თავს და არასდროს იქნება კმაყოფილი

ამგვარად, კაცად ან ქალად ყოფნა არ უნდა იყოს მოსაზღვრე მოვლენები. მაგრამ სისტემას, რომელიც ჩვენ განვავრცეთ, თანდათან მივყავართ იმასთან, რომ კაცი და ქალი ცხოვრობენ მოსაზღვრე მდგომარეობაში. ამაში მხოლოდ ჩვენი ცივილიზაციაა დამნაშავე. სინამდვილეში, ჩვენი კულტურის განვითარებამ გაათანაბრა კაცისა და ქალის როლები. შედეგად, ადამიანებს უფრო დიდი ზიანი მიადგათ. ამის გამო ქალების ქალურობამ იკლო, მსგავსი რამ მოუვიდა კაცების კაცურობასაც, თუმცა, იდეალურ მდგომარეობაში ორივე სქესი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსებზე უნდა განთავსდეს.

კაცი ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით უნდა იყოს კაცი, და ერთი პროცენტით ქალი. მასში აუცილებლად დარჩება ერთი პროცენტი ქალურობის და ამას ვერ გაექცევით. ქალი ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით უნდა იყოს ქალი და ერთი პროცენტით კაცი. ამგვარი გაყოფისთვის საჭიროა ამ ორი სქესის წარმომადგენლებმა სხვადასხვა სამუშაო შეასრულონ, სხვადასხვაგვარად იკვებონ, სხვადასხვა განათლება მიიღონ. აუცილებელია, მათი ცხოვრებისეული ცოდნა მკვეთრად განირჩეოდეს ერთმანეთისგან. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ქალისა და მამაკაცის განთავსებას სხვადასხვა პოლუსზე.

იმ მომენტიდან, როცა ადამიანში ეს შეგნება გაიზრდება, არ მოგვინდება, ქალები რომ მამაკაცებს ჰგავდნენ, ხოლო მამაკაცები – ქალებს. იმ დღიდან ჩვენ კაცების კაცებად და ქალების ქალებად ყოფნას ვისურვებთ, ვისურვებთ, რომ მათ შორის დიდი უფსკრული იყოს, იმდენად, რამდენადაც, რაც უფრო დიდი მანძილია ქალსა და კაცს შორის, მით უფრო დიდია მიზიდულობა, მით უფრო მეტი სიტკბო იგრძნობა მათ ერთიანობაში. რაც უფრო დიდია დაშორება, მით უფრო დიდია მათ შორის შეერთების სიხარული. რაც უფრო პატარა დაშორება, მით უფრო ნაკლებია მათ შორის არსებული სიტკბო, მით უფრო მცირეა შეხვედრით გამოწვეული სიხარული.

მაგრამ ზუსტად ეს მოხდა. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად ადამიანი უფრო რბილი და ნაზი გახდა, რამდენადაც ის არ მონაწილეობს ბრძოლებში, არ მუშაობს მინდვრად, არ ნადირობს. ქვებს არ ტეხს, მისი ქალური საწყისი გაიზარ-

და. ის დარბილდა, კუნთები დაეკარგა. მისი მამაკაცურობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი სადღაც გაქრა.

ქალი უფრო მეტად დაემსგავსა კაცს. ის იმავე განათლებას იღებს, რასაც კაცი, სურს საზოგადოებაში კაცებისთვის განკუთვნილ წარმატებას მიაღწიოს. ამ შემთხვევაში ქალს კაცებთან შეჯიბრი და იმ სამუშაოების შესრულება მოუწევს, რომელსაც კაცი ასრულებს. თუ ქალს ფაბრიკაში მუშაობა უნდა. კაცი უნდა იყოს; კაცივით უნდა მოიქცეს, თუ კანტორაში გადაწვეტს დასაქმებას. ამგვარ სიტუაციებში ის მხოლოდ ნომინალურადაა ქალი. ბიოლოგიის თვალსაზრისით რომ ქალია. უმნიშვნელო ხდება, იმიტომ რომ დანარჩენთან მიმართებით ის კაცია – იმავე სამუშაოს ასრულებს, რასაც კაცი. ის კონკურენციას უწევს ძლიერი სქესის წარმომადგენლებს.

ერთი მხრივ, კაცი ხდება უფრო და უფრო ქალისმაგვარი და ნაკლებად მამაკაცური, მეორე მხრივ, ქალი უახლოვდება კაცს, ის ხდება კაცისმაგვარი. ეს ძალიან საზიანოა. ყველაზე დიდი ზიანი იმაში მდგომარეობს, რომ ვერც ერთი ქალი ვერ შეიგრძნობს სიამოვნებას კაცისგან. კაცებსაც იგივე პრობლემა აქვთ. შესაბამისად, ორივე ადამიანი ყოველდღე იტანჯება დაუკმაყოფილებლობისგან. არ შეიძლება ასე არ იყოს. ვიდრე არ განვათავისებთ კაცსა და ქალს ურთიერთსაპირისპირო პოლუსებზე, ერთმანეთისგან შორს, მათი ტანჯვა გარდაუვალია. ეს მტკივნეული ფაქტორი პასუხისმგებელია მათ ტანჯვაზე. სხვა შემთხვევაში შეიძლება მშვიდად ვიყოთ.

შეიძლება ამ მოვლენას გარყვნილება ვუწოდოთ? შეიძლება ამ ადამიანებს გარყვნილები ვუწოდოთ?

მთავარი ის კი არ არის, ამ ადამიანებს გარყვნილები ვუწოდოთ, მათ ხომ ბუნება არ გაურყვნიათ. მათ პრობლემებს არაფერი აქვს საერთო გარყვნილებასთან. არსებითად ეს შემთხვევითობაა და უნდა ვეძებოთ მეთოდები, მსგავსი სიტუაციებისგან თავის დასაზღვევად. ის, ვინც ამგვარი სიტუაციის მსხვერპლი ხდება, შეცოდებას იმსახურებს და არ შეიძლება მას გარყვნილი ვუწოდოთ. ეს ადამიანი არ არის დამნაშავე ვიდრე საკუთარ თავზე არ ავიღებთ ადამიანებში საფუძვლია-

ნი ცვლილებების გატარების პასუხისმგებლობას მათ ქალური თუ კაცური თვისებების პატივისცემის გათვალისწინებით, ადამიანთა გამოსწორების ნებისმიერი მცდელობა სისულელედ ჩაითვლება. ჰორმონების ინექციით შეიძლება ადამიანები ქალურებადან კაცურებად ვაქციოთ, მაგრამ ამით მაინც არაფერი გამოვა.

თუ ცოლი ქმარს აწუხებს, მასზე ბატონობს, ქმარს არასდროს მოუვა თავში, ექიმთან გაიაროს კონსულტაცია. ის ამჯობინებს, ცოლი ბერთან, წმინდა ადამიანთან წაიყვანოს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს ჭეშმარიტების გზაზე ქალის დაყენება. საქმე იმაშია, რომ წმინდა ადამიანი ყველაზე ნაკლებადაა პასუხისმგებელი ამ შემთხვევაში. მას არაფერი აკავშირებს ამ საქმესთან. საკითხიც არ დგას ისე, რომ ქალი ვიღაცამ ჭეშმარიტების გზაზე დააყენოს. მას ჰორმონები სჭირდება, რომელიც ქალს უფრო ქალურს გახდის. ქალს შეიძლება მივცეთ ასეთი ჰორმონები. ეს სირთულეს არ წარმოადგენს. არ უნდა ვაქციოთ გულგატეხილობისა და უბედურების მიზეზად ის, რომ ზოგიერთი მამაკაცი ქალურობას ავლენს და ცოლისთვის უინტერესო ხდება. ასეთ მამაკაცს უბრალოდ მკურნალობა სჭირდება, ისე, როგორც სხვა სიტუაციებში.

ადამიანიდან გამოსული თხელი სხეული უკვე ვერ ახერხებს სრულად უკან, ფიზიკურ სხეულში ჩაბრუნებას. თანხმობა და ჰარმონია სხეულებს შორის სამუდამოდ იხლიჩება. ამ მიზეზით იოგის მიმდევრები ხშირად ავადმყოფობენ და ახალგაზრდა ასაკში კვდებიან. როგორ მოვემზადოთ, რომ თავიდან ავიცილოთ დისჰარმონია? არ შეიძლება, მინიმუმამდე დავიყვანოთ ავადმყოფობის შესაძლებლობა? როგორ მოვახერხოთ ასეთი რამ?

თავიდანვე გეტყვით, რომ აქ, ისევ დაირღვევა ბუნების წესრიგი იმ მომენტში, როცა თხელი სხეული გამოვა ფიზიკური სხეულიდან. ასეთი მოვლენა არ არის ბუნებრივი და, უნდა ითქვას, რომ სცდება მის საზღვრებს. როცა ბუნების საწინააღმდეგო მოვლენას ხდება, ან ისეთი რამ, რაც ბუნების ზღვარს მიღმაა, მთელი ჰარმონია და თანხმობა ირღვევა. თუკი ადამიანს უწესრიგო მდგომარებისგან თავის დაზღვევა სურს,

გულდასმით უნდა მოემზადოს. ამ მხრივ დიდი დახმარება შეუძლია სხვადასხვა ასანებსა და მუდრებს, ანუ იოგას პოზებს. ამ შემთხვევაში ხათხა-იოგას ყველა ტექნიკა სასარგებლოა. ამგვარად, თქვენ გჭირდებათ არაჩვეულებრივი სხეული, იმდენად, რამდენადაც ჩვეულებრივი სხეული ვერ იმუშავებს. თქვენი სხეული ფოლადის უნდა იყოს იმისთვის, რათა ასეთი მძლავრი მიზიდულობის არაბუნებრივ მოვლენებს გაუძლოს.

მაგალითად, რამამურტის[6] სხეულსა და ნებისმიერ სხვა სხეულს შორის არ იყო ფუნდამენტური განსხვავება, მაგრამ მან ჩაატარა რამდენიმე ფოკუსი. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ფოკუსი ყოველდღიურად მუშაობს, მაგრამ ის არასდროს გვაკვირვებს. აი, საბურავი, რომელიც გაბერილ მდგომარეობაში ავტომანქანას დაატარებს. გამოუშვით საბურავიდან ჰაერი და ავტომობილი არ წავა. საბურავში ჩატუმბული უნდა იყოს შესაბამისი წნევის მქონე ჰაერი, იმისთვის რომ მან მანქანის წონის ტარება შეძლოს.

პრანაიამას[7] განსაკუთრებული ტექნიკის დახმარებით ადამიანს შეუძლია ფილტვები აივსოს დიდი მოცულობის ჰაერით, რათა სხეულმა სპილოს წონა აიტანოს. მკერდი მოქმედებს ზუსტად ისე, როგორ საბურავი, როგორც საჰაერო ბურთი. იმისათვის, რომ გაუძლოს სპილოს წონას, მკერდს სჭირდება გარკვეული მოცულობის ჰაერი და თუ ადამიანისთვის პროპორცია ცნობილია, მაშინ საკითხიც ამოწურულია, რამამურტის ისეთივე ფილტვები ჰქონდა, როგორიც ჩვენ გვაქვს.

საბურავის საჰაერო შიგთავსი ფოლადის როდია, მას არა აქვს ძალა. საჰაეროს სარგებელი მხოლოდ ისაა, რომ მას განსაკუთრებული მოცულობის ჰაერის დატევა შეუძლია. სულ ეს არის. თუკი მისთვის საკმარისი ჰაერი არსებობს, მაშინ ყველაფერი მუშაობს.

ცოტა ხნის წინ, გამოიგონეს ახალი ტიპის ავტომობილი, რომელიც მიწიდან ოთხი ფუტის სიმაღლეზე მოძრაობს. მას

---

[6] რამამუტრა – ექიმი და ქირურგი. იოგის ფსიქოლოგი, მედიცინის პროფესორი; ჩაატარა 1348 ქირურგიული ოპერაცია, რომელიც მას ეხმარებოდა იოგის ანატომიისა და ფიზიოლოგიის ინტერპრეტქციაში.

[7] პრანაიამი – პრანის (სასიცოცხლო ენერგიის) მართვა, სასუნთქი გზების დახმარებით ვარჯიში იოგაში.

არ სჭირდება არანაირი საჰაერო ბურთები. სინამდვილეში ამ მექანიზმის შემუშავებისას იგივე ფოკუსია გამოყენებული. ავტომობილი იმდენად სწრაფად მოძრაობს, რომ მის ქვეშ მყოფი ჰაერი საკმარისად მოცულობითი ხდება ამ წონის დასაჭერად. სიჩქარე ჰაერს ჭრის და ყოფს მას ზედა და ქვედა ნაწილებად. სიჩქარის წყალობით, ავტომობილის ქვეშ წარმოიქმნება ოთხი ფუტის ფენა, რომელსაც უჭირავს მოძრავი ავტომობილი.

ეს ავტომობილი მოძრავი ნავის პრინციპით მუშაობს. სწრაფად მოძრავი ნავის უკან უკან ვაკუუმი წარმოიქმნება. სწორედ ვაკუუმი ეხმარება ნავს წინ მოძრაობაში. წყალი ყველა მხრიდან მიისწრაფვის ვაკუუმის შევსებისკენ და ნავი წინ მიჰყავს. ეს მეთოდი ყოველთვის მუშაობს. წყალი რომ სხვაგვარად იქცეოდეს, ნავი ვერ იმოძრავებდა.

ამგვარად, თუ მანქანა განსაკუთრებულ სიჩქარეს აკრეფს, მის ქვევით წარმოიქმნება ოთხი ფუტის სისქის ჰაერის ფენა, რომელიც ავტომობილს სავალ ნაწილად გამოადგება. სინამდვილეში ამ ჰაერის ფენის წარმოქმნა არ არის საჭირო, რამდენადაც ის თავად ჩნდება, როგორც კი მანქანა დიდი სიჩქარით მოძრაობას იწყებს. ამ დროს ბორბლები აღარ იქნება საჭირო, მანქანა უბრალოდ გასრიალდება. ამ შემთხვევაში ზედმეტი იქნება ყველაფერი, ჰაერის გარდა.

ხატხა-იოგამ[8] აღმოაჩინა არაერთი ტექნიკა, რომელიც სხეულს განსაკუთრებულ დისციპლინაში ამყოფებს. სხეულის ამგვარი დისციპლინა ყველაფერს ცვლის, ამიტომ ხატხა-იოგის მიმდევრები არასდროს კვდებიან ახალგაზრდულ ასაკში. ნორმალური რაჯა-იოგა[9] ახალგაზრდა კვდება, როგორც ვივეკანანდა[10]

---

[8] ხათხა-იოგა – იოგის მიმართულება, რომელიც ჩამოყალიბდა მე-10-11 საუკუნეებში. მრავალ წყაროში ხასიათდება, როგორც ფსიქოფიზიკური ტექნიკა, რომელიც ამშვიდებს გონებას. ყველა პრაქტიკაში არის ცნობიერზე მუშაობის ელემენტები (ყურადღების კონცენტრაცია და ა .შ.).

[9] რაჯა-იოგა – (სამეფო იოგა), ასევე ცნობილია, როგორც კლასიკური იოგა – ექვსიდან ერთ-ერთი ორთოდოქსალური სკოლა ინდუიზმის ფილოსოფიაში.

[10] ვივეკანანდა, სვამი (დ. 12 იანვარი, 1863 – გ. 4 ივლისი, 1902) – XIX საუკუნის ინდოელი ფილოსოფოსი და სულიერი მოძღვარი. იგი თანამედროვე ინდოეთის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნეა. მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის ბოლოს. ინდოეთის თვალსაჩინო ფიგურადა ცნობილი მოღვაწე. მას იცნობენ, როგორც „ერის მამას". ვივეკანანდას ნააზრევმა უდიდესი გავლენა მოახდინა ინდოეთის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძ-

ან შანკარაჩარია[11], მაგრამ არა როგორც ხათხა-იოგა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ხათხა-იოგა თავის სხეულს მანამ ამყოფებს დისციპლინაში, ვიდრე ის დაიღუპება. საკუთარი სხეულის არაბუნებრივი სიტუაციებისთვის მოსამზადებლად ის უამრავ ურთულეს ვარჯიშს ასრულებს.

მაგალითად, როცა ქუჩაში ცხელა, ის საბანს იხურავს სუფისტი მისტიკოსები საბანში ეხვევიან. სიტყვა „სუფ" ნიშნავს ბეწვს. ისინი, ვინც მუდამ ეხვევა ბამბის საბანში, ცნობილები არიან, სუფიების სახელით. მოგეხსენებათ, სიტყვა „სუფიას" სხვა მნიშვნელობაც გააჩნია.

არაბეთის სამყაროში, სადაც თაკარა მზეა, ყველა სუფისტი ფაკირი, საბანში ეხვევა. ამ გავარვარებულ მზეში ისინი ბამბის საბანს იხურავენ. ეს ადამიანები არაბუნებრივად იქცევიან. მზე მთელი ძალით ანათებს, გარშემო ბუჩქიც კი არ ჩანს. კაცი კი საბანში გახვეული ზის. ის სხეულს არაბუნებრივ პირობებში გაძლებას ასწავლის. ტიბეტში ლამა[12] შიშველი ზის თოვლში. გაოცდებით, როცა ნახავთ, რომ სხეულიდან ოფლი სდის. ეს ლამა საკუთარ სხეულზე მუშაობს, რათა თოვლშიც კი გაოფლიანდეს. მისი ძალისხმევა ძალიან არაბუნებრივია.

რაობის ხასიათზე. ასევე, ინდური ფილოსოფიის განვითარებაზე.თავიდან ვიყეკანანდა დაინტერესდა დასავლური და ინდური ფილოსოფიით, მაგრამ შემდეგ მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – ის შეხვდა რანირასმანის, რომელიც ისტორიაში რამაკრიშნას სახელით შევიდა. ეს ადამიანი გამოირჩეოდა ორიგინალური აზროვნებით, შესანიშნავად ფლობდა იოგას და ჰიპნოზს, ცნობილი იყო სიწმინდითა და განდეგილობით. 1890 იანი წლების დასაწყისში, რამაკრიშნას გარდაცვალების შემდეგ, ვივეკანანდამ ფეხით იმოგზაურა მთელ ინდოეთში, რასაც სამი წელი მოანდომა.1904 წლის 4 ივლისს 7 საათზე ის შევიდა თავის ოთახში და ითხოვა არ შეეწუხებინათ. ის 9:10 საათზე მედიტაციის დროსგარდაიცვალა.

[11] შანკარაჩარია – ინდოელი ფილოსოფოსი (788-820 წწ.)ვედანტის წამყვანი წარმომადგენელი, რელიგიური რეფორმატორი და პოლემისტი, მისტიკოსი და პოეტი, უპანიშად-ვედანტისა და ბუდიზმის სინთეზის საფუძველზე შექმნა თანმიმდევრული მონისტილური სისტემა – ადვაიტავედანტა. იგი 33 წლის ასაკში გარდაიცვალა.

[12] ლამა – ტიბეტელი დჰარმის მასწავლებლისტიტული. ეს ტერმინი იგივეა რაც სანსკრიტული „გურუ" „ლამა" გამოიყენება მონაზვნების, ბერების ანსხვა ვაჯრაიანა ბუდიზმის პრაქტიკოსებისტიტულისგამოსახატავად. ი დაერთვის ტერმინებს. მაგ.. დალაილამა. პანჩენლამა

არსებობს უამრავი მეთოდი სხეულის მოსამზადებლად. თუ სხეული აიძულეს ასეთი მზადებისთვის, მაშინ ის მედგრად მეხვდება ყველა არაბუნებრივ შემთხვევას და არანაირი ზიანი არ მიადგება. მაგრამ როგორც წესი, ჩვეულებრივ, ასეთ მომზადებას წლები სჭირდება. ამიტომ რაჯა-იოგის სწავლება მიიჩნევს, რომ უაზრობაა ამდენი წლის დახარჯვა ცოტათი მეტი სიცოცხლისთვის. ხათხა-იოგა წლების მომზადებას მოითხოვს, მინიმუმ, ოც ან ოცდაათ წელს მაინც. საჭიროა მუშაობა, ყოველ შემთხვევაში, ოცდაათი წლის განმავლობაში. თუ ადამიანი იწყებს მომზადებას თხუთმეტი წლის ასაკში, სრული მზადყოფნისას ის უკვე ორმოცდაათი წლის შესრულდება.

ამიტომ რაჯა-იოგის სწავლებამ გადაწყვიტა, ძალიანაც არ ეზრუნა სხეულზე. თუ ამგვარი სიტუაცია წარმოიქმნება და სხეული კვდება, დაე, ასეც იყოს. რისთვისაა საჭირო მისი გადარჩენა? ამიტომ რაჯა-იოგაში უარი თქვეს ამგვარმომზადებაზე.

ამ მიზეზით შანკარაჩარია ოცდაცამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა, მისი სხეული არ იყო მზად ასეთი მოჭარბებული მაგნიტიზმისთვის. მაგრამ მას არ სჭირდებოდა ამისთვის მომზადება. თუ ეს აუცილებელი არ არის, მაშინ ყველაფერი კარგადაა. სხვა შემთხვევაში არ არის საჭირო დაძაბვა. თუ ადამიანი წლების განმავლობაში მუშაობს იმაზე, რომ მისმა სხეულმა ოცდაცამეტი წელი გაძლოს, ხოლო მისი სხეული კიდევ ოცდაცამეტ წელს შენარჩუნდება, მაშინ ამ პრაქტიკისგან ბევრი ვერაფერი სარგებელია. თუკი თხუთმეტი წლიდან ორმოცდაათ წლამდე მუშაობა მომიწევს, მზადებაში ოცდათხუთმეტი წელი დამეკარგება. თუ კიდევ ოცდათხუთმეტი წელი კიცოცხლებ, ოთხმოცდახუთ წლამდე, მაშინ ის წლები, რომელსაც „ვიცოცხლებ“, მაინც ოცდათხუთმეტ წელს შეადგენს, ამიტომ ამ პრაქტიკას არანაირი აზრი არა აქვს.

ვინმეს რომ შანკარაჩარიასთვის ეთქვა: „შენ შეგეძლო საძოცდაათი წელი გეცოცხლა, თუ ხათხა-იოგას პრაქტიკას გაიკლიდი“, მაშინ შანკარაჩარია უპასუხებდა: „მაგრამ მე ამისთვის დამჭირდებოდა ორმოცწლიანი მუშაობა. მიმაჩნია, რომ ასეთი ძალისხმევა უაზრობაა. მინდა ოცდაცამეტი წლის ასაკში მოვკვდე. ამაში არაფერია ცუდი“.

ხათხა-იოგა ამ თვალსაზრისით ნელ-ნელა ჩამორჩა. ამის მიზეზი ის არის, რომ არავინ იყო მზად დიდხნიანი პრაქტიკისთვის. სავარაუდოდ, ხათხა-იოგა შეიძლება მომავლისთვის დაბრუნდეს, თუკი მუშაობაში მეცნიერება დაეხმარება. რამდენადაც მესმის, იმაზე, რაზეც ოცდათხუთმეტი წელი იხარჯებოდა, შეიძლება ხუთი წელი დაიხარჯოს მეცნიერების დახმარებით. დრო შეიძლება დაიზოგოს, თუ მაქსიმალურად გამოვიყენებთ მეცნიერებას. თუმცა, მეცნიერება მანამდე დაიწყებს მოქმედებას, ვიდრე სამეცნიერო ხათხა-იოგა დამკვიდრდება ადამიანების ცხოვრებაში. ჩემი აზრით, მეცნიერული ხათხა-იოგა დასავლეთში დაიბადება, და არა ინდოეთში. იმიტომ რომ ინდოეთში საერთოდ არ არსებობს მეცნიერული ბაზა.

ამგვარად, დრო შეიძლება დავზოგოთ, მაგრამ მსგავსი მცდელობა მნიშვნელოვან მიზანს არ ემსახურება. ის შეიძლება სასარგებლო იყოს დროის ეკონომიისთვის განსაკუთრებულ გარემოებებში, თანაც მხოლოდ უხეშ პირობებში, ფიზიკური სხეულის დონეზე. შანკარაჩარიასთვის, შესაძლოა, არ ჰქონდა აზრი ცხოვრების გაგრძელებას, მაგრამ სხვებისთვის ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. ამიტომ ხათხა-იოგას აქვს თავისი მნიშვნელობა, ის დისტანციური და სუსტია. ვინმე რომ ეტყოდეს შანკარაჩარიას: „გასაგებია, რომ თქვენთვის არა აქვს მნიშვნელობა სიცოცხლის გაგრძელებას, თუმცა, თუკი კიდევ ოცდაცამეტ წელს იცხოვრებდით, ადამიანებისთვის უამრავი სიკეთის მოტანას შეძლებდით“. ეს ერთადერთი მეთოდია ხათხა-იოგას დასაბრუნებლად.

როცა თხელი სხეული გამოეყოფა უხეშ სხეულს, მათ შორის თანხმობა ირღვევა. ეს თითქმის იგივეა, როგორც მანქანიდან ძრავი ამოიღოთ, მერე კი ისევ დააბრუნოთ თავის ადგილას, მაგრამ ეს ძრავის გამოყენების ვადას შეამოკლებს ამიტომ მანქანის მყიდველი, უპირველეს ყოვლისა, რწმუნდება იმაში, რომ მანქანის ძრავს არ შეხებიან. მაშინაც კი, თუ ძრავს ზუსტად იმავე ადგილას ჩასვამენ, ის მაინც იცვლის მუშაობის ვადას. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ძრავს უკვე არ შეუძლია ძველებურად მუშაობა. ძრავის საწყისი პარამეტრების მცირეოდენი ცვლილებაც კი მის სოცოცხლეზე აისახება

უფრო მეტიც, ჩვენს სხეულში არის რამდენიმე ელემენტი, რომლებიც ძალიან სწრაფად კვდებიან, არის ასევე ელემენტები, რომლებიც ადამიანის იმქვეყნად გამგზავრების შემდგომაც უარს ამბობენ სიკვდილზე. გარდაცვლილს საფლავშიც კი ეზრდება ფრჩხილები და თმა. ისინი ძველებურად განაგრძობენ ფუნქციონირებას და მოგვიანებით იღუპებიან.

სიკვდილი არაერთ დონეზე დგება. სინამდვილეში სხეულში რამდენიმე პარამეტრი ავტომატურად მოდის და სულის თანდასწრებით იმის საჭიროებაც კი არ არსებობს, რომ მათ თავიანთი ადგილი ჰქონდეთ. მაგალითად, მე ვზივარ აქ და თქვენ გელაპარაკებით. თუკი ამ ოთახიდან გავალ, ჩემი საუბარიც შეწყდება, მაგრამ ვენტილატორი კვლავ იტრიალებს, იმიტომ რომ მას თავისი პარამეტრები აქვს და ის არანაირად არ არის დაკავშირებული ჩემს აქ ყოფნასთან.

ჩვენს სხეულში ორი სისტემაა. ერთი სისტემა ისეთია, რომ წყვეტს თავის არსებობას, როგორც კი ცნობიერი სხეულს დატოვებს, სხვა სისტემა კი ამ პროცესის დადგომიდან კიდევ რამდენიმე ხნის განმავლობაში განაგრძობს მუშაობას. ეს თავისთავად ხდება, მას უფრო ხანგრძლივი დროით მუშაობისთვის შესაბამისი პარამეტრები აქვს ჩაყენებული. ცნობიერი წავა სხეულიდან, მაგრამ თმას არაფერი ეცოდინება ამის შესახებ. იმისთვის, რომ ადამიანის გარდაცვალება შეიტყოს, იმისათვის, რომ გაიგოს, რომ ზრდა უკვე აღარაა საჭირო, თმას დრო დასჭირდება.

ამგვარად, ჩვენში არის განსაზღვრული ელემენტები, რომლებიც ძალიან მალე კვდება, ზოგიერთი მათგანი ექვს წამში იღუპება — მაგალითად, ინფარქტის შემთხვევაში. ინფაქტის შემთხვევაში შესაძლოა გადარჩეს, თუკი მას ექვს წამში დაეხმარებიან. არსებითად, მიოკარდის ინფარქტი სიკვდილი კი არა, სტრუქტურული მარცხია, რომელიც შეიძლება აღიკვეთოს. რუსეთში პირველ მსოფლიო ომში სწორედ ასე გადაარჩინეს ასობით ადამიანი. თუკი მშველელი გულის პათოლოგიის მქონე ჯარისკაცთან ექვს წამში ასწრებდა მისვლას, ავადმყოფი გადარჩებოდა. მაგრამ ექვსი წამის შემდეგ გარკვეული ელემენტები კვდება და შემდეგ მათი გაცოცხლება ძალიან ძნელია.

ტვინის თხელი ქსოვილები უსწრაფესად იღუპება, პრაქტიკულად მყისიერად.

თუ თხელი სხეული ფიზიკური სხეულიდან ძალიან დიდხანს გადის, აუცილებელია ფიზიკური სხეულის დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ზოგიერთი ელემენტი კვდომას დაიწყებს. თუმცა, ვერაფრით მიხვდებით, რამდენი ხნით იყო გასული თხელი სხეული ფიზიკური სხეულიდან, რადგან ეს სხეულები დროის სხვადასხვა დონეზე არსებობენ. მაგალითად, თუ ჩემი სხეული გავა, მომეჩვენება, რომ ამ მდგომარეობაში ვიყავი. მაგრამ ფიზიკურ სხეულში დაბრუნებისას აღმოვაჩენ, რომ წამიც არ გასულა. დრო, სხვადასხვანაირად მიედინება.

ეს იგივეა, ადამიანმა დაიძინოს და დაესიზმროს, რომ დაოჯახდა, გადაიხადა ქორწილი, გაუჩნდა ბავშვები, ისინი გაიზარდნენ და თავადაც დაოჯახდნენ. მერე ამ ადამიანმა გაიღვიძა და თავისი გრძელი სიზმარი გვიამბო. შესაძლოა, მას ასეც უპასუხოთ: „შენ ხომ ერთი წუთით წაუძინე, როგორ შეიძლება ასეთ მცირე დროში, ასეთი ხანგრძლივი სიზმარი დაგსიზმრებოდა?" ასეთი რამ შესაძლებელია. დრო ამ შემთხვევაში სხვადასხვანაირად მიედინება. ასეთი ხანგრძლივი სიზმარი შეიძლება გესიზმროთ ერთ წუთში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი დროის განზომილება ძალიან განსხვავდება სიფხიზლის დროისაგან. სიზმარში ხომ ყველაფერი ძალიან სწრაფად ვითარდება.

თუ თხელი სხეული წუთით მაინც გავა ფიზიკური სხეულიდან, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მთელი წელი უსხეულოდ დაბოდიალობდით. და, ცხადია, წარმოდგენა არ გექნებათ იმაზე, თუ რამდენ ხანს იყავით გარეთ. ამ პირობებში აუცილებელია სხეულის შენარჩუნება, ეს კი ძალიან რთულია. თუმცა, კარგად მომზადების პირობებში ადმიანის თხელ სხეულს შეუძლია დიდხანს დარჩეს ფიზიკური სხეულის გარეთ.

შანკარაჩარიას ცხოვრებაში მოხდა შემთხვევა, რომელის მოყოლაც ღირს. უსარგებლო იქნება იმაზე საუბარი, თუ რამდენ ხანს რჩებოდა შანკარაჩარია თავისი უხეში სხეულის მიღმა თხელი სხეულის დროითი ტერმინების გათვალისწინებით. მაგრამ ჩვენი დროით, მან ფიზიკური სხეულის გარეშე ექვსი თვე დაჰყო. მისი უბედურების მიზეზი ქალი გახლდათ

შანკარა ეკამათებოდა მანდანა მიშრას და გაიმარჯვა მასზე. მაგრამ მანდანას ცოლმა წამოაყენა ძალიან ქალური არგუმენტი, ისე მოიქცა, როგორც მხოლოდ ქალებს შეუძლიათ. მან თქვა:

– კამათი წააგო მხოლოდ მანდანა მიშრას ნახევარმა. მე ვარ მისი მეორე ნახევარი, მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ. შენ არ შეგიძლია თქვა, რომ მანდანა მიშრაზე მთლიანად გაიმარჯვე, მანამ, ვიდრე მე არ დამამარცხებ.

შანკარა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალის სიტყვა მართებული იყო, მას მაინც არ ჰქონდა წონა. მანდანა მიშრა გაცამტვერდა დებატებში. ძალოსნის დამარცხება მის ცოლთან ერთად ხომ არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ გამარჯვებულად გაღიარონ. მაგრამ მანდანა მიშრას ცოლთან, ბხარატისთან, ღირდა შეჯიბრი. მსოფლიოს მისი რანგისა და სიდიდის ძალიან ცოტა განათლებული ქალი ახსოვს. შანკარას მოეწონა აზრი კამათის დაწყების შესახებ. ჩათვალა, რომ ქალთან კამათი სახალისო იქნებოდა, მეორე მხრივ, საინტერესო იყო, თუკი მანდანმა ვერ მოუგო, რამდენ ხანს გაუძლებდა მას ბხარატი? მაგრამ შანკარა შეცდა.

ძალიან ადვილია კაცის დამარცხება, მაგრამ ქალზე გამარჯვება რთულია, რადგან, მიუხედავად მარცხისა თუ გამარჯვებისა, კაცისა და ქალის არგუმენტები არასოდეს არის ერთნაირი. ისინი სხვადასხვა ლოგიკას მისდევენ. ამიტომაცაა, რომ ქმრებსა და ცოლებს ხშირად არ ესმით ერთმანეთის, სხვადასხვა ლოგიკური საფუძველი აქვთ და მათი დასკვნები მოკლებულია ჰარმონიას. ისინი ხშირად ერთმანეთის პარალელურად მიდიან და არასოდეს ხვდებიან ერთმანეთს.

შანკარამ იფიქრა, ბხარატი ბრახმანზე ან რაღაც ამდაგვარზე კამათს დაიწყებსო, მაგრამ ქალი არ შეხებია ბრახმანის თემას, რამდენადაც იმისი მოწმე იყო, თუ როგორ ჩავარდა რთულ სიტუაციაში თავად მანდანა მიშრა ამ საკითხის განხილვისას. მან ბრწყინვალედ იცოდა იმის შესახებ, რომ ბრახმანისა და მაიას განსჯები მისთვის უსარგებლო აღმოჩნდებოდა, ამიტომ შანკარას ასეთი რამ ჰკითხა:

– თუ შეიძლება, მოყევი რაიმე სექსზე.

შანკარა დაიბნა. მან უპასუხა:

– მე სრულ ცელიბატს ვიცავ. გთხოვ, არ დამისვა კითხვები სექსზე.

– თუკი არაფერი იცი სექსზე, სხვა რა იცი? – განაცხადა ბხარატიმ, – თუ ესეც კი არ იცი, მიკვირს, რა უნდა იცოდე ბრახმანზე, მაიასა და მსგავს რამეზე. მოგიწევს სექსზე ილაპარაკო, რადგან არსებითად ეს არის ამ სამყაროს პირველწყარო, რომელსაც თქვენ მაიას უწოდებთ. მე მხოლოდ ამ საკითხზე დაგელაპარაკები.

– გთხოვ, მომეცი ექვსი თვე, – სთხოვა მას შანკარმა, - ყველაფერს შევიტყობ ამ თემის შესახებ. არაფერი ვიცი სექსზე. მასზე ჩემთვის არასდროს არავის არაფერი უსწავლებია ჩემთვის არ არის ცნობილი სექსის საიდუმლო.

იმისათვის, რომ გაეგო სექსის საიდუმლო, შანკარას მოუწია გასულიყო თავისი სხეულიდან და სხვა სხეულში შესულიყო ვიღაცამ შეიძლება ასეთი კითხვა დასვას: „საკუთარი სხეულიდან რატომ ვერ შეძლო ამ ყველაფრის გაკეთება?“ შეეძლო ასეც მოქცეულიყო, მაგრამ მთელი მისი ენერგია იმდენად ღრმად, შიგნით წავიდა, რომ უკვე მისთვის ძნელი იქნებოდა ამ სამყაროში დაბრუნება. რა თქმა უნდა, მას შეეძლო ჰქონოდა სექსუალური აქტი ქალებთან საკუთარი სხეულით. სექსის არსის გასაგებად იგი ნებისმიერ ქალთან დაამყარებდა კონტაქტს, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ მთელი მისი ბიოენერგია შიგნით იყო შეტრიალებული. ამ ენერგიის დაბრუნებისთვის მას ექვსი თვე დასჭირდებოდა. ეს კი იოლი არ არის. ადვილია ენერგიის შიგნით შეყვანა, მაგრამ მისი შეტრიალება გარესამყაროსკენ უკვე ძალიან რთულია. იოლია კენჭების სროლა და მარგალიტების აკრეფა, მაგრამ ძნელია მარგალიტებზე უარის თქმა კენჭების გამო.

ამგვარად, შანკარაჩარია ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან იცოდა, რომ მისი სხეული ამგვარი გამოწვევისთვის მზად არ იყო. მეგობრებს სთხოვა გაერკვიათ, ვინმე ხომ არ იყო გარდაცვლილი უახლოეს დღეებში, რათა მის სხეულში ჩაბუდებულიყო. მერე იმავე მეგობრებს დაუბარა, ეზრუნათ მის სხეულზე, ვიდრე არ დაბრუნდებოდა. ის შევიდა მეფის მკვდარ სხეულში, მასში იცოცხლა ექვსი თქვე. მერე კი დაბრუნდა.

შანკარას სხეულს ექვსი თვის განმავლობაში უფრთხილდებოდნენ. სხეულზე ასეთი ზრუნვა და მისი სიცოცხლის შენარჩუნება ურთულესი ამოცანაა. მხოლოდ ერთგულზე ერთგულ ადამიანებს ანდობენ ასეთ პასუხისმგებლობას.

ადრე გიამბეთ, თუ როგორ ზის ტიბეტელი მაძიებელი სიცივეში გარეთ და სხეულს გაოფლიანებას აიძულებს. ეს ნების საკითხია. ამ გადაწყვეტილებით ის ყინვის არსებობას უარყოფს და სხვა რელობას ქმნის, თითქოს მზე ანათებდეს და სცხელოდეს. უბრალო გადაწვეტილებით იგი საკუთარ გონებას იმორჩილებს. გარშემო თოვლია, მაგრამ ის თვალებს ხუჭავს და ასე უარყოფს რეალობას. ტიბეტელი მაძიებელი შთააგონებს თავს, რომ გარეთ თოვლი კი არ მოდის, თაკარა მზე აცხუნებს. ადამიანი ამ შთაგონებას იმდენად ისიგრძეგანებს, რომ დგება მომენტი, როცა მისი ყოველი ამოსუნთქვა, სხეულის ყოველი უჯრედი, არსების ყოველი ნაწილი სიცხის შეგრძნებას იწყებს. მაშ, როგორ შეიძლება არ გაოფლიანდეს? თავად მისი ოფლიანობა ცხადყოფს, რომ მან მოახერხა. მისი გონების მდგომარეობა ბატონობს სიტუაციაზე.

გარკვეული მოსაზრებით, მთელი იოგა სხვა არაფერია, თუ არა გონებისთვის შექმნილ ვითარებაზე ამაღლების შესაძლებლობის მიცემა. მსოფლიო აზროვნება, ასე თუ ისე, გონების მდგომარეობის ვითარებისადმი დამორჩილების მცდელობაა.

არსად არ არის ჩაწერილი ან ჩანიშნული, თუ რას აკეთებდნენ სინამდვილეში შანკარას მეგობრები იმისთვის, რომ მისი ფიზიკური სხეული შეენახათ. ექვსი თვის განმავლობაში ერთგული ადამიანები ისე ისხდნენ ამ სხეულის გარშემო, რომ წრე არ დაურღვევიათ. იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ წრეში მყოფ ადამიანთა რაოდენობა შენარჩუნებულიყო. ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. თითოეული ფხიზლად და ყურადღებით უნდა ყოფილიყო მთელი ამ დღეების განმავლობაში. გამოქვაბულში, სადაც შანკარას სხეულს იცავდნენ, განსაკუთრებული ატმოსფერო უნდა შეექმნათ და შეენარჩუნებინათ. აუცილებელი იყო ამ გამოქვაბულში განსაკუთრებული აზრების გაბატონება.

დაახლოებით შვიდი ადამიანი უნდა მჯდარიყო წრეზე მის სხეულთან. სხეულის მცველებს მთელი არსებით უნდა შეეგრძ-

ნოთ, რომ თავად კი არ სუნთქავდნენ, არამედ შანკარა სუნთქავდა, თვითონ კი არ იყვნენ ცოცხლები, არამედ შანკარას ცოცხალ სხეულს დარაჯობდნენ. ამ მცველთა ბიოლოგიურ ელექტროობას გამუდმებით უნდა ედინა შანკარას სხეულში. შვიდი ადამიანის ხელები შანკარას შვიდ ჩაკრაზე უნდა განთავსებულიყო. აუცილებელი იყო, ამ შვიდეულის ბიოლოგიური ელექტროობა შეუჩერებლად შერწყმოდა შანკარას შვიდ ჩაკრას. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა შანკარას სხეულის შენარჩუნება ექვსი თვის განმავლობაში. საკმარისი იყო წუთით შემწყდარიყო პროცესი და წრე დარღვეულიყო, რომ სხეულიც მაშინათვე დაკარგავდა ტემპერატურას.

შანკარის სხეულში ისეთივე ტემპერატურის შენარჩუნება იყო საჭირო, როგორიც ნორმალურ, ცოცხალ ადამიანს გააჩნია. სხეულის ტემპერატურის უმცირესი ცვლილებაც კი დაუშვებელი გახლდათ. სხვა საშუალებათა გამოყენება, გარდა ამ ადამიანების ელექტროობისა, სხეულის სითბოს შესანარჩუნებლად არ შეიძლებოდა. ისინიც შვიდი ჩაკრის გავლით დაუღალავად აწვდიდნენ თავიანთ სასიცოცხლო ენერგიას შანკარას სხეულს.

ამ ქმედებათა წყალობით, სხეული ვერ შეიტყობს, რომ ცარიელია, რადგან შვიდი ადამიანი იმდენ ენერგიას აწვდის, რამდენსაც ის ნორმალურ პირობებში იღებდა. გესმით რაზე ვსაუბრობ? სხეული ვერასდროს გაიგებს იმას, რომ მისი შვიდი ჩაკრა არ იღებს ენერგიას მისი მფლობელის ცნობიერისგან. ჩაკრები ხომ შეუჩერებლად იღებენ ენერგიის ნაკადს შვიდი ადამიანისგან, რომლებიც ამ სხეულთან სხედან. ეს ადამიანები მოქმედებენ, როგორც გადამცემი ცენტრები. შედეგად, სხეული ცოცხალი რჩება. მაგრამ თუ პროცესში შეცდომა დაფიქსირდა, სხეული სიკვდილისთვის მოემზადება. ამ შემთხვევამდე კი ის ვერ აცნობიერებს მისი მფლობელის დაკარგვას.

ამგვარად, სხეულში შეიძლება სიცოცხლის შენარჩუნება, თუ მას სხვა ადამიანები აწვდიან ენერგიას. ასეთი წარმოუდგენელი ტქენიკა იმისთვის გამოიყენეს, რომ შანკარას სიცოცხლე შეენარჩუნებინათ ექვსი თვის განმავლობაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ადამიანთა ჯგუფი დაუღალავად აკეთებდა თავის საქმეს. შანკარას დასაბრუნებლად შვიდი ადამიანი გამუდ-

მებით უნდა ყოფილიყო აქტიურ პროცესში. ბოლოს და ბოლოს, ექვსი თვის შემდეგ შანკარა დაბრუნდა და ბხარატის კითხვებს უპასუხა. ზუსტად ასე გაიგო ის, რაზეც არაფერი იცოდა.

იყო კიდევ ერთი მეთოდი სექსის შესაცნობად, მაგრამ შანკარამ არ იცოდა ამის შესახებ. ასეთი რამ რომ მომხდარიყო მახავირას ცხოვრებაში, მაშინ ის არ შევიდოდა სხვა სხეულში. ამის ნაცვლად ის თავისი წარსული ცხოვრებების მოგონებებში გადაინაცვლებდა. ეს ხომ კიდევ ერთი წყარო იყო საჭირო პასუხის საპოვნელად. თუმცა, ამ წარსული ცხოვრების მოგონებების ტექნიკა მხოლოდ ჯაინებისთვის და ბუდისტებისთვის იყო ხელმისაწვდომი, და მან ვერც მიაღწია ინდუსებამდე.

ამ პრობლემის გადაჭრა რომ დასჭირვებოდა მახავირას, ის არ შეიწუხებდა თავს სხვის სხეულში შესვლით, ამის საჭიროება ხომ არც იყო. სანაცვლოდ ის გააცოცხლებდა ქალებთან დაკავშირებულ მოგონებებს თავისი წარსული ცხოვრებიდან და ამ მეთოდით შეიცნობდა სექსს. მას არ დასჭირდებოდა ექვსი თვე. მაგრამ შანკარას არ ჰქონდა ამ ტექნიკაზე მეცნიერული ცოდნა. მისთვის ცნობილი იყო სხვის სხეულში შესვლის მეცნიერება, რომელიც სხვა მაძიებლებმა განავითარეს.

არსებობს მრავალი სულიერი მეცნიერება, რომელთა დეტალებს სრულყოფილად ვერცერთი რელიგია ვერ ფლობს რომელიღაც რელიგიამ განავითარა განსაკუთრებული ტექნიკა და მერე მისით დაკმაყოფილდა. მაგრამ აქამდე ვერ მოიძებნა ვერცერთი რელიგია, რომელიც მოიცავდა ყველა რელიგიას ეს მანამ არ მოხდება, სანამ არ შევწვეტთ ერთმანეთის რელიგიებისადმი მტრულ დამოკიდებულებას. ეს რელიგიები რომ მეგობრულად დაახლოებულიყვნენ და ერთმანეთისთვის თავიანთი განძი გაეზიარებინათ, პარტნიორები გახდებოდნენ მაშინ განვითარდებოდა ახალი მეცნიერება, რომელიც თავისუფლად შეძლებდა ამოუწურავ წყაროთა გამოყენებას.

ის, რაც ეგვიპტეში განვითარდა, ინდოეთისთვის უცნობია პირამიდების მშენებლებმა იცოდნენ ის, რაც ინდოეთში არცერთმა ადამიანმა არ იცის. ის, ვინც მუშაობდა ტიბეტის მონასტერში, ფლობდა იმას, რასაც ინდოეთში ვერ იპოვით და ის, რაც გაიგო ინდოეთმა, არ იცის ტიბეტმა. ის, რაც იცის ერთმა, უცნობია მეორესთვის. საქმე იმაშია, რომ ყოველი ადამიანი

თავის არასრულ მსოფლმხედველობას სრულყოფილებად მიიჩნევს.

წარსულ ცხოვრებაში დაბრუნება ძალიან უბრალო ექსპერიმენტია, სხვის სხეულში შესვლა კი ძალიან რთულია და წარმოუდგენლად საშიში. მოგონებებში დაბრუნების ექსპერიმენტი ძალიან მარტივია და საშიშროებას არ შეიცავს, მაგრამ შანკარამ არაფერი იცოდა ამ ტექნიკაზე. მან მთელი ცხოვრება ჯაინებთან და ბუდისტებთან კამათსა და გამოწვევებში გაატარა, ამიტომაც ჯაინებისა და ბუდისტების ყველა კარი მისთვის ყოველთვის დახშული იყო. შანკარას არაფრის მიღება არ შეეძლო მათგან, რადგან მას სრულყოფილად არ გამოსდიოდა მათთან ურთიერთობა. ურთიერთობების პროცესი შედგებოდა მუდმივი კონფრონტაციისგან. ბუნებრივია, შანკარასთვის რამდენიმე კარი დაკეტილი იყო. შანკარა არ იყო მზად მზის სხივების მისაღებად, რომლებიც მისი კარიდან კი არა, სულ სხვა მხრიდან ამოწვერილიყო.

თუმცა, ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ ამას. სიმართლე ის გახლავთ, რომ სულაც არ არის მთავარი, რომელი კარიდან შემოაღწევს მზის სხივები, ისინი ხომ ერთი მზის განაყოფებია. მაგრამ ჩვენ ვზივართ საკუთარ კართან და მასზე უფლებებს ვაცხადებთ. იმის გაცნობიერებაც გვიჭირს, რომ მოვლენა, რომლის დროსაც მზის გულზე მჯდარი არაბი ბამბის საბანში ეხვევა, ანალოგიურია იმ მოვლენისა, როცა ტიბეტელი შიშვლდება თოვლში. ისინი ერთნაირ სამუშაოს ასრულებენ. მათ შორის მცირედი განსხვავებაც არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ურთიერთსაპირისპირო ექსპერიმენტს ატარებენ, არსებითად მაინც ერთნაირ სამუშაოს ასრულებენ და პრინციპებიც ერთნაირი აქვთ.

რა განსხვავებაა სხვა სხეულში შესვლასა და მედიუმის ფსიქიკიდან მუშაობას შორის? როგორ შედის ადამიანი მედიუმში?

სინამდვილეში ეს ექსპერიმენტები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. პირველ შემთხვევაში ადამიანი შედის სხვა ადამიანის სხეულში. რაც შეეხება მედიუმს, ის ადამიანს აძლევს უფლებას თავის სხეულში შევიდეს. ეს ორი განსხვავებული

მოვლენაა. საკუთარი სხეულის დატოვების ტექნიკასა და სხვა სხეულში შესვლას შეიძლება მამაკაცური ტექნიკა დავარქვათ. ამ დროს ადამიანი სხვა სხეულში უნდა შევიდეს. მედიუმთან კი – ეს ქალური ტექნიკაა. ამასთან, მედიუმი უბრალოდ მიმღები იქნება, რომელიც სხვას საკუთარ სხეულში მოიწვევს. ეს გაცილებით ადვილია. მედიუმის მიერ მოწვეული სულები უმრავლეს შემთხვევაში უსხეულონი იქნებიან. სხეულს დაუფლებული სული იშვიათად გამოეხმაურება მედიუმის მოწვევას. ჩვენ გარშემო უსხეულოდ მოძრავი სულები კი...

ამ ოთახში მარტო ჩვენ არ ვართ, აქ სხვა ადამიანებიც არიან. მაგრამ ისინი უსხეულონი არიან, ამიტომ მათი აქ ყოფნა ჩვენთვის მთავარი არ არის. მათი ყოფნის გადმოცემასა და გაგებას რადიოტერმინები გაგვიიოლებს. თუკი რადიოს ჩართავთ, თავისუფლად შეძლებთ მის მომართვას დელის სადგურზე, მაგრამ, ნუთუ ფიქრობთ, რომ გამორთული რადიოს პირობებში ეს სადგური ინფორმაციას არ გადასცემდა და ხმოვანი ტალღები არ ვრცელდებოდა სივრცეში? ცხადია, ისინი ვრცელდებოდა, მაგრამ ჩვენ ვერ აღვიქვამდით მათ. არ იყო საშუალება, რომელიც დაგვაკავშირებდა ამ ტალღებთან. რადიო ფუნქციონირებს როგორც საშუალება. ის უზრუნველყოფს ჩვენს კონტაქტს ხმოვან ტალღებთან.

ამგვარად, ადამიანები, რომლებიც მედიუმებად მუშაობენ, იმავე პრინციპით მოქმედებენ, როგორც რადიო. ისინი იჭერენ ტალღას. ისინი შესაძლებელს ხდიან მათში შევიდეს ნებისმიერი მოხეტიალე სული. მაგრამ ეს სულები უსხეულო სულები არიან, რომლებიც მუდამ სხვათა სხეულში შესვლას ესწრაფვიან.

ამის მიზეზებიც არსებობს. უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ამ უსხეულო სულების სურვილი და ვნება, რომელთაც შეიძლება მოჩვენებები ვუწოდოთ, სხეულის მქონე მოკვდავი სულების მსგავსია. თუმცა, სხეულის გარეთ, სხეულის დახმარების გარეშე, ამ უსხეულო სულების სურვილი არასოდეს კმაყოფილდება. ეს სურვილები არ ახდება.

მაგალითად, მოჩვენებას ვინმესთან სექსი სურს, მაგრამ ამისთვის სხეული სჭირდება. მოჩვენებას აქვს სურვილი, მაგრამ ის უძლურია სხეულის გარეშე. როგორც კი ეს მოჩვენება

ადამიანის სხეულს მიუახლოვდება, მაშინვე მასში გადადის ჩვენი სხეული კი არ სთავაზობს მას თავშესაფარს, სულს შეუძლია სხვის სხეულში იცხოვროს, ის თავად ცდილობს სხეულში შეღწევას.

სული ახერხებს სხვა ადამიანის სხეულში შესვლას, როცა ეს უკანასკნელი შიშისგან იკუმშება. შიშის მდგომარეობაში თქვენი ცნობიერი არ იკავებს საკმარის სივრცეს, რადგან სხეული ვიწროვდება. სხეულში ვაკუუმი იქმნება. ამ მდგომარეობისას სული ვაკუუმში შედის. საერთოდაც, ადამიანები ვარაუდობენ, რომ მოჩვენებები შიშისგან იბადებიან, ანდა თავად შიშია მოჩვენება. ამ მოსაზრებათაგან არცერთი არ არის მართალი მოჩვენებებს საკუთარი არსებობა აქვთ. შიშის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი მოჩვენებას თავის გამოვლენის შესაძლებლობას აძლევს. ის ხომ მედიუმი ხდება. და რამდენადაც სწორედ მოჩვენება შედის მის სხეულში, ადამიანს აუცილებლად პრობლემები შეექმნება.

მედიუმის მოვლენა, რომელზეც თქვენ საუბრობთ, რომელიმე სულის ნებაყოფლობითი მოწვევაა. ვიღაც თვითონ წარმოქმნის საკუთარ თავში სივრცეს და იწვევს სულს მასში შესასვლელად. მედიუმის ერთადერთი ტექნიკა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენშივე ქმნით თავისუფალ სივრცეს და იწვევთ ახლომახლო მყოფ სულს მასში დასავანებლად. ეს ნებაყოფლობით კეთდება, ამიტომ ამ საქმეში უმნიშვნელო რისკია. ეს მიზანმიმართულად ხდება, ამიტომ ადმიანმა მშვენივრად იცის როგორც სულის მოწვევის, ისე მისი უკან გაწვევის მეთოდები მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული აბსოლუტურად შესაძლებელია, თუ მედიუმი მგრძნობიარეა. ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მხოლოდ ჩვეულებრივ უსხეულო სულებთან დაკავშირებით მუშაობს.

რისკი იზრდება, თუ ეძახიან იმ სულს, რომელიც უკვე თავის სხეულშია, რადგან როგორც კი დავუძახებთ სხეულს დაპატრონებულ სულს მედიუმში შესასვლელად, ის ადამიანი რომელშიც ეს სული იმყოფება, მაშინვე დაკარგავს გონებას ხშირად გარშემო მყოფნი რიგით მოვლენად მიიჩნევენ რომელიმე ადამიანის მიერ გონების დაკარგვას. მაგრამ ეს სულაც არ არის ასე. ამ დროს ადამიანის სულს სხვაგან მოუხმობენ

ამიტომ ძალიან სარისკოა გონდაკარგული ადამიანის მკურნალობა, უკეთესი იქნება, თუ მის სხეულს მშვიდად დატოვებთ. მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცით მსგავს შემთხვევებზე.

დღემდე მეცნიერებისთვის უცნობია, თუ როდისაა უგონო მდგომარეობა ნორმალური და როდის – სულის სხეულიდან გამოსვლით განპირობებული. ამგვარად, ეს ერთი და იგივე, მაგრამ განსხვავებული ბუნების მქონე მოვლენებია. პირველ შემთხვევაში სულს ეპატიჟებიან მედიუმთან, სხეულში, მეორე შემთხვევაში კი სული გადის სხეულიდან.

იმისთვის, რომ სხეულისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, რამაკრიშნა იძულებული გახდასაჭმლისადმი უსაზღვრო სიყვარული გამოევლინა. ნუთუ მაღალ დონეზე მყოფ სხეულსარ შეუძლია ამგვარი მისწრაფებების გარეშე არსებობა? როგორ სხეულს სჭირდება ამგვარი სახის აუცილებელი დახმარება? მაღალი მდგომარეობის სხეულებისთვისაც (ვგულისხმობ მეხუთე, მეექვსე ანდა მეშვიდე სხეულს)აუცილებელია მხარდაჭერა ამ თუ იმ ვნების მოშველიებით?

რამაკრიშნას ძალიან უყვარდა ჭამა, მსუყედ ჭამა. შეიძლება ითქვას, რომ ის ჭკუას კარგავდა საჭმელზე. მაშინაც კი, როცა ღრმა რელიგიური დისკუსია ჰქონდა, სამზარეულოში გარბოდადა ცოლს, შარადას, ეკითხებოდა, თუ რა კეთდებოდა სადილად. მერე მოწაფეებთან ბრუნდებოდა და კვლავ აგრძელებდა საგნის განხილვას. ოსტატის მსუნაგობა მხოლოდ შარადას კი არ ხვდებოდა თვალში, არამედ უახლოეს მოწაფეებსაც. ერთგულ მოწაფეებს ეშინოდათ, რომ მსუყედ ჭამისადმი ოსტატის მიდრეკილებასახლის კარებს გასცდებოდა და ამას სკანდალი მოჰვებოდა.

სინამდვილეში მოწაფეები ყოველთვის ძალიან წუხდნენ თავიანთ ოსტატზე! ისინი მუდამ შფოთავდნენ იმაზე, რომ მათი ოსტატის სახელი შეილახებოდა. ამიტომ ბოლოს და ბოლოს რამაკრიშნას უთხრეს:

– ის, რომ სერიოზულ დისკუსიებს იწვევს ჭამისადმი თქვენი მოჭარბებული ლტოლვა, არ შეგშვენით. რატომ აქვს საჭმელს ესოდენ დიდი მნიშვნელობა თქვენნაირი დიდებული ადამიანისთვის?

რამაკრიშნამ შესანიშნავი პასუხი გასცა. მან თქვა:

- შესაძლოა, თქვენ არ იცით... ან როგორ შეიძლება რომ იცოდეთ? ჩემი ნავის ყველა ღუზა აშვებულია, ყველა თოკი გადაჭრილია, ჩემი ხომალდის იალქნები ავსებულია ქარით და მეც მზად ვარ წასასვლელად. ძალიან ვუფრთხილდები ერთ ღუზას, რათა ჩემი ხომალდი არ გავიდეს ნაპირიდან. იმ დღეს, როცა შევწვეტ ინტენსიურ ჭამას, ჩემს სიკვდილამდე სამი დღე დარჩება. მე არ მინდა ცხოვრება, ამის მიზეზი არ მაქვს. მაგრამ მინდა, თქვენ მოგიყვეთ რაღაც და გადმოგცეთ. მე მაქვს ის, რისმოცემასაც თქვენთვის ვაპირებ, ამიტომ აუცილებელია, დრო გავწელო.

- ჩემი ხომალდი მზადაა ცურვისთვის, – გააგრძელა რამაკრიშნამ, – მაგრამ მასში ისეთი რამეა, რაც ნაპირზე მყოფებსაც მინდა გავუნაწილო. მაგრამ ნაპირზე ყველა ადამიანს სძინავს. უნდა გავაღვიძო ისინი, უნდა დავითანხმო განძის მიღებაზე, რომელსაც ვფლობ. მათ არ ესმით, რომ ეს განძია, ისინი ფიქრობენ რომ ეს ნაგავია. ისინი ამბობენ: „ჩვენ არ ვიცით, რაზე ლაპარაკობ, თავი დაგვანებე. ჩვენ ბედნიერები ვართ იმით, რომ მყუდრო საწოლებშიგვძინავს".

- ნება მომეცით, ნაპირზე მდგომი ადამიანები დავარწმუნო, მიიღონ განძი, რომლითაც სავსეა ჩემი ხომალდი, – ითხოვა რამაკრიშნამ, – ნება მომეცით, ყველაფერი, რაც მაქვს, მათ მივცე. მოვიდა გამომშვიდობების დრო.

– აი, მიზეზი, რატომაც მივეკარი ერთ ღუზას, – დაასკვნა რამაკრიშნამ. – ამიტომაც მაღელვებს ასე ძალიან საჭმელი. საკვები – აი, ჩემი ღუზა. იცოდეთ, რომ იმ დღეს, როცა ჭამაზე უარს ვიტყვი, სამი დღის სიცოცხლე მექნება დარჩენილი.

იმ დღეს, მისი სიტყვები არავის მიუჩნევია სერიოზულად. რაც უჩვეულო არ იყო. მსოფლიო რამაკრიშნას, ბუდას ან მახავირას ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდიდან დიდ სარგებელს მიიღებდა, მათდამი სერიოზული დამოკიდებულება რომ გამოევლინათ. მაგრამეს ასე არ მოხდა. ყველამ ჩათვალა, რომ რამაკრიშნა, სავარაუდოდ, თავს იმართლებდა. მისი ერთგული მოწაფეებიც კი ეჭვობდნენ, რომ რამაკრიშნამ საჭმლისადმი თავისიგანსაკუთრებული დამოკიდებულება ისე ახსნა, როგორც თვითონ აწყობდა. რათა ზედმეტად არ შეეწუხებინათ

მაგრამ სწორედ ისე მოხდა, როგორც მან თქვა. როგორც ყოველთვის, ერთხელ მას შარადამ საჭმელი მიუტანა. რამაკრიშნა თავის ოთახში იწვა. მან თეფშს დახედა, უნდოდა ენახა, თუ რა იდო ზედ. იმ მომენტში, როცა რამაკრიშნა სხვა მხარეს შებრუნდა, შარადამ გაიხსენა მისი სიტყვები იმის შესახებ, რომ რამაკრიშნას მიერ საჭმელის უარყოფა მისი სოცოცხლის უკანასკნელ სამ დღეს ნიშნავდა. ქალს თეფში ხელიდან გაუვარდა. ის დაეცა და ატირდა. შარადას დასაწყნარებლად რამაკრიშნამ თქვა:

– რა აზრი აქვს ტირილს? მე ავუშვი ღუზა. რამდენ ხანს უნდა ვყოფილიყავი მასზე მიბმული?

რამაკრიშნა ზუსტად სამ დღეში მოკვდა

შენ მეკითხები: „როგორ შეიძლება ასეთი სული დედამიწაზე რაიმე სურვილის გარეშე არსებობდეს?“ მეხუთე სხეულამდე აუცილებელია რაღაც მიწიერი სურვილი, ღუზა, სხვა შემთხვევაში სულს არ შეუძლია აქ დარჩენა. მან, ვინც მიაღწია მეხუთე სხეულს, უნდა მიაკედლოს თავი რომელიმე სურვილს, რომელიც ხუთი გრძნობიდან ერთ-ერთს უკავშირდება.

მაგრამ მეხუთე სხეულის შემდეგ ამისი აუცილებლობა არ არსებობს, სულს ხომ სურვილებისა და მოთხოვნილებების გარეშეც შეუძლია ამქვეყნად დარჩენა. თუმცა, ამ შემთხვევაში სულის არსებობას სხვა ფაქტორები განაპირობებს. უკვე არ არის საჭირო რამენაირი ვნების გადანახვა. მაგრამ, ამასთან, ეს რთული საკითხია, და დიდი ხნის მსჯელობას მოითხოვს. ნება მომეცით, მოკლედ ავხსნა.

თუ ადამიანს მეხუთე სხეულის მიღმაც სურს არსებობა, როგორც ეს მახავირას, ბუდას ან კრიშნას შემთხვევაში მოხდა, უნდა იცოდეს, რომ განთავისუფლებული სულების, თავისუფალი სულების გავლენის ქვეშ მოჰყვება. დაჟინებულობა და თავდაჯერება მაღლიდან მოდის. თეოსოფიამ ამ საკითხს მნიშვნელოვანი კვლევა მიუძღვნა. თეოსოფებმა აღმოაჩინეს, რომ ბევრი სული, რომელიც ამჟამად თავისუფალია, რომელიც ამჟამად ერთიანია გარე სამყაროსთან, რომელმაც უმაღლეს მდგომარეობას მიაღწია, ასეთ ადამიანებს მიწაზე ამაგრებენ. რათა დიდხანს სიცოცხლე შეძლონ.

მაგალითად, რომელიღაც ხომალდი საცაა მოსწყდება ნაპირს. ის არ არის მიბმული ნავსაყუდელს, მაგრამ გაღმა ნაპირიდან ხალხი ხმამაღლა ყვირის: „დარჩი იქ, გთხოვ, კიდევ ცოტა ხნით დარჩი, არ იჩქარო“. ამ ხმებმა შესაძლოა ხომალდს გაცურვა გადააფიქრებინოს. სწორედ ეს ხმები აღმოჩნდა ეფექტური მახავირას, ბუდასა და კრიშნას შემთხვევაში.

რამაკრიშნას დროს პირობებმა არსებითი ცვლილებები განიცადა და ყველაფერი გაცილებით გართულდა. რეალურად იმ ადამიანთა შორის, რომლებმაც გაღმა ნაპირს მიაღწიეს და ჩვენი საუკუნის ადამიანთა შორის წარმოუდგენლად დიდი მანძილია, იმდენად დიდი, რომ შეუძლებელია მათი ხმების გაგონება. მანძილი მუდმივად იზრდება და უკვე სრულიად გაქრა უწყვეტი, ერთიანი მაკავშირებელი ხაზი.

მაგალითად, მახავირას ცხოვრება უწყვეტი ხაზის ნაწილია. მახავირამდე იყო ოცდასამი ტირტხანკარი, თვითონ კი ამ ტრადიციის, ამ სისტემის ოცდამეოთხე წარმომადგენელი გახლდათ. მახავირამდე არსებობდა ოცდასამი ადამიანისგან შემდგარი ჯაჭვი და ოცდამესამე ადამიანი, მახავირამდე ცოტა ხნით ადრე ცხოვრობდა, სულ რაღაც ორასორმოცდაათი წლის წინ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯაჭვის პირველი ადამიანი ძალიან დიდი ხნის წინ გამოჩნდა, დანარჩენები დროის მცირე შუალედებით გვევლინებოდნენ.

ადამიანი, რომელმაც მახავირამდე მეორე ნაპირს მიაღწია... შესაძლოა, გაგაოცოთ სიტყვა „ტირტხანკარას“ მნიშვნელობამ. ტირტხა ნიშნავს ნავსაყუდელს, სანაპიროს, ტირტხანკარა კი ნიშნავს იმას, ვინც ამ ნაპირამდე თქვენამდე მივიდა, სულ ეს არის. ამგვარად, ოცდასამი ტირტხანკარა მეორე ნაპირს ნავსაყუდელს მიადგა. მათ შეიმუშავეს სისტემური წესრიგი. ენა, სიმღერები და სიმბოლოები, ინფორმაცია, რომელიც ამ სამყაროს ეკუთვნის. ყოველივე ეს კარგად იყო შენახული. ოცდამეოთხეს, რომელიც ამ ნაპირზე იდგა, იოლად შეეძლო მოესმინა, გაეგო და მიეღო შეტყობინება, რომელიც მის მოსვლამდე არსებული ოცდასამი ადამიანისგან მოდიოდა.

ჩვენს დღეებში ჯაინებს შორის არავინაა, ვინც ამ ტრადიციის გაგრძელებას შეძლებს. მახავირა გარდაიცვალა ორი ათას

ხუთასი წლის წინ. ჩვენსა და მას შორის უდიდესი მანძილია. მახავირამ იქიდანაც რომ იყვიროს, აქ მაინც ვერავინ შეძლებდა მისი ენის გაგებას. ორი ათას ხუთასი წლის განმავლობაში ენის მთელი სისტემა შეიცვალა, შეიცვალა სიმღერები და კოდები, რომელიც იმ ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი. ყველაფერმა უწყვეტობა დაკარგა.

ჯაინის ბერები უაზროდ დაძვრებიან წმინდა წიგნებში, რადგან არ იციან, რა აკეთონ. მათ მოაწყვეს გრანდიოზული დღესასწაული მახავირას ორი ათას ხუთასი წლის იუბილეს აღსანიშნავად. ისინი ხმაურობდნენ, აფრიალებდნენ ბანერებს, დროშებს კიდებდნენ, ერთხმად გაჰყვიროდნენ ლოზუნგებს: „ჰარი მახავირა!" მაგრამ ჯაინებს უკვე აღარა აქვთ მექანიზმი, რომელიც მათ მახავირასთან ურთიერთობაში დაეხმარება. არ არსებობს არცერთი ადამიანი, რომელსაც მისგან ინფორმაციის მიღება შეუძლია. სხვა ადამიანები, არა ჯაინები, შესაძლოა, კიდევ ფლობდნენ ამგვარ სისტემას, მაგრამ ჯაინებს ის არა აქვთ.

ინდუისტები და ბუდისტებიც ფლობდნენ ამგვარ სისტემას, მაგრამ რამაკრიშნას დროისთვის ასეთი მექანიზმი უკვე ხელმიუწვდომელი იყო. რამაკრიშნას არ ჰქონდა კავშირი გაღმა ნაპირზე მყოფ ადამიანებთან. ამიტომ ამ ადამიანებმა ვერ დაიყოლიეს ის. ერთადერთ გამოსავლად რამაკრიშნას ნაპირზე ძელის დარჭობა და მასზე მოჭიდება დაურჩა. სხვა გზა არ იყო. მისთვის ძნელი აღმოჩნდა იმის გაგება, რომ გაღმა ნაპირი მასზე ერთგვარ ზეწოლას ახდენს.

ამ სამყაროში სულიერებაზე ორი ტიპის ადამიანები მუშაობდნენ. პირველები მუშაობდნენ ჯაჭვში, რომელიც ათასი წელი ინარჩუნებდა აქტიურობას. ოცდამეოთხე ადამიანს ჯერ კიდევ წინა აქვს ბუდისტური ტრადიციით დაბადება. უნდა დაიბადოს კიდევ ერთი ბუდას განსახიერება. მთელი სამყაროს ბუდისტი ბერები სწორედ მის გამოჩენას ელოდებიან. ისინი უცდიან მას, ასე თუ ისე, სურთ მისი გამოჩენა. ბერები იმედოვნებენ, რომ კიდევ ერთხელ იპოვიან ბუდას. ჯაინები არასდროს ელიან. ინდუისტებიც ელოდებიან კალკის განსხეულებას. მას კიდევ მოუწევს ამქვეყნად მოსვლა. მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ აქვთ ნათლად წარმოდგენილი, როგორ მოუხ-

მონ კალკის, როგორ შეხვდნენ მას, როგორ იცნონ ის. მათ არ აქვთ შემუშავებული კალკის ამოცნობის მეთოდები.

გაგაკვირვებთ იმის შეტყობა, რომ ოცდასამივე ჯაინის ტირტხანკარი გასაღებს ტოვებდა საიმისოდ, თუ როგორ უნდა ამოეცნოთ ოცდამეოთხე ტირტხანკარი. ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი იყო ყველა შესაძლო მითითება. ეს ტირტხანკარები აყალიბებდნენ მთელ დახასიათებას: ხაზებს მის ხელისგულზე, მისი ფეხსაცმლის ნაკვალევს, თვალის ფერს, როგორი ნიშანი ექნებოდა სხეულზე, გულის მხარეს, როგორი სიმაღლე, რამდენს იცოცხლებდა – ყველაფერი განსაზღვრული იყო. და უკვე არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა ამგვარი მონაცემების მქონე ადამიანის ამოცნობა.

მახავირას დროს, თავად მახავირის ჩათვლით, რვა ადამიანმა გამოაცხადა თავი ოცდამეოთხე ტირტხანკარად. მოვიდა დრო ტირტხანკარას გამოსავლენად, მაგრამ ამ ადგილზე პრეტენზიას რვა ადამიანი აცხადებდა. ბოლოს, მახავირა აღიარეს, ხოლო დანარჩენი შვიდი უარყვეს, იმიტომ რომ მხოლოდ მახავირამ წარმოადგინა ყველა ის ნიშანი, რაც, გადმოცემის თანახმად, ტირტხანკარას უნდა ჰქონოდა.

მაგრამ სცენაზე ჰამაკრიშნას გამოჩენის დროს უკვე აღარ იყო შემორჩენილი ტირტხანკარას გამოვლენის ასეთი სისტემა სულიერი თვალსაზრისით დღევანდელი სამყარო ძალიან დაბნეულ მდგომარეობაშია. ამ სიტუაციაში ადამიანს არ დარჩა დედამიწაზე დარჩენის შესაძლებლობა, თუკი საკუთარ თავს ნაპირზე დარჭობილ ბოძს არ გამოაბამს. გაღმა ნაპირიდან არ ისმის შეტყობინებები, და თუ ისინი მაინც ისმის, არავინ ემორჩილება ამ მითითებებს. მაშინაც კი, როცა ადამიანი მათ ინფორმაციას მიაყურადებს, ძნელია მისი საიდუმლოს ამოცნობა. ძირითადი სირთულე ისაა, რომ ახლა იმ სამყაროსა და ამ სამყაროს შორის ურთიერთობა მხოლოდ ნიშნებითა და სიგნალებითაა შესაძლებელი.

შესაძლოა, არც იცოდეთ, მაგრამ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სამყაროში, სულ მცირე, ორმოცდაათი ათასი პლანეტაა, რომელზეც, შესაძლოა, სიცოცხლე არსებობდეს. მეცნიერების ვარაუდით, ამ პლანეტებზე მცხოვრები არსებები, თუ არ აღემატებიან. ცნობიერებით

არაფრით ჩამორჩებიან ადამიანებს. მაგრამ გაცილებით რთულია ის საკითხი, თუ როგორ უნდა დავამყაროთ მათთან კავშირი. როგორ გავუგზავნოთ სიგნალები? რომელ ნიშანს ან სიმბოლოს გაიგებენ? როგორ მოიქცევიან ამის შემდგომ? ინდოელი, რომელმაც ინდოეთის სამფეროვანი დროშა დაინახა, იცის, რომ მის წინაშე მისი ქვეყნის ეროვნული დროშაა. მაგრამ რა მნიშვნელობა ექნება ამ დროშას სხვა პლანეტის მცხოვრებთათვის? და როგორ გავუშვათ ის კოსმოსში ისე, რომ მათთვის ხილვადი იყოს? ამასთან დაკავშირებით უკვე მრავალი ექსპერიმენტი ტარდება.

ერთმა კაცმა ციმბირში გიგანტური სამკუთხედი ააგო. მრავალ მილზე გაშლილი სამკუთხედის გარშემო მან ყვითელი ყვავილები დარგო. შემდეგ ეს სამკუთხედი გაანათა განსაკუთრებული სინათლის ეფექტებით. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ პლანეტაზე დახატავთ სამკუთხედს, ის მაინც სამკუთხედი იქნება. არა აქვს მნიშვნელობა, სად გაატარებთ ხაზებს, ნახაზს მაინც სამი კუთხე ექნება. გეომეტრიული ფიგურები ყველგან ერთნაირია, ადამიანთა სამყოფელზეც და იმ არსებათა სამყოფელზეც, რომლებიც ადამიანებს აღემატებიან.

ამგვარად, იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ გეომეტრიის დახმარებით დაემყარებინათ კონტაქტი სხვა პლანეტის არსებებთან. ჯერ ერთი, დედამიწაზე იმედოვნებდნენ, რომ ადამიანები, რომლებიც სხვა პლანეტიდან ამხელა სამკუთხედს დაინახავდნენ, იფიქრებენ, რომ ის თავისთავად ვერ გაჩნდებოდა. მეორეც, სამკუთხედის დანახვისას მათ, შესაძლოა, დაესკვნათ, რომ დედამიწელებისთვის გეომეტრია ცნობილია.

ამ წინადადებაზე დიდხანს მუშაობდნენ, მაგრამ არ იყვნენ დარწმუნებულები იმაში, გაიგეს თუ არა ეს ნიშანი სხვა პლანეტის არსებებმა. რა თქმა უნდა, რადარიც დაამონტაჟეს სხვა პლანეტებიდან გამოგზავნილი შესაძლო სიგნალების მისაღებად. უნდა ითქვას, რომ უკვე მიღებულია ასეთი სიგნალები, მაგრამ მათი მნიშვნელობა დღემდე უცნობია.

მაგალითისთვის, ყველას გსმენიათ, ალბათ, მფრინავი თეფშების შესახებ. ბევრმა ადამიანმა შენიშნა თეფშის მსგავსი პატარა, მანათობელა ობიექტები, რომლებიც ცაზე მოძრაობდნენ და მერე ქრებოდნენ. ისინი არაერთ ადგილას ნახეს, ხში-

რად მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, ერთსა და იმავე ღამეს. და მაინც, აქამდე ეს მოვლენა გამოცანად რჩება. არავინ იცის, რას წარმოადგენს მფრინავი თეფში. ვინ აგზავნის მას? რატომ ჩნდება და მერე რატომ ქრება?

ადვილი შესაძლებელია, რომელიღაც პლანეტის არსებები ცდილობენ კიდეც ჩვენთან კავშირის დამყარებას. შესაძლოა, ისინი გვიგზავნიდნენ სიგნალს, რომელიც ჩვენ არ გვესმის. მათი აზრით, მფრინავ თეფშებსა და მსგავს თემებზე საუბარი ჭორაობაა და სხვა არაფერი. ისინი თეფშებს ოპტიკურ ტყუილად მიიჩნევენ, მაშინ როცა სხვებს ეს ობიექტები ბუნებრივი მოვლენა ჰგონიათ. ასე რომ, არ არის გარკვეული, თუ რა არის ეს სინამდვილეში. რამდენიმე ადამიანს მიაჩნია, რომ, შესაძლოა, სხვა პლანეტიდან ამ ობიექტებით გვიგზავნიან მოწვევას და ცდილობენ რაღაც ინფორმაციის გადმოცემას.

მაგრამ ეს სიტუაციაც არ გახლავთ ზედმეტად რთული, რადგან მანძილი ამ პლანეტასა და სხვა პლანეტაზე არსებულ სიცოცხლეთა შორის არც ისე დიდია, როგორც იმ სულებს შორის მანძილი, რომლებმაც, ერთი მხრივ, გაღმა სამყაროში გააღწიეს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ სამყაროში დარჩნენ. ეს მანძილი გაცილებით შთამბეჭდავია. უპირველეს ყოვლისა, ჩვენთან იმ სამყაროდან გადმოცემული სიგნალების დაჭერაა ძალიან რთული. თუკი მათ იჭერენ, მაინც ვერ გებულობენ და გამოცანაც გამოცანად რჩება.

ამიტომ რამაკრიშნას მსგავსი ადამიანები ჩვენ საუკუნეში. ან, ვთქვათ, ბოლო ორასი წლის განმავლობაში, ეს დროც არაკორექტული იქნება... სინამდვილეში, მუჰამედის შემდეგ, ანუ უკანასკნელი თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში ყველაფერი გართულდა, ძალიან გართულდა. ჩასწვდა რა სიტუაციას, ნანაკმა ყველაფერი თავიდან დაიწყო. მან დაივიწყა წარსული და ათ კაცთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ახალ ტრადიციას. მაგრამ ეს ტრადიციაც ძალიან მალე გაქრა. ის არც თუ ისე დიდხანს არსებობდა.

ამგვარად, ამჟამად დარჩნენ მხოლოდ ინდივიდუალური მაძიებლები, ანუ ადამიანები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ ჯგუფის ნაწილს. ინდივიდუალურმა მაძიებელმა უნდა გამოიყენოს ღუზა, როგორც საშუალება. ეს ერთადერთი გზაა

მეხუთე სხეულამდე მისაღწევად. გარეგანმა სიგნალებმა და ზეწოლამ შეიძლება იმუშაოს, როცა ადამიანი მეხუთე სხეულს მიღმაა. მაგრამ რაც შეეხება ჩვენს დროს, თუ ჩვენთან არ მოვა შეტყობინებები სხვა სამყაროდან, მეშვიდე სხეულის მქონე ადამიანიც კი იძულებული იქნება, გამოიყენოს ღუზა, რომელიც დაშვებულია მეხუთე სხეულში შესვლამდე. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

მეთოთხმეტე თავი

მე მზად ვარ, თუკი თქვენც მზად ხართ

დვარკის მედიტაციურ ბანაკში თქვენ განიხილავდით წარსულ ცხოვრებაში შესვლის პროცესებს. თქვენ თქვით, რომ საჭიროა მომავალზე ცნობიერის სრული გათიშვით წარსულზე ენერგიის მობილიზება. შემდეგ, პროცესის ახსნისას, შენიშნეთ, რომ თავიდან ადამიანი ბრუნდება ხუთი წლის ასაკში. შემდეგ სამი წლის, შემდეგ დაბადების მოგონებებში, ჩასახვის მომენტში, საბოლოოდ კი წარსული ცხოვრების მოგონებებში. დასძინეთ ასევე, რომ არ აპირებდით მთელი სუტრის, წარსული ცხოვრების მოგონებების მთელი ტექნიკის ახსნას. რას წარმოადგენს ეს მთელი ტექნიკა? თუ შეიძლება, აგვიხსენით ეს სუტრა.

წარსული ცხოვრების მოგონებები დაბლოკილია თავად ბუნების მიერ და ამისთვის მიზეზიც არსებობს. ადამიანისთვის აუცილებელია, დაივიწყოს ის მოვლენები თავისი ცხოვრების ყოვლისმომცველი სისტემიდან, რომელიც მის თავს ყოველდღიურად ხდება. ამიტომაც არ გვახსოვს ყველაფერი. რასაც ცხოვრების განმავლობაში ჩავდივართ. თუმცა, იმას. რაც არ გახსოვთ, მაინც ნუ წაშლით სრულად საკუთარი გონებიდან. უბრალოდ შეასუსტეთ კავშირი თქვენს ცნობიერსა და მოგონებებს შორის.

მაგალითად, თუ ადამიანი იცოცხლებს ორმოცდაათი წელი. მის ტვინში მილიარდი მოგონება ფორმირდება. მას რომ ყველა ინფორმაცია გაეხსენებინა, ჭკუიდან შეიშლებოდა. ამიტომ ადამიანს ყველაზე მნიშვნელოვანი ახსოვს, არაფასეულს კი ნელ-ნელა ივიწყებს. მაგრამ თქვენი დავიწყება არ ნიშნავს იმას, რომ მოგონება სრულად იშლება. ის უბრალოდ გადის ცნობიერის ცენტრიდან და გონების მიღმა ინახება.

ბუდამ ამ სკივრს ძალიან მნიშვნელოვანი სახელი დაარქვა ის მას ეძახის ალაია ვიგიანს. ანუ ცნობიერის სკივრს. ეს იგი-

ვეა, რომ ფლობდეთ სხვენს ან სარდაფს, სადაც ყველა არასაჭირო ნივთს ალაგებთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნივთები თქვენი თვალსაწიერის მიღმაა, ისინი მაინც არიან სახლში. ზუსტად ისევე, თქვენი მოგონებები გადის თქვენი თვალსაწიერიდან, მაგრამ მუდმივად გროვდება თქვენი გონების კუთხეში.

ყველა ცხოვრებისეული მოვლენის გახსენება ძალიან გაგირთულებდათ არსებობას. იმისთვის, რომ გონებამ დაუბრკოლებლად შეძლოს მომავლის მოვლენებთან ჩაჭიდება, აუცილებელია წარსულის დავიწყება. თქვენ ივიწყებთ იმას, რაც მოხდა გუშინ, ამიტომ შეგიძლიათ ხვალინდელი დღით იცოცხლოთ. ამგვარად, გონება მუდმივად ცარიელდება და მას შეუძლია წინ იყუროს. იმისათვის, რომ წინ უყურო, აუცილებელია წარსულის დავიწყება. თუკი არ დაივიწყებთ იმას, რაც უკვე მოხდა, ვერ შეძლებთ იმის დანახვას, რაც წინაა.

თქვენი გონების ნაწილი ყოველდღე უნდა დასუფთავდეს, რათა ახალი შთაბეჭდილებების მიღება შეძლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში,რანაირად იმუშავებს გონება? მომავალთან მიახლოებისას წარსული ყოველდღიურად გაქრება. და როგორც კი ეს მომავალი წარსულად იქცევა, ისიც ქრება, საიმისოდ, რომ წინ არსებულის მიღების შესაძლებლობა მოგვეცეს. სწორედ ასე მუშაობს ტვინი.

ადამიანს ერთი ცხოვრების დამახსოვრებაც კი არ ძალუძს. რომ გკითხოთ, რას აკეთებდით 1960 წლის 1 იანვარს, ვერაფერს მიპასუხებთ. ალბათ, რაღაცას აკეთებდით კიდეც ამ დღეს დილიდან დაღამებამდე, და მაინც, ვერაფრით შეძლებთ რაიმეს გახსენებას. ჰიპნოზის პატარა ტექნიკამ შეიძლება გააცოცხლოს იმ დღის მოგონებები. თუკი დაგაჰიპნოზებენ, თქვენი ცნობიერის ნაწილი დაიძინებს, შემდეგ ხელახლა გკითხავენ, თუ რას აკეთებდით 1960 წლის 1 იანვარს. ამჯერად თქვენ თანმიმდევრობით მოყვებით ყველაფერს.

დიდხანს ვატარებდი ექსპერიმენტებს ერთ ახალგაზრდა მამაკაცთან. მაგრამ საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი, როგორ დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ ზუსტ დეტალებს ყვებოდა 1960 წლის 1 იანვართან დაკავშირებით? მას იმ დღის შესახებ მხოლოდ ჰიპნოზის ქვეშ მყოფს შეეძლო მოეყოლა, ფხიზელ მდგომარეობაში ყველაფერი ავიწყდებოდა. ამიტომ რთული

იყო იმის განსაზღვრა, ნამდვილად იღებდა შხაპს 1960 წლის 1 იანვრის დილას თუ არა. გადამოწმების მხოლოდ ერთი შანსი მქონდა. ჩავიწერე ერთი კონკრეტული დღე, დეტალურად აღვწერე ის, რასაც ამ დღის განმავლობაში აკეთებდა. რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ამ დღის გახსენება ვთხოვე, ვერაფერის თქმა ვერ მოახერხა.

მაშინ ღრმად დავაჰიპნოზე და ვთხოვე მოეყოლა იმ დღეზე. მან არა მხოლოდ ჩამომითვალა ის, რაც მე ჩავიწერე, არამედ ისიც აღწერა, რაც ჩემს ჩანაწერებში ვერ მოხვდა. მას ბლოკნოტში ჩანიშნული არცერთი პუნქტი არ გამოუტოვებია, პირიქით, სხვა დეტალებიც დაამატა. სავარაუდოდ, ყველაფერი ვერ ჩავიწერე. ჩავიწერე მხოლოდ ის, რასაც ვხედავდი, ან რასაც მეგონა, რომ ვხედავდი.

ჰიპნოზის მდგომარეობაში შეგიძლიათ სურვილისამებრ გაემგზავროთ საკუთარ თავში. მაგრამ ამას გააკეთებს სხვა, თქვენ ხომ უგონოდ იქნებით. თქვენ არაფერი გეცოდინებათ. ჰიპნოზის ქვეშ შეიძლება წარსულ ცხოვრებაში გამგზავრება, მაგრამ პროცესი აუცილებლად უგონო მდგომარებისას შედგება.

ერთადერთი განსხვავება ჯატისმარანის მოგონებებსა და ჰიპნოზის ტექნიკას შორის ის არის, რომ მოგონებებში დაბრუნებისას გაცნობიერებულად გადადიხართ წარსულ ცხოვრებაში, ჰიპნოზის მდგომარეობაში კი წარსულ ცხოვრებაში უგონო მდგომარეობაში შეყავხართ. ეფექტი გაცილებით გაიზრდება, თუ ორივე ტექნიკას გამოიყენებთ. ვივარაუდოთ, რომ სხვას აჰიპნოზებთ, კითხვებს უსვამთ მის წარსულ ცხოვრებაზე და პასუხებს იწერთ. ამის შემდგომ ცნობიერ მდგომარეობაში შეიყვანეთ იგი მედიტაციაში. მედიტაციისას ის იმავე პასუხებს გაგცემთ თავის წარსულ ცხოვრებაზე, შეკრიბეთ დამატებითი ფაქტები და ნაამბობის სინამდვილე დასტურდება.

ამგვარად, ერთი და იგივე მოგონება შეიძლება გავაცოცხლოთ ორი მეთოდის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ მოგონებებში დაბრუნების პროცესი მარტივია, მას თავისი რისკი აქვს. ამიტომ არ მოგეცით ყველა გასაღები. თითოეულ მათგანზე შეიძლება საუბარი იმ ადამიანთან, რომელიც მზადაა ექსპერიმენტებისთვის. სხვა შემთხვევაში, მათზე

ვერაფერს ვიტყვი. რასაკვირველია, შეიძლება აიხსნას მთელი ტექნიკა, ერთი სუტრის გარდა, რომლის პრაქტიკაში გამოყენება არ შეიძლება.

როგორც გუშინ ვთქვი, ჩვენი ცნობიერი მოძრაობს ნების, გადაწყვეტილების დახმარებით. მაგალითად, როცა მედიტაციისთვის ემზადებით, უკან მოძრაობისთვისაც მოემზადეთ, გადაავლეთ თვალი თქვენი ხუთი წლის ასაკს და გაარკვიეთ, რა ხდებოდა მაშინ. მედიტაციის ამ ღრმა მდგომარეობაში მყოფი უეცრად აღმოაჩენთ, რომ ნამდვილად ხუთი წლის გახდით, რომ გიბრუნდებათ ყველაფერი, რაც კი ამ ასაკში გადაგხდათ.

თავიდან საკუთარი დაბადების მოგონებებში გადასახლდით. როგორც კი ადამიანი მედიტაციისას სისუფთავესა და სიღრმეს მიაღწევს, როგორც კი წარსულში დაბრუნების შესაძლებლობა ეძლევა, რაც სულაც არაა რთული, ადამიანი დედის წიაღში ბრუნდება და იმდროინდელ მოგონებებს აცოცხლებს. თუ დედათქვენი დაეცა, როცა თქვენზე ფეხმძიმედ იყო, ეს იარა თქვენი მოგონებების ნაწილიც ხდება. თუ ის უბედური იყო იმ დროს, როცა თქვენ მის წიაღში იყავით, უბედურებათქვენც გაგონდებათ, რადგან ნაყოფად ყოფნის პერიოდში თქვენ და დედათქვენს ბევრი ზიარი მოგონება გქონდათ. ამიტომ ის შეგრძნებები, რომელიც დედას ჰქონდა, თქვენშიც ღრმად ზის, ეს თქვენი შეგრძნებების ნაწილადაც ქცეულა, ისინი ხომ მაშინათვე გიწილადეს.

ფეხმძიმობის დროს დედის გონების მდგომარეობა აქტიურ როლს თამაშობს ბავშვის ჩამოყალიბებაში. სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ქალი უბრალოდ დედა კი არ არის, იმის გამო, რომ ბავშვი ატარა, ის იმიტომაც არის დედა, რომ ბავშვის ცნობიერს მისცა გარკვეული მიმართულება. ცხოველთა სამყაროს მდედრობით წარმომადგენელსაც შეუძლია ბავშვის მუცლად ტარება, ყველა ცხოველი აკეთებს ამას. ადრე თუ გვიან მანქანებიც გააკეთებენ ამას. მაგრამ ძალიან რთულია იმ ბავშვების წარმოდგენა, რომლებიც მანქანაში გაიზრდებიან.

ცხადია, შეიძლება ხელოვნური წიაღის შექმნა. იგივე გარემო, რომელიც დედის საშოში არსებობს, შესაძლოა, ისეთ მანქანაშიც ჩამოყალიბდეს, რომელიც ელექტროობით იკვებება. სისტემას ანალოგიური ტემპერატურა და წყლის მარაგი

ექნება. ადრე თუ გვიან ბავშვები, დედის საშოს ნაცვლად მექანიკურ საშოში მოთავსდებიან. მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი დედობის დამსახურებისთვის.

შესაძლოა, დედამიწაზე ძალიან ცოტა დედამ შეასრულა დედის როლი. დედად ყოფნა ჰერკულესის ტვირთია. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ცხრა თვის განმავლობაში ბავშვს განსაზღვრული, სწორი ცნობიერება მისცე. ეს ცხრა თვე, თუ დედა მუდმივად ბრაზობს... ბრაზიანი ბავშვის გაჩენის შემთხვევაში კი დედა დამატებით კიცხავს მას, მერე უკვირს, თუ ვინ გააფუჭა მისი შვილი, რომელი ცუდ წრის ზეგავლენის ქვეშ მოექცა.

ჩემთან მოდიან დედები, ისინი წუხან იმაზე, რომ მათი გოგონები და ვაჟები ცუდ წრეში მოხვდნენ, მაგრამ არ ესმით, რომ სწორედ თვითონ დათესეს უზნეობის თესლი თავიანთ შვილებში, მხოლოდ თვითონ არიან პასუხისმგებელნი მათ ცნობიერებაზე, ბავშვები ხომ ოდენ ცნობიერს ავლენენ. რა თქმა უნდა, თესლის დათესვა და მისი გაზრდა – ორი სხვადასხვა მოვლენაა. ჩვენ ვერ ვხედავთ მათ შორის კავშირს, რადგან ამ ორ პროცესს შორის უზარმაზარი მანძილია.

ემილ კუმ ავტობიოგრაფიაში საინტერესო რამ ჩაწერა. ის ამბობს, რომ მისმა მეგობარმა, სამხედრო მაიორმა, ერთხელ წაიკითხა წიგნი ჰიპნოზზე. წიგნში ნათქვამი იყო, რომ როცა ბავშვი დედის წიაღშია, დედისგან მიღებული ყველა შთაბეჭდილება მაშინვე გადადის ბავშვზე. მისი ცოლი მაშინ ფეხმძიმედ იყო. ქმარმა ცოლს წაკითხული გაუზიარა:

– ამ წიგნის ავტორი ამბობს, რომ ის, რასაც ფიქრობს და გრძნობს დედა, ყველაფერი ბავშვზე გადადის".

ცოლ-ქმარს გაეცინა. მათ სერიოზულად არ ჩათვალეს ეს ინფორმაცია.

იმ საღამოს ისინი ერთი გენერლის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე მიიწვიეს. შემთხვევის წყალობით, ამ მაიორის ცოლი მაგიდასთან გენერლის გვერდით დაჯდა. ომის დროს გენერალს ცერა თითი დაუზიანეს. მაიორის ცოლს უეცრად გაახსენდა ის, რაზეც იმ დღეს ქმარს ესაუბრებოდა. იმის მიშს აყოლილი, რომ მისი შვილიც შეიძლებოდა დეფორმირებული თითით დაბადებულიყო. ქალი შეგნებულად ცდილობდა.

არ შეეხედა გენერლის ხელისთვის, მაგრამ რაც უფრო მეტად ცდილობდა ამას, მით უფრო ხშირად ხვდებოდა გენერლის თითი მისი თვალთახედვის არეში.

ქალს დაავიწყდა გენერალი, წვეულება, მთელი მისი ყურადღება ამ თითზე გადაერთო. ის იჯდა გენერლის გვერდით, ამიტომ გარკვევით ხედავდა, თუ როგორ ჭამდა კაცი, ხედავდა, თუ როგორ ართმევდა ხელს მოწვეულ სტუმრებს. ქალი ისე ცუდად გახდა, რომ თვალებიც კი დახუჭა, მაგრამ ამ მდგომარეობაში უფრო მკვეთრად ამჩნევდა ამოჩემებულ კიდურს. ის აფეთქების ზღვარზე იყო. მთელი საღამოს განმავლობაში ქალი შეპყრობილი იყო გენერლის თითით.

ღამით რამდენჯერმე გაეღვიძა და საწოლიდან წამოხტა, დილით კი ქმარს უთხრა:

– ვნერვიულობ, ძალიან მეშინია, რომ ჩემი შვილი დეფორმირებული ცერა თითით დაიბადება.

ქმარმა ის დააწყნარა:

– ჭკუიდან შეიშალე? რა წერია ამ წიგნში? ნუთუ ფიქრობ, რომ მხოლოდ იმიტომ მოხდება ასე, რომ ვიღაცამ სადღაც დაწერა? ამოიგდე ეს სისულელე თავიდან!

ცოლს არ შეეძლოა ამ მოვლენის დავიწყება.

საქმე იმაშია, რომ ჩვენთვის რთულია თავიდან მოვიშოროთ ის, რის მოშორებასაც გვთხოვენ. რაც უფრო აქტიურად ცდილობდა ქმარი ცოლის დარწმუნებას, ეს შემთხვევა თავიდან ამოეგდო, მით უფრო ღრმად აღიბეჭდებოდა იგი ქალის გონებაში. თქვენ კარგად იცით, რომ არასდროს შეიძლება იმის დავიწყება, რისი დავიწყებაც გწადიათ. სინამდვილეში დავიწყების მცდელობაში წარამარა გახსენდებათ ის, რის დავიწყებასაც ცდილობთ. მოგონებები დაუსრულებლად ბრუნდებიან. თუკი ნამდვილად გსურთ რაღაცის დავიწყება, სულ მცირე, უნდა გახსოვდეთ ის, რასაც ივიწყებთ. რაც უფრო დიდხანს დაგჭირდებათ გახსენება, მით უფრო ღრმა იქნება მოგონებები.

ბავშვის დაბადების მოახლოებასთან ერთად, გენერლის ცერა თითი უფრო და უფრო წონადი გახდა ქალის გონებისთვის. ქალი ყოველნაირად შეეცადა, დაევიწყებინა ის, მაგრამ ვერაფერს გახდა. როცა სამშობიარო ტკივილები დაეწყო, ეს თითი მის თავში იჯდა და არა ბავშვის თავში. და დაუჯერე-

ბელი რამ მოხდა – ბავშვი დეფორმირებული თითით დაიბადა. როცა დედამ გენერლისა და ბავშვის თითების ფოტოები შეადარა, განსხვავება ვერ იპოვა. სწორედ დედამ მისცა ბავშვს ასეთი თითი. ამგვარად, ყველა დედა თავის შვილს საკუთარ ცერა თითს, საკუთარი ნორმიდან გადახრას აძლევს. ყველა ადამიანს თავისი თითები აქვს, თავისი წესრიგი, რომელიც მას უსახსოვრეს.

ამგვარად, ჯერ ერთი, მოგიწევთ იმ დღის მოგონებებში დაბრუნება, როცა დაიბადეთ, მაგრამ ეს დღე თქვენს ნამდვილ დაბადების დღედ ვერ ჩაითვლება. ნამდვილი დაბადების დღე ბავშვის ჩასახვის დღეა. იმას, რასაც ჩვენ დაბადების დღეს ვეძახით – სინამდვილეში ცხრა თვის შემდეგ დგება, ფაქტორბრივი დაბადების შემდეგ.ამდენად, ეს არ არის ზუსტი დაბადების დღე.

დაბადების დღე ის დღეა, როცა სული დედის წიაღში შედის. დაბადების მომენტისთვის მოგონებებში დაბრუნება რთული არ არის, არც საშიშია, იმიტომ რომ იმ მოვლენების მოგონება ამ ცხოვრებას ეკუთვნის. იმისათვის, რომ ეს გააკეთოთ, როგორც ადრე ვთქვი, თქვენ მომავლიდან უნდა შემოატრიალოთ გონება. ისიც კი, ვინც ცოტათი მაინც გაივლის მედიტაციის პრაქტიკას, უპრობლემოდ დაივიწყებს მომავალს. რა უნდა გახსოვდეთ მომავალში? სინამდვილეში მომხვალი არ არსებობს.

ამგვარად, საჭიროა მიმართულების შეცვლა. იმის ნაცვლად, რომ მომავალისკენ იყუროთ, შეხედეთ წარსულს და მუდმივად გაამყარეთ თქვენი გადაწვეტილება. დაბრუნდით ერთი წლით უკან, ორი, ათი, ოცი წლით უკან, მუდმივად დაბრუნდით, და უცნაურ გამოცდილებასდააგროვებთ.

ჩვეულებრივ, თუკი მედიტაციის გარეშე დავბრუნდებით წარსულში, თვით ცნობიერ მდგომარეობაშიც კი, რაც უფრო მეტად დავიხევთ უკან, მით უფრო ბუნდოვანი იქნება ჩვენი მოგონებები. შესაძლოა, ვიღაცამ შენიშნოს, რომ მისთვის ძნელია რაიმეს გახსენება ხუთი წლის ასაკის ნიშნულამდე, მოგონებები ამ ნიშნულამდეც მეჩხერდება. იმის მიხედვით, თუ რამდენად ახლოს მიხვალთ თქვენს ამჟამინდელ ასაკამდე, მოგონებები უფრო და უფრო გამკვეთრდება. ნათლად გემახსოვრებათ გუშინდელი დღე, მაგრამ დღევანდელი დღის მოგონება

ბევრად ნათელი იქნება. მაგრამ გუშინწინდელ დღესთან, გასულ წელთან, ოცდახუთი ან ორმოცდაათი წლის წინ მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, სულ უფრო მეტად გაბუნდოვანდება.

მაგრამ თუკი ამავე ტექნიკას მედიტაციის მდგომარეობაში გამოიყენებთ, გაოცდებით. სიტუაცია მთლიანად შეიცვლება. ბავშვობის მოგონებებთან მიახლოებასთან ერთად გამკვეთრდება იმდროინდელი სურათები, რადგან გონების ეკრანი არასდროს არაა ისეთი სუფთა, როგორც ბავშვობაში, გარკვეული დროის შემდეგ მასზე შეუძლებელია სუფთად წერა.

ასე რომ, მეტად გაოცდებით მედიტაციისას მოგონებების გაცოცხლებისას, იმიტომ რომ სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. რაც უფრო შორს წახვალთ, რაც უფრო მიუახლოვდებით ბავშვობას, მით უფრო გამჭვირვალე იქნება თქვენი მოგონებები. რაც უფრო მოზრდილები იქნებით მოგონებებში, მით უფრო გაბუნდოვანდება სურათი. მედიტაციისას დღევანდელი დღე ბურუსში იქნება გახვეული, დაბადების პირველი დღე კი, ორმოცდაათი წლის წინ მომხდარი მოვლენა, ყველაზე სუფთა მოგონებების დღედ მოგვევლინება. ვერაფერს გაიხსენებთ იმ შემთხვევაში, როცა წარსულ მოვლენებში მედიტაციის დროს დაბრუნდებით. უნდა გაიაზროთ ეს განსხვავება.

მხოლოდ ცნობიერად ტოფნისას ვახერხებთ წარსულის გახსენებას. რა სხვაობაა ამ ორ მოვლენას შორის? რა ხდება, როცა ორმოცდაათი წლის ხართ და საკუთარ ბავშვობას იგონებთ? როცა ცდილობთ აღიდგინოთ, თუ როგორი იყავით ხუთი წლის, ორი წლის, ერთი წლის ასაკში? თქვენი ორმოცდაათწლიანი გონება რეალობასა და განვლილ დღეებს შორისაა მოქცეული. მოგონებები ბუნდოვანი ხდება, რადგან თქვენ ორმოცდაათი წლის მიღმა იცქირებით.

როცა მედიტაციის ტექნიკის გამოყენებით წარსულს იხსენებთ, უკვე აღარ ხართ ორმოცდაათი წლის, თქვენ ხუთი წლის ხდებით. მედიტაციისას იგონებთ იმ დღეებს, როცა ხუთი წლის ბავშვი იყავით. ამ მომენტში თქვენ არ ხართ ორმოცდაათი წლის, ბავშვობაში, ხუთი წლის ასაკში ბრუნდებით.

ამგვარად, როცა შეგნებულად აღადგენთ წარსული ცხოვრების მოვლენებს, ამას მოგონება უნდა ვუწოდოთ, ხოლო როცა იგივე პროცესი მედიტაციისას ხდება, ეს უკვე გა-

ცოცხლებაა. ამ ორ მოვლენას შორის განსხვავება არსებობს. მოგონებებში თქვენ წინაშე ხსოვნის სქელი ფენა აღიმართება, რომელშიც ყველაფერი ბუნდოვანია, მედიტაციისას კი მოგონებათა გაცოცხლება ხუთი წლის ბავშვად გადაგაქცევთ.

ჩვენთან ერთადაა სობხანა. ის ამბობს, რომ მედიტაციისას თავში უცნაური აზრები მოსდის. ის თავს აღიქვამს ბავშვად, რომელიც თოჯინებით ერთობა. ეს აზრი იმდენად ძლიერია, რომ მას უბრალოდ შიშს ჰგვრის. ქალს ეშინია, რომ ამ მდგომარეობაში ვინმე შენიშნავს და არასწორედ გაუგებენ, ამიტომ თვალებს ახელს, რათა დარწმუნდეს იმაში, რომ არავინ მისჩერებია.

მან არ იცის იმის შესახებ, რომ ამ დროს მისი ნამდვილი ასაკი ქრება. ამ მდგომარეობაში მას თავისი ბავშვობაც არ ახსოვს, ეს ხომ უბრალოდ გაცოცხლების პროცესია. ეს იმას ნიშნავს, რომ მედიტაციისას ის პატარა გოგონად გადაიქცევა-ხოლმე.

აქ ზის ერთი ახალგაზრდა ადამიანი, მედიტაციისას ის იწყებს ცერა თითის წოვას, ის ექვსი თვის ხდება. იმ მომენტში, როცა მედიტაციაში შედის, მისი ცერა თითი პირდაპირ პირისკენ მიექანება. ის ბრუნდება ასაკში, როცა ექვსი თვის იყო.

აუცილებელია გავიგოთ განსხვავება გახსენებასა და გაცოცხლებას შორის. არც თუ ისე რთულია ერთი ცხოვრების გაცოცხლება. ერთადერთი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარ თავს იმ ასაკთან ვაიგივებთ, რომელშიც ვბრუნდებით. ორმოცდაათი წლის ადამიანს არ სურს ხუთი წლითაც კი არ სურს უკან დახევა. ის მიჯაჭვულია ორმოცდაათი წლის ასაკს. მათ, ვინც თავისი წარსულის გაცოცხლებას ცდილობს, ვინც ცდილობს, გაიხსენოს თავისი წარსული, მოუწევს უარი თქვას დამკვიდრებულ გაიგივებაზე, მოუწევს ცოტათი მაინც მოდუნება.

მაგალითად, თუკი ადამიანს საკუთარ ბავშვობაში დაბრუნება სწადია, კარგი იქნება, ბავშვებთან სათამაშოდ დღეში ერთი საათი მაინც რომ გამონახოს. ეს მას ძალიან დაეხმარება, თუკი ის უკუაგდებს თავის განწყობას ორმოცდაათი წლის ასაკთან დაკავშირებით, თუკი ცოტა ხნით მაინც შეეშვება სერიუზულობას. ამ დროის ზედგამოჭრილი იქნება სირბილი,

ცურვა, ცეკვა. კარგია ერთი საათის განმავლობაში ბავშვივით ცხოვრება. ასე უფრო გაიოლდება მედიტაციისას წარსულში დაბრუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი მყარად ჩარჩება ორმოცდაათი წლის ასაკში.

დაიმახსოვრეთ, ცნობიერს არა აქვს ასაკი, ის მხოლოდ პირობითობისგან შედგება. არ არსებობს ხუთი წლის, ათი წლის, ორმოცდაათი წლის ცნობიერება. ეს მხოლოდ წარმოდგენაა. დახუჭეთ თვალები და გაარკვიეთ, რა ასაკი აქვს თქვენს ცნობიერს, ვერაფერს იტყვით. „დღიურში ან კალენდარში ჩახედვა მომიწევს,ან ჰოროსკოპის მოშველიება", – შესაძლოა, მხოლოდ ამგვარი გამოსავალი იპოვოთ.

საქმე იმაშია, რომ არავინ იცოდა თავისი ასაკი, ვიდრე ჰოროსკოპები, კალენდრები, წლების დათვლის სისტემა არ მოიგონეს. დღევანდელ დღესაც არიან აბორიგენები, რომლებიც ძნელად გაგცემენ პასუხს ასაკთან დაკავშირებულ კითხვაზე, რადგან ზოგიერთისთვის თვლა თხუთმეტზე სრულდება, სხვებისთვის კი – ათზე, ზოგიერთი კი თვლისას ხუთს ვერ სცდება.

ვიცნობ ერთ ადამიანს, რომელიც სახლების დალაგებაზე მუშაობს. ერთხელ, ვიღაცამ ასაკი ჰკითხა. მან უპასუხა:

– დაახლოებით, ოცდახუთი წლის.

სინამდვილეში კი მისი ასაკი დაახლოებით სამოცი წელს შეადგენდა.

მისი პასუხი რომ გაიგეს,გარშემომყოფთ გაუკვირდათ

– რამდენი წლისაა შენი ვაჟი? – ჰკითხეს მათ.

– დაახლოებით ოცდახუთის, – უპასუხა მან.

ადამიანები საგონებელში ჩავარდნენ. მათ თქვეს:

– შენი შვილი ოცდახუთი წლისაა, შენც ოცდახუთი წლის ხარ. ასეთი რამ როგორ შეიძლება?!

მაგრამ ის არ ფიქრობდა ამაზე, რადგან მისთვის ოცდახუთი უკანასკნელი ციფრი იყო, მეტი არ იცოდა. ჩვენს პრობლემებს ის განაპირობებს, რომ ოცდახუთის შემდეგაც ვითვლით ამ ადამიანისთვის კი ოცდახუთზე მაღალი ციფრი უკვე უსასრულობა იყო.

ასაკი არსებობს ჩვენი გამოთვლებით, რომელიც კალენდრებს. რიცხვებს. დღეებს ეფუძნება. ასაკი ყოველივე ამის

უკუეფექტია. თუკი საკუთარ თავს დააკვირდებით, მიხვდებით, რომ არანაირი ასაკი არ არსებობს. ჩემში ჩამოხედვით ვერაფრით შეიტყობთ, რამდენი წლის ვარ, რადგან ასაკი – მხოლოდ გარეგნული ცვლილებაა. მაგრამ ეს გარეგნული ანგარიში შინაგან ცნობიერს ეტმასნება და ეკალივით ზის მასში.

თქვენ გამუდმებით უშვებთ ეკლებს საკუთარ ცნობიერში და ამბობთ: „აი, მე ორმოცდაათი წლის ვარ, აი, მე ოცდაერთმეტი წლის ვარ, აი, მე ოცდათორმეტი წლის ვარ...“ თუ ეს ეკლები თქვენში ღრმად შეაღწევს, გაგიჭირდებათ მოგონებებთან დაბრუნება. ის, ვინც ძალიან სერიოზულია, ვერ შეძლებს ბავშვობისდროინდელ მოგონებებთან დაბრუნებას.

სერიოზული ადამიანები ავადმყოფი ადამიანები არიან რეალურად სერიოზულობა ფსიქოლოგიური დაავადებაა. ის, ვინც ძალიან სერიოზულია, მუდამ ავადმყოფობით იტანჯება მათთვის ძნელია უკან დაბრუნება. ისინი კი, ვინც უბრალო და გულღიაა, ვისაც ბავშვებთან თამაში და სიცილი შეუძლია, იოლად ახერხებენ წარსულ მოგონებებში მოგზაურობას.

ამგვარად, ეცადეთ დაარღვიოთ გარეგნული ცხოვრებისადმი თქვენი ფიქსაცია. ნუ გააცნობიერებთ მუდმივად საკუთარ ასაკს. არასდროს უთხრათ ვაჟიშვილს: „მე ვიცი, იმიტომ რომ მე ამა და ამ ასაკის ვარ“. ასაკი არაფრითაა დაკავშირებული ცოდნასთან. ნუ მოიქცევით ბავშვებთან ისე, თითქოს თქვენსა და მათ შორის ორმოცდაათწლიანი სხვაობა იყოს. ნაცვლად ამისა, იყავით მათი მეგობარი.

სამოცდაათი წლის ქალბატონმა დაწერა წიგნი. ეს პატარა წიგნია, რომელშიც აღწერილია მისი ექსპერიმენტი – მეგობრობა ხუთი წლის ბავშვთან. დამეთანხმებით, ეს სულაც არაა მარტივი საქმე. იოლია იყო მამა, დედა, ძმა, გურუ ხუთი წლის ბავშვისთვის, მაგრამ იყო მეგობარი ძალიან რთულია ვერც მამა და ვერც დედა ვერასდროს იქნებიან თავიანთი შვილების მეგობრები.

ჩვენ გარდავქმნით მთელ სამყაროს იმ დღეს, როცა მშობლები თავიანთი შვილების მეგობრები გახდებიან. ეს სამყარო მაშინვე სხვანაირი გახდება, ის არ იქნება საშინელი და საზიზღარი. მაგრამ მშობლები არ უწვდიან მეგობრობის ხელს შვილებს ამგვარად. ამ სამოცდაათი წლის ქალმა მართლა ჩაა-

ტარა უნიკალური ექსპერიმენტი. ის ბავშვს დაუმეგობრდა, როცა ეს უკანასკნელი სამი წლის იყო. შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში ქალი ყველა შესაძლო გზით ინარჩუნებდა ბავშვთან მეგობრობას. კარგი იქნებოდა ჩასწვდომოდით მის დამოკიდებულებას მეგობრობისადმი. ასეთ ქალს იოლად შეეძლებოდა თავის წარსულ მოგონებებთან დაბრუნება.

ეს სამოცდაათი წლის ქალი ზღვის ნაპირზე დადიოდა ამ ბავშვთან ერთად, რომელიც მისი მეგობარი გახდა. ბავშვი დარბოდა, კენჭებსა და ნიჟარებს აგროვებდა და ქალიც იმავეს აკეთებდა. სხვანაირად როგორ უნდა დაენგრია უზარმაზარი ასაკობრივი ბარიერი მასა და ბავშვს შორის? ის აგროვებდა კენჭებსა და ნიჟარებს არა მხოლოდ იმისთვის, რომ გაემყარებინა ბავშვთან მეგობრობა, მართლა ცდილობდა ეყურებინა კენჭებისა და ნიჟარებისთვის ისეთივე სიხარულით, როგორც ამას ბავშვი აკეთებდა.

ის ჩასცქეროდა ბავშვს თვალებში და შემდეგ საკუთარ თვალებს აკვირდებოდა. ის უყურებდა ხელებს, რომელიც ბავშვი ბრჭყვიალა კენჭებს აგროვებდა, მერე კი თავის ხელებს შეხედავდა, რომლებიც იმავეს აკეთებდნენ. ის აკვირდებოდა, როგორი მკვირცხლი ხდებოდა ბავშვი, როგორი აღფრთოვანებითა და გაოცებით ათვალიერებდა ამ კენჭებს. ქალი თვითონაც ცდილობდა, სწორედ ასე, ბავშვივით შეეხედა ამ ყველაფრისთვის.

ის დარბოდა ბავშვთან ერთად, ნაპირზე ზღვის ტალღების ქაფს იჭერდა. ბავშვი პეპლებს დასდევდა და ქალიც ბაძავდა. ერთხელ, ღამით, ბავშვმა ქალს უთხრა: „წავიდეთ ქუჩაში. იქ ისე საოცრად მღერიან ციცინათელები!“ ცხადია, ქალმა არ უპასუხა: „წადი დაიძინე. ეხლა ქუჩაში წასვლის დრო არ არის“. ის მაშინვე გავიდა ქუჩაში ბავშვთან ერთად. ბავშვი აუჩქარებლად და ფეხაკრეფით მიდიოდა, რათა ციცინათელები არ შეეწუხებინა. ქალი ზუსტად ასე მიჰყვებოდა ფეხდაფეხ.

მეგობრობის ამ ორმა წელიწადმა გასაოცარი შედეგი გამოიღო. ქალი წერს: „დამავიწყდა, რომ სამოცდაათი წლის ვარ. ის, რაც ვიცოდი ხუთი წლის ასაკში, კვლავ გავიგე სამოცდაათი წლის ასაკში, ხუთი წლის ბავშვი გავხდი. მთელი სამყარო ზღაპრად მექცა. ნამდვილად დავრბოდი, ვაგროვებდი კენჭებს.

დავდევდი პეპლებს. ჩემსა და ბავშვს შორის ყველანაირი განსხვავება გაქრა. ის მელაპარაკებოდა ისე, როგორც ნებისმიერ სხვა ბავშვს. მეც ისე მივმართავდი, როგორც ბავშვი – ბავშვს"

ქალმა წიგნში – „სასწაულის განცდა" – აღწერა თავისი შთაბეჭდილებები, ის, რაც ამ ორი წლის განმავლობაში განიცადა. ის დარწმუნებით ამბობს, რომ კვლავ მოიპოვა სასწაულის შეგრძნება, რომ წმინდანებიც კი ვერ მიაღწევდნენ იმაზე მეტს, რასაც მან მიაღწია.

როცა იესოს ჰკითხეს, როგორი ადამიანები ხვდებიან სამოთხეში, მან უპასუხა: „ის ადამიანები, რომლებიც ბავშვებს ჰგვანან". შესაძლოა, ბავშვები, მართლაც, დიდ სამოთხეში ცხოვრობენ. ჩვენ ვართმევთ მათ სამოთხეს, როცა ვასწავლით და ვმოძღვრავთ. მაგრამ სამოთხის წართმევა აუცილებელია, რადგან, როცა კვლავ იპოვით მას, იშვიათი შეგრძნება გეუფლებათ.

თუმცა, ცოტა ადამიანს თუ შეუძლია კვლავ მოიპოვის ეს სამოთხე. არსებითად ადამიანები „დაკარგული სამოთხის" პირობებში ცხოვრობენ და სამოთხის ხელახლა პოვნის შანსი ცოტა ვინმეს თუ უჩნდება. რა თქმა უნდა, ყველანი ვკარგავთ ჩვენს სამოთხეს, მაგრამ ვერასოდეს ვპოულობთ. თუკი ადამიანი სიკვდილამდე ბავშვად ყოფნას ახერხებს, მასთან ხელმეორედ ბრუნდება სამოთხე. თუკი მოხუცს შეუძლია სამყაროს ბავშვის თვალებით უყუროს, მაშინ მასზე წყალობად გადმოსული სიმშვიდე, სიხარული და ღვთაებრიობა ყოველგვარ ზღვარს გასცდება.

ამგვარად, იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ თავიანთ წარსულ მოგონებებში დაბრუნება, მოუწევთ ფიქსაციის გაწვეტა ასაკთან. ხანდახან ჩაჭიდეთ ბავშვს ხელი და ირბინეთ მასთან ერთად, რომ დაივიწყოთ, რამდენი წლის ხართ. საინტერესოც არის, რომ ასაკი არსებობს მხოლოდ როგორც ფიქრი და მოგონება. ის მხოლოდ ფიქრია, რომელმაც თქვენი შეპყრობა მოახერხა.

დაარღვიეთ თქვენი ფიქსაცია ასაკზე ჯერ კიდევ გარეგნულ ცხოვრებაში, შინაგან ცხოვრებაში კი, მედიტაციაზე ყოფნისას, ისწავლეთ წლიდან წლამდე უკუსვლით მოძრაობა მიეცით საშუალება ყოველ დაბადების დღეს მიაღწიოს თავისი

დაბადების წერტილს, ნელ-ნელა იარეთ უკან. მაშინ არ გაგიჭირდებათ საკუთარი დაბადების წერტილამდე მიღწევა. ასეთივე ტექნიკა არსებობს წარსულ ცხოვრებაში დასაბრუნებლად. თუმცა, მე არ შემიძლია გიამბოთ იმ სუტრის შესახებ, რომლითაც ერთი ცხოვრებიდან მეორეზე გადადიხართ. ამის მიზეზიც არსებობს: თუ ადამიანი ამ მოვლენის ექსპერიმენტირებას უბრალოდ ცნობისწადილის გამო დაიწყებს, შეიძლება ჭკუიდან გადავიდეს, რადგან ამ შემთხვევაში მას გაუჭირდება უეცრად თავს დამტყდარ წარსული ცხოვრების მოგონებებთან გამკლავება.

ერთხელ, ჩემთან მოიყვანეს გოგონა, რომელიც თერთმეტი წლის იყო. მას სრულიად უმიზეზოდ ახსოვდა თავისი უკანასკნელი სამი ცხოვრება. მოგონებები შემთხვევით ქონდა შემონახული. ეს უბრალოდ ბუნების შეცდომაა.

ბუნება ძალიან დიდ სამუშაოს ატარებს. ის მოგონებათა ფენებში მარხავს თქვენს წარსულ ცხოვრებებს, ამჟამინდელი ცხოვრების მოგონებათა ფენა კი ამასწინანდელი ცხოვრების ფენებზე ილექება. თქვენში ღრმად ჩაწოლილი ეს ფენა გთიშავთ ადრინდელი დაბადებისგან. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, მუსულმანურ და ქრისტიანულ ქვეყნებში, ბავშვები არ იბადებიან წარსულ ცხოვრებათა მოგონებებით, რადგან ადამიანები ამ ქვეყნებში სულ სხვაგვარად არიან მომართულნი. ეს იგივეა, გვჯეროდეს, რომ ამ კედლის მიღმა არაფერია, მაშინ ნელ-ნელა გავანებებდით თავს მის ყურებას.

ინდოეთში, როგორც არ უნდა იკამათონ ერთმანეთში ჯაინებმა, ბუდისტებმა და ინდუისტებმა, მაინც ერთ დასკვნამდე მიდიან, წარსულ ცხოვრებათა არსებობას აღიარებენ. მათ რწმენაში არ არის კონფლიქტი. უკვე ათასობით წლებია ინდოეთის განსწავლულთა გული და გონება ივსება წარსულ ცხოვრებათა არსებობის შესაძლებლობით.

ხანდახან ხდება ისეც, რომ თუ ადამიანი კვდება იმის ღრმა შეგრძნებით, რომ ის გაიხსენებს ამ ცხოვრებას მომავალ ცხოვრებაში, მაშინ იოგის პრაქტიკის გარეშე ანდა მედიტაციის რომელიმე ტექნიკის გარეშეც შეძლებს მომავალ ცხოვრებაში წარსული ცხოვრების აღდგენას. მაგრამ ეს მას უბედურებებს მოუტანს.

ამგვარად, როცა ეს გოგონა ჩემთან მოიყვანეს, მან გაიხსენა თავისი უკანასკნელი სამი ცხოვრება. პირველად ის ასამში დაიბადა და იქვე გარადაიცვალა შვიდი წლის ასაკში. ის ჩემთან ასამეურ დიალექტზე საუბრობდა, როგორც შვიდი წლის გოგონა. მას შეეძლო ასამეურად ეცეკვა, როგორც შვიდი წლის გოგონას. მაგრამ თავის ამჟამინდელ ცხოვრებაში ის მადია პლადეშში დაიბადა და არასოდეს ჩასულა ასამში, მას არაფერი ჰქონდა საერთო ასამელთა ენასთან.

მისი მეორე დაბადებაც მადია ლპადეშში მოხდა, უფრო ზუსტად კი კატნიში, სადაც ის დაახლოებით სამოცი წლის ასაკში გარდაიცვალა. შესაბამისად, სამოცდაშვიდ წელს ამჟამინდელი თერთმეტი წელი უნდა დავამატოთ. როცა ამ თერთმეტი წლის გოგონას თვალებში ჩავხედე, სამოცდათვრამეტი წლის ქალის მზერას წავაწყდი. თერთმეტი წლის ასაკშიც კი მისი სახე ისეთი ყვითელი და ფერმკრთალი, ისეთი შეშფოთებული და შეწუხებული იყო, თითქოს საცაა მოკვდებოდა, რადგან გოგონა საკუთარ ცნობიერში სამოცდათვრამეტი წლის ქალის საერთო ინფორმაციას ატარებდა. ის საშინელ უბედურებაში აღმოჩნდა.

მისი ნათესავები წარსული ცხოვრებიდან ჯაბალპურში ჩემი მეზობლები იყვნენ. სწორედ მათ მოიყვანეს ის ჩემთან. გოგონამ ათასობით ადამიანთა შორის ყველა ნათესავი იცნო თავისი წარსული ცხოვრებიდან. მან ხალხის მასიდან გამოიყვანა ადამიანები თავისი წარსული ცხოვრებიდან, კერძოდ, შვილიშვილი, შვილიშვილი და ა.შ. – ის ყველას ცნობდა.

სახლი, სადაც წარსულ ცხოვრებაში ცხოვრობდა, სოფელში იყო. მისი ნათესავები ჯაბალპურში გადასახლდნენ. გოგონამ მათ უამბო განძზე, რომელიც დამალული იყო ძველ სახლში და ის, მართლაც, იპოვეს. თავის წარსულ ცხოვრებაში ის ჩემი მეზობელი ბიჭის უფროსი და იყო. ბიჭს შუბლზე იარა ჰქონდა როგორც კი გოგონამ ძმა იცნო, ეგრევე წამოიყვირა:

– ღმერთო, შემიწყალე! შენ ისევ იარა გაქვს თავზე!

გაკვირვებულმა კაცმა უპასუხა:

– შეგიძლია მითხრა, როდის მივიღე ეს ჭრილობა? მე უკვე აღარც მახსოვს.

გოგონამ მიუგო

– შენი ქორწილის დღეს ცხენიდან ჩამოვარდი. ცხენი ყალყზე შედგა და ჩამოვარდი.

თავისი ქორწილის დღეს ეს კაცი რვა ან ცხრა წლის იქნებოდა და აღარაფრის გახსენება არ შეეძლო. ამიტომ ადამიანებმა დაიწყეს მოხუცების გამოკითხვა, რომ გაერკვიათ, ახსოვდათ თუ არა რაიმე ამ შემთხვევის შესახებ. ბოლოს ერთმა ხნიერმა ქალბატონმა დაადასტურა ეს მონაყოლი, თუმცა, თავად ამ კაცს არაფერი ახსოვდა.

გოგონას მამას ვურჩიე,როგორმე დაევიწყებინა ქალიშვილისთვის ეს ინფორმაცია. ვთხოვე, გოგონა ჩემთან მოეყვანა. მე შევძლებდი მის დახმარებას და ერთ კვირაში დავავიწყებდი ყველაფერს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გოგონა დიდ განსაცდელში ჩავარდებოდა. ასე გავაფრთხილე მამამისი. გოგონა უკვე გრძნობდა დიდი პრობლემების მოახლოებას. მას არ შეეძლო სკოლაში სიარული. როგორ შეიძლება სამოცდათვრამეტი წლის ქალის სკოლაში რეგისტრაცია? მას არაფრის სწავლა არ შეეძლო, რადგან სკოლის ინფორმაციაზე ბევრად მეტი იცოდა! მას არ შეეძლო თამაში. მისთვის არ არსებობდა ბავშვობა. როგორ შეიძლება ითამაშოს სამოცდათვრამეტი წლის ქალმა? მას სერიოზული სახე ჰქონდა, სახლში მუდმივად ეკინკლავებიდა ყველას. თავის ასაკში ეს გოგონა სამოცდათვრამეტი წლის ადამიანის სევდითა და კაეშნით იყო აღსავსე.

ამგვარად, მე ვუთხარი, რომ თუ ამ გოგონას არ ვაიძულებთ დაივიწყოს წარსული მოვლენები, ის ჭკუიდან გადავა. მაგრამ მისი ოჯახის წევრებს გოგონა ისეთი მოსწონდათ, როგორიც იყო. ხალხი მის დასანახად იკრიბებოდა. ადამიანებმა დაიწყეს მისთვის ფულის, თხილის, ხილის და ტკბილეულის შეთავაზება. ინდოეთის პრეზიდენტმა ის დელიში მიიწვია. გოგონა აშშ-შიც მიიწვიეს. მისი ოჯახი ბედნიერი იყო ამ ყველაფრით. ნათესავებმა შეწვიტეს ჩემთან მისი მოყვანა. მათ თქვეს: „ჩვენ არ გვინდა მას დავეხმაროთ, რომ დაივიწყოს წარსული მოვლენები. ჩვენ ხომ ისედაც კარგად ვართ“.

ჩვენი უკანასკნელი შეხვედრიდან შვიდი წელი გავიდა. ამჟამად ის გოგონა შეშლილია. ამიტომ მისი ნათესავები მოვიდნენ ჩემთან და დახმარება მთხოვეს. მე ვუპასუხე: „ახლა უკვე ყველაფერი რთულადაა. თქვენ არ დამთანხმდით. როცა რაღაცის

გამოსწორება შეიძლებოდა". გოგონა უკვე ვეღარ აზროვნებს ის დაბნეულია. მას არ შეუძლია გაარკვიოს, რომელი მოგონება რომელ დაბადებას ეკუთვნის. ის ვერ არკვევს, დღევანდელი ცხოვრებიდან ჰყავს ძმა და მამა, თუ წარსულიდან. მის გონებაში ყველაფერი თავდაყირა დგას.

ბუნების სამუშაო იმაში მდგომარეობს, რომ ის თქვენს ძალებთან შესაფერისი მოგონებების ტარების ნებას გრთავთ ამიტომ აუცილებელია განსაკუთრებული დისციპლინა, ვიდრე წარსული ცხოვრების მოგონებების გაცოცხლებას შეუდგებით. ეს დისციპლინა ისე კარგად შეგამზადებთ, რომ ვერაფერი შეგიშლით ხელს მიზნის მიღწევაში.მაგრამ უმთავრესი პირობა წარსული ცხოვრების მოგონებებში ჩაძირვისთვის ის გახლავთ, რომ ადამიანმა ოდენ სიზმარივით, თამაშივით, ლილუს სახით შეძლოს სამყაროს აღქმა. მანამდე, სანამ ეს არ მოხდება არასწორია ადამიანის წარსულ ცხოვრებაში გადაყვანა.

როცა ამ სამყაროს თამაშივით, ძილბურანივით აღიქვამთ. პრობლემები არ ჩნდება. ამ შემთხვევაში ვერავინ მოგაყენებთ ზიანს. თამაშის მოგონებებით ვერაფრით მოგადგებათ ზიანი მაგრამ თუ ეს სამყარო ყველაზე რეალურად გეჩვენებათ.. თუ მიიჩნევთ, რომ თქვენი ცოლი რეალურია, მაგრამ უცებ გაიხსენებთ, რომ წარსულ ცხოვრებაში ის დედათქვენი იყო. უეჭველად დაიბნევით. ვერაფრით გადაწყვეტთ, ცოლად ჩათვალოთ ის თუ დედად!

ერთხელ, ერთ ქალს დავეხმარე ექსპერიმენტში, მისი წარსული ცხოვრების გახსენებაში. თავიდან დიდხანს ვცდილობდი მის გადარწმუნებას, რადგან მას ამის გაკეთება ცნობისმოყვარეობის გამო სურდა. მაგრამ ქალს ძალიან აინტერესებდა თავისი წარსული ცხოვრების გაგება და დაჟინებით მთხოვდა დავხმარებოდი. ბოლოს და ბოლოს, დავთანხმდი. ის ისე მოიქცა, როგორც ვასწავლე. ექსპერიმენტი შედგა. ამ ქალმა გაიხსენა, რომ წარსულ ცხოვრებაში მეძავი იყო. ქალი ვერაფრით შეეგუა ამ ფაქტს. მან აღიარა: „არაფრის გახსენება არ მსურს. მინდა ყველაფერი დავივიწყო". მაგრამ არც თუ ისე ადვილი იყო ამ ყველაფრის დავიწყება. ამას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. ადვილია გაიხსენო რამე, მაგრამ რთულია დავიწყება

რადგან მას შემდეგ, რაც ესა თუ ის ფაქტი თქვენი ცხოვრების ნაწილი ხდება, ჭირს ხოლმე მისი ამოშლა გონებიდან.

ამიტომ შეგნებულად გამოვტოვე ერთი გასაღები, როცა ტექნიკას ვუხსნიდი. ამ ცხოვრებიდან წარსულ ცხოვრებაში გადასვლის ტექნიკა არ გავუმხილე. ეს გასაღები შეიძლება მხოლოდ იმას ჰქონდეს, ვინც გააცოცხლა ამ ცხოვრების ყველა მოგონება. ამ შემთხვევაში გადაწვეტილება მკაცრად ინდივიდუალურად მიიღება. ეს საკითხში არ შეიძლება განვიხილოთ საჯაროდ, ასე მოქცევა არასწორია.

ჩვენი გონება ცნობისმოყვარეობის მიზეზით უამრავ ქმედებას ასრულებს. ადამიანთა უმეტესობა მხოლოდ ცნობისმოყვარეობისთვის ცხოვრობს. ისინი ყველგან ყოფენ ცხვირს, ყველა მოვლენააინტერესებთ, მაგრამ ასეთი ურთიერთობა ხშირად საშიშია. შეიძლება ზედაპირზე ამოტივტივდეს კონკრეტული მოგონება, რომელსაც მერე თავს ვერ დააღწევ. მიუხედავად ამისა, შესაძლოა, ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე ჩატარდეს ექსპერიმენტები ამ ცხოვრების გასაცოცხლებელ მოგონებებზე. როცა ეს განცდები სასიამოვნო ხდება, როცა ამ ცხოვრების ყველა სიტუცია...

როგორც კი თავიდან შეიგრძნობთ წარსული ცხოვრების მოგონებებს, აღმოაჩენთ, რომ ისინი სხვა არაფერია, თუ არა სიზმარი, გააცნობიერებთ, რომ ყველაფერი, რასაც დღეს ასე სერიოზულად უდგებოდით, ანუ წარმატებულ თუ არაწარმატებულ ბიზნესს, ცოლთან ჩხუბს, მამასთან კამათს, იმას, რომ ვაჟი სახლიდან წავიდა, ქალიშვილი კი არასასურველ კაცს მისთხოვდა – ყოველივე ეს თქვენი მეხსიერების სანაგვე ურნაში აღმოჩნდება.

მოგონებების დაბრუნებისთანავე გაგაოცებთ ის ფაქტი, რომ საგნები, რომლებსაც ადრე სერიოზულად მიიჩნევდით, დღეს არ არსებობს; დაინახავთ, თუ როგორ მბრძანებლობდა თქვენზე ესა თუ ის მოვლენა და რაღაც მომენტში გეჩვენებოდათ, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდექით. დღეს ეს მომენტები უაზრობად იქცა. ისინი გზაზე დაფენილ მტვერს წააგავს, კიდევ ნაგავს, რომელიც ერთად მოაქუჩეს. ახლა ამ მომენტებზე ფიქრი სისულელეა.

ამგვარად, წარსული მოგონებების გაცოცხლება ორ შედეგთან მიგიყვანთ. უპირველეს ყოვლისა, თქვენთვის ნათელი გახდება, რომ ყველაფერი, რასაც სერიოზულად უდგებოდით, არც თუ ისე მნიშვნელოვანი რამ ყოფილა. არც ჰქონია განსაკუთრებული აზრი ამ შემთხვევების გახსენებას; მიხვდებით, რომ ის, რისთვისაც ადრე სიცოცხლით რისკავდით, უბრალოდ არ არსებობს.

ასეთი გაგება გარდაქმნის თქვენს ცხოვრებას, ამ დროს ხვდებით, რომ ის, რისი მოკვლაც გინდათ, ან რის გამოც გინდათ მოგკლან, დროთა განმავლობაში ლპება, ნაგვად იქცევა. უბრალოდ შეჩერდით რამდენიმე წუთით და ყველაფერი აბსურდად მოგეჩვენებათ. შეჩერდით რამდენიმე წუთით და ყველაფერი მოგონებად იქცევა. თუკი ცხოვრების საბოლოო შედეგი მხოლოდ მოგონებაა, როგორ შეიძლება ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრება განსხვავდებოდეს მსახიობის ცხოვრებისგან, რომელიც ეკრანზე ცოცხლობს? როგორიც არ უნდა იყოს, რასაც არ უნდა აკეთებდეს მსახიობი, საბოლოო მიზანი ფილმის შექმნაა, რომელიც ეკრანზე აისახება. ზუსტად ასევე იწერება ქმედებებიდან მოგონებათა ფირზე ჩვენი ყველა შეგრძნება. რომელთა დანახვაც ასევე შესაძლებელია.

ის, რასაც ჩვენ ცხოვრებას ვეძახით, ძალიანაც როდი განსხვავდება კინოკამერის ფოკუსირებისგან. ჩვენ დავაფიქსირეთ ცხოვრების ცალკეული მომენტები, რომელიც მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ და ისინი იმ კადრებს ჰგავს, რომლებიც ეკრანზე პროექცირდება. მათი ფასი არ აღემატება ფილმის ფასს. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ კინოფილმი, რომელსაც ვუყურებთ, შესაძლებელია ყუთში ჩავდოთ, ხოლო ფილმი, რომელიც ცხოვრებაში ჩავიწერეთ, საკუთარ მოგონებათა კონტეინერში უნდა შევინახოთ. სულ ეს განსხვავებაა. ის, რაც ჩვენი მოგონებების კონტეინერში ინახება, ისეთივე ფილმია. როგორც ფირზე ჩაწერილი კინოფილმი.

ადრე თუ გვიან მეცნიერებისთვის არ იქნება რთული ამ ფილმის ამოღება და ეკრანზე პროექცირება. ამაში რთული არაფერია, რადგან თვალების დახუჭვისას იმავე ფილმს ვუყურებთ, რომელიც ჩვენს ოპტიკურ ეკრანზე პროექცირდება

სიზმრის ნახვისას ჩვენი გუგები ზუსტად ისევე მოძრაობს, როგორც ფილმის ყურებისას. მძინარე ადამიანს თუ თვალზე თითს მივადებთ, მისი გუგების მოძრაობით ან უმოძრაობით მივხვდებით, ნახულობს თუ არა ის სიზმარს. მისი თვალის მოძრაობა გვაჩვენებს, რომ ის რაღაცას აკვირდება. თქვენი აზრით, რას აკვირდება ის? რა თქმა უნდა, ფილმს უყურებს.

თუ ადამიანი შეძლებს გააცოცხლოს თავისი წარსული ცხოვრებები მედიტაციისას, აღმოაჩენს, რომ ეს გამოცდილება ფილმის ყურებაზე მნიშვნელოვანი არ ყოფილა. ჯატი-სმარანის ექსპერიმენტი, ანუ წარსული ცხოვრების მოგონებათა გახსენება, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. სინამდვილეში მახავირა ან ბუდა არასდროს აძლევდნენ ხელდასხმას ადამიანს, ვიდრე ის ჯატი-სმარანს არ განიცდიდა. ამიტომ დღევანდელი ხელდასხმული ბერი სულაც არ არის ხელდასხმული, მეტიც, ის საერთოდ არ არის ბერი. მან არაფერი იცის.

რამდენიმე დღის წინ ჩემთან მოვიდა ჯაინის ბერი და მითხრა:

– მასწავლეთ, თუ შეიძლება, მედიტაცია. მე აჩარი ტულსის სამწყსოდან ვარ. მან მომცა ხელდასხმა.

მე ვკითხე:

– შენ ხელდასხმა გაქვს აჩარი ტულსისგან და მედიტაცია ვერ ისწავლე? მაშინ საერთოდ რა ისწავლე? რის გამო მიიღე ხელდასხმა? რას ნიშნავს რეალურად ხელდასხმა? თუ მედიტაციის სასწავლად ჩემთან მოხვიდოდი, რატომ მიიღე ხელდასხმა? თუ შენთვის მედიტაციაც კი არ უსწავლებიათ, მაშინ საერთოდ რა გასწავლეს? თუ აჩარი ტუსლი არ ასწავლის მედიტაციას, მაშინ რას აკეთებს?

ხელდასხმა ადამიანის მედიტაციისკენ ნაყვანას ნიშნავს. ხელდასხმას მხოლოდ ასე იძლევიან და არა სხვაგვარად. ამგვარად, მახავირა და ბუდა აძლევდნენ ხელდასხმას მხოლოდ მას შემდეგ, თუ მოსწავლე თავის წარსულ ცხოვრებას გააცოცხლებდა. მახავირას სწავლება გულისხმობდა, რომ ვიდრე წარსულ ცხოვრებებს არ გააცოცხლებდით, ვერაფრით შეძლებდით უარის თქმას სერიოზულ ურთიერთობებზე.

თუკი ადამიანი ერთხელ მაინც გაიხსენებს რამეს, საკუთარ თავს გამოუტყდება: „ადრინდელი დაბადებისას მიყვარდა

ქალი, რომელსაც გამოვუტყდი, რომ მის გარეშე ერთი წუთითაც არ შემეძლო ცხოვრება, არადა იმავეს ვამბობდი უფრო ადრინდელ ცხოვრებებშიც. ადამიანის სხეულში დაბადებამდეც ანალოგიურად ვიქცეოდი, მაშინ როცა ცხოველი ან ფრინველი ვიყავი. მუდამ ასე ვამბობდი და ასეც ვიქცეოდი". ახლა, როგორც კი ამ სიტყვებს სხვა ქალს ეტყვის, მაშინვე გადაიხარხარებს, რადგან უკვე იცის, რომ მის გარეშეც შეუძლია ცხოვრება. სინამდვილეში, ის სწორედ ასე, უდარდელად ცხოვრობდა მრავალი სიცოცხლის განმავლობაში.

წარსულ ცხოვრებაში ვიღაცას სურდა, მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობისთვის მიეღწია და იმპერატორის მსგავსი გახდა. ის ფიქრობდა, რომ თუ უმაღლეს მდგომარეობას მიაღწევდა, ყველაფერი კარგად ექნებოდა. მაგრამ პირიქით მოხდა. საწყალი კაცი მოკვდა. წარსულ ცხოვრებაში მას იგივე მოუვიდა, რაც იმის წინანდელ ცხოვრებაში. ეს ადამიანი ისევ მიიწევს დედაქალაქისკენ მაღალი თანამდებობის საძებრად. მას რომ წარსული ცხოვრების გახსენება შეეძლოს. დედაქალაქში ჩასვლამდე გამობრუნდებოდა უკან და მიხვდებოდა თავისი საქციელის აბსურდულობას. გაიცინებდა, როცა ნახავდა, თუ რა ხშირად ჩადიოდა დედაქალაქში, და როგორ სრულდებოდა საბოლოოდ მისი ყოველი არანორმალური სწრაფვა სიკვდილით.

ადამიანს სურს გაიმეოროს ყოველივე ის, რასაც თავის წარსულ ცხოვრებაში აკეთებდა, მაგრამ არაფერი ახსოვს. ერთხელ მაინც რომ შეეძლოს ამის გახსენება, ვერასოდეს შეძლებდა წარსულში მომხდარის განმეორებას. არცერთ ადამიანს არ შეუძლია გახდეს ნამდვილი სანიასინი, ვიდრე არ მიხვდება. რომ მთელი სამყარო სხვა არაფერია, თუ არა სიზმარი. მაგრამ როგორ შეიძლება ეს სამყარო სიზმრად მოგეჩვენოთ? ამ ინფორმაციის გასაღები ჯატი-სმარანში ანუ წარსული ცხოვრების მოგონებებში ინახება.

მაშ ასე, გაემგზავეთ ამ დაბადებათა მოგონებებში, მაგრამ არა ცნობისმოყვარეობისთვის. ამ გასაღების მოცემა თქვენთვის მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა გაიგებთ, რომ ეს ცხოვრება სიზმარია და შეიგრძნობთ, თუ როგორ დატოვა ტვირთმა თქვენი გონება. როცა წარსულ ცხოვრებათა სიზმარივით აღქ-

მის თვისებას შეიძენთ. თუმცა, ეს საკუთარ თავთან ურთიერთობა უფრო იქნება.

მეთოდები, რომელთაც თქვენთან ერთად ჯგუფში ვამუშავებ, ვერანაირ ზიანს ვერ მოგაყენებთ. ყველაფერი, რასაც თქვენთან ვლაპარაკობ, საჯაროა, – ეს ის არის, რასაც შეუძლია უსაფრთხო ადგილას დაგაყენოთ. სუტრას, რომელშიც რაიმე საშიშროება შეინიშნება, ინდივიდუალურად ვასწავლი. ამიტომაც მათ, ვინც სწრაფად მოძრაობს წინ, გავუზიარებ იმას, რისი გაზიარებაც არ შეიძლება საერთო აუდიტორიისთვის. როგორც კი დანარჩენები მზად იქნებიან, მათთვისაც იქნება შესაძლებელი ამ ინფორმაციის მიწოდება. მაგრამ ეს ის პროცესია, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალურად უნდა ჩატარდეს. აზრი არ აქვს ამ სუტრების ყველასთან განსჯას.

ქალის წიაღის რომელი განსაკუთრებული თვისება აძლევს მას ნებას, მიიღოს მაღალი სული? რა თვისებებით გამოირჩევა წიაღი, რომელშიც შეიძლება დაბალი სული შევიდეს? როგორ შეიძლება მოვემზადოთ იმისთვის, რომ წიაღში შესაძლებელი იყოს მაღალი სულის შეღწევა? როგორ ხდება მომზადება? რა განსაკუთრებულ თვისებებს ფლობდა სხვა ჩვეულებრივ წიაღთან შედარებით, ის წიაღები, რომლებმაც შობეს უმაღლესი სულები: ბუდა, მახავირა, კრიშნა ან იესო?

აქ განსახილველია ბევრი ფაქტორი. უპირველეს ყოვლისა, რაც უფრო სუფთაა სქესობრივი თანხვედრა, მით უფრო სუფთაა სული, რომელიც შეიძლება მოიზიდოს წიაღმა. მაგრამ სექსს ისე ძლიერ გმობენ, რომ სექსუალური აქტი იშვიათად ხდება ღვთაებრივი. სექსი სტიგმატიზირებულია, როგორც უწმინდური მოვლენა. თქვენს ცნობიერშიც გაიდგა უკვე ფესვები რწმენამ, რომ ეს სიბინძურეა. სექსუალური შერწყმა ქმარსა და ცოლს შორის ცოდვის ჩრდილქვეშ მიმდინარეობს, ის არ ხდება ლოცვისა და ნეტარების მომენტში. რა თქმა უნდა, სუფთა სულს ვერ მიიზიდავს წიაღი, რომელიც გარშემორტყმულია ცოდვის ფარდით. ამიტომ იმისათვის, რომ მაღალმა სულმა შეძლოს სხეულში შესვლა, უპირველეს ყოვლისა საჭიროა სქესობრივი აქტი ღვთაებრივ მომენტად იქცეს.

ვვარაუდობ, რომ სექსუალური აქტის დრო ლოცვის დროა ცოლ-ქმარი სექსით მხოლოდ ლოცვისა და მედიტაციის შემ-

დეგ უნდა დაკავდეს. შედეგი ორმაგი იქნება. ჯერ ერთი, მედიტაციის შემდეგ ისინი მათ წლობით არ ექნებათ სექსი უპირველეს ყოვლისა, მედიტაციის შემდეგ მათ არ შეეძლებათ სექსი. როგორც კი ჩაეშვებით მედიტაციაში, სექსის სურვილი მაშინვე გაქრება. მედიტაცია გადაიქცევა ცელიბატის გზად წლები გაივლის სექსის გარეშე. განვლილი წლებით შეძენილი სისუფთავევერ დაითრგუნება სექსუალური სურვილით. ეს არ იქნება რომელიმე აღთქმის შედეგი, რომელიც ცოლ-ქმარმა დადო, წყვილმა, რომელიც სექსუალურ თავშეკავებას ინახავს ცალ-ცალკე, ჩაკეტილ ოთახებში ძილით, ანდა იმის შედეგი. რომ ქმარმა თვითონ დაიკმაყოფილოს საკუთარი თავი. ეს ცელიბატი არ იქნება აღქმის შედეგი – ეს უფრო სპონტანური ყვავილობა იქნება. უბრალოდ შეუძლებელია მედიტაციის შემდეგ სექსი. მედიტაცია ისეთ დიდ სიხარულს იძლევა, ისეთ ღვთაებრიობას, რომ ადამიანი არაფრად აგდებს სექსით გამოწვეულ სიხარულს.

თუ ცოლ-ქმარი შეძლებს რეგულარულად მედიტირებას მრავალი წლის განმავლობაში, მაშინ ისინი ვერ შეძლებენ სექსს. ამგვარ მოქმედებას ორმაგი ეფექტი ექნება. უპირველეს ყოვლისა, ენერგია გახდება მოძრავი და ძლიერი. იმისათვის. რომ დაიბადოს სუფთა სული, აუცილებელია ძალიან ძლიერი სპერმა. სუსტი სპერმისგან დიდი ვერაფერი სარგებელია. მხოლოდ ის სექსუალური აქტი იქნება ძლიერი სულისთვის ქალის წიაღში შესასვლელად ზედგამოჭრილი, რომელსაც თან ახლდა წლების ცელიბატი. როცა ადამიანი მრავალი წლის მედიტაციის შემდეგ სექსით დაკავდება, სექსუალურ აქტს, ბუნებრივია, ღვთაებრივი ეფექტი ექნება, რადგან თუ ამ მომენტს წვეთი სიბუნძურე მაინც გაერია, მედიტაცია არ მისცემს ადამიანს შერწყმის შესაძლებლობას.

როცა მედიტაცია ბრძანებას გასცემს, ანუ, როცა სექსით მას შემდეგაც შეიძლება დაკავდე, რაც მედიტაციიდან გამოხვედი, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე სექსიც კი შეიძლება ჩაითვალოს წმინდა საქმედ. სექსი თავისთავად ღვთაებრიობაა. როცა ორი ადამიანი ამ ღვთაებრივ მომენტში ერთმანეთს ერწყმის. უმჯობესია თუ ვიტყვით, რომ მათი კავშირი არა ფიზიკური არამედ სულიერია მთავარ როლი სხეულებს აკისრიათ. მა-

გრამ ეს მაინც არ არის წმინდა ფიზიკური აქტი, ეს უფრო ღრმა და სულიერი აქტია.

ამგვარად, ღვთაებრივი სულის დაბადება არ გახლავთ მხოლოდ ბიოლოგიური მოვლენა. ორი სხეულის შერწყმა უბრალოდ უზრუნველყოფს სხვა სხეულის დაბადების შესაძლებლობას, მაგრამ როცა ორი სული ხვდება ერთმანეთს, ქალის წიაღში დიადი სულის ჩასახვის შესაძებლობა იქმნება.

მახავირას ან ბუდას დაბადება ამ მიზეზით იყო განპირობებული. იესოს დაბადება კი უფრო დიდი სასწაულია. მახავირას და ბუდას დაბადება ნაწინასწარმეტყველები იყო. მათ გამოჩენას წლების განმავლობაში ელოდნენ. წინასწარ იყო განსაზღვრული ყოველი წვრილმანი, ასე რომ, მახავირამ იწინასწარმეტყველა კიდეც, რამდენი სიზმარი დაესიზმრებოდა დედამისს მომავალ ცხოვრებაში, ვიდრე ის დაიბადებოდა. სიზმრები თანმიმდევრულადიყო აღწერილი. მახავირა წინასწარმეტყველებდა: „როცა დედაჩემს დაესიზმრება ეს სიზმრები, იცოდეთ, რომ მე უკვე მის წიაღში ვარ". მან ასევე მიუთითა სიმბოლოებზე, რომლებიც სიზმარში გამოჩნდებოდა, თეთრი სპილო, ლოტოსი და ა.შ. ამიტომ ადამიანები მოუთმენლად ელოდნენ ქალს, რომელიც განაცხადებდა, რომ მან ამ სიმბოლოების შემცველი სიზმრები ნახა.

ბუდას შემთხვევაშიც იყო ეს სიმბოლოები ჩამოთვლილი. როცა ბუდა უკვე უნდა დაბადებულიყო, სასახლეში შორეული ჰიმალაებიდან მოვიდა მოხუცი კაცი, რომელიც, ალბათ, ბუდას ელოდა. ის შიშობდა, რომ ბუდას დაბადებამდე მოკვდებოდა, ამიტომ სასახლეში მისულმა ბუდას მამას სთხოვა: „ვიცი, აქ ბავშვი უნდა დაიბადოს. მოვედი მისი დარშანისთვის[1], რომ ვნახო ის და ჩემი პატივისცემა გამოვხატო".

ბუდას მამა ძლიერ გააოცა ამ სიტყვებმა. ეს ბერი ცნობილი ადამიანი იყო, პატივცემული და ღვთისმოსავი. მას ათასი ერთგული მოწაფე ჰყავდა, ახლა კი ითხოვდა, პატივი მიეგო ბავშვისთვის! მამა უბრალოდ გაოცებული იყო, მაგრამ ბედ-

---

დარშანი – ტერმინი ინდიუზმის ფილოსოფიაში. მრავალი განმარტების მქონეა: შეხედვა, თვალსაზრისი, ინტუიცია, გონების განათება, სწავლება და ა.შ. ინდუიზმის რელიგიურ პრაქტიკაში ნიშნავს დაკვირვებას ღვთაებრიობაზე, პატივცემულ ადამიანზე ანდა წმინდა ობიექტზე.

ნიერიც, რადგან ცოლმა უკვე უამბო თავისი განსაკუთრებული სიზმრები.

ამგვარად, მეორე დღეს ეს ბერი მივიდა ახალდაბადებული ბავშვის სანახავად. ჩვილის დანახვისას ბერი იატაკზე დაეცა და ხმამაღლა ატირდა. ბავშვის მამა ძალიან აღელდა.

– რაღაც ცუდ ნიშანს ხედავ და ამიტომ ტირი? – ჰკითხა მან

– ბავშვისთვის ვერანაირ ცუდ ნიშანს ვერ ვხედავ, – უპასუხა ბერმა, — ჩემი თავი მატირებს. დაიბადა ადამიანი, რომლის ფეხქვეშ შემეძლო მიმეღწია უსაზღვრო ღვთაებრიობისთვის მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი სიკვდილი ახლოსაა, ამ ბავშვს კი დრო დასჭირდება, რომ გაიზარდოს და გაიფურჩქნოს, მაგრამ მე ასე დიდხანს ვერ დავიცდი. მოვიდა ჩემი იმქვეყნად წასვლის საათი.

იესოს დაბადებას მთელი სამყარო ელოდა, განსაკუთრებით ელოდნენ ახლოაღმოსავლეთში. ნაწინასწარმეტყველები იყო რომ იესოს დაბადებისას ცაზე ოთხი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა. მათ, ვინც იცოდა საიდუმლო, გაიგეს ვარსკვლავების სიმბოლური დანიშნულება. ბეთლემში ინდოეთიდან ჩავიდა კაცი იმისთვის, რომ იესოს დაბადებას მისალმებოდა. გარდა ამისა. ერთი კაცი ეგვიპტიდან, კიდევ ორი კი – სხვა ქვეყნებიდან იყო ჩასული. ოთხვემ იცოდა იმის შესახებ, რომ ოთხი ვარსკვლავის გამოჩენა იესოს დაბადებას ნიშნავდა.

ამგვარად, როგორც კი მოგვებმა ვარსკვლავები შენიშნეს. ისინი ბავშვის საპოვნელად გაეშურნენ. მათ იცოდნენ, რომ იმათ, ვინც ამ ვარსკვლავებს ამოიცნობდა, მნათობები ბავშვის დაბადების ადგილთან მიიყვანდნენ. ვარსკვლავები გამუდმებით წინ მიიწევდნენ და მოგზაურებიც მიჰყვებოდნენ კვალდაკვალ.

ჰეროდესთან, იესოს დროის იმპერატორთან, ბავშვის მაძიებელი ეგვიპტელი ბრძენი მივიდა. მან იმპერატორს ასე მიმართა: „შესაძლოა, არ იცი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს. ჩვენთან მეფეთა მეფე მობრძანდა". ჰეროდემ ვერ გაიგო, რას გულისხმობდა ეს ბრძენი „მეფეთა მეფეში", გადაწვიტა, რომ მისი მტერი დაიბადა, რომელიც დროთა განმავლობაში მეფობას წაართმევდა. იმპერატორმა იერუსალიმში ყველა ჩვილის მოკვდინება ბრძანა. ეს ამბავი დროულად მისწვდა მარიამის

ყურს და ქალი ბეთლემს გაერიდა. იესო უჩუმრად დაიბადა, ბნელ და ჭუჭყიან ბაგაში.

იესოს დაბადება ბუდას ან მახავირას დაბადებაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. ის წარმოაჩენს თქვენ მიერ დასმულ კითხვას: „როგორი მომზადებაა აუცილებელი უმაღლესი სულის ამქვეყნად მოვლინებისთვის?“ იესოს სული მზად იყო დაბადებისთვის. მისთვის ხელმისაწვდომი იყო შესაფერისი დედა, მაგრამ არა მამა. მარიამი აკმაყოფილებდა თავისი თვისებებით იესოს დაბადებას, მაგრამ მამა არ შეესაბამებოდა ამ მოთხოვნებს. ამიტომ მუდამ ამბობდნენ, რომ იესო დაიბადებოდა დედისგან, რომელიც ქალწული იქნებოდა. ამ სიტყვების მიზეზიც არსებობს, რადგან მამას ამ მოვლენასთან არანაირი შეხება არ ჰქონია. იესო მართლაც ქალწულმა დედამ შვა. უსხეულო სულს, რომელსაც ქრისტიანები წმინდა სულს უწოდებენ, მოუწია იესოს მამის სხეულში შესვლა. იესოს მამის სხეულის გამოყენებით, სხვა სულმა შეცვალა იგი. ეს იმას ნიშნავს, რომ იესოს მამა მხოლოდ სხეულის დონეზე არსებობდა.

უკვე ვახსენე, როგორ შევიდა სხვა სხეულში შანკარა. ზუსტად ასევე შევიდა სული მარიამის ქმარში და დაიბადა იესო. ამიტომ იოსებს თამამად შეეძლო ეთქვა, რომ იესოს დაბადებაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია. მან არ იცოდა, რა მოხდა, მხოლოდ ის იცოდა, რომ მარიამი ქალწულია და მიიჩნევდა, რომ მისი ვაჟი ქალწულ მარიამისგან დაიბადა. ის მუდმივად უგონო მდგომარეობაში იყო. მისი სხეული გამოიყენეს, როგორც საშუალება. მაგრამ ქრისტიანობას ამისი არაფერი გაეგება. ამიტომ ქრისტიანი მღვდელი ცდილობს როგორღაც დაამტკიცოს, რომ იესო ქალწულისგან დაიბადა, მაგრამ მან არ იცის, რას ნიშნავს ქალწულისგან დაბადება და, ამდენად, ვერაფერს ამტკიცებს.

დასავლეთში იესოს საწინააღმდეგო ყველაზე დიდი არგუმენტი ასეთია: როგორ შეეძლო მას ქალწულისგან შობილიყო? ეს მეცნიერებას ეწინააღმდეგება. მართალია, ბავშვს არ ძალუძს ქალწულისგან იშვას, მაგრამ იესო დაიბადა ქალწულისგან იმ გაგებით იშვა, რომ მამამისი იმ მომენტში გაცნობიერებულად არ იყო თავის სხეულში, უბრალოდ გამტარი იყო. ის იყო სრულიად უგონო მდგომარეობაში. ის აიძულეს მოქცეუ-

ლიყო ასე, გამოიყენეს ინსტრუმენტად ამ მოვლენის განხორციელებისთვის.

ხშირად ხდება, რომ ბევრ უმაღლეს სულს სწადია დაბადება, მაგრამ ისინი ვერ პოულობენ თავიანთი ჩასახვისთვის საჭირო სიტუაციას. ჩვენს დროში ყველაფერი ბევრად რთულადაა. უკვე თითქმის შეუძლებელია შესაბამისი პირობების შემქნა უმაღლესი სულების ჩასახვისთვის, რადგან ამასთან დაკავშირებული მთელი ცოდნა დაკარგულია.

ის, რასაც ჩვენს დროში ჩასახვას ვუწოდებთ, ცხოველურ პროცესს ჰგავს და საფუძვლად მეცნიერება არ უდევს. მათ, ვინც სრულად განიხილეს ჩასახვის მოვლენა, ყველა დეტალი შეიმუშავეს. მაგალითად, მათ გამოთვალეს დრო, რომელიც ყველაზე კარგი იქნება ჩასახვისთვის. ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვაქვს, რამდენ ყურადღებას აქცევდნენ ამ მოვლენას.

შესაძლოა, თქვენ არაფერი იცოდეთ იმის შესახებ, რომ ადამიანები ხშირად გადადიან ჭკუიდან სავსე მთვარეობისას, რაც ბევრად იშვიათია ახალი მთვარის პირობებში. მეცნიერებამ ჯერ ვერ დაადგინა, რატომ ხდება ასე. საქმე იმაშია, რომ მთვარე ჩვენს გონებრივ მდგომარეობაზე მოქმედებს. ზღვაზე შტორმის მომწყობი მნათობი ანალოგიურად აღაგზნებს ჩვენს ემოციებს და მთვარეულის სიმაღლემდე აჰყავს. „მთვარეული" ის არის, ვისზეც მთვარე გავლენას ახდენს. მთვარეული მთვარით შეპყრობილია. ეს სიტყვა ნიშნავს ადამიანს, რომელიც ჭკუიდან შეცდა, იმიტომ რომ მთვარემ შეუტია.

არსებობს მთელი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის, თუ რა გავლენას ახდენს დედამიწაზე სხვადასხვა ძალები ყოველწამიერად და საათობრივად. თუკი ჩასახვა ამ უნიკალურ, არადედამიწისეულ მოვლენების დაემთხვევა, წარმოუდგენლად მნიშვნელოვანი შედეგები დადგება. თუ ჩასახვა ამ წუთებში არ მოხდა, შედეგები, შესაძლოა, საპირისპირო იყოს მთელი ასტროლოგია განვითარდა ზუსტი ჩასახვის მომენტის გასარკვევად, რადგან ამ უმნიშვნელოვანეს მომენტში განვითარებული მოვლენები ჩასახული სულის დასახასიათებლად გამოდგება. ყოველ შემთხვევაში, ამან შესაძლოა გამოიკვეთოს გარკვეული მიახლოებითი მონაცემები, რომელიც ჩასახვის მო-

მენტშია კოდირებული. ყოველ წამსა და ყოველ საათს თავისი დატვირთვა აქვს.

ამგვარად, ვიდრე დაკავდებით სექსით, აუცილებელია მოიკრიბოთ ძალა მედიტაციისთვის, რომელიც უზრუნველყოფს წლობით ცელიბატს. თუმცა, ჩასწვდით ბრახმაჩარიას[2], ცელიბატის ჩემეულ გაგებასაც – ეს არ გახლავთ დათრგუნვისა და თავშეკავების შედეგი. ცელიბატში ვგულისხმობ იმას, რაც თავისთავად ჩნდება, რაც სპონტანურად ხდება. ადამიანს შეუძლია დაკავდეს ლოცვითი სექსით და მოიწვიოს სუფთა სულები თანამონაწილეებად. მაშინ ასეთი სულები არა მხოლოდ უსაზღვროდ მომრავლდებიან, არამედ შეეცილებიან კიდეც ერთმანეთს ქალის წიაღში მოსახვედრად.

თუკი ამგვარი სულების მოწვევას შეძლებთ, შედეგიც ნათელი იქნება. ასეთი სულის ჩასახვის შემდგომ ცხრა თვის განმავლობაში ნაყოფი განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ და სულიერ ატმოსფეროში უნდა განვითარდეს. მაგალითად, მახავირას დედა განსაკუთრებულ პირობებში მოათავსეს. ასევე მოექცნენ ბუდას დედასაც. ბუდას დაბადებამდე ერთ-ერთი წინასწარმეტყველების თანახმად ის ფეხზე მდგარი დედის მიერ მოევლინებოდა ქვეყანას, და რომ ეს მოხდებოდა არა სახლში, არამედ სახლს გარეთ. უცნაური რამ მოხდა, თავის მშობლებთან მიმავალი ბუდას დედა გზაზე ცოტახნით შეჩერდა საპეღლეს ხესთან (მაკაგონი) და მის ქვეშ დაიბადა ბუდა, პირდაპირ ღია ცის ქვეშ.

ჩვეულებრივ, ბავშვები ღამით იბადებიან. ეს იმის გამო ხდება, რომ ადამიანები ღამით კავდებიან სექსით. ისე აეწყო, რომ ეს პროცესი პატარა ოთახებში, მალულად, შიშისა და დანაშაულის გრძნობის თანხლებით მიმდინარეობს. ადამიანები სექსს ცოდვად, დანაშაულად მიიჩნევენ, რომელიც ჩუმად უნდა აკეთო, რათა ამის შესახებ არავინ გაიგოს. იმისთვის, რომ ხარიასხიანი სექსით დაკავდე, თავისუფლება, გახსნილობა და სუსუფთავეა საჭირო.

სექსუალური აქტის შედეგებისთვის წვრილმანებსაც კი თავისი დატვირთვა აქვს. გასათვალისწინებელია, მაგალი-

[2] ბრახმაჩარია – ერთ-ერთი საფეხური ინდუიზმში სულიერი განვითარების. სექსუალური თავშეკავება - თვითდისციპლინა. სურვილების კონტროლი

თისთვის: კედლების ფერი, ოთახის განათება, სუნი და სხვა ამის შესახებ მთელი მეცნიერება არსებობს. ბავშვის ჩასახვის მეცნიერებას რომ ვფლობდეთ, მთელი კაცობრიობის სრული ტრანსფორმაცია მოხდებოდა.

წვრილმანებიც კი განსხვავებას იძლევა. ამჟამად ერთი მეცნიერი ატარებს ექსპერიმენტს, რომელიც გამოიწვევს ფუნდამენტურ ცვლილებებს. მან გამოიგონა პატარა ქამარი, რომელიც ფეხმძიმე ქალმა წელზე უნდა შემოიკრას. საქმე იმაშია. რომ ერთხელ ერთ ქალს ფეხმძიმობისას რაღაც მიზეზით მოუწია ქამრის ტარება, ის ავადმყოფობდა. ქამრის ტარებამ ბავშვზე უცნაური გავლენა იქონია. გაირკვა, რომ ქამარი ბავშვს თავზე აწვებოდა და ის მაღალი ინტელექტით დაიბადა. ეს შემთხვევით მოხდა, უბრალოდ დაწოლა ბავშვის ტვინის გარკვეულ ცენტრზე ხორციელდებოდა.

ამ შემთხვევის შემდეგ მეცნიერმა მრავალი ექსპერიმენტი ჩაატარა. შეიძლება ისე მოხდა, რომ ბავშვი ბუნებრივად იყო დაჯილდოებული ასეთი მაღალი ინტელექტით და ქამრის ამბავი შემთხვევითობა გახლდათ. თუმცა, შემდეგმა ესპერმენტებმა დაამტკიცეს, რომ თუკი ფეხმძიმე ქალის მუცელის შესაბამის ადგილას სათანადო ზეწოლა მოხდება, ეს ბავშვის ინტელექტის საოცარ ცვლილებას, არნახულ მატებას გამოიწვევს.

არსებობს მრავალი ასანი[3], სხეულის პოზა, რომელიც მიმართულია აუცილებელ ზეწოლაზე განსაზღვრულ წერტილში. არსებობს მრავალი სასუნთქი წერტილი ამავე მიზნისთვის არის ბევრი სიტყვა, რომელთა სწორად წარმოთქმაც გარკვეულ ზეწოლაში დაგვეხმარება. ყოველივე ეს ეხმარება ბავშვს საკუთარი გენიის, შესაძლებლობების, პოტენციალის სრულად წარმოაჩენაში.

დღეისდღით ადამიანს უკვე ნაპოვნი აქვს უამრავი საშუალება უბედურების გამოსაწვევად, მაგრამ მან არ ჩადო სათანადო ენერგია იმ მეთოდების აღმოსაჩენად, რომლებსაც შეუძლიათ ააშენონ და დაამშვენონ კაცობრიობის მომავალი. თუმცა, ყოველივე ეს შესაძლებელია. როგორც კი ქალი

[3] ასანი – მჯდომარე პოზა, დასაჯდომი ადგილი, პოზა, იოგა-სუტრა პატანკანის მიხედვით. „ეს არის მდებარეობა. რომელიც კომფოტრულია და სტაბილურია“

ბავშვს ჩასახავს, ის მაშინვე იწყებს იმ არსების შესაძლებლობების არეკვლას, რომელსაც მუცლით ატარებს. რეალურად ეს ორმაგი პროცესია. თუ ფეხმძიმობის დროს დედა გაღიზიანებული და გაბრაზებულია, მაშინ ბავშვსაც ბრაზიანი ხასიათი დაჰყვება. ზუსტად ასევე, თუკი დედის წიაღში ბოროტი ბუნების სული შესახლდა, მაშინ ქალი, რომელიც სხვა შემთხვევებში არ ღიზიანდებოდა, ბრაზიანი ხდება. ეს იოლად შესამჩნევი ფაქტია. თუკი ამას გავითვალისწინებთ, შეიძლება ჩასახული ბავშვის ბრაზის მოსაშთობი ექსპერიმენტები ჩატარდეს მაშინ, როცა მას ჯერ კიდევ თესლის სახე აქვს.

არსებობს უამრავი სული, რომლებსაც შეუძლიათ დაბადება, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ. ძალიან უცნაური სიტუაციაა. ეს იგივეა, რომ სამყაროში იყოს უნივერსიტეტი, რომელიც სტუდენტებს მისცემდა განათლებას ბაკალავრის ხარისხამდე, მაგრამ ვერ დაამთავრებინებდა ასპირანტურას, ვერ აქცევდა სპეციალისტებად. შესაბამისად, ამ უნივერსიტეტდამთავრებულებს მოუწევდათ სხვა სასწავლო დაწესებულების მოძიება, სადაც შეძლებდნენ მაგისტრის ხარისხის მოპოვებას ან ჩააბარებდნენ ასპირანტურაში.

ჩვენი სამყარო ამა თუ იმ ადამიანის სხეულსა და გონებას გარკვეულ დონემდე ავითარებს, მერე კი თავს ანებებს მათ. ამის შემდეგ, ამ ადამიანების დახმარების შანსი ისპობა. მაგრამ საჭიროა სისტემური უზრუნველყოფის შემუშავება, შესაძლებლობებისა და პირობების სწორი ტიპების შექმნა, რომ უმაღლეს სულებს შეეძლოთ ამ სამყაროში შემოსვლა. ამგვარად, ნება მომეცით გავიმეორო რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი.

უპირველეს ყოვლისა, ყველა ჩვენი ურთიერთობა სექსთან მტკივნეული და საშიშია. ვიდრე ამქვეყნად არ აღიარებენ სექსის წმინდანობას, ადამიანები სულ უფრო მეტ ზიანს მიაყენებენ კაცობრიობას. ვიდრე ადამიანი სექსს მედიტაციურად არ მოექცევა, მისი სექსი ცხოველურად დარჩება და ვერასდროს მეიძენს ადამიანურ თვისებებს. და კიდევ, სქესობრივ აქტამდე ცელიბატის ხანგრძლივი პერიოდის გარეშე, შეუძლებელია ძლიერი სპერმის შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი წარმოუდგენელია ძლიერი სულის დაბადება.

როგორღაც თქვენ აღნიშნეთ, რომ თუკი შემდეგი ორმოცდაათი წლის განმავლობაში არ დაიბადა კრიშნას, ქრისტეს, ბუდას, მახავირას მსგავსი ადამიანები, შესაძლოა, მთელი კაცობრიობა გადაშენდეს. ვივეკანანდასავით ჟღერდა თქვენი სიტყვები: „მე ვეძებ ას ადამიანს, რომლებიც გამოიჩენენ სიმამაცეს უმაღლესი სულის გამოსავლენად. თუკი ეს სიმართლეა, შესაძლებელია არა მარტო ინდოეთი, არამედ მთელი კაცობრიობა გადარჩეს. ამ მიზეზით დავდივარ სოფლიდან სოფლად, მუდმივად ვუყურებ მათ თვალებში, ვინც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს. თავის მხრივ, მთლიანად მზად ვარ შეგიყვანოთ შინაგან სამყაროში. მოდით, ვნახოთ, ვიტყვი თუ არა იკვდილისას, რომ ვეძებდი ას ადამიანს, მაგრამ ვერ შევძელი მათი პოვნა. თუ მზად ხართ, მაშინ მოდით ჩემთან!"

შეგიძლიათ ახსნათ, რას გულისხმობთ ფრაზაში „მე მზად ვარ" და „თუკი თქვენ მზად ხართ," გთხოვთ, განგვიმარტოთ. როგორი მზადყოფნაა ჩვენი მხრიდან საჭირო და როგორ უნდა შევამზადოთ თავი?

ნება მომეცით, აგიხსნათ თქვენი მომზადების აზრი. მე მჭირდება ჩემებური მომზადება და თქვენ, რა თქმა უნდა, არანაირი კავშირი არა გაქვთ ჩემს მომზადებასთან. სინამდვილეში მე არ მჭირდება მომზადება, რადგანაც უკვე მზად ვარ.

რა მოიაზრება ჩემს მომზადებაში? აქ სამი პუნქტია. უპირველეს ყოვლისა, უკანასკნელი ათასი წლის განმავლობაში მორწმუნეები უფრო გავხდით, ვიდრე მაძიებლები. მორწმუნე გონებამ შეცვალა მაძიებელი გონება. ჩვენ მაშინვე გვჯერა, მაგრამ არასდროს ვეძებთ. ის, რისი მიღწევაც ღირს ამ სამყაროში, არაფრით მიიღწევა კვლევისა და ძიების გარეშე. მაშინაც კი, თუ ყველაფერს ძიების გარეშე მიაღწევთ, საკუთარ თავს მაინც ვერ იპოვით. ამგვარად, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის გონება კითხვებით უნდა აივსოს. მზადების პირველი სტადია ცნობისმოყვარე გონების ფლობაა.

შესაძლოა, მითხრათ, რომ მართლაც ხართ ძიებით დაკავებული, რომ კითხვებს სვამთ. თუმცა, გახსოვდეთ, რომ თქვენი კვლევა მაინცდამაინც პასუხებს მოითხოვს, მე კი საერთოდ არ მიმაჩნია იგი კვლევად. კითხვამ არა მხოლოდ პასუხი, არამედ

გამოცდილებაც უნდა ეძებოს. პასუხის მოცემა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მაგრამ არავის ძალუძს გამოცდილების მოცემა.

არიან ადამიანები, რომლებიც მკვლევარებს ჰგვანან, მათი კვლევები რელიგიურის მსგავსია. ისინი ღიად სვამენ კითხვებს: „არსებობს ღმერთი? არსებობს მოკშა, გათავისუფლება?“ მაგრამ მათი მხრიდან პასუხების ძიება მოჩვენებითია, სინამდვილეში ვიღაცამ უნდა უზრუნველყოს ისინი პასუხებით, ეს არის და ეს. თუკი კითხვებს მხოლოდ იმიტომ სვავენ, რომ პასუხები იპოვონ, მაშინ ადრე თუ გვიან პასუხი რწმენად იქცევა, რადგან კითხვის დამსმელი არ არის მზად რთული ცხოვრებისთვის. ის ისწრაფვის შეხვდეს იმას, ვისიც შეიძლება სწამდეს, ვინც უზრუნველყოფს მას პასუხებით და დააკმაყოფილებს მის ცნობისმოყვარეობას.

მე არავისთვის მაქვს პასუხები. ჩემთვის საინტერესო არ არის პასუხების გაცემა. თუ ცოტათი მაინც ვსაუბრობ კითხვებზე პასუხების გაცემის მანერით, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ კითხვების ავტორები არ დამეფანტოს. მინდა, ისინი ცოტა ხნით მაინც დარჩნენ, რათა მათზე პასუხების პოვნის სურვილი გავუქრო, სამაგიეროდ კი დავეხმარო გამოცდილების სურვილის შეძენასა და გამძაფრებაში.

ადამიანები მზად არიან პასუხების მოსასმენად, მაგრამ სინამდვილეში არავის უნდა ამის გაკეთება. პასუხები ზედმეტად იაფად გაიცემა. თქვენ შეგიძლიათ ისინი წიგნებში იპოვოთ, გურუსგან მოისმონოთ. პასუხების ძიება ფრიად ინტელექტუალური მოვლენაა და სრული სისავსით არაფრით უკავშირდება ცხოვრებას. აუცილებელია გამოცდილების ძიება, აუცილებელია კვლევა გამოცდილებისთვის. ნება მომეცით, მაგალითისთვის ერთი ისტორია გიამბოთ.

ტიბეტში ცხოვრობდა მისტიკოსი, სახელად მილარეპა. ტიბეტში არსებობდა ასეთი ტრადიცია: როცა ვინმე მიდიოდა ოსტატთან, მას, უპირველესაც, სამჯერ უნდა დაერტყა წრე მისთვის, შემდეგ შვიდჯერ ეცა თაყვანი, ნეტარი სახით უნდა მიმჯდარიყო კუთხეში, ვიდრე ოსტატი არ დაუძახებდადა არ მისცემდა კითხვის დასმის ნებას. მილარეპა კი ეგრევე მივიდა ოსტატთან და კისერზე მოეხვია. მას არ შემოუვლია მისთვის სამჯერ. არ უცია თაყვანი შვიდჯერ და კუთხეში წყნარად

მჯდომი არ დალოდებია ნებართვას. ის უბრალოდ მივიდა ოსტატთან და ჰკითხა:

– მითხარით, რისი თქმაც გსურთ ჩემთვის, იმიტომ რომ არც კი ვიცი, რა უნდა გკითხოთ. მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი. თუ თქვენ გაქვთ რაიმე სათქმელი, მითხარით!

– მოითმინე ერთი წუთით და ზრდილობიანად მოიქეცი, – უპასუხა ოსტატმა, – ნუთუ შენ არ იცი კითხვის დასმის ეტიკეტი? ნუთუ არ იცი, რომ სამჯერ უნდა შემოურო ოსტატს, შვიდჯერ თაყვანი სცე, მერე კი კუთხეში დაჯდე და დაელოდო, როდის დაგიძახებენ?

– მე ამას მოგვიანებით გავაკეთებ, – არ უთმობდა მილარეპა, – მითხარით, ვინ იქნება ჩემს სიკვდილზე პასუხისმგებელი, თუკი იმ დროს მოვკვდები, როცა წრეების დარტყმის, შვიდგზის თაყვანისცემის ან საკუთარი რიგის მოლოდინის პროცესში ვიქნები? თუ დამპირდებით, რომ არ მოვკვდები, ამ ყველაფრის გაკეთებისას, მზად ვარ შემოგიაროთ და შვიდჯერ კი არა შვიდასჯერ გცეთ თაყვანი. პირველ რიგში, მიპასუხეთ და ფორმალობები შემდეგ შეიძლება შევასრულოთ.

– დაჯექი, – შესთავაზა ოსტატმა, – შენ ის ადამიანი ხარ, რომელიც გამოცდილებას ეძებს და არა პასუხებს. კარგია, რომ ჩემ გარშემო წრეების დარტყმით არ დაიწყე, რადგან ჩემი საქმე მხოლოდ იმათთვისაა განკუთვნილი, ვინც მას მიჰყვება. როცა ვინმე ჩემ გარშემო დადის, ვხვდები, რომ შემთხვევითი ადამიანი მოვიდა, რადგან ის წარმოაჩენს, რომ კიდევ აქვს დრო რაღაცის საკეთებლად.

ამგვარად, პირველ რიგში, მაძიებელში ვეძებ მკვლევარის ელემენტებს, ანუ არა კითხვების ძიებას, არამედ, გამოცდილებისკენ სწრაფვას. მე ვეძებ მასში არა ფილოსოფიის მაძიებელს, არამედ საკუთარი თავის აღმოჩენის უნარს, არა მხოლოდ ცოდნის მიღების, არამედ მიღწევის მცდელობას, არა მხოლოდ მიღწევის მცდელობას, არამედ ყოფნის სურვილს. ამგვარად, ეს პირველი პირობაა.

მეორეც, როცა ვცდილობთ რაღაცის მიღწევას, ჩვენ რაღაცის დაკარგვაც გვიწევს. ამქვეყნად არაფერი მიიღწევა დანაკარგის გარეშე. მაგრამ ჭეშმარიტების მიღწევისას ასე

არ არის. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი ფულის დახარჯვა გსურთ, მაინც ვერ იპოვით ჭეშმარიტებას.

სიმდიდრის ფლობით ვერ იყიდით ჭეშმარიტებას, ვერც დაკარგავთ მას. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ჭეშმარიტებას ბევრი ფულის შოვნის შემდეგ იყიდის. არიან სხვებიც, რომლებსაც სწამთ, რომ ჭეშმარიტებას ფულის უარყოფით მიაღწევენ. მაგრამ არსებითად, ორივე ტიპის ადამიანები ასკვნიან, რომ ჭეშმარიტების ყიდვა სიმდიდრით შეიძლება.

ჭეშმარიტების მოპოვება შეუძლებელია ფულით. სინამდვილეში, ვიდრე არ იქნებით მზად დანებებისთვის, ვერ მიაღწევთ ჭეშმარიტებას, დაგროვილ ქონებაზე უარის თქმით. ჭეშმარიტებას შეიძლება ჩასწვდე არა საკუთარი საგნების დაკარგვით, არამედ თქვენი ამჟამინდელი ხარისხის გარდასახვით. ამისთვის კი სიმამაცე გჭირდებათ, რათა დაკარგოთ ისეთი საკუთარი თავი, როგორიც ახლა ხართ.

მეორე ელემენტი ასეთია: მზად ხართ გაქრეთ? გინდათ დანებდეთ? ეს არ ნიშნავს, რომ საკუთარი თავი უნდა გაიღოთ, ან კიდევ სხვა რამ, რადგან ჭეშმარიტებას არ აინტერებს თქვენი დაუფლება. საკუთარი თავის გაღებისთვის მზადყოფნაც საკმარისია. დანებების მზადყოფნაც ისეთივე მიმზიდველია, როგორც თვით დანებება. უბრალოდ უნდა მოემზადოთ გაქრობისთვის. ის, ვისაც ამის გაკეთება არ შეუძლია, ვერასოდეს გაემგზავრება ზღაპრულ მოგზაურობაში.

ადამიანები მუდამ მზად არიან საგნები გაიღონ. ვიღაც ამბობს: „მე უარს ვიტყვი საკუთარ სახლზე, უარს ვიტყვი მშობლებზე, ცოლზე, ვაჟზე, ქონებაზე“. მაგრამ ამ ვიღაცას არასოდეს, არასოდეს წამოსცდება: „მე უარს ვიტყვი საკუთარ თავზე“. ვიდრე ადამიანი არ მოახდენს საკუთარი თავის უარყოფის დემონსტრირებას, ის ვერ შეძლებს წინსვლას ჭეშმარიტების საპოვნელად.

საქმე იმაშია, რომ თქვენი ცოლი ნამდვილად თქვენ გეკუთვნით. შეგიძლიათ მასზე უარი თქვათ? არც ერთი ქმარი არ აწებებს ცოლს იარლიყს. დღის განმავლობაში ნათელი ხდება, რომ ცოლი მისი საკუთრება არ არის. ასე რომ, თუ თქვენ უარს ამბობთ იმაზე, რაც არასდროს გეკუთვნოდათ, მაშინ საკუთარ თავს იტყუებთ. ვის ატყუებთ? ნუთუ თქვენი ქონება მართლა

თქვენ გეკუთვნით, ასე ბევრს რომ საუბრობ მის გაცემაზე? საქმე იმაშია, რომ თქვენ ვერაფერს უწოდებთ თქვენსას, საკუთარი თავის გარდა, იმის გარდა, რასაც თქვენ წარმოადგენთ საოცარია! თქვენ გამუდმებით ლაპარაკობთ იმის უარყოფაზე. რაც თქვენ არ გეკუთვნით, მაშინ დღენიადაგ ცდილობთ იმის გაცემას, რაც მართლა თქვენია! ასე არაფერი გამოვა!

ამგვარად, მეორე რიგში, მე ვეძებ სიმამაცეს საკუთარი თვითმყოფადობისგან გასათავისუფლებლად. და მესამე, რასაც თქვენგან ველოდები მომზადების ფარგლებში, – უსასრულო ლოდინი, უსასრულო თმენა. სინამდვილეში ეს მოგზაურობა ისეთია, რომ უბრალოდ ინფანტილურად გამოჩნდება ის, ვინც მაშინვე მოითხოვს შედეგს. იმას კი არ ვგულისხმობ, რომ შედეგები სწრაფად არ მიიღწევა. ეს შესაძლებელია, თუ ადამიანი მყისიერი შედეგების მიღწევის ველში არ იმყოფება, რომელშიც ის ამბობს: „იყოს ისე, როგორც გამოვა, ჩემთვის უკეთესია. მე ლოდინი მსურს".

ამგვარად, აუცილებელია მოთმინება. ეს ხომ ზუსტად ის ელემენტია, რომელიც ძალიან არ ჰყოფნის თანამედროვე სამყაროს. რელიგიურობის დაქვეითების სხვა მიზეზი არ არსებობს. გარდა მოთმინების უნარის არქონისა. მოთმინება – რელიგიის ფესვებია. რეგილიური შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც დამთმენია. დანარჩენი ყველაფერი, რელიგიის გამოკლებით, ხელშესახები და შესაგრძნობია. რელიგია სრულიად უხილავია - თქვენ არ შეგიძლიათ მას შეეხოთ, არ შეგიძლიათ სეიფში ჩაკეტოთ, მას არ შეუძლია იქცეს ჩვენი ბანკის ანგარიშად, თქვენც არ შეგიძიათ საკუთარ ანგარიშზე მისი გადარიცხვა, მერე კი შინ მისვლა და უდარდელად დაძინება. რელიგია – ერთადერთი მოვლენაა, რომლის ძიებაც შეიძლება დაიწყოს ადამიანმა. თუკი ის მზადაა, მოთმინებით გაჰყვეს მას.

რელიგიაში ყველაზე დიდი სირთულე ის გახლავთ, რომ ის არ მიიღწევა ნაწილ-ნაწილ, ანუ დღეს ცოტა, ხვალ უფრო მეტი, რომ შესაძლებელი იყოს იმედით ცხოვრება. მოუთმენელ ადამიანსაც კი აქვს იმედი, რომ თუ დღეს გამოიმუშავა რუპია[4], ხვალ შეძლებს ორი რუპიის. ზეგ კი – ოთხის გამომუშავე-

[4] რუპია - ინდოეთის ვალუტა

ბას. და თუკი ასე გააგრძელებს ფულის შოვნას, ერთხელაც მილიონერი გახდება.

რელიგია მიიღწევა ან წამიერად, ან სულაც ვერ მიიღწევა. პროცესში არანაირი ეტაპები არ არის და თქვენ მას ნაწილ-ნაწილ ვერ იპოვით. იმ დღეს, როცა მას მიაღწევთ, ის მთლიანად ჩნდება, ის უბრალოდ ფეთქდება თქვენში. არაფერი ხდება ვიდრე მას არ მიაღწევთ ერთი ხელის მოსმით. ამ მომენტამდე თქვენ სიბნელეში იმყოფებით. სიბნელის ამ ეტაპზე სულსწრაფი ადამიანები იწყებენ იმის ძებნას, რაც წამიერად მიღწევადია. ისინი იწყებენ ქვებისა და ნიჟარების შეგროვებას, რომლებიც ყველგან ყრია და საყოველთაოდ ხელმისაწვდომია. ისინი ეძებენ ფულს, დიდებას და ა.შ. რისი მიღწევაც შესაძლებელია დიდი ხნის ლოდინის გარეშე, რაც გვგონია, რომ აქვე, კუთხეშია. ამქვეყნიური საგნებისგან მხოლოდ ერთი სარგებელია: თქვენ მათი მიღება ნაწილ-ნაწილ შეგიძლიათ, ცოტ-ცოტა. მაგრამ თქვენ ვერ შეძლებთ რელიგიის გათავისებას მისი ფრაგმენტების შეგროვებით.

ამგვარად, მესამე ელემენტი – ეს ლოდინია, უსასრულო ლოდინი. მაგრამ ლოდინი ძალიან ძნელია, რადგან გონება გვეუბნება: „ვინ იცის, მივაღწევ კი რელიგიას? იქნებ, ტყუილად ვირჯები. შესაძლოა, უკვე ძალიან გვიანია და ხელის ჩაქნევის დრო მოვიდა. დრო, რომელიც ტყუილად დავკარგე აქამდე, შეიძლებოდა უკეთ გამომეყენებინა, მივყოლოდი რომელიმე სასარგებლო საქმეს, მიმეღწია არსებითი წარმატებისთვის. მე ყველაფერი დავკარგე, ვერაფერი მოვიგე“. ასეთი მოუთმენელი გონება ვერასდროს შეძლებს თავისუფლების მოპოვებას.

სინამდვილეში, მოუთმენლობასა და სიმშვიდეს შორის. მოუთმენლობასა და უშფოთველობას შორის არანაირი კავშირი არ არის. სიმშვიდე და მოუთმენლობა ერთმანეთის პარალელურები არ არიან. მოუთმენლობა ნიშნავს შფოთვას. მოუთმენლობა ნიშნავს აღგზნებას, ღელვას. ასეთი გონება აუცილებლად გამოტოვებს მთავარ არსს.

მოთმინება – ზღვის დამშვიდებას ჰგავს, თითქოს ტალღაც კი არ შესტოკებია, ისე დაემსგავსა სარკეს. საინტერესოა, რომ მთვარე მუდამ ანათებს ზღვის ზედაპირს, და თუკი ზღვას შეუძლია დამშვიდდეს და სარკეს დაემსგავსოს. ამ მომენტში

ის მთვარის არეკვლასაც შეძლებს. მაგრამ აღელვებულ ზღვას ტალღებით აქაფებულს, არ ძალუძს მთვარის არეკვლა.

ჭეშმარიტება ყოვლისმომცველია. ღმერთი ახლოსაა, ის ყველგანაა, ჩვენ გარშემო, აქ და ახლა. მაგრამ ჩვენი მოუთმენელი გონება ისეთი არასტაბილური,მღელვარე დაშფოთიანია,რომ ღვთის შეცნობის ძალა არ შესწევს. ღმერთი არ აირეკლება გონებაში, რადგან მას არ შეუძლია სარკედ იქცეს გონებას ლოდინი აქცევს სარკედ. იმ დღეს, როცა სარკედ იქცევა,გონება ყველაფერს აღწევს. იმიტომ რომ ყოველთვის ყველაფერი არსებობდა, მხოლოდ თქვენ არ არსებობდით სარკის სახით. როგორც კი სარკედ ყოფნას იწყებთ, გონებაში მაშინვე აირეკლება ყველაფერი, ის, რაც არის და ისიც, რაც ყოველთვის იყო.

ამგვარად, ჩვენ უნდა შევასრულოთ ეს სამი პირობა. როცა ამაზე იზრუნებთ, საკითხი ამოიწურება. დანარჩენი ძალიან იოლად მოგვარდება. ამჟამინდელი სირთულე ის არის, რომ გაშლილი ხელებით დგახართ, მე კი წყლიანი კოკა მიჭირავს და გთხოვთ პეშვი შეკრათ, რომ მასში წყლის ჩასხმა შევძლო. წყალი შეიძლება ჩავასხა მაშინ, როცა თქვენი ხელები ჭურჭლადაა შეკრული, როცა ორიენტირებული ხართ საკუთარი თავისკენ. როცა წამით მაინც გაიდგით ფესვები. მაგრამ, შეცდომაში არ შეგიყვანით იმ აზრმა, თითქოს წყლის დასხმას დავიწყებ. როგორც მოწმემ, შემიძლია გითხრათ: „დიახ, ამ ადამიანმა ნამდვილად შეკრა პეშვი, ამიტომაც გახდა შესაძლებელი წყლით მისი გავსება".

აი, რაში მდგომარეობს ხელდასხმის ნამდვილი არსი. როგორ შეიძლება ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ხელდასხმა მოხდეს? ხელდასხმას მხოლოდ უფლისგან იღებენ. რა თქმა უნდა, სრულიად შესაძლებელია, ოდნავ წინწასულმა ადამიანმა იფიქროს, რომ მისი ხელები მართლა ჭურჭლად შეიკრა, რასაც ხელდასხმაც მოჰყვება. ამგვარად, ჩემი მხრიდან არ არის საჭირო განსაკუთრებული მომზადება. თუ თქვენი მომზადება დასრულდა, მაშინ მე შემიძლია ვიყო ხელდასხმის მოწმეც

ამგვარად, მე მოგეცით სამი სუტრა მომზადებისთვის. ნუ ჩაუღრმავდებით მათ, არამედ შეეცადეთ, შეიგრძნოთ ისინი და თქვენ მაშინვე მიხვდებით ამ სუტრების არსს ფიქრი სარ-

გებელს არ მოგიტანთ. ფიქრით ხელიდან უშვებთ მათი გაგების შესაძლებლობას. მიიღეთ ეს სამი სუტრა და ეძებეთ თქვენსავე თავში. ნახეთ, თუ იმალება თქვენში პასუხების პოვნის სურვილი. ყურადღება მიაქციეთ გამოცდილების ძიებას. დარწმუნდით, რომ არ ეძებთ ინტელექტუალურ თეორიას, რომელიც აგებულია იმაზე, რაც ღმერთმა შექმნა ან არ შექმნა. რა იცვლება იმით, თუ სამყარო ღმერთმა შექმნა? და თუკი იგი ღმერთმა არ შექმნა, მაშინ რა უნდა მოხდეს? ასე რომ, დაუსვით კითხვა საკუთარ თავს: „ნამდვილად გამოცდილებას ვეძებ?“ დაე, ეს მომენტი გასაგები გახდეს თქვენთვის.

არ არის ცუდი, თუ არ ეძებთ გამოცდილებას. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა იცოდეთ, რომ გამოცდილებით კი არა, მხოლოდ პასუხის მიღებით ხართ დაინტერესებული. ასეთი სისუფთავე თქვენში კეთილსინდისიერებას აღძრავს. ყოველი შემთხვევისთვის, არ მოგიწევთ იმაზე ფიქრი, რომ რაღაც უნდა განიცადოთ. თქვენ ხომ პასუხების ძიებაში იქნებით და მორჩა. დაიმახსოვრეთ, რომ თავად იმის აღიარება, რომ მხოლოდ პასუხებს ეძებთ, მაშინვე მიგახვედრებთ თქვენი ძიების უშედეგობას, რადგან რა თავში სახლელად გინდათ პასუხები, რომლებიც მხოლოდ სიტყვებით გამოიხატება?

სიტყვები ვერ გაგინელებთ შიმშილის გრძნობას, სიტყვები-ვერ აცხრობს თქვენს წყურვილს, სიტყვები არაფრის მაქნისია. თუ გსრურთ მდინარე გადაცუროთ, ნამდვილი ნავი დაგჭირდებათ, სიტყვის ნავი კი, რომელიც აღწერილია ლექსიკონში, ვერაფრით დაგეხმარებათ. თუ ლექსიკონს მოიტანთ, რომელიც სიტყვიერ ნავს აღწერს როგორც გემს, რომელსაც ადამიანები მდინარეზე გადაჰყავს, და ამ ლექსიკონის გამოიყენებას შეეცდებით, მაშინ ის თქვენთან ერთად ჩაიძირება. მდინარე კი უბრალოდ გაიცინებს თქვენს სისულელეზე. მდინარე იტყვის: „თუკი ნამდვილად გსურდა გადასულიყავი ჩემი ერთი ნაპირიდან მეორეზე წიგნში აღწერილი სიტყვიერი ნავის მეშვეობით, მაშინ ის მდინარე უნდა გადაგეცურა, რომელიც წიგნშია აღწერილი! არ შეიძლება წიგნში აღწერილი ნავის გამოყენება ნამდვილი მდინარის გადასაცურად. სასურველია წიგნშივე დაძიროთ ასეთი ნავი ასეთივე მდინარესთან ერთად, რადგან მათ ვერაფრით გიშველეს“

თუკი პასუხებს ეძებთ, მაშინ წიგნიც საკმარისია, მაშინ არაფრის კეთება არ გიწევთ ცხოვრებაში. მაგრამ თუ ყოველივე ამას გააცნობიერებთ, წიგნი მალევე მოგბეზრდებათ. და არა მარტო ეს, ადრე თუ გვიან სიტყვებიც გაგიუფერულდებათ, ყველა თეორია და დოქტრინა ნაგვად მოგეჩვენებათ. ყველა წმინდა წიგნის ტვირთის მოხსნა მოგინდებათ და გამოცდილების ძიებას შეუდგებით.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჩავწვდეთ ჩვენში შემდეგს: „ზუსტად რას ვეძებ? მხოლოდ სიამოვნების გულისთვის, მხოლოდ ცნობისმოყვარეობისთვის ვირჯები, თუ ეს მუმუკშაა?" სიტყვა „მუმუკშა"მწველ სურვილს, გამოცდილების ძიებას აღნიშნავს.

მეორეც, აი, რა უნდა გაარკვიოთ: „რის დასათმობად ვარ მზად?" თუკი უფალი გეტყვით: „მზად ვარ მოვიდე შენთან, მზად ვარ გეკუთვნოდე. რა შეგიძლია მომცე სანაცვლოდ?", თქვენ მაშინვე საკუთარი ჯიბე გაგახსენდებათ, ყოველ შემთხვევაში. ადამიანთა უმრავლესობას სწორედ საკუთარი ჯიბე გაახსენდება. მერე დაიწყებთ ფულის თვლას და იმაზე ფიქრს, თუ რამდენი უნდა ჩაუთვალოთ ამ შემოთავაზების ავტორს: ხუთი რუპია. ათი თუ უფრო მეტი. აბა, სხვა რა უნდა გაიღოთ? შეგიძლიათ ამ დროს საკუთარი თავი შესთავაზოთ უფალს და უთხრათ: „ჩემს თავს გთავაზობ. საკუთარი თავის გარდა, რა გამაჩნია?"

თუ თქვენ ამას ჩაწვდებით, მაშინ მეორე სუტრა: „მზად ვარ საკუთარი თავი მოგცე", ცხოვრების ცვლილების საფუძვლად მოგევლინებათ. ეს მზადება უბრალოდ ნათლად უნდა წარმოგიდგეთ, სულ ეს არის. თქვენთვის ცხადი უნდა გახდეს: „მზად ვარ დავნებდე, როცა ჩემი დრო მოვა. მე არ განვიცდი წარუმატებლობას. და არ ვიტყვი, რომ ჩემთვის კიდევ ცოტაოდენი დროა საჭირო, რათა თავიდან შევათანხმო ოჯახთან ყველაფერი და მეგობრებს რჩევა ვკითხო. ეჭვი არ შემეპარება იმაში. რომ დანებება მომიწევს, არავითარ შემთხვევაში არ ვითხოვ რამდენიმე დღეს იმისთვის, რომ ჩემმა ვაჟიშვილმა დაქორწინება მოასწროს".

არსი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენთვის სრულიად ნათელი უნდა გახდეს, რომ როცა დრო მოვა, უყოყმანოდ უნდა გარისკოთ საკუთარი თავით.

არ არსებობს უფრო აზარტული თამაში, ვიდრე რელიგიაა. მასთან შედარებით, ყველა ფსონი უმნიშვნელოა. სამორინეში ბორბალს ატრიალებთ, მერე ან იგებთ, ან აგებთ, მაგრამ სწორედ თქვენ რჩებით ფსონის გარეშე. რელიგიის შემთხვევაში კი ფსონს საკუთარ თავზე ჩამოდიხართ, აქ უკვე მოგება-წაგების საკითხი არ დგას, რადგან როცა საკუთარ თავს ჩამოხვედით, ვინ მოიგებს ან ვინ წააგებს? ახლა ფსონი თქვენზეა დადებული და უკვე არ შეიძლება მოგება და წაგება. თქვენ გაქრით. დაე, ნათელი გახდეს თქვენთვის ეს რეალობა.

მესამე მომენტი, რომელიც უნდა გაარკვიოთ, ის გახლავთ, რომ მარადიულობის ძიებისას ბავშვური მოუთმენლობა არ წაგადგებათ. თქვენთვის აუცილებელია უსაზღვრო მოთმინება. ის, ვინც მზად არის უსაზღვრო მოთმინების მოსაკრებად, აქ და ახლა აღწევს არსს. ამგვარად, დაე, ეს სამი მომენტი გაცხადდეს თქვენი გონებისთვის და მზადება თავისთავად მოხდება.

თქვენ ახსენეთ... პირველი პირობა ის არის, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს ცნობისმოყვარე გონება და დაუცხრომელი სწრაფვა. მეორე პუნქტი კი, რომელზეც საუბრობდით, გათავისუფლების სურვილია. მაგრამ როგორ შეუძლია ადამიანს მთლიანად გათავისუფლდეს, ვიდრე მას ცნობისმოყვარე გონება აქვს და ეჭვები ხრავს? სინამდვილეში, იმ დღეს, როცა დასრულდება თქვენი კვლევა, ეჭვებიც გაქრება. ეს ძალიან საინტერესოა და კარგი იქნება, თუ ამ მომენტს განვიხილავთ.

როდის ეჭვობს ადამიანი? დაიმახსოვრეთ, რომ ეჭვი არ არის კვლევა. სინამდვილეში ეჭვობენ მხოლოდ ისინი, ვისაც რაღაცის სწამს, ვინც რაიმე რწმენას ატარებს. მხოლოდ მას შეუძლია ეჭვი, ვისაც სწამს. როგორ იეჭვებს ის, ვისაც არა აქვს რწმენა? ვისში შეეპარება ეჭვი? როგორ შეძლებს ეჭვის შეტანას? იქ, სადაც კვლევაა, არც ეჭვია, არც რწმენა, იმიტომ რომ ეჭვი ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანს რაღაცის სწამს. ეჭვი იმის ფონზე ჩნდება, რისიც წინასწარ სწამდათ. მაგალითად, ადამიანი ამბობს, რომ მას ღმერთის არსებობაში ეჭვი ეპარება. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ადრე სწამდა ღმერთის არსებობის, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ გაუჩნდებოდა ეჭვი ამ საკითხთან დაკავშირებით?

მაძიებელს არც ეჭვი აქვს და არც რწმენა. მაძიებელი ამბობს: „მე არაფერი ვიცი, როგორ შემიძლია ვეჭვობდე? როგორ შემიძლია მწამდეს?“ მაძიებელი არ არის მორწმუნე, მაძიებლის გონება მოკლებულია ყოველგვარ ეჭვს, იმიტომ რომ მაძიებლის გონება თავისუფალია რწმენისგან. იქ, სადაც არ არის რწმენა, არ არის ეჭვიც. ამიტომ საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს მორწმუნე, სინამდვილეში, საკუთარ თავში ატარებს ეჭვს. ის, ვინც თავის ღრმა რწმენაზე საუბრობს, ზუსტად ამავე მოცულობით საკუთარ თავში ეჭვსაც მოიცავს. იმისათვის, რომ ეს ძლიერი ეჭვი გაიფანტოს, საბრალო იძულებულია უფრო მაგრად სწამდეს. ეჭვი ღრმად იდგამს მასში ფესვებს, და როცა ეჭვი ცდილობს გარეთ გამოღწევას, ადამიანის ამგვარი ღრმა რწმენა აკავებს მას. ადამიანი თვალს ხუჭავს და იმეორებს: „რამა, რამა“, რომ ეჭვი ღრმად ჩაიმარხოს და რწმენა გაძლიერდეს. მაგრამ საქმე იმაშია, თუ რის წინააღმდეგაა მიმართული ღრმა რწმენა? საკუთარი თავის? მაშინ გასაგებია, რომ ადამიანში ეჭვია ჩაბუდებული.

სინამდვილეში, როცა კვლევა-ძიება დასრულდება, არც რწმენა რჩება და არც ეჭვი. რჩება მხოლოდ კვლევა. ადამიანს უბრალოდ სურს გაიგოს, რა არის ეს. როცა ის კითხვას სვამს: „ეს რა არის?“, მას არ რჩება არც რწმენა, და არც ეჭვი. გესმით რასაც ვამბობ?

ამგვარად, კვლევა – უწმინდესი მოვლენაა. ის თავისუფალია არა მხოლოდ ეჭვისგან, არამედ რწმენისგანაც. კვლევა – გონების ყველაზე სუფთა მდგომარეობაა. მასში ვერ იპოვით ეჭვების მზარდ ტალღებს, იქ არ იქნება რწმენის ნაპირები. ეს არ არის არც ეჭვი და არც რწმენა. ამიტომ კვლევა – გონების ყველაზე სუფთა მდგომარეობაა. არ არის არაფერი, გარდა კვლევისა. ეს ყველაზე დაუბინძურებელი სფეროა და არ არსებობს უფრო სუფთა რამ. სხვა სიტუაციებს გარკვეული დამატებები ახლავს.

ამგვარად, როგორც უკვე ვთქვი, იმ დღეს, როცა კვლევა შეწყდება, სხვა რაღაცეებსაც უფრო იოლად გავიგებთ, იმიტომ რომ, როცა უმაღლესის საპოვნელად გასწევთ, გააცნობიერებთ, რასაც რისკავთ. თქვენ გაიგებთ იმის შესახებ, რაც უნდა ჩამოხვიდეთ ფსონად. არცერთი ძიება არ არსებობს ფასის

გარეშე. თითოეული ნაბიჯისთვის სიარულია საჭირო, ფსონად საკუთარ თავს უნდა ჩამოხვიდე. იმ კიბის ყოველი საფეხური, რომელზეც ადიხართ, თქვენი სისხლის წნევას ზრდის. პატარა ნაბიჯიც კი ძალისხმევას მოითხოვს. ამ სამყაროში ყველაფერს, რასაც ეძებთ, თავისი საფასური აქვს. თუ უმაღლესის ძიებაში ვართ, სამყაროს უმთავრესი საიდუმლოებების აღმოსაჩენად, ჭეშმარიტების შესაცნობად, უფლის საპოვნელად ვირჯებით, მაშინ იბადება კითხვა: რას ჩამოვდივართ ფსონად?

ის, ვისი ძიებაც დასასრულს მიუახლოვდა, ნათლად შეძლებს დაინახოს, რომ საკუთარი თავის გარდა, ფსონად ვერაფერს ჩამოხვალ. მას მხოლოდ საკუთარი თავის ჩამოსვლა შეუძლია რამდენადაც სხვა არც არაფერი აბადია. მას, ვისი კვლევებიც გარკვეულ შედეგამდე მივიდა, სრული ფსონი ექნება, რადგან ყოვლისმომცველი კვლევა სანახევრო ფსონით ფონს ვერ გავა. მაგალითად, მოთამაშე ფსონად ხუთ რუპიას დებს, თუმცა, ჯიბეში ათი რუპია უდევს. ეჭვობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ათივე რუპიას დადებდა. ის მხოლოდ ხუთ რუპიას დებს, რადგან არ არის დარმუნებული შედეგში. ის ეჭვობს, მაგრამ, ამასთან, ის დარწმუნებულია საკუთარ თავში – აქ ორივე მოვლენაა. მასში ის, ვისაც არ სჯერა, შესაძლო წაგების შიშს აღძრავს, ის კი, ვისაც სწამს მოთამაშის, მას სითამამისკენ უბიძგებს. ამგვარად, მოთამაშე კომპრომისს ნახულობს – ის ხუთ რუპიას ჩამოდის. საშუალო არითმეტიკულს ირჩევს და დარჩენილ ხუთ რუპიას ინახავს.

მაგრამ თუ არც ეჭვია და არც რწმენა, თუ გონება ერთიანია და არა გაყოფილი, მაშინ ფსონიც მთლიანია. მაშინ ადამიანს შეუძლია მთლიანად ჩამოვიდეს საკუთარს თავს. როცა კვლევა ყოვლისმომცველია და ფსონიც მთლიანი, ადამიანი მზად არის მარადიული მოთმინებისთვის, რადგან უმაღლესის საპოვნელად არ შეიძლება მოუთმენლობის გამოვლენა, არ შეიძლება ისე მოიქცე, თითქოს რაღაც ბანალურობასთან გვაქვს საქმე.

ამგვარად, ეს სამი ნაბიჯი, რომელზეც გიამბეთ, მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. თუკი პირველი ნაბიჯი დაასრულეთ, მეორეს მიაღწევთ, თუკი მეორე ნაბიჯი დაასრულეთ, მესამეს მიაღწევთ. სამივე ნაბიჯი უპირობოდ ეთანხმება ერთმანეთს.

მეთხუთმეტე თავი

სწავლება ჭეშმარიტ ბუნების შესახებ

ოშო, თქვენ უკვე ისაუბრეთ იმაზე, რომ თუკი მაძიებელი ექსპერიმენტის დროს მიიღებს მყარ გადაწვეტილებას იმაზე, რომ სიკვდილი უნდა და თავის ცენტრში დაბრუნება სურს, მაშინ რამდენიმე დღის შემდეგ მისი სასიცოცხლო ენერგია დაიწყებს მის შიგნით შეკუმშვას და მაძიებელს შეეძლება თავისი სხეული გარდაცვლილი სახით იხილოს – ჯერ შიგნიდან, მერე კი – გარედან. შედეგად მისი შიში სიკვდილისადმი სამუდამოდ გაქრება. ამგვარად, აი კითხვა: ამ პირობებში საჭიროა თუ არა რაიმე განსაკუთრებული მომზადება ან დამატებითი სიფრთხილე იმისათვის, რომ თხელ სხეულს შეეძლოს მყარ სხეულში უსაფრთხოდ დაბრუნება? თუ თხელი სხეულის დაბრუნება თავისთავად ხდება? გთხოვთ, აგვიხსნათ.

უმრავლეს შემთხვევაში, ადამიანი გონებით ცხოვრობს მაშინაც კი, როცა რაიმეს ფიზიკურ მოვლენად აღვიქვამთ. სადღაც სიღრმეში იგი მაინც ფსიქოლოგიურ მოვლენად რჩება. ყველა სხეულებრივ გამოვლინებას გონებაში აქვს ფესვები. ნება მომეცით, აგიხსნათ გარკვეული ნიუანსები ამ საკითხთან დაკავშირებით, მაშინ იოლი იქნება მისი გაგება.

სულ რაღაც ორმოცდაათი წლის წინ, ადამიანის ყველა ავადმყოფობას სხეულის ავადმყოფობად მიიჩნევდნენ. უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში, მას შემდეგ რაც უფრო მეტი გავიგეთ დაავადებებზე, უფრო ნაკლებად ვავადმყოფობდით, თუმცა, ფსიქოლოგიური დაავადებების რიცხვი გაიზარდა. ამჟამად ყველაზე მსხვილი ფიზიოლოგებიც კი მზად არიან აღიარონ, რომ ადამიანის დაავადებათა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი ფსიქოლოგიურია. ავადმყოფობების ნახევარზე მეტი, რომელიც სხვა შემთხვევებში განიხილება და ფიზიკურს მიეწერება. გამოწვეულია გონებით გონება-

- ადამიანის არსებობის, ყოფიერების არსია. ეს არის ჩვენი ცხოვრების წყარო, ეს არის ჩვენი ავადმყოფობების წყარო, ეს არის თვით ჩვენი სიკვდილის წყაროც. სწორედ, ამიტომ ენიჭება ესოდენ დიდი მნიშვნელობა სურვილს.

თუ ოდესმე ჰიპნოზს დასწრებიხართ, შეგახსენებთ, რომ აქ რამდენიმე მომენტზე ღირს ყურადღების გამახვილება. დაჰიპნოზირებული ადამიანი – უბრალოდ, ის არის, რომლის ცნობიერ გონებასაც სძინავს და რომლის არაცნობიერი გონებაც აქტიურია. როცა ცნობიერი გონება იძინებს, ადამიანი წყვეტს ეჭვიანობას, რადგან ყველა ეჭვი და წინათგრძნობა დამოკიდებულია მის ცნობიერ გონებაზე.

თუ ადამიანის გონებას ათ ნაწილად გავყოფთ, აღმოჩნდება, რომ მისი ერთი ნაწილი ცნობიერია, დანარჩენი ცხრა ნაწილი კი – არაცნობიერი. ცხრა ნაწილი იმყოფება დაბინდულ არაცნობიერში და მხოლოდ პატარა ნაწილი, ანუ გონების მეათედი ნაწილი ფხიზლობს. ზუსტად ეს ცნობიერი ნაწილი ეჭვობს, ფიქრობს, აანალიზებს. თუკი ეს ცნობიერი გონება მიიძინებს, დანარჩენი ცხრა ნაწილი სრულიად მგრძნობიარე მდგომარეობაში დარჩება. ამ დროს ყველანაირი კითხვა და ეჭვი ზედმეტობაა.

ჰიპნოზისას ეჭვიან გონებას აძინებენ, ართმევენ მას სიზმრებს და მგრძნობიარე გონება იწყებს მოქმედებას. ამ მდგომარეობაში თუკი პატარა ქვას მოათავსებთ დაჰიპნოზებული ადამიანის ხელში და ეტყვით, რომ ეს ცხელი ნახშირია, ის ტკივილისგან დაიყვირება, თითქოს ხელი დაიწვა, მაშინვე გადააგდებს ქვას, ვითომ მის ნაცვლად მართლა გავარვარებული ნახშირი ედოს ხელისგულზე.

ამ მომენტამდე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, შესაძლოა, მომხდარის მიზეზი მხოლოდ მის გონებაში აღძრული აზრი იყოს. მაგრამ გასაოცარია ის ფაქტი, რომ ჰიპნოზირებულს ხელზე პატარა ბუშტები უჩნდება, თითქოს ცოტა ხნის წინ ნამდვილად ცხელი ნახშირი სჭეროდეს. სავარაუდოდ, მას შემდეგ, რაც ხელში ჩვეულებრივი ქვა ჩაუდეთ, ადამიანის გონებამ სრულ სიმართლედ მიიღო თქვენი სიტყვები იმის შესახებ, რომ ეს ქვა კი არა, ცხელი ნახშირი იყო. სხეულს არა აქვს გონების უარყოფის შესაძლებლობა. ასე რომ, ის მოქმედებს გონების

შესაბამისად. გაიგეთ, რომ თუ გონება რაღაცას მთლიანად მიიღებს, სხეული იძულებული იქნება მას დაემორჩილოს.

არსებობს ამ ექსპერიმენტის საპირისპირო ექსპერიმენტი. რომელიც კიდევ უფრო საოცარია. თქვენ შეგიძლიათ განათავსოთ მბჟუტავი ნახშირი დაჰიპნოზებული ადამიანის ხელზე და აცნობოთ მას, რომ ეს მხოლოდ ცივი კენჭია. ადამიანი დაიჭერს მბჟუტავ ნახშირს და არანაირი ბუშტები არ გაუჩნდება ხელზე. გონების ნებართვის გარეშე სხეული უძლურია რაიმე გააკეთოს.

სწორედ ამიტომ ფაკირებს შეუძლიათ ცეცხლში ფეხშიშველა იცეკვონ და ამაში სასწაული არაფერია. ეს, უბრალოდ. პატარა ექსპერიმენტია გონების მეცნიერებაში. დედამიწაზე ცეცხლზე მოცეკვავე ათი ფაკირია, ისინი ღიად ეპატიჟებიან ნებისმიერ ადამიანს თავიანთ წარმოდგენებზე, ასე რომ, აქ ყოველგვარი თაღლითობა გამორიცხულია. შეგიძლიათ მათთან ერთად იცეკვოთ. მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ათობით ადამიანთან ერთად დააკვირდებით და სავსებით დარწმუნდით იმაში, რომ ცეცხლი მათზე არ მოქმედებს როგორც კი დარწმუნდებით იმაში, რომ მათ არა აქვთ დამწვრობები, თქვენც არ დაგეტყობათ ცეცხლის კვალი, თქვენც მიაღწევთ იმავე მდგომარეობას, როგორსაც დაჰიპნოზებული ადამიანი აღწევს. ამ მდგომარეობაში თქვენი გონების ერთი ნაწილი არ ეჭვობს, დანარჩენ ცხრას სჯერა, რომ იმ წუთას ცეცხლში შეგიძლიათ შევარდნა და ფეხები არ დაგეწვებათ ის, ვინც ოდნავ მაინც დაეჭვებულია, არ შევარდება ცეცხლში. მაგრამ მას, ვისაც ეჭვი არა აქვს, ხელს არაფერი შეუშლის ეს ნიშნავს, რომ ცეცხლსაც კი არ შეუძლია დაგწვათ, თუკი ამას გონება არ მოისურვებს, სიცივესაც შეუძლია მოგაყენოთ დამწვრობები, თუკი გონება ამისთვის მზად არის.

გიპნოზზე ჩატარებული ექსპერიმენტები გონების ღრმა ჭეშმარიტებებს წარმოაჩენს. მაგალითად, ერთხელ ჰიპნოზის გამოყენებით ვატარებდი ექსპერიმენტს გოგონაზე. მას სახლში ვსტუმრობდი. ათი ადამიანი ვისხედით ოთახში: თავად გოგონა, მე და რვა სხვაც, დედამისის ჩათვლით. რომელიც ზუსტად მის წინ მოთავსდა.

გოგონა დავაჰიპნოზე და ვუთხარი, რომ დედამისი ოთახიდან გავიდა. მერე ვთხოვე, რომ თვალები გაეხილა და ოთახში მყოფები დაეთვალა. მან ცხრა ადამიანი დაითვალა, რადგან მისთვის არ არსებობდა დედა, რომელიც ზუსტად წინ ეჯდა, დივანზე. გოგონას რამდენჯერმე ვკითხე, თუ ვინ იჯდა მის წინ დივანზე. დივანზე არავინ ზის, – მპასუხობდა ის.

გოგონას დედამისმა დაუძახა. ბავშვმა მთელი ოთახი მოათვალიერა, იმ დივანის გარდა, სადაც დედამისი იჯდა. მას სურდა გაერკვია, საიდან მოიდოდა ხმა. გოგონას ეგონა, რომ დივანი ცარიელი იყო.

ვთხოვე, კიდევ ერთხელ დაეხუჭა თვალები და ვუთხარი, რომ მის წინ, დივანზე, მამამისი იჯდა, რომელიც სინამდვილეში ოთახში არ იმყოფებოდა. შემდეგ ვთხოვე, გაეხილა თვალები და დაეთვალა ოთახში ადამიანების რიცხვი. მან ათი ადამიანი დათვალა. მე ვკითხე:

– შენ ხომ თქვი, რომ შენს წინ მდგარი დივანი ცარიელია, ახლა რატომ ფიქრობ სხვანაირად?

მან მიპასუხა:

– დივანი არ არის ცარიელი, მასზე მამაჩემი ზის.

დედამისი, რომელიც სინამდვილეში დივანზე იჯდა, მისთვის არ არსებობდა. მაგრამ მამამისი, რომელიც ოთახშიც კი არ იმყოფებოდა, აღქმადი იყო. გოგონას გონება სრულად ითავისებდა ჩემს სიტყვებს.

გადაწყვეტილების მიმღები გონება თავის თავში მოიცავს შესანიშნავ შესაძლებლობას. იმ ადამიანებს, რომლებიც მრავალ ცხოვრებისეულ დაბრკოლებას აწყდებიან, მარცხის შემთხვევაში მუდამ მზადყოფნაში აქვთ გონება პასუხისმგებლობის აღებისთვის. დედამიწა, როგორც ასეთი, უმნიშვნელოდაა დაკავშირებული წარუმატებლობასთან, რომელსაც ადამიანები განიცდიან. პასუხისმგებლობის ოთხმოცდაათი პროცენტი თავად ადამიანებზე მოდის. ადამიანს, რომელიც ოთხმოცდაათი პროცენტით მზადაა წარუმატებლობასთან შესახვედრად, გაუჭირდება, თუკი სამყარო არ ითანამშრომლებს მასთან და თავის ათიოდე პროცენტს მაინც არ მოახმარს. სამყარო სწორედ ასე იქცევა – თავის ათ პროცენტს ჩამოდის.

იგივე პრინციპი ვრცელდება მათზე, ვინც მუდამ წარმატებას აღწევს, ისევე, როგორც მათზე, ვინც მუდამ წარუმატებელია, მათზე, ვინც ჯანმრთელია და მათზე, ვინც სულ ავადმყოფობს, ისინი, მათზე, ვინც მშვიდია და მათზე, ვინც დღენიადაგ შფოთავს – ყველა ერთი და იმავე პრინციპს ემორჩილება. არსებითად, თქვენ ზუსტად ისეთი ხდებით, როგორიც გინდათ, რომ იყოთ. აზრები მიზნებად ტრანსფორმირდება. აზრები ამ მიზნების მიღწევის საშუალებებია, აზრები თქვენს პიროვნებას აყალიბებს. სინამდვილეში მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი იმაზე, თუ როგორ ვცხოვრობთ, იმ დონეზე რომელშიც ვცხოვრობთ. მხოლოდ ჩვენ ვუყრით საფუძველს საკუთარ ცხოვრებას. როგორც კი ამ ჭეშმარიტებას ჩასწვდებით, მაშინვე მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

მე უკვე გითხარით იმის შესახებ, რომ ვიდრე ყოველი ადამიანი არ შევა სიკვდილში ნებაყოფილობით, ის ვერ შეძლებს სიკვდილის შიშისგან გათავისუფლებას. რა თქმა უნდა, ოდესმე სიკვდილიც მოვა, მაგრამ ამ შემთხვევაში, თქვენ მას ნებაყოფილობით არ შეხვდებით, თქვენ იძულებულნი იქნებით ეს გააკეთოთ. არ არის გასაკვირი, თვალებს რომ ხუჭავთ და გონებას კარგავთ, როცა სადღაც წასვლას გაიძულებენ. არ შეიძლება რაიმეს კეთება გაიძულონ, თუკი სრულ ცნობაზე ხართ. სულ არ არის საჭირო ადამიანი იძულებით გააგზავნოთ სადმე. ნებაყოფილობითი სიკვდილისას სიკვდილის დანახვა სიცოცხლეშივე შეიძლება. ამგვარ სიკვდილზე დაკვირვება არაჩვეულებრივი გამოცდილებაა. ის ჩვეულებრივი სიკვდილის გამოცდილებაზე უფრო შთამბეჭდავია, რადგან ეს სიკვდილი თქვენივე კეთილი ნებით დგება. თუმცა, თქვენ შეიძლება დასვათ კითხვა: „როგორ შეიძლება ნებაყოფლობით აღესრულო და სიკვდილი ნახო?“

აუცილებელია ესეც გაიგოთ. თქვენს ცხოვრებაში, თქვენს სხეულში, ორი ტიპის მექანიზმი მუშაობს. ერთი მათგანი ნებაყოფლობითია, მეორე – არანებაყოფილობითი. თქვენს სხეულში არის ნაწილები, რომელიც მხოლოდ თქვენი ნებით მოძრაობს. მაგალითად, ჩემი ხელი მხოლოდ მაშინ მოძრაობს. როცა მე მინდა. ის არ იმოძრავებს, თუ არ მოვინდომებ. მაგრამ სისხლი ამ ხელში მიედინება ჩემი ნების საწინააღმდეგოდ.

ის არ შეწყვეტს დინებას, თუ მე არ მომინდება. ამგვარად, სისხლის მუშაობა არ არის ნებაყოფლობითი. სამართლიანი იქნებოდა იმავეს თქმა ჩემს გულის ძგერაზე, მაჯის ცემაზე, საჭმლის მონელებაზე. ამ ფუნქციებიდან არც ერთი არ ემორჩილება ჩემს ბრძანებებს, ისინი არანებაყოფილობითია.

ამგვარად, თქვენი ბიოლოგიური ორგანიზმი ორი ნაწილისგან შედგება, ერთი მათგანი თქვენი სურვილის თანახმად მუშაობს, მეორე კი – თქვენი სურვილის მიუხედავად. თუმცა, ადამიანს რომ თავისი ნებისყოფა გაეძლიერებინა, ის, რაც მისი სურვილების სფეროს არ განეკუთვნება, ამ სფეროში მოექცეოდა. ზუსტად ასევე, თუკი ნებისყოფა შესუსტდებოდა, ისიც უკვალოდ გაქრებოდა, რაც ახლა მისი სურვილების სფეროშია. ამ შემთხვევაში დამბლაზე ვსაუბრობ.

დამბლის შემთხვევათა სამოცდაათ პროცენტზე მეტის მიზეზი ფსიქოლოგიური ხასიათისაა. იმის თქმა კი არ მინდა, რომ დამბლა კლავს ადამიანს. ვთქვათ, მას მხოლოდ ფეხები აქვს წართმეული. ესეც არაკორექტულ შენიშვნად ჩამეთვლება. როგორ შეიძლება ფეხები კონტროლიდან გამოვიდეს? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათი დიაპაზონი და ნების შესაძლებლობები იზღუდება. გამოდის, რომ ასეთი ადამიანის ნება მცირდება. ეს იგივეა, ფეხები ზომაში მოკლებული საბნიდან გამოძვრეს. საბანი ვერ წვდება ფეხებს. სწორედ ასევე მოსდის პარალიზებული ადამიანის ნებელობას. იგი მცირდება და ადამიანის სხეულის ნაწილებზე კონტროლს კარგავს.

ასე ხშირად ხდება. მაგალითად, ღამით სახლი დაიწვა, და ადამიანები ქუჩაში გამოვარდნენ. მაგრამ მათ უცებ გაახსენდათ, რომ სახლში მოხუცი დარჩა, რომელიც პარალიზებული იყო და რამდენიმე წლის განმავლობაში ავადმყოფობდა. ვიდრე ისინი გადაწვეტდნენ, როგორ გადაერჩინათ ეს ადამიანი, ნახეს, რომ ის თავად გამოიქცა სახლიდან. მნახველები გააოცა და შეაშინა ამ ფაქტმა. მათ დაავიწყდათ ხანძარი და მოხუცს ჰკითხეს: „როგორ გამოხვედით სახლიდან? რანაირად შეძელით გავლა?“ მოხუცმა დასმულ კითხვას ასე უპასუხა: „ხუმრობთ? როგორ შემიძლია სიარული?“ და იქვე დაეცა.

დაძაბულობასა და შიშში, რომელიც ცეცხლმა გამოიწვია, ადამიანის ნებისყოფის დიაპაზონი გაიზარდა – ფეხები საბანს

გაუთანაბრდა და ადამიანმა ქუჩაში გამოაღწია. გარეთ გამოსულს კი თავისთავად გაუჩნდა კითხვა, თუ როგორ მოახერხა ფეხზე წამოდგომა და სირბილი. ამ დროს მისი ნებისყოფის შესაძლებლობები კვლავ დავიწროვდა და ფეხებიც ხელახლა გამოძვრა საბნიდან.

პულსის რიტმის მართვა დამოუკიდებლადაც შეიძლება. ეს არ არის გმირობა, რომლის გაკეთაბაც მხოლოდ იოგებს შეუძლიათ. თქვენც მოახერხებთ ამას. პატარა ექსპერიმენტი ჩავატაროთ. გაისინჯეთ პულსი ერთი წუთის განმავლობაში. შემდეგ დახუჭეთ თვალები და უბრალოდ წარმოიდგინეთ, როგორ ფეთქავს უფრო სწრაფად თქვენი პულსი. გაახილეთ თვალები ათი წუთში და შეამოწმეთ ის. იშვიათად შეხვდებით ადამიანს რომელსაც ამგვარი ექსპერიმენტის შემდეგ პულსი არ აუჩქარდება. სწორედ ამიტომაა, რომ ექიმის მიერ გასინჯული თქვენი პულსის მაჩვენებელი არასოდეს ემთხვევა ერთმანეთს. ექიმის შეხების მომენტში თქვენ ოდნავ ღელავთ, რაც პულსის მატებას იწვევს. ეს ხშირად ხდება, როცა ექიმი ქალია!

ასევე შეიძლება გულის ცემის მართვაც – გულის თითქმის გაჩერების ჩათვლით. ამისათვის რამდენიმე სამეცნიერო ექსპერიმენტი ჩატარდა და ფაქტი ფაქტად აღიარეს. დაახლოებით ორმოცი წლის წინ ადამიანმა, რომელიც გვარად ბრახმა იოგი გახლდათ, გააოცა ექიმები ბომბეის სამედიცინო კოლეჯში. მან სრულად შეაჩერა საკუთარი გულის ძგერა. იგივე გაიმეორა მან ოქსფორდში, მოგვიანებით კი – კალკუტის უნივერსიტეტში.

ამ ადამიანს სამი რამის გაკეთება შეეძლო. ჯერ ერთი, შეეძლო მთლიანად შეეჩერებინა სისხლის მიმოქცევა, და მეორეც, სისხლის მიმოქცევის მართვასაც ახერხებდა. ის სისხლს საკუთარი სურვილისამებრ აძლევდა დინებისა და შეყოვნების ნებას. შეჩერებული სისხლის მიმოქცევისას წვეთსაც ვერ გამოადენდით, მისთვის ვენაც რომ გაგეჭრათ. მესამე ფოკუსი რომელსაც ის აწყობდა, ნებისმიერი შხამის მიღებასა და ნახევარი საათით ამ შხამის მუცელში შეყოვნებას გულისხმობდა. ამის შემდგომ, კაცს საწამლავი ორგანიზმიდან გამოჰქონდა. თუმცა, მოგვიანებით ეს ექსპერიმენტი მისი სიკვდილის მიზეზად იქცა

ექიმები ბრახმა იოგს რენტგენს უღებდნენ, როცა შხამი ჯერ კიდევ მის მუცელში იყო. კუჭში არ აღმოჩნდა კუჭის წვენსა და სისხლში აღრეული შხამი. კუჭის წვენი და სისხლი არაფრით გაერეოდა შხამს თვით ბრახმა იოგის სურვილის გარეშე. ეს უცნაური ადამიანი რანგურში გარდაიცვალა, როცა ადგილობრივ უნივერსიტეტში ანალოგიურ ექსპერიმენტს ატარებდა. მეცნიერებმა ის მანქანით წაიყვანეს სახლში. ორმოცდახუთი წუთი იყო გასული შხამის მიღებიდან. მას შეეძლო შეწინააღმდეგებოდა შხამის სისხლში გადასვლის პროცესს არაუმეტეს ოცდაათი წუთისა. ამგვარად, სახლში ის უკვე უგონოდ მიიყვანეს. საკუთარი ნებისყოფის დახმარებით ის მხოლოდ ნახევარი საათით ბლოკავდა ორგანიზმში შხამის გავრცელებას. მისი პრაქტიკა მხოლოდ ოცდაათი წუთით იყო შემოზღუდული. ის გასცდა ამ საზღვრებს. შემდეგი თხუთმეტი წუთის განმავლობაში შხამმა შეძლო მისი ნებელობის დაძლევა და ორგანიზმი მოწამლა.

ჩვენს სხეულში არ არსებობს ისეთი ნაწილი, რომლის მართვასაც ჩვენი სურვილისამებრ ვერ შევძლებთ, არ არსებობს ასევე ისეთი ნაწილი, რომელსაც ამ სურვილის გადალახვა გაუჭირდება. ასეც შეიძლება მოხდეს და ისეც. ნებაყოფლობით სიკვდილში შესვლა – უფრო ღრმა ექსპერიმენტია. ამ ექსპერიმენტის დროს, ადამიანი თავის სასიცოცხლო ენერგიას თავისივე ნებით კუმშავს. გასათვალისწინებელია, რომ თუ სურვილს მთლიანად იყენებთ, ენერგია აუცილებლად თქვენში უნდა შეიკუმშოს. სხვაგვარად არ შეიძლება.

რეალურად ის გზაც, საიდანაც ჩვენი სასიცოცხლო ენერგია გავრცელდა – ჩვენი სურვილის შედეგია. მაგალითად, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ შეგვიძლია ხედვა, იმიტომ რომ გვაქვს თვალები. მეცნიერთა აზრით, ადგილი აქვს უკუქმედებას: ჩვენ გვინდა დავინახოთ სამყარო სხეულის ამ ნაწილით – ამ მიზეზით თვალები სწორედ იქ არის, სადაც უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში არსებითი განსხვავება არ არის თვალის კანსა და ხელის კანს შორის. თვალიც კანითაა შექმნილი, უბრალოდ, ეს კანი გამჭვირვალეა. ისეთივე კანია ცხვირშიც, უბრალოდ მან არომატების აღქმის უნარი შეიძინა. ზუსტად იმავე პრინციპით ებოძა თვალის კანს მხედველობის უნარი, რომელმაც ცხვირის

კანი ყნოსვის ნიჭით აღჭურვა. ასევეა ყურებთან დაკავშირებითაც, ოღონდ მათ ხმების აღქმა შეუძლიათ.

ყოველივე ჩვენი სურვილების, კოლექტიური სურვილების შედეგად მოხდა, რომელმაც მილიონობით წლის განმავლობაში შეძლო თავის დამკვიდრება. ეს ერთი ადამიანის სურვილის ნიადაგზე არ აღმოცენებულა; უამრავი თაობა გამოხატავდა ერთსა და იმავე სურვილს და შედეგიც სახეზეა.

რუსეთში ცხოვრობს ქალი, რომელსაც თითებით კითხვა შეუძლია. უსინათლოთა ენას არ ვგულისხმობ. ის თვალდახუჭული კითხულობს ნებისმიერ წიგნს, მხოლოდ თითებს ათავსებს დაბეჭდილ ასოებზე. ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში, პრაქტიკიდან გამომდინარე, მისი თითები ისეთი მგრძნობიარე გახდა, რომ ეგრევე განარჩევდა ერთმანეთისგან სუფთა და დაბეჭდილ ქაღალდს. ჩვენს თითები ამას მსგავსი წარმატებით ვერ შეძლებს.

ხის ყურებისას ჩვენ მხოლოდ მწვანე ფერს ვხედავთ, მაშინ როცა მხატვრის თვალი მასში მწვანე ფერის უამრავ გამას განარჩევს. ამგვარად, იქ, სადაც მწვანე ფერია – რიგითი ადამიანი ერთადერთ ფერს აღიქვამს, მხატვრის თვალში კი ეს ერთი კი არა, ერთი ფერის მრავალი ვარიაციაა. მისი თვალსაზრისით, განსხვავება ერთ მწვანესა და მეორე მწვანეს შორის იმდენივეა, რამდენიც მწვანესა და ყვითელს შორის, ან მწვანესა და წითელს შორის. თუმცა, გარკვეული მგრძნობელობაა საჭიროფერთა ამ მრავალსახეობის შესამჩნევად. ცხადია, რომ. ჩვეულებრივ, ადამიანები არ გამოირჩევიან ამგვარი მგრძნობელობით.

მუსიკოსს შეუძლია მუსიკაში მცირე ნიუანსიც კი შეიგრძნოს, რისი ნიჭიც ჩვენ არ გვაქვს. უფრო მეტიც, მას შეუძლია შეიგრძნოს ნიუანსები, ის შეიგრძნობს სივრცესაც. სიცარიელეს, რომელიც ორ ნოტს შორის არსებობს. ნამდვილი მუსიკა იბადება არა ხმისგან, არამედ უფრო იდუმალი სიჩუმისგან, რომელიც ხმებს შორის არსებობს. ნოტები უბრალოდ სამუშაოს ასრულებენ ამ სიჩუმის პროექტირებისას. სულ ეს არის. მაგრამ ადამიანებს წარმოდგენა არა აქვთ ამაზე. მათთვის მუსიკა ხმაურია და სხვა არაფერი.

პროფესიონალი მუსიკოსისთის სიტყვასა და ნოტს არავითარი პირდაპირი კავშირი არა აქვთ მუსიკასთან. მისთვის მუსიკალური ნოტები იმ ბგერების არ არსებობის ხაზგასმაა, რომელიც ნოტებს შორის არსებობს. ამგვარად, ის, რასაც გამუდმებით ვახორციელებთ პრაქტიკაში, ის, რაზეც ვმუშაობთ, თანდათან მჟღავნდება და შედეგს გვაძლევს.

ის, როგორც ცხოვრობენ ადამიანები, ჩიტები, ცხოველები, ცოცხალი მცენარეები, განისაზღვება მათი სურვილით. ყველაფერი, რასაც ჩვენში განვიზრახავთ, ის არის, რადაც შემდეგ ვყალიბდებით. რამაკრიშნას ცხოვრებაში შესანიშნავი რამ მოხდა. რამაკრიშნა ცხოვრების განმავლობაში სხვადასხვა რელიგიების ექვს თუ შვიდ სულიერ სწავლებას ეუფლებოდა. ის გრძნობდა, რომ თუ ყველა რელიგიას დანიშნულების ერთ პუნქტამდე მივყავართ, რატომ არ შეიძლება მიჰყვე და მათი ჭეშმარიტება შეამოწმო? ამიტომ მან ღრმად ჩაიხედა ქრისტიანების, სუფისტების, ვაიშნავების, შაივიტების, ტანტრიკების და სხვათა რელიგიურ სწავლებაში. იგი ნებისმიერი თეორიითა და მეთოდით ინტერესდებოდა.

თუმცა, არავინ იცოდა რამაკრიშნას სწავლებათა შესახებ, რადგან ის მხოლოდ შინაგანი პრაქტიკით შემოიფარგლებოდა. შინაგანად არავის შეეძლო გაეგო ის, თუ რას აკეთებდა რამაკრიშნა. მაგალითად, როგორ შეეძლო ადამიანს გაეგო, რა ხდებოდა მასში, როცა ის სუფისტების პრაქტიკას მიმართავდა? მასაც არასოდეს დასცდენია სიტყვა თავისი საქმიანობის შესახებ. თუმცა ამ მეთოდების გაცნობისას რამაკრიშნა წააწყდა ისეთ სწავლებას, რომელმაც წარმოუდგენელი შედეგები გამოიღო. გარშემომყოფთ არ შეიძლებოდა გამორჩენოდათ მის თავს დამტყდარი ცვლილებები.

ბენგალიაში არსებობს სექტა, რომელსაც უწოდებენ საკხისამპრადაია. ამ სექტაში მაძიებელი უყურებს საკუთარ თავს, როგორც შეყვარებულს ან კრიშნას ცოლს. ის იწყებს ცხოვრებას როგორც კრიშნას მეგობარი. არა აქვს მნიშვნელობა, კაცია ეს მაძიებელი თუ ქალი. ამ სექტის მიმდევართა თვალსაზრისით, კრიშნა – ერთადერთი კაცია; მაძიებელი კი მისი შეყვარებული ხდება, მისი რადხა, მისი მეგობარი.

ექვსი თვის განმავლობაში, რამაკრიშნა ამ სექტის სწავლებას ეუფლებოდა და საოცარი ის იყო, რომ მისი ხმა ქალისას დაემსგავსა. არავის შეეძლო შორიდან მისი ხმის ამოცნობა. მიხვრა-მოხვრაც ქალური გაუხდა. სინამდვილეში კაცებსა და ქალებს არ შეუძლიათ ერთნაირად სიარული. მათი ბიოლოგიური სტრუქტურა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. ქალი ბავშვს ატარებს, რისთვისაც მას მუცელში სპეციალური ადგილი გააჩნია, რომელიც კაცს არ მოეპოვება. შესაბამისად, კაცები და ქალები სხვადასხვანაირად დადიან. ქალმა როგორც არ უნდა მოინდომოს, ვერასდროს შეძლებს კაცივით გავლას, ვერასდროს ირბენს კაცივით, რამდენადაც მათი ფიზიკური აგებულება განსხვავებულია.

მაგრამ რამაკრიშნამ დაიწყო ქალივით სირბილი, ქალივით სიარულიც მოახერხა. მისმა ჟესტებმა და ხმამ ქალის თვისებები შეიძინა. შეიძლებოდა კიდეც გაგვემართლებინა ეს ცვლილებები, თუ ვივარაუდებთ, რომ მცირეოდენი ძალისხმევის შემთხვევაში, ნებისმიერი კაცი შეძლებს ქალივით სიარულსა და ლაპარაკს. თუმცა, საოცარი ის არის, რომ რამაკრიშნას ქალის მკერდი განუვითარდა. ამ შემთხვევასაც შეიძლება ვუპოვოთ გასამართლებელი საბუთი და ვთქვათ, რომ ბევრ კაცს სიბერეში მკერდი ეზრდება. მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ რამაკრიშნას რეგულარული მენსტრუაცია დაეწყო, თითქმის ისევე, როგორც ქალს. მედიცინა უზომოდ დაინტერესდა ამ მოვლენით.

რამაკრიშნას დამატებითი ექვსი თვე დასჭირდა იმისთვის, რათა განვლილი პრაქტიკისგან გათავისუფლებულიყო და ნორმალურ მდგომარეობას დაბრუნებოდა. როგორც კი ნებისყოფა გააააქტიურა, რამაკრიშნამ თავი დაირწმუნა, რომ კრიშნას მეგობარი იყო და მისი პიროვნებაც მისივე სურვილის შესაბამისად შეიცვალა.

ევროპაში ბევრი ქრისტიანი ბერის ხელებზე ჩნდება წყლულები. როცა იესო ჯვარზე გააკრეს, მისი ხელისგულები ლურსმნებით დახვრიტეს, საიდანაც სისხლმა გამოჟონა. არსებობენ ქრისტიანი ბერები, რომლებიც წითელი პარასკევის დილას, ანუ მაშინ, როცა იესო ჯვარს გააკრეს, თავს იესოს ადარე-

ბენ. ისინი იესოსთან იგივდებიან. როცა ახლოვდება ჯვარცმის საათი, ათასობით ადამიანი იკრიბება მის სანახავად. ბერები გაშლილი ხელებით დგანან, თითქოს თვითონაც ჯვარზე არიან გაკრულები, თითქოს თვითონაც დახვრეტილი აქვთ ხელისგულები ლურსმნებით. საგულისხმოა, რომ ამ დროს, მათ ხელისგულებზე რეალურად ჩნდება ჭრილობები და სისხლდენაც იწყება. ამგვარი ძლიერი ნებით ისინი უთანაბდებიან ქრისტეს და ნამდვილად განიცდიან ჯვარცმას, რისთვისაც კონკრეტულ შემთხვევაში არანაირი საშუალება არ გამოიყენება, მაგრამ ჩნდება ჭრილობები და ნალურსმნევი ხელისგულებიდანაც სისხლი მოჟონავს

ჩვენ არაფერი ვიცით იმ უზარმაზარი შესაძლებლობების შესახებ, რომელიც შეიძლება ნებისყოფამ განაპირობოს. სიკვდილში ნებაყოფლობითი შესვლა სურვილის ახდენის ყველაზე ღრმა ექსპერიმენტია. ჩვეულებრივ, რთული არ არის გადანვეტილების მიღება სიცოცხლის სასარგებლოდ, ჩვენ ხომ მართლაც, გვინდა სიცოცხლე, მაგრამ ძალიან ძნელია გამოვიყენოთ ნება სიკვდილის შეგრძნებისთვის.

იმ ადამიანებმა, რომლებსაც სიცოცხლის არსის გაგება სურთ, უნდა შეიძინონ სიკვდილის გამოცდილება, ერთხელ მაინც უნდა გამოსცადონ სიკვდილი. თუ ვერ გაიგებენ, როგორ გამოიყურება სიკვდილი, ვერასდროს შეიტყობენ სიცოცხლის ფასს. ეს ერთადერთი მეთოდია იმის გასაცნობიერებლად, რომ ადამიანებს უდიდესი ფასეულობა, სიცოცხლის ელექსირი გააჩნიათ. მისი ჭეშმარიტი ღირებულებაში გარკვევა მხოლოდ სიკვდილგამოვლილს შეუძლია. ის, ვინც ვერ შეიძენს ამ გამოცდილებას, მოწყენილი, სიხარულს მოკლებული იქნება. რადგან სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვისთანავე მისთვის გაქრებოდა სიკვდილის შიში, ამ შემთხვევაში ხომ არანაირი სიკვდილი არ არსებობს

საკუთარი ნებისყოფის გამოყენებით თქვენ შეგიძლიათ ერთბაშად წამოკრიბოთ თქვენი ცნობიერი თქვენი სხეულის ყველა ნაწილიდან. თქვენ ხუჭავთ თვალებს და გრძნობთ, რომ ცნობიერი თქვენში იკუმშება; გრძნობთ ენერგიას, რომელიც მოემართება თქვენი ხელებიდან და ფეხებიდან შინაგანი სამ-

ყაროსკენ; ხედავთ ენერგიას, რომელიც გადადის თქვენი თავიდან ქვედა კიდურებისკენ. ენერგია იწყებს შესვლას ცენტრში, საიდანაც ადრე გამოვიდა, სხივები იწყებენ გამოსვლას ყველა წერტილიდან.

თუ ეს ექსპერიმენტი გრძელდება ინტენსიური შეგრძნებებით, მაშინ წამის ყოფით მთელი სხეული კვდება; შიგნით მხოლოდ ერთ წერტილს უნარჩუნდება სიცოცხლე. მთელი სხეული უსიცოცხლო ხდება, მაშინ როცა შინაგანი არსი ცოცხალია და ცეცხლივით იწვის. ამ ცენტრის შეგრძნება გარკვევით შეიძლება, ვინაიდან სხეულიდან ენერგია გამოიყოფა. ეს უკუნეთში სანთლის ნათებას ჰგავს. მაგალითისთვის, შეუძლებელი იქნებოდა სინათლისა და სიბნელის გარჩევა, ვიდრე დაფანტული სხივები არ მოგროვდებოდნენ სანთლის გარშემო, ერთ წერტილში. სწორედ, ამ შემთხვევაში გაჩნდებოდა კონტრასტი სიბნელესა და სინათლეს შორის და თვალსაჩინო გახდებოდა სხვებისთვის.

ამგვარად, როცა სასიცოცხლო ენერგია უკან იხევს და რომელიღაც წერტილში იკუმშება, ადამიანი გრძნობს, რომ მთელი მისი სხეული სცილდება ამ წერტილს. ახლა თქვენთვის საჭიროა სულ მცირედი ნებისყოფა და ეს წარმონაქმნი სხეულის მიღმა აღმოჩნდება. ამ დროს მხოლოდ გამოსულ სხეულზე იფიქრეთ და, მართლაც, დატოვებთ ფიზიკურ სხეულს. თქვენ მას, აწ უკვე გვამის მაგვარს, გარედან დააკვირდებით. თუმცა, მაინც გაკავებთ თხელი, ვერცხლისფერი ძაფი, რომელიც თქვენი სხეულის ჭიპთან გაკავშირებთ. სწორედ, ეს ძაფი წარმოადგენს სხეულში შესასვლელსა და იქიდან გამოსასვლელს.

გაოცდებით, როცა დაინახავთ, რომ როგორც კი ეს ნივთიერება, ეს შეკუმშული ენერგია სხეულიდან გამოდის, ის მაშინვე იღებს თავის ახალ ფორმას, ანუ ის იზრდება და ახალი სხეული ხდება. ეს არის თხელი სხეული. ის ზუსტი ასლია ფიზიკური სხეულის, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მღვრიე, გამჭვირვალე კადრს ჰგავს. მსურველმა ამ სხეულში შეიძლება თავისუფლად გაატაროს ხელი, ისე, რომ სხეულს არაფერი დაუშავდება.

ამგვარად, პირველი პრინციპი ნებისყოფის მართვის სწავლებაში – საკუთარი სასიცოცხლო ენერგიის ჩვენს შიგნით,

ერთ წერტილში მიმართვაა. იმ წამს, როგორც კი ეს ენერგია ადამიანის შინაგან არსებაში შეიკუმშება, იგი სხეულს დატოვებს. ამდენად, მხოლოდ სურვილია საკმარისი იმისთვის, რომ სხეულიდან გამოსვლა შეძლოთ. სურვილივეა საკმარისი სხეულში დასაბრუნებლად. ეს თქვენგან არანაირ ქმედებას არ მოითხოვს. ერთადერთი, რისთვისაც ძალისხმევის დახარჯვა მოგიწევთ, მთელი ენერგიის შიგნით, გარკვეულ წერტილში მობილიზებაა. როგორც კი ეს მოხდება, თქვენი თხელი სხეული თავისუფლად შეძლებს ფიზიკური სხეულიდან გამოსვლას და მასში ჩაბრუნებას.

თუ მაძიებელი ერთხელ მაინც გამოცდის ამ მოვლენას, მთელი მისი ცხოვრება მომენტალურად შეიცვლება. იმას, რასაც ადამიანი აქამდე ცხოვრებას ეძახდა, არ შეიძლება ეწოდოს ცხოვრება. სწორედ, ასევე ვერ შეხედავს ის სიკვდილს ისე, როგორც მანამდე უყურებდა. მაძიებელი აღმოაჩენს, რომ მისთვის ძნელია მისდიოს იმას, რასაც წარსულში მისდევდა, ძნელია იბრძოლოს იმისთვის, რისთვისაც ადრე იბრძოდა, ძნელია უგულებელჰყოს ის, რასაც ადრე უგულებელჰყოფდა.

ცხოვრება აუცილებლად შეიცვლება, რადგან ეს გამოცდილება ვერაფრით დატოვებს ცხოვრებას იმავე კალაპოტში, რომელშიც ის იყო. ამიტომ მედიტაციის ყოველმა მაძიებელმა ოდესმე უნდა გამოცადოს სხეულიდან გამოსვლა. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც, თუ ერთხელ მაინც გადადგი, წარმოუდგენელად აისახება მომავალზე.

ეს არ არის რთული, აუცილებელია მხოლოდ მყარი გადაწყვეტილება. მყარი გადაწვეტილების მიღება რთულია, მაგრამ თავად ტექნიკა არ არის რთული. შესაბამისად, ოდნავ ჭირს ამ ექსპერიმენტის ჩატარება. თავიდან ნაკლებად ძლიერი გადაწყვეტილებები დაგჭირდებათ. ადამიანის ნებისყოფა გაიზრდება იმის შესაბამისად, რაც უფრო ხშირად მიუბრუნდება ამგვარ ექსპერიმენტებს.

არსით, სამყაროში არსებული განსხვავებული რელიგიური მეთოდები – სულაც არ არის რელიგიური მეთოდები. ეს გადაწვეტილების მიღების წინაპირობაა. მაგალითად, ადამიანი მარხულობს სამი დღის განმავლობაში – იგი უბრალოდ დისციპლინას ამყარებს ნებისყოფის განსამტკიცებლად. მარხვას

თავისთავად ცოტა პლიუსი გააჩნია. რეალური პლიუსი ის არის, რომ მან შეასრულა თავისი აღთქმა, აღასრულა თავისი გადაწყვეტილება. მავანი საზეიმოდ აცხადებს, რომ ის თორმეტი საათის განმავლობაში დადგება ერთ ადგილას. ამ დროით მისი ფეხზე დგომა სრულიად უსარგებლოა; მთავარი პლიუსი თვით ამ გადაწყვეტილებასა და მის შესრულებაშია.

ადამიანებმა ნელ-ნელა დაივიწყეს უმთავრესი – რომ ეს მეთოდები მიმართული იყო გადაწვეტილების გასამყარებლად. ადამიანი ფიქრობს, რომ უბრალოდ დგომა საკმარისია, ამიტომ ის აგრძელებს დგომას. მას თვალსაწიერიდან ეკარგება ის, რომ უბრალოდ დგომა უაზრობაა. ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ შინაგან სიძლიერეში ვივარჯიშოთ, რომელიც ღებულობს დგომის გადაწყვეტილებას, მერე კი ამ შევინარჩუნოთ საკუთარი ერთგულება ამ გადაწყვეტილებათა მიმართ.

ნებისმიერი საშუალების გამოყენება შეიძლება განაზრახის შესასრულებლად. მისაღებია თვით უმნიშვნელო გადაწყვეტილებები, სულაც არ არის საჭირო დიდი გადაწვეტილებების მიღება. მაგალითად, ადამიანმა, რომელიც აივანზე დგას, გადაწვიტა არ იყუროს ძირს ექვსი საათის განმავლობაში. ასეთი გადაწვეტილებების მიღებაც შეიძლება. საქმე იმაში კი არ არის, რომ ადამიანი რაიმე სარგებელს მიიღებს იმით, თუ ძირს არ ჩაიხედავს. საქმე იმაშია, რომ მან რაღაც გადაწვეტილება მიიღო და ჯიუტად ასრულებს მას.

როცა ადამიანი რაღაცის გაკეთებას გადაწვიტავს და ამ გადაწყვეტილების შესრულებას შეუდგება, მისი შინაგანი ენერგია ძლიერდება. ადამიანი უფრო მობილიზებული ხდება. ის არ ჰგავს ჰაერში მოფარფატე ფოთოლს. მასში კრისტალიზაციის პროცესი იწყება. მის ცხოვრებაში პირველად იყრება საფუძველი.

ამგვარად, მცირე ექსპერიმენტებით უნდა დავიწყოთ. ამ გზით ადამიანშივე აგროვებს ენერგიას. ამგვარ ქმედებათათვის ბევრი შესაძლებლობა არსებობს. მაგალითად, გზად მიმავლებმა, უბრალოდ, დაანებეთ თავი სარეკლამო ბანერების კითხვას. ასეთი ქმედებით არაფერს ავნებთ გარშემომყოფებს. მაგრამ სურვილის შესრულების შესაძლებლობას მოგცემთ

ამის შესახებ არავინ უნდა იცოდეს, ეს ხომ თქვენი შინაგანი პროცესია

შედეგად აღმოაჩენთ, რომ თქვენი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ნახევარსაათიანი მგზავრობა ავტობუსით სულაც არ იყო უშედეგო. ტრანსპორტიდან იმ შეგრძნებით გამოხვალთ, რომ რაღაც შეიძინეთ, რომ იმაზე მეტად გამდიდრდით, ვიდრე ნახევარი საათის წინ იყავით. ამგვარად, საქმე იმაში კი არ არის, სად ატარებთ ექსპერიმენტს, ანდა რომელ საშუალებებს იყენებთ ამ მიზნის მისაღწევად. უბრალოდ, მაგალითი მოგიყვანეთ. მთავარია, რომ შეგიძლიათ ჩაატაროთ ნებისმიერი ექსპერიმენტი, რაც გაზრდის თქვენს ნებისყოფას. კარგია, თუ პატარა გადაწვეტილებებით დაიწყებთ.

თუ ადამიანს თვალის დახუჭვასა და ორმოცწუთიან მედიტაციას სთხოვენ, ის ვერ შეძლებს ამის გაკეთებას, ხშირად გაახელს თვალს და გარემოს მოათვალიერებს. ამ ადამიანს არ აქვს სურვილი, ის არ არის მობილიზებული. დახუჭულ თვალებში დიდი უპირატესობაა და ეს არავის აყენებს ზიანს. მაგრამ ამ ადამიანს არ შეუძლია საკუთარი გადაწვეტილების შესრულება, ვერ ახერხებს ორმოცი წუთის განმავლობაში დახუჭული თვალებით გაჩერდეს, ამიტომ მისგან ბევრს არ უნდა ველოდოთ.

როცა ამავე ადამიანს სთხოვენ, ღრმად და ენერგიულად ისუნთქოს ათი წუთის განმავლობაში, ის ორი წუთით ასუსტებს სუნთქვას. როცა შეახსენებთ, რომ ღრმად უნდა ისუნთქოს, ის ერთი-ორჯერ შეეცდება ამის გაკეთებას და კვლავ შენელებულ სუნთქვაზე გადავა. ეს ადამიანი საერთოდ არ არის მობილიზებული. სულაც არ არის რთული, ათი წუთის განმავლობაში ღრმად ისუნთქო. საქმე იმაში კი არ არის, რას მიიღებ ან დაკარგავ ღრმად სუნთქვით ათი წუთის განმავლობაში. თუმცა, ერთი რამ ცხადია: ათი წუთის განმავლობაში ღრმად სუნთქვის გადაწყვეტილების მიღებით ეს ადამიანი მობილიზებული იქნება. მასში რაღაც კრისტალიზდება. ის რაღაცას გადალახავს, დაძლევს წინააღმდეგობას, რომელიც მასშია. ეს მოხეტიალე გონება მოდუნდება, რადგან მიხვდება, რომ არ შეუძლია ადამიანს რომელიმე მიმართულებით უბიძგოს. ადა-

მიანისადმი მორჩილება ერთადერთი მეთოდი იქნება მისი და ამ ადამიანის თანაარსებობისთვის.

თქვენ ყოველ დღე დადიხართ ავტომობილით. შესაძლოა, სულაც არ კითხულობთ აბრებზე წარწერილ რეკლამებს. მაგრამ იმ დღეს, როცა რეკლამებისთვის თვალის არიდებას დააპირებთ, თქვენი გონება ყველა ძალას იხმარს მათ წასაკითხად. გონების ძალა თქვენს არსებასა და ორჭოფობაშია. თქვენი გადაწვეტილების უნარის გამყარებასთან ერთად გონება უკან იხევს. რაც უფრო ძლიერია ნება, მით უფრო სუსტდება გონება. რაც უფრო ძლიერია გონება, მით უფრო სუსტდება ნება.

წარსულში გონება არ გაიძულებდათ ბანერების თვალიერებას, რადგან არ გამოგიწვევიათ საამისოდ. გონება მოძებნის ათას გამართლებას იმისთვის, რომ გარესამყაროს უყუროთ. ის გამოიგონებს ათას მეთოდს იმისთვის, რომ გაიძულოთ თქვენივე გადაწვეტილების დარღვევა და წარწერები წაიკითხოთ. გონება გამოიყენებს მთელ თავის ეშმაკობას. სწორედ ასე ხდება.

ჩვენ ვცხოვრობთ მხოლოდ გონებით. მაძიებელი იწყებს ცხოვრებას თავის ნების შესაბამისად. ის, ვინც გონებით ცხოვრობს, სულაც არ არის მაძიებელი. ჭეშმარიტი მაძიებელი მხოლოდ ის არის, ვინც თავისი გადაწვეტილებებით ცხოვრობს. მაძიებელი ის არის, ვისი გონებაც ნებად გარდაიქმნება.

ამგვარად, აირჩიეთ ნაკლებ მნიშვნელოვანი სიტუაციები. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ რაიმე თქვენთვის, და დღის განმავლობაში რამდენჯერმე ჩაატაროთ ექსპერიმენტი. არავინ უნდა იცოდეს ამის შესახებ, მაგრამ განდეგილადაც ნუ გადაიქცევთ. მშვიდად ჩაატარეთ ექსპერიმენტი და წინ იარეთ. მაგალითისთვის, მიიღეთ გადაწვეტილება იმის შესახებ, რომ, როცა ვინმე გაგიბრაზდებათ, უბრალოდ, გაიღიმოთ. რეგულარულად შესრულებული ექსპერიმენტები იმგვარ შედეგებს მოიტანს, რომ მადლობას გადაუხდით ადამიანს, რომელიც თქვენზე გაბრაზდა.

ამგვარად, დაიწყეთ პატარ-პატარა გადაწყვეტილებებით: „ყოველთვის, როცა ვინმე გაბრაზდება ჩემზე, უბრალოდ გავიცინებ, იმის მიუხედავად, თუ რა იქნება ამ გაბრაზების

მიზეზი". ორმოცდაათი დღის შემდეგ აღმოაჩენთ, რომ სხვა ადამიანი გახდით. შეიცვალა თქვენი ყოფის მთელი ხარისხი: უკვე აღარ ხართ ის, ვინც ორმოცდაათი დღის წინ იყავით. მიიღეთ მარტივი გადაწყვეტილებები და შეეცადეთ, შეასრულოთ ისინი. ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ცნობიერი უფრო მნიშვნელოვანი გადაწვეტილებების მისაღებად შეემზადება და თქვენც შესაბამის ნაბიჯებს გადადგამთ.

დასკვნითი გადაწყვეტილება, რომელიც მაძიებელმა ღირებულად უნდა ჩათვალოს – სიკვდილთან ნებაყოფლობითი შეხვედრაა. როცა მზად იქნებით საამისოდ, თამამად განახორციელეთ საკუთარი გადაწყვეტილება. თუკი უკვე ჩამოყალიბდით, იმ დღეს, როცა გვამად ქვეულ საკუთარ სხეულს დაინახავთ, გაიგებთ ყველაფერს, რისი გაგებაც შესაძლებელია. მაშინ ამქვეყნად არსებული წმინდა წერილები და გურუები მარცვალსაც ვერ წააამატებენ თქვენს ცოდნას.

ის, ვინც თვითმკვლელობას აპირებს, ასევე ცდილობს ნებაყოფლობით მოიკლას თავი. ვიდრე მთლიანად არ მომკვდარა, თვითონაც აკვირდება სიკვდილის პროცესს: თუ ცივდება სხეული,როგორ იკუმშება სასიცოცხლო ენერგია და ა.შ. მაგრამ მას არ შეუძლია დარბუნდეს სხეულში, უკანასკნელ მდგომარეობამდე მიღწევის შემდეგ. ნუთუ თვითმკვლელობა არ ჰგავს ნებაყოფლობითი სიკვდილის ექსპერიმენტს?

თვითმკვლელობა შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ექსპერიმენტი ნებისყოფის სამართავად, მაგრამ, ჩვეულებრივ, ადამიანები, რომლებიც თვითმკვლელობას ჩადიან, ამ მიზეზით როდი იკლავენ თავს. ადამიანი, რომელიც თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს, არ გრძნობს პასუხისმგებლობას ამ საქციელის გამო. უმეტესწილად ის გრძნობს, რომ გარშემომყოფნი უბიძგებენ თვითმკვლელობისკენ, გარკვეული გარემოებები და მოვლენები აიძულებენ, სიცოცხლე მოისწრაფოს. გარემოებების გარეშე, ის არ მივიდოდა თვითმკვლელობის მცდელობამდე.

მაგალითად, ამ ადამიანს ვიღაც შეუყვარდა, მაგრამ მისი სიყვარული უპასუხოდ დარჩა. შედეგად, მას სიცოცხლის დას-

რულება სურს. თუკი მის სიყვარულს უპასუხებდნენ, მას არ ექნებოდა სიკვდილთან მიახლების სურვილი. არსებითად, ეს ადამიანი, რომელიც თვითმკვლელობაზე ფიქრობს არ არის მზად სიკვდილისთვის. მას მხოლოდ ერთი პირობით სურს სიცოცხლე. ეს პირობა არ შესრულდა, შესაბამისად, ის უარყოფს სიცოცხლეს. სინამდვილეში, ადამიანი არ არის დაინტერესებული სიკვდილში, სიმართლე ის არის, რომ მან სიცოცხლისადმი ინტერესი დაკარგა.

ამგვარად, ძირითადად ასეთი თვითმკვლელობა იძულებითია. ამიტომ, თუ ადამიანს, რომელსაც სიცოცხლის დასრულება სურს, ორი წამით მაინც შევაჩერებთ, შესაძლოა. სამუდამოდ გადავაფიქრებინოთ თვითმკვლელობაზე ფიქრი საკმარისი იქნება სულ რამდენიმე წამი, რადგან დროის ამ შუალედში, გონის გადაწყვეტილება ძალას დაკარგავს, ადამიანი ხომ აიძულეს ეს დამღუპველი ნაბიჯი გადაედგა.

თვითმკვლელობის ჩამდენი ადამიანი არ იღებს გადაწყვეტილებას. საქმე იმაშია, რომ ის გაურბის მიღებულ გადაწყვეტილებას. ჩვეულებრივ, ადამიანი, რომელიც თავს იკლავს, არ არის მამაცი, ის მხდალია. არსებითად, ცხოვრება სთხოვდა, აეხდინა საკუთარი სურვილი; ცხოვრება ეუბნებოდა: „ქალი, რომელიც შენ გიყვარდა... ახლა მიიღე გადაწვეტილება და დაივიწყე ის“. მაგრამ ადამიანს არ აღმოაჩნდა ამის ნება ცხოვრება უმეორებდა: „დაივიწყე ადამიანი, რომელიც ადრე გიყვარდა, შეიყვარე ვინმე სხვა“, მაგრამ ეს ადამიანი არ იყო საკმარისად მამაცი.

ცხოვრება ვიღაცას ეუბნება: „გუშინდელ დღემდე შენ მდიდარი იყავი, დღეს კი ბანკროტი ხარ. და მაინც, შენ ცოცხალი ხარ!“ მაგრამ მას არ გააჩნია სიმამაცე. მას არ შეუძლია მოიკრიბოს სიმამაცე და იცოცხლოს. ის მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავს ამ სიტუაციიდან, თვითგანადგურებას. ამას იმისთვის აკეთებს, რომ თავი აარიდოს რთულ გადაწვეტილებებს. ამგვარი ადამიანის სიკვდილთან შეხვედრა არ არის მისი პოზიტიური ნების დემონსტრირება; ეს მისი უარყოფითი ნების დემონსტრირებაა, უარყოფით ნებას კი აზრი არა აქვს.

ასეთი ადამიანი მომავალ ცხოვრებაში უფრო სუსტი სულით დაიბადება, უფრო უსუსური სულით, ვიდრე ამ ცხოვრებაში

ჰქონდა, იმიტომ რომ ის იმ სიტუაციას გაექცა, რომელმაც საკუთარი სურვილების გალვიძება შესთავაზა. ეს იგივეა, ბავშვი საკლასო ოთახიდან გაიქცეს გამოცდის დროის მოსვლისას. ზოგიერთის აზრით, მანაც გამოავლინა თავისი გადაწყვეტილება. ოცდაათმა მოსწავლემ ჩააბარა გამოცდა, ამ ბიჭმა კი გაქცევა გადაწვიტა. ეს მის უარყოფით ნებას წარმოაჩენს. გამოცდაზე გამოცხადება დადებითი იყო. ის ნიშნავდა ბრძოლისთვის მზადებას, მაგრამ ბიჭი ბრძოლას გაექცა.

მწერალი, რომელსაც მკითხველი ცხოვრებისეული პრობლემებიდან გაჰყავს, ასევე წარმოაჩენს თავის გადაწყვეტილებას. ადამიანი, რომელიც ლომთან შეხვედრისას გარბის და ხეზე ძვრება, ასე თუ ისე, თავის ნებას ავლენს. მაგრამ ეს არ აქცევს მას თავისუფალ ადამიანად, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ის კუდამოძუებულია და გარბის. მომაკვდინებელი ტენდენცია - არსებითად პრობლემებისგან გაქცევის ტენდენციაა. აქ ვერ ვხედავთ ვერანაირ გადაწყვეტილებას. სიკვდილი, რა თქმა უნდა, შეიძლება გამოვიყენოთ ნებისყოფის პრაქტიკის მიზნით, მაგრამ ეს სხვა საკითხია.

მაგალითად, ჯაინების ტრადიციებში სიკვდილი ჩვეულებრივად გამოიყენება ნებისყოფის განსამტკიცებლად. მახავირა სამყაროში ერთადერთი ადამიანია, რომელმაც საშუალება მისცა ნებისმიერ მაძიებელს, სურვილის შემთხვევაში, სიკვდილი ამ მიზნით გამოეყენებინა. ჯერ არავის გაუცია ასეთი ნებართვა. მხოლოდ მახავირამ თქვა, რომ შეიძლება სიკვდილი გამოვიყენოთ სულიერი დისციპლინისთვის, მაგრამ არა მყისიერი სიკვდილი, რომელიც დგება შხამის მიღებისას. არ შეიძლება ააშენო შენი ნებისყოფა ერთ წამში; ამისათვის დიდი დროა საჭირო. მახავირა ამბობს: „იმარხულეთ და დაიხოცეთ შიმშილით".

ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანის შიმშილით სიკვდილისთვის ოთხმოცდაათი დღეა საჭირო. თუ ადამიანი სუსტია გადაწყვეტილების მიღებისას, უბრალოდ მიდრეკილია სისუსტისკენ, მაშინ ჭამის სურვილი მეორე დღესვე დაუბრუნდება. მესამე დღეს თავის წყევლას დაიწყებს იმისთვის, რომ ასეთ უსიამოვნებაში გაყო თავი და სიტუაციიდან გამოძრომას შეეცდება.

ძალიან რთულია დაიოკო სურვილი და ოთხმოცდაათი დღე იშიმშილო. როცა მახავირამ თქვა: „იყავით მშიერი და მოკვდით“, არავის ექნებოდა ტყუილის შესაძლებლობა, რადგან ოთხმოცდაათი დღის შემდეგ... ნებისმიერი, ვისაც ოდნავ მაინც არ ჰყოფნის ნებისყოფა, პროცესს ნაადრევად გამოეთიშება. ამგვარად, მოტყუების შანსი არ არსებობს.

თუკი მახავირა შხამის მიღებით, მდინარეში დახრჩობით. მთიდან!გადმოხტომით იძლეოდა სიკვდილის ნებას, ეს მყისიერი სიკ!ვდილის საკითხია. რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია წამში მიიღოს საკმაოდ კარგი გადაწყვეტილება, მაგრამ მებრძოლი, რომელიც მხოლოდ წუთით ავლენს თავის სიმამაცეს, უსარგებლოა ბრძოლის ველზე, იმიტომ რომ მეორე წუთში ის მხდალი გახდება. ის ისეთივე წარმატებით გამოავლენს სიმხდალეს, როგორითაც ცოტა ხნის წინ სიმამაცეს.

ამგვარად, როგორც სულიერ დისციპლინას, მახავირა ნებადართულად აცხადებდა სანტარას, ანუ საკუთარი თავის მოკვდინებას. თუკი ადამიანს სურდა, ბოლო გამოცდა გაევლო. სიკვდილთან ნებაყოფლობითი შეყრის ჩათვლით, მახავირა თვითმკვლელობის ნებას იძლეოდა. ეს მართლაც, მნიშვნელოვანი მომენტია და მასზე ღირს დაფიქრება. მახავირა პირველი ადამიანია დედამიწაზე, რომელმაც აღიარა, რომ მაძიებელს შეუძლია ამ სწავლებას მიჰყვეს. და ამას თავისი მიზეზები აქვს

ჯერ ერთი, მახავირა სრულიად დარწმუნებული იყო იმაში. რომ სინამდვილეში არავინ კვდება. შესაბამისად, ის გრძნობდა, რომ არ ღირს ზედმეტად სიკვდილზე ნერვიულობა. მისი აზრით, მაძიებელი არაფერს უშავებდა თავს, როცა პრაქტიკაში ამგვარ დისციპლინას ნერგავდა.

მეორეც, თვითშეცნობის გარდა, მახავირა, დარწმუნებული იყო იმაშიც, რომ თუკი ადამიანი გადაწყვეტს სიკვდილი ორმოცდაათი, სამოცი, სამოცდაათი, ოთხმოცი, ოთხმოცდაათი ან ასი დღის განმავლობაში ეძიოს, თვით ამ მოვლენის მნიშვნელობაც კი უსათუოდ გარდაქმნის მას.

თითოეულ ჩვენგანს გვქონია წუთები, როცა სიკვდილზე ფიქრი გვწვევია. არ არსებობს დედამიწის ზურგზე ადამიანი. რომელსაც სიცოცხლის განმავლობაში რამდენჯერმე მაინც არ

უნატრია სიკვდილი. ის, რომ ამ ნატვრის შემდეგ, ადამიანი არ მოკვდა, უკვე სხვა საკითხია. საქმე იმაშია, რომ ნამდვილად დგება მომენტი, როცა ადამიანი სიკვდილს ნატრობს. მაგრამ მერე ის ჭიქა ჩაის სვამს და ყველაფერს ივიწყებს. ცოლს საშინლად ბეზრდება ქმარი და თავის ჩამოხრჩობაზე ფიქრობს. მერე ქმარი შინ კინოს ბილეთებით ბრუნდება. სულ ეს არის, ქალიც უარს ამბობს თავის გადაწყვეტილებაზე. ის მას ზედმეტად მოსაწყენად მიიჩნევს.

ერთხელ, ერთ ადგილს ვსტუმრობდი. ჩემი უახლოესი მეზობლები აღმოჩნდნენ ბენგალელი პროფესორი და მისი ცოლი. პირველივე ღამეს გვერდითა ოთახში ატეხილმა ხმაურმა გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაგდო. ჩემ გარდა გარშემო არავინ იყო, სიტუაცია კი საკმაოდ სერიოზული ჩანდა. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, უნდა მივსულიყავი მათთან დასახმარებლად თუ არა. თუმცა, პირველი ღამე იყო და, ამასთან, საერთოდ არ ვიცნობდი ამ წყვილს. ვგრძნობდი, რომ არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვიცნობდით თუ არა ერთმანეთს. ჩემთვის ჩავილაპარაკე: „ისინი ჩემი მეზობლები არიან, მეც დამაწვება პასუხისმგებლობა, თუკი ვინმე დაიღუპება“. თუმცა, მაინც შევიკავე თავი, იმის იმედად, რომ თუკი ვინმე მართლა გამოვარდებოდა ქუჩაში თავის მოსაკლავად, შევაჩერებდი.

შემდეგ რამდენიმე ხნით ყველაფერი მიწყნარდა. ვიფიქრე, რომ მეზობლებმა პრობლემა მოაგვარეს და მიწყნარდნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, რომ უნდა გავსულიყავი და მენახა, რა ხდებოდა მათ თავს. და გავედი კიდეც. მეზობლის კარი ღია იყო.ოთახში ქალი იჯდა. ქმარი უკვე წასულიყო.

– სად წავიდა თქვენი ქმარი? – ვკითხე.

– არ ინერვიულოთ, – მიპასუხა მან, – ის წავიდა, ისე როგორც ადრე მიდიოდა, მაგრამ მალე დაბრუნდება.

– ჰო, მაგრამ ის თავის მოსაკლავად წავიდა! – წამოვიყვირე მე.

ქალმა ჩემი დაწყნარება სცადა:

– არ ინერვიულოთ, ის აუცილებლად დაბრუნდება.

და მართლაც, დაახლოებით თხუთმეტი წუთში ქმარი დაბრუნდა. მე კვლავ მათ ოთახთან ვიცდიდი.

– თქვენ დაბრუნდით? – გამიკვირდა.

მან არ იცოდა იმის შესახებ, რომ ყველაფერი ვიცოდი, რომ მისი წასვლის ნამდვილი მიზეზიც შევიტყვე.

– ნუთუ ვერ ხედავთ, რომ იღრუბლება? – მიპასუხა მან - ალბათ, გაწვიმდება. ქოლგა არ წამიღია, ჰოდა, დავბრუნდი

ადამიანი, რომელსაც თავის მოკვლა სურდა, უარს ამბობს ამ იდეის განხორციელებაზე, თუკი ქოლგა არა აქვს! ზუსტად ასე ხდება ყველაფერი.

ჩვენ ხშირად ვფიქრობთ სიკვდილზე, მაგრამ არა თავად სიკვდილისთვის. ეს ფიქრი გარკვეული პრობლემის გაჩენასთან ერთად აღიძვრება. ადამიანი სუიციდზე ფიქრობს იმის გამო, რომ ამ პრობლემიდან გამოსავალს ვერ პოულობს მცირე უსიამოვნება და დაბრკოლებაც საკმარისია თვითმკვლელობაზე გაფიქრებისთვის.

ის, ვისაც ცხოვრებისებული პრობლემებისთვის თვალის გასწორება უჭირს და ამის გამო სიკვდილთან შეხვედრა სურს. უნებისყოფო ადამიანია. თუმცა, თუ ადამიანი ცდილობს მიიღოს დადებითი გამოცდილება სიკვდილისგან, თუ ის სიკვდილის შეცნობის გზაზეა, თუ ის არ ებრძვის სიცოცხლეს, თუ სიცოცხლის წინააღმდეგი არ არის, მაშინ ასეთი ადამიანი სიკვდილშიც სიცოცხლეს ეძებს. ეს სულ სხვა რამეა.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა არსებითი ფაქტორიც არსებობს. ჩვეულებრივ, არავის შეუძლია საკუთარი დაბადების განსაზღვრა. თუმცა, საბოლო ჯამში, მაინც ვახდენთ გავლენას დაბადებაზე, ეს გადაწყვეტილება მაინც ჩვენი ქვეცნობიერის გავლით მიიღება. ჩვენ არასდროს ვიცით, რატომ სად და რა მიზნით დავიბადებით. მაგრამ სიკვდილი, რაღაც გაგებით, ის არის, რაც შეგვიძლია განვსაზღვროთ. სიკვდილი ცხოვრების უჩვეულო შემთხვევაა. ის ძალიან გადამწვეტი მოვლენაა.

ჩვენ არაფერი შეგვიძლია განვსაზღვროთ ნათლად დაბადებასთან დაკავშირებით, უცნობია სად დავიბადებით, რა მიზნით, რა გარემოებებსა და გარემოცვაში და ა.შ., მაგრამ სიკვდილის შემთხვევაში ზუსტად შეგვიძლია იმის ცოდნა, თუ როგორ, სად და რატომ მოვკვდებით; შეგვიძლია ზუსტად შევარჩიოთ მეთოდი, რომლითაც გვინდა მოვკვდეთ

ამგვარად, მახავირამ დასაშვებად მიიჩნია სიკვდილის დისციპლინის პრაქტიკაში გამოყენება. ამავე მიზეზით, ის, ვინც ზემოხსენებული მეთოდის გამოყენებით მოკვდება, ბუნებრივია, განსაზღვრავს თავის შემდგომ დაბადებას, რადგან იმისთვის, ვინც საკუთარი სიკვდილის გზის არჩევა შეძლო, ვინც შეძლო, ნებაყოფლობით მომკვდარიყო, ბუნება მომავალი დაბადებისთვისაც ითვალისწინებს არჩევანის შესაძლებლობას. ეს საქმის მეორე მხარეა.

თუ ადამიანი ცხოვრების კარიდან ღირსეულად, სათანადო ცოდნით აღჭურვილი გავა, მისთვის სხვა კარიც ფართოდ გაიღება. მას იქაც მიესალმებიან და პატივს მიაგებენ. ამგვარად, მას, ვისაც თავისი მომავალი ცხოვრებების განსაზღვრა სურს, ჯერ თავისივე სურვილით უნდა გამოსცადოს სიკვდილი. მახავირამ ამ მიზეზითაც დართო თვითმკვლელობის ნება მაძიებლებს. ასე რომ, რიგითი ადამიანი, რომელსაც თვითმკვლელობის სურვილი აქვს, უნებისყოფოა.

თქვენ საუბრობდით იმაზე, თუ როგორ შეუძლია თხელ სხეულს გამოეყოს ფიზიკურ სხეულს, როცა ადამიანი ნებისყოფას გამოიყენებს. შეუძლია მაძიებლის თხელ სხეულს, რომელიც ვარჯიშობს დამოწმების დისციპლინაში, ან ტატხატაში, ჭეშმარიტი ბუნების დისციპლინაში, გამოეყოს სხეულს ისე, რომ ნებისყოფა არ გამოიყენოს?

დამოწმების დისციპლინაში ვარჯიშისთვის სერიოზული შემართებაა საჭირო. იმისათვის, რომ ტანტხატას დისციპლინაში ივარჯიშოთ, კიდევ უფრო მედეგი შემართება უნდა გაგაჩნდეთ. ეს ურყევი გადაწვეტილებაა. როცა ადამიანი გადაწყვეტს მოწმის მსგავსად იცხოვროს, ეს თავისთავად ნიშნავს ძლიერებას. ვთქვათ, ადამიანმა ჭამა აიკრძალა, გადაწყვიტა, რომ მთელი დღე იშიმშილოს. სხვა ადამიანმა გადაწყვიტა, რომ ჭამოს, ის პირველი კი ამ მეორეს დააკვირდება. ეს ბევრად რთული გადაწყვეტილებაა.

ძნელი არ არის საჭმელზე უარის თქმა. სიმართლე ის გახლავთ, რომ მას ვისაც ბლომად საჭმელი აქვს, იოლად გადაიტანს ერთდღიან ან ორდღიან უჭმელობას. სწორედ ამიტომ დამკვიდრდა დიეტისა და მარხვის კულტი მდიდართა საზო-

გადოებაში. მაგალითად, ამერიკაში ძალიან პოპულარულია დიეტის იდეა. ადამიანები მაშინვე დაინტერესდნენ ნატუროპათიით.

როცა ადამიანებს უამრავი საკვები აქვთ, დროდადრო მარხვის იდეა იტაცებთ. როგორც ჩანს, ასეთი ქცევა ადამიანს სიმსუბუქისა და სიხარულის შეგრძნებას ანიჭებს. არსებითად. ღარიბი საზოგადოების ნებისყოფის გაზრდისთვის, შესაძლოა. სასარგებლოც კი აღმოჩნდეს შიმშილი. მაგრამ მდიდარ საზოგადოებაში ეს კომფორტის საკითხია. სინამდვილეში, თუ საკვები მთელი მსოფლიოსთვის იქნება ხელმისაწვდომი, მაშინ მარხვაც საჭირო გახდება ყველასთვის. ადამიანები ზოგჯერ იძულებულნი იქნებიან ცარიელი კუჭით იარონ. მაგრამ მოწმეობა ურთულესი საქმეა.

მოდით შევეცადოთ და გავიგოთ ეს. მაგალითად, თქვენ იღებთ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ არ დაიწყებთ სიარულს და რვა საათის განმავლობაში იჯდებით სავარძელში ეს არ არის დიდი საქმე. თქვენ გადაწვიტეთ არ გევლოთ, ამიტომ არ დადიხართ. სხვა ადამიანი გადაწყვეტს, ამდენივე ხანი იაროს. არც ეს არის რთული, რადგან იგი ისე დადის, როგორც თვითონ გადაწყვიტა. მაგრამ მოწმეობა ნიშნავს, რომ თქვენ ივლით, ამავე დროს კი გეცოდინებათ იმის შესახებ, რომ სწორედ თქვენ არ დადიხართ. რას ნიშნავს მოწმეობა? ის ნიშნავს. რომ ივლით ისე, როგორც გეცოდინებათ, რომ არ დადიხართ. უბრალოდ დაამოწმებთ ამ სიარულს. ეს ბევრად დახვეწილი გადაწყვეტილებაა, ნამდვილად უმაღლესი გადაწვეტილება.

ტატხატა, ჭეშმარიტი ბუნება – ეს უმაღლესი გადაწვეტილებაა; იგი საბოლოოა. არ არის განსაზღვრული, რომელია ამაზე უფრო დიდი. ნებაყოფლობით სიკვდილში შესვლაც კი არაა ამდენად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ტატხატა ნიშნავს ყოველგვარი არსის ისე მიღებას, როგორიც არის. რაღაც მოსაზრებით, ნებაყოფლობით სიკვდილსაც მიუღებლობაში აქვს ფესვები გადგმული. ანუ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რა არის სიკვდილი; ჩვენ გვინდა შევამოწმოთ, ნამდვილად დგება იგი თუ არა.

ტატხატა ნიშნავს, რომ თუ სიკვდილი დადგება, ჩვენც მოვკვდებით; თუ სიცოცხლე დარჩება, ჩვენც ვიცოცხლებთ

ამასთან, ჩვენ არ გვაინტერესებს არც სიცოცხლე და არც სიკვდილი. თუ გამეფდება სიბნელე, სიბნელეში დავრჩებით; თუ სინათლე აინთება, სინათლეც გვაწყობს. თუკი კარგი რამ მოგვივა, მივიღებთ და თუკი ცუდი რამ გარდაგვხდება, ამასაც ავიტანთ. ყველაფრის მიღება გვსურს, რაც მოსახდენია, არაფერს უარვყოფთ. ნება მომეცით, ეს შესაბამისი მაგალითით აგიხსნათ.

დიოგენე ტყით მიდიოდა. ის შიშველი დადიოდა, მას ლამაზი სხეული ჰქონდა. არ არის გამორიცხული, რომ ადამიანმა ტანსაცმლის ტარება საკუთარი სიმახინჯის დასაფარად დაიწყო. ეს ყოვლად შესაძლებელია. ჩვენ გამუდმებით ვცდილობთ სხეულის მახინჯი ნაწილების დამალვას, მაგრამ დიოგენე ძალიან ლამაზი ადამიანი იყო. ის შიშველი დადიოდა.

როცა ის ტყით მიდიოდა, ოთხი ადამიანი შენიშნა, რომლებიც მონების დატყვევებით და ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. მათ იფიქრეს, თუ ამ ადამიანს შევიპყრობთ, ასეთ აღნაგს, ძლიერს, ვაჟკაცურს, მასში კარგ ფულს გადაგვიხდიანო. მაგრამ ისინი ორჭოფობდნენ, ვერაფრით შეძლეს, ისე დაეტყვევებინათ დიოგენე, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ შექმნოდა.

ასეა თუ ისე, მაინც სცდეს და გარს შემოერტყნენ მგზავრს. დიოგენე მათ შორის მშვიდად და უშფოთველად იდგა.

– რა გინდათ მიქნათ? – ჰკითხა მან.

ადამიანებით მოვაჭრეებს ძლიერ გაუკვირდათ. მათ ჯაჭვები მოიმარჯვეს. დიოგენემ მაჯები გაუშვირა. დამპყრობლები ხელის კანკალით შეუდგნენ მის დატყვევებას.

დიოგენემ შეაგულიანა ისინი:

- თუ კანკალებთ. ნება მომეცით, თავად შევიკრა ხელები.

ის დაეხმარა მათ, დამოუკიდებლად დაიდო ხუნდები. დამპყრობლები გაოცებულები იყვნენ. კარგად რომ შეკრეს, კითხვით მიმართეს:

– რა ადამიანი ხარ? ჩვენ ჯაჭვებით გაბამთ და შენ გვეხმარები! გვეშინოდა, რომ ამ განზრახვის გამო ბრძოლა მოგვიწევდა და უსიამოვნებებს გადავეყრებოდით.

დიოგენემ აუხსნა:

- თქვენ ჩემი დაჭერით ერთობით, მე კი იმით ვერთობი,

რომ მიჭერთ. რა საჭიროა უსიამოვნებები? ჩვენ ისე ვხალისობთ! ახლა კი მითხარით, საით უნდა წავიდეთ აქედან?

– ჩვენ გვრცხვენია იმის აღიარება, რომ მონებით ვვაჭრობთ, - უპასუხეს დამპყრობლებმა, – ბაზარში უნდა წაგიყვანოთ გასაყიდად.

– შესანიშნავია, წავიდეთ, – დათანხმდა დიოგენე. ცოცხლად დაადგა გზას და შემპყრობლებსაც გადაუსწრო.

– თუ შეიძლება, ნაბიჯი შეანელე, – სთხოვა მას მონათმოვაჭრემ, – რა გვეჩქარება?

– რატომ უნდა დავკარგოთ დრო ბაზარში მისასვლელად? - უპასუხა დიოგენემ.

ბოლო-ბოლო მივიდნენ ბაზარში. იქ უამრავი ხალხი ირეოდა. მონების შეძენის მსურველები დიოგენეს მიაშტერდნენ. მათ იშვიათად ენახავთ ამ ხარისხის მონა, რადგან ის იმპერატორს უფრო ჰგავდა. წარმოსადეგი მონის გარშემო უამრავი ხალხი შეიკრიბა.

დიოგენე აიძულეს, მონების აუქციონისთვის მოწყობილ სპეციალურ სცენაზე ასულიყო. აუქციონის წამყვანმა ხმა გაიმაგრა და გამოაცხადა:

– იყიდება მონა, დაასახელეთ თქვენი ფასი.

– მოკეტე, იდიოტო! – იყვირა დიოგენემ, – ჰკითხე ამ ხალხს, ვინ უფრო წინ მოდიოდა? მათ დამადეს ჯაჭვები, თუ მე მივეცი ამის ნება?

– ეს ადამიანი მართალია, – თქვეს მისმა შემპყრობლებმა, - ვფიქრობთ, რომ საკუთარი ძალებით მის დატყვევებას ვერ შევძლებდით. ის, მართლაც, ჩვენზე წინ მოდიოდა, თან იმდენად სწრაფად, რომ ფეხს ვერ ვუწყობდით, სირბილმაც კი მოგვიწია. ასე რომ, ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ მოვიყვანეთ ბაზარში. სიმართლე ის არის, რომ ჩვენ მოვყვებოდით მას. ისიც ტყუილი იქნება, რომ მონად ვაქციეთ. საქმე იმაშია, რომ ეს ადამიანი თავად დათანხმდა მონობას, ჩვენ არ დაგვიმონებია.

დიოგენემ შეაწყვეტინა მათ:

– შეწყვიტეთ სისულელეების როშვა, შტერებო, და ნება მომეცით, რაღაც გავაკეთო! ამ კაცის ხმა არასაკმარისად მაღალია და არავის ესმის ამხელა ბრბოში.

ამგვარად, დიოგენემ ხმამაღლა იყვირა:

– ბაზარში საკუთარი თავის გასაყიდად მოვიდა ბატონი. ის. ვინც დაინტერესებულია მისი ყიდვით, წინ გამოვიდეს.

ვიღაცამ ხალხის მასიდან იკითხა:

- შენს თავს ბატონს ეძახი?

- დიახ, ჩემს თავს ბატონს ვეძახი, – უპასუხა დიოგენემ, – მე თავად დავიდე ჯაჭვები. აქ დამოუკიდებლად მოვედი, ჩემი ნებით. საკუთარი სურვილით ვდგავარ აქ, რათა გამყიდონ და მაშინ წავალ, როცა მომინდება. არაფერი მოხდება ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, რადგან ყველაფერს ჩემი ნებით ვაკეთებ.

დიოგენე ასე ამბობს: „რაც არ უნდა ხდებოდეს, ამას ჩემი ნებით ვაკეთებ". ამ ადამიანმა ნამდვილად მიაღწია ტახტატის, ჭეშმარიტ ბუნებას. ეს ნიშნავს, რომ ის მზად არის ნებისმიერი სიტუაციისთვის. ის საერთოდ არაფერს ეწინააღმდეგება. თქვენ ვერაფრით შეძლებთ მასზე გამარჯვებას, რადგან ის უკვე გამარჯვებულია; თქვენ ვერაფრით შეძლებთ მასზე გამარჯვებას, რადგან ის მზად არის მოგცეთ ტკივილის მიყენების ნება; თქვენ ვერასდროს შეძლებთ მის დამონებას, რადგან ის მზად არის დაგემორჩილოთ. თქვენ ვერაფერს დააკლებთ ასეთ ადამიანს, რადგან ის არასოდეს შეგეწინააღმდეგებათ. აი, ჭეშმარიტად უმაღლესი გადაწვეტილების დემონსტრირება.

ამგვარად, ტატხატა – ეს უმაღლესი ნებაა. აი, ვინ მიაღწია ტატხატას, ღმერთს. ამიტომ ეჭვგარეშეა, რომ მაძიებელი, რომელიც მოწმის დისციპლინის პრაქტიკას გადის, იმავეს აღწევს, რასაც ტატხატის დისციპლინის პრაქტიკანტი. მან უკვე ყველაფერს მიაღწია ყოველგვარი სირთულის გარეშე.

ნების დისციპლინა – ეს ყველაზე უბრალო დისციპლინაა. მოწმის დისციპლინა სადღაც ცენტრშია, ტატხატა კი უდიდესი სადხანაა, უდიდესი დისციპლინა. ამგვარად, დაიწყეთ ნების პრაქტიკით, შეისწავლეთ მოწმეობა და მიაღწიეთ ტატხატას, ჭეშმარიტ ბუნებას. ამ სამ სტადიას შორის არ არის არანაირი კონფლიქტი.

აგვისხსენით, თუ შეიძლება, რა სხვაობაა მოწმეობასა და ტატხატას შორის?

მოწმეობას ახასიათებს ორსახოვნება. მოწმე განცდილისგან განკერძოებით დარჩება. თუკი ფეხში ეკალი შეერჭობა, მოწმე

იტყვის: „ეკალმა მე კი არ მიჩხვლიტა, არამედ ჩემს სხეულს. მე ხომ მხოლოდ გაცნობიერებული ტკივილი ვარ. ეკალი სხეულის ერთ რომელიღაც ნაწილს შეესო, მოხდარის აღქმა კი სულ სხვა ადგილას მდებარეობს".

ამგვარად, მოწმის გონებაში არსებობს ორი მხარე არსებობს, აშკარად განიყოფა ერთმანეთისგან მომხდარის განცდა და მისი ფიზიკური აღმოცენების წერტილი. ამიტომ მას არ შეუძლია ავიდეს ადვაიტის მდგომარეობამდე, უმოქმედობამდე ამავე მიზეზით მაძიებელი, რომელიც მოწმის დონეზე რჩება. დამკვირვებლის, ორმაგობის მიერაა შეზღუდული. საბოლოო ჯამში, არსებობას ის ცნობიერ და არაცნობიერ ნაწილებად განყოფს. ცნობიერი არსებობა – ის არის, რაც იცის, ხოლო არაცნობიერი არსებობა – ის არის, რის შესახებაც ცნობილია. ამგვარად, ფინალურ ეტაპზე ის აუცილებლად აღმოაჩენს არსებობაში ორ შემადგენელს: ერთი იქნება პურუშუ, მეორე კი - პრაკრიტი.

ორივე ეს სიტყვა, პურუშუ და პრაკრიტი, ძალიან მნიშვნელოვანია. შესაძლოა, პრაკრიტის ჭეშმარიტი მნიშვნელობა არ მოგსვლიათ თავში, მაგრამ პრაკრიტი არ ნიშნავს ბუნებას; სინამდვილეში, ინგლისურ ენაში არ არის „პრაკრიტის" ეკვივალენტი. პრაკრიტი ნიშნავს იმას, რაც მანამდე არსებობდა. სანამ დედამიწაზე დღეს არსებული შეიქმნებოდა. პრაკრიტი არ ნიშნავს სრიშტის ან ბუნებას, რადგან სრიშტი ნიშნავს იმას, რაც არსებობს დასაბამიდან. სიტყვა „პრაკრიტი" აღნიშნავს იმას, რაც დასაბამამდე იყო.

სიტყვა „პურუშაც" ძალიან მნიშველოვანია. ამ სიტყვების ეკვივალენტი ძალიან ძნელი მოსაძებნია ნებისმიერ სხვა ენაში, რადგან ყველა ეს სიტყვა დაიბადა განსაკუთრებული გამოცდილებიდან. მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს სიტყვა „პურ". ის ნიშნავს ქალაქს. მაგალითად, კანპური, ნაგპური. ამგვარად. „პურ" ქალაქს აღნიშნავს და ის, ვინც ქალაქში ცხოვრობს, პურუშაა. ადამიანის სხეული ჰგავს ქალაქს, ეს ის სხეულია, რომელიც ქალაქში ცხოვრობს, სწორედ ის არის პურუშა. ამიტომ პრაკრიტი – ეს პურ-ია, ის კი, ვინც მასში განცალკევებით გარკვეულ დისტანციაზე ცხოვრობს. პურუშაა.

ამგვარად, მოწმე პურუშასა და პრაკრიტის გაყოფისას მჟღავნდება. ის ათავსებს მათ ერთმანეთისგან მოშორებით, როგორც ორ არსებას – ცნობიერსა და არაცნობიერს, მცოდნესა და ცნობილს შორის მანძილი ჩნდება.

ტატხატა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია – ეს უმაღლესი მდგომარეობაა. ტატხატა ნიშნავს, რომ ორმაგობას ადგილი არა აქვს. არც მცოდნეა, არც ის, რაც შეიძლება იყოს ცნობილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მცოდნე – ეს ცნობილია. ისე კი არა, რომ ეკალი მაყენებდეს ტკივილს, და ვიცოდი ამის მესახებ, ან რომ ეკალი და მე განყოფილები ვიყოთ. ეს იმასაც კი არ ნიშნავს, რომ უმჯობესი იქნებოდა, ეკალი სულაც არ შემსობოდა, ანდა კარგი იქნებოდა, თვითონ ამომძვრალიყო – მსგავსი არაფერი. ახლა ყველაფერი მიღებულია: ეკლის არსებობა, მისი ჩხვლეტა, მისი ჩხვლეტის გაცნობიერება, ტკივილის მეგრძნება – ყველაფერი. ეს ერთი მოვლენის სხვადასხვა მხარეა. ამიტომ მე თვითონ ვარ ეკალი. მე თვითონ ვარ ამ მომხდარის გაცნობიერება, რადგან მე ვარ ეს ყველაფერი.

სწორედ, ამიტომ არ გამოვდივარ „მეს“ საზღვრებიდან, თავად ჩემი არსებიდან. არ შემიძლია ასე ვიფიქრო: „კარგი იქნებოდა, რომ ეკალს არ ეჩხვლიტა ჩემთვის.“ როგორ შემიძლია ასე ვიფიქრო? მე ხომ თავად ეკალი ვარ, მისი ჩხვლეტა, და მისი ჩხვლეტის გაცნობიერება. არ შემიძლია ასე ვიფიქრო: „კარგი იქნებოდა, რომ ეკალს არ ეჩხვლიტა ჩემთვის“, რადგან ეს საკუთარი არსებობის გახლეჩის ეკვივალენტი იქნებოდა.

ტატხატი – უმაღლესი მდგომარეობაა. ამ მდგომარეობაში ყველაფერი, რაც არის, ბუნებრივია. ეს მდგომარეობა ყოველივე არსებულის უმაღლესი მიღებაა. ყოველგვარი გამორჩევის გარეშე. მაგრამ ტატხატის მიღწევა შეუძლებელია, თუ თავიდან მოწმე არ ხარ. თუმცა ადამიანს შეუძლია მოწმის დონეზეც დარჩეს, თუ მას ეს სურს და თუ გადაწვეტს, ტატხატის არ მიაღწიოს. სამაგიეროდ, ნების გამოყენების გარეშე ადამიანს არ შეუძლია მოწმის მდგომარეობამდე მისვლა. თუმცა, ნებისყოფის შეძენისას კარგი იქნებოდა ამ დონეზე დარჩენისა და მოწმეობისკენ სვლაზე უარის თქმის სურვილი გამოგვეთქვა.

ის, ვინც თავის მტკიცე გადაწყვეტილებას არ არღვევს, რა თქმა უნდა. ძალიან ძლიერი გახდება, მაგრამ ის ვერ შეძლებს

სიბრძნის მიღწევას. მან, შესაძლოა, გადაწვეტილების მიღების უნარი არასწორად გამოიყენოს. ამის მისაღწევად სიბრძნე არ არის საჭირო. ადამიანი, უეჭველად დიდ ძალად შეიძენს, მაგრამ ამავე მიზეზით შესაძლოა ბოროტად გამოიყენოს ეს ძალა. მთელი შავი მაგია ნებისყოფის ნაყოფია. ის, ვინც მას ეუფლება, დიდ ძალას იკრებს, მაგრამ მასში სიბრძნე არ არის. საბოლოო ჯამში, მას ამ ძალის უკონტროლოდ გამოყენება შეუძლია.

თავისუფალი ადამიანი ძალით ივსება. რთულია იმის წინასწარმეტყველება, როგორ გამოყენებს ამ ძალას. სავარაუდოდ, ის მას ცუდი მიზნებისთვის გამოიყენებს. ძალა თავისთავად ნეიტრალურია. მაგრამ ის აუცილებელია, იმის მიუხედავად, სიკეთისთვის გამოიყენებს მას ადამიანი თუ ბოროტებისთვის. ჩემი აზრით, უმჯობესია ადამიანი იყოს სუსტი და საკუთარი ძალა ცუდი მიზნებისთვის გამოიყენოს, იმ უბრალო მიზეზით, რომ ის, ვინც ბოროტებას სჩადის, ოდესმე ამავე ძალის მოხმარებას კეთილი მიზნებისთვისაც შეძლებს. მას, ვისაც არ შეუძლია ცუდად მოიქცეს, ვერასდროს შეძლებს კარგად მოქცევას. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ სჯობს იყო ძლიერი ხულიგანი, ვიდრე უძლური „ჩვარი“.

ამგვარად, ძლიერ ადამიანს შეუძლია გავიდეს სიკეთის გზაზე, მაგრამ მას ბოროტების გზაზე შედგომაც ძალუძს. სიკეთის გზით სიარული უმჯობესია, რადგან, თუ მასზე სწორედ იმოძრავებ, ის მოწმის მდგომარეობამდე მიგიყვანთ. ვერაფრით მიხვალთ მოწმეობამდე, თუ ბოროტების გზაზე ივლით, უფრო თქვენი ნებისყოფის საზღვრებთან იხეტიალებთ, ტანტრასა და მანტრაში, ჯადოქრობასა და ვიდუიზმში ჩაეფლობით. უამრავ ნივთს შეიძენთ, მაგრამ ყოველივე ეს არ მიგიყვანთ სულთან.

ასე მხოლოდ წააგებთ. ძალა ნამდვილად გექნებათ, მაგრამ მაინც დაიკარგებით. თუ ძალა სიკეთის გზით წავა, ის აუცილებლად გაქცევთ მოწმედ, საბოლოოდ ძალის გამოყენება საკუთარი თავის შესაცნობად, საკუთარ თავამდე მისაღწევად შეიძლება. ზუსტად ამას ვუწოდებ სიკეთის გზას. ბოროტების გზაში ვგულისხმობ სხვა ადამიანის მართვას, ფლობას, დამონებას. ზუსტად ეს არის შავი მაგიის არსი. ძალის გამოყენება საკუთარი თავის შეცნობისკენ, საკუთარი არსისკენ, ჭეშმარი-

ტი ცხოვრებისკენ, სიკეთისკენ მიდის. ადამიანს ეს, მართლაც, მიიყვანს მოწმეობის მდგომარეობამდე.

თუ განჭვრეტის მდგომარეობისკენ სწრაფვა თვითშეცნობით კმაყოფილდება, მაძიებელი აღწევს მეხუთე სხეულს და იქ ჩერდება. თუმცა, თუ სწრაფვა ძლიერდება და ა.შ., მაშინ ადამიანი აღმოაჩენს, რომ ის მარტო არ არის, რომ ის თავის თავში მოიცავს ყველაფერს, რომ მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ქვები, თესლი, ყვავილები – ყოველივე ეს მისი ნაწილია, მისი არსებაა, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს დანარჩენს. თუ მაძიებელი ასეთი ძლიერი გრძნობით აგრძელებს წინსვლას, ტატხატას აღწევს.

ტატხატა, ჭეშმარიტი ბუნება, რელიგიის უზენაესი ყვავილობაა, უმაღლესი მიღწევა. ეს სრული მიმღებლობაა. ადამიანი ღიაა და, ამასთან, ჰარმონიულია ყოველივე იმის მიმართ, რაც ხდება. მხოლოდ ასეთი ადამიანი მოახერხებს სრულიად მშვიდად ყოფნას, რადგან მცირედი გულისწყრომაც კი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. შფოთვა და დაძაბულობა არ შორდება ადამიანს, თუკი ის ოდნავ მაინც უჩივის რამეს. საკმარისია მყისიერად გაიფიქროთ: „ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს" და დაძაბულობა შენარჩუნებულია.

უმაღლესი სიჩუმის განცდა, დაძაბულობის სრული მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ ტატხატის მდგომარეობით. თუმცა, მხოლოდ თავისუფალი ადამიანი შეძლებს, საბოლოოდ, მოწმის მდგომარეობის მიღწევას, და მხოლოდ მის მოწმეობაში ჩაღრმავებას შეუძლია გაიყვანოს იგი ტატხატის მდგომარეობამდე. მან, ვინც ჯერ კიდევ ვერ გაიგო, რას ნიშნავს მოწმედ ყოფნა, ვერასდროს გაიგებს, რას ნიშნავს სრული მიმღებლობა.

მან, ვინც ვერ გაიგო, რომ ის განკერძოებულია ეკლისგან, რომელიც მას ჩხვლეტს, ჯერ არ არის მზად გაიგოს, რომ ეს ეკალი მისი ნაწილია. რეალურად მას, ვინც ეკლისგან განკერძოებას შეიძგრძნობს, შეუძლია გადადგას შემდეგი ნაბიჯი იქითკენ, რომ ეკალთან მთლიანობაც გაითავისოს.

ამგვარად, ტატხატა – ეს ფუნდამენტური პრინციპია. მთელ მსოფლიოში, ყველა სულიერ სწავლებათა შორის, ტატხატა ყველაზე აღიარებულია. სწორედ ამიტომ ბუდას ერთ-ერთი სახელი ასე ჟღერს – ტატხაგატი. კარგი იქნება, სიტყვა „ტატხა-

გატის" მნიშვნელობას თუ ჩასწვდებით. ეს დაგეხმარებათ ტატხატას მნიშვნელობის უკეთ გაგებისთვის.

ბუდა იყენებდა სიტყვა „ტატხაგატს" საკუთარი თავის აღმნიშვნელად. მაგალითისთვის, ის ამბობდა: „ტატხაგატმა თქვა..." ამგვარად, ტატხაგატა ნიშნავს: „როგორც მოვიდა, ისევე წავიდა". ის ქარივითაა, რომელიც მოფრინდება და გაფრინდება მიზნის გარეშე, ყოველგვარი აზრის გარეშე. ის ისეთივეა, როგორც ჰაერის სუნთქვა, რომელიც თქვენს ოთახში შემოდის და გადის სრულიად უმიზეზოდ. ამგვარად, მას, ვინც შედის და გადის, არავითარი მოტივი და სურვილი არ ამოძრავებს, როგორც ქარს, სწორედ ამგვარ ყოფას ჰქვია ტატხაგატა. მაგრამ ვინ მოდის და მიდის ქარივით?

მხოლოდ მას შეუძლია ქარივით ფრენა, ვინც ტატხატას მიაღწია. მხოლოდ მას შეუძლია ქარს დაემსგავსოს, ვისთვისაც აქეთ-იქით მოძრაობას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. თუ დასჭირდება მოსვლა, ის მოდის, თუ წასვლა უნდა, მიდის. სწორედ ასე იქცეოდა დიოგენე. მისთვის სულ ერთი იყო, ხუნდებს დაადებდნენ თუ არა. მოგვიანებით დიოგენემ თქვა: „მხოლოდ მას შეუძლია წუხდეს მონობაზე, ვინც მონობისკენაა მიდრეკილი. არავის შეუძლია მონად მაქციოს. მაშ, რისთვის უნდა მეშინოდეს დამონების? დაზაფრული ისაა, ვინც ოდნავ მაინც ღელავს ამაზე, ის კი, ვისაც ამის შიში აქვს, მართლაც მონაა. იმის გამო, რომ მე საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ვარ, თქვენ ვერასოდეს შეძლებთ ჩემს დამონებას. ბორკილებდადებულიც ასეთი ვარ და და არაფრით შევიცვლები თქვენს ციხეში. სულ არ არის მნიშვნელოვანი, სად ჩამსვამთ. მე მაინც საკუთარი თავის ბატონ-პატრონად დავრჩები, სრულუფლებიან ბატონ-პატრონად".

ამგვარად, მოგზაურინების გავლით მოწმეობისკენ, მოწმეობიდან კი – ტატხატამდე მიდის.

თქვენ ბრძანეთ, რომ ინგლისურში არ არსებობს „პრაკრიტის" შესაბამისი სიტყვა. ნუთუ სიტყვათა წყობა მაინც არ გადმოსცემს ამ სიტყვის მნიშვნელობას?

არა, ეს იგივე მნიშვნელობა არ არის. სიტყვათა წყობა ამ შემთხვევაში ადამიანის წყობას, მის ფსიქოლოგიურ სქტუქ-

ტურას გულისხმობს. წყობა როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ სისტემას ნიშნავს. პრაკრიტი სულ სხვა რამეა.ჩვეულებრივ, სიტყვა „პრაკრიტს“ იმ გაგებით ვიყენებთ, რომ „ამ ადამიანის წყობა სწორედ ასეთია...“ მაგრამ ამგვარი ინტერპრეტაცია არასწორია. პრაკრიტი ნიშნავს იმას, რაც იყო დასაბამამდე. პრალაია ნიშნავს იმას, რაც მოსდევს დასაბამს, დასაბამის დასასრულს. ამგვარად, პრაკრიტი ნიშნავს იმას, რაც იყო დასაბამამდე, რისი შექმნაც არ იყო საჭირო, რაც იყო მუდამ, ყოველგვარი დასაწყისის გარეშე. ეს ის არის, რაც უკვე არის. შრიშტი ნიშნავს შექმნილს, ანუ იმას, რაც გაჩნდა.

ევროპულ ენებში არ არის სიტყვა, რომელიც სიტყვა „პრაკრიტის“ იდენტურია, რადგან ეს ენები ქრისტიანობის გავლენის ქვეშაა. ევროპაში არის მსგავსი სიტყვა „შექმნა“ და „შემქმნელი“. ინდურ ენაში არსებობს სიტყვა „პრაკრიტი“, თუმცა, ყველა როდი იყენებს მას სანკიაიტის, ვაიშეშიკის ან ჯაინის მნიშვნელობით. ეს სიტყვა მათ ეკუთვნით. მათი აზრით, ის, რაც მუდამ არსებობდა, რაც არასდროს შექმნილა, პრაკრიტია. ის უკვე იყო, არსებულამდე არსებობდა.

მაგალითად, როცა სახლს აშენებთ, მისი პროექტი და სტრუქტურაა მისი კონსტიტუცია. მაგრამ მასალა, რომელიც სახლის შექმნისას გამოიყენება, ანუ ნიადაგი, ჰაერი, მაღალი ტემპერატურა – ყოველივე ეს პრაკრიტია. დანარჩენი, რაც აქედან გამომდინარეობს, უბრალოდ სახლის სტრუქტურაა. თუმცა, იმას, რაც არსებობდა სტრუქტურის შექმნამდე (ის თქვენ არ შეგიქმნიათ, არც არავის შეუქმნია, ის სულ იყო), პრაკრიტი ჰქვია. არც ერთ ევროპულ ენაში არ არსებობს სიტყვა „პრაკრიტის“ ეკვივალენტი.

იქნებ, ტატხატა, უბრალოდ, ცნობიერის იდენტური იყოს?

სინამდვილეში, ტატხატასა და იმას შორის, რასაც თქვენ „უბრალოდ ცნობიერებას“ უწოდებთ, მცირედი განსხვავებაა. მოწმეობაც რამდენადმე განსხვავდება გაცნობიერებისგან. შეგიძლიათ თქვათ, რომ „უბრალოდ გაცნობიერება“ კავშირს ამყარებს მოწმეობასა და ტატხატასთან. მოწმეობიდან ტატხატასკენ მოძრაობისას „უბრალოდ გაცნობიერების“ მდგომარეობას გადიხართ.

მოწმეობის მდგომარეობაში არსებობს ძლიერი შეგრძნება „მე ვარ" და „შენ ხარ", გრძნობა „თქვენ" საერთოდ ქრება. არსებობს მხოლოს მეობის განცდა. ტატხატაში, მეობის გრძნობის გარდა, არის იმის შეგრძნებაც, რომ ჩემი მეობა და ჩემი არსებობა და თქვენი მეობა და თქვენი არსებობა მხოლოდ ერთ მეობასა და ერთ არსებობას შეადგენს და ისინი ერთი და იგივეა. ვიდრე იარსებებს მხოლოდ მაღალი ცნობიერება, მხოლოდ მეობის შეგრძნობა, იარსებებს სამყარო ჩემი მეობის საზღვრებს მიღმა მყოფი სამყარო, სამყარო, რომელიც მე არ ვარ, განკერძოებულად მყოფი სამყარო.

ტატხატა უსაზღვროა, ეს უბრალოდ ყოფნაა. ამგვარად, თუ მხოლოდ ტატხატას გულისხმობთ, ის უბრალოც გაცნობიერება არ არის. ეს ყოფნასაც აღნიშნავს. აი, სწორი შესატყვისი. სიტყვა „ყოფნა" გაცილებით კარგად შეეფარდება სიტყვა „ტატხატას". იმ მომენტში, როცა ამბობთ – „უბრალოდ გაცნობიერება", აშკარად რაღაც გისხლტებათ თვალთახედვიდან. სიტყვა „უბრალო" თქვენს უმოქმედობაზე მიანიშნებს. როცა ამბობთ: „უბრალოდ ცნობიერება", გამორიცხავთ იმას, რაც არ ხვდება სიტყვა „უბრალოს" მიერ დაწესებულ საზღვრებში, სხვაგვარად რომ იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ დაურთავდით „ცნობიერს" წინ სიტყვა „უბრალოს"?

შეიძლება „მხოლოდ გაცნობირება" რომ ვთქვათ?

დიახ, გამოთქმა „მხოლოდ გაცნობიერება" გამოდგება, მაგრამ აქაც არ არის აუცილებლობა „გაცნობიერებას" სიტყვა „მხოლოდ" წავუმძღვაროთ. სიტყვა „გაცნობიერებაც" საკმარისია. არანაირი პრობლემა არ არსებობს.

თქვენ თქვით, რომ შინაგან სამყაროში ცნობიერად შესვლის, ან სიკვდილის დროს, მთელი სასიცოცხლო ენერგია იკუმშება და თავის ცენტრს უბრუნდება, იმ მიზნით, რომ თავიდან გადაიქცეს თესლად. რომელ ცენტრში იკუმშება ენერგია? კონცენტრირდება თუ არა ის აჯნიას ჩაკრაში? იქნებ, სხვა წერტილში იყრის თავს? რომელი ჩაკრაა ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?

აქ რაღაც უნდა განვიხილოთ. მთელი ენერგია, რა თქმა უნდა, შეიკუმშება მანამ, ვიდრე სიკვდილი მოვა. ვიდრე, ადა-

მიანი ახალი მოგზაურობითვის გაეშურება, ენერგია, რომელიც სხვა შემთხვევაში მთელ სამყაროში იფანტებოდა, ერთ წერტილში ბრუნდება. ეს იგივეა, ადამიანი სახლიდან გადადიოდეს და ყველა მნიშვნელოვან ნივთს უყრიდეს თავს. როცა ამ სახლში ცხოვრობდა, ნივთები მთელ სახლში იყო მიმოფანტული, აბაზანიდან დაწყებული სასტუმრო ოთახით დამთავრებული. ამგვარად, გადასვლის დროს, ადამიანი თავის ქონებას ახარისხებს. ის იშორებს ნაგავს, ალაგებს მნიშვნელოვან ნივთებს და ახალი მოგზაურობისთვის ემზადება.

როგორც ჩვენ ვტოვებთ ერთ სიცოცხლეს, ერთ სხეულს და ვიწყებთ მოგზაურობას სხვა სიცოცხლეში, სხვა სხეულში, ასევეა ცნობიერიც, რომელიც ადრე დაფანტული იყო, ახლა კი ერთ წერტილში იკრიბება და კვლავ თესლად იქცევა. აქამდე, ის რეალობაში მოქმედებდა, ახლა კი ის კვლავ პოტენციური მესაძლებლობა ხდება, რადგან კვლავ თესლის სახით განთავსდება ახალ სხეულში.

როგორც ხე ტოვებს სიკვდილამდე თავის თესლს, ასევე სხეულიც ტოვებს თავის თესლს გარდაცვალებამდე. ის, რასაც ჩვენ სპერმას ვეძახით, თესლია, რომელიც სხეულმა სიკვდილისას დატოვა. ეს თესლი სიკვდილამდეა დაქცეული, სიკვდილის მოლოდინში. სპერმა შეიცავს ჩვენი სხეულის მთელ ჩაშენებულ პროგრამას, ის თქვენი სხეულის ასლია. რამდენადაც სხეული ემზადება წასვლისთვის, ის თავის შემდეგ ტოვებს პაწაწინა თესლს. ეს მოვლენა ხდება ერთ ფიზიკურ დონეზე. ზუსტად ასევე ცენტრალიზდება ცნობიერიც, მაგრამ სულ სხვა დონეზე, რათა თესლად იქცეს და სხვა სხეულში დაივანოს.

მთელი მოგზაურობა იწყება თესლით და მთავრდება თესლით. გახსოვდეთ, რომ ის რაც დასაწყისად გვევლინება – დასასრულიცაა. მოგზაურობის წრე სრულდება იქ, საიდანაც იწყება. ჩვენ ვიწყებით თესლიდან, და ვბრუნდებით, როგორც თესლი. იბადება კითხვა: სიკვდილის დროს, რომელ ცენტრში გროვდება ცნობიერება, რომელიც უნდა შეიკუმშოს და თესლად იქცეს? ის, რა თქმა უნდა, იმ ცენტრში ჩნდება, რომელშიც იმყოფებოდით მთელი ცხოვრება. ის კონცენტრირდება ცენტრში, რომელიც სიცოცხლეში ყველაზე ფასეული

იყო თქვენთვის, რადგან ყველაზე აქტიური გახლდათ. უნდა ითქვას, რომ ის იყო წერტილი, საიდანაც მოძრაობდა მთელი თქვენი სასიცოცხლო ენერგია.

მაგალითად, თუ ადამიანი სიცოცხლეში სექსით იყო შეპყრობილი, თუ ამის მეტს ვერაფერს ჩასწვდა, თუ სექსი იყო ყველაფერი, რისთვისაც ის ცხოვრობდა (ანუ ის გამოიმუშავებდა ფულს, რომ სექსით მიეღო სიამოვნება, მან მიაღწია მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას სექსუალური ურთიერთობებით, მას სურდა კარგი ჯანმრთელობა ჰქონოდა, რათა მეტი დრო დაეთმო სექსისთვის), თუ სექსი იყო მისი ცხოვრებისეული აქტივობის წარმმართველი, მაშინ სიკვდილის დროს, სწორედ იქ, შესაბამის ადგილას, მოგროვდება მთელი ენერგია და მისი ახალი მოგზაურობაც სექსუალური ცენტრიდან დაიწყება. რატომ? იმიტომ რომ მისი შემდგომი დაბადება იმავე სექსუალურად შეპყრობილი ცენტრის ხანგრძლივი მოგზაურობის გაგრძელება იქნება. ამ ადამიანის ცნობიერი სიკვდილის წუთებში შეგროვდება სექსუალურ ცენტრში, სწორედ ამ წერტილში შეწყდება მისი ცხოვრება. ეს ცხოვრებისეული ენერგია მისი გენიტალიებიდან გავა. ამ ადამიანს რომ სხვა ცენტრით ეცხოვრა, მისი ენერგია იმ სხვა ცენტრში კონცენტრირდებოდა და იქიდანვე გავიდოდა.

ცენტრი, რომლის გარშემოც ტრიალებდა ცხოვრება, ის ცენტრია, რომლიდანაც ადამიანი წავა. ადგილი, სადა ის მთელი ცხოვრების განმავლობაში იყო, იქნება ადგილი, საიდანაც ის წავა. ამიტომ იოგას შეუძლია წავიდეს აჯნიას ჩაკრიდან, მოყვარულს კი – გულის ჩაკრიდან. გასხივოსნებული ადამიანის ცხოვრებისეული ენერგია სახასრარას მეშვიდე ჩაკრიდან წავიდოდა – მისი თავის ქალა გაიხსნება, როცა ის სხეულიდან გამოვა.

წერტილი, საიდანაც ადამიანი გამოდის – საბოლოო მტკიცებულებაა იმისა, თუ როგორ გაიარა ცხოვრება. წარსულში ასეთი მეთოდები აღმოაჩინეს: მკვდარ სხეულზე დაკვირვებისას შეიძლებოდა იმის თქმა, რომელი ჩაკრიდან, რომელი კარიდან დატოვა იგი ცნობიერმა. ყველა ჩაკრა – სხეულში სულის შესასვლელი და გამოსასვლელი კარია. სული სხვა სხეულში შესასვლელად იმავე კარით სარგებლობს, რომელიც

გამოიყენა გარდაცვლილი სხეულიდან გამოსვლისას. სული შევა დედის წიაღში იმავე კარით, რომლიდანაც გამოვიდა წინა სიკვდილის დროს. ეს ხომ მისთვის ერთადერთი ნაცნობი კარია.

ამიტომ მამისა და დედის გონებრივი შესაძლებლობა, ისევე როგორც მათი ცნობიერების მდგომარეობა სექსუალური კავშირისას, განსაზღვრავს, როგორი სული შევა საშვილოსნოში, იმიტომ რომ მხოლოდ იმ ტიპის ცნობიერი, იმ სახის სული წარიგზავნება დედის წიაღში, რომელიც შეესაბამება მამისა და დედის გონებასთან ყველაზე ახლომყოფ ცენტრს სექსუალური აქტის მომენტში. თუ ღრმა მედიტაციაში მყოფი ორი ადამიანი ერთმანეთს ერწყმის არა სექსუალური დაკმაყოფილების სურვილით, არამედ სულის დაბადების ექსპერიმენტისთვის, მაშინ ისინი შეძლებენ ამ მიზნისთვის გამოიყენონ მათთვის ყველაზე გამორჩეული ჩაკრები.

ამიტომ გაცილებით მაღალი სულები იძულებულნი არიან დიდხანს ელოდონ საკუთარ რიგს, რადგან მათთვის აუცილებელია გაცილებით მაღალი ხარისხის დედის წიაღი, რომლის პოვნაც ძალიან რთულია. შესაბამისად, ბევრი კარგი სული ვერ ახერხებს თავიდან დაბადებას ასობით წლის განმავლობაში. იგივე შეიძლება ითქვას ბევრ ბოროტ სულზეც. ჩვეულებრივი სულები მაშინვე იბადებიან, ყოველგვარი პრობლემის გარეშე, რადგან მათთვის უამრავი შესაბამისი საშვილოსნოა ხელმისაწვდომი. ყოველდღე დაახლოებით ასოთხმოცი ათასი სული იბადება. ყოველდღე, დაახლოებით, ორასი ათას სულს შეუძლია შევიდეს დედის წიაღში, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვეულებრივ სულებს ეხება.

მრავალი სული, რომლებიც დიდი ძალისხმევის შედეგად მოევლინენ ქვეყანას, იძულებული იყო, სხვა პლანეტაზე დაბადებულიყო. დედამიწა ქმედუუნარო გახდა ამ სულებისთვის. მან ვერ უზრუნველეყო მათი დაბადება. შედარებისთვის, ინდოეთში დაბადებულ მეცნიერს რომ აშშ-ში დაეწყო შესაფერისი სამუშაოს ძებნა. ის დაიბადებოდა ჩვენს გარემოში, ჩვენ უზრუნველვყოფდით საჭმლითა და წყლით, მზრუნველობითა და ყურადღებით. მაგრამ კარგი სწავლისა და აღზრდის შე-

საძლებლობას არ მივცემდით. ცხადია, რომ ის იძულებული გახდებოდა, ყოველივე ეს აშშ-ში ეძებნა.

ჩვენს დროში მეცნიერთა უმრავლესობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან აშშ-ში დასახლდა. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დიდ დახმარებას ვუწევთ სულებს დედამიწაზე, სამწუხაროდ, ვერ უზრუნველვყოფთ მათ შესაბამისი საშვილოსნოებით მომავალ დაბადებათათვის. ბუნებრივია, ისინი იძულებულნი არიან ეძებონ სხვა პლანეტაზე მოვლინების შესაძლებლობა.

თუ ნამდვილად ვფლობთ ნიჭიერ მეცნიერთა შექმნის შესაძლებლობას, მაშინ რატომ არ გვაქვს იმის უნარი, რომ უზრუნველვყოთ ასეთი ადამიანები კარგი სამსახურით?

ამ ორს მოვლენას შორის კავშირი არ არსებობს. მეცნიერის შექმნა დამოკიდებულია ერთი სახის მოთხოვნაზე, იმ დროს, როცა მისი უზრუნველყოფა შესაბამისი სამსახურით სხვა ფაქტორების პრეროგატივაა. მეცნიერის დაბადება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იცხოვრა მისმა სულმა წინა ცხოვრებებში. თუ კაცსა და ქალს შორის სექსუალური აქტისას სულმა საშვილოსნოში შესვლა ინტელექტის საშუალებით შეძლო, მაშინ ის მომავალშიც იპოვის შესაბამის წიაღს და დაიბადება.

თუმცა, მეცნიერის სამსახურით უზრუნველყოფა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის მთელი საზოგადოება მოწყობილი, როგორ მოქმედებს ის. ჩვენს მეცნიერს აშშ-ში შეუძლია გამოიმუშავოს ათი ათასი რუპია, ინდოეთში – მხოლოდ ათასი რუპია. ამასთან, აშშ-ში მას შეუძლია მიიღოს ლაბორატორია და ჩაატაროს გამოკვლევები. ინდოეთში მას ამისთვის, სავარაუდოდ, ათასი წელი მოუწევს ლოდინი. ამერიკაში მისი აღმოჩენები არ დაიკარგება ბიუროკრატიულ ლაბირინთებში და არ დალპება საქაღალდეების გორაში, არამედ ნობელის პრემიას დაიმსახურებს. აქ, ინდოეთში, მისი ხელმძღვანელი ნამუშევარს დიდ ყუთში ჩააგდებს და არასდროს მისცემს ნებას დღის სინათლე იხილოს. თუკი ამ მეცნიერის ნამუშევარი ოდესმე ცნობილი გახდება ადამიანებისთვის, შესაძლოა, იგი რომელიმე პოლიტიკურმა მოღვაწემ ან ჩინოსანმა მიითვისოს

და მერე ადამიანი ვერასდროს შეძლებს მასზე საკუთარი სახელის დაწერას. ამგვარად, მისი ბედი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ადამიანები, რომლებიც ამქვეყნად ბევრად დიდი ცნობიერით იბადებიან, იძულებულნი არიან შესაბამისი პირობები სხვა პლანეტებზე ეძებონ. არსებითად, ადამიანები, რომლებმაც დედამიწაზე სხვა პლანეტებიდან მოიტანეს ინფორმაცია, უცხოპლანეტელები იყვნენ. მეცნიერებმა მხოლოდ ახლა გაიგეს, რომ სიცოცხლე დაახლოებით ორმოცდაათი ათას პლანეტაზე შეიძლება არსებობდეს. იოგებმა ამის შესახებ უძველესი დროიდან იცოდნენ. თუმცა, წარსულში მათ არ ჰქონდათ ამის გადამოწმების საშუალება. მაგრამ, როცა სხვა პლანეტების კუთვნილი სულები დედამიწაზე იბადებოდნენ და შესაბამისი ინფორმაცია მოჰქონდათ, მათი ჰიპოტეზა დასტურდებოდა. იგივე ეხება ამ პლენეტიდან სხვა პლანეტებზე წასულ სულებს – ისინიც უცხოები არიან, მათი ჩასახვაც ხომ შეუძლებელია დედამიწაზე.

სიკვდილის მომენტში ადამიანის ცნობიერება ერთ წერტილში გროვდება. ამ კრისტალიზებულ ფორმაში ის უბიძგებს მთელ თავის პირობითობას, მიდრეკილებას, სურვილს – მთლიან არსს. ჩვენ შეგვიძლია მას ადამიანის მთელი ცხოვრების კეთილსურნელება ან სიმყრალე ვუწოდოთ, რომელიც თავისი ახალი მოგზაურობისთვის ემზადება. ეს მოგზაურობა უმეტესწილად თავისთავად განხორციელდება და თქვენ მასში ვერაფერს შეცვლით. ყოველივე ეს ჰგავს წყლის დაღვრას, რომელიც მიწის პატარ-პატარა ნაპრალებში უჩინარდება. ნორმალურ მდგომარეობაში საშვილოსნოც სიცარიელის მსგავსად მოქმედებს და მასში ახლომდებარე ცნობიერი სახლდება.

ამიტომ, რიგით შემთხვევებში, ადამიანი ერთსა და იმავე საზოგადოებასა და ქვეყანაში იბადება. ძალიან იშვიათად თუ იცვლება რამე. ცვლილებები ხდება მხოლოდ მაშინ, როცა შესაბამისი წიაღი არაა ხელმისაწვდომი. ამიტომ საოცარია, რომ უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში, უმაღლესი სულები, რომლებიც ადრე ინდოეთში იბადებოდნენ, იძულებულნი იყვნენ ევროპაში დაბადებულიყვნენ. ანი ბეზანტი, ქალბატონი ბლავაცკაია, ლედბიტერი, ოლკოტი – ყველა ეს სული ინ-

დოეთიდანაა. ისინი იძულებულნი იყვნენ ევროპაში დაბადებულიყვნენ. ლობსანგ რამპა, მაგალითად, ტიბეტური სულია, რომელიც ევროპაში დაიბადა. ყოველივე ამის მიზეზი იყო ის, რომ ქვეყანაში მათი დაბადებისთვის არ იყო შესაბამისი წიაღი, ამდენად, მათ სხვა ადგილის ძიება მოუწიათ.

ჩვეულებრივი ადამიანი მაშინვე იბადება. ეს იგივეა, მეზობლად სხვა სახლი ეძებოთ და მხოლოდ მაშინ გადაბარგდეთ სხვა ადგილას, სხვა რაიონში, თუკი ახლომახლო ვერაფერს იპოვიდით. ჯერ ბომბეიში დაძებნიდით, შემდეგ – გარეუბნებში, თუ აქაც ვერ წააწყდებოდით სასურველ ბინას, მაშინ, ალბათ, უფრო შორსაც წახვიდოდით, სხვა ადგილების სანახავად. მაგრამ სახლის პოვნისთანავე საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნებოდა. კარგი იქნებოდა ორი მოვლენის განხილვა იმის დასანახად, თუ როგორ გამოიყენებოდა ეს პრინციპი. ჩვენთვის აუცილებელია ახლა მივაქციოთ ამას ყურადღება, რადგან ამ სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, სწორედ ჩვენი დროის კონტექსტში.

ყველაზე საოცრად ეს მოვლენა ინდოეთში გამოიყენეს კასტის სისტემის გავლით. ეს ძალიან ღირებული პროცესი აღმოჩნდა. ინდუსებმა მთელი საზოგადოება ოთხ კასტად გაყვეს. იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ თუ მოკვდებოდა ბრამინი, მისი სული ხელმეორედაც ბრამინის სულად უნდა დაბადებულიყო. თუ მოკვდებოდა კშატრია, მისი სული განმეორებითაც უნდა დაიბადებულიყო კშატრიად.

ცხადია, რომ თუ საზოგადოება დაყოფილია განსაზღვრულ კასტებად, დიდი ალბათობაა იმისა, რომ გარდაცვლილი კშატრიას სულმა მომდევნო თავშესაფარი სამეზობლოში ეძებოს. ის ქალი კშატრიის წიაღში შევა. თუ ადამიანის სული რამდენჯერმე დაიბადება კშატრიის სულად, ის მთლიანად გაჯერდება მისით. თქვენ სამხედრო წვრთნების დახმარებითაც კი ვერ შეძლებთ ასეთი კშატრიის, ასეთ მებრძოლის აღზრდას. ზუსტად ასევე, თუ სული გამუდმებით, ათჯერ, ოცჯერ დაიბადება როგორც ბრამინი, ის სუფთა ხარისხის ბრამინად ჩამოყალიბდება. ამ სულს ვერაფერი შექმნის ხელოვნურად. იგი არ აღიზრდება ადამიანის გაგზავნით გურუკულში, ანუ სკოლა-ინტერნეტში,

რომელსაც მასწავლებელი-ბრამინი ხელმძღვანელობს, ვერც ინდივიდუალური გაკვეთილებით გააწყობთ რამეს.

საოცარია, რომ ჩვენ გამოვიგონეთ საგანმანათლებლო საშუალებები, რომლებიც მხოლოდ ერთი ცხოვრებისთვის გამოდგება. წარსულში ადამიანებმა შეიმუშავეს განათლების სისტემა, რომელიც უნდა გამოყენებულიყო უსასრულო ცხოვრებათა განმავლობაში. ეს შესანიშნავი ექსპერიმენტი აღმოჩნდა, მაგრამ ის ჩაიშალა. ის გაფუჭდა და გაიხრწნა, არა იმიტომ, რომ დაიკარგა მისი ძირითადი სუტრები. ვერც ერთი ბრამინი, ვერც ერთი შანკარაჩარია ვერ ინახავს ვერანაირ სუტრას. მათ არა აქვთ ამის უფლებამოსილება. ისინი მხოლოდ ციტირებენ თავიანთ წმინდა წერილებს, რომლებიც აცხადებენ იმას, რომ ბრამინი – ბრამინია, შუდრა კი – შუდრაა. მაგრამ წმინდა წერილები უსარგებლოა. მხოლოდ მეცნიერული პრინციპები მუშაობს.

ამგვარად, ყველაზე საოცარი ექსპერიმენტი, რომელიც ინდოეთმა ჩაატარა, იმაში მდგომარეობდა, რომ დაგეგმილი იყო სულების დაბადება უსასრულო ცხოვრებათა განმავლობაში. ეს ნიშნავს, რომ ხალხი არა მხოლოდ ამზადებდა ადამიანს მისი მომავალი ცხოვრებისთვის, არამედ რეგულარულად ცდილობდა მისი ცნობიერის წარმართვას სხვადასხვა არხებით. შესაძლოა, ბრამინი შუდრის ოჯახში დაიბადოს და მისთვის შეუსაბამო გარემოს პირობებში ვერ მოახერხოს თავისი წინა ცხოვრებების მიღწევათა მომავალში გადატანა. ამან შეიძლება დიდი პრობლემები გამოიწვიოს. შეიძლება ვივარაუდოთ ასევე, რომ იმ გაგებას, რომელსაც ადამიანმა ბრამინის სახლში ათი დღე მოანდომა, შუდრის სახლში ათი წელიც კი არ ეყოფა.

ადამიანის განვითარების ასეთი ჩამოყალიბებული კონცეფცია და ფართო ხედვა ედო საფუძვლად ინდოეთის საზოგადოების გაყოფას ოთხ ნაწილად. ადამიანებმა შეიმუშავეს შორიახლოს დაბადების იდეა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ერთი და იგივე ხარისხის წიაღის პოვნა მომავალ ცხოვრებათა განმავლობაში.

მახავირასა და ბუდას ოცდაოთხივე დაბადება შატრიათა ტრადიციის მიხედვით შედგა. ისინი საგანგებო ზედამხედვე-

ლობის ქვეშ იზრდებოდნენ. ყოველი დაბადებისას მათ გარკვეული განათლება ეძლეოდათ. შესაბამისად, არ არსებობდა არანაირი შუალედი შემდგომ დაბადებათათვის საჭირო სწავლებებსა და მიმართულებებს შორის, ანუ შენარჩუნებული იყო უწყვეტობის პრინციპი. სწორედ, ამიტომ შევძელით ამქვეყნად ასეთი ადამიანების მოვლინება. ამჟამად, ამ მასშტაბის ადამიანების შექმნა გართულებულია. დღეს, მათი გამოჩენა დედამიწაზე შემთხვევითობის საქმეა. ამგვარი ადამიანების დაბადება სისტემატური დაგეგმვის საშუალებით, მართლაც, ძალიან ჭირს.